ᲞᲝᲚᲘᲡ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



სარჩევი

წიგნი პირველი 3

წიგნი მეორე 242

წიგნი მესამე 542

ეპილოგი 791

წიგნი პირველი

თავი პირველი

რამზეს XII-ის[1] სვებედნიერი მეფობის 33-ე წელს ეგვიპტე დღესასწაულობდა ორ საზეიმო ამბავს, რაც სიამაყითა და შვებით ავსებდა მისი ერთგული ქვეშევრდომების გულს.

მეხირის თვეში დეკემბერში, უხვი შესაწირავით დატვირთული დაბრუნდა თებეს[2] ღმერთი ხონსუ[3], რომელმაც სამი წელი და ცხრა თვე იმოგზაურა ბუხთენის[4] მხარეში, სადაც განკურნა მეფის ასული ბენტრეში და ავი სული მოაშორა არა მარტო მეფის ოჯახს, არამედ ბუხთენის მთელ ციხესიმაგრეს.

ფარმუტის თვეში, თებერვალში კი ზემო და ქვემო ეგვიპტის მბრძანებელი, ფინიკიისა და ცხრა ხალხის ხელმწიფე, ღმერთების სწორი მერი-ამონ-რამზეს XII ეთათბირა ღმერთებს და ტახტის მემკვიდრედ თავისი ოცდაორი წლის ვაჟი რამზესი გამოაცხადა.

ამ არჩევანმა დიდად გაახარა ღვთისმოსავი ქურუმები, დიდებული ნომარქოსები[5], მამაცი ჯარი, ერთგული ხალხი და ეგვიპტის ქვეყნის ყოველი სულდგმული. და ეს იმიტომ, რომ ფარაონის უფროსი ვაჟები, ხეთელთა[6] მეფის ასულის ხელში რომ ჰყავდა, რაღაც გამოუცნობი ჯადოს მოქმედებით ავი სულით იყვნენ შეპყრობილი. ერთ მათგანს, რომელიც უკვე ოცდაშვიდი წლისა იყო, მოწიფულობის ჟამს ფეხები წაერთვა, მეორემ ვენები გადაიჭრა და მოკვდა, მესამე კი ღვინის სმას დაეწაფა, გაგიჟდა, თავი მაიმუნად წარმოიდგინა და მთელ დღე-

---

[1] რამზეს XII – XX დინასტიის უკანასკნელი ფარაონი ეგრეთ წოდებული რამესიდების გვარეულობიდან.

[2] თებე – ეგვიპტის სატახტო ქალაქი შუა და ახალი სამეფოს ეპოქაში.

[3] ხონსუ – მთვარის ღმერთი, რომელსაც თაყვანსა სცემდნენ თებეში; მას გამოხატავდნენ ადამიანის სახით, რომელსაც თავზე ნამგალა მთვარე ჰქონდა,

[4] ბუხთენი – სირიის ერთ-ერთი პროვინცია.

[5] ნომარქოსები – მმართველები ნომებისა პროვინციებისა, რომლებადაც დაყოფილი იყო ეგვიპტე.

[6] ხეთელები – მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ სირიაში ძვ. წ. III-II ათასწლეულში მობინადრე ხალხი.

ებს ხეებზე ატარებდა.

მხოლოდ უმაღლესი ქურუმის ამენხოტეპის ასულის, დედოფალ ნიკოტრისას მიერ შობილი მეოთხე ძე ფარაონისა – რამზესი იყო აპისივით[1] ღონიერი, ლომივით შეუპოვარი და ქურუმებსავით ბრძენი.

ბავშვობიდანვე იგი თავის გარშემო იკრებდა სამხედრო პირებს და ჯერ კიდევ ჩვეულებრივ ბატონიშვილად ყოფნისას იტყოდა ხოლმე:

– ღმერთებს მეფის უმცროს ვაჟად კი არა, ფარაონად რომ გავეჩინე, მე, რამზეს დიდის[2] მსგავსად, დავიპყრობდი ეგვიპტესათვის ჯერ უცნობ ცხრა ხალხს, ავაგებდი ყველა თებეზე აღმატებული სიდიდის ტაძარს, ჩემთვის კი აღვმართავდი პირამიდს, რომელთან შედარებით ხეოპსის[3] აკლდამა ისევე გამოჩნდებოდა, როგორც ვარდის ბუჩქი მაღალი პალმის გვერდით.

მემკვიდრის ესოდენ სასურველი ტიტული რომ მიიღო, ყმაწვილმა ბატონიშვილმა მამას შესთხოვა ყოვლადმოწყალედ დაენიშნა იგი მენფატის კორპუსის სარდლად. ღმერთების სწორი რამზეს XII ეთათბირა ღმერთებს, და მემკვიდრეს მიუგო, რომ თანახმაა, თუკი იგი საბრძოლო პირობებში დიდი ძალების მეთაურობის ნიჭს გამოიჩენს.

მოწვეულ იქნა საბჭო; საბჭოს თავმჯდომარეობდა სამხედრო მინისტრი ხერიჰორი[4], რომელიც იმავ დროს ამონის უდიდესი ტაძრის უმაღლესი ქურუმი იყო თებეში.

საბჭომ გადაწყვიტა:

ტახტის მემკვიდრე მესორის თვის (ივლისის დამდეგი) შუა რიცხვებში შეაგროვებს ქალაქ მემფისსა და სებენიტის ყურესთან მდებარე ქალაქ ბუტოს შორის დაბანაკებულ ათ პოლკს. საბრძოლო მზად-

---

[1] აპისი – საღვთო ხარი პტას ტაძარში, მემფისში.

[2] რამზეს დიდი (ძვ. წ. 1204-1173) – ახალი სამეფოს ეპოქის ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი ფარაონი, რომელიც ცნობილია ხეთებთან ომებით და დიდი მშენებლობებით.

[3] ხეოპსი – (ძველეგვიპტ. ხუფუ) – IV დინასტიის ფარაონი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულში მეფობდა; მისი გიზეხში აგებული აკლდამა, რომელსაც გიგანტური პირამიდის მოყვანილობა ჰქონდა, 146 მეტრის სიმაღლეს აღწევდა.

[4] ხერიჰორი – (ძვ.წ. 1090) – უმაღლესი ქურუმი, რამზეს XII-ის დროს ეგვიპტის ფაქტიური მმართველი, შემდგომში ფარაონი.

ყოფნაში მოყვანილი და საალყო იარაღითა და აღალით აღჭურვილი ამ ათიათასიანი კორპუსით მემკვიდრე გაემართება აღმოსავლეთით, დიდი საქარავნო ტრაქტისაკენ რომელიც გოშენისა[1] და ეგვიპტის უდაბნოს საზღვარს გასდევს მემფისიდან ქეტემდე.

იმავე დროს გენერალი ნეიტიკერი, მთავარსარდალი იმ ჯარისა, რომელიც იცავდა ეგვიპტეს აზიელი ხალხების შემოსევისაგან, მლაშე ტბების მხრიდან დაიძვრის ტახტის მემკვიდრის შესახვედრად. ორივე ჯარი – აზიისა და დასავლეთისა – ერთიმეორეს შეხვდება ქალაქ პი-ბაილოსთან, უდაბნოში, რათა გოშენის მხარის ყანებში გასულ შრომისმოყვარე მხვნელ-მთესველთ ხელი არ შეუშალონ მუშაობაში.

ტახტის მემკვიდრე გამარჯვებულად იქნება აღიარებული, თუ ნეიტიკერს არ მისცემს უეცრივ თავს წადგომის საშუალებას, ესე იგი თუ ყველა პოლკის შეკრებას მოასწრებს და მოწინააღმდეგეს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში დახვდება.

ბატონიშვილ რამზესის ბანაკში იქნება თვით სამხედრო მინისტრი ხერიჰორი; მინისტრივე მოახსენებს მანევრების მსვლელობის ამბავს.

საზღვარი, რომელიც უდაბნოს გოშენის მხარისაგან ჰყოფდა, ორ საკომუნიკაციო ხაზს გასდევდა – ერთი იყო მემფისიდან ტბა ტიმსამდე[2] გაყვანილი სანაოსნო არხი, მეორე – დიდი საქარავნო შარაგზა. არხი რომ ჯერ ისევ გოშენის მიწაზე იყო, საქარავნო შარაგზა უდაბნოზე გადიოდა. ორივე ეს გზა უდაბნოს რკალად უვლიდა. შარაგზიდან არხი თითქმის მთელ მის გაყოლებაზე მოჩანდა.

ასეთი ხელოვნური საზღვრით იყო გაყოფილი ორი სრულიად განსხვავებული მხარე. გოშენის მხარე, ოდნავ ტალღისებრი ზედაპირის მიუხედავად ვაკის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უდაბნო კი კირნარ ბექობებისა და ქვიშნარი ველებისაგან შედგებოდა. გოშენის მხარე ჭადრაკის ვეება დაფას მიაგავდა; მისი მწვანე და ყვითელი მინდვრები ჯეჯილის ფერით გამოირჩეოდა და ურთიერთისაგან მიჯნებზე ამო-

---

[1] გოშენი – ნილოსის დელტის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მხარე.

[2] ტბა ტიმსა – გოშენის მხარის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგვიპტისა და სინას ნახევარკუნძულის საზღვარზეა. აქ გადიოდა თავდაცვითი ხაზი ციხესიმაგრეთა, რომლებიც ეგვიპტეს აზიელი ტომების შემოსევისაგან იცავდა.

სული პალმებით იყოფოდა. ხოლო უდაბნოს მოწითალო ქვიშაზე და მის თეთრ ზეგნებზე დაბალი მწვანე ბალახნარი თუ ხეებისა და ბუჩქების ჯგუფი გზააბნეულ მგზავრებს მოაგონებდნენ კაცს.

გოშენის ბარაქიან მხარეში ყოველი ბორცვიდან დაღმა ეშვებოდა მუქი ჭალები აკაციისა, სიკომორისა და თაფლინდისა, შორიდან ჩვენებურ ცაცხვს რომ მოაგონებდა ადამიანს. მათში მიმალულიყო დაბალსვეტებიანი ტალანით გარემოცული პატარა ვილები თუ გლეხების ყვითელი ფაცხები. აქა-იქ ჭალაკის გვერდით თეთრად მოჩანდა პატარა ქალაქის ბრტყელსახურავიანი სახლები, ანდა ხეებს ზემოთ მძიმედ, ტყუპ ფრიალო კლდესავით აღმართულიყო ტაძრების პირამიდული პილონები[1], რომლებიც უცნაური დაწერილობით იყვნენ აჭრელებული.

უდაბნოში ოდნავ ამწვანებული ბორცვების პირველი მწკრივის უკან ქვებით მოფენილი შიშველი კლდეები მოჩანდა.

გეგონებოდათ, ხვავიან ცხოვრებას მოყირჭებული დასავლეთი ნაწილი ამ მხარისა მეფური გულუხვობით აწოდებს არხის მეორე ნაპირს მწვანეულობასა და ყვავილებს, მაგრამ მუდამ მშიერი უდაბნო მათ ნთქავს და მომდევნო წლისათვის უკვე ფერფლად აქცევსო.

კლდეებსა და ქვიშაზე გამოძევებულ მეჩხერ მცენარეულობას ფეხი მოეკიდებინა დაბლობებში, სადაც შარაგზის ყრილში გაჭრილი თხრილების საშუალებით შეიძლებოდა არხიდან წყლის მიწოდება. აქა-იქ, შარაგზის შორიახლოს, მოტიტვლებულ გორაკებს შორის, ციურ ცვარს სვამდნენ მყუდრო ოაზისები, სადაც ხარობდა ქერი და პური, ყურძენი, პალმა და თაფლინდი.

ასეთ ადგილებში ადამიანებიც განცალკევებულ ოჯახებად ცხოვრობდნენ. შეიძლებოდა პი-ბაილოსის ბაზარში ერთმანეთს შეხვედროდნენ და არც კი სცოდნოდათ, რომ უდაბნოში ერთიმეორის გვერდით ცხოვრობდნენ.

16 მესორეს ჯარების თავის მოყრა თითქმის დამთავრდა. ტახტის მემკვიდრის ათი პოლკი, რომელთაც ნეიტიკერის აზიური პოლკები უნდა შეეცვალათ, აღალითა და მძიმე იარაღის ნაწილით, უკვე მოგ-

[1] პილონები – ქვის მაღალი საჭიშკრე ნაგებობანი, გარედან დახრილი კედლებით, რომელთაც ტაძრების მახლობლად აგებდნენ.

როვდა შარაგზაზე ქალაქ პი-ბაილოსის ზევით.

მათს მოძრაობას თვითონ მემკვიდრე ხელმძღვანელობდა. მან მოაწყო ცხენოსანი პატრულის ორი მწკრივი; წინა პატრულს მოწინა-აღმდეგის კვალის მიგნება ევალებოდა, უკან მყოფს კი თავისი ჯარე-ბი უნდა დაეცვა მოულოდნელი თავდასხმისაგან, რაც სავსებით შე-საძლებელი იყო ამ ბორცვიანსა და ხევებით დასერილ ადგილას. მან, რამზესმა, ერთი კვირის განმავლობაში თვითონ შემოიარა და დაათ-ვალიერა სხვადასხვა გზით მიმავალი პოლკები, რათა დარწმუნებუ-ლიყო, წესრიგშია თუ არა მეომრების იარაღი, აქვთ თუ არა თბილი ლაბადები ღამისათვის, საკმარისია თუ არა ორცხობილას, ხორცისა და ხმელი თევზის მარაგი. მან ბრძანა: ცოლები, შვილები და მონები იმ სამხედრო პირებისა, რომლებიც აღმოსავლეთ საზღვარზე იგზავ-ნებოდნენ, ხომალდებით გადაეყვანათ არხზე, რაც საგრძნობლად ამცირებდა აღალს და თვით ჯარის მოძრაობასაც აადვილებდა.

მოხუც სარდლებს აოცებდა მემკვიდრის ცოდნა, მისი გულმოდგი-ნება და წინდახედულობა, განსაკუთრებით კი – მისი ენერგია და ლაშ-ქრობის პირობებში უბრალო ქცევა. თავისი მრავალრიცხოვანი ამა-ლა, დიდმთავრული კარავი, ეტლები და ტახტრევანი მან მემფისში დატოვა, თვითონ კი, უბრალო ოფიცრის ტანსაცმელში გამოწყობი-ლი, ასირიელების ყაიდაზე ცხენით მიდი-მოდიოდა.

ამის წყალობით კორპუსის თავმოყრა ძალიან სწრაფად დამთავ-რდა და პოლკები დანიშნულ დროს დაბანაკდნენ პი-ბაილოსთან.

სხვაგვარ მდგომარეობაში იყო მემკვიდრის შტაბი, მისი თან-მხლები ბერძენთა პოლკი და რამდენიმე საალყო იარაღი.

შტაბს, რომელიც მემფისში შეიკრიბა, მეტად მოკლე მანძილი ედო წინ, ამიტომ იგი ყველაზე გვიან დაიძრა და თან ვეებერთელა აღალს მიათრევდა. თითქმის ყოველ ოფიცერს – ყველა ისინი კი წარ-ჩინებული გვარის ახალგაზრდები იყვნენ – თან ჰქონდა ტახტრევანი, რომელთაც ოთხი ზანგი მიეზიდებოდა, სამხედრო ორთვალა, ძვირ-ფასი კარავი, ტანსაცმლისა და სურსათის ყუთები და ღვინითა და ლუ-დით სავსე კოკები. გარდა ამისა, ოფიცრებს თან მისდევდა მომღე-რალ და მოცეკვავე ქალთა მრავალრიცხოვანი დასი, თანაც თითოე-ულ ამ ქალთაგანს სურდა წარჩინებულ მანდილოსანსავით ჰქონოდა

ტახტრევანი ან ეტლი, რომელშიაც შებმული იქნებოდა ერთი ან ორი უღელი ხარი.

როცა ხალხის ეს გროვა მემფისს მოსწყდა, შარაგზაზე მემკვიდრის არმიაზე უფრო მეტი ადგილი დაიკავა. ამასთან ისინი ისე ნელა მიიწევდნენ წინ, რომ არიერგარდში დატოვებული სამხედრო იარაღი მთელი დღე-ღამის დაგვიანებით დაიძრა. ამას ისიც დაერთო, რომ როცა მომღერალმა და მოცეკვავე ქალებმა უდაბნო დაინახეს, შეშინდნენ და ტირილი მორთეს, თუმცა ამ ადგილას უდაბნო ჯერ სრულიადაც არ იყო საზარელი. მათს დასამშვიდებლად იძულებული შეიქნენ მალე შეჩერებულიყვნენ ღამის გასათევად, გაეშალათ კარვები და გაემართათ წარმოდგენა, მერე კი ნადიმი.

ქალებს დიდად მოეწონათ ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ, უდაბური ბუნების ფონზე ღამეული ზეიმი და განაცხადეს, ამიერიდან მხოლოდ უდაბნოში გავმართავთ წარმოდგენაო.

როცა მემკვიდრემ გზაში შეიტყო, რა ხდებოდა მის შტაბში, გასცა ბრძანება დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ ქალაქში ქალები და დაეჩქარებინათ ჩამორჩენილი ნაწილების წინ წამოწევა.

შტაბს თან მიჰყვებოდა სამხედრო მინისტრი ხერიჰორი, მაგრამ ის აქ იმყოფებოდა მხოლოდ როგორც მეთვალყურე, თან არ მიჰყავდა მომღერალი ქალები, მაგრამ შტაბის ოფიცრებისათვის შენიშვნის მიცემასაც ერიდებოდა. ხერიჰორმა ბრძანა კოლონის ავანგარდში გაეტანათ მისი ტახტრევანი, და იმის მიხედვით, თუ როგორ მოძრაობდა კოლონა, ხან წინ მიდიოდა, ხან კიდევ ისვენებდა ვეებერთელა მარაოს ჩრდილში, რომელიც ადიუტანტს ეკავა მის თავზე.

ღირსპატივსაცემი ხერიჰორი ძალუმი აგებულების, ორმოც წელს გადასული მამაკაცი გულჩათხრობილი იყო და იშვიათად თუ დაილაპარაკებდა; ასევე იშვიათად თუ შეხედავდა ადამიანს თავისი ნახევრად მოჭუტული თვალებით.

როგორც ყველა ეგვიპტელი, ხერიჰორიც მკლავტიტველი, ფეხშიშველი და მკერდმოღეღილი დადიოდა, ფეხთ მარტო სანდალი ეცვა, თეძოებზე მოკლე ქვედატანი ჰქონდა შემოკრული და ზედ თეთრი ლურჯზოლიანი წინსაფარი ეფარა.

როგორც ქურუმი, იგი წვერ-ულვაშსა და თმას იპარსავდა და მარ-

ცხენა მხარეზე ავაზას ტყავი ჰქონდა გადაკიდებული.

როგორც სამხედრო პირი, თავზე იხურავდა გვარდიის პატარა მუზარადს, რომლის ქვეშიდან კისერსა და მხრებზე ეფინებოდა აგრეთვე თეთრი ლურჯზოლებიანი მსუბუქი მანდილი. ყელზე სამმაგი ოქროს ძეწკვი ეკიდა, ხოლო მკერდის მარცხენა მხარეს, თითქმის იღლიაში – ძვირფასად მოკაზმულ ქარქაშში ჩამჯდარი მოკლე მახვილი.

მის ტახტრევანს, რომელსაც ექვსი შავკანიანი მონა მიეზიდებოდა, მუდამ თან სდევდა სამი მახლობელი პირი: ერთს მარაო ეკავა, მეორეს – მინისტრის ჩუგლუგი, ხოლო მესამეს – პაპირუსებიანი კოლოფი. ეს მესამე პირი იყო მინისტრის მწერალი ქურუმი პენტუერი, ტანხმელი ასკეტი, რომელიც პაპანაქება სიცხეშიც კი არაფერს იხურავდა სამართებლით მოპარსულ თავზე. პენტუერი ხალხის წრიდან იყო გამოსული, მაგრამ თავისი იშვიათი ნიჭის წყალობით დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობა ეკავა.

თუმცა მინისტრი თავის მახლობელთან ერთად შტაბის კოლონის წინ იმყოფებოდა და მანევრების მსვლელობაში არ ერეოდა, არ შეიძლება ითქვას, თითქოს არ იცოდა, რა ხდებოდა მის ზურგს უკან. ყოველ საათში, ზოგჯერ ყოველ ნახევარ საათში, დიდებულის ტახტრევანს უახლოვდებოდა ხან დაბალი ხარისხის ქურუმი, უბრალო „მსახური ღვთისა“, ხან ჯარისკაცი – მოთარეშე, ხან მოვაჭრე თუ მონა, თითქოს შემთხვევით წინ უსწრებდნენ მინისტრის მდუმარე ამალას და გავლით წაილაპარაკებდნენ ორ-სამ სიტყვას, რომელთაც პენტუერი ხან იწერდა, ხან კიდევ ისე იხსომებდა, რადგანაც იშვიათი მეხსიერება ჰქონდა.

შტაბის წევრთა ჟრიამულში ამ წვრილმანებს ყურადღებას არავინ აქცევდა. ოფიცრები, დიდგვაროვანი ყმაწვილი კაცები, ფუსფუსით, ხმამაღალი ლაპარაკითა და სიმღერით იყვნენ გართულნი და ვერ ამჩნევდნენ, ვინ მიდიოდა მინისტრთან, მით უმეტეს, რომ შარაგზაზე შეუწყვეტლივ მიმოდიოდა აუარება ქვეითი.

15 მესორეს მემკვიდრის შტაბმა, სამხედრო მინისტრთან ერთად ღამე ცის ქვეშ გაატარა. ერთი მილის მანძილიღა იყო იმ პოლკებამდე, რომლებიც ქალაქ პი-ბაილოსის იქით, შარაგზის გარდიგარდმო, უკვე საბრძოლო წესით ეწყობოდნენ.

იქნებოდა დილის პირველი საათი, რაც ჩვენს ექვს საათს შეესაბამება, რომ უდაბნოს ბორცვები იისფრად შეიღება. ბორცვებს უკან მზემ ამოყო თავი. გოშენის მხარეს ვარდისფერი მუქი მოეფინა და პატარა ქალაქები, ტაძრები, წარჩინებულ პირთა სასახლეები და გლეხების ფაცხები ერთბაშად ნაირფერად ავარვარდა სიმწვანეში. მალე მთელი დასავლეთი ოქროსფერ ყირმიზში ჩაიძირა. გეგონებოდათ, გოშენის აყვავებული მხარე ოქროში გახსნილა, ხოლო ურიცხვ არხში წყლის ნაცვლად გამდნარი ვერცხლი მოედინებაო. ამასობაში უდაბნოს იისფერი ბორცვები კიდევ უფრო გამუქდნენ; ბორცვების გრძელი ჩრდილი გაწვა ქვიშაზე, სადაც შავ წინწკლებად მოჩანდა მეჩხერი მცენარეულობა.

შარაგზის გაყოლებით მდგომი მზირები უკვე მკაფიოდ ხედავდნენ არხს გადაღმა პალმებშემორგულ ყანებს. ზოგში მწვანედ ბიბინებდა სელი, პური, სამყურა, ზოგშიც ოქროსფრად მწიფდა მეორე ნათესის ქერი.

მწვანეში ჩაფლული ქოხებიდან გამოვიდნენ სამუშაოდ მიმავალი, თითქმის ტანშიშველი, მუქი მიხაკისფერი მიწის მუშები. მთელ მათს მორთულობას თეძოებზე შემოკრული მოკლე ქვედატანი და თავსაბური შეადგენდა.

ზოგი არხებისაკენ მიემართებოდა, რომ შლამი ამოეწმინდა ან წყალი ამოეხაპა და ყანებში გადაეღვარა შადუფების დახმარებით, რომლებიც მარტივ მანქანებს წარმოადგენდნენ და ჩვენებური ჭის ოწინარს მოგვაგონებდნენ. ზოგი ხეებს შორის გაფანტულიყო და მწიფე ლეღვსა და ყურძენს კრეფდა. იქვე დაფუთფუთებდნენ ტიტლიკანა ბავშვები და ქალები, რომელთაც თეთრი, ყვითელი ან წითელი უსახელო პერანგები ეცვათ.

ყველგან დიდი გაცხოველება სუფევდა. ჰაერში უდაბნოს მტაცებელი ფრინველები გოშენის მხარის მტრედებსა და გვრიტებზე ნადირობდნენ. არხის გაყოლებით ირწეოდნენ ჭრიალა ოწინარები, რომელთაც ამოჰქონდათ შლამიანი წყლით სავსე კასრები, ხოლო ხილის მკრეფავები ჭრელი პეპლებივით ხან გამოჩნდებოდნენ, ხან მიიმალებოდნენ ხეების სიმწვანეში.

უდაბნოში, შარაგზაზე დაიძრნენ პოლკები და აღალი. ჩაიქროლეს

შუბით შეიარაღებულმა მხედრებმა. მათ მიჰყვნენ ქვედატანსა და თავსაბურავში გამოწყობილი მშვილდოსნები, რომელთაც ხელთ ეპყრათ თავიანთი იარაღი, ხოლო ზურგზე ისართა კაპარჭები, მარჯვენა გვერდზე კი ფართო მახვილები ეკიდათ. მშვილდოსნებს მიჰყვებოდნენ მეშურდულეები ქვების ტომრებითა და მოკლე ხმლებით.

მათგან ასი ნაბიჯის მოშორებით მიდიოდა ქვეითთა ორი პატარა რაზმი – ერთი შეიარაღებული იყო შუბებით, მეორე – ჩუგლუგებით. მეომრებს ხელით მიჰქონდათ სწორკუთხოვანი ფარები; გულმკერდი, ჯაჭვის პერანგის მსგავსად, სქელი ქსოვილის საგულით დაეფარათ, ხოლო მზისგან იცავდა ჩაჩი, რომელსაც თხელი ნაჭრებისაგან გაკეთებული კეფისზედა ჰქონდა. ეს ლურჯ-თეთრ თუ ყვითელ-შავზოლიანი ჩაჩი და საგულე მეომრებს უშველებელ კრაზანებს ამსგავსებდა.

მეწინავე რაზმის უკან მიემართებოდა მინისტრის ტახტრევანი, რომელსაც გარს ჩუგლუგოსნები ერტყნენ, მათ მისდევდნენ სპილენძისმუზარადიანი და ჯაჭვისპერანგიანი ბერძენთა ასეულები, რომელთა მწყობრი ნაბიჯი მძიმე ჩაქუჩის დარტყმას მოაგონებდა ადამიანს. უკნიდან ურმების ჭრიალი მოისმოდა, ხოლო გზის გაყოლებაზე ორ ვირს შუა ჩამოკიდებული ტახტრევანით ძლივს მოიკვლევდა გზას წვეროსანი ფინიკიელი ვაჭარი. ჰაერში ოქროსფერი მტვრის კორიანტელი იდგა და პაპანება გიზგიზებდა.

ანაზდად მეწინავე რაზმის მხედარი მოიჭრა და მინისტრს აცნობა, ტახტის მემკვიდრე გვიახლოვდებაო. მინისტრი ტახტრევანიდან ჩამოვიდა და იმავ წამს შარაგზაზე ცხენოსანთა ჯგუფი გამოჩნდა. ისინი ჩამოქვეითდნენ, ერთი მხედართაგან და მინისტრი ერთიმეორის შესახვედრად გაემართნენ, თან ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდნენ და ერთმანეთს ესალმებოდნენ.

– სალამი შენდა, ფარაონის ძევ, მარად ცოცხლობდე! – პირველი მიესალმა მინისტრი.

– სალამი შენდა, მრავალ წელს ჯანმრთელად ბრძანდებოდე, წმიდაო მამაო! – მიუგო ტახტის მემკვიდრემ და დაუმატა: – თქვენ ხეიბრებივით მოღონღილობთ, და ორი საათიც არ გავა, რომ ნეიტიკერი თავს დაგვესხმება.

– სავსებით მართალი ხარ. შენი შტაბი მეტად ნელა იძვრის.

– ამასთან, ენანამ მითხრა, – თავით ანიშნა რამზესმა მის უკან მდგომ ოფიცერზე, რომელსაც სულ ერთთავად ავგაროზები ეკიდა, – რომ თქვენ ხეობებში პატრულს არ გზავნიდით. ეს რომ ნამდვილი ომი ყოფილიყო, მტერს შეეძლო ამ მხრიდან თავს დაგსხმოდათ.

– მე მხოლოდ მსაჯული ვარ და არა სარდალი, – ცივად მიუგო მინისტრმა.

– პატროკლე რას აკეთებს?

– პატროკლე ბერძენთა პოლკთან ერთად სამხედრო იარაღს ბადრაგობს.

– ჩემი ნთესავი და ადიუტანტი თუტმოსი რაღას შვრება?

– ვგონებ, ჯერ კიდევ სძინავს.

რამზესმა წყენით დააბაკუნა ფეხი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ის იყო ტანადი, თითქმის ქალური სახის ჭაბუკი. მზე მოჰკიდებოდა და უფრო დამშვენებულიყო. ახლა რომ განრისხდა, კიდევ უკეთესი შეიქნა. ტანთ ეცვა ლურჯ-თეთრ ზოლებიანი ვიწრო, შემოტმასნილი ხიფთანი, მუზარადის ქვეშიდან გადმოფენილი ჰქონდა ასეთივე ფერის მანდილი, ყელზე ოქროს ძეწკვი ეკიდა, ხოლო მარცხენა მხარის ქვეშ – ძვირფასი მახვილი.

– მე ვხედავ, ენანა, – თქვა ბატონიშვილმა, – რომ აქ მხოლოდ შენ იცავ ჩემს სახელს.

ავგაროზებიანმა ოფიცერმა მას თაყვანი სცა.

– თუტმოსი ზარმაცია! – განაგრძობდა მემკვიდრე. – დაბრუნდი, ენანა, შენს ადგილას, რომ მეწინავე რაზმს მაინც ეყოლოს მეთაური,

მერე გადახედა თითქოს მიწიდან ამომძვრალ ამალას, რომელიც მას გარსშემოერტყა, და დაუმატა:

– მომიტანეთ ტახტრევანი. ქვისმთლელივით დავიქანცე.

– განა ღმერთებს შეუძლიათ დაიქანცონ? – მის ზურგს უკან ჩაიჩურჩულა ენანამ.

– წადი შენს ადგილას! – უბრძანა რამზესმა.

– მთვარის სადარო, ხომ არ მიბრძანებ, ახლავე დავათვალიერო ხეობები? – ჩუმად შეეკითხა ოფიცერი. – მიბრძანე, რადგან სადაც უნდა ვიყო, გული ჩემი თან გდევს, რათა გამოიცნოს შენი ნება-სურვილი

და აღასრულოს იგი.

– ვიცი, რომ ერთგული ხარ, – უპასუხა რამზესმა. – მაშ წადი და ყველაფერს ადევნე თვალყური.

– წმიდაო მამაო! – მიმართა ენანამ მინისტრს, – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მზად ვარ გემსახუროთ.

ვერც კი მოასწრო ენანამ ცხენის გაჭენება, რომ მარშით მომავალი კოლონის ბოლოში კიდევ უფრო მეტი ჩოჩქოლი შეიქნა: ტახტის მემკვიდრის ტახტრევანს ეძებდნენ, მაგრამ არსად ჩანდა; მის ნაცვლად გამოჩნდა უცნაური გარეგნობის ჭაბუკი, რომელმაც გაარღვია ბერძენი ჯარისკაცები და წინ წამოდგა, მას მას ეცვა მარმაშის პერანგი და მდიდრულად ამოქარგული წინსაფარი, მხარიღლივ ოქროს ყაწიმი ჰქონდა გადაკიდებული. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი მრავალი ნაწნავისაგან შეკრული ვეებერთელა პარიკი და კატის კუდის მინაგვარი ყალბი წვერი.

ეს იყო თუტმოსი, მემფისის უპირველესი პრანჭია, რომელიც ლაშქრობაშიც კი არ ივიწყებდა მორთვა-მოკაზმვას და ნელსურნელებით ტანის დაზელას.

– გამარჯობა, რამზეს! – წამოიძახა ამ კოპწია ყმაწვილმა, რომელიც რიხიანად მოარღვევდა ოფიცრებს. – წარმოიდგინე, შენი ტახტრევანი სადღაც გადაიკარგა. ისევ ჩემსაში უნდა ჩაჯდე, მართალია, ის ასეთი პატივის ღირსი არ არის, მაგრამ არც ისე ცუდია.

– მე შენზე გულმოსული ვარ, – მიუგო ბატონიშვილმა.– შენ გძინავს, იმის მაგიერ, რომ ჯარზე ზრუნავდე.

კოპწიამ გაკვირვებით შეხედა.

– მე მძინავს?.. – წამოიძახა მან. – ენა გაუხმეს ასეთი სიცრუის მთქმელს. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, და აგერ მთელი საათია ვეწყობი და შენთვის აბაზანასა და სურნელებათ ვამზადებ...

– ამასობაში კი ჯარისკაცები მარტონი მოდიან.

– როგორ? ნუთუ მე უნდა ვუფროსობდე კოლონას, რომელშიც იმყოფებიან სამხედრო მინისტრი და ისეთი სარდალი, როგორიც პატროკლეა?..

ტახტის მემკვიდრემ არა უპასუხა რა, თუტმოსი კი მიუახლოვდა და ჩურჩულით უთხრა:

– რას გავხარ, ფარაონის ძევ? უპარიკო, თმა და ტანსაცმელი გამ-ტვერიანებული გაქვს, კანი გაშავებული და მთლად დახეთქილი, რო-გორც მიწა ზაფხულში. დედოფალი-დედა გამაგდებდა რომ იცოდეს, რა შესახედავი ხარ.

– დავიღალე და ეს არის.

– მაშ ჩაჯექი ტახტრევანში, იქ გელის ცოცხალი ვარდების გვირ-გვინები, მოხრაკული ნანადირევი და კვიპროსის ღვინით სავსე დოქი. ამას გარდა, – დაუმატა მან უფრო ხმადაბლა, – აღალში დავმალე სე-ნურა...

– აქ არის?..

ბატონიშვილის ელვარე თვალებს ნისლი გადაეკრა.

– ჯარმა გაიაროს, – განაგრძობდა თუტმოსი, – ჩვენ კი მას აქ მოვუ-ცადოთ.

რამზესი თითქოს გამოფხიზლდა.

– მეხსენ, მაცდურო!.. ორი საათის შემდგომ კი ბრძოლა მოგველის.

– აბა, ეს რა ბრძოლაა!

– ყოველ შემთხვევაში, ჩემი სარდლობის საკითხი წყდება.

– არაფერია! – გაიღიმა კოპწიამ. – მზად ვარ დავიფიცო, რომ სამ-ხედრო მინისტრმა გუშინვე გაუგზავნა მეფეს პატაკი და შესთავაზა მენფატის კორპუსის სარდლობა მოგანიჭოს.

– სულ ერთია, დღეს ჯარის გარდა სხვა არაფერზე ფიქრი არ შე-მიძლია.

– შენ ომზე ხარ შერყეული! ომში კი ადამიანი თვეობით ვერ იბანს ტანს, რათა ერთ მშვენიერ დღეს დაიღუპოს. ვაჰ, ვაჰ! გენანა მაინც სე-ნურა, ერთხელ მაინც შეგეხედა.

– არა, – მტკიცედ განუცხადა რამზესმა.

იმ დროს, როცა ბერძენთა მწკრივის უკანიდან რვა კაცმა მემკვიდ-რისათვის გამზადებული თუტმოსის ვეებერთელა ტახტრევანი გა-მოიტანა, მეწინავე რაზმის მხრიდან ცხენი მოაჭენა მხედარმა. იგი ჩა-მოხდა და ისეთი სისწრაფით გამოიქცა, რომ მკერდზე აუწკრიალდა ღმერთების ხატები და ფირფიტები, რომლებზეც მათი სახელები ეწერა. ეს იყო აქოშინებული ენანა.

ყველა მისკენ მიტრიალდა, რაც, ეტყობოდა, ეამა.

– მეფის ძევ, ღვთაებრივო ბაგევ! – წამოიძახა ენანამ და რამზესის წინაშე მუხლი მოიდრიკა. – როდესაც შენი მაღალი ბრძანების თანახმად რაზმს წინ ვუძღოდი და ყველაფერს გულდასმით ვაკვირდებოდი, გზაზე შევამჩნიე ორი საუცხოო სკარაბეი. საღვთო ხოჭოები ზედ გზაზე მიაგორებდნენ თიხის ორ ბურთულას და ქვიშიანისაკენ მიემართებოდნენ.

– მერე, რაო? – შეაჩერა იგი მემკვიდრემ.

– რა თქმა უნდა, – განაგრძო ენანამ, თან მინისტრისკენ გაიხედა, – მე და ჩემმა მხლებლებმა საღვთო პატივი მივაგეთ მზის ოქროვან მსგავსებათ და ლაშქრობა შევწყვიტეთ. ეს იმდენად მნიშვნელოვანი წინამოსწავებაა, რომ განსაკუთრებული ბრძანების გარეშე ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაბედავდა გზის განგრძობას.

– მე ვხედავ, რომ შენ მართლაც ღვთისმოშიში ეგვიპტელი ყოფილხარ, თუმცა ხეთური იერი გაქვს, – უპასუხა ხერიჰორმა, მერე მიუბრუნდა შორიახლოს მდგომ დიდებულებს და დაუმატა: – შარაგზით აღარ წავალთ, რათა საღვთო ხოჭოები არ გავსრისოთ. პენტუერ, შეიძლება თუ არა შარაგზას გვერდი ავუხვიოთ იმ ხეობით, რომელიც მარჯვნივ მდებარეობს?

– შეიძლება, – უპასუხა მინისტრის მწერალმა. – ხეობა მთელ მილზეა გაჭიმული და მერე თითქმის პი-ბაილოსის პირდაპირ კვლავ შარაგზაზე გამოდის.

– რა დროს დავკარგავთ?! – აღშფოთებით წამოიძახა მემკვიდრემ.

– მზად ვარ დავიფიცო, რომ ეს სკარაბეები კი არა, ჩემი ფინიკიელი მევახშეების სულებია, – შენიშნა თუტმოსმა. – ისინი თავიანთ წინაპრებთან გაემგზავრნენ და, რაკი აღარ ძალუძთ მომთხოვონ ვალები, ამიტომაც სასჯელად მაიძულებენ უდაბნოში ვიხეტიალო.

მემკვიდრის ამალა მოუთმენლად ელოდა გადაწყვეტილებას.

რამზესი ხერიჰორს მიუბრუნდა:

– შენ რას იტყვი, წმიდაო მამაო?

– გადახედე ოფიცრებს, – უპასუხა ქურუმმა, – და მიხვდები, რომ ხეობით უნდა წავიდეთ.

ამ დროს წინ წამოდგა ბერძნების წინამძღოლი, გენერალი პატროკლე.

– თუ მეფის ძე ნებას დაგვრთავს, – უთხრა მან მემკვიდრეს, – ჩემი პოლკი კვლავაც შარაგზით წავა, ჩვენს მეომრებს სკარაბეებისა არ ეშინიათ.

– თქვენს მეომრებს სამეფო სამარხებისაც კი არ ეშინიათ, – უპასუხა მინისტრმა. – მაგრამ, როგორც ჩანს, იქ არც ისეთი უშიშროებაა, რადგან იქიდან არც ერთი მეომარი აღარ დაბრუნებულა.

ბერძენმა დარცხვენით უკან დაიხია და შეერია ამალას.

– დამეთანხმე, წმიდაო მამაო, – ჩურჩულით უთხრა მას მემკვიდრემ, რომელიც თავის აღშფოთებას ძლივს ერეოდა, – რომ ასეთი დაბრკოლება გზაში ვირსაც კი არ შეაჩერებდა.

– მაგრამ ვირი არასოდეს გახდება ფარაონი, – გულგრილი სიმშვიდით უპასუხა მინისტრმა.

– თუ ასეა, მინისტრო, მაშინ შენ თვითონ წაიყვან ხეობით შენს კოლონას, – წამოიძახა რამზესმა, – ქურუმთა სტრატეგიაში მე უმეცარი ვარ. ამას გარდა, უნდა დავისვენო. წავიდეთ! – მიმართა მან თუტმოსს და ბორცვებისაკენ გაუხვია.

თავი მეორე

ღირსპატივსაცემმა ხერიჰორმა მაშინვე დაავალა თავის ადიუტანტს, რომელსაც ჩუგლუგი მოჰქონდა, მიეღო ენანას მაგიერ მეწინავე რაზმის მეთაურობა, მერე ბრძანა, რომ ქვისმტყორცნელი მძიმე იარაღები შარაგზიდან ხეობის მიმართულებით გადმოეტანათ და გასაჭირ ადგილებში მათს წაღებაში ბერძენი ჯარისკაცები მიეხმარებინათ. ამალის ოფიცრების ეტლები და ტახტრევნები სულ ბოლოს უნდა დაძრულიყვნენ.

ვიდრე ხერიჰორი ბრძანებებს იძლეოდა, ადიუტანტი, რომელსაც მარაო ეჭირა, მივიდა მწერალ პენტუერთან და ჩასჩურჩულა:

– ისე გამოდის, რომ ამიერიდან ამ შარაგზით სიარული აღარ შეიძლება?..

– რატომაც არა! – უპასუხა ახალგაზრდა ქურუმმა. – მაგრამ ახლა, როდესაც ორმა საღვთო ხოჭომ გზა გადაგვიჭრა, ამ გზით აღარ უნდა წავიდეთ. შეიძლება უბედურება შეგვემთქვეს.

– უბედურება უკვე შეგვემთხვა! ხომ დაინახე, რომ ბატონიშვილს მინისტრზე გული მოუვიდა? ჩვენი ბატონი კი იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელიც რასმე ივიწყებს.

– ბატონიშვილი კი არ გაჯავრდა ჩვენს ბატონზე, არამედ ჩვენი ბატონი ბატონიშვილზე, ეს კიდეც აგრძნობინა, – უპასუხა პენტუერმა. – და კარგადაც მოიქცა, თორემ ახალგაზრდა მემკვიდრეს უკვე ჰგონია, მეორე მინა[1] ვიქნებიო.

– შეიძლება, თვით რამზეს დიდიო?.. – ჩაურთო ადიუტანტმა.

– რამზეს დიდი ღმერთების მორჩილი იყო და ამისათვის მას ყველა ტაძარში მიძღვნილი აქვს სახოტბო ზედწერები. მინამ კი, ეგვიპტის პირველმა მეფემ, დაამხო ძველი კანონი და მხოლოდ ქურუმთა მამობრივ უწყინარობას უნდა უმადლოდეს, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მიეცა... თუმცა მე ერთ სპილენძის დებენსაც[2] არ მივცემდი იმაში, რომ მინას მუმია კიდევ არსებობს.

– ძვირფასო პენტუერ, – უთხრა ადიუტანტმა, – შენ ჭკვიანი კაცი ხარ და გესმის, რომ ჩვენთვის სულ ერთია, ათი ბატონი გვყავს თუ თერთმეტი...

– მაგრამ ხალხისათვის არაა სულ ერთი, ყოველწლიურად ერთი მთა ოქრო უნდა ამოიღოს – ქურუმებისათვის, თუ ორი მთა – ქურუმებისა და ფარაონისათვის, – თვალები დაკვესა პენტუერმა.

– შენ საშიში აზრები გიტრიალებს თავში, – ჩურჩულით ჩაულაპარაკა ადიუტანტმა.

– შენ თვითონ რამდენჯერ აღშფოთებულხარ. ფარაონისა და ნომარქოსების სასახლეთა ფუფუნებით?

– ჩუმად... ჩუმად... ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ ამაზე, ოღონდ ახლა არა.

თუმცა გზა სულ ქვიშნარი იყო, მაგრამ მძიმე საალყო იარაღები, რომლებშიც თითო უღელი ხარი კიდევ შეაბეს, სწრაფად მიგორავდა უდაბურ ხეობაში. მათს გვერდით მიაბიჯებდა ენანა; იგი შეფიქრიანებული იყო: რატომ გადამაყენა მინისტრმა მეწინავე რაზმის მეთაუ-

---

[1] მინა – პირველი დინასტიის პირველი ფარაონი, რომელმაც ზემო და ქვემო ეგვიპტე გააერთიანა და ეგვიპტის ერთიანი სახელმწიფო შექმნა.

[2] დებენი – სპილენძის მონეტა, წონით 91 გრამი.

რობიდან, ნეტავ ხომ არ სურს რაიმე უფრო მაღალ თანამდებობაზე გამაწესოსო.

და ამ მხიარულ მოლოდინში, ან იქნებ იმიტომ, რომ ჩაეხშო შეშფოთება, მან ხელში აიღო ჭოგრი და სადაც კი ღრმა ქვიშას წააწყდებოდა, შეუყენებდა ბალისტას[1] ანდა შეძახილით აშურებდა ბერძნებს, თუმცა უნდა ითქვას, ბერძნები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

უკვე ნახევარი საათი იქნებოდა, რაც კოლონა ამ კლაკნილ, გახრეკილ და ფრიალოკლდიან ხეობაში მიდიოდა. უეცრივ მისი მეწინავე შეჩერდა. ამ ადგილას მას ჰკვეთდა მეორე ხეობა, რომლის ძირში საკმაოდ ფართო არხი გადიოდა.

მალემსრბოლი, რომელიც მინისტრთან აფრინეს ამ მოულოდნელი დაბრკოლების შესატყობინებლად, დაბრუნდა ბრძანებით, დაუყოვნებლივ ამოავსეთ არხიო.

ბერძენ ჯარისკაცთა ასეული წერაქვებითა და ნიჩბებით "შეუდგა მუშაობას. რიგი ქვის ლოდებს აპობდა, რიგი კიდევ ამ ლოდებს თხრილში ყრიდა და ზევიდან ქვიშას აყრიდა.

ამ დროს ხეობის სიღრმიდან ვიღაც კაცი გამოვიდა, ხელში თოხი ეკავა; თოხი ყარყატის ყელსა ჰგავდა, პირიც ნისკარტისებრი ჰქონდა. ეს იყო ეგვიპტელი გლეხი, მთლად შიშველი მოხუცი. ერთხანს იგი გაოგნებული უცქეროდა ჯარისკაცების მუშაობას და უეცრივ ყვირილით გაქანდა მათკენ:

– რას სჩადიხართ, წარმართებო? ეს ხომ არხია!..

– შენ როგორღა ბედავ მისი უწმინდესობის მეომრების შეურაცხყოფას? – შეეკითხა ამის შემსწრე ენანა.

– ვხედავ, ეგვიპტელი უნდა იყო და ალბათ უფროსთაგანი, – შეესიტყვა გლეხი, – ჰოდა, აი, რას გეტყვი: ეს არხი ძლიერ ბატონს ეკუთვნის. ის მოურავია მწერლისა, რომელიც ემსახურება იმ ადამიანს, მემფისის ნომარქოსის თავზე მარაოს რომ ატარებს. ფრთხილად იყავით, უბედურება არ დაგატყდეთ თავს.

– განაგრძეთ თქვენი საქმე, – უბრძანა ენანამ ბერძენ ჯარისკაცებს, რომლებიც ერთგვარი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ გლეხს.

---

[1] ბალისტა – საომარი იარაღი, რომლითაც ქვებსა და მორებს ტყორცნიდნენ. ბერძნებმა მისი გამოყენება დაიწყეს შედარებით უფრო გვიან (ძვ. წ. IV ს.).

მისი ენა მათ არ გაეგებოდათ, მაგრამ კილო აკვირვებდათ.

– ისინი განაგრძობენ თხრილის ამოვსებას!.. – წამოიძახა კიდევ უფრო აღშფოთებულმა გლეხმა. – ხეირი არ დაგეყრებათ, ძაღლებო! – დაიღრიალა მან და თოხით მივარდა ერთ მეომარს.

ბერძენმა გამოსტაცა თოხი და ისე ჩაარტყა კბილებში, რომ გლეხს პირიდან სისხლი წასკდა. მერე კვლავ შეუდგა ქვიშის გადაყრას.

დარეტიანებული გლეხი შეევედრა:

– კეთილო ბატონო! ამ არხს ათი წელი მე თვითონ, საკუთარი ხელით ვთხრიდი, ყოველ ღამეს და ყოველ უქმე დღეს! ჩემმა ბატონმა აღმითქვა, თუ ამ ხევში წყალს გაიყვან, მიწის ნაკვეთს გამოგიყოფ არხთან, მოსავლის მეხუთედს მოგცემ და თან თავისუფლებას გაჩუქებო... გესმით?.. თავისუფლებას მე და ჩემს სამ შვილს!.. ჰოი, ღმერთებო...

მან ხელები აღაპყრო და კვლავ მიმართა ენანას:

– მაგათ ჩემი არა გაეგებათ რა, მაგ ზღვისიქითურ დიდწვერათ, ძაღლის ტომს, ფინიკიელებისა და ებრაელების ძმებს! მაგრამ შენ მომისმინე, ბატონო... ათი წელი, – იმ დროს, როდ დესაც სხვები ზოგი ბაზრობაზე მიდიოდა, ზოგი საცეკვაოდ, ზოგი საღვთო პროცესიებში მონაწილეობდა, – მე აქეთ მოვეშურებოდი, ამ გამოყრუებულ ხეობაში. მივატოვე დედაჩემის საფლავი, და სულ ვთხრიდი და ვთხრიდი... დავივიწყე მიცვალებულნი, ოღონდ კი ჩემი შვილებისა და ჩემთვის, თუნდაც სიკვდილის წინ ერთი დღით თავისუფლება და მიწა მომეპოვებინა... ჰოი, ღმერთებო, თქვენ იყავით მოწმენი რამდენჯერ დამღამებია აქ! რამდენჯერ მომისმენია აქ აფთარის გაბმული ღმუილი, დამინახავს მგლის მწვანე თვალები, მაგრამ მე მათ არ გავქცევივარ: სად უნდა გავქცეულიყავი მე უბედური, როდესაც ყოველ ბილიკზე მელოდა ათასი საფრთხე, არხთან კი მიჯაჭვული ვიყავ თავისუფლების ოცნებით... ერთხელ ამ კლდის უკანიდან გამოვარდა ყველა ნადირის ფარაონი – ლომი. თოხი. ხელიდან გამივარდა. დავუჩოქე და შევევედრე: – „ბატონო! ნუთუ არ ითაკილებ ჩემს შეჭმას? მე მხოლოდ მონა ვარ!“ მხეცმა ლომმაც კი შემიბრალა. მგლები გვერდს მიქცევდნენ. ღამურებიც კი ზოგავდნენ ჩემს საცოდავ თავს. შენ კი, ეგვიპტელო...

გლეხი გაჩუმდა, მან დაინახა ხერიჰორის მოახლოებული ტახტრე-

ვანი და მისი ამალა. მარაო და მხარიღლივ გადაკიდებული ავაზის ტყავი რომ შეამჩნია, მიხვდა, ეს წარჩინებული. პირი და თან, ეტყობა, ქურუმი უნდა იყოსო. მიირბინა, მუხლი მოიყარა და მიწას დააკვდა.

– რა გინდა, მოხუცო? – შეეკითხა დიდებული.

– მზის სინათლევ, მომისმინე! – შეჰღაღადა გლეხმა. – დე ნუ იქნება შენს დარბაზში კვნესა და ნუ შეგემთხვევა უბედურება, დე ნუ განიცდი მარცხს შენს საქმეებში და ნუ წარგიტაცებს მდინარება, როდესაც ნილოსში გაცურვა მოგიწდება...

– გეკითხები, რა გინდა-მეთქი? – გაუმეორა მინისტრმა.

– კეთილო ბატონო! – განაგრძობდა გლეხი. – უფროსო, რომელმაც არ იცი ყოყოჩობა, რომელიც სძლევ სიცრუეს და ჰქმნი სამართალს... ღატაკის მამავ, ქვრივის მეუღლევ, ობლის თავშესაფარო, ნება მიბოძე შენი სახელი ვახსენო, როგორც კანონი ქვეყნისა. მოიღე წყალობა და ისმინე სიტყვანი ბაგეთა ჩემთა... მომისმინე და დამიდგინე სამართალი, კეთილშობილთაგან უკეთილშობილესო[1]...

– ის ითხოვს, ეს თხრილი არ ამოვავსოთ, – განუმარტა მინისტრს ენანამ.

მინისტრმა მხრები აიჩეჩა და გასწია არხისკენ, რომელზეც ბოგირები გადვეს. მაშინ სასოწარკვეთილი გლეხი ფეხებზე მოეხვია.

– მომაშორეთ!.. – დაიყვირა მინისტრმა და ისე გახტა განზე, თითქოს გველმა უკბინაო.

მწერალმა პენტუერმა პირი მიიბრუნა; მის გამხდარ სახეს ნაცრისფერი დაედო. ენანამ კი გლეხს ქეჩოში წაავლო ხელი, მაგრამ ვერ მოაშორა მინისტრის ფენებს და ჯარისკაცებს მოუხმო. ერთი წუთის შემდეგ მინისტრი, რომელმაც მოიშორა აბეზარი მთხოვნელი, თხრილის გადაღმა გადავიდა, ხოლო ჯარისკაცებმა გაათრიეს გლეხი კოლონის ბოლოში და მაგრად წაუთაქეს, მუდამ წკეპლებით შეიარაღებულმა უნტეროფიცრებმა კი გლეხი მწარედ სცემეს და ხეობის შესავალში მიაგდეს.

ნაცემი, გასისხლიანებული, უფრო კი შეშინებული ღატაკი დიდხანს იჯდა ქვიშაზე, მერე თვალები მოიფშვნიტა, უცებ წამოხტა და ღრიალით გაიქცა შარაგზისაკენ.

---

[1] გლეხის გოდება ნამდვილი წყაროებიდანაა ნასესხები (ავტ. შენიშვნა).

– გასკდი, დედამიწავ, და თან ჩამიტანე! კრულ იყოს ის დღე, როცა მე სინათლე და ღამე ვიხილე, როცა თქვეს: „ადამიანი დაიბადაო“. სამართლიანობის წამოსასხამში ნაკუწიც კი არ მოიპოვება მონებისათვის. ღმერთებიც კი ზედ არ შეხედავენ ისეთ ქმნილებას, რომელსაც აქვს მხოლოდ ხელები, რომ იშრომოს, თვალები, რომ იტიროს და ზურგი, რომ უბაგუნონ. ჰოი, სიკვდილო! მტვრად აქციე ჩემი სხეული, რათა იქაც, ოზირისის მინდვრებში[1], კვლავ მონად არ დავიბადო...

თავი მესამე

აღშფოთებული ბატონიშვილი რამზესი ხრამზე ადიოდა, უკან თუტმოსი მისდევდა. საბრალო კოპწიას პარიკი გვერდზე მოქცეოდა, ყალბი წვერი ჩამოვარდნოდა და ხელით მიჰქონდა. იგი მოიქანცა და, სახეზე ფერუმარილი რომ არ ჰქონოდა წასმული, ფერმკრთალი გამოჩნდებოდა.

ბოლოს მემკვიდრე მთის წვერზე შეჩერდა. ხეობიდან მოისმოდა ჯარისკაცთა ხმის გუგუნი და მგორავი ბალისტების ხრიგინი. მათ წინ გადაშლილიყო გოშენის მხარე, რომელიც ჯერ კიდევ მზის სხივებით იყო მოფენილი. გეგონებოდათ, ეს მიწა კი არა, ოქროსებრი ღრუბელია, რომელზეც ოცნებას ზურმუხტით, ვერცხლით, ლალით, მარგალიტითა და ბეჟმენდით ამოუქარგავს პეიზაჟიო.

ტახტის მემკვიდრემ ხელი წინ გაიშვირა.

– შეხედე, – მიმართა მან თუტმოსს, – იქ ჩემი ქვეყანაა, აქ კი ჩემი ჯარი... და აი იქ, ყველაზე მაღალი შენობები რომ მოჩანს, ქურუმთა სასახლეებია, აქ კი ჩემს ჯარებს ქურუმი მეთაურობს!.. განა შეიძლება ამის ატანა?

– ასე იყო მუდამ, – შეესიტყვა თუტმოსი, თან შიშით მიმოიხედა.

– სიცრუეა! მე ვიცი ამ მხარის ისტორია, რომელიც თქვენთვის დაფარულია. ქვეყნის სარდლები და უმაღლესი მმართველები მუდამ

[1] ოზირისი – ძველეგვიპტური ღმერთი ნაყოფიერებისა და მცენარეულობისა; იმავ დროს ითვლებოდა საიქიოს ღმერთად და მიცვალებულთა მსაჯულად; ამიტომ რელიგიურ ტექსტებში ნახსენებია „ოზირისის მინდვრები“, სადაც გარდაცვლილი მართალნი ხნავენ, თესენ და მოსავალს იღებენ.

ფარაონები იყვნენ, ყოველ შემთხვევა– ში, ყველაზე მეტად ენერგიულები მათ შორის. ისინი, ის ნამ– დვილი მეფეები, სახელმწიფოს მართვას ანდომებდნენ მთელ დროს და არა მსხვერპლთშეწირვასა და ლოცვებს.

– თუკი ასეთია მეფის ნება-სურვილი... – სცადა თუტმოსმა სიტყვის ჩართვა.

– მამაჩემის ნება-სურვილი ის კი არ არის, რომ ნომარქოსები თავისი ჟინის მიხედვით განაგებდნენ, ხოლო მისი ნაცვალი ეთიოპიაში თითქმის ორი მხარის მეუფის[1] სწორად ითვლებოდეს. არც ის, რომ მისი ჯარი გაურბოდეს ორ ოქროს ხოჭოს, რადგან ჩვენში სამხედრო მინისტრი ქურუმია.

– იგი განთქმული მხედართმთავარია... – ჩაიჩურჩულა მთლად შეშინებულმა თუტმოსმა.

– აბა, რა მხედართმთავარია! იქნებ იმით არის სახელოვანი, რომ მოერია ერთ მუჭა ლიბიელ[2] ყაჩაღებს, რომლებიც ეგვიპტის მეომრების დანახვისთანავე გარბიან! აბა, შეხედე, როგორ იქცევიან ჩვენი მეზობლები: იუდეველები გვიგვიანებენ ხარკს და თანაც სულ უფრო ნაკლებს გვიხდიან, ცბიერი ფინიკიელები ყოველ წელს რამდენიმე ხომალდს გვტაცებენ ფლოტიდან, ხეთების წინააღმდეგ ჩვენ იძულებული ვართ დიდი ჯარი ვიყოლიოთ აღმოსავლეთით, ხოლო ბაბილონიასა და ნინევიაში[3] ღვივდება მოძრაობა, რომელიც მთელს შუამდინარეთში პოულობს გამოძახილს. და აი, ქურუმთა მმართველობის შედეგები: ჩემი პაპის მამის წლიური შემოსავალი იყო ასი ათასი ტალანტი[4] და მისი ჯარი ას სამოცი ათასი მეომრისაგან შედგებოდა, მამაჩემს კი აქვს სულ ორმოცდაათი ათასი ტალანტი და ჰყავს ასოციათასიანი ჯარი. მერე რას წარმოადგენს ეს ჯარი! რომ ბერძენთა კორპუსი არა, რომელსაც ის წესრიგში მოჰყავს, როგორც ქოფაკს

---

[1] „ორი მხარის მეუფე“ – ტიტული ეგვიპტის ფარაონისა, როგორც ქვემო და ზემო ეგვიპტის მეფისა.

[2] ლიბიელები – ნილოსის დელტის დასავლეთ ნაწილში და ეგრეთ წოდებული ლიბიის უდაბნოს მომიჯნავე მხარეებში ბინადარი ტომი.

[3] ნინევია – დიდი სავაჭრო ქალაქი, ასირიის უკანასკნელი სატახტო ქალაქი.

[4] ტალანტი – ფულის ერთეული. ბაბილონური ტალანტი 30-60 კილოგრამ ოქროს უდრიდა.

ცხვრები, ეგვიპტის ჯარისკაცებს დიდი ხანია ქურუმები ეყოლებოდათ მეთაურებად, ფარაონი კი მხოლოდ უბადრუკი ნომარქოსი იქნებოდა.

– საიდან იცი შენ ეგ? საიდან მოგდის ასეთი აზრები? – გაოცდა თუტმოსი.

– მე თვითონ ხომ ქურუმთა მოდგმისა ვარ. და მათ მასწავლეს ეს, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიყავი ტახტის მემკვიდრე. ოჰ, როდესაც ფარაონი შევიქნები მამის სიკვდილის შემდეგ – ცოცხლობდეს იგი მარად! – ქედზე დავადგამ მათ ქუსლს, რომელზეც ბრინჯაოს სანდალი მეცმევა. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, ხელში ჩავიგდებ მათს საგანძურთ, რომლებიც ისედაც მუდამ სავსე იყო, ხოლო რამზეს დიდის დროიდან განსაკუთრებით გაფუვდა და ამჟამად ისე გამდიდრდა, რომ ფარაონის ხასიაც ვეღარ შეედრება,

– ვაი ჩვენ! – ამოიოხრა თუტმოსმა. – შენ ისეთი ზრახვები გქონია, რომ მათი სიმძიმით აი ის გორაკიც კი ჩაიქცეოდა, მაგის მოსმენა და გაგება რომ შეეძლოს. მერე სადაა შენი ძალები? თანაშემწენი?.. ჯარისკაცები?.. შენს წინააღმდეგ აღდგება მთელი ხალხი უძლიერესი კასტის წინამძღოლობით. შენს მხარეზე ვინღა იქნება?

ბატონიშვილი ჩაფიქრდა, ბოლოს უპასუხა:

– ჯარი.

– მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ქურუმებს გაჰყვება,

– ბერძენთა კორპუსები.

– ეს ერთი კარი წყალია ნილოსში.

– მოხელეები.

– მათი ნახევარი ქურუმთა წოდებიდანაა.

რამზესმა მწუხარედ გაიქნია თავი და გაჩუმდა.

მოშიშვლებულ ქვიან ფერდობს დაჰყვნენ და ხევში დაეშვნენ. ანაზდად თუტმოსმა, რომელსაც ცოტათი გაესწრო, წამოიძახა:

– ხომ არ მელანდება? შეხედე, რამზეს! ამ კლდეებს შორის მეორე ეგვიპტე მიმალულა!

– უთუოდ რომელიმე ქურუმის მამული იქნება, რომელიც გადასახადებს არ იხდის, – მწარედ უპასუხა მემკვიდრემ.

მათ ქვემოთ სიღრმეში გადაშლილიყო ბარაქიანი ველი. ეს ველი ძალიან ჰგავდა ორთითას, რომლის რქები კლდეებში იკარგებოდა.

ერთი ასეთი რქის გასწვრივ მუშათა რამდენიმე ქოხი და მემამულის თუ მოურავის ლამაზი სახლი იდგა. იქ ხარობდა პალმა, ვენახი, ზეთისხილი, ლეღვი, კვიპაროსი და ნორჩი ბაობაბებიც კი. შუაში მიჩუხჩუხებდა ნაკადი, ხოლო მთის ფერდობებზე, ერთიმეორისაგან რამდენიმე ასი ნაბიჯის მოშორებით საუბრები იყო დაყენებული.

მწიფე მტევნებით დახუნძლულ ვენახებთან რომ ჩავიდნენ, შემოესმათ ქალის ხმა, რომელიც ვიღაცას ეძახდა, ან უფრო სწორად, ალერსიანად ღიღინებდა:

– სადა ხარ, ჩემო ჯუჯულავ? ხმა გამეც! სადა ხარ, საყვარელო? რატომ გამექეცი? განა მე არ გასმევდი ანკარა წყალს, ჩემი ხელით არ გაჭმევდი დარჩეულ ხორბალს, – მონებსაც კი შეშურთ. სადა ხარ? ხმა გამეც! ფრთხილად იყავი , ღამე მოგისწრებს და ვეღარ მოაგნებ გზას სახლისკენ, სადაც ყველა შენზე ზრუნავს. ან მოფრინდება უდაბნოდან ჟღალი ქორი და დაგიფლეთს პაწია გულს. მაშინ ტყუილად დაუწყებ ძახილს შენს პატრონს. მაშ ხმა გამეცი, თორემ გავწყრები და წავალ, შენ კი ფეხით მოგიხდება შინ დაბრუნება.

სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა მგზავრებს. მომღერალი ქალი მათგან უკვე რამდენიმე ნაბიჯზე იყო, როდესაც თუტმოსმა ბუჩქებში გაიხედა და წამოიძახა:

– გაიხედე, რამზეს, რა ტურფაა!..

იმის ნაცვლად, რომ გაეხედა, ბატონიშვილი ბილიკზე გაიჭრა მომღერალი ქალის შესახვედრად. მართლაც ტურფა ყმაწვილი ქალი იყო, სწორნაკვთიანი სახე ჰქონდა და სპილოს ძვლისფერი კანი. მსუბუქი საბურველიდან გამონასკული გრძელი შავი თმა მოუჩანდა. ტანთ ეცვა ნატიფ ნაოჭებად დაშვებული თეთრი კვართი, რომელიც ცალ მხარეს ხელით ეკავა; გამჭვირვალე ქსოვილში ვარდისფრად კრთოდა ქალწულის მკერდი, ორ ვაშლს რომ ჰგავდა.

– ვინ ხარ, ტურფავ? – შეეკითხა რამზესი.

მკაცრი ნაოჭები გაუქრა შუბლზე, თვალები აენთო:

– ჰოი, იაღვე![1] მამავ! – წამოიძახა ქალიშვილმა და შე"შინებული შეჩერდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დამშვიდდა და მისმა ხავერდო-

[1] იაღვე – ისრაელთა და იუდეველთა ძველი ღმერთის სახელი, რომელიც შესატყვისია უფრო ძველი ფორმისა – „იეღოვასი“

ვანმა თვალებმა უწყინარი სევდა გამოხატეს.

– აქ როგორ გაჩნდი? – ოდნავ შემკრთალი ხმით შეეკითხა იგი რამზესს. – ვხედავ, ჯარისკაცი ხარ, აქ კი ჯარისკაცების სიარული არ შეიძლება.

– რატომ არ შეიძლება?

– იმიტომ, რომ ეს დიდი ბატონის სენუსენტის მიწაა.

– ოჰო! გაიღიმა რამზესმა.

– ნუ იცინი, თორემ ახლავე გაფითრდები. ბატონი სვნუსენტი მწერლად მსახურობს ბატონ ხაისთან, რომელიც მარაოს ატარებს ყოვლადღირსის ნომარქოსის თავზე... მამაჩემს უნახავს ის და მის წინ პირქვეც დამხობილა.

– ოჰო-ჰო! – იმეორებდა რამზესი სიცილით.

– თავხედურად ლაპარაკობ, – წარბი შეიკრა ქალიშვილმა – სახეზე რომ გულკეთილობა არ გაჩნდეს, ვიფიქრებდი, ბერძენი მოქირავნე ან ბანდიტია-მეთქი.

– ჯერ არ არის ბანდიტი, მაგრამ ოდესმე შეიძლება ისეთი უდიდესი ბანდიტი შეიქნეს, რომლის მსგავსი დედამიწას არ უნახავს, – ჩაერია საუბარში თუტმოსი და პარიკი შეისწორა.

– შენ კი უთუოდ მოცეკვავე იქნები, – მიმართა უკვე გათამამებულმა ქალიშვილმა. – ოჰ! მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პი-ბაილოსში ბაზრობაზე გნახე. შენ ხომ არ იყავი გველებს რომ ულოცავდი?..

ორივე ჭაბუკი მხიარულ გუნებაზე დადგა.

– შენ ვინღა ხარ? – შეეკითხა ქალიშვილს რამზესი, რომელიც შეეცადა მისთვის ხელი მოეკიდა, მაგრამ ქალმა ხელი გამოგლიჯა.

– როგორ მიბედავ? მე ვარ სარა, ამ მამულის მოურავის გედეონის ასული.

– ებრაელი ხარ? – შეეკითხა რამზესი და სახეზე ჩრდილმა გადურბინა.

– მერე რა მოხდა? – წამოიძახა თუტმოსმა, – შენ გგონია ებრაელი ქალები ეგვიპტელებზე უარესები არიან? ისინი უფრო მოკრძალებული და მიუკარებელი არიან, ეს კი მათს სიყვარულს განსაკუთრებულ ეშხს მატებს.

– მაშ თქვენ წარმართები ხართ? – ღირსეულად შეეკითხა სარა. – შეგიძლიათ დაისვენოთ, თუ დაიქანცეთ, მოკრიფეთ ყურძენი და წადით. ჩვენს მოჯამაგირეებს არ უყვართ თქვენისთანა სტუმრები.

ქალმა წასვლა დააპირა, მაგრამ რამზესმა შეაჩერა.

– მოიცადე. მე მომეწონე და არ მინდა წახვიდე.

– ავმა სულმა ხომ არ აგიტანა? ამ ხეობაში ვერავინ გამიბედავდა ასეთ ლაპარაკს, – აღშფოთდა სარა.

– საქმე იმაშია, – ჩაერია ლაპარაკში თუტმოსი, – რომ ეს ჭაბუკი პტას ქურუმთა პოლკის ოფიცერია და მწერლად მსახურობს იმ ბატონის მწერალთან, რომელიც იმის მარაოს ატარებს, ვისაც თავის მხრივ აბუს[1] ნომარქოსის მარაო დააქვს.

– ვხედავ, რომ ოფიცერია, – უპასუხა სარამ და ჩაფიქრებით შეხედა რამზესს, – იქნებ ის თვითონაც დიდი ბატონი იყოს, – ტუჩზე თითის მიდებით დაუმატა ქალმა.

– ვინც არ უნდა ვიყო, შენი სილამაზე აღემატება ჩემს წარჩინებულობას! – წამოიძახა რამზესმა. – ერთი ეს მითხარი, მართალია, რომ თქვენ... თქვენ ღორის ხორცს სჭამთ?

სარამ მას წყენით შეხედა. თუტმოსმა კი შენიშნა:

– ჩანს, შენ არ იცნობ ებრაელებს! ებრაელი სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე ღორის ხორცს გასინჯავდეს, თუმცა მე რომ მკითხონ, ღორის ხორცი სრულებითაც არ მიმაჩნია ცუდად.

– კატებს თუ ხოცავთ? – არ ეშვებოდა რამზესი, რომელიც ხელს უჭერდა სარას და თვალებში ჩასცქეროდა.

– ესეც ჭორია, საზიზღარი ჭორი! – წამოიძახა თუტმოსმა. – შენ შეგეძლო ამაზე მე შემკითხებოდი და სისულელე არ გეთქვა. მე სამი საყვარელი ებრაელი ქალი მყავდა.

– აქამდე შენ სიმართლეს ამბობდი, ახლა კი ტყუი, – გაცხარდა სარა. – ებრაელი ქალი არავის საყვარელი არ იქნება! – ამაყად დაუმატა მან.

– არც ისეთი ბატონის მწერლის საყვარელი, რომელიც მემფისის ნომარქოსის თავზე მარაოს ატარებს? – დაცინვით შეეკითხა თუტმო-

---

[1] აბუ – ასე ეწოდებოდა ძველეგვიპტურად ელეფანტინის კუნძულს რომელიც ნილოსის პირველ ჭორომთან მდებარეობდა.

სი.

– არასგზით!

– არც თვით იმ ბატონის საყვარელი, რომელიც მარაოს ატარებს?

სარა შეყოყმანდა, მაგრამ მაინც უპასუხა:

– არაფრის გულისათვის.

– არც თვითონ ნომარქოსისა?

ქალიშვილმა ხელები ჩამოყარა. ის დაბნეულად შესცქეროდა ხან ერთ ჭაბუკს, ხან მეორეს. ტუჩები უკანკალებდა, თვალზე ცრემლი მოადგა.

– ვინა ხართ? – შიშით შეეკითხა იგი. – თქვენ მთებიდან ჩამოხვედით, როგორც მგზავრები, რომელთაც სურთ წყურვილისა და შიმშილის მოკვლა, და ისე კი მელაპარაკებით, როგორც ძალიან წარჩინებული ბატონები. ვინა ხართ?.. შენი მახვილი, – მიუბრუნდა იგი რამზესს, – მოჭედილია ზურმუხტით, ყელზე კი ისეთი მდიდრული ძეწკვი გკიდია, რომლისთანა თვით ჩვენი ბატონის, ყოვლად მოწყალე სენუსენტის საგანძურშიც არ მოიპოვება...

– უმჯობესია მითხრა: მოგწონვარ თუ არა? – დაჟინებით ეკითხებოდა რამზესი, რომელიც ხელს უჭერდა და თვალებში ნაზად ჩასჩერებოდა.

– მშვენიერი ხარ, როგორც მთავარანგელოსი გაბრიელი, მაგრამ მე შენი მეშინია, იმიტომ რომ არ ვიცი, ვინა ხარ...

ანაზდად მთების გადაღმა ბუკის ხმა გაისმა.

– გეძახიან! – დაუყვირა თუტმოსმა.

– მაგრამ თუ მე ისეთივე დიდი ბატონი ვარ, როგორიც თქვენი სენუსენტი?

– შესაძლებელია... – ჩაიჩურჩულა სარამ.

– ან თუ მემფისის ნომარქოსის მარაოს ვატარებ?

– შესაძლებელია, მართლაც ასეთი წარჩინებული იყო...

სადღაც მთებში მეორე ბუკი გაისმა.

– წავიდეთ, რამზეს, – ჩააცივდა შეშფოთებული თუტმოსი.

– ხოლო თუ მე... ტახტის მემკვიდრე ვარ, შენ, ქალიშვილო, წამოხვიდოდი ჩემთან? – შეეკითხა ბატონიშვილი.

– ჰოი, იაღვე! – წამოიძახა სარამ და მუხლი მოიყარა. ახლა უკვე

ყოველი მხრიდან უკრავდნენ ბუკები განგაშს.

– გავიქცეთ! – ყვიროდა სასოწარკვეთილებით თუტმოსი, – ნუთუ არ გესმის, რომ ბანაკში განგაშია?

ტახტის მემკვიდრემ მსწრაფლ მოიხსნა კისრიდან ძეწკვი და ჩამოჰკიდა სარას.

– გადაეცი მამას, – უთხრა მან, – მე გყიდულობ შენ. მშვიდობით...

მან ვნებით აკოცა ქალს ტუჩებში. ქალი მის ფეხებს მოეხვია. რამზესი გამოუსხლტა, გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი, ისევ მობრუნდა, დაუკოცნა წარმტაცი სახე და შავი თმა, თითქოს არც კი ესმოდა ბუკის საგანგაშო ხმა.

– ფარაონის სახელით გემუდარები, გამომყევ! – დაუყვირა თუტმოსმა და ხელი წაავლო,

ისინი სირბილით გაექანენ იმ მხრისკენ, საიდანაც ბუკის ხმა მოისმოდა. რამზესი დრო და დრო მთვრალივით ბარბაცებდა და სულ უკან იხედებოდა. ბოლოს მათ მოპირდაპირე ფერდობზე ასვლა იწყეს.

„და ამ ადამიანს, – ფიქრობდა თუტმოსი, – სურს ქურუმებს შეებრძოლოს...“

თავი მეოთხე

ტახტის მემკვიდრე და მისი მეგობარი თხუთმეტი წუთი მირბოდნენ ბორცვის კლდოვან თხემზე. მათ სულ უფრო მკაფიოდ ესმოდათ ხმა ბუკებისა, რომლებიც მეტი გააფთრებით უკრავდნენ განგაშს. ბოლოს მივიდნენ ისეთ ადგილას, საიდანაც მთელი გარემოს დანახვა შეიძლებოდა.

მარცხნივ გადიოდა შარაგზა, რომლის იქეთ გარკვევით მოჩანდა ქალაქი პი-ბაილოსი, ქალაქს უკან მდგომი მემკვიდრის პოლკები და ვეებერთელა კორიანტელი, რომელიც აღმოსავლეთიდან თავდამსხმელი მოწინააღმდეგის თავზე იდგა.

მარჯვნივ პირი დაეღო ღრმა ხეობას, მის გაყოლებაზეც ბერძენთა პოლკი სამხედრო იარაღებს მიათრევდა. შარაგზის შორიახლოს ეს ხეობა უერთდებოდა მეორეს, უფრო ფართოს, რომელიც უდაბნოს სიღრმეში იწყებოდა. აქ რაღაც უცნაური ამბავი ხდებოდა. იმ ადგილიდან, სადაც ორივე ხეობა ერთდებოდა, ბერძნები, რომელთაც იარაღები ებარათ, უმოქმედოდ იდგნენ, თვით შეერთების ადგილას კი, შარაგზასა და მემკვი+ დრის შტაბს შორის, ოთხი მესერივით ჩამწკრივებულიყო რომელიღაც სხვა ჯარების ოთხი მჭიდრო, მოელვარე შუბებით აფაფრული მწკრივი.

თუმცა გზა ფრიალო იყო, მემკვიდრე სირბილით გაემართა, თავისი კოლონისკენ, იქით, სადაც ოფიცრებით გარშემორტყმული სამხედრო მინისტრი იდგა.

– რა მოხდა?.. – მრისხანედ დაიყვირა მან. – რატომ ასტეხეთ განგაში, იმის ნაცვლად, რომ ლაშქრობა გაგეგრძელებინათ?

– გზა გადაგვიჭრეს! – განუცხადა ხერიჰორმა.

– ვინ?.. ვის?..

– ჩვენს კოლონას ნეიტიკერის სამმა პოლკმა, რომლებიც უდაბნოდან გამოვიდნენ.

– მაშასადამე, იქ მტერი დგას?

– დიახ, თვითონ უძლეველი ნეიტიკერი.

კაცს ეგონებოდა, მემკვიდრე უეცრივ ჭკუაზე შეირყაო. პირი მოეღრიცა, თვალები ბუდიდან წამოუცვივდა. მან და იშიშვლა ხმალი, მი-

ვარდა ბერძნებთან და ხრინწიანი ხმით შესძახა:

– მომყევით იმათ წინააღმდეგ, ვინც გაბედა ჩვენთვის გზა გადაეჭრა!

– მარად ცოცხლობდე, მეფის ძევ!... – დაიყვირა პატროკლემ და მანაც აღმართა მახვილი. – წინ, აქილევსის ჩამომავალნო!.. – მიმართა მან თავის ჯარისკაცებს, – ვუჩვენოთ ეგვიპტელ მწყემსებს, რომ არავის ძალუძს ჩვენი შეჩერება!..

ბუკებმა იერიში დაუკრეს. ბერძნების ოთხი მოკლე, მაგრამ სწორი და სიმივით დრეკადი მწკრივი დაიძრა, ავარდა კორიანტელი და გაისმა რამზესის საპატივცემულო შეძახილები.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბერძნები პირისპირ შეხვდნენ ეგვიპტელ პოლკებს და გაუბედავად შეანელეს ნაბიჯი.

– მომყევით! - ბრძანა მემკვიდრემ და მახვილით ხელში წინ გაიჭრა.

ბერძნებმა შუბები მოიმარჯვეს. მოწინააღმდეგის რიგებში : რაღაც მოძრაობა ატყდა, დრტვინვამ გადაიქროლა და მათი შუბები შემტევთა წინააღმდეგ აღიმართნენ.

– ვინა ხართ თქვენ, უგუნურებო?.. – მოისმა მოწინააღმდეგის მხრიდან ძლიერი ხმა.

– ტახტის მემკვიდრე!.. – უპასუხა პატროკლემ.

წამიერი სიჩუმე, და უეცრივ:

– გზიდან ჩამოდექით... – კვლავ გაისმა იგივე ბოხი ხმა.

აღმოსავლეთის არმიის პოლკებმა ნელ-ნელა ისე გაიწ-გამოიწიეს, თითქოს ალაყაფის კარის ურდულები გადასწიესო, და დაუთმეს გასავალი ბერძენთა რაზმს.

ტახტის მემკვიდრეს მიუახლოვდა ჭაღარა სარდალი მოვარაყებულ მუზარადსა და საჭურველში, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

– გამარჯვება შენს მხარეზეა! მხოლოდ დიდი სარდალი გამოდის ამგვარად მძიმე მდგომარეობიდან.

– შენ ხარ, ნეიტიკერ? მამაცთაგან უმამაცესო!.. – წამოიძახა ბატონიშვილმა.

ამ დროს მათთან მივიდა სამხედრო მინისტრი, რომელმაც გაიგო-

ნა მათი საუბარი და გესლიანად შენიშნა:

– თქვენ რომ ისეთივე უდისციპლინო სარდალი გყოლოდათ, როგორიც მეფის ძეა, რითი გათავდებოდა ჩვენი მანევრები?

– თავი გაანებე ახალგაზრდა მეომარს!.. – უპასუხა ნეიტიკერმა. – ნუთუ შენთვის საკმარისი არ არის, რომ მან გვიჩვენა ლომის ბრჭყალები, როგორც ეს შეშვენის ფარაონის ჩამომავალს?

თუტმოსმა გაიგონა თუ არა, რა მიმართულებას იღებდა საუბარი, ჩაერია და შეეკითხა ნეიტიკერს:

– როგორ გაჩნდი აქ, ღირსეულო მხედართმთავარო, როდესაც შენი მთავარი ძალები ჩვენი ჯარის წინ იმყოფებიან?

– ვიცოდი, რომ იმ დროს, როცა ტახტის მემკვიდრე ჯარებს პი-ბაილოსთან, აგროვებს, მემფისის შტაბი ძლივს მოჩანჩალებს. და აი, თავშესაქცევად გადავწყვიტე თქვენთვის, ბატონიშვილებისათვის, მახე დამეგო... ჩემდა საუბედუროდ აქ აღმოჩნდა მემკვიდრე და გეგმები ჩამიშალა. ყოველთვის ასე იმოქმედე, რამზეს, – რასაკვირველია, ნამდვილი მტრის წინაშე.

– კი, მაგრამ თუ ის, როგორც დღეს, სამჯერ აღმატებულ ძალას წააწყდება? – შეესიტყვა ხერიმორი,

– უშიშარი გონება ძალაზე უფრო ძვირფასია, – უპასუხა მოხუცმა სარდალმა. – სპილო ადამიანზე ორმოცდაათჯერ უფრო ღონიერია, მაგრამ ემორჩილება მას ანდა მისი ხელით იღუპება.

ხერიჰორმა აღარა უპასუხა რა.

მანევრები დამთავრებულად ცნეს. ტახტის მემკვიდრე მინისტრისა და მხედართმთავრების თანხლებით გაემართა პი-ბაილოსთან მდგარი ჯარებისკენ. აქ იგი მიესალმა ნეიტიკერის ვეტერანებს, გამოეთხოვა თავის პოლკებს, წარმატება უსურვა და აღმოსავლეთისაკენ წასვლა უბრძანა. მერე ხალხმრავალი ამალით გარშემორტყმული დაბრუნდა უკან მემფისში. გზაზე გამარჯვებულს ეგებებოდნენ და ესალმებოდნენ გოშენის მხარის მცხოვრებლები, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილნი, ხელში მწვანე შტოებით.

იქ, სადაც შარაგზა უდაბნოსკენ უხვევდა, ხალხი შეთხელდა, ხოლო როდესაც იმ ადგილს მიაღწიეს, საიდანაც მემკვიდრის შტაბმა ხოჭოების გამო ხეობისაკენ გადაუხვია, – შარაგზაზე უკვე აღარავინ

ჩანდა.

რამზესმა თუტმოსს თავით ანიშნა, მიუთითა ნაცნობ ბორცვზე და ჩასჩურჩულა:

– წახვალ იქ, სარასთან...

– მესმის.

– ეტყვი მამამისს, რომ საჩუქრად ვაძლევ კარ-მიდამოს მემფისთან.

– მესმის. ზეგ ქალიშვილი შენი იქნება.

მემკვიდრესთან ამ მოკლე გადალაპარაკების შემდეგ თუტმოსი დაბრუნდა ამალის უკან მომავალ პოლკებთან და მალე მიიმალა.

შარაგზის გადაღმა, ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, ხეობის თითქმის პირდაპირ, სადაც დილას მძიმედ შეიარაღებულებმა გადაუხვიეს, იდგა თაფლინდის პატარა, ბებერი ხე. ამ ადგილას მემკვიდრის ამალის წინ მიმავალი მცველები მოულოდნელად შეჩერდნენ.

– რა ამბავია, ისევ სკარაბები შეგვხვდნენ? – ხუმრობით შეეკითხა ტახტის მემკვიდრე მინისტრს.

– ვნახოთ, – ცივად უპასუხა ხერიჰორმა.

მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოელოდა იმას, რაც დაინახეს: ჩამომხმარ ხეზე შიშველი ადამიანი ეკიდა.

– ეს რა არის? – მღელვარებით იკითხა მემკვიდრემ:

ადიუტანტებმა ხესთან მიირბინეს და ის მოხუცი გლეხი იცნეს, რომლის არხი ჯარისკაცებმა ამოავსეს.

– გზაც იქით ჰქონია! – ცხარობდა ოფიცერთა ჯგუფში ჩამდგარი ენახა. – არ დაიჯერებთ, ამ უბადრუკმა მონამ გაბედა და მინისტრს ფეხებზე მოეხვია!..

ამის გაგონებაზე რამზესი ცხენიდან ჩამოხტა და ხეს მიუახლოვდა,

გლეხს თავი წინ წამოეწია, პირი ფართოდ გაეღო, ხელისგულები შეჯგუფებული მეომრებისაკენ მოექცია, თვალებში საშინელება გაყინვოდა. კაცს ეგონებოდა, რაღაცის თქმა სურს, მაგრამ ხმა არ ემორჩილებაო.

– უბედური! – სიბრალულით ამოიოხრა მემკვიდრემ.

ამალასთან რომ დაბრუნდა, ბრძანა გლეხის ისტორია ეამბნათ და

მერე დიდხანს მიდიოდა მდუმარედ.

რამზესს განუშორებლივ თვალწინ ედგა თვითმკვლელის სახე და ტანჯავდა იმის შეგნება, რომ ამ განკიცხულ მონას უსამართლოდ მოექცნენ, ისე უსამართლოდ, რომ ამაზე დაფიქრება არ აწყენდა თვით მასაც, ფარაონის ძესა და მემკვიდრეს.

აუტანელი სიცხე იყო, მტვერი პირში უძვრებოდა ადამიანებსა და ცხოველებს და თვალებს სწვავდა. გადაწყვიტეს ცოტა ხანს შეესვენათ.

ნეიტიკერი ამასობაში მინისტრთან საუბარს ათავებდა.

– ჩემი ოფიცრები, – ამბობდა მოხუცი სარდალი, – ფეხების ქვეშ კი არა – წინ იყურებიან. იქნებ ამიტომაცაა, რომ მტერი ჯერ არასოდეს მოულოდნელად არ დამსხმია თავს.

– კარგია, რომ ეგ ამბავი ახსენეთ, ყოვლადღირსო. კინაღამ დამავიწყდა, რომ ზოგიერთი ვალი უნდა გავისტუმრო, – უცებ გაახსენდა ხერიჰორს და ბრძანა მოეწვიათ მასთან ოფიცრები და ჯარისკაცები, ვინც კი იმ დროს იქ იმყოფებოდა.

– ენანას დამიძახეთ, – გასცა განკარგულება მინისტრმა, როდესაც ყველა შეიკრიბა.

ავგაროზებით მკერდდაფარული ოფიცერი ისე მსწრაფლ გამოცხადდა, თითქოს დიდი ხანია ამას ელოდაო. მისი სახე გამოხატავდა სიხარულს, რომელიც ვერ დაეფარა მორჩილებასაც კი.

ხერიჰორმა შეკრებილთ მიმართა:

– მეფის ნების თანახმად, მანევრების დამთავრების შემდეგ უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება კვლავ ჩემს ხელში. გადმოდის.

დამსწრეებმა თავი მოიდრიკეს.

– ამ ხელისუფლებით უწინარეს ყოვლისა იმისთვის უნდა ვისარგებლო, რომ თითოეულს დამსახურების კვალად მივუზღო...

ოფიცრებმა ერთიმეორეს გადახედეს.

– ენანა, – განაგრძობდა მინისტრი, – მე ვიცი, რომ შენ მუდამ ერთი ყველაზე უფრო ბეჯითი ოფიცერთაგანი იყავი.

– ბაგენი შენნი ჭეშმარიტებას ღაღადებენ, – მიუგო ენანამ, – როგორც პალმა ელის მაცოცხლებელ ცვარს, ისე ველი მეც უფროსების ბრძანებას. როცა ბრძანებას არ ვღებულობ, თავს ისე ვგრძნობ, რო-

გორც უდაბნოში გზააბნეული მარტოხელა მგზავრი.

ნეიტიკერის ნაიარევებით დაფარულ ოფიცრებს უკვირდათ ენანას მკვირცხლი პასუხი და თავისთვის ფიქრობდნენ: „აი, ვინ მიიღებს უმაღლეს წარჩინებასო“.

– ენანა, – განაგრძობდა მინისტრი, – შენ არა მარტო გულმოდგინე ხარ, არამედ ღვთისმოსავიც, არა მარტო ღვთისმოსავი, არამედ თვალმახვილიც, როგორც ძენძერუკი წყალზე. ღმერთებმა მოგანიჭეს უძვირფასესი თვისებები: გველის სიფრთხილე და ქორის მხედველობა...

– ხალასი სიმართლე მოსჩქეფს შენთა ბაგეთაგან, – ჩაურთო ენანამ, – თუ რომ ჩემი მახვილი თვალი არა, ვერ შევამჩნევდი ორ საღვთო ხოჭოს.

– დიახ, – სიტყვა შეაწყვეტინა მინისტრმა, – და ვერ იხსნიდი ჩვენს კოლონას მკრეხელობისაგან, ამ გმირობისათვის, რომელიც შეჰფერის ღვთისმოსავეს ეგვიპტელს, გიბოძებ შენ...

მინისტრმა თითიდან წაიძრო ოქროს ბეჭედი.

– გიბოძებ შენ აი, ამ ბეჭედს ღმერთქალის მუტის[1] სახელწერით, რომლის წყალობა და მფარველობა არ მოგაკლდება ამქვეყნიური მოგზაურობის დასასრულამდე, თუ ამას დაიმსახურებ.

მინისტრმა-მთავარსარდალმა ენანას ბეჭედი გადასცა, დამსწრეებმა კი ჰაერი მესძრეს ფარაონის საპატივცემო შეძახილებით და იარაღი დააჩხარუნეს.

ენანა ხედავდა, რომ მინისტრი ადგილიდან არ იძვროდა, ამიტომ თვითონაც იდგა და მიშტერებოდა თვალებში, როგორც ერთგული ძაღლი, რომელმაც პატრონის ხელიდან ლუკმა მიიღო, კუდს იქნევს და ელის.

– ახლა კი, – კვლავ დაიწყო მინისტრმა, – გამოტყდი, ენანა, რატომ არ მომახსენე, სად წავიდა ტახტის მემკვიდრე, როდესაც კოლონა ხეობაში გადიოდა?.. შენ დაგვაღალატე, ჩვენ ხომ მტრის მახლობლად მოგვიხდა განგაშის ატეხა...

– ღმერთები მოწმენი არიან, მე მემკვიდრის არა ვიცოდი რა, – უპა-

[1] მუტი – ომისა და ცის ძველეგვიპტელი ღმერთქალი, რომელსაც თებეში თაყვანს სცემდნენ, როგორც უმაღლესი ღმერთის ამონის მეუღლეს.

სუხა საგონებელში ჩავარდნილმა ენანამ.

ხერიჰორმა თავი გაიქნია.

– შეუძლებელია ადამიანმა, რომელიც იმგვარი მხედველობით არის დაჯილდოებული, რომ ას ნაბიჯზე ხედავს საღვთო ხოჭოებს, ვერ შეამჩნიოს ისეთი მაღალი პირი, როგორიც ტახტის მემკვიდრეა.

– მერწმუნეთ, არ მინახავს!.. – ირწმუნებოდა ენანა და გულში ხელს იცემდა. – თუმცა ჩემთვის არც არავის უბრძანებია მემკვიდრისათვის თვალყური მედევნებინა.

– განა მე არ გაგათავისუფლე მეწინავე რაზმის მეთაურობისაგან? განა სხვა რაიმე დავალება მოგეცი? – შეეკითხა მინისტრი. – შენ სრულებით თავისუფალი იყავი, როგორც უნდა იყოს ადამიანი, ვისაც უმნიშვნელოვანესი ამბების მეთვალყურეობა აქვს დაკისრებული. მერე, განა შენ მოერიე ამ ამოცანას?.. ომის დროს ასეთი დანაშაულისათვის სიკვდილით დაგსჯიდნენ...

საცოდავი ოფიცერი გაფითრდა.

– მაგრამ მე შენდამი მამობრივი გრძნობა მაქვს, ენანა, – განაგრძობდა ხერიჰორი, – და რადგან მახსოვს ის დიდი სამსახური, რომელიც ჩვენს არმიას იმით გაუწიე, რომ მეამჩნიე მზის სიმბოლო საღვთო ხოჭოები, დაგსჯი არა როგორც სასტიკი მინისტრი, არამედ როგორც მშვიდი ქურუმი, ფრიად ლმობიერად: მიიღებ მხოლოდ ორმოცდაათ ჯოხს...

– თქვენო უწმინდესობავ...

– ენანა, შენ შესძელი ბედნიერი ყოფილიყავი, იყავი ახლა მამაცი და მიიღე ეს მცირე გაფრთხილება, როგორც მისი უდიდებულესობის არმიის ოფიცერს შეშვენის!

მაღალღირსმა ხერიჰორმა ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ უფროსმა ოფიცრებმა ენანა მოხერხებულ ადგილას, შარაგზის გვერდით გააწვინეს, ერთი კისერზე დააჯდა, მეორე – ფეხებზე, ხოლო ორმა დანარჩენმა შიშველ ტანზე მოქნილი ლერწმის ჯოხის ორმოცდაათი დარტყმა მიუთვალა.

მამაც მეომარს ერთი კვნესაც არ აღმოხდენია, პირიქით, ნელი ხმით ღიღინებდა ჯარისკაცის სიმღერას და ეგზეკუციის დამთავრების შემდეგ შეეცადა თვითონ წამომდგარიყო, მაგრამ ფეხები აღარ

ემორჩილებოდა. პირით ქვიშაზე დაემხო და იძულებული შეიქნენ ორთვალა ეტლით წაეყვანათ მემფისში; ეტლში მწოლიარე ენანა უღიმოდა ჯარისკაცებს და თან ფიქრობდა იმაზე, რომ სამხრეთ ეგვიპტეში არ იცვლება ქარი ისე ჩქარა, როგორც ღარიბი ოფიცრის ცხოვრებაში ბედნიერება.

როდესაც ხანმოკლე შესვენების შემდეგ მემკვიდრის ამალა ადგილიდან დაიძრა, მინისტრი ხერიჰორი ცხენზე შეჯდა, გენერალ ნეიტიკერის გვერდით განაგრძო გზა და ნელი ხმით ესაუბრებოდა აზიის საქმეებზე, უმთავრესად ასირიის გამოფხიზლებაზე.

ამ დროს მინისტრის ორმა მსახურმაც – მარაოსმტვირთველმა ადიუტანტმა და მწერალმა პენტუერმა საუბარი გააბეს.

– რას ფიქრობ იმაზე, რაც ენანას შეემთხვა? – შეეკითხა ადიუტანტი.

– შენ რაღას ფიქრობ იმ გლეხზე, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო? – შეეკითხა მწერალი.

– მე მგონია, მისთვის დღევანდელი დღე ყველაზე ბედნიერი იყო, ხოლო თოკი კისერზე – ყველაზე უფრო რბილი, რაც კი სიცოცხლეში შეხვედრია, – უპასუხა ადიუტანტმა. – ამას გარდა, მე ვფიქრობ, ამიერიდან ენანა დიდი ყურადღებით დაუწყებს თვალთვალს ტახტის მემკვიდრეს.

– ცდები, – თქვა პენტუერმა, – ენანა ამიერიდან არასოდეს აღარ შეამჩნევს ხოჭოს, ხარისოდენაც რომ იყოს. რაც შეეხება იმ გლეხს, ხომ არ ფიქრობ, რომ იგი მეტისმეტად ცუდად ცხოვრობდა ეგვიპტის წმიდა მიწაზე...

– შენ არ იცნობ გლეხებს და იმიტომ ლაპარაკობ ეგრე...

– ჩემზე უკეთესად ვინ უნდა იცნობდეს? – დაღვრემით უპასუხა მწერალმა. – მე მათ წრეში აღვიზარდე. ვხედავდი, როგორ წმენდდა არხებს მამაჩემი, როგორ თესდა, მკიდა და, რაც მთავარია, მუდამ იხდიდა გადასახადებს. ოჰ, შენ არ იცი გლეხის ხვედრი ეგვიპტეში!..

– სამაგიეროდ, – უპასუხა ადიუტანტმა, – მე ვიცი უცხოელის ხვედრი. ჩემი პაპის მამა თუ პაპის პაპა ერთი წარჩინებულთაგანი იყო ჰიქ-

სოსთა[1] შორის. იგი აქ დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ აქაურ მიწას შეეთვისა. მერე რა გამოვიდა – ეგ არაფერი, რომ მამული ჩამოართვეს, – ჩემთვისაც დღემდე ვერ უპატიებიათ ჩემი წარმოშობა!.. შენც იცი, რომ, ჩემი მაღალი თანამდებობის მიუხედავად, მკვიდრ ეგვიპტელებისაგან ბევრის მოთმენა მიხდება. როგორღა მებრალებოდეს ეგვიპტელი გლეხკაცი, როცა ის, შეამჩნევს თუ არა ჩემი კანის მოყვითალო ფერს, თავისთვის ბუტბუტებს: „წარმართი!“, „უცხოელი!“, ხოლო თვითონ ის, გლეხკაცი, არც წარმართია და არც უცხოელი.

– ის მხოლოდ მონაა, – ჩაურთო მწერალმა, – მონა, რომელსაც ცოლსა რთავენ, განქორწინებენ, სცემენ, ჰყიდიან, ზოგჯერ კიდეც კლავენ და მუდამ აიძულებენ იმუშაოს, ამასთან აღუთქვამენ იმქვეყნადაც მონა იქნებიო.

ადიუტანტმა მხრები აიჩეჩა.

– ობროდი ხარ, თუმცა ჭკვიანი... – უთხრა მან, – განა თვითონ არ ხედავ: ყოველი ჩვენგანი, რა მდგომარეობაც არ უნდა ეკავოს – დაბალი, ნაკლებ დაბალი თუ მეტად დაბალი, ვალდებულია იმუშაოს. განა გული გწყდება, რომ ფარაონი არა ხარ და შენს საფლავზე პირამიდა არ იქნება?.. შენ ამას არ ფიქრობ, რადგან გესმის, რომ ასეთია ქვეყნის წესი. თითოეული ასრულებს თავის მოვალეობას: ხარი ხნავს, ვირს მოგზაურები დაჰყავს, მე მინისტრის მარაოს ვატარებ, შენ მის მაგიერ ფიქრობ, გლეხკაცი კი მიწას ამუშავებს და გადასახადს იხდის. ჩვენ რა გვესაქმება, თუ რომელიღაც ხარი აპისად დაიბადება და ყველა პატივს აღუვლენს, ანდა რომელიღაც ადამიანი ფარაონად თუ ნომარქოსად დაიბადება?..

– ამ გლეხს მისი ათი წლის შრომა მოჰპარეს, – ჩაიჩურჩულა პენტუერმა.

– განა შენ შრომასაც არ იპარავს მინისტრი?.. – შეეკითხა ადიუტანტი. – ვინ იცის, რომ შენ მართავ სახელმწიფოს და არა მაღალღირსი ხერიჰორი?..

– ცდები, – უთხრა მწერალმა, – იგი მართლა მართავს. მის ხელშია

[1] ჰიქსოსები -აზიური ტომი თუ ტომთა ჯგუფი, რომელთაც ძვ.წ. XVII საუკუნეში დაიპყრეს ეგვიპტე და იქ მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ. ეგვიპტელები ჰიქსოსებს ფრიად მტრულად ეპყრობოდნენ და მათ „უწმინდურებს“ უწოდებდნენ.

ძალაუფლება, მას აქვს ნებისყოფა, მე კი მხოლოდ ცოდნა მაქვს. ამასთან არც შენ და არც მე არ გვცემენ, როგორც იმ გლეხს.

– ხომ მიბერტყეს ენანა, ეს შეიძლება ჩვენც დაგვემართოს. უნდა ვიყოთ გულმხნენი და დავჯერდეთ იმ მდგომარეობას, ვისაც რანაირი განგვეკუთვნა. მით უმეტეს, როგორც მოგეხსენება, ჩვენი სულის უკვდავი კა[1], განწმენდის პროცესმი ყოველთვის სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურზე ადის, რომ ათასი თუ მილიონი წლის შემდეგ ფარაონებისა და მონების სულებსა და ღმერთებთან ერთადაც კი განიბნეს სიცოცხლის იმ ყოვლისშემძლე წინაპარში, რომელსაც სახელი არ გააჩნია.

– როგორ ქურუმივით ლაპარაკობ, – მწარედ უპასუხა პენტუერმა. – მე უფრო შემშვენის ყოველივეს ეგეთი სიმშვიდით მოვეკიდო. ამის ნაცვლად გული მტკივა, ვინაიდან ვგრძნობ მილიონების ტანჯვას.

– მერე, ვინ გიბრძანებს?..

– ჩემი თვალები და გული. ჩემი გული თითქოს მთებს შუა მოქცეული ველია, რომელსაც არ ძალუძს დუმილი, როდესაც ყვირილი ესმის, და გამოძახილით ეხმაურება.

– მე კი გეტყვი, პენტუერ, რომ ტყუილად იმტვრევ თავს ასეთ საშიშ რამეებზე ფიქრით. არ შეიძლება დაუსჯელად იხეტიალო აღმოსავლეთ მთების ხრამებზე, – ყოველ წამს შეიძლება ფეხი დაგისხლტეს, ანდა იწანწალო დასავლეთ უდაბნოში, სადაც მშიერი ლომები დაძრწიან და შმაგი ხამსინი მძვინვარებს.

ამასობაში მამაცი ენანა ორთვალა ეტლში იწვა; ნჯღრევისაგან ტკივილები ემატებოდა, მაგრამ სურდა მხნეობა გამოეჩინა და მოითხოვა მიეცათ მისთვის საჭმელ-სასმელი. ნიორწასმული ხმელი ლავაში რომ შეჭამა და მაღალი სურიდან მომჟავო ლუდი დალია, სთხოვა მეეტლეს, ჭრილობებზე მოსეული ბუზები მომიგერიეო ნეშოთი. ჭრიალა ორთვალაში ტომრებსა და ყუთებზე პირქვე იწვა საბრალო ენანა და ნაღვლიანი ხმით მღეროდა დაბალი ოფიცრის მძიმე ხვედრის შესახებ.

---

[1] კა – ძველი ეგვიპტელების რწმენით ადამიანის სული თუ ადამიანის სხეულის სულიერი მსგავსება, რომელიც ადამიანის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდა სიცოცხლეს.

„ეს საიდან შეთხზე, რომ უმჯობესია იყო ოფიცერი, ვიდრე მწერალი? მომიახლოვდი, დახედე ჩემს ტანზე ნაიარევებსა და ნაჭდევებს და მოგითხრობ რა არასახარბიელოა ოფიცრის ცხოვრება.

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც თავი. ყაზარმაში მიკრეს. დილის საუზმის ნაცვლად მუცელში ჯლიქვით მიმასპინძლდებოდნენ ისე, რომ თვალთ მიბნელდებოდა; შუადღისას სადილის მაგიერ ცხვირ-პირში ისეთ მუშტს მომაზელდნენ, რომ ტუჩი მისივდებოდა. საღამოთი კი მთელი თავი სისხლით მქონდა მოსვრილი და თითქოს ნაწილ-ნაწილ მისკდებოდა.

გინდა გიამბო, როგორ ვილაშქრე სირიაში? მთებში ვირივით დატვირთული მივდიოდი, – სასმელ-საჭმელი ხომ მე თვითონ უნდა მეზიდა. კისერი ვირივით გამიშეშდა, ზურგს ტკაცატკუცი გაჰქონდა, ვსვამდი აშმორებელ წყალს და მტრის წინაშე მახეში გაბმული ჩიტივით უმწეო ვიყავი.

დავბრუნდი ეგვიპტეში, მაგრამ აქ ჭიებისაგან გამოხრულ ხეს ვგავარ. ყოველი უბრალო რამისათვის მიწაზე გამაწვენენ და მირტყამენ, სადაც მოხვდებათ, ერთ მთელ ადგილს აღარ მიტოვებენ. და აი, ავად ვარ და უნდა ვიწვე, ორთვალათი მივყავართ, ამასობაში მოსამსახურე ჩემს ლაბადას იპარავს და იმალება...

ამიტომ, მწერალო, შეგიძლია შეიცვალო შენი აზრი ოფიცრის ბედნიერებაზე“.[1]

ასე მღეროდა მამაცი ენანა და მისმა მწუხარე სიმღერამ ეგვიპტის სამეფო ამოიჭამა.

თავი მეხუთე

რაც უფრო უახლოვდებოდა ტახტის მემკვიდრის ამალა მემფისს, მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა და ურიცხვი არხებიდან და შორეული ზღვიდან მოჰქროდა გრილი სინესტით გაჟღენთილი ქარი. შარაგზა კვლავ ბარაქიან ადგილზე დაეშვა: ყანებსა და მთებში ხალხი განაგრძობდა მუშაობას. თუმცა უდაბნოს უკვე ვარდისფერი ანარეკლი

[1] ნამდვილი წყაროებიდან არის ნასესხები (ავტ. შენიშ.).

ეფინებოდა, ხოლო მთების კორტოხებზე თითქოს ცეცხლი გიზგიზებდა. რამზესი შეჩერდა და ცხენი მოატრიალა. მას მაშინვე გარს შემოეხვია ამალა, მოვიდნენ უფროსი ოფიცრები, თანდათან მოახლოვდნენ მწყობრი ნაბიჯით მომავალი პოლკები.

ჩამავალი მზის მეწამული სხივებით განათებული მემკვიდრე ღმერთის ქანდაკებას ჰგავდა. ჯარისკაცები მას სიამაყით და სიყვარულით შესცქეროდნენ, ოფიცრები კი აღფრთოვანებით.

რამზესმა ხელი ასწია. ყველანი მიწყნარდნენ. მან დაიწყო:

– ღირსეულ მხედართმთავრებო, მამაცო ოფიცრებო, გამგონე ჯარისკაცებო! დღეს ღმერთებმა მომანიჭეს ბედნიერება ვყოფილიყავი სარდალი ისეთი გმირებისა, როგორიც თქვენა ხართ. სიხარულით არის აღსავსე ჩემი მეფური გული. მაგრამ მე მსურს, რომ თქვენ, მხედართმთავრებო, ოფიცრებო და ჯარისკაცებო, ჩემთან ერთად მუდამ იზიარებდეთ ჩემს სიხარულს, და ამიტომ ვბრძანებ მიეცეს თითო-თითო დრახმა[1] ყოველ ჯარისკაცს იმათგან, ვინც აღმოსავლეთისკენ წამოვიდა და ვინც ჩვენთან ერთად დაბრუნდება აღმოსავლეთის საზღვრებიდან. ამას გარდა, კიდევ თითო დრახმა ბერძენ ჯარისკაცებს, რომლებმაც დღეს ჩემი სარდლობით ხეობიდან გამოსასვლელი გაგვიხსნეს, და თითო-თითო დრახმა კეთილშობილ ნეიტიკერის იმ პოლკების მეომრებს, რომელთაც სურდათ ჩვენთვის შარაგზისაკენ მიმავალი გზა გადაეჭრათ...

პოლკებში ქუხილივით ჩაიგრიალა:

– გაუმარჯოს ჩვენს ბატონიშვილს. გაუმარჯოს ფარაონის მემკვიდრეს... ცოცხლობდეს იგი მარად!.. – ყვიროდნენ ჯარისკაცები და ყველაზე ხმამაღლა კი – ბერძნები. მემკვიდრე განაგრძობდა:

– ჩემი ჯარისა და კეთილშობილი ნეიტიკერის არმიის დაბალ ოფიცრებს ვასაჩუქრებ ხუთი ტალანტით, ხოლო მაღალღირს მინისტრსა და უფროს მეთაურებს – ათი ტალანტით...

– ჩემს წილზე უარს ვაცხადებ ჯარისკაცების სასარგებლოდ, – განაცხადა ხერიჰორმა.

– გაუმარჯოს მემკვიდრეს... გაუმარჯოს მინისტრს!.. – ყვიროდნენ ოფიცრები და ჯარისკაცები.

---

[1] დრახმა – ძველბერძნული წვრილი მონეტა.

მზის წითელი დისკო უკვე შეეხო დასავლეთ უდაბნოს ქვიშას, როცა რამზესი გამოეთხოვა არმიას, დეზი ჰკრა ცხენს და გაქუსლა მემფისში. ხერიჰორი აღტაცებული ძახილის გრიალში ჩაჯდა ტახტრევანში და მანაც ბრძანა გაესწროთ მარშით მიმავალი კოლონებისათვის.

როცა იმდენად დაწინაურდა, რომ ცალკეული ხმები იქცა საერთო გუგუნად, რაც კაცს ჩანჩქერის ხმაურს მოაგონებდა, მინისტრმა ტახტრევანიდან გადმოიწია და მწერალ პენტერს მიმართა:

– ყოველივე გახსოვს? ·

– ყოველივე, მაღალღირსო.

– შენი მეხსიერება იმ გრანიტსა ჰგავს, რომელზეც ისტორია იწერება, ხოლო შენი სიბრძნე – ნილოსს, რომელიც ყოველივეს წალეკავს და განაყოფიერებს, – უთხრა მინისტრმა, – ამასთან ღმერთებმა მოგმადლეს ყველა სიკეთეზე უდიდესი რამ – გონივრული თავმდაბლობა.

მწერალმა არა უპასუხა რა.

– შენ სხვაზე უფრო სწორად შეგიძლია შეაფასო მემკვიდრის საქციელი, მარად ცოცხლობდეს იგი!

მინისტრი წუთით გაჩუმდა. ასე ბევრი ლაპარაკი მას არ სჩვეოდა.

– მაშ ასე, მითხარი, პენტუერ, და ჩაწერე: შეჰფერის თუ არა ტახტის მემკვიდრეს არმიის წინაშე საკუთარი ნება-სურვილის გამოთქმა?.. ასე მოქცევა შეუძლია მხოლოდ ფარაონს, ან მოღალატეს, ანდა... ქარაფშუტა ჭაბუკს, რომელიც ერთნაირი სიადვილით ჩაიდენს სახელოვან გმირობას და წამოისვრის უღვთო სიტყვებს.

მზე ჩავიდა და ვარსკვლავიანი ღამე ჩამოწვა. ქვემო ეგვიპტის ურიცხვ არხებზე ჩამოეშვა ვერცხლისებრი ნისლი, რომელსაც უდაბნოსკენ მიერეკებოდა მსუბუქი ქარი; ეს ქარი აგრილებდა დაქანცულ ჯარისკაცებს და აცოცხლებდა სიცხისაგან დამღრალ მცენარეულობას.

– და კიდევ, პენტუერ, მოიფიქრე და მითხარი, – განაგრძნობდა მინისტრი, – სად იშოვის მემკვიდრე ოც ტალანტს, რომ შეუსრულოს ჯარს დღეს ასე მოუფიქრებლად მიცემული დაპირება. თუმცა საიდანაც არ უნდა გამოძებნოს ეს ფული, მე მგონია და უთუოდ შენც ასევე ფიქრობ, რომ საკმაოდ სახიფათოა მემკვიდრემ ჯარი დაასაჩუქროს

ისეთ დროს, როდესაც თვითონ მეფეს საშუალება არა აქვს ჯამაგირი მისცეს ნეიტიკერის პოლკებს, რომლებიც აღმოსავლეთიდან ბრუნდებიან. არ გეკითხები შენს აზრს, ისედაც ვიცი, როგორც შენც კარგად უწყი ჩემი ღრმად ფარული აზრები; მხოლოდ იმას გთხოვ, დაიმახსოვრო რაც ნახე, რომ შემდგომ ქურუმთა საბჭოში გვიამბო.

– მალე მოიწვევენ საბჭოს? – შეეკითხა პენტუერი.

– ჯერ არ არის მისი მოწვევის საბაბი. მე შევეცდები მშობლის ხელის შემწეობით ავლაგმო აცქმუტებული მოზვერი. მენანება ყმაწვილი – დიდი ნიჭი და სამხრეთის „გრიგალის ენერგია აქვს. მაგრამ თუ გრიგალი იმის ნაცვლად, რომ ეგვიპტის მტრები აღგავოს დედამიწის პირიდან, დაიწყებს მისი პურეულის დასეტყვას და პალმების ძირიანად მოთხრას...

მინისტრი გაჩუმდა. მისი ამალა მემფისისაკენ მიმავალი ხეივნის ბნელ სიმწვანეში მიიმალა.

ამ დროს რამზესი ფარაონის სასახლეს უახლოვდებოდა.

სასახლე ქალაქგარეთ, შუა ბაღში იდგა ბორცვზე. იქ ხარობდა იშვიათი ხეები: სამხრეთის ბაობაბი, ჩრდილოეთის კედრი, ფიჭვი და მუხა. მებაღეთა ოსტატობის წყალობით ისინი ათეული წლები ცოცხლობდნენ და ძალიან მაღლებიც იზრდებოდნენ.

ჩრდილოვანი ხეივანი მიემართებოდა ზევით, სამსართულიანი შენობის სიმაღლე ალაყაფისკენ. ალაყაფის ყოველი მხრიდან ამართული იყო კოშკისმაგვარი ხუთი სართული სიმაღლის და ორმოცი ნაბიჯი სიგანის მძლავრი ნაგებობა, რომელსაც გადაკვეთილი პირამიდის მოყვანილობა ჰქონდა. ღამით ეს კოშკები ორ ვეებერთელა კარავს ემსგავსებოდნენ. ამ უცნაური კარვების ყოველ სართულზე თითო-თითო ოთხკუთხი სარკმელი იყო. სახურავი ბრტყელი ჰქონდათ. ერთი ასეთი კოშკის წვეროდან სასახლის მცველები ქვევით, მიწაზე იცქირებოდნენ, ხოლო მეორიდან მორიგე ქურუმი ვარსკვლავებს აკვირდებოდა.

ამ კოშკებს პილონებს უწოდებდნენ. მათ მარჯვნივ მიემართებოდა ქვის გალავანი, უფრო სწორად, უწყვეტი წყება ვიწრო სარკმლიანი და ბრტყელსახურავიანი ერთსართულიანი შენობებისა, რომელთა სახურავზე გუშაგები მიდი-მოდიოდნენ. მთავარი ალაყაფის ორივე

მხარეს აღმართული იყო ორი ქანდაკება, რომლებიც მეორე სართულს აღწევდნენ: ქანდაკებათა კვარცხლბეკთანაც გუშაგები დადიოდნენ.

როდესაც მემკვიდრე რამდენიმე მხედრის თანხლებით ალაყაფის კარს მიადგა, თუმცა ბნელოდა, მაინც იცნო გუშაგმა, მაშინვე პილონიდან გამოირბინა ბარტყულას მსგავს პარიკიანმა სასახლის მოხელემ, რომელსაც თეთრი ქვედატანი და მუქი მოსასხამი ეცვა.

– სასახლეში უკვე გვიანაა? – იკითხა მემკვიდრემ.

– დიახ, ხელმწიფევ, – უპასუხა მსახურმა. – მეფე ღმერთებს დასაძინებლად რთავს.

– მერე რას იზამს?

– სამხედრო მინისტრის ხერიჰორის მიღებას ინებებს.

– მაგის მერე?

– შემდეგ იგი დიდ დარბაზში ცეკვებს უყურებს, მერე აბაზანას მიიღებს და საღამოს ლოცვებს შეასრულებს.

– მე არ მელის? – შეეკითხა მემკვიდრე.

– ხვალ, სამხედრო საბჭოს შემდეგ.

– დედოფლები რაღას აკეთებენ?

– პირველი დედოფალი მიცვალებული ვაჟის ოთახში ლოცულობს, თქვენმა კეთილშობილმა დედამ კი ინება მიეღო ფინიკიელი ელჩი, რომელმაც ტვიროსის[1] ქალთა ძღვენი მოართვა.

– ქალიშვილებიც არიან?

– რამდენიმე; თითოეულს ათი ტალანტის ძვირფასეულობა მაინც ამშვენებს.

– იქ ვინ დაეხეტება ჩირაღდნებით? – შეეკითხა მემკვიდრე და ხელით ბაღის ქვედა ნაწილზე მიუთითა.

– ხიდან ჩამოჰყავთ თქვენი უმაღლესობის ძმა, შუადღეს აქეთ იქა ზის.

– და არ უნდა ჩამოსვლა?

– ახლა ჩამოვა, – მასთან მივიდა პირველი დედოფლის მასხარა

[1] ტვიროსი – ფინიკიის ერთი ფრიად თვალსაჩინო ქალაქთაგანი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე მდებარეობდა. აყვავებას მიაღწია ძვ. წ. X ს.

და აღუთქვა, სამიკიტნოში წაგიყვან, სადაც პარასქიტები[1] სვამენო.

– დღევანდელი მანევრების შესახებ აქ უკვე იციან რამე?

– სამინისტროში ამბობდნენ, შტაბი კორპუსს მოსწყდაო.

– სხვას რას ამბობენ?..

მსახური გაუბედავად დუმდა,

– მოჰყევი, რაც გაიგონე.

– კიდევ ამბობდნენ, რომ შენ ამის გამო ბრძანე ერთი ოფიცრისათვის ხუთასი ჯოხის დარტყმა მიეთვალათ, ხოლო მეგზური ჩამოეხრჩოთ.

– რა სიცრუეა... – გამოეხმაურა მემკვიდრის ერთი ადიუტანტთაგანი.

– ჯარისკაცებიც ამბობენ, ნამდვილად ტყუილი იქნებაო, – უფრო თამამად უპასუხა მოხელემ.

მემკვიდრემ ცხენი შეაბრუნა და გაემართა ბაღის ქვედა ნაწილში მდებარე მცირე სასახლისაკენ, რომელშიაც ცხოვრობდა. ის გახლდათ ორსართულიანი ხის პავილიონი. სასახლეს ვეებერთელა ექვსწახნაგას მოყვანილობა ჰქონდა ორი ყათარი ჰქონდა – ზედა და ქვედა, რომლებიც მთელ შენობას გარს უვლიდა და ხის სვეტებს ეყრდნობოდა. შიგნით სანათურები ენთო და მოჩანდა მაქმანისებრ აჟურული ჩუქურთმიანი ხის კედლები, რომლებიც ქარისაგან დაცული იყო ნაირფერი ქსოვილით. მოაჯირშემოვლებულ ბრტყელ სახურავზე რამდენიმე კარავი იდგა.

მემკვიდრე შევიდა სახლში, სადაც მხიარულად მიესალმენ ნახევრად შიშველი მსახურები; ზოგი ჩირაღდნებით უნათებდა გზას, სხვები კი პირქვე ემხობოდნენ მის წინ. პირველ სართულში რამზესმა გაიზარდა გამტვრიანებული ტანსაცმელი, ქვის აბაზანაში იბანავა და მოიხსნა დიდი ზეწრის მსგავსი რაღაც, რაც კისერთან შეიბნია, ხოლო წელთან ზონარი შემოიკრა. მერე ავიდა მეორე სართულში, სადაც ვახშმად მიართვეს პურის ლავაში, ერთი მუჭა ხურმა და მჩატე ლუდის ტოლჩა. ნავახშმევს იგი ყათარზე გამოვიდა, ლომის ტყავგადაფარებულ დივანზე წამოწვა, მსახურებს უბრძანა დაშლილიყვნენ და როგორც კი თუტმოსი მოვიდოდა, მასთან ზევით გამოეგზავნათ.

---

[1] პარასქიტები – ძველეგვიპტელი დამბალზამირებლები.

თითქმის შუაღამე იქნებოდა, რომ პავილიონის წინ გაჩერდა ტახტრევანი, საიდანაც მემკვიდრის ადიუტანტი თუტმოსი გადმოვიდა. მოქანცულობისაგან მთქნარებაავარდნილი მძიმედ ავიდა ყათარზე. მემკვიდრე მაშინვე წამოხტა ლოგინიდან.

– აბა, რას იტყვი?.. – მაშინვე შეეკითხა იგი თუტმოსს,

– ჯერ არ გძინავს? – უპასუხა თუტმოსმა, – ჰოი, ღმერთებო, ამდენი დღის აუტანელი ჯაყჯაყის მერე... მე კი იმედი მქონდა მზის ამოსვლამდე მაინც წავიძინებ-მეთქი.

– აბა, რასა იქს სარა?...

– აქ იქნება ზეგ, ან შენ იქნები მასთან მამულში ნილოსის გაღმა.

– მხოლოდ ზეგ?..

– ხო... უმჯობესია გამოიძინო, რამზეს. მეტისმეტად ბევ? რი შავი სისხლი დაგიგროვდა გულში. ამიტომაცაა, რომ გახურებს.

– მამამისი რაღას ამბობს?..

– ის წესიერი და საკმაოდ ჭკვიანი კაცია. გედეონს ეძახიან. როდესაც ვუთხარი, რომ შენ გსურს მისი ქალიშვილის წაყვანა. მიწაზე დაეცა და თმის გლეჯა დაიწყო. მე, რასაკვირველია, დაველოდე, ვიდრე მამობრივი მწუხარების გამოთქმა დამთავრდებოდა, საჭმელი გიახელი, ღვინო დავლიე და შევუდექით მოლაპარაკებას. გედეონი ცრემლად დაიღვარა და ფიცულობდა, მირჩევნია ჩემი ქალი სამარეში ვნახო, ვიდრე ვისმე საყვარლადო. მაშინ ვუთხარი, რომ იგი მემფისთან, ნილოსის ნაპირას მიიღებს მამულს, რომელიც ორ ტალანტ წლიურ შემოსავალს იძლევა და გადასახადებისაგანაც თავისუფალი იქნება. იგი აღშფოთდა. მერე განვუცხადე, ყოველ წელს კიდევ ერთ ტალანტს მიიღებ ოქროთი და ვერცხლით-მეთქი. მან ამოიხვნეშა და შენიშნა, ჩემი ქალი სამი წელი სწავლობდა პი-ბაილოსში. მე კიდევ ტალანტი დავუმატე. მაგრამ გედეონმა კვლავ იმავე უნუგეშო კილოთი განაცხადა, ბატონ სენუსენტის მოურავის ფრიად კარგ თანამდებობას ვკარგავო. მე განვუმარტე. საჭირო არ არის ამ თანამდებობას თავი მიანებო-მეთქი და კიდევ ათი მეწველი ძროხა მივუმატე. მაშინ სახეზე ცოტა ნათელი მოეფინა. ფრიად საიდუმლოდ გამომიტყდა, ჩემს ქალიშვილს უკვე ყურადღება მიაქცია ერთმა დიდად წარჩინებულმა ბატონმა, ხაიმ, რომელიც მემფისის ნომარქოსის მარაოს ატარებსო. მე კი-

დევ დავპირდი მოზვერს, ოქროს პატარა ძეწკვს და ძვირფას სამაჯურს. ამგვარად შენ სარასთვის უნდა გაიღო! მამული, ყოველწლიურად ორი ტალანტი ნაღდად, ათი ძროხა, მოზვერი, ძეწკვი და ოქროს სამაჯური. ეს მის პატივცემულ მამას გედეონს. თვითონ რასაც მიართმევ – ეს შენი საქმეა.

– სარას როგორღა ეჭირა თავი? – შეეკითხა მემკვიდრე.

– ვიდრე ჩვენ შევთანხმდებოდით, ბაღში სეირნობდა, ხოლო როდესაც მოლაპარაკება დავამთავრეთ და გარიგება ებრაული კარგი ღვინით აღვნიშნეთ, იცი, რა უთხრა მამას?. მისთვის რომ არ მიგეცი, კლდიდან გადავვარდებოდიო, აბა, ახლა დამშვიდებით დაგეძინება, – დაამთავრა თუტმოსმა.

– ვეჭვობ, – უპასუხა მემკვიდრემ, რომელიც მოაჯირზე დაყრდნობილიყო და ბაღის უდაბური ნაწილისკენ იცქირებოდა. – იცი, გზაზე გლეხის ჩამოხრჩობილ გვამს წავაწყდით...

– ოჰ, ეგ სკარაბებზე უარესია!.. – შეიჭმუხნა თუტმოსი.

– საბრალოს თვითონ მოეკლა თავი ჯავრიან გულზე, რადგან ჯარისკაცებმა ამოავსეს არხი, რომელსაც უდაბნოში თავისთვის თხრიდა ათი წელი.

– ყოველ შემთხვევაში, მას უკვე მაგრად სძინავს. მე მგონი, არც ჩვენ გვაწყენს დაძინება...

– იმ კაცს უსინდისოდ მოექცნენ, – განაგრძობდა მემკვიდრე. – უნდა მოვნახოთ მისი შვილები, გამოვისყიდოთ და იჯარით მივცეთ მიწის ნაკვეთი.

– მაგრამ ეს დიდი საიდუმლოებით უნდა გავაკეთოთ, – შენიშნა თუტმოსმა, – თორემ ყველა გლეხი დაიწყებს თავის ჩამოხრჩობას და ჩვენ, მათ მეპატრონეებს, არც ერთი ფინიკიელი სპილენძის დებენსაც კი აღარ გვასესხებს.

– ხუმრობას თავი დაანებე! იმ გლეხის სახე რომ გენახა, ვეღარც შენ დაიძინებდი.

უეცრად ქვემოდან, ბაღის ტევრიდან მოისმა არცთუ ისე მაღალი, მაგრამ მკაფიო ხმა:

– გაკურთხოს შენ, რამზეს, ერთმა და ყოვლად ძლიერმა ღმერთმა, რომელსაც არც სახელი აქვს ადამიანთა ენაზე და არც ქანდაკება

წმინდა ტაძრებში!

გაოცებული ჭაბუკები მოაჯირზე გადაიხარნენ.

– ვინა ხარ?.. – ხმამაღლა შეეკითხა მემკვიდრე.

– მე დაჩაგრული ეგვიპტელი ხალხი ვარ, – ნელა და მშვიდად წარმოთქვა ხმამ.

მერე ყველაფერი მიჩუმდა. სულ მცირე მოძრაობა, ტოტების მცირე შრიალიც კი არ ამჟღავნებდა მახლობლად ადამიანის ყოფნას.

მემკვიდრის ბრძანებით გამოცვივდნენ მსახურები ჩირაღდნებით, აუშვეს ძაღლები და გაჩხრიკეს ყველა ბუჩქი, მაგრამ ვერავინ ნახეს.

– ვინ იქნებოდა?.. – ჰკითხა თუტმოსს აღელვებულმა მემკვიდრემ. – იმ გლეხის სული თუ იყო?

– სული? – გაიმეორა ადიუტანტმა. – არასოდეს მსმენია, რომ სულები ლაპარაკობდნენ, თუმცა არა ერთხელ ვმდგარვარ ყარაულად ტაძრებსა და აკლდამებთან. მე უფრო იმასა ვფიქრობ, რომ რომელიმე შენი მეგობარი გველაპარაკებოდა.

– მერე, რაღას იმალებოდა?

– განა შენთვის სულ ერთი არ არის? – შეესიტყვა თუტმოსი – ყველა ჩვენგანს ათეული მტერი მაინცა ჰყავს, თუ ასეული არა. მადლობდე ღმერთებს, რომ ერთი უჩინარი მეგობარი მაინც აღმოგაჩნდა.

– მე დღეს ვერ დავიძინებ... – ჩაიჩურჩულა აღელვებულმა ბატონიშვილმა.

– კარგია ერთი... იმის მაგივრად, რომ ყათარზე ირბინო, დამიჯერე, დაწექი. გახსოვდეს რომ ძილი დარბაისელი ღვთაებაა. მას არ შეჰფერის სდიოს იმათ, ვინც ირემსავით გარბის. ძილს კარგად მოწყობა უყვარს, როცა შენ რბილ დივანზე დაწვები, ისიც გვერდით მოგიჯდება, დაგხურავს თავის ფართო ლაბადას და ჩამოეფარება ადამიანების არა მარტო თვალებს, არამედ მეხსიერებასაც...

ამ სიტყვებით თუტმოსმა რამზესი დივანთან მიიყვანა, თავქვეშ ამოუდო სპილოს ძვლის ნახევარმთვარის მოყვანილობის სადგარი და ბატონიშვილი დააწვინა.

მერე ჩამოუშვა კარვის ფარდა, თვითონ იქვე იატაკზე მოიკალათა და რამდენიმე წუთში ორივეს ჩაეძინა.

თავი მეექვსე

ფარაონის სასახლეში ორ ხუთსართულიან კოშკს ანუ პილონებს შორის მოთავსებული ალაყაფის კარით შედიოდნენ. ამ შენობის ნაცრისფერი სილაქვით ნაგები გარე კედლები თავიდან ბოლომდე ბარელიეფებით იყო დაფარული.

ჭიშკრის თავზე გამოხატული იყო სახელმწიფო ღერბი: ფრთოსანი სფერო, რომლის უკნიდან ორი გველი გამოიყურებოდა. ქვევით წამომჯდარიყვნენ ღმერთები, მათ ფარაონები სამსხვერპლო ძღვენს მიართმევდნენ. გვერდით სვეტებზე ხუთ იარუსად ამოეკვეთათ ღვთაებათა გამოსახულებანი, ხოლო მათ ქვეშ იეროგლიფური ზედწერები.

ყოველი პილონის კედელზე მთავარი ადგილი ეკავა რამზეს დიდის ბარელიეფს; ერთ ხელში მას ჩუგლუგი ეპყრა, მეორე ხელი თმაში წაევლო ოხრახუშივით კონად შეკრული ადამიანებისათვის. მეფის თავზე ორ იარუსად იდგნენ თუ ისხდნენ ღმერთები, უფრო მაღლა განლაგებული იყო ფიგურები სამსხვერპლო შესაწირავით, ხოლო პილონების წვეროსთან გამოეხატათ ფრთოსანი გველები და ხოჭოები.

ეს პილონები ზემოთკენ დავიწროებული კედლებით, მათი შემაერთებელი ჭიშკრები და ბარელიეფები, რომლებშიც მკაცრი სიმეტრია შეხამებული იყო პირქუშ ფანტაზიასთან, ხოლო ღვთისმოსაობა სიმკაცრესთან, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა. ადამიანს ისეთი გრძნობა ექმნებოდა, რომ სასახლეში შესვლა ძნელია, გამოსვლა – შეუძლებელი, ხოლო შიგ ცხოვრება მძიმე.

ალაყაფის კარით, რომლის წინ ჯარისკაცები და სასახლის სახლეულნი იყვნენ თავმოყრილნი, შედიოდნენ სვეტებზე დაყრდნობილი გალერეებით გარემოცულ ეზოში. ეზო წარმოადგენდა ლამაზ ბაღს, სადაც გეჯებში ზრდიდნენ ჩია ალოეს, პალმებს, ფორთოხლის ხეებსა და კედრებს; ყველაფერი ეს მწკრივებად იყო დაწყობილი. შუა ეზოში შადრევანი ჩქეფდა. ბილიკებზე ფერადი ქვიშა ეყარა.

აქ, გალერეების კამარის ქვეშ, ისხდნენ თუ ნება-ნება სეირნობდნენ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეები და ხმადაბლა საუბრობდნენ.

ეზოდან მაღალი კარით შედიოდნენ დარბაზში, რომლის თაღი სამსართულიანი სიმაღლის თორმეტ სვეტს ემყარებოდა. დარბაზი დიდი იყო, მაგრამ ვეება სვეტების გამო ვიწრო მოჩანდა. სინათლე კედლებში დატანებული პატარა სარკმლებიდან და ჭერის ფართო სწორკუთხოვანი ხვრეტილიდან შემოდიოდა. დარბაზში სიგრილე და ბინდბუნდი სუფევდა, თუმცა მაინც გამოირჩეოდა ყვითელი კედლები და მრავალიარუსიანი მოხატულობით დაფარული სვეტები: ზევით ფოთლები და ყვავილები იყო, ქვევით – ღმერთები, კიდევ უფრო დაბლა – ადამიანები, რომელთაც ღმერთების ქანდაკება თუ სამსხვერპლო შესაწირავი მოჰქონდათ; სურათებს შორის ყველგან იეროგლიფები მოჩანდა.

ყველაფერი ეს შეფერადებული იყო ღია, ზოგან მკვეთრი ფერითაც კი: მწვანით, წითლითა და ლურჯით.

ამ დარბაზში, რომლის იატაკი ნაყშიანი მოზაიკისა იყო, ღრმა მდუმარებით იდგნენ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ფეხშიშველი ქურუმები, აგრეთვე ფარაონთან დაბრუნებული უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, სამხედრო მინისტრი ხერიჰორი და სარდლები ნეიტიკერი და პატროკლე.

რამზეს XII, ჩვეულებისამებრ, საბჭოს მიღებამდე თავის სალოცავში ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა. ამან საკმაოდ დიდხანს გასტანა. შორეული დარბაზებიდან წამდაუწუმ მოდიოდა რომელიმე ქურუმი ან მოხელე და დამსწრეთ ღვთისმსახურების მსვლელობას აცნობებდა.

„...სალოცავის კარს ტვითარი მოხსნა... ღმერთს ჰბანს... მოსავს მას... კარი დახურა...“

დამსწრეთ სახეზე მოუსვენრობა და უგუნებობა ეწერათ, . მხოლოდ ხერიჰორს შეენარჩუნებინა გულგრილობა, მაშინ როდესაც პატროკლე ვეღარ ფარავდა მოუთმენლობას, ხოლო ნეიტიკერი თავისი მძლავრი ხმის გუგუნით დროგამოშვებით არღვევდა საზეიმო სიჩუმეს. მოხუცი მეომრის ყოველი ასეთი წამოძახებისას კარისკაცები დამფრთხალი ცხვრებივით განზე ხტებოდნენ და ერთმანეთს ისე გადახედავდნენ, თითქოს უნდოდათ ეთქვათ:

„გაუთლელი ბრიყვი, – მთელი სიცოცხლე ბარბაროსებს ებრძვის – აბა, რა მოეთხოვებაო?..“

შორეულ დარბაზებში გაისმა ეჟვნის წკრიალი და იარაღის ჟღარუნი. დარბაზში ორ წყებად შემოვიდნენ ხმალამოწვდილი გვარდიელები მოოქროვილ მუზარადებსა და სამკერდულებში, შემდეგ ქურუმების ორი წყება, და ბოლოს გამოჩნდა საკმეველთა კვამლის ბოლქვებით დაფარული ტახტრევანი, რომელშიც ფარაონი იჯდა.

ეგვიპტის მფლობელი, რამზეს XII სახედამღრალი, სამოცი წლის კაცი იყო. მას ეცვა თეთრი ლაბადა, თავს ეხურა წითელ-თეთრი არახჩინი ზედ ოქროს გველით, ხოლო ხელთ ეპყრა გრძელი კვერთხი.

პროცესიის გამოჩენისთანავე ყველა პირქვე დაემხო. მარტო პატროკლემ, როგორც ნამდვილმა ბარბაროსმა, თავის დაბლა დაკვრა იკმარა. ნეიტიკერი კი ცალ მუხლზე დაეშვა, მაგრამ მაშინვე წამოდგა.

ფარაონის ტახტრევანი შეჩერდა შემაღლებულ ადგილთან, სადაც ბალდახინის ქვეშ ეკალმუხის ტახტი იდგა. ფარაონი ნელა ჩამოვიდა ტახტრევანიდან, თვალი მოავლო დამსწრეთ, და როცა ტახტზე დაჯდა, შეხედა ჩუქურთმას, რომელზეც გამოსახული იყო ვარდისფერი სფერო მტრედისფერი ფრთებითა და მწვანე გველებით.

ფარაონის მარჯვნივ დადგა უმაღლესი მწერალი, მარცხნივ – მსაჯული კვერთხით ხელში; ორივეს ვეებერთელა პარიკი ჰქონდა.

უმაღლესი მსაჯულის მიერ მიცემული ნიშნის მიხედვით ყველამ იატაკზე მოიკალათა, ზოგიც მუხლებზე დაეშვა. უმაღლესმა. მწერალმა ფარაონს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– ბატონო ჩვენო და ძლიერო მბრძანებელო! შენი მსახური ნეიტიკერი, აღმოსავლეთის საზღვრის დიდი დარაჯი, გეახლა, რათა მოგაგოს პატივი და მოგართვას დაპყრობილ ხალხთა ხარკი: ოქროთი სავსე მალაქიტის ვაზა, სამასი ხარი, ასი ცხენი და სურნელოვანი ხე ტეშეპი.

– მცირეა ეს ხარკი, ჩვენო ბატონო, – წარმოთქვა ნეიტიკერმა. – ნამდვილ საუნჯეთ ჩვენ ევფრატის ნაპირებზე ვიპოვიდით: ზედმეტი არ იქნებოდა ამაყი, მაგრამ უძლური მეფეებისათვის მოგვეგონებინა რამზეს დიდის დრო.

– უპასუხე ჩემს მსახურს ნეიტიკერს, – მიმართა ფარაონმა მწერალს, – რომ მისი სიტყვები მხედველობაში იქნება მიღებული. ახლა კი ჰკითხე, რას ფიქრობს იგი ჩემი შვილისა და მემკვიდრის სამხედრო

ნიჭზე, რომელთან შებრძოლების პატივი ჰქონდა მას გუშინ პი-ბაილოსთან.

– ჩვენი ხელმწიფე, ცხრა ხალხის მბრძანებელი, გეკითხება შენ, ნეიტიკერს... – დაიწყო უმაღლესმა მწერალმა.

მაგრამ ანაზდად კარისკაცნი შეკრთნენ – მოხუცმა სარდალმა უდიერად შეაწყვეტინა სიტყვა მწერალს.

– მე თვითონაც მესმის, რას ბრძანებს ჩემი ბატონი... მის ბაგედ კი, როდესაც სურს მე მომმართოს, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ტახტის მემკვიდრე და არა შენ, უმაღლესი მწერალი...

მწერალმა გაოცებით გადახედა თამამს, მაგრამ ფარაონმა უპასუხა:

– სიმართლეს ამბობს ჩემი ერთგული მსახური ნეიტიკერი.

სამხედრო მინისტრმა თავი დახარა თითქოს თანხმობის ნიშნად. უმაღლესმა მოსამართლემ ამცნო დამსწრე ქურუმთ, მოხელეებსა და გვარდიას, შეგიძლიათ წახვიდეთო, თვითონაც მწერალთან ერთად თაყვანი სცა ტახტს და პირველმა დატოვა დარბაზი. დარბაზში დარჩნენ მხოლოდ ფარაონი, ხერიჰორი და ორივე სარდალი.

– მომაპყარ სმენა შენი, მბრძანებელო, და მოისმინე ჩემი საჩივარი, – დაიწყო ნეიტიკერმა. – დღეს დილით მომსახურე ქურუმმა, რომელიც შენი ბრძანებით მოვიდა, რათა ჩემთვის ნელსაცხებელი წაესვა თმაზე, მითხრა, შენთან შემოსვლის დროს სანდლები გამეხადა. მაგრამ ყველამ უწყის არა მარტო ზემო და ქვემო ეგვიპტეში, არამედ ხეთაშიც, ლიბიაშიც, ფინიკიაშიც და პუნტის[1] მხარეშიც, რომ ოცი წლის წინათ მიბოძე უფლება – შენს წინაშე სანდლებში წარვმდგარიყავი.

– მართალი ხარ, – უთხრა ფარაონმა. – მე ვხედავ ჩემს კარზე უწესობა შექმნილა...

– ოღონდ მიბრძანე, მეფეო, და ჩემი ვეტერანები წესრიგს აღადგენენ... – დასძინა ნეიტიკერმა.

სამხედრო მინისტრმა ანიშნა და შემოვიდა რამდენიმე მსახური;

---

[1] პუნტი – აღმოსავლეთ აფრიკაში მეწამული ზღვის ნაპირზე მდებარე მხარე. მასთან ეგვიპტელები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ და გამოჰქონდათ იქიდან ოქრო, სპილოს ძვალი და ეკალმუხა.

ერთმა სანდლები მოიტანა და ფეხთ ჩააცვა ნეიტიკერს, სხვებმა ტახტის წინ დადგეს სამი ძვირფასი ტაბურეტი მინისტრისა და სარდლებისათვის. როცა სამივე დიდებული დაჯდა, ფარაონმა იკითხა:

– მითხარი, ნეიტიკერ, რას ფიქრობ, აქვს თუ არა ჩემს ვაჟს სარდლის ნიჭი?.. ოღონდ სრული სიმართლე თქვი.

– ვფიცავ თებელ ამონს და ჩემს წინაპართა სახელს, რომელთა ძარღვებში მეფური სისხლი დიოდა, რომ რამზესი, შენი მემკვიდრე, დიდებული სარდალი იქნება, თუ ღმერთები ინებებენ, – უპასუხა ნეიტიკერმა. – ჯერ კიდევ ჭაბუკმა, თითქმის ყრმამ, დიდი ოსტატობით მოუყარა თავი თავის პოლკებს. აღჭურვა ისინი და შეუმსუბუქა ლაშქრობა. მაგრამ ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ შენი მემკვიდრე არ დაიბნა, როდესაც მე გზა გადავუჭერი, პირიქით, შეტევაზე გადმოიყვანა ჯარი. დიახ, ის იქნება სარდალი და დაძლევს ასირიელებს, რომლებიც ახლავე უნდა იქნან დამარცხებული, რათა ჩვენს შვილიშვილებს აღარ დახვდნენ ნილოსის ნაპირებზე.

– შენ რაღას იტყვი, ხერიჰორ? – შეეკითხა ფარაონი.

– რაც შეეხება ასირიელებს, მე ვფიქრობ, რომ მაღალღირსი ნეიტიკერი ნაადრევად წუხს მათზე. ჩვენ ჯერ კიდევ წელში ვერ გავმართულვართ წარსული ომების შედეგებისაგან და, ვიდრე ახალ ომს დავიწყებდეთ, უნდა მოვღონიერდეთ, – უპასუხა მინისტრმა. – რაც შეეხება ტახტის მემკვიდრეს, ნეიტიკერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჭაბუკს აქვს სარდლის თვისებები: იგი მელასავით ფრთხილია და ლომივით შეუპოვარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან გუშინ ბევრი შეცდომა ჩაიდინა...

– რომელ ჩვენგანს არ მოსვლია შეცდომა?.. – ჩაურთო მანამდე გაჩუმებულმა პატროკლემ.

– მემკვიდრე, – განაგრძობდა მინისტრი, – ოსტატურად უძღვებოდა მთავარ კორპუსს, მაგრამ არ უზრუნია შტაბზე, რის გამოც ჩვენ ისე ნელა და უწესრიგოდ მივდიოდით, რომ ნეიტიკერმა მოახერხა ჩვენთვის გზა გადაეჭრა.

– იქნებ რამზესს თქვენი იმედი ჰქონდა, ღირსპატივსაცემო? – შენიშნა ნეიტიკერმა.

– მმართველობის საქმეში და ომში კაცს არავისი იმედი არ უნდა

ჰქონდეს. შეიძლება ფეხი დაჰკრა სულ პაწაწა შეუმჩნეველ ქვას და წაიფორხილო, – უპასუხა მინისტრმა.

– ყოვლადღირსო, – შენიშნა პატროკლემ, – თქვენ რომ არ გებრძანებინათ კოლონისათვის შარაგზიდან გადახვევა რაღაც სკარაბების გულისათვის...

– თქვენ, ყოვლადღირსო, უცხოელი და სხვა რჯულისა ხართ, – შეესიტყვა ხერიჰორი, – ამიტომაც ლაპარაკობთ ეგრე. ჩვენ კი, ეგვიპტელებს, გვესმის, რომ თუ ხალხი და ჯარისკაცები თავს დაანებებენ სკარაბების პატივისცემას, მაშინ მათს შვილებს აღარც ურიუსის[1] შიში ექნებათ. ღმერთების უპატივცემლობა ფარაონის საწინააღმდეგო ამბოხს წარმოშობს...

– ჩუგლუგები რიღას მაქნისია? – შეაწყვეტინა ნეიტიკერმა. – ვისაც სურს თავი შეინარჩუნოს მხრებზე, ის უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ბელადს.

– როგორია შენი საბოლოო აზრი მემკვიდრის შესახებ? – შეეკითხა ფარაონი ხერიჰორს.

– მზის ცოცხალო ხატებავ, ღმერთების ძევ! – უპასუხა მინისტრმა, უბრძანე ნელსურნელება სცხოს რამზესს, მიეცი მას დიდი ძეწკვი და ათი ტალანტი, მაგრამ ნეფატის კორპუსის სარდლად ნუ დანიშნავ. ბატონიშვილი ამ წოდებისათვის ჯერ მეტად ყმაწვილია, მეტად ფიცხია და გამოუცდელი. განა იგი შეედრება პატროკლეს, რომელმაც ოც ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ეთიოპელები და ლიბიელები? ან განა შეიძლება ის გვერდში ამოვუყენოთ ნეიტიკერს, რომლის სახელის გაგონება ოცი წლის მუდმივ გამარჯვებათა შემდეგ ფერს უკარგავს ჩვენს მტრებს აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით?

ფარაონმა თავი ხელებზე დაიდო და მცირე ფიქრის შემდეგ თქვა:

– წადით მშვიდობით და ჩემი წყალობით. მე მოვიქცევი ისე, როგორც მიბრძანებს სიბრძნე და სამართლიანობა.

დიდებულებმა მოწიწებით თაყვანი სცეს, ხოლო რამზეს XII-ს ამალისათვის არ მოუცდია. ისე გავიდა შორეულ პალატებში.

როცა ორივე სარდალი მარტონი დარჩნენ სასახლის წინ. კარში,

---

[1] ურიუსი – სათვალიანი გველი. ძველ ეგვიპტეში გველის გამოსახულება გვირგვინსა თუ დიადემაზე სამეფო ხელისუფლების სიმბოლო იყო.

ნეიტიკერმა პატროკლეს უთხრა:

– ვხედავ, ქურუმები აქ ისე მბრძანებლობენ, თითქოს თავის სახლში ყოფილიყვნენ... ნამდვილი არწივია ეს ხერიჰორი! სასტიკად დაგვამარცხა, ვიდრე ჩვენ პირის გაღებას მოვასწრებდით და... მემკვიდრეს არ მისცემს კორპუსს!..

– მე ისე შემაქო, რომ ენის შებრუნება ვეღარ გავუბედე, – თავს იმართლებდა პატროკლე.

– უნდა ითქვას, რომ ის მოკლებული არ არის შორსმჭვრეტელობას, თუმცა ყველაფერს არ ამბობს. მან იცის, რომ მემკვიდრის სარდლობის დროს კორპუსში შეძვრება ათასნაირი ბატონიშვილი იმათი წრიდან, ვისაც ლაშქრობაში თან დაჰყავს ხოლმე მომღერალი ქალები, და ხელში ჩაიგდებენ ყველა მაღალ თანამდებობას. ძველი ოფიცრები, განაწყენებულნი, რომ მათ წოდებას აღარ აძლევენ, უსაქმურობას მიეცემიან, ხოლო ახალგაზრდა პრანჭიებს დროსტარებაში საქმისათვის აღარ ეცლებათ და კორპუსი დაიშლება უფრო ადრე, ვიდრე მტერს შეხვდება. ო, ხერიჰორი ბრძენია!

– ნეტავი მისი სიბრძნე უფრო ძვირად არ დაგიჯდეთ, ვიდრე ახალგაზრდა მემკვიდრის გამოუცდელობა, – ჩასჩურჩულა ბერძენმა.

ფარაონმა განვლო მრავალსვეტებიანი და კედლებმოხატული პალატების ანფილადა, სადაც მის წინაშე ყოველ კართან დაბლა თავს ხრიდნენ ქურუმები და სამეფო კარის მოხელენი, და თავის კაბინეტში შევიდა. კაბინეტი წარმოადგენდა ორსართულიან დარბაზს; ალებასტრის კედლებზე ოქროთი და მკვეთრი საღებავებით გამოსახული იყო რამზეს XII-ის მეფობის ღირსშესანიშნავი შემთხვევები: ხარკის მოტანა შუამდინარეთის მოსახლეობის მიერ, ბუხთენის მეფის ელჩების მიღება, ბუხთენის მხარეში ღმერთ ხონსეს საზეიმო მსვლელობა.

ამ დარბაზში იდგა ღმერთ ჰორის[1] მალაქიტის ქანდაკი; ჰორს ჩიტის თავი ჰქონდა და ოქროთი და თვალით პატიოსანით იყო შემკული. მის წინ იდგა მოკვეთილი პირამიდის მოყვანილობის საკურთხეველი, მეფის საჭურველი, ძვირფასად მორთული სავარძლები და სკამები, აგრეთვე პატარა მაგიდები, რომლებზეც პატარ-პატარა ნივთე-

[1] ჰორი- ძველეგვიპტური ღმერთი მზისა, რომელიც ოზირისის შვილად ითვლებოდა. მას გამოხატავდნენ ქორცქვიტას ან ქორცქვიტასთავიანი ადამიანის სახით.

ბი და საგნები ეყარა.

ფარაონის შესვლისას ქურუმმა ნელსურნელება აღაკმია, ხოლო ერთმა კარისკაცმა ტახტის მემკვიდრის მოსვლა მოახსენა. მემკვიდრე მალე შემოვიდა და მამას მდაბლად დაუკრა თავი. ბატონიშვილის მეტყველ სახეს აღგზნებული მღელვარება ემჩნეოდა.

– მოხარული ვარ, შვილო ჩემო, – მიმართა ფარაონმა, რომ ჯანმრთელი დაბრუნდი მძიმე ლაშქრობიდან.

– მარად ცოცხლობდე და საქმეთა შენთა დიდებამ აღავსოს ორივე სამყარო! – უპასუხა ბატონიშვილმა.

– ეს არის ახლა, – განაგრძო ფარაონმა, – მიამბეს ჩემმა სამხედრო მრჩევლებმა შენი გულმოდგინება და მოსაზრებულობა.

მემკვიდრეს სახე უკრთოდა და ეცვლებოდა, ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. ის ფართოდ გახელილი თვალებით მიაშტერდა მამას და უსმენდა.

– შენი გმირობა უჯილდოოდ არ დარჩება. შენ მიიღებ ათ ტალანტს, დიდ ძეწკვს და... ბერძენთა ორ პოლკს, რომლებთანაც ვარჯიშობას ჩაატარებ.

მემკვიდრე გაშეშდა. წუთის შემდეგ ნაღვლიანი ხმით შეეკითხა:

– მენფატის კორპუსი?

– ერთი წლის შემდეგ გავიმეორებთ მანევრებს და თუ ჯარის სარდლობაში არც ერთ შეცდომას არ დაუშვებ, მიიღებ კორპუსს,

– ვიცი, ეს სულ ხერიჰორის ოინებია! – წამოიძახა მემკვიდრემ, რომელიც ძლივს იკავებდა აღშფოთებას.

მან მიმოიხედა და დაუმატა:

– არასოდეს არ შემიძლია შენთან მარტო ვიყო, მამავ... მუდამ ჩვენს შორის უცხონი არიან...

ფარაონმა ოდნავ შეარხია წარბი და მისი ამალა აჩრდილისებრ გაქრა.

– რისი თქმა გინდა?

– მხოლოდ ერთი რამ, მამავ, ხერიჰორი ჩემი მტერია. მან დამასმინა შენთან და ასეთი სირცხვილი დამატეხა თავს!..

თუმცა ბატონიშვილი მორჩილებით იდგა, მაგრამ ტუჩებს იკვნეტდა და მუშტებს კუმშავდა.

– ხერიჰორი ჩემი ერთგული მსახურია და შენი მეგობარი. მისი მფარველობის წყალობით გახდი შენ ტახტის მემკვიდრე. მე თვით არ ვანდობ კორპუსს ახალგაზრდა სარდალს, რომელიც ჯარს მოსწყვიტეს.

– მე შევუერთდი ჯარს!.. – უპასუხა მამის სიტყვებით გულმოკლულმა მემკვიდრემ. – ეს ხერიჰორი იყო, რომ ბრძანა გზა აგვეხვია ორი ხოჭოსთვის...

– მაშ შენ გინდა, ქურუმმა სარწმუნოება არად ჩააგდოს?

– მამავ, – აკანკალებული ხმით ჩურჩულებდა რამზესი, – ხოჭოებისათვის რომ ხელი არ შეეშალათ, დაანგრიეს მშენებარე არხი და მოკლეს კაცი.

– იმ კაცმა თვითონ მოიკლა თავი.

– ხერიჰორის მიზეზით!

– იმ პოლკებში, რომლებიც შენ ასე ოსტატურად მოაგროვე პი-ბაილოსთან, მოკვდა ოცდაათი კაცი, რომელთაც ვერ აიტანეს ლაშქრობის სიძნელენი, რამდენიმე ასი კი ავად გახდა.

მემკვიდრემ თავი ჩაქინდრა.

– რამზეს, – განაგრძობდა ფარაონი, – შენი პირით ლაპარაკობს არა სახელმწიფო კაცი, რომელიც არხების შენარჩუნებასა და მუშათა სიცოცხლეზე ფიქრობს, არამედ განრისხებული ადამიანი. მრისხანება კი ისევე ვერ ეგუება სამართლიანობას, როგორც მიმინო მტრედს.

– მამავ! – გაცხარდა მემკვიდრე, – თუ მე მრისხანება მალაპარაკებს, ეს იმიტომ, რომ ვხედავ, რა უკეთურად არიან განწყობილი ჩემდამი ხერიჰორი და ქურუმები...

– შენ თვითონ უმაღლესი ქურუმის შვილიშვილი ხარ. ქურუმები გასწავლიდნენ შენ... შენ უფრო მეტი შეიცანი მათი საიდუმლოება, ვიდრე რომელიმე სხვა ბატონიშვილმა..

– მე შევიცანი მათი გაუმაძღარი ქედმაღლობა და ძალაუფლების წყურვილი. მათ იციან, რომ ავლაგმავ და ამიტომაც ახლავე ჩემი მტრები გახდნენ. ხერიჰორს კორპუსის მოცემაც კი არ სურს. მას ურჩევნია მარტოკამ განაგოს მთელი არმია.

ეს წინდაუხედავი სიტყვები რომ წარმოთქვა მემკვიდრემ, თვითონვე შეშინდა. მაგრამ ხელმწიფემ მას ნათელი თვალით შეხედა და

მშვიდად უპასუხა:

– ჯარსა და სახელმწიფოს განვაგებ მე. ჩემგან მოდის ყველა ბრძანება და გადაწყვეტილება. ამქვეყნად მე განვასახიერებ ოზირისის სასწორს და მევე ვწონი ჩემ მსახურთა საქმეებს – მემკვიდრე იქნება იგი, მინისტრი თუ ხალხი.. შორსმჭვრეტელი არ ყოფილა ის, ვინც ფიქრობს, რომ ჩემთვის უცნობია სასწორის ყველა საწონი.

– კი, მაგრამ, შენ რომ საკუთარი თვალით გენახა, მამავ, მანევრების მსვლელობა...

– მაშინ შეიძლება მე დამენახა სარდალი, – შეაწყვეტინა ფარაონმა, – რომელიც გადამწყვეტ წუთში ძეძვიანში ებრაელ ქალიშვილს დასდევდა. მაგრამ მე არ მსურს ასეთი წვრილმანი ვიცოდე...

მემკვიდრე მამას ფეხებში ჩაუვარდა და ჩურჩულით შეეკითხა:

– თუტმოსმა გიამბო?..

– თუტმოსი ისეთივე ბალღია, როგორც შენ. ის უკვე იღებს ვალებს, როგორც მენფატის კორპუსის შტაბის მომავალი უფროსი, და ჰგონია, ფარაონი ვერ შეიტყობსო უდაბნოში ჩემს სიცელქეს.

თავი მეშვიდე

რამდენიმე დღის შემდეგ რამზესი მიიღო დედამისმა, დედოფალმა ნიკოტრისამ; დედოფალი ფარაონის მეორე ცოლი იყო, მაგრამ ახლა ეგვიპტის ყველა ქალთა შორის სხვებზე მაღალი ადგილი ეკავა.

ღმერთები არ შემცდარან, როდესაც მას მიაკუთვნეს მეფის მშობელი გამხდარიყო. ის იყო ტანმაღალი ქალი, საკმაოდ მსუქანი და, მიუხედავად ორმოცი წლისა, ჯერ კიდევ ლამაზი. მისი თვალები, სახე, მთელი მისი ტანადობა ისეთ სიდიადეს გამოხატავდა, რომ მაშინაც კი, როდესაც ქურუმი ქალის უბრალო ტანსაცმელი ეცვა და მარტო, უამალოდ დადიოდა, ყველანი უნებლიედ თავს ხრიდნენ მის წინ.

დედოფალმა შვილი შორენკეცით მოგებულ კაბინეტში მიიღო. თვითონ პალმის ქვეშ, ინკრუსტაციებით შემკულ სავარძელში იჯდა; მის ფეხებთან პატარა სკამზე იწვა ფინია; მეორე მხრით მუხლებზე იდგა შავი მონა ქალი მარაოთი. ფარაონის მეუღლეს ეცვა მარმაშის გამჭვირვალე, ოქრომკედით ამოქარგული მოსასხამი. მის პარიკზე

ლოტოსის მინაგვარი ძვირფასი ქვების დიადემა ბრჭყვიალებდა.

როდესაც მემკვიდრემ დედას თავი დაბლა დაუკრა, ფინიამ იგი დასუნა და კვლავ დაწვა, ხოლო დედოფალმა თავი დაუქნია და ჰკითხა:

– რად გინდოდა, რამზეს, ჩემი ნახვა?

– ჯერ კიდევ ამ ორი დღის წინ, დედილო...

– მე ვიცოდი, რომ შენ არ გცალოდა. დღეს კი ორივეს საკმაო დრო გვაქვს და მე შემიძლია მოგისმინო.

– შენ ისე მელაპარაკები, დედილო, რომ ასე მგონია, უდაბნოს ქარმა დამიბერა, ამიტომაც ვერ ვბედავ გამოვთქვა ჩემი თხოვნა.

– იქნებ ფული გჭირდება?

რამზესმა დარცხვენით ჩაქინდრა თავი.

– ბევრი?

– თხუთმეტი ტალანტი.

– ჰოი, ღმერთებო! – წამოიძახა დედოფალმა. – რამდენიმე დღის წინ ხომ გადაგიხადეს ხაზინიდან ათი ტალანტი. წადი, გოგონავ, ბაღში გაისეირნე, ალბათ დაიღალე! – მიმართა დედოფალმა შავ მონა ქალს და, როცა შვილთან მარტო დარჩა, შეეკითხა:

– ის შენი ებრაელი ქალი ასეთი მომთხოვნია?

რამზესი გაწითლდა, მაგრამ თავი მაღლა ასწია.

– შენ იცი, დედილო, რომ არა, – უპასუხა მან. – მაგრამ მე ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ჯილდოს შევპირდი და... გადახდა კი არ შემიძლია!

დედოფალმა საყვედურით შეხედა თავის ვაჟს.

– რა ცუდია, – თქვა მან, – როდესაც შვილი გადაწყვეტილებას იღებს დედასთან მოუთათბირებლად. სწორედ იმიტომ, რომ მახსოვდა მენი ასაკი, მინდოდა შენთვის მომეცა ფინიკიელი მხევალი, რომელიც ტვიროსიდან გამომიგზავნეს ათი ტალანტის მზითვით, მაგრამ შენ ებრაელი ქალი ამჯობინე.

– ის მომეწონა. მისებრ ლამაზი არავინაა არა მარტო შენს მსახურ ქალთა შორის, არამედ მისი უდიდებულესობის ქალებს შორისაც. -

– მაგრამ ის ხომ ებრაელია...

– მოიშორე ეგ ცრუ შეხედულება, დედილო!.. ტყუილია, თითქოს

ებრაელები ღორის ხორცს არ ჭამდნენ და კატებს ხოცავდნენ...

დედოფალს გაეღიმა.

– შენ ისე ლაპარაკობ, როგორც ქურუმთა დაბალი სკოლის მოწაფე, – მხრების აჩეჩით უპასუხა მან, – და გავიწადება, რა თქვა რამზეს დიდმა: „სახეყვითელი ხალხი ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვანი და მდიდარია. ვიმოქმედოთ მის წინააღმდეგ, მაგრამ ფრთხილად, რათა იგი კიდევ უფრო ძლიერი არ შეიქნესო...“ ამიტომ მე ვფიქრობ, რომ იმ ტომის ქალიშვილი ტახტის მემკვიდრის პირველ საყვარლად არ ივარგებს.

– ნუთუ რამზეს დიდის სიტყვები შეიძლება ვიღაც საბრალო მოიჯარის ქალიშვილს შეეხებოდეს? – წამოიძახა უფლისწულმა. მერე სად არიან ჩვენში ეს ებრაელები?.. უკვე სამი საუკუნეა, რაც მათ დატოვეს ეგვიპტე და ახლა შეადგენენ რაღაც სასაცილო სახელმწიფოს, რომელსაც სამღვდელოება განაგებს.

– ვხედავ, – ოდნავ წარბი შეჭმუხნა დედოფალმა, – შენი საყვარელი დროს არ ჰკარგავს, ფრთხილად იყავ, რამზეს! გახსოვდეს, მათი ბელადი ასე იყო, განდგომილი ქურუმი, რომელსაც ჩვენს ტაძრებში დღემდე სწყევლიან, გახსოვდეს, ებრაელებმა ეგვიპტიდან წაიღეს უფრო მეტი საგანძური, ვიდრე რამდენიმე თაობის მთელი მათი შრომა ღირდა. მათ მოგვტაცეს არა მარტო ოქრო, არამედ რწმენაც ერთადერთისა და ჩვენი საღვთო კანონებისა, რომლებსაც ამჟამად თავისად აცხადებენ. ამას გარდა, გახსოვდეს ისიც, – განსაკუთრებული მნიშვნელობით აღნიშნა მან, – რომ ამ ხალხის ასულთ სიკვდილი ურჩევნიათ, ვიდრე უცხო ტომის ადამიანის სარეცელი გაიზიარონ და თუ ზოგჯერ მტრების სარდლებს ნებდებიან, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი ებრაელების მხარეზე გადაიბირონ, ანდა მოკლან...

– მერწმუნე, დედავ, რომ ყველა ამ ჭორს ქურუმები ავრცელებენ. მათ არ სურთ ტახტის კვარცხლბეკს მიაკარონ სხვა სარწმუნოების ხალხი, რომელთაც შეუძლიათ ფარაონზე გავლენა იქონიონ მათ წინააღმდეგ.

დედოფალი წამოდგა, ხელები გულზე დაიკრიფა და განცვიფრებული მისჩერებოდა შვილს.

– მაშ მართალი ყოფილა, რაც მითხრეს, მაშ შენ ქურუმების მტერი

ხარ? – თქვა მან. – შენ, მათი საყვარელი მოწაფე?!.

– დიახ, დღემდეც მაჩნია ზურგზე მათი ჯოხების კვალი... – უპასუხა მემკვიდრემ.

– კი, მაგრამ პაპაშენი, ახლა ღმერთებთან მსუფევი მამაჩემი – ამენხოტეპიც ხომ უმაღლესი ქურუმი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს მხარეში.

– სწორედ იმიტომ, რომ მე შვილიშვილი და შვილი ვარ მბრძანებლებისა, ვერ ვურიგდები ხერიჰორის ძალაუფლებას.

– მაგრამ ეს ძალაუფლება მას პაპაშენმა, წმინდა ამენხოტეპმა ჩააბარა...

– მე კი ავდგები და დავამხობ მას!

დედამ მხრები აიჩეჩა.

– და შენ გსურს, – ნაღვლიანად წარმოთქვა მან, – კორპუსს სარდლობდე? შენ განებივრებული გომბიო უფრო ხარ, ვიდრე მამაკაცი და მეომარი.

– რა სთქვი?.. – შეაწყვეტინა მემკვიდრემ, რომელიც ძლივს იკავებდა თავს, რომ არ დაეყვირა.

– მე ვეღარ ვცნობ ჩემს ვაჟს... ვერ ვხედავ შენში ეგვიპტის მომავალ ხელმწიფეს!.. დინასტია შენი სახით უსაჭო ნავს დაემსგავსება... სასახლიდან განდევნი ქურუმებს და ვინღა დაგრჩება?.. ვინღა იქნება შენი თვალი ზემო და ქვემო ეგვიპტეში? საზღვარგარეთ?.. ხოლო ფარაონმა ხომ უნდა იცოდეს ყველაფერი, რასაც კი ოზირისის ღვთაებრივი სხივი ეფინება.

– ქურუმები იქნებიან ჩემი მსახურები და არა მინისტრები.

– ისინი კიდევაც არიან ყველაზე ერთგული მსახურები, მათი ლოცვითაა, რომ მამაშენი ოცდაცამეტი წელი მეფობს და თავიდან იცილებს ომებს, რომლებიც შეიძლებოდა დამღუპველი ყოფილიყო.

– ქურუმებისათვის!..

– ფარაონისათვის, სახელმწიფოსათვის, – სიტყვა შეაწყვეტინა დედოფალმა, – იცი, რა მდგომარეობაშია ჩვენი ხაზინა, საიდანაც შენ ერთ დღეს გაგაქვს ათი ტალანტი და კიდევ თხუთმეტს მოითხოვ? იცი თუ არა, რომ თუ არ თავგანწირვა ქურუმებისა, რომლებიც ხაზინისათვის ღმერთებსაც კი ართმევენ ნამდვილ თვალს პატიოსანს და ყალ-

ბით ცვლიან მათ, – სამეფო მამულები უკვე ფინიკიელების ხელში გადავიდოდა?..

– ერთი მარჯვე ომი ისე გაამდიდრებს ჩვენს ხაზინას, როგორც ნილოსის ადიდება ჩვენ მინდვრებს.

დედოფალმა გაიცინა.

– არა, რამზეს, – უთხრა მან, – შენ ჯერ კიდევ ისეთი ბალღი ხარ, რომ არც კი შეიძლება შენი უღვთო სიტყვები ცოდვად ჩაითვალოს. მიხედე, გეთაყვა, შენს ბერძენთა პოლკებს და ჩქარა მოიშორე ის ებრაელი ქალიშვილი. პოლიტიკა კი ჩვენ მოგვანდე.

– რატომ უნდა მოვიშორო სარა?

– იმიტომ, რომ თუ მას შენგან ვაჟი შეეძინა, შეიძლება ამას გართულება მოჰყვეს სახელმწიფოსათვის, რომელიც უმისოდაც გასაჭირშია. ქურუმებზე, – დაუმატა მან, – შეგიძლია ნაწყენი იყო, მაგრამ საჯაროდ ნუ შეურაცხყოფ. მათ იციან, რომ ტახტის მემკვიდრეს ბევრი რამ უნდა ეპატიოს, მეტადრე, როცა ასეთი ჯიუტი ხასიათი აქვს. მაგრამ დრო ყოველივეს დაამშვიდებს, დინასტიის სასახელოდ და სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მემკვიდრე ჩაფიქრდა და უეცრივ შეეკითხა:

– მაშასადამე, ხაზინიდან ფულის მიღების იმედი არ უნდა მქონდეს?

– არავითარ შემთხვევაში! უმაღლესი მწერალი დღესვე იძულებული იქნებოდა შეეწყვიტა ფულის გაღება, მე რომ არ მიმეცა მისთვის ორმოცი ტალანტი, რომელიც ტვიროსმა მიძღვნა,

– მაშ რა ვუყო ჯარს?.. – მოუთმენლად შუბლი მოისრისა ბატონიშვილმა.

– მოიშორე ებრაელი ქალი და სთხოვე ქურუმებს... იქნებ გასესხონ,

– არასოდეს! მირჩევნია ფინიკიელებს გამოვართვა.

დედოფალმა თავი გაიქნია.

– შენ ტახტის მემკვიდრე ხარ! მოიქეცი ისე, როგორც გინდოდეს... ოღონდ გაფრთხილებ, რომ დიდი წინდი უნდა მისცე, ხოლო ფინიკიელი, რაკი ერთხელ შენი კრედიტორი გახდება, ხელიდან აღარ გაგიშვებს. ისინი ებრაელებზე უფრო ვერაგები არიან.

– ასეთი ვალების დასაფარავად ჩემი შემოსავლის მცირე ნაწილიც

საკმაო იქნება.

– ვნახოთ... სულითა და გულით მსურდა დაგხმარებოდი, მაგრამ ფული არა მაქვს... – უთხრა დედოფალმა და ნაღვლიანად გაშალა ხელები. – მოიქეცი, როგორც გსურდეს, მაგრამ გახსოვდეს რომ ფინიკიელები ისე მოძვრებიან ჩვენს მამულებში, როგორც ვირთხები ბეღლებში: საკმარისია ერთი გაძვრეს ხვრელში, რომ სხვებიც თან მიჰყვებიან.

რამზესი წასვლას არ ჩქარობდა.

– კიდევ რაიმეს თქმა გინდა? – შეეკითხა დედოფალი.

– მე მინდოდა მხოლოდ მეკითხა... გული მეუბნება, რომ შენ, დედილო, რაღაც გეგმები გაქვს ჩემს მიმართ. რა გეგმებია?

დედოფალმა ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

– ახლა არა!.. ჯერ ადრეა!.. შენ ჯერ თავისუფალი ხარ, როგორც ყველა ახალგაზრდა აზნაური ჩვენში. შენც ისარგებლე ამით... მაგრამ, რამზეს, დადგება დრო, როდესაც უნდა შეირთო ცოლი, რომლის შვილები სამეფო სისხლის ბავშვები იქნებიან, ხოლო უფროსი ვაჟი – შენი მემკვიდრე. მე აი ამ დროზე ვფიქრობ.

– მერე რა მოიფიქრე?

– ჯერჯერობით არაფერი გარკვეული. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური სიბრძნე მიკარნახებს, რომ შენი ცოლი, ქურუმის ასული უნდა იქნეს.

– იქნებ ხერიჰორის ასული? – სიცილით წამოიძახა მემკვიდრემ.

– თუნდაც ეგრე იყოს, რა ურიგოა? ხერიჰორი სულ მალე გახდება უმაღლესი ქურუმი თებეში, მისი ასული კი ამჟამად თოთხმეტი წლისაა.

– და ეს ასული დათანხმდებოდა ჩემთან ებრაელი ქალის ადგილი დაეკავებინა? – დაცინვით შეეკითხა რამზესი.

– შენ უნდა შეეცადო, რომ ხალხმა დაივიწყოს ეგ შენი შეცდომა.

– ვეამბორები შენს ფეხებს, დედავ, და მივდივარ, – უთხრა რამზესმა. – მე აქ იმდენი საოცარი რამ მოვისმინე, ვშიშობ, ნილოსი ჭორომებისაკენ არ მიბრუნდეს ანდა პირამიდებმა აღმოსავლეთ უდაბნოში არ გადაინაცვლონ.

– ნუ მკრეხელობ, შვილო ჩემო, – ჩურჩულით ჩაულაპარაკა დედო-

ფალმა, რომელიც შეშფოთებით უცქეროდა ვაჟს, – ამ მხარეში უფრო მეტი სასწაულიც უნახავთ.

– ის ხომ არა, – მწარე ღიმილით შეეკითხა ვაჟი, – რომ სამეფო სასახლის კედლები უჩუმრად აყურადებენ თავის პატრონებს?

– ...რომ ფარაონები მეფობის სულ რამდენიმე თვის შემდეგ კვდებოდნენ და იღუპებოდნენ დინასტიები, რომლებიც ცხრა ხალხს განაგებდნენ.

– იმიტომ, რომ ის ფარაონები საგუნდრუკეების გულისათვის ხმალს ივიწყებდნენ, – უპასუხა ვაჟმა.

მან თავი დაუკრა დედას და გავიდა.

რაც უფრო წყდებოდა მემკვიდრის ფეხის ხმა ვეებერთელა დერეფანში, მით უფრო ეცვლებოდა სახის გამომეტყველება დედოფალ-დედას. მეფური სიმშვიდე მწუხარებით და შიშით შეეცვალა, ხოლო დიდრონ თვალებზე ცრემლი აუკიაფდა. მან მიირბინა ქალღმერთის ქანდაკებასთან, მუხლი მოიყარა, ჰინდური სურნელებანი მიმოაბნია ნაკვერცხლებზე და იწყო ლოცვა:

– ჰოი, იზიდავ, იზიდავ, იზიდავ![1] სამგზის ვიმეორებ შენს სახელს. ჰოი, იზიდავ, რომელიც წარმოშობ გველს, ნიანგს და სირაქლემას, სამგზის იდიდოს შენი სახელი... ჰოი, იზიდავ, რომელიც იცავ ჰურის მარცვლებს გამანადგურებელი ქარებისაგან და ჩვენთა წინაპართა სხეულს დროთა შემმუსვრელი მოქმედებისაგან! ჰოი, იზიდავ, შეიწყალე და დაიხსენ ვაჟი ჩემი! სამგზის მეორდებოდეს შენი სახელი აქაც... იქაც... და ყველგან... აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ვიდრე ჩვენი ღმერთების ტაძრები ნილოსის წყალს ჩასცქერიან.

ასეთი ვედრებით და ქვითინით დაიხარა დედოფალი და შუბლით შეეხო იატაკს. იმწამს მის თავთით მოისმა წყნარი ჩურჩული:

– ხმა მართალთა მარად იქნება შესმენილი...

დედოფალი წამოხტა და გაოცებით მიმოიხედა, მაგრამ დარბაზში არავინ იყო, – მარტოოდენ კედლებიდან უცქეროდნენ ზედ დახატული ვარდები, ხოლო საკურთხევლიდან – ქალღმერთის არაამქვეყ-

[1] იზიდა – ძველეგვიპტური ღმერთქალის დედა, რომელიც ოზირისის მეუღლედ და ჰორის დედად ითვლებოდა, ჩვეულებრივად მას გამოსახავდნენ ქალის სახით, რომელსაც მუხლებზე ბალღი უზის.

ნიური სიმშვიდით მოსილი ქანდაკება.

თავი მერვე

მემკვიდრე დაღონებული დაბრუნდა თავის პავილიონში და მიიხ-მო თუტმოსი.

– შენ უნდა მასწავლო, როგორ ვიშოვნო ფული.

– ოჰო! – გაიცინა კოპწია ადიუტანტმა, – აი სიბრძნე, რომელსაც არ ასწავლიან ქურუმთა ყველაზე უმაღლეს სკოლებში, მე კი შემეძლო ამ სიბრძნის მქადაგებელი ვყოფილიყავი.

– იქ ასწავლიან, სესხს ნუ აიღებთო, – შენიშნა ბატონიშვილმა.

– მე რომ არ მეშინოდეს, ბაგენი ჩემნი მკრეხელობენ-მეთქი, ვიტ-ყოდი, რომ ზოგიერთი ქურუმი ცუდუბრალოდ კარგავს დროს. საცო-დავი ხალხია, თუმც წმინდანები კი არიან. ხორცს არ ჭამენ, ერთ ცოლს სჯერდებიან ანდა სულ გაურბიან ქალებს და არ იციან, რას ნიშნავს ფულის სესხად აღება... ბედნიერი ვარ, რამზეს, – განაგრძობდა თუტ-მოსი, – რომ ამ ხელოვნებას ჩემი რჩევების წყალობით ეცნობი. ახლა შენ უკვე იცი, რა მწუხარებას გვაყენებს ფულის უქონლობა. ადამიანი, რომელსაც ფული ესაჭიროება, მადას კარგავს. ძილში ხტის, ქალებს ისე განცვიფრებით უცქერის, თითქოს კითხულობს, ნეტავი რა საჭი-რო არიანო? ასეთ ადამიანს გრილ ტაძარში ყოფნისას სახე უხურს, ხოლო უდაბნოში, შუაგული პაპანების დროს ისე კანკალებს, თითქოს აციებსო. იგი გიჟივით მისჩერებია ერთ წერტილს და არ ესმის, რას ეუბნებიან. პარიკი გვერდზე მოჰქცევია და სურნელებით დანამული არ არის... მისი დამშვიდება შეუძლია მხოლოდ ერთ ჭიქა მაგარ ღვი-ნოს და ისიც მცირე ხნით, რადგან მოვა თუ არა საბრალო. გონს, კვლავ ისე იგრძნობს თავს, თითქოს ფეხქვეშ დედამიწა უსკდება...

– შენი ფეხაჩქარებული სიარულისა და აღელვებული მოძრაობის მიხედვით, ვხედავ, – განაგრძო კოპწიამ, – რომ ახლა სასოწარკვეთი-ლებას განიცდი, რადგან ფული არა გაქვს. მაგრამ მალე დაგეუფლება სხვა გრძნობა – თითქოს გულიდან დიდი სფინქსი მოგხსნესო. მერე თავს მისცემ წინანდელი ზრუნვისა და ახლანდელი კრედიტორების სასიამოვნო დავიწყებას. შემდეგ კი... ეჰ, საბრალო რამზეს, კიდევ იშ-

ვიათი სიურპრიზები გელის!.. ვინაიდან, როცა მოვა ვადა და კრედიტორები დაიწყებენ შენთან მოსვლას ვითომდა იმისათვის, რომ თავიანთ პატივისცემა დაგიდასტურონ, შენ დაემგვანები ირემს, რომელსაც ძაღლები მისდევენ, ანდა ეგვიპტელ ქალიშვილს, რომელიც მდინარიდან წყალს იღებს და უეცრივ ნიანგის ხორკლიან ზურგს დაინახავს...

– ყოველივე ეს ძალიან სასაცილოა, – სიცილით შეაჩერა იგი რამზესმა, – მაგრამ ამით ერთი დრახმაც კი არ მემატება.

– მეგიძლია არ დაამთავრო, – "შეაწყვეტინა თუტმოსმა – ახლავე მივდივარ ფინიკიელ ბანკირ დაგონთან და ამ საღამოსვე კიდეც რომ არ მოგცეს ფული, დამშვიდდები მაინც.

ის გავარდა გარეთ, ჩაჯდა მომცრო ტახტრევანში და მსახურებითა და მისებრ თავქარიანი ამხანაგებით გარემოცული მიეფარა ბაღის ხეივანს.

მზის ჩასვლისას მემკვიდრის სახლთან მივიდა მემფისში დიდად ცნობილი ბანკირი, ფინიკიელი დაგონი. იგი ჯერ კიდევ ჯანმაგარი კაცი იყო, ყვითელი, ხმელი, მაგრამ ტანადი. ტანთ ეცვა მტრედისფერი კვართი და ზემოდან წმინდა ქსოვილის თეთრი ლაბადა ესხა. ოქროს რგოლით დამაგრებული გრძელი თმა და საუცხოოდ გაფანტული წვერი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ეგვიპტელ კოპწიათა პარიკებისა და ყალბი წვერების გვერდით.

ტახტის მემკვიდრის პალატებში არისტოკრატი ახალგაზრდობა ირეოდა. ზოგი ბანაობდა და ნელსურნელებას იცხებდა, ზოგი კოჭს თამაშობდა, სხვებს კიდევ რამდენიმე მოცეკვავე ქალი აეყოლებინათ და ყათარზე კარვის ქვეშ ღვინოს შეექცეოდნენ.

მემკვიდრე არც სვამდა, არც თამაშობდა და არც ქალებს ესაუბრებოდა; იგი ყათარის მოაჯირის გაყოლებით დადიოდა და მოუთმენლად მიელოდა ფინიკიელს. როგორც კი ხეივანში გამოჩნდა ორ ვირზე მიბმულ ტახტრევანში მჯდომი ფინიკიელი, უფლისწული ჩავიდა ქვევით, სადაც თავისუფალი ოთახი იყო. ერთი წუთის შემდეგ კარებში გამოჩნდა დაგონი, მან ზღურბლთან მუხლი მოიყარა და წამოიძახა:

– სალამი შენდა, ეგვიპტის ახალო მზევ... ცოცხლობდე მარად და

დიდება შენი მოეფინოს უშორეულეს ნაპირებს, სადამდეც კი ფინიკიური ხომალდები აღწევს...

მემკვიდრის ბრძანებით იგი წამოდგა და ხელების ქნევით დაიწყო ლაპარაკი:

– როდესაც კეთილშობილი თუტმოსი ტახტრევანიდან გადმობრძანდა ჩემი ფაცხის წინ (ჩემი სახლი ფაცხაა შენს სასახლესთან შედარებით!), სახე ისე უბრწყინავდა, რომ მაშინვე დავუძახე ჩემს ცოლს: „ფამარ, კეთილშობილი თუტმოსი ჩვენთან მობრძანდა არა თავის საქმეზე, არამედ ვიღაცის გულისათვის, ვინც მასზე იმდენად მაღალია, რამდენადაც ლიბანი ზღვისპირა ქვიშაზე-მეთქი“. ცოლი კი მეკითხება: „საიდან იცი, ბატონო ჩემო, რომ უკეთილშობილესი თუტმოსი თავის საქმეზე არ მობრძანებულაო?“ – „იქიდან, რომ მას არ შეეძლო ფული მოეტანა, რადგან არ აქვს, და არც ფულისათვის მობრძანებულა, რადგან მეც არა მაქვს-მეთქი“. აქ ჩვენ ორივე მივესალმეთ კეთილშობილ თუტმოსს. ხოლო როცა მან გვითხრა, რომ ეს შენ, მაღალღირსო ბატონო, გსურს მიიღო შენი მონისაგან თხუთმეტი ტალანტი, მე შევეკითხე ცოლს: „თამარ, განა ცუდად მიკარნახა ჩემმა გულმა?“ მან კი მიპასუხა: „დაგონ, შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, რომ ტახტის მემკვიდრის მრჩეველი უნდა იყოო“.

რამზესი აღშფოთებული იყო, მაგრამ ყურს უგდებდა მევახშეს. ასე იქცეოდა ის, ვინც ხშირად ჰკარგავდა მოთმინებას საკუთარი დედისა და ფარაონის თანდასწრებითაც კი.

– როდესაც ჩვენ, – განაგრძობდა ფინიკიელი, – კარგად მოვიფიქრეთ და ჯეროვანად მოვისაზრეთ, რომ შენ, ბატონო, გესაჭიროება ჩემი სამსახური, ჩვენს სახლს ისეთი სიხარული მოეფინა, რომ ვუბრძანე მიეცათ მსახურთათვის ათი დოქი ლუდი, ხოლო ჩემმა ცოლმა ფამარმა ახალი საყურების ყიდვა მომთხოვა, ჩემი სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ როცა აქეთ მოვდიოდი, გამყოლს არ დავანებე ვირების ცემა. ხოლო როდესაც ჩემი უღირსი ფეხები შენი სასახლის ზღურბლს შეეხო, უფლისწულო, ამოვიღე ოქროს ბეჭედი (უფრო დიდი, ვიდრე ის, რომელიც უწმიდესმა ხერიჰორმა ენანას უწყალობა) და ვაჩუქე ეს ბეჭედი შენს მონას, რომელმაც წყალი მომაწოდა ხელთა დასაბანად. ნება მიბოძე გკითხო, საიდანაა ის ვერცხლის სურა, რომლითაც ხელ-

ზე წყალს მისხამდნენ?

– გაბერის ვაჟმა, აზარიამ მომყიდა ორ ტალანტად.

– ებრაელმა? შენ, ხელმწიფევ, ებრაელებთან გაქვს საქმე? მერე რას იტყვიან ამაზე ღმერთები?..

– აზარია ისეთივე მოვაჭრეა, როგორც შენ, – შენიშნა მემკვიდრემ.

ამის გაგონებაზე დაგონმა ორივე ხელი თავში წაივლო, თან იფურთხებოდა და მოთქვამდა:

– ჰოი, ბაალო[1], თამუზო!.. ჰოი, ბაალიტო!.. ჰოი, აშტორეტო!.. აზარია, გაბერის ვაჟი, ებრაელი, ისეთივე მოვაჭრეა, როგორიც მე!.. ჰოი, ჩემო ფეხებო, რად მომიყვანეთ აქ? .. ჰოი, გულო ჩემო, რისთვის იცმენ ამდენ ტანჯვას და დაცინვას? ჰოი, ყოვლადღირსო ხელმწიფევ! – გოდებდა ფინიკიელი, – მცემე, მომკვეთე ხელი, უკეთუ მე ყალბი ოქრო გავაკეთო, ოღონდ ნუ მეტყვი, რომ ებრაელს შეუძლია ვაჭარი იყოს. უმალ ტვიროსი ნანგრევებად იქცევა, უმალ სიდონს[2] ქვიშა დაფარავს, ვიდრე ებრაელი ვაჭარი გახდება. მათ შეუძლიათ თავიანთი გაძვალტყავებული თხები წველონ, ანდა ეგვიპტელი შოლტის ქვეშ თიხას ჩალა შეაზილონ, მაგრამ ვაჭრობა მათი საქმე არ არის. ფუი! ფუი! უწმინდური მონები! ქურდები... მძარცველები!

რამზესმა კინაღამ იფეთქა, მაგრამ თავი შეიკავა, რაც თვითონვე უკვირდა, რადგან აქამდე ჩვეული არ იყო ვისიმე წინაშე თავის შეკავებას.

– მაშ ასე, – შეაჩერა მან ბოლოს ფინიკიელი, – მასესხებ, პატივცემულო დაგონ, თხუთმეტ ტალანტს?

– ჰოი, აშტორეტო! თხუთმეტი ტალანტი ისე ბევრია, რომ თუ არ ჩამოვჯექი, კარგად ვერ მოვისაზრებ.

– ჰოდა დაჯექი.

– ერთ ტალანტად, – დაიწყო გამოანგარიშება სავარძელში ჩამ-

---

[1] ფინიკიური ღმერთები ბაალი ანუ ვაალი - ცის ღმერთია, უმაღლესი ღმერთი. თამუზი – ღმერთი ბუნებისა, რომელიც კვდება და კვლავ განახლდება. ბაალიტი – უმაღლესი ქალღმერთი, ბაალის მეუღლე. აშტორეტი – ბუნებისა და სიყვარულის ქალღმერთი.

[2] სიდონი – ფინიკიის ერთი უძველესი ქალაქთაგანი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე მდებარეობდა. ძვ.წ. X ს-ში აყვავებას მიაღწია, როგორც მსხვილმა სავაჭრო ცენტრმა.

ჯდარმა ფინიკიელმა, – მე შემიძლია მივიღო ოცი ოქროს ძეწკვი, ან სამოცი მეწველი ძროხა; ან კიდევ შავი სამუშაოსათვის ათი მონა, ან ერთი მონა, რომელმაც იცის ფლეიტაზე დაკვრა ან ხატვა, და იქნებ მკურნალობაც, ტალანტი ხომ მთელი ქონებაა...

მემკვიდრის თვალებმა ელვა დაკვესეს.

– მაშ, თუ თხუთმეტი ტალანტი არა გაქვს... – სიტყვა შეაწყვეტინა მან მევახშეს.

ფინიკიელი შიშით მსწრაფლ სავარძლიდან იატაკზე ჩამოსრიალდა.

– ამ ქალაქში ვინ არის ისეთი, – წამოიძახა მან, – რომ ვერ გააჩინოს ფული შენს განკარგულებაში გადმოსაცემად, მზის შვილო?.. მართალია, მე თვითონ ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი ვარ, და მთელი ჩემი ოქრო, ძვირფასეულობა და ყველა იჯარა ერთ შენს შეხედვადაც არა ღირს, მაღალღირსო ხელმწიფევ. მაგრამ საკმარისია ჩვენი ვაჭრები ჩამოვიარო და ვამცნო, თუ ვინ წარმომგზავნა, რომ ხვალვე თუნდაც ქვესკნელში გამოვნახავთ თხუთმეტ ტალანტს მეფის ძევ, გამხმარ ლეღვის ხესთანაც რომ შეჩერდე და უთხრა „მომეცი ფულიო, – ისიც კი მოგცემს... ოღონდ ეგრე ნუ მიყურებ, ჰორის შვილო, თორემ გული მიღონდება და თავბრუ მესხმის, – შესაბრალის ხმით წარმოთქვა ფინიკიელმა.

– ჰოდა, დაჯექი, დაჯექი, – ღიმილით უთხრა მემკვიდრემ. – დაგონი იატაკიდან წამოდგა და უფრო მოხერხებულად ჩაჯდა სავარძელში.

– რამდენი ხნით გინდა თხუთმეტი ტალანტი? – შეეკითხა იგი.

– მე ვფიქრობ – ერთი წლით...

– სჯობს პირდაპირ ვთქვათ: სამი წლით. ერთ წელიწადში თხუთმეტი ტალანტის გადახდა შეეძლებოდა მხოლოდ მეფეს და არა ყმაწვილ მეფისწულს, რომელმაც ყოველდღე უნდა მიიღოს მხიარული აზნაურები და ლამაზი ქალები. ოჰ, ეს ქალები!.. ნება მომეცი გკითხო, მართალია თუ არა, რომ შენ წამოიყვანე გედეონის ასული სარა?

– პროცენტს რამდენს თხოულობ? – შეაწყვეტინა მემკვიდრემ.

– იმდენად უმნიშვნელო რასმე, სალაპარაკოდაც რომ არ ღირს. თხუთმეტ ტალანტში ყოველწლიურად მომცემ ხუთ-ხუთ ტალანტს,

და სამი წლის განმავლობაში მე თვითონ ავიღებ ყველაფერს ისე, რომ შენ არც კი გეცოდინება...

– დღეს თხუთმეტ ტალანტს მომცემ, ხოლო სამი წლის შემდეგ ოცდაათს მიღებ?

– ეგვიპტის კანოსი ნებას გვაძლევს, პროცენტების ჯამი სესხის ჯამს უდრიდეს, დარცხვენით ეპასუხა ფინიკიელმა.

– განა ეგ მეტისმეტად ბევრი არ არის?

– მეტისმეტად ბევრი?.. – წამოიყვირა დაგონმა. – ყოველ დიდ ბატონს აქვს დიდი კარი, დიდი ქონება და იხდის მხოლოდ დიდ პროცენტებს. მე შემრცხვებოდა, ტახტის მემკვიდრისაგან უფრო ნაკლები ამეღო. შენ თვითონაც შეგეძლო გებრძანებინა ჩემი ცემა და კინწისკვრით გაგდება, თუ მე გავკადნიერდებოდი და ნაკლებს მოვითხოვდი...

– მერე როდის მომიტან ფულს?

– მოგიტანო?.. ჰოი, ღმერთებო! ეს ერთი ადამიანის ძალას აღემატება. უმჯობესია ასე მოვიქცე: მე თვითონ გავუსწორდები ყველას შენს მაგიერ ისე, რომ შენ არ მოგიხდეს ასეთი წვრილმანი საქმეებით თავის გამოტენა.

– განა შენ იცი, ვის რა უნდა გადავუხადო?

– ვფიქრობ, ვიცი, – დაუდევრად უპასუხა ფინიკიელმა. – შენ გსურს ექვსი ტალანტი გაგზავნო აღმოსავლეთ ჯარისათვის, – ამას შეასრულებენ ჩვენი ბანკირები ხეტემა და მიგდოლში. სამი ტალანტი კეთილშობილ ნეიტიკერს და სამიც – კეთილშობილ პატროკლეს, – ეს შეიძლება აქვე მოგვარდეს. ხოლო სარას და მის მამას გედეონს შემიძლია გადავუხადო იმ საძაგელი აზარიას მეშვეობით... ასე უკეთესიც იქნება, თორემ ერთიც ვნახოთ და მოგატყუეს ანგარიშში.

რამზესმა ნერვული სიარული დაიწყო ოთახში.

– მაშასადამე, ოცდაათი ტალანტის ხელწერილი უნდა მოგცე?

– რა ხელწერილი, რა საჭიროა, ხელწერილი?.. რად მინდა ხელწერილი?.. მეფისწული მე სამი წლის ვადით იჯარით გადმომცემს თავის მამულებს ტასეტის, სეპას, ხეკა-ანე-. ჯის, იმუ-პერუს, ხესე-ბის და აბუს ნომებში.

– იჯარით? - შეეკითხა მემკვიდრე. – ეგ არ მომწონს...

– მაშ როგორ მივიღებ ჩემს ფულს, ჩემს ოცდაათ ტალანტს?

– მოითმინე. მე უნდა შევეკითხო ჩემს მოურავს, რა შემოსავალს მაძლევს ეს მამულები წლიურად.

– აბა რად უნდა შეიწუხოს თავი თქვენმა უმაღლესობამ!.. რა იცის მოურავმა! მან არაფერი იცის, ენდე პატიოსან ფინიკიელს. წელი წელს არ ჰგავს, როგორი მოსავალიცაა, ისეთია შემოსავალიც, მე რომ ამ საქმეში ზარალი ვნახო, განა მოურავი ამინაზღაურებს?

– საქმე იმაშია, დაგონ, რომ, მე მგონია, ეს მამულები ათ ტალანტზე მეტს იძლევა წლიურად...

– ბატონიშვილი მე არ მენდობა? კეთილი! თუ გნებავს, მე შემიძლია ჩამოვაკლო მამულები სეპაში. როგორ? შენ ისევ გგონია, რომ ბევრს მოვითხოვ... კარგი, დავთმობ წესებსაც. მაგრამ რა შუაშია აქ მოურავი? მან უნდა გასწავლოს ჭკუა?.. ჰოი, აშტორეტო! ძილი და მადა დამეკარგებოდა, თუ ვიღაც მოურავი, ხელქვეითი, მონა გაბედავდა რამეზე მიეთითებინა ჩემი ყოვლადმოწყალე ხელმწიფისათვის. აქ საჭიროა მხოლოდ მწერალი, რომელიც დაწერს, რომ მეფისწულმა გადმომცა მე იჯარით ამა და ამ ნომებში მამულები სამი წლით, აგრეთვე თექვსმეტი მოწმე იმისა, რომ მე ღირსი გავხდი თქვენი უმაღლესობის მხრივ ასეთი პატივისა. რად უნდა იცოდნენ მოსამსახურეებმა, რომ მათი ბატონი ჩემგან ფულს სესხულობს?..

მემკვიდრეს მოსწყინდა ეს ლაპარაკი, ხელი ჩაიქნია და უთხრა:

– ხვალ მოიტანე ფული და თან მოიყვანე მწერალი და მოწმეები. მე მაგის თავი არა მაქვს.

– აი ეს ბრძნული სიტყვაა! – წამოიძახა ფინიკიელმა. მარად ცოცხლობდე შენ, უკეთილშობილესო ხელმწიფევ!..

თავი მეცხრე

ნილოსის მარცხენა ნაპირას, მემფისის ერთ-ერთი ჩრდილო გარეუბნის კიდეში იყო კარ-მიდამო, რომელიც ტახტის მემკვიდრემ საცხოვრებლად გადასცა იუდეველ გედეონის ასულს სარას.

ეს იყო ოციოდე ჰექტარი მიწის ნაკვეთი, თითქმის ოთხკუთხედი. საცხოვრებელი სახლის სახურავიდან მთელი ეს ნაკვეთი ისე მოჩან-

და, თითქოს ხელისგულზე გადაშლილიყო. ბორცვის ფერდობზე გაშენებული საკარმიდამო ადგილ-მამული ოთხ იარუსად იყო დაყოფილი. ორი ყველაზე დიდი ქვედა ნაკვეთი, რომლებსაც ყოველთვის გადმოუვლიდა ხოლმე ნილოსი, ყანებისა და ბოსტნებისათვის იყო განკუთვნილი. მესამე იარუსზე, რომელიც ყოველთვის არ ილეკებოდა, ხარობდა პალმები, ლეღვი და სხვა ხეხილი. მეოთხე, სულ მაღალ იარუსზე ხარობდა ზეთისხილის ხეები, ვენახი, კაკლის ხე და წაბლი. მათ შორის იდგა საცხოვრებელი სახლიც.

სახლი ხისა იყო, ორსართულიანი, ჩვეულებისამებრ – ყათარითა და ტილოს კარვით. ქვევით ცხოვრობდა რამზესის შავი მონა, ზევით კი სარა თავისი ნათესავი ქალითა და მოახლე ტაფეტით. ეზოს გარს ერტყა ალიზის გალავანი, გალავანს იქით, ოდნავ დაშორებით, მდებარეობდა პირუტყვის, მუშებისა და ზედამხედველების სადგომები.

სარას ოთახები შედარებით მომცრო, მაგრამ კოხტად მორთული იყო. იატაკი ხალიჩებით იყო მოგებული, კარფანჯ– რებზე ნაირი ფერის ზოლიანი ფარდები ეკიდა. ჩუქურთმიანი საწოლები და ინკრუსტაციით შემკობილი სკამები, ტანსაცმლის ზანდუკები, ერთ ან სამფეხიანი მაგიდები, ზედ კი ყვავილის ქოთნები, მშვენიერი საღვინე დოქები, სუნამოს შუშიანი ზარდახშები, ოქროს და ვერცხლის თასები და კათხები, ქაშანურის ლარნაკები და ფიალები, ბრინჯაოს სანათურები. საოჯახო მოწყობილობის ყოველი უმნიშვნელო საგანიც კი – ავეჯი იყო ეს თუ ჭურჭელი – შემკობილი იყო ჩუქურთმებით ან ნაირი სურათებით, ხოლო ყოველი ტანსაცმელი – ნაქარგითა და ფოჩებით.

უკვე ათი დღე ცხოვრობდა ამ მყუდრო კუთხეში სარა, რომელიც შიშისა და სირცხვილისაგან ემალებოდა ადამიანებს, ისე რომ მამულის მუშაკთაგანსაც კი თითქმის არავის ენახა. ის იჯდა ფარდაჩამოფარებულ სარკმლებიან ოთახში, კერავდა, ტილოს ქსოვდა პატარა დგიმზე, ან რამზესისათვის ცოცხალი ყვავილების თაიგულებს წნავდა. ზოგჯერ ყათარზე გამოდიოდა, ფრთხილად გადახსნიდა კარვის ფარდას და ტკბებოდა ნავებით მოფენილი ნილოსის მზერით, რომლებზეც მენიჩბეები მხიარულ სიმღერებს დამღეროდნენ, ან შიშით უცქერდა ნაცრისფერ პილონებს სამეფო სასახლისას, რომელიც მდუმარედ და კუშტად აღმართულიყო მდინარის გაღმა, – და კვლავ უბ-

რუნდებოდა თავის საქმიანობას.

– დაჯექ აქ, ძალუავ, – ეძახდა იგი ტაფეტს, – რას აკეთებ ქვევით?..

– მებაღემ ხილი მოიტანა, ქალაქიდან კიდევ პური, ღვინო და ნანადირევი ხორცი გამოგზავნეს, უნდა მიმეღო.

– აქ იჯექ ცოტა ხანს და მელაპარაკე, თორემ მეშინია.

– რა სულელი გოგონა ხარ! – სიცილით უპასუხებდა ტაფეტი. – პირველ დღეს მეც მეშინოდა სახლიდან ცხვირი გამომეყო. მაგრამ გალავანს იქით გავიხედე თუ არა, ყველაფერმა გამიარა. ნეტავ ვისი უნდა მეშინოდეს აქ, როცა ყველანი მუხლს იყრიან ჩემს წინ? შენს წინ ხომ ალბათ სულ ყირამალა დადგებიან... გადი ბაღში, ნამდვილი სამოთხეა. გაიხედე ყანაში, სადაც პურს მკიან... ჩაჯექ მოხატულ ნავში, – მენავეები დარდისაგან ილევიან, ისე უნდათ შენი ნახვა და ნილოსში გასეირნება.

– მეშინია.

– რისი?

– თავად არ ვიცი; ვიდრე მუშაობაში ვარ გართული, ასე მგონია, ჩემს სახლში ვარ – იქ, ჩვენს ხეობაში და საცაა მამა მოვა-მეთქი... მაგრამ საკმარისია ქარმა ოდნავ გადასწიოს ფარდა სარკმელთან და მე ზემოდან დავინახო ეს. უზარმაზარი, უსაზღვრო მხარე. და მეჩვენება... იცი რა? – რომ მე კლანჭები ჩამასო ქორმა და გამიტაცა თავის ბუდეში კლდე ხე, საიდანაც ვეღარ ჩამოვალ...

– აჰ, ნეტავი გენახა, როგორი აბაზანა გამოგზავნა დღეს უფლისწულმა, – სპილენძის აბაზანაა!.. ახლა სამფეხა– ცეცხლისათვის, ან ქოთნები და სატაცები როგორია!.. იცი რა? დღეს ორი კრუხი დავსვი კვერცხებზე და მალე წიწილები გვეყოლება...

მზის ჩასვლის შემდეგ, როცა ვერავინ დაინახავდა, სარა უფრო გაბედული ხდებოდა: გადიოდა ყათარზე და მდინარეს გადაჰყურებდა. როდესაც შორით გამოჩნდებოდა ჩირაღდნებით განათებული ნავი, ცეცხლოვან ზოლებს რომ აფრქვევდა შავ წყალს, ხელებს მკერდზე მიიკრავდა და საბრალო გული დაჭერილი ჩიტივით უფართხალებდა. სარამ იცოდა, რომ რამზესი მოდიოდა მასთან ნავით, და თვითონვე ვერ გაერკვია, რა იყო ის, რაც მის სულში ხდებოდა. სიხარული იმ ლამაზ ჭაბუკთან შეხვედრის წინ, რომელსაც პირველად იქ, მშობ-

ლიურ ხეობაში შეხვდა, თუ შიში, რომ კვლავ იხილავს დიდ ხელმწიფესა და მბრძანებელს, რომლის წინაშეც კრთოდა.

ერთხელ, შაბათის წინადღეს, მამულში მოვიდა გედეონი, რაც სარა ამ სახლში დაბინავდა, მამას ჯერ არ ენახა. ქალი ტირილით მივარდა, თვითონ დაბანა ფეხები და თავს კოცნით მოასხურა სურნელება. გედეონი ხანში შესული, მკაცრი სახის კაცი იყო. ეცვა კოჭებამდე გრძელი, ჭრელქობაშემოვლებული პერანგი, ზემოდან კი ყვითელი უსახელო წამოსასხამისმაგვარი ხიფთანი, რომელიც გულმკერდსა და ზურგზე ეშვებოდა. თავს წოწოლა ქუდი ეხურა.

– შენ მოხვედი?.. მოხვედი!.. – გაიძახოდა სარა და კვლავ უკოცნიდა მამას ხელებს, პირსა და თმას.

– მე თვითონ მიკვირს, როგორ ვარ აქ! – ნაღვლიანად უპასუხა გედეონმა. – ქურდსავით, ფეხაკრეფით მოვიპარებოდი, ბაღიდან შემოვედი. მემფისიდან დაწყებული, მეჩვენებოდა, ყველა გამვლელ-გამოვლელი ჩემკენ იშვერს თითს და ყველა შემხვედრი ებრაელი მაფურთხებს.

– ხომ შენ თვითონ მიმეც მემკვიდრეს, მამავ! – წაიჩურჩულა სარამ.

– მიგეცი... მაშ რა მექნა? თუმცა მეჩვენება, ჩემზე მიუთითებენ და მაფურთხებენ-მეთქი. ჩემი ნაცნობი ეგვიპტელებიდან ყველაზე მდაბალ სალამს სწორედ უფრო წარჩინებულნი მაძლევენ. იმ ხნის განმავლობაში, რაც შენ აქ ხარ, ჩვენმა ბატონმა, სენუსენტმა მითხრა, სახლი უნდა გაგიფართოო; ბატონმა ხაიმ ერთი პატარა კასრი საუკეთესო ღვინო მიწყალობა, ხოლო უღირსესმა ჩვენმა ნომარქოსმა ნდობით აღჭურვილი მსახური წარმოგზავნა შენი ჯანმრთელობის გასაგებად, თან შემომითვალა, თანახმა იქნები თუ არა, მოურავად დამიდგეო.

– ებრაელები რაღას ამბობენ? – შეეკითხა სარა.

– რა უნდა თქვან?.. მათ იციან, რომ იძულებული შევიქენ დავთანხმებულიყავი. ჰოდა. არც ერთი მათგანი უარს არ იტყოდა, რომ მათდამიც ასეთივე ძალადობა ჩაედინათ. უფალმა ღმერთმა გაგვსაჯოს. ამას თავი დავანებოთ: შენი ამბავი მითხარი. – როგორა ხარ?

– სამოთხეშიც არ იქნებოდა ამაზე უკეთ, – ჩაერია საუბარში ტაფეტი. – მთელი დღე ეზიდებიან ჩვენთან ხილს, ღვინოს, პურს, ხორცს,

რაც კი სულსა და გულს მოესურვება, რომ იცოდეთ, რა აბაზანა გვაქვს! მთლად სპილენძისაა. ახლა სამზარეულოს ჭურჭელს არ იკითხავთ?!

– ამ სამი დღის წინათ, – სიტყვა შეაწყვეტინა სარამ, – ჩემთან იყო ფინიკიელი დაგონი. არ მინდოდა მისი მიღება, მაგრამ არ მომეშვა.

– მან მე ოქროს ბეჭედი მაჩუქა, – კვლავ ჩაერია ლაპარაკში ტაფეტი.

– დაგონმა მითხრა, – განაგრძობდა სარა, – რომ იჯარით ჰქონია აღებული ჩემი ბატონის მიწა, მომართვა ფეხის ორი დასტანაგი, მარგალიტის საყურე და პუნტიდან ჩამოტანილი სურნელებათა ზარდახშა.

– რისთვის მოგართვა ეგენი?

– არაფრისათვის. მთხოვა მხოლოდ ჩემზე ცუდი გულისა ნუ იქნები და ოდესმე, თუ შემთხვევა იყოს, შენს ბატონს სიტყვა ჩაუკარ, უთხარ, რომ დაგონი მისი უერთგულესი მსახურიაო.

– მალე სამაჯურებითა და საყურეებით სავსე ზანდუკი გექნება, ღიმილით უთხრა გედეონმა. – ეჰ, – მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა მან, – რაც შეიძლება მეტი ძვირფასეულობა შეაგროვე და ჩვენს მხარეში გავიქცეთ! აქ ჩვენი ხვედრი მუდამ მწარე იქნება! მწარეა, როდესაც ცუდად გვექცევიან, და კიდევ უფრო მწარე, როცა კარგად გეპყრობიან.

– მერე რას იტყვის ჩემი ბატონი? – დაღონებით შეეკითხა სარა.

მამამ თავი გაიქნია.

– ერთი წელიც არ გავა, რომ შენი ბატონი მიგატოვებს, და ბევრი დაეხმარება მას ამაში. შენ რომ ეგვიპტელი იყო, მაშინ სახლში წაგიყვანდა, მაგრამ ებრაელ ქალს...

– მიმატოვებს?.. – გაიმეორა სარამ და ნაღვლიანად ამოიოხრა.

– რატომ უნდა ვიწუხოთ იმაზე, რაც იქნება; ყველაფერი ღვთის ხელშია! მე მოვედი, რომ შაბათი შენთან გავატარო...

– მე სწორედ დღეს მაქვს მშვენიერი თევზი, ხორცი, ღვეზელი და ღვინო, რომლის – დალევა ებრაელებსაც შეუძლიათ, – აჩქარებით ჩაურთო ტაფეტმა. – მართლა, მემფისში ვიყიდე შვიდსანთლიანი შანდალი და ცვილის სანთლები.. ჩვენ თვით ბატონ ხაიზე უკეთესი ვახშამი გვექნება.

გედეონი და სარა ყათარზე გავიდნენ. როცა მარტონი დარჩნენ, მამამ უთხრა:

– ტაფეტმა მიამბო, რომ სულ სახლში ზიხარ. რატომ? ბაღში მაინც უნდა გახვიდე ხოლმე.

სარა შეკრთა.

– მეშინია, – ჩურჩულით ჩაილაპარაკა მან.

– რისი გეშინია შენს ბაღში?.. აქ ხომ შენა ხარ დიასახლისი, ქალბატონი... დიდი ქალბატონი...

– ერთხელ როგორღაც დღისით გავედი ბაღში; ვიღაცებმა დამინახეს და ერთმანეთში იწყეს ლაპარაკი: „შეხედეთ, აი ტახტის მემკვიდრის ებრაელი ქალი, რომლის გამოც ნილოსმა დააგვიანა ადიდებაო...“

– სულელები არიან, – უთხრა გედეონმა, – განა პირველი შემთხვევაა, რომ ნილოსმა მთელი კვირით დააგვიანა ადიდება?.. რა გაეწყობა, ჯერჯერობით საღამოობით გამოდი ხოლმე.

– არა... არა!.. – ისევ შეკრთა სარა. – მეორეჯერ საღამოთი წავედი იქ, ზეთისხილის ჭალაში. უეცრივ განის ბილიკზე აჩრდილივით გამოჩნდა ორი ქალი... შემეშინდა და გაქცევა დავაპირე... მაშინ. ერთმა მათგანმა, დაბალი ტანის, უფრო ახალგაზრდა ქალმა ხელი მტაცა და მეუბნება: „ნუ გარბიხარ, ჩვენ გვინდა შეგხედოთო... ხოლო მეორე, უფრო ხნიერი და მაღალი, რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა და სახეში ჩამაცქერდა... ოჰ, მამავ, მეგონა, ქვად გადავიქცევი-მეთქი... რა ქალი იყო! რა მზერა ჰქონდა...

– ნეტავი ვინ უნდა ყოფილიყო? – შეეკითხა გედეონი.

– ის, რომელიც სნიერი იქო, ქურუმქალს ჰგავდა.

– არაფერი გითხრეს?

– არაფერი. მხოლოდ როცა უკვე მიდიოდნენ და ხეებს მიეფარნენ, მე გავიგონე ხმა, ალბათ, უფროსი ქალისა, რომელმაც თქვა: – „მართლაც მშვენიერი ყოფილაო.“

გედეონი აფიქრდა.

– შესაძლებელია, – თქვა მან, – ისინი სასახლის რომელიმე წარჩინებული ქალები იყვნენ...

მზე ჩადიოდა. ნილოსის ორსავე ნაპირას თავს იყრიდა აუარება

ხალხი; ისინი მოუთმენლად ელოდნენ წყალდიდობის ნიშანს. რომელიც იმ წელს მართლაც იგვიანებდა. უკვე ორი დღე უბერავდა ზღვიდან ქარი-და მდინარე გამწვანდა. მზემ უკვე გვერდზე გაუარა ვარსკვლავ სოტისს, ხოლო მემფისში, ქურუმთა ჭაში, წყალმა ერთი ციდითაც არ აიწია. ხალხი შეშფოთებელი იყო, მით უმეტეს, რომ ზემო ეგვიპტეში, როგორც იტყობინებოდნენ, წყალდიდობა ნორმალურად მიმდინარეობდა და ფრიად უხვი მოსავლის იმედიც კი ჰქონდათ.

– მემფისთან რაღა აჩერებს? – კითხულობდნენ შეწუხებული მხვნელ-მთესველნი და დადარდიანებულნი უცდიდნენ ნიშანს.

როცა ცა ვარსკვლავებით გაიჭედა, ტაფეტმა სასადილოში მაგიდაზე თეთრი სუფრა გაშალა, დადგა შანდალი შვიდი ანთებული სანთლით, მიუდგა სამი სკამი და გამოაცხადა, ახლავე მოვიტან შაბათის ვახშამსო.

გედეონმა თავზე დაიხურა, ასწია ხელები, სასოებით აღაპყრო თვალები და წარმოთქვა:

– ღმერთო აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, შენ, რომელმაც გამოიყვანე ჩვენი ხალხი ეგვიპტის მხრიდან, მიეც სამშობლო მონებსა და განდევნილთა, დასდევ სამარადისო კავშირი იუდეველებთან... ღმერთო იაღვე, ღმერთო ადონაი, ღირსგვყავ უცოდველად მივიღოთ ნაყოფი მტრისა ქვეყნისა, გვიხსენ მწუხარებისა და შიშისაგან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, და დაგვაბრუნე იორდანიის ნაპირებზე, რომელიც დავტოვება შენდა სადიდებლად...

უეცრივ გალავნის გადაღმა ხმა გაისმა:

– უკეთილშობილესი თუტმოსი, მეფისა და ტახტის მემკვიდრის უერთგულესი მსახური...

– ცოცხლობდეს იგი მარად.. – გამოეხმაურა ბაღიდან რამდენიმე სმა.

– უკეთილშობილესი ბატონი, – განაგრძობდა პირველი ხმა, – სალამს უძღვნის ლიბანის უმშვენიერეს ვარდს.

როცა ის გაჩუმდა, გაისმა ქნარისა და სალამურის ხმები.

– მუსიკა... - ტაში შემოჰკრა ტაფეტმა. – შაბათს მუსიკით შევხვდებით...

სარა და მამამისი ჯერ შეშფოთდნენ, მაგრამ შემდეგ გაიღიმეს და

მიუსხდნენ მაგიდას.

– დაუკრან, – თქვა გედეონმა, – მათი მუსიკა მადას არ წაგვიხდენს.

სალამურმა და ქნარმა დაუკრეს რამდენიმე შესავალი აკორდი, შემდეგ კი გაისმა ხავერდოვანი ტენორი: .

„შენ უტურფესი ხარ ყველა ქალიშვილზე, რომლებიც კი თავის თავს უცქერიან ნილოსის წყალში. თმა შენი ყორნის ფრთის უშავესია, თვალები შენი უფრო წყნარია, ვიდრე თავის ნუკრს დანატრებული ფურ-ირმის თვალები, ტანი შენი თითქოს პალმის ღეროა, ხოლო ლოტოსი შეხარბის შენს სიტურფეს. ძუძუნი შენნი თითქოს ყურძნის მტევნებია, რომელთა წვენით ტკბებიან მეფეები...“

კვლავ გაისმა სალამურისა და ქნარის ხმა, შემდეგ სიმღერა.

„გამოდი ბაღში დასასვენებლად. შენი მსახურნი მოიტანენ დოსტაქნებსაც, ფიალებსაც და ნაირსასმელიან დოქებსაც. გამოდი, ვიზეიმოთ დღევანდელი ღამე და განთიადი, რომელიც მას მოჰყვება. ჩემს ჩეროში, ტკბილი ნაყოფის მომტან ლეღვის ხის ჩეროში, შენი სატრფო გვერდს მოგიწვება; და შენ მოუკლავ მას წყურვილს და ყველა მის სურვილს დაემორჩილები“.

კვლავ სალამური და ქნარი, შემდეგ ისევ სიმღერა:

„მე ჩუმი ხასიათისა ვარ და არასოდეს მოვყვები იმას, რასაც ვხედავ, და ნაყოფთა ჩემთა სიტკბოებას არ ვწამლავ ფუჭი ლაყბობით“[1].

თავი მეათე

უეცრად სიმღერა შეწყდა, იგი ჩაახშო სირბილით მომავალი ბრბოს ფეხის ხმამ და ღრიანცელმა.

– წარმართებო... ეგვიპტის მტრებო!.. – ყვიროდა ვიღაცა, – თქვენ გაჰკივით სიმღერას, როცა ყველა მწუხარებას მოუცავს, და ადიდებთ ებრაელ ქალს, რომელმაც თავისი ჯადოქრობით შეაჩერა ნილოსის მდინარება...

– ვაი თქვენდა! – ყვიროდა პასუხად მეორე ხმა. – თქვენ თელავთ ტახტის მემკვიდრის მიწას!.. სიკვდილი გეწევათ თქვენ და თქვენს

[1] გადმოღებულია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

შვილებს.

– ჩვენ წავალთ, მაგრამ გამოვიდეს ებრაელი ქალი, რომ ვუთხრათ ჩვენი საჩივარი...

– გავიქცეთ! – დაიყვირა ტაფეტმა.

– საით? - შეეკითხა გედეონი.

– არასგზით! – აღელდა სარა; მის წყნარ სახეს აღშფოთების ალმური მოსდებოდა. – განა მე არ ვეკუთვნი ტახტის მემკვიდრეს, რომლის წინაშეც ეს ხალხი პირქვე ემხობა?

სანამ მხევალი და მამა გონს მოვიდოდნენ, ის ყათარზე გავიდა, მთლად თეთრებში გამოწყობილი და დაუყვირა ბრბოს, რომელიც გალავნის იქით ღელავდა:

– აქა ვარ!.. რა გსურთ ჩემგან?..

– ხმაური წუთით შეწყდა, მაგრამ მალე გაისმა მრისხანე ხმები:

– წყეული იყავ, უცხოელო ქალო, შენი ცოდვა აჩერებს ნილოსის წყალს!

ჰაერში გაიზუზუნა ანაზდად ნასროლმა რამდენიმე ქვამ. ერთი მათგანი სარას შუბლში მოხვდა.

– მამავ!.. – თავში ხელი იტაცა ქალმა.

გედეონმა ხელში აიყვანა და ყათარიდან წაიყვანა. სიბნელეში მოჩანდნენ თეთრჩაჩიანი და წინსაფრიანი შიშველი ადამიანები, რომლებიც გალავანზე ფორთხვით გადმოდიოდნენ.

ქვევით საზარელი ხმით ყვიროდა ტაფეტი, ხოლო მონა ზანგი ცულით შეიარაღებული დადგა სახლის კარებში და იმუქრებოდა. თავს გავუჩეხავ ყველას, ვინც შესვლას გაბედავსო,

– მოიტათ აქ ქვები! ჩავქოლოთ ეს ნუბიელი ქოფაკი! – ყვიროდნენ გალავანზე მსხდომნი.

მაგრამ ბრბო უცებ გაჩუმდა. ბაღის სიღრმიდან გამოვიდა ავაზის ტყავში გახვეული თავმოპარსული ადამიანი.

– წინასწარმეტყველი... წმინდა მამა!.. – გაისმა ბრბოში ჩურჩული.

გალავანზე მსხდომთ ძირს ჩამოხტომა იწყეს.

– ეგვიპტელო ხალხო! – წყნარი ხმით დაიწყო ქურუმმა, – როგორ კადნიერდები ხელი შეახო მას, რაც ტახტის მემკვიდრეს ეკუთვნის?

– იქ ცხოვრობს უწმინდური ებრაელი ქალი, რომელიც აჩერებს ნი-

ლოსის ადიდებას... ვაი ჩვენ!.. სიღატაკე და შიმშილი ემუქრება ქვემო ეგვიპტეს.

– რწმენანაკლებო თუ გონებასუსტო ადამიანებო! – განაგრძობდა ქურუმი. – სად გაგონილა, რომ ერთ ქალს შეეძლოს ღმერთების ნების შეჩერება? ყოველ წელს თოტის თვეში ნილოსი იწყებს მომატებას და მატულობს ხოიაკის თვემდე. განა ოდესმე მომხდარა სხვანაირად, თუმცა ჩვენში მუდამ მრავალი უცხოელი ცხოვრობდა და ხშირად მათ რიცხვში ტყვე ქურუმები და მთავრებიც ყოფილან; მონობითა და ჯაფით გაწამებულთ, მათ შეეძლოთ ბრაზისა და ჯავრისაგან უსაშინელესი წყევლა-კრულვა მოეხმოთ ჩვენს თავზე და არა ერთი მათგანი გაწირავდა სიცოცხლეს, ოღონდ რიჟრაქზე მზე აღარ ამოსულიყო ეგვიპტეში ანდა ნილოსი არ ადიდებულიყო წლის დასაწყისში. მაგრამ რა აზრი ჰქონდა მათს ლოცვებს? ან მათ ზეცა არ უსმენდა, ანდა უცხო ღმერთები უძლურნი იყვნენ ჩვენს ღმერთებთან. მაშ, რანაირად შეიძლება, რომ ქალმა, რომელიც ჩვენში ბედნიერად ცხოვრობს, თავს დაგვატეხოს ისეთი უბედურება, როგორიც ვერ დაგვატეხეს ჩვენმა უძლიერესმა მტრებმაც კი!

– წმიდა მამა სიმართლეს ამბობს. ბრძნულად წინასწარმეტყველის სიტყვები: – გაისმა ხალში.

– მაგრამ ებრაელთა წინამძღოლმა მოსეს მაინც მოუვლინა ეგვიპტეს წყვდიადი და პირი, – მიუგო ვიღაცამ.

– ვინც ეს თქვა, წინ წამოდგეს! – წამოიძახა ქურუმმა. – წინ წამოდგეს, თუ ეგვიპტელი ხალხის მტერი არ არის.

ხალხი ახმაურდა, როგორც ხეთას ტევრიდან მონაბერი შორი ქარი, მაგრამ ბრბოდან არავინ გამოსულა.

– ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, – განაგრძობდა ქურუმი, – თქვენს შორის დაძრწიან ცუდი ადამიანები, ვითარცა აფთარი ცხვრის ფარაში. არა თქვენს საჭიროებაზე ზრუნავენ ისინი, არამედ სურთ ბოროტ საქმეზე წაგაქეზონ, რათა დააქციონ ტახტის მემკვიდრის სახლი და ამბოხება მოაწყონ ფარაონის წინააღმდეგ. მათი სურვილი რომ განხორციელდეს და მრავალი თქვენგანის მკერდი სისხლით შეიღებოს, ეს ადამიანები ისევე დაემალებიან შუბებს, როგორც ახლა ემალებიან ჩემს მოწოდებას.

– უსმინეთ წინასწარმეტყველს!.. დიდება შენდა, ღვთის კაცო... – ყვიროდნენ ბრბოში და ქედს იხრიდნენ. უფრო ღვთისმოსავნი კი მიწაზე დაემხვნენ.

– ყურად იღე, ეგვიპტელო ხალხო... იმისათვის, რომ თქვენ ერწმუნეთ ქურუმის სიტყვას, იმისათვის, რომ მორჩილებთ ფარაონსა და მემკვიდრეს, იმ პატივისათვის, რომელსაც მიაგებთ ღვთის მსახურს, თქვენ მოგევლინებათ წყალობა. მშვიდობით დაიშალენით თქვენ-თქვენს სახლებში და იქნებ ვერც კი მიასწროთ ამ სერიდან ჩასვლა, რომ ნილოსი დაიწყებს ადიდებას...

– ოჰ, ასე რომ იქნებოდეს!..

– წადით!.. რაც მეტი იქნება თქვენი რწმენა და ღვთისმოსაობა, მით უფრო მალე იხილავთ მადლის ნიშანს.

– მივდივართ!.. მივდივართ!.. კურთხეულ იყავ, წინასწარმეტყველო, ძევ წინასწარმეტყველთა!..

ბრბომ დაშლა იწყო, ბევრი ქურუმის ტანსაცმელს ეამბორებოდა. უეცრივ ვიღაცამ დაიყვირა:

– სასწაული!.. სასწაული ხდება!..

– მემფისში გოდოლზე ცეცხლი დაანთეს... ნილოსი დიდდება... შეხედეთ, რამდენი ცეცხლია, ჭეშმარიტად დიდი წმიდანი გველაპარაკებოდა... ცოცხლობდე მარად...

ყველა ქურუმისაკენ მიტრიალდა, მაგრამ იგი იქ აღარ იყო. შეუმჩნევლად გაქრა ღამის წყვდიადში.

ბრბოს, რომელიც ეს არის ახლახან აღგზნებული იყო და წუთის წინ გაოცებასა და მადლიერების გრძნობას მოეცვა, დაავიწყდა თავისი მრისხანებაც და ქურუმი-სასწაულმოქმედიც. იგი გიჟურმა სიხარულმა აიტანა. ყველა გაექანა მდინარის ნაპირისაკენ, სადაც უკვე მრავალი კოცონი გიზგიზებდა და გაისმოდა თავმოყრილი ხალხის ხმამაღალი სიმღერა.

„სალამი შენდა, ჰოი, ნილოსო, წმიდა მდინარევ, რომელიც მშვიდობით მოევლინე დედამიწას, რათა სიცოცხლე მიანიჭო ეგვიპტეს. ჰოი, იდუმალო ღმერთო, რომელიც განფანტავ წყვდიადს, რწყავ მდელოებს, საკვებს აწვდი უტყვ ქმნილებათ! ჰოი, გზა, რომელიც მოედინები ზეციდან და წყურვილს უკლავ დედამიწას, ჰოი, პურის მფარვე-

ლო და ქოხებში სიარულის შემტანო! თევზთა მბრძანებელო!.. როცა "შენ გადმოხვალ. ჩვენს ყანებში, არც ერთი ფრინველი აღარ წაეკარება მოსავალს. ხორბლის შემოქმედო, ქერის მშობელო!.. შენ აძლევ დასვენებას მილიონ ბედკრულის ხელებს და სამარადისო გამძლეობას ტაძრებს“[1].

ამ დროს მდინარის მეორე ნაპირიდან მოცურდა ჩირაღდნებით განათებული ნავი ტახტის მემკვიდრისა. სიმღერებით და მხიარული ძახილით შეხვდნენ მას იგივე ადამიანები, ვისაც ამ ნახევარი საათის წინ მემკვიდრის კარმიდამოში შეჭრა უნდოდა. ახლა. ისინი რამზესის წინ პირქვე ემხობოდნენ ან წყალში ვარდებოდნენ, რომ დაეკოცნათ ნიჩბები და გვერდები იმ ნავისა, რომლითაც მეფისწული მობრძანდა.

გახალისებული და მხიარული, ჩირაღდნების შუქით გაცისკროვნებული შევიდა სარას სახლში. მას თან ახლდა თუტმოსი. ტახტის მემკვიდრის დანახვაზე გედეონმა ჩუმად უთხრა ტაფეტს:

– ძალიან მაწუხებს ჩემი ქალის ამბავი, მაგრამ არ მინდა შევხვდე მის ბატონს. მოუარე სარას.

გედეონი გალავანზე გადაფოფხდა, წყვდიადში გაიარა ჯერ ბაღი, შემდეგ მინდვრები და მემფისის გზას გაუდგა.

ამასობაში ეზოში უკვე გაისმოდა თუტმოსის ხმამაღალი ლაპარაკი:

– გამარჯობა, მშვენიერო სარავ... იმედი მაქვს, კარგად მიგვიღებ ნიშნად მადლობისა იმ მუსიკისათვის, რომელიც მე გამოგიგზავნე...

ზღურბლთან გამოჩნდა თავშეხვეული სარა, იგი ზანგსა და მოახლეს ეყრდნობოდა.

– ეს რას ნიშნავს? – იკითხა გაოცებულმა რამზესმა.

– საშინელებაა!.. საშინელება!.. – წამოიძახა ტაფეტმა, – წარმართნი დაესხნენ შენს სახლს. ერთმა მათგანმა ქვა მოარტყა. სარას...

– ვინ წარმართნი?

– აი ესენი... ეგვიპტელები!..

მემკვიდრემ ზიზღით ახედ-დახედა მას, მაგრამ როცა მოისაზრა საქმის ვითარება, გაბრაზდა.

– ვინ მოარტყა სარას ქვა?.. ვინ ესროლა?.. – დაიყვირა მან და

[1] გადმოღებულია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

მხარში სწვდა ზანგს.

– იმათ... ვინც ნაპირზეა... – უპასუხა მონამ.

– ეი, მცველებო! – გაშმაგებით დაიყვირა უფლისწულმა, შეაიარაღეთ ყველა, ვინც ხუტორშია, და დაეწიეთ იმ ბრბოს!..

ზანგმა კვლავ დაავლო ხელი თავის ცულს, მცველებმა იწყეს ქოხმახებიდან მუშების გამოძახება, ხოლო მემკვიდრის ამალის მეომრებმა მახვილი იშიშვლეს.

– ღვთის გულისათვის, რა გსურს ჩაიდინო?.. – ჩურჩულით შეევედრა სარა, რომელიც მას ეხვეოდა და აკავებდა.

– მსურს შენთვის შური ვიძიო! – უპასუხა რამზესმა. – ვინც ქვა ესროლა იმას, რაც მე მეკუთვნის, მე მესროლა! მთლად გაფითრებულმა თუტმოსმა თავი გაიქნია.

– გამიგონე, ხელმწიფევ, – უთხრა მან, – ამ ღამეში როგორ გამოიცნობ ბრბოში იმათ, ვინც დანაშაული ჩაიდინა?

– ჩემთვის სულ ერთია!.. ბრბომ ჩაიდინა ეს, და ბრბოვე აგებს პასუხს...

– არც ერთი მოსამართლე არ იტყვის ეგრე. შენ კი უმაღლესი მოსამართლე უნდა გახდე, – შეეცადა მის დაჯერებას თუტმოსი.

მემკვიდრე ჩაფიქრდა. მისი მეგობარი განაგრძობდა:

– იფიქრე, რას იტყვის ხვალ ჩვენი მბრძანებელი ფარაონი?.. მერე რარიგ გაიხარებენ ეგვიპტის მტრები აღმოსავლეთსა და დასავლეთში, როდესაც გაიგებენ, რომ ტახტის მემკვიდრე ღამით თითქმის სამეფო სასახლის კედლებთან თავს ესხმის თავისსავე ხალხს...

– ეჰ, მამაჩემს რომ მოეცა ჯარის თუნდაც ნახევარი! მაშინ სამუდამოდ დადუმდებოდნენ ჩვენი მტრები, სადაც არ უნდა იყვნენ... – წაიბუტბუტა რამზესმა და ფეხი დააბაკუნა.

– ბოლოს... მოიგონე ის გლეხი, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო. როგორ წუხდი, რომ დაიღუპა უდანაშაულო ადამიანი, ახლა კი... ნუთუ შენ თვითონ მოისურვებ უდანაშაულოთა დაღუპვას?..

– კმარა! - შეაჩერა იგი მემკვიდრემ. – რისხვა ჩემი წყლით სავსე ჭურჭლის მსგავსია... ვაი იმას, ვისაც ის გადაესხმება.

თუტმოსმა შიშით უკან დაიხია.

– შინ შევიდეთ, – უთხრა მემკვიდრემ სარას, ხელი მოკიდა, მეორე

სართულში აიყვანა, დასვა მაგიდასთან, რომელზეც დაუმთავრებელი ვახშამი ელაგა; მერე ლამპარი ახლოს მიიტანა და თავიდან სახვევი შემოხსნა.

– ეს ხომ ჭრილობა არ არის, – წამოიძახა რამზესმა, – ჩალურჯებულა და სხვა არაფერი.

ის დიდხანს მიშტერებოდა სარას.

– რა უცნაური ხარ ამ სილურჯით, – უთხრა მან. – სულ სხვა სახეა...

– აღარ მოგწონვარ?.. – წყნარად შეეკითხა სარა და შიშით სავსე დიდრონი თვალები მიაპყრო.

– აჰ, არა!.. თანაც, ეს ხომ გაივლის...

მან მოიხმო თუტმოსი, ზანგი და უბრძანა ეამბნა, რა მოხდა.

– მაგან ჩვენ დაგვიცვა, - თქვა სარამ, – კარში ცულით ჩადგა.

– მართლა ასე იყო? – შეეკითხა მემკვიდრე მონას და მიაშტერდა.

– განა შემეძლო მოეთმინა, ბატონო, რომ შენს სახლში უცხო ხალხი შემოჭრილიყო?

რამზესმა ხელი გადაუსვა ხუჭუჭა თმაზე

– ეს ნამდვილი ვაჟკაცობაა, – თქვა მემკვიდრემ. – განიჭებ თავისუფლებას. ხვალ მიიღებ სასყიდელს და შეგიძლია დაუბრუნდე შენიანებს.

ზანგი წაბარბაცდა. მოიწმინდა თვალები, რომლებშიც ცრემლი უბრწყინავდა, მუხლებზე დაეცა, შუბლი იატაკს ატაკა და წამოიძახა:

– ნუ გამაგდებ, ბატონო!

– კარგი, – უპასუხა მემკვიდრემ, – დარჩი ჩემთან, მაგრამ უკვე როგორც თავისუფალი მეომარი. აი როგორი ადამიანები მესაჭიროება, – დაუმატა მან და თუტმოსს გადახედა. – მას არ შეუძლია წიგნსაცავის ზედამხედველივით მჭევრმეტყველური ლაპარაკი, მაგრამ მუდამ მზადაა იბრძოლოს...

და კვლავ წვრილად გამოჰკითხა თავდასხმის ამბავი, ხოლო როდესაც ზანგმა ქურუმის გამოჩენისა და მის მიერ ჩადენილი სასწაულის შესახებ უამბო, მემკვიდრემ თავში იტაცა ხელი და წამოიძახა:

– მთელ ეგვიპტეში ჩემზე უბედური არავინ არის!.. მალე ალბათ ლოგინშიაც ქურუმებს წავაწყდები... სადაური იყო იგი?.. ვინ იყო?

ამის ახსნა ზანგს არ შეეძლო, მაგრამ აღნიშნა, რომ ქურუმი სარას

იცავდა, და რომ თავდასხმას მეთაურობდნენ არა ეგვიპტელები, არამედ ისეთი პირები, რომლებსაც ქურუმმა ეგვიპტის მტრები უწოდა და რომელთაც ამაოდ მოუხმობდა წინ წამომდგარიყვნენ.

– სასწაულია!.. სასწაული!.. – რამდენჯერმე გაიმეორა ჩაფიქრებულმა მემკვიდრემ და ლოგინზე დაეშვა, – ჩემი შავი მონა იქცევა ისე, როგორც მამაცი მეომარი და სავსებით გონიერი ადამიანი... ქურუმი მოულოდნელად იცავს ებრაელ ქალს იმიტომ, რომ იგი მე მეკუთვნის... ეს რა უცნაური ქურუმია? ეგვიპტელი ხალხი, რომელიც მუხლს იყრის ფარაონის ძაღლების წინაშე, თავს ესხმის ტახტის მემკვიდრის სახლს ეგვიპტის ვიღაც მტრების წინამძღოლობით... ყველაფერი ეს მე თვითონ უნდა გამოვიკვლიო.

თავი მეთერთმეტე

გავიდა თოტის თვე და დადგა პაოფი, ივლისის მეორე ნახევარი. ნილოსის მომწვანო წყალი ჯერ თეთრი გახდა, შემდეგ წითელი. თანაც სულ მატულობდა და მატულობდა. სამეფო წყალსაზომი მემფისში თითქმის ორი კაცის სიმაღლეზე გაივსო, ხოლო ნილოსი ყოველდღე ორი მტკავლით დიდდებოდა; დაბლობები წყალმა დაფარა, ხოლო უფრო მაღალ ადგილებში სასწრაფოდ ჰკრეფდნენ სელსა და ყურძენს. სადაც დილით ჯერ კიდევ მშრალი იყო, საღამოს უკვე ზვირთები შხაპუნობდა.

თითქოს მდინარის სიღრმეში მრისხანე, უხილავი მორევი თუხთუხებდა. მაღლა ამოჰქონდა ფართო ტალღები, თითქოს გუთანმა გაიარაო. ქაფით ავსებდა კვალს, წამით მოასწორებდა წყლის ზედაპირს და მაშინვე ხელახლა ახვევდა უძირო ძაბრებად. მერე ისევ მაღლა ამოჰქონდა ტალღები, ისვროდა შხეფებს, მოაგორებდა წყლისა და ქაფის ახალ-ახალ ზვინებს, და სულ ერთთავად ადიდებდა აბობოქრებულ მდინარეს, ნთქავდა ახალ-ახალ მიწას. რომელიმე ზღუდის მწვერვალს რომ მიაღწევდა მდინარე, ზემოდან გადაევლებოდა, დაბლობში ეშვებოდა და მოელვარე ტბას ქმნიდა იქ, სადაც ეს იყო ახლა მზისგან დამწვარი ბალახი მტვრად იფხვნებოდა.

თუმცა წყალმა თავისი უმაღლესი დონის მხოლოდ მესამედს თუ

მიაღწია, მაგრამ უკვე მთელი სანაპირო დაფარა. თითო საათიც არ გადიოდა, რომ ბორცვზე მდებარე სულ ახალ-ახალი ხუტორი იქცეოდა კუნძულად, და თუ პირველად მას სხვებისაგან მხოლოდ ვიწრო ნაკადული ჰყოფდა, მერე თანდათან ფართოვდებოდა და საბოლოოდ წყვეტდა მეზობლებისაგან. ისიც ხდებოდა, რომ სამუშაოზე ფეხით წასულები შინ ნავებით ბრუნდებოდნენ.

ნავები და ტივები სულ მატულობდა, ზოგი თავიდან ბადით თევზს იჭერდა, ზოგი ნავით მოსავალს მიეზიდებოდა კალოებზე ან კიდევ აბღავლებული საქონელი გადაჰყავდა გომურებში; ვინ სტუმრად მიდიოდა ნაცნობებთან, რათა მხიარული სიცილითა და ყიჟინით ეცნობებინა ნილოსი მატულობსო, ზოგჯერ იხვების გუნდივით ერთ ადგილას შეჯგუფებული ნავები აქეთ-იქით იფანტებოდნენ, რათა გზა დაეთმოთ ფართო ტივისთვის, რომელსაც ზემო ეგვიპტიდან ქვევით მოჰქონდა მდინარისპირა ქვის სამტეხლოებში გამოკვეთილი ვეებერთელა ლოდები.

ჰაერში ისმოდა ადიდებული ნილოსის ხმაური, აფორიაქებული ფრინველების ჟივილ-ხივილი და ადამიანთა მხიარული სიმღერები. ნილოსი დიდდება – პური უხვი იქნება!

მთელი თვე წარმოებდა გამოძიება ტახტის მემკვიდრის სახლზე თავდასხმის თაობაზე. ყოველ დილას რომელიმე ხუტორს მიადგებოდა ნავი მოხელეებით და მცველი ჯარისკაცებით. ხალხს მუშაობას არ აცლიდნენ. მიკერძოებით დაკითხავდნენ, ჯოხებით სცემდნენ. ხოლო საღამოს მემფისს ბრუნდებოდა უკვე ორი ნავი: ერთში მოხელეები ისხდნენ, მეორეში – პატიმრები.

ამ გზით პასუხისგებაში იქნა მიცემული სამასზე მეტი კაცი. მრავალ მათგანს საპყრობილე ან ქვის სამტეხლოებში რამდენიმე წლის საკატორღო მუშაობა მოელოდა. მაგრამ ვერა გაიგეს რა ვერც თავდასხმის მოთავეთა და ვერც იმ ქურუმის შესახებ, რომელიც ხალხს დაშლას ურჩევდა.

რამზესს უკიდურესად წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. ლომივით გულფიცხი იყო და ხარივით ჯიუტი, მაგრამ მას ჰქონდა ნათელი გონება და სამართლიანობის ღრმა გრძნობა.

რაკი ნახა, რომ გამოძიება, რომელსაც მოხელეები აწარმოებდნენ,

არავითარ შედეგს არ იძლეოდა, ერთხელ ბატონიშვილი თვითონ გაემგზავრა ნავით მემფისს და ბრძანა საპყრობილეში შეეშვათ.

საპყრობილე აშენებული იყო ბორცვზე და გარს მაღალი გალავანი ერტყა. ის შედგებოდა აგურის, ქვისა და ხის მრავალი ნაგებობისაგან. მაგრამ ეს ნაგებობანი მეტწილად ან ჭიშკარი იყო, ანდა ზედამხედველთა საცხოვრებელი. პატიმრები კი კირქვაში გამოკვეთილ მიწისქვეშეთში იკუნჭებოდნენ.

საპყრობილეს ეზოში რომ შევიდა, მემკვიდრემ დაინახა შეჯგუფებული ქალები, ისინი ბანდნენ და საჭმელს აძლევდნენ ვიღაც პატიმარს. ეს გატიტვლებული ადამიანი, რომელიც უფრო ჩონჩხს მიაგავდა, მიწაზე იჯდა; ხელ-ფეხი გაყრილი ჰქონდა ოთხკუთხედი ფიცრის ოთხ ნახვრეტში, – ეს ფიცარი ბორკილების მაგივრობას სწევდა.

– დიდი ხანია ასე წვალობს ეს უბედური? – იკითხა მემკვიდრემ.

– ორი თვეა, – უპასუხა ზედამხედველმა.

– კიდევ დიდხანს უნდა იჯდეს?

– ერთი თვე.

– რა დააშავა?

– გალანძღა მოხელე, რომელიც გადასახადებს აგროვებდა.

მემკვიდრე მობრუნდა და დაინახა მეორე ჯგუფი, რომელიც ქალებისა და ბავშვებისაგან შედგებოდა. მათ შორის მოხუციც იყო.

– ესენიც ტუსაღები არიან?

– არა, ხელმწიფევ, ეს ოჯახია დამნაშავისა, რომელსაც მუშაობა აქვს მისჯილი. ისინი ელოდებიან, რომ განაჩენის შესრულების შემდეგ დასჯილის გვამი მიიღონ. და ის უკვე მიჰყავთ დასასჯელად...

ზედამხედველი მიუტრიალდა ამ ჯგუფს და უთხრა:

– ცოტა კიდევ მოითმინეთ, მეგობრებო, ახლავე გადმოგცემენ გვამს.

– დიდი მადლობა, ძვირფასო ბატონო, – უპასუხა მოხუცმა, რომელიც დამნაშავის მამა უნდა ყოფილიყო. – შინიდან წუხელ წამოვედით და ყანაში დაგვრჩა აუღებელი სელი, მდინარე კი უკვე დიდდება!..

მთლად გაფითრებული მემკვიდრე შეჩერდა.

– უწყი თუ არა შენ, – მიმართა მას ზედამხედველს, – რომ მე შე-

წყალების უფლება მაქვს?

– დიახ, მეფისწულო, – თავს დაკვრით უპასუხა ზედამხედველმა და მერე დაუმატა: – კანონის თანახმად, მენი აქ ყოფნის სახსოვრად, მზის შვილო, სარწმუნოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულისათვის მისჯილთ, თუ ისინი კარგად იქცეოდნენ. სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეთ. ასეთი პირების სიას ერთ თვეში მოგართმევთ.

– იმას კი, ვინც დღეს უნდა გაგუდონ, არა აქვს უფლება ჩემი შეწყალებით ისარგებლოს?

ზედამხედველმა მხოლოდ თაყვანი სცა და ხელები გაშალა.

მათ გზა განაგრძეს. გაიარეს რამდენიმე ეზო. ხის გალიებში შიშველ მიწაზე ფათურობდნენ დამნაშავენი, რომელთაც პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ერთ შენობაში საზარელი ყვირილი ისმოდა: იქ ვიღაცას სცემდნენ, რომ აეძულებინათ დანაშაულში გამომტყდარიყო.

– მიჩვენეთ ის ხალხი, ვისაც ჩემს სახლზე თავდასხმა ბრალდება, – ბრძანა ამ სანახაობით შეძრწუნებულმა მემკვიდრემ.

– ისინი სამას კაცზე მეტნი არიან.

– შეარჩიეთ, ვინც უფრო დამნაშავედ მიგაჩნიათ და ჩემი თანდასწრებით დაჰკითხეთ, ოღონდ ისე, რომ მათ ვერ მიცნონ.

ტახტის მემკვიდრე შეიყვანეს შენობაში, სადაც გამომძიებელი დაკითხვას აწარმოებდა. ბატონიშვილმა უბრძანა ჩვეულებრივი ადგილი დაეკავებინა, თვითონ კი ბოძს უკან დაჯდა,

მალე სათითაოდ შემოიყვანეს ძალზე გამხდარი, თმააბურძგნილი და თვალებარეული ბრალდებულები.

– დუტმოზ, – მიმართა ერთ მათგანს გამომძიებელმა, – გვიამბე, როგორ დაესხით თავს ყოვლადღირსი მემკვიდრის სახლს.

– სიმართლეს გიამბობთ, როგორც ოზირისის სამსჯავროში. ეს იყო იმ საღამოს, როდესაც ნილოსმა ადიდება იწყო. ცოლი მეუბნება: „წამოდი, ბებერო, სერზე, იქიდან უფრო მალე დავინახავთ ნიშანს მემფისიდან“. წავედით სერზე, საიდანაც უფრო ადვილად შეიძლება მემფისიდან ნიშნის დანახვა. აქ ჩემ ცოლთან მოვიდა ვიღაცა ჯარისკაცი და უთხრა, „წამომყევი იმ ბაღში. ყურძენი ვჭამოთ და, ჩემი ცოლიც გაჰყვა იმ ჯარისკაცს, მე კი საშინლად გავბრაზდი და თვალს ვა-

დევნებდი გალავნიდან. ესეოდნენ თუ არა ქვებს მემკვიდრის სახლს ვერ ვიტყვი, იმიტომ რომ ბნელოდა და ხეებში არაფერი ჩანდა,

– კი, მაგრამ, როგორ გაუშვი ცოლი ჯარისკაცთან? – შეეკითხა გამომძიებელი.

– მაშ რა მექნა? თვითონ განსაჯეთ, თქვენი ღირსებავ, მე ხომ მდაბიო გლეხი ვარ, ის კი სამხედროა, მეფის ჯარისკაცი.

– ქურუმი თუ დაინახე, თქვენ რომ გელაპარაკებოდათ?

– ის ქურუმი არ იყო, დაბეჯითებით უპასუხა გლეხმა. – ის თვით ღმერთი ხნუმი[1] უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ლეღვის ხის ღეროდან გამოვიდა და ვერძის თავი ჰქონდა.

– შენ თვითონ დაინახე, რომ ვერძის თავი ჰქონდა?

– მომიტევეთ, კარგად არ მახსოვს, თვითონ ვნახე თუ სხვებმა მიამბეს. მე თავი მიბრუოდა, რადგანაც კოლის საქციელი მაწუხებდა.

– შენ ისროდი ქვებს?

– რად უნდა მესროლა, სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელო? თუ ცოლს მოვარტყამდი, მთელი კვირა უსიამოვნება მექნებოდა, ხოლო თუ ქვა ჯარისკაცს მოხვდებოდა, ისე ჩამცხებდა მუცელში, რომ ენას წამომაგდებინებდა. მე ხომ მდაბიო გლეხი ვარ, ეს კი ჩვენი უკვდავი ბატონის მეომარია.

ბოს უკან მდომმა მემკვიდრემ ანიშნა. დუტმოზი გაიყვანეს, მის მაგიერ ანუპუ შემოიყვანეს. ტანმორჩილი გლეხი იყო. ზურგზე კეტით ასლად ნაცემი აჩნდა.

– მითხარი, ანუპუ, – მიმართა მას გამომძიებელმა, – როგორ მოხდა ტახტის მემკვიდრის ბაღზე თავდასხმა?

– მზის თვალო, – უპასუხა მან, – სიბრძნის ჭურჭელო! მენ ძალიან კარგად იცი, რომ მე არ მომიწყვია თავდასხმა. ოღონდ ეს იყო, რომ მოვიდა ჩემთან მეზობელი და მითხრა: „ავიდეთ სერზე, ანუპუ, ნილოსი დიდდებაო“. მე ვუთხარი: „ვითომ მართლა დიდდება-მეთქი?“ ის მეუბნება:

„შენ ვირზე უფრო სულელი ხარ, იმიტომ რომ ვირი გაიგონებდა მუსიკას სერზე, შენ კი არ გესმისო“. მაშინ მე ვუპასუხე: „სულელი იმი-

[1] ხნუმი - ძველეგვიპტური ღმერთი-შემოქმედი, რომელსაც ჩვეულებრივად ვერძისთავიანი ადამიანის სახით გამოხატავდნენ.

ტომ ვარ, რომ წერა-კითხვა არ მისწავლია; ოღონდ, – მაპატიე, მაგრამ მუსიკა სხვაა და წყლის ადიდება – კიდევ სხვა-მეთქი“. ამაზე მან განმიცხადა: „ადიდება რომ არ ყოფილიყო, ადამიანები სიხარულს, ცეკვას და სიმღერას არ დაიწყებდნენო“. ჩვენც წავედით სერზე. იქ უკვე გაერეკათ მუსიკა და ბაღში ქვებს ისროდნენ“...

– ვინ ისროდა?

– ვერ შევამჩნიე. ის ხალხი გლეხებს არ გავდნენ, უფრო უწმინდური პარასქიტები უნდა ყოფილიყვნენ.

– ქურუმი თუ ნახე?

– თქვენი მოწყალება თუ ნებას მომცემს, ის ქურუმი კი არა, უფრო სული იყო, რომელიც მემკვიდრის სახლს იცავს, ცოცხლობდეს მარად მემკვიდრე...

– რაღა მაინცდამაინც სული?

– იმიტომ, რომ დროგამოშვებით იგი უხილავი ხდებოდა.

– იქნებ ხალხი ეფარებოდა?

– რა თქმა უნდა, დროდადრო ხალხი ეფარებოდა, მაგრამ თვითონაც ხან უფრო მაღალი გვეჩვენებოდა, ხან კიდევ უფრო დაბალი...

– იქნებ სერზე ადიოდა და ჩამოდიოდა?

– მგონი, მართლაც ადიოდა და ჩამოდიოდა. ან იქნებ თვითონაც გრძელდებოდა და მოკლდებოდა. ეს იყო დიდი სასწაულმოქმედი. როგორც თქვა: ნილოსი ახლავე დაიწყებს ადიდებასო, მართლაც მაშინვე იწყო ადიდება.

– ქვებს თუ ისროდი, ანუპუ?

– როგორ გავბედავდი ტახტის მემკვიდრის ბაღში ქვების სროლას?.. მე ხომ უბრალო გლენი ვარ და ასეთი მკრეხელობისათვის ხელი ნიდაყვამდე გამიხმებოდა.

მემკვიდრემ ბრძანა გამოძიების შეწყვეტა. როდესაც ბრალდებული გაიყვანეს, მან გამომძიებელს მიმართა:

– მაშ ესენი არიან ყველაზე დიდი დამნაშავენი?

– ნამდვილად, ხელმწიფევ, – უპასუხა გამომძიებელმა.

– თუ ეგრეა, ყველა დღესვე უნდა გაათავისუფლო. არ შეიძლება საპყრობილეში ისხდნენ ადამიანები იმისათვის, რომ სურდათ დაენახათ დიდდება თუ არა საღმრთო ნილოსი, ანდა იმისათვის, რომ

მუსიკას უსმენდნენ.

– უმაღლესი სიბრძნე მეტყველებს შენთა ბაგეთაგან, უფლისწულო, – უთხრა გამომძიებელმა. – მიბრძანეს აღმომეჩინა ყველაზე მეტი დამნაშავენი და მეც გადავარჩიე ისინი, ვინც ვიპოვე. მაგრამ ჩემს ხელთ არ არის დავუბრუნო მათ თავისუფლება.

– რატომ?

– შეხედე, უკეთილშობილესო, ამ სკივრს. ის სავსეა პაპირუსებით, რომლებზეც ამ საქმის ოქმებია დაწერილი. მემფისელი მსაჯული ყოველდღე იღებს პატაკებს მისი მსვლელობის შესახებ და მოახსენებს მეფეს. ხომ წყალში ჩაიყარა ამდენი სწავლული მწერლებისა და დიდი კაცების შრომა, თუ ბრალდებულთ გავათავისუფლებთ? .

– ისინი ხომ უდანაშაულონი არიან! – წამოიძახა მემკვიდრემ.

– თავდასხმა იყო, მაშასადამე, დანაშაულიც ყოფილა. სადაც დანაშაულია, იქ დამნაშავენიც უნდა იყვნენ. ხოლო ვინც ჩაუვარდა ხელში მთავრობას და ოქმებში ჩაიწერა, ის სასჯელს ვერ გაექცევა. სამიკიტნოში ადამიანი სვამს და ამისათვის ფულს იხდის; ბაზრობაზე ის რასმეს ჰყიდის და ყიდულობს. ყანაში თესს და მკის; სამარხებს რომ ნახულობს, წინაპართა ლოცვა-კურთხევას ღებულობს. როგორღა შეიძლება ვინმე სასამართლოში მივიდეს და უკან დაბრუნდეს უარაფრისოდ, როგორც მგზავრი, რომელიც შუა გზაზე ჩერდება და შინ ბრუნდება ისე, რომ მიზნისთვის არ მიუღწევია?

– შენ ბრძნულად მსჯელობ, – უპასუხა მემკვიდრემ, – მაგრამ ერთი ეს მითხარი: არც მეფეს აქვს ამ ადამიანების გათავისუფლების უფლება?

გამომძიებელმა გულზე ხელები დაიკრიფა და თავი დახარა.

– ღმერთების სწორს შეუძლია მოიმოქმედოს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს: მას შეუძლია გაათავისუფლოს ბრალდებულნი, მისჯილნიც კი, მოსპოს ამ საქმის გამო შედგენილი ყველა ოქმი, მაგრამ უბრალო მოკვდავმა რომ ეს ჩაიდინოს, მკრეხელობა იქნებოდა.

მემკვიდრე გამოეთხოვა გამომძიებელს და ზედამხედველს დაავალა, ბრალდებულთ უკეთესი საჭმელი აძლიეთ ჩემს ხარჯზეო. შემდეგ, აღელვებულმა, ნავით გადაცურა მდინარე, რომელიც სულ უფრო მატულობდა, გადავიდა მეორე ნაპირას და გაეშურა სასახლისაკენ,

რათა ფარაონისათვის ეთხოვა ამ ბედუკუღმართი საქმის შეწყვეტა.

მაგრამ იმ დღეს მეფეს მრავალი სარწმუნოებრივი ცერემონია უნდა შეესრულებინა და მინისტრებთან თათბირები ჩაეტარებინა, ამიტომ მემკვიდრემ მისი ნახვა ვერ მოახერხა. მაშინ იგი ესტუმრა უმაღლეს მწერალს, რომელსაც სამხედრო მინისტრის შემდეგ ყველაზე მეტი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე. ამ ძველმა მოხელემ, მემფისის ერთ-ერთი ტაძრის ქურუმმა, მემკვიდრე თავაზიანად, მაგრამ ცივად მიიღო, მოუსმინა და ასე უპასუხა:

– მაოცებს, რომ გინდა ამგვარი საქმეებით შეაწუხო ჩვენი ბატონი. ეს იგივეა, შენ რომ ითხოვო, ნუ მოსპობ კალიას, რომელიც ყანებს შესევიაო.

– კი, მაგრამ ის ადამიანები ხომ უდანაშაულონი არიან!..

– ჩვენ, თქვენო უმაღლესობავ, ეს არ შეგვიძლია ვიცოდეთ, ვინაიდან დანაშაულობისა და უდანაშაულობის საკითხს კანონი და სასამართლო წყვეტს. ჩემთვის უდავოდ ნათელია ერთი რამ – სახელმწიფო ვერ მოითმენს, რომ ხალხი შეიჭრას სხვის ბაღში და, მით უმეტეს, ხელი აღმართოს ტახტის მემკვიდრის საკუთრებაზე.

– შენ, რა თქმა უნდა, მართალი ხარ, მაგრამ სად არიან დამნაშავენი? – შეეკითხა რამზესი.

– სადაც დამნაშავენი არ არიან – იქ დასჯილნი მაინც უნდა იყვნენ. არა დანაშაული, არამედ სასჯელი, რომელიც მოჰყვება დანაშაულს, ასწავლის ადამიანებს, რომ მისი ჩადენა არ შეიძლება.

– მე ვხედავ, – შეაწყვეტინა მემკვიდრეm, - როm შენ მხარს არ დაუჭერს ჩემს თხოვნას მისი უდიდებულესობის წინაშე.

– სიბრძნეს მეტყველებენ ბაგენი შენი, მეფისწულო, – უპასუხა დიდებულმა. არასოდეს ჩემს თავს ნებას არ მივცემ ვურჩიო ჩემს ბატონს ისეთი რამ, რაც ხელისუფლების შერყევას გამოიწვევდა...

მემკვიდრე განაწამები და ღრმა საგონებელში ჩავარდნილი დაბრუნდა. ის გრძნობდა, რომ რამდენიმე ასი ადამიანი უსამართლობას განიცდის, და ხედავდა, რომ მათი დახსნა არ ძალუძს, ისევე, როგორც ვერას უშველიდა ადამიანს, რომელსაც თავს ჩამოექცა ობელისკი ან ტაძრის სვეტი.

,,ჩემი ხელები მეტად სუსტია, რომ ასწიოს ეს უზარმაზარი რამ“, –

გულმოკლული ფიქრობდა იგი.

მან პირველად ეგრძნო, რომ არსებობს რაღაც ძალა, რომელიც უსაზღვროდ აღემატება მისი ნებისყოფის ძალას: სახელმწიფოს ინტერესები, რომელთაც ემორჩილება თვით ყოვლადძლიერი ფარაონიც, და რომლის წინაშე მან, მემკვიდრემაც, ქედი უნდა მოიხაროს.

დაღამდა. რამზესმა მსახურ უბრძანა არავინ მიეღოთ, და ფიქრებში გართული მარტო დაეხეტებოდა თავისი პავილიონის ყათარზე.

„ეს საშინელებაა!.. იქ გზიდან ჩამომეცალნენ ნეიტიკერის უძლეველი პოლკები, აქ კი გზაზე მეღობებიან საპატიმროს ზედამხედველი, სასამართლოს გამომძიებელი და უმაღლესი მწერალი... ვინ არიან ისინი? საცოდავი მსახურნი მამაჩემისა, – ცოცხლობდეს იგი მარად!.. – რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია მონებად გახადოს ისინი და ქვის სამტეხლოებში გაგზავნოს. მაშ რატომ არ შეუძლია მამაჩემს უდანაშაულოთა შეწყნარება?.. ასე ნებავს სახელმწიფოს?.. მერედა რა არის სახელმწიფო?.. რას ჭამს, სად სძინავს, სად არის მისი ხელები და მახვილი, რომლისაც ყველას ეშინია?..“

რამზესმა ბაღში გადაიხედა; ხეებს შორის ბორცვის წვეროზე აღმართულიყო ორი ვეებერთელა პილონი, რომლებზეც მცველების ჩირაღდნები ენთო. ძველთაძველი უძლეველი პილონები, ძლიერნი, როგორც მათი ამგებელი მბრძანებელი – რამზეს დიდი! განა შესაძლოა ადგილიდან დასძრა სიმაგრენი და ასობით მათნი მსგავსნი? მოატყუო სიფხიზლე ამ მკვლელებისა და ათას სხვათა, რომლებიც ეგვიპტის უშიშროებას იცავენ? დაარღვიო ის კანონები, რომლებიც დაუტოვებიათ რამზეს დიდსა და სხვა, მასზე კიდევ უფრო ძლიერ მეუფეთ, რომლებიც აღიარა ოცმა დინასტიამ და ამით კურთხეულჰყო?

და აი, რამზესის წინ გამოისახა ჯერ კიდევ ბუნდოვანი, მაგრამ ვეება ხატება – სახელმწიფო. სახელმწიფო – ეს რაღაც უფრო დიდებულია, - ვიდრე ამონის ტაძარი თებეში, უფრო ბუმბერაზი, ვიდრე ხეოპსის პირამიდა, უფრო ძველი, ვიდრე სფინქსი[1], უფრო ურყევი, ვიდრე გრანიტი.

---

[1] სფინქსი – მზის ღმერთის ან მეფის გამოსახულება კაცისთავიანი მწოლარე ლომის სახით. სფინქსის უზარმაზარი ფიგურა, რომელიც ხეოპსის პირამიდის მახლობლად მთლიანი კლდიდანაა გამოკვეთილი, ძვ. წ. IV ათასწლეულს მიეკუთვნება.

ამ თვალუწვდენელ, თუმცა უხილავ შენობაში ადამიანები ემსგავსებიან კლდის ნაპრალში მოფუსფუსე ჭიანჭველებს, ფარაონი კი – მოგზაურ ხუროთმოძღვარს, რომელიც ვერც კი ასწრებს კედელში ერთი ქვის ჩადებას, რომ უკვე მიდის. კედლები კი იზრდება თაობიდან თაობამდე და შენობა განაგრძობს შეურყევლად დგომას.

არასოდეს მას, მეფის ძეს, არ უგრძვნია თავი ისეთ არარაობად, როგორც ამ წუთში, როდესაც იგი ღამის წყვდიადში თვალს ავლებდა სასახლის პილონებსა და მემფისის ბუნდოვან, მაგრამ დიდებით აღსავსე ტაძართა სილუეტებს შორის მიმდინარე ნილოსს.

უეცრივ ხეებიდან, რომელთა ტოტები ყათარს აღწევდა, მოისმა ხმა:

– მე ვიცი შენი ნაღველი და დამილოცნიხარ. სასამართლო არ გაათავისუფლებს ბრალდებულ გლეხებს, მაგრამ მათი საქმე შეწყვეტილი იქნება და ისინი მშვიდობით დაუბრუნდებიან თავიანთ ქოხებს, თუ შენი მამულის მოურავი მხარს არ დაუჭერს თავდასხმის საჩივარს.

– მაშ ეს ჩემმა მოურავმა შეიტანა საჩივარი?! – გაკვირვებით იკითხა რამზესმა.

– დიახ, მან შეიტანა შენი სახელით, მაგრამ თუ ის სასამართლოში არ გამოცხადდება, მაშინ აღარ იქნება დაზარალებული, ხოლო სადაც არ არის დაზარალებული, არ არის დანაშაულიც.

ბუჩქებში რაღაცამ გაიშრიალა.

– მოიცადე! – წამოიძახა რამზესმა, – ვინა ხარ?

არავინ უპასუხა, მაგრამ მას მოეჩვენა, თითქოს მეორე სართულში მოლაპლაპე ჩირაღდნის შუქის ზოლში გაიელვა მოპარსულმა თავმა და ავაზის ტყავმა.

– ქურუმი!.. – წაიჩურჩულა მემკვიდრემ. – მერე რატომ იმალება?

მაგრამ მაშინვე მოისაზრა, რომ ქურუმს შეიძლება ძვირად დაუჯდეს თავისი რჩევა, რომელიც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების საქმეს.

თავი მეთორმეტე

ღამის უმეტესი ნაწილი რამზესმა აღგზნებულ ოცნებაში გაატარა.

მას ხან სახელმწიფოს ლანდი ეჩვენებოდა – ეს იყო უსასრულო ლაბირინთი, რომლის მაგარ კედლებს ვერაფერი შეანგრევდა; ხან ეჩვენებოდა აჩრდილი ქურუმისა, რომლის ერთმა ბრძნულმა სიტყვამ მიუთითა, თუ როგორ შეიძლებოდა ლაბირინთიდან თავის დაღწევა. ამრიგად, მოულოდნელად მის წინ აღმოჩნდა ორი მძლავრი ძალა: სახელმწიფოს ინტერესები, – რომლებიც მას დღემდე ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა ტახტის მემკვიდრე იყო, – და ქურუმთა კასტა, რომლის გასრესა და დამორჩილება მას ეწადა.

ეს იყო მძიმე ღამე. მემკვიდრე საწოლში ბორგავდა და თავის თავს ეკითხებოდა: იქნებ დღემდე ბრმა ვიყავი და მხოლოდ დღეს ამეხილა თვალი, რათა დავრწმუნებულიყავი ჩემს უგუნურებასა და არარაობაშიო. ახლა სულ სხვანაირად ეჩვენებოდა მას დედის გაფრთხილებაც, მამის თავშეკავებაც თავის უმაღლესი ნებისყოფის გამოვლინებაში, და მინისტრ ხერიჰორის სისასტიკეც კი.

„სახელმწიფო და ქურუმები!..“ – იმეორებდა იგი ძილში და ცივი ოფლი ასხამდა.

მხოლოდ ზეციერმა ღმერთებმა უწყიან, რა მოხდებოდა. ბატონიშვილის გულში ფესვი გაედგა და მომწიფებულიყო ის აზრები, რომლებიც იმ ღამეს დაებადა. იქნებ, როცა ფარაონი გახდებოდა, ის ერთი უბედნიერესთაგანი ყოფილიყო და სხვა მბრძანებლებზე უფრო ხანგრძლივად ემეფა. იქნებ მიწისქვეშა და მიწისზედა ტაძრების ქვის კედლებზე ამოკვეთილი მისი სახელი დიდებით მოსილი გადასცემოდა შთამომავლობას. შესაძლოა, ის და მისი დინასტია არ დაჰკარგავდნენ ტახტს და ეგვიპტე მისთვის განსაკუთრებით მძიმე დროს თავიდან აიცდენდა უდიდეს რყევას.

მაგრამ დილას შუქმა გაფანტა ჩვენებანი, რომელნიც ბატონიშვილის გახურებულ თავს დასტრიალებდნენ, ხოლო მომდევნო დღეებმა მკვეთრად შეუცვალა წარმოდგენა სახელმწიფო ინტერესების შეურყევლობაზე.

საპყრობილეში ბატონიშვილის ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია ბრალდებულთათვის. გამომძიებელმა დაუყოვნებლივ მოახსენა ეს უმაღლეს მსაჯულს. მსაჯულმა ხელმეორედ გადასინჯა საქმე, თვითონ დაჰკითხა ზოგიერთი ბრალდებული და უმრავლესობა რამდენი-

მე დღეში გაათავისუფლა, დანარჩენების საქმის განხილვაც დააჩქარა.

როცა მოსარჩლე სასამართლოში არ გამოცხადდა, თუმცა მის სახელს გაიძახოდნენ სასამართლო დარბაზშიც და ბაზრის მოედანზეც, საქმე თავდასხმის შესახებ შეწყვეტილი იქნა და ყველა ბრალდებული გაათავისუფლეს.

მართალია, ერთმა მსაჯულმა შენიშნა, რომ კანონის თანახმად პროცესი უნდა აღიძრას მემკვიდრის ხუტორის მოურავის წინააღმდეგ ყალბი ბრალდების გამო და, თუ ეს დამტკიცებული იქნება, მას იგივე სასჯელი ეკუთვნის, როგორიც ბრალდებულთ ელოდათო, მაგრამ ეს საკითხი მიაფუჩეჩეს.

მამულის მოურავი, რომელიც მემკვიდრემ ტაურის ნომში გადაიყვანა, სასამართლოს თვალთაგან დაეკარგა, ხოლო მალე სადღაც გაქრა ის სკივრიც, სადაც თავდასხმის საქმის პაპირუსები ეწყო.

როცა რამზესმა ეს ამბავი შეიტყო, ესტუმრა უმაღლეს მწერალს და ღიმილით შეეკითხა.

– რაო, ყოვლადღირსო, უდანაშაულონი გაათავისუფლეს, საქმე მის შესახებ მკრეხელურად მოსპეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელისუფლების პრესტიჟი ხომ არ შელახულა?

– ძვირფასო ბატონიშვილო, – ჩვეულებრივი გულგრილობით უპასუხა უმაღლესმა მწერალმა, – ფიქრადაც არ მომსვლია, რომ შენ ერთი ხელით შეგაქვს საჩივარი, ხოლო მეორეთი მის გამოტანას ცდილობ. ბრბომ შეურაცხყოფა მიაყენა მეფის ვაჟს, ჩვენი მოვალეობა იყო დამნაშავენი დაგვესაჯა. მაგრამ თუ შენ მიუტევე შეურაცხყოფა, სახელმწიფოს ამის საწინააღმდეგო არა აქვს რა.

– სახელმწიფო... სახელმწიფო... – გაიმეორა ბატონიშვილმა. – სახელმწიფო – ეს ჩვენა ვართ, – ეს ჩვენა ვართ, – და თვალები მოჭუტა.

– დიახ, სახელმწიფო – ფარაონია და... მისი უერთგულესი მსახურები, – შეესიტყვა მწერალი.

წარჩინებულ მოხელესთან ეს საუბარი საკმარისი იყო, რომ გაფანტულიყო მემკვიდრის ცნობიერებაში აღძრული ძლიერი, თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა „სახელმწიფოს“ მნიშვნელობაზე. მაშასადამე, სახელმწიფო არ ყოფილა სამარადისო შეურყეველი შენო-

ბა. მას ფარაონებმა უნდა მიუმატონ თავიანთი დიდი საქმეები, როგორც უმატებენ ხოლმე შენობას ქვას ქვაზე, – ეს უფრო ქვიშის გროვაა, რომელსაც ყოველი მბრძანებელი გადაყრ-გადმოყრის, როგორც მოეპრიანება. სახელმწიფოში არსებობს კანონებად წოდებული ის ვიწრო კარი, რომელშიც გავლისას ყველამ, ვინც უნდა იყოს ის – გლეხი თუ ტახტის მემკვიდრე, – თავი უნდა დახაროს. ამ შენობაში არის სხვადასხვა შესასვლელი და გამოსასვლელი – ვიწრო – სუსტთა და მცირეთათვის, ფრიად ფართო და მოსახერხებელი – ძლიერთათვის.

„თუ ასეა, – გადაწყვიტა ბატონიშვილმა, – მე დავამყარებ ისეთ წესრიგს, როგორიც მომწონს“.

და მას მოაგონდა ორი ადამიანი: განთავისუფლებული ზანგი, რომელიც მზად იყო სიცოცხლე შეეწირა იმისათვის, რაც ბატონიშვილს ეკუთვნოდა, თუმცა საამისო ბრძანება ჯერ კიდევ არ მიეღო, და უცნობი ქურუმი.

„ასეთი ადამიანები რომ ბლომად მყავდეს, ჩემი ნებასურვილი გაბატონდებოდა ეგვიპტეში და მის საზღვრებს იქითაც...“ – თქვა თავისთვის რამზესმა და გადაწყვიტა უეჭველად მოენახა ქურუმი.

ეს, ალბათ, სწორედ ის ქურუმი იყო, რომელმაც შეაჩერა ბრბო მის სახლზე თავდასხმის დროს. მას არა მარტო კანონები სცოდნია მშვენივრად, არამედ ბრბოს დამორჩილებაც შესძლებია.

– დაუფასებელი ადამიანია!.. უნდა მოვნახო...

ამ დღიდან მემკვიდრემ ერთი მენიჩბის თანხლებით იწყო პატარა ნავით თავის მამულის მიდამოებში გლეხთა ქოხების შემოვლა. მან კვართი ჩაიცვა და დიდი პარიკი დაიხურა, ხელშიც ჭდეებით დაყოფილი ლარტყა დაიჭირა, ასე რომ იგი შეიძლებოდა ჩაეთვალათ ინჟინრად, რომელიც მდინარეში წყლის აწევას იკვლევს.

გლეხები ხალისით აძლევდნენ ყოველგვარ განმარტებას, რაც წყალდიდობას შეეხებოდა, და როცა სიტყვა მოიტანდა, სთხოვდნენ მთავრობამ ვედროიან ოწინარზე უფრო იოლი საშუალება მოიგონოს წყლის ამოსახაპავადო. უამბობდნენ აგრეთვე ხუტორზე თავდასხმის ამბავს, არ ვიცით, ვინ ისროლა ქვებიო. იგონებდნენ ქურუმსაც, რომელმაც შეძლო ბრბოს დამშვიდება, მაგრამ არ იცოდნენ, ვინ იყო იგი.

– ცხოვრობს ჩვენს არემარეში, – ამბობდა ერთი გლეხი, – ქურუმი,

რომელიც თვალებს მკურნალობს, არის მეორეც, რომელიც ჭრილობებს აშუშებს და ხელ-ფეხის მოტეხელობას ასწორებს. არიან ისეთებიც, რომლებიც წერა-კითხვას ასწავლიან. ერთი ორმაგ სალამურზე უკრავს, და გვარიანადაც უკრავს; მაგრამ ის, ვინც მაშინ მემკვიდრის ბაღში გამოჩნდა, მათ შორის არაა და მათ თვითონ არაფერი იციან მის შესახებ. უთუოდ ეს ღმერთი ხნუმი იქნება ანდა რომელიღაც სული, რომელიც მფარველობს მემკვიდრეს, ცოცხლობდეს იგი მარად და არასოდეს დაჰკარგოდეს მადა!..

„იქნებ მართლაც რომელიღაც სულია?“ – გაიფიქრა რამზესმა.

ეგვიპტეში ბოროტ ან კეთილ სულს უფრო ადვილად შეხვდებოდა კაცი, ვიდრე, მაგალითად, წვიმა ეღირსებოდა.

ნილოსმა წითელი ფერი იცვალა, მიხაკისფრად იქცა, და აგვისტოში, ხატორის თვეში, თავისი სიმაღლის ნახევარს მიაღწია. სანაპირო კაშხალებში რაბები გახსნეს და წყალმა სწრაფად გაავსო არხები და მერიდეს უზარმაზარი ხელოვნური ტბა საუცხოო ვარდებით განთქმულ ფაიმუნის პროვინციაში. ქვემო ეგვიპტე ბორცვებით შემოქობილ ზღვის უბე წააგავდა. ბორცვების კალთებზე გაფანტული იყო სახლები და ნაირფერი ბაღები. ხმელეთით მოძრაობა სავსებით შეწყდა და მდინარეში მრავალი ნავი ტრიალებდა: თეთრი, ყვითელი, წითელი, მუქ-ქუფრი, რომლებიც შემოდგომის ფოთლებს წააგავდნენ. ყველაზე მაღალ ადგილებში უკვე ათავებდნენ ბამბის კრეფას. მეორეჯერ თიბავდნენ სამყურას და იწყებდნენ თაფლინდისა და ზეთისხილის ნაყოფის მოგროვებას.

ერთხელ, როდესაც მემკვიდრე წყლით დაფარული ხუტორების ახლო ნავით მიცურავდა, მისი ყურადღება მიიპყრო არაჩვეულებრივმა მოძრაობამ. ერთ პატარა კუნძულზე, ხეებს იქით. ქალების ხმამაღალი ყვირილი ისმოდა.

„უთუოდ ვიღაც მოკვდა“, – გაიფიქრა რამზესმა.

მეორე კუნძულიდან პატარა ნავებით მიეზიდებოდნენ ხორბლით სავსე ტომრებსა და საქონელს; ნამშრალებთან მდგომნი იგინებოდნენ და ნავში მსხდომთ ემუქრებოდნენ.

„მეზობლები წაჩხუბებულან“, – გაიფიქრა მემკვიდრემ. მომდევნო ხუტორებში სიწყნარე სუფევდა, მაგრამ მცხოვრებლები, იმის ნაც-

ვლად, რომ ემუშავნათ ან ემღერათ, ჩუმად ისხდნენ მიწაზე.

„მუშაობა დაუმთავრებიათ და ისვენებენ“.

ერთ პატარა კუნძულის ნაპირს მოშორდა ნავი, რომელზედაც რამდენიმე მტირალი ბავშვი იჯდა; ვიღაც ქალი ნავს გამოეკიდა და, წყალში წელამდე მდგომი, მუშტით იმუქრებოდა.

„სკოლაში მიჰყავთ ბავშვები“, – გაიფიქრა რამზესმა. ბოლოს და ბოლოს იგი დაინტერესდა ყველა ამ სცენით...

ერთ-ერთი მომდევნო კუნძულიდან კვლავ მოისმა ყვირილი. ბატონიშვილმა ხელი თვალებზე მიიჩრდილა და დაინახა მიწაზე გაწოლილი კაცი, რომელსაც ზანგი კეტით სცემდა.

– რა ამბავია მანდ? – შეეკითხა რამზესი მენავეს.

– განა ვერ ხედავ, ბატონო, რომ საბრალო გლეხკაცს სცემენ? – ჩაიცინა მენავემ. – ჩანს, ვერ აამა და აი, ტკაცატკუცი გააქვს მის ძვლებს.

– განა შენ თვითონ გლეხი არა ხარ?

– მე?.. – ამაყად უპასუხა მენავემ, – მე თავისუფალი მეთევზე ვარ. თევზს რომ დავიჭერ, მეფეს მივართმევ, რაც წესია, და მერე შემიძლია არხეინად ვიცურო მთელ ნილოსში პირველი ჭორომიდან ზღვამდე. მეთევზე თევზსა ჰგავს ან გარეულ ბატს, გლენი კი – ხეს: აჭმევს თავის ნაყოფს ბატონებს და ვერსად გაიქცევა. მხოლოდ კრუსუნებს ხოლმე, როცა ზედამხედველები ზურგს უჭრელებენ. ოჰო-ჰო!.. აი იქ გახედეთ, – წამოიძახა თავისი თავით კმაყოფილმა მეთევზემ.– ჰოი, მამილო!. წყალი მთლად არ ამოხვრიპო, თორემ მოუსავლიანობა იქნება.

ეს მხიარული წამოძახილი შეეხებოდა ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც საკმაოდ უცნაური საქმით იყვნენ გართულნი. რამდენიმე შიშველი მამაკაცი ნაპირზე დამდგარიყო, ვიღაც კაცისთვის ფეხებში ხელი ჩაევლოთ და თავდაყირა აყურყუმალავებდნენ წყალში ჯერ კისრამდე, მერე მკერდამდე და ბოლოს წელამდეც. გვერდით იდგა კეტიანი კაცი, რომელსაც ჭუჭყიანი კვართი ეცვა და ცხვრის ტყავის პარიკი ეწურა.

ცოტა მოშორებით საზარელი ხმით ღრიალებდა ქალი, რომელსაც ხალხი აკავებდა.

ჯოხით ცემა ისე იყო გავრცელებული ფარაონის „ბედნიერ სახელმწიფოში, როგორც ჭამა და ძილი. სცემდნენ ბავშვებსა და დიდებს,

გლეხებს, ხელოსნებს, ჯარისკაცებს, ოფიცრებს, მოხელეებს. თითოეული იღებდა თავის ხვედრ ჯოხის დარტყმას, გამონაკლისს შეადგენდნენ ქურუმები და უმაღლესი დიდებულები, რადგან მათი გამჯოხავი აღარავინ იყო. ამიტომ მემკვიდრე საკმაო გულგრილობით უცქეროდა გლეხს, გომელსაც კეტს სცემდნენ, მაგრამ მისი ყურადღება მიიპყრო გლეხმა, რომელსაც წყალში აყურყუმალავებდნენ.

– ჰო! ჰო!.. – განაგრძობდა ამასობაში სიცილს მენავე. – ზორბად აყლაპეს... ისე გაიბერება, რომ ცოლს საგვერღულის გახსნა მოუხდება.

რამზესმა უბრძანა ნავის ნაპირთან მიყვანა. ამასობაში გლეხი წყლიდან ამოიყვანეს, ამოხველება აცალეს, მერე ისევ სტაცეს ხელი ფეხებში – ყურადღება არ მიუქცევიათ, თუ რა არაადამიანურად ყვიროდა ქალი, რომელიც ფხაჭნიდა და კბენდა იმათ, ვინც აკავებდა.

– შეჩერდით! – დაუყვირა რამზესმა ჯალათებს, რომლებიც გლეხს მიათრევდნენ.

– განაგრძეთ თქვენი საქმე! – დაუღრიალა მათ ცხვრისპარიკიანმა კაცმა დუდღუნით, რათა მეტი რიხი გამოეჩინა, – ერთი დამიხედეთ, რა მამაცი ვინმე გამოტყვრა...

იმავე წუთს რამზესმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, თავში სთხლიშა თავისი ლარტყა, რომელიც, საბედნიეროდ, არც ისე მძიმე აღმოჩნდა. ჭუჭყიანი კვართის პატრონი ჩაიკეცა, თავში ხელი წაივლო და თავდამსხმელს ამღვრეული თვალებით შეხედა.

– ვხვდები, უკვე თავისი ბუნებრივი ხმით წარმოთქვა მან. – რომ პატივი მაქვს წარჩინებულ პირს ველაპარაკო... დაე, არასოდეს არ მოგშლოდეს, ბატონო ჩემო, კარგი გუნება და არასოდეს ჩაგქცეოდეს ნაღველი...

– რას უშვრები ამ კაცს?.. – სიტყვა შეაწყვეტინა მემკვიდრემ.

– ბატონო ჩემო, – უპასუხა ცხვრისპარიკიანმა კაცმა კვლავ დუდღუნით, – შენ მეკითხები როგორც უცხოელი, რომელიც არ იცნობს არც აქაურ ზნე-ჩვეულებებს, არც ადამიანებს, და მათ მეტად მოურიდებლად ელაპარაკება. მაშ იცოდე, რომ მე მემფისში პირველი ბანკირის, კეთილშობილი დაგონის გადასახადთა ამკრეფი ვარ: და თუ ამან არ დაგიკარგა ფერი, მაშ დამატებით ისიც იცოდე, რომ კეთილშობილი

დაგონი არის მოიჯარადრე, რწმუნებული და მეგობარი ტახტის მემკვიდრისა – ცოცხლობდეს იგი მარად! – და რომ შენ ძალადობა ჩაიდინე ბატონიშვილ რამზესის მიწაზე, რაც შეუძლიათ დაამოწმონ ჩემმა კაცებმა.

– მაშასადამე, ეს... – უნდოდა სიტყვა შეეწყვეტინებინა რამზესს, მაგრამ უცბად შეჩერდა. – რა უფლებით სტანჯავთ თქვენ ასე გლეხს, რომელიც ტახტის მემკვიდრეს ეკუთვნის?

– ამ არამზადას გადასახადების გაღება არ სურს, მემკვიდრის ხაზინა კი დაცარიელდა.

მისმა თანაშემწეებმაც, როცა დაინახეს, რა ბედი ეწია მათ უფროსს, ხელი გაუშვეს თავიანთ მსხვერპლს და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. განთავისუფლებულმა გლეხმა კვლავ დაიწყო ყურებიდან და პირიდან წყლის გადმოღვრა-ამოფურთხება, მისი ცოლი კი მხსნელს ფეხებზე მოეხვია.

– ვინც არ უნდა იყო შენ, – გოდებდა მემკვიდრისაკენ ლოცვით ხელგაწვდილი ქალი. – ღმერთი თუ ფარაონის მოციქული, მომისმინე. ჩვენ ვეკუთვნით ტახტის მემკვიდრეს, – ცოცხლობდეს იგი მარად! – და ყველა გადასახადი გავისტუმრეთ – ფეტვითაც, ხორბლითაც, ყვავილებითაც და ხარის ტყავითაც. აი ეს კაცი კი მოდის ჩვენთან და გვიბრძანებს კიდევ მივცეთ შვიდი საწყაო ხორბალი. „რა უფლების ძალით? – ეკითხება ჩემი ქმარი, – გადასახადები ხომ უკვე გავისტუმრეთო“. ამან კი წამოაქცია ჩემი ქმარი, ფეხით შესდგა ზედ და ეუბნება: „იმ უფლების ძალით, რომ ასე მიბრძანა ღირსმა დაგონმაო“. – „საიდანღა ვიშოვნო, – უპასუხებს ჩემი ქმარი, – როდესაც ჩვენ თვითონ არა გვაქვს პური და მთელი თვეა, რაც ლოტოსის თესლსა და ძირსა ვჭამთ, ამათი შოვნაც გაჭირდა, იმიტომ რომ დიდ ბატონებს უყვართ მისი ყვავილებით გართობა“.

ქალი აქვითინდა. ბატონიშვილი მოთმინებით უცდიდა მის დაწყნარებას. გლეხი კი, რომელსაც ეს-ეს იყო წყალში აყურყუმალავებდნენ, ბუზღუნებდა:

– ეს დედაკაცი ლაქლაქით უბედურებას დაგვატეხს. ხომ გეუბნებოდი, მეჯავრება, როცა დედაკაცი ერევა ჩემს საქმეებში-მეთქი!

ამასობაში გადასახადთა ამკრეფი მიუახლოვდა მენავეს, რამზეს-

ზე მიუთითა და ჩუმად შეეკითხა:

– ვინ არის ეს ლაწირაკი?

– გაგიხმეს ენა! – უპასუხა მენავემ. – ვერა ხედავ განა, რომ წარჩინებული ბატონი უნდა ბრძანდებოდეს: კარგ გასამრჯელოს იძლევა და ცემაც მარჯვედ სცოდნია.

– მაშინვე მივხვდი, – წაიჩურჩულა გადასახადთა ამკრეფმა, – რომ დიდი ვინმე უნდა იყოს, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ხშირად მიქეიფია დიდ ბატონებთან.

– ჩანს, ამ ქეიფებიდან შეგრჩენია ტანისამოსზე გაქონილი ლაქები, – ჩაიბურტყუნა პასუხად მენავემ.

ქალმა ტირილით გული იჯერა და კვლავ დაიწყო:

– დღეს კი მოვიდა ეს მწერალი თავისი კაცებით და ეუბნება ჩემს ქმარს: „თუ ხორბალი აღარ გაქვს, მაშინ მოგვეცი შენი ორი ვაჟი; მაშინ ღირსი დაგონი არამცთუ ჩამოგაწერს ამ გადასახადს – ყოველწლიურად თითოეულ ბიჭზე თითო დრახმასაც მოგცემსო“.

– ვაი ჩემს თავს! – დაუყვირა მას ქმარმა, რომელსაც წეღან მდინარეში აყურყუმალავებდნენ. – ყველას დაგვღუპავ შენი ყბედობით... ყურს ნუ უგდებ, კეთილო ბატონო, – მიმართა მან რამზესს. ძროხა ფიქრობს, რომ კუდით დააფრთხობს ბუზებს, დედაკაცს კი ჰგონია, ენით მოიგერიებს გადასახადთა ამკრეფს. არ ესმით არც ერთს და არც მეორეს, რომ ორივე სულელია.

– შენ თვითონ ხარ სულელი, – სიტყვა გააწყვეტინა დედაკაცმა. – შუქმფინარო ჩვენო ბატონო... შესახედავადაც ბატონიშვილს ჰგავხარ...

– მოწმენი იყავით, – წასჩურჩულა გადასახადთა ამკრეფმა თავის კაცებს. – ეს ქალი მკრეხელობს...

– სურნელოვანო ყვავილო! შენი ხმა სალამურის ხმასა ჰგავს. მომისმინე, – ემუდარებოდა ქალი რამზესს. – ჰოდა ასე ეუბნება ჩემი ქმარი ამ მოხელეს: „უმალ უღელ ხარს მოგცემდით, რომ მყავდეს, ვიდრე ჩემს ბიჭუნებს, თუნდაც წელიწადში თითოეულზე ოთხი დრახმა მაძლიოთ. ბავშვი რომ მომსახურედ წავა სახლიდან, მას უკვე ვეღარავინ ნახავსო“.

– მირჩევნია თავი ჩამოვიხრჩო! მირჩევნია თევზებმა წიწკნონ ჩემი

სხეული ნილოსის ფსკერზე! – ხვნეშოდა ქმარი, – მთელ ხუტორს დაღუპავ შენი ჩივილით... დედაკაცო!..

გადასახადთა ამკრეფმა ყველაზე მეტად დაინტერესებული მხარის გამოქომაგება რომ დაინახა, წინ წამოდგა და ისევ დუდღუნით დაიწყო:

– მას შემდეგ, რაც მხე ამოდის სამეფო სასახლის უკან და ჩადის პირამიდებს იქით, ამ ქვეყანაზე სხვადასხვა სასწაული ხდებოდა... ფარაონ სემერხეტის დროს სასწაულებრივი მოვლენები მოხდა და ეგვიპტეს ჭირი ეწვია. ბადტაუს დროს ბუბასტისთან მიწა გაიპო და მრავალი ადამიანი შთანთქა... ხეფერხერესის მეფობის დროს ნილოსის წყალი თერთმეტი დღის განმავლობაში თაფლივით ტკბილი იყო. მომხდარა კიდევ მრავალი ასეთი სასწაული, რომლებიც მე ვიცი, რადგან სიბრძნით ვარ აღვსილი. მაგრამ არავის არასოდეს უნახავს, წლიდან გამოსულიყოს ვიღაც უცნობი და ტახტის უკეთილშობილესი მემკვიდრის მამულში გადასახადთა აკრეფისათვის ხელი შეეშალოს.

– გაჩუმდი! – დაუყვირა რამზესმა. – და დაიკარგე აქედან. – ვერავინ წაგართმევთ ბავშვებს, – მიმართა მან ქალს.

– ჩემთვის ძნელი არაა დავიკარგო აქედან, – უპასუხა გადასახადთა ამკრეფმა, – რადგან ჩემს განკარგულებაშია მსუბუქი ნავი და ხუთი მენიჩბე. მაგრამ მომეცით, თქვენო ღირსებავ, რაიმე ნიშანი, რომ ჩემს ბატონს დაგონს ვაჩვენო.

– მოიხსენი პარიკი და უჩვენე ნიშანი შენს გოგრაზე,– უთხრა რამზესმა. – დაგონს კი გადაეცი, რომ ასეთსავე ნიშნებს მოვხატავ მთელ მის ტანზე...

– თქვენ გესმით, როგორი შეურაცხყოფაა! – წაუჩურჩულა გადასახადთა ამკრეფმა თავის კაცებს და თან თავის მდაბალი დაკვრით ნაპირისაკენ მიიწევდა. ის ჩაჯდა ნავში. როდესაც მისი თანაშემწეები ნაპირს მოსცილდნენ და რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე გაცურეს, მუქარით დაიქნია მუშტი და დაიყვირა:

– კრუნჩხვამ შეიპყროს თქვენი შიგნეულობა, მეამბოხენო! მკრეხელებო! მე აქედან პირდაპირ ტახტის მემკვიდრესთან მივდივარ და ვუამბობ, რა ხდება მის მამულში.

მერე ხელი წამოავლო კეტს და დაუშინა თავის კაცებს, როგორ თუ

არ გამოექომაგეთო.

– შენც ასე მოგივა.. – ყვიროდა ის და რამზესს ემუქრებოდა,

ბატონიშვილი ჩახტა თავის ნავში და გააფთრებულმა მენავეს უბრძანა უკან დადევნებოდა მევახშის უტიფარ მსახურს. მაგრამ ცხვრის პარიკიანმა გადააგდო კეტი და თვითონ მიუჯდა ნიჩბებს, მისი კაცები კი ისე გულმოდგინედ ეხმარებოდნენ, რომ დადევნება უკვე უმიზნო აღმოჩნდა.

– უმალ ბუ დაეწევა მერცხალს, ვიდრე ჩვენ მათ, მშვენიერო ჩვენო ბატონო, – სიცილით უთხრა რამზეს მენავემ. – თქვენ კი, ალბათ, წყლის ტექნიკოსი კი არა, ოფიცერი ბრძანდებით და იქნებ თვით მეფის გვარდიის ოფიცერიც. ერთბაშად – თხლაშ გოგრაში! ეგ საქმე ცუდად როდი მემარჯვება: მე თვითონაც ხუთი წელი ვმსახურობდი კარში, თვითონ ჩავცხებდი ხოლმე გოგრაში თუ ღიპში, და ცუდად არ ვცხოვრობდი ქვეყნად. ხოლო თუ ვინმე წამაქცევდა, უცებ მოვისაზრებდი, უთუოდ ვინმე წარჩინებულთაგანია-მეთქი... ჩვენთან, ეგვიპტეში – ნურასოდეს დაუტევონ ის ღმერთებმა – საშინელი სივიწროვეა: ქალაქები, სახლები და ადამიანები სულ ერთმანეთზე სხედან და ვისაც სურს ამ დურდოში როგორმე მოტრიალდეს, უნდა უბაგუნოს, სადაც მოხვდება.

– ცოლიანი ხარ? – შეეკითხა მემკვიდრე.

– ჰმ! როცა არის დედაკაცი და ერთნახევარი ადამიანის ადგილი, მაშინ ცოლიანი ვარ, საერთოდ კი – უცოლო. მე ხომ ჯარში ვმსახურობდი და ვიცი, რომ დედაკაცი კარგია დღეში ერთხელ – და ისიც ყოველთვის არა. ხელს გვიშლის.

– ხომ არ წამოხვალ ჩემთან სამსახურში? არ ინანებ...

– მაპატიეთ, მე ხელად მივხვდი, რომ თქვენ შეგიძლიათ პოლკის სარდლობა, თუმცა შესახედავად ყმაწვილი ბრძანდებით. ოღონდ ვერავის სამსახურში ვერ ჩავდგები, მე თავისუფალი მეთევზე ვარ. პაპაჩემი, ბოდიში ამ სიტყვისათვის, მწყემსი იყო ქვემო ეგვიპტეში, ჩვენი გვარი კი ჰიქსოსებისაგან მომდინარეობს. მართალია, ბრიყვი ეგვიპტელი გლეხები სულს გვხდიან, მაგრამ მე მხოლოდ მეცინება. პირდაპირ ვიტყვი. გლეხკაცი და ჰიქსოსი ისე არიან ერთმანეთში, როგოც მოზვერი და ხარი. გლეხკაცს შეუძლია იაროს გუთნის უკანაც და მის

წინაც, ჰიქსოსი კი არავის დაუდგება მსახურად. მარტო მეფის ჯარში თუ შევა – ჯარიც სწორედ ამისათვისაა!

მხიარული მენავე ყბედობას განაგრძობდა, მაგრამ ბატონიშვილი აღარ უსმენდა. მის სულში უფრო და უფრო ხმამაღლა ხმიანობდა მისთვის სრულიად ახალი მწველი კითხვები. მაშ ეს კუნძულები, რომელთაც მან ნავით ჩაუარა, მის მამულებს ეკუთვნის. საოცარია, რომ მან სრულებით არ იცოდა, სად მდებარეობს და როგორია მისი ხუტორები. და, მაშასადამე, მისი სახელით დაგონს ახალი გადასახადები შეუწერია გლეხებისათვის. ის არაჩვეულებრივი გამოცოცხლება კი, რომელიც მან შენიშნა, როცა ნაპირების გაყოლებით მოცურავდა, თურმე იმით აიხსნებოდა, რომ აქ ახალ ღალას ღლეტდნენ ხალხს. იმ გლეხს, რომელსაც ნაპირზე სცემდნენ, უთუოდ გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ბავშვები, რომლებიც ნავში მწარედ ტიროდნენ, გაყიდული იყვნენ მთელი წლით სულზე თითო დრახმად. ხოლო ქალი, რომელიც წელამდე შევიდა წყალში და წამყვანთ სწყევლიდა, მათი დედაა...

„ქალები მეტისმეტად მოუსვენარი ხალხია, – თავის თავს ეუბნებოდა ბატონიშვილი. – მარტო სარაა უწყინარი და ჩუმი: დანარჩენებმა კი ყბედობის, ტირილისა და წივილ-კივილის მეტი არაფერი იციან...“

რამზესს მოაგონდა გლეხი, რომელიც აშოშმინებდა თავის გაანჩხლებულ ცოლს: მას ახრჩობდნენ, მაგრამ არ აღშფოთებულა; ქალს არაფერს უშვრებოდნენ და მაინც ღრიალებდა.

„ჰო, ქალები მოუსვენარი ხალხია!.. – ფიქრობდა რამზესი. – თვით ჩემი დარბაისელი დედაც... რა განსხვავებაა მასსა და მამაჩემს შორის! მეფეს არც კი სურს იცოდეს, რომ მე ლაშქრობა დავივიწყე ქალიშვილის გულისათვის, დედოფალს კი ვერ უპატიებია, რომ სახლში ებრაელი ქალი მოვიყვანე. სარასნაირი უწყინარი ქალი ჯერ არ შემხვედრია. სამაგიეროდ ტაფეტი ოთხი ქალის მაგიერ ყბედობს, ტირის და წივის...“

მერე ბატონიშვილს მოაგონდა გლეხის ცოლის სიტყვები, უკვე თვეა, რაც პური არ გვიჭამია, ლოტოსის თესლსა და ძირებს ვჭამთო, ლოტოსის თესლი ისეთივეა, როგორიც ყაყაჩო; ძირს ხომ არაფრის

გემო არა აქვს. რამზესი სამი დღეც ზედიზედ ვერ შეჭამდა მას. ქურუმებიც კი, რომლებიც მკურნალობას მისდევენ, საჭმლის ცვლას ურჩევენ. ჯერ კიდევ სკოლაში ასწავლიდნენ მას, რომ ხორცი უნდა შეინაცვლოს თევზით, ხორბლის პურით, ხურმით და ქერის ლავაშით. როგორი უნდა იყოს მთელი თვე ლოტოსის თესლის ჭამა.. კი, მაგრამ როგორღაა ცხენი და ძროხა?.. ცხენებსა და ძროხებს თივა უყვართ, მაგრამ ქერის ცომის ქუფთას ძალით ტენიან ხახაში. იქნებ გლეხებსაც ლოტოსის თესლი ურჩევნიათ პურისა და ქერის ლავაშს, თევზსა და ხორცს კი გემოს ვერ ატანენ. თუმცა განსაკუთრებით ღვთისმოსავი ქურუმები, სასწაულმოქმედები არასოდეს არ ეკარებიან არც ხორცს, არც თევზს; ალბათ, დიდებულებსა და ფარაონის შვილებს ესაჭიროებათ ხორცი, როგორც ლომებსა და არწივებს; გლეხებისათვის კი, როგორც ხარებისათვის, საკმარისია ბალახი...

და თუ გადასახადის ნარჩენისათვის გლეხკაცს წყალში აყვინთებდნენ, განა თვითონაც, ამხანაგებთან ერთად ბანაობისას, წყალში არ აგდებდა მათ და არ ყვინთავდა? რამდენს იცინებდნენ ამ დროს! ყვინთვა გართობაა. რაც შეეხება ჯოხით ცემას, განა ცოტა უცემიათ იგი სკოლაში?.. ეს მტკივნეულია, მაგრამ, ალბათ, არა ყველასათვის. ძაღლს როცა ურტყამენ, ის წკმუტუნებს და იკბინება, ხოლო ხარი არც კი მოიხედავს. ასევე წარჩინებულ პირს სტკივა, როცა სცემენ, გლეხკაცი კი ყვირის მხოლოდ იმისათვის, რომ ყელი ამოიწმინდოს, თანაც ყველა როდის ყვირის. ჯარისკაცები თუ ოფიცრები მღერიან კიდეც, როცა ჯოხავენ...

ამ ბრძნულმა მოსაზრებებმა მაინც ვერ შეძლო ჩაეხშო მემკვიდრის სულში ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ აბეზარი მოუსვენრობა. მისი მოიჯარე დაგონი გლეხებისაგან უკანონო გამოსაღებს მოითხოვს, რომლის გადახდა მათ აღარ შეუძლიათ!

ამ წუთს რამზესს იმდენად გლეხები არ აინტერესებდა, რამდენადაც საკუთარი დედა. დედოფალმა უდავოდ იცოდა ფინიკიელთა თარეშის ამბავი. რას ეტყვის იგი შვილს ამაზე? როგორ შეხედავს მას? რა ცბიერად გაიღიმებს!.. აბა, რისი ქალი იქნებოდა, თუ შემთხვევის დროს არ მოაგონებდა შვილს: „ხომ გეუბნებოდი, რამზეს, რომ ეს ფინიკიელი გააჩანაგებს-მეთქი შენს მამულებს...“

„ეს მოღალატე ქურუმები, – განაგრძობდა ფიქრს ბატონიშვილი, – რომ ოც ტალანტს შემომწირავდნენ, ხვალვე გავაგდებდი დაგონ, რათა ჩემს გლეხებს აღარ შეხვდეთ ცემა-ტყეპა, აღარ ყლაპონ ნილოსის წყალი და დედაც აღარ დამცინოდეს. მეათედი.. მეასედი ნაწილი იმ სიმდიდრისა, ტაძრებში რომ აწყვია და მხოლოდ ხარბ, გაუმაძღარი ქურუმებს უხარებს გულს, წლობით მიხსნია და ფინიკიელებისაგან...“

აქ რამზესი მისთვისაც მოულოდნელ დასკვნამდე მივიდა, რომ გლეხებსა და ქურუმებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობს.

„სწორედ ხერიჰორის გამო იყო, იმ გლეხმა უდაბნოს საზღვარზე თავი რომ ჩამოიხრჩო. ქურუმებისა და ტაძრების სარჩენადაა, რომ ორ მილიონამდე ეგვიპტელი მძიმე შრომას ეწევა... ქურუმთა მამულები რომ ფარაონის ხაზინას ეკუთვნოდეს. მე აღარ დამჭირდებოდა 15 ტალანტის სესხად აღება და ჩემი გლეხები აღარ იქნებოდნენ ამ არაადამიანურ სატანჯველში. აი სად მარსია ეგვიპტის ჭირთა და მისი მეფეების უძლურების მიზეზი! ..

ბატონიშვილი გრძნობდა, რომ გლეხები სასტიკ უსამართლობას განიცდიან და, როცა გადაწყვიტა, ბოროტების მიზეზი ქურუმები არიანო, სიხარული იგრძნო. აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი განსჯა შეიძლება შემცდარი და უსამართლო ყოფილიყო,

თუმცა კი არ სჯიდა, არამედ აღშფოთებული იყო. ხოლო ადამიანის აღშფოთება არასოდეს არაა მიმართული თვით მის წინააღმდეგ, ისევე როგორც მშიერი ავაზა არ ჭამს თავის თავს და ყურებდაცქვეტილი კუდის ქნევით დაეძებს მსხვერპლს.

თავი მეცამეტე

ტახტის მემკვიდრის გასეირნებას იმ მიზნით, რომ მოენახა ქურუმი, რომელმაც სარა გადაარჩინა და ბატონიშვილს საქმიანი რჩევა მისცა, მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. ქურუმი ვერ იპოვა, მაგრამ ეგვიპტელ გლეხებში გავრცელდა ლეგენდები მეფისწულზე. ვიღაც კაცი ღამღამობით პატარა ნავით დადიოდა სოფელ-სოფელ და გლეხებს

უამბობდა, რომ ტახტის მემკვიდრემ გაათავისუფლა ის ხალხი, ვისაც მის სახლზე თავდასხმისათვის ქვის სამტეხლოებში მუშაობა ელოდაო. ამას გარდა, ტახტის მემკვიდრემ სცემა მსახური, რომელიც გლეხებს უკანონო გამოსაღებს იძულებით ართმევდაო. „მეფისწულ რამზეს. განსაკუთრებით მფარველობს ღმერთი ამონი, რომელიც მის მამაო, – დაურთავდა ბოლოს უცნობი.

მდაბიო ხალხი ხარბად ისმენდა ამ ამბებს და ხალისით იჯერებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნაამბობი ფაქტებს ემთხვეოდა, მეორეც, იმიტომ რომ თვითონ მოამბე ჩნდებოდა, როგორც სული, – არავინ იცოდა საიდან და ქრებოდა.

რამზესს სრულიად არა უთქვამს რა დაგონისათვის თავის გლეხებს და არც კი დაუბარებია; მას უხერხულად მიაჩნდა წაკიდებოდა ფინიკიელს, რომლისგანაც ფული მიიღო და რომლისთვისაც, შეიძლება, კვლავაც არა ერთხელ მიემართა.

მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, რაც რამზესი დაგონის მწერალს შეეჯახა, და ბანკირი თვითონ გამოცხადდა ტახტის მემკვიდრესთან; ხელში ეჭირა თეთრ ხელსახოცში გახვეული რაღაც საგანი. ოთახში შესვლისას-იგი მუხლებზე დაეშვა, გახსნ ხელსახოცი და ამოიღო ოქროს საუცხოო ფიალა, უხვად შემკობილი ნაირფერი ქვებითა და ჩუქურთმებით, რომლებიც საღვარზე – ყურძნის კრეფას, ხოლო ფიალაზე – ნადიმს გამოსახავდა.

– მიიღე ეს ფიალა, ღირსო ბატონო, მონისა შენისაგან. – უთხრა ბანკირმა, – და დე ეს შენ გემსახუროს ასი... ათასი წელი... ქვეყნის აღსასრულამდე.

რამზესი მიხვდა, რაც სურდა დაგონს. ამიტომ ხელი არ ახლა ძვირფას საჩუქარს, მკაცრად შეხედა და უთხრა:

– ხედავ, დაგონ, ალისფერ ციმციმს ფიალის შიგნით?

– რასაკვირველია, – უპასუხა ბანკირმა, – როგორ ვერ შევამჩნევ ამ ყირმიზს, რომლითაც ჩანს, რომ ფიალა ბაჯაღლო ოქროსია.

– მე კი გეტყვი, რომ ეს მშობელთაგან წატაცებული ბავშვების, სისხლია. – მრისხანედ უპასუხა მემკვიდრემ და გავიდა ოთახიდან, დაგონი კი მარტო დატოვა.

– ჰოი, აშტორეტო! – ამოიკვნესა დაგონმა, მას ტუჩები გაულურჯდა

და ხელებმა ისე დაუწყეს კანკალი, რომ ძლივს შეახვია თავისი ფიალა.

რამდენიმე დღის შემდეგ დაგონი ამ ფიალით ხუტორში სარას ეწვია. ოქრომკედის ძვირფას ტანისამოსში გამოეწყო; სქელ წვერში დამალული ჰქონდა შუშის ბურთულა, საიდანაც ნელსურნელება ეპკურებოდა, თმაში კი ორი ფრთა გაერჭო.

– მშვენიერო სარა, – დაიწყო მან, – იაღვემ გარდმოუვლინოს შენს ოჯახს იმდენი კურთხევა, რამდენიც ახლა წყალია ნილოსში. ჩვენ, ფინიკიელები, და თქვენ, ებრაელები, ხომ მეზობლები და ძმები ვართ. მე თვითონ შენი ისეთი მგზნებარე სიყვარული მწვავს, ყოვლადღირს ჩვენს ბატონს რომ არ ეკუთვნოდე, მე მივცემდი გედეონს – ცოცხლობდეს იგი ბედნიერად! – ათ ტალანტს და კანონიერ ცოლად დაგისვამდი.

– ღმერთმა დამიფაროს, – უპასუხა სარამ, – ჩემი ბატონის გარდა მე სხვა არავინ მინდა. მაგრამ ერთი მითხარი, პატივცემულო დაგონ, რატომ მოგეხასიათა დღეს ბატონიშვილის მხევალს სწვეოდი?

– სიმართლეს გეტყვი, თითქოს ფამარი ყოფილიყო, ჩემი ცოლი, რომელიც თუმცა სიდონის წარჩინებული ასულია და დიდი მზითევიც მომიტანა, მაგრამ უკვე მოხუცდა და ღირსი არ არის ფეხზე სანდლები გაგხადოს...

– ტკბილი თაფლი, რომელიც შენს ბაგეთაგან მდინარებს, სიმწარით არის მოწამლული, – შენიშნა სარამ.

– სიტკბო მისი, – განაგრძობდა დაგონი, რომელიც იქვე ჩამოჯდა, – შენთვის იყოს, ხოლო სიმწარემ მე მომიწამლოს გული. ჩვენს ბატონს, რამზესს – ცოცხლობდეს იგი მარად! – ლომის ბაგე და ქორის თვალგამჭრიახობა აქვს. მან კეთილ ინება გადმოეცა ჩემთვის იჯარით თავისი მამულები, რამაც სიხარულით აღავსო ჩემი არსება. მაგრამ, ვაგლახ, ის მე არ მენდობა და მთელი ღამეები არ მძინავს გულნატკენს; მხოლოდ ვხვნეში და ცრემლებით ვრწყავ ჩემს სარეცელს, სადაც უკეთესია შენ იწვე ჩემს გვერდით, სარა, ჩემი ბებრუცანას, ნაცვლად, რომელსაც აღარ ძალუძს ვნება გააღვიძოს...

– თქვენ რაღაცის თქმა გსურდათ... – შეაწყვეტინა სახეაჭარხლებულმა სარამ.

– მე თვითონ აღარ ვიცი, რისი თქმა მინდოდა, მას შემდეგ, რაც შენ დაგინახე, და რაც ჩვენმა ბატონმა, როცა ამოწმებდა, თუ როგორ ვპატრონობ მის მამულს, კეტით ისე სცემა ჩემს მწერალს, რომელიც გლეხებს გადასახადებს ართმევდა, რომ საცოდავს ჯანი შეერყა. ეს გადასახადები, სარა, ჩემთვის კი არა, ჩვენი ბატონისთვისაა. მე კი არ შევჭამ ამ მამულებიდან შემოსულ ხურმასა და ხორბლის პურს, არამედ შენ, სარა, და ჩვენი ბატონი... მე ბატონს ფული მივეცი, შენ კი ძვირფასეულობა მოგართვი. სარა, შენ და ჩვენი ბატონი ეგვიპტელმა ბედასლმა გლეხუჭებმა რატომ უნდა გაგაღატაკონ?.. ხოლო რომ მიხვდე, როგორ მიღელვებს სისხლს შენი სილამაზე, და იცოდე, რომ მე ამ მამულებისაგან რაიმე გამორჩენას კი არ ველი, არამედ ყველაფერს თქვენ გაძლევთ, მიიღე, სარა, ჩუქურთმიანი ეს ბაჯაღლო ოქროს ფიალა, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი, რომელიც ღმერთებსაც კი აღტაცებაში მოიყვანდა.

ამ სიტყვებთან ერთად დაგონმა თეთრი ხელსახოციდან ამოიღო ფიალა, რომელიც ბატონიშვილმა არ მიიღო.

– არ დავიჟინებ, სარა, ეს ოქროს ფიალა შენთან ინახებოდეს და ამით მიართვი სასმელი ჩვენს ბატონს-მეთქი, გადაეცი ის მამაშენს გედეონს, რომელიც ძმასავით მიყვარს, და უთხარი შემდეგი: „დაგონი, შენი ტყუპი ძმა, ტახტის მემკვდრის მამულების შავსვიანი მოიჯარე, გაკოტრებულია. დალიე, მამაჩემო, ამ ფიალიდან, იფიქრე შენს ტყუპ ძმა დაგონზე და შესთხოვე იაღვეს, რომ ბატონი ჩვენი, ბატონიშვილი რამზესი, არ სცემდეს მის მწერლებს და არ აქეზებდეს თავის გლეხებს, რომლებსაც ისედაც არ უნდათ გადასახადის გადახდა შენ თვითონ კი, სარა, იცოდე, ოდესმე შენთან დაახლოების ნებას რომ დამრთავდე, შენ ორ ტალანტს და მამაშენს ერთ ტალანტს მოგცემდით და შემრცხვებოდა კიდეც, რომ ასე ცოტას გაძლევ, რადგან შენ ღირსი ხარ, რომ გეალერსებოდეს თვითონ ფარაონი, ტახტის მემკვიდრეც, უკეთილშობილესი მინისტრი ხერიჰორიც, სახელოვანი ნეიტიკერი და უმდიდრესი ფინიკიელი ბანკირებიც. ისე ტურფა ხარ, რომ როცა გხედავ, გონებას ვკარგავ, ხოლო როცა ვერ გხედავ თვალებს ვხუჭავ და პირზე ნერწყვი მომდის, შენ ხურმაზე უტკბესი და ვარდზე უფრო სურნელოვანი ხარ... მე შენ ხუთ ტალანტს მოგცემდი...

აიღე, სარა, ფიალა...

სარამ თვალები დახარა და უკან დაიხია.

– ფიალას არ მივიღებ, უპასუხა მან, – ჩემმა ბატონმა ამიკრძალა ვინმესაგან საჩუქრის მიღება.

დაგონმა გაოცებული თვალები მიაშტერა.

– შენ, ალბათ, წარმოდგენილიც არა გაქვს, სარა, რა ძვირი ღირს ეს ნივთი? ამას გარდა, მას მე მამაშენს, ჩემს ძმას, ვუძღვნი...

– ვერ მივიღებ... – ჩუმად გაიმეორა სარამ.

– ჰოი ღმერთებო... – წამოიძახა დაგონმა. – კარგი, სარა, შენ ოდესმე გადამიხდი ამის საფასურს, ოღონდ შენს ბატონს ნუ ეტყვი... ისეთ ტურფას, როგორიც შენა ხარ, არ შეუძლია არ ჰქონდეს ოქრო, ძვირფასეულობა და არ ჰყავდეს თავისი ბანკირი, რომელიც მას უშოვნიდა ფულს, როცა მოესურვებოდა, და არა მხოლოდ მაშინ, როცა მისი ბატონი მოისურვებდა...

– არ შემიძლია... – წაიჩურჩულა სარამ, რომელიც დაგონისადმი ზიზღს ვეღარ მალავდა.

ფინიკიელმა ერთბაშად შეცვალა კილო და სიცილით განაგრძო:

– ძალიან კარგი, სარა!.. მე მინდოდა მხოლოდ დავრწმუნებულიყავი, ერთგული ხარ თუ არა შენ ჩვენი ბატონისა. ახლა ვხედავ, რომ ერთგული ყოფილხარ, თუმცა ბრიყვები ლაყბობენ...

– რაო?.. – აენთო ქალიშვილი და დაგონისაკენ ხელებდამუხტული გაექანა.

– ჰა-ჰა-ჰა! – განაგრძობდა სიცილს ფინიკიელი. – რა სამწუხაროა, რომ ეს არ მოისმინა და არ ნახა ჩვენმა ბატონმა. მაგრამ ოდესმე, როცა კარგ გუნებაზე იქნება, ვუამბობ, რომ შენ არა მარტო ძაღლივით ერთგული ხარ მისი, არამედ ოქროს ფულის მიღებაზეც უარი თქვი, რადგან მან გიბრძანა საჩუქრები არ მიგეღო. ამ ფიალამ კი, მერწმუნე, საა, არა ერთი ქალი შეაცდინა... და მერე როგორი ქალი,..

დაგონი კიდევ ცოტა ხანს იჯდა და სარას სათნოებასა და მორჩილებას უქებდა. ბოლოს ნაზად გამოეთხოვა, ჩაჯდა თავის კარვიან ნავში და მემფისისაკენ წავიდა. რაც უფრო შორდებოდა ხუტორს ნავი, მით უფრო ქრებოდა ფინიკიელის სახეზე ღიმილი და მას რისხვის გამომეტყველება სცვლიდა, ხოლო როცა სარას სახლი ხეებს მიეფარა,

დაგონი წამოდგა, ხელები ზეაღაპყრო და გოდება იწყო:

– ჰოი, ბაალო სიდონ! ჰოი, აშტორეტო! ჩემი წყენისათვის თქვენ მიუზღეთ სამაგიერო იუდას წყეულ ასულს. ისე გაჰქრეს მისი ვერაგი სილამაზე, როგორც წვიმის წვეთი უდაბნოში! სენმა გამოხრას მისი სხეული და სიგიჟემ მოიცვას მისი სული! სახლიდან გააგდოს იგი ბატონმა, როგორც ქეციანი ღორი! დადგეს ჟამი, რომ ადამიანები ხელს ჰკრავდნენ მის დამჭკნარ ხელს, როცა ის, წყურვილისაგან ილაჯგაწყვეტილი, შეევედრება მღვრიე წყლის ერთი ყლუპი დამალევინეთო!

დაგონი კიდევ დიდხანს იფურთხებოდა და დუდღუნებდა, ვიდრე შავი ღრუბელი არ გადაეფარა წუთით მზეს და ნავის გარშემო ქაფიან ტალღებად არ აჩუხჩუხდა წყალი.

როდესაც მან გოდება დაამთავრა, მზე კვლავ გამობრწყინდა. მაგრამ მდინარე ჩუხჩუხს განაგრძობდა, თითქოს ახალი წყალდიდობა იწყებოდა.

დაგონის მენიჩბეები შეშინდნენ და სიმღერა შეწყვიტეს, მაგრამ მათ ბატონისაგან კარვის ფარდა ჰყოფდა და ვერ ხედავდნენ, იქ რას აკეთებდა,

ამ დროიდან ტახტის მემკვიდრეს ფინიკიელი აღარ ჩვენებია. მაგრამ ერთხელ პავილიონში დაბრუნებისას ბატონიშვილს საწოლ ოთახში დახვდა თექვსმეტი წლის მშვენიერი ფინიკიელი მოცეკვავე ქალი, რომლის მთელ მორთულობას თავზე ოქროს გვირგვინი და ბეჭებზე ობობას ქსელივით თხელი შარფი შეადგენდა.

– ვინა ხარ? – შეეკითხა რამზესი.

– მე ქურუმი ქალი და შენი მსახური ვარ. ბატონმა დაგონმა წარმომგზავნა, რომ მას შენი რისხვა ავაცილო.

– მერეღა როგორ შეძლებ მაგას?

– აი ასე... დაჯექი აქ, – უთხრა ქალმა და სავარძელში ჩასვა. მე – ფეხის ცერებზე დავდგები, რომ შენს რისხვაზე უფრო მაღალი ვიქნები და ამ ნაკურთხი შარფით განვდევნი შენგან ბოროტ სულებს. ქშ!.. ქშ!.. – აჩურჩულდა იგი და თან რამზესის წინ ტრიალებდა. – დეე ჩემმა ხელებმა განდევნოს ღრუბლები შენი შუბლიდან. დეე ჩემმა კოცნამ დაუბრუნოს შენს თვალებს ნათელი ხედვა... დეე ჩემი გულისცემამ მუსიკით აღავსოს სმენა შენი, ეგვიპტის მბრძანებელო! ქმ!.. ქშ...

ის თქვენი კი არა... ჩემია... სიყვარული ისეთ სიჩუმეს მოითხოვს... რომ მის წინ რისხვაც კი უნდა დადუმდეს.

ქურუმი ქალი ცეკვავდა და თან რამზესის თმას ეთამაშებოდა, ეხვეოდა, თვალებს უკოცნიდა. ბოლოს დაქანცული მის ფეხებთან დაჯდა, თავი მუხლებზე დაუდო და გამომცდელად მიაჩერდა, ტუჩები გაეპო და სუნთქვას მოუხშირა.

– ხომ აღარ უწყრები შენს მსახურს დაგონს? – ეჩურჩულებოდა იგი და ბატონიშვილს სახეზე ხელს უსვამდა.

რამზესს უნდოდა ტუჩებში ეკოცნა, მაგრამ ქალი მუხლებიდან ჩამოუხტა და გაექცა,

– ჰო, არა. ეს არ შეიძლება!

– რატომ?

– მე ქალწული ვარ, დიდი ღმერთქალის აშტორეტის ქურუმი ქალი. შენ ძლიერ უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე ჩემს მფარველს და მხოლოდ მაშინ შეგეძლება ჩემი კოცნა.

– შენ შეგიძლია აკოცო ვინმეს?

– მე ყველაფერი შემიძლია, იმიტომ რომ ქურუმი ვარ და აღთქმული მაქვს უბიწოების დაცვა.

– რისთვის მოვედი აქ?

– შენი რისხვის გასანელებლად. მე ეს შევასრულე და მივდივარ. მშვიდობით, მუდამ ჯანმრთელი და მოწყალე იყავ! – დაუმატა მან და მომჯადოებლად შეხედა.

– სად ცხოვრობ? რა გქვია? – შეეკითხა ბატონიშვილი.

– მე ალერსი მქვია, ვცხოვრობ კი... ეჰ, განა ღირს თქმა? შენ ჯერ კიდევ კარგა ხანს არ მოხვალ ჩემთან.

მან ხელი დაუქნია და გაქრა, ბატონიშვილი კი დარეტიანებულივით ისევ სავარძელში იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ადგა, სარკმელში გაიხედა და დაინახა მდიდარი ტახტრევანი, რომელიც ოთხ ნუბიელს სწრაფად მიჰქონდა ნილოსის ნაპირისაკენ.

რამზეს არ დასწყვეტია გული, რომ ქალი წავიდა. მან ის განაცვიფრა თავისი სილამაზით, მაგრამ ვერ გაიტაცა.

„სარა უფრო წყნარია... და უფრო ლამაზიც, – გაიფიქრა მან. – ამასთან.. ეს ფინიკიელი ქალი ცივი უნდა იყოს, ალერსიც დასწავლილი

აქვს“.

მაგრამ ამ წუთიდან ბატონიშვილმა დაგონზე გული მოიბრუნა, ხოლო ერთხელ, როცა სარასთან იმყოფებოდა, მასთან გლეხები მოვიდნენ, მადლობა მოახსენეს დაცვისათვის და აცნობეს, ფინიკიელი აღარ გვაიძულებს ახალი გამოსაღების გადახდასო.

ასე იყო მემფისთან. სამაგიეროდ ბატონიშვილის სხვა მამულებში მოიჯარე ცდილობდა დაკარგულის ანაზღაურებას.

თავი მეთოთხმეტე

ხოიაკის თვეში, სექტემბრის ნახევრიდან ოქტომბრის ნახევრამდე, ნილოსში წყალმა უმაღლეს დონეს მიაღწია და უკვე ოდნავ შესამჩნევად იწყო კლება. ბაღებში თაფლინდის ნაყოფს, ხურმას და ზეთისხილს კრეფდნენ. ხეები მეორედ აყვავდნენ.

ამ დროს უკეთილმსახურესმა რამზეს XII-მ დაუტევა თავისი მზიანი სასახლე მემფისთან და უამრავი ამალის თანხლებით რამდენიმე ათეული მორთული ხომალდით თებეში წავიდა, რათა უხვი წყალდიდობისათვის იქაური ღმერთებისადმი მადლობა აღევლინა და თან თავისი მარადმსუფევი წინაპრების საფლავებზე მსხვერპლშეწირვა შეესრულებინა.

ყოვლადძლიერი მბრძანებელი ფრიად მოწყალედ გამოეთხოვა თავის ვაჟს და მემკვიდრეს. მაგრამ სახელმწიფო საქმეების მართვა მის არყოფნაში ხერიჰორს მიანდო.

მეფისწულმა რამზესმა მონარქის ასეთი უნდობლობა ისე განიცადა, რომ სამი დღე პავილიონიდან არ გამოსულა, არაფერს ჭამდა და ტირილის მეტს არას აკეთებდა. მერე, ხერიჰორთან შეხვედრა რომ თავიდან აეცილებინა, თანაც დედის ჯიბრზე, რომელსაც თავისი უბედურების მიზეზად თვლიდა, პირის გაპარსვას თავი დაანება და სარას კარმიდამოში გადაბარგდა.

მეორე დღესვე ამ მყუდრო კუთხეში თუტმოსი ეწვია, თან ორი ნავით მესაკრავენი და მოცეკვავე ქალები მოიყვანა, მესამე ნავით კი ყოველგვარი ხორაგი, ყვავილები და ღვინო, მიიტანა. მაგრამ ბატონიშვილმა მესაკრავეები და მოცეკვავე ქალები უკან დააბრუნა, თუტმოსს

მკლავი გამოსდო და მადან ერთად ბაღში გავიდა.

– ალბათ, დედაჩემმა – ცოცხლობდეს იგი მარად! – გამოგგზავნა, რომ მე ებრაელ ქალს ჩამომაშორო? – შეეკითხა ის თავის ადიუტანტს. – გადაეცი მას: ხერიჰორი მარტო ნაცვალი კი არა, ფარაონის ძეც რომ გახდეს, ხელს ვერ შემიშლიდა ჩავიდინო ის, რაც მსურს. მესმის, რას ნიშნავს ეს... დღეს მოისურვებენ სარა წამართვან, ხვალ კი ხელისუფლებას გამომაცლიან. დეე იცოდნენ, რომ არც ერთსა და არც მეორეზე ხელს არ ავიღებ.

მემკვიდრე გულმოსული იყო. თუტმოსმა მხრები აიჩეჩა და მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა:

– როგორც ქარიშხალი გაიტაცებს ხოლმე ფრინველს უდაბნოში, ისე რისხვა უსამართლობის კლდეზე გადაისვრის ადამიანს. განა გასაკვირია ქურუმების უკმაყოფილება იმის გამო, რომ ტახტის მემკვიდრემ თავისი ცხოვრება სხვა ქვეყნისა და სარწმუნოების ქალს დაუკავშირა? სარა მათთვის მით უფრო უნდომია, რომ ის ერთია. შენ რომ ბევრი და ნაირნაირი ქალი გყავდეს, როგორც მაღალი წრის ყველა ახალგაზრდას, ებრაელ ქალს ყურადღებას არავინ მიაქცევდა. ბოლოსდაბოლოს რა დაუშავეს მას? პირიქით, ვიღაც ქურუმმა დაიცვა სარა უსაქმურთა აბობოქრებული ბრბოსაგან, შენ კი შემდეგ ეს უსაქმურები საპყრობილედან გაათავისუფლე.

– დედაჩემზე რაღას იტყვი? – სიტყვა შეაწყვეტინა მემკვიდრემ.

თუტმოსს გაეცინა.

– შენს ყოვლადღირს დედას ისე უყვარხარ, როგორც თავისი თვალი და გული. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, სარა არც მას მოსწონს. იცი, ერთხელ რა მითხრა დედოფალმა?. გადმოიბირე სარა, წაართვიო... აი, რა ხუმრობა მოიგონა!.. მეც ხუმრობითვე ვუპასუხე: „რამზესმა წყვილი მეძებარი და ორი სირიული ცხენი მაჩუქა, როცა თვითონ მობეზრდა. ალბათ, ოდესმე თავის საყვარელსაც გადმომცემს, მეც იძულებული ვიქნები მივიღო და თანაც, შესაძლოა, ერთგვარი სართით-მეთქი“.

– ტყუილად ფიქრობ ეგრე. მე ახლა სარას აღარ დავშორდები, და სწორედ იმიტომ, რომ მისი გულისათვის მამამ თავის ნაცვალად არ დამნიშნა.

თუტმოსმა თავი გაიქნია.

– დიდად ცდები, – შეესიტყვა ის, – ისე ცდები, რომ ეს თითქმის მაშინებს კიდეც. ნუთუ მართლაც არ იცი ფარაონის წყრომის ნამდვილი მიზეზი, რომელიც იცის ეგვიპტეში ყოველმა კაცმა, ვისაც კი ოდნავ ჭკუა უჭრის?

– არაფერი ვიცი.

– მით უარესი, – დაიბნა თუტმოსი. – მაშ შენ არ იცი, რომ მანევრების მერე ჯარისკაცები, განსაკუთრებით ბერძნები, ყოველ სამიკიტნოში შენს სადღეგრძელოს სვამენ?

– სწორედ ამისთვის მიიღეს მათ ფული.

– კი, მაგრამ არა იმისთვის, რომ იღრიალონ, თითქოს როცა მეფის შემდეგ – ცოცხლობდეს იგი მარად! – ტახტზე ახვალ, დაიწყებ დიდ ომს, რასაც მოჰყვება ცვლილებები ეგვიპტეში. რა ცვლილებები?.. ან ვინ ბედავს ფარაონის სიცოცხლეში ილაპარაკოს მისი მემკვიდრის გეგმებზე?

მემკვიდრე მოიღუშა.

– ეს ერთი, ახლა კი სხვასაც გეტყვი, – განაგრძობდა თუტმოსი, – რადგან ბოროტება, როგორც აფთარი. არასოდეს არ დადის ცალად. შენ იცი, რომ გლეხები მღერიან იმაზე, თუ როგორ გაათავისუფლე საპყრობილედან შენს სახლზე. თავდამსხმელები და, რაც უფრო უარესია, ამბობენ, რომ როცა ტახტზე ახვალ, უბრალო ხალხს გადასახადებს მოუხსნი. რომ ცნობილია, რომ ყოველთვის, როცა გლეხებს შორის შევიწროებასა და გადასახადებზე იწყებოდა ლაპარაკი, საქმე ჯანყით მთავრდებოდა. და მაშინ ან გარეშე მტერი იჭრებოდა დაუძლურებულ სახელმწიფოში, ანდა ეგვიპტე იმდენივე ნაწილად ქუცმაცდებოდა, რამდენიც მასში ნომარქოსები იყვნენ... დასასრულ, თვითონ განსაჯე, რას ემგვანება, რომ ეგვიპტეში ვისიმე სახელი უფრო ხშირად იხსენებოდეს, ვიდრე ფარაონის სახელი, და რომ ვინმე ჩადგებოდეს ხალხსა და ჩვენს მბრძანებელს შორის. ხოლო თუ ნებას დამრთავ, გიამბობ, რა აზრისა არიან ამაზე ქურუმები.

– რასაკვირველია, თქვი...

– ერთი ბრძენი ქურუმი, რომელიც ამონის ტაძრის პილონიდან ცის მნათობთა მოძრაობას უკვირდებოდა, ასეთ იგავს მოჰყვა: „როცა

მთვარე შუქმფინარ ღმერთს შორიახლო მისდევს, დღისითაც სინათლეა და ღამითაც. ხოლო როდესაც მთვარე მეტისმეტად უახლოვდება მზეს, მაშინ ის ჰკარგავს თავის კაშკაშს და ღამეებიც ბნელია. ხოლო თუ მოხდება, რომ მთვარე მზის წინ დადგება, მაშინ ხდება დაბნელება და მთელ სამყაროში არეულობა იქნება. მზე – ფარაონია, მთვარე კი ტახტის მემკვიდრე“.

– და მთელი ეს მონაჩმახი, – შეაწყვეტინა რამზესმა, – აღწევს მეფის ყურამდე? ვაგლახ! სჯობდა ფარაონის ძედ არ დავბადებულიყავი...

– ფარაონმა, რომელიც ღმერთია ქვეყნად, ყველაფერი იცის, მაგრამ იგი მეტად დიდია, რომ ყურადღება მიაქციოს მთვრალი ჯარისკაცების წამოძახილებს, ანდა გლეხუჭების ბუზღუნს. მან იცის, რომ ყოველი ეგვიპტელი მისთვის სიცოცხლეს გასწირავს, და პირველ რიგში კი შენ.

– მართალია! – უპასუხა ნაწყენმა მეფისწულმა. – მაგრამ ყოველივე ამაში მე მხოლოდ ქურუმების ახალ მზაკვრობას ვხედავ, – მკვირცხლად დაუმატა რამზესმა. – მაშასადამე, ჩვენი მეფის სიდიადეს მე იმით ვჩრდილავ, რომ საპყრობილედან ვათავისუფლებ უდანაშაულოთ და ნებას არ ვაძლევ ჩემს მოიჯარეს გლეხებს უკანონო გადასახადები წაგლიჯონ? ის კი, რომ ყოვლადღირსი ხერიჰორი განაგებს ჯარს, ნიშნავს სარდლებს, მოლაპარაკებას აწარმოებს უცხო ქვეყნების მთავრებთან და მამაჩემს აიძულებს დღეები ლოცვა-ვედრებაში გაატაროს...

თუტმოსმა ყურები თითით დაიცვა და ფეხები დააბაკუნა.

– გაჩუმდი!.. გაჩუმდი!.. ყოველი შენი სიტყვა მკრეხელობაა. სახელმწიფოს მართავს მხოლოდ მეფე და ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდება, მისი ნებით სრულდება. ხოლო ხერიჰორი ფარაონის მსახურია და აკეთებს იმას, რასაც მეფე უბრძანებს. ოდესმე შენ თვითონ დარწმუნდები ამაში (ცუდი აზრით ნურავინ გაიგებს ამ ჩემს სიტყვებს!)...

მეფისწული ისე მოიღუშა, რომ თუტმოსმა საუბარი შეწყვიტა და დაეჩქარა დამშვიდობებოდა მეგობარს.

როცა თუტმოსი ბალდახინიან და ფარდებიან ნავში ჩაჯდა, შვებით ამოისუნთქა, ერთი ჭიქა ღვინო გადაჰკრა და ფიქრებს მიეცა.

„უჰ!.. დიდება ღმერთებს, რომ რამზესის ხასიათი არა მაქვს, – ფიქრობდა იგი. – ის ყოვლად უბედური ადამიანია, მიუხედავად იმისა, რომ ბედმა ასე აამაღლა... მას შეეძლო ჰყოლოდა მემფისის უმშვენიერესი ქალები, ის კი ერთგულია ერთისა, რომ დედას აწყენინოს! მაგრამ აწყენინა არა დედას, არამედ ყველა სათნო გასათხოვარ ქალს და ერთგულ ცოლს, რომლებიც ჩამოხმნენ იმის ჯავრით, რომ ტახტის მემკვიდრე, და ისიც ასეთი ლამაზი, არას ერჩის მათს სათნოებას და არ აიძულებს მათ ქმრებს უღალატონ. მას შეეძლო არა მარტო ესვა საუკეთესო ღვინო, არამედ ებანავა კიდეც შიგ; მაგრამ ჯარისკაცების უბრალო ლუდი და ნიორწასმული ლავაში ურჩევნია. საიდან აქვს ეს გლეხური გემოვნება? გაუგებარია! დედოფალს თვალი ხომ არ დარჩა მოსადილე მოჯამაგირეზე?..

რამზესს შეეძლო დილიდან საღამომდე არაფერი გაეკეთებინა. მას თითქმის ბავშვივით აჭმევდა საჭმელს ყოველი წარჩინებული ბატონი, მათი ცოლები და ასულები. ის კი არათუ თვითონ იწვდის ხელს საჭმლის ასაღებად, არამედ, აზნაურთა გულდასაწყვეტად, თვითონ იბანს პირს, თვითონ იცვამს, ხოლო მისი დალაქი უსაქმურობის გამო დღენიადაგ მახეს უგებს ჩიტებს და თავის ნიჭს მიწაში მარხავს.

– ჰოი, რამზეს, რამზეს!.. – მწუხარედ ხვნეშოდა კოპწია ყმაწვილი, – განა ასეთი ბატონიშვილის ხელში შეიძლება მოდა განვითარდეს?.. წლიდან წლამდე სულ ერთნაირ წინსაფარს ვატარებთ, ხოლო პარიკი შემოგვრჩა მხოლოდ კარის წარჩინებულთა წყალობით, რადგან რამზესი მას სულ არ ატარებს; ეს კი ფრიად ამცირებს კეთილშობილ აზნაურთა წოდების ღირსებას.

ყოველივე ამის მიზეზი კი წყეული პოლიტიკაა... რა ბედნიერებაა, რომ არ სჭირდება ვიმკითხაო, რას ფიქრობენ ტვიროსსა თუ ნინევიაში, ვიზრუნო ჯარების ჯამაგირზე, გამოვიანგარიშო, რამდენად გაიზარდა და თუ შემცირდა მოსახლეობა ეგვიპტეში და რა გადასახადების შეგროვება შეიძლება მისგან! საშინელებაა იმის ფიქრი, რომ ჩემი გლეხები მიხდიან არა იმდენს, რაც მერგება ან რამდენსაც ვხარჯავ, არამედ რამდენის ნებასაც დართავს ნილოსის წყალდიდობა. ჩვენი მარჩენალი ნილოსი ხომ არ ეკითხება ჩემს კრედიტორებს, რამდენი მმართებს მათი...“

ასე ფიქრობდა თუტმოსი“ და თან ოქროსფერი ღვინით იკრებდა ძალას. და ვიდრე მისი ნავი მემფისამდე მიცურდებოდა, ისე ღრმად დაეძინა, რომ მონები იძულებული შეიქნენ მიეყვანათ ტახტრევანამდე.

თუტმოსის წასვლის შემდეგ, რაც გაქცევას უფრო მიაგავდა ტახტის მემკვიდრე ღრმად ჩაფიქრდა. როგორც ქურუმთა სკოლაში აღზრდილი და უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, ბატონიშვილი სკეპტიკოსი იყო. მან იცოდა, რომ იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ქურუმი სხეულს იგვემავს და მარხულობს, რათა ამით სულების გამოძახების ნია მოიპოვოს, სხვებს ეს მოგონილი ამბად და თვალთმაქცობად მიაჩნიათ. მას არა ერთხელ უნახავს, საღვთო ხარი აპისი, რომლის წინაშეც მთელი ეგვიპტე პირქვე ემხობა, როგორ უცემიათ ჯოხით უდაბლეს ქურუმებს, როცა საჭმელს აძლებდნენ ანდა სამაკინტლოდ ძროხები მიყავდათ მასთან.

გაეგებოდა ისიც, რომ მამამისი, რამზეს XII, რომელიც ხალხის თვალში მარადმსუფევი ღმერთი და ქვეყნის ყოვლისშემძლე მბრძანებელი იყო, ნამდვილად ისეთივე ადამიანია, როგორიც ყველა – ოღონდ უფრო მეტად ავადმყოფობს, ვიდრე მისი ხნის სხვა ადამიანები, და ქურუმები მეტად ბოჭავენ მის მოქმედებას.

ყოველივე ამას ხედავდა მეფისწული და გუნებაში, ზოგჯერ კი ხმამაღლაც, ბევრ რამეს დასცინოდა. მაგრამ მთელი მისი თავისუფალი აზროვნება იმსხვრეოდა ერთი უდავო ჭეშმარიტების წინაშე. ფარაონის სახელთან ხუმრობის ნება არავის არა აქვს.

რამსესმა იცოდა თავისი ქვეყნის ისტორია და ახსოვდა, რომ ეგვიპტეში წარჩინებულთ და ძლიერთ ბევრი რამ ეპატიებოდათ, წარჩინებულ ბატონს შეეძლო არხი ამოევსო, ფარულად მოეკლა კაცი, ჩუმად დაეცინა ღმერთებისათვის, მიეღო უცხო ქვეყნების ელჩებისაგან საჩუქრები, მაგრამ სრულებით დაუშვებელი იყო ორი რამ: ქურუმთა საიდუმლოების გამომჟღავნება და ფარაონის ღალატი. ის, ვინც ან ერთს, ან მეორეს ჩაიდენდა, უკვალოდ ქრებოდა, ზოგჯერ არა უცებ, არამედ ერთი წლის შემდეგ, თუნდაც მას გარს ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი მეგობარი და მსახურები. სად გადაიკარგებოდა და რა მოუვიდოდა?.. ამის შეკითხვასაც კი ვერავინ ბედავდა.

რამზესი შიშით ფიქრობდა, რომ ჯარისკაცები და გლეხები, რომლებიც მის სახელს განადიდებდნენ და მის რაღაც გეგმებზე, მოსალოდნელ ცვლილებებსა და მომავალ ომებზე ლაპარაკობენ, ცუდ სამსახურს უწევენ. ღატაკთა და მეამბოხედა უსახელო ბრბოს იგი, ტახტის მემკვიდრე, თითქოს ძალით აჰყავს ისეთი უმაღლესი ობელისკის მწვერვალზე, საიდანაც მხოლოდ გადმოვარდნა და დამსხვრევა მოელის. ოდესმე, მომავალში, როცა მამის ხანგრძლივი სიცოცხლის შემდეგ ფარაონი შეიქნება, ექნება უფლება და საშუალება გააკეთოს ისეთი საქმეები, რომლებზე ეგვიპტეში ფიქრსაც კი ვერავინ ბედავდა. ახლა კი მართლაც ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ ჩათვალონ მეამბოხედ, რომელიც სახელმწიფოს საფუძვლების შერყევას ცდილობს.

ეგვიპტეში ერთი აღიარებული მბრძანებელია – ფარაონი. ის განაგებს, ის გამოთქვამს სურვილებს, ის ფიქრობს ყველას მაგიერ და ვაი იმას, ვინც გაბედავს მის ძლიერებაში დაეჭვებას ან კრინტს დასძრავს თავის გეგმებსა და განზრახვებზე და თუნდაც სულ უმნიშვნელო ცვლილებათა შესაძლებლობაზე.

ყველა გეგმა წარმოიქმნებოდა მხოლოდ ერთ ადგილას – დარბაზში, სადაც ფარაონი უსმენდა თავის მახლობელ მრჩევლებს და თავის აზრს გამოთქვამდა. ყოველი ცვლილება მხოლოდ იქიდან გამოდიოდა. იქ ენთო სახელმწიფოებრივი სიბრძნის ერთადერთი. ხილული ლამპარი, რომელიც მთელ ეგვიპტეს აცისკროვნებდა. მაგრამ არც ამის შესახებ ლაპარაკი იყო უხიფათო.

ფიქრები გრიგალისებრი სისწრაფით მიჰქროდა მემკვიდრის თავში, როცა სარას ბაღში წაბლის ქვეშ იჯდა ქვის სკამზე და გარემო სანახებს უცქეროდა.

ნილოსში წყალი უკვე კლებულობდა და ბროლივით გამჭვირვალე ხდებოდა. მაგრამ მთელი მხარე ჯერ კიდევ წააგავდა პატარა კუნძულებით უხვად მოფენილ დიდ ყურეს, სადაც მოჩანდა ბაღებითა და ბოსტნებით გარემოცული სახლები თუ მაღალი, ტოტმრავალი ხეების ჯგუფი.

ამ კუნძულების გარშემო მოჩანდა ვედროიანი ოწინარები; მათი დახმარებით სპილენძისფერკანიანი შიშველი ადამიანები, რომელ-

თაც საგვერდული ეკეთათ და ასეთივე ჭუჭყიანი ჩაჩი ეხურათ, ნილოსიდან ხაპავდნენ წყალს და სულ უფრო და უფრო მაღლა, ერთიმეორეზე განლაგებულ ჭებში გადაჰქონდათ.

სწორედ რამზესის წინ იყო ერთი ფრიალო ბორცვი, რომლის ფერდობზე მუშაობდა სამი ოწინარი – ერთი მდინარიდან ხაპავდა წყალს და ასხამდა სულ დაბლა მდებარე ჭაში, მეორეს წყალი დაბლიდან რამდენიმე წყრთით მაღლა აჰქონდა შუა ჭაში, მესამე – შუა ჭიდან წყალს სულ ზემოთ მდებარე ჭაში გადასცემდა. იქ კი ასეთივე შიშველ ადამიანებს ამოჰქონდათ წყალი ჭიდან და რწყავდნენ ბოსტნებს, ან არადა ხელის ტუმბოებით ასხურებდნენ ხეებს.

ხან აწეული და ხან დაშვებული ოწინარების მოძრაობა, ვედროების ატან-ჩამოტანა, ტუმბოებიდან ამოტყორცნილი ნაკადები იმდენად რიტმული იყო, რომ ადამიანები, რომლებიც მათ უძღვებოდნენ, ავტომატები ეგონებოდა კაცს. არც ერთი მათგანი მეზობელს სიტყვასაც არ ეტყვის, ადგილს არ შეიცვლის და დილიდან საღამომდე, თვიდან თვემდე მხოლოდ ზომიერად მოიხრება და გასწორდება, და ასე ბავშვობიდან სიკვდილამდე.

„და ამ არსებათ, – ფიქრობდა რამზესი, მიწის მუშათა საქმიანობას რომ უცქერდა, – სურთ თავიანთი აბდაუბდის ამსრულებელი გამხადონ. სახელმწიფოში რა ცვლილებების მოთხოვნა შეუძლიათ მათ?.. ალბათ მარტო იმისა, ის, ვინც წყალს ქვედა ჭაში ასხამს, ზევით ავიდეს და ვედროთი კვლების მორწყვის მაგიერ ხეებს მიაპკუროს წყალი ტუმბოთი“.

იგი ამ ადამიანებისადმი ბრაზმა აიტანა; მათი სულელური ლაყბობის გამოა, რომ მეფისნაცვლად არ დანიშნეს.

უეცრად ხეების ჩუმი შრიალი მოესმა და ვიღაცის ნაზი ხელები დაედო მხრებზე.

– რა იყო, სარა? – თავმოუბრუნებლად შეეკითხა რამზესი.

– შენ ნაღვლობ, ჩემო ბატონო, – უპასუხა მან. – მოსეს ისე არ გაუხარია, როდესაც აღთქმული ქვეყანა იხილა, როგორც მე, როცა შენ მითხარი, რომ აქ გადმოდიხარ, ჩემთან საცხოვრებლად. და აი, უკვე მთელი დღეა ერთად ვართ, მაგრამ შენს სახეზე ღიმილი არ დამინახავს. არც კი მელაპარაკები, დადიხარ მოღუშული, ღამით არ მიალერ-

სებ და მხოლოდ ხვნეში.

– მე ძალიან გულნატკენი ვარ...

– მეც გამიზიარე შენი სევდა, დარდი შესანახად გადაცემულ საუნჯეს ემსგავსება. ვიდრე მას მარტო დარაჯობ, ძილიც არ გეკარება, მხოლოდ მაშინ იგრძნობ შვებას; როდესაც ამხანაგს იპოვი.

რამზესმა ხელი მოხვია და გვერდით სკამზე მოისვა.

– როცა გლეხი, – ღიმილით უთხრა მან, – წყალდიდობამდე ვერ მოასწრებს მოსავლის აღებას, მას ცოლი ეხმარება, ცოლი წველის ძროხებს, უზიდავს სადილს, განბანს სამუშაოდან დაბრუნებისას. ამიტომ შეიქმნა შეხედულება, რომ დედაკაცს შეუძლია შეუმსუბუქოს მამაკაცს ზრუნვა და დარდი.

– შენ ეს არ გწამს, ბატონო?

– ტახტის მემკვიდრის ზრუნვათა შემსუბუქება, – უპასუხა რამზესმა, – არ ძალუძს ქალს, თუნდაც ისეთ უფლებამოსილს, როგორიცაა... დედაჩემი...

– ღმერთო ჩემო! მითხარი, რა დარდები გაქვს ასეთი... – არ ეშვებოდა სარა და მის მხარს ეკვროდა. – ჩვენი გადმოცემების მიხედვით, ადამმა სამოთხე ევას გულისათვის დაუტევა: და ის ხომ ყველაზე მშვენიერი სამეფოს ყველაზე დიდებული მეფე იყო,

ბატონიშვილი ჩაფიქრდა. შემდეგ განაგრძო:

– ჩვენი ბრძენნიც გვასწავლიან, რომ არა ერთ მამაკაცს უარუყვია ქალის გულისათვის მაღალი პატივი. მაგრამ არ გაგონილა, რომ ქალის წყალობით ამაღლებულიყოს ვინმე. ასეთი თუ იქნება მარტო რომელიმე მხედართმთავარი, რომელსაც ფარაონმა თავისი ასული მიათხოვა დიდი მზითვით და მაღალი თანამდებობა უბოძა. არა, ქალს არ ძალუძს დაეხმაროს მამაკაცს, გახდეს დიდებული ან თუნდაც თავი დააღწიოს საზრუნავთა ქსელს.

– იქნებ იმიტომ, რომ არც ერთს არ უყვარს ისე, როგორც მე შენ, ბატონო, – წაიჩურჩულა სარამ.

– ვიცი, რომ ასეთი სიყვარული იშვიათად გვხვდება... შენ არასოდეს მოგითხოვია საჩუქრები, არ გამოქომაგებიხარ ადამიანებს, რომლებიც არ თაკილობენ დიდი მთავრების საყვარელთა საწოლ ოთახებშიც კი ეძიონ კარიერა. შენ ბატკანივით თვინიერი ხარ და წყნარი,

როგორც ღამე ნილოსზე. კოცნა შენი ისეთივეა, როგორიც პუნტის მხარის ნელსურნელება, ხოლო მოხვევა ისევე ტკბილი, როგორც ძილი დამაშვრალი ადამიანისა. არ მომეპოვება სიტყვა შენი სილამაზისა და ღირსების შესამკობად. შენ საკვირველება ხარ ქალთა შორის, ვინაიდან ბაგენი მათნი მამაკაცს მუდამ შფოთით აღავსებენ, ხოლო მათი სიყვარული ძვირად ჯდება. მაგრამ მთელს შენს ამ სრულყოფასთან ერთად რით შეგიძლია შემიმსუბუქო დარდები? შეგიძლია განა ისე მოახერხო, რომ მეფემ დიდი ლაშქრობა მოაწყოს აღმოსავლეთზე და მე მთავარსარდლად დამნიშნოს, ან თუნდაც მენფატის კორპუსი მომცეს, რომლის მიღებასაც ვცდილობდი, ანდა ქვემო ეგვიპტის მმართველი გამხადოს? ან ძალგიძს შთააგონო მეფის ყველა ქვეშევრდომს, რომ ისინი ისე ფიქრობდნენ და გრძნობდნენ, როგორც მე, მათი ყველაზე მეტად ერთგული?

სარამ ხელები მუხლებზე დაუშვა და მწუხარედ ჩაიჩურჩულა:

– მართალია, ეგ არ შემიძლია... მე არაფერი არ შემიძლია.“

– არა, შენ ბევრი რამ შეგიძლია!... შენ შეგიძლია ჩემი გამხიარულება, – ღიმილით მიუგო რამზესმა. – ვიცი, რომ ცეკვა-თამაშს სწავლობდი. გაიხადე ეგ ცეცხლისმცველი ქურუმი ქალის სამოსივით გრძელი კაბა და ჩაიცვი გამჭვირვალე მარმაში, როგორიც... ფინიკიელ მოცეკვავე ქალებს აცვიათ. და მათებრ იცეკვე, მიალერსე...

სარამ ხელი წაავლო ხელში და თვალანთებულმა შესძახა:

– შენ იმ უნამუსო ქალებთან გაქვს ნაცნობობა? სთქვი.. დეე გავიგო ჩემი უბედურება... მერე კი მამასთან გამაბრუნე ჩვენს ველზე, უდაბნოში, სადაც შეგხვდი ჩემდა საბედისწეროდ!

– დამშვიდდი, – უთხრა ბატონიშვილმა, რომელიც მის თმას ეალერსებოდა. – მე მიხდება მოცეკვავე ქალების ნახვა თუ ნადიმებზე არა, ყოველ შემთხვევაში სამეფო ზეიმზე ან ღვთის მსახურების დროს ტაძრებში... მაგრამ ყველანი ერთად შენს ფრჩხილადაც არ ღირან... ან რომელი მათგანი შეგედრება? შენ სპილოს ძვლიდან ნაკეთები იზიდას ქანდაკება ხარ, იმათ კი სათითაოდ რაიმე ნაკლი აქვთ, ზოგი მეტად სქელია, ზოგს მეტისმეტად გამხდარი ფეხები და მახინჯი ხელები აქვს, არიან ისეთებიც, რომლებიც სხვის თმას ატარებენ. ერთიც არ არის, რომ შენსავით ტურფა იყოს!.. ეგვიპტელი რომ იყო,

ყველა ტაძარი შეეცდებოდა, მათი გუნდის წინამძღოლი ყოფილიყავი. თუმცა რას ვამბობ, – შენ რომ ახლა მემფისში გამოჩნდე გამჭვირვალე ტანსაცმელში, ქურუმები შეგირიგდებოდნენ, ოღონდ დათანხმებულიყავი პროცესიებში მონაწილეობის მიღებაზე.

– ჩვენ, იუდეას ასულთ, არ შეგვიძლია ვატაროთ უწესო ტანსაცმელი.

– არც ცეკვა და არც სიმღერა? მაშ რატომღა სწავლობდი?

– ჩვენი ქალები და ქალწულები მხოლოდ ერთიმეორესთან ცეკვავენ ღვთის სადიდებლად და არა იმისათვის, რომ მამაკაცთა გულში ვნების ალი აღძრან, ხოლო ვმღერით... მოიცადე, ჩემო ბატონო, მე გიმღერებ...

სარა წამოდგა და სახლში შევიდა, მაგრამ მალე უკან დაბრუნდა. მას ქნარით ხელში მოჰყვებოდა ყმაწვილი ქალიშვილი, რომელსაც შეშინებული შავი თვალები ჰქონდა.

– ვინ არის ეს ქალიშვილი? – შეეკითხა ბატონიშვილი. – მოიცა, მე სადღაც მინახავს ეს გამოხედვა... ჰო, როცა უკანასკნელად აქ ვიყავი, ვიღაცის შეშინებული თვალები ბუჩქებიდან მითვალთვალებდნენ.

– ესთერია, ჩემი ნათესავი და მოახლე, – უპასუხა სარამ. – უკვე თვეა, რაც ჩემთან ცხოვრობს, მაგრამ შენი ეშინია, ბატონო, და მუდამ გარბის. შესაძლებელია, მართლა გითვალთვალებდა როდისმე ბუჩქებიდან.

– შეგიძლია წახვიდე, ჩემო ბავშვო, – უთხრა ბატონიშვილმა შიშით გაქვავებულ ქალიშვილს. ხოლო როცა იგი ხეებს მიეფარა, ჰკითხა სარას: – ეგეც ებრაელია? ეს შენი კარმიდამოს დარაჯი ვინღაა, ისე რომ მიცქერის, როგორც ცხვარი ნიანგს?

– ეს სამუელია. ეზდრას ვაჟი, ესეც ჩემი ნათესავია. იმ ზანგის ნაცვლად ავიყვანე, რომელსაც შენ თავისუფლება უბოძე, ბატონო. შენ ხომ ნება დამრთე, მე თვითონ ამომერჩია მსახურები?

– ჰო, რასაკვირველია! მაგრამ მუშების ზედამხედველი? მასაც ყვითელი ფერის კანი აქვს და ყოველთვის ისე მორჩილად იცქირება, როგორც არც ერთი ეგვიპტელი. ისიც ებრაელია?

– ეს ეზეკიილია. რუბიმის ძე, მამაჩემის ნათესავი, – უპასუხა სარამ. – არ მოგწონს, ბატონო ჩემო? ესენი ყველანი შენი ერთგული მსახურ-

ნი არიან.

– ისინი აქ იმისთვის კი არ იმყოფებიან, რომ მე მომეწონოს, არამედ იმისათვის, რომ შენი დოვლათი დაიცვან, – შეიჭმუხნა რამზესი. – თუმცა მე რა საქმე მაქვს ამ ადამიანებთან... იმღერე, სარა...

სარა დაეშვა მწვანეზე მის ფეხთით, რამდენიმე აკორდი აიღო ქნარზე და დაიწყო სიმღერა:

„სად არის ის, ვისაც დარდი არა აქვს, სად არის ის, ვისაც დაძინებისას შეუძლია თქვას: აი დღე, რომელიც მე უდარდელად გავატარე? სად არის ადამიანი, რომელიც საფლავის კართან მისვლისას იტყოდა: ცხოვრება ჩემი ისე უშფოთველად და უტანჯველად მიედინებოდა, როგორც წყნარი საღამო იორდანეზე?“

„მრავალნი არიან, რომელნიც ყოველდღე ცრემლებით რწყავენ თავის პურს და რომელთა სახლი სავსეა გოდებით!

„ტირილით მოდის ადამიანი ამქვეყნად და ტირილითვე ტოვებს დედამიწას. შიშით აღსავსე შესდგამს ფეხს იგი ცხოვრებაში და სიმწრით აღსავსე ჩაეშვება საუკუნო განსვენების ადგილას, და არავინ ეკითხება მას, თუ სად ისურვებდა დარჩენას.

„ვინ არის იგი, ვისაც ცხოვრების სიმწარე არ განუცდია? იქნებ ბალღია, რომელსაც სიკვდილმა დედა მოსტაცა? ან ჩვილი, რომელმაც არ იცის დედის მკერდი, რადგან შიმშილმა უფრო ადრე გამოაშრო ის, ვიდრე ბალღი თავისი ბაგით ზედ მიკონებას მოასწრებდა?

„სად არის თავის თავში დარწმუნებული ადამიანი, რომელიც უშიშრად ელის ხვალინდელ დღეს? იქნებ ის არის, ვინც ყანაში მუშაობს და იცის, რომ მას არ ემორჩილება წვიმა და კალია? ან ეგებ გულუშიშარი ვაჭარია, რომელიც ქარის ნებას ანდობს ხოლმე თავის სიმდიდრეს, თუმცა არ იცის, საიდან დაჰბერავს, სიცოცხლეს კი – ბრმა უფსკრულს, რომელიც უკვალოდ შთანთქავს ყოველივეს?

„სად არის მედგარი სულის ადამიანი? იქნებ ის არის მონადირე, რომელიც ფეხმარდ ფურ-ირემს მისდევს და გზაზე წააწყდება ლომს, რომლისთვისაც მისი ისარი სათამაშოა? ეგებ მეომარია, რომელიც შრომასა და გაჭირვებაში მიაბიჯებს დიდებისაკენ და სისხლმოწყურებულ ლახვართა და ბრინჯაოს მახვილთა ტყეს წააწყდება? ან ეგე დიდებული მეფეა, რომელიც ძოწეულის ქვეშ ატარებს მძიმე საჭურ-

ველს, ფხიზელი თვალით ზვერავს ძლიერი მეზობლების ჯარს. ყურით კი იჭერს უმცირეს ჩამუნს, რათა მისივე კარავში არ განგმიროს იგი ღალატმა.

„ადამიანის გული მუდამ და ყველგან აღსავსეა მწუხარებით. უდაბნოში მას ლომი და მორიელი ემუქრება, მღვიმეებში – გველეშაპი, ყვავილთა შორის – შხამიანი გველი. მზის სინათლეზე ყოველი მეზობელი იმის ფიქრშია, როგორმე წაართვას მას მიწა, ღამით ვერაგი ქურდი სინჯავს მისი საკუჭნაოს კარს. ბავშვობაში იგი უმწეოა, სიბერეში – უძლური, ახალგაზრდობაში საფრთხით არის გარემოცული, როგორც ვეშაპი წყლის უფსკრულით.

„ამიტომაც, ჰოი უფალო, შემოქმედო ჩემო, შენ მოგმართავს ადამიანის განაწამები სული. შენ მოავლინე ის ამ საწუთროში, სადაც ამდენი რამ ჩასაფრებია მას და მახე უგია. შენ შთაუნერგე მას შიში სიკვდილისა, შენ შეუკარ ყოველი გზა მოსვენებისკენ, გარდა ერთისა, რომელსაც შენთან მივყავართ. ვით ბავშვი, რომელმაც სიარული არ იცის და დედის კალთას ებღაუჭება, რომ არ წაიქცეს, ასევე საბრალო ადამიანი შემოგღაღადებს შენ მოწყალებისთვის და შენთან იოხებს აღშფოთებულ სულს...“

სარა დადუმდა. ბატონიშვილი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა.

– თქვენ, ებრაელები, დაღვრემილი ხალხი ხართ, ეგვიპტელებს რომ ისე სწამდეთ, როგორც თქვენი სიმღერა გვასწავლის, ნილოსის ნაპირებზე აღარავინ გაიცინებდა, მდიდრები შიშისაგან ტაძრების ჯურღმულებში მიიმალებოდნენ, ხოლო ხალხი, იმის მაგიერ, რომ ემუშავნა, გამოქვაბულში შეაფარებდა თავს და ამაოდ დაელოდებოდა იქ ღმერთების წყალობას. ჩვენ სხვაგვარი ცხოვრება გვაქვს. ჩვენ ყველაფრის მიღწევა შეგვიძლია, ოღონდ თითოეულს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენი ღმერთები ლაჩრებს არ ეხმარებიან. ისინი ქვეყნად მხოლოდ მაშინ ჩამოდიან, როცა გმირს, რომელმაც ზეადამიანური გმირობა გამოიჩინა, მთელი ძალ-ღონე გამოელევა. ასე დაემართა რამზეს დიდს, როცა მტრის საომარი ეტლების შუაგულში შეიჭრა, – მათი რიცხვი ორნახევარ ათასს აღწევდა და თითოეულში სამ-სამი მეომარი იჯდა. მხოლოდ მაშინ დაეხმარა მას

უკვდავი მამა ამონი და დაასრულა მტრის განადგურების საქმე. ის რომ ბრძოლის ნაცვლად თქვენი ღმერთის დახმარებას დალოდებოდა, მაშინ ნილოსის ნაპირზე ეგვიპტელი დღესაც მხოლოდ ვედროთი და თიხით ივლიდა, ხოლო საზიზღარ ხეთელებს პაპირუსები და ხელკეტები ექნებოდათ ხელში! ამიტომ, სარა, შენი სილამაზე უფრო ადრე გამიფანტავს სევდას, ვიდრე შენი სიმღერა. მე რომ ისე ვიქცეოდე, როგორც ებრაელი ბრძენნი, და ზეცის დახმარებას ვუცდიდე, ღვინო აერიდებოდა ჩემს ბაგეთ და ქალებს კი ჩემი სახლის გზა დაავიწყდებოდათ. და – რაც მთავარია - მე ისე არ ვიქნებოდი ტახტის მემკვიდრე, როგორც ჩემი გერი ძმები, რომელთაგან ერთს არ შეუძლია ოთახი გაიაროს, თუ ორ მონას არ ეყრდნობა, მეორე კი ხეებზე ხტის!..

თავი მეთხუთმეტე

მეორე დღეს დილით რამზესმა დავალებებით წარგზავნა თავისი ზანგი მემფისს და შუადღისას სარას ხუტორს მიადგა დიდი ნავი, რომელმაც მაღალ მუზარადებსა და ბრწყინვალე საჭურველში ჩამსხდარი ბერძენი მეომრები მოიყვანა.

ფარებით და მოკლე შუბებით შეიარაღებული თექვსმეტი კაცი ბრძანებისთანავე ნაპირზე გადმოვიდა და ორ მწკრივად დაეწყო. უკვე სარას სახლისკენ აპირებდნენ წასვლას, როცა ისინი შეაჩერა ბატონიშვილის მეორე შიკრიკმა, – უბრძანა ნაპირზე დარჩენილიყვნენ, და მემკვიდრესთან მხოლოდ მათი უფროსი პატროკლე მიიხმო.

ბრძანებას დამორჩილებული რაზმი ისე უძრავად იდგა, თითქოს ბრჭყვიალა თუნუქგადაკრული სვეტების ორი მწკრივიაო. შიკრიკს მხოლოდ პატროკლე გაჰყვა; მას ფრთებიანი ჩაფხუტი ეხურა და ძოწეულის ტუნიკა ეცვა; მოოქრული აბჯარი მკერდზე შემკობილი ჰქონდა ქალის თავის გამოსახულებით, რომელზეც თმის ნაცვლად დახვეული გველების გორგალი იყო გამოყვანილი.

ბატონიშვილმა სახელოვანი გენერალი ბაღის კარიბჭესთან მიიღო. მას ჩვეულებისამებრ არ გაუღიმია, არც კი უპასუხა პატროკლეს დაბალ სალამს, ცივად შეხვდა და უთხრა:

– გადაეცი, ყოვლადღირსო, ჩემი ბერძნული პოლკების მეომრებს, რომ მათთან ვარჯიშობას აღარ ჩავატარებ, ვიდრე მეფე, ჩვენი მბრძანებელი, მეორედ არ დამნიშნავს მათს უფროსად. მათ დაჰკარგეს ეს პატივი, როცა მთვრალებმა სამიკიტნოებში ჩემზე ისეთი რამის წამოროშვა დაიწყეს, რაც ჩემს შეურაცხყოფად მიმაჩნია. შენს ყურადღებას მივაპყრობ აგრეთვე ბერძნული პოლკების დაუშვებელ თავაწყვეტილობას. საზოგადოებრივ ადგილებში შენი მეომრები ლაყბობენ პოლიტიკაზე, რაღაც მოსალოდნელ ომზე, რაც სახელმწიფო ღალატს ემსგავსება. ასეთ საგნებზე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ ფარაონს და სახელმწიფო საბჭოს წევრებს. ჩვენ კი, ჩვენი მბრძანებლის ჯარისკაცები და მსახურები, რა მდგომარეობაც არ უნდა გვეკავოს, ვალდებულნი ვართ მხოლოდ უსიტყვოდ შევასრულოთ ჩვენი ყოვლადმოწყალე ხელმწიფის ბრძანებები, გთხოვ, მაღალღირსო, გადასცე ყოველივე ეს ჩემს პოლკებს და გისურვებ ჯანმრთელობას!

– შენი ბრძანება შესრულებული იქნება, – უპასუხა ბერძენმა, შემოტრიალდა და იარაღის ჟღარუნით თავის ნავისკენ გასწია.

მან იცოდა, რასაც ლაპარაკობდნენ ჯარისკაცები სამიკიტნოებში და მაშინვე მიხვდა, რომ მოხდა რაღაც უსიამოვნო მემკვიდრისათვის, რომელსაც ჯარი აღმერთებდა. ამიტომ ნაპირზე მდგომ რაზმთან მისვლისას მრისხანე გამომეტყველება მიიღო და ხელების გაშმაგებული ქნევით დაიყვირა:

– მამაცო ბერძენო მეომრებო! ქეციანო ძაღლებო, კეთრსაც დაუღრღნია თქვენი სხეული... თუ ამ წამიდან რომელიმე ბერძენი სამიკიტნოში ტახტის მემკვიდრის სახელს ახსენებს, მე მას თავზე დოქს დავამტვრევ, ნატეხებს კი ხახაში ჩავჩრი და მეორე პოლკიდან გავაძევებ! ეგვიპტელი გლეხუჭების მეღორეები გახდებით, ხოლო თქვენს მუზარადებში ქათმები დაიწყებენ კვერცხის დადებას. ასეთი ბედი მოელით უტვინო ჯარისკაცებს, რომლებიც ენას კბილს არ დააჭერენ. ახლა კი – მარცხნივ ზურგისაკენ და იარ ნავში, ჭირმა გაგწყვიტოთ! მეფის ჯარისკაცებმა, უწინარეს ყოვლისა, ფარაონისა და უკეთილშობილესი სამხედრო მინისტრის ხერიჰორის სადღეგრძელო უნდა დალიონ, ცოცხლობდნენ ისინი მარად!

– ცოცხლობდნენ მარად! – გაიმეორეს მეომრებმა.

ყველანი მოღუშული ჩასხდნენ ნავში, მაგრამ მემფისთან მიახლოებისას პატროკლემ შუბლი გახსნა და უბრძანა ჯარისკაცებს დაეწყოთ სიმღერა, რომლის აყოლებითაც განსაკუთრებით მსუბუქად აბიჯებენ ხოლმე და ნიჩბებსაც მარჯვედ იქნევენ წყალში.

საღამო ხანს სარას ხუტორს მიუახლოვდა მეორე ნავი, საიდანაც ნაპირზე რამზესის მამულების მოურავი გადმოვიდა.

ბატონიშვილმა ეს დიდებულიც ბაღის შესავალში, მიიღო,– შესაძლებელია, ასე მოიქცა სიმკაცრის გამო ან იქნებ არ სურდა, ის ებრაელი ხასას სახლში შესულიყო.

– მე მინდოდა, – განუცხადა მას მემკვიდრემ, – მენახე და მეთქვა შენთვის, რომ ჩემს გლეხებში ვრცელდება სულელური ჭორები გადასახადების შემცირებასა და რაღაც ამდაგვარზე... საჭიროა გლეხებმა იცოდნენ, რომ მათ გადასახადებისაგან არ გავათავისუფლებ. ხოლო თუ ვინმე, გაფრთხილების მიუხედავად, კიდევ განაგრძობს ამაზე ლაყბობას, – გაიჯოხება.

– იქნებ უკეთესი იყოს ჯარიმა გადავახდევინოთ... თითო დებენი ან დრახმა, როგორ მიბრძანებ? – ჩაურთო მთავარმა მოურავმა.

– დაჯარიმებაც შეიძლება, მაგრამ მეტისმეტად ურჩების მიმართ კეტიც ნუ დაგენანება.

– ვკადნიერდები მოგახსენოთ, – ჩურჩულით წარმოთქვა კვლავ წელში მოდრეკილმა მოურავმა, – რომ ვიღაცების წაქეზებით ერთხანს გლეხები მართლაც ლაპარაკობდნენ გადასახადების მოხსნაზე. მაგრამ ეს რამდენიმე დღეა რატომღაც მიწყნარდნენ.

– თუ ეგრეა, შეიძლება არ დავსაჯოთ, – გადაწყვიტა რამზესმა.

– განა თუ მომავლისათვის დასაშინებლად? – შესთავაზა მოურავმა.

– მერე, ხელკეტები არ გენანება?

– ეს დოვლათი ჩვენ ყოველთვის გვეყოფა.

– ყოველ შემთხვევაში, ზომიერად, – გააფრთხილა ბატონიშვილმა. – არ მსურს მეფის ყურამდე მიაღწიოს ხმამ, რომ მე საჭიროების გარეშე ვაწამებ გლეხებს. მკრეხელური ლაპარაკისათვის უნდა გაიჯოხონ და ფულადი ჯარიმა გადახდეთ, მაგრამ თუ მიზეზი არ გვექნება, შეგვიძლია სულგრძელობა გამოვიჩინოთ.

– მესმის, – უპასუხა მოურავმა, რომელიც ბატონიშვილს თვალებში მისჩერებოდა, – დე, იყვირონ რამდენიც ნებავთ, ოღონდ ფარულად ნუ ილაპარაკებენ იმაზე, რაც არაა სალაპარაკო.

პატროკლესა და მოურავთან ამ საუბრის ამბავი მთელ ეგვიპტეს მოედო.

მოურავის წასვლის შემდეგ ბატონიშვილმა დაამთქნარა, მოწყენილი მზერა მოავლო ირგვლივ და თავისთვის გაიფიქრა:

„რაც შემეძლო, გავაკეთე. ახლა კი, თუ მოვითმინე, მეტს არას გავაკეთებ...“

ამ დროს ხუტორის ნამშრალების მერიდან ბატონიშვილს ნელი კვნესა და ხშირი დარტყმა შემოესმა. რამზესი მიბრუნდა და დაინახა, რომ მუშების ზედამხედველი ეზეკილი, ძე რუბიმისა, ხელკეტით სცემდა მოჯამაგირეს და თან ეუბნებოდა:

– ჩუმად!.. ნუ ყვირი!.. ბილწო პირუტყვო...

მოჯამაგირე პირზე ხელს იფარებდა, რათა ყვირილი ჩაეხშო.

ბატონიშვილს უნდოდა ნამშრალებისკენ გაქანებულიყო, მაგრამ თავი შეიკავა.

„რა ვქნა? – გაიფიქრა მან. – ეს ხუტორი ხომ სარასია, ეს ებრაელი კი მისი ნათესავი...“

მან კბილი კბილზე დააჭირა და ხეებს მიეფარა, მით უმეტეს რომ დასჯა უკვე დამთავრებული იყო.

და რამზესის სულში პირველად შეირხა ეჭვი, იქნებ სარაც მხოლოდ მაჩვენებს თავს კეთილადო.

სარას განწყობილებაში მართლაც ხდებოდა ერთგვარი ცვლილება. შეხვედრის პირველ წუთში რამზესი მოეწონა, მაგრამ ერთბაშად გაფაციცდა, როცა, თავისდა საწყენად, შეიტყო, რომ ეს ლამაზი ჭაბუკი ფარაონის ძე და ტახტის მემკვიდრეა. ხოლო როცა თუტმოსი გედეონს შეუთანხმდა ბატონიშვილის სახლში სარას გადაყვანის თაობაზე, დიდხანს გონს ვერ მოვიდა. არავითარი საუნჯისათვის სარა არ დათმობდა რამზესს, მაგრამ ძნელი იყო იმის დამტკიცება, რომ იმხანად ქალს უყვარდა იგი. სიყვარული მოითხოვს თავისუფლებასა და დროს, რომ თავისი საუკეთესო ყვავილები გაფურჩქნოს; მას კი არც დრო დაუტოვეს, არც თავისუფლება. რამზესთან შეხვედრის მეორე

დღესვე, თითქმის მისი თანხმობის უკითხავად, იგი რამზესის კარმიდამოში გადაიყვანეს. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ბატონიშვილის ხასა გახდა და გაოცებულმა, შეშინებულმა არც კი იცოდა, რა ემართებოდა.

ვერც კი მოასწრო ახალ ცხოვრებას შეთვისებოდა, რომ იგი ააღელვა და შეაშინა ახლომახლო მოსახლეობის მისდამი, ებრაელი ქალისადმი უკეთურმა დამოკიდებულებამ. ასევე შეაშინეს იგი ვიღაც წარჩინებულმა ქალებმა, მის სანახავად რომ მოდიოდნენ, და, ბოლოს, ხუტორზე თავდასხმამ.

იმ ამბავმა, რომ რამზესი გამოესარჩლა და უნდოდა თავდამსხმელთ დადევნებოდა, კიდევ უფრო მეტად შეაძრწუნა ქალი. მიხვდა, რომ ისეთი მბრძანებლური და ფიცხი ხასიათის ადამიანის ხელთ იმყოფება, რომელსაც შეუძლია სხვისი სისხლი დაღვაროს, კაცი მოკლას...

სარა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა; ეგონა, ჭკუაზე შევიშლებიო. მას ესმოდა, რა მრისხანედ მოუწოდებდა ბატონიშვილი მსახურთ იარაღისკენ.

მაგრამ რამზესის მიერ გაკვრით წამოსროლილმა ერთმა უმნიშვნელო სიტყვამ გონს მოიყვანა და მის გრძნობებს ახალი მიმართულება მისცა.

ბატონიშვილი ფიქრობდა, სარა დაჭრილიაო, შემოხსნა თავიდან სახვევი და, ჩალურჯებული ადგილი რომ დაინახა, წამოიძახა:

– ეს მხოლოდ სილურჯეა! მაგრამ როგორ ცვლის სახეს...

ამ წუთში სარას ტკივილიც დაავიწყდა და შიშიც, იგი ახალმა წუხილმა მოიცვა. ჩალურჯებამ შეუცვალა სახე. ამან გააოცა ბატონიშვილი. მხოლოდ გააოცა!..

რამდენიმე დღის შემდეგ სილურჯე გაქრა, მაგრამ სარას გულში ჩარჩა და თანდათან უღრმავდებოდა მანამდე უცნობი გრძნობა: მან რამზესზე ეჭვიანობა დაიწყო და შიშობდა ვაითუ მიმატოვოსო.

კიდევ ერთი დარდი აწუხებდა სარას: რამზესის წინაშე თავს მოახლედ, მხევლად გრძნობდა. სარა მზად იყო და უნდოდა კიდეც ყოფილიყო მისი უერთგულესი მოახლე, თავდადებული მხევალი, აჩრდილივით მორჩილი, მაგრამ ამავე დროს ოცნებობდა, რომ რამზესი

თუნდაც ალერსის ჟამს არ მოპყრობოდა მას, როგორც მფლობელი და მეუფე.

ისინი ხომ ერთმანეთს ეკუთვნიან. მაშ რატომღა არ დაანახვებს რამზესი, რომ ოდნავ მაინც უყვარს იგი. რატომ, პირიქით, ყოველი სიტყვით, მთელი თავისი მოქმედებით აგრძნობინებს, რომ მათ შორის რაღაც უფსკრულია? რა უფსკრულია?.. განა სარას იგი გულში არა ჰყავდა ჩახუტებული? განა რამზესი მას ტუჩებს და მკერდს არ უკოცნიდა?

ერთხელ რამზესი სარასთან მივიდა, მას თან მოჰყვა ძაღლი. რამზესმა ქალთან სულ რამდენიმე საათი დაჰყო, მაგრამ სარას ადგილას მის ფეხებთან მუდამ ძაღლი იწვა; ხოლო როცა ქალმა იქვე დაჯდომა მოინდომა, ძაღლმა ღრენა დაუწყო. ბატონიშვილი იცინოდა და ისევე ეფერებოდა თითებით უწმინდური ცხოველის ბალანს, როგორც სარას თმას, ძაღლიც მისჩერებოდა მას თვალებში ისევე, როგორც სარა, ოღონდ იქნებ უფრო თამამად.

სარა ვერ დამშვიდებულიყო, შესძაგდა გონიერი ცხოველი, რომელიც მას რამზესის ალერსს ართმევდა, ისე მოურიდებლად ექცეოდა, რომ ქალს მსგავსი რამ ვერ გაებედა. განა შეეძლო სარას ამ ძაღლივით გულგრილად ეცქირა განზე, როცა მემკვიდრის ხელი თავზე ედო?

აქ კიდევ ბატონიშვილმა მოცეკვავე ქალები მოიგონა. სარა აენთო:

„როგორ? რამზესს შეეძლო ალერსის ნება მიეცა ამ შიშველ, ურცხვი ქალებისათვის?.. და იაღვემ, რომელიც ამას ხედავდა მაღალი ციდან, იმ მეძავებს მეხი არ დაატეხა?..“

მართალია რამზესმა უთხრა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი შენა ხარო, მაგრამ მისმა სიტყვებმა სარა ვერ დაამშვიდა. მან გადაწყვიტა, თავისი სიყვარულის გარდა, სხვა არაფერზე ეფიქრა. რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ რა იქნება.

და როდესაც სარა რამზესის ფეხებთან მღეროდა მწუხარებასა და ტანჯვაზე, რომელიც თან სდევდა ადამიანს აკვნიდან სამარემდე, მან ამ სიმღერაში გადმოაფრქვია თავისი სული, თავისი უკანასკნელი სასოება ღმერთისადმი.

ახლა რამზესი მასთან იმყოფება და მას შეუძლია ბედნიერი იყოს.

მაგრამ სწორედ აქ დაიწყო სარასთვის ყველაზე უფრო მწარე რამ:

ბატონიშვილი მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, მასთან ერთად სეირნობდა ბაღში, ზოგჯერ ნავში ჩაისვამდა და ნილოსში ასეირნებდა, მაგრამ ოდნავადაც კი არ დაახლოებია იმაზე მეტად, ვიდრე იყო მაშინ, როცა გაღმა სასახლის ბაღში ცხოვრობდა.

რამზესი მასთან იყო, მაგრამ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა, და სარას ვერ გამოეცნო, რა აწუხებდა. იგი ეხვეოდა, ეთამაშებოდა მის თმას, მაგრამ ვერ იტყოდით, მემფისისაკენ პირშექცეული, სასახლის უზარმაზარ პილონებს გასცქეროდა თუ სადღაც შორს მიეპყრო მზერა...

ზოგჯერ პასუხსაც არ იძლეოდა კითხვებზე, ან უეცრივ შეხედავდა, თითქოს გამოიღვიძა და უკვირს, რომ მას თავის გვერდით ხედავსო.

თავი მეთექვსმეტე

ასეთი იყო საკმაოდ იშვიათი წუთები სარასა და მის შეყვარებულს შორის განსაკუთრებული სიახლოვისა. მას შემდეგ, რაც ტახტის მემკვიდრემ ბრძანებები მისცა პატროკლესა და მამულების მოურავს, დღის უმეტეს ნაწილს იგი ხუტორს გარეთ, უფრო ხშირად კი ნავში ატარებდა. მიცურავდა ნილოსში და ბადით იჭერდა თევზს, რომელიც მრავლად ირეოდა ამ დალოცვილ მდინარეში, ან ჭაობებში დაეხეტებოდა და ლოტოსის მაღალ ღეროებს ამოფარებული ისარს ესროდა გარეულ ფრინველებს, რომლებიც მუმლსავით გუნდებად დასტრიალებდნენ თავს. მაგრამ აქაც არ სცილდებოდა პატივმოყვარე ოცნება. ზოგჯერ, როცა წყალში ბატის, ყვითელ ჭუჭულებს დაინახავდა, იგი მოზიდავდა ლარს და ჩაუთქვამდა: „თუ არ ავაცდინე. მაშინ მეორე რამზეს დიდი ვიქნებიო...“ ისარი ჩუმად გაიზუზუნებდა, დაეცემოდა, განგმირული ფრინველი ფრთებს ააფათქუნებდა და ისე გულისმომწყვლელად იყივლებდა, რომ მთელ ჭაობზე ალიაქოთი ატყდებოდა. უამრავი ბატის, იხვისა და ყარყატის გუნდი აფრინდებოდა მაღლა, შემოხაზავდა დიდ წრეს მომაკვდავი ამხანაგის თავზე და სადღაც მოშორებით დაეშვებოდა. როცა ყოველივე მიწყნარდებოდა, ბატონიშვილი ფრთხილად გაატარებდა ნავს და აცქერდებოდა იმ ადგილს, სადაც ლელი ირხეოდა, თან ყურს უგდებდა ფრინველების ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმას. ხოლო, როცა მცენარეთა შორის, კრიალ წყლის სარკეს

და ახალ გუნდს დაინახავდა, კვლავ მოზიდავდა მშვილდს და ამბობდა:

– თუ მოვახვედრე, ფარაონი ვიქნები. თუ ვერ მოვახვედრე...

ამჯერად ისარი წყალში ეცემოდა, რამდენჯერმე ახლტდებოდა წყლის ზედაპირზე და ლოტოსებში იკარგებოდა, რამზესი კი უკვე აზარტში შედიოდა, სულ ახალ-ახალ ისრებს ისროდა, ხოცავდა ფრინველთ ან მხოლოდ აფრთხობდა.

ხუტორში ბატონიშვილის ადგილსამყოფელს იგებდნენ ფრინველთა გუნდების ჟრიამულით, რომლებიც წამდაუწუმ აიშლებოდნენ ხოლმე და თავს დასტრიალებდნენ მის ნავს.

როცა საღამო ჟამს დაღლილი ბრუნდებოდა ხუტორში, სარა კარიბჭესთან ხვდებოდა ხელში ტაშტ-აბრაკით, თხელი ღვინის დოქითა და ვარდების თაიგულით. ბატონიშვილი უღიმოდა, ლოყაზე ხელს უსვამდა და, როცა ჩახედავდა მშვიდ თვალებში, ფიქრობდა:

„ნეტავი ვიცოდე, შეუძლია თუ არა ამას სცემოს ეგვიპტელ გლეხებს ისე, როგორც მისი მუდამ შეშინებული თვისტომნი სცემენ? თუმცა იქნება სარა ისეთი არ არის, როგორც სხვები“.

ერთხელ, როცა შინ ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაბრუნდა, სახლის წინ ეზოში წააწყდა. მხიარულად მოთამაშე ტიტლიკანა ბავშვებს. მის დანახვაზე ბავშვები ყვირილით გაიფანტნენ, როგორც გარეული ბატები ჭაობში.

– ეს რა წვრილფეხობაა? – შეეკითხა იგი სარას, – რატომ გამირბიან?

– ისინი შენი მსახურების შვილები არიან, – უპასუხა სარამ.

– ებრაელების?

– ჩემი ძმების.

– ძალიან ნაყოფიერი კია თქვენი ხალხი! – გაიცინა ბატონიშვილმა. – ეს ვინღაა? – დაუმატა მან და მიუთითა კაცზე, რომელიც კუთხიდან შეშინებით იცქირებოდა.

– ეს აოდია, ბარაკის ძე, ჩემი ნათესავი. მას სურს შენ გემსახუროს, ბატონო, შეიძლება ავიყვანო?

ბატონიშვილმა მხრები აიჩეჩა.

– კარმიდამო შენია, – უპასუხა მან, – შეგიძლია აიყვანო ყველა, ვი-

საც მოისურვებ.

– შენ ჩემი ძმები არ გიყვარს? – წაიჩურჩულა სარამ, რომელიც შეშფოთებით მისჩერებოდა რამზესს, და მის ფეხებთან დაეშვა.

ბატონიშვილმა გაკვირვებით შეხედა.

– მე მათზე არც ვფიქრობ, – აგდებით უპასუხა მან.

ასე წვრილმან უთანხმოებათ, რომლებიც ცეცხლის წვეთებად ეცემოდნენ გულზე სარას, ვერ შეცვალეს მისდამი რამზესის დამოკიდებულება. ბატონიშვილი თავაზიანი და ჩვეულებისამებრ ალერსიანი იყო, თუმცა მისი თვალები სულ უფრო ხშირად იყურებოდნენ ნილოსის გაღმა, სასახლის ვეება პილონებისაკენ.

მალე ნებაყოფლობით გაძევებულმა შეამჩნია, რომ მარტო ის როდი დარდობს. ერთხელ გაღმა ნაპირს მოსცილდა მორთული სამეფო ნავი, მემფისის მიმართულებით გადაჭრა ნილოსი და ხუტორთან ისე ახლოს იწყო ტრიალი, რომ რამზესს შეეძლო გაერჩია მასში მსხდომნი. მან იცნო თავისი დედა, რომელიც მეწამული ბალდახინის ქვეშ წამომჯდარიყო სეფექალებით გარშემორტყმული; მის პირდაპირ დაბალ სკამზე იჯდა მეფისნაცვალი ხერიჰორი. მართალია, მისკენ არ იყურებოდნენ, მაგრამ რამზესი გრძნობდა, რომ თვალყურს ადევნებდნენ.

„ეჰა! – ჩაიცინა გუნებაში. – ჩემს ღირსპატივსაცემ დედიკოს და ბატონ მინისტრს სურთ მეფის დაბრუნებამდე წამიყვანონ აქედან:“

დადგა თვე ტობი, ოქტომბრის ბოლო და ნოემბრის დამდეგი. ნილოსში წყალი კლებულობდა და ყოველდღე შავი, საფლობი მიწის ახალ სივრცეებს აჩენდა. როგორც კი წყალი შორდებოდა მიწას, მაშინვე ამ ადგილისკენ მიემართებოდა კავი, რომელსაც უღელი ხარე მიათრევდა. კავს შიშველი მხვნელი მისდევდა, ხარებს გვერდით მიჰყვებოდა გუთნისდედა მოკლე შოლტით, უკან კი მთესველი მიაბიჯებდა. მთესველი კოჭამდე შლამში მიტოპავდა და წინსაფარში ჩაყრილ ხორბლის მარცვლებს მუჭა-მუჭა აბნევდა.

ეგვიპტისათვის წლის საუკეთესო დრო – ზამთარი დგებოდა. სითბო თხუთმეტ გრადუსს არ აღემატებოდა, დედამიწა სწრაფად იმოსებოდა ზურმუხტოვანი მცენარეულით, რომელთა შორის ნაპერწკალსავით ენთო ნარგიზი და ია; მათი სურნელება სულ უფრო და უფრო

ერეოდა მიწისა და წყლის მწკლარტე სუნს.

სარას სახლის შორიახლოს უკვე რამდენჯერმე გამოჩნდა ნავი, რომელშიც დედოფალი ნიკოტრისა და მეფისნაცვალი ხერიჰორი ისხდნენ. ნავის ყოველი გამოჩენისას ბატონიშვილი ხედავდა, რომ დედამისი მხიარულად ესაუბრებოდა მინისტრს, და რწმუნდებოდა, რომ მისკენ განზრახ არ იყურებიან, თითქოს სურთ დაანახონ, არაფრად გაგდებთო.

– დამაცადეთ! – გულმოსულად ჩაიჩურჩულა მემკვიდრემ. - მე თქვენ გიჩვენებთ, რომ არც მე ვარ მოწყენილი.

და აი, როცა ერთხელ, მზის ჩასვლის წინ, გაღმა ნაპირს მოსცილდა მოოქრული სამეფო ნავი, რომელზეც გაშლილი მეწამული კარვის კუთხეები სირაქლემის ფრთებით იყო მორთული, რამზესმა ბრძანა მოემზადებინათ ნავი ორი კაცისთვის და სარას უთხრა, ნავით გავისეირნოთო.

– იაღვე! – წამოიძახა სარამ და ხელები გაასავსავა. – იქ ხომ დედაშენი და მეფისნაცვალი არიან!

– აქ კი ტახტის მემკვიდრე იქნება! ქნარიც თან წამოიღე, სარა!

– როგორ, ქნარიც? – კანკალით შეეკითხა ის. – შენმა ღირსპატივსაცემმა დედამ რომ შენთან საუბარი ისურვოს?.. მაშინ მე წყალში გადავვარდები!

– ნუ ბავშვობ, სარა, – სიცილით უპასუხა ბატონიშვილმა. – მეფისნაცვალსა და დედაჩემს ძალიან უყვართ სიმღერა. შენ შეგიძლია მათი სიმპათიაც კი მოიპოვო, თუ რომელიმე ლამაზ ებრაულ სატრფიალო სიმღერას იმღერებ.

– მე ეგეთი სიმღერები არ ვიცი, – უპასუხა სარამ, რომელსაც იმედი გაუღვიძეს ბატონიშვილის სიტყვებმა. იქნებ მართლაც მოეწონოთ მისი სიმღერა ამ გავლენიან პირებს, და მაშინ...

სასახლის ნავიდან შეამჩნიეს, რომ ტახტის მემკვიდრე უბრალო ნავში ჯდება და თვითონვე უსვამს ნიჩაბს.

– შეხედეთ, თქვენო უწმიდესობავ, – ჩურჩულით მიმართა მინისტრს დედოფალმა, – ის თავის ებრაელი ქალით ჩვენს შესახვედრად მოდის.

– მემკვიდრე ისე გონივრულად მოექცა თავის ჯარისკაკებსა და

გლეხებს, იმდენი სინანული გამოიჩინა, როცა სასახლეს ჩამოშორდა, რომ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, შეგიძლიათ აპატიოთ მას ეს მცირე უტაქტობა, – უპასუხა მინისტრმა.

– ჰო, იმ ნავში რამზესი რომ არ იჯდეს, ვუბრძანებდი ჩაეძირათ, – აღშფოთებით წარმოთქვა დედოფალმა-დედამ.

– რატომ? – შეეკითხა მინისტრი. – ბატონიშვილი უმაღლესი ქურუმებისა და ფარაონის გამომავალი არ იქნებოდა, რომ იმ ლაგამის გაგლეჯას არ ცდილობდეს, რომელსაც, სამწუხაროდ, მას კანონი ან, იქნებ, ჩვენ არცთუ მთლად სულყოფილი ჩვეულებები აკისრებს. როგორც არ უნდა იყოს, ბატონიშვილმა გვიჩვენა, რომ საჭირო შემთხვევებში იცის თავის დაჭერა. მას შეუძლია საკუთარი შეცდომებიც კი აღიაროს, რაც ტახტის მემკვიდრისათვის იშვიათ, დაუფასებელ ღირსებას წარმოადგენს. რაც შეეხება იმას, რომ სურს თავისი შეყვარებულით გაგვახელოს, ეს იმას ამტკიცებს, რომ მას მტკივნეულად აწუხებს შერისხულობა, რომელსაც განიცდის, თუმცა მისი გულისთქმანი უკეთილშობილესი იყო.

– მაგრამ ეს ებრაელი ქალი! – ჩურჩულებდა დედოფალი და ნერვულად წეწდა ფრთების მარაოს.

– იმ ქალის გამო აღარ ვწუხვარ, – განაგრძობდა მინიტრი, – ის ლამაზი, მაგრამ უჭკუო ქმნილებაა, რომელიც არ აპირებს და ვერც შეძლებდა გამოეყენებინა თავისი გავლენა მემკვიდრეზე. ის არ იღებს საჩუქრებს, და, თავის არცთუ მდიდარ გალიაში ჩაკეტილი, თითქმის არავის ნახულობს. დროთა განმავლობაში იქნებ ესწავლა მემკვიდრის საყვარლის მდგომარეობით სარგებლობა და მოეხერხებინა მისი ხაზინიდან რამდენიმე ათეული ტალანტის წაგლეჯა. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, ის უკვე მობეზრდება რამზესს.

– დეე ყოვლისმცოდნე ამონი მეტყველებდეს შენთა ბაგეთაგან!

– ამაში ეჭვი არ შედის. ბატონიშვილს მისი გულისათვის არასოდეს არ ჩაუდენია გიჟობა, როგორც ეს ემართებათ ჩვენი წრის ყმაწვილ კაცებს, რომლებსაც ვინმე მოხერხებული ინტრიგანი ქალი დაკარგვინებს ხოლმე ქონებას, ჯანმრთელობას და სასამართლოს კარებამდეც კი მიიყვანს. რამზესი ერთობა მაგ ქალით, როგორც მოწიფული მამაკაცი მხევლით. ხოლო ის ამბავი, რომ სარა ორსულადაა...

– განა?.. - წამოიძახა დედოფალმა. – საიდან იცი?

– ეს არათუ მეფისწულმა, თვით სარამაც არ იცის, – გაიღიმა ხერიჰორმა. – მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. თუმცა ამ საიდუმლოს გამომჟღავნება არც ისე ძნელი იყო. სარასთან ცხოვრობს მისი ნათესავი ქალი ტაფეტი, მეტისმეტად ყბედი დედაკაცი.

– უკვე მიუწვევიათ ექიმი?

– ვიმეორებ, სარამ ამის შესახებ არაფერი იცის. ხოლო პატივცემული ტაფეტი იმის შიშით, ბატონიშვილმა გული აიყაროს ჩემს გაზრდილზეო, სიამოვნებით მოახრჩობდა ბავშვს. მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ის ხომ მემკვიდრის შვილი იქნება.

– ვაჟი რომ იქნეს?.. მას შეუძლია. მრავალი საზრუნავი გაგვიჩინოს, – თქვა დედოფალმა.

– ყველაფერი გათვალისწინებულია, – განაგრძობდა ქურუმი. თუ ქალი იქნება, ჩვენ მას მივცემთ მზითევს და აღვზრდით ისე, როგორც მაღალი გვარის ქალიშვილს შეეფერება. ხოლო, თუ ვაჟი იქნა, ებრაელად დარჩება.

– ჩემი შვილიშვილი – ებრაელი!

– უდროოდ ნუ ჰკრავ ხელს მას, დედოფალო. ჩვენი ელჩები გვატყობინებენ, რომ ისრაელის ხალხი თავის მეფეზე ოცნებობს. ვიდრე ბავშვი წამოიზრდება, ეს მათი ოცნება მომწიფდება. და მაშინ ჩვენ... ჩვენ მივცემთ მათ მბრძანებელს, თანაც ჭეშმარიტად კარგი სისხლისას!

– შენ არწივის თვალით სწვდები აღმოსავლეთსა და დასავლეთს, – უთხრა დედოფალმა, – ვგრძნობ, რომ ჩემი ზიზღი ამ ქალიშვილისადმი ნელდება.

– უმწირესი წვეთი ფარაონების სისხლისა თავს უნდა დაბრწყინავდეს ხალხებს, როგორც ვარსკვლავი დედამიწას, – წარმოთქვა ხერიჰორმა

ამ დროს მემკვიდრის პატარა ნავი სულ რამდენიმე ათეული ნაბიჯით იყო დაშორებული სასახლის დიდ ნავს, ფარაონის მეუღლემ სახეზე მარაო მიიფარა და მის ფრთებში გახედა სარას.

– მართლაც მშვენიერია!.. – ჩაიჩურჩულა მან.

– ამას შენ უკვე მეორე ამბობ, ღირსპატივსაცემო ქალბატონო.

– შენ ესეც იცი, – გაიღიმა დედოფალმა.

ხერიჰორმა თვალები დახარა.

მეფისწულის ნავზე ქნარი აჟღერდა და სარამ მთრთოლვარე ხმით წამოიწყო სიმღერა:

„რაოდენ დიდ არს უფალი შენი! რაოდენ დიდ არს უფალი ღმერთი შენი, ისრაელ!“

– რა საუცხოო ხმაა! – ჩაიჩურჩულა დედოფალმა.

უმაღლესი ქურუმი ყურადღებით უსმენდა.

„დღეთა მისთა არა აქვს დასაბამი,– მღეროდა სარა, – ხოლო სამყოფელს მისას – ზღვარი. მარადი ზეცა მის თვალწინ იცვლება, მსგავსად სამოსისა, რომელსაც იცვამს და იხდის ადამიანი. ვარსკვლავები ინთებიან და ქრებიან, როგორც მაგარი ხის ნაპერწკლები, ხოლო მიწა თითქოს კენჭია, რომელსაც მგზავრი ფეხით შეეხო და გზა განაგრძო.

„ოჰ, რაოდენ დიდ არს უფალი შენი, ისრაელ! არავინაა, რომ გაბედო და უთხრას მას: „ქმენ ასე!“ არ არსებობს წიაღი, რომელსაც იგი წარმოეშვას. მან შეჰქმნა უნაპირო უფსკრულები და მიმოქრის მათზე თავისი ნებით. ის წყვდიადს სინათლედ აქცევს, მიწიერ მტვრისაგან ჰქმნის ცოცხალ არსებათ და აჯილდოებს მათ ხმით.

„საშინელი ლომები მისთვის წვრილი კალიაა. უზარმაზარი სპილო მისთვის არარაა, ხოლო ვეშაპი მასთან ბავშვად გამოჩნდება.

„მისი მრავალფერი ცისარტყელა დედამიწის კიდეებს ეყრდნობა და ზეცას ორ ნაწილად ჰყოფს. სადაა ბჭენი, რომელნიც თავისი სიდიდით მას შეედრებოდნენ? მისი ეტლის გრიალი ძრწოლას ჰგვრის ხალხებს და მზის ქვეშეთში არ მოიპოვება კაცი, რომელიც დაემალება მის ისარს, ნაპერწკლებს რომ ჰყრის.

„მისი სუნთქვა ჩრდილოეთის ქარია, ქანცგაწყვეტილ ხეებს რომ გამოაცოცხლებს; მისი ქროლვა ჰამსინია, მიწის გადამბუგველი.

„ოდეს იგი თვის ხელს გაიშვერს წყლებსა ზედა, წყლები გაქვავდებიან. იგი გადაასხამს ზღვებს ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც დედაკაცი ურას გეჯიდან გეჯაში. იგი ფხრეწს მიწას, როგორც დამპალ ტილოს, და თოვლით ჰფარავს მთების შიშველ მწვერვალებს.

„ის მალავს ხორბლის მარცვალში ას ახალ მარცვალს და იგივ ასწავლის ფრინველს ბარტყების გამოჩეკას. იგი აღვიძებს მძინარე ჭუპ-

რში ოქროსფერ პეპელას და უბრძანებს ადამიანის სხეულს სამარეში ელოდოს აღდგომას...“

მენიჩბეებმა ნიჩბები ასწიეს და გატაცებით უსმენდნენ სიმღერას, სამეფო მეწამული ნავი ნელა მიცურავდა წყლის დაყოლებით, უეცრივ ხერიჰორი წამოდგა და მენიჩბეებს უბრძანა:

– ნავი უკან მემფისისაკენ წაიყვანეთ!

წყალზე ნიჩბები ამუშავდა. ნავი სწრაფად მოტრიალდა და ხმაურით იწყო წყალაღმა სრიალი. მას კვალდაკვალ მისდევდა სიმღერა სარასი, თანდათან რომ წყდებოდა.

„იგი ხედავს ბალახის მღილის გულისცემას და ფარულ ბილიკებს, რომლებზეც დაძრწის ადამიანის ეული აზრი. მაგ რამ არ არის კაცი, რომელსაც ჩაეხედოს მის გულში და გამოეცნოს მისი ზრახვები.

„მის სამოსელთა სხივოსნობის წინაშე სულით უძლიერესნი სახეზე ხელს იფარებენ. მისი გამოხედვა ძლიერ ხალხთა და ქალაქთა ღმერთებს მჭკნარ ფოთოლივით აჭკნობ-ახმობს.

„იგი არს ძალა, იგი არს სიცოცხლე, იგი არს სიბრძნე, იგი არს უფალი, ღმერთი შენი, ისრაელო!..“

– ყოვლადღირსო, რატომ უბრძანეთ მენიჩბეებს უკან დაბრუნება? – შეეკითხა დედოფალი ნიკოტრისა.

– იცი, დედოფალო, რა არის ეს სიმღერა?.. – უპასუხა ხერიჰორმა მხოლოდ ქურუმებისათვის გასაგებ ენაზე, – ეს სულელი გომბიო ნილოსის შუაგულში გალობს ლოცვას, რომლის წარმოთქმა მხოლოდ ჩვენი ტაძრების წმიდათა წმიდაში არის ნებადართული.

– მაშ ეს მკრეხელობაა?

– საბედნიეროდ, ჩვენს ნავში მხოლოდ ერთი ქურუმი იმყოფება, – უპასუხა მინისტრმა. – მე ეს არ გამიგონია და კიდევაც რომ გამეგონა, დავივიწყებ. ვშიშობ მხოლოდ, რომ ღმერთებმა არ გასწირონ ეს ქალიშვილი.

– კი, მაგრამ საიდან იცის ეს საშინელი ლოცვა?.. რამზესი ხომ არ შეასწავლიდა?..

– ბატონიშვილი აქ არაფერ შუაშია. ნუ დაივიწყებ, დედოფალო, რომ ებრაელებმა ეგვიპტიდან არა ერთი ასეთი საუნჯე გაიტაცეს. იმიტომაც ვთვლით ჩვენ მათ მკრეხელებად.

დედოფალმა ხერიჰორს ხელი ჩაჰკიდა.

– მაგრამ ჩემს შვილს ცუდი ხომ არაფერი შეემთხვევა? – წაიჩურჩულა მან და თვალებში ჩახედა.

– სიტყვას გაძლევ, დედოფალო, რომ არავის არაფერი ცუდი არ შეემთხვევა, რაკი მე არაფერი მსმენია და არც არაფერი ვიცი. მაგრამ ბატონიშვილი კი უნდა დავაშოროთ იქ ქალიშვილს.

– ოღონდ არავითარი მკაცრი ზომები! ხომ მართალია, მეფის ნაცვალო? – თითქმის შეეხვეწა დედა.

– რაც შეიძლება ფრთხილად, რაც შეიძლება შეუმჩნევლად, მაგრამ დაშორება აუცილებელია. მე მეგონა, – განაგრძო თითქოს თავისთვის უმაღლესმა ქურუმმა, – რომ ყველაფერი გავითვალისწინე, ყველაფერი – გარდა მკრეხელობაში ბრალდებისა, რომელიც შეიძლება ამ ქალის გამო ტანტის მემკვიდრესაც შეეხოს.

ხერიჰორი ჩაფიქრდა და დაუმატა:

– დიახ! შეიძლება არად მივიჩნიოთ მრავალი ჩვენი ცრურწმენა, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ფარაონის ძემ თავისი ცხოვრება ებრაელ ქალს არ უნდა დაუკავშიროს.

თავი მეჩვიდმეტე

იმ საღამოს მერე, როცა სარა ნავში მღეროდა, სასახლის ნავი აღარ გამოჩენილა ნილოსში და ბატონიშვილი რამზესი მართლაც დანაღვლიანდა. ახლოვდებოდა მეხირის თვე, დეკემბერი. წყალი კლებულობდა და მიწის სულ ახალ-ახალ ფენებს აჩენდა, ბალახი ყოველდღე უფრო მაღლდებოდა, ხშირდებოდა, და შიგ ფერად-ფერადი შხეფებივით კიაფობდა სურნელოვანი ყვავილები. თითქოს მწვანე ზღვაში ამოსული პატარა კუნძულებიაო – ერთ დღეში ამოჰყოფდა თავს ყვავილოვანი კორდები – თეთრი, ცისფერი, ყვითელი, ვარდისფერი ნოხები, რომელთაგან დამათრობელი სურნელება ჰქროდა.

მიუხედავად ამისა, ბატონიშვილი მოწყენილი იყო და თითქოს რაღაცის ეშინოდა კიდეც. მამამისის გამგზავრების დღიდან ის სასახლეში არ ყოფილა, არც იქიდან მოსულა მასთან ვინმე; დაიკარგა თუტმოსიც, რომელიც მათი უკანასკნელი საუბრის შემდეგ გაუჩინარ-

და, როგორც გველი ბალახში. იქნებ კარისკაცნი ერიდებოდნენ მისი მარტოობის დარღვევას, ან იქნებ უნდოდათ გული მოეკლათ, ანდა უბრალოდ ეშინოდათ შერისხულ მემკვიდრესთან მისვლა? რამზესმა ეს არ იცოდა.

,,იქნებ მამამ მეც ჩამომაშოროს ტახტს, როგორც ჩემ უფროსი ძმები?.. – ფიქრობდა ზოგჯერ მემკვიდრე და შუბლზე ოფლი ასხამდა, ფეხები უცივდებოდა. – მაშინ რაღა ექნა? “

ყოველივე ამას დაერთო სარას ავადობა: გახდა, ფერი დაკარგა, დიდრონი თვალები ჩაუცვივდა და ზოგჯერ დილაობით, გულის რევას უჩიოდა.

– ხომ არავინ გათვალა ეს საცოდავი! – კვნესოდა მზაკვარი ტაფეტი, რომელსაც რამზესი ვერ იტანდა გამუდმებული ყბედობისა და უკეთური საქციელისათვის. მემკვიდრემ რამდენჯერმე შეამჩნია, რომ ტაფეტი გვიან საღამოთი აგზავნიდა მემფისში ვეებერთელა კალათებს, დატვირთულს საჭმლით, თეთრეულითა და ჭურჭლითაც კი. მეორე დღეს ჩიოდა, არ გვყოფნისო ფქვილი, ღვინო ან ჭურჭელი. მას შემდეგ, რაც მემკვიდრე ხუტორში გადმოვიდა, ათჯერ მეტი სურსათი იხარჯებოდა, ვიდრე წინათ.

„დარწმუნებული ვარ, – ფიქრობდა რამზეს”, – რომ ეს ყბედი კუდიანი მქურდავს და ყველაფერი თავის ებრაელებთან მიაქვს, რომლებიც დღისით ქრებიან მემფისიდან, ღამით კი ვირთხებივით დაძვრებიან ბინძურ შესახვევებში“.

იმ დღეებში ბატონიშვილის ერთადერთი გასართობი ის იყო, რომ თვალს ადევნებდა ხურმის კრეფას.

შიშველი გლეხი მივიდოდა მაღალ, სწორ და სვეტივით გლუვ პალმასთან, ხეს ბაწრის მარყუჟს გამოსდებდა, თვითონაც ამ მარყუჟში მოექცეოდა, მერე ფეხის ქუსლებს ხის ღეროს მიაბჯენდა, მთელი ტანით უკან გადაიწეოდა და ზევით მიცოცავდა. ცოტათი რომ ავიდოდა, მარყუჟს კიდევ რამდენიმე დიუმით მაღლა სწევდა და ამგვარად, თუმცა ყოველ წუთს კისრისტეხით გადმოვარდნა ელოდა, სულ მაღლა-მაღლა მიცოცავდა, ზოგჯერ ორი-სამი სართულის სიმაღლეს აღწევდა და ვეებერთელა ფოთლების კონითა და ხურმის მტევნებით დახუნძლულ კენწეროზე მოექცეოდა.

ამ ჯამბაზური ვარჯიშის მოწმენი, რამზესის გარდა, ებრაელი ბავშვებიც იყვნენ. პირველად ეშინოდათ ბატონიშვილისა და მისი იქ ყოფნის დროს არ გამოდიოდნენ. შემდეგ ბუჩქებიდან და გალავნიდან გაჩნდებოდნენ ხუჭუჭა თავები და შავი მოელვარე თვალები.

სარას გაუგებარმა ავადობამ, მისმა ხშირმა ცრემლებმა, შესამჩნევად მიმქრალმა ეშხიანობამ, მის ნათესავთა გნიასმა ხუტორში სავსებით მოწამლეს ბატონიშვილს ამ ლამაზ კუთხეში ყოფნა. მან თავი ანება ნავით სეირნობას, ნადირობას, აღარც ხურმის კრეფას უყურებდა და დაღვრემილი დაეხეტებოდა ბაღში ან ყათარიდან გაჰყურებდა ფარაონის სასახლეს.

მიუწვევლად იქ არასოდეს დაბრუნდებოდა, მაგრამ ქვემო ეგვიპტეში ზღვის ახლოს მდებარე თავის მამულში გამგზავრებაზე კი ფიქრობდა.

ასეთ გუნებაზე მყოფ რამზესს მოუსწრო თუტმოსმა, რომელიც ერთხელ სასახლის სააღლუმო ნავით მოვიდა და მემკვიდრეს ფარაონის მიწვევა მოუტანა.

მეფე თებედან ბრუნდებოდა და სურვილი გამოეთქვა, ტახტის მემკვიდრე მის შესახვედრად გამგზავრებულიყო.

ბატონიშვილს ფერ-ფური მისდიოდა, როცა მეფის მოწყალე წერილს კითხულობდა. იმდენად აღელვებული იყო, რომ არც კი შეუმჩნევია თუტმოსის ახალი ვეებერთელა პარიკი, რომლისგანაც თხუთმეტნაირი სურნელება იფრქვეოდა, არც მისი ტუნიკა და მქრქალ ნისლზე უფრო გამჭვირვალე ლაბადა, არც ოქროს რგოლებით შემკული სანდლები.

ბოლოს რამზესი გამოერკვა და ისე იკითხა, თუტმოსისათვის არ შეუხედავს:

– რა მოგივიდა, რომ ამდენი ხანი ჩემთან არ ყოფილხარ? შეგეშინდა განა შერისხულთან მოსვლა?

– ჰოი ღმერთებო! – წამოიძახა ბრწყინვალე კოპწიამ. – ნეტავი როდის იყავი შერისხული და ვისგან? მეფის ყოველი შიკრიკი კითხულობდა მისი სახელით შენს ჯანმრთელობას. ხოლო ღირსპატივსაცემი დედოფალი ნიკოტრისა და ყოვლადღირსი ხერიჰორი რამდენჯერმე მოუახლოვდნენ შენს სახლს იმ იმედით, რომ შენ ას ნაბიჯს მა-

ინც გადადგამდი მათს შესახვედრად, მაშინ როდესაც მათ რამდენიმე ათასი გამოიარეს. ჯაოზე ხომ აღარას ვამბობ. შენი პოლკების ჯარისკაცები ვარჯიშობის დროს პალმებსავით დუმან და ყაზარმებიდან არ გამოდიან. ხოლო მამაცი პატროკლე ისე ნაწყენია, რომ მთელი დღე სვამს და იგინება.

მაშ ბატონიშვილი შერისხული არ ყოფილა და თუ იყო კიდეც, აღარ არის!.. ამ აზრმა რამზესზე ისე იმოქმედა, როგორც კარგმა ფიალა ღვინომ. საჩქაროდ მიიღო აბაზანა და ტანზე სურნელება წაიცხო, ახალი საცვალი და ხიფთანი ჩაიცვა, აიღო ფრთებიანი მუზარადი და გაემართა სარასაკენ, რომელიც ფერმიხდილი იწვა და ტაფეტი უვლიდა.

სარამ წამოიყვირა, როდესაც ბატონიშვილი ასე გამოწყობილი დაინახა. წამოჯდა, კისერზე ხელები მოხვია და ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

– მიდიხარ, ბატონო?.. და აღარ დაბრუნდები!

– ეგ რამ გაფიქრებინა? – გაოცდა მემკვიდრე. – პირველად ხომ არ მივდივარ?

– მე მახსოვხარ ასეთსავე ტანსაცმელში იქ... ჩვენს ხეობაში, – განაგრძობდა სარა. – ო, სადღაა ის დრო?.. მან ისე სწრაფად გაირბინა, თითქოს დიდი ხნის წინათ იყოო...

– კი, მაგრამ მე დავბრუნდები, სარა! და საუკეთესო ექიმს მოგიყვან.

– რა საჭიროა? – ჩაერია ტაფეტი. – კარგადაა ჩემი ფარშავანგი... მას მხოლოდ დასვენება ესაჭიროება. ეგვიპტელი ექიმები კი იმდენს იზამენ, რომ მართლა ავად გახდება.

ბატონიშვილს არც კი შეუხედია ყბედი დედაკაცისათვის.

– ეს საუკეთესო თვე იყო ჩემს ცხოვრებაში, – თქვა სარამ და რამზესს მიეკრა, – მაგრამ მას ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია.

სამეფო ნავიდან ბუკის ხმა მოისმა, რომელიც ზევით მდინარის აყოლებაზე მიცემულ სიგნალს იმეორებდა.

სარა შეკრთა.

– ოჰ, გესმის, ბატონო, ეს საშინელი ხმები?.. შენ გესმის და იღიმები და – ვაი მე! – ჩემს ხვევნას გაურბიხარ, როცა ბუკი გიხმობს, ვერა-

ფერი დაგაკავებს, და ყველაზე ნაკლებად შენი მხევალი.

– განა ინდომებდი, რომ მე მუდამ ხუტორის ქათმების კაკანს ვისმენდე? – გაჯავრებით შეაწყვეტინა სიტყვა რამზესმა. – მშვიდობით! ჯანმრთელად და მხიარულად იყავი და მელოდე...

სარამ მკლავები გაუშვა და ისე საწყლად შეხედა, რომ მემკვიდრეს გული მოულბა და ხელი გადაუსვა.

– კარგი, ნუ შფოთავ... შენ ჩვენი ბუკების ხმა გაშინებს... განა მაშინ ის ცუდის მომასწავებელი იყო?..

– ბატონო, ვიცი, რომ შენ იქ დაგტოვებენ. მათ გამოც იჩინე ჩემდამი უკანასკნელი წყალობა... მე გადმოგცემ, სლუკუნით განაგრძობდა ქალი, – გალიას მტრედებით. ისინი აქ გამოიჩეკნენ და გაიზარდნენ. და აი... როგორც კი მოგაგონდება შენი მხევალი, გალია გააღე და ერთი მტრედი გამოუშვი. ის მომიტანს შენს ამბავს... მე ვაკოცებ მას... მივუალერსებ... ახლა კი წადი!

ბატონიშვილი გადაეხვია და ნავისაკენ გაემართა, თან თავის ზანგს დაავალა – დაიცადე, სანამ სარა მტრედებს, მოგცემენ და პატარა ნავით დამეწიეო.

მემკვიდრის დანახვაზე აგრიალდა დოლები, დაუსტვინეს სალამურებმა, მენიჩბეები ხმამაღალი ყიჟინით მიესალმნენ. ჯარისკაცებში რომ მოხვდა, ბატონიშვილმა შვებით ამოისუნთქა და ისე გაიზმორა, თითქოს ხუნდები მოიშორო.

– აბა, – მიმართა მან თუტმოსს, – მომბეზრდნენ დიაცებიც და ებრაელებიც... ჰოი, ოზირისო! – უკეთესია ბრძანო ახლავე ნელ ცეცხლზე შემწვან, ოღონდ ნუ მაიძულებენ ხუტორში ვიჯდე.

– დიახ, – კვერი დაჰკრა თუტმოსმა, – სიყვარული თაფლსა ჰგავს. შეიძლება გემო გაუსინჯო, მაგრამ მასში ბანაობა კი არ შეიძლება. ბრრ!.. ჟრუანტელი მივლის, როდესაც მომაგონდება, თითქმის ორი თვე ისე გაატარე, რომ ღამით კოცნით იკვებებოდი, დილით ხურმით და შუადღისას ვირის რძით.

– სარა ძალიან კარგი ქალიშვილია, – შეესიტყვა ბატონიშვილი.

– მე მასზე კი არა, მის ნათესავებზე მოგახსენებ; ისინი ისე დახვევიან ხუტორს და ისე გაუვსიათ ის, როგორც პაპირუსს ჭაობი. გახედე, გიცქერიან და იქნებ გამოსათხოვარ სალამსაც გიძღვნიან, – არ ცხრე-

ბოდა მლიქვნელი.

ბატონიშვილმა გაგულისებით იბრუნა პირი. თუტმოსმა კი ისე ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ოფიცრებს, თითქოს უნდა აგრძნობინოს, რომ რამზესი ამიერიდან მალე აღარ მიატოვებს ჩვენს საზოგადოებასო.

რაც უფრო შორს მიიწევდნენ წყალაღმა, მით უფრო ბლომად იყრიდა თავს ხალხი ნილოსის ნაპირებზე, მით უფრო გაცხოველებით ქსელავდნენ მდინარეს ნავები და მით უფრო უხვად მოცურავდა წყალში ყვავილები, გვირგვინები და თაიგულები, რომელთაც ფარაონის ნავის შესაგებებლად ისროდნენ.

მემფისს იქით მთელი ერთი მილის მანძილზე იდგა ხალხი ბაირაღებით, ქანდაკებითა და საკრავებით, ისმოდა გუგუნი, რომელიც გრიგალს მოაგონებდა კაცს.

– აი მეფეც! – აღფრთოვანებით წამოიძახა თუტმოსმა.

მაყურებელთა წინაშე გადაიშალა უოშვიათესი სანახაობა. მდინარის ფართო საქცევის შუაგულში მოცურავდა ვეებერთელა სამეფო ნავი; მისი კიჩო გედის კისერივით იყო მოღუნული. მარჯვნივ და მარცხნივ, თითქოს ორი უზარმაზარი ფრთააო, მოსრიალებდა ქვეშევრდომთა უამრავი ნავი, ხოლო უკან მდიდრულ მარაოდ გაშლილიყო ფარაონის ამალის ნავები. ყველა ცეკვავდა, მღეროდა, ტაშს უკრავდა ან ყვავილებს ისროდა მოოქრული კარვისაკენ, რომელზეც ფარაონის იქ ყოფნის ნიშანი, შავ-ცისფერი ალამი ფრიალებდა.

ნავებში მსხდომი ადამიანები მთვრალებს მიაგავდნენ, ნაპირზე მყოფნი კი გაშმაგებულებს. ხან იქ, ხან აქ ერთი ნავი დაეჯახებოდა ან გადაატრიალებდა მეორეს, ვიღაც წყალში ვარდებოდა, საიდანაც საბედნიეროდ გარბოდნენ ჯერ არგაგონილი ხმაურით დამფრთხალი ნიანგები. ნაპირზე მდგომნი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, არავინ ყურადღებას არ აქცევდა მეზობელს და თვალს არ აშორებდა მოოქრულ ნისკარტს და მეფის კარავს. ჰაერი იძროდა წამოძახილებით:

– იცოცხლე მარად, ჩვენო მბრძანებელო!.. გვინათე, ეგვიპტის მზევ...

მეფისწულის ნავში მყოფი ოფიცრები, ჯარისკაცები და მენიჩბეები შეჯგუფდნენ და ისინიც გამაყრუებლად ყვიროდნენ. თუტმოსს და-

ავიწყდა ტახტის მემკვიდრე, გემის მაღალ კიჩოზე აფორთხდა და კინაღამ წყალში არ გაადინა თხლაშანი.

უეცრად მეფის ნავზე ბუკი ააყვირეს. მას მყისვე უპასუხა ბუკმა რამზესის ნავიდან. მეორე სიგნალის მიცემისთანავე მემკვიდრის ნავი მიუახლოვდა ფარაონის ვეებერთელა ნავს.

კარის მოხელემ ხმამაღლა დაუძახა რამზესს. ორივე ნავს შუა გადეს კედარის ბოგა ჩუქურთმიანი მოაჯირით. კიდევ წამი და შვილი მამის წინ წარსდგა.

ფარაონთან შეხვედრამ თუ წამოძახილთა გრიალმა ისე დაარეტიანა ბატონიშვილი, რომ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. რამზესი ფეხებში ჩაუვარდა მამას, რომელმაც იგი გულზე მიიკრა.

მცირე ხნის შემდეგ კარვის ტილო ასწიეს და ნილოსის ორივე ნაპირზე მდგარმა ხალხმა იხილა ტახტზე მჯდომი ფარაონი, ხოლო ზედა საფეხურზე – მის წინ მუხლმოდრეკილი მემკვიდრე.

წუთით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ გემებზე აღმართული დროშების შრიალიც კი ისმოდა. და უეცრივ ატყდა ერთობლივი ყიჟინა: - ხალხი შეჰხაროდა მამის შერიგებას შვილთან, ულოცავდა ახლანდელ ფარაონს და ესალმებოდა მომავალს. თუ ვინმე იმედს ამყარებდა ფარაონის ოჯახში უთანხმოებაზე, მას ახლა შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ სამეფო გვარეულობის ახალი შტო მტკიცედ გრძნობდა თავს.

მეფე შეუძლოდ გამოიყურებოდა. იგი ნაზად მიესალმა შვილს, ტახტის გვერდით მოისვა და უთხრა:

– რამზეს, სული ჩემი მით უფრო მძლავრად მოისწრაფვოდა შენკენ, რაც უფრო კარგი ამბები მომდიოდა შენზე. ახლა ვხედავ, რომ შენ არა მარტო ლომგული ჭაბუკი ხარ, არამედ გონიერი კაცი, რომელსაც უნარი აქვს აწონ-დაწონოს თავისი საქციელი და თავი შეიკავოს სახელმწიფოს ინტერესების გულისათვის.

აღელვებული რამზესი უხმოდ მოეხვია მამის ფეხებს. მეფე განაგრძობდა:

– შენ სწორედ მოიქეცი, როცა უარი თქვი ბერძენთა ორ პოლკზე, ვინაიდან შენ გეკუთვნის მენფატის მთელი კორპუსი, რომლის სარდლად ამიერიდან გნიშნავ.

– მამავ... – წაიჩურჩულა აღელვებულმა მემკვიდრემ.

– ამას გარდა, ქვემო ეგვიპტეში, რომელიც სამი მხრით გახსნილია მტერთა თავდასხმისათვის, მე მჭირდება ისეთი მამაცი და გონიერი კაცი, რომელიც თავის გარშემო ყველაფერს დაინახავს, ყოველივეს აწონ-დაწონის და საჭირო შემთხვევაში სწრაფად იმოქმედებს. ამიტომ შენ გნიშნავ ჩემს მოადგილედ სამეფოს იმ ნახევარში.

რამზესს თვალთაგან ცრემლები წასკდა – ის ეთხოვებოდა სიჭაბუკეს და შეჰხაროდა ხელისუფლებას, რომლისკენაც ამდენი წლის განმავლობაში მხურვალედ ისწრაფოდა.

– მე დავიღალე და ავად ვარ, – განაგრძობდა მბრძანებელი, – სახელმწიფოს მომავალი რომ არ მადარდებდეს და აგრეთვე ისიც, რომ შენ ასე ყმაწვილსა გტოვებ, ახლავე შევთხოვდი ჩემს მარად მსუფევ წინაპრებს გამოიწვიონ თავიანთი დიდების სამყოფელოში. მაგრამ ვინაიდან სულ უფრო მეტად მიმძიმს, ამიტომ შენ, რამზეს, ახლავე შეუდგები ჩემი ხელისუფლების ტვირთის გაზიარებას. როგორც კრუხი აჩვევს თავის წიწილებს საკენკის პოვნას და ქორისაგან თავის დაცვას, ისე შეგასწავლი სახელმწიფოს მმართველობისა და მტრების ვერაგული მზაკვრობისადმი სიფხიზლის დიდად მძიმე ხელოვნებას, რათა დროთა განმავლობაში შეგეძლოს ისე დააცხრე მათ, როგორც არწივი მფრთხალ კაკაბს.

მეფის ნავი და მისი ბრწყინვალე ამალა სასახლის სანაპიროს მიადგნენ. მოქანცული მბრძანებელი ტახტრევანში ჩაჯდა. ამ დროს მემკვიდრესთან მივიდა ხერიჰორი.

– ნება მიბოძე, კეთილშობილო ბატონიშვილო, – მიმართა მან მემკვიდრეს, – პირველმა გამოვთქვა ჩემი სიხარული შენი აღზევების გამო. გისურვებ ასეთივე წარმატებით გეწინამძღოლოს პოლკები და წარგემართოს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პროვინცია ეგვიპტის სადიდებლად!

რამზესმა მაგრად ჩამოართვა ხელი.

– ხერიჰორ, ეს შენ გააკეთე? – შეეკითხა იგი.

– შენ ეს დაიმსახურე, – უპასუხა მინისტრმა.

– მიიღე ჩემი მადლობა; შენ დარწმუნდები, რომ ის რამედ ღირს.

– შენი სიტყვები ჩემთვის უკვე საკმარისი ჯილდოა, უპასუხა ხერი-

ჰორმა.

რამზესმა წასვლა დააპირა, მაგრამ ხერიჰორმა შეაჩერა.

– ერთი სიტყვა, მემკვიდრევ, – უთხრა მან, – გააფრთხილე შენი ქალი, სარა, რომ ნუ მღერის რელიგიურ საგალობლებს.

როცა რამზესმა გაოცებით შეხედა, მან დაუმატა:

– მაშინ, ნილოსში სეირნობის დროს, ეს ქალიშვილი მღეროდა ჩვენს უწმიდეს ჰიმნს, რომლის მოსმენის უფლება აქვთ მხოლოდ ფარაონებს და უმაღლეს ქურუმებს. შეიძლებოდა საბრალოს ძვირად დაჯდომოდა თავისი ხელოვნება.

– მაშასადამე, მან მკრეხელობა ჩაიდინა? – შეშფოთებით შეეკითხა მემკვიდრე.

– თავისდა უნებურად, – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა. – საბედნიეროდ, ჩემს მეტს არავის გაუგონია და, ჩემი აზრით, ამ საგალობელსა და ჩვენს ჰიმნს შორის მსგავსება ფრიად შორეულია. ყოველ შემთხვევაში, ნურასოდეს ნუ იმღერებს.

– მაგრამ ის ცოდვისგანაც უნდა განიწმინდოს, – შენიშნა ბატონიშვილმა. – საკმარისი თუ იქნება უცხოელი ქალისათვის, რომ ოცდაათი ძროხა შესწიროს იზიდას ტაძარს?

– ეს ცუდი არ იქნება, შესწიროს, – ცოტა არ იყოს შეიჭმუხნა ხერიჰორი, – ღმერთები შესაწირავზე უარს არ ამბობენ.

– შენ კი, კეთილშობილო ხერიჰორ, – უთხრა რამზესმა, – ინებე ეს საუცხოო ფარი, რომელიც მე ჩემი წმიდა პაპისაგან მივიღე.

– მე?.. ამენხოტეპის ფარი?.. – წამოიძახა გულაჩუყებულმა მინისტრმა. – განა ღირსი ვარ?..

– შენ სიბრძნით პაპაჩემის სწორი ხარ, ხოლო მდგომარეობითაც მისი სწორი გახდები.

ხერიჰორმა თაყვანი სცა მემკვიდრის საჩუქარს. ძვირფასი ქვებით შემკულ ოქროს ფარს, დიდი ფულადი ღირებულების გარდა ავგაროზის მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს მეფური საჩუქარი იყო.

მაგრამ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევდა ხერიჰორი ბატონიშვილის სიტყვებს, მდგომარეობითაც ამენხოტეპის სწორი გახდებიო. ამენხოტეპი ფარაონის სიმამრი იყო. ნუთუ ტახტის მემკვიდრემ გადაწყვიტა ცოლად შეერთო მისი, ხერიჰორის ასული?..

ეს იყო მინისტრისა და დედოფალ ნიკოტრისას სანუკვარი ოცნება. თუმცა უნდა ითქვას, როცა ხერიჰორის მომავალი მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობდა, რამზესს ფიქრადაც არ ჰქონია მის ქალიშვილზე დაქორწინება, – ის ფიქრობდა მისთვის ახალ მაღალ თანამდებობათა მინიჭებას, რომელთა რიცხვი არცთუ ისე მცირე იყო ტაძრებსა და სასახლეში.

თავი მეთვრამეტე

იმ დღიდან, რაც რამზესი ქვემო ეგვიპტეში ფარაონის ნაცვალი გახდა. წინ ისეთი სიძნელეები აღემართა, რომლებიც ვერც კი წარმოედგინა, თუმცა სამეფო კარზე დაიბადა და გაიზარდა.

მას პირდაპირ აწამებდნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და მისი ჯალათები იყვნენ ყოველნაირი ჯურისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის მთხოვნელები.

პირველსავე დღეს, როცა მემკვიდრემ დაინახა ბრბო ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, რათა წინ გაეღწიათ, ბაღში მოლს თელავდნენ, ხეებს ამტვრევდნენ და ყორეს ანგრევდნენ, მან ყარაული გამოიძახა თავის სასახლესთან; მესამე დღეს კი იძულებული გახდა საკუთარი სახლიდან გაქცეულიყო მეფის სასახლეში, სადაც მრავალრიცხოვანი მცველებისა და, რაც მთავარია, მაღალი გალავნის წყალობით, ძნელი იყო შეღწევა.

ერთი დეკადის განმავლობაში, ვიდრე რამზესი გაემგზავრებოდა, მის თვალწინ გაიარეს მთელი ეგვიპტისა და თითქმის მთელი იმდროინდელი სამყაროს წარმომადგენლებმა.

უწინარეს ყოვლისა, იგი ინახულეს ყველაზე წარჩინებულმა პირებმა. მემკვიდრეს ულოცავდნენ ტაძართა უმაღლესი ქურუმები, მინისტრები, ფინიკიელი, ბერძენი, ებრაელი, ასირიელი, ნუბიელი ელჩები, მაგრამ თვით მათი ჭრელი ტანსაცმელიც კი მეხსიერებაში აერია. შემდეგ მისვლა იწყეს მეზობელი ნომების მმართველებმა, მსაჯულებმა, მწერლებმა, მენფატის კორპუსის უფროსმა ოფიცრებმა და მსხვილმა მიწათმფლობელებმა. ეს ადამიანები არაფერს არ მოითხოვდნენ და მხოლოდ თავის სიხარულს გამოთქვამდნენ. მაგრამ ბა-

ტონიშვილს, რომელიც მათ დილიდან შუადღემდე და შუადღიდან გვიან საღამომდე უსმენდა, თავში ყველაფერი დომხალივით აერია და დაღლილობისაგან ქანცი გაუწყდა.

შემდეგ გამოცხადდნენ დაბალი კლასების წარმომადგენ ლები ძღვენით, ვაჭრები ოქროთი, ქარვით, უცხოური ქსოვილებით, სურნელებით და ხილით. მერე მოვიდნენ ბანკირები და მევახშეები, მათ მოჰყვნენ ხუროთმოძღვრები ახალ ნაგებობათა გეგმებით, მოქანდაკენი – ქანდაკებათა და ბარელიეფთა ესკიზებით, კალატოზები, მეთუნეები, რომლებიც თიხის ჭურჭელს ამზადებდნენ, ხუროები და დურგლები, მჭედლები, მსხმელები, დაბაღები, მევენახეები, ფეიქრები და თვით პარასქიტებიც კი, რომლებიც მიცვალებულთა გვამებს კვეთდნენ დასაბალზამებლად.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო მოლოცვათა ეს ცერემონია, რომ დაიძრა მთელი არმია ინვალიდებისა, ოფიცერთა, ქვრივ-ობლებისა, რომლებიც პენსიას ითხოვდნენ; აზნაურებისა, რომლებიც თავის მახლობელთათვის სასახლეში რაიმე თანამდებობის მოპოვებას ცდილობდნენ. ინჟინრები მორწყვის ახალ საშუალებათა პროექტებს უდგენდნენ, ექიმები – ავადმყოფობის საწინააღმდეგო წამლებს; ასტროლოგებს ჰოროსკოპები მიჰქონდათ, პატიმართა ნათესავებს წინადადებები შეჰქონდათ სასჯელის შემსუბუქებისა და სიკვდილმისჯილთა შეწყნარების თხოვნით. სნეულნი ემუდარებოდნენ მემკვიდრეს, ხელი შეგვახე, ანდა შენი ნერწყვის წვეთი მოგვეციო.

მოდიოდნენ აგრეთვე ლამაზი ქალები და დედები ქალიშვილებით, ზოგი მორჩილებით, ზოგი მომაბეზრებლად შესთხოვდა მეფისნაცვალს შენს სახლში გვამყოფეო. ზოგი ქალი იმ თანხასაც კი ასახელებდა, რომელსაც მემკვიდრისაგან მოელოდა სარჩენად, და დიდად აქებდა თავის სათნოებასა და ნიჭს.

ათი დღის განმავლობაში რამზესის თვალწინ იმდენმა ხალხმა გაიარა და იმდენი თხოვნა მოისმოდა, რომ მათი დაკმაყოფილება მხოლოდ მთელი ქვეყნის საუნჯეთ და ღვთაებრივ ხელისუფლებას შეეძლო. რამზესი ძალზე მოიქანცა, ძილი დაეკარგა და იმდენად განერვიულდა, რომ ბუზების ბზუილიც აღიზიანებდა და ხანდახან აღარ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. აქაც იგი ხერიჰორმა დაიხსნა. მან ბრძანა

გამოეცხადებინათ წარჩინებულთათვის, ბატონიშვილი აღარავის მიიღებსო, ხოლო მდაბიოთა წინააღმდეგ, მრავალგზის წინადადების მიუხედავად რომ არ დაიშალა და კვლავ ალაყაფის კართან იცდიდა, ხელკეტებით შეიარაღებული ნუბიელთა ასეული გაგზავნა და ამ გზით ძალიან ჩქარა დაამშვიდა ხალხი. ერთი საათიც არ გასულა, რომ მთხოვნელები კვამლივით გაიფანტნენ, ხოლო ზოგიერთს კარგა ხანს დასჭირდა თავსა და ტანზე ცივი ტლეს დადება.

ყოველივე ამის შემდეგ ბატონიშვილმა საშინელი ზიზღი იგრძნო ადამიანებისადმი, იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

ორი დღე. იწვა დივანზე თავქვეშ ხელებამოდებული და უაზროდ მისჩერებოდა ჭერს. ბატონიშვილს აღარ უკვირდა, რომ მისი ყოვლადუწმიდესი მამა ღმერთების საკურთხევლებთან ატარებდა დროს; მაგრამ ვერ გაეგო, როგორ ართმევდა თავს ხერიჰორი უამრავ საქმეს, რომლებიც, გრიგალის მსგავსად, არათუ აღემატებიან ადამიანის ძალ-ღონეს, არამედ შეუძლიათ გასწირონ კიდეც.

„როგორ შეიძლება რაიმე სიახლეთა შემოღებაზე ფიქრი, როდესაც მთხოვნელთა ბრბოები გიხშობენ ნებისყოფას, გისპობენ აზრებს და მთელ სისხლს გწოვენ!.. ჯერ მხოლოდ ათი დღე გავიდა და უკვე ავად ვარ, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ალბათ, სულ გამოვშტერდები. ასეთ პოსტზე რაიმე პროექტზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. კარგია, თუ ჭკუაზე არ შევიშალე!“

ის იმდენად შეშფოთებული იყო მეფისნაცვლის პოსტზე თავისი უმწეობით, რომ მიიწვია ხერიჰორი და თვალცრემლიანმა უამბო თავისი გულისწუხილი.

ამ კაცმა ღიმილით მოისმინა სახელმწიფო ხომალდის ახალგაზრდა მესაჭის ჩივილი.

– მოგეხსენება, ხელმწიფევ, – უთხრა მან, – რომ ეს უზარმაზარი სასახლე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ააგო მხოლოდ ერთმა ხუროთმოძღვარმა, სახელად სენებმა. ისიც უნდა ითქვას, რომ სენები ვერ მოესწრო მშენებლობის დამთავრებას. მერე, იცი, რატომ შეძლო ამ ხუროთმოძღვარმა თავისი გეგმის შესრულება ისე, რომ არასოდეს უგრძვნია დაღლილობა და მუდამ მხიარულ გუნებაზე იყო?

– რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერს თვითონ კი არ აკეთებდა; არ თლიდა მორებს და ქვას, არ ზელდა თიხას, არ გამოწვავდა აგურს, არ აჰქონდა ადგილზე, არ აწყობდა და კირით არ ადუღაბებდა. მან მხოლოდ გეგმა მოხაზა. მაგრამ ამ საქმეშიც თანაშემწეები ჰყავდა. შენ კი, ბატონიშვილო, გსურდა ყველაფერი თვითონ გაგეკეთებინა – თვითონ მოგესმინა და ყველა დაგეკმაყოფილებინა. ეს ადამიანის ძალას აღემატება.

– როგორ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი, როდესაც მთხოვნელთა შორის იყვნენ უსამართლოდ შეურაცხყოფილნი თუ უჯილდოოდ დატოვებულნი? სახელმწიფოს საფუძველს ხომ სამართლიანობა შეადგენს, – უპასუხა მემკვიდრემ.

– რამდენ კაცს შეგიძლია მოუსმინო დღეში ისე, რომ არ დაიღალო? – შეეკითხა ხერიჰორი.

– ასე... ოცს.

– ოჰო, არა უშავს! მე, ბევრი რომ ვთქვა, ექვს, ათ კაცს ვუსმენ ხოლმე. მაგრამ არა მთხოვნელებს, არამედ უმაღლეს მწერლებს, უმაღლეს მმართველთ და მინისტრებს. ყოველი მათგანი მომახსენებს მხოლოდ უმთავრესს იმაზე, თუ რა ხდება ჯარში, ფარაონის მამულებში, სამსჯავროებში, ნომებში, აგრეთვე სარწმუნოების საქმეებში, და ნილოსში წყლის მოძრაობაზე. ამიტომ ისინი არ მაცნობებენ წვრილმანებს, მაგრამ ყოველმა მათგანმა, ვიდრე ჩემთან გამოცხადდება, უნდა მოუსმინოს მასზე რანგით უფრო დაბალ ათიოდე მწერალს; უმაღლესი მწერლის ყოველმა თანაშემწემ, ყოველმა მოურავმა წინასწარ შეაგროვა ცნობები ათიოდე კიდევ უფრო დაბალი მწერლისა და მოურავისაგან, რომელთაც, თავის მხრით, კიდევ უფრო წვრილი მოხელის მოხსენებანი მოისმინეს. ამგვარად, მე და მეფემ დღეში მხოლო ათეულ პირთან ლაპარაკის შედეგად ვიცით ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რაც ქვეყნისა და მთელი სამყაროს ასი ათას ადგილას მოხდა. ყარაული, რომელიც თავის პოსტზე დგას მემფისის ქუჩაში, ხედავს სულ რამდენიმე სახლს; ათისთავი იცნობს მთელ ქუჩას, ასისთავი – მთელ უბანს, ქალაქის უფროსი – მთელ ქალაქს. ფარაონი კი ყველა მათზე მაღლა დგას, როგორც პტას[1] ტაძრის უმაღლეს პი-

[1] პტა – ძველეგვიპტური ღმერთი, ხელოსნებისა და მხატვრების მფარველი.

ლონზე, საიდანაც მოჩანს არა მარტო მემფისი, არამედ მეზობელი ქალაქებიც, მათი მიდამოები და დასავლეთ უდაბნოს ნაწილი. ამ სიმაღლიდან მეფე, მართალია, ვერ ამჩნევს შეურაცხყოფილთ და უგულვებელყოფილთ, მაგრამ შეუძლია შეამჩნიოს უმუშევართა ბრბოები. ის ვერ დაინახავს ჯარისკაცს სასადილოში, მაგრამ შეიტყობს, გამოვიდა თუ არა ლეგიონი ვარჯიშობაზე. ვერ დაინახავს, თუ რას იმზადებს სადილად რომელიმე გლეხი, ან ქალაქელი, მაგრამ შეამჩნევს ქალაქში გაჩენილ ხანძარს. ეს სახელმწიფოებრივი წესრიგია, – გაცხოველებით განაგრძობდა ხერიჰორი, – ჩვენი სიამაყე და ჩვენი ძლიერება. როდესაც მესამე დინასტიის ერთი ფარაონი, სნოფრუ[1], შეეკითხა ქურუმს: „როგორი ძეგლი ავაგოო“, მან უპასუხა: „დახაზე, ხელმწიფევ, მიწაზე კვადრატი და დააწყე მასზე ექვსი მილიონი გაუთლელი ქვა – ეს იქნება ხალხის გამოსახულება. ამ ფენას დააწყვე სამოცი ათასი გათლილი ქვა – ესენი იქნებიან შენი დაბალი მსახურები, ზემოდან დააწყვე ექვსი ათასი გაკრიალებული ქვა – ეს უმაღლესი მოხელეები. მათზე დაადგი სამოცი ჩუქურთმიანი ქვა – ეს შენი უახლოესი მრჩევლები და სარდლებია. სულ მაღლა კი აღმართე ერთი ქვა ოქროს მზის გამოსახულებით – ეს იქნები შენ თვითონ“. ფარაონი სნოფრუ ასეც მოიქცა. აქედან წარმოიქმნა უძველესი საფეხურებიანი პირამიდი – ჩვენი სახელმწიფოს ჭეშმარიტი გამოსახულება, ხოლო მისგან წარმოიშვა ყველა დანარჩენი. ეს სამარადისო ნაგებობებია, რომელთა მწვერვალიდან მოჩანს ქვეყნის საზღვრები და რომლებიც მომავალ შორეულ თაობებს განაცვიფრებს.

– ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, – განაგრძობდა მინისტრი, – შეიცავს აგრეთვე ჩვენს უპირატესობას მეზობლებთან. ეთიოპიელები ჩვენსავით მრავალრიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ მათი მეფე თვითონ უვლიდა თავის საქონელს, თვითონ სცემდა კომბლით ქვეშევრდომებს, და რაკი არ იცოდა მათი რაოდენობა, ვერ შეძლო მათი შეგროვება, როცა ჩვენი ჯარები მის ქვეყანაში შევიდნენ. იყო არა ერთიანი ეთიოპია, არამედ ადამიანთა უშველებელი უწესრიგო ბრბო. ახლა ისინი ჩვენი ვასალები არიან. ლიბიელი მთავარი თვითონ ასა-

[1] სნოფრუ - III დინასტიის ფარაონი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში მეფობდა. ააგო ერთი უძველესი პირამიდი მედუმში, მემფისსა და ფაიუმს შორის.

მართლებს, განსაკუთრებით მდიდრებს, და ამას იმდენ დროს ანდომებს, რომ აღარ სცალია თავის გარშემო მიმოიხედოს, ამიტომ მის გვერდით თავს იყრის ყაჩაღთა მთელი ბანდები, რომელთა მოსპობა ჩვენ გვიხდება. ისიც იცოდე, ბატონო, ფინიკიას რომ ჰყავდეს ერთი მბრძანებელი, რომელსაც ეცოდინებოდა, სად რა ხდება, და რომელიც ყველა ქალაქს განაგებდა, მაშინ ეს მხარე ჩვენ ხარკად უტნუსაც არ გადაგვიხდიდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ნინევიისა და ბიბილონის მეფეებს მხოლოდ თითო მინისტრი ჰყავთ და ისინიც ისევე იქანცებიან საქმეებით, როგორც ახლა შენ! მათ სურთ ყველაფერი თვითონ დაინახონ, სურთ სჯიდნენ და ბრძანებდნენ და ამიტომ ისე აწეწეს სახელმწიფოს საქმეები, რომ მის მოწესრიგებას ასი წელი მოუნდება. მაგრამ, რომ გამოჩენილიყო ვინმე უბადრუკი ეგვიპტელი მწერალი, რომელიც გაემგზავრებოდა იქ, აუხსნიდა მეფეებს მათს შეცდომას და შემოიღებდა მოხელეთა ჩვენებურ იერარქიას, ჩვენს პირამიდს, მაშინ ორიოდე ათეული წლის მერე ასირიელები ხელში ჩაიგდებდნენ იუდეასა და ფინიკიას, ხოლო რამდენიმე წლის მერე აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ხმელეთითა და ზღვით შემოგვესეოდნენ ძლიერი ჯარები, რომელთაც, შესაძლებელია, ჩვენ ვერც კი გავუმკლავდებოდით.

– მაშ ვისარგებლოთ მათი მოუწესრიგებლობით და ახლავე დავესხათ თავს! – წამოიძახა ბატონიშვილმა.

– ჩვენ ჯერ კიდევ წელში ვერ გავმართულვართ ჩვენს ადრინდელ გამარჯვებათაგან, – ცივად უპასუხა ხერიჰორმა და დასამშვიდობებლად მოემზადა.

– ნუთუ გამარჯვებებმა დაგვაუძლურა? – აღმოხდა მემკვიდრეს. – ჩვენ ხომ საუნჯეთა მთები შემოვზიდეთ?

– ცული რომ ცულია, ისიც კი დაჩლუნგდება მუშაობით, – მიუგდო სიტყვა ხერიჰორმა და წავიდა.

რამზესი მიხვდა, რომ ყოვლისშემძლე მინისტრს ომი არ სურს, თუმცა თვითონ არმიის მეთაურია.

– ვნახოთ! – ჩაიჩურჩულა მან.

გამგზავრებამდე რამდენიმე დღის წინ რამზესი მეფესთან მიიწვიეს. ფარაონი მარტო იჯდა მარმარილოს დარბაზში, რომლის ოთხ შე-

სასვლელს ნუბიელი გუშაგები იცავდნენ.

მეფის სავარძლის გვერდით იდგა ტაბურეტი მემკვიდრისათვის და პატარა მაგიდა, რომელზეც პაპირუსზე დაწერილი დოკუმენტები ეწყო. დარბაზის კედლები შემკული იყო ფერადი ბარელიეფებით, ხოლო კუთხეებში ოზირისის ქანდაკებანი იდგა.

როცა რამზესი მამის მიწვევით დაჯდა, მეფემ უთხრა:

– აი შენ, შვილო ჩემო, ჯარების სარდლისა და მეფის ნაცვლის სიგელები, როგორაა საქმე? გეტყობა, გამგებლობის პირველმა დღეებმა დაგქანცეს?

– თქვენი უდიდებულესობის სამსახურში მოვიკრეფ ძალ-ღონეს.

– ფარისეველო! – გაიღიმა ფარაონმა. – გახსოვდეს, მე არ მსურს, რომ შენ მეტისმეტად გადაიღალო. გაერთე, ახალგაზრდობა მხიარულებას მოითხოვს. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შენ დიდი საქმეები არ გექნება.

– მე მზად ვარ.

– უწინარეს ყოვლისა... უწინარეს ყოვლისა მე გაგიზიარებ ჩემს წუხილს. ჩვენი ხაზინა ცუდ მდგომარეობაშია; გადასახადების შემოსვლა, განსაკუთრებით ქვემო ეგვიპტიდან, ყოველწლიურად მცირდება, გასავალი კი სულ დიდდება.

ფარაონი ჩაფიქრდა.

– ეს ქალები, ეს ქალები, რამზეს, დიდი ფული უჯდება არა მარტო უბრალო მოკვდავთ, არამედ მეც. რამდენიმე ასი ქალი მყავს, თითოეულს სურს ჰყავდეს მთელი შტატი მოახლეებისა, მკერავი ქალებისა, დალაქებისა, მონები ტახტრევანისათვის, დარბაზებისა და საჯინიბოებისათვის, მენიჩბეების და თვით თავიანთი საყვარლებისა და ბავშვებისაც კი!.. ახლა ბავშვების ამბავი თქვი!.. როცა თებედან დავბრუნდი, ერთი ამ ქალთაგანი, რომელიც არც კი მახსოვს, გამოიქცა ჩემს შესახვედრად, მიჩვენა სამი წლის საღსალამათი ბიჭუკელა და მოითხოვა, რომ სარჩო დამენიშნა ბალღისათვის, რომელიც ვითომ ჩემი შვილი იყო. შენ წარმოიდგინე, თურმე მე სამი წლის ვაჟი მყავს... ცხადია, არ დავუწყე დავა ამ ქალს ასეთ საჩოთირო საკითხზე, – წარჩინებული კაცისთვის ხომ უფრო ადვილია იყოს თავაზიანი, ვიდრე იშოვოს ფული ყოველგვარი ხუშტურის დასაკმაყოფილებლად.

მან თავი გაიქნია, ამოიოხრა და განაგრძო:

– ამავე დროს კი ჩემი შემოსავალი მეფობის დასაწყისიდან ნახევრად შემცირდა, განსაკუთრებით ქვემო ეგვიპტეში. ვკითხულობ, ეს რით უნდა, ავხსნათ-მეთქი?.. მიპასუხებენ: „ხალხი გაღატაკდა, მოსახლეობა დიდად შემცირდა, მიწების ნაწილი ჩრდილოეთით ზღვამ დაფარა ქვიშით, აღმოსავლეთით კი უდაბნომ. რამდენიმე წელი მოსავლიანი იყოო“. ერთი სიტყვით, ჭირს ჭირი ემატება და სულ უფრო და უფრო ჩნდება ჩემი ხაზინის ფსკერი. ჰოდა, გთხოვ ყოველივე ეს გამოარკვიო, მიიხედ-მოიხედე, გაიცანი მცოდნე და სანდო ადამიანები და მიანდე მათ ყოველივეს გამორკვევა. მაგრამ პაპირუსს მეტისმეტად ნუ ენდობი, გულდასმით შეამოწმე. მითხრეს, სარდლის მახვილი თვალი გაქვსო. თუ ეს ასეა, მაშინ ერთი შეხედვისთანავე გამოარკვევ, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს წარმოდგენილი მოხსენებები. ოღონდ დასკვნებს აჩქარებით ნუ გამოიტან და, რაც მთავარია... შენთვის შეინახე ისინი. ყოველი რამდენადმე მნიშვნელოვანი აზრი, რომელიც დაგებადება დღეს, ჩაიწერე, რამდენიმე დღის შემდეგ ერთხელ კიდევ განიხილე საქმე და კვლავ ჩაიწერე. ეს მიგაჩვევს სიფრთხილეს მსჯელობაში და გარემოებათაც სწორად შეაფასებ.

– ყველაფერი ისე შესრულდება, როგორც შენ ბრძანებ,– უთხრა ბატონიშვილმა.

– მეორე ამოცანა, რომელიც შენ უნდა შეასრულო, უფრო ძნელია. ასირიაში რაღაც ისეთი რამ ხდება, რაც ჩემს მთავრობას აშფოთებს, ჩვენი ქურუმების გადმოცემით, ჩრილოეთის ზღვის იქით მდებარეობს პირამიდული მთა, რომელიც ძირში მწვანეა და მწვერვალში თოვლით დაფარული. და თითქოს ამ მთას აქვს უცნაური თვისება: მრავალი წლის მყუდროების შემდგომ უეცრივ იწყებს ბოლვას, ზანზარს, გრგვინვას და მერე შიგნიდან ამოისვრის თხევად ცეცხლს არა ნაკლებს, ვიდრე ნილოსში წყალია. ეს ცეცხლი მიმოიღვრება მის ფერდობებზე და ვეებერთელა სივრცეზე ანადგურებს მიწის მუშათა შრომას. აი სწორედ ასირია არის, შვილო ჩემო, ასეთი მთა. საუკუნეთა განმავლობაში იქ სიმშვიდე და სიწყნარე სუფევს. მაგრამ უეცრივ შიგნით ატყდება ხოლმე ქარიშხალი, გამოვარდებიან ვინ უწყის საიდან გაჩენილი უზარმაზარი არმიები და სპობენ მშვიდობიან მეზობლებს.

ახლა ნინევიასა და ბაბილონიდან ისმის გუგუნი: მთა ბოლავს. უნდა შეიტყო, რამდენად გვემუქრება ჩვენ ეს, და მოისაზრო, რა ზომები მივიღოთ.

– შევძლებ კი?.. – წყნარად შეეკითხა ბატონიშვილი.

– უნდა მიეჩვიო ცქერას და დანახვას, – განაგრძობდა ფარაონი, ნურასოდეს ენდობი მხოლოდ საკუთარი თვალებით ნახულს, სხვების თვალებიც დაიხმარე. ნუ დასჯერდები მარტო ეგვიპტელების აზრს, ვინაიდან ყველა ხალხსა და ადამიანს საკუთარი თვალსაზრისი აქვს და ვერავინ გამოიცნობს სრულ სიმართლეს. ამიტომ მოუსმინე, რას ამბობენ ასირიელებზე ფინიკიელები, ებრაელები, ხეთები და ეგვიპტელები, და მხედველობაში მიიღე ის, რაშიც მათი აზრი ერთიმეორეს ეთანხმება. თუ ყველანი გეტყვიან, რომ ასირიის მხრივ საფრთხე ახლოვდება, შენ გეცოდინება, რომ ეს მართლაც ასეა. თუ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა აზრს გამოთქვამს, მაინც ფხიზლად იყავი, რადგან სიბრძნე გვიბრძანებს, ველოდეთ უფრო ცუდს, ვიდრე კარგს.

– ჰოი, მეფეო, შენ ისე ლაპარაკობ, როგორც ღმერთები ლაპარაკობენ, – წაიჩურჩულა რამზესმა.

– მე მოხუცი ვარ, ხოლო ტახტის სიმაღლიდან ჩანს ის, რასაც მოკვდავნი ვერც კი წარმოიდგენენ. შენ რომ მზეს შეეკითხო, რას ფიქრობს ამქვეყნიური საქმეების შესახებ, იგი კიდევ უფრო მეტ ჭკუის სასწავლ რასმე მოგითხრობდა.

– იმ ადამიანთა შორის, რომელთაც უნდა ვკითხო აზრი ასირიელების შესახებ, შენ, მამავ, არ გიხსენებია ბერძნები, – მენიშნა მემკვიდრემ. მეფემ გულკეთილად გაიღიმა და თავი გააქნ-გამოაქნია.

– ბერძნები... ბერძნები!.. აი ხალხი, რომელსაც ეკუთვნის მომავალი. ჩვენთან შედარებით ისინი ჯერ ბავშვები არიან, მაგრამ რა სული ცოცხლობს მათში! გახსოვს ბერძენი მოქანდაკის მიერ შესრულებული ჩემი ქანდაკება? ესაა ცოცხალი ადამიანი, ჩემი ორეული... ერთი თვე მქონდა ის ქანდაკება სასახლეში, მაგრამ ბოლოს თებეს ტაძარს მივუძღვენი. არ დაიჯერებ, შიშმა ამიტანა, რომ ეს ჩემი ქვის ორეული წამოდგება თავისი კვარცხლბეკიდან და ძალაუფლების გაზიარებას მომთხოვს-მეთქი. როგორი ჩოჩქოლი ატყდებოდა ეგვიპტეში!.. ბერძნები... გიხახავს შენ ვაზები, რომელთაც ისინი ძერწავენ, სასახლე-

ები, რომელთაც ისინი აშენებენ? ქვისა და თიხისაგან ისინი ქმნიან იმას, რაც სიბერეს მიხალისებს და უძლურებას მავიწყებს. ახლა მათი ენა?.. ჰოი, ღმერთებო! ეს ხომ მუსიკა, ქანდაკება და ფერწერა ერთად! ღმერთმანი, ეგვიპტეს რომ ოდესმე სიკვდილი ეწეროს ისე, როგორც ადამიანი კვდება, ჩვენი მემკვიდრეები ბერძნები აღმოჩნდებოდნენ. ისინი იმაშიც კი დაარწმუნებდნენ ქვეყანას, რომ ყოველივე ეს მათ მიერაა შექმნილი და ჩვენ არც კი ვარსებობდით ქვეყნად. ამავე დროს კი ყველანი მხოლოდ მოწაფეები არიან ჩვენი დაწყებითი სკოლებისა. როგორც იცი, ჩვენ უფლება არა გვაქვს უცხოელებს უმაღლესი სიბრძნე შევასწავლოთ.

– მაგრამ, ამისდა მიუხედავად, შენ თითქოს არ ენდობი ბერძნებს?

– იმიტომ, რომ ბერძნები განსაკუთრებული ხალხია. არც ფინიკიელებს და არც მათ არ შეიძლება ვენდოთ. ფინიკიელი, თუ მოისურვებს, დაინახავს და იტყვის ნამდვილ სიმართლეს, მაგრამ შენ ვერ გამოიცნობ, როდის მოისურვებს ამის თქმას. ბერძენი კი ბავშვივით გულუბრყვილოა და ყოველთვის მზად არის სიმართლე თქვას, მაგრამ ეს მის ძალას აღემატება. ის სამყაროს სხვა თვალით უცქერის, ვიდრე ჩვენ. მის თვალში ყოველი საგანი ნაირფერად ელვარებს და ციმციმებს ისე, როგორც ეგვიპტის ცა და წყლები. განა შეიძლება დავენდოთ მის აზრს? თებეს დინასტიის დროს შორეულ ჩრდილოეთში არსებობდა პატარა ქალაქი ტროა, რომლის მსგავსი ჩვენში ათასობითაა. ამ საქათმეს თავდასხმა დაუწყო ათასი ჯურის ვიგინდარა ხალხმა და იმდენად მოაბეზრეს თავი მის მცირერიცხოვან მოსახლეობას, რომ, ათი წლის შფოთისა და მღელვარების შემდგომ, მათ დაწვეს ეს პატარა ციხე-სიმაგრე და სხვა ადგილას გადაიხვეწნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო ჩვეულებრივი შეტაკებები ყაჩაღებთან! და ამავე დროს რა სიმღერებს მღერიან ბერძნები ტროას ბრძოლების შესახებ! ჩვენ გვეცინება მათს სასწაულებსა და გმირობაზე, რადგან ყველა ამ ამბის შესახებ თავის დროზე ვიღებდით სავსებით ზუსტ ცნობებს. ეს აშკარა სიცრუეა და მაინც ვისმენთ მათს სიმღერებს, როგორც ბავშვი უსმენს ხოლმე გამდელის ზღაპრებს, და არ შეგვიძლია არ მოვუსმიხოთ!.. აი როგორი არიან ბერძნები: დაბადებითვე ცრუპენტელები, მაგრამ საამური და მამაცი ხალხი. ყოველი მათგანი უმალ წუთისოფელს გამო-

ეთხოვება, ვიდრე სიმართლეს იტყვის.

– ფინიკიელებს როგორღა უნდა მოვექცე! – შეეკითხა მემკვიდრე.

– ისინი გამჭრიახი, შრომისმოყვარე და გამბედავი ხალხია, მაგრამ ჩარჩები არიან. ფინიკიელები წყალს ჰგვანან: მათ ბევრი მოაქვთ და ბევრი მიაქვთ და ყველგან გამოჟონავენ. და აი, თვალ-ყური უნდა ვადევნოთ, რომ მათ ჭუჭრუტანებიდან ნელნელა არ შემოჟონონ ეგვიპტეში. თუ მათ კარგად მოაგებინებ და იმედს აღუძრავ, რომ კიდევ უფრო მეტს შეიძენო, შესანიშნავი აგენტები იქნებიან. ის, რაც ჩვენ ვიცით დღეს ასირიაში საიდუმლო მოძრაობის შესახებ, მათი წყალობით ვიცით.

– ებრაელები? – შეეკითხა ბატონიშვილი და თვალი დახარა.

– ებრაელები გამჭრიახი ხალხია, მაგრამ პირქუში ფანატიკოსები და ეგვიპტის მტრები არიან დაბადებითვე. როდესაც ისინი თავის კისერზე იგრძნობენ ასირიის ლურსმნებით დაჭედილ სანდლებს, მაშინ ჩვენ მოგვმართავენ. მაგრამ ვაითუ მეტისმეტად დაგვიანებული გამოუვიდეთ. ხოლო მათი სამსახურით შეგვიძლია ვისარგებლოთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა აქ, არამედ ნინევიასა და ბაბილონში.

ეტყობოდა, ფარაონი მოიქაცნა. რამზესი გამოთხოვებისას მის წინ პირქვე დაემხო. ფარაონი მამობრივად გადაეხვია, რის შემდეგაც ბატონიშვილი დედისკენ გაემართა.

დედოფალი თავის დარბაზში ბრძანდებოდა და წმინდა ტილოსაგან ღმერთების შესამოსს ქსოვდა. სეფექალები კი კერავდნენ ან თაიგულებს კრავდნენ. ახალგაზრდა ქურუმი იზიდას ქანდაკებას სურნელებას უკმევდა.

– მე მოველ, დედილო, მადლობა მოგახსენო და გამოგეთხოვო,

დედოფალი ადგა, ჩაიხუტა შვილი და აცრემლებულმა უთხრა:

– როგორ შეცვლილხარ!... უკვე ნამდვილი ვაჟკაცი გამხდარხარ! ისე იშვიათად გხედავ, რომ შეიძლებოდა დამვიწყებოდა შენი იერი, ჩემს გულში რომ მუდმივად არ ცოცხლობდეს შენი სახე... უგულოვ... იმდენჯერ მოვედი ნავით შენს ხუტორთან, მეფისნაცვალთან ერთად, და ვფიქრობდი, რომ როდისმე შეწყვეტდი წყრომას, შენ კი ჩემს შესახვედრად შენი ხარჭა გამოიყვანე.

– მაპატიე... მაპატიე!.. – ეუბნებოდა დედას რამზესი და კოცნიდა.

დედოფალმა შვილი ბაღში წაიყვანა, სადაც საუცხოო ყვავილები ხარობდა და, როდესაც მარტონი დარჩნენ, უთხრა:

– მე ქალი ვარ და მაინტერესებს ქალი და დედა. შენ თან წაიყვან იმ ქალიშვილს, როცა წახვალ?.. გახსოვდეს, ხმაურმა და მოძრაობამ შეიძლება ავნოს მასა და ბავშვს. ორსულთათვის ყველაფერზე უმჯობესია სიმშვიდე და მოსვენება.

– სარაზე მელაპარაკები? – გაოცებით შეეკითხა რამზესი. – ის ორსულადაა?.. ჩემთვის არაფერი უთქვამს.

– იქნებ რცხვენია, ანდა თვითონაც არ იცის... – უპასუხა დედოფალმა, – ყოველ შემთხვევაში, მოგზაურობა...

– არც მიფიქრია მისი წაყვანა, – წამოიძახა მემკვიდრემ, მაგრამ მე რატომ მიფიცავს? თითქოს ჩემი არ იყოს ბავშვი...

– ნუ ხარ ეჭვიანი! – დატუქსა დედამ. – ეს ჩვეულებრივი მორცხვობაა ქალიშვილისა... შეიძლება ეშინია, რომ მიატოვებ.

– სასახლეში ხომ ვერ მოვიყვან! – შეაწყვეტინა ბატონიშვილმა ისე გულმოსულად, რომ დედოფალს თვალები ღიმილით გაუბრწყინდა, მაგრამ წამწამებით დაფარა.

– ეგრე უხეშად ხელი არ უნდა ჰკრა ქალს, რომელსაც უყვარდი. ვიცი, რომ შენ ის უზრუნველჰყავი. ჩვენც მივცემთ რასმე ჩვენი მხრივ. მეფური სისხლის ბავშვს არაფერი არ უნდა აკლდეს.

– რასაკვირველია, – უპასუხა რამზესმა, – ჩემს პირმშოს, მართალია მემკვიდრის უფლებები არ ექნება, მაგრამ ისე უნდა აღიზარდოს, რომ მე გაწითლება არ მომიხდეს და შემდეგ ვერაფერი მისაყვედუროს.

დედასთან გამოთხოვების შემდეგ რამზესს სურდა სარასთან წასულიყო, მაგრამ ჯერ შინ დაბრუნდა.

მას ორი გრძნობა აღელვებდა: აღშფოთება სარას მიმართ, რომ უმალავდა თავისი უქეიფობის მიზეზს, და სიამაყე, რომ ის მალე მამა გახდებოდა.

ის – მამა!... ეს მას სიდინჯეს მატებდა და სარდლისა და მეფისნაცვლის მდგომარეობას განუმტკიცებდა. მამა – ეს უკვე აღარაა ჭაბუკი, რომელიც მოწიწებით უნდა შესცქეროდეს უფროსებს.

ბატონიშვილი აღტაცებული და გულაჩუყებული იყო. მას უნდოდა

სარა ენახა, მოხვეოდა და დაესაჩუქრებინა.

შინ რომ დაბრუნდა, დახვდა ქვემო ეგვიპტის ორი ნომარქი, რომლებიც მასთან მოხსენებით გამოცხადდნენ. მათი მოსმენის შემდეგ რამზესმა უკვე დაღლილობა იგრძნო, ამას გარდა, მას ელოდა საღამოს მიღება და დაგვიანება არ სურდა. „დღესაც ვერ წავალ სარასთან, – გაიფიქრა მან, – საბრალოს, თითქმის ორი დეკადაა არ ვუნახავარ“. მან ზანგი იხმო.

– შენ გაქვს ის გალია, რომელიც სარამ გადმოგცა, როდესაც ჩვენ მეფეს ვხვდებოდით?

– მე მაქვს, – უპასუხა ზანგმა.

– მაშ ამოიყვანე იქიდან ერთი მტრედი და გაუშვი.

– მტრედები უკვე შეჭმულია.

– ვინ შეჭამა?

– მე ვუთხარი მზარეულს, რომ ეს ფრინველები ქალბატონ სარასაგანაა და ისიც მხოლოდ შენთვის ამზადებდა მათგან მოხრაკულსა და პაშტეტებს.

– ნიანგსაც ჩაუყლაპიხართ! – წამოიძახა ნაწყენმა ბატონიშვილმა.

მან უბრძანა მოეხმო თუტმოსი და დაავალა დაუყოვნებლივ წასულიყო სარასთან. თავის ადიუტანტს მტრედების ამბავი რომ უამბო, დაუმატა:

– წაუღე ზურმუხტის საყურეები, ფეხის დასტანაგი, ხელის სამაჯურები და ორი ტალანტი. გადაეცი, რომ გულმოსული ვარ, თავის ორსულობას რომ მიმალავდა, მაგრამ ვაპატიებ, თუ ბავშვი ჯანმრთელი და ლამაზი იქნება. ხოლო თუ ვაჟი ეყოლება, კიდევ ერთ კარმიდამოს ვაჩუქებ!..

თავი მეცხრამეტე

უცხოელების უბანი მემფისში ნილოსის შორიახლოს, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. იქ იყო რამდენიმე ასეული სახლი და ათასხუთასამდე მცხოვრები: ასირიელები, ებრაელები, ბერძნები, ხოლო ყველაზე მეტი ფინიკიელები.

ეს იყო შეძლებულთა უბანი. მის მთავარ არტერიას ფილაქვით მო-

კირწყლული განიერი, საკმაოდ სწორი ქუჩა წარმოადგენდა. ქუჩის ორივე მხარეს აღმართული იყო აგურის, სილაქვისა თუ კირქვის სახლები, სამიდან ხუთ სართულამდე სიმაღლისა. სარდაფებში ეწყო ნედლეული, პირველ სართულზე დუქნები იყო გამართული, ბელეტაჟში–მდიდართა ბინები, უფრო მაღლა – სახელოსნოები, საფეიქრო, სახარაზო, საოქრომჭედლო ან არადა ხელოსანთა ვიწრო სადგომები. შენობები ამ უბანში, ისევე როგორც საერთოდ მთელ ქალაქში, უმთავრესად თეთრი იყო, მაგრამ დიდ ნაგებობათა შორის მოჩანდა მდელოსავით მწვანე, შემოსულ ყანასავით ყვითელი, ცასავით მტრედისფერი და სისხლივით წითელი შენობები.

მრავალი სახლის ფასადი შემკული იყო მდგმურთა ხელობის ამსახველი მოხატულობით. ოქრომჭედლის სახლზე მოხატული სურათების გრძელი მწკრივი იმაზე მოგვითხრობდა, რომ მისი მფლობელი ოქროს ისეთ ძეწკვებსა და სამაჯურებს ამზადებს, რომელთაც უცხო ქვეყნების მბრძანებლები მრავლად ყიდულობენ და მაინც ვერ გამძღარან მათი მზერით. ვაჭრის ერთი უზარმაზარი კოტეჯის კედელზე გამოსახული იყო სავაჭრო საქმის სიძნელისა და რისკის მაჩვენებელი ეპიზოდები: ზღვაში, ადამიანებს იტაცებენ თევზის კუდიანი საშინელი ურჩხულები, უდაბნოში კი ცეცხლმფრქვევი ფრთოსანი დრაკონები, ხოლო შორეულ კუნძულებზე მათ ისეთი გოლიათები წამოსწევიათ, რომელთაც ფინიკიურ გემებზე უფრო დიდი სანდლები აცვიათ.

მკურნალს თავის საავადმყოფოს კედელზე გამოეხატა პაციენტები, რომელთათვისაც მას დაებრუნებინა არა მარტო ხელ-ფეხის ხმარების დაკარგული უნარი, არამედ კბილებიცა და დაკარგული ახალგაზრდობაც. სახლზე, რომელშიაც უბნის მმართველობა იყო მოთავსებული, გამოხატული იყო კასრები, რომლებშიც ადამიანები ოქროს ბეჭდებს ყრიდნენ, მწერალი, რომელსაც ყურში ვიღაც ჩასჩურჩულებდა. დახატული იყო მიწაზე გართხმული კაცი და ორიც სხვა, რომლებიც მას ჯოხით სცემდნენ.

ქუჩაზე მუდამ მრავალი ხალხი ირეოდა. კედლების გაყოლებით იდგნენ ადამიანები ტახტრევანებით, მარაოებით, შიკრიკები და დღიური მუშები, ისინი მსურველთ თავიანთ სამსახურს სთავაზობ-

დნენ. ქუჩის შუაგულში უწყვეტ მწკრივად მიედინებოდა საქონლით დატვირთული ოთხთვალები, შიგაც ვირები თუ ხარები იყო შებმული. ტროტუარზე დარბოდნენ ცივი წყლის, ყურძნის, ღვინის, ხურმის, მზეზე გამხმარი თევზის მყვირალა გამყიდველები, აგრეთვე მეთაბახეები, მეყვავილეები, საკრავებზე დამკვრელები და სხვადასხვა ჯურის ოინბაზები.

ადამიანთა ამ ნიაღვარში, სადაც ყველაფერი მოძრაობდა, ერთიმეორეს ეჯახებოდა, სხვადასხვა ხმაზე მყვირალი ყიდდა და ყიდულობდა, გამოირჩეოდნენ ფეხშიშველი პოლიციელები, რომელთაც მიხაკისფერი, მუხლებამდე ჩამოშვებული პერანგები ეცვათ, ზოლიანი წინსაფრები ერტყათ, გვერდზე მოკლე მახვილი ეკიდათ და ხელში დიდი ხელკეტები ეკავათ. ხელისუფლების ეს წარმომადგენლები ტროტუარზე სეირნობდნენ, ზოგჯერ ერთმანეთს გამოელაპარაკებოდნენ, მეტწილად კი ქვითკირის ამაღლებულ ადგილას იდგნენ, რომ უკეთ დაენახათ მათ ფეხს ქვემოთ მოფუსფუსე ხალხი.

ასეთი მეთვალყურეობის პირობებში ქუჩის ქურდბაცაცებს ფრიად მოხერხებულად უნდა ემოქმედათ. ჩვეულებრივ ორი ქურდი ერთიმეორეს ჩხუბს აუტეხდა, ხოლო როცა ხალხი შეგროვდებოდა და პოლიციელები ხელკეტებით დაესეოდნენ როგორც მოჩხუბართ, ისე მაყურებელთაც, ქურდობის საქმეში მათი დანარჩენი ძმაბიჭები ჯიბეებს უცარიელებდნენ ხალხს.

მთავარი ქუჩის თითქმის ცენტრში იდგა მოდგმით ტვიროსელი ფინიკიელის, სახელად ასარჰადონის სასტუმრო სახელწოდებით – „გემთან“: ყველა ჩამოსული უცხოელი მეთვლაყურეობის გასაადვილებლად ვალდებული იყო აქ ეცხოვრა. სასტუმრო წარმოადგენდა განცალკევებით მდგომ მრავალსარკმლიან უზარმაზარ ოთხკუთხ შენობას, ასე რომ მის გარშემო შემოვლა და ყოველი მხრიდან დაზვერვა ადვილი იყო. მთავარი ალაყაფის თავზე ეკიდა გემის მოდელი, ხოლო ფასადზე შეთავსებული იყო სურათები, რომლებიც გამოხატავდნენ რამზეს XII-ს ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვის შესრულებისა და უცხოელების მიღების დროს. უცხოელთა შორის გამოირჩეოდნენ ტანმაღალი და ღია წითელი ფერის ფინიკიელები. სასტუმროს ვიწრო სარკმლები მუდამ ღია იყო, მხოლოდ საჭიროების დროს თუ

ჩამოაფარებდნენ ხოლმე ტილოს ან ნაირფერ ჭილის ფარდას, სასტუმროს პატრონის ბინასა და მდგმურების ოთახებს სამი ზედა სართული ეკავა; ქვემოთ მოთავსებული იყო ღვინის სარდაფი და რესტორანი. მეზღვაურები, მებარგულები, ხელოსნები და ყოველი ჩამოსული ადამიანი ჭამდნენ და სვამნენ ეზოში, სადაც იატაკი მოზაიკით იყო მოფენილი, ხოლო ტილოს ფარდული ისე იყო გადაჭიმული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩამოსულთა თვალყურის დევნება. უფრო მდიდარსა და კეთილშობილი წარმოშობის სტუმრების ეზოს შემოვლებულ გალერეებზე უმასპინძლდებოდნენ. ეზოში სტუმრები იატაკზე ისხდნენ ქვის ფილების წინ, რომლებიც მაგიდის მაგიერობას სწევდნენ. გალერეებზე, სადაც გრილოდა, იდგა პატარა მაგიდები, მერხები და სკამები. დაბალი, რბილი სავარძლებიც კი, სადაც კაცი წაიძინებდა. ყოველ გალერეაზე იდგა პურით, ხორცის კერძებით, თევზით და აგრეთვე ხილით გაწყობილი დიდი მაგიდა. იქვე ელაგა ლუდის, ღვინისა და წყლის დოქები. ზანგი მამაკაცები და ქალები მიართმევდნენ სტუმრებს საჭმელს, ალაგებდნენ ცარიელ დოქებს და მათ ნაცვლად სავსე ამოჰქონდათ სარდაფიდან. ხოლო მაგიდების მეთვალყურე მწერლები გულმოდგინედ იწერდნენ პურის ყოველ ლუკმას, ნიორის თითოეულ თავს და ტოლჩა წყალს. ეზოს შუაგულში, ამაღლებულ ადგილას, ორი მეთვალყურე იდგა კეტებით; მათ თვალყური უნდა ედევნებინათ მოსამსახურეთა და მწერლებისათვის, თან კეტებით უნდა მოეწესრიგებინათ სხვადასხვა ეროვნების უღარიბეს სტუმრებს შორის ამტყდარი აყალმაყალი, ასეთი წესრიგის წყალობით აქ ქურდობა და ჩხუბი იშვიათად ხდებოდა,

თვითონ სასტუმროს მეპატრონე, ქალაქში ცნობილი ფინიკიელი ასარჰადონი, ორმოცდაათი წლის კაცი, გრძელ პერანგსა და მარმაშის მოსასხამში გამოწყობილი დადიოდა სტუმრებს შორის და თვალყურს ადევნებდა, რომ ყველას მიეღო ის, რაც ნებავდა.

– მიირთვით, ჩემო შვილებო! - ეუბნებოდა იგი ბერძენ მეზღვაურთ, – ასეთ ღორის ხორცსა და ლუდს დედამიწის ზურგზე არსად მოგიტანენ. გავიგე, რომ რუფიას[1] მახლობლად გვარიანად შეგაჯანჯღარათ ქარიშხალმა. ღმერთებს უხვი მსხვერპლი უნდა შესწიროთ, რომ

[1] რუფია – ზღვისპირა ქალაქი პალესტინის სამხრეთ ნაწილში.

გადარჩით... მემფისში შეიძლება მთელ სიცოცხლეში ვერ ნახოთ ქარიშხალი. ზღვაზე კი ჭექა-ქუხილი ისე ხშირია, როგორც ჩვენში სპილენძის დებენი. მე მაქვს თაფლიც, ფქვილიც და ნელსურნელებაც წმიდა მსხვერპლშეწირვათათვის, აგერ იქ კი დგანან ყველა ხალხის ღმერთები. ჩემს სასტუმროში კაცს შეუძლია მისაწვდომ ფასებში დაიკმაყოფილოს შიმშილიც და ღვთისმსახურებაც.

მერე ასარჰადონი ადიოდა გალერეაზე ვაჭრებიან.

– მიირთვით, ღირსპატივსაცემო ბატონებო! – დაბლა თავის დაკვრით ეპატიჟებოდა მათ. – კარგი დროება დაგვიდგა, ყოვლადღირსი ტახტის მემკვიდრე – ცოცხლობდეს იგი მარად – ბუბასტისში[1] მიემგზავრება უდიდესი ამალით, ხოლო ზემო სამეფოდან მოვიდა ოქროთი დატვირთული გემები. ამ საქმეში ბევრი თქვენგანი ნახავს კარგ მოგებას. გვაქვს კაკბები, ახალი ბატის ხორცი, ცოცხალი თევზი, შვლის მოხრაკული ხორცი, მერე რა ღვინო მივიღე კვიპროსიდან! ნურც ვყოფილვარ ფინიკიელი, თუ თითო ფიალა ამ ღვთაებრივი სასმელისა ორი დრახმა არ ღირდეს. მაგრამ თქვენ, ჩემო მამებო და კეთილისმყოფელნო, დღეს მას ერთ დრახმად დაგითმობთ. მხოლოდ დღეს, სიფთასათვის!..

– თუ ფიალა ნახევარი დრახმა იქნება, მაშინ გავსინჯავ, – გამოეხმაურა ერთი ვაჭართაგანი.

– ნახევარი დრახმა? – გაიმეორა პატრონმა. – უმალ ნილოსი უკან თებესკენ მიბრუნდება, ვიდრე ამ ღვინოს ნახევარ დრახმად გავცემდე! მხოლოდ შენთვის, ბატონო ბელეზისო, რომელსაც ყველა სიდონის მშვენებად გთვლის. ჰეი, მონებო!.. მოართვით ჩვენს კეთილსიმყოფელთ დიდი დოქი კვიპროსული.

როცა ასარჰადონი წავიდა, ბელეზისად წოდებულმა ვაჭარმა თავის ამხანაგებს უთხრა:

– ხელი გამიხმეს, თუ ეს ღვინო ნახევარი დრახმა ღირდეს! მაგრამ სულ ერთია!.. პოლიციისგან უფრო ნაკლები სარჯელი გვექნება.

სტუმრებთან საუბარი პატრონს ხელს არ უშლიდა თვალი სჭეროდა მწერლებზე, რომლებიც საჭმელსა და სასმელს აღრიცხავდნენ, ზედამხედველებზე, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მოსამსახუ-

[1] ბუბასტისი – მე-18 ქვემოეგვიპტური ნომის მთავარი ქალაქი.

რეებსა და მწერლებს, და, რაც მთავარია, ერთ-ერთ ჩამოსულზე, რომელსაც წინა გალერეაში მოეკალათნა ბალიშებზე ფეხებმოკეცილს და ერთ მუჭა ხურმასა და ტოლჩა წყალზე თვლემდა. იგი დაახლოებით ორმოცი წლისა იქნებოდა; ხშირი თმა, კუპრივით შავი წვერი, ფიქრმორეული თვალები და პირისახის ისეთი გასაოცრად კეთილშობილი იერი. ჰქონდა, რომ კაცი იტყოდა, განრისხება თუ შიში ამ სახეზე არასოდეს აღბეჭდილაო.

„ეს საშიში ვირთხაა!.. – ფიქრობდა თავისთვის სასტუმროს პატრონი და ალმაცერად უცქეროდა სტუმარს. – ქურუმსა ჰგავს და მუქ ლაბადას კი ატარებს. შესანახად მომაბარა მთელ ტალანტად ღირებული ძვირფასეულობა და ოქრო, თვითონ კი არც ხორცსა ჭამს და არც ღვინოს სვამს... ეს ან დიდი წინასწარმეტყველია, ანდა დიდი თაღლითი“.

ქუჩიდან ეზოში შემოვიდა ორი ტიტველი ფსილი, ესე იგი გველთმომთვინიერებელი; შხამიანი ქვემძრომებით სავსე ტომარა მოიტანეს და დაიწყეს წარმოდგენა, უმცროსი სალამურს უკრავდა, უფროსმა კი ზედ შემოიხვია პატარა და დიდი გველები, რომელთაგან ერთიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ სასტუმრო „გემთან“-ის ყველა მდგმური დაეფრთხო. სალამური გაჰკიოდა, მომთვინიერებელი იკლაკნებოდა, იმანჭებოდა, იკრუნჩხებოდა და ქვემძრომთ შეუწყვეტლივ აღიზიანებდა, ვიდრე ერთმა გველმა ხელზე არ უკბინა, მეორემ კი სახეზე. მესამე, ყველაზე პატარა, მან ცოცხლად გადაყლაპა. მსახურები და სტუმრები შეშფოთებით უცქეროდნენ ამ ოინებს. როცა გველები მომთვინიერებელს კბენდნენ, ყველას ეშინოდა და თვალებს ხუჭავდნენ, ხოლო როცა მან პატარა გველი გადაყლაპა, მაყურებლები აღტაცებით აღრიალდნენ.

მხოლოდ წინა გალერეაზე მყოფმა სტუმარმა წარმოდგენისათვის შეხედვაც კი არ ინება და როცა მომთვინიერებელი ფულისათვის მივიდა, იატაკზე სპილენძის ორი დებენი გადმოუგდო, თან ხელით ანიშნა, ახლოს არ მოხვიდეო.

სანახაობა ნახევარი საათი გრძელდებოდა. როცა ფსილები ეზოდან გავიდნენ, სასტუმროს პატრონთან მიირბინა ზანგმა, ვინც ჩამომსვლელთა ოთახებს ალაგებდა ხოლმე, და შეწუხებულმა რაღაცის

ჩურჩული დაუწყო, მერე საიდანღაც გაჩნდა პოლიციის ათისთავი, გაიხმო ასარჰადონი მოშორებით ნიშში და დიდხანს ესაუბრებოდა; სასტუმროს პატივცემული მფლობელი წამდაუწუმ მკერდზე მუშტს იბაგუნებდა, ხელებს იქნევდა და თავში ხელს ივლებდა. ბოლოს ზანგს მუცელში წიხლი ჰკრა, ბრძანა მოეტანათ ათისთავისათვის შემწვარი ბატი და ერთი დოქი კვიპროსული, თვითონ კი წინა გალერეაზე გაემართა სტუმრისაკენ. სტუმარი თითქოს თვლემდა, თუმცა თვალები ღია ჰქონდა.

– პატივცემულო ბატონო, სამწუხარო ამბავი მომაქვს, – წარმოთქვა სასტუმროს პატრონმა და გვერდით მიუჯდა.

– ღმერთები უგზავნიან ადამიანთ წვიმასა და მწუხარებას, როცა მათ მოენებებათ, – გულგრილად უპასუხა სტუმარმა.

– ვიდრე ჩვენ ფსილებს ვუცქეროდით, – შევერცხლილი წვერების წიწკნით განაგრძობდა სასტუმროს პატრონი, ქურდები ამძვრალან მეორე სართულში და მოუპარავთ შენი ბარგი – სამი ტომარა და ყუთი, ალბათ, დიდი ღირებულებისა!..

– შენ სასამართლოს უნდა აცნობო ჩემი დანაკარგის შესახებ.

– რატომ სასამართლოს? – წასჩურჩულა პატრონმა. ჩვენს ქურდებს თავიანთი საამქრო აქვთ... მოვიხმოთ მათი მამასახლისი, შევაფასოთ ბარგი, გადავუხდი მათ ღირებულების ოც პროცენტს და ყველაფერს იპოვნიან. მე შემიძლია დაგეხმარო.

– ჩემს ქვეყანაში, – განაცხადა ჩამოსულმა, – არავინ აწარმოებს ქურდებთან მოლაპარაკებას, და არც მე ვიზამ ამას. მე შენს სასტუმროში ვცხოვრობ, შენ განდე ჩემი ქონება და პასუხსაც შენვე აგებ.

პატივცემულმა ასარჰადონმა ზურგი მოიფხანა.

– შორეული ქვეყნის კაცო, – ხმადაბლა მიმართა მან, – თქვენ, ხეთელები და ჩვენ, ფინიკიელები ძმები ვართ და სინდისის ქვეშ გირჩევ, ნუ გადაეკიდები ეგვიპტის სასამართლოს, რადგან მას მხოლოდ ერთი კარი აქვს, რომლითაც შედიან, მაგრამ არა აქვს მეორე, რომლიდანაც გამოდიან.

– უდანაშაულოს ღმერთები კედელშიც გაატარებენ, – უპასუხა სტუმარმა.

– უდანაშაულოსო!.. ამ მონობის ქვეყანაში რომელი ჩვენთაგანი

ჩაითვლება უდანაშაულოდ? – ჩაიჩურჩულა პატრონი მა. – აბა შეხედე – იქ ბატის ჭამას ათავებს პოლიციის ათისთავი, მიირთმევს საუცხოო ბატს, რომელსაც მეც სიამოვნებით გეახლებოდით. მერედა იცი, რატომ მივეცი მას და ჩემს თავს დავაკელი ეს ტკბილი ლუკმა? იმიტომ, რომ ათისთავი მოვიდა შენი ამბის გამოსაკითხავად...

ეს რომ თქვა, ფინიკიელმა ალმაცერად გადახედა ჩამოსულს, რომელიც კვლავ გულდამშვიდებით იჯდა.

– პოლიცია მეკითხება, – განაგრძობდა პატრონი. – „ვინ არის ის შავებში გამოწყობილი, ორი საათი რომ უზის ერთ მუჭა ხურმასო“. მე ვეუბნები: „ფრიად პატივცემული კაცი, ბატონი პნუტი გახლავთ-მეთქი“. –„საიდან არისო?“ „ხეთების ქვეყნიდანაა, ქალაქ ხარანიდან[1]; იქ კარგი სამსართულიანი სახლი და მიწის დიდი ნაკვეთი აქვს-მეთქი“. „აქ რისთვის ჩამოსულაო?“ „ჩამოვიდა-მეთქი, ვეუბნები, რომ ერთი ქურუმისაგან მიიღოს ხუთი ტალანტი, რომელიც ჯერ კიდევ მამამისს უსესხებია“. და იცი, პატივცემულო ბატონო, რა მიპასუხა ათისთავმა?.. აი რა: „ასარჰადონ, ვიცი, რომ შენ ფარაონის ერთგული მსახური ხარ, რომ შენი სუფრა და ღვინო განთქმულია, ამიტომ გაფრთხილებ – ფრთხილად იყავი! ერიდე უცხოელებს, რომ ლებიც არავის უახლოვდებიან, გაურბიან ღვინოსა და ყოველგვარ გართობას და სდუმან. ეს ხარანელი პხუტი, შეიძლე. ასირიელი ჯაშუში იყოსო“. ლამის გული გამისკდა, როცა ეს სიტყვები გავიგონე, – განაგრძობდა პატრონი. – შენთვის კი, როგორც ჩანს, სულ ერთია?.. – გაჯავრდა ის, როცა დაინახა, რომ ჯაშუშობის დაწამებამაც კი ვერ შეარყია ხეთელის სიმშვიდე.

– ასარჰადონ, მცირე დუმილის შემდეგ თქვა სტუმარმა,– მე განდე შენ ჩემი თავი და ქონება, იფიქრე იმაზე, რომ დამიბრუნო ტომრები და სკივრი, თორემ გიჩივლებ იმავე ათითავთან, რომელმაც შენთვის განკუთვნილი ბატი მიირთვა.

– კი მაგრამ... მაშინ ნება მიბოძე ქურდებს შენი ნივთების ღირებულების თხუთმეტი პროცენტი მაინც გადავუხადო, – უპასუხა ფინიკიელმა.

– გიკრძალავ რაიმეს გადახდას.

---

[1] ხარანი – ქალაქი შუამდინარეთში, რომელიც მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ჯვარედინზე მდებარეობდა.

– ოცდაათი დრახმა მაინც მიეცი!

– არც ერთ დებენს არ მივცემ!

– ათი დრახმა მაინც მიეცი საწყლებს.

– გზა მშვიდობისა, ასარჰადონ, და შეევედრე ღმერთებს, რომ გონება დაგიბრუნოს, – ისევე მშვიდად უპასუხა ჩამოსულმა,

სასტუმროს პატრონს აღშფოთებისაგან სული შეეხუთა.

„რა საძაგელი ვინმეა! – ცხარობდა ასარჰადონი გულში, – მარტო ვალისათვის არ უნდა იყოს ჩამოსული, ჯერ სადა ვართ, ვინ იცის, რა საქმეები დაატრიალოს... გული მეუბნება, რომ ის ძლიერ მდიდარი ვინმეა. იქნებ მიკიტანიც იყოს, ვინც ქურუმებთან და მსაჯულებთან შეამხანაგებული სადმე ჩემს გვერდით მეორე სასტუმროს გახსნის... შენ დაგწვას ზეციერმა ცეცხლმა! კეთრმა გამოგხრას!.. ძუნწი, მატყუარა, ქურდი, პატიოსან ადამიანს რომ არაფერს მოაგებინებს!“

პატივცემულმა ასარჰადონმა აღშფოთებისაგან გონს მოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ ქუჩაში სალამურის და დაფის ხმა გაისმა და წუთის შემდეგ ეზოში შემოვარდა ოთხი, თითქმის შიშველი მოცეკვავე ქალი. მებარგულეები და მეზღვაურები მხიარული ყიჟინით შეხვდნენ, დარბაისელი ვაჭრებიც კი, ვინც გალერეის ქვეშ ისხდნენ, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მათ და ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს მათი გარეგნობის შესახებ. მოცეკვავე ქალები ხელის ქნევით და ღიმილით ესალმებოდნენ მაყურებელთ. ერთმა ორმაგ სალამურზე დაიწყო დაკვრა, მეორემ დაფი ააყოლა, ორნი, ყველაზე უმცროსნი კი ეზოს გარშემო ცეკვავდნენ და ცდილობდნენ თავიანთი მარმაშის შარფებით წამოსდებოდნენ სტუმრებს. მაგიდებთან მსხდომმა მსმელებმა სიმღერა და ყვირილი მორთეს და ეპატიჟებოდნენ მათ, ეზოში კი სტუმართა შორის ატყდა ჩხუბი, რომელიც მეთვალყურეებმა ადვილად ჩააჩუმეს, რადგან მაღლა ამართეს თავთავიანთი ხელკეტები. ვიღაც ლიბიელი კეტების დანახვაზე ისე აღშფოთდა, რომ დანაც კი იძრო ქამრიდან, მაგრამ ორი ზანგი მივარდა, დანახარჯში სპილენძის რამდენიმე რგოლი წაართვეს და ქუჩაში გააგდეს.

ერთი მოცეკვავე ქალი მეზღვაურებს მიუჯდა, ორი მივიდა ვაჭრებთან, რომლებიც მათ ღვინითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ,

ხოლო სულ უფროსმა მაგიდების შემოვლა და ფულის შეგროვება დაიწყო.

– ღვთაებრივი იზიდას ტაძრისათვის! – ევედრებოდა იგი. – შესწირეთ, ღვთისმოსავო უცხოელებო, იზიდას ტაძრისათვის, რომელიც მფარველობს ყოველ სულიერს... რაც მეტს შესწირავთ, მით უფრო მეტ სიკეთეს მოგანიჭებენ ღმერთები... დედა იზიდას ტაძრისათვის!

მას დაფში უყრიდნენ სპილენძის მავთულის გორგლებს, ზოგჯერ ოქროს მარცვლებს. ერთი ვაჭარი შეეკითხა, შეიძლება თუ არა გეწვიოო, ქურუმმა ქალმა ღიმილით დაუქნია თავი.

როდესაც ის წინა გალერეაზე ავიდა. ხარანელმა პხუტმა ხელი ჩაყო ტყავის ტომარაში, ამოიღო ოქროს ბეჭედი და უთხრა:

– იშტარი[1] დიდებული და კეთილი ქალღმერთია. წაიღე ეს მისი ტაძრისათვის!

ქურუმქალმა დაკვირვებით შეხედა მას და წაიჩურჩულა:

– ანნაელ, მიხაელ...

– ამაბიელ, აბალიდოტ... – ისევე წყნარად უპასუხა ჩამოსულმა.

– მე ვხედავ, რომ შენ გიყვარს დედა იზიდა, – ხმამაღლა წარმოთქვა ქურუმქალმა. – გეტყობა მდიდარი და გულუხვი უნდა იყო. ღირს გიმარჩიელო.

ის გვერდით მოუჯდა, რამდენიმე ხურმა შეჭამა, მისი ხელის გული გაშალა და დაიწყო:

– შენ მოსულხარ ბრეტორისა და ხაგიტის შორეული მხარიდან... კეთილი გზა გქონია... უკვე რამდენიმე დღეა თვალყურს გადევნებენ ფინიკიელები, – ხმადაბლა დაუმატა მან. ფულის საშოვნელად ჩამოსულხარ, თუმცა ვაჭარი არა ხარ. მოდი ჩემთან დღეს მზის ჩასვლის შემდეგ... სურვილები, – ხმამაღლა განაგრძობდა იგი, – უნდა შეგისრულდეს... მე ვცხოვრობ სამარხთა ქუჩაზე, სახლში, რომელსაც ჰქვია „მწვანე ვარსკვლავის ქვეშ“ (კვლავ ჩურჩულით). ოღონდ მოერიდე ქურდებს, რომელთაც თვალი უჭირავთ შენს ქონებაზე, – დაამთავრა მან, რაკი შეამჩნია, რომ პატივცემული ასარჰადონი ჩუმად უგდებდა

[1] იშტარი – ბაბილონური ღმერთქალი, რომელიც ნაყოფიერების, დედობისა და ცოლქმრული სიყვარულის განსახიერება იყო და იმავე დროს ცისა და ვარსკვლავების მეუფედ ითვლებოდა.

ყურს.

– ჩემს სასტუმროში ქურდები არ არიან! – აენთო ფინიკიელი. – იპარავენ, ალბათ, ისინი, ვინც ქუჩიდან შემოდიან.

– გული ნუ მოგდის, მოხუცო, – დაცინვით უპასუხა ქურუმქალმა, – თორემ მაშინვე გიჩნდება კისერზე წითელი ზოლი – ეგ კი ცუდად სიკვდილის ნიშანია.

ეს რომ გაიგონა, ასარჰადონმა სამჯერ გადააფურთხა და ცუდი წინასწარმეტყველებისაგან თავის დასაცავად ჩურჩულით წარმოთქვა შელოცვა. როცა ფინიკიელი წავიდა, ქურუმქალი კვლავ მიესაყვარლა ხარანელს – მისცა მას ვარდი თავისი გვირგვინიდან, გამოთხოვებისას მოეხვია და სხვა მაგიდებისაკენ გაემართა.

ჩამოსულმა სასტუმროს პატრონი მოიხმო.

– მე მინდა, – უთხრა მან, – იმ ქალმა მინახულოს. უბრძანე, გამოატარონ ჩემს ოთახში.

ასარჰადონმა თვალებში შეხედა, ტაში შემოჰკრა და გადაიხარხარა,

– სეთმა[1] გაცდუნა, ხარანელო... – წამოიძახა მან. – ეგვიპტელ ქურუმქალს რომ ჩემს სახლში შეემთხვას რამე მაგგვარი, ქალაქიდან გამაძევებენ. აქ მხოლოდ უცხოელი ქალების მიღება შეიძლება.

– მაშინ მე თვითონ წავალ მასთან. – უპასუხა პხუტმა. – ის ბრძენი და ღვთისმოსავი ქალია და ბევრ საქმეში დამეხმარება. მზის ჩასვლის შემდეგ გამყოლს გამატან, რომ გზა არ დამებნეს.

– ყველა ბოროტ სულს დაუსადგურებია შენს სულში, – შეესიტყვა სასტუმროს პატრონი. – ასეთი ნაცნობობა ორასი დრახმა მაინც დაგიჯდება, იქნებ სამასიც დაგიჯდეს, ამასთან მსახური ქალები და ტაძარიც უნდა დაასაჩუქრო. თითქმის ამდენივე თანხით კი, ვთქვათ, ხუთასი დრახმით შენ შეგიძლია გაიცნო ახალგაზრდა სათნო ქალიშვილი, ჩემი ასული; იგი უკვე თოთხმეტი წლისაა და როგორც ჭკვიან გოგონას შეფერის, მზითევს იმზადებს. მაშ, ნუ დაიწყებ ღამით ხეტიალს უცნობ ქალაქში, ემანდ პოლიციას ან ქურდებს არ ჩაუვარდე ხელში. სჯობია ისარგებლო იმით, რასაც ღმერთები სახლში გარდმოგივლე-

[1] სეთი – უდაბნოს, ბოროტებისა და სიკვდილის ძველეგვიპტური ღმერთი, რომელმაც, ძველი თქმულების თანახმად მოკლა თავისი ძმა ოზირისი.

ნენ. თანახმა ხარ?

– მერე შენი ასული წამომყვება ხარანში?

სასტუმროს პატრონმა გაოცებით შეხედა. ანაზდად შუბლზე ხელი შემოიკრა, თითქოს საიდუმლო გამოიცნოო, ხელზე ხელი სტაცა ჩამოსულს და სარკმლისაკენ, მყუდრო კუთხეში წაათრია.

– ახლა ყველაფერი ვიცი!.. – დაიწყო მან მღელვარე ჩურჩულით.- შენ ქალებით ვაჭრობ, მაგრამ გახსოვდეს, რომ ეგვიპტელი ქალის წაყვანისათვის შეუძლიათ ჩამოგართვან ქონება და ქვის სამტეხლოში გაგგზავნონ. განა თუ... მე შემიყვანე კომპანიაში, ვინაიდან ჩემთვის აქ ყველა გზა ცნობილია.

– თუ ეგრეა, მიამბე, როგორ მივიდე იმ ქურუმქალთან, – უპასუხა პხუტმა. – და ნუ დაივიწყებ, რომ მზის ჩასვლის შემდეგ უნდა მომცე გამყოლი, ხოლო დილით დამიბრუნო ჩემი ტომრები და ზანდუკი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასმართლოს მივმართავ.

ეს რომ უთხრა, პხუტი რესტორანიდან გავიდა და გაემართა ზევით, თავის ოთახში.

აღშფოთებისაგან გაცეცხლებული ასარჰადონი მივიდა სუფრასთან, სადაც ღვინოს სვამდნენ ფინიკიელი ვაჭრები და ერთი მათგანი, კუში, გვერდზე გაიხმო.

– კარგ მდგმურებს კი მიგზავნი! – მიახალა მან. – ეს პხუტი თითქმის არაფერს სჭამს და მაიძულებს ქურდებისაგან გამოვისყიდო მისი მოპარული ნივთები; ახლა კი, თითქოს დამცინისო, მიდის ეგვიპტელ მოცეკვავე ქალთან, იმის მაგიერ, რომ ჩემი ქალები დაასაჩუქროს.

– რა არის გასაკვირი, – სიცილით უპასუხა კუშმა, – ფინიკიელი ქალების გაცნობა მას შეეძლო სიდონშიც, აქ კი ეგვიპტელ ქალებს ამჯობინებს; სულელია ის, ვინც კვიპროსში არ სვამს კვიპროსულ ღვინოს და ტვიროსის ლუდით კმაყოფილდება.

– მე შენ გეუბნები, – შეაწყვეტინა სასტუმროს პატრონმა, – რომ ის საშიში კაცია... თავს უბრალო ქალაქელად გვიჩვენებს, ქურუმს კი ჰგავს.

– შენ კი ასარჰადონ, უმაღლესი ქურუმის სახე გაქვს, თუმცა მხოლოდ მიკიტანი ხარ! სკამი სკამად დარჩება მაშინაც კი, როცა მასზე

ლომის ტყავია გადაფარებული.

– კი, მაგრამ რა უნდა ქურუმქალებთან? მზად ვარ დავიფიცო, რომ აქ რაღაც ეშმაკობაა და რომ ეს ხეთელი ხეპრე მიდის არა ქალებთან საქეიფოდ, არამედ შეთქმულთა რაღაც კრებაზე.

– ბრაზსა და სიხარბეს მთლად დაუბნელებია შენთვის გონება, – საყვედურით უთხრა კუშმა. – შენ იმ ადამიანსა გავხარ, ვინც ლეღვის ხეზე ნესვებს ეძებს და ლეღვს კი ვერ ამჩნევს. ყოველი ვაჭრისათვის აშკარაა, თუ პხუტს უნდა მიიღოს თავისი ხუთი ტალანტი, უნდა მიაღწიოს იმას, რომ მოწყალე თვალით უყურებდეს ყველა, ვინც ქურუმთა წრეში ტრიალებს. შენ კი ეს არ გესმის...

– იმიტომ რომ გული მეუბნება, ის უთუოდ ასირიელი ჯაშუშია, რომელსაც მისი უდიდებულესობის მოკვლა აქვს განზრახული.

კუშმა ზიზღით შეხედა ასარჰადონს.

– ჰოდა, უთვალთვალე! კვალდაკვალ სდიე. და თუ რასმე შეამჩნევ, იქნებ შენც რაიმე გერგოს მისი ქონებიდან.

– აი, ეგ ჭკვიანური სიტყვაა! წავიდეს ეს ვირთხა თავის ქურუმქალებთან, და მათგან კი საითაც სურს. მე მას თან გავაყოლებ ჩემს თვალებს, რომლებსაც არა გამოეპარებათ რა!

თავი მეოცე

საღამოს ცხრა საათზე პხუტი გავიდა სასტუმროდან ზანგის თანხლებით, რომელსაც ჩირაღდანი მიჰქონდა. ნახევარი საათით ადრე ასარჰადონმა სამარხთა ქუჩაზე წარგზავნა სანდო კაცი და უბრძანა დაკვირვებით ეთვალთვალა, ფარულად ხომ არ გამოვიდოდა ხარანელი სახლიდან – „მწვანე ვარსკვლავის ქვეშ“ ან სად წავიდოდა.

მისი მეორე სანდო პირი შორიახლო მისდევდა პირველს; ვიწრო ქუჩებში სახლების კედლებს ეფარებოდა, ხოლო უფრო ფართო ქუჩებში თავს იმთვრალებდა.

ქუჩებში უკვე აღარავინ ჩანდა. მებარგულეებსა და დამტარებლებს ეძინათ. სინათლე ენთო მხოლოდ იმ ხელოსნების ბინებში, რომლებიც სამუშაოს გათავებას ჩქარობდნენ, და მდიდართა სახლებში, სადაც ბრტყელ სახურავებზე მოკალათებულიყვნენ და ვახშმობდნენ.

აქა-იქ სახლებში გაისმოდა ქნარისა და სალამურის ხმები, სიმღერები, სიცილ-კისკისი, ჩაქუჩის რახუნი, დურგლის ხერხის ღრჭიალი, მთვრალების წამოძახილები, ყვირილი „გვიშველეთ“.

ქუჩები, რომლებზეც პხუტი მიდიოდა, მეტწილად ვიწრო იყო, მიხვეულ-მოხვეული და ოღროჩოღრო, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თავისი მოგზაურობის მიზანს, მით უფრო დაბალი სახლები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ხშირად ხვდებოდა ბაღები, უფრო სწორად, პალმები, ლეღვის ხეები და დაჩიავებული აკაციები, რომლებიც გალავანზე ისე იყვნენ გადმოზნექილი, თითქოს გაქცევას აპირებენო.

სამარხთა ქუჩაზე ხედი ერთბაშად შეიცვალა. ქვის სახლების მაგიერ გამოჩნდა ვრცელი ბაღები შიგ ჩადგმული ლამაზი სახლებით. ერთ ჭიშკართან ზანგი შეჩერდა და ჩირაღდანი ჩააქრო.

– აი, ეს არის „მწვანე ვარსკვლავი“, – თქვა მან, დაბლა დაუკრა თავი პხუტს და შინ გაბრუნდა.

ხარანელმა ალაყაფზე დაარაკუნა. მალე გამოჩნდა მეკარე, დაკვირვებით ახედ-დახედა მოსულს და წაილუღლუღა:

– ანნაელ, სახიელ,

– ამაბიელ, აბალიდოტ, – უპასუხა პხუტმა.

– სალამი შენდა, – წარმოთქვა მეკარემ და სწარაფად გააღო ჭიშკარი.

პხუტმა ბაღში ოცი ნაბიჯი გაიარა და სახლის წინკარში შევიდა, სადაც მას შეეგება ნაცნობი ქურუმქალი. სიღრმეში მოჩანდა ვიღაც შავ თმაწვერიანი კაცი, ის ისე ჰგავდა თვითონ ხარანელს, რომ ამ უკანასკნელმა ვერ დაფარა თავისი გაოცება.

– ის იქნება შენი მაგიერი იმათთვის, ვინც გითვალთვალებს, – უთხრა ღიმილით ქურუმქალმა.

პხუტად შენიღბულმა კაცმა თავზე დაიდო ვარდების გვირგვინი და ქურუმქალის თანხლებით ავიდა მეორე სართულში, საიდანაც მალე გაისმა სალამურის რაკრაკი და ორთომელების წკრიალი, თვითონ პხუტი კი ორმა უმდაბლესმა ქურუმმა ბაღში მოთავსებულ აბანოში წაიყვანეს, განბანეს, თმაზე ნელსურნელება წაცხეს და თეთრი ტანსაცმელი ჩააცვეს.

აბანოდან სამივენი კვლავ ხეივანში გამოვიდნენ და დიდხანს მიყ-

ვებოდნენ ბაღებს, ვიდრე უდაბურ მოედანზე არ აღმოჩნდნენ.

– იქით, – მიმართა ერთმა ქურუმმა პხუტს, – მდებარეობს ძველი სამარხი, აქეთ – ქალაქი და აი აქ – ტაძარი. წადი, საითაც გსურს, სიბრძნე გიჩვენებს გზას და წმიდა სიტყვები დაგიფარვენ განსაცდელთაგან.

ორივე ქურუმი ბაღში დაბრუნდა. პხუტი მარტო დარჩა. უმთვარო ღამე არც ისე ბნელი იყო. შორით ბრწყინავდა ნისლში გახვეული ნილოსი. მაღლა ცაში ბრჭყვიალებდა დიდი დათვის შვიდი ვარსკვლავი. მგზავრის თავზემოთ ელვარებდა ორიონი, ხოლო ბნელი პილონების ზემოთ – ვარსკვლავი სირიუსი.

„ჩვენში ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენ“, – გაიფიქრა პხუტმა. მან იწყო უცნობ ენაზე ლოცვა და ტაძრისკენ გაეშურა.

პხუტმა ვერც კი მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომ ბაღის გალავნის უკნიდან გამოიხედა კაცმა და კვალდაკვალ დაედევნა. მაგრამ სწორედ ამ დროს ისეთი სქელი ნისლი ჩამოწვა, რომ მოედანზე არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა, გარდა ტაძრის სახურავისა.

ხარანელმა კიდევ ცოტა გაიარა და ქვის მაღალ გალავანს მიადგა, ახედა ცას და დასავლეთისკენ გაემართა. მის თავს ზემოთ ფრინავდნენ ღამის ფრინველები და ვეებერთელა ღამურები. ნისლი ისეთი სქელი გახდა, ხარანელი ხელის ცეცებით მიჰყვებოდა გალავანს, რომ არ დაჰკარგოდა. მგზავრობამ საკმაოდ დიდხანს გასტანა. და აი პხუტმა თავი ამოყო დაბალ ჭიშკართან, რომელშიც ბრინჯაოს მრავალი ლურსმანი იყო ჩაჭედილი. მან იწყო ლურსმნების დათვლა მარცხენა კუთხიდან ქვემოთ, ზოგს მაგრად აჭერდა ხელს, ზოგს კი ატრიალებდა.

როცა უკანასკნელ ლურსმანს შეეხო, ჭიშკარი ჩუმად გაიღო. ხარანელმა რამდენიმე ნაბიჯი წადგა და თავი ამოყო ვიწრო ნიშაში, სადაც სავსებით ბნელოდა.

ფეხით ფრთხილად მოსინჯა იატაკი და წააწყდა ჭის კიდის მსგავს რაღაცას, საიდანაც ცივი ჰაერი ქროდა. მან ჩაყო ფეხები და უშიშრად ჩასრიალდა ქვევით, თუმცა ამ ადგილას და საზოგადოდ ამ მხარეში პირველად იმყოფებოდა, ჭა ღრმა არ აღმოჩნდა. პხუტმა თავი ამოყო დახრილიატაკიან ვიწრო ტალანში და ისე ჩაეშვა ქვევით, თითქოს

დიდი ხანია იცოდა ეს გზა.

ტალანის ბოლოს კარი იყო. მოსულმა ხელის ცეცებით მიაგნო ხის სარაკუნას და სამჯერ დააკაკუნა. პასუხად საიდანღაც ხმა მოისმა:

– შენ, რომელიც ღამით არღვევ წმიდა ადგილის მყუდროებას, გაქვს თუ არა უფლება აქ შემოსვლისა?

– მე არ დამიჩაგრავს არც ქმარი, არც ცოლი, არც ბალღი, არც სისხლში გამისვრია ხელები. უწმინდური საჭმელი არ მიჭამია. სხვისი ქონება არ მიმითვისებია. მატყუარა არა ვყოფილვარ და დიდი საიდუმლო არ გამიცია[1]... – მშვიდად უპასუხა ხარანელმა.

– შენ ის ხარ, ვისაც ელიან, თუ ის, ვისადაც თავს ასაღებ? – მცირე ხნის შემდეგ შეეკითხა ხმა.

– მე ის ვარ, ვინც უნდა მოსულიყო აღმოსავლეთის ძმებისაგან, მაგრამ მეორე სახელიც ჩემია. როგორც უცხოებს ვუთხარი, თქვენც გეუბნებით, რომ ჩრდილოეთის ქალაქში მე მაქვს სახლი და მიწა, – უპასუხა პხუტმა.

კარი გაიღო და ხარანელი შევიდა განიერ მიწისქვეშეთში, რომელსაც ანათებდა მეწამული კრეტსაბმელის წინ მდგარ მაგიდაზე ანთებული ლამპარი. კრეტსაბმელზე ოქროთი ამოქარგული იყო ფრთოსანი სფერო ორი გველით. გვერდზე იდგა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ეგვიპტელი ქურუმი.

– მითხარ, შემოსულო, – წარმოთქვა ქურუმმა და პხუტს მიუთითა, – იცი თუ არა შენ, რას ნიშნავს ეს სიმბოლო კრეტსაბმელზე?

– სფერო, – უპასუხა შემოსულმა, – არის ხატება იმ სამყაროსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ფრთები კი იმაზე მიგვითითებენ, რომ ეს სამყარო, მსგავსად არწივისა, სივრცეში დაჰქრის.

– გველები რაღას ნიშნავს?.. – შეეკითხა ქურუმი.

– ორი გველი მოაგონებს ბრძენს, რომ ის, ვინც ამ დიდ საიდუმლოს გასცემს, ორჯერ მოკვდება; სხეულითაც და სულითაც.

წუთიერი დუმილის შემდეგ ქურუმი კვლავ შეეკითხა:

– თუ შენ ნამდვილად ბეროესი ხარ (აქ ქურუმმა თავი დახარა), ქალდეას დიდი წინასწარმეტყველი (მან კვლავ თავი დახარა), რომლისთვისაც არც ქვეყნად და არც ზეცად არ არსებობს საიდუმლო, მა-

[1] გამოთქმები ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

შინ მითხარ შენს მსახურს, რომელი ვარსკვლავია ყველაზე უფრო სასწაულებრივი?

– სასწაულებრივია ხორ-სეტი[1], რომელიც ზეცას თორმეტი წლის განმავლობაში უვლის, ვინაიდან მის გარშემო ტრიალებს ოთხი უფრო მცირე ვარსკვლავი. მაგრამ კიდევ უფრო სასწაულებრივია ხორ-კა[2], რომელიც ზეცას ოცდაათი წლის განმავლობაში უვლის, ვინაიდან მას აქვს არა მარტო მისდამი დაქვემდებარებული ვარსკვლავები, არამედ დიდი რგოლიც, რომელიც ზოგჯერ ქრება.

ასეთი პასუხის მოსმენის შემდეგ ეგვიპტელი ქურუმი ქალდეველის წინ პირქვე დაემხო. მერე მიაწოდა მეწამული შარფი და მარმაშის პირბადე, მიუთითა, სად იდგა ნელსურნელება, და მდაბალი თაყვანისცემით გავიდა მიწისქვეშეთიდან.

ქალდეველი მარტო დარჩა. მან მარჯვენა მხარზე გადაიგდო შარფი, სახეზე პირბადე ჩამოიფარა, აიღო ოქროს კოვზი, დაყარა ზედ ნელსურნელება, რომელსაც წაუკიდა კრეტსაბმელის წინ მდგარი კანდელის ცეცხლი. რაღაც სიტყვების ჩურჩულით სამჯერ მოტრიალდა ირგვლივ, ისე რომ ნელსურნელების კვამლი თითქოს სამ რგოლად შემოერტყა.

ამასობაში ცარიელ მიწისქვეშეთში საოცარი მოძრაობა შეიქნა, თითქოს ჭერი მაღლა ადიოდა და კედლები კი განზე მიიწევდა. საკურთხეველთან მეწამული კრეტსაბმელი შექანდა, თითქოს უჩინარი ხელი ანძრევსო. ჰაერი შეირხა, თითქოს უხილავი ფრინველების გუნდმა გაიფრინაო.

ქალდეველმა მკერდი გაიხსნა და უბიდან ამოიღო საიდუმლო ნიშნებით დაფარული ოქროს მედალიონი. მთელი მიწისქვეშეთი შეირყა, წმიდა კრეტსაბმელმა ერთბაშად გაიწია; წყვდიადში სინათლემ იფეთქა.

მაშინ მოგვმა აღაპყრო ხელები და წარმოთქვა:

„მამაო ზეციერო, მშვიდო და მოწყალეო, განწმინდე სული ჩემი...

„აკურთხე უღირსი მონა შენი და განავრცე უძლიერესი ხელი ურჩთა სულებზე, რათა შემეძლოს დავამოწმო ყოვლადძლიერება შე-

[1] ხორ-სეტ – პლანეტა იუპიტერი (ავტ. შენიშ.).

[2] ხორ-კა – პლანეტა სატურნი (ავტ. შეინშ.).

ნი...

„აი ნიშანი, რომელსაც შევეხები თქვენი თანდასწრებით.

„აი მე – რომელიც ღვთის შემწეობას ვემყარები, მე წინასწარმხილველი და შეუდრეკელი... მე – შემძლებელი - მოგიწოდებთ თქვენ და შეგილოცავთ... მომევლინეთ მე, მორჩილნო, – აიეს, სარაიეს, აიეს, სარაიეს სახელით...“

იმავე წამს სხვადასხვა მხრიდან გაისმა თითქოს შორეული ბუკის ხმები, ლამპარს გვერდით ჩაუფრინა ჯერ რაღაც ფრინველმა, შემდეგ ჟღალმა ტანსაცმელმა, მერე კუდიანმა ადამიანმა და ბოლოს გვირგვინიანმა მამალმა, რომელიც კრეტსაბმელის წინ მაგიდაზე დადგა.

„ყოვლადძლიერი და მარადიული ღმერთის სახელით... ამორულ, ტანეხტა, რაბურ ლატისტენ...“

ბუკის შორეული გამოძახილი განმეორდა.

„ჭეშმარიტი და მარადმსუფევი ელოის, არხიმის, რაბურის სახელით, შეგილოცავთ თქვენ და მოგიწოდებთ... ვარსკვლავის სახელით, რომელიც არის მზე, აი ამ ნიშნით, ცხოველი ღმერთის დიდებული და მრისხანე სახელით...“[1]

უეცრივ ყოველივე მიყუჩდა. საკურთხევლის წინ გამოჩნდა ლომზე შემჯდარი გვირგვინოსანი ლანდი ხელში კვერთხით.

– ბეროეს!.. ბეროეს!.. – წარმოთქვა ლანდმა ყრუ ხმით, – რისთვის მიხმობ მე?

– მე მინდა, რომ ძმებმა ჩემმა ამ ტაძარში ღია გულით მიმიღონ და მიაპყრონ ყური სიტყვებს, რომლებიც მომაქვს მათი თვის ბაბილონელ ძმათაგან, – უპასუხა ქალდეველმა.

– ეგრე იყოს! – წარმოთქვა ლანდმა და გაქრა.

ქალდეველი ქანდაკებასავით უძრავად იდგა, თავი უკან გადაეწია და ხელები აღეპყრო. ასე იდგა ის ნახევარ საათზე მეტ ხანს ჩვეულებრივი ადამიანისათვის უჩვეულო პოზაში. ამ დროს მიწისქვეშეთის კედელმა გაიწია და შემოვიდა სამი ეგვიპტელი ქურუმი. ქალდეველის დანახვისას, რომელიც თითქოს. ჰაერში ფრენდა, ზურგით უხილავ საყრდენს დაბჯენილი, ქურუმებმა ერთიმეორეს გაკვირვებით გადახედეს. მათგან უფროსმა წარმოთქვა:

---

[1] მოგვების წამდვილი შელოცვები (ავტ. შენიშ.)

– წინათ იყვნენ ჩვენში ეგეთები, მაგრამ ახლა ამას ვეღარავინ ახერხებს.

ყოველი მხრიდან შემოუარეს მას, ეხებოდნენ გაშეშებულ სხეულს და შეშფოთებით უცქეროდნენ მკვდარსავით ყვითელსა და უსისხლო პირისახეს.

– მოკვდა?.. – იკითხა უმცროსმა.

ამ სიტყვებზე ქალდეველის უკან გადაწეული სხეული თანდათან გასწორდა. სახე ოდნავ შეუვარდისფრდა, აპყრობილი ხელები ჩამოუშვა. მან ამოისუნთქა, თვალებზე ხელი ამოისვა, თითქოს გამოფხიზლდაო, შეხედა მოსულთ და წუთიერი სიჩუმის შემდეგ დაილაპარაკა:

– შენ, – მიმართა მან უფროსს, – ნოფრ, უმაღლესი ქურუმი ხარ პტას ტაძრისა მემფისში. შენ, ხერიჰორ, უმაღლესი ქურუმი ხარ ამონისა თებეში, ამ სახელმწიფოში ფარაონის შემდეგ უძლიერესი ადამიანი, შენ, – მიათითა მან უმცროსზე, – პენტუერ, მეორე წინასწარმეტყველი ხარ ამონის ტაძარში და ხერიჰორის საბჭოში...

– შენ კი უდავოდ ბეროესი ხარ, – ბაბილონის დიდი ქურუმი და ბრძენი, რომლის მოსვლა ჩვენ ერთი წლის წინათ გვეუწყა, – უპასუხა ნოფრმა.

– მართალს ბრძანებ, – უთხრა ქალდეველმა. იგი რიგრიგობით გადაეხვია ყველას. მათ კი თავი დახარეს.

– მე მოგიტანეთ დიდი ამბავი ჩვენი საერთო სამშობლოდან, რომელიც არის სიბრძნე, – განაგრძობდა ბეროესი. – მოისმინეთ და მოიქეცით როგორც საჭიროა,

ხერიჰორმა ანიშნა და პენტუერი გაემართა მიწისქვეშეთის სიღრმეში, მოიტანა მსუბუქი ხის სამი სავარძელი უფროსთათვის, დაბალი ტაბურეტი – თავისთვის, ლამპრის შორიახლოს დაჯდა, ამოიღო უბეში დამალული მომცრო ჯოხი და გასანთლული ფიცარი როცა სამივენი სავარძელში ჩასხდნენ, ქალდეველმა დაიწყო.

– შენ, ნოფრ, მოგმართავს ქურუმთა უმაღლესი კრება. ქურუმთა საღვთო კასტა ეგვიპტეში დაცემის გზაზე დგას. ბევრი მათგანი. ფულს აგროვებს, ჰყავთ ქალები და ცხოვრებას გართობაში ატარებენ. სიბრძნეს თქვენში ყურადღებას არ აქცევენ. თქვენ ვეღარ მბრძანებლობთ ვერც უხილავ სამყაროზე, ვერც საკუთარ სულებზე. ზოგიერ-

თმა თქვენგანმა დაჰკარგა მაღალი რწმენა და მომავლის განჭვრეტა არ ძალგიძთ. მაგრამ, რაც უარესია, ბევრი ქურუმი, რომლებიც გრძნობენ თავის სულიერ უძლურებას, სიცრუის გზას დაადგნენ და მარჯვე ოინებით ატყუებენ უმეცართ. ასე ამბობს უმაღლესი კოლეგია: თუ გსურთ დაუბრუნდეთ ჭეშმარიტების გზას, ბეროესი დარჩება თქვენთან რამდენიმე წლით, რათა იმ ნაპერწკლის დახმარებით, რომელიც მოიტანა ბაბილონის დიდი საკურთხევლიდან, აღანთოს ჭეშმარიტების შუქი სამყაროსა ზედა.

– ყველაფერი, რასაც შენ ამბობ, სამართლიანია, – უპასუხა მწუხარედ ნოფრმა. – დარჩი ჩვენთან რამდენიმე წელი, რომ მოზარდმა თაობამ სცნოს შენი სიბრძნე.

– ახლა კი შენდამია, ხერიჰორ, მომართული უმაღლესი კრების სიტყვები.

ხერიჰორმა თავი დახარა.

– დიდ საიდუმლოებათა უგულებელყოფის გამო თქვენმა ქურუმებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ეგვიპტეს შავი წლები უახლოვდება. თქვენ გელით შინაური უბედურება და მათი თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ სათნოებასა და სიბრძნეს. მაგრამ უფრო ცუდია სხვა რამ: თუ თქვენ უახლოესი ათი წლის განმავლობაში ასირიასთან ომს დაიწყებთ, მისი ჯარები გაანადგურებენ თქვენს ჯარებს. ისინი მოვლენ ნილოსის ნაპირებზე და გაანადგურებენ ყოველივეს, რაც კი აქ უხსოვარი დროიდან არსებობს. ისეთი ავის მომასწავებელი განლაგება ვარსკვლავებისა, როგორიც ახლაა ეგვიპტის თავზე, პირველად იყო XIV დინასტიის[1] ეპოქაში, როდესაც თქვენი მხარე დაიპყრეს და გაძარცვეს ჰიქსოსებმა. მესამედ იგი განმეორდება ხუთასი და შვიდასი წლის შემდეგ, როდესაც თქვენ დაგემუქრებათ ასირია და ხალხი პარსუა[2], რომელიც ქალდეას აღმოსავლეთით ბინადრობს.

ქურუმები თავზარდაცემულნი უსმენდნენ. ხერიჰორი გაფითრდა. პენტუერს ფიცარი ხელიდან გაუვარდა. ნოფრმა ხელი იტაცა მკერდზე ჩამოკიდებულ ავგაროზზე და გამშრალი ტუჩებით ლოცვას ჩურ-

---

[1] XIV დინასტია - ნახევრად ლეგენდარული დინასტია ფარაონებისა, რომლებიც ჩრდილოეთ ეგვიპტის ქალაქ ქსოისში მეფობდნენ.

[2] პარსუა - ასე არიან მოხსენებული სპარსელები ასირიულ წარწერებში.

ჩულებდა.

– უფრთხილდით ასირიას, – განაგრძობდა ქალდეველი, – ვინაიდან ახლა მისი ჟამია. ეს დაუნდობელი ხალხია... მას ეზიზღება შრომა და ომით ცხოვრობს. დამარცხებულთ ასირიელები სარზე აგებენ ანდა ტყავს აძრობენ. ისინი ანგრევენ დაპყრობილ ქალაქებს, ხოლო მოსახლეობას მონებად მიერეკებიან. მათი დასვენებაა მხეცებზე ნადირობა, ხოლო გასართობად ტყვეებს ისრებს ესვრიან ან თვალებს სთხრიან. ტაძრებს ნანგრევებად აქცევენ, საღვთო ჭურჭელს ნადიმებში ხმარობენ, ხოლო ბრძენ ქურუმებს მასხარებად იხდიან. ისინი ცოცხალ ადამიანებს ტყავს აძრობენ და იმით ამკობენ თავიანთ სადგომთა კედლებს, ხოლო სანადიმო სუფრაზე მტრების გასისხლიანებულ თავებს სდებენ.

როცა ქალდეველი გაჩუმდა, ლაპარაკი ნოფრმა დაიწყო:

– დიდო წინასწარმეტყველო! შენ ჩვენს სულში აღძარი შიში, მაგრამ ხსნაზე კი არ მიგვითითებ. შესაძლებელია – და უთუოდ ასეცაა, რაკი ამბობ, რომ ბედი დროებით შემოგვწყრეს. მაგრამ როგორ ავიცდინოთ ეს? ნილოსში არის საშიში ადგილები, სადაც ვერც ერთი ნავი ვერ გადარჩება, მაგრამ მესაჭის სიბრძნე შემოუვლის ხოლმე საშიშ გორგოჩანას. ასევეა ხალხთა უბედურების საქმეშიც. ხალხი ნავია, დრო კი მდინარე, რომელსაც ზოგჯერ მძაფრი გრიგალი აღელვებს. მაგრამ თუ მეთევზის დახვრეტილი ნავი ახერხებს გადაურჩეს უბედურებას, რატომ არ შეუძლია თავის დახსნა გასაჭირში ჩავარდნილ მრავალმილიონიან ხალხს?

– სიტყვანი შენნი ბრძნულნი არიან, – უპასუხა ბეროესმა, – მაგრამ ყველაფერზე არ შემიძლია პასუხის გაცემა.

– განა შენ არ უწყი ყოველი, რაც უნდა მოხდეს? – შეეკითხა ხერიჰორი.

– ნუ მეკითხები იმას, რაც ვიცი, მაგრამ განდობა არ შემიძლია. თქვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში ასირიასთან მშვიდობიანი ურთიერთობა გქონდეთ, ეს მაინც თქვენს ხელთაა. ასირიას თქვენი ჯერ კიდევ ეშინია, მან არ იცის, თქვენი ქვეყნისათვის რა არასასიკეთოდ დაემთხვა ბედის მომასწავებელი ნიშნები და სურს ომი დაუწყოს ხალხებს, რომ-

ლებიც ზღვის ნაპირას ცხოვრობენ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ახლა თქვენ შეგიძლიათ მასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება.

– რა პირობით? – შეეკითხა ხერიჰორი.

– ფრიად ხელსაყრელი პირობით. ასირია დაგითმობთ ისრაელის ქვეყანას ქალაქ აკომდე[1] და ედომის[2] მხარეს ქალაქ ელატამდე. ამგვარად თქვენი საზღვრები უომრად გადაიწევა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ათ-ათი დღის სავალზე.

– ფინიკია? – შეესიტყვა ხერიჰორი.

– ერიდეთ საცდურს!.. – წამოიძახა ბეროესმა. – თუ ახლა ფარაონი ფინიკიას წაეპოტინება, მაშინ ერთი თვის შემდეგ ასირიის ჯარები, რომლებიც ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ სალაშქროდ იყვნენ განკუთვნილი, სამხრეთისკენ მობრუნდებიან და ერთი წელიც არ გაივლის, რომ მათი ცხენები ნილოსში დაიწყებენ ბანაობას.

– მაგრამ ეგვიპტე უარს ვერ იტყვის ფინიკია თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს! – ცხარედ შეაწყვეტინა სიტყვა ხერიჰორმა.

– თუ ამ გავლენაზე უარს არ იტყვის, მაშინ ის თვითონ მოიმზადებს საკუთარ დაღუპვას, – უპასუხა ქალდეველმა. – აი უმაღლესი კრების სიტყვები: „აუწყე ეგვიპტეს, – დამაბარეს ძმებმა ბაბილონიდან, – რომ ის ათი წლის განმავლობაში ხოხობივით გაეკრას მიწას, რადგან მას ავბედითი ქორი უთვალთვალებს. აუწყე, რომ ჩვენ, ქალდეველებს, უფრო მეტად გვძულს ასირიელები, ვიდრე ეგვიპტელებს, ვინაიდან მათი ბატონობის მძიმე უღელს ვატარებთ. მაგრამ მაინც ვურჩევთ ეგვიპტეს შეინარჩუნოს მშვიდობა ამ სისხლმოყვარე ხალხთან. ათი წელი არც ისე დიდი ვადაა, ხოლო შემდეგ თქვენ შეძლებთ დაიბრუნოთ არა მარტო თქვენი წინანდელი მდგომარეობა, არამედ ჩვენც დაგვიხსნათო“.

– ეს სწორეა! – დაეთანხმა ნოფრი.

– თვითონ განსაჯეთ! – განაგრძობდა ქალდეველი. – თუ ასირია

---

[1] აკო - ქალაქი სამხრეთ ფინიკიაში, ისრაელის სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრის ახლოს.

[2] ედომი - პატარა სახელმწიფო მეწამული ზღვის სამხრეთით, ი ხან იუდეას, ხან ეგვიპტისაგან იყო დამოკიდებული.

თქვენთან ომში ჩაება, ჩაითრევს ბაბილონსაც, რომელსაც ომი არ უყვარს, გამოგვილევს სიმდიდრეს და შეაჩერებს სიბრძნის გაფურჩქვნას. კიდევაც რომ ვერ დაგიპყრონ, თქვენი ქვეყანა მრავალი წლით გაპარტახდება და დაჰკარგავს არა მარტო აუარებელ ხალხს, არამედ ნაყოფიერ მიწებსაც, ვინაიდან მათ, როცა თქვენი ხელი მოაკლდება, ერთი წლის განმავლობაში ქვიშა დაფარავს.

– ეგ გვესმის, – ჩაერია საუბარში ხერიჰორი, – და ამიტომ ფიქრადაც არ მოგვსვლია ასირიას ვაწყენინოთ; მაგრამ ფინიკია...

– თქვენ რა გესაქმებათ, უპასუხა ბეროესმა, – თუ ასირიელი ყაჩაღი გასაქანს არ მისცემს ფინიკიელ ქურდს? ამით მხოლოდ მოიგებენ ჩვენი და თქვენი ვაჭრები. ხოლო თუ მოისურვებთ, რომ ფინიკიელები თქვენს ხელთ იყვნენ, ნება დართეთ მათ თქვენს ნაპირებზე დასახლდნენ. დარწმუნებული ვარ, ვინც მათ შორის უმდიდრესი და მოხერხებულია – გაექცევა ასირიელებს.

– ჩვენს ფლოტს რაღა დაემართება, თუ ასირია ფინიკიაში თარეშს დაიწყებს? – შეესიტყვა ხერიჰორი.

– ნამდვილად ხომ ეს ფლოტი თქვენი კი არა, ფინიკიელებისაა, – უპასუხა ქალდეველმა. – როდესაც თქვენს განკარგულებაში აღარ იქნებიან ტვიროსის და სიდონის ხომალდები, თქვენ დაიწყებთ საკუთარის აგებას და შეასწავლით ეგვიპტელებს ზღვაოსნობას. და თუ გამოიჩენთ ჭკუას და საქმიანობას, მაშინ შეძლებთ ხელიდან გამოსტაცოთ ფინიკიელებს ვაჭრობა მთელ დასავლეთში.

ხერიჰორმა ხელი ჩაიქნია,

– მე გითხარით, რაც ნაბრძანები იყო, – განაცხადა ბეროესმა, – თქვენ კი მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ დაინახავთ. ოღონდ გახსოვდეთ, რომ უახლოესი ათი წელი თქვენთვის არასასიკეთოა...

– მახსოვს, წმიდაო კაცო, – ჩაერია საუბარში პენტუერი, – შენ ახსენე შინაგანი უბედურება, რომელიც ეგვიპტეს მომავალში ემუქრება. რაში უნდა გამოიხატოს ის, – ხომ არ ინებებ უპასუხო შენს მსახურს.

– ამაზე მე ნუ მეკითხებით. თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, ვიდრე მე, უცხო ადამიანმა. თქვენი თვალგამჭრიახობა გამოააშკარავებს სნეებას, ხოლო გამოცდილება მიგითითებთ განკურნების საშუალებებზე.

– ხალხი ძლიერთა და მდიდართა მძიმე უღელქვეშ ცხოვრობს! –

წაიჩურჩულა პენტუერმა.

– ღვთისმოსაობა დაეცა! – თქვა ნოფრმა.

– ბევრი ადამიანი დაპყრობითს ომზე ოცნებობს, – დაუმატა ხერიჰორმა. – მე კი დიდი ხანია ვხედავ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ომის წარმოება. იქნებ ათიოდე წლის შემდეგ შევძლოთ.

– მაშ თქვენ ხელშეკრულებას დადებთ ასირიასთან? – შეეკითხა ქალდეველი.

– ამონმა, რომელიც ჩემს გულში კითხულობს, – უპასუხა ხერიჰორმა, – იცის, რამდენად საძულველია ჩემთვის მსგავსი კავშირი. არც ისე დიდი ხანია, რაც ის საძაგელი ასირიელები ხარკს გვიხდიდნენ! მაგრამ თუ შენ, წმიდაო მამაო, და უმაღლესი კოლეგია ამბობთ, რომ ბედისწერა ჩვენს წინააღმდეგაა, ჩვენ იძულებული ვართ დავდოთ ხელშეკრულება...

– დიახ, იძულებული ვართ... – კვერი დაუკრა ნოფრმა.

– მაშინ თქვენი გადაწყვეტილება აცნობეთ ბაბილონის კოლეგიას; ისინი კი ისე მოაწყობენ, რომ მეფე ტიგლატფილესარი[1] წარმოგზავნის თქვენთან ელჩებს. მერწმუნეთ, ასეთი ხელშეკრულება ფრიად ხელსაყრელი იქნება თქვენთვის: თქვენ უომრად გაადიდებთ თქვენს სამფლობელოს! თუმცა ამაზე იფიქრა ჩვენმა ქურუმთა კოლეგიამ.

– გარდმოვლინდეს თქვენზე ყოველი მადლი: სიმდიდრე, ძალაუფლება და უმაღლესი სიბრძნე! – უთხრა ნოფრმა. – შენ მართალი ხარ, უნდა წამოვაყენოთ ჩვენი ქურუმთა კასტა და შენ, წმიდაო კაცო ბეროეს, ამაში დაგვეხმარები.

– აუცილებელია ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება, – ჩაურთო პენტუერმა,

– ქურუმები!.. ხალხი!.. – თითქოს თავისთვის თქვა ხერიჰორმა. – უწინარეს ყოვლისა, უნდა ავლაგმოთ ისინი, ვისაც ომი სწყურია. მართალია, ფარაონი ჩემს მხარეზეა და, მგონია, მემკვიდრეზეც ერთგვარი გავლენა მოვიპოვე, მაგრამ ნეიტიკერი, რომელსაც ომი ისე სჭირ-

---

[1] ტიგლატფილესარი - ერთ-ერთი ასირიელი დამპყრობთაგანი, რომელმაც მთელი რიგი გალაშქრება მოაწყო ნაირის ქვეყანაში, მცირე აზიაში მცხოვრებ ხეთების წინააღმდეგ, აგრეთვე დაიპყრო სირიის რამდენიმე სახელმწიფო, ფინიკიის ჩათვლით.

დება, როგორც თევზს წყალი... მოქირავნე ჯარების უფროსებიც, რომლებიც მხოლოდ ომის დროს მოიპოვებენ ხოლმე ჩვენში მნიშვნელობას. ჩვენი არისტოკრატიაც, რომელიც ფიქრობს, რომ ომი დაუფარავს ფინიკიელი მევახშეების ვალებს და სიმდიდრეს მოუტანს.

– ამავე დროს კი მიწის მუშა ვეღარ უძლებს აუტანელი შრომის სიმძიმეს, ხოლო საზოგადოებრივ სამუშაოებზე მომუშავენი ჯანყდებიან მმართველთა სისასტიკის წინააღმდეგ. – ჩაურთო პენტუერმა.

– ეს სულ თავისას ლაპარაკობს! – თქვა ხერიჰორმა. – შენ, პენტუერ, იფიქრე გლეხებსა და მუშებზე, შენ კი, ნოფრ – ქურუმებზე. არ ვიცი, რის გაკეთებას მოახერხებთ, მაგრამ ვფიცავ, ჩემი საკუთარი შვილიც რომ ომისათვის აქეზებდეს ეგვიპტეს, არ დავზოგავდი.

– ასეც მოიქეცი, – უთხრა ქალდეველმა, – თუმცა, ვისაც სურს, დაე იომოს, ოღონდ არა იქ, სადაც მას ასირიასთან შეჯახება მოუხდება.

ამით დამთავრდა თათბირი. ქალდეველმა შარფი მხარზე გადაიგდო და სახეზე პირბადე ჩამოიფარა, ნოფრი და ხერიჰორი გვერდით ამოუდგნენ, პენტუერი კი უკან დადგა, ყველას პირი საკურთხევლისკენ ჰქონდა მიქცეული.

როდესაც გულზე ხელდაკრეფილი ბეროესი რაღაცას ჩურჩულებდა, მიწისქვეშეთში კვლავ დაიწყო მოძრაობა; გაისმა შორეული გუგუნი. დამსწრენი გაოცებით უგდებდნენ ყურს. მაშინ მოგვმა ხმამაღლა წარმოთქვა:

– ბარალკეკსის, ბალდახიენსის, პაუმახის, მოგიწოდებთ, რომ მოწმენი იქნეთ ჩვენი მორიგებისა და გვიწევდეთ მფარველობას.

უეცრივ გაისმა ბუკის ხმა, იმდენად მკაფიო, რომ ნოფრი მიწაზე დაემხო, თავზარდაცემულმა ხერიჰორმა უკან მოიხედა, ხოლო პენტუერი მუხლებზე დაეცა და, მთლად აკანკალებულმა, ყურებში თითები დაიცვა.

საკურთხევლის მეწამული კრეტსაბმელი შეინძრა და მისმა ნაკეცებმა ისეთი მოხაზულობა მიიღო, თითქოს იქიდან კაცს უნდა გამოსვლაო.

– იყავით მოწმენი, – შეცვლილი ხმით უხმობდა ქალდეველი, – თქვენ, ზეციერნო და ჯოჯოხეთის ძალნო! ხოლო ვინც ფიცს გატეხს ან შეთანხმების საიდუმლოებას გასცემს, წყეულიმც იქნას...

„წყეულიმც იქნას...“ – გაიმეორა ვიღაცის ხმამ.

– და დაიღუპოს...

„და დაიღუპოს...“

– ამ, ხილულსა, და იმ, უხილავ ქვეყნად, გამოუთქმელი სახელითა იეღოვასი, რომლის ხმაზე დედამიწა ძრწის, ზღვა ნაპირთაგან უკუიქცევა, ალი ქრება და ბუნებაში ყოველივე ელემენტებად იშლება...

კაცს ეგონებოდა, მიწისქვეშეთში ნამდვილი ჭექა-ქუხილი ატყდაო. ბუკების ხმა შორეული ქუხილის გრუხუნს უერთდებოდა. საკურთხევლის კრეტსაბმელი ჩამოვარდა და თითქმის მიწაზე მიჰქროდა, ხოლო მის იქით შეუწყვეტელ ელვაში ჩნდებოდნენ რაღაც უცნაური ქმნილებანი – ნახევრად ადამიანები, ნახევრად მცენარეები და ნახევრად მხეცები – და ერთიმეორეში შერეულ უზარმაზარ გორგლებად იხვეოდნენ...

ანაზდად ყოველივე მიწყნარდა, და ბეროესი ნელა ავიდა ჰაერში სამი ქურუმის თავს ზემოთ.

დილის რვა საათზე ხარანელი პხუტი დაბრუნდა ფინიკიელის სასტუმროში – „გემთან“, სადაც მისი ტომრები და სკივრი უკვე ნაპოვნი დახვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა ასარჰადონის ნდობით აღჭურვილი მსახურიც. პატრონმა იგი სარდაფში ჩაიყვანა და აჩქარებით ჰკითხა:

– აბა, მიამბე რა ნახე?

– მთელი ღამე ვიდექი მოედანზე, – უპასუხა მსახურმა, – სადაც აღმართულია სეთის ტაძარი. საღამოს ათ საათზე ბაღიდან, რომელიც „მწვანე ვარსკვლავის“ სახლს ხუთი სამფლობელოს მანძილითაა დაშორებული, გამოვიდა სამი ქურუმი. ერთმა მათგანმა, შავთმიანმა და შავწვერიანმა, მოედანი გადაჭრა და სეთის ტაძრისაკენ გაემართა. უკან დავედევნე, მაგრამ ნისლი ჩამოწვა და თვალთაგან დამეკარგა. დაბრუნდა თუ არა „მწვანე ვარსკვლავში“ ან როდის, – არ ვიცი.

სასტუმროს პატრონმა ეს ამბავი რომ მოისმინა, შუბლზე ხელი შემოიკრა და ბუტბუტი დაიწყო:

– თუ ჩემი ხარანელი ქურუმსავით იცვამს და ტაძარში დადის, მაშ ის ქურუმი ყოფილა; ხოლო რამდენადაც თმასა და წვერს ატარებს, – ჩანს, იგი ქალდეველი ქურუმია. ის ამბავი, რომ იგი ფარულად ხვდება

აქაურ ქურუმებს, ეჭვს ბადებს. ამის შესახებ პოლიციას არაფერს ვეტყვი, თორემ შესაძლებელია მეც მომხვდეს, მაგრამ ვაცნობებ რომელიმე გავლენიან სიდონელს, ამით შეიძლება ხეირიც ვნახო თუ ჩემთვის არა, ჩვენებისთვის მაინც.

მალე დაბრუნდა მეორე მოციქულიც. ასარჰადონი მასთან ერთადაც ჩავიდა სარდაფში და შემდეგი მოისმინა:

– მთელი ღამე მოპირდაპირე მხარეს ვიდექი სახლთან – „მწვანე ვარსკვლავის“ ქვეშ. ხარანელი იქ იყო, დათვრა და ისე ღრიალებდა, რომ პოლიციელმა მეკარეს შენიშვნაც კი მისცა...

– რაო?.. – შეეკითხა პატრონი. – ხარანელი მთელი ღამე „მწვანე ვარსკვლავში“ იმყოფებოდა? და შენ ის დაინახე?..

– მარტო მე კი არა, პოლიციელმაც.

ასარჰადონმა მოიხმო პირველი მსახური და თითოეულს გაამეორებინა თავიანთი ნაამბობი. ორივემ ზუსტად გაიმეორა. მათი ნაამბობიდან გამოდიოდა, რომ ხარანელი პხუტი მთელი ღამე ქეიფობდა „მწვანე ვარსკვლავში“; ერთი წუთითაც არსად წასულა, და რომ იმავ დროს გვიან ღამით წავიდა სეთის ტაძარში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

– ეჰ!.. – თავისთვის წაიბუტბუტა ფინიკიელმა. – აქ რაღაც თვალთმაქცობა იმალება... უნდა საჩქაროდ ვაცნობო ფინიკიელთა თემის უხუცესთ, რომ ამ ხეთელს შეუძლია ერთდროულად ორ ადგილას იყოს. თანაც მოვთხოვ მას საჩქაროდ წაეთრეს ჩემი სასტუმროდან. არ მიყვარს, როცა კაცს ორი სახე აქვს, – ერთი თავისი, მეორე კი – სათადარიგო, ყოველი შემთხვევისათვის. ასეთი კაცი ან დიდი თაღლითია, ან ჯადოქარი, ან კიდევ შეთქმული.

ასარჰადონს ერთისაც ეშინოდა, მეორისაც და მესამისაც, ამიტომ საჩქაროდ ილოცა ყველა ღმერთის წინაშე, რომლებიც მის სასტუმროს ამკობდნენ, და წარმოთქვა შელოცვა ჯადოსნობის წინააღმდეგ; შემდეგ კი გაიქცა ქალაქში, რათა ფინიკიელთა თემის უხუცესებისა და ქურდების საამქროს მამასახლისისათვის ეცნობებინა მომხდარი ამბავი. ეს რომ შეასრულა და შინ დაბრუნდა, პოლიციელი გამოიძახა და განუცხადა, რომ პხუტი, ყველა ნიშნის მიხედვით, საშიში კაცია. ხარანელს კი მოსთხოვა, მისი სასტუმრო დაეცალა: არავითარ მოგებას

არ მაძლევ და ჩემი სასტუმროს მიმართ მხოლოდ ეჭვს აღუძრავ პოლიციასო.

პხუტი სიამოვნებით დათანხმდა და განუცხადა, ამ საღამოსვე ნავით თებეში მივემგზავრებიო.

„ღმერთმა უკან აღარ დაგაბრუნოს! – გაიფიქრა სტუმართმოყვარე ასარჰადონმა. – ქვის სამტეხლოებში დამპალხარ, ნიანგსაც ჩავარდნიხარ კბილებში“.

თავი ოცდამეერთე

ტახტის მემკვიდრემ მოგზაურობა დაიწყო წლის საუკეთესო დროს, ფამენტის თვეში – დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დამდეგს.

წყალმა თავის ჩვეულებრივი დონის ნახევრამდე დაიკლო და მიწის სულ ახალ-ახალ ნაკვეთს აჩენდა. თებეს მხრიდან ზღვისკენ მოცურავდა პურით დატვირთული აუარებელი ტივი. ქვემო ეგვიპტეში სამყურასა და კასიას თიბავდნენ. ფორთოხლისა და ბროწეულის ხეები აყვავდა. მინდორში სელს, ქერს, ცერცვს, ლობიოს, კიტრსა და სხვა მარცვლეულსა და ბოსტნეულს თესავდნენ.

ქურუმების, სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების, ფარაონის გვარდიისა და ხალხის თანხლებით, მეფისნაცვალმა რამზესმა დილის ათ საათზე ფეხი შედგა ოქროთი დაფერილ ორჩხომელში. გემბანის ქვეშ, რომელზეც დადგმული იყო ძვირფასი კარვები, ნიჩბებს უჯდა ოცი მეომარი. ანძასთან, ცხვირსა და კიჩოზე ადგილი დაიკავეს გემის საუკეთესო ტექნიკოსებმა. ერთნი იალქნებს ადევნებდნენ თვალს, მეორენი საჭეს მართავდნენ და მესამენი მენიჩბეებს ხელმძღვანელობდნენ.

რამზესმა ორჩხომელზე თავისთან მიიწვია უმაღლესი ქურუმი ნოფრი და წმიდა მამა მენტესუფისი, რომლებიც მას გზაში უნდა ხლებოდნენ, და შემდეგ მმართველობის საქმეში დახმარებოდნენ. მიწვეულ იქნა აგრეთვე მემფისის ნომარქოსი, რომელმაც ბატონიშვილი თავისი პროვინციის საზღვრამდე გააცილა.

ორჩხომელის წინ ერთხანს მიცურავდა მემფისის მეზობელი პროვინციის, დაუს, ნომარქოსის კეთილშობილი ტეტის ლამაზი ხომალ-

დი, ხოლო უკან – ურიცხვი ნავი კარისკაცებით, ქურუმებით, ოფიცრებითა და მოხელეებით.

სურსათით და მსახურებით სავსე ხომალდები კი უფრო ადრე გავიდნენ.

მემფისამდე ნილოსი ორ მთაგრეხილს შუა მიედინება. შემდეგ მთები აღმოსავლეთით და დასავლეთით უხვევენ, მდინარე კი იყოფა რამდენიმე ტოტად, რომელთა წყალი ფართო ბარზე მიჩუხჩუხებს ზღვისკენ.

როცა ხომალდი ნავმისადგომს მოსცილდა, ბატონიშვილს უნდოდა უმაღლეს ქურუმ ნოფრთან ესაუბრა, მაგრამ ხალხის მისასალმებელი შეძახილები მათ ლაპარაკს ხელს უშლიდა. მემკვიდრე იძულებული გახდა კარვიდან გამოსულიყო და ხალხს ჩვენებოდა. მაგრამ ხმაური გაძლიერდა: მდინარის ნაპირები სულ ერთიან დაფარული იყო ნახევრად შიშველი თუ სადღესასწაულოდ გამოწყობილი ქალაქელებით. ბევრს თავზე ყვავილის გვირგვინები ჰქონდა და თითქმის ყველას ხელში ეჭირა მწვანე რტოები. გაისმოდა სიმღერები, დაფისა და სალამურის ხმა.

მდინარის ნაპირების გასწვრივ მრავლად განლაგებული ვედროიანი ოწინარები ამ დღეს უქმად იდგა. სამაგიეროდ ნილოსში დასრიალებდნენ მცირე ნავები დ მენიჩბეები მემკვიდრის ორჩხომელის შესახვედრად ყვავილებს ისროდნენ. ზოგი ხტებოდა წყალში და ცურვით მისდევდა მთავრის ხომალდს.

„ისე მესალმებიან, თითქოს ფარაონი ვიყო“, – გაიფიქრა რამზესმა და გული სიამაყით აღევსო, როცა ხედავდა ამდენ მოკაზმულ ხომალდს, რომლებიც მას შეეძლო ხელის ერთი დაქნევით შეეჩერებინა, და ამ უამრავ ხალხს, რომელსაც თავი დაენებებინა სამუშაოსთვის და თუმცა მდინარეზე გამეფებულ ჭედვასა და ორომტრიალში ადვილად შეიძლებოდა დაღუპულიყო კიდეც, მაინც თავგამეტებით წინ მიიწევდა, ოღონდ კი მისი ღვთაებრივი სახისათვის შეეხედა. განსაკუთრებით დამათრობლად მოქმედებდა რამზესზე ხალხის შეძახილები, ერთი წუთითაც რომ არ წყდებოდა. ეს შეძახილები მთლად უვსებდა გულს, თავში უვარდებოდა და აღაფრთოვანებდა. ბატონიშვილს ეჩვენებოდა, ფიცარნაგიდან რომ გადავხტე, წყალში არ ჩავვარდები,

ხალხის აღფრთოვანება ამიტაცებს, ფრინველივით ამწევსო მაღლა.

როცა ორჩხომელი მდინარის მარცხენა ნაპირს მიუახლოვდა, ბრბოში ცალკეული ადამიანების ფიგურები უფრო მკაფიოდ გამოისახა და რამზესმა თავისთვის მოულოდნელი რამ შეამჩნია. მაშინ, როდესაც პირველ რიგებში ადამიანები მღეროდნენ და ტაშს უკრავდნენ, უკან მდგომთა ზემოთ ხან აღიმართებოდა კეტები, ხან უჩინარ ზურგებზე დაეშვებოდა. გაოცებულმა მეფისნაცვალმა მემფისის ნომარქოსს მიმართა:

– რა არის ეს, მაღალღირსო?.. იქ, ვგონებ, კეტებს ატრიალებენ.

ნომარქოსმა ხელით თვალები მიიჩრდილა, – კისერიც კი გაუწითლდა.

– მაპატიე, დიდად პატივცემულო ხელმწიფევ, ცუდად ვხედავ...

– იქ ხალხსა სცემენ... დიახ, რა თქმა უნდა, სცემენ, – გაიმეორა რამზესმა.

– შესაძლებელია... – უპასუხა ნომარქოსმა, –შესაძლებელია, პოლიციამ ქურდების ბრბო დაიჭირა.

პასუხით არცთუ მთლად კმაყოფილი მემკვიდრე გავიდა კიჩოზე, სადაც გემის ტექნიკოსები იმყოფებოდნენ და მემფისის მხრისკენ გაიხედა.

ნილოსის აყოლებაზე ნაპირები თითქმის ცარიელი იყო, ნავები გაქრა. ოწინარები, რომლებითაც წყალს ხაპავდნენ, ისე მუშაობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

– რაო, დღესასწაული გათავდა? – შეეკითხა მეფისნაცვალი ერთ ტექნიკოსს.

– დიახ, ხალხი სამუშაოს დაუბრუნდა, – უპასუხა მან.

– ასე მალე!

– გაცდენილი დრო უნდა აინაზღაურონ, – მოახსენა გაუფრთხილებელმა ტექნიკოსმა.

მემკვიდრე შეძრწუნდა. ჩააშტერდა მოსაუბრეს, მაგრამ უმალ შეიკავა თავი და კარავში დაბრუნდა. ხალხის შეძახილი უკვე აღარ ახარებდა. ის მოიღუშა და დადუმდა. შელახული სიამაყის დაცხრომის შემდეგ ბატონიშვილმა ზიზღი იგრძნო ბრბოსადმი, რომელიც აღფრთოვანებიდან სწრაფად უბრუნდება თავის ყოველდღიურ სამუშა-

ოს, ოწინარებით მღვრიე წყლის ამოხაპვას.

ამ ადგილიდან ნილოსი ტოტებად იყოფოდა. დუაუს ნომარქოსის ხომალდი დასავლეთისკენ მიტრიალდა და ერთი საათის შემდეგ ნაპირს მიადგა. აქ ხალხი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მემფისთან. ყველგან იდგა მწვანით მორთული საზეიმო თაღები და ალმიანი სვეტები. სულ უფრო და უფრო ხშირად მოჩანდა უცხოური სახეები და ტანსაცმელი. როცა რამზესი ნაპირზე გადმოვიდა, მასთან მივიდნენ ქურუმები, რომლებსაც გავალაკი მოჰქონდათ, და ღირსმა ნომარქოსმა ტეტიმ მეფისნაცვალს სიტყვით მიმართა:

– სალამი შენდა, ღვთაებრივი ფარაონის ნაცვალო, დუაუს ნომის მიწა-წყალზე. ნიშნად შენი წყალობისა, რომელიც ჩვენთვის ზეციურ ცვარს ედრება, კეთილ ინებე ჩვენი მფარველის ღმერთ პტასადმი მსხვერპლის შეწირვა, და მიიღე შენს მზრუნველობასა და გამგებლობაში ეს ნომი მისი ტაძრებით, მმართველებით, ხალხით, საქონლით, პურითა და ყველაფრით, რაც კი მასში მოიპოვება.

შემდეგ ნომარქოსმა წარუდგინა სურნელებანაპკური, ფერუმარილწასმული, ოქრომკედით მოქარგულ ტანსაცმელში გამოწყობილი კოპწია ყმაწვილების ჯგუფი. ესენი იყვნენ ადგილობრივი არისტოკრატები, უმეტესად ნომარქოსის მახლობელი და შორეული ნათესავები.

რამზესი მათ დიდი ყურადღებით აკვირდებოდა.

– აჰა! – წამოიძახა მან, – სულ მეჩვენებოდა, რომ მათ რაღაც აკლიათ. ახლა ვხედავ, რომ უპარიკოდ არიან...

– ვინაიდან შენ, ყოვლადღირსო ხელმწიფევ, თვითონ არ ატარებ პარიკს, ამიტომ ჩვენმა ახალგაზრდობამაც უარი განაცხადა ამ სამკაულის ტარებაზე, – უპასუხა ნომარქოსმა.

ამის შემდეგ ერთი ახალგაზრდა მეფისნაცვლის ზურგს უკან დადგა მარაოთი, მეორე – ფარით, მესამე – შუბით და პროცესიაც დაიწყო. მემკვიდრე გავალაკის ქვეშ მიაბიჯებდა, წინ კი მიდიოდა ქურუმი საგუნდრუკეთი, რომელშიც ნელსურნელება იკმეოდა; აქვე მოდიოდა რამდენიმე ქალიშვილი, რომლებიც ვარდებს მიმოაბნევდნენ იმ ბილიკზე, სადაც ბატონიშვილს უნდა გაევლო. საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი რტოებით ხელში იდგა გზის გასწვრივ და ჰაერს

აზანზარებდა სიმღერებითა და ყვირილით, ანდა პირქვე ემხობოდა ფარაონის ნაცვლის წინაშე, მაგრამ რამზესმა შენიშნა, რომ თუმცა სიხარულს ხმამაღლა გამოთქვამდნენ, ყველას დაღონებული და მოღუშული სახე ჰქონდა. შენიშნა აგრეთვე ისიც, რომ ხალხი დაყოფილია ჯგუფებად, რომელთაც ვიღაცები მართავენ და კვლავ ცივი ზიზღი იგრძნო ბრბოსადმი, რადგან მას სიხარულიც კი არ ეხერხებოდა.

პროცესია ნელა უახლოვდებოდა მარმარილოს სვეტს, რომელიც დუაუსა და მემფისის ნომების მიჯნას აღნიშნავდა. სვეტს სამი მხრიდან წარწერა ჰქონდა, იგი პროვინციის მიწის, მოსახლეობისა და ქალაქების რაოდენობას აღნიშნავდა. მეოთხე მხრიდან იდგა ღმერთი პტას ქანდაკება. მას ბეჭებამდე საბურველი ჰქონდა მოსხმული, თავს ჩვეულებრივი ჩაჩი ეხურა და ხელში კვერთხი ეკავა.

ერთმა ქურუმმა ბატონიშვილს მიაწოდა ოქროს კოვზი, შიგ სურნელება იკმეოდა. მემკვიდრემ ჩურჩულით დაიწყო ლოცვა, მაღლა აიქნია საგუნდრუკე და რამდენჯერმე თაყვანი სცა.

ხალხისა და ქურუმების ყვირილი უფრო ხმამაღლა გაისმოდა, არისტოკრატ ახალგაზრდათა სახეზე კი მეფისწულმა დამცინავი ღიმილი შენიშნა. მემკვიდრე, რომელიც ხერიჰორთან შერიგების წუთიდან დიდ პატივს მიუძღვნიდა ღმერთებსა და ქურუმებს, ცოტა არ იყოს მოიღუშა და ერთბაშად ყველამ სერიოზული სახე მიიღო, ზოგიერთი კი პირქვე დაემხო სახელმწიფოს ბურჯის წინაშე.

„მართლაცდა, – გაიფიქრა ბატონიშვილმა, – რამდენად უკეთესნი არიან კეთილშობილი წარმოშობის ადამიანები, ვიდრე ეს ბრბო... ესენი გულით მონაწილეობენ იმაში, რასაც აკეთებენ, და არა ისე, როგორც ისინი, რომელთაც გული მოიჯერეს ჩემს საპატივცემო ყვირილით და სიხარულით მიიჩქარიან თავიანთ ჭებისა და დაზგებისაკენ“.

ახლა რამზესმა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, იგრძნო რა განსხვავებაა მასსა და მდაბიო ხალხს შორის, და მიხვდა, რომ მხოლოდ არისტოკრატიაა ის კლასი, რომელთანაც მას ერთი და იგივე გრძნობები აკავშირებს. უეცრად რომ გამქრალიყვნენ ეს ტანადი ჭაბუკები და ლამაზი ქალიშვილები, რომლებიც აღგზნებული თვალებით იჭერდნენ მეფისწულის ყოველ მოძრაობას, რათა მყისვე შეესრულებინათ მისი ბრძანება და ეამებინათ, – ესენი რომ გამქრალიყვნენ, მა-

შინ ის ამ ურიცხვ ბრბოში თავს უფრო მარტოხელად იგრძნობდა, ვიდრე უდაბნოში.

რვა ზანგმა მოიტანა სირაქლემას ფრთებით მორთულ გავალაკიანი ტახტრევანი და ნაცვალი გაემართა ნომის სატახტო ქალაქ სემეხში, სადაც მთავრობის სასახლეში დაბინავდა. ამ პროვინციაში, რომელიც მემფისიდან რამდენიმე მილით იყო დაშორებული, რამზესმა თითქმის ერთი თვე გაატარა. მთელი ეს დრო მომსვლელთა მიღებაში, ყოველგვარ საპატივცემულო დღესასწაულებსა და მოხელეთა წარდგინებებსა და ნადიმებში გავიდა.

ლხინი ორ წყებად იმართებოდა: ერთი ეწყობოდა სასახლეში, და მასში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ არისტოკრატია, მეორე – შიდა ეზოში, სადაც ჭამდნენ შემწვარ ხარებს, ასობით პურს და სვამდნენ ასობით ჩაფ ლუდს. აქ მეფისნაცვლის მსახურებსა და დაბალ მოხელეებს უმასპინძლდებოდნენ.

რამზესი განცვიფრებული იყო ნომარქოსის სიუხვით და ადგილობრივ წარჩინებულთა თავდადებით, რომელნიც დღედაღამ გარს ეხვეოდნენ, მის თითოეულ მიხრა-მოხრას ეხმაურებოდნენ და მზად იყვნენ ყოველი მისი ბრძანება შეესრულებინათ.

ბოლოს, გართობებით დაღლილმა მეფისწულმა ტეტის განუცხადა, ფარაონის ბრძანების თანახმად მინდა დაწვრილებით გავიცნო პროვინციის მეურნეობაო.

მისი სურვილი შესრულებულ იქნა. ნომარქოსმა შესთავაზა ჩამჯდარიყო ტახტრევანში, რომელიც მხოლოდ ორ კაცს მიჰქონდა, და დიდი ამალის თანხლებით გამგზავრებულიყო ღმერთქალის ხატორის[1] ტაძარში. იქ ამალა ტაძრის წინკართან დარჩა. რამზესი კი, ნომარქოსის ბრძანებით, ტაძრის ერთ-ერთი პილონის კოშკზე აიყვანეს, სადაც ნომარქოსიც თან ახლდა.

ექვსსართულიანი კოშკის მწვერვალიდან, საიდანაც ქურუმები ზეცას უკვირდებოდნენ და ფერადი ალმების მეშვეობით მეზობელ ტაძრებს უკავშირდებოდნენ, შეიძლებოდა მთელი პროვინციის დანახვა ირგვლივ რამდენიმე მილის მანძილზე.

აქედან ტეტიმ დაანახვა მეფისნაცვალს, სად მდებარეობს ფარაო-

[1] ხატორი – ზეცისა და სიყვარულის ღმერთქალი ძველ ეგვიპტეში.

ნის ყანები და ვენახები, რომელ არხს წმენდენ, რომელ კაშხალს აკეთებენ, სად დგას ბრინჯაოს გამოსადნობი ღუმელები, სად მდებარეობს ფარაონის უხვხორბლიანი მიწები და ლოტოსით და პაპირუსით დაბურული ჭაობები, რომელი მინდვრებია ქვიშით დაფარული და ასე შემდეგ.

რამზესი აღტაცებული იყო მშვენიერი ხედით და მხურვალე მადლობას უძღვნიდა ტეტის ასეთი სიამოვნების მინიჭებისათვის. მაგრამ როცა სასახლეში დაბრუნდა და, მამის რჩევის თანახმად შეუდგა თავისი შთაბეჭდილებების ჩაწერას, დარწმუნდა, რომ არაფერი მიმატებია იმას, რაც უკვე იცოდა დუაუს ნომის მდგომარეობის შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ რამზესმა კვლავ მოსთხოვა ტეტის პროვინციის მართვის თაობაზე ახსნა-განმარტება. მაშინ ღირსეულმა ნომარქოსმა უბრძანა მოხელეებს შეკრებილიყვნენ და გაევლოთ მემკვიდრის წინ, რომელიც სასახლესთან ამაღლებულ ადგილას იჯდა.

რამზესს ჩაუარეს უფროსმა და უმცროსმა ხაზინადრებმა, მწერლებმა, რომლებიც აღრიცხავდნენ მოსავალს, ღვინოს, პირუტყვსა და ქსოვილებს, კალატოზებისა და მიწისმთხრელთა მამასახლისებმა, ხმელეთისა და წყლის ინჟინრებმა, ყოველგვარი სენის მკურნალებმა, მუშათა პოლკების ოფიცრებმა, პოლიციელებმა, მწერლებმა, მოსამართლეებმა, საპყრობილეთა ზედამხედველებმა, პარასქიტებმა და ჯალათებმაც კი. მათ შემდეგ პატივცემულმა ნომარქოსმა რამზესს წარუდგინა ამ პროვინციაში საკუთრივ მისი კარის ადმინისტრაციის მთელი შტატი. ბატონიშვილი დიდად გაკვირდა, როცა გაიგო, რომ დურუს ნომის მთავარ ქალაქში მის სამსახურში ირიცხებიან: მეეტლე, მშვილდოსანი, ფარის, შუბისა და ჩუგლუგის მტვირთველები, ოციოდე მებარგული, რამდენიმე მზარეული, მერიქიფე, დალაქი და მრავალი სხვა მსახური, რომლებიც თურმე მისდამი სიყვარულით და ერთგულებით ყოფილან აღსავსენი, მაშინ, როდესაც თვითონ მათზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა.

მემკვიდრე დაქანცა ამ მოსაწყენმა და უაზრო დათვალიერებამ და სულით დაეცა. მას თავზარს სცემდა ის აზრი, რომ არაფერი ესმის და, მაშასადამე, არც სახელმწიფოს მართვის უნარი შესწევს, მაგრამ შიშით საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელდა ამას.

თუ არ ძალუძს ეგვიპტის მართვა და თუ ხალხმა გაიგო ეს ამბავი, – რა მოუვა მას?.. ისღა დარჩენია, რომ თავი მოიკლას. რამზესი გრძნობდა, რომ უტახტოდ მისთვის არ არის ბედნიერება, რომ ხელისუფლების გარეშე მას სიცოცხლე არ შეუძლია.

მაგრამ როცა რამდენიმე დღე დაისვენა, რამდენადაც შეიძლებოდა დასვენება სასახლის აურზაურში, კვლავ იხმო ტეტი და უთხრა.

– მე გთხოვე, პატივცემულო ნომარქოსო, გაგეცნო ჩემთვის, თუ როგორ განაგებ შენს ნომს. შენ მაჩვენე მხარე და მოხელეები, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი მესმის. პირიქით, თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩვენი ტაძრების ჯურღმულებში მყოფი ადამიანი, რომელიც თავის გარშემო იმდენ გზას ხედავს, რომ აღარ იცის, რომელს დაადგეს, რათა იქიდან ამოვიდეს.

ნომარქოსს წყენა და წუხილი აღებეჭდა სახეზე.

– რა ვქნა? – წამოიძახა მან, – რა გსურს ჩემგან, მბრძანებელო? ოღონდ თქვი, და შემოგწირავ მთელ ჩემს ხელისუფლებას, სიმდიდრესა და თვით საკუთარ თავსაც.

რაკი ნახა, რომ ტახტის მემკვიდრე მოწყალებით ისმენს მის ამ რწმუნებათ, განაგრძო:

– მოგზაურობის დროს შენ ნახე ამ ნომის ხალხი, შენ იტყვი, ყველა არ იყოო. სწორეა, მაგრამ მე ვუბრძანებ, რომ გამოვიდეს მთელი მოსახლეობა, ის კი – მამაკაცების, ქალების, მოხუცების და ბავშვების ჩათვლით, ორას ათასამდე კაცს შეადგენს. შენ ინებე ჩვენი ტერიტორიისათვის გადაგვხედა პილონის ზეთავიდან. მაგრამ თუ გსურს, ჩვენ შეგვიძლია ახლოდან დავათვალიეროთ თითოეული ყანა, თითოეული სოფელი, ქალაქის თითოეული ქუჩა; დაბოლოს მე გიჩვენე მოხელეები, რომელთა შორის, მართალია, არ იყვნენ არც მთლად დაბალი მოხელეები, მაგრამ მიბრძანე და ხვალ ყველა შენს წინაშე პირქვე დაემხობა. სხვა რა უნდა ვქნა? მიბრძანე, ხელმწიფევ!

– მე მწამს შენი ერთგულება, – უპასუხა ბატონიშვილმა. – მაგრამ ამიხსენი ორი რამ: პირველი – რატომ შემცირდა ფარაონის შემოსავალი; მეორე – შენ თვითონ რას აკეთებ, ნომს რომ განაგებ?

ტეტი შეკრთა. მემკვიდრემ მაშინვე განუმარტა:

– მე მინდა ვიცოდე ეს, რადგან ახალგაზრდა ვარ და ჯერ მხოლოდ

ვეჩვევი გამგებლობას.

– მაგრამ შენი სიბრძნე ასი წლის მოხუცსაც პატივს დასდებდა! – წაილუღლუღა ნომარქოსმა.

– აი, რატომ არის ჩემთვის, – განაგრძობდა თავის აზრს რამზესი, – აუცილებელი რჩევა და გამოცდილი ადამიანების მითითებები. იყავი ჩემი მასწავლებელი.

– ყველაფერს გაჩვენებ და გიამბობ. ოღონდ აქედან ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ასეთი ხმაური არ იქნება...

მართლაც, მეფისნაცვლის სასახლის შიდა და გარე ეზოებში ხალხი ისე ირეოდა, როგორც ბაზრობაზე. ყველა სვამდა, ჭამდა, მღეროდა ანდა ერთმანეთს სირბილსა და ჭიდაობაში ეჯიბრებოდა – და ყოველივე ეს ხდებოდა მეფისნაცვლის საპატივცემოდ.

ნაშუადღევის სამის ნახევარზე ნომარქოსმა ბრძანა თავლიდან გამოეყვანათ ორი ცხენი, რომლებზეც შესხდნენ თვითონ და რამზესი და ქალაქგარეთ წავიდნენ. კარისკაცები სასახლეში დარჩნენ და გართობას განაგრძობდნენ.

მშვენიერი დღე იყო. გრილოდა, მიწა მწვანით და ყვავილებით იყო დაფარული. მხედრებს თავს დაჰგალობდნენ ჩიტები. ჰაერი საამური სურნელებით იყო გაჟღენთილი.

– რა კარგია აქ! – წამოიძახა რამზესმა. – მთელი თვის განმავლობაში პირველად შევძელი აზრების მოკრება. მეჩვენებოდა, ჩემს თავში საომარი ეტლების მთელი კოლონა დაბინავდა და დღედაღამე ვარჯიშობს-მეთქი.

– ასეთია ქვეყნის მბრძანებელთა ხვედრი, – უპასუხა ნომარქოსმა.

ისინი შეჩერდნენ ბორცვზე. მათს ფეხქვეშ გაშლილი იყო ვრცელი მდელო, რომელსაც ცისფერი ნაკადი სერავდა. ჩრდილოეთით და სამხრეთით თეთრად მოჩანდა ქალაქის კედლები. მდელოს იქით თვით ცის კიდემდე გადაჭიმული იყო დასავლეთ უდაბნოს მოწითალო ქვიშნარი, საიდანაც, თითქოს გახურებული ღუმელიაო, დროგამოშვებით მოდიოდა ცხელი ქარის ფშვინვა.

მდელოზე შინაური პირუტყვის ურიცხვი ჯოგი ძოვდა: რქიანი და ურქო ხარები, ცხვრები, თხები, ვირები, ჯეირნები და მარტორქებიც კი. აქა-იქ მწვანე ლაქებივით მოჩანდა წყლის მცენარეებითა და ბუჩ-

ქნარით დაფარული ჭაობები, რომლებიც სავსე იყო გარეული ბატებით, იხვებით, ყარყატებით, ძენძერუკებითა და ვარხვებით.

– შეხედე, ხელმწიფევ, – თქვა ნომარქოსმა, – აი, ჩვენი მხარის სურათი. ოზირისმა შეიყვარა უდაბნოში მდებარე მიწის ეს ნაკვეთი, მან დააჯილდოვა უხვი მცენარეულობით და ცხოველებით, რომ ადამიანის სასარგებლო ყოფილიყო. შემდეგ კეთილმა ღმერთმა მიიღო ადამიანის სახე და პირველი ფარაონი გახდა. როცა იგრძნო, რომ გვამი უძაბუნდება, დაუტევა ის და თავის შვილში, ხოლო შემდეგ კი შვილიშვილში ჩასახლდა, ამრიგად ოზირისი უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობს ჩვენს შორის ფარაონის სახით და სარგებლობს ეგვიპტის სიმდიდრით, რომელიც თვითონ შექმნა. ჩვენმა ღმერთმა და ბატონმა მძლავრ ხესავით ტანი აიყარა. მისი ძლიერი ტოტები ეგვიპტის მეფეებია, როკები – ქურუმები და ნომარქოსები, ხოლო ფოთლები – თავადაზნაურობა. ხილული ღმერთი ზის მიწიერ ტახტზე და კრეფს ქვეყნიდან მისთვის დაწესებულ ხარკს. უხილავი ღმერთი იღებს ტაძრებში მსხვერპლს, შეწირვებს და ქურუმთა პირით გამოთქვამს თავის ნება-სურვილს.

– ეს მართალია, შენიშნა ბატონიშვილმა, – ამაზე, საღვთო წიგნებშიც არის დაწერილი.

– რადგანაც ოზირის-ფარაონს, – განაგრძობდა ნომარქოსი, არ შეუძლია თვითონ გაუძღვეს ამქვეყნიურ მეურნეობას, ამიტომ თავისი სამკვიდრებლის მეთვალყურეობა მოგვანდო ჩვენ, ნომარქოსებს, რომელთა გვარი მისგან მომდინარეობს.

– ესეც მართალია, დაეთანხმა რამზესი. – ზოგჯერ სხივმფინარი ღმერთი ნომარქოსში განხორციელდება და დასაბამს ანიჭებს ახალ დინასტიას. ასე წარმოიქმნენ მემფისის, ელეფანტინის, თებეს და ქსიოსის დინასტიები.

– ყოველივე ეს სრულიად სამართლიანია, ხელმწიფევ, – განაგრძობდა ტეტი. ახლა კი გიპასუხებ იმაზე, რასაც მეკითხებოდი. რას ვაკეთებ აქ, ნომში?.. მე ვიცავ ოზირის-ფარაონის ქონებას და მასში ჩემს წილსაც. შეხედე ამ ჯოგს – შენ ხედავ სხვადასხვა პირუტყვს: ზოგი რძეს იძლევა, ზოგი – ხორცს, ზოგი კიდევ – მატყლსა და ტყავს. ასევეა ეგვიპტის მოსახლეობაც – ზოგს პური მოაქვს, ზოგს – ღვინო, ქსო-

ვილები, ჭურჭლეული, ზოგიც სახლებს აშენებს. ჩემი საქმეა თითოეულისაგან მივიღო ის, რაც მას ევალება, და ფარაონს გავუგზავნო. მე ვერ შევძლებდი ასეთი მრავალრიცხოვანი ჯოგისათვის თვალყური ედევნებინა, ამიტომ შევარჩიე ერთგული ძაღლები და ბრძენი მწყემსები; ზოგი პირუტყვს წველის და პარსავს, ატყავებს, სხვები დარაჯობენ, რომ ქურდებმა არ მოიპარონ ან მხეცებმა არ დაგლიჯონ. ასევეა ნომის მიმართაც: მე ვერ მოვასწრებდი ყველა გადასახადის აკრეფას და ადამიანთა დაცვას ბოროტებისაგან; საამისოდ მყავს მოხელეები, რომლებიც აკეთებენ იმას, რაც სწორად მიაჩნიათ, მე კი თავიანთი მოქმედების ანგარიშს მაბარებენ.

– ყველაფერი ეს სწორია, – სიტყვა შეაწყვეტინა რამზესმა. – მე ვიცი და მესმის, მაგრამ მაკვირვებს, რატომ შემცირდა მეფის შემოსავალი, რომელსაც თითქოს ასე ერთგულად იცავენ?

– მოიგონე, – უპასუხა ნომარქოსმა, – რომ თუმცა ღმერთი ისეთი ღვიძლი ძმაა შუქმფინარი ოზირისისა, მაგრამ სძულს ის, ებრძვის და ხელს უშლის მის კეთილ წამოწყებათ. ის მოუვლენს ხოლმე ადამიანსა და პირუტყვს ჭირს, აკეთებს ისე, რომ ნილოსის წყალდიდობა ან ფრიად მცირეა, ანდა მეტად უხვი. წლის ცხელ დროში იგი ქვიშის ბოლქვებით ფარავს ეგვიპტეს. კარგ წელს ნილოსი უდაბნომდე აღწევს, ცუდ წელს, პირიქით – უდაბნო ნილოსამდე მიდის და მეფის შემოსავალიც ძალაუნებურად მცირდება. შეხედე, – განაგრძო მან და მდელოზე მიუთითა, – რა მრავალრიცხოვანია ეს ჯოგები, მაგრამ ჩემს ახალგაზრდობაში კიდევ მეტი იყო. მერედა ვინ არის ამაში დამნაშავე? არავინ, გარდა სეთისა, რომლის წინააღმდეგაც უძლურია ადამიანის ძალა. ეს მდელო, ახლა ვეებერთელა, ოდესღაც ისე დიდი იყო, რომ ამ ადგილიდან ჩანდა უდაბნო, რომელიც ახლა შიშსა გვგვრის. იქ, სადაც ღმერთები ებრძვიან ერთმანეთს, ადამიანი უძლურია; სადაც სეთი ამარცხებს ოზირისს, ადამიანები რას გახდებიან?

ტეტი გაჩუმდა. ბატონიშვილმა თავი ჩაქინდრა. ცოტა როდი მოესმინა სკოლაში ოზირისის სიკეთისა და სეთის მზაკვრობაზე და ჯერ კიდევ ბავშვობაში აღშფოთებულა აქამდე რატომ არ გაუსწორდნენო სეთს.

„როდესაც გავიზრდები, – ფიქრობდა რამზესი მაშინ, – და შუბის

ხელში დაჭერას შევიძლებ, მოვნახავ სეთს და ვნახავ ვინ ვის მოერევა!“

ახლა კი ის გასცქეროდა ქვიშის უსაზღვრო სივრცეს, მზაკვარი ღმერთის ამ სამეფოს, რომელიც ეგვიპტის შემოსავალს ამცირებდა, მაგრამ მასთან შერკინებაზე აღარ ფიქრობდა. როგორ უნდა ებრძოლო უდაბნოს? მას ან გვერდი უნდა აუარო, ანდა შიგ დაიღუპო.

თავი ოცდამეორე

დუაუს ნომში ყოფნამ მემკვიდრე ისე მოქანცა, რომ ბრძანა შეეწყვიტათ მის საპატივცემოდ გამართული ყოველი ზეიმი და გამოეცხადებინათ, რომ ხალხი მის მისასალმებლად აღარ გამოსულიყო. ამალას უკვირდა ასეთი ბრძანება და ცოტათი ბუზღუნებდა კიდეც, მაგრამ ბრძანება შესრულდა და რამზესის ცხოვრება კვლავ ერთგვარად დამშვიდებული შეიქნა. მას რჩებოდა დრო, რომ ხელი მოეკიდა. ჯარისკაცთა ვარჯიშობისათვის ამ თავის საყვარელი საქმისათვის და წესრიგში მოეყვანა თავისი აზრები.

სასახლის ყველაზე მოშორებულ კუთხეში განმარტოებული ბატონიშვილი ბევრს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რამდენად შეასრულა მამის ბრძანება. მან საკუთარი თვალით ნახა დუაუს ნომი, მისი ყანები, ქალაქები, გაიცნო იქაური მოსახლეობა და მოხელეები. თვითონ შეამოწმა და დარწმუნდა, რომ პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში უდაბნო შემოიჭრა; ნახა, რომ გონებაჩლუნგი და ყველაფრისადმი გულგრილი მშრომელი მოსახლეობა მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც უბრძანებენ, და თანაც უხალისოდ; დაბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭეშმარიტად თავდადებული, ერთგული ადამიანების პოვნა შეიძლება მხოლოდ არისტოკრატიის წრეში, რომლის წარმომადგენლები ან ფარაონის ნათესავები არიან ან სამხედრო წოდებას ეკუთვნიან და იმ ჯარისკაცების შვილიშვილები არიან, რომლებიც რამზეს დიდის დროშების ქვეშ იბრძოდნენ.

ყოველ შემთხვევაში ეს ადამიანები ნამდვილად ერთგულნი არიან დინასტიისა და სურთ წრფელი გულმოდგინებით ემსახურონ მას. იმ გლეხებს კი არ ჰგვანან, რომლებიც მისასალმებელ წამოძახილებს

მოათავებენ თუ არა, მაშინვე გარბიან თავის ხარებსა და ღორებთან.

მაგრამ მთავარი ამოცანა არ იყო გადაწყვეტილი. რამზესმა არათუ ვერ გამოარკვია მეფის შემოსავლის შემცირების მიზეზი, ისიც კი ვერ მოახერხა, რომ რიგიანად გარკვეულიყო სად მარხია ბოროტების ფესვი და როგორ შეიძლება ამ საქმის გამოსწორება. მას ესმოდა, რომ ღმერთ სეთის ლეგენდარული ბრძოლა ღმერთ ოზირისთან ვერაფერს ხსნის და ვერ მიუთითებს ისეთ საშუალებებზე, რომლებიც საქმეს უშველიდა,

ამავე დროს ტახტის მემკვიდრეს, როგორც მომავალ ფარაონს, სურდა მიეღო უფრო დიდი შემოსავალი, ვიდრე ღებულობდნენ ეგვიპტის წინანდელი მბრძანებლები, და ბრაზი ერეოდა, როცა გაიფიქრებდა – ტახტზე ასვლისას შეიძლება მამაჩემივით ღარიბი აღმოვჩნდე, თუ უფრო ღატაკი არაო. „არასოდეს!“ – ამბობდა ის და ხელებს მუშტავდა.

სამეფო სიმდიდრის გასადიდებლად ის მზად იყო თავისი მახვილით თვით ღმერთ სეთს შებრძოლებოდა და ისე აეკუწა, როგორც თვითონ სეთმა უყო თავის ძმას ოზირისს. მაგრამ სასტიკი ღმერთისა და მისი ლეგიონების ნაცვლად რამზესის წინაშე სიცარიელე, დუმილი და გაურკვევლობა სუფევდა.

ამ აზრებით განაწამებმა ერთხელ უმაღლეს ქურუმს ნოფრს მიმართა.

– მითხარი, ყოველი სიბრძნით აღსავსე წმიდა მამაო, რატომ მცირდება სახელმწიფოს შემოსავალი და რა გზით შეიძლება მისი გადიდება?

უმაღლესმა ქურუმმა ზეცისაკენ აღაპყრო ხელები.

– კურთხეულია სული, – წამოიძახა მან, – რომელმაც შენ, ღირსეული ბატონო, ასეთი აზრი გიკარნახა... ვვედრი ღმერთებს, რომ დიდ ფარაონთა კვალს გაჰყვე, ააგო მთელს ეგვიპტეში მდიდარი ტაძრები და კაშხალებისა და არხების დახმარებით გაადიდო ნოყიერი მიწების ფართობი!..

მოხუცი ისე იყო გულაჩუყებული, რომ ცრემლი მოერია.

– უწინარეს ყოვლისა, – ჩაერია ტახტის მემკვიდრე, – მიპასუხე იმაზე, რასაც გეკითხები. განა შეგვიძლია ვიფიქროთ არხების და ტაძრე-

ბის მშენებლობაზე, როცა ხაზინა ცარიელია? ეგვიპტეს უდიდესი უბედურება ეწია: მის მბრძანებლებს სიღატაკე ემუქრება. ესაა მთავარი, რაც გამოკვლეულ და გამოსწორებულ უნდა იქნას. დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

– ამას, ხელმწიფევ, შეიტყობ მხოლოდ ტაძრებში, საკურთხეველთა კვარცხლბეკთან, – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა. – მხოლოდ იქ შეიძლება დაკმაყოფილდეს შენი კეთილშობილი ცნობისმოყვარეობა.

რამზესს მოუსვენრობა დაეტყო.

– თქვენი უწმინდესობის თვალში ტაძრები ფარავს მთელ ქვეყანას და ფარაონის ხაზინასაც კი... – წამოიძახა მან, – მე თვითონ ქურუმების მოწაფე ვარ და ტაძრების ჭერქვეშ ვიზრდებოდი. მე მინახავს საიდუმლო წესების შესრულება, რომლებშიც თქვენ სეთის ვერაგობას და ოზირისის სიკვდილსა და აღორძინებას გამოსახავთ; მაგრამ რა ყრია ამაში? როდესაც მამა მკითხავს, როგორ შევავსოთ სახელმწიფო ხაზინაო, მე არაფერი მექნება მისთვის სათქმელი, გარდა იმისა, რომ შევთხოვო კიდევ უფრო მეტად და ხშირად ილოცოს, ვიდრე აქამდე.

– შენ მკრეხელობ, ბატონიშვილო, ვინაიდან არ იცი რელიგიის მაღალი საიდუმლოებანი. რომ იცოდე, შენ თვითონ გასცემდი პასუხს ბევრ საკითხზე, რომლებიც გაწუხებენ. ხოლო რომ გენახა ის, რაც მე მინახავს, დამიჯერებდი, რომ ეგვიპტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ტაძართა და მის მსახურთა ამაღლება.

„მოხუცი მთლად ბავშვდება“, – გაიფიქრა რამზესმა და შეწყვიტა საუბარი. უმაღლესი ქურუმი ნოფრი მუდამ დიდი ღვთისმოსავი იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ თითქმის უცნაურობამდე მიდიოდა.

„კარგი ვინმე კი ვიქნებოდი, – ფიქრობდა რამზესი გუნებაში, – თუ ხელში ჩავუვარდებოდი ქურუმებს, რათა მათ ბალღურ წესებში მონაწილეობა მიმეღო. ალბათ, ნოფრი მეც მაიძულებდა მთელი საათობით ხელაპყრობილი გავჩერებულიყავი საკურთხევლის წინ, როგორც ამას თვითონ სჩადის, ალბათ, სასწაულის მოლოდინში“.

ფარმუტის თვეში (იანვრის ბოლო და თებერვლის დამდეგი) ბატონიშვილი გამოემშვიდობა ტეტის, რადგან ხეკა-ანეჯის ნომში უნდოდა გადასვლა. მან მადლობა გადაუხადა ნომარქოსსა და წარჩინე-

ბულ მოხელეებს ჩინებული მიღებისათვის, მაგრამ წუხდა, რომ მამის დავალება ვერ შეასრულა.

ტეტის ნათესავებისა და მახლობლების თანხლებით მემკვიდრე გადავიდა ნილოსის მეორე ნაპირას, სადაც მას შეხვდა პატივცემული ნომარქოსი რანუსერი დიდებულებითა და ქურუმებით, როგორც კი რამსესმა შედგა ფეხი ხეკა-ანეჯის მიწაზე, ქურუმებმა ზევით ასწიეს ამ პროვინციის მფარველი ღმერთის ატუმის ქანდაკება, მოხელეები პირქვე დაემხნენ, ხოლო თვით ნომარქოსმა ოქროს ნამგალი მიართვა და სთხოვა, როგორც ფარაონის მემკვიდრეს, დაეწყო მკა, ქერის აღება იწყებოდა.

რამზესმა აიღო ნამგალი, მოჭრა თავთავის რამდენიმე კონა და დაწვა მიჯნების დამცველი ღმერთის წინ. მის შემდეგ იგივე შეასრულეს ნომარქოსმა და დიდგვაროვანმა დიდებულებმა, ბოლოს მკა გლეხებმა დაიწყეს. ისინი მხოლოდ თავთავებს აგროვებდნენ და ტომრებში ყრიდნენ. ნამჯა კი ყანაში რჩებოდა.

როდესაც მემკვიდრემ შეასრულა ეს წეს-ჩვეულებანი, რომელნიც მეტად მოსაბეზრებლად ეჩვენა, ეტლში ჩაჯდა; წინ ჯარისკაცთა მცირე რაზმი მიდიოდა, რაზმს უკან – ქურუმები; ორ დიდგვაროვან დიდებულს აღვირით მიჰყავდა ტახტის მემკვიდრის ცხენი. მეფისნაცვლის უკან მიდიოდა მეორე ეტლში მჯდომი ნომარქოსი რანუსერი, ხოლო მის უკან დიდებულთა და კარისკაცთა მრავალრიცხოვანი ამალა. ხალხი, რამზესის ბრძანების თანახმად, შესახვედრად არ გამოდიოდა, მაგრამ ყანებში მომუშავე გლეხები მის დანახვაზე პირქვე ემხობოდნენ.

ასე გაიარეს ნილოსის ტოტებსა და არხებზე გადებული რამდენიმე ტივტივა ხიდი და საღამო ჟამს ონუში – პროვინციის დედაქალაქში მივიდნენ.

რამდენიმე დღე გაგრძელდა საპატივცემო ლხინი, მეფისნაცვლისათვის პატივის მიგება, მოხელეების წარდგენა, ბოლოს რამზესმა ზეიმის შეწყვეტა მოითხოვა და ნომარქოსს ნომის სიმდიდრეთა გაცნობა სთხოვა.

დათვალიერება მეორე დღეს დაიწყო და რამდენიმე კვირას გაგრძელდა. ყოველ დღე მოედანზე, სასახლის წინ, სადაც მემკვიდრე

ცხოვრობდა, თავს იყრიდა ხელოსანთა სხვადასხვა ამქარი, ამქართა ოსტატების მეთაურობით, რათა მემკვიდრისათვის ეჩვენებინათ თავიანთი ნახელავი.

მოდიოდნენ რიგრიგობით მეიარაღეები მახვილებით, შუბებითა და ჩუგლუგებით; მუსიკალური ინსტრუმენტების ოსტატები დუდუკით, ნაღარით, დაფითა და ქნარით. მათ მოსდევდა დურგლების მრავალრიცხოვანი ამქარი; ისინი მოეზიდებოდნენ სავარძლებს, მაგიდებს, დივნებს, ტახტრევანებსა და ეტლებს, რომლებიც შემკული იყო მდიდრული სურათებით და გაწყობილი ფერადი ხით, სადაფითა და სპილოს ძვლით. შემდეგ მოჰქონდათ სამზარეულოს ლითონის სხვადასხვა ჭურჭლეული: გელები, სატაცები, ორყურიანი ქოთნები, ხუფიანი ბრტყელი ტაფები. ოქრომჭედლები ამაყობდნენ არაჩვეულებრივი სილამაზის ოქროს ბეჭდებით, ელექრონისაგან, ესე იგი ოქროსა და ვერცხლის შენადნობისაგან ნაკეთები სამაჯურებითა და დასტანაგებით, ძეწკვებით; ყველაფერი ეს მხატვრული ჩუქურთმებით ოსტატურად შემკობილი და ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი ან მინანქარით შეფერადებული.

პროცესია მთავრდებოდა მეთუნეებით, რომელთაც ასზე მეტი ხარისხის თიხის ჭურჭელი მოიტანეს. იქ იყო ნაირფერი სურათებით მოხატული და ცხოველთა და ფრინველთა თავებით დამშვენებული ვაზები, თასები, ქოთნები, ფიალები, ხელადები და სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის ტოლჩები.

ყოველი ამქარი მემკვიდრეს საჩუქრად მიართმევდა თავის საუკეთესო ნახელავს. საჩუქრებით გაივსო დიდი დარბაზი, თუმცა მათ შორის თუნდაც ორ ერთნაირ ნივთს ვერ იპოვნიდა კაცი. საინტერესო, მაგრამ დამქანცველი ცერემონიის დამთავრების შემდეგ ნომარქოსი რამზესს შეეკითხა, კმაყოფილი ხარ თუ არაო? მან მაშინვე არ უპასუხა.

– ამაზე უფრო ლამაზი ნივთები მხოლოდ ტაძრებში ან მამაჩემის სასახლეებში მინახავს. მაგრამ რადგანაც მათი შეძენა მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ, მე არ ვიცი, ღებულობს თუ არა სახელმწიფო მათგან საკმაო შემოსავალს.

ნომარქოსი გააკვირვა ახალგაზრდა მბრძანებლის ასეთმა გულ-

გრილობამ ხელოვნების ნაწარმოებთადმი და შეაშფოთა სახელმწიფო შემოსავალზე მისმა ასეთმა ზრუნვამ; მაგრამ რადგან ეწადა რამზესის გულის მოგება, ამ დროიდან მოყოლებული, სამეფო ფაბრიკებსა და სახელოსნოებში დაატარებდა.

ინახულეს წისქვილები, სადაც მონები რამდენიმე ასეული დოლაბისა და როდინის დახმარებით ხორბალს ფქვილად აქცევდნენ; იყვნენ ფურნეებში, სადაც ჯარისთვის პურსა და ორცხობილას აცხობდნენ; თევზის სარეწებში, სადაც თევზისა და ხორცის კონსერვებს ამზადებდნენ; დაათვალიერეს ტყავის მსხვილი ქარხნები და საქსოვი ფაბრიკები, ბრძმედები, სადაც ჭურჭლებისა და იარაღისათვის ბრინჯაოს ადნობდნენ; აგურის ქარხნები, ფეხსაცმელის სახელოსნოები.

ყველა ეს საწარმო ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში იყო განლაგებული. რამზესი მათ თავდაპირველად ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა, მაგრამ მალე მობეზრდა შეხედვა იმ შეშინებული, გამხდარი მუშებისა, რომელთაც სახეზე ავადმყოფური ფერი ედოთ და ზურგზე კეტით ცემისაგან მიყენებული ნაიარევები აჩნდათ.

რამზესი ცდილობდა რაც შეიძლება ცოტა ხანს დარჩენილიყო სახელოსნოებში, იგი ამას ქალაქ ონუს მიდამოების დათვალიერებას ამჯობინებდა. შორს აღმოსავლეთით მოჩანდა უდაბნო, სადაც გასულ წელს მანევრები ჩატარდა. ხელისგულზე გადაშლილივით ხედავდა, შარაგზას, რომელზეც მარშით დადიოდნენ მისი პოლკები, ადგილს, სადაც ხოჭოებს წააწყდნენ და იძულებული იყვნენ კედლის სანგრევი იარაღებიანად უდაბნოში გადაეხვიათ; იქნებ ხედავდა იმ ხესაც, რომელზეც თავი ჩამოიხრჩო არხის გამთხრელმა გლეხმა. აგერ იმ სიმაღლიდან გადასცქეროდნენ ის და თუტმოსი გოშენის აყვავებულ მხარეს და რამზესი ქურუმების ლანძღვაში იყო. იმ ბორცვებს შორის შეხვდა სარას, რომლის სიყვარულითაც აენთო გული.

როგორ შეიცვალა ყველაფერი!... მას აქეთ რაც ხერიჰორის წყალობით კორპუსი და მეფისნაცვლობა მიიღო, რამზესს აღარ სძულდა ქურუმები. სარა, როგორც სატრფო, გულს აღარ უჩქროლებდა, სამაგიეროდ სულ უფრო და უფრო აინტერესებდა ბავშვი, რომლისთვისაც ქალს სიცოცხლე უნდა მიეცა.

„ნეტავ როგორ ცხოვრობს? – ფიქრობდა ბატონიშვილი,– დიდი

ხანია მისი ამბავი აღარ ვიცი“. როცა ის, ახლო წარსულის მოგონებებით გართული, შორს აღმოსავლეთის მაღლობებს გასცქეროდა, მისი ამალის მეთაურმა ნომარქოსმა რანუსერმა გადაწყვიტა, მემკვიდრემ რაღაცაში შეამჩნია, რომ ბოროტად ვიყენებ ნომარქოსობას, და იმას ფიქრობს, თუ როგორ დამსაჯოსო.

„მაგრამ რა შეეძლო შეემჩნია? – ღელავდა ღირსპატივსაცემი ნომარქოსი. იქნებ ის, რომ აგურის ნახევარი ფინიკიელ ვაჭრებს მივყიდე? ან ის, რომ საწყობში ათი ათასი სანდალი აკლია? ან იქნებ ვინმე არამზადამ რამე წასჩურჩულა სადნობართა შესახებ?..“

რანუსერი დიდად შეწუხებული იყო,

ბატონიშვილი ანაზდად ამალისკენ მიბრუნდა და მოიხმო თუტმოსი, რომელიც ვალდებული იყო ყოველთვის მას ხლეოდა.

მემკვიდრე მასთან ერთად განზე გავიდა.

– გამიგონე, – მიუთითა მან უდაბნოზე, – ხედავ, იმ მთებს?

– ჩვენ იქ შარშან ვიყავით, – ოხვრით მოიგონა ადიუტანტმა,

– მე სარა მომაგონდა...

– ახლავე სურნელებას ვუკმევ ღმერთებს, – წამოიძახა თუტმოსმა, – თორემ მე უკვე მეგონა, რაკი მეფისნაცვალი განდი, შენი ერთგული მსახურების დავიწყება ინებე!..

რამზესმა შეხედა და მხრები აიჩეჩა.

– ამოარჩიე, – უთხრა მან, – იმ საჩუქრებში, რომლებიც მე მომიტანეს, რამდენიმე ყველაზე ლამაზი ვაზა, ჭურჭლეულიდანაც ამოარჩიე, და, რაც მთავარია, სამაჯურები და ძეწკვები – და წაუღე სარას.

– მარად იცოცხლე, რამზეს! – წყნარად წარმოთქვა კოპწია ყმაწვილმა. – შენ კეთილშობილი ბატონი ხარ!

– უთხარი მას, – განაგრძობდა ბატონიშვილი, – რომ ჩემი გული მუდამ სავსეა მისდამი მოწყალებით. უთხარი, რომ თავს გაუფრთხილდეს და იფიქროს ბავშვზე. როცა მშობიარობის დრო მოვა და მე მამაჩემის დავალებას შევასრულებ, მაშინ-თქო, უთხარი სარას, ჩემთან წამოგიყვან და ჩემს სახლში იცხოვრებ-თქო. ვერ დავუშვებ, რომ ჩემი შვილის დედას მარტოობით გული უკვდებოდეს. გაემგზავრე, გააკეთე, რაც გითხარი და კარგი ამბით დაბრუნდი.

თუტმოსი პირქვე დაემხო თავისი მბრძანებლის წინ და მაშინვე

გზას გაუდგა. მემკვიდრის ამალა ვერ მიხვდა მათი ლაპარაკის შინაარსს; მაგრამ ხედავდნენ, რა მოწყალედ ეპყრობოდა რამზესი თუტმოსს და შურდათ ახალგაზრდა ადიუტანტის ბედი. ღირსპატივსაცემ რანუსერს კი უფრო შემაშფოთებელი ფიქრები იპყრობდა.

„ნეტავ თავის მოსაკლავად არ შემექნეს საქმე, – ფიქრობდა დანაღვლიანებული ნომარქოსი, – და ახალგაზრდობაში არ დავაობლო ჩემი ოჯახი. როგორ ვბედავდი მე უბედური ფარაონის სიმდიდრის მითვისებას და არც კი ვფიქრობდი განკითხვის საათზე!“

სახეზე ზაფრანის ფერი დაედო, მუხლები ეკეცებოდა. მაგრამ მოგონებათა ტალღებით მოცული რამზესი ვერ ამჩნევდა მის შეშფოთებას.

თავი ოცდამესამე

ქალაქ ონუში ახლა ლხინისა და გართობის ხანა დაიწყო. ნომარქოსმა რანუსერმა სარდაფიდან ამოიტანა საუკეთესო ღვინოები, სამი მეზობელი ნომიდან მოვიდნენ ულამაზესი მოცეკვავე ქალები, განთქმული მესაკრავეები, დახელოვნებული ოინბაზები. რამზესს მთელი დღე მოცლა არა ჰქონდა. დილას სამხედრო ვარჯიშობა, დიდ მოხელეთა მიღება, შემდეგ სადილი, სანახაობანი, ნადირობა და, ბოლოს, წვეულება.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ხეკა-ანეჯის ნომარქოსი დარწმუნებული იყო, მეფისნაცვალს უკვე მობეზრდა მმართველობისა და მეურნეობის საკითხებიო, რამზესმა იხმო და შეეკითხა:

– შენი ნომი ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ნომია?

– დიახ... თუმცა რამდენიმე მძიმე წლის გადატანა მოგვიხდა... – უპასუხა რანუსერმა, ისევ შეეკუმშა გული და ფეხები აუკანკალდა.

– აი სწორედ ეს მაკვირვებს, – განაგრძობდა რამზესი, – იმიტომ რომ მეფის შემოსავალი წლითიწლობით მცირდება. ხომ ვერ ამიხსნი ამის მიზეზს?

– ხელმწიფევ, – უთხრა ნომარქოსმა და ბატონიშვილის წინ მიწამდე დაიხარა, – ვხედავ, რომ ჩემს მტრებს შენს გულში ჩემდამი უნდობლობა ჩაუნერგავთ, და რაც არ უნდა ვთქვა, ძნელი იქნება შენი დარ-

წმუნება. ამიტომ ნება მომეცი მეტი არაფერი გითხრა. უმჯობესია მოვიდნენ აქ მწერლები და მოგიტანონ დოკუმენტები, რომლებსაც შენ თვითონ შეგიძლია შეეხო ხელით და შეამოწმო...

მემკვიდრე ცოტათი გააკვირვა ასეთმა მოულოდნელმა პასუხმა, მაგრამ მაინც მიიღო წინადადება და კიდეც გაუხარდა. იფიქრა მწერლების მოხსენებები მმართველობის საიდუმლოებაში გამარკვევსო.

და აი მეორე დღეს მასთან გამოცხადდა ხეკა-ანეჯის ნომის მთავარი მწერალი თავისი თანაშემწეებით, რომლებმაც თან მოიტანეს პაპირუსის აუარებელი გრაგნილი. პაპირუსები ორივე მხარეს აჭრელებული იყო ნაწერით. როცა გრაგნილები გაშალეს, სამი მტკაველი სიგანისა და სამოცი ნაბიჯის სიგრძის ლენტი შეიქნა. რამზესი პირველად ხედავდა ასეთ ვეება დოკუმენტს, რომელიც მხოლოდ ერთი პროვინციის ერთი წლის ცნობებს შეიცავდა.

მთავარი მწერალი ფეხებმოკეცით დაჯდა იატაკზე და დაიწყო:

– მერი-ამონ რამზესის მეფობის ოცდამეცამეტე წელს ნილოსის წყალდიდობამ დაიგვიანა. გლეხებმა, რომლებიც ამ უბედურებას ხეკა-ანეჯის პროვინციაში მცხოვრებ უცხოელთა ჯადოსნობას მიაწერდნენ, იწყეს ურწმუნო ებრაელების, ხეთებისა და ფინიკიელების სახლების ნგრევა. ამასთან რამდენიმე ადამიანი მოკლულ იქნა. მაღალღირსი ნომარქოსის ბრძანებით დამნაშავენი სამართალში მისცეს: ოცდახუთ გლეხს, ორ მხატვარს და ხუთ ხელოსანს ქვის სამტეხლოებში მუშაობა მიუსაჯეს, ერთი მეთევზე კი მოაშთეს.

– ეს რა დოკუმენტია? – იკითხა მემკვიდრემ.

– ესაა სასამართლოს ანგარიში, შედგენილი იმ მიზნით, რომ ის მეფის ფერხთა წინაშე იქნას წარდგენილი.

– გადადე და წაიკითხე ხაზინის შემოსავლის შესახებ.

მთავარი მწერლის თანაშემწეებმა დაახვიეს გადადებული დოკუმენტი და მეორე მიართვეს. დიდმა მწერალმა ისევ დაიწყო კითხვა:

– თოტის თვის მეხუთე დღეს მეფის ბეღლებში მოიტანეს ექვსასი საწყაო ხორბალი, რაზედაც მთავარმა ზედამხედველმა ხელწერილი გასცა. თოტის თვის მეშვიდე დღეს დიდმა ხაზინადარმა შეამოწმა და გაიგო, რომ შარშანდელ მოსავალს მო, აკლდა ას ორმოცი საწყაო ხორბალი. შემოწმების დროს ორმა მუშამ ორი საწყაო ხორბალი მო-

იპარა და აგურებში დამალა. როდესაც ეს გამომჟღავნდა, ორივე სამართალში მისცეს და ქვის სამტეხლოებში გადაასახლეს იმის გამო, რომ ხელჰყვეს მისი უდიდებულესობის ქონება.

– ის ას ორმოცდარვა საწყაო რაღა იქნა? – შეეკითხა მემკვიდრე.

– თაგვებმა შეჭამეს, – უპასუხა მწერალმა და კითხვა განაგრძო: – თოტის თვის მერვე დღეს დასაკლავად გამოგზავნეს ოცი ძროხა და ოთხმოცდაოთხი ცხვარი, რომლებიც საჩეხის ზედამხედველის განკარგულებით სათანადო ხელწერილის ქვეშ გადაეცა პოლკს – „ქორი“.

ამრიგად, მემკვიდრე იგებდა ყოველდღიურად, რამდენი ქერი, ხორბალი, ლობიო და ლოტოსის თესლი იყო მიტანილი ბეღლებში, რამდენი გადაეცა წისქვილს, რამდენი მოიპარეს და რამდენი მუშა გადაასახლეს ამისათვის ქვის სამტეხლოებში.

ანგარიში ისე მოსაწყენი და არეულ-დარეული იყო, რომ პაოფის თვის ნახევრამდე რომ მივიდნენ, მემკვიდრემ ბრძანა კითხვა შეეწყვიტათ.

– მითხარი, მთავარო მწერალო, – შეეკითხა რამზესი, – რა გაიგე მთელი ამ წაკითხულიდან?..

– ყველაფერი, რაც კი მეფის ძეს ნებავს!

და მან ყველაფრის თავიდან განმეორება დაიწყო, მაგრამ უკვე ზეპირად:

– თოტის თვის მეხუთე დღეს მოტანილი იქნა მეფის ბეღლებში...

– კმარა! – გაჯავრებით წამოიძახა რამზესმა და ბრძანა გაცლოდნენ.

მწერლები პირქვე დაემხნენ, აჩქარებით შეაგროვეს პაპირუსები, კვლავ დაემხნენ პირქვე და სწრაფად გავიდნენ. მემკვიდრემ ნომარქოსი რანუსერი იხმო. ის გულზე ხელდაკრეფილი გამოცხადდა, მაგრამ სახე მშვიდი ჰქონდა. მწერლებმა მოასწრეს ეცნობებინათ მისთვის, მეფისნაცვალმა მოხსენებებს ვერაფერი გაუგო და არც კი მოგვისმინაო.

– მითხარი, მაღალღირსო ნომარქოსო, შენც გიკითხავენ ამ ანგარიშებს?

– ყოველ დღე.

– და შენ გესმის რაიმე?

– მაპატიე, მაგრამ უამისოდ მე ვერ შევძლებდი ნომის გამგებლობას.

რამზესი შეკრთა. იქნებ მართლაც თვითონაა გაუგებელი?., მაშინ როგორიღა მმართველი იქნება?

– დაჯექი, – უთხრა მან მცირე დუმილის შემდეგ რანუსერს და სკამზე მიუთითა. – დაჯექი და მიამბე, როგორ განაგებ ნომს?

დიდებული გაფითრდა და თვალები შუბლქვეშ გაუქრა. რამზესმა ეს შეამჩნია და მაშინვე დაამშვიდა:

– არ იფიქრო, შენს სიბრძნეს არ ვენდობოდე. პირიქით, არ მეგულება სხვა, ვინც შენზე უკეთესად განაგებდეს. მაგრამ ახალგაზრდა ვარ ცოდნისმოყვარე. მე მსურს ვიცოდე, რაში მდგომარეობს მმართველობის ხელოვნება. და აი გთხოვ გამიზიარო გამოცდილების ნაწილი. შენ ნომს განაგებ, მაშ ამიხსენი, რაში მდგომარეობს გამგებლობა?

ნომარქოსმა შვებით ამოისუნთქა და უთხრა:

– მე აგიწერ ჩემი დღის მთელ განაწესს, რომ იცოდე, რა მძიმეა ჩემი მოვალეობანი. დილით, აბაზანის შემდეგ, მე მსვერპლს ვწირავ ღმერთ ატუმს, მერე ვიხმობ ხაზინადარს და ვეკითხები, წესიერად შემოდის თუ არა სამეფო გადასახადები. თუ ის მეტყვის, კიო, შევაქებ, ხოლო მეტყვის ამან და ამან არ გადაიხადაო, ურჩების დაპატიმრებას ვბრძანებ. შემდეგ ვიხმობ მეფის ბეღლების ზედამხედველს, რათა ვიცოდე, რამდენი პური მოიტანეს. თუ ბევრი მოიტანეს – ვაქებ, თუ ცოტა – ვუბრძანებ დამნაშავენი გაჯოხონ. შემდეგ მოდის მთავარი მწერალი და მომახსენებს, რა სჭირდება მეფის მამულებიდან ჯარს, მოხელეებს, მუშებს. მე ვუბრძანებ გასცენ ხელწერილებით. თუ ის ნაკლებს დახარჯავს – ვაქებ, თუ მეტს – გამოძიებას ვნიშნავ. ნაშუადღევს მოდიან ფინიკიელი ვაჭრები, რომლებსაც მივყიდი პურს, ხოლო ფული ფარაონის ხაზინაში შემაქვს. შემდეგ ვლოცულობ და ვამტკიცებ სასამართლოს განაჩენთ. საღამოს პოლიცია მაცნობებს მომხდარ შემთხვევებს. გუშინწინ ჩემი ნომის ხალხი გადავიდა მეზობელი პროვინციის ტერიტორიაზე და შეურაცხყო ღმერთ სებეკის[1] ქანდაკება,

[1] სებეკი ანუ სობეკი – წყლის ღმერთი, რომელსაც ჩვეულებრივად ნიანგის ანდა ნიანგისთავიანი ადამიანის სახით გამოხატავდნენ.

გულში კიდეც გამიხარდა – ის ხომ ჩვენ არ გვმფარველობს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დამნაშავეს მოშთობა მივუსაჯე, კარგა დიდ ნაწილს – ქვის სამტეხლოებში მუშაობა, და ყველას კი – გაჯოხვა. ამიტომ ჩემს ნომში სიწყნარე და ძველი, კეთილი ზნე-ჩვეულებანი სუფევს, და გადასახადებიც ყოველდღიურად შემოდის...

– ამავე დროს კი ფარაონის შემოსავალი თქვენთანაც შემცირდა, – შენიშნა მემკვიდრემ.

– შენი სიტყვები სამართლიანია, ბატონო, – ამოოხვრით უთხრა რანუსერმა. – ქურუმები ამბობენ, ღმერთები შემოსწყრნენ ეგვიპტეს, რადგან ჩვენში ბევრი უცხოელი გაჩნდაო. მე კი ვხედავ, რომ არც ღმერთები ამბობენ უარს ფინიკიის ოქროსა და ძვირფას ქვებზე.

ამ დროს დარბაზში მორიგე ოფიცერი შემოვიდა და ქურუმ მენტესუფისის მოსვლა მოახსენა; ქურუმმა მეფისნაცვალი და ნომარქოსი ღვთისმსახურებაზე მიიწვია. ორივემ თანხმობა განაცხადა, ამასთან ნომარქოსმა რანუსერმა იმდენი ღვთისმოსაობა გამოიჩინა, რომ გააოცა კიდეც რამზესი.

როცა რანუსერი მდაბალი თავდაკვრით გავიდა, მემკვიდრემ ქურუმს მიმართა:

– რამდენადაც შენ, წმიდა წინასწარმეტყველო, ჩემთან ღირსპატივსაცემი ხერიჰორის მოადგილედ იმყოფები, ამიხსენი ერთი რამ, რაც დიდად მაწუხებს.

– შევძლებ კი? – უპასუხა ქურუმმა.

– შეძლებ, რადგან შენ აღსავსე ხარ იმ სიბრძნით, რომელსაც ემსახურები. მხოლოდ კარგად დაფიქრდი იმას, რასაც გეტყვი, შენ იცი, რისთვის გამომგზავნა ფარაონმა აქ?

– რომ გაეცნო ქვეყნის მმართველობას და მის სიმდიდრეს, – უპასუხა მენტესუფისმა.

– და მე ამას ვაკეთებ კიდეც. დაწვრილებით ვეკითხები ნომარქოსებს, ვუკვირდებით მხარეს და ხალხს, ვისმენ მწერლების. მოხსენებებს, მაგრამ არა მესმის რა. ეს მაკვირვებს და მტანჯავს. როდესაც საქმე სამხედროებთან მაქვს, ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ვიცი, რამდენი ჯარისკაცი და ცხენი ჰყავთ მათ, რამდენი ეტლი და ოთხთვალა აქვთ, ოფიცერთაგან ვინ სვამს ან დაუდევრად ეკიდება სამ-

სახურს, და ვინ კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. მე ვიცი, როგორ ვიმოქმედო ომში. თუ მტრის კორპუსი სწორ ადგილას დგას, მის დასამარცხებლად ორი კორპუსი უნდა წავიყვანო. თუ მტერს თავდაცვითი პოზიცია უჭირავს, მის წინააღმდეგ სამ კორპუსზე ნაკლებს არ წავიყვან. როცა მტერი გამოუცდელია და უწესრიგოდ იბრძვის, მე შემიძლია მისი ათასი ჯარისკაცის წინააღმდეგ ხუთასი გამოვიყვანო და ჩემი ჯარისკაცები მოერევიან მას. სამხედრო საქმეში, წმიდა მამაო, – განაგრძობდა რამზესი, ჩემთვის ყველაფერი ნათელია და ყოველ კითხვაზეც მზად მაქვს გარკვეული პასუხი. მაგრამ ნომების მართვაში არათუ ვერ. ვერკვევი – ყველაფერი ისე მერევა თავში, რომ ზოგჯერ მავიწყდება, რისთვის ჩამოვედი აქ. ამიხსენი გულწრფელად, როგორც ქურუმმა და ოფიცერმა: რას ნიშნავს ეს? მატყუებენ ნომარქოსები, თუ მე ვარ ასეთი უნიჭო?

წინასწარმეტყველი დაფიქრდა.

– გაბედეს თუ არა მათ შენი მოტყუება, არ ვიცი, რადგან თვალყური არ მიდევნებია მათი საქციელისათვის. მაგრამ მე მგონია, იმიტომ ვერაფერი აუხსნიათ შენთვის, რომ თვითონ არაფერი ესმით. ნომარქოსები და მწერლები, – განაგრძობდა ქურუმი, – ჯარის ასისთავებს ჰგვანან: თითოეულმა იცის თავისი ასეული და მის შესახებ უფროს ოფიცრებს მოახსენებს. თითოეული უფროსობს თავის პატარა რაზმს, მაგრამ ჯარების მთავარსარდლის მიერ შედგენილი საერთო გეგმისა არა გაეგება რა. ნომების მმართველები და მწერლები წერენ ყველაფერს, რაც კი მათს პროვინციაში ხდება, და თავიანთ მოხსენებას უმდაბლესად წარუდგნენ ფარაონს. და მხოლოდ უმაღლესი საბჭო გამოარჩევს ამ მოხსენებათაგან სიბრძნის თაფლს.

– სწორედ თაფლი მინდა მე რატომ არ მაძლევენ?..

მენტესუხისმა თავი გააქნია.

– სახელმწიფოს სიბრძნე, – თქვა მან, – ეკუთვნის ქურუმების საიდუმლოებათა რიცხვს. მას ჩაწვდება მხოლოდ ის, ვინც ღმერთებს შესწირა თავი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქურუმებმა აღგზარდეს, შენ გადაჭრით თავს არიდებ ტაძრებს...

– როგორ? თუ ქურუმი არ გავხდები, თქვენ არ შემაგონებთ?

– არის ისეთი რამ, რისი შეტყობაც ახლავე შეგიძლია, როგორც

ტახტის მემკვიდრეს. არის ისეთიც, რასაც შეიტყობ, როდესაც ფარაონი გახდები. მაგრამ არის ისეთი რამეც, რაც შეიძლება იცოდეს მხოლოდ უმაღლესმა ქურუმმა.

– ყოველი ფარაონი იმავე დროს უმაღლესი ქურუმია, შეაწყვეტინა მემკვიდრემ.

– არა, არა ყოველი. და უმაღლეს ქურუმთა შორისაც არის განსხვავება.

– მაშ, – აღშფოთებით წამოიძახა მემკვიდრემ, – თქვენ მიმალავთ სახელმწიფო მმართველობის ხელოვნებას და მე ვერ შევასრულებ მამაჩემის დავალებებს!

– ის, რაც შენთვის საჭიროა, შეგიძლია გაიგო, ვინაიდან დაბალ ქურუმად ნაკურთხი ხარ. მაგრამ ზოგი რამ ტაძრების ფარდის უკან არის დაფარული და ფარდის გადაწევას კი, ჯეროვანი წესების შესრულების გარეშე, ვერავინ გაბედავს.

– მე გადავწევ!

– ეგვიპტის ღმერთები გფარვიდნენ ასეთი უბედურებისაგან! – ხელაპყრობით წამოიძახა ქურუმმა, – ნუთუ არ იცი, რომ ღმერთები განმეხავენ ყველას, ვინც ჯეროვანი წესის გარეშე შეეხება ფარდას! უბრძანე რომელიმე მონას ან სიკვდილმისჯილ ბოროტმოქმედს შენი თანდასწრებით ჩაიდინოს ეს და დარწმუნდები, რომ იქვე მოკვდება...

– იმიტომ, რომ თქვენ მოკლავთ მას!

– ყოველი ჩვენგანიც დაიღუპება მასავით, თუ მკრეხელურად მიუახლოვდება საკურთხეველს. ღმერთის წინაშე ფარაონი, ქურუმი და მონა თანასწორი არიან.

– მაშ რა ვქნა? – ჰკითხა რამზესმა.

– პასუხი ტაძარში უნდა ეძიო, ლოცვით და მარხულობით განწმენდილმა, – უპასუხა ქურუმმა. – მას აქეთ, რაც ეგვიპტე არსებობს, არც ერთი მბრძანებელი არ დაუფლებია სახელმწიფო სიბრძნეს სხვა გზით.

– ვიფიქრებ ამაზე, – თქვა მეფისწულმა, – თუმცა ვხედავ, როგორც მაღალღირს ნოფრს, ისე შენ, წმიდაო წინასწარმეტყველო, გსურთ ჩამითრიოთ ღმერთების სამსახურში, როგორც ეს მამაჩემის მიმართ ჩაიდინეთ.

– სრულებითაც არა. თუ შენ, როცა ფარაონი გახდები, მხოლოდ ჯარის სარდლობას დასჯერდები, მაშინ წელიწადში მხოლოდ რამდენიმეჯერ მოგიხდება ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება, დანარჩენ შემთხვევებში ქურუმები შეგცვლიან; თუ გსურს ტაძრების საიდუმლოებას ჩაწვდე, დიდი პატივი უნდა მიუზღო ღმერთებს, ვინაიდან ისინი სიბრძნის წყაროს წარმოადგენენ.

თავი ოცდამეოთხე

რამზესისათვის ახლა ნათელი გახდა ერთი რამ: ის ან ვერ შეასრულებს ფარაონის დავალებას, ანდა იძულებული იქნება ქურუმთა ნებას დაემორჩილოს. ეს მის აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევდა.

ის არ ჩქარობდა ტაძრებში დაფარულ საიდუმლოებათა შეცნობას, სამაგიეროდ გულმოდგინედ მონაწილეობდა ნადიმებში, რომელთაც მის პატივსაცემად მართავდნენ.

სწორედ კარგ დროს მოვიდა გართობათა საქმის დიდი ოსტატი თუტმოსი. მან ბატონიშვილს სარასგან კარგი ამბავი მოუტანა. სარა ჯანმრთელადაა და მშვენივრად გამოიყურებაო. მაგრამ ეს ახლა ნაკლებად აწუხებდა რამზესს. ქურუმებმა მომავალ ბავშვს ისეთი კარგი ჰოროსკოპი შეუდგინეს, რომ მეფისწული აღფრთოვანებული იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სარას ეყოლება ვაჟი, რომელსაც ღმერთები უხვად დააჯილდოებენ და, თუ მას მამა შეიყვარებს, ცხოვრებაში მაღალ მდგომარეობას მიაღწევსო.

მემკვიდრე იცინოდა, განსაკუთრებით ამ წინასწარმეტყველების მეორე ნაწილის გამო.

– უცნაურია ეს ბრძენი ხალხი! – ეუბნებოდა თუტმოსს,– იმათ იციან, რომ დაიბადება ვაჟიშვილი, რაც მე, მამამ, არ ვიცი, და ეჭვი ეპარებათ, მეყვარება თუ არა, თუმცა ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მე მეყვარება ბავშვი, თუნდაც ქალი იქნეს. მის დიდებულ მომავალზე კი ნუ წუხან. ამაზე მე ვიზრუნებ!..

პახონის თვეში (იანვარი – თებერვალი) ტახტის მემკვიდრე გადავიდა კემ-ურის ნომში, სადაც მას ზეიმით შეხვდა ნომარქოსი სნოფრუ.

გზა ქალაქ ონუდან ატრიბისამდე[1] სულ შვიდი საათის სავალი იყო ფეხით. მაგრამ რამზესმა ამ მგზავრობას სამი დღე მოანდომა. რომ გაიფიქრებდა იმ ლოცვებსა და მარხულობაზე, რაც მას მოელოდა, როცა ტაძრების საიდუმლოებათ ეზიარებოდა, უფრო მეტად იზიდავდა მხიარულება. ამალა მიუხვდა ამას და ნადიმი ნადიმს მისდევდა. სადაც კი მემკვიდრემ გაიარა, ვიდრე ქალაქ ატრიბისს მივიდოდა, ხვდებოდა ხალხის ბრბო მხიარული შეძახილებით, ყვავილებითა და საკრავებით. როცა ქალაქს მიუახლოვდნენ, მოსახლეობის სიხარული საზღვარს გასცილდა. რომელიღაც აყლაყუდა მუშა ეტლის ქვეშაც კი შევარდა. როცა რამზესმა ცხენები შეაჩერა, ხალხს ჯგუფად გამოეყვნენ ახალგაზრდა ქალები და ეტლი ყვავილებით მოურთეს.

„მაინც ვუყვარვარ ხალხს!“ – გაიფიქრა რამზესმა.

კემ-ურის პროვინციაში მას აღარ გამოუკითხავს ფარაონის შემოსავლის ამბები, აღარ დაუვლია სახელოსნოები, აღარ წაუკითხვინებია მწერლებისთვის ანგარიში. რამზესმა იცოდა, რომ ვერაფერს მიხვდებოდა, და ეს საქმეები გადადო იმ დრომდე, ვიდრე საიდუმლოებას გაანდობდნენ.

მხოლოდ ერთხელ, როცა დაინახა მაღლობზე აღმართული ღმერთ სებეკას ტაძარი, რამზესმა გამოთქვა სურვილი მის პილონზე ასულიყო, რათა გარემოსთვის გადაეხედა,

ღირსმა სნოფრუმ დაუყოვნებლივ შეასრულა მემკვიდრის სურვილი, და რამზესმა კოშკზე რამდენიმე საამური საათი გაატარა.

კემ-ურის პროვინცია ნაყოფიერ ვაკეს წარმოადგენდა. ორ ათეულ არხს და ნილოსის ტოტებს ვერცხლისა და ცისფერ ძაფებისაგან ნაქსოვ ბადესავით დაესერა ყოველი მიმართულებით. ნოემბერში დათესილი ნესვი და ხორბალი უკვე მწიფდებოდა. ყანებში ფუსფუსებდნენ შიშველი ადამიანები და კრეფდნენ კიტრს ან ბამბას თესდნენ. შენობათა უმრავლესობა ჩალითა და პალმის ფოთლებით დახურულ ალიზის ფაცხებს წარმოადგენდნენ. სამაგიეროდ ქალაქებში ბრტყელსახურავიანი ქვის შენობები იდგა, რომლებიც შორიდან თეთრ კუბებს ჰგავდა კარებისა და სარკმელების ბნელი არეებით. ძალიან ხშირად

[1] ატრიბისი - მთავარი ქალაქი ქვემო ეგვიპტის მე-10 ნომისა, რომელიც ნილოსის დელტის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა.

ერთ ასეთ კუბზე იდგა მეორე, ოდნავ მომცრო, მასზე – მესამე, კიდევ უფრო მომცრო, და თითოეული სართული სხვა ფერით იყო შეღებილი. ეგვიპტის მცხუნვარე მზეში მწვანე მინდვრებს შორის გაფანტული და პალმებითა და აკაციებით გარშემორტყმული სახლები ისე მოჩანდა, თითქოს მსხვილი მარგალიტი, ლალი და საფირონიაო.

კოშკიდან რამზესის თვალწინ ისეთი სანახაობა გადაიშალა, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო. მან დაინახა, რომ ტაძრების მიდამოებში ყველაზე ლამაზი სახლებია და მათ გარშემო მდებარე ყანებში უფრო მეტი ხალხი მუშაობდა.

„ქურუმებს ყველაზე მდიდარი მამულები აქვთ!..“ – მოაგონდა და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ტაძრებსა და სამლოცველოებს, კოშკიდან რომ მოჩანდა.

მაგრამ რადგან ხერიჰორს შეურიგდა და ახლა ქურუმების სამსახური სჭირდებოდა, ამიტომ არ სურდა ამაზე დაფიქრებულიყო.

შემდეგ დღეებში ღირსმა სნოფრუმ მემკვიდრისათვის რამდენიმეჯერ ნადირობა მოაწყო ატრიბისის აღმოსავლეთ მიდამოებში. ჯერ არხებზე ისარს ესროდნენ ფრინველებს და იჭერდნენ უზარმაზარი მახეებით, რომლებშიც ერთბაშად რამდენიმე ათეული ებმოდა, ანდა შევარდნებს მიუსევდნენ. შემდეგ მემკვიდრე და მისი ამალა აღმოსავლეთ უდაბნოში შეიჭრა, დაიწყო ნადირობა მხეცებზე ძაღლებითა და ავაზით, – იმ დღეებში რამდენიმე ასეული ნადირი დახოცეს და დაიჭირეს.

როდესაც ღირსმა სნოფრუმ შენიშნა, რომ მემკვიდრეს მობეზრდა ღია ცის ქვეშ დროსტარება და კარვებში ღამის თევა, შეწყვიტა ნადირობა და თავისი სტუმრებით ატრიბისს დაბრუნდა.

ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, და ნომარქოსმა ყველა თავის სასახლეში მიიპატიჟა საზეიმო სადილზე.

სნოფრუმ თვითონ გააცილა მეფისწული აბანოში და იქ მანამდე დარჩა, სანამ მემკვიდრე აბაზანას იღებდა; მან საკუთარი ზარდახშიდან გამოიღო ნელსურნელება მემკვიდრის ტანზე წასაცხებად. შემდეგ თვალყურს ადევნებდა დალაქს, რომელიც მეფისნაცვალს თმას ვარცხნიდა, და, ბოლოს, მუხლმოდრეკილმა მუდარით გამოსთხოვა

მოწყალება მისგან ახალი ტანსაცმელი მიეღო.

მისი ახალთახალი ტანსაცმელი შედგებოდა მოქარგული პერანგის, მარგალიტშემოვლებული წინსაფრისა და გამძლე, მაგრამ ისეთი ნაზი და რბილი ოქროქსოვილი წამოსასხამისაგან, რომ მუჭში ჩაეტეოდა.

მემკვიდრე მოწყალედ დათანხმდა და განაცხადა, ასეთი მშვენიერი საჩუქარი არასოდეს არ მიმიღიაო.

მზე უკვე ჩავიდა, როდესაც ნომარქოსმა რამზესი სამეჯლისო დარბაზში შეიყვანა.

ეს იყო სვეტებით გარშემორტყმული და მოზაიკით მოფენილი დიდი ეზო. ყველა კედელი შემკობილი იყო მხატვრობით, რომელიც გამოსახავდა სნოფრუს წინაპრების ცხოვრების სცენებს, ომებს, ზღვაზე მოგზაურობასა და ნადიმობას. სახურავის ნაცვლად ეზოს თავზე ჰაერში ლივლივებდა უზარმაზარი პეპელა ნაირფერი ფრთებით, რომლებსაც ჰაერის გასაგრილებლად ამოძრავებდნენ უჩინარი მონები. სვეტებზე მიმაგრებულ ბრინჯაოს ლამპრებში ჩახჩახებდა ჩირაღდნები, რომელთაც სურნელოვანი კვამლი ასდიოდა.

დარბაზი ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი ცარიელი იყო, მეორეში კი ეწყო მაგიდები და სკამები ტრაპეზის მონაწილეთათვის. დარბაზის სიღრმეში აღმართული იყო ფიცარნაგი, რომელზეც კედლებგადაწეული საუცხოო კარვის ქვეშ იდგა მაგიდა და სარეცელი რამზესისათვის.

ყოველ მაგიდასთან იდგა დიდი ქოთნები თუ გეჯები პალმებით, აკაციებითა და ლეღვის ხით. მემკვიდრის სუფრას გარს ერტყა წიწვიანი მცენარეები, რომლებიც დარბაზს სურნელებას ჰფენდნენ.

სტუმრები ბატონიშვილს მხიარული შეძახილებით შეხვდნენ, როდესაც რამზესი დაჯდა საჩრდილობლის ქვეშ, საიდანაც მთელი დარბაზი მოჩანდა, მისი ამალაც სუფრას მიუჯდა.

აჟღერდა ქნარი. დარბაზში შემოვიდნენ მდიდრულ გამჭვირვალე ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები, შიშველ გულმკერდზე ძვირფასი სამკაულები უბრწყინავდათ. ოთხი ყველაზე ლამაზი ქალიშვილი რამზესს შემოეხვია, სხვები კი მისი ამალის წარჩინებულ წევრებს მიუსხდნენ.

ჰაერში ვარდის, შროშანისა და იის სურნელება იფრქვეოდა. რამზესმა საფეთქელში სისხლის მოწოლა იგრძნო.

თეთრ, ვარდისფერ და ცისფერ ტანისამოსში გამოწყობილი მონები და მხევლები დაატარებდნენ ნამცხვარს, შემწვარ ფრინველსა და ნანადირევს, თევზს, ღვინოსა და ხილს, აგრეთვე ყვავილების გვირგვინებს, რომლებსაც სუფრაზე მსხდომნი თავზე იდგამდნენ. უზარმაზარი პეპელა უფრო მალიმალ იქნევდა ფრთებს. დარბაზის ცარიელ ნაწილში წარმოდგენა დაიწყო. ერთიმეორეს ცვლიდნენ მოცეკვავე ქალები, ტანმოვარჯიშენი, მასხარები, ოინბაზები და მოფარიკავეები. როდესაც ვინმე განსაკუთრებულ სიმარჯვეს გამოიჩენდა, მაყურებლები თავისი გვირგვინებიდან ყვავილებს ან ოქროს რგოლებს ესროდნენ.

სადილმა რამდენიმე საათი გასტანა, გაისმოდა მეფისნაცვლის, ნომარქოსისა და მისი ოჯახის საპატივცემო შეძახილები.

რამზესს, რომელიც ლომის ოქროსბრჭყალებიანი ტყავით დაფენილ დივანზე იყო წამოწოლილი, ოთხი მანდილოსანი ემსახურებოდა. ერთი მარაოთი უნიავებდა, მეორე თავზე გვირგვინებს უცვლიდა, დანარჩენნი საჭმლებს მიართმევდნენ. სადილის ბოლოს იმ მანდილოსანმა, რომელსაც რამზესი ყველაზე უფრო ხალისით ესაუბრებოდა, ორთომლით ღვინო მიართვა. ნახევარი რამზესმა თვითონ დალია, დანარჩენი მასვე გადასცა და, როდესაც ქალმა გამოცალა, მეფისწულმა ტუჩებში აკოცა.

მაშინ მონებმა სწრაფად ჩააქრეს ჩირაღდნები, პეპელამ შეწყვიტა ფრთების რხევა და ბნელ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც დროგამოშვებით მხოლოდ ქალების ნერვული სიცილი არღვევდა.

უცებ მოისმა აჩქარებით მომავალი ადამიანების ფეხის ბრაგაბრუგი და მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა.

– გამიშვით... – ყვიროდა მამაკაცი. – სად არის მემკვიდრე?., სად არის მეფისნაცვალი?

დარბაზში არეულობა ატყდა. შეშინებული ქალები ატირდნენ, მამაკაცები ყვიროდნენ:

– რა არის ეს?.. მემკვიდრეზე თავდასხმა?! ჰეი, მცველებო!..

ისმოდა დამსხვრეული ჭურჭლის წკრიალი, სკამების მტვრევის

ტკაცანი.

– სად არის მემკვიდრე? – ყვიროდა დარბაზში შემოვარდნილი უცნობი.

– მცველებო!., დაიცავით მემკვიდრე!.. – მოისმოდა პასუხი დარბაზიდან.

– აანთეთ სინათლე...- გაისმა ჭაბუკი მემკვიდრის ხმა. – ვინ მეძებს? აქა ვარ!..

შემოიტანეს ჩირაღდნები. დარბაზში უწესრიგოდ ეყარა დამტვრეული მაგიდები და სკამები, რომლის უკან მიმალულიყვნენ ლხინის მონაწილენი. ესტრადაზე მდგარი მემკვიდრე ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა ქალებს, რომლებიც აკავებდნენ. გაწეწილპარიკიან თუტმოსს მაღლა აღემართა ბრინჯაოს დოქი და მზად იყო თავში დაერტყა იმისთვის, ვინც მემკვიდრეს მიუახლოვდებოდა. კარში მახვილებით შეიარაღებული რამდენიმე ჯარისკაცი გამოჩნდა.

– რა არის ეს? ვინ არის აქ?.. – ყვიროდა შეშინებული ნომარქოსი.

მხოლოდ ახლა დაინახეს ამ არეულობის მიზეზი. ვიღაც ტიტველი ახოვანი კაცი, რომელიც ტალახში იყო ამოსვრილი და ზურგი გასისხლიანებული ჰქონდა ცემისაგან, ფიცარნაგთან დაჩოქილიყო და მემკვდრისაკენ იშვერდა ხელებს.

– აი ყაჩაღი! – დაიყვირა ნომარქოსმა. – შეიპყარით!

თუტმოსმა ასწია თავისი დოქი, ხოლო კართან მდგომმა ჯარისკაცებმა ფიცარნაგთან მიირბინეს.

დაჭრილი მამაკაცი ფიცარნაგის საფეხურზე დაემხო და შეჰღაღადა:

– მოიღე მოწყალება, ეგვიპტის მზევ...

ჯარისკაცებს ის იყო ხელი უნდა ეტაცათ მისთვის, რომ რამზესი, რომელიც ქალებს ხელიდან გაუსხლტა, მიუახლოვდა საბრალოს.

– ხელი არ ახლოთ! – დაუყვირა რამზესმა ჯარისკაცებს. – რა გინდა ჩემგან? – მიმართა მან გოლიათს.

– მე მინდა გიამბო, რა დღეში ვართ, ხელმწიფევ...

სნოფრუ მივიდა მემკვიდრესთან და ჩასჩურჩულა:

– ეს ჰიქსოსია. შეხედე მის აბურძგნილ თმასა და წვერს. თანაც ისე თავხედურად შემოვარდა, რომ მკვიდრი ეგვიპტელი არ უნდა იყოს!..

– ვინა ხარ? – ჰკითხა რამზესმა.

– ბაკურა ვარ, მიწისმთხრელთა რაზმიდან. ჩვენ ამჟამად არა გვაქვს სამუშაო, ასე გვიბრძანა ნომარქოსმა ტეტიმ...

– ეს ლოთია და გიჟი! – ყურში ჩასჩურჩულებდა მემკვიდრეს გააფთრებული სნოფრუ. – დახე, როგორ გელაპარაკება, ხელმწიფევ...

მაგრამ რამზესმა ისე შეხედა ნომარქოსს, რომ დარბაისელმა მლიქვნელური თაყვანისცემით დაიწია უკან.

– რა გიბრძანათ ღირსმა ტეტი? – შეეკითხა ბაკურას მეფისნაცვალი.

– მან გვიბრძანა, ხელმწიფევ, ერთად თავმოყრილებს გვევლო ნილოსის ნაპირზე, წყალში ჩავცვივნილიყავით, გზაჯვარედინებზე შევჩერებულიყავით და მხიარული შეძახილებით მოგსალმებოდით. ამისათვის შეგვპირდა ფულს მოგცემთო... აი უკვე ორი თვეა, ხელმწიფევ, რაც ჩვენ არაფერი მიგვიღია! არც ქერის ლავაში, არც თევზი და არც ტანის დასაზელი ზეითუნის ზეთი.

– რას იტყვი ამაზე? – მიმართა მემკვიდრემ ნომარქოსს.

– ეგ ლოთია და ყაჩაღი... თავხედი მატყუარა!.. – უპასუხა სნოფრუმ.

– რას გაიძახოდით ჩემს საპატივცემოდ?

– რაც იყო ნაბრძანები! – უპასუხა გოლიათმა. – ჩემი ცოლი და ქალიშვილი სხვებთან ერთად ყვიროდნენ: „იცოცხლოს მარად!“, მე კი ვხტებოდი წყალში და გვირგვინებს ვისროდი შენს ნავში. ამისათვის ჩემთვის უნდა მოეცათ ნახევარი დებენი. ხოლო როდესაც შენ, ყოვლად მოწყალევ, ინებე ქალაქ ატრიბისში შესვლა, მე ნაბრძანები მქონდა ფეხებში შევვარდნოდი ცხენს და ეტლი შემეჩერებინა.

ბატონიშვილმა გადაიხარხარა.

– ღმერთმანი, არ ველოდი, – თქვა მან, – რომ ჩვენი ლხინი ასე მხიარულად დამთავრდებოდა... რამდენი მოგცეს იმისათვის, რომ ეტლს ქვეშ შეუვარდი?

– სამ დებენს შემპირდნენ, მაგრამ არაფერი მოუციათ, არც ჩემი ცოლის და ქალიშვილისთვის. თან მთელი რაზმი სოული ორი თვე აშიმშილეს.

– მაშ რიღათი ცხოვრობთ?

– მოწყალებით, ანდა გლეხებთან თუ წავიმუშავებთ ხოლმე ხანდა-ხან და ორიოდე გროშს ვშოულობთ. ასეთი მძიმე გაჭირვებისგან იყო, რომ სამჯერ ავჯანყდით და გვინდოდა შინ დაბრუნება, მაგრამ ოფიცრები და მწერლები ხან გვპირდებოდნენ, გადაგიხდით, რასაც შეგპირდითო, ხან კიდევ ბრძანებას იძლეოდნენ, ვეცემეთ.

– იმის ჯილდოდ, რომ ჩემს საპატივცემოდ ყვიროდით, – სიცილით ჩაურთო მემკვიდრემ.

– დიახ, ბატონო, გუშინ მოვაწყვეთ ყველაზე დიდი აჯანყება, რისთვისაც ყოვლადღირსმა სნოფრუმ ბრძანა ყოველი მეათე კაცი გაეჯოხათ. ყველას მოხვდა, ხოლო ყველაზე მეტი კი მე, რადგან სხვებზე მაღალი ვარ და სამი სული მყავს სარჩენი: ჩემი თავი, ცოლი და ქალიშვილი. ნაცემი ძლივს გავუსხლტი ხელიდან, რომ მუხლი მომეყარა შენს წინაშე და მომეხსენებინა ჩვენი საჩივრები. გვცემე, თუ დამნაშავენი ვართ, მაგრამ მწერლებმა გადაგვიხადონ, რაც გვეკუთვნის, თორემ ჩვენ და ჩვენი შვილები შიმშილით დავიხოცებით...

– ეს ვიღაც ბნედიანია!.. – წამოიყვირა სნოფრუმ. – ნახეთ, თქვენო უმაღლესობავ, რა ზარალი მომაყენა. ათ ტალანტსაც კი არ მომცემენ ამ დამტვრეულ მაგიდებსა, ფიალებსა და დოქებში.

სტუმრები, რომლებიც თანდათან გონს მოვიდნენ, დრტვიწვას მოჰყვნენ.

– ეს ვიღაც ავაზაკია. – ჩურჩულებდნენ სტუმრები. – შეხედეთ, ეგ მართლაც ჰიქსოსია, მასში კვლავ დუღს წყეული სისხლი იმ წინაპრებისა, რომლებმაც ეგვიპტე გაანადგურეს. ასეთი ძვირფასი ავეჯი... ასეთი ძვირფასი ჭურჭელი ნამსხვრევებად იქცა!..

– ერთი აჯანყება მუშებისა, რომელთაც გასამრჯელო არ მიუღიათ, გაცილებით მეტ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, ვიდრე ყველა ეს სიმდიდრე, – მკაცრად თქვა რამზესმა.

– წმიდა სიტყვებია!.. ეს სიტყვები ძეგლებზე უნდა დაიწეროს... – გაისმა სტუმრებს შორის. – აჯანყება ხალხს სამუშაოს აცდენს და მეფის გულს მწუხარებით ავსებს... დაუშვებელია, რომ მუშებს ორი თვე ჯამაგირი არ მიუღიათ.

მეფისნაცვალმა დაუფარავი ზიზღით გადახედა ღრუბელივით ცვალებად კარისკაცებს და მკაცრად მიმართა ნომარქოსს:

– შენს მზრუნველობას ვანდობ ამ ნაცემ ადამიანს. დარწმუნებული ვარ, ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება თავიდან. მე მსურს ხვალვე ვნახო ეს რაზმი და შევამოწმო, მართალია თუ არა, რაც მან თქვა.

ეს რომ თქვა, რამზესი დარბაზიდან გავიდა და ნომარქოსი და სტუმრები სრულ დაბნეულობაში დატოვა.

მეორე დღეს მემკვიდრე მეეკითხა თუტმოსს, რომელიც ჩაცმაში ეხმარებოდა:

– მოვიდნენ მუშები?..

– დიახ, ხელმწიფევ, ისინი გათენებიდან ელოდებიან თქვენს ბრძანებას...

– ის... ბაკურაც მათთან არის?

თუტმოსი მოიღუშა და უპასუხა:

– მოხდა უცნაური შემთხვევა: მაღალღირსმა სნოფრუმ ის თავისი სასახლის ცარიელ სარდაფში ჩაამწყვდევინა. და აი, იმ საშინლად ღონიერმა არამზადამ გაამტვრია კარი მეორე სარდაფისა, სადაც ღვინო იდგა, მოიყუდა რამდენიმე ძვირფასი ხელჩაფი და ისე დათვრა, რომ...

– რაო, რაო?.. – შეეკითხა რამზესი.

– რა და... მოკვდა.

– და შენ გჯერა, – წამოიძახა მან, – რომ ღვინომ მოკლა?

– უნდა დავიჯერო, მე დამამტკიცებელი საბუთი არ მომეპოვება, რომ მოკლეს, – უპასუხა თუტმოსმა.

– მე კი მოვძებნი!.. – წამოიყვირა რამზესმა.

ის ოთახში დარბოდა და გაჯავრებული ლომის ბოკვერივით ფრუტუნებდა. როცა დამშვიდდა, თუტმოსმა უთხრა:

– ნუ ეძებ, ხელმწიფევ, დანაშაულს იქ, სადაც არა ჩანს; შენ მოწმეებსაც კი ვერ იპოვი. თუ ვინმემ მართლა მოაშთო ეს მუშა ნომარქოსის ბრძანებით – არ გამოტყდება. თვითონ მიცვალებულიც არაფერს იტყვის. მაინც რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის ჩივილს ნომარქოსზე... ამ შემთხვევაში არც ერთი სასამართლო არ დათანხმდება გამოძიება დაიწყოს.

– მე რომ ვუბრძანო?.. – შეეკითხა მეფისწული.

– მაშინ ისინი ჩაატარებენ გამოძიებას და დაამტკიცებენ სნოფრუს

უდანაშაულობას. შენ, ხელმწიფევ, უხერხულობაში ჩავარდები, ხოლო ყველა ნომარქოსი, მათი ნათესავი და სანლეულნი გადაგემტერებიან.

ჩაფიქრებული მეფისწული შუა ოთახში იდგა.

– დაბოლოს, – წარმოთქვა თუტმოსმა, – თითქოს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ უბედური ბაკურა ლოთი და გიჟი იყო, და, რაც მთავარია, – უცხოელი. განა ნამდვილი, ჭკუადამჯდარი ეგვიპტელი გაბედავდა შემოჭრილიყო ნომარქოსის სასახლეში და ასეთი ყვირილით მიემართა მემკვიდრისათვის, თუნდაც მთელი წელი ჯამაგირი არ მიეცათ და უფრო მაგრადაც ეცემათ?..

რამზესმა თავი ჩაქინდრა; მერე, რაკი დაინახა, რომ გვერდით ოთახში კარისკაცები იდგნენ, ხმას დაუწია და უთხრა:

– იცი, თუტმოს, მას აქეთ, რაც ეს მოგზაურობა დავიწყე, ეგვიპტე სულ სხვანაირად მეჩვენება. ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები, უცხო ქვეყანაში ხომ არა ვარ-მეთქი? ზოგჯერ შიში ამიტანს ხოლმე; ვგრძნობ, რომ თვალებზე ბისტი მაქვს გადაფარებული; აქვე, ჩემს გვერდით, ათასი სისაძაგლე ხდება და მე კი ვერ ვხედავ...

– შენ არც უნდა ეცადო მათი დანახვა, თორემ ისე მოგეჩვენება, რომ ყველა ჩვენგანი ქვის სამტეხლოებში უნდა გაიგზავნოს, – სიცილით უპასუხა თუტმოსმა. – გახსოვდეს: ნომარქოსი და მოხელეები შენი ჯოგის მწყემსები არიან. თუ ვინმე თავისთვის ერთ კოჭობ რძეს გამოწველის ან ცხვარს დაკლავს, შენ ხომ არ მოკლავ და არ გააგდებ. ცხვარი ბევრი გყავს, მწყემსების შოვნა კი არც ისე ადვილია.

უკვე ჩაცმული მემკვიდრე გავიდა მისაღებ ოთახში, სადაც თავი მოეყარა მთელ ამალას: ქურუმებს, ოფიცრებს და მოხელეებს. რამზესი მათთან ერთად გამოვიდა სასახლიდან გარე ეზოში.

ეს იყო ფართო მოედანი, აკაციებით გარშემორტყმული, რომელთა ჩრდილქვეშ ელოდებოდნენ მემკვიდრეს მუშები. საყვირის ხმაზე მუშები ფეხზე წამოხტნენ და ხუთ რიგად ჩამწკრივდნენ.

წარჩინებულთა ბრწყინვალე ამალით გარშემორტყმული რამზესი უცებ შეჩერდა. მას სურდა ჯერ შორიდან შეეხედა მიწისმთხრელთათვის. ყველას თეთრი ჩაჩი ეხურა და იმავე ფერის საგვერდული ეფარა. ძნელი არ იყო მათ შორის მიხაკისფერი ეგვიპტელების, შავი ზანგე-

ბის, ყვითელი აზიელებისა და ლიბიისა და ხმელთაშუა ზღვის თეთრი ბინადრების გარჩევა.

პირველ რიგში იდგნენ მიწისმთხრელები წერაქვებით, მეორეში – თოხებით, მესამეში – ბარებით, მეოთხე რიგს შეადგენდნენ მებარგულეები; თითოეულ მათგანს ხელში ეჭირა ლატანი და ორი ვედრო; მეხუთე რიგსაც მებარგულები შეადგენდნენ, ოღონდ მათ ებარათ დიდრონი ჯინი-ყუთები, ყოველ ჯინ-ყუთთან იდგა ორ-ორი კაცი, რომელთაც ამოთხრილი მიწა გადაჰქონდათ.

წინ, ოცი ნაბიჯის მანძილზე, ხელოსნები იდგნენ; თითოეულ მათგანს ხელში ლატანი და ხის დიდი ფარგალი ან მკუთხავი ეკავა.

როდესაც რამზესი მუშებთან მივიდა, მათ ერთხმად დაიყვირეს: „მარად ცოცხლობდე შენ!“ – მუხლებზე დაეშვნენ და პირქვე დაემხვნენ. რამზესმა უბრძანა წამომდგარიყვნენ, თვითონ კი დაკვირვებით ათვალიერებდა მათ.

ეს ჯანმრთელი, ძლიერი ხალხი იყო; არავინ იტყოდა, ორი თვეა მარტო მოწყალებით გააქვთ თავიო.

მემკვიდრესთან თავის ამალით მივიდა ნომარქოსი სნოფრუ. რამზესმა ვითომც ვერ შეამჩნია ის და ერთ ხელოსანს მიმართა:

– თქვენ მიწისმთხრელები ხართ?

ათისთავი მიწაზე დაემხო და დუმდა.

რამზესმა მხრები აიჩეჩა და მუშებს დაუყვირა:

– თქვენ სეხემელები ხართ?

– ჩვენ სეხემელი მიწისმთხრელები ვართ! – უპასუხა ყველამ ერთხმად.

– ჯამაგირი მიიღეთ?

– მივიღეთ, მაძღარი და ბედნიერი ვართ მეფის მსახურები, – კვლავ ერთხმად, მკაფიოდ უპასუხეს.

– მარცხნივ, ზურგისაკენ! - ბრძანა მეფისნაცვალმა.

მუშები შეტრიალდნენ. თითქმის ყოველ მათგანს ზურგი ღრმა და მრავალი ნაიარევით ჰქონდა აჭრელებული, მაგრამ ახალი ნაცემი არ ემჩნეოდათ.

„მატყუებენ!“ – გაიფიქრა მემკვიდრემ. მან უბრძანა მუშებს ყაზარმებში დაბრუნებულიყვნენ. თვითონ კი, თითქოს ნომარქოსს კვლავ

ვერ ამჩნევსო, სასახლეში დაბრუნდა.

– შენც იმას მეტყვი, რომ ეს ხალხი სეხემელი მუშები არიან? – მიმართა მემკვიდრემ გზაში თუტმოსს.

– აკი თვითონვე გითხრეს, – უპასუხა ადიუტანტმა.

რამზესმა ცხენის მოყვანა ბრძანა და გასწია თავის პოლკებთან, რომლებიც ქალაქგარეთ იყვნენ დაბანაკებული.

მთელი დღე ჯარისკაცთა წვრთნაში გაატარა. შუადღისას სასწავლო მოედანზე ნომარქოსის მეთაურობით რამდენიმე ათეული მებარგული მოვიდა კარვებით, ჭურჭლით, საჭმელითა და ღვინით, მაგრამ მეფისნაცვალმა ისინი ატრიბისში გაგზავნა. ხოლო როცა ჯარისკაცების სადილის დრო მოვიდა, ბრძანა მისთვისაც შვრიის ლავაშები მიეტანათ გამხმარი ხორცით.

ესენი იყვნენ ლიბიის მოქირავნე პოლკები. როცა საღამოს მემკვიდრემ მათ იარაღის შენახვა უბრძანა და გამოემშვიდობა, ასე ეგონა, ჯარისკაცები და ოფიცრები გაგიჟდნენო. ყიჟინით – „იცოცხლე მარად!“ – მისცვივდნენ მეფისწულს, ხელებსა და ფეხებს უკოცნიდნენ, შუბებისაგან საკაცე გააკეთეს, რომლითაც ქალაქამდე მიიყვანეს; გზაში სულ ერთიმეორეს ეცილებოდნენ, თუ ვის რგებოდა პატივი მემკვიდრის ტარებისა.

ნომარქოსმა და პროვინციის მოხელეებმა, მემკვიდრისადმი ლიბიელი ბარბაროსების ასეთი აღფრთოვანებული სიყვარული და მათდამი მისი მოწყალე დამოკიდებულება რომ დაინახეს, დიდად შეშფოთდნენ.

– აი, ეს ნამდვილი მბრძანებელია!.. – წასჩურჩულა მთავარმა მწერალმა სნოფრუს. – მან რომ ისურვოს, ეს ხალხი მახვილით ამოგვწყვეტდა ჩვენცა და ჩვენს შვილებსაც...

დანაღვლიანებულმა ნომარქოსმა ამოიოხრა, ფიქრით ღმერთებს მიმართა და მათს მოწყალე მფარველობას მიანდო თავი.

რამზესი სასახლეში გვიან ღამით დაბრუნდა; მსახურმა ამცნო, რომ მისთვის სხვა დასაძინებელი ოთახი გამოყვეს.

– ვითომ რატომაო?

– იმიტომ, რომ იმ საწოლ ოთახში ნახეს შხამიანი გველი, რომელიც ისე დაიმალა, ვერასგზით ვერ იპოვეს.

ახალი საწოლი ოთახი მოთავსებული იყო ფლიგელში, რომელიც ნომარქოსის სახლს ეკვროდა. ეს იყო სვეტებით გარემოცული ოთხკუთხა ოთახი. ოთახის ალაბასტრის კედლები დაფარული იყო შეფერადებული ბარელიეფებით, რომლებიც ქვევით ქოთნებში ჩარგულ მცენარეებს გამოხატავდა, ზევით კი ზეთისხილისა და დაფნის ფოთლების ყვავილწნულებს.

ოთახის თითქმის შუა ადგილას იდგა ეკალმუხით, სპილოს ძვლითა და ოქროთი ნაკეთები ფართო სარეცელი. საწოლ ოთახს ორი სურნელოვანი ჩირაღდანი ანათებდა. კოლონადის ქვეშ იდგა პატარა მაგიდები ღვინით, ნაირი საჭმლითა და ვარდის გვირგვინებით. ჭერში მოჩანდა ტილოთი დაფარული დიდი ოთხკუთხი ჭრილი.

რამზესმა აბაზანა მიიღო და რბილ ლოგინში ჩაწვა. მსახურები მოშორებით განლაგებულ ოთახებში წავიდნენ. ჩირაღდნები თითქმის ამოიწვა. საწოლ ოთახში ყვავილების სურნელებით გაჟღენთილმა გრილმა სიომ დაქროლა. სადღაც მაღლა ქნარის ნელი ხმა გაისმა.

რამზესმა თავი ასწია.

საწოლი ოთახის ტილოს სახურავი გადაიწია, ჭერის ჭრილში გამოჩნდა ლომის თანავარსკვლავედი, რომელშიც ვარსკვლავი რეგული კაშკაშებდა. ქნარი უფრო ხმამაღლა აჟღერდა.

„ღმერთები ხომ არ აპირებენ ჩემთან სტუმრად მოსვლას?“ღიმილით გაიფიქრა რამზესმა.

ჭერის ჭრილში გაიელვა კაშკაშა, მაგრამ ოდნავ მქრქალი სინათლის ფართო ზოლმა. ცოტა ხნის შემდეგ ზევით გამოჩნდა ოქროს ნავი ყვავილების ტალავერით; მისი ბოძები ყვავილწნულით იყო მორთული, ხოლო სახურავი იითა და ლოტოსით მოკაზმული. მწვანე რტოებშემოხვეული ბაწრით ოქროს ნავი უხმოდ ჩამოეშვა იატაკზე; ყვავილებიდან გამოვიდა არაჩვეულებრივი სილამაზის ტანშიშველი ქალი. მისი ქარვისფერი თმის ტალღა დამათრობელ სურნელებას აფრქვევდა.

ჰაეროვანი ნავიდან რომ გადმოვიდა, ქალმა მუხლი მოიდტიკა.

– შენ სნოფრუს ქალიშვილი ხარ? – შეეკითხა მემკვიდრე.

– გამოიცან, ხელმწიფევ...

– ჰოდა, მიუხედავად ამისა, ჩემთან მოხვედი!..

– შესავედრებლად, რომ აპატიო მამაჩემს... ის უბედურია!.. შუადღეს აქეთ მიწაზე წევს და სასოწარკვეთილი ცრემლებსა ღვრის...

– რომ არ ვაპატიო, შენ წახვალ?

– არა, – წყნარად ჩაიჩურჩულა ქალმა.

რამზესმა მიიზიდა და მხურვალედ აკოცა. მემკვიდრეს თვალები უელავდა.

– ამისათვის ვაპატიებ, – უთხრა მან ქალს.

– ოჰ, რა კეთილი ხარ, – წამოიძახა ქალმა და ბატონიშვილს ჩაეკრა. მერე ალერსით დაუმატა: – და ბრძანებ აუნაზღაურონ ზარალი, რომელიც იმ გიჟმა მუშამ მიაყენა?..

– ვბრძანებ!..

– და თან წამიყვან. სასახლეში?

რამზესმა შეხედა.

– წაგიყვან, შენ მშვენიერი ხარ.

– მართლა?.. – უპასუხა ქალმა და ბატონიშვილს კისერზე მოეხვია. – უფრო ახლო დამაკვირდი... ეგვიპტის ტურფათა შორის მე მხოლოდ მეოთხე ადგილი მიჭირავს.

– რას ნიშნავს ეს?

– მემფისში თუ მემფისის ახლოს ცხოვრობს შენი პირველი ქალი. საბედნიეროდ, ის ებრაელია. სექემში – მეორე...

– მე ამაზე არაფერი ვიცი, – შენიშნა რამზესმა.

– ოჰ, შე უმანკო მტრედო! ალბათ, არც მესამის შესახებ იცი, ნუში რომ ცხოვრობს?..

– განა ისიც ჩემს სახლს ეკუთვნის?

– უმადურო! – წამოიძახა ლამაზმა და მას ლოტოსის ყვავილი დაარტყა. – ერთი თვის შემდეგ ამასვე იტყვი ჩემზეც.., მაგრამ მე თავს არ დაგაჩაგვრინებ.

– როგორც მამაშენი...

– ჯერ კიდევ არ გიპატიებია მისთვის? იცოდე, წავალ...

– არა, დარჩი... დარჩი!..

მეორე დღეს მეფისნაცვალი ზეიმს დაესწრო, რომელიც სნოფრუმ მის საპატივცემოდ გამართა, ყველას წინ შეაქო მისი მმართველობა

და მთვრალი მუშის მიერ მიყენებული ზარალის ჯილდოდ უბოძა ნახევარი იმ ჭურჭლისა და სამკაულისა, რომელიც მას ქალაქ ონში მიართვეს.

ამ საჩუქრის მეორე ნახევარი მიიღო ნომარქოსის ქალიშვილმა, ლამაზმა იბიბმა. უკვე როგორც სამეფო კარის ქალმა. ამას გარდა, იბიბმა აიძულა მიეცათ მისთვის რამზესის სალაროდან ხუთი ტალანტი თავისი მორთულობის, ცხენებისა და მხევლებისათვის. საღამოს მემკვიდრემ მთქნარებით უთხრა თუტმოსს:

– მეფემ, მამაჩემმა, დიდი ჭეშმარიტება მასწავლა: მამაკაცებს ქალები ძვირი გვიჯდებაო!

– უარესია, როცა ისინი არ გვყვანან, – უპასუხა კოპწიამ.

– მაგრამ მე ოთხი მყავს, და არც კი ვიცი, ეს როგორ მოხდა. ორი მათგანი შემიძლია დავთმო...

– სარაც?

– ის არა, მეტადრე თუ ვაჟი ეყოლა.

– თუ შენ ამ გვრიტებს კარგ მზითევს მოუმზადებ, მათთვის ქმრები მოიძებნებიან...

მემკვიდრემ კიდევ დაამთქნარა.

– არ მიყვარს მზითვზე საუბრის მოსმენა, – თქვა მან. – -ა-ა! რა ბედნიერებაა, რომ ბოლოსდაბოლოს თავს დავაღწევ აქაურობას და ქურუმთა შორის ვიცხოვრებ...

– შენ მართლა ფიქრობ მაგას?..

– დიახ, ვფიქრობ, იქნებ მათგან გავიგო, ბოლოსდაბოლოს, რატომ ღარიბდებიან ფარაონები... ა-ა-ა!.. თანაც დავისვენებ.

თავი ოცდამეხუთე

სწორედ იმავე დღეს მემფისში ტახტის მემკვიდრის ბან– კირი, ფინიკიელი დაგონი, დივანზე იწვა თავის სვეტებიანი სასახლის აივანზე. მას გარს ერტყა გეჯებში ჩარგული სურნელოვანი წიწვიანი ბუჩქები. ორი შავი მონა მარაოთი ჰაერს უგრილებდა მდიდარ კაცს, რომელიც მაიმუნს ეთამაშებოდა და თან მწერლის მოხსენებას ისმენდა.

მაგრამ აი მახვილით, შუბით, ჩაჩქანითა და ფარით შეიარაღე-

ბულმა მონამ (ბანკირს მოსწონდა სამხედრო აბჯარი) მოახსენა მემფისში მცხოვრები ფინიკიელი ვაჭრის პატივცემულ რაბსუნის მოსვლა.

სტუმარი დაბლა თავის დაკვრით შემოვიდა და დაგონს ისე გადახედა, რომ მან უბრძანა მწერალსა და მონებს ოთახიდან გასულიყვნენ. მერე, ფრთხილი ადამიანის ჩვეულებისამებრ, ყველა კუთხე დაათვალიერა და მიმართა სტუმარს:

– ახლა შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

რაბსუნმა მაშინვე საქმეზე დაიწყო ლაპარაკი.

– იცის თუ არა თქვენმა ღირსებამ, რომ ტვიროსიდან ჩამოვიდა თავადი ხირამი?

დაგონი წამოხტა.

– კეთრმა მოსრას ისიც და მისი სამთავროც! – წამოიყვირა მან.

– სწორედ მან მითხრა, – გულგრილად განაგრძობდა სტუმარი, – რომ თქვენს შორის გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

– რას ჰქვია გაუგებრობა?.. – განაგრძობდა ყვირილს დაგონი. – მაგ ყაჩაღმა გამქურდა, გამძარცვა, გამანადგურა... როდესაც ტვიროსიდან სხვა ხომალდები წავიდნენ დასავლეთისაკენ ვერცხლის მოსატანად და მეც ჩემი ხომალდები მივაყოლე, ხირამის მესაჭეებმა მათი დაწვა, მეჩეჩზე მიგდება განიზრახეს... ამის შედეგად ჩემი ხომალდები ცარიელი, შერუჯული და დამტვრეულები დაბრუნდნენ... ზეციერმა ცეცხლმა დაწვას იგი!.. – დაამთავრა გააფთრებით მევახშემ.

– ხირამს აქვს თქვენი ღირსებისათვის მომგებიანი საქმე? – გულგრილად შეეკითხა სტუმარი.

დაგონის გულში აბობოქრებული ქარიშხალი ერთბაშად. ჩადგა.

– რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან – იკითხა მან უკვე სავსებით დამშვიდებული ტონით.

– ამას თვითონ უამბობს თქვენს ღირსებას, მაგრამ ჯერ თქვენ უნდა შეგხვდეთ.

– მაშ მოვიდეს.

– ხირამი კი ფიქრობს, რომ თქვენ უნდა მიხვიდეთ მას თან. ის ხომ ტვიროსის უმაღლესი საბჭოს წევრია.

– დაე, სულიც ამოსვლია, ვიდრე მე მასთან მივიდოდე...

სტუმარმა მისწია სავარძელი დივანთან, რომელზეც დაგონი იყო წამოწოლილი, და ბარძაყზე ხელი დაჰკრა.

– დაგონ, – უთხრა მან, – გონიერება გამოიჩინე.

– ვითომ რაში არ ვიჩენ გონიერებას, და რატომ არ მეუბნები „თქვენო ღირსებავო?“

– დაგონ, ნუ ბრიყვობ! – უპასუხა სტუმარმა. – თუ შენ არ წახვალ მასთან და ის შენთან არ მოვა, როგორღა მოილაპარაკებთ საქმეების შესახებ?

– ბრიყვი შენა ხარ, რაბსუნ, – ისევ გაგულისდა ბანკირი, – რადგან მე რომ ხირამთან წავიდე, მაშინ ხელი გამიხმეს, თუ ამ ზრდილობის გამო ჩემი საშოვრის ნახევარი არ დამეკარგოს.

სტუმარი ჩაფიქრდა და თქვა:

– აი ეს ბრძნული სიტყვებია. მაშ აი რას გეტყვი: შენ მოდი ჩემთან, ხირამიც ჩემთან მოვა და იქ მოილაპარაკებთ.

დაგონმა გვერდზე გადახარა თავი, ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და შეეკითხა:

– ე-ე, რაბსუნ, პირდაპირ მითხარი, რამდენი მიიღე ამისათვის?

– რისთვის?

– იმისათვის, რომ მე მოვალ შენთან და იმ არამზადასთან საქმეს გავარიგებ?

– ამ საქმით დაინტერესებულია მთელი ფინიკია და სრულიადაც არ ვფიქრობ ამისათვის რაიმე გასამრჯელოს მიღებას, – აღშფოთებით უპასუხა რაბსუნმა.

– და ისე გადაგიხადონ ვალები, როგორც ამას სიმართლეს მეუბნები.

– თუ ეგრეა, მაშ სრულებით ნუ გადამიხდიან, თუ ამაზე რასმე მოვიგებ! ოღონდ კი ფინიკიამ ამაში არა იზარალოს რა!" – განრისხებით დაიყვირა რაბსუნმა.

და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

საღამო ქაშს დაგონი ჩაჯდა ტახტრევანში, რომელიც ექვს მონას მიჰქონდა. წინ გარბოდა ორი მდევარი კვერთხებით და ორიც – ჩირაღდნებით; ტახტრევანს უკან მისდევდა ოთხი მსახური, რომლებიც თავით ფეხებამდე იყვნენ შეიარაღებული არა იმიტომ, რომ არაფერი

შემთხვეოდათ, არამედ იმიტომ, რომ დაგონს ბოლო ხანებში უყვარდა შეიარაღებული ადამიანების თანხლება, თითქოს მეომარი ყოფილიყო.

დიდი მედიდურობით გადმოვიდა ის ტახტრევანიდან, ორი მონა მხარში ამოუდგა (მესამეს მის თავზე ქოლგა ეკავა) და შევიდა რაბსუნის სახლში.

– სად არის ის... ხირამი? – მედიდურად ჰკითხა მასპინძელს.

– აქ არ გახლავს.

– როგორ? მე უნდა დაველოდო?

– ის არ არის ამ ოთახში, მაგრამ აქედან მესამეში იმყოფება, ჩემ ცოლთან, – უპასუხა მასპინძელმა, – ამჟამად მისი სტუმარია.

– მე იქ არ წავალ!.. – განაცხადა მევახშემ და დივანზე ჩამოჯდა.

– შეხვალ მეზობელ ოთახში, და ისიც იქ მოვა. მცირე შეკამათების შემდეგ დაგონმა დაუთმო და როცა მასპინძელმა ანიშნა, მეზობელ ოთახში გავიდა. იმავე დროს მეორე ოთახიდან გამოვიდა წვერჭაღარა შუატანის კაცი, რომელსაც ოქროსფერი ტოგა ეცვა და თავს ოქროს გვირგვინი უმშვენებდა.

– აი, – განაცხადა შუა ოთახში მდგომმა მასპინძელმა, – მისი მოწყალება თავადი ხირამი, ტვიროსის უმაღლესი საბჭოს წევრი, ეს კი ღირსპატივცემული დაგონი, მისი უმაღლესობის ტახტის მემკვიდრისა და ქვემო ეგვიპტის მეფისნაცვლის რწმუნებული.

ორივე წარჩინებული სტუმარი გულზე ხელდაკრეფით მიესალმა ერთმანეთს და შუა ოთახში ცალ-ცალკე მაგიდებს მიუსხდნენ. ხირამმა ოდნავ შეიხსნა ტოგა, რომ კისერზე დაკიდებული ვეებერთელა ოქროს მედალი გამოეჩინა. ამის საპასუხოდ დაგონმა ხელში შეათამაშა ოქროს მსხვილი ძეწკვი, რომელიც მან ბატონიშვილ რამზესისაგან მიიღო.

– მე, ხირამი, – დაიწყო მოხუცმა,- მოგესალმებით თქვენ, ბატონო დაგონ, და გისურვებთ დიდ სიმდიდრესა და წარმატებას საქმეებში.

– მე, დაგონი, მოგესალმებით თქვენ, ბატონო ხირამ, და გისურვებთ იმასვე, რაც თქვენ ჩემთვის გსურთ.

– რაო, გინდათ წამეჩხუბოთ? – შეუტია ხირამმა.

– აბა, როდის ვჩხუბობ?.. რაბსუნ, შენ თვითონ თქვი, განა მე ვჩხუ-

ბობ? – შეესიტყვა დაგონი.

– უკეთესია თქვენმა ღირსებამ საქმეზე ილაპარაკოს, – ამშვიდებდა მას მასპინძელი.

ხირამი წუთით დაფიქრდა და დაიწყო:

– თქვენი ტვიროსელი მეგობრები ჩემი პირით გულითად სალამს გითვლიან.

– სხვას არაფერს მითვლიან? – დაცინვით ჰკითხა დაგონმა,

– სხვა რაღა გინდათ? – აიმაღლა ხმა ხირამმა.

– წყნარად... ნუ ჩხუბობთ!.. – ჩაერია მასპინძელი, ხირამმა

რამდენჯერმე ღრმად ამოიოხრა და თქვა:

– ეს სწორია, ჩვენ ჩხუბი არ გვმართებს. ფინიკიას მძიმე დრო უდგება.

– რა მოხდა? ზღვამ ხომ არ წალეკა თქვენი ტვიროსი ან სიდონი?.. – ღიმილით შეეკითხა დაგონი.

ხირამმა გადააფურთხა და შეეკითხა:

– რა დაგემართათ, რატომ ხართ დღეს ასე გაჯავრებული?

– მე ყოველთვის გაჯავრებული ვარ, როდესაც „თქვენო ღირსებავს“ არ მიწოდებენ.

– თქვენ რატომ არ მიწოდებთ „თქვენო მოწყალებავო“?.. მე ხომ, მგონი, თავადი ვარ...

– იქნებ ფინიკიაში თავადი ხართ, – უპასუხა დაგონმა, – მაგრამ ასირიაში ყოველი დიდებულის ნახვას სამი დღე ელოდეგით მისაღები ოთახის დერეფანში. ხოლო როცა მიგიღებენ, მუცელზე ხოხავთ, როგორც ყოველი ფინიკიელი ვაჭარი.

– თქვენ რაღას იზამდით იმ ველურის წინაშე, რომელსაც შეუძლია სარზე წამოვაცვათ?.. – დაიყვირა ხირამმა.

– მე რას ვიზამდი, არ ვიცი, – უპასუხა დაგონმა, მაგრამ ეგვიპტეში მე გვერდით ვუზივარ დივანზე ტახტის მემკვიდრეს, რომელიც ახლა მეფისნაცვალიცაა.

– მეტი თანხმობა, თქვენო ღირსებავ... მეტი თანხმობა, თქვენო მოწყალებავ!.. – სინდისში აგდებდა ორივეს მასპინძელი.

– თანხმობა!.. მე თანახმა ვარ, რომ ეს ბატონი უბრალო ფინიკიელი მეწვრილმანეა და არ სურს მომექცეს სათანადო პატივისცემით...

– დაიყვირა დაგონმა.

– მე ასი გემი მყავს! – კიდევ უფრო ხმამაღლა დაიყვირა ხირამმა.

– ფარაონს კი ოცი ათასი ქალაქი, დაბა და სოფელი აქვს!

– თქვენ წყალში გადაყრით ყველა საქმეს და მთელ ფინიკიასაც... – ახლა უკვე ხმამაღლა მიმართა რაბსუნმა. ხირამმა

მუშტი შეკუმშა, მაგრამ გაჩუმდა.

– ის მაინც უნდა აღიაროთ, თქვენო ღირსებავ, – მიმართა მან წუთის შემდეგ დაგონს, – რომ იმ ოცი ათასი ქალაქიდან ფარაონს სინამდვილეში ბევრი არ ეკუთვნის.

– თქვენ გინდათ თქვათ, თქვენო მოწყალებავ, – უპასუხა დაგონმა, – შვიდი ათასი ქალაქი ტაძრებს ეკუთვნის და შვიდი ათასი მაგნატებსო?.. ყოველ შემთხვევაში, მეფეს კიდევ რჩება ექვსი ათასი...

– მთლიანად არა! თუ ამას გამოაკლებთ, თქვენო ღირსებავ, დაახლოებით სამი ათასს, რომლებიც ქურუმებს აქვთ დაგირავებული, და დაახლოებით ორი ათასს, რომლებიც ჩვენს ფინიკიელებს აქვთ იჯარით აღებული...

– თქვენი მოწყალება სიმართლეს ამბობს, – დაეთანხმა დაგონი, – მაგრამ ფარაონს მაინც რჩება ორი ათასამდე ძალიან მდიდარი ქალაქი...

– სეთმა გადაგრიათ!.. – დაიღრიალა თავის მხრივ რაბსუნმა. – მოყვებით აქ ფარაონის ქალაქების დათვლას... გაწყდეს იმისი...

– სუ!.. – დაისისინა დაგონმა და სავარძლიდან წამოხტა.

– როცა ფინიკიას უბედურება ელის!.. – დაამთავრა რაბსუნმა.

– იქნებ ინებოთ და გამაგებინოთ, რაა ეს უბედურება, – შეაწყვეტინა დაგონმა.

– აცალე ხირამს ლაპარაკი და გაიგებ, – უპასუხა მასპინძელმა.

– ილაპარაკოს...

– იცით თუ არა, თქვენო ღირსებავ, რა მოხდა ჩვენი ძმის ასარჰადონის სასტუმროში? – შეეკითხა ხირამი.

– მე ძმები არა მყავს სირაჯთა შორის... – ზიზღით მოუჭრა სიტყვა დაგონმა.

– გაჩუმდი... – აღშფოთებით დაუყვირა რაბსუნმა და სატევრის ტარს ხელი სტაცა. – ძილში მყეფარე ქოფაკივით სულელი ხარ!..

– ნეტავი რა აჯავრებს ამ... ამ ძვლებით მოვაჭრეს?.. – უპასუხა დაგონმა და დანას სტაცა ხელი.

– ჩუმად!.. ნუ ჩხუბობთ!.. – ამშვიდებდა მათ ჭაღარა თავადი და იმანაც ხელი ქამრისკენ წაიღო.

ერთ ხანს სამივეს ნესტოები ებერებოდა და თვალები უბრწყინავდა. ბოლოს ხირამმა, რომელიც ყველაზე ადრე დამშვიდდა, ვითომც არაფერი მომხდარაო, დაიწყო:

– ამ რამდენიმე თვის წინ ასარჰადონის სასტუმროში გაჩერდა ვიღაც პხუტი ქალაქ ხარანიდან...

– ის ჩამოვიდა, რათა რომელიღაც ქურუმისაგან ხუთი ტალანტი მიეღო, – ჩაურთო დაგონმა.

– მერე რა მოხდა? – შეეკითხა ხირამი.

– არაფერი. გაინაღდა ერთი ქურუმქალის მფარველობა და მისი რჩევით თებეს გაემგზავრა თავისი მოვალის მოსაძებნად.

– შენ ბავშვის ჭკუა გაქვს, ენა კი დიაცისა.. – უთხრა ხირამმა – ის ხარანელი, ხარანელი კი არა – ქალდეველია და პხუტი კი არა – ბეროესი ჰქვია...

– ბეროესი?.. ბეროესი?.. – იმეორებდა დაგონი და თან რაღაცას იგონებდა, – სადღაც გამიგონია ეს სახელი...

– გაგიგონია? – ზიზღით ჩაილაპარაკა ხირამმა. – ბეროესი ბაბილონის უბრძენესი ქურუმია, ასირიის მთავრობისა და თვით მეფის მრჩეველი,

– ვისიც უნდა იმის მრჩეველი იყოს, ოღონდ ფარაონისა ნუ იქნება... მე რა მესაქმება? – თქვა მევახშემ.

რაბსუნი სავარძლიდან წამოსტა, ცხვირთან მუშტი მოუღერა დაგონს და აყვირდა:

– შე ფარაონის სამზარეულოს ნარეცხით გასუქებულო ტახო, შენ ისევე გაინტერესებს ფინიკია, როგორც მე ეგვიპტე. რომ შეგეძლოს, ერთ ღრახმაზე გაჰყიდი სამ მობლოს. ქოფაკო... კეთროვანო!..

დაგონი გაფითრდა, მაგრამ დამშვიდებით უპასუხა:

– რას ამბობს ეს მედუქნე?.. ტვიროსში ჩემი შვილები ზღვაოსნობას სწავლობენ; სიდონში ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს ქმრით, ჩემი ქონების ნახევარი უმაღლეს საბჭოს ვასესხე, თუმცა ამისთვის ათ

პროცენტსაც კი არ ვღებულობ. ეს მედუქნე კი ამბობს, ფინიკიას არას. დაეძებო... გამიგონე, რაბსუნ, – დაუმატა მან, – მე ვუსურვებდი შენს ცოლს, შენს შვილებსა და შენი მამების აჩრდილებს, რომ ისევე ზრუნავდე იმათზე, როგორც მე თითოეულ ფინიკიურ ხომალდზე, ტვიროსის, სიდონის და ყველა სხვა ქალაქის ყოველ ქვაზე.

– დაგონი მართალს ამბობს, – ჩაერია ხირამი.

– მე არა ვზრუნავ ფინიკიაზე? – განაგრძობდა ბანკირი, რომელიც ისევ გაბრაზდა. – რამდენი ფინიკიელი გადმოვიყვანე აქეთკენ, რომ გამდიდრებულიყვნენ, და რა ხეირი მაქვს ამაში? მე არა ვზრუნავ?.. ხირამმა გააფუჭა ჩემი ორი ხომალდი და ამით დიდი საშოვარი მომისპო, მაგრამ აი, როდესაც საქმე ფინიკიას შეეხება, მე მაინც ვზივარ მასთან ერთ ოთახში.

– ეს იმიტომ, რომ შენ ფიქრობდი აქ ლაპარაკი ვინმეს მოტყუებაზე გვექნებოდა, – შენიშნა რაბსუნმა.

– ისე სიკვდილზე გეფიქროს შენ, ბრიყვო!.. – უპასუხა დაგონმა. – თითქოს ბავშვი ვიყო და არ მესმოდეს, რომ რაკი ხირამი ჩამოდის მემფისში, ცხადია, სავაჭრო საქმეებისათვის არ ჩამოვიდოდა. ეჰ, რაბსუნ!.. ერთ-ორ წელიწადს თავლის გამომგველ ბიჭად უნდა გემსახურა ჩემთან.

– კმარა!.. – დაიყვირა ხირამმა და მაგიდას მუშტი დაარტყა.

– ჩვენ ვერასოდეს ვერ დავამთავრებთ ამ ქალდეველ ქურუმზე საუბარს, – წაიბურტყუნა რაბსუნმა ისე გულგრილად, თითქოს ამ წუთში ის არ გაულანძღავთო.

ხირამმა ჩაახველა:

– ნამდვილად აქვს სახლი და მიწა ხარანში, – თქვა მან, – და იქ პხუტად იწოდება. მან ხეთელი ვაჭრებისაგან მიიღო წერილები სიდონის ვაჭრებისადმი და ამიტომაც წამოიყვანა ჩვენმა ქარავანმა. თვითონ ფინიკიურად კარგად ლაპარაკობს, პატიოსნად ასწორებს ანგარიშს, ზედმეტი არაფერი მოუთხოვია და ამიტომ ჩვენებმა დიდად შეიყვარეს. მაგრამ, – განაგრძო ხირამმა წვერის ფხანით, – როდესაც ლომი მგლის ტყავში გაეხვევა, ტყავის ქვეშ მუდამ გამოუჩნდება თუნდაც კუდის ბოლო და, ვინაიდან ეს პხუტი მეტად ჭკვიანია და თავი ფრიად გულდაჯერებით ეჭირა, ქარავნის მეთაური ადგა და ჩუმად გა-

უსინჯა ბარგი. განსაკუთრებული ვერაფერი იპოვა, გარდა მედლისა, რომელზედაც ღმერთქალი აშტორეტი იყო გამოსახული. ამ მედლის დანახვაზე ქარავნის მეთაურს გული შეეკუმშა. საიდან უნდა ჰქონდეს ხეთელს ფინიკიური მედალი?.. როდესაც სიდონში მივიდნენ, მაშინვე განუცხადა ამის შესახებ უხუცესებს. ამის შემდეგ ჩვენი საიდუმლო პოლიცია თვალს არ აშორებდა პხუტს. მაგრამ ისეთი ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც სიდონში გაატარა, ყველას თავი შეაყვარა. ის ლოცულობდა და მსხვერპლს სწირავდა ღმერთქალს აშტორეტს, ყველას ოქროთი უსწორდებოდა, არც თვითონ სესხულობდა და არც სხვებს ასესხებდა, ნაცნობობა მხოლოდ ფინიკიელებთან ჰქონდა, – ერთი სიტყვით, ისეთ ბურუსში გაეხვია, რომ მეთვალყურეობა შეასუსტეს და მშვიდობით მივიდა მემფისში. აქ ჩვენი უხუცესები თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს, ოღონდ გრძნობდნენ, რომ ეს ვიღაც დიდი კაცი უნდა იყოს და არა ხარანის უბრალო მოქალაქეო, მხოლოდ ასარჰადონმა შეძლო შემთხვევით მიეკვლია, რომ ამ ვითომც პხუტმა მთელი ღამე გაატარა სეთის ძველ ტაძარში, რომელსაც აქ დიდი გავლენა აქვს.

– იქ მხოლოდ უმაღლესი ქურუმები იკრიბებიან მნიშვნელოვანი თათბირების ჩასატარებლად, – შენიშნა დაგონმა,

– ეგ კიდევ არაფერი იქნებოდა, – განაგრძობდა ხირამი, – მაგრამ ერთმა ჩვენმა ვაჭარმა ამ ერთი თვის წინათ უცნაური ამბები ჩამოიტანა ბაბილონიდან. ამ ვაჭარს უხვად დაესაჩუქრებინა ბაბილონის მეფისწულის რომელიღაც კარისკაცი და მასაც ეამბნა, ფინიკიას უბედურება ემუქრებაო... „ასირიელებს თქვენი მიტაცება აქვთ განზრახული, – უთქვამს იმ კარისკაცს ჩვენი ვაჭრისათვის, – ისრაელებს კი ეგვიპტელები ჩაიგდებენო ხელში. დიდი ქალდეველი ქურუმი ბეროესი წარგზავნილი იყო თებეს ქურუმებთან, რომ მათთან ხელშეკრულება დაედოო“. თქვენ უნდა იცოდეთ, – განაგრძობდა ხირამი, – რომ ქალდეველი ქურუმები ეგვიპტელ ქურუმებს თავის ძმებად თვლიან, ხოლო ვინაიდან ბეროესს მეფე ტიგლატფილესარის კარზე დიდი გავლენა აქვს, ამიტომ ხმები ამ ხელშეკრულების შესახებ ფრიად დასაჯერია.

– მერე რად უნდათ ფინიკია ასირიელებს? – ფრჩხილების კვნეტით შეეკითხა დაგონი.

– რად უნდა ქურდს სხვისი ბეღელი? – უპასუხა ხირამმა,

– რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ბეროესის ხელშეკრულებას ეგვიპტის ქურუმებთან? – ჩაურთო ჩაფიქრებულმა რაბსუნმა.

– სულელი ხარ!.. – უთხრა დაგონმა. – ფარაონი ხომ მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც ქურუმები დაადგენენ თავის თათბირზე.

– ნუ სწუხარ, ფარაონთანაც დაიდება ხელშეკრულება, – შეაწყვეტინა ხირამმა. – ტვიროსში იციან, რომ ეგვიპტეში დიდი ამალითა და საჩუქრებით მოდის ასირიის დესპანი სარგონი. მას ვითომც სურს ერთხანს დარჩეს ეგვიპტეში და მინისტრებს მოელაპარაკოს, რომ ეგვიპტის დოკუმენტებში აღარ იწერებოდეს, ასირია ხარკს უხდის ფარაონებსო. სინამდვილეში კი ის მოდის ხელშეკრულების დასადებად იმ ქვეყნების დანაწილების შესახებ, რომლებიც ჩვენს ზღვასა და მდინარე ევფრატს შორის მდებარეობენ.

– მიწაც გასკდომიათ! – დასწყევლა რაბსუნმა.

– შენ რაღას ფიქრობ ამაზე, დაგონ? – შეეკითხა ხირამი,

– თქვენ როგორღა მოიქცეოდით, ტიგლატფილესარი მართლაც რომ თავს დაგსხმოდათ?

ხირამი აღშფოთებისაგან მთლად აკანკალდა.

– რაო?. ჩვენ ოჯახებითა და მთელი დოვლათით ხომალდებში ჩავსხდებოდით და ამ ძაღლებს მხოლოდ ნანგრევებს და მონების გახრწნილ გვამებს დავუტოვებდით... განა არ არის ფინიკიაზე უფრო დიდი და ლამაზი ქვეყნები, სადაც შეიძლება ახალი, ამაზე უფრო მდიდარი სამშობლო დავაარსოთ?

– ღმერთებმა დაგვიფარონ ასეთი უკიდურესობისაგან, თქვა დაგონმა,

– აი სწორედ ამაშია საქმე. უნდა ვიხსნათ ახლანდელი ფინიკია სრული განადგურებისაგან, – განაგრძობდა ხირამი, და შენ, დაგონ, ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია.

– მაგალითად, რის?..

– უნდა გაიგო ქურუმებისაგან, იყო თუ არა მათთან ბეროესი და დადო თუ არა მათთან ასეთი ხელშეკრულება,

– ეს საშინლად ძნელია! – წაიჩურჩულა დაგონმა. – მაგრამ იქნებ გამოვნახო ისეთი ქურუმი, რომელიც ყველაფერს მიამბობს.

– ხომ არ შეგიძლია, – განაგრძო ხირამმა, – რომელიმე კარისკაცის დახმარებით ხელი შეუშალო სარგონთან ხელშეკრულების დადებას?

– ეგ მეტად ძნელია. მარტოკა ამას ვერ შევძლებ.

– მე დაგეხმარები. ოქროს კი ფინიკია მოგვაწვდის. იქ უკვე წარმოებს შეგროვება.

– მე თვითონ ორ ტალანტს გავიღებ, – ხმადაბლა უთხრა რაბსუნმა.

– მე ათს მივცემ, – თქვა დაგონმა. – მაგრამ რას მივიღებ ჩემი შრომისათვის?..

– რას?.. ვთქვათ, ათ ხომალდს, – უპასუხა ხირამმა.

– შენ რამდენსღა იგებ? – ჰკითხა დაგონმა.

– გეცოტავება?.. მაშ თხუთმეტს მიიღებ.

– მე გეკითხები, შენ რას იგებ-მეთქი? – ჩააცივდა დაგონი.

– ოცს მოგცემთ. საკმარისია?

– კარგი. თქვენ თუ მიმასწავლით გზას ვერცხლის მხარისაკენ?

– მიგასწავლით,

– იქითაც, სადაც კალას იღებთ?

– ჰო...

– იქითკენაც, სადაც ქარვა მოიპოვება?.. – დაამთავრა დაგონმა.

– ჩაძაღლდი შენ, ჩაძაღლდი! – უპასუხა თავადმა ხირამმა და მოწყალედ გაუწოდა ხელი, – ამიერიდან ხომ აღარ გამიბრაზდები იმ ორი კარჭაპისათვის?..

დაგონმა ამოიოხრა,

– ვეცდები დავივიწყო. მაგრამ... რა სიმდიდრეს შევიძენდი, თქვენ რომ მაშინ არ გამოგეგდეთ?

– კმარა!.. – ჩაერია რაბსუნი. ილაპარაკეთ ფინიკიაზე.

– ვისი საშუალებით გაიგებ ბეროესისა და ხელშეკრულების შესახებ? – ჰკითხა პირამმა დაგონს.

– ნუ მეკითხები. ამაზე ლაპარაკი საშიშია, რადგან ამ საქმეში ქურუმები არიან ჩარეული.

– ვისი საშუალებითღა ჩაშლი ხელშეკრულებას?

– ვფიქრობ... ვფიქრობ, რომ ტახტის მემკვიდრის დახმარებით. მე მისი ბევრი ხელწერილი მაქვს. ხირამმა ხელი ასწია.

– მემკვიდრე? ძალიან კარგი. ის ხომ ფარაონი იქნება და შეიძლება სულ მალეც...

– სუ... – ხელი დაარტყა მაგიდაზე. – ენა გაგიხმეს ასეთი ლაპარაკისათვის.

– აი ბღენძი... – წამოხტა რაბსუნი და მევახშეს მუშტით დაემუქრა.

– აი სულელი მეწვრილმანე! – უპასუხა დაგონმა დამცინავი ღიმილით. – შენ, რაბსუნ, მხოლოდ იმისი ღირსი ხარ, რომ ხმელ თევზსა და წყალს ჰყიდდე ქუჩაში, სახელმწიფო საქმეებში ჩარევა რა შენი საქმეა. ეგვიპტის ტალახით გასვრილი ხარის ჩლიქში მეტი ჭკუაა, ვიდრე შენა გაქვს, თუმცა ხუთი წელია ეგვიპტის სატახტო ქალაქში ცხოვრობ!.. შე ღორის კერძო, შენა!

– ჩუმად!., ჩუმად!.. – ჩაერია ხირამი, – მაცალეთ დავამთავრო.

– ილაპარაკე, ბრძენი ხარ და მე გულისყური შენთვის მომიპყრია, – განაცხადა რაბსუნმა.

– დაგონ, ძალიან კარგია, რომ შენ გავლენა გქონია მემკვიდრეზე, – განაგრძო ხირამმა, – ვინაიდან თუ მემკვიდრე მოისურვებს ასირიასთან ხელშეკრულების დადებას, მაშინ ხელშეკრულება დაიდება და მას ჩვენი სისხლით დაწერენ ჩვენსავე ტყავზე. ხოლო თუ მემკვიდრე ასირიასთან ომს მოისურვებს, მიაღწევს თუნდაც ქურუმებმა მის წინააღმდეგ ყველა ღმერთს მოუწოდონ.

– სისულელეა! – შეესიტყვა დაგონი. – საკმარისია ქურუმებმა ბეჯითად მოისურვონ და ხელშეკრულება დაიდება. მაგრამ იქნებ იმათ ეს არც მოისურვონ...

– და ამიტომ, დაგონ, – განაგრძობდა ხირამი, – აუცილებელია, რომ ყველა სამხედრო უფროსი ჩვენს მხარეზე იყოს.

– ეს შეიძლება...

– ნომარქოსები...

– შეიძლება ნომარქოსებიც...

– მემკვიდრეც, – განაგრძობდა ხირამი. – მაგრამ თუ მხოლოდ შენ ერთი ეცდები მემკვიდრეს ასირიასთან ომი აფიქრებინო, არაფერი გამოვა. ადამიანი ქნარს მიაგავს: მას ბევრი სიმი აქვს, და საჭიროა ამ სიმებზე ათივე თითით დაკვრა. შენ კი, დაგონ, ერთი თითი ხარ.

– ათ ნაწილად ხომ ვერ გავიჭრები.

– მაგრამ შენ შეგიძლია იყო ხელი, რომელზეც ხუთი თითია. ისე უნდა მოაწყო, არავინ იცოდეს, რომ ომი გსურს, მაგრამ ომი უნდა უნდოდეს მემკვიდრის ყველა მზარეულს, ყოველ დალაქს, ყოველ მექისეს, მებარგულეს, მწერალს, ოფიცერს, მეეტლეს – ყველას ასირიასთან ომი უნდა სწყუროდეს და მემკვიდრეს ეს დილიდან დაღამებამდე უნდა ესმოდეს, მაშინაც კი, როცა სძინავს.

– ასეც იქნება.

– შენ იცნობ მის საყვარლებს? – ჰკითხა ხირამმა.

დაგონმა ხელი ჩაიქნია.

– სულელი გოგოები არიან, – უპასუხა მან. – ისინი მხოლოდ მორთვაზე, ფერუმარილსა და სურნელებით ტანის დაზელაზე ფიქრობენ. ხოლო საიდან ჩნდება ეს სურნელება და ვის მოაქვს ის ეგვიპტეში, – ეგ უკვე მათი საქმე არაა.

– უნდა შევაჩეროთ ისეთი საყვარელი, რომელსაც ეს ეცოდინება, – უთხრა ხირამმა.

– მერე სად ვიშოვო? – ჰკითხა დაგონმა. – თუმცა არის!.. – წამოიძახა მან. – იცნობ კამას, აშტორეტის ქურუმი ქალს?

– რაო? – შეაწყვეტინა რაბსუნმა. – წმიდა ღმერთქალის აშორეტის ქურუმქალი ეგვიპტელის საყვარელი იქნება?..

– კი გერჩია, რომ შენი ყოფილიყო, – უჩხვლიტა დაგონმა. – ჩვენ მას უმაღლეს ქურუმქალადაც კი გავხდით, თუ საჭირო იქნება მისი სასახლესთან დაახლოება...

– ეგ სწორია, – დაეთანხმა ხირამი.

– ეს ხომ მკრეხელობაა!.. – აღშფოთდა რაბსუნი.

– მერე რა, ქურუმქალს, რომელიც ამას ჩაიდენს, შეუძლია მოკვდეს კიდეც, – შენიშნა მოხუცმა ხირამმა.

– ოღონდ იმ ებრაელმა ქალმა, სარამ, არ შეგვიშალოს ხელი, – წუთიერი სიჩუმის შემდეგ თქვა დაგონმა. – ის ელის ბავშვს, რომელიც მემკვიდრეს ახლავე დიდად უყვარს. ხოლო თუ ვაჟი დაებადა, მაშინ ყველა დანარჩენი მეორე რიგში გადავა.

– ჩვენ სარასთვისაც მოგვეპოვება ფული, – განაცხადა ხირამმა.

– ის არაფერს არ აიღებს!.. – გაცეცხლდა დაგონი. – იმ არდასარჩენმა არ მიიღო ძვირფასი ოქროს ფიალა, რომელიც მე თვითონ მი-

ვუტანე.

– ეგონა, მატყუებსო და იმიტომ, – ჩაურთო რაბსუნმა.

ხირამმა თავი გააქნია.

– საწუხარი არა გვაქვს რა, – ჩაილაპარაკა მან, – სადაც ვერ შეაღწევს ოქრო, იქ შეაღწევს მამა, დედა, საყვარელი... ხოლო სადაც საყვარელი ვერ მისწვდება, იქ გააღწევს...

– დანა... – ჩაიჩურჩულა რაბსუნმა.

– საწამლავი... – წაიჩურჩულა დაგონმა.

– დანა მეტად უხეში საშუალებაა... – დაასკვნა ხირამმა. მან წვერები მოიალერსა, ჩაფიქრდა, ბოლოს ადგა და ტანისამოსის ნაკეცებიდან ამოიღო მეწამული ლენტი, რომელზეც სამი ოქროს ავგაროზი იყო ასხმული ღმერთქალ აშტორეტის გამოსახულებით; შემდეგ ქამრიდან ამოაძრო დანა, გაჭრა ლენტი სამ ნაწილად და ორი ავგაროზებიანი ნაჭერი გადასცა დაგონსა და რაბსუნს.

მერე სამივენი გაემართნენ იმ კუთხისკენ, სადაც ღმერთქალის ფრთოსანი ქანდაკება იდგა, გულზე ხელები დაიკრიფეს და ხირამმა ხმადაბლა, მაგრამ სრულიად გარკვევით წარმოთქვა:

– შენ, დედაო ცხოვრებისაო, გეფიცებით, რომ ერთგულად დავიცავთ ჩვენს მოლაპარაკებას და არ დავისვენებთ მანამდე, სანამ წმიდა ქალაქები განთავისუფლებული არ იქნება მტრებისაგან, რომლებიც დე ამოხოცოს შიმშილმა, ჭირმა და ცეცხლმა!., ხოლო უკეთუ ვინმე ჩვენგანი გატეხს ფიცს და საიდუმლოებას გასცემს, დე მას თავს დაატყდეს ყველა უბედურება და შერცხვენა... დე შიმშილი სწვავდეს მის შიგნეულს და სისხლით ავსებულ მის თვალებს ძილი არ მიეკაროს. დე ხელი გაუხმეს მას, ვინც შეიბრალებს და მის დასახმარებლად გაეშურება. დე სუფრაზე მისი პური ლეშად იქცეს, ღვინო კი – მყრალ წყლად. დე მისი ღვიძლი შვილები დაიხოცონ და სახლი მისი აივსოს ნაბიჭვრებით, რომლებიც მას მიაფურთხებენ და სახლიდან გამოაგდებენ. დე თვითონაც მოკვდეს ყველასაგან მოძულებული, დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ მარტოობაში, და დე მისი ბილწი სხეული არ მიიღოს არც მიწამ, არც წყალმა, არც ცეცხლმა დაწვას, არც გარეულმა მხეცებმა შეჭამონ... ამინ!..

როდესაც სტუმრებმა სული მოითქვეს ამ საშინელი ფიცის შემდეგ,

რომელსაც სამივე იმეორებდა სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით, რაბსუნმა ისინი მიიწვია სუფრასთან, სადაც ღვინომ, საკრავებმა და მოცეკვავე ქალებმა დროებით დაავიწყეს მომავალი საქმე.

წიგნი მეორე

თავი პირველი

ქალაქ ბუბასტისის მახლობლად ღმერთქალის ხატორის დიდი ტაძარი იდგა. პაინის (მარტი-აპრილი) თვეში, გაზაფხულის ბუნიაობის ჟამს, საღამოს ათ საათზე, როდესაც ვარსკვლავი სირიუსი დასავლეთისაკენ გადახრილიყო, ტაძრის ალაყაფის კართან შეჩერდა ორი ქურუმი, რომლებიც შორიდან მოსულებს ჰგავდნენ. მათ მოსდევდა მორჩილი. ფეხშიშველსა და თავზე ნაცარწაყრილ მორჩილს სახეზე ჩამოფარებული ჰქონდა ხამი ტილოს ნაჭერი.

თუმცა ღამე ნათელი იყო, მაგრამ ვერც ორი სხვა მგზავრის სახის ნაკვთებს გაარჩევდით. ისინი იდგნენ ჩრდილში ძროხისთავიანი ღმერთქალის ორი უზარმაზარი ქანდაკებისა, რომლებიც თავიანთი მოწყალე თვალით იცავდნენ ტაძრის ბჭესა და იმუ-ხენტის[1] ნომს ჭირის, გვალვისა და სამხრეთის ქარებისაგან.

მცირე შესვენების შემდეგ მორჩილი პირქვე დაემხო და დიდხანს ლოცულობდა. მერე წამოდგა, ხელში აიღო სპილენძის ურატა და ალაყაფის კარზე დაარაკუნა. ლითონის მძლავრმა ხმამ შემოირბინა ყველა ეზო, ტაძრის სქელი კედლებიდან უკუქცეულმა ექომ გადაიარა პურის ყანები, გლეხების ქოხთა სახურავები და ნილოსის ვერცხლისფერი წყალი, სადაც გაღვიძებულმა ფრინველებმა უნიათო ჟრიამულით უპასუხეს.

მცირე ხნის შემდეგ ალაყაფის კარს იქით ფაჩუნი მოისმა და ვიღაცამ იკითხა:

– ვინაა, რომ გვაღვიძებს?

– ღვთის მონა რამზესი, – უპასუხა მორჩილმა.

– რისთვის მოსულხარ?

– სიბრძნის ნათელისათვის.

– რა უფლების ძალით?

---

[1] იმუ-ხენტი – ძველეგვიპტური სახელწოდებაა მე-18 ქვემო ეგვიპტური ნომისა, რომლის მთავარი ქალაქი იყო ბუბასტისი.

– ნაკურთხი ვარ დაბალ ხარისხში და დიდი პროცესიების დროს ტაძარში ლამპარს ვატარებ.

ჭიშკარი ფართოდ გაიღო. ზღურბლთან იდგა თეთრ ტანსაცმელში შემოსილი ქურუმი. მან ხელი გაიწოდა მორჩილისაკენ და დინჯად და გარკვევით წარმოთქვა:

– შემოდი. ოდეს ამ ზღურბლს გადმოაბიჯებ, ღმერთებმა მიანიჭონ შენს სულს მშვიდობა, და აღსრულდეს შენნი ვედრებანი. რომელთაც აღავლენ მათდამი მოკრძალებულ ლოცვებში.

როდესაც ქურუმის წინ მორჩილი პირქვე დაემხო, მან მის თავზე რაღაც იდუმალი ნიშნები გამოსახა და წაიბუტბუტა:

– იმის სახელით, ვინც არის, იყო და იქნება... ვინც შექმნა ყოველივე... ვისი სუნთქვა ავსებს ხილულსა და "უხილავ სამყაროს...

როდესაც ჭიშკარი დაიხურა, ქურუმმა ხელი ჩაკიდა რამზესს, სიბნელეში გაატარა მინაშენის უზარმაზარ სვეტებს შორის და მისთვის განკუთვნილ ბინაში შეიყვანა. ბინა წარმოადგენდა ჭრაქით გაშუქებულ მცირე სენაკს, რომლის ქვის იატაკზე ერთი იღლია გამხმარი თივა ეყარა, კუთხეში წყლის დოქი იდგა, ხოლო მის გვერდით ქერის კვერი იდო.

– ვხედავ, რომ აქ მართლაც დავისვენებ ნომარქოსების ნადიმების შემდეგ! – სიხარულით ჩაილაპარაკა რამზესმა.

– იფიქრე მარადისობაზე! – უთხრა ქურუმმა და განშორდა.

ამ სიტყვებმა გუნება გაუფუჭა ბატონიშვილს. მიუხედავად იმისა, რომ შიოდა, კვერს ხელი არ ახლო და არც წყალი დალია; დაჯდა გამხმარ თივაზე, დააცქერდა სიარულით დაწყლულებულ ფეხებს და გაიფიქრა: „რა მინდოდა აქ?.. რატომ უარვყავი ტახტის მემკვიდრის ბრწყინვალე მდგომარეობა?..“

სენაკის შიშველმა კედლებმა რამზესს მოაგონა ქურუმთა სკოლაში გატარებული სიყრმის წლები. რამდენ ცემას იტანდა იქ... რამდენი ღამე გაუთევია ქვის იატაკზე და ახლაც კვლავ განიცადა სიძულვილი და შიში მკაცრი ქურუმებისადმი, რომლებიც მის ყოველ თხოვნასა და შეკითხვაზე ერთსა და იმავე პასუხს აძლევდნენ: „იფიქრე მარადისობაზე!“

რამზესი უფიქრდებოდა თავის ახლანდელ ყოფას და უკვირდა,

რომ ნადიმებში გატარებული თვეების შემდეგ ამ დუმილით მოცულ გარემოში ამოყო თავი. ტახტის მემკვიდრის სასახლე სიბნელესა და განმარტოებაზე გაცვალა და, ნაცვლად ნადიმებით, მშვენიერი ბანოვანებითა და მუსიკით დატკბობისა, ქვის მოღუშულ კედლებს შეჰყურებდა...

– არა, ნამდვილად ჭკუაზე შევიშალე! მე გიჟი ვარ! – იმეორებდა იგი.

რამზესი მზად იყო დაეტოვებინა ტაძარი, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა ფიქრმა, – შეიძლება ალაყაფის კარი არ გამიღონო. უცებ საშინლად შეეზიზღა ფეხებზე მოდებული ტალახი, ნაცარი, თმიდან რომ სცვიოდა, მონანიე ღვთისმოსავის უხეში ფარაჯა, რომელიც ტანთ ეცვა. ოჰ, ნეტავი ხელთ ჰქონოდა ხმალი! მაგრამ განა გაბედავდა ხმლის მოქნევას ამ სამოსელში და ასეთ ადგილას?

რამზესი საშინელმა შიშმა შეიპყრო, რამაც გონს მოიყვანა. მოაგონდა, რომ ღმერთები ადამიანთ ტაძრებში მოუვლენენ იმ შიმს, რომელიც სიბნელეში ჩაწვდომის დასაწყისია.

„ვინ რას დამაკლებს, მე ხომ ფარაონის მემკვიდრე და ნაცვალი ვარ?“ – გაიფიქრა მან.

რამზესი წამოდგა და სენაკიდან გავიდა სვეტებით გარშემორტყმულ დიდ ეზოში. ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ, ეზოს ერთ კუთხეში უზარმაზარი პილონები მოჩანდა, მეორეში – ტაძრის ღია კარიბჭე.

იგი კარიბჭისაკენ გაეშურა. აქ სრული წყვიდადი სუფევდა. მხოლოდ სადღაც სივრცეში ენთო რამდენიმე ლამპარი, რომლებიც თითქოს ჰაერში ფარფატებდნენ. კარიბჭესა და ლამპარს შორის მსხვილი სვეტების მთელი ტყე იყო აღმართული, რომელთა კაპიტელები წყვდიადში გამოკრთოდნენ. მათგან რამდენიმე ასეული ნაბიჯის დაშორებით კი ბუნდად მოჩანდა ღმერთქალის უზარმაზარი ფეხები და მუხლებზე დაწყობილი ხელები, საიდანაც ოდნავ ირეკლებოდა ლამპების სინათლე.

უეცრად რამზესს შრიალი შემოესმა. შორს, ტაძრის მინაშენიდან გამოჩნდნენ თეთრებში გამოწყობილი ადამიანები, ისინი წყვილწყვილად მიაბიჯებდნენ. ეს იყო ღმერთქალის სადიდებლად მიმავა-

ლი ქურუმების ღამის პროცესია. ორი გუნდი გალობდა. ერთხანს გალობა ძლივს მოისმოდა, შემდეგ კი თანდათან გაძლიერდა, ასე რომ ყოველი სიტყვა გარკვევით ისმოდა, მაგრამ რაც უფრო შორს მიიწევდა პროცესია, იფანტებოდა სვეტებსა და იაქთაღებს შორის, და, ბოლოს, სრულებით შეწყდა.

„ჩანს, ეს ხალხი არა მარტო ჭამს, სვამს და ქონებას იძენს, გაიფიქრა რამზესმა, – არამედ ნამდვილად ასრულებს ღვთისმსახურებას ღამითაც კი. მაგრამ რაში სჭირია ეს ქანდაკებას?“

ბატონიშვილს არა ერთხელ უნახავს, რა შეურაცხყოფას აყენებდნენ ადამიანები საზღვართა ღმერთების ქანდაკებებს; ხშირად მათ ტალახის გუნდებს ესროდნენ მოსაზღვრე ნომის მცხოვრებლები, ხოლო უცხოელთა ლეგიონების მეომარნი ისრებსა და შურდულით ქვებს სტყორცნიდნენ. და თუ ღმერთებს ასეთი უდიერი მოპყრობა არა სწყინთ, მაშინ მათ არც ლოცვები და პროცესიები უნდა აინტერესებდეთო.

– ანკი ვინ იხილა ღმერთები? – შეეკითხა თავის თავს რამზესი.

მაგრამ უზარმაზარი ტაძარი, მისი უთვალავი სვეტები, ქანდაკების წინ დანთებული ლამპრები – რამზესს იზიდავდნენ. მას სურვილი აღეძრა გარკვეულიყო ამ იდუმალებით მოცულ წყვდიადში, და წინ გასწია.

ანაზდად მოეჩვენა, ვითომ მის კეფას ნაზად შეეხო ვიღაცის ხელი... მოიხედა, მაგრამ არავინ ჩანდა... რამზესმა კვლავ წინ გასწია...

ამჯერად ვიღაცამ თავზე ხელები მოხვია, თან ფართო ნები დაადო მხარზე...

– ვინ არის? – წამოიძახა რამზესმა და სვეტებისაკენ გაემურა, მაგრამ, თითქოს ვიღაცამ ფეხებში ხელი წაავლოო, წაიბორძიკა და კინაღამ წაიქცა.

რამზესი კვლავ შიშმა მოიცვა, რაც ამჟამად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სენაკში, და იგი გიჟივით გაიქცა, თან აქეთ-იქით ეხეთქებოდა სვეტებს, რომლებიც თითქოს განზრახ წინ ეღობებოდნენ. მემკვიდრეს ყოველი მხრიდან სიბნელე ერტყა.

– ოჰ, მიხსენ წმიდაო ღმერთქალო! – წაიჩურჩულა მან, და იქვე შეჩერდა: მისგან რამდენიმე ნაბიჯზე მოჩანდა ტაძრის კარიბჭე, რო-

მელშიც ვარსკვლავებიანი ცა იმზირებოდა. იგი მოტრიალდა: უზარმაზარი სვეტების ტყეში ენთო ლამპრების შუქი, რომელიც ბუნდად ციმციმებდა ღმერთქალ ხატორის ბრინჯაოს მუხლებზე. ბატონიშვილი აღელვებული და გუნებაგაფუჭებული დაბრუნდა თავის სენაკში, მახეში გაბმული ჩიტივით უფართხალებდა გული. მრავალი წლის მანძილზე იგი პირველად დაემხო იატაკზე და მხურვალედ შეევედრა ღმერთქალს – გამოეჩინა მისდამი სათნოება და მოწყალება.

– შენი ვედრება შესმენილ იქნება! – გაისმა მის თავს ზემოთ საამო ხმა.

რამზესმა საჩქაროდ აიხედა, მაგრამ სენაკში არავინ იყო, მან უფრო მხურვალედ განაგრძო ლოცვა და ასე ჩაეძინა კიდეც ქვის იატაკზე დამხობილს.

მეორე დღეს მეფისწულს სულ სხვა ადამიანად გამოეღვიძა. მან შეიცნო ღმერთების ძალა და შეწყალების იმედი მოეცა.

ამ დღიდან იგი გულმოდგინე და რწმენით აღსავსე ღვთისმოსავი შეიქნა; თმა მოიპარსა, ტანთ ქურუმების სამოსელი ჩაიცვა, დიდხანს ლოცულობდა სენაკში და დღე-ღამის განმავლობაში ოთხჯერ გალობდა უმცროს ქურუმთა გუნდში. ფუფუნებასა და განცხრომაში გატარებული ცხოვრება ახლა ზიზღს ჰგვრიდა რამზესს; ურწმუნოება კი, რომელიც მან წარჩინებული ახალგაზრდობისა და უცხოელებისაგან შეითვისა, აშინებდა, და რომ ახლა მისთვის ეთქვათ, ფარაონის ტახტი გირჩევნია თუ ქურუმობაო, იგი შეყოყმანდებოდა.

ერთ დღეს მემკვიდრე იხმო ტაძრის უმაღლესმა ქურუმმა და მოაგონა, რომ იგი აქ არა მარტო ლოცვისათვის არის მოსული, არამედ სიბრძნეც უნდა შეიცნოს. ქურუმმა შეაქო მისი ღვთისმოსაობა, რომლის წყალობით იგი ქვეყნიური ამაოებისაგან უკვე განიწმინდა და დაავალა გასცნობოდა ტაძართან არსებულ სკოლებს.

უფრო მორჩილების გრძნობის, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გავლენით, უმაღლესი ქურუმისაგან წამოსული რამზესი პირდაპირ გარე ეზოში გავიდა, სადაც წერა-კითხვის კლასი იყო მოთავსებული.

კლასი წარმოადგენდა დიდ დარბაზს, რომელშიც სინათლე სახურავის ხვრელიდან ჩადიოდა. აქ ჭილობზე იჯდა რამდენიმე ათეული შიშველი მოწაფე, რომელთაც ხელში გასანთლული დაფები ეჭირათ.

დარბაზის ერთი კედელი ალებასტრით იყო ნაგები. კედლის წინ იდგა მასწავლებელი და ფერადი ცარცით მასზე ნიშნებს წერდა.

როდესაც ბატონიშვილი დარბაზში შევიდა, მოწაფეები (თითქმის ყველა მისი წლოვანებისა) პირქვე დაემხვნენ, მასწავლებელმა კი თაყვანი სცა და შეწყვიტა გაკვეთილი, რათა ყრმათათვის დარიგება მიეცა სწავლის უაღრეს მნიშვნელობაზე.

– ჩემო მეგობრებო, – მიმართა მან მოწაფეებს, – ადამიანი, რომლის გულისყური სიბრძნისაკენ არ არის მიპყრობილი, იძულებული ხდება ხელი მოჰკიდოს ფიზიკურ შრომას და მხედველობა დაძაბოს. იმას კი, ვისაც სწავლის მნიშვნელობა შეგნებული აქვს და მეცნიერებას მისდევს, შეუძლია მიაღწიოს ყოველგვარ ხელისუფლებას, ფარაონის კარზე ყოველნაირი თანამდებობა მიიღოს. გახსოვდეთ ეს! დაუკვირდით იმ ადამიანთა ბედკრულ ცხოვრებას, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან. მჭედელი მუდამ გამურულია ჭვარტლით, ხელები დაკოჟრებული აქვს და დღედაღამ მუშაობს. ქვისმთლელი ხელებს იწყლულებს, რათა კუჭი ამოიყოროს. მეფარდახტეს, რომელიც ლოტოსის მინაგვარ სვეტის თავებს აკეთებს, ზოგჯერ ქარი გადმოაგდებს სახურავიდან. ფეიქარს მუხლები მუდამ მოხრილი აქვს. იარაღის ოსტატი მუდამ მოგზაურობს, საღამოს ვერც კი ასწრებს შინ დაბრუნებას, რომ იძულებულია ისევ განშორდეს ოჯახს. მღებავს, რომელიც ბინების კედლების მოხატვაზე მუშაობს, თითები მუდამ საღებავში აქვს გასვრილი. მალემსრბოლს, ოჯახს რომ ეთხოვება, ანდერძის დატოვება უხდება, ვინაიდან შეიძლება გზაზე თავს დაესხან მტაცებელი მხეცები ან აზიელები. მე დაგიხატეთ იმ ადამიანთა ხვედრი, რომელნიც სხვადასხვა ხელობას მისდევენ, რადგან მსურს თქვენ წერის ხელოვნება შეიყვაროთ. იგი თქვენთვის სხვა პროფესიაზე უფრო მნიშვნელოვანია. ვინც წერის ხელოვნებას, ფლობს, ბავშვობიდანვე პატივისცემით სარგებლობს; მას დიდ საქმეებსაც ანდობენ. ის კი, ვინც ამ ხელოვნებას მოკლებულია, სიღატაკეში ღაფავს სულს. სკოლაში სწავლა მძიმეა, როგორც მთაზე ასვლა, მაგრამ სამაგიეროდ მთელ თქვენ სიცოცხლეში გეყოფათ, ამიტომ ეცადეთ რაც შეიძლება საჩქაროდ დაეუფლოთ და შეიყვაროთ იგი. მწერლის წოდება თავადური წოდება. საწერელი და წიგნი მას სიამოვნებასა და სიმდიდრეს

ანიჭებს[1].

მეცნიერებისადმი ხოტბის შესხმის შემდეგ, რომელსაც ეგვიპტელი მოწაფეები სამი ათასი წლის განმავლობაში უცვლელად ისმენდნენ, მასწავლებელმა აიღო ცარცი და ალებასტრის კედელზე ანბანის წერა დაიწყო. თითოეული ასო რამდენიმე იეროგლიფური და დემოტიკური ნიშან-სიმბოლოთი გამოიხატებოდა. ფრინველის თვალი ან ფრთა აღნიშნავდა ასოს – ა; ცხვარი ან საყვავილე ქოთანი – ასოს – ბ, ფეხზე მდგომი კაცი ან მცირე ნავი – ასოს – კ. გველი – რ-ს, მჯდარი კაცი ან ვარსკვლავები – ს-ს. ნიშნების სიმრავლე მეტად აძნელებდა კითხვისა და წერის შეთვისებას.

მარტო მოსმენამაც კი მოქანცა რამზესი. იგი მხოლოდ მაშინ გამოერკვეოდა, როცა მასწავლებელი რომელიმე მოწაფეს ნიშნის მოხაზვას ან დასახელებას ავალებდა და ჯოხით სცემდა, თუ იგი შეცდებოდა.

მასწავლებელსა და მოწაფეებს რომ გამოეთხოვა, ბატონიშვილი მიწისმზომელების სკოლაში გავიდა. იქ შეგირდებს ასწავლიდნენ სწორკუთხედების ფორმის ყანების აგეგმვასა და ნიადაგის გასწორებას ორი საყესა და მკუთხავის დახმარებით. ამავე განყოფილებაში ასწავლიდნენ ციფრების წერას, რომელიც არანაკლებ რთული იყო, ვიდრე იეროგლიფების ანდა დემოტიკური ნიშნების მოხაზვა. მარტივი არითმეტიკული მოქმედებები მაღალი კურსის პროგრამაში შედიოდა, და მათი გამოყვანა ბურთულების დახმარებით სრულდებოდა.

რამზესს ეს მალე მოსწყინდა, და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ეწვია სამკურნალო სკოლას, რომელიც იმავე დროს საავადმყოფოც იყო, სამკურნალო სკოლა სურნელოვანი ბალახით ამწვანებულ ჩრდილოვან დიდ ბაღს წარმოადგენდა. ავადმყოფები მთელ დღეს ჰაერსა და მზეზე ატარებდნენ და იწვნენ საწოლებზე, რომელსაც ლეიბის ნაცვლად ტილო ჰქონდა გადაფარებული.

რამზესი ამ დაწესებულებაში გაცხარებული მკურნალობის დროს შევიდა. რამდენიმე პაციენტი გამდინარ გუბურაში ბანაობდა, ერთს სურნელოვანი საცხით უზელდნენ ტანს, მეორეს უხრჩოლებდნენ. რამდენიმე კაცი თვალებში ჩახედვითა და ხელის ქნევით დაეძინები-

[1] გადმოღებულია ნამდვილი წყაროებიდან (ავტორის შენიშ.).

ნათ; ვიღაცას ფეხს უსწორებდნენ და კვნესოდა. მძიმე ავადმყოფ ქალს ქურუმი მიქსტურას აწვდიდა და თან ბუტბუტებდა:

– შემოდი, წამალო, შემოდი, განდევნე სატკივარი ჩემი გულიდან, ჩემი სხეულის ასოებიდან, სასწაულმოქმედო წამალო.[1]

ტახტის მემკვიდრე მთავარი მკურნალის თანხლებით აფთიაქში შევიდა, სადაც ერთ-ერთი ქურუმი წამლებს ამზადებდა ბალახების, თაფლის, ზეთისხილის, გველისა და ხვლიკის ტყავის და ცხოველების ძვლისა და ცხიმისაგან.

რამზესის შესვლისას ქურუმს თავის სამუშაოსათვის თვალი არ მოუშორებია. განაგრძობდა ნივთიერებათა აწონვასა და გაქნას, თან ლოცვას ბუტბუტებდა:

– განკურნა იზიდამ, განკურნა იზიდამ, განკურნა ჰორმა. ჰოი, იზიდავ, უდიდესო ჯადოქარო, განმკურნე მე, დამიფარე ყველა ცუდი, მავნე სენისაგან, ღმერთებისა და ღმერთქალების ციებისაგან. ჰოი შვილო შაუგატისა, ენაგატე! ერუკატე! კაუარუშაგატე! პაპარუკა პაპარაკა პაპარურა...[2]

– რას ამბობს? – იკითხა რამზესმა.

– ეს საიდუმლოებაა, – უპასუხა მთავარმა მკურნალმა და ტუჩებზე თითი მიიდო.

როდესაც ისინი ცარიელ ეზოში გამოვიდნენ, ბატონიშვილმა უდიდეს მკურნალს მიმართა:

– მითხარით, წმიდაო მამაო, რაში მდგომარეობს მკურნალების ხელოვნება და რას ემყარება მისი მეთოდები? მე მსმენია, რომ ავადმყოფობა ბოროტი სულია, რომელიც შიმშილის გამო იბუდებს ადამიანის სხეულში და ტანჯავს მას, ვიდრე შესაფერ საკვებს არ მიიღებს. გამიგონია ისიც, რომ ზოგი ბოროტი სული თაფლით იკვებება, ზოგი – ზეთისხილით, ზოგიც კიდევ ცხოველთა პატივით, ამიტომ ექიმმა, უწინარეს ყოვლისა, ის უნდა გამოიცნოს, თუ რომელმა სულმა დაიბუდა ავადმყოფში, შემდეგ კი – თუ რაგვარი საკვები უნდა მივცეთ, რომ მან არ გატანჯოს ადამიანი.

ქურუმი ერთხანს დაფიქრდა და უპასუხა:

---

[1] გადმოღებულია ნამდვილი წყაროებიდან და (ავტორის შენიშ.).

[2] იქვე.

– რაზეს, მე ვერ გეტყვი, რა არის სნეულება და როგორ უჩნდება იგი ადამიანს. მაგრამ რაკი განწმენდილი ხარ, შემიძლია განგიმარტო, თუ რით ვხელმძღვანელობთ ჩვენ წამლების დანიშვნის დროს. ვთქვათ, ადამიანს ღვიძლი ასტკივდა. ჩვენ, ქურუმებმა, ვიცით, რომ ღვიძლი ვარსკვლავ პენეტერ-დევას[1] ზეგავლენის ქვეშაა და რომ წამლობაც ამ ვარსკვლავზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგრამ ამ საკითხში ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას: ერთნი ამტკიცებენ, რომ ღვიძლით დაავადებულ ადამიანს ყველაფერი უნდა მიეცეს, რაზედაც პენეტერ-დევას გავლენა ვრცელდება, სახელდობრ – სპილენძი, ლილაქვა, ვარდების, ვერბენას და ვალერიანის ნახარში და დასასრულ გვრიტისა და თხის სხეულის სხვადასხვა ნაწილი; მეორენი კი ფიქრობენ, რომ ღვიძლის დაავადებისას მკურნალობა, პირიქით, საწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით უნდა მიმდინარეობდეს. ვინაიდან პენეტერ-დევას ანტიპოდი სებეკია[2], ამიტომ შემდეგი წამლები უნდა ვიხმაროთ: სინდიყი, იაგუნდი, აქატი, მიწისთხილი, ბუერა და აგრეთვე ბაყაყისა და ბუს ნაწილები, ფხვნილის სახით. ამას გარდა, უნდა გვახსოვდეს დღე, თვე და დღის ჟამი, რადგან ყოველი დღე და საათი იმ ვარსკვლავის გავლენას ემორჩილება, რომელსაც შეუძლია წამლის ზემოქმედება გააძლიეროს ან, პირიქით, შეასუსტოს. დასასრულ, საჭიროა გვახსოვდეს ისიც, თუ რომელი ვარსკვლავი და ზოდიაქოს რომელი ნიშანი ბატონობს ავადმყოფზე. მხოლოდ ყოველივე ამის გათვალისწინებით შეუძლია მკურნალს გამოწეროს უებარი წამალი.

– შეგიძლიათ ტაძარში მოსული ყოველი ავადმყოფი განკურნოთ? – შეეკითხა რამზესი.

ქურუმმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არა, – უპასუხა მან, – ადამიანის გონება, რომელიც იძულებულია ჩემ მიერ მოხსენებულ ამდენ წვრილმანს ანგარიში გაუწიოს, ადვილად შეიძლება შეცდეს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ შურიანი სულები, სხვა ტაძრის გენიები, რომლებიც განსაკუთრებით უფრთხილდებიან თავიანთ სახელს, ხშირად ექიმს ხელს უშლიან და წამლის მოქმედე-

[1] პენეტერ-დევა – პლანეტა ვენერა (ავტორის შენიშ.).
[2] სებეკი - პლანეტა მერკური (ავტორის შენიშ.).

ბას აქარწყლებენ. ამიტომ შესაძლებელია საბოლოო შედეგი სხვადასხვაგვარი აღმოჩნდეს: ზოგი სავსებით განიკურნება, ზოგი ცოტათი გამოკეთდება, ზოგიც უცვლელ მდგომარეობაში დარჩება. თუმცა ისეც მოხდება, რომ ავადმყოფი უფრო ცუდად შეიქნება და კვდება კიდეც... ღმერთების ნებაა!..

მემკვიდრე გულდასმით უსმენდა, თუმცა გრძნობდა, რომ ამ საუბრიდან ბევრი ვერ გაიგო რა. უცებ მოაგონდა ტაძარიში თავისი მოსვლის მიზეზი და უდიდეს მკურნალს შეეკითხა:

– წმიდაო მამაო, თქვენ შემპირდით ფარაონის ხაზინის საიდუმლოების გამჟღავნებას. აქვს თუ არა ამასთან რაიმე დამოკიდებულება იმას, რაც აქ ვნახე?

– არავითარი, – უპასუხა მკურნალმა, – ჩვენ სახელმწიფო საქმეებში უმეცარი ვართ. მაგრამ მოვა აქ უდიდესი ბრძენი, წმიდა ქურუმი პენტუერი და თვალებიდან ბინდს გადაგაცლის.

რამზესი მკურნალს დაემშვიდობა და კიდევ უფრო დიდი მოუთმენლობით ელოდა, თუ რა უნდა ეჩვენებინათ მისთვის.

თავი მეორე

ხატორის ტაძარმა პენტუერი დიდი პატივით მიიღო. დაბალი ქურუმები წარჩინებულ სტუმარს ნახევარი საათის სავალზე შეეგებნენ და მიესალმნენ. ქვემო ეგვიპტის ყოველ სასწაულმოქმედ კუთხიდან ხატორის ტაძარში თავი მოიყარა მრავალმა უმაღლესმა ქურუმმა, დიდმა წინასწარმეტყველებმა და ღმერთების შვილებმა, რომ ბრძნული სიტყვები მოესმინათ. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდნენ აგრეთვე დიდი ქურუმი ნოფრი და წინასწარმეტყველი მენტესუფისი.

პენტერს დიდი პატივით ხვდებოდნენ არა მარტო იმისანივის, რომ იგი სამხედრო მინისტრის მრჩეველი იყო, არც იმისათვის, რომ, თავისი შედარებით ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ქურუმთა უმაღლესი კოლეგიის წევრი იყო, არამედ იმიტომაც, რომ იგი მთელ ეგვიპტეში სახელგანთქმული პირი იყო. ღმერთებმა პენტუერი იშვიათი მეხსიერებით, ენამზეობით და, რაც მთავარია, შორსმჭვრეტელობის შესანიშნავი ნიჭით დააჯილდოვეს. ყოველ საქმეში და საგანში იგი

სხვებისათვის უჩინარ მხარეებს ამჩნევდა და ყველასათვის გასაგებად მსჯელობდა მათ შესახებ.

არა ერთი ნომარქოსი თუ ფარაონის დიდი მოხელე, რომელთაც შეიტყვეს, რომ პენტუერი ხატორის ტაძარში სადღესასწაულო ღვთისმსახურებას შეასრულებსო, შურით უყურებდა უმდაბლეს ქურუმს, რომელიც მის შთამაგონებელ სიტყვას მოისმენდა.

პენტუერის შესახვედრად გამოსული მღვდელმსახურნი დარწმუნებული იყვნენ, რომ მაღალი სასულიერო პირი მობრძანდებოდა სასახლის ეტლით ანდა ტახტრევანით, რომელიც რვა მონას მიაქვს. მაგრამ როგორ განცვიფრდნენ, როდესაც იხილეს ფარაჯაში გახვეული, თავშიშველი, გამხდარი ასკეტი, ჭაკ სახედარზე მჯდარი, მარტო რომ მოდიოდა და მათ უდიდესი თავმდაბლობით მიეგება.

როდესაც პენტუერი ტაძარში მიიყვანეს, მან ღმერთქალს მსხვერპლი შესწირა და მაშინვე იმ ადგილის დასათვალიერებლად გაეშურა, სადაც ზეიმი უნდა გაემართათ.

ამ წუთიდან იგი არ გამოჩენილა, მაგრამ ტაძარსა და მის გვერდით მდებარე ეზოებს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო. მოეზიდებოდნენ ყოველგვარ ძვირფას სამკაულს, ხორბალს და ტანსაცმელს, მორეკეს ასობით გლეხი და მუშა, რომლებთან ერთად პენტუერი ზეიმისათვის დანიშნულ ეზოში ჩაიკეტა და სამზადისს შეუდგა. რვა დღის მუშაობის შემდეგ მან ხატორის ტაძრის უმაღლეს ქურუმს შეატყობინა, ზეიმისათვის ყველაფერი მზად არისო.

ამ დროს თავის სენაკში განმარტოებული რამზესი ლოცვასა და მარხულობაში იყო გართული. ბოლოს, ერთ დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე მასთან ათამდე ქურუმი შევიდა და იგი ზეიმზე მიიწვიეს.

ტაძრის კარიბჭესთან ბატონიშვილს უფროსი ქურუმები მიესალმნენ და მასთან ერთად გუნდრუკი უკმიეს ხატორის უზარმაზარ ქანდაკებას. შემდეგ განის ვიწრო და დაბალ გასასვლელში შეუხვიეს, რომლის ბოლო მი ცეცხლი ენთო. აქ ქვაბში იხარშებოდა ფისი, რომლის სუნითაც გაჟღენთილი იყო ჰაერი.

ქვაბს მახლობლად იატაკის ხვრელიდან ადამიანის საშინელი კვნესა და წყევლა მოისმოდა.

– რა არის ეს? – შეეკითხა რამზესი ერთ-ერთ ქურუმს.

ქურუმმა მას არა უპასუხა რა, მაგრამ ყველა დამსწრეს სახეზე მღელვარება და შიში ეხატა.

ამ დროს უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა ხელში დიდი ციცხვი აიღო, ქვაბიდან ცხელი ფისი ამოიღო და ხმამაღლა წარმოთქვა:

– დაე ასე დაიღუპოს ყველა, ვინც საღვთო საიდუმლოებას გასცემს!

ეს რომ წარმოთქვა, იატაკის ხვრელში ფისი ჩაასხა, – ჯურღმულიდან კი საშინელი გოდება მოისმა.

– მომკალით, თუ თქვენს გულში სიბრალულის ნატამალი მაინც არის! – კვნესით იხვეწებოდა ვიღაც იატაკქვეშიდან.

– მატლებმა გამოხრას შენი გვამი! – წარმოთქვა მენტესუფისმა და მანაც გამდნარი ფისი ჩაასხა ხვრელში.

– ძაღლებო! ტურებო! – მოისმოდა ჯურღმულიდან.

– დაე დაიწვას შენი გული, და ფერფლი უდაბნოში გაიფანტოს! – წარმოთქვა მეორე ქურუმმა, რომელმაც იგივე წესი გაიმეორა.

– ჰოი ღმერთებო, განა შეიძლება ამდენი წამება? – მოისმა პასუხად ჯურღმულიდან.

– ბოროტმოქმედებითა და შერცხვენით დადაღული შენი სული დე იმ ადგილებში დაეხეტებოდეს, სადაც ბედნიერი ადამიანები ცხოვრობენ, – წარმოთქვა მომდევნო ქურუმმა და იმანაც ხვრელში ციცხვით ფისი ჩაასხა.

– დაე მიწამ პირი გიყოთ! შემიბრალეთ! სული მომათქმევინეთ...

როცა რამზესის ჯერი დადგა, ხმა ჯურღმულიდან უკვე შეწყდა.

– ასე სჯიან ღმერთები გამცემლებს! – უთხრა ბატონიშვილს ტაძრის უმაღლესმა ქურუმმა.

რამზესი შეჩერდა და მრისხანე თვალები მიაშტერა. საფიქრებელი იყო, რომ იგი აღშფოთდებოდა და ამ ჯალათების ხროვას მყისვე განშორდებოდა, მაგრამ მან ღმერთების წინაშე შიში იგრძნო და მიხვდა, რომ არსებობს ძალაუფლება, რომლის წინაშე ფარაონებიც კი ქედს იხრიან. რამზესი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და ტაძრიდან გაქცევისა და ტახტზე ხელის აღების სურვილი დაებადა... მაგრამ დუმდა და გზას განაგრძობდა მგალობელი ქურუმებით გარშემორტყმული:

„ახლა უკვე ვიცი, – გაიფიქრა მან, – სად იკარგებიან ღვთისმოსავთათვის არასასურველი პირები“.

პროცესიამ ბოლით გავსებული ვიწრო ტალანი გაიარა, კვლავ ღია ცის ქვეშ გამოვიდა და ამაღლებულ ადგილას შეჩერდა. ქვევით ვეებერთელა ეზო გადაშლილიყო, რომელსაც გალავნის მაგიერ სამი მხრით ერტყა ერთსართულიანი ნაგებობა. იმ ადგილიდან, სადაც ქურუმები შეჩერდნენ, ამფითეატრივით ეშვებოდა ხუთი განიერი ბაქანი, რომლითაც ეზოს გარშემო გავლაც შეიძლებოდა და ქვევით ჩასვლაც.

ეზოში არავინ ჩანდა, მაგრამ ნაგებობიდან ვიღაცები იცქირებოდნენ.

უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა, როგორც ამ კრებაზე უარისხით უხუცესმა, პენტუერი მემკვიდრეს წარუდგინა. იმ საშინელებათა შემდეგ, ტალანში რომ მოხდა, ასკეტის სახის სიმშვიდემ მეტისმეტად განაცვიფრა მემკვიდრე. მაგრამ, სიჩუმე რომ დაერღვია, პენტუერს მიმართა:

– ვგონებ, სადღაც უკვე მინახავხართ, ღვთისმოსავო მამაო?

– შარშან მანევრებზე პი-ბაილოსთან. მე იქ უღირსეს ხერიჰორს ვახლდი, – უპასუხა ქურუმმა.

პენტუერის მკაფიო და მშვიდმა ხმამ მემკვიდრე გააოცა. მას ბუნდად ახსოვდა, რომ ეს ხმა რაღაც არაჩვეულებრივ პირობებში უკვე მოესმინა... მაგრამ სად და როდის?

ქურუმმა მასზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ნეტავი შესძლებოდა დავიწყება იმ ადამიანის ყვირილისა, ადუღებულ ფისს რომ ასხამდნენ!

– შეიძლება დავიწყოთ, – განაცხადა უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა.

პენტუერი ამფითეატრის წინ ბაქანზე გავიდა და ტაში შემოჰკრა. ერთსართულიანი პავილიონიდან მოცეკვავე ქალების ჯგუფი გამოფრთხიალდა, აქვე იყვნენ ქურუმები, რომელთაც საკრავები და ღმერთქალ ხატორის პატარა ქანდაკება მოჰქონდათ. მუსიკოსები წინ მოდიოდნენ, მათ მოსდევდნენ მოცეკვავე ქალები, რომლებიც საღვთო ცეკვას ასრულებდნენ, ხოლო მოცეკვავეთა უკან მოჰქონდათ საკმეველის კვამლში გახვეული ქანდაკება. პროცესიამ ირგვლივ შემოუარა

მთელ ეზოს. რამდენიმე ნაბიჯს რომ გაივლიდნენ, ჩერდებოდნენ და ღვთაებას შესთხოვდნენ გარდმოევლინა თავისი კურთხევა, ხოლო ბოროტ სულებს – განშორებოდნენ იმ ადგილს, სადაც სარწმუნოებრივი ზეიმი უნდა შემდგარიყო.

როდესაც პროცესია პავილიონთან დაბრუნდა, წინ გავიდა პენტუერი. მას შემოერტყნენ უმაღლესი ქურუმები. ისინი ოცნი იყვნენ.

– ფარაონის ნებით, – დაიწყო პენტუერმა, – და უმაღლეს ქურუმთა ხელისუფლების თანხმობით, ჩვენ უნდა გავაცნოთ ტახტის მემკვიდრე რამზესს ეგვიპტის სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი დეტალი, რომლებიც მხოლოდ ღმერთებმა, ქვეყნის მმართველებმა და ტაძრებმა უწყიან. ვიცი, ღირსო მამებო, რომ თითოეული თქვენგანი უკეთესად განუმარტავდა ყოველივე ამას ახალგაზრდა ბატონიშვილს, ვინაიდან თქვენ სიბრძნითმოსილი ბრძანდებით და თქვენი პირით ღმერთქალი მუტი ღაღადებს, მაგრამ რაკი ეს მოვალეობა მე, უღირს მოწაფეს დამეკისრა, ნება მიბოძეთ შევასრულო იგი თქვენი მაღალი ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

ამ სიტყვებით ნასიამოვნებ ქურუმთა რიგებს კმაყოფილების ჩურჩულმა გადაურბინა. პენტუერმა მემკვიდრეს მიმართა:

– ღვთისმოსავო რამზეს, უკვე რამდენიმე თვეა, რაც შენ, კვალაბნეული მგზავრის მსგავსად, რომელიც უდაბნოში მზეს ეძებს, სხვადასხვა პირს ეკითხები, თუ რატომ შემცირდა და, კვლავ მცირდება ფარაონის შემოსავალი. შენ ამ კითხვით მიმართავდი ნომარქოსებს, მაგრამ მათმა პასუხმა ვერ დაგაკმაყოფილა, თუმცა ეს დიდებულები დაჯილდოებული არიან უმაღლესი ადამიანური სიბრძნით. შენ ეკითხებოდი უმაღლეს მწერლებს, მაგრამ ისინი ისე გაიხლართნენ შენს მიერ დასმულ საკითხებში, როგორც ფრინველები მახეში. და ეს იმიტომ, რომ ადამიანის გონებას, თუნდაც მას მწერლების სკოლაში მიეღო განათლება, არ ძალუძს ჩასწვდეს უსასრულობას. დაბოლოს, უნაყოფო განმარტებებით მოქანცულმა, იწყე ნომებში ცხოვრების, ადამიანებისა და მათი ნახელავის დაკვირვება, მაგრამ ვერა დაინახე რა, რადგან არსებობს საგნები, რომელთა შესახებ ადამიანები ქვასავით დუმან, მაგრამ რომლებზეც ქვაც კი მოგითხრობთ, თუ მას ღმერთების შუქი მოეფინება. ამგვარად, როცა მოლოდინი ვერც ერთმა მი-

წიერმა გონებამ და ძალამ ვერ გაამართლა, შენ ღმერთებს მიმართე. ფეხშიშველი და თავზე ნაცარწაყრილი მოხველ შენ, ვითარცა მონანიე მორჩილი, ამ უდიდეს ტაძარში, სადაც ლოცვებითა და მარხულობით სხეული თვისი განიწმინდე და სული განიმტკიცე. ღმერთებმა, განსაკუთრებით კი ყოვლისშემძლე ხატორმა, შეისმინეს შენი ვედრება და ჩემი უღირსი პირით გაგცემენ პასუხს, რომელიც შენ ღრმად უნდა ჩაიმარხო გულში...

„ამან საიდან იცის,– გაიფიქრა მემკვიდრემ, რომელიც პენტუერის სიტყვებს გულდასმით ისმენდა, – რომ მე ამ საკითხზე მწერლებსა და ნომარქოსებს ვეკითხებოდი? ჰო, მართლა! ეტყობა ნოფრმა და მენტესუფისმა უთხრეს... ალბათ, მათ ყველაფერი იციან“.

– ყური მიგდე, – განაგრძობდა პენტუერი, – ტაძრის აქ დამსწრე დიდებულთა ნებართვით მე გადაგიშლი სურათს, თუ რა იყო ეგვიპტე ოთხასი წლის წინათ, თებეს ყველაზე სახელოვანი და ღვთისმოსავი მეცხრამეტე დინასტიის მეფობის დროს, და რას წარმოადგენს იგი ამჟამად.

როდესაც მეცხრამეტე დინასტიის პირველმა ფარაონმა რამზესმა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლება დაიმკვიდრა, ხაზინის შემოსავალი ხორბლით, საქონლით, ლუდით, ტყავით, ძვირფასი და უბრალო ლითონებით და ყოველგვარი ნახელავით ას ოცდაათ ათას ტალანტს შეადგენდა. რომ გამოჩენილიყვენ ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ყველაფერი ეს ოქროზე გადაეცვალათ, მაშინ ფარაონი ყოველწლიურად ას ოცდაათი ათას მინა[1] ოქროს მიიღებდა. ხოლო ვინაიდან ერთ ჯარისკაცს სურგით ოცდაექვსი მინა ტვირთის ზიდვა შეუძლია, ამიტომ მთელი ამ ოქროს გადატანა მხოლოდ ხუთი ათას ჯარისკაცს შეეძლო.

ქურუმებმა აშკარა განცვიფრებით იწყეს ერთიმეორეში ჩურჩული. ხოლო რამზესს დაავიწყდა კიდეც ჯურღმულში ნაწამები ადამიანი,

– ახლა კი, – განაგრძობდა პენტუერი, – მეფის ყოველწლიური შემოსავალი, მიწიდან მიღებული მოსავლის ჩათვლით, სულ ოთხმოცდათვრამეტ ათას ტალანტს შეადგენს და მასში მიღებულ ოქროს გადაზიდვას ათასი ჯარისკაცი დასჭირდება.

---

[1] მინა - დაახლოებით 1 1/2 კილოგრამი.

– სახელმწიფოს შემოსავალი რომ შესამჩნევად შემცირდა, ეს მეცვიცი, – შეაწყვეტინა სიტყვა რამზესმა, – მაგრამ რატომ? .

– მოთმინება იქონიე, ღვთისმოსავო, – უპასუხა პენტუერმა, – შემცირდა არა მარტო მეფის შემოსავალი. მეცხრამეტე დინასტიის დროს ეგვიპტეში. შეიარაღებულ ადამიანთა რიცხვი ას ოთხმოც ათასს აღწევდა, და ღმერთებს რომ ენებებინათ, თითოეული იმდროინდელი ჯარისკაცი ყურძნის მარცვლისტოლა კენჭად გადაქცეულიყო...

– ეს შეუძლებელია! – ჩაილაპარაკა რამზესმა.

– ღმერთებს ყველაფერი ძალუძთ, – მკაცრად უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა.

– ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, – განაგრძო პენტუერმა, – თუ თითოეული ჯარისკაცი მიწაზე თითო კენჭს დადებდა, მაშინ ას ოთხმოცი ათასი კენჭი დაგროვდებოდა და შეხედეთ, ღირსო მამებო, ეს კენჭები აი ამდენ ადგილს დაიკავებდა... – ეს რომ თქვა, პენტუერმა ეზოში დადგმულ მოწითალო სწორკუთხედზე მიუთითა.

– რამზეს პირველის დროის ყველა ჯარისკაცის მიერ დაგდებული კენჭი ამ ფიგურაში დაეტეოდა. მას ცხრა ნაბიჯის სიგრძე და დაახლოებით ხუთის სიგანე აქვს. ეს ფიგურა მოწითალო ფერისაა, ეგვიპტელის ტანის ფერისა, იმიტომ რომ იმ დროს ყველა ჩვენი პოლკი მხოლოდ ეგვიპტელებისაგან შედგებოდა,

ქურუმებმა ერთიმეორეში კვლავ ჩურჩული იწყეს.

ბატონიშვილმა კი წარბები შეიკრა: მან ისე გაიგო, თითქოს ამით უსაყვედურებდნენ – უცხო ქვეყნების ჯარისკაცები გიყვარსო.

– ახლა კი, – ამბობდა პენტუერი, – დიდი გაჭირვებით შეიძლება ასოცი ათასი მეომარი შეგროვდეს და, თითოეულმა მათგანმა რომ ერთ ადგილას თითო კენჭი დააგდოს, ასეთ ფიგურას მივიღებდით... აბა შეხედეთ, ღირსეულნო!

პირველი ფიგურის გვერდით იდგა მეორე – მომცრო სწორკუთხედი. იგი რამდენიმე ფერადი ზოლისაგან შედგებოდა.

– ამ ფიგურის სიგანე დაახლოებით ხუთი ნაბიჯია, სიგრძე კი მხოლოდ ექვსი. ამგვარად, ჩვენს სახელმწიფოს მეომრების დიდი რაოდენობა დააკლდა, იმის მესამედი, რაც გვყავდა, – დაასკვნა პენტუერმა.

– სახელმწიფოს უფრო ისეთი ადამიანების სიბრძნე ესაჭიროება, როგორიც შენ ბრძანდები, წინასწარმეტყველო, ვიდრე ჯარისკაცები, – ჩაურთო ნოფრმა.

პენტუერმა მას თავი დაუკრა და განაგრძო:

– ამ ახალ ფიგურაში, რომელიც ფარაონის ახლანდელ ჯარს განასახიერებს, თქვენ, მაღალღირსნო, წითელ ფერთან ერთად, რომელიც მკვიდრ ეგვიპტელებს აღნიშნავს, კიდევ სამ სხვა ზოლს ხედავთ: შავს, ყვითელსა და თეთრს. ისინი აღნიშნავენ დაქირავებულ ჯარებს – ეთიოპელებს, აზიელებს, ლიბიელებსა და ბერძნებს. ისინი სულ ოცდაათ ათასს შეადგენენ, მაგრამ მათი შენახვა სახელმწიფოს იმდენივე უჯდება, რამდენიც ოთხმოცდაათი ათასი ეგვიპტელისა.

– უცხოელთა პოლკები ჩქარა უნდა მოვიშოროთ თავიდან, – განაცხადა ნოფრმა, – მათი შენახვა ძვირად გვიჯდება, არაფრად ვარგანან და ჩვენს ხალხს კი ურწმუნოებასა და ურჩობას უნერგავენ. ამჟამად მრავალი ეგვიპტელი ქურუმების წინ პირქვე არ ემხობა... ის კი არა, ზოგიერთი მათგანი იქამდე მივიდა, რომ ძარცვავენ ტაძრებს და სამარხებს... ამიტომ არ გვინდა დაქირავებულნი! – აღელვებით წამოიძახა ნოფრმა. – ისინი ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ზიანს აყენებენ, მეზობლებში კი ეჭვს ბადებენ, თითქოს ჩვენ მტრული ზრახვები გვქონდეს...

– არ გვინდა დაქირავებულნი. გავნდევნოთ მეამბოხე წარმართები! – მხარი აუბეს ნოფრს ქურუმებმა.

– როდესაც განვლენ წლები და შენ, რამზეს, ტახტზე ახვალ, – განაგრძობდა ნოფრი, – შეასრულებ ამ საღვთო ვალს ღმერთებისა და სახელმწიფოს წინაშე.

– გაანთავისუფლე ხალხი შენი ურწმუნოთაგან! – ღაღადებდნენ ქურუმები.

რამზესმა თავი ჩაქინდრა და დადუმდა. მას ეჩვენებოდა, ფეხქვეშ ნიადაგი ირყევაო.

როგორ, მან განდევნოს თავის ჯარის საუკეთესო ნაწილი? – ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადადგას მან, რომელსაც სურდა გაეორკეცებინა ჯარი, ხოლო მოქირავნე პოლკები ოთხჯერ მეტი ჰყოლოდა?

„რა ულმობლობას იჩენენ ესენი ჩემს მიმართ“, – ფიქრობდა იგი.

– მე დაგისახელებთ თქვენ, წმიდაო მამებო, – განაგრძობდა პენტუერი, – ორ უბედურებას, რომლებიც ტანჯავენ ეგვიპტეს: ესაა ფარაონის შემოსავლისა და ჯარის შემცირება.

– განა ეს ჯარია! – აგდებით ჩაიდუდუნა უმაღლესმა ქურუმმა და ხელი ჩაიქნია.

– ახლა კი, ღმერთების შეწევნითა და თქვენი ნებართვით, გაგირკვევთ, რატომ მოხდა ეს და რატომ კვლავაც უნდა გაგრძელდეს ასე.

ბატონიშვილმა თავი ასწია და მოლაპარაკეს შეხედა. მას დიდი ხანია დაავიწყდა ადამიანი, რომელიც ჯურღმულში აწამეს.

პენტუერმა ამფითეატრის გასწვრივ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მას მიჰყვნენ მაღალი სასულიერო პირები.

– ხომ ხედავთ მიწის ამ გრძელ ვიწრო ზოლს, რომელიც განიერი სამკუთხედით მთავრდება? ზოლის ორივე მხარეს კირნარი, ქვიშნარი და გრანიტი დევს, მათს იქით კი ქვიშით და– ფარული სივრცეა გადაშლილი; შუაში ნაკადი მოედინება, რომელიც სამკუთხედში რამდენიმე ტოტად იყოფა.

– ეს ხომ ნილოსია! ეს ეგვიპტეა! – ერთხმად წამოიძახეს ქურუმებმა.

– მოიხედეთ, წარმოთქვა ნოფრმა. – აი მე ვაშიშვლებ ჩემს მკლავს; ხედავთ თქვენ თუ არა ორ ლურჯ ძარღვს, რომლებიც ნიდაყვიდან ხელისგულისაკენ მიემართებიან? განა ეს ნილოსი არ არის თავისი არხებით, რომელიც ალებასტრის მთების პირდაპირ იწყება და თვით ფაიუმამდე[1] აღწევს? ახლა "შეხედეთ ჩემი ხელის ზურგს; აქ იმდენი ძარღვია, რამდენ ტოტადაც იყოფა ეს საღვთო მდინარე მემფისის იქით; ხოლო ჩემი თითები განა იმ ტოტებს არ გაგონებთ, რომლითაც ნილოსი ზღვას ერთვის?

– სრული ჭეშმარიტებაა! – წამოიძახეს ქურუმებმა, რომლებიც თავიანთ ხელებს ათვალიერებდნენ.

– და მე გეუბნებით, – აღტაცებით განაგრძობდა უმაღლესი ქურუმი, – ეგვიპტე ოზირისის ხელის ანაბეჭდია. აქ, ამ ჩვენს მიწას დაადო უმაღლესმა ღმერთმა თავისი ხელი: თებეს ეყრდნობოდა მისი ღვთაებრივი ნიდაყვი, თითები მისი ზღვას ეხებოდნენ, ხოლო ნილოსი მი-

[1] ფაიუმი – ოაზისი ლიბიის უდაბნოში.

სი ძარღვებია. და განა საკვირველია, რომ ჩვენს ქვეყანას კურთხეულს ვუწოდებთ?

– ეგვიპტე უდავოდ ოზირისის ხელის ცხადი ანაბეჭდია, – ჩურჩულებდნენ ქურუმები.

– განა ოზირისს ხელზე შვიდი თითი ჰქონდა? – შენიშნა რამზესმა, – ნილოსი ხომ შვიდ ტოტად ერთვის ზღვას.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ ნოფრმა დაარღვია; მან ქველი ირონიით მიმართა რამზესს:

– ყმაწვილო, ნუთუ შენ ფიქრობ, – უთხრა მან, – რომ ოზირისს, თუკი მოისურვებდა, არ შეეძლო შვიდი თითი ჰქონოდა?

– რასაკვირველია, – დაუდასტურეს ქურუმებმა.

– განაგრძე, დიდებულო პენტურ, – ჩაერია მენტესუფისი.

– თქვენ მართალი ბრძანდებით, წმიდაო მამებო, – დაიწყო კვლავ პენტუერმა, – ეს ნაკადი თავისი განშტოებით ნილოსს განასახიერებს: ქვებითა და ქვიშით გარემოცული, ვიწრო ზოლი ბალახისა – ზემო ეგვიპტეა, ხოლო წყლის ძარღვებით დასერილი სამკუთხედი ჩვენი სახელმწიფოს ფართო და უმდიდრესი ნაწილის – ქვემო ეგვიპტის გამოსახულებაა. და აი მეცხრამეტე დინასტიის მეფობის დასაწყისში მთელი ეგვიპტე, ნილოსის კატარაქტებიდან ზღვამდე, მიწის ხუთასათას ზომას შეიცავდა. მიწის ყოველ ზომაზე თექვსმეტი სული – მამაკაცი, ქალი და ბავშვი – ცხოვრობდა. მაგრამ მომდევნო ოთხასი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველ თაობასთან ერთად ეგვიპტეს ნაყოფიერი მიწის ნაკვეთები აკლდებოდა.

ორატორმა ანიშნა და შენობიდან გამოირბინა თხუთმეტიოდე ქურუმმა, რომლებმაც ბალახზე აქა-იქ ქვიშის დაყრა იწყეს.

– თითოეულ თაობასთან ერთად, – ამბობდა პენტუერი,– მცირდებოდა ნაყოფიერი მიწა და კიდევ უფრო მეტად ვიწროვდებოდა მისი ზოლი. ამჟამად, – აქ მან ხმა აიმაღლა, – ჩვენი სამშობლო ხუთას ათასი ზომის ნაცვლად მხოლოდ ოთხას ათას ზომას სარგებლობს... სხვანაირად რომ ვთქვათ, ორი დინასტიის მეფობის განმავლობაში ეგვიპტემ დაკარგა მიწა, რომელიც დაახლოებით ორ მილიონ კაცს ასაზრდოებდა.

დამსწრეთ სახეზე კვლავ განცვიფრება და შეშფოთება აღებეჭ-

დათ.

– იცი კი შენ, სად გაქრა ის მინდვრები, რომლებზეც ერთ დროს პური და ქერი ხარობდა ანდა საქონლის ჯოგები ძოვდა? იცი, რასაკვირველია, რომ ისინი უდაბნოს ქვიშამ დაფარა. მაგრამ შენ არ გეუბნებოდნენ, რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ შემცირდა რიცხვი ადამიანებისა, რომლებიც უწინდელ დროში ვედროსა და გუთნის დახმარებით განთიადიდან დაღამებამდე ებრძოდნენ უდაბნოს. მაგრამ იცი კი, რატომ შემცირდა ამ საღვთო მუშაკების რიცხვი? სად გადაიკარგნენ? რამ განდევნა ისინი ჩვენი ქვეყნიდან? ამის მიზეზი იყო ეგვიპტის საზღვრებს გარეთ წარმოებული ომები. ჩვენი ჯარები მტრებს ამარცხებდნენ, ჩვენი ფარაონები თავიანთ განთქმულ სახელს ევფრატის ნაპირებზეც კი უკვდავყოფდნენ, ხოლო ჩვენი გლეხები, სასაპალნე საქონელივით მათს უკან სურსათს, წყალსა და სხვა ტვირთს მიეზიდებოდნენ და გზაზე ათასობით იხოცებოდნენ. აი ამისათვის შური იძია ჩვენზე დასავლეთის ქვიშამ და შთანთქა ჩვენი მიწები, დღეს კი საჭირო იქნება მრავალი თაობის წარმოუდგენელი შრომა, რომ ქვიშის სამარეს კვლავ გამოვტაცოთ ეგვიპტის შავი მიწა.

– ყური უგდეთ, ყური უგდეთ. – წამოიძახა ნოფრმა, – ამ კაცის პირით რომელიღაც ღმერთი ლაპარაკობს, – დიახ, ჩვენი ძლევამოსილი ომები შეიქნა ეგვიპტის სამარე.

რამზესი გონს ვერ მოსულიყო; მას ეჩვენებოდა, რომ ქვიშის მთები თავზე ენგრეოდა.

– მე ვთქვი, – განაგრძობდა პენტუერი, – რომ საჭიროა უდიდესი შრომა, რათა ეგვიპტე ქვიშიდან ამოვთხაროთ და მას წინანდელი სიმდიდრე დავუბრუნოთ, რომელიც ომებმა შთანთქა. მაგრამ ძალგვიძს კი ამის გაკეთება?

მან ამფითეატრის გაყოლებით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და აღელვებული მსმენელებიც უკან გაჰყვნენ. მას აქეთ, რაც ეგვიპტე არსებობდა, ასე მკაფიოდ არავის არ დაუსურათებია ქვეყნის გასაჭირი, თუმცა იგი ყველამ იცოდა.

– მეცხრამეტე დინასტიის დროს ეგვიპტეში რვა მილიონი მოსახლე ცხოვრობდა, – განაგრძობდა პენტუერი, – და იმ დროს თითოეულ ადამიანს – ქალს, მოხუცსა და ბავშვს – ამ მოედანზე რომ ლობიოს

თითო მარცვალი დაეგდო, ამ მარცვლებისგან ასეთ ფიგურას მივიღებდით...

მან მიუთითა ეზოს იმ ადგილზე, სადაც ერთიმეორის გვერდით ორ წყებად იყო გამოსახული წითელი ლობიოთი აწყობილი რვა დიდი კვადრატი.

– ამ ფიგურას სამოცი ნაბიჯის სიგრძე და ოცდაათის სიგანე აქვს და, როგორც ხედავთ, ღვთისმოსავო მამებო, ის ერთნაირი მარცვლებით არის აწყობილი, რათა გვიჩვენოს, რომ მთელი მოსახლეობა მკვიდრი ეგვიპტელებისაგან შედგებოდა. ამჟამად კი – შეხედეთ!

იგი წინ წავიდა და ნაირფერი კვადრატების მეორე წყებაზე მიუთითა.

– აი ამ ფიგურას აქვს აგრეთვე ოცდაათი ნაბიჯის სიგანე, მაგრამ სიგრძე მხოლოდ ორმოცდახუთისა. რატომ? იმიტომ, რომ მასში მხოლოდ ექვსი კვადრატია, ვინაიდან დღევანდელ ეგვიპტეში უკვე არა რვა, არამედ ექვსი მილიონი მცხოვრებია. მხედველობაში მიიღეთ ისიც, რომ თუ წინანდელი ფიგურა მხოლოდ წითელი ლობიოსაგან შედგებოდა, ამ მეორეში შავი, ყვითელი და თეთრი მარცვლების მთელი შრეები გვაქვს, რადგან როგორც ჩვენს ჯარში, ისე ხალხშიც. დღეს მრავლადაა უცხოელი: შავი ეთიოპელები, ყვითელი სირიელები და ფინიკიელები, თეთრი ბერძნები და ლიბიელები.

პენტუერს სიტყვა არ დაამთავრებინეს. ქურუმები გარს ეხვეოდნენ, ხოლო ნოფრს თვალებიდან ცრემლები სდიოდა.

– მსგავსი წინასწარმეტყველი ჯერ არ ყოფილა! – გაისმოდა ხმები.

– ძნელი წარმოსადგენია, თუ როდის შეძლო მან ამის გამოთვლა, – წარმოთქვა ხატორის ტაძრის საუკეთესო მათემატიკოსმა.

– მამებო! – მიმართა პენტუერმა, – ნუ გააზვიადებთ ჩემს დამსახურებას. ჩვენს ტაძრებში წარსულ წლებში ყოველთვის ასე გამოხატავდნენ სახელმწიფო მეურნეობას. მე მხოლოდ აღვადგინე ის, რაც შემდგომ თაობებს ნაწილობრივ დაავიწყდათ.

– კი, მაგრამ გამოანგარიშებანი? – ჰკითხა მათემატიკოსმა.

– გამოანგარიშებანი მუდამ წარმოებს ყველა ნომსა და ტაძარში, – უპასუხა პენტუერმა, – საერთო ჯამები კი მეფის სასახლეში ინახება.

– ფიგურები? – არ ეშვებოდა მათემატიკოსი.

– ფიგურები იგივე მინდვრებია, და ჩვენმა მიწათმზომელებმა მათი დახაზვა ჯერ კიდევ სკოლაში იციან.

– არ იცი, რა უფრო უნდა გაოცებდეს ამ ადამიანში: მისი სიბრძნე თუ თავმდაბლობა! – შენიშნა ნოფრმა. – ოჰ, ღმერთებს არ დავვიწყებივართ, რაკი ჩვენ ასეთი კაცი გვყავს...

ამ დროს ტაძრის კოშკზე მორიგე გუშაგმა დამსწრენი სალოცავად მიიხმო.

– საღამოს დავამთავრებ ჩემს განმარტებას, – თქვა პენტუერმა, – ახლა კი ნათქვამს ორიოდე სიტყვას დავუმატებ. თქვენ შემეკითხებით, რატომ ვისარგებლე მე ამ გამოსახულებათა შესაქმნელად მარცვლებით? როგორც მიწაში ჩაგდებული მარცვალი მთესველს ყოველ წელს მოსავალს აძლევს, ისე ადამიანს ყოველ წელს შეაქვს ხაზინაში გადასახადი. თუ რომელიმე ნომში ლობიოს მარცვალს ორი მილიონით ნაკლებს დათესენ, ვიდრე წინა წლებში, მაშინ მისი მოსავალიც თვალსაჩინოდ შემცირდება და ნათესების პატრონთ ცუდი შემოსავალი ექნებათ. იგივე ხდება სახელმწიფოშიც: თუ მოსახლეობას ორი მილიონი დააკლდა, გადასახადების შეტანაც უნდა შემცირდეს.

რამზესი, აქამდე გულდასმით რომ ისმენდა პენტუერის სიტყვას, მდუმარედ გასცილდა იქაურობას.

თავი მესამე

როცა საღამოს ტაძრის ეზოში კვლავ თავი მოიყარეს ქურუმებმა და ტახტის მემკვიდრემ, ასობით ჩირაღდანი აენთოთ და იქაურობა დღესავით განათებული იყო.

ნოფრმა ნიშანი მისცა და კვლავ დაიწყო პროცესია მუსიკოსების, მოცეკვავე ქალებისა და უმცროსი ქურუმების, რომელთაც ღმერთქალის ხატორის ქანდაკება მოჰქონდათ. როგორც კი მორჩნენ ბოროტი სულების განდევნას, პენტუერმა სიტყვა განაგრძო:

– თქვენ დაინახეთ, წმინდა მამებო, რომ მეცხრამეტე დინასტიის დროიდან ჩვენ მიწის ასი ათასი ზომა და ორი მილიონი მოსახლეობა დაგვაკლდა, ამით აიხსნება, თუ რატომ შემცირდა სახელმწიფო შემოსავალი ოცდათორმეტი ათასი ტალანტით, რაც ჩვენ ყველამ ვუწყით.

მაგრამ ეს ეგვიპტის უბედურების მხოლოდ დასაწყისია, ასე გამოდის, თითქოს მის უდიდებულესობას რჩება კიდევ ოთხმოცდათვრამეტი ათასი ტალანტი. მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ფარაონი მთელ ამ შემოსავალს ღებულობდეს. მაგალითისათვის გიამბობთ, თუ რა აღმოაჩინა მაღალღირსმა ხერიჰორმა კურდღლის ოლქში. მეცხრამეტე დინასტიის ეპოქაში იქ ოცი ათასი კაცი ცხოვრობდა, რომლებიც წლიურად სამას ორმოცდაათ ტალანტს იხდიდნენ. ამჟამად კი იქ სულ თხუთმეტი ათასი კაცი ცხოვრობს, რომელიც მხოლოდ სამოცდაათ ტალანტს უხდის ხაზინას. ამავე დროს ფარაონი ორასსამოცდაათი ტალანტის მაგივრად ასსამოცდაათს იღებს. „რატომ?“ – იკითხა მაღალღირსმა ხერიჰორმა. და აი გამოკვლევა, რა აღმოაჩინა. მეცხრამეტე დინასტიის დროს ამ ნომში ასამდე მოხელე ითვლებოდა და თითოეული მათგანის წლიური ჯამაგირი ათას დრახმას არ აღემატებოდა. ამჟამად კი ამავე ტერიტორიაზე, მოსახლეობის შემცირების მიუხედავად, ორასზე მეტი მოხელე იმყოფება და ყოველი მათგანი წლიურად ორი ათას დრახმას ღებულობს. მეფისნაცვალს ხერიჰორს არ მოეხსენება, რა მდგომარეობაა სხვა ნომებში, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ ფარაონის ხაზინაში ოთხმოცდათვრამეტი ათასი ტალანტის ნაცვლად წლიურად მხოლოდ სამოცდათოთხმეტი ათასი შედის...

– ზუსტად თქვი – ორმოცდაათი ათასი, წმიდა მამაო, – გაუსწორა რამზესმა.

– ამასაც მალე ავხსნი, – უპასუხა ქურუმმა. – ყოველ შემთხვევაში დაიმახსოვრე, მეფისწულო, რომ ფარაონის ხაზინა ახლა ოცდაოთხ ათას ტალანტს უხდის მოხელეებს მაშინ, როდესაც მეცხრამეტე დინასტიის დროს მხოლოდ ათი ათას ტალანტს უხდიდა.

ქურუმებს შორის სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა: ბევრ მათგანს სახელმწიფო სამსახურში ნათესავები ჰყავდა, რომლებიც საკმაოდ დიდ ჯამაგირს იღებდნენ.

მაგრამ პენტუერი არ ცხრებოდა.

– ახლა, – განაგრძო მან, – დაგისურათებ, მემკვიდრევ, მოხელეების ცხოვრებას და ხალხის ყოფას შორეულ წარსულსა და ჩვენს დროში.

– ეგებ არც ღირს ამაზე დროს დაკარგვა?.. ხომ თითოეულს შეუძლია თავისი თვალით ნახოს ეს... – აჩურჩულდნენ ქურუმები.

– მე კი ახლავე მინდა დავინახო, – მტკიცედ წარმოთქვა რამზესმა.

ჩურჩული შეწყდა.

პენტუერი ამფითეატრის კიბეებით ჩავიდა ეზოში, მას უკან მიჰყვებოდნენ ბატონიშვილი, უმაღლესი ქურუმი ნოფრი და დანარჩენები. ყველა ჭილობის გრძელ ფარდასთან შეჩერდა. პენტუერმა ანიშნა და ჩქარი ნაბიჯით მოირბინა ოციოდე ახალგაზრდა ქურუმმა, რომელთაც ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ, პენტუერის მეორე ნიშანზე ფარდის ნაწილი ჩამოვარდა.

დამსწრეთ განცვიფრების წამოძახილი აღმოხდათ: მათს წინ გადაიშალა გაჩირაღდნებული ცოცხალი სურათი, რომელშიც ასამდე კაცი მონაწილეობდა.

სურათი სამი იარუსისაგან შედგებოდა: პირველში მიწათმოქმედნი იყვნენ წარმოდგენილნი, მეორეში – მოხელეები, ხოლო სულ ზევით ორ ლომზე მიმაგრებული იყო ფარაონის ოქროს ტახტი.

– ასე იყო, – თქვა პენტუერმა, – მეცხრამეტე დინასტიის დროს. შეხედეთ მიწათმოქმედთ: მათ გუთნებში ხარები ან ვირებია შებმული, მათი ნიჩბები და თოხები ბრინჯაოსია და, მაშასადამე, მაგარი. შეხედეთ, ტანადი და ლამაზია ეს ხალხი. ახლა კი ასეთებს მეფის გვარდიაში თუ შეხვდებით – ღონიერი ხელფეხი აქვთ, განიერი გულმკერდი, სახე უღიმით. ისინი განბანილან და ტანთ ნელსაცხებელი წაუსვამთ. მათი ცოლები გართული არიან საჭმლისა და ტანსაცმლის მომზადებით ან ჭურჭლის რეცხვით. ბავშვები ეზოში დანავარდობენ ან სკოლაში სწავლობენ. იმდროინდელი გლეხი, როგორც ხედავთ, ჭამდა ხორბლის პურს, ცერცვს, ხორცს, თევზს, ბოსტნეულს, ხილს, სვამდა ლუდსა და ღვინოს. აბა შეხედეთ, რა ლამაზია მათი დოქები და ფიალები! დაუკვირდით მამაკაცთა ჩაჩებს, წინსაფარს, მოსასხამთ. ყოველივე ნაირფერი ნაქარგებით არის მორთული. კიდევ უფრო ოსტატურადაა მოქარგული მათი ცოლების პერანგები... თქვენ ხედავთ, როგორი გულმოდგინებით აქვთ თმა დავარცხნილი და რანაირ ქინძისთავებს, საყურეებს, ბეჭდებსა და სამაჯურებს ატარებენ. მთელი ეს სამკაული ბრინჯაოსა და ფერადი მინანქრის, ზოგჯერ კი წვრილი

მავთულისმაგვარ ოქროსაგან მზადდებოდა.

ახლა ზევით აიხედეთ და მოხელეებს დაუკვირდით. ყველანი მოსასხამებში დადიან (მაგრამ გლეხიც ხომ მასვე იცვამდა დღესასწაულებზე). ისინიც ისევე იკვებებიან, როგორც გლეხები, ესე იგი უბრალოდ, მაგრამ ნოყიერად; მხოლოდ მათი მორთულობა უფრო კაზმულია, ვიდრე გლეხებისა, და მათს ზანდუკებში უფრო ხშირად მოიპოვება ოქროს ბეჭდები. ამას გარდა, ისინი სახედრებით ან ხარებშებმული ურმებით მოგზაურობენ.

პენტურმა ტაში შემოჰკრა და ცოცხალი სურათი ამოძრავდა: გლეხებს მოჰქონდათ მოხელეებთან ყურძნის კალათები, ქერის, ხორბლის და მუხუდოს ტომრები, ღვინის, ლუდის, რძისა და თაფლის დოქები, ნადირის ხორცი და თეთრი და ფერადი ქსოვილების მთელი თოფები. მოხელეები იღებდნენ ამ ნაწარმს, ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ, ხოლო უფრო ლამაზსა და ძვირფას ნივთებს ზევით, ტახტის კვარცხლბეკისაკენ გადასცემდნენ. მოედანი, სადაც ფარაონის ხელისუფლების სიმბოლო იყო აღმართული, გორებად დახვავებული ნაწარმით იყო სავსე.

– თქვენ ხედავთ, – მიმართა დამსწრეთ პენტუერმა, – რომ იმ დროს, როდესაც გლეხები მაძღარი და წელმაგარი იყვნენ, მეფის ხაზინაც ქვეშევრდომთა ძღვენს ძლივსღა იტევდა. ახლა ნახეთ, რა ხდება დღეს.

ახალი ნიშნის მიცემისთანავე ფარდის ნაწილი ჩამოვარდა და მეორე სურათი გამოჩნდა.

– თქვენს წინაშე არიან დღევანდელი გლეხები, – განაგრძო საუბარი პენტუერმა და მის ხმას აშკარად დაეტყო აღელვება, – ყველანი გაძვალტყავებული არიან და ავადმყოფური იერი აქვთ. ჭუჭყი ჭამთ და დაავიწყდათ კიდეც, თუ რას ნიშნავს ტანზე ზეითუნის ზეთის წასმა. სამაგიეროდ მათი ზურგი აჭრელებულია კეტების ცემით, აღარც ხარები ჩანს, აღარც სახედრები: ან კი რა საჭირონი არიან, როდესაც გუთანში ცოლები და შვილები ჰყავთ შებმული. თოხი და ბარი ხისა აქვთ, რაც ადვილად ფუჭდება და შრომას მეტად ამძიმებს. გლეხებს არავითარი ტანსაცმელი არ აცვიათ, მხოლოდ ქალები დადიან ხამის პერანგებში და სიზმარშიც კი ვერ ხედავენ იმ მოქარგულ ტანსაც-

მელს, რომელთაც მათი პაპები და დიდედები ატარებდნენ. ახლა შეხედეთ, რას ჭამს ჩვენი გუთნისდედა: ზოგჯერ ქერს ან ხმელ თევზს, მეტწილად კი ლოტოსის მარცვლებს, იშვიათად – ხორბლის ლავაშს, ხოლო ხორცს, ლუდსა და ღვინოს თვალითაც კი ვერ ხედავს. თქვენ იკითხავთ, ალბათ, სად გაქრა მისი მორთულობა, მისი ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები? მას არა გააჩნია რა, გარდა წყლით სავსე დოქისა, და არც დაეტეოდა რაიმე იმ სოროში, რომელშიც ის ცხოვრობს... ნუ შემრისხავთ, თუ ახლა თქვენს ყურადღებას მივაპყრობ კიდევ ზოგ რამეს. აი იქ, მიწაზე უძრავად წევს რამდენიმე ბალღი – ისინი მკვდრები არიან. ვერ წარმოიდგენთ, ჩვენს დროშა რამდენად ხშირია ბავშვების სიკვდილიანობა შიმშილისა და შრომისაგან, მაგრამ ასე სამწუხაროდ დაღუპულები მაინც უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე მრავალი ცოცხალი, რომლებიც თავიანთ ზურგზე იწვნევენ ზედამხედველის კეტს ანდა, კრავების მსგავსად, ფინიკიელებს მიეყიდებიან.

მღელვარებამ პენტუერს ხმა წაართვა და მხოლოდ შესვენების შემდგომ, ქურუმების ჩუმი აღშფოთების მიუხედავად, განაგრძო საუბარი.

– ახლა მოხელეებს შეხედეთ: რამდენად ჩასუქებული, ლოყებღაჟღაჟა და კარგად ჩაცმულნი არიან. მათ ცოლებს ამშვენებს ოქროს დასტანაგები, საყურეები და ისეთი ნატიფი ტანსაცმელი, რომ ყოველივე ეს მეფის ასულთაც შეეხარბებოდათ. გლეხებს არ ჰყავთ არც ხარები, არც სახედრები, სამაგიეროდ მოხელეები ცხენებით და ტახტრევანებით დაბრძანდებიან. ისინი მხოლოდ ღვინოს სვამენ, და ისიც კარგ ღვინოს.

მან ტაში შემოჰკრა – და სურათი კვლავ ამოძრავდა. გლეხებმა იწყეს მოხელეები ან პურის ტომრების, ხილის კალათების, ღვინის მიტანა და ცხოველების მიყვანა. ყოველივე ამას მოხელეები, როგორც წინათ, ტახტის კვარცხლბეკთან აგროვებდნენ, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით. სამეფო იარუსში უკვე აღარ ჩანდა სურსათის მთები. სამაგიეროდ მოხელეების იარუსი სავსე იყო.

– ასეთია დღევანდელი ეგვიპტე, – თქვა პენტუერმა, – გლეხობა ღატაკია, მწერლები მდიდარი და ხაზინა კი ისე სავსე აღარ არის, როგორც უწინ. ახლა კი...

მან ანიშნა – და რაღაც მოულოდნელი მოხდა. ვიღაცის ხელებმა ფარაონისა და მოხელეების მოედნიდან პურის, ხილისა და ქსოვილების დატაცება იწყეს. როდესაც სურსათის რაოდენობა თვალსაჩინოდ შემცირდა, იგივე ხელები გლეხების, მათი ცოლებისა და შვილების წაყვანას შეუდგნენ.

მაყურებლები გაშტერებით უცქეროდნენ ამ უცნობი მომტაცებლების უცნაურ მოქმედებას. ანაზდად ვიღაცამ წამოიძახა:

– ესენი ფინიკიელები არიან: ისინი გვძარცვავენ ჩვენ!

– დიახ, წმიდაო მამებო, – უპასუხა პენტუერმა, – ეს ხელები ჩვენში შემომძვრალ ფინიკიელების ხელებია. ისინი სძარცვავენ ფარაონსა და მწერლებს, ხოლო გლეხებს მონებად ხდიან, როცა მათ წასართმევი უკვე აღარა გააჩნიათ რა.

– წყეულიმც იყვნენ ეს ტურები! შორს ჩვენგან ეს გარეწრები! – ყვიროდნენ ქურუმები. – ესენი ყველაზე მეტ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს!

მაგრამ ყველა არ მონაწილეობდა ასეთ წამოძახილში.

როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, პენტუერმა ბრძანა ჩირაღდნები ეზოს მეორე მხარეს გადაეტანათ, და თვითონაც მსმენელებით იქით გადავიდა. იქ რაღაც გამოფენის მსგავსი იყო მოწყობილი.

– კეთილ ინებეთ და შეხედეთ, წმიდაო მამებო, – უთხრა პენტუერმა თავის მსმენელებს, – მეცხრამეტე დინასტიის დროს ეს საქონელი ჩვენში უცხოელებს შემოჰქონდათ: პუნტის ქვეყნიდან ჩვენ ნელსაცხებელი მოგვდიოდა, სირიიდან – ოქრო, რკინის საჭურველი და სამხედრო ეტლები. ეს იყო და ეს. იმ დროს ეგვიპტე თვითონ ბევრ რასმე ამზადებდა. შეხედეთ ამ უზარმაზარ ჩაფებს, რა სხვადასხვანაირი მოყვანილობისა გაუკეთებიათ და რანაირად არიან შეფერადებული. ან ავეჯს შეხედეთ – ეს სკამი, რომელიც ოქროს ათი ათასი ნატეხით, სადაფითა და ნაირფერი ჯიშის ხით არის მოოჭვილი. გადავიდეთ ტანსაცმელზე: რანაირი შეკერილია, როგორი ქსოვილებია, რამდენი ელფერი! ან ბრინჯაოს მახვილები, ქინძისთავები, სამაჯურები, საყურეები! ან კიდევ სამიწათმოქმედო და სახელოსნო იარაღები! ყველაფერი ეს ჩვენშივე მზადდებოდა მეცხრამეტე დინასტიის დროს.

იგი სხვა ნივთებზე გადავიდა.

– ახლა კი, როგორც ხედავთ, ჩაფები მომცროა და თითქმის ყოველგვარ სამკაულს მოკლებული, ავეჯი უბრალოა, ქსოვილები უხეში და ერთფეროვანი. ვერც ერთი ახლანდელი ნახელავი ვერ შეედრება წინანდელს, ვერც სიდიდით, ვერც გამძლეობით, ვერც სილამაზით. რატომ?

მან გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და განაგრძო:

– აი საქონელი, რომელსაც ფინიკიელები ეგვიპტეში სხვადასხვა მხრიდან მოეზიდებიან: რამდენიმე ათეული ხარისხის ნელსაცხებელი, ფერადი შუშა, ავეჯი, ჭურჭელი, ქსოვილები, ეტლები, სამკაულები... ყველაფერი ეს აზიიდან მოდის და ჩვენ ვყიდულობთ. ახლა თქვენთვის გასაგებია, თუ რა გზით ახერხებენ ფინიკიელები ხელიდან გამოსტაცონ მწერლებს და ფარაონს პური, ხილი და საქონელი? სწორედ ამ უცხოური ნახელავებით ახერხებენ, მათ დაღუპეს ჩვენი ხელოსნები, როგორც კალია ღუპავს ხოლმე ბალახს.

ქურუმმა სული მოითქვა და განაგრძო:

– იმ საქონელთა შორის, რომელნიც მოაქვთ ფინიკიელებს მეფესთან, ნომარქოსებთან და მწერლებთან, პირველი ადგილი ოქროს უჭირავს. ოქროთი ვაჭრობა ფრიად თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევს იმ გატიალებისა, რომელსაც აზიელები ეგვიპტეს აყენებენ. ვინც მათგან ერთ ოქროს ტალანტს მიიღებს, ვალდებულია სამი წლის შემდეგ ორი ტალანტი დაუბრუნოს. უფრო ხშირად კი ფინიკიელები, ვითომდა მოვალის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ყოველი ტალანტისათვის მისგან იჯარით იღებენ სამი წლით მიწის ორ ზომას ოცდათორმეტი კომლითურთ. შეხედეთ ამას, დიდად პატივცემულნო, განაგრძობდა იგი და ეზოს უფრო მკვეთრად განათებულ ნაწილზე მიუთითებდა, – მიწის ეს კვადრატი, რომელსაც ასოთხმოცი ნაბიჯის სიგრძე და ამდენივე სიგანე აქვს, ორ ზომას ნიშნავს, ხოლო მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ეს პატარა ჯგუფი რვა ოჯახს შეადგენს. და ყველაფერი ეს ერთად – ადამიანები და მიწა – სამი წლით საზარელ მონობაში ვარდება. ამ ხნის განმავლობაში მათი მფლობელი – ფარაონი თუ ნომარქოსი – მათგან ვერავითარ მოგებას ვერ მიიღებს და ვადის გასვლის შემდგომ გამოფიტულ მიწას დაიბრუნებს, ადამიანთაგან კი – სულ დიდი ოც სულს, ვინაიდან დანარჩენები მძი-

მე ტანჯვაში დალევენ სულს!..

დამსწრეთა შორის დრტვინვა გაისმა.

– მე გითხარით, რომ ფინიკიელები სესხად გაცემულ ერთ ოქროს ტალანტზე სამი წლის ვადით იჯარით იღებენ მიწის ორ ზომას ოცდათორმეტი მოსახლითურთ. აბა შეხედეთ, მიწის როგორი ნაკვეთია და რამდენად დიდია ადამიანთა რიცხვი! ახლა აქეთ გამოიხედეთ. აი ეს ქათმის კვერცხზე უფრო პატარა ოქროს ნატეხი არის ტალანტი. წარმოგიდგენიათ, წმიდაო მამებო, მთელი სისაძაგლე ფინიკიელებისა, რომლებიც ამგვარ ვაჭრობას ეწევიან? ოქროს ამ უბადრუკ ნატეხს არავითარი ღირებულება არ გააჩნია: უბრალოდ ყვითელი, მძიმე ლითონია, რომელიც არ იჟანგება და სხვა არაფერი. ადამიანი ოქროს ვერ ჩაიცვამს და მით ვერც შიმშილს და ვერც წყურვილს მოიკლავს. მე რომ პირამიდის ტოლა ოქროს ლოდი მქონდეს, სულ ერთია, ისეთივე ღატაკი ვიქნებოდი, როგორც ლიბიელი, რომელიც დასავლეთ უდაბნოში ქოჩად დადის, სადაც არც ინდისხურმა მოიპოვება და არც წყალი. და ასეთი უსარგებლო ლითონის ნატეხში ფინიკიელს მიაქვს მიწის ნაკვეთი, რომელსაც რამდენიმე ოჯახის გამოკვება და შემოსვა შეუძლია. თანაც დამატებით თვით ეს ოჯახებიც მიჰყავს. სამი წლის განმავლობაში იგი სარგებლობს იმ ადამიანთა შრომით, რომელთაც იციან მიწის დამუშავება და დათესვა, მარცვლეულის აღება, ფქვილისა და ლუდის შემზადება, ტანსაცმლის მოქსოვა, სახლების აშენება და ავეჯის გაკეთება. ამავე დროს ფარაონს თუ ნომარქოსს სამი წლით ეკარგება ამ ადამიანების სამსახური, ისინი გადასახადს არ უხდიან, ჯარის ტვირთს არ ეზიდებიან და მხოლოდ მსუნაგი ფინიკიელის სასარგებლოდ მუშაობენ. თქვენ იცით, მაღალღირსნო, რომ ახლა წელი ისე არ გაივლის, რომ ამა თუ იმ ნომში იმ გლეხთა აჯანყება არ ატყდეს, რომლებიც შიმშილით გაძვალტყავებული, მძიმე მუშაობით წელგაწყვეტილი და ცემით გამწარებული არიან. ამ ადამიანების ერთი ნაწილი იღუპება, მეორე ქვის სამტეხლოებში იგზავნება და ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა სულ უფრო მცირდება მხოლოდ იმის გამო, რომ ფინიკიელმა ვიღაცას ოქროს ნატეხი მისცა! განა შეიძლება ამაზე მეტი უბედურება წარმოვიდგინოთ? და ასეთ პირობებში ეგვიპტეს განა ყოველ წელს მიწა და ხალხი არ დააკლდება? ძლევამოსილმა

ომებმა გატიალეს ჩვენი ქვეყანა, ხოლო ფინიკიელების ოქროთი ვაჭრობა მას სრული დაღუპვით, ემუქრება.

ქურუმთა სახეებს კმაყოფილება დაეტყო: მათ უფრო სიამოვნებდათ შენიშვნები ფინიკიელების ვერაგობაზე, ვიდრე მწერლების ფუფუნებით ცხოვრებაზე საუბარი.

პენტუერმა წუთით შეისვენა და ბატონიშვილს მიმართა:

– უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში, – უთხრა მან, – შენ, რამზეს, შეშფოთებული ეკითხები ყველას, რატომ შემცირდა მეფის შემოსავალი. ღმერთების სიბრძნემ დაგიმტკიცა, რომ ცარიელდება არა მარტო ხაზინა, არამედ მცირდება ჯარიც და რომ მეფის ძლიერების ეს ორი წყარო კვლავაც შემცირდება. და ეს სახელმწიფოს სრული განადგურებით დამთავრდება, თუ ზეცამ ეგვიპტეს ისეთი მბრძანებელი არ მოუვლინა, რომელიც იმ უბედურებათა მდინარებას შეწყვეტს, შენს სამშობლოს უკვე რამდენიმე ასეული წელია წალეკვას რომ უქადის. როცა ჩვენ მიწა ბევრი გვქონდა, ფარაონების ხაზინა სავსე იყო. მაშასადამე, უდაბნოს უნდა გამოვტაცოთ მის მიერ წართმეული ნაყოფიერი მიწები, ხოლო ხალხს მოვხსნათ მძიმე ტვირთი, რომელიც მას აუძლურებს და მოსახლეობის რაოდენობას ამცირებს.

ქურუმებს მღელვარება დაეტყოთ, რადგან შიშობდნენ, პენტუერს კვლავ მწერლებზე არ ჩამოეგდო სიტყვა.

– ბატონიშვილო, შენი საკუთარი თვალით დაინახე და სხვებმაც იხილეს, რომ ვიდრე ხალხი მაძღარი, ჯანმრთელი და კმაყოფილი იყო, მეფის ხაზინაც სავსე გახლდათ. ხოლო როდესაც ხალხი გაღატაკდა და დაბეჩავდა, როცა მიწათმოქმედის ცოლებს და ბავშვებს გუთანში შებმა დაუწყეს, როცა მათ პური და ხორცი ლოტოსის მარცვლებით შეუცვალეს, ხაზინაც გაღარიბდა. თუ შენ გსურს სახელმწიფო ისეთ ძლიერებამდე მიიყვანო, როგორც მას მეცხრამეტე დინასტიის ომებამდე ჰქონდა, თუ გწადია, რომ ფარაონს, მის მწერლებსა და ჯარს ყველაფერი უხვად ჰქონდეს, უზრუნველჰყავი ქვეყანა ხანგრძლივი მშვიდობიანობით, ხოლო ხალხს აღუდგინე კეთილდღეობა. დეე მოწიფულებმა კვლავ ჭამონ ხორცი და ტანთ მოქარგული სამოსი ჩაიცვან, ბავშვებმა კი ითამაშონ ან სკოლაში ისწავლონ. იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ ეგვიპტე თავის მკერდზე შხამიან გველს ატარებს.

დამსწრენი ცნობისმოყვარეობით და შიშით უსმენდნენ.

– ეს გველი, რომელიც ხალხს სისხლსა სწოვს, ნომარქოსებს მამულს ართმევს და ფარაონის ძლიერებას ამცირებს, ფინიკიელები არიან.

– გავაძეოთ ჩვენი ქვეყნიდან! – წამოიძახეს დამსწრეთ, – ნუ გადავუხდით ვალებს, ნუ შემოვუშვებთ ჩვენში მათს ვაჭრებს და ნუ მივიღებთ მათს ხომალდებს!

აღელვებული მსმენელები უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა დააწყნარა და თვალცრემლიანმა პენტუერს მიმართა:

– ეჭვი არ მეპარება, – თქვა მან, – რომ შენი პირით ჩვენ ღმერთქალი ხატორი გვესაუბრა. ასე ვფიქრობ არა მარტო იმიტომ, რომ თითქოს ადამიანს არ შეეძლოს იყოს ისეთივე ბრძენი და გულთმისანი, როგორიც შენ ბრძანდები, არამედ უფრო იმიტომ, რომ შენს თავზე ვიხილეთ ნათელი ორი რქის სახით. გმადლობ შენ დიდებული სიტყვებისათვის, რითაც ჩვენი უმეცრება გაფანტე. გლოცავ და ვვედრი ღმერთებს, რათა შენ ჩემს შემცვლელ მოადგილედ განგამზადონ!

მოწონების ხანგრძლივი წამოძახილით დამსწრეთ მხარი დაუჭირეს ტაძრის უმაღლესი პირის სურვილებს. ქურუმები მით უფრო კმაყოფილი იყვნენ, რომ პენტუერი განმეორებით აღარ შეხებია მწერლების საკითხს. ბრძენმა თავდაჭერილობა გამოიჩინა. მან მიუთითა სახელმწიფოს ღრმა შინაგან იარაზე. მაგრამ არ გაუღიზიანებია და ამით საყოველთაო მოწონება მოიპოვა.

ბატონიშვილს პენტუერისათვის, მართალია, მადლობა არ უთქვამს, მაგრამ მისი თავი თანაგრძნობით მიიხუტა გულზე. ხოლო არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დიდი წინასწარმეტყველის ქადაგებამ მემკვიდრის სული შეძრა და მასში შთანერგა თესლი, რომლისგანაც შეიძლება ეგვიპტის დიდება და ბედნიერება აღმოცენდეს.

მეორე დღეს მზის ამოსვლისას პენტუერმა დატოვა ტაძარი და ისე წავიდა მემფისში, რომ არავის გამოთხოვებია. ბატონიშვილი რამდენიმე დღის განმავლობაში დუმდა და ღრმა ფიქრებში იყო წასული. მის სულში ღრმა შინაგანი დუღილი მიმდინარეობდა.

არსებითად პენტუერს ახალი არაფერი უთქვამს: ყველა უჩიოდა ეგვიპტეში მიწებისა და მოსახლეობის შემცირებას, გლეხების სიღა-

ტაკეს, მწერლების თვითნებობას და ფინიკიელების მძარცველობას. მაგრამ წინასწარმეტყველის ქადაგებამ მეფისწულის სულში შეაკავშირა წინათ ნაწყვეტ-ნაწყვეტად არსებული წარმოდგენები, ისინი ხელშესახებად ჩამოაყალიბა და ზოგიერთი ფაქტი უფრო ნათლად გააშუქა.

განსაკუთრებით შეაძრწუნა ბატონიშვილი პენტუერის სიტყვებმა ფინიკიელების შესახებ. რამზესს აქამდე არ ჰქონდა შეცნობილი, რა დიდი იყო ზიანი, რომელსაც ეს ხალხი მის სახელმწიფოს აყენებდა. უფრო მეტად ის აწუხებდა, რომ თვითონ გადასცა ფინიკიელ დაგონს თავისი ყმები იჯარით და თვითონ ხედავდა, რა შეუბრალებლად გლეჯდა მათ ეს მევახშე გადასახადებს.

ხოლო ფინიკიელ მევახშეებთან მის პირად კავშირზე ფიქრმა მოულოდნელი შედეგი გამოიღო: რამზესს არ სურდა ფინიკიელებზე ეფიქრა. როგორც კი სულში ამ ადამიანების მიმართ აღშფოთება აღეძვროდა, მსწრაფლ ახშობდა სირცხვილის გრძნობა; ის ხომ მათი ერთგვარი ხელშემწყობი იყო.

სამაგიეროდ ბატონიშვილმა კარგად შეიგნო, რამდენად დამღუპველია სახელმწიფოსათვის მოსახლეობის შემცირება და მიწების ნაკლებობა; განმარტოებით ჩაფიქრებულს მხოლოდ ეს აზრი უტრიალებდა.

„ჩვენ რომ ის ორი მილიონი კაცი გვყავდეს, – ბჭობდა თავის თავთან, – რომლებიც ეგვიპტემ დაკარგა, მათი დახმარებით შეგვეძლო არათუ წაგვერთმია უდაბნოსათვის ნაყოფიერი მიწები, არამედ მათი ფართობიც კი გაგვედიდებინა. მაშინ კი, ფინიკიელების მყვლეფელობის მიუხედავად, ჩვენი გლეხები უკეთესად იცხოვრებდნენ და სახელმწიფოს შემოსავალიც გაიზრდებოდა. მაგრამ სად ვიშოვოთ ადამიანები?“

შემთხვევამ მეფისწულს ამის პასუხი უკარნახა. ერთხელ საღამოს ტაძრის ბაღში რომ სეირნობდა, რამზესი შეხვდა მონების ჯგუფს, რომლებიც აღმოსავლეთ საზღვარზე გენერალ ნეიტიკერს დაეტყვევებინა და ღმერთქალს ხატორის შესაწირავად წარმოეგზავნა. ტყვეები მშვენიერი აღნაგობით გამოირჩეოდნენ. ეგვიპტელებთან შედარებით მეტს მუშაობდნენ და ვინაიდან კარგად კვებავდნენ, თავიან-

თი ხვედრით კმაყოფილნიც კი იყვნენ.

მათი დანახვისას მემკვიდრეს ელვასავით გაურბინა ახალმა აზრმა და მღელვარებისაგან კინაღამ ჭკუა დაკარგა. ეგვიპტეს ხალხი ესაჭიროება, ბევრი ხალხი, ასეული ათასები, თითქმის მილიონი, ორი მილიონი და აი ისინი ხალხი! საკმარისია მხოლოდ შევიჭრათ აზიაში, გზადაგზა ყველაფერი ხელში ჩავიგდოთ და ეგვიპტეში გამოვგზავნოთ, და მანამდე არ შევწყვიტოთ ომი, ვიდრე თითოეულ ეგვიპტელ გლეხს საკუთარი მონა არ ეყოლება.

ასე ჩაისახა მის გუნებაში უბრალო, მაგრამ გრანდიოზული გეგმა, რომლის განხორციელებას სახელმწიფოსათვის უნდა მიეცა ხალხი, გლეხებისათვის – მუშაობაში დამხმარე, ხოლო ფარაონის ხაზინისათვის – შემოსავლის დაუშრეტელი წყარო.

ბატონიშვილი აღშფოთებული იყო. მაგრამ მის სულში მეორე დღეს კვლავ ახალმა ეჭვმა გაიღვიძა.

პენტუერი განსაკუთრებული ენერგიით ხაზს უსვამდა, ხოლო მასზე უფრო ადრე ამას ხერიჰორი აღნიშნავდა, რომ ეგვიპტის ჭირთა წყარო წარსული ძლევამოსილი ომები იყო. აქედან კი თავისთავად იგულისხმება, რომ ახალი ომი მის აყვავებას ხელს არ შეუწყობდა.

„პენტუერიც და ხერიჰორიც უდიდესი ბრძენნი არიან, – ფიქრობდა ბატონიშვილი, – და თუ მათ ომი საზიანოდ მიაჩნიათ და თუ ასევე მსჯელობენ უმაღლესი ქურუმები ნოფრი და სხვა ქურუმებიც, მაშინ, შესაძლებელია, ომი ჩვენი ქვეყნისათვის მართლაც სახიფათო საქმე იყოს, თუ ამ აზრს ამდენი ბრძენი და წმიდა ადამიანი იცავს, ალბათ, იგი სიმართლეს შეესაბამება“.

ბატონიშვილი უაღრესად ნაწყენი იყო: მან დაქვეითებისაგან ეგვიპტის გამოყვანის მარტივი საშუალება მოისაზრა, მაგრამ ქურუმები პირიქით ამტკიცებენ, რომ სწორედ ომს შეუძლია ქვეყანა საბოლოო დაღუპვამდე მიიყვანოსო...

მაგრამ მალე მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც მემკვიდრეს ქურუმების გულწრფელობისადმი რწმენა შეურყია, უფრო სწორად, მეფისწულს მათდამი წინანდელი უნდობლობა გაუღვიძა,

ერთხელ მემკვიდრე ვინმე მკურნალთან ერთად წიგნსაცავში მიდიოდა. მათ ვიწრო ბნელი ტალანი უნდა გაევლოთ. ბატონიშვილი

მოიღუშა და არ მოისურვა ზღურბლზე გადაებიჯებინა.

– ამ გზით არ წამოვალ, – განაცხადა მან.

– რატომ? – შეეკითხა განცვიფრებული თანამგზავრი.

– ნუთუ არ გახსოვთ, წმიდაო მამაო, რომ ამ ტალანის ბოლოში ჯურღმულია, რომელშიც შეუბრალებლად აწამეს ვიღაც გამცემი.

– ჰოო! – გაახსენდა მკურნალს, – ეს ის ჯურღმულია, სადაც ჩვენ პენტუერის ქადაგების წინ ადუღებულ ფისს ვასხამდით.

– და მოკალით კაცი!

მკურნალმა გაიღიმა. იგი გულკეთილი და ხალისიანი ლოხი კაცი იყო.

მემკვიდრეს აღშფოთება რომ შეატყო, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა უთხრა:

– რასაკვირველია, წმიდა საიდუმლოებათა გამჟღავნება არ შეიძლება. ყოველი დიდი ზეიმის წინ ჩვენ ამას მოვაგონებთ ხოლმე მომავალ ქურუმებს.

მისი ლაპარაკის კილო რამზესს უცნაურად მოეჩვენა და სთხოვა ქურუმს თავისი აზრი უფრო გარკვევით გამოეთქვა.

– არ შემიძლია საიდუმლოება გავცე, – უპასუხა მან, – მაგრამ თუ პირობას მომცემ, ხელმწიფევ, რომ ნათქვამს მტკიცედ შეინახავ, ერთ ისტორიას გიამბობ.

რამზესი დაეთანხმა და ქურუმმა შემდეგი უამბო:

– ერთ ეგვიპტელ ქურუმს წარმართთა ქვეყნის არამის ტაძრების შემოვლის დროს შეხვდა კარგად ჩაფსკვნილი და, როგორც ჩანს, ბედით კმაყოფილი ადამიანი, რომელიც მეტად ღარიბულად იყო ჩაცმული. „ამიხსენი, – მიმართა მხიარულ ღატაკს ქურუმმა, – რატომაა, რომ შენ, თუმცა ღარიბი ხარ, მაგრამ ისე გამოიყურები, თითქოს ტაძრის წინამძღვარივით მაძღარი ცხოვრება გქონდესო?“ კაცმა გარშემო მიმოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო, და უპასუხა: „იმიტომ რომ მე მეტად შესაბრალისი ხმა მაქვს და ამ ტაძრის ცოდვილად ვითვლები, რომელმაც ტანჯვა უნდა დაითმინოს. როდესაც ხალხი ღვთისმსახურებაზე იკრიბება, მე ჯურღმულში ჩავძვრები ხოლმე და მთელი ძალ-ღონით ვიწყებ კვნესასა და ღაღადისს. ამისათვის მთელ წელიწადს მაძღრად მაჭმევენ, ხოლო მოწამეობის ყოველი დღისათვის თი-

თო ხელადა ლუდს მაძლევენ. ასე ხდება წარმართთა ქვეყანა არამში – დაამთავრა ქურუმმა და ტუჩებზე თითი მიიდო, – აღთქმა არ დაივიწყოთ, თქვენო უდიდებულესობავ, ხოლო ჩვენს მდუღარე ფისზე იფიქრეთ, რაც გენებოთ...“

ამ ამბავმა ტახტის მემკვიდრე ააღელვა. მართალია, მან შვება იგრძნო, როცა შეიტყო, რომ ის კაცი ტაძარში სასიკვდილოდ არ უწამებიათ, მაგრამ მასში წინანდელმა ეჭვებმა გაიღვიძა.

ქურუმები რომ უბრალო ხალხს ატყუებდნენ, ამაში მას ეჭვი არ ეპარებოდა. ჯერ კიდევ როცა სკოლაში სწავლობდა, უნახავს საღვთო ხარის აპისის პროცესიები. ხალხს სწამდა, რომ ქურუმებს აპისი უძღოდა წინ, ნამდვილად კი თითოეულმა მოწაფემ იცოდა, რომ ღვთაებრივი ცხოველი იქით მიდის, საითაც მას ქურუმები მიერეკებიან.

ვინ იცის, ეგებ პენტუერის ქადაგებაც განგებ მისთვის მოწყობილი ასეთივე „აპისის პროცესია“ იყო. მართლაცდა, ხომ ადვილია მიწაზე ფერადი ლობიოს დაფანტვა და არც ისე ძნელია ცოცხალი სურათების დადგმა. მას უფრო გრანდიოზული წარმოდგენები უნახავს, – თუნდაც ოზირისთან სეთის ბრძოლა, რომელშიც რამდენიმე ასი კაცი მონაწილეობდა. და განა ესეც ქურუმების მიერ მოგონილი თვალთმაქცობა არ იყო? სანახაობას ღმერთების ბრძოლად ასაღებდნენ, ნამდვილად კი ისინი გადაცმული ადამიანები იყვნენ. ამ ბრძოლაში ოზირისი მოკვდა, თუმცა ქურუმი, რომელიც მას განასახიერებდა, მარტორქასავით ჯანმრთელი იყო, რა სასწაულთ არ უჩვენებდნენ იქ გულუბრყვილო ხალხს: წყალი თუხთუხებდა, ქუხდა, ელავდა, მიწა ირყეოდა და ცეცხლს აფრქვევდა... და ყოველივე ეს მოტყუება იყო. მაშ რატომ პენტუერის წარმოდგენა უნდა იყოს სიმართლე? ხერიჰორს ომი არ სურს, იგი არც ნოფრს სურს, პენტუერი კი თანაშემწეა პირველის და მახლობელი ადამიანი მეორესი.

მემკვიდრის სულში ბრძოლა წარმოებდა. მას ხან ისე ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ესმის, ხან კიდევ მის თვალში ყველაფერი ნისლით იბურებოდა, ხან იმედით ევსებოდა გული, ხან კიდევ ყოველგვარი რწმენა ეკარგებოდა. ყოველდღიურად, ყოველ საათში ხან აღტყინდებოდა, ხან სასოწარკვეთილებას ეძლეოდა მსგავსად ნილოსისა, რომელიც ხან ადიდდება, ხან კი იკლებს.

მაგრამ რამზესმა თანდათანობით აღიდგინა წონასწორობა და იმ დროისათვის, როდესაც ტაძარი უნდა დაეტოვებინა, მტკიცე აზრი გამოიმუშავა.

ჯერ ერთი, მისთვის ნათელი გახდა, რომ ეგვიპტეს ესაჭიროება მიწა და ხალხი; მეორე, რომ ხალხის შოვნის ყველაზე უბრალო საშუალებას აზიასთან ომი წარმოადგენს.

პენტუერი კი უმტკიცებდა, ომს მხოლოდ ქვეყნის უბედურების გადიდება შეუძლიაო. აი, ისმებოდა კითხვა, მართალს ლაპარაკობდა ის, თუ ტყუოდა?

ის აზრი, რომ ქურუმი მართალს ლაპარაკობდა, მემკვიდრეს სასოწარკვეთილებაში აგდებდა, რადგან ვერ პოულობდა სხვა საშუალებას ეგვიპტის კეთილდღეობის ასამაღლებლად. უომრად ეგვიპტის მოსახლეობა წლიდან წლამდე შემცირდება და ფარაონის ხაზინას დავალიანება გაუდიდდება. და ყველაფერი ეს დამთავრდება რაღაცნაირი საშინელი კატასტროფით, რომელიც შეიძლება საბედისწერო შეიქნეს მომავალი მმართველობისათვის.

იქნებ ტყუოდა პენტუერი? მაგრამ რისთვის? ცხადია, ეს შთააგონეს ხერიჰორმა, ნორმა და სხვა ქურუმებმა. მაგრამ რატომ არიან ისინი ომის წინააღმდეგი, რა სარგებლობას ხედავენ ამაში? ყოველ ომს ხომ ქურუმებისა და ფარაონისათვის უდიდესი სიმდიდრე მოაქვს.

მაგრამ მაინც შეეძლოთ თუ არა ქურუმებს ასეთ მნიშვნელოვან საქმეში მისი მოტყუება? მართალია, ისინი ხშირად მიმართავენ ტყუილს, მაგრამ არა ისეთ სერიოზულ შემთხვევებში და არა მაშინ, როდესაც საკითხი სახელმწიფოს მომავალსა და თვით მის არსებობას შეეხება. ისინი ხომ ღმერთების მსახურნი არიან და დიდ საიდუმლოებათ იცავენ. იმათ ტაძრებში სულები ბინადრობენ, რაშიაც თვითონ რამზესიც დარწმუნდა აქ ყოფნის პირველ ღამესვე. მაგრამ თუ ღმერთები არანაკურთხთ უკრძალავენ მათს საკურთხევლებს მიუახლოვდნენ და თავგამოდებით იცავენ ტაძრებს, რატომ არ დაიფარავენ ეგვიპტეს ამ მათთვის უდიდეს სალოცავს?

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ქურუმების საზეიმო კურთხევით დალოცვილი რამზესი ხატორის ტაძრიდან მიდიოდა, ორი კითხვა ტანჯავდა:

შეუძლია თუ არა ომს აზიასთან ეგვიპტეს ნამდვილად მიაყენოს ზიანი?

შეუძლიათ თუ არა ქურუმებს ამ საკითხში იგი, მეფისნაცვალი, მოატყუონ?

თავი მეოთხე

რამდენიმე ოფიცრის თანხლებით ბატონიშვილი ცხენით ბრუნდებოდა იმუ-ხენტის ნომის სახელგანთქმულ მთავარ ქალაქ ბუბასტისში.

პაინის თვე უკვე გავიდა და ეპიფი (აპრილ-მაისი) დადგა. მზე მაღლა იდგა, რაც ეგვიპტეში აუტანელი ცხელი დღეების დაწყებას მოასწავებდა. უკვე რამდენჯერმე დაუბერა უდაბნოს საშინელმა ქარმა. ადამიანები და ცხოველები პაპანაქებას ვეღარ იტანდნენ, ხოლო ბალახსა და ხეებს ისეთი ნაცრისფერი მტვერი ეფინებოდა, რომლის ქვეშ ყოველივე ჭკნება.

ვარდები უკვე მოეკრიფათ და მისგან ზეთს ხდიდნენ. ყანებში პური და იონჯა აეღოთ. ჭების ოწინარები შეუწყვეტლივ ხაპავდნენ ნოყიერ წყალს სახნავი მიწების მოსარწყავად და ახალი თესვისათვის მოსამზადებლად. იწყებოდა ყურძნისა და ლეღვის კრეფა.

ნილოსში წყალი კლებულობდა, არხები ამოშრა და ირგვლივ სიმყრალე ვრცელდებოდა, მთელ მხარეში მიმოქროდა უწვრილესი მტვერი, ციდან კი მზის მწველი სხივები უხვად იფრქვეოდა გახურებულ დედამიწაზე.

მიუხედავად ამისა, ბატონიშვილი კმაყოფილი იყო. მას მომნანიებლის ცხოვრება მოსწყინდა, სამაგიეროდ ნადიმები, ქალები და საერთოდ მხიარული დროსტარება მოენატრა.

არემარე აქ საკმაოდ ლამაზი იყო. იმუ-ხენტის ნომში სხვა მოსახლეობა ბინადრობდა, არა მკვიდრი ეგვიპტელები, არამედ იმ მამაცი ჰიქსოსების შთამომავლობა, რომელთაც ოდესღაც ეგვიპტე დაიპყრეს და საუკუნეთა განმავლობაში განაგებდნენ.

მკვიდრ ეგვიპტელებს ეზიზღებოდათ განდევნილ დამპყრობელთა ეს შთამომავლობა. რამზესი კი მათ სიამოვნებით უცქეროდა. ისი-

ნი იყვნენ ტანმაღალი, ღონიერი, ამაყი და მამაცი ადამიანები. ბატონიშვილისა და მისი მხლებლების დანახვაზე ჰიქსოსები ეგვიპტელებივით პირქვე არ ემხობოდნენ და წარჩინებულ ახალგაზრდა ადამიანებს მტრულად არ უცქეროდნენ, მაგრამ არც ეშინოდათ. ჰიქსოსების ზურგს არ ეტყობოდა გაჯოხვით მიყენებული ნაწიბურები: მწერლებს მათი ეშინოდათ, რადგან იცოდნენ, რომ ჰიქსოსი დარტყმაზე დარტყმითვე უპასუხებდა და ზოგჯერ თავისი მჩაგვრელის მოკვლასაც არ მოერიდებოდა. ამას გარდა, თვით ფარაონი ჰიქსოსებს განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა, რადგან მათი მოსახლეობა ეგვიპტის ჯარს საუკეთესო მეომრებს აწვდიდა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ მგზავრები ქალაქს, რომლის ტაძრები და სასახლეები მტვრის კორიანტელში ბუნდად მოჩანდა, ადგილმდებარეობა თანდათან უფრო ცხოვლად გამოიყურებოდა. ფართო შარაგზით და მეზობლად მდებარე არხებზე გადაჰყავდათ საქონელი, გადაჰქონდათ ხორბალი, ხილი, ღვინო და პური, როგორც მემფისთან დიდი დღესასწაულების დროს, ამ ადგილებშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ადამიანებისა და საქონლის ახმაურებული ნიაღვრის დენა, რომელიც ქალაქის მიმართულებით მიეშურებოდა. ბუბასტისში მთელი წელიწადი სუფევდა საბაზრო ფუსფუსი, რომელიც მხოლოდ ღამით ცხრებოდა. ეს მოვლენა მარტივი მიზეზით აიხსნებოდა. ბუბასტისი განთქმული იყო ასტარტის[1] ძველი ტაძრით, რომელიც მთელ დასავლეთ აზიიდან აურაცხელ მლოცველს იზიდავდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბუბასტისის სანახებში კარვებსა და ღია ცის ქვეშ ყოველდღე ბინავდებოდა ოცდაათ ათასამდე უცხოელი: შასუ ანუ არაბები, ფინიკიელები, ებრაელები, ფილისტიმილები, ხეთები, ასირიელები და სხვები. მლოცველების მიმართ ეგვიპტის მთავრობა კეთილად იყო განწყობილი, ვინაიდან მათგან სახელმწიფო ხაზინა მნიშვნელოვან შემოსავალს იძენდა. ქურუმები მლოცველებს არ ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო მეზობელი ნომების მოსახლეობა მათთან გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა.

ქალაქამდე ერთი საათის სავალიღა დარჩა. გზაზე უკვე გამოჩნდა

[1] ასტარტა – აშტორეტი დასავლეთ სემიტების ქალღმერთი, ბაბილონის ღმერთქალის იშტარის ანალოგიური.

უცხოელთა ფაცხები და კარვები, რომლებიც ტიტველ მიწაზე იდგნენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ბუბასტისს, სადგომების რიცხვი უფრო მატულობდა და უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მათი დროებითი ბინადარნი. ზოგი ღია ცის ქვეშ საჭმელს ამზადებდა, სხვები დუქნების გარშემო ირეოდნენ, რომლებშიც შეუწყვეტლივ შეჰქონდათ გასაყიდი საქონელი, ზოგი კიდევ ტაძრისკენ მიმავალ პროცესიას მიჰყვებოდა. მან აქ, ხან იქ მრავლად თავმოყრილ მაყურებელს თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ მხეცების მომთვინიერებელნი, გველთა შემლოცველნი ათლეტები, მოცეკვავე ქალები და ოინბაზები.

ამ უამრავ ხალხს თავზე პაპანაქება დაჰქათქათებდა და გაბმული გუგუნი გაისმოდა.

ქალაქის ალაყაფის კართან ბატონიშვილს შეეგებნენ კარისკაცნი და იმუ-ხენტის ნომარქოსი მოხელეებითურთ. მაგრამ შეხვედრა იმდენად ცივი იყო, რომ მეფისნაცვალმა თუტმოსს განცვიფრებით ჩასჩურჩულა:

– რაშია საქმე? ისე მომჩერებიხარ, თითქოს აქაურების სამხელად და დასასჯელად ვიყო მოსული.

– იმიტომ, რომ – უპასუხა ფავორიტმა, – ისეთი გამომეტყველება გაქვს, თითქოს სულ ღმერთებთან იმყოფებოდი.

თუტმოსი მართალს ამბობდა. ასკეტურმა ცხოვრებამ თუ სწავლულ ქურუმთა საზოგადოებამ და, იქნებ, ხანგრძლივმა ფიქრებმა რამზესი შეცვალა. გახდა, თვალები ამოუშავდა, სახის გამომეტყველება სერიოზული გაუხდა, ხოლო მიხრა-მოხდა დარბაისლური. რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქოს დაბერდა კიდეც.

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე იმდენი ხალხი ირეოდა, რომ პოლიციას მემკვიდრისა და მისი ამალისათვის გზის გაკაფვა დასჭირდა. ხალხი ბატონიშვილს არ მისალმებია, თითქოს ვერც კი შეამჩნიაო, და ვიღაცის მოლოდინში ერთი პატარა სასახლის გარშემო იყრიდა თავს.

– რა ამბავია აქ? – ჰკითხა ნომარქოსს რამზესმა, რომელიც ხალხის გულგრილი შეხვედრით ნაწყენი იყო.

– აქ ხირამი ცხოვრობს, – უპასუხა ნომარქოსმა, – ტვიროსის მთავარი. როგორც გულმოწყალე ადამიანი, ყოველდღე არიგებს უხვ მოწყა-

ლებას და ამიტომაც აქეთკენ მოისწრაფვიან მათხოვრები.

რამზესმა ცხენი მოატრიალა, გარშემო მიმოიხედა და თქვა:

– აქ მე ფარაონის მუშებს ვხედავ. ისინიც ფინიკიელ მდიდრებთან მოწყალებისათვის მოდიან?

ნომარქოსი გაჩუმდა, საბედნიეროდ უკვე მიუახლოვდნენ სასახლეს და რამზესს დაავიწყდა ხირამი.

რამდენიმე დღე გაგრძელდა მემკვიდრის საპატივცემო ნადიმები, მაგრამ ამ ნადიმებს სიხალისე და მხიარულება აკლდა და არა ერთხელ ატყდა უსიამოვნო აყალმაყალი.

როგორღაც მემკვიდრის ერთ-ერთ ქალს მის წინ ცეკვის დროს ტირილი აუვარდა. რამზესმა ხელი მოხვია და მწუხარების მიზეზი ჰკითხა.

ერთ ხანს ქალს არ სურდა პასუხი გაეცა, მაგრამ ბატონის ალერსით გამხნევებულმა ქვითინით უთხრა:

– მბრძანებელო, მე და ჩემი მეგობარი ქალები წარჩინებულ ოჯახთა შთამომავალნი ვართ, ჩვენი თავი თქვენ გეკუთვნით და პატივით უნდა მოგვეპყრან...

– რასაკვირველია, – უპასუხა ბატონიშვილმა.

– შენი ხაზინადარი კი ჩვენს ხარჯებს ზღუდავს. მას მოახლე ქალებიც კი უნდა მოგვაშოროს, უამისოდ ჩვენ არც პირის დაბანა შეგვიძლია და არც თმის დავარცხნა.

რამზესმა იხმო ხაზინადარი, სასტიკად დატუქსა და უბრძანა კეთილშობილი ქალიშვილების ყველა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ყველაფერს, რასაც მოითხოვენო.

რამდენიმე დღის შემდეგ სასახლის მონათა შორის უკმაყოფილებამ იფეთქა: ჩიოდნენ, ღვინოს არ გვაძლევენო.

მემკვიდრემ ბრძანა მიეცათ მათთვის ღვინო, მაგრამ მეორე დღეს სამხედრო პარადზე მასთან პოლკების დელეგაცია გამოცხადდა და უმორჩილესი საჩივარი მოახსენა, რომ მათ ხორცისა და პურის ულუფა შეუმცირეს.

ამჯერადაც მემკვიდრემ განკარგულება გასცა, რომ პოლკების მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. მალე დილაადრიან მემკვიდრე გამოაღვიძა სასახლის ჭიშკართან ატეხილმა ყვირილმა. რამზესმა ხმა-

ურის მიზეზი იკითხა. მორიგე ოფიცერმა მოახსენა, მეფის მუშებმა თავი მოიყარეს და დაკავებული ჯამაგირის მიღებას მოითხოვენო,

ხაზინადარი იხმეს, რამზესმა მრისხანედ მიმართა: – რა ამბავია აქ? – უყვიროდა იგი. – რაც აქ მოვედი, დღე არ გავა, რომ ვინმე შევიწროებას არ უჩიოდეს, თუ მსგავსი რამ განმეორდა, გამოძიებას დავნიშნავ და თქვენს ქურდობას ბოლოს მოვუღებ!

– რა ვქნა, ბატონო ჩემო, – ამოიკვნესა მის წინ პირქვე დამხობილმა აცახცახებულმა ხაზინადარმა, – როცა შენი ხაზინა, ბეღლებიც და ბაკებიც ცარიელია?

განრისხების მიუხედავად, მეფისნაცვალი მიხვდა, იქნებ ხაზინადარი არცაა დამნაშავეო. იგი დაითხოვა და თუტმოსი იხმო.

– გამიგონე, – უთხრა მას, – აქ ისეთი რამ ხდება, რაც მე არ მესმის და რასაც ჩვეული არა ვარ: ჩემი მონები, მეომრები და სამეფო მუშები ჯამაგირს არ ღებულობენ, ხოლო ჩემი ქალებისათვის ხარჯი შეუზღუდავთ. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ ხდება ასე, ხაზინადარმა მიპასუხა, არც ხაზინაში და არც ბაკებში არაფერი არ მოგვეძევაო.

– მართალი უთქვამს.

– როგორ? – იფეთქა რამზესმა, ჩემი მოგზაურობისათვის მეფემ საქონლითა და ოქროთი ორასი ტალანტი მომცა, ნუთუ ყველაფერი ეს დახარჯულია?

– დიახ, – უპასუხა თუტმოსმა.

– რანაირად? რაზე?– აღშფოთდა მეფისნაცვალი.– მოგზაურობის დროს ჩვენ ხომ ნომარქოსები გვიმასპინძლდებოდნენ?

– დიახ, მაგრამ გამასპინძლებისათვის სასყიდელს ვაძლევდით.

– მაშ ისინი ქურდები და გაიძვერები ყოფილან, თუკი თავს ისე გვაჩვენებენ, ვითომც სტუმრად გვიღებენ და მერე კი გვყვლეფენ.

– ნუ წყრები, – უთხრა თუტმოსმა, – ყველაფერს აგიხსნი.

– დაჯექი, – უბრძანა რამზესმა.

თუტმოსი დაჯდა და დაიწყო:

– შენ იცი, რომ მე უკვე ერთი თვეა, საზრდოს შენს სამზარეულოდან ვღებულობ, ღვინოს შენი ქვევრიდან ვსვამ და შენს ტანსაცმელს ვატარებ.

– შენ ამის უფლება გაქვს.

– მართალია, მაგრამ წინათ ამას არასოდეს არ ჩავდიოდი: ვცხოვრობდი, ვიცვამდი და ვერთობოდი ჩემს ხარჯზე, რომ შენი ხაზინის შესანახი არ ვყოფილიყავი. მართალია, ხშირად ჩემს ვალებს იხდიდი, მაგრამ ეს ჩემი ხარჯების მხოლოდ ნაწილი იყო.

– არ ღირს ვალების მოგონება.

– ასეთსავე მდგომარეობაშია, – განაგრძო თუტმოსმა, – შენი კარის ათზე მეტი წარჩინებული ახალგაზრდა. ისინიც შენს ხარჯზე ცხოვრობენ, იმიტომ რომ არ გააჩნიათ რა. ჩვენ შენი ხაზინიდან ვსესხულობთ, იმიტომ რომ ამას გაჭირვება გვაიძულებს, და ამასვე სჩადიან ნომარქოსები. მათ რომ შეეძლოთ, მოგიწყობდნენ ნადიმებსა და მიღებებს თავის საკუთარ ხარჯზე. მაგრამ როცა ქეიფისათვის არ გაგაჩნიარა, იძულებული ხარ მასზე უარი თქვა. ნუთუ ახლაც ქურდებს უწოდებ ნომარქოსებს?

რამზესი ჩაფიქრებული მიმოდიოდა ოთახში.

– მართალია, მე ავჩქარდი და გავკიცხე ისინი, – უპასუხა მან, – განრისხებამ თვალთ დამიბნელა. მაგრამ მაინც არ მსურს, რომ ჩემი კარისკაცები, მეომრები და მუშები ნაწყენი იყვნენ. ხოლო რაკი ჩემი მარაგი ამოწურულია, სესხი უნდა ავიღოთ. ასი ტალანტი საკმარისი იქნება? რას იტყვი?

– მე ვფიქრობ, რომ სესხად ას ტალანტს. არავინ მოგვცემს, – ხმადაბლა შენიშნა თუტმოსმა.

მეფისნაცვალმა ქედმაღლურად გადახედა.

– ასე უპასუხებენ ფარაონის ძეს? – შეეკითხა იგი.

– შეგიძლია გამაგდო, – მწუხარე ხმით უთხრა თუტმოსმა, – მაგრამ სიმართლე გითხარი, ახლა ჩვენ სესხს არავინ მოგვცემს, ვინაა ისეთი, რომ გვასესხოს.

– მაშ დაგონი რისი მაქნისია? – გაოცდა მემკვიდრე. განა ის ჩემს კარზე აღარ ცხოვრობს? ხომ არ მომკვდარა?

– დაგონი ბუბასტისშია, მაგრამ სხვა ფინიკიელ ვაჭრებთან ერთად მთელ დღეებს ასტარტის ტაძარში სინანულსა და ლოცვებში ატარებს.

საიდან აღეძრა ასეთი ღვთისმოსაობის სურვილი? ნუთუ იმიტომ, რომ მე ტაძარში ვიყავი, ჩემს მევახშეებსაც ღმერთებთან საუბრის

სურვილი დაებადათ?

თუტმოსი სკამზე ატოკდა,

– ფინიკიელები, – თქვა მან, – შეშფოთებული და თითქეის დამწუხრებულნი არიან ცნობებით...

– რა ცნობებით?

– ვიღაცამ გაავრცელა ჭორი, ვითომც, როცა შენ ტახტზე ახვალ, ფინიკიელებს ეგვიპტიდან გააძევებ, ხოლო მათი ქონება ხაზინას გადაეცემა.

– კი, მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო აქვთ, – წარმოთქვა მემკვიდრემ და ჩაიცინა,

თუტმოსს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაცის თქმა სურს, მაგრამ ვერ ბედავსო.

– ხმა დადის, – თქვა მან ბოლოს ხმადაბლა, – რომ მეფის ჯანმრთელობა – მარად ცოცხლობდეს იგი! – დიდად შერყეულიაო...

– ეს მართალი არ არის! – სიტყვა გააწყვეტინა შეშფოთებულმა რამზესმა. – ასე რომ იყოს, მე მეცოდინებოდა.

– მაგრამ ქურუმები საიდუმლოდ ღმერთს შესთხოვენ მის განკურნებას, – ჩურჩულებდა თუტმოსი. – ეს მე ნამდვილად ვიცი.

რამზესი გაოცდა.

– როგორ! – წარმოთქვა მან, – მამაჩემი მძიმე ავადმყოფია. ქურუმები ღვთისმსახურებას ასრულებენ და მე კი აქამდე არაფერი ვიცი?

– ამბობენ, მეფის ავადმყოფობამ შეიძლება წელიწადი გასტანოსო.

რამზესმა ხელი ჩაიქნია.

– შენ ზღაპრებს აჰყოლიხარ და მეც მაშფოთებ. უმჯობესია ისევ ფინიკიელებზე მიამბო.

– მე მხოლოდ ის გავიგონე, – უთხრა თუტმოსმა, – რაც სხვებმაც გაიგონეს; ვითომც ტაძარში ყოფნისას შენ დარწმუნდი ფინიკიელების მავნებლობაში და ფიცი დასდე, რომ განდევნი მათ ეგვიპტიდან.

– ტაძარში? – გაიმეორა მემკვიდრემ. – ვის შეუძლია იცოდეს, რაში დავრწმუნდი ტაძარში და რა გადაწყვეტილება მივიღე?

თუტმოსმა მხრები აიჩეჩა და გაჩუმდა.

– ნუთუ იქაც გამცემლობას აქვს ადგილი? – წაიჩურჩულა რამზესმა,

– დაგონს დამიძახე, – ხმამაღლა მიმართა მან თუტმოსს, – უნდა მოვნახო ამ ჭორების წყარო და მათ ბოლო მოვუღო.

– კარგს იზამ, ხელმწიფევ, – უპასუხა თუტმოსმა, – რადგან მთელი ეგვიპტე შეშფოთებულია. სესხს ახლა უკვე აღარავინ იძლევა და თუ ამ ხმებმა ხალხში ფეხი მოიკიდა, მთელი ვაჭრობა შეწყდება. ჩვენი არისტოკრატია ისედაც გაღატაკებულია და მდგომარეობიდან გამოსავალიც არა ჩანს. შენი კარიც, ბატონო, ყველაფერში ხელმოკლეობას განიცდის. კიდევ ერთი თვე – და შეიძლება მეფის კარსაც იგივე მოუვიდეს...

– გაჩუმდი, – შეაჩერა იგი რამზესმა, – და ახლავე დამიძახე დაგონს.

თუტმოსი საჩქაროდ გავიდა, მაგრამ მევახშე მეფისნაცვალთან მხოლოდ საღამო ჟამს გამოცხადდა. მას შავი ქობაშემოვლებული თეთრი კვართი ეცვა.

– ჭკუაზე შეიშალე? – წამოიძახა ბატონიშვილმა, როცა იგი ასეთ ტანსაცმელში იხილა, ახლავე გაგამხიარულებ! საჩქაროდ მჭირდება ასი ტალანტი. წადი და მანამ თვალით არ დამენახო, ვიდრე ამ საქმეს არ მოაგვარებ!..

მაგრამ მევახშემ სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

– რა ვითომ? – გაჯავრებით შეეკითხა რამზესი.

– ბატონო ჩემო, – მუხლმოდრეკით უპასუხა დაგონმა, – მთელი ჩემი ქონება მიირთვი, გამყიდე მეც და ჩემი ოჯახიც, ყველაფერი, ჩემი სიცოცხლეც შენი სანაცვლო იყოს... მაგრამ ასი ტალანტი! მერე სად ვიშოვო ამდენი თანხა? ამდენი ფული არც ეგვიპტეში იშოვება და აღარც ფინიკიაში...

მემკვიდრემ გადაიხარხარა:

– სეთს შეუპყრიხარ შენ, დაგონ! ნუთუ შენც დაიჯერე, რომ მე თქვენი გაძევება მსურს?

მევახშე მას მეორედ ჩაუვარდა ფეხებში.

– მბრძანებელო! მე რა ვიცი? მე უბრალო ვაჭარი და შენი მონა ვარ. და საკმარისია მთვარის ერთი თვე, რომ ყველაფერი – ჩემი სიცოცხლეც და სიმდიდრეც – ოხრად იქცეს.

– ამიხსენი მაინც, რას ნიშნავს ეს? – შეეკითხა მოთმინებადაკარ-

გული მემკვიდრე.

– არ ვიცი, რა გითხრა. და რომც ვიცოდე, ბაგენი ჩემნი უაღრესი კაეშნის ბეჭედითაა დაბეჭდილი. ამჟამად მე მხოლოდ ვლოცულობ და ცრემლსა ვღვრი.

„ნუთუ ფინიკიელებიც ლოცულობენ? “ – გაიფიქრა რამზესმა,

– თუ უძლური ვარ რაიმე სამსახური გაგიწიო, კეთილ რჩევას მაინც მოგცემ, – განაგრძობდა დაგონი, – აქ ბუბასტისში ცხოვრობს ტვიროსის ცნობილი მთავარი ხირამი, მოხუცი, ჭკვიანი და მეტად მდიდარი კაცი. იხმე ის და სთხოვე ასი ტალანტი. შეიძლება მან გაგიწიოს სამსახური...

რამზესი დარწმუნდა, რომ დაგონისაგან ვერაფერს მიიღებდა, აღუთქვა, ხირამს მოციქულებს გავუგზავნიო და გაუშვა.

თავი მეხუთე

მეორე დღეს დილით მრავალი ოფიცრისა და კარისკაცის თანხლებით თუტმოსმა ტვიროსის მთავარი ინახულა და მეფისნაცვალთან მიიწვია.

შუადღისას ხირამი სასახლეში გამოცხადდა უბრალო ტახტრევანით, რომელსაც მისგან შეწყალებული რვა ღატაკი ეგვიპტელი მოეზიდებოდა. იგი გარშემორტყმული იყო წარჩინებული ფინიკიელი ვაჭრებით და იმ ხალხით, რომლებიც ყოველდღე მისი სახლის წინ იკრიბებოდა.

რამზესი ერთგვარი გაკვირვებით შეხვდა წარმოსადეგ მოხუცს, რომლის თვალებში ჭკუა კიაფობდა. მას თეთრი მოსასხამი ეცვა და თავს ოქროს სალტე ჰქონდა შემოვლებული. მეფისნაცვალს დარბაისლურად მიესალმა, მის თავზე ხელები აღაპყრო და მოკლე ლოცვა წარმოთქვა. დამსწრეებზე მან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

როცა მეფისნაცვალმა სავარძელზე მიუთითა და კარისკაცებს დარბაზიდან გასვლა უბრძანა, ხირამმა თქვა.

– გუშინ, ბატონო, შენმა მსახურმა დაგონმა გადმომცა, რომ ასი ტალანტი გჭირდება, მე დაუყოვნებლივ გავგზავნე ჩემი კაცები იმ ქალაქებში, სადაც ფინიკიელთა ხომალდები დგას, და ყველა საქონლის

გადმოტვირთვა მოვითხოვე; ვფიქრობ, რომ რამდენიმე დღეში შენ მიიღებ ამ მცირე თანხას.

– მცირეს! – სიტყვა შეაწყვეტინა რამზესმა და გაიღიმა, შენ ბედნიერი ყოფილხარ, მთავარო, თუ შეგიძლია ასი ტალანტი მცირე თანხად ჩათვალო.

ხირამმა თავი გააქნია.

– შენმა პაპამ, მარადმსუფევმა რამზეს-პტაჰმა, – თქვა მან წუთიერი სიჩუმის შემდეგ, – და მამაშენმა – დე მარად სუფევდეს ის! – მე თავისი მეგობრობის ღირსი გამხადეს, ამიტომ ნება მიბოძე ერთი კითხვით მოგმართო.

– გისმენ.

– რას მოასწავებს ის, რომ ტახტის მემკვიდრე, მეფისნაცვალი, იძულებულია ასი ტალანტი ისესხოს მაშინ, როდესაც ასი ათას ტალანტზე მეტი მართებთ მისი სახელმწიფოსი?

– ვის? – ჰკითხა ბატონიშვილმა.

– როგორ თუ ვის? დაგავიწყდათ აზიელი ხალხების ხარკი? ფინიკიას მართებს თქვენი ხუთი ათასი, და, მე ვთავდებობ, რომ იგი ამ ვალს გაისტუმრებს, უკეთუ რაიმე მოულოდნელი ამბები არ დატრიალდა. ამას გარდა, ისრაელს მართებს სამი ათასი, ფილისტიმელებსა და მოაბიტელებს – ორ-ორი ათასი, ხეთებს ოცდაათი ათასი... სიმართლე გითხრათ, ყველა მუხლი აღარ მახსოვს, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ გადაუხდელი ხარკი ამ სამიდან ას ხუთ ათას ტალანტამდე აღწევს.

რამზესი ტუჩებს იკვნეტდა. მის მკვირცხლ სახეზე განრისხება აღიბეჭდა. თვალები დახარა და დუმდა.

– მაშ ეს მართალია? – ამოიოხრა უცებ ხირამმა და მეფისნაცვალს თვალები მიაშტერა. – მაშ ეს მართალია? საცოდავი ფინიკია! საბრალო ეგვიპტე!

– რას ამბობ? – წარბშეკვრით ჰკითხა ბატონიშვილმა. – მე შენი მოთქმის არა გამეგება რა.

– ჩანს, იცი, უღირსესო ბატონიშვილო, რაზედაც ვლაპარაკობ, რაკი ჩემს კითხვაზე არ მიპასუხებ.

თითქოს წასვლა უნდაო, ხირამი წამოდგა.

– მიუხედავად ამისა, ჩემს დაპირებას უკან არ წავიღებ, ბატონო ჩემო, შენ მიიღებ ას ტალანტს.

მან დაბლა დაუკრა თავი, მაგრამ რამზესმა აიძულა დამჯდარიყო.

– რაღაცას მიმალავ, მთავარო, – ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომელშიც წყენა იგრძნობოდა, – მსურს განმიმარტო. რა განსაცდელი ემუქრება ფინიკიას და ეგვიპტეს.

– ნუთუ ტახტის მემკვიდრემ ეს არ იცის? – გაუბედავად შეეკითხა ხირამი.

– არაფერი არ ვიცი. მე თვეზე მეტი ტაძარში გავატარე.

– სწორედ იქ შეიძლებოდა ყველაფრის გაგება.

– შენ უნდა მიამბო! – დაიყვირა რამზესმა და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. – მე არავის არ მივცემ ჩემთან მასხრობის ნებას.

– კარგი, გიამბობ, მაგრამ იმ პირობით, თუ შენ, ბატონიშვილო, ფიცით აღმითქვამ, რომ ჩემს ნათქვამს საიდუმლოდ შეინახავ. თუმცა არ შემიძლია დავიჯერო, რომ ტახტის მემკვიდრეს ეს ამბავი არ აცნობეს...

– არ მენდობი? – გაოცდა რამზესი.

– ასეთ საქმეში ფარაონსაც კი აღთქმას მოვთხოვდი, – გადაჭრით უპასუხა ხირამმა.

– კარგი, ვფიცავ ჩემს მახვილს და ჩვენი პოლკების დროშებს, რომ არავის არ გავუზიარებ შენს ნათქვამს.

– იცი თუ არა, ბატონიშვილო, რა ხდება ახლა ფინიკიაში?

– არც ეგ ვიცი, – გაჯავრებით შეაწყვეტინა სიტყვა რამზესმა.

– ჩვენი ხომალდები ყოველი მხრიდან სამშობლოში ბრუნდებიან, – ჩურჩულით უამბობდა ხირამი, – რომ პირველი სიგნალის მიცემისთანავე ჩვენი მოსახლეობა თავისი ქონებითურთ გადაიყვანონ სადმე ზღვის იქით დასავლეთისაკენ...

– რატომ? – გაოცდა მემკვიდრე.

– იმიტომ რომ ასირია დაპყრობას გვიპირებს.

რამზესმა გადიხარხარა.

– გაგიჟებულხარ, ყოვლად ღირსო მოხუცო, – წამოიძახა მან. – ასირია ფინიკიას დაიპყრობს და ჩვენ მათ რა პასუხს გავცემთ? ჩვენ, ეგვიპტე?

– ეგვიპტემ უკვე თანხმობა მისცა.

ტახტის მემკვიდრეს სისხლი აუვარდა თავში.

– ალბათ, სიცხემ ტვინი აგირია, მოხუცო, – უკვე დამშვიდებული კილოთი უთხრა მან. – გავიწყდება, რომ ასეთი საქმე ფარაონისა და ჩემი ნებართვის გარეშე ვერ მოხდება.

– ეგეც იქნება! ეს-ესაა ქურუმებმა ხელშეკრულება დადეს.

– რომელმა ქურუმებმა? ვისთან?

– ტიგლატფილესარის რწმუნებულს ქალდეველთა უმაღლეს ქურუმ ბეროესთან, – უპასუხა ხირამმა. – დანამდვილებით არ ვიცი, ეგვიპტის მხრივ ვინ გამოდის, მაგრამ ვგონებ, მაღალღირსი ხერიჰორი, წმიდა ნოფრი და წინასწარმეტყველი პენტუერი.

ბატონიშვილი გაფითრდა.

– გახსოვდეს, ფინიკიელო. – უთხრა მან, – რომ შენ ბრალს სდებ ღალატში სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთ.

– სცდები, ბატონიშვილო, – უპასუხა ხირამმა. – ეს სრულებითაც არ ნიშნავს ღალატს. ეგვიპტის უხუცეს უმაღლეს ქურუმს და მეფის მინისტრს უფლება აქვთ მეზობელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება აწარმოონ. ეგეც არ იყოს, საიდან იცი, რომ ყველაფერი ეს ფარაონის დაუკითხავად კეთდება?

რამზესი იძულებული იყო თავის გულში ეღიარებინა, რომ ასეთი ხელშეკრულება სახელმწიფოს წინაშე ღალატი კი არ იქნებოდა. არამედ პირადად მისი, ტახტის მემკვიდრის აბუჩად აგდება.

„აი თურმე როგორ ექცევიან ქურუმები მას, ვინც ერთი წლის შემდეგ შეიძლება ფარაონი გახდეს. ახლა გასაგებია, რატომ ჰკიცხავდა ომს პენტუერი და რატომ უჭერდა მხარს ნოფრი!“

– როდის და სად იქნა დადებული ხელშეკრულება? – ჰკითხა რამზესმა ხირამს.

– ვგონებ, ღამით მემფისის მახლობლად, სეთის ტაძარში, – უპასუხა ხირამმა, – იმ დღეს, როდესაც შენ მემფისიდან მოდიოდი.

„ჰოი, საძაგლები! – გაიფიქრა რამზესმა. – მაშ ასე უწევენ ისინი ანგარიშს მეფისნაცვალს! მაშასადამე, ისინი მაშინაც კი მატყუებდნენ, როდესაც სახელმწიფოს მდგომარეობას მისურათებდნენ, და მაშინაც, როცა ხატორის ტაძარში რომელიღაც კეთილი ღმერთი ჩამაგო-

ნებდა მათდამი ეჭვს!“

ხანმოკლე შინაგანი ბრძოლის შემდეგ მან ხმამაღლა თქვა:

– ეს ყოვლად დაუშვებელია და შენს ნათქვამს მანამდე ვერ დავიჯერებ, ვიდრე დამამტკიცებელ საბუთებს არ წარმომიდგენ.

– დამამტკიცებელი საბუთები იქნება, – უპასუხა ხირამმა. – ამ დღეებში ბუბსტისში უნდა მოვიდეს ასირიის დიდი მბრძანებელი სარგონი, მეფე ტიგლატფილესარის მეგობარი. ის მოდის ღმერთქალის აშტორეტის ტაძარში ლოცვის აღვლენის საბაბით. სარგონი თქვენს უმაღლესობასა და ფარაონს ძღვენს მოგართმევთ და შემდეგ ხელშეკრულებას დადებთ, ნამდვილად კი ბეჭედს დაუსვამთ იმას, რაც ქურუმებმა ფინეკიელების დასაღუპავად და, შესაძლებელია, პირადად თქვენდა საუბედუროდ გადაწყვიტეს.

– არასოდეს! – წამოიძახა ბატონიშვილმა, – მერე რა სარგებელი უნდა მიიღოს ეგვიპტემ ამისათვის?

– აი მეფის საშვენი სიტყვები: რით გადაუხდიან სამაგიეროს ეგვიპტეს? ყოველი ხელშეკრულება სახელმწიფოსთვის მხოლოდ მაშინ არის კარგი, თუ იგი მისგან რაიმე სარგებელს მიიღებს. და მე მაკვირვებს სწორედ ის, – განაგრძობდა ხირამი, – რომ ეგვიპტე არახელსაყრელ გარიგებას დადებს, რადგან ასირია, ფინიკიის გარდა, თითქმის მთელ აზიას დაეპატრონება და თქვენ კი, მოწყალების სახით, ისრაელს, ფილისტიმელებსა და სინას ნახევარკუნძულს დაგიტოვებთ. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში დაიკარგება მთელი ის ხარკი, რომელიც ეგვიპტეს ერგება, და ფარაონი ამ ასხუთათას ტალანტს ვერასოდეს ვერ მიიღებს.

მემკვიდრემ თავი გააქნია.

– შენ არ იცნობ ეგვიპტელ ქურუმებს, – უთხრა მან. – არც ერთი მათგანი არასოდეს არ მიიღებდა ასეთ ხელშეკრულებას,

– რატომ? ფინიკიური ანდაზა ამბობს: „უმჯობესია ბეღელში ქერი გქონდეს, ვიდრე ოქრო უდაბნოშიო“. თუ ეგვიპტე თავს ძლიერ სუსტად გრძნობს, შეიძლება უმჯობესად მიიჩნიოს სინასა და პალესტინის მუქთად მიღება, ვიდრე ასირიას შეებრძოლოს. მაგრამ აი რა მაკვირვებს... ახლა ხომ გაცილებით ადვილია არა ეგვიპტის, არამედ ასირიის დამარცხება. ჩრდილო-აღმოსავლეთით მას რაღაც სიძნე-

ლეები აქვს, ჯარი მცირე ჰყავს და ისიც უვარგისი. ეგვიპტე რომ ასირიას თავს დაესხმოდეს, შემუსრავდა მას, ხელში ჩაიგდებდა ნინევიასა და ბაბილონის აურაცხელ საუნჯეს და ერთხელ და სამუდამოდ განამტკიცებდა თავის ძალაუფლებას აზიაში.

– თუ ასეა, მაშინ რით ახსნი ამ ხელშეკრულების დადებას? - შეეკითხა რამზესი.

– ის ჩემთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გასაგები... თუ ქურუმები... ეგვიპტეში ფარაონის ხელისუფლების გაუქმებას განიზრახავდნენ. თუმცა ამას ისინი შენი პაპის დროიდან ესწრაფვიან.

– შენ თვითონ არ გესმის, რას ამბობ, – შეაჩერა იგი მეფისნაცვალმა, თუმცა თავად გულში ერთგვარი შეშფოთება იგრძნო.

– შეიძლება, მეც ვცდები, – უპასუხა ხირამმა და მემკვიდრეს თვალებში ჩააშტერდა. – მაგრამ მაინც მომისმინე...

მან სავარძელი რამზესისკენ მისწია და ჩურჩულით უთხრა:

– ფარაონმა ასირიას რომ ომი გამოუცხადოს და მოიგოს კიდეც, მაშინ დიდი არმია მისი ერთგული იქნებოდა, შეეძინებოდა ასი ათასი ტალანტის გადაუხდელი ხარკი, ორას ათასამდე ტალანტი ნინევიიდან და ბაბილონიდან და, დასასრულ, ყოველწლიურად ასი ათასამდე ტალანტი დაპყრობილი ქვეყნებიდან. ასეთი უზარმაზარი სიმდიდრე კი საშუალებას მისცემდა გამოესყიდა ქურუმებთან დაგირავებული მამულები და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მათი ჩარევისათვის. მემკვიდრეს თვალები გაუბრწყინდა, ხირამი განაგრძობდა:

– ახლა კი ჯარი ხერიჰორიზე, ესე იგი ქურუმებზეა დამოკიდებული და, მოქირავნეთა გამოკლებით, ფარაონს არავისზე დაყრდნობა არ შეუძლია. ამას გარდა, მეფის ხაზინა ცარიელია და მისი მამულების უმეტესი ნაწილი ტაძრებს ეკუთვნის. ამიტომ ფარაონი იძულებულია, თუნდაც თავისი ჯარის შესანახად, ყოველ წელს ახალ-ახალი სესხი აიღოს; ხოლო, ვინაიდან ეგვიპტეში ფინიკიელები ამიერიდან აღარ იქნებიან, თქვენ სესხის აღება ისევ ქურუმებისაგან მოგიხდებათ. ამრიგად, ათი წლის შემდეგ მეფე – ცოცხლობდეს იგი მარად! – თავის უკანასკნელ მამულს დაჰკარგავს. მერე რა უნდა ქნან?

რამზესს შუბლზე ოფლი დაასხა.

– ხომ ხედავ, ღირსო ხელმწიფევ, – ჩურჩულებდა ხირამი, – ქურუმებს შეეძლოთ და იძულებულიც იქნებოდნენ მიეღოთ დამამცირებელი ხელშეკრულება ასირიასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფარაონის ხელისუფლების დამცირებასა და მოსპობას მოისურვებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტე უძლურია და რაც არ უნდა იყოს, მშვიდობიანობა უნდა შეინარჩუნოს.

რამზესი წამოხტა.

– გაჩუმდი! – დაუყვირა მან ხირამს. – ქვეყნის ასეთ უძლურებას მე უერთგულეს მსახურთა ღალატს ვამჯობინებ! როგორ შეიძლება ეგვიპტემ აზია ასირიას გადასცეს... ერთი წლის შემდეგ ხომ თვითონ დაიდგამს მის უღელს, ვინაიდან ამგვარ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით იგი თავის უძლურებას ადასტურებს.

აღელვებულმა მემკვიდრემ ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო. ხირამი კი თანაგრძნობით თუ სიბრალულით შესცქეროდა. ანაზდად რამზესი მის წინ შეჩერდა და უთხრა:

– ეს ყველაფერი სიცრუეა! ვიღაც გაქნილმა უსაქმურმა მოგვატყუა, ხირამ, და შენ კი დაიჯერე. ასეთი ხელშეკრულება რომ არსებობდეს, ფრიად საიდუმლოდ იქნებოდა შენახული. შენი ნათქვამის მიხედვით კი გამოდის, რომ ერთმა იმ ოთხ ქურუმთაგანმა, რომლებიც დაასახელე, გასცა არა მარტო ფარაონი, არამედ თვით შეთქმულნიც.

– ხომ შეიძლება ყოფილიყო ვინმე მეხუთე, რომელმაც მათ საუბარს ყური დაუგდო, – შენიშნა ხირამმა.

– და შენ მოგყიდა საიდუმლოება?

– მაკვირვებს, – უპასუხა ხირამმა, – რომ ჯერ კიდევ არ იცი, რა ძალა აქვს ოქროს.

– მაგრამ ჩვენს ქურუმებს ხომ შენზე მეტი ოქრო აქვთ, თუმცა მდიდართაგან მდიდარი ხარ.

– მეც როდი ვიტყვი უარს ზედმეტ დრახმაზე, სხვებმა რატომღა უნდა ფანტონ ტალანტები?

– ისინი ღვთისმსახურნი არიან, – გაგულისებით უპასუხა რამზესმა, – მათ ღვთის რისხვის შეეშინდებოდათ.

ფინიკიელმა ჩაიცინა.

– მინახავს, – თქვა მან, – სხვადასხვა ხალხის მრავალი ტაძარი და

ტაძრებში მრავალი პატარა და დიდი ქანდაკება – ხის, ქვისა და ოქროსიც კი, მაგრამ ღმერთები არსად შემხვედრია.

– ღვთისმგმობელო! – წამოიძახა რამზესმა, – მე თვითონ ვიხილე ღვთაება, ვიგრძენი ჩემს თავზე მისი ხელის შეხება და ხმაც გავიგონე.

– სად მოხდა ეგ ამბავი?

– ხატორის ტაძარში, ჩემს სენაკში.

– დღისით? – ჰკითხა ხირამმა.

– ღამით, – უპასუხა რამზესმა,

– ღამით ღმერთების ხმა გაიგონე და მათს ხელშეხებას გრძნობდი? – თითოეული სიტყვის ხაზგასმით გაიმეორა ხირამმა. – ღამით კი ბევრი რამის მოჩვენებაა შესაძლებელი. როგორღა მოხდა ეს?

– ტაძარში ვიღაც შეეხო ჩემს თავს, მხრებს, ფეხებს და გეფიცები...

– სუუ, – ღიმილით შეაჩერა ხირამმა. – ტყუილუბრალოდ ფიცი არ ვარგა. მან მიაშტერა რამზესს შორსმჭვრეტელი ჭკვიანი თვალები და როდესაც შეამჩნია, რომ ჭაბუკის სულში ეჭვები იღვიძებდა, უთხრა:

– ხელმწიფევ, შენ გამოუცდელი ხარ და ინტრიგების ქსელით გარემოცული. მე კი შენი პაპისა და მამის მეგობარი ვიყავი, ამიტომ ერთ სამსახურს გაგიწევ: როდისმე ღამით შეიხედე აშტორეტის ტაძარში, მაგრამ... პირობა მომეცი, რომ საიდუმლოებას შეინახავ... მოდი მარტო და თვითონ დაინახავ, ეს რომელი ღმერთებია, რომლებიც ჩვენ ტაძარში გველაპარაკებიან და ხელით გვეხებიან.

– მოვალ, – უპასუხა რამზესმა,

– გამაფრთხილე, ხელმწიფევ, რომელიმე დღეს დილით; მე გეტყვი ტაძრის საღამოს პაროლს და შენ დაუბრკოლებლივ შეგიშვებენ. იცოდე მხოლოდ, ნუ გამამხელ ნურც მე და ნურც შენს თავს. – გულკეთილი ღიმილით დაუმატა ფინიკიელმა. – ღმერთები ზოგჯერ მაინც შეგვინდობენ საიდუმლოების გამომჟღავნებას, ადამიანები კი – არასოდეს.

მან თავი დაუკრა ბატონიშვილს და, თვალ და ხელ ზეაპყრობილმა, ჩურჩულით დაიწყო ლოცვის წარმოთქმა:

– ფარისეველო! – წამოიძახა რამზესმა, – რას ევედრები ღმერთებს, როცა ისინი არა გწამს?

ხირამმა ლოცვა დაამთავრა და უპასუხა:

– დიახ, არა მწამს ეგვიპტელი, ასირიელი და, თუ გნებავს, არც ფინიკიელი ღმერთები. მწამს და ვაღიარებ მხოლოდ ერთ არსს, რომელიც ტაძრებში არ ბინადრობს და რომლის სახე ლი უცნობია.

– ჩვენს ქურუმებსაც ერთარსი სწამთ, – შენიშნა რამზესმა.

– ქალდეველ ქურუმებსაც; მაგრამ ერთმაც და მეორემაც ჩვენს წინააღმდეგ შეკრეს პირი., ძვირფასო ბატონიშვილო, ქვეყნად სიმართლე არ არსებობს!

ხირამის წასვლის შემდეგ რამზესი საღვთო პაპირუსების კითხვის საბაბით სასახლის ერთ განაპირა ოთახში ჩაიკეტა.

ხირამთან საუბრის გავლენით მის მკვირცხლ წარმოსახვაში მსწრაფლ მომწიფდა ახალი გეგმა. უწინარეს ყოვლისა მიხვდა, რომ ფინიკიელებსა და ქურუმებს შორის ფარულად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს. რისთვის? ცხადია, გავლენისა და სიმდიდრისათვის. ხირამმა მართალი თქვა: თუ ეგვიპტეში ფინიკიელები აღარ იქნებიან, მაშინ ფარაონების, ნომარქოსების და საერთოდ მთელი არისტოკრატიის მამულები ტაძართა მფლობელობაში გადავაო.

რამზესს ქურუმები არასოდეს არ უყვარდა; დიდი ხანია უკვე იცოდა და ხედავდა, რომ ეგვიპტის უმეტესი ნაწილი მათ ეკუთვნით, რომ მათი ქალაქები ერთობ მდიდარია, მათი ყანები-უკეთესად დამუშავებული და ხალხი მათთან დოვლათიანად ცხოვრობს. ის ხვდებოდა, რომ ტაძრების კუთვნილი სიმდიდრის ნახევარი ფარაონს მუდმივ ზრუნვათაგან გაათავისუფლებდა და მის ძალაუფლებას გააძლიერებდა. ბატონიშვილმა ეს იცოდა და არაერთხელ მწუხარებით გამოუთქვამს ეს აზრი. მაგრამ, როდესაც ხერიჰორის დახმარებით მეფისნაცვალი და მენფატის კორპუსის სარდალი გახდა, ქურუმებს შეურიგდა და გულში იკლავდა მათდამი სიძულვილს. ახლა მასში ყველაფერი ამოძრავდა. მაშასადამე. ქურუმებმა მას ასირიასთან მოლაპარაკების თაობაზე არათუ არაფერი უთხრეს, არამედ ვინმე სარგონის მოციქულობის შესახებაც კი არ გააფრთხილეს...

თუმცა შეიძლება ეს საკითხი სახელმწიფოსა და ტაძრების უდიდეს საიდუმლოებას წარმოადგენს, მაგრამ რატომ დაუმალეს მას იმ ხარკის ჯამი, რომელიც არ გადაუხდია ეგვიპტისათვის სხვადასხვა აზიელ ხალხს? ასი ათასი ტალანტი! ეს ხომ ისეთი თანხაა, რომელ-

საც შეეძლო ფარაონის ფინანსიური მდგომარეობა ერთბაშად გამოესწორებინა! რატომ მალავენ ისეთ რასმე, რაც ტვიროსის მთავარმა, ამ ქალაქის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმაც კი კარგად იცის?

მისთვის, ტახტის მემკვიდრისა და მეფისნაცვლისათვის, რამდენად შეურაცხმყოფელია, რომ ეს უცხო ადამიანები უხელენ თვალებს.

მაგრამ კიდევ უფრო ცუდი იყო ერთი რამ: პენტუერი და ნოფრი ყოველნაირად უმტკიცებდნენ, ეგვიპტემ ომს თავი უნდა აარიდოსო.

ეს მოსაზრება საეჭვოდ მოეჩვენა ჯერ კიდევ. ხატორის ტაძარში. ომს ხომ შეუძლია სახელმწიფოს ასიათასობით შესძინოს მონები და ეგვიპტეს საერთო კეთილდღეობა შეუქმნას. ახლა რამზესს მით უფრო აუცილებლად ეჩვენა, რომ ეგვიპტეს გადაუხდელი ხარკი უნდა შეეგროვებინა და ახალი დაეწესებინა.

რამზესმა თავი ხელებზე დაიყრდნო და ანგარიშობდა:

„ჩვენ ასი ათასი ტალანტის ხარკი უნდა შევაგროვოთ... ხირამი ვარაუდობს, რომ ნინევიისა და ბაბილონის გაძარცვა, ორას ათასამდე ტალანტს შეგვძენს... სულ ერთდროულად სამას ათას ტალანტს. ასეთი თანხით შეგვიძლია უხანგრძლივესი ომის ხარჯებიც დავფაროთ, ხოლო მოგების სახით დაგვრჩება რამდენიმე ასი ათასი მონა და ახლად დაპყრობილი ქვეყნებიდან ყოველწლიურად შემოვა ასი ათასი ტალანტის ხარკი. ამის შემდეგ კი, – დაასკვნა მემკვიდრემ, – ჩვენს ქურუმებს გავუსწორდებით!“

რამზესს აჟრჟოლებდა. უცებ აზრმა გაუელვა:

„მაგრამ ეგვიპტემ ასირიასთან ძლევამოსილი ომი რომ ვერ შეძლოს?“

ამ დაეჭვებამ მას სისხლი აუდუღა.

„როგორ? ეგვიპტე ვერ შეძლებს გასრისოს ასირია, როდესაც ჯარს სათავეში ჩაუდგება ის, რამზესი, რამზეს დიდი შთამომავალი, რომელიც მარტო ესხმოდა ხეთების სამხედრო ეტლებს და მუსრავდა მათ!“

რამზესს ყველაფერი შეეძლო წარმოედგინა, მაგრამ ის კი ვერა, თუ უძლური იქნება გამოსტაცოს გამარჯვება დიდ მბრძანებელთ.

იგი უსაზღვრო სიმამაცეს გრძნობდა და გაკვირვებული დარჩებოდა, თუ მტერი მისი გაჭენებული ცხენების ერთ დანახვაზე ზურგს არ

იბრუნებდა და ბრძოლის ველიდან არ გაიქცეოდა. სამხედრო ეტლში ფარაონს თან ხომ ღმერთები მიჰყვებიან, რომ იგი ფარით დაფარონ, მტრებს კი თავს ზეციური მეხი დაატეხონ. „მაგარმ რას მეუბნებოდა ღმერთებზე ეს ხირამი? – მოაგონდა ხირამის საუბარი, – და რის ჩვენებას მიპირებს აშტორეტის ტაძარში? ვნახოთ!“

თავი მეექვსე

ხირამმა დაპირება შეასრულა. ყოველდღე მოდიოდა ბატონიშვილის კართან ბუბასტისში უამრავი მონა და ხორბლით, ქერით, დაშაშხული ხორცით, ქსოვილებით და ღვინით დატვირთული სახედრების ქარავანი. ფინიკიელ ვაჭრებს კი ხირამის მსახურთა მეთვალყურეობით ოქრო და თვალ-მარგალიტი მოჰქონდათ.

ამრიგად, ტახტის მემკვიდრემ ხუთი დღის განმავლობაში მიიღო დანაპირები ასი ტალანტი. ხირამმა თავისთვის მცირე პროცენტი იანგარიშა – წელიწადში ოთხიდან ერთი ტალანტი, საწინდარიც არ მოუთხოვია, არამედ დასჯერდა მეფისნაცვლის ხელწერილს, რომელიც სასამართლოს მიერ იყო დამოწმებული.

მეფისნაცვლის კარის მოთხოვნილებები უხვად იქნა დაკმაყოფილებული: მისმა სამმა სატრფომ ახალი ტანისამოსი, ნელსაცხებელი და რამდენიმე მხევალი მიიღო; მსახურთ უხვად დაურიგეს საჭმელი და ღვინო, სამეფო მუშებს აუღებელი ჯამაგირი მისცეს, ჯარისკაცებს ულუფა გაუდიდეს.

მეფისნაცვლის კარი მით უფრო აღფრთოვანებული იყო, რომ, ხირამის ბრძანების თანახმად, თუტმოსსა და სხვა კეთილშობილ ჭაბუკებს ფინიკიელებმა სესხად საკმაოდ დიდი თანხები მისცეს. იმუხენტის პროვინციის ნომარქოსმა და მისმა მაღალმა მოხელეებმა კი უხვი საჩუქრები მიიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ სიცხე თანდათან ძლიერდებოდა, სასახლეში ნადიმს ნადიმი და გართობა ცვლიდა. რამზესი, რომელიც ასეთ საერთო მხიარულებას ხედავდა, თვითონაც კმაყოფილი იყო. მას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: ნოფრისა და სხვა ქურუმების ქცევა. რადგან მემკვიდრემ ხატორის ტაძარში მიცემული დარიგება არ შეის-

მინა და ხირამისგან სესხი აიღო, ის ფიქრობდა, რომ ამის გამო მაღალი სასულიერო პირები საყვედურს ეტყოდნენ. მაგრამ წმიდა მამები დუმდნენ და ბატონიშვილის სასახლეში თითქმის არც კი გამოჩენილან.

– რას ნიშნავს, – შეეკითხა რამზესი ერთხელ თუტმოსს, – რომ ქურუმები არავითარ საყვედურს არ გვეუბნებიან? ასეთი განცხრომით ცხოვრება ხომ არასოდეს არ გვქონია. მუსიკა დილიდან საღამომდე უკრავს, ჩვენ კი მზის ამოსვლიდან ვიწყებთ ღვინის სმას და მშვენიერ ბანოვანთა ალერსში ვიძინებთ.

– რატომ უნდა გვისაყვედურონ ქურუმებმა? – აღშფოთებით უპასუხა თუტმოსმა. – ჩვენ ხომ ასტარტას ქალაქში ვიმყოფებით, რომლისთვისაც ყველაზე სასიამოვნო ღვთისმოსაობა მხიარული დროსტარებაა, ხოლო ყველაზე სასურველი მსხვერპლშეწირვა – სიყვარული? ყოველ შემთხვევაში, ქურუმებს გაეგებათ, რომ ეგოდენ ხანგრძლივი გაჭირვებისა და მარხულობის შემდეგ შენ უფლება გაქვს იმხიარულო.

– ეს იმათ გითხრეს? – შეშფოთებით შეეკითხა რამზესი.

– არა ერთხელ. ჯერ კიდევ გუშინ წმიდა ნოფრმა სიცილით მითხრა, რომ ისეთ ახალგაზრდა კაცს, როგორიც შენა ხარ, მხიარულება უფრო მეტად იზიდავს, ვიდრე ღვთისმოსაობა ან სახელმწიფოს მმართველობაზე ზრუნვა.

რამზესი ჩაფიქრდა. მაშასადამე, ქურუმები მას თავქარიან ლაწირაკად თვლიან იმისდა მიუხედავად, რომ სარას წყალობით იგი დღეს თუ ხვალ მამა გახდება? მაგრამ მით უკეთესი! ქურუმებისთვის სიურპრიზი იქნება, როცა მათ საკუთარი ენით დაუწყებს ლაპარაკს.

მართალია, ბატონიშვილი თვითონაც თავის თავის უკმაყოფილო იყო, რომ იმ დროიდან, რაც ხატორის ტაძრიდან წამოვიდა, არც ერთი დღე არ მიუძღვნია ნომის საქმეებისათვის, ქურუმები იფიქრებენ, რომ ის მართლაც დაკმაყოფილდა პენტუერის განმარტებით, ანდა მას სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა მოსწყინდა.

– მით უკეთესი!.. – იმეორებდა იგი. – მით უკეთესი!.. – რამზესი თავიდანვე ამჩნევდა მუდმივ ინტრიგებს მის გარშემო მყოფ პირებს შორის ან ეჭვი აღეძვრებოდა ხოლმე, რომ ისინი ინტრიგებს ეწევიან.

ამიტომ ადრე მიეჩვია თავისი აზრების დაფარვას. დარწმუნებული იყო, რომ ქურუმები ვერ მიხვდნენ, რაზე ჰქონდა მას ხირამთან საუბარი და როგორი გეგმები ერეოდა თავში. ეს ადამიანები, რომლებიც დაბრმავებული იყვნენ თავიანთი ხელისუფლებით, კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ ის ერთობოდა, და ვარაუდობდნენ, ეს მმართველობის სადავის შენარჩუნებაში დაგვეხმარებაო.

„ღმერთმა მათ გონება ისე – დაუბნელა, – ფიქრობდა რამზესი, – რომ ვერ მიმხვდარან, რატომ გამოიჩინა ხირამმა ასეთი გულუხვობა. ან იქნებ ამ გაქნილმა ტვიროსელმა მოახერხა მათი ეჭვიანობის მიძინება? მით უკეთესი!.. მით უკეთესი!..“

რამზესი უცნაურ სიამოვნებას განიცდიდა, ეგონა, ქურუმები ჩემი ნიჭის შეფასებაში მოტყუვდნენო. ამიტომ გადაწყვიტა კვლავაც ხელი შეეწყო მათი დაბნეულობისათვის და თავაშვებულ ლხინს მიეცა.

მართლაც, ქურუმები, პირველ რიგში კი ნოფრი და მენტესუფისი, შეცდნენ როგორც რამზესის, ისე ხირამის მოქმედების გაგებაში. ცბიერი ტვიროსელი ისე იქცეოდა, თითქოს ტახტის მემკვიდრესთან თავისი ურთიერთობით ამაყობსო, რამზესი კი არანაკლები წარმატებით თამაშობდა უდარდელი და მოქეიფე ყმაწვილი კაცის როლს.

ნოფრს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მემკვიდრე სერიოზულად ფიქრობს ეგვიპტიდან განდევნოს ფინიკიელები, და როგორც თვითონ, ისე მისი კარისკაცნი ფინიკიელებისაგან სესხს იმ ვარაუდით იღებენ, რათა არასოდეს არ გადაიხადონო.

ამასობაში ასტარტის ტაძარი, მისი ვრცელი ბაღები და ეზოები ღვთისმოსავებით იყო გაჭედილი. აუტანელი სიცხის მიუხედავად, შორეული აზიიდან ღმერთქალის ასტარტის ტაძრისაკენ ყოველდღე მიემართებოდა ღვთისმოსავთა სულ ახალახალი ტალღა. უცნაურნი იყვნენ ეს ღვთისმოსავნი: მოდიოდნენ დაქანცულნი, გაოფლიანებულნი და მტვრით დაფარულნი, თან უკრავდნენ მუსიკას, ცეკვავდნენ და უწმაწურ სიმღერებს მღეროდნენ. მთელ დღეს თავაშვებულ გარყვნილებაში ატარებდნენ ღმერთქალის აშტორეტის საპატივცემოდ. არათუ ადვილად იცნობდით ახლოდან, არამედ შორიდანაც კი მიხვდებოდით მათს ვინაობას: ხელში ცოცხალი ყვავილების ვეება თაიგულები ეჭირათ, ხოლო ბოხჩებში მკვდარი კატები ეწყოთ; კატებს

ისინი ბუბასტისის არემარეში მცხოვრებ. პარასქიტებს გადასცემდნენ შესამურავად თუ ფიტულების დასამზადებლად და შემდეგ, როგორც წმიდა ნაშთი, შინ მიჰქონდათ.

მესორეს (მაისი-ივნისი) დამდეგს მთავარმა ხირამმა რამზესს აცნობა, რომ ამა და ამ დღეს საღამოს მას შეუძლია მივიდეს აშტორეტის ფინიკიის ტაძარში. დაბინდებისას მეფისნაცვალმა გვერდზე მოკლე მახვილი დაიკიდა, კაპიუშონიანი ლაბადა წამოისხა და მსახურთა შეუმჩნევლად ფარულად გასწია ხირამის სახლისკენ.

მოხუცებული დარბაისელი მას ელოდა.

– აბა, რას იტყვი, – ღიმილით შეეკითხა იგი, – ხომ არ ეშინია თქვენს უმაღლესობას ფინიკიელთა ტაძარში შევიდეს, სადაც საკურთხეველზე მრისხანება ზის და მას გარყვნილება ემსახურება?

– მეშინიაო! – გაიმეორა შეკითხვა რამზესმა და თითქმის ზიზღით გადახედა. – აშტორეტი ბაალი არ არის, მე კიდევ ბალღი, რომლის ჩაგდება შეიძლებოდეს თქვენი ღმერთის გავარვარებულ წიაღში.

– და ეს შენ, ხელმწიფევ, გჯერა?

რამზესმა მხრები აიჩეჩა.

– სრულიად სანდო მოწმე მიამბობდა თქვენს მსხვერპლშეწირვებზე, – უპასუხა მან. – ერთხელ, თურმე, ქარიშხალმა დაღუპა თქვენი ათზე მეტი გემი. ტვიროსის ქურუმებმა მაშინვე მოაწყეს მსხვერპლშეწირვა, რომელზეც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ბაალის ტაძრის წინ ამაღლებულ ადგილას იჯდა ხარისთავიანი ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება, მუცელი წითლად გავარვარებული ჰქონდა. და აი თქვენი ქურუმების ბრძანებით, უგუნურმა ფინიკიელმა დედებმა იწყეს ულამაზესი ყრმების მოყვანა სასტიკი ღმერთის კვარცხლბეკთან...

– მხოლოდ ვაჟების, – ჩაურთო ხირამმა.

– დიახ, მხოლოდ ვაჟების, – გაიმეორა მემკვიდრემ, ყოველ მათგანს ქურუმები სურნელებას აპკურებდნენ, ყვავილებით ამკობდნენ, რის შემდეგ ქანდაკება თავის ბრინჯაოს ხელებს სტაცებდა და აღრიალებულ ქორფებს ყლაპავდა, ღმერთის პირიდან კი გამუდმებით გამოდიოდა ალი...

ხირამი ჩუმად იცინოდა.

– და შენ გჯერა ეს?

– ის ისეთმა კაცმა მიამბო, რომელიც არასოდეს არ ტყუის.

– გიამბობდა იმას, რაც ნამდვილად ნახა, – უთხრა ხირამმა, – მაგრამ ნუთუ არ გაუკვირდა, რომ ამ დროს არც ერთი დედა არ ტიროდა?

– მართლაც, მას მაშინ გაუკვირდა გულგრილობა ქალებისა, რომლებიც ყოველ უმნიშვნელო რამეზე მზად არიან ცრემლები ღვარონ. მაგრამ ეს მხოლოდ იმ სისასტიკეს ამტკიცებს, რომელიც თქვენს ხალხს ახასიათებს.

მოხუცმა ფინიკიელმა თავი გააქნია.

– დიდი ხანია, რაც ეგ მოხდა? – შეეკითხა იგი.

– რამდენიმე წლის წინათ.

– არა უშავს, – დინჯად წარმოთქვა ხირამმა, – თუ მოისურვებ ოდესმე ტვიროსს ეწვიო, მე გიჩვენებ ამ ზეიმს.

– არ მსურს მისი ხილვა.

– მერე კი წავალთ ტაძრის მეორე ეზოში, სადაც ნახავ მშვენიერ სკოლას და მხიარულსა და ჯანმრთელ ბავშვებს, სწორედ იმათ, ვინც რამდენიმე წლის წინათ დაწვეს.

– როგორ?! – წამოიძახა რამზესმა, – განა ისინი არ იღუპებიან?

– არა, ისინი ცოცხლები რჩებიან და იზრდებიან, რომ თამამი მეზღვაურები გამოვიდნენ.

– მაშ თქვენ ხალხს ატყუებთ? გადაიხარხარა მემკვიდრემ.

– ჩვენ არავის არ ვატყუებთ, – სერიოზული კილოთი უპასუხა ხირამმა, – ყოველი ადამიანი თვითონ იტყუებს თავს, რაკი იმის განმარტებას არ მოითხოვს, რაც მისთვის გაუგებარია. ჩვენში არსებობს ჩვეულება, რომლის მიხედვით ღარიბი დედები, რომელთაც თავიანთი ვაჟების მომავლის უზრუნველყოფა სურთ, მათ სწირავენ მსხვერპლად სახელმწიფოს. ამ ბავშვებს მართლაც ყლაპავს ბაალის ქანდაკება, რომლის შიგნით გახურებული ღუმელია მოთავსებული. ღვთისმსახურების ეს წესი არ ნიშნავს იმას, თითქოს მიყვანილ ბავშვებს ნამდვილად წვავდნენ, არამედ იმას, რომ ისინი ტაძრის სრული საკუთრება გახდნენ და, თითქოს ცეცხლმა შთანთქაო, თავიანთი დედების თვალწინ სამუდამოდ მიეფარნენ. ნამდვილად ისინი ღუმელში კი არ ვარდებიან, არამედ გადიებისა და ძიძების ხელში, რომლებიც მათ

რამდენიმე წლის განმავლობაში ზრდიან. მერე ისინი აღსაზრდელად მიჰყავს ბაალის ქურუმები სკოლას. უფრო ნიჭიერები სწავლის დამთავრების შემდეგ ქურუმები და მოხელეები ხდებიან, ხოლო უფრო ნაკლები ნიჭის ახალგაზრდობა ფლოტში იგზავნება და ხშირად დიდ სიმდიდრეს იძენს. ახლა, ვფიქრობ, აღარ გაგიკვირდება, რომ ტვიროსელი დედები თავიანთ შვილებს არ დასტირიან. ჩვენს კანონებში არც არის გათვალისწინებული სასჯელი იმ მშობლებისათვის, რომლებიც თავიანთ ჩამომავლობას კლავენ, როგორც ეს ეგვიპტეში ხდება.

– არამზადები ყველგან მოიპოვებიან, – შენიშნა რამზესმა.

– კი, მაგრამ ჩვენში შვილის მკვლელები არ არიან, ვინაიდან ბავშვები, რომელთა აღზრდა ჩვენს დედებს არ ძალუძთ, სახელმწიფოსა და ტაძრებს ჰყავთ თავის მზრუნველობაში.

რამზესი ჩაფიქრდა, შემდეგ ანაზდად ხირამს მხარზე ხელი დაადო და აღელვებით უთხრა:

– თქვენ გაცილებით უკეთესი ხართ, ვიდრე ისინი, ვინც თქვენზე ასეთ საშინელ ზღაპრებს მოგვითხრობენ. მე დიდად მოხარული ვარ.

– ჩვენს ხალხსაც ბევრი ცუდი რამ ახასიათებს,– უპასუხა ხირამმა, - მაგრამ ყველანი შენი ერთგული მსახური ვიქნებით, ბატონიშვილო, როდესაც მოგვიწოდებ...

– განა მართლა ასე იქნება? – შეეკითხა რამზესი და მოხუცს პირდაპირ შეხედა თვალებში.

ხირამმა გულზე დაიდო ხელები.

– გეფიცები შენ, ეგვიპტის ტახტის მემკვიდრევ და მომავალო ფარაონო, როცა ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებ, მთელი ფინიკია, როგორც ერთი კაცი, შენს დასახმარებლად გამოეშურება. გთხოვ, აი ეს მიირთვა დღევანდელი ჩვენი საუბრის სამახსოვროდ.

მან ამოიღო საიდუმლო ნიშნებით აჭრელებული ოქროს მედალიონი, ლოცვა წარმოთქვა და რამზესს კისერზე ჩამოჰკიდა,

– ამ ავგაროზით, – უთხრა მან, – შეგიძლია მთელი ქვეყანა შემოიარო და, სადაც არ უნდა შეგხვდეს ფინიკიელი, იგი რჩევით, ოქროთი და მახვილითაც კი დაგეხმარება, მაგრამ დროა წავიდეთ.

მზის ჩასვლიდან უკვე რამდენიმე საათმა განვლო, ღამე ნათელი, მთვარიანი იყო. დღის აუტანელი პაპანაქება ღამის სიგრილით შეიცვალა. სუფთა ჰაერში უკვე აღარ ჩანდა ნაცრისფერი მტვერი, რომელიც კაცს სულს უხუთავდა და თვალებს უბნელებდა. ლაჟვარდ ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები კიაფობდნენ და მთვარის შუქზე იბნიდებოდნენ.

ქუჩებში მოძრაობა შეწყდა, მაგრამ ყველა სახლის ერდო სავსე იყო მხიარული ადამიანებით. ქალაქი უზარმაზარ დარბაზს ჰგავდა, საიდანაც მუსიკა, სიმღერები, სიცილი და ორთომელების წკრიალი მოისმოდა.

ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ბატონიშვილი და ხირამი ნაკლებ განათებული ქუჩით ქალაქგარეთ მიეშურებოდნენ. მაგრამ ტერასებზე მოქეიფე ადამიანები მათ ზოგჯერ ამჩნევდნენ და თავისთან იწვევდნენ ანდა თავზე ყვავილებს აყრიდნენ..

– ეი, თქვენ, ღამის მოხეტიალენო! – სახურავებიდან უყვიროდნენ მათ, – თუ ქურდები არა ხართ, რომელთაც ღამის საშოვარი იზიდავს, ჩვენთან ამოდით. ჩვენ მშვენიერი ღვინო გვაქვს და მხიარული ქალები გვყავს!

მგზავრები ამ გულთბილ მიპატიჟებას ყურს არ უგდებდნენ და გზას განაგრძობდნენ. ბოლოს მათ ქალაქის იმ ნაწილს მიაღწიეს, სადაც სახლები ნაკლებად იყო, სამაგიეროდ დიდი ბაღები გაეშენებინათ და ზღვის ტენიანი ქარების წყალობით უფრო მაღალი და ხშირტოტებიანი ხეები ხარობდნენ.

– უკვე ახლოსა ვართ, – შენიშნა ხირამმა.

რამზესმა აიხედა ამწვანებულ ხეების ზემოთ, ორი კოშკი დაინახა: ერთს – ფირუზის ფერს – კვადრატის ფორმა ჰქონდა, მეორე კი, მასზე წამოდგმული, მცირე იყო და თეთრი. ეს ასტარტის ტაძარი იყო. მალე ისინი ბაღის შუაგულში შევიდნენ, საიდანაც უკვე მთელი შენობა მოჩანდა.

შენობა რამდენიმე იარუსისაგან შედგებოდა, პირველი იარუსი წარმოადგენდა კვადრატულ ყათარს, რომელსაც სიგრძე-სიგანე ოთხასი ნაბიჯი ჰქონდა. ტერასა ეყრდნობოდა რამდენიმე მეტრის სიმაღლე შავი ქვის ფუძეს. აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობდა შვე-

რილი, საიდანაც მარჯვნით და მარცხნით განიერი კიბეები ადიოდა. სხვა მხარეების გასწვრივ პატარა კოშკები იდგნენ, ყოველ მხარეს – ათ-ათი. მათ შორის იაქთაღებში დატანებული იყო ხუთი სარკმელი.

პირველ იარუსზე აღმართული იყო მეორე. ესეც კვადრატული, რომლის გვერდები ორას ნაბიჯს უდრიდა, აქეთ მხოლოდ ერთი კიბე ადიოდა, ხოლო კუთხეებში კოშკები იყო წამოდგმული. ეს მეორე იარუსი მეწამული ფერის საღებავით იყო შეღებილი.

მეორე იარუსის ბრტყელ სახურავზე დადგმული იყო რამდენიმე მეტრის სიმაღლის კიდევ ერთი ოქროსფერი კვადრატული ტერასა, მის ზემოთ კი ერთიმეორეზე ორი ფირუზისფერი და თეთრი კოშკი.

გეგონებოდათ, თითქოს მიწაზე უზარმაზარი შავი კუბო დაუდგამთო, მასზე – მეორე უფრო მცირე მეწამული, იმაზე – ოქროსი, ზემოთ – ფირუზოვანი და სულ მაღლა – ვერცხლისა. ყოველი მათგანისკენ აღმოსავლეთის მხრიდან კიბეები ადიოდა, გვერდით მიმავალი კიბე ორმაგი იყო, ხოლო ფასადიდან მიმავალი – ცალფა.

კიბეებსა და კართან იდგა დიდი ეგვიპტური სფინქსები თუ ადამიანის თავიანი ფრთოსანი ხარები. მეფისნაცვალი სიამოვნებით უცქეროდა ამ ლამაზ შენობას, რომელიც მთვარით განათებული უხვი მცენარეულობის ფონზე ლაპლაპებდა. იგი ქალდეურ სტილზე იყო აგებული და ეგვიპტის ტაძრებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი იარუსების სისტემითა და ვერტიკალური კედლებით.

ეგვიპტელთა დიდ შენობებს კედლები ჩვეულებრივ დახრილი ჰქონდა და ზემოთ თითქოს ერთიმეორეს უერთდებოდა.

ბაღის სხვადასხვა ადგილას პატარა სახლები და პავილიონები მოჩანდა, ყველგან სინათლე ენთო და სიმღერა და მუსიკა მოისმოდა, ხეებს შორის გამოკრთოდა შეყვარებული წყვილების ლანდი.

მოსულთ მოხუცი ქურუმი მიუახლოვდა. ხირამს მან რამდენიმე სიტყვა უთხრა, მერე კი მემკვიდრეს თავი დაბლა დაუკრა და მიმართა:

– კეთილ ინებეთ, ბატონო, და მომყევით.

– გფარვიდნენ, ხელმწიფევ, ღმერთები, – დაუმატა ხირამმა და განშორდა.

რამზესი ქურუმს გაჰყვა. ტაძრიდან ცოტა მოშორებით ბაღის სიღ-

რმეში ქვის სკამი იდგა, ხოლო მისგან ასიოდე ნაბიჯზე პატარა პავილიონიდან გალობა მოისმოდა.

– იქ ლოცულობენ? – იკითხა მეფისწულმა,

– არა, – აშკარა უკმაყოფილებით უპასუხა ქურუმმა. – იქ, აშტორეტის საკურთხევლის წინ, ცეცხლის მცველის, ჩვენი ქურუმქალის, კამას თაყვანისმცემლები იყრიან თავს.

– ვის იღებს ის დღეს?

– არასოდეს არავის არ იღებს – უპასუხა გამცილებელმა, რომელსაც, ეტყობოდა, შეკითხვა არ ესიამოვნა. – თუ ცეცხლის ქურუმქალი სიქალწულის აღთქმას დაარღვევს, იგი უნდა მოკვდეს.

– მკაცრი კანონია! – უთხრა მემკვიდრემ.

– ამ სკამზე ინებე მოცდა, ბატონიშვილო, – ცივად უპასუხა ფინიკიელმა ქურუმმა, – ხოლო, როცა ბრინჯაოს დაფაზე სამგზის დაჰკრავენ, შედი ტაძარში, ადი ტერასზე, იქიდან კი მეწამულ დარბაზში შეხვალ.

– მარტო?

– დიახ!

ბატონიშვილი ზეთისხილის ხის ქვეშ სკამზე ჩამოჯდა და ყურს უგდებდა ქალის სიცილს, რომელიც პავილიონიდან მოისმოდა.

„კამა... ლამაზი სახელია!.. იგი, ალბათ, ახალგაზრდა და ლამაზია. ეს ბრიყვი ფინიკიელები კი სიკვდილით ემუქრებიან, თუ... იქნებ მათ სურთ ამ საშუალებით თავიანთ ქვეყანას ათი-თხუთმეტი ქალწული მაინც შეუნარჩუნონ?“

იგი თავისთვის იცინოდა, მაგრამ ნაღვლიანი იყო. რატომღაც შეებრალა ეს უცნობი ქალი, რომლისთვისაც სიყვარული საფლავის კართან დგომას ნიშნავდა, ანაზდად პავილიონთან სალამურის ხმა გაისმა, რომელიღაც სევდიან ჰანგს უკრავდნენ, ქალთა ხმები კი მოსძახოდნენ.

– ა-ა-ა! ა-ა-ა! – ისე მღეროდნენ, თითქოს ბავშვს რწევით აძინებენო.

სალამური არაკრაკდა, ქალები დაჩუმდნენ – და უცებ მამაკაცის ლამაზი ხმა გაისმა, იგი ბერძნულად მღეროდა:

„ოდეს პარმაღზე შენი ტანსაცმელი გამოანათებს, ვარსკვლავები იბნიდებიან, ბულბულები თავიანთ მომხიბვლელ სტვენას წყვეტენ,

ჩემს გულში კი მდუმარება ისადგურებს, როგორც დედამიწაზე, როდესაც მას მკრთალი განთიადი ესალმება მზის ამოსვლის წინ“.

–ა-ა-ა! ა-ა-ა! – ნელა დამღეროდნენ ქალები სალამურზე.

„როდესაც ტაძარში ლოცვად მიდიხარ, იები თავის სურნელებას მოგბერს, შენს ბაგეთა გარშემო პეპლები დაფარფატებენ, შენი სილამაზის წინაშე პალმებიც კი თავს იხრიან“.

კვლავ ამღერდნენ ქალები, მამაკაცის ხმა კი განაგრძობდა:

„ოდეს ვერ გხედავ – ცას შევცქერი, რომ შენი სახის ნეტარი სიმშვიდე მოვიგონო. მაგრამ ამაოდ: ზეცას შენი სიმშვიდე არ გააჩნია, ხოლო მისი პაპანება ცივია იმ ალთან შედარებით, რომელმაც ფერფლად აქცია ჩემი გული.

ერთხელ შევჩერდი ვარდებთან, რომელნიც შენი თვალების შეხედვით თეთრი, მეწამული და ოქროს ფერით იმოსებიან. ვარდის ყოველმა ფურცელმა, ყოველმა ყვავილმა შენს ფეხებთან გატარებული საათები და თვეები მომაგონა. ცვარის წვეთები კი ჩემი ცრემლებია, რომელთაც უდაბნოს მკაცრი ქარი სვამს.

ოღონდ მანიშნე და მოგიტაცებ, ჩემს საყვარელ სამშობლოში წაგიყვან. მდევართაგან ჩვენ ზღვა დაგვიცავს, ჩვენს სიყვარულს ადამიანის თვალთაგან ტვინის ჭალები დაფარავენ და მოწყალე ღმერთები დაიცავენ ჩვენს ბედნიერებას“.

რამზესმა თვალები დახუჭა და ოცნებას მიეცა. წამწამებდახრილი – ბაღს ვეღარ ხედავდა და მხოლოდ მთვარის სინათლის ზღვას უყურებდა, რომელზეც შავი ლანდები დაცურავდნენ და უცხო მამაკაცის სიმღერა ჩქეფდა, უცნობი ქალისადმი მიმართული.

ამ წუთს რამზესს ყველაფერი არარაობად ეჩვენებოდა ბადრი მთვარით გაბრწყინებულ ღამესა და შეყვარებული გულის ამონაკვნესთან შედარებით – წარჩინებაც, ხელისუფლებაც და დიდი სახელმწიფო საკითხებიც.

მაგრამ მემკვიდრე ანაზდად გამოერკვა. სიმღერა შეწყდა. პავილიონში სინათლე ჩაქრა და მის თეთრ კედლებზე მკაფიოდ გამოჩნდა. შავი ფანჯრები. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ არასოდეს არავის უცხოვრია. ბაღიც დაცარიელდა და მიწყნარდა, თვით მსუბუქი ნიავიც არ აშრიალებდა ფოთლებს.

ერთი... ორი...სამი... ტაძრიდან სამი ძლიერი დარტყმა მოისმა.

„აჰა!.. დროა წავიდე!“ – გაიფიქრა ბატონიშვილმა, თუმცა კარგად არ იცოდა, სად და რისთვის უნდა წასულიყო.

იგი ტაძრიდან გაეშურა, რომლის ვერცხლისებრი კოშკი, ხეებს ზემოთ რომ იყო წამოჭიმული, თითქოს თავისკენ იხმობდა.

იგი მიდიოდა თავბრუდახვეული და უცნაური სურვილებით შეპყრობილი. ხეებს შორის თავს შევიწროებულად გრძნობდა და სურდა მალე ასულიყო კოშკის მწვერვალზე, რათა ღრმად ამოესუნთქა და თვალი მოევლო უსაზღვრო ტატნობისათვის. მაგრამ ანაზდად მოაგონდა, რომ ახლა მეორეს თვეა, რომ უკვე წელიწადი გავიდა უდაბნოში ჩატარებული მანევრების შემდეგ, და ძლიერი სურვილი აღეძრა კვლავ მოენახულებინა იქაურობა. როგორი სიხარულით შეხტებოდა იგი თავის მსუბუქ ორცხენიან ეტლში და გაკურცხლავდა სადღაც შორს, სადაც ასე აღარ ცხელა და ცის ტატნობს ხეები არ ეფარება...

მალე იგი ტაძრის კვარცხლბეკთან გაჩნდა და ტერასაზე ავიდა. თითქოს ყოველი სულდგმული ამომწყდარიყო, გარშემო მყუდროება და სიცარიელე სუფევდა. მხოლოდ სადღაც შორს შადრევანის ჭავლი რაკრაკებდა. მან თავისი მახვილი და მოსასხამი კიბის საფეხურზე დააგდო, ერთხელ კიდევ გადახედა ბაღს, რომელიც მთვარეს ეთხოვებოდა და ტაძარში შევიდა.

ბრინჯაოს კარი ღია იყო, შესასვლელის ორივე მხარეს ადამიანისთავიანი ხარების ფრთოსანი ქანდაკება იდგა; მათი სახე ამაყ სიმშვიდეს გამოსატავდა.

„ეს ასირიელი მეფეებია“, – გაიფიქრა რამზესმა, როდესაც მათს წვრილად დაწნულ წვერებს შეხედა. ტაძარში უკუნი ღამის წყვდიადი მეფობდა. ამ წყვდიადს უფრო აძლიერებდა ვიწრო სარკმლებში შეჭრილი მთვარის სინათლის თეთრი ზოლები.

ტაძრის სიღრმეში აშტორეტის ქანდაკებას წინ ორი ლამპარი ენთო. რაღაც უცნაური განათების გამო ზემოდან მთელი ქანდაკება სავსებით კარგად ჩანდა. ეს იყო სირაქლემასფრთებიანი უზარმაზარი ქალი. მისი მხრებიდან ეშვებოდა გრძელი ნაოჭებიანი კაბა, თავზე პატარა წოპროპა ქუდი ეხურა, მარჯვენა ხელში კი ორი მტრედი ეკავა. მისი ლამაზი სახე და დახრილი თვალები ისეთ უბიწობასა და კდემა-

მოსილებას გამოხატავდა, რომ რამზესი გაოცდა. ეს ქალღმერთი ხომ შურისძიებისა და აღვირახსნილი გარყვნილების მფარველად იყო მიჩნეული.

ფინიკიამ რამზესს კიდევ ერთი თავისი საიდუმლოება გაუმჟღავნა.

„საოცარი ხალხია, – გაიფიქრა მან, – მათი კაციჭამია ღმერთები ადამიანებს არ სანსლავენ, ხოლო მათ სქესობრივ გარყვნილებას უმანკო ქურუმქალები და ბავშვის სახის ღმერთქალი მფარველობენ“..

უცებ მემკვიდრემ იგრძნო, რომ მის ფეხებზე გველის მსგავსმა რაღაცამ გადისრიალა. მსწრაფლ გამოხტა უკან და მთვარის სინათლის ზოლში შეჩერდა.

„ალბათ, მომეჩვენა“, – გაიფიქრა მან.

და თითქმის იმავე წუთს მოესმა ჩურჩული:

– რამზეს! რამზეს!

მემკვიდრეს ვერ გაერკვია, ვისი იყო ეს ხმა – მამაკაცის თუ დედაკაცის – და საიდან გამოდიოდა იგი.

– რამზეს! რამზეს! - თითქოს იატაკიდან მოესმა ჩურჩული.

მეფისნაცვალი ბნელში შევიდა, სმენად იქცა და იატაკისკენ დაიხარა. უეცრად იგრძნო, რომ თავზე ორი ნაზი ხელი შეეხო.

იგი წამოხტა, რომ ხელები დაეჭირა, მაგრამ არავინ იყო.

– რამზეს! რამზეს! – მოესმა ჩურჩული ზემოდან. მან თავი ასწია და ტუჩებთან ლოტოსის ყვავილის შეხება იგრძნო. ხოლო, როდესაც მისკენ ხელი გაიწოდა, ვიღაც შეეხო მის მხარს.

– რამზეს! რამზეს! – შემოესმა ახლა საკურთხევლის მხრიდან.

ბატონიშვილი მოტრიალდა და გაქვავდა: სინათლის ზოლში, მისგან რამდენიმე ნაბიჯზე, მშვენიერი ჭაბუკი იდგა, რომელიც გასაოცრად ჰგავდა მას. იგივე სახე, თვალები, იგივე ჭაბუკური გინგლი ტუჩებსა და ლოყებზე, იგივე წარმოსადეგობა, მიხრა-მოხრა, ტანსაცმელი...

მემკვიდრეს მოეჩვენა, რომ ისეთი დიდი სარკის წინ დგას, როგორიც ფარაონსაც კი არ მოეპოვება; მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისი ორეული სარკის ანარეკლი ლანდი კი არ არის, არამედ ცოცხალი ადამიანია. იმავე წუთს იგრძნო, რომ ვიღაცამ კისერში აკოცა. იგი სწრა-

ფად მოტრიალდა, მაგრამ უკვე აღარავინ ჩანდა. ორეული გაქრა.

– მინდა ვიცოდე, ვინ არის აქ? – წამოიძახა გულმოსულმა მემკვიდრემ.

– ეს მე ვარ – კამა!.. – უპასუხა ნაზმა ხმამ.

და მთვარის სინათლის ზოლში გამოჩნდა შიშველი ქალი, რომელსაც თეძოებზე ოქროს კვართი ჰქონდა შემოკრული.

რამზესმა სწრაფად მიირბინა მასთან და ხელი სტაცა.

– ეს შენ ხარ, კამა?.. არა, შენ ხომ... ოდესღაც ჩემთან დაგონმა გამოგზავნა? მაგრამ მაშინ ამბობდი – ალერსი მქვიაო...

– მე ვარ ალერსი, - მიამიტად უპასუხა მან.

– ეს შენ შემეხე ხელებით?

– მე.

– რანაირად?

– აი ასე, – უპასუხა მან, – კისერზე ხელები მოხვია და კოცნა დაუწყო.

რამზესმა გულში ჩაიხუტა, მაგრამ კამა ისეთი ძალით გაუსხლტა, როგორიც ასეთი ქალისგან მოულოდნელი იყო.

– მაშ, ქურუმქალი კამა შენა ხარ? შენ გიმღეროდა დღეს ის ბერძენი? – შეეკითხა მეფისწული, რომელიც ვნებიანად სრესდა ქალის ხელებს, – ვინ არის ის მომღერალი?

კამამ ზიზღით აიჩეჩა მხრები.

– ის ჩვენს ტაძართან მსახურობს, – უპასუხა მან.

ბატონიშვილს თვალები აენთო, ნესტოები აუთრთოლდა, თავბრუ დაესხა, რამდენიმე თვის წინ ამ ქალს მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ახლა კი მზად იყო ყოველგვარი სიგიჟე ჩაედინა.

მას შურდა ბერძნის მდგომარეობა და იმავე დროს მეტად დაღონდა, როცა წარმოიდგინა, რომ ის უნდა მომკვდარიყო, თუ მისი სატრფო გახდებოდა..

– რა მშვენიერი ხარ! – უთხრა რამზესმა. – სად ცხოვრობ? ჰო, მართლა, ვიცი – იმ პავილიონში... შეიძლება შენთან მოსვლა?.. თუ მომღერლებს იღებ, მეც უნდა მიმიღო... მართალია თუ არა, რომ შენ ტაძარში ცეცხლის მცველი ქურუმქალი ხარ?

– დიახ!

– და თქვენი კანონები იმდენად ულმობელია, რომ სიყვარულის ნებას არ გაძლევენ? ეს ხომ მხოლოდ მუქარაა... მე გამონაკლისი უნდა ვიყო.

– მაშინ მე მთელი ფინიკია დამწყევლიდა, ხოლო ღმერთები ჩემზე შურს იძიებდნენ, – სიცილით უპასუხა ქალმა.

რამზესმა ქალი კვლავ ჩაიკრა გულში, მაგრამ იგი ისევ გაუსხლტა ხელიდან.

– ფრთხილად, ბატონიშვილო! – გამომწვევი კილოთი უთხრა ქალმა. – ფინიკია ძლიერია, მისი ღმერთები,...

– რა საქმე მაქვს მე შენს ფინიკიასთან ან მის ღმერთებთან? შენს თავს ერთი ღერი თმაც რომ ჩამოვარდეს, ფინიკიას შხამიან ქვეწარმავალსავით გავსრეს.

– კამა! კამა! – მოისმა ხმა ქანდაკების მხრიდან.

ქალი შეკრთა.

– ხომ ხედავ, მეძახიან!.. იქნებ გაიგონეს კიდეც შენი ბილწი სიტყვები.

– ოღონდ მათ ჩემი რისხვა არ დაატყდეთ და!..

– ღმერთების რისხვა უფრო საშიშია...

იგი გავარდა და ტაძრის სიბნელეში მიიმალა. რამზესი დაედევნა, მაგრამ უცებ უკან გადმოხტა. მთელი ტაძარი მასსა და საკურთხეველს შუა წითელი ალით აივსო, რომელშიც რაღაც საშინელი ფიგურები – ვეებერთელა ღამურები, სახით ადამია– ნის მინაგვარი ქვემძრომები და ლანდები დაბორიალობდნენ.

შენობის მთელ სიგანეზე პირდაპირ მისკენ მოიწევდა ალი, უცნაური სანახაობით დარეტიანებული ბატონიშვილი შეუჩერებლივ უკან იხევდა. ანაზდად სუფთა სიომ დაჰქროლა. რამზესმა მიმოიხედა – ის უკვე ტაძრის გარეთ იმყოფებოდა. იმა ვე წუთს ბრინჯაოს კარი მის წინ ხმაურით დაიხურა. მან თვალები მოიფშვნიტა და მიმოიხედა. მთვარე საცაა უნდა ჩასულიყო. რამზესმა სვეტთან იპოვა თავისი მახვილი და მოსასხამი, აიღო ისინი და მთვრალივით დაეშვა კიბეზე.

როდესაც გვიან ღამით სასახლეში დაბრუნდა, თუტმოსი, რომელმაც დაინახა მისი გაფითრებული სახე და ამღვრეული გამოხედვა, შეშინებული შეეკითხა:

– სად იყავი, ხელმწიფევ? გფარვიდნენ ღმერთები! მთელი სასახლე შეშფოთებულია და არ სძინავს.

– ქალაქს ვათვალიერებდი. რა მშვენიერი ღამეა...

– სარას ვაჟი შეეძინა, – აჩქარებით დაუმატა თუტმოსმა, თითქოს ეშინოდა სხვას არ დაესწრო.

– მართლა?.. მე არ მინდა, ჩემი ამალიდან ვინმე წუხდეს ჩემზე, როცა სასეირნოდ მივდივარ.

– მარტო?

– თუ მარტოს არ შემეძლება წასვლა იქ, სადაც მომესურვება, ამ სახელმწიფოში ყველაზე საბრალო მონა მე ვიქნებოდი, – მკვახედ უპასუხა მეფისნაცვალმა.

მან თუტმოსს გადასცა მახვილი და მოსასხამი და საწოლ ოთახში შევიდა.

ჯერ კიდევ გუშინ რომ გაეგო ვაჟის დაბადება, სიხარულით აღივსებოდა. ახლა კი ამ ამბავს გულგრილად შეხვდა.

რამზესი შთაინთქა დღევანდელი უაღრესად უცნაური საღამოს მოგონებებში, რის მსგავსიც თავის დღეში არ განუცდია..

მთვარის სინათლე კვლავ ბრწყინავდა მისი თვალების წინ, ყურებში კვლავ ჟღერდა ბერძნის სიმღერა, ოჰ, ქალღმერთის ასტარტას ეს ტაძარი!

დილამდე რამზესს თვალი არ მოუხუჭავს.

თავი მეშვიდე

მეორე დღეს ბატონიშვილი გვიან ადგა, თვითონ იბანავა, ტანთ ჩაიცვა და ბრძანა თუტმოსი ეხმოთ. ჩვეულებრივი გულმოდგინებით მორთულ-მოკაზმული და სურნელწაცხებული კოხტა ვაჟკაცი მაშინვე გამოცხადდა. მან ჩაციებით შეხედა მემკვიდრეს, უნდოდა გაეგო, რა გუნებაზე იყო, რათა შესაფერისი გამომეტყველება მიეღო.

მაგრამ მეფისნაცვლის სახეზე მხოლოდ დაღლილობა ამოიკითხა.

– მაშ დარწმუნებული ხარ, – შეეკითხა იგი თუტმოსს, – რომ ვაჟი შემეძინა?

– ეს ცნობა წმიდა ნოფრმა გადმომცა.

– როდის აქეთ დაინტერესდნენ წინასწარმეტყველები ჩემი ოჯახური საქმეებით?

– მას აქეთ, რაც მოწყალედ ეპყრობი.

– ოჰო! – გაიკვირვა მემკვიდრემ და ჩაფიქრდა.

რამზესს მოაგონდა წუხანდელი სცენა აშტორეტის ტაძარში და გონებაში მას ხატორის ტაძარში ნახულ მსგავს სცენებს ადარებდა.

„იქაც და აქაც, – ბჭობდა თავის თავთან მემკვიდრე, – ვიღაც მეძახოდა, მაგრამ იქ, ტაძარში, ჩემი სენაკი მეტად ვიწრო იყო, კედლები სქელი; აქ კი იმას, ვინც მე მეძახოდა – ეს კი კამა იყო – შეეძლო სვეტს მოფარებოდა და ჩურჩულით ელაპარაკა. ამას გარდა, აქ ბნელოდა, ჩემი სენაკი კი განათებული იყო“,

ანაზდად მან თუტმოსს მიმართა:

– როდის მოხდა ეს?

– როდის დაიბადა შენი შვილი? ალბათ, ათი დღის წინათ. დედა და ბავშვი ჯანსაღად არიან და მშვენივრად გამოიყურებიან, მშობიარობას დაესწრო თვითონ მინა, თქვენი დიდად პატივცემული დედისა და ღირსი ხერიჰორის მკურნალი.

– ჰო, ჰო... – წარმოთქვა ბატონიშვილმა, თვითონ კი ფიქრს განაგრძობდა:

„ვიღაც შემეხო მე... მაშინაც და ახლაც... მაგრამ იქ მე არავითარ სასწაულს არ ველოდი, აქ კი მისთვის ვემზადებოდი. და აი მათ ჩემი ორეული მიჩვენეს, რაც იქ ვერ მოისაზრეს... მართლაც ჭკვიანები არიან ეს ქურუმები! მსურს ვიცოდე, ვინ მოახერხა ასე ზედმიწევნით ჩემი გარეგნობის მიბაძვა. ის ქანდაკება იყო თუ ცოცხალი ადამიანი? დიახ, ისინი ჭკვიანი ადამიანები არიან! მაგრამ არ ვიცი, ჩვენსა და ფინიკიელ ქურუმებს შორის რომელნი უფრო დიდი თვალთმაქცები არიან? დიახ, ისინი ჭკვიანები არიან! ადრეც ვიცოდი, რომ ქურუმები ყოვლად უსინდისოდ ატყუებენ ხალხს, – ფიქრობდა რამზესი. – საბრალო წმიდა აპისი! რამდენს სცემენ პროცესიების დროს, ვიდრე გლეხები მის წინ პირქვე წვანან... მაგრამ ჩემს მოტყუებასაც თუ გაბედავდნენ, ამას ვერ დავიჯერებდი... ღმერთების ხმა, უხილავი ხელები, ადამიანი, რომელსაც ფისს ასხამდნენ, ყველაფერი ეს მხოლოდ არაკები იყო,

ხოლო შემდეგ პენტუერმა დაიწყო თავისი ზღაპრები მიწებისა და მოსახლეობის შემცირებაზე, მოხელეებსა და ფინიკიელებზე. და ეს ყველაფერი იმისათვის გააკეთეს, რათა ჩემში ომის წადილი ჩაეხშოთ“.

– თუტმოს, – მიმართა ანაზდად მემკვიდრემ, – საჭიროა ზღვისპირა ქალაქებიდან ჩვენი ლეგიონები თანდათანობით აქეთ გადმოვიყვანოთ. მინდა ჯარი დავათვალიერო და ერთგულებისათვის დავაჯილდოო.

– განა ჩვენ, აზნაურები, შენი ერთგულნი არა ვართ? – გაკვირვებით იკითხა თუტმოსმა.

– აზნაურები იგივე სამხედროები არიან.

– ნომარქოსები და მოხელეები?

– იცი, თუტმოს, მოხელეებიც კი ჩემი ერთგულნი არიან,– უპასუხა ბატონიშვილმა. – უფრო მეტი, თვით ფინიკიელებიც კი. მაგრამ ჩვენში გამცემლებიც საკმაოდ მოიპოვებიან.

– ღვთის გულისათვის, ჩუმად, – წაიჩურჩულა თუტმოსმა და შეშინებულმა მეორე ოთახში გაიხედა.

– ოჰო! – ჩაიცინა მემკვიდრემ, – რა მოგივიდა, რა ფრთხილი გამხდარხარ? მაშ შენთვისაც საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენ გამცემლები გვყავს?

– ვიცი, ბატონიშვილო, ვისზე ლაპარაკობ... – უპასუხა თუტმოსმა, – შენ ყოველთვის განწყობილი იყავი წინააღმდეგ...

– ვის წინააღმდეგ?

– ...მაგრამ მეგონა, რომ ხერიჰორთან შერიგებისა და ტაძარში შენი ყოფნის შემდეგ...

– ტაძარში? ტაძარში, როგორც ყველგან, დავრწმუნდი, რომ საუკეთესო მიწები, უაღრესად შრომისმოყვარე გლეხები და უძვირფასესი საუნჯე ფარაონს არ ეკუთვნის.

– ჩუმად, ჩუმად, – კვლავ შეაჩერა იგი თუტმოსმა.

– მე ხომ მუდამ ვდუმვარ და ეჭვსაც კი არ ვიწვევ, მაშ ნება მომეცი ახლა მაინც გამოვთქვა გულისნადები. თუმცა უფლება მაქვს თვით უმაღლეს საბჭოში განვაცხადო, რომ ეგვიპტეში, რომელიც განუყოფლად მამაჩემს ეკუთვნის, მე, მისი მემკვიდრე და მოადგილე, იძულებული ვიყავი სესხად ამეღო ასი ტალანტი ვიღაც ტვიროსელ მთავრუ-

კასაგან. განა ეს თავის მოჭრა არაა!

– მაგრამ რატომ სწორედ დღეს ლაპარაკობ ამაზე? – ჩასჩურჩულა თუტმოსმა და შეეცადა რაც შეიძლება საჩქაროდ დაემთავრებინათ ეს სახიფათო საუბარი,

– რატომ? – გაიმეორა რამზესმა, მაგრამ დაჩუმდა და კვლავ საგონებელს მიეცა.

„კიდევ არა უშავდა რა, – ფიქრობდა ის, – ქურუმები რომ მარტო მე მატყუებდნენ, ვიდრე მხოლოდ ტახტის მემკვიდრე ვარ და კანონით შეუძლიათ ყველა საიდუმლოება არ გამიზიარონ. მაგრამ ვინ დამარწმუნებს, რომ ისინი მამაჩემსაც ასევე არ ექცეოდნენ! ოცდაათ წელზე მეტია, რაც მამა მათ უსაზღვროდ ენდობა, სასწაულების წინაშე მუხლს იყრის, ღმერთებს უხვ მსხვერპლს სწირავს... იმისათვის, რომ მისი სიმდიდრე და ძალაუფლება პატივმოყვარე მატრაბაზების ხელში გადასულიყო!.. არავინ არ აუხილა მას თვალები!.. ფარაონს ჩემსავით ხომ არ შეუძლია ღამით იაროს ფინიკიელთა ტაძრებში, ყოველ პატიოსანსა და ერთგულ ქვეშევრდომებს კი ქურუმების წყალობით მასთან მისასვლელი კარი დახშული აქვს.

ვის შეუძლია დამარწმუნოს, რომ ქურუმებს, როგორც ხირამმა მითხრა, მართლაც არ სურდეთ ფარაონის ტახტის დამხობა?.. მამა ხომ თვითონ მაფრთხილებდა, ფინიკიელები, როცა მათ სჭირდებათ, სიმართლეს ლაპარაკობენ. ისინი კი უდავოდ დაინტერესებული არიან, რომ ეგვიპტიდან არ გააძეონ და ასირიელების ხელქვეითი არ გახდნენ. ასირია ცოფიანი ლომების ხროვაა. სადაც ისინი ფეხს დადგამენ, იქ მხოლოდ ნანგრევები და გვამებიღა რჩება, როგორც ნახანძრალზე“.

რამზესმა ანაზდად თავი მაღლა ასწია და სმენად გადაიქცა. შორიდან სალამურებისა და ბუკების ხმა მოისმოდა.

– ეგ რა ამბავია? – შეეკითხა იგი თუტმოსს.

– ჩვენში დიდი ახალი ამბავი მოხდა, – ღიმილით უპასუხა სასახლის ფრანტმა. აზიელები შორეული ბაბილონიდან მომავალ წარჩინებულ ღვთისმოსავს ხვდებიან, მას სარგონი ჰქვია...

– სარგონი! ვინ არის იგი?

– თითქოს ტიგლატფილესარ მეფის კარის დიდებული უნდა იყოს.

მან თან ათი სპილო, უდაბნოს უმშვენიერესი ცხენების რემა და აურაცხელი მონა და მსახური მოიყვანა. იგი მოვიდა, რათა მუხლი მოიყაროს მშვენიერი ღმერთქალის აშტორეტის წინაშე, რომელსაც მთელი აზია სცემს თაყვანს.

– ჰა-ჰა-ჰა! – გაეცინა მემკვიდრეს, – სარგონი... სარგონი, ტიგლატ-ფილესარ მეფის ნათესავი, ისეთი ღვთისმოსავი გახდა, რომ ხანგრძლივსა და დამქანცველ მგზავრობას არ მოერიდა, რათა ბუბასტისში თაყვანი სცეს აშტორეტს. ნინევიაში იგი ხომ უფრო ძლიერ ღმერთებსა და სწავლულ ქურუმებს იპოვიდა ჰა-ჰა-ჰა!

თუტმოსი გაოცებული მისჩერებოდა მემკვიდრეს.

– რა დაგემართა, რამზეს?

– აი გაუგონარი სასწაული! – უპასუხა ბატონიშვილმა, წარმოიდგინე, თუტმოს, სწორედ იმ წუთში, როდესაც შენ იმ ქურდის დაჭერაზე ფიქრობ, რომელიც მუდამ გქურდავდა, ეს ქურდი შენს თვალწინ კვლავ ხელს აფათურებს შენს ზანდუკში. ჰა-ჰა-ჰა! სარგონი და კეთილმორწმუნე მწირი

– არაფერი მესმის! – აბნეულად ბუტბუტებდა თუტმოსი.

– რა არის აქ გაუგებარი? – უპასუხა მეფისნაცვალმა – გახსოვდეს მხოლოდ, რომ სარგონი ბუბასტისში მოვიდა, რათა გულმხურვალე ვედრება აღავლინოს ქალღმერთ აპტორეტისადმი.

– მე კი მგონია, ყოველივე, რაზეც შენ ლაპარაკობ, ხმადაბლა უთხრა თუტმოსმა, ფრიად სახიფათო რამ არის.

– და ამიტომ ნურც უამბობ ვინმეს ამის შესახებ.

– რომ ამას არავის არ ვეტყვი, შეგიძლია ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდე; მაგრამ ვშიშობ, შენ თვითონ, ხელმწიფევ, არ წამოგცდეს რამე. შენ ხომ ელვასებრ აენთები ხოლმე.

– დარდი ნუ გაქვს, – უპასუხა მან თუტმოსს და თვალებში ჩააცქერდა მეგობარს, – ოღონდ თქვენ – ჯარი და აზნაურები – იყავით ჩემი ერთგული და მაშინ გასაოცარი ამბების მოწმენი შეიქნებით და... ბოლო მოეღება თქვენთვის მძიმე დროებას!..

– გწამდეს, რომ ყველა ჩვენ მზად ვართ თავი გავწიროთ შენი ბრძანებისთანავე, – გულზე ხელის დადებით უპასუხა თუტმოსმა.

მისი სახე არაჩვეულებრივ სერიოზულობას გამოხატავდა, და რამ-

ზესმა იგრძნო, თუმცა არა მხოლოდ ამჯერად, რომ ამ განებივრებულ კონტა ახალგაზრდაში მამაცი ვაჟკაცის სულია, რომლის ჭკუასა და მახვილზე თამამად შეიძლება დანდობა.

ამით დამთავრდა კიდეც მემკვიდრის საუბარი თუტმოსთან, მაგრამ ერთგული მეგობარი და მსახური მიხვდა, რომ სარგონის მოსვლასთან დაკავშირებული იყო რაღაც დიდი სახელმწიფოებრივი საქმეები, რომლებსაც ქურუმები თვითნებურად წყვეტდნენ.

ამავე დროს ეგვიპტის მთელი წარჩინებული საზოგადოება – ნომარქოსები, მოხელეები და სარდლები – ერთი ხანია შეხვედრის დროს ურთიერთს ყურში ჩასჩურჩულებდნენ, სერიოზული ამბები მზადდებაო. ფინიკიელები, მათგან საიდუმლოების დაცვის ფიცს რომ იღებდნენ, უამბობდნენ ასირიასთან რაღაც მოლაპარაკებაზე, რის შედეგად ფინიკია დაიღუპება, ეგვიპტეს კი თავს სირცხვილი დაატყდება და, შესაძლებელია, ოდესმე ასირიის მოხარკედ გადაიქცესო.

არისტოკრატია საშინელმა მღელვარებამ მოიცვა, თუმცა გარეგნულად ეს არ ჩანდა. პირიქით, როგორც მემკვიდრის კარზე, ისე ქვემო ეგვიპტის ნომარქოსებში მხიარულება არ წყდებოდა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სიცხის დადგომასთან ერთად ყველანი გაგიჟდნენო. ისე დღე არ გავიდოდა, რომ ასპარეზობა, ნადიმი, საზეიმო მსვლელობა არ მოეწყოთ; არ ყოფილა ღამე, რომ ილუმინაციები და მხიარული ყიჟინა არ გაემართათ და არა მარტო ბუბასტისში, არამედ ყველა ქალაქში ჩვეულებად გადაიქცა ქუჩებში ანთებული ჩირაღდნებით, მუსიკით და ღვინით სავსე დოქებით სიარული. ხალხი სახლში უვარდებოდა მძინარე ადამიანებს და ლხინში იწვევდა. რადგან ეგვიპტელებს გასართობები თავდავიწყებამდე უყვარდათ, ყველა იღებდა მასში მონაწილეობას.

ვიდრე ტახტის მემკვიდრე ხატორის ტაძარში იმყოფებოდა, რაღაც პანიკური შიშით შეპყრობილი ფინიკიელები მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდნენ და ვინც არ უნდა ყოფილიყო, სესხს არ აძლევდნენ. მაგრამ მემკვიდრესთან ხირამის საუბრის შემდეგ ზურგი შეაქციეს ღვთისმოსაობასა და სიფრთხილეს და უფრო გულუხვი გახდნენ, ვიდრე ოდესმე.

ამ დროს ქვემო ეგვიპტეში ოქროსა და საქონლის ისეთი სიუხვე და, რაც მთავარია, სესხებზე იმდენად მცირე პროცენტი იყო, როგორიც ღრმად მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ. ქურუმების სასტიკი კასტის ყურადღებას არ გამოპარვია ეს. საყოველთაო ღრეობა. მაგრამ ქურუმები ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა იმალებოდა ამ მოვლენის უკან. წმიდა მენტესუფისი, რომელიც რეგულარულად უგზავნიდა მოხსენებას ხერიჰორს ადგილობრივი საქმეების შესახებ, ახლაც. აცნობებდა, რომ ტახტის მემკვიდრე, რომელსაც ხატორის ტაძარში კეთილმორწმუნის ცხოვრება მოსწყინდა, უსაზღვრო მხიარულებას მიეცა და წარჩინებულთა საზოგადოებაც მას აჰყვაო.

ღირსეულ მინისტრს მენტესუფისის მოხსენებებზე პასუხიც არ გაუცია. ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ ბატონიშვილის ქეიფი წესიერ და, შეიძლება ითქვას, სასარგებლო მოვლენადაც კი მიაჩნდა.

გარშემო მყოფთა ასეთი დამოკიდებულების გამო რამზესი თავს მეტად თავისუფლად გრძნობდა. თითქმის ყოველ საღამოს, როდესაც კარისკაცები უკვე მთვრალნი იყვნენ, ის შეუმჩნევლად მიდიოდა სასახლიდან.

ოფიცრის მუქ მოსასხამში გახვეული, სწრაფად გაივლიდა დაცარიელებულ ქუჩებს და ქალაქგარეთ მდებარე ამტორეტის ტაძრის ბაღებში შედიოდა.

მონახავდა იქ სკამს კამას პავილიონის პირდაპირ და, ხეებს ამოფარებული, უცქეროდა ანთებულ ჩირაღდნებს, უსმენდა ქურუმქალის მოტრფიალეთა სიმღერებს და ოცნებობდა მასზე.

მცხრალი მოგვარე ყოველ საღამოს უფრო და უფრო დაგვიანებით ამოდიოდა და ბნელი ღამეები იწყებოდა. რამზესი კი წინანდებურად იმ პირველი ღამის ბრწყინვალე სინათლეს ხედავდა და ბერძნის მგზნებარე სიმღერას ისმენდა.

ზოგჯერ იგი სკამიდან დგებოდა და ამასთან წასვლას დააპირებდა, მაგრამ სირცხვილი აჩერებდა. გრძნობდა, რომ ტახტის მემკვიდრეს არ შეშვენის გამოჩნდეს ქურუმქალის სახლში, სადაც ყოველ ღვთისმოსავს შეუძლია შესვლა, თუ ის ტაძარს ცოტად თუ ბევრად უხვ შეწირულებას მიართმევს. ამასთან, რაც მთავარია, რამზესი შიშობდა, რომ მიჯნურებით გარშემორტყმულ კამას სახეს არ წარეშალა მის

წარმოდგენაში იმ მთვარიანი ღამის საუცხოო შთაბეჭდილება.

წინათ, როდესაც დაგონმა მასთან კამა გამოგზავნა, რათა ბატონიშვილის რისხვა თავიდან აეცილებინა, რამზესს კეკლუც ქალიშვილად მოეჩვენა, მაგრამ არც იმდენად, რომ მისთვის თავდავიწყებას მისცემოდა. მაგრამ როცა თავის სიცოცხლეში პირველად ის, მეფისწული და ფარაონის ნაცვალი, ამ ქალის სახლთან იჯდა და როცა მას ღამე საამო მოთენთილობას ჰგვრიდა, თანაც სხვა მამაკაცის მგზნებარე ღაღადისს ისმენდა, რამზესში რაღაც ახალმა გრძნობამ გაიღვიძა, რომელშიც ვნება, სევდა და ეჭვიანობა იყო შეერთებული.

კამას დაუფლება რამზესს ადვილად რომ შეძლებოდა, მეტად მალე მოყირჭდებოდა და იქნებ სრულიად ვერც მიეზიდა, მაგრამ სიკვდილი, რომელიც ქალს საწოლის ზღურბლთან უდარაჯებდა, ეს შეყვარებული მომღერალი, დაბოლოს, მისი დამამცირებელი როლი – ყოველივე ეს მისთვის ახალი რამ იყო და ამიტომაც მიმზიდველი. და თითქმის ყოველ საღამოს ამ ათი დღის განმავლობაში შენიღბული მოდიოდა აშტორეტის ტაძრის ბაღში.

ერთ საღამოს რამზესი, რომელმაც ბევრი ღვინო დალია, ჩვეულებისამებრ ფარულად გავიდა სასახლიდან. მან მტკიცედ გადაწყვიტა, კამას ვესტუმრები, ხოლო მისმა მოტრფიალეებმა დეე სარკმლის იქით იმღერონო.

მან სწრაფად გაიარა ქალაქი, მაგრამ როცა ტაძრის ბაღებს მიუახლოვდა, კვლავ შერცხვა და ნაბიჯი შეანელა.

„სად გაგონილა, – ფიქრობდა ის, – რომ ფარაონის მემკვიდრე ქალებს დასდევდეს, როგორც უბადრუკი მწერალი, რომელსაც საშუალება არა აქვს სადმე ათი დრახმა ისესხოს. ყველა ჩემთან მოდიოდა, ისეც უნდა მოვიდეს“.

რამზესმა უკვე გამობრუნება დააპირა.

„მაგრამ კამას მოსვლა ხომ არ შეუძლია, – გაუელვა აზრმა. – მოჰკლავენ“.

ის ყოყმანობდა და შეჩერდა.

„მაგრამ ვინ მოკლავს? ხირამი, რომელსაც არაფერი სწამს, თუ დაგონი, რომელიც ყოვლად არაწმიდა ადამიანია?.. კი, მაგრამ აქ მრავალი სხვა ფინიკიელია, ფანატიკოს და ველურ ღვთისმოსავთა მთელი

ხროვაა. ამ რეგვენთა თვალში კი კამა ჩემთან მოსვლით მკრეხელობას ჩაიდენს...“

იგი კვლავ ქურუმქალის სახლისკენ გაეშურა და სრულებით არ აფიქრებდა, რომ მას, ვისაც მახვილის ამოუღებლად, ერთი შეხედვით ძალუძს მთელ ქვეყანას ქედი მოახრევინოს, საფრთხე ემუქრება. რამზესი და საფრთხე!..

მოფარებული ადგილიდან გამოსულმა მემკვიდრემ შეამჩნია, რომ ქურუმქალის სახლში მხიარულება სუფევს და ჩვეულებრივზე უფრო კაშკაშა სინათლითაა განათებული. ოთახებში და ტერასებზე მრავალი სტუმარი მოჩანდა, ხოლო პავილიონის გარშემო ხალხი ირეოდა.

„ნეტავ ვინ არის ეს ხალხი?“ – შეეკითხა თავის თავს რამზესი.

შეკრებილობა მართლაც არაჩვეულებრივი იყო. სახლის მახლობლად უზარმაზარი სპილო იდგა ზურგზე ძოწეულის ფარდებით ჩამოფარებული ოქროფერილი ტახტრევანით. სპილოს გვერდით ხვიხვინებდა და მიწას ტორავდა მსხვილ კისერი ფეხებიანი ათიოდე ცხენი, მათ ძუა გამოსკვნილი ჰქონდათ და თავს რაღაც ლითონის ჩაფხუტებისმაგვარი უმშვენებდათ,

მოუსვენარ, ნახევრადველურ ცხოველებს შორის რამდენიმე ათეული კაცი ტრიალებდა, რომელთა მსგავსი რამზესს აქამდე არ ენასა, თმააბურძგვნილებსა და გრძელწვერიანებს თავზე ყურსაფარიანი წოპწოპა ქუდები ეხურათ. ზოგ მათგანს სქელი მაუდის ტანსაცმელი კოჭებამდე სწვდებოდა, სხვებს ქურთუკები და შარვლები ემოსა, ზოგიერთებს კი ფეხთ ყელიანი წაღები ეცვათ.

რამზესმა საშინელი სიძულვილი იგრძნო ამ ძალოვანი და ტლანქი უცხოელების დანახვაზე, თუმცა მათ ცუდი არა უქნიათ რა, რამზესს აღიზიანებდა უცხოელთა ხიხინა ლაპარაკი, უხეში სიცილი, ტანსაცმელი, ცხვრის ქონის სუნი, მათ რომ ასდიოდათ, და იმათი ცხენებიც კი. როგორც ლომი, თუნდაც მაძღარი, მტრის დანახვის უმალ ნახტომისათვის რომ ემზადება, ისე რამზესმა მახვილს იტაცა ხელი, რომ მივარდნოდა და აეკუწა ახალმოსულები და მათი ცხენები. მაგრამ ანაზდად გამოერკვა.

„ეს სეთმა მომაჯადოვა“, – გაიფიქრა მან.

გვერდით ჩაუარა შიშველმა ეგვიპტელმა, რომელსაც თავზე ჩაჩი ეხურა და თეძოებზე კვართი ჰქონდა შემოხვეული. მემკვიდრე ამ ადამიანმა რაღაცით მიიზიდა; იგი მისთვის ამ წუთში საამო და თითქმის ძვირფასი ადამიანი იყო, იმიტომ რომ ეს ეგვიპტელი იყო. რამზესმა ამოიღო რამდენიმე დრახმად ღირებული ოქროს ბეჭედი და მონას გადასცა.

– გამიგონე, ვინ არის ის ხალხი? – ჰკითხა მან.

– ასირიელებია, – წაიჩურჩულა ეგვიპტელმა და მის თვალებში სიძულვილმა გაიელვა.

– ასირიელები? მერე აქ რა ესაქმებათ?

– მათი ბატონი, სარგონი, წმიდა ქურუმქალს, კამას ეარშიყება, ისინი კი იცავენ... კეთრი მაგათ თავს...

– კარგი, წადი.

ტანშიშველმა კაცმა რამზესს დაბლა თაყვანი სცა და გაიქცა.

„მაშ ესენი არიან ასირიელები!.. – ფიქრობდა რამზესი, რო. მელიც უცნაურ ფიგურებს უკვირდებოდა და მისთვის გაუგებარ ენას ყურს უგდებდა. – ისინი უკვე ნილოსის ნაპირებზე იმყოფებიან, რომ ჩვენ დაგვიძმობილდნენ ან მოგვატყუონ, მათი დიდებული სარგონი კი კამას შესტრფის!“.

რამზესი შინისკენ მობრუნდა. მის ოცნებას ამ ახალი, მოულოდნელად აღძრული გრძნობის გავლენით ფრთები შეეკვეცა. ამ კეთილშობილმა და ნაზმა ადამიანმა ეგვიპტის ძველისძველ მტერთან შეხვედრისას პირველად იგრძნო მისდამი საშინელი სიძულვილი.

ხატორის ტაძრიდან დაბრუნების შემდეგ ხირამთან საუბარმა, მართალია, რამზესს აზიასთან ომზე ფიქრები აღუძრა, მაგრამ ეს მაინც თავის თავთან ბჭობა იყო. ეგვიპტეს ხალხი ესაჭიროება, ფარაონს კი ფული, და ვინაიდან მათი მოპოვების უფრო იოლი საშუალება ომი იყო, რომელიც იმავე დროს სახელისადმი მისწრაფებასაც აკმაყოფილებდა, ამიტომ ომის გეგმებზე ფიქრს თავიდან არ იშორებდა.

ამჟამად მას არც საუნჯე, არც მონები და არც სახელი აინტერესებდა. მის სულში სიძულვილის უძლიერესი ხმა ისმოდა. ფარაონები ასირიელებს იმდენ ხანს ეომებოდნენ, ორივე მხარემ იმდენი სისხლი დაღვარა და მათ შორის მძულვარებამ იმდენად ღრმად გაიდგა ფეს-

ვები, რომ ასირიელი მეომრების მხოლოდ ერთ დანახვაზე ბატონიშვილი მახვილს სტაცებდა ხელს. მას ეჩვენებოდა, თითქოს ყველა დაღუპული მეომრის სული, მთელი მათი შრომა და ტანჯვა შურისძიებისაკენ მოუწოდებდა.

სასახლეში რომ დაბრუნდა რამზესმა თუტმოსი იხმო.

– იცი, ახლა ვინ ვნახე? – მიმართა თავის ფავორიტს. – ასირიელები ვნახე. ჰოი, ღმერთებო! რა ვიგრძენი! რა ბილწი ხალხია! მხეცებს ჰგვანან. თავიდან ფეხებამდე ცხვრის ტყავში არიან გახვეული და მათგან სცემს დამძაღებული ქონის სუნი. რა წვერები და თმა აქვთ! და რა საშინლად ლაპარაკობენ!..

აღელვებული რამზესი წინ და უკან დადიოდა ოთახში.

– მეგონა, მძაგდა მსუნაგი მწერლები, პირმოთნე ნომარქოსები, რომ მეზიზღება ცბიერი და პატივმოყვარე ქურუმები... ებრაელებისადმი ზიზღს ვგრძნობდი და ფინიკიელებს ვერიდებოდი... მაგრამ მხოლოდ ახლა, ასირიელების ხილვის შემდეგ გაიგე, რა არის სიძულვილი. ახლა მესმის, რატომ ებდღვნება ძაღლი კატას, რომელიც გზაზე გადაურბენს.

– ხელმწიფევ, ებრაელებსა და ფინიკიელებს უკვე შეეჩვიე, ასირიელებს კი პირველად ხედავ.

– რაღა ფინიკიელები! – თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა რამზესი. – ფინიკიელი, ფილისტიმელი, ლიბიელი, ეთიოპელიც, თითქოს ჩვენი ოჯახის წევრები არიან. როცა ხარკს არ გვიხდიან, ჩვენ მათ ვუწყრებით, ხოლო გადაიხდიან თუ არა, ვაპატიებთ... ასირიელები კი ჩვენთვის სრულიად უცხონი არიან, მტრები. ვერ მოვისვენებ, ვიდრე მათი მოკვეთილი ხელების მთებს არ დავინახავ!..

თუტმოსს რამზესი ასეთ გუნებაზე ჯერ არ ენახა.

თავი მერვე

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონიშვილმა თუტმოსი კამასთან გაგზავნა და ქურუმქალი თავისთან დაიბარა. კამა დაუყოვნებლივ მოვიდა სასახლეში ჩამოფარებული

ტახტრევანით. რამზესი მასთან მარტო დარჩა.

– ერთ საღამოს შენს სახლთან ვიყავი, – უთხრა ქალს.

– ჰოი, აშტორეტ! – წამოიძახა კამამ, – რით დავიმსახურე ესოდენ მაღალი წყალობა და ყურადღება? ღირსეულ ბატონო, რატომ არ იხმეთ თქვენი მონა ქალი?

– შენთან ვიღაც პირუტყვები იყვნენ. ვგონებ, ასირიელები.

– მე ვერ გავკადნიერდებოდი მეფიქრა, რომ ჩვენი მბრძანებელი ჩემგან სულ რამდენიმე ნაბიჯზე ღია ცის ქვეშ იმყოფებოდა.

ბატონიშვილი გაწითლდა. როგორ გაუკვირდებოდა ქურუმქალს, გაეგო, რომ მემკვიდრემ მის ფანჯარასთან ათი საღამო გაატარა.

ეგებ იცოდა კიდეც, რასაც თითქოს მოწმობდა ქალის ღიმილი და დახრილი თვალები...

– მაშ შენ, კამა, ასირიელებს იღებ? – შეეკითხა რამზესი ქალს.

– ის ასირიის მეფის ნათესავი სარგონი იყო, რომელმაც ხუთი ტალანტი შესწირა ჩვენს ღმერთქალს! წამოიძახა კამამ.

– შენ კი მზად ხარ მისთვის მსხვერპლი გაიღო? – დაცინვით შეეკითხა რამზესი. – და იმიტომ, რომ იგი ეგრე უხვია, ფინიკიელი ღმერთები შენ სიკვდილით აღარ დაგსჯიან?

– ამას რად მეუბნები, ბატონიშვილო? – შეეკითხა კამა და ტაში შემოჰკრა. – ნუთუ შენ არ მოგეხსენება, რომ აზიელი, უდაბნოშიც რომ შემხვდეს, ხელს ვერ მახლებს? მათ, ღმერთების ეშინიათ..

– მაშ რისთვის დადის შენთან ეს... ღვთისმოსავი აზიელი?

– მას სურს დამითანხმოს, რომ აშტორეტის ბაბილონის ტაძარში გადავიდე.

– და შენ წახვალ?

– წავალ, თუ შენ, ბატონო ჩემო, მიბრძანებ... – უპასუხა კამამ და სახეზე პირბადე ჩამოიფარა.

მეფისწულმა ქალს უხმოდ მოკიდა ხელი. მას ტუჩები უთრთოდა.

– ნუ შემეხები, ბატონო, – აღელვებული ჩურჩულებდა კამა. – შენ ჩემი მბრძანებელი და ამ მხარეში ჩემი და ყველა ფინიკიელის მფარველი და ნუგეში ხარ. მაგრამ იყავ ჩემდამი სულგრძელი და მოწყალე...

მემკვიდრემ ხელი გაუშვა და ოთახში სიარული იწყო.

– დღეს ცხელა, არა? – თქვა მან, – ამბობენ, არის ისეთი ქვეყნები,

სადაც მეხირის თვეში ციდან ცივი თეთრი ბუმბული ცვივა, რომელიც ცეცხლზე წყლად იქცევაო. ჰოი, კამა, შეევედრე შენს ღმერთებს, რომ მათ მე მცირეოდენი ასეთი ბუმბული მომივლინონ! მაგრამ რას ვამბობ! მით რომ მთელი ეგვიპტე დაფარონ, ჩემს გულს მაინც ვერ გააციებდა.

– იმიტომ, რომ შენ ღვთაებრივი ამონი ხარ, ადამიანის სახით მოვლინებული მზე, – უპასუხა კამამ. იქ სიბნელე მსწრაფლ იფანტება, საითაც შენს სახეს მიაპყრობ და შენი თვალების სხივებქვეშ ყვავილები იფურჩქნებიან...

ბატონიშვილი კვლავ მიუახლოვდა.

– მაგრამ იყავ მოწყალე! – შეევედრა ქალი. – შენ ხომ კეთილი ღმერთი ხარ და არ ინებებ შეურაცხჰყო შენი ქურუმქალი.

მეფისწული კვლავ მოსცილდა ქალს და ისე შექანდა, თითქოს თავიდან რაღაც სიმძიმის მოშორება სურსო, კამა დახრილი წამწამების ქვემოდან უცქეროდა და ოდნავ იღიმებოდა.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ კამა შეეკითხა:

– შენი ბრძანებით მოვსულვარ, ბატონიშვილო, და აი ველი შენი ნება-სურვილის გამოცხადებას.

– ჰო, მართლა, – გამოერკვა ბატონიშვილი, – მითხარი, ქურუმქალო, ვინ იყო ის ჭაბუკი, რომელიც თქვენს ტაძარში ვნახე, ასე საოცრად რომ მგავს?

კამამ ტუჩებზე თითი მიიდო.

– წმიდა საიდუმლოებაა, – ჩაიჩურჩულა მან.

– ერთი – საიდუმლოებაა, მეორე აკრძალული; ნება მომეცი ის მაინც გავიგო, ვინ არის იგი: სული თუ ადამიანი.

– სული.

– და ეს სული მღეროდა შენს სარკმელთან?

კამას გაეღიმა.

– მე არ მსურს თქვენი ტაძრის საიდუმლოებას შევეხო, – უთხრა ბატონიშვილმა.

– შენ ფიცი გაქვს მიცემული, მოაგონა კამამ.

– კარგი! კარგი! – გაცხარებით შეაჩერა იგი რამზესმა. – ამიტომ არც ხირამთან და არც ვინმე სხვასთან ამ სასწაულზე არ ვილაპარა-

კებ... შენს გარდა. მაშ ასე გადაეცი, კამა, იმ სულს თუ ადამიანს, რომელიც ეგრე მგავს, რათა საჩქაროდ წაეთრეს ეგვიპტიდან და არავის ეჩვენოს. არც ერთ სახელმწიფოში არ შეიძლება ერთდროულად ორი ტახტის მემკვიდრე იყოს.

ანაზდად ისეთმა აზრმა გაურბინა, რომელმაც თვითონვე გააოცა.

– საინტერესოა, – უთხრა კამას, – რისთვის მიჩვენეს შენმა თანამემამულეებმა ჩემი ორეული? ხომ არ მაფრთხილებენ, რომ მათ ჰყავთ ჩემი შემცვლელი?

კამა მის ფეხებთან დაემხო და შეჰღაღადა:

– ო, ბატონო ჩემო, შენ მკერდზე ჩვენს უძლიერეს თილისმას ატარებ და შეგიძლია წინასწარ იცოდე, რომ ფინიკიელებს შენდამი ზიანის მოტანა არ შეუძლიათ. მაგრამ თუკი შენ რაიმე საფრთხე დაემუქრება, ან თვითონ მოისურვებ შენი მტრების მოტყუებას, – განა ისეთი ადამიანი არ გამოგადგება? ფინიკიელებს – მხოლოდ ეს სურდათ ეჩვენებინათ შენთვის ტაძარში.

ბატონიშვილმა მხრები აიჩეჩა და ჩაფიქრდა.

„ჰო, – გაიფიქრა მან, – თუ ვისიმე დახმარება მართლაც დამჭირდა. მაგრამ ნუთუ ფინიკიელები ფიქრობენ, რომ განსაცდელს მარტო ვერ გავუმკლავდები? მაშ მათ ცუდი მფარველი აურჩევიათ!“

– ბატონიშვილო, – ჩასჩურჩულა კამამ, – ნუთუ არ მოგეხსენება, რომ რამზეს დიდს მტრებისათვის ორეულები ჰყავდა? და მეფის ის ორი აჩრდილი დაიღუპა, ხოლო თვითონ კი განაგრძობდა სიცოცხლეს.

– კმარა, – შეაჩერა იგი ბატონიშვილმა, – რათა აზიის ხალხებმა გაიგონ, რომ მე მოწყალე ვარ, ვწირავ ხუთ ტალანტს აშტორეტის საპატივცემულო ასპარეზობათა მოსაწყობად, ხოლო მის ტაძარს – ოქროს ფიალას. დღესვე მიიღებ მათ.

მემკვიდრემ ქალს თავი დაუკრა და გამოეთხოვა.

კამა რომ წავიდა, ბატონიშვილს ახალი ფიქრები შემოესია.

„მართლაც ცბიერები არიან ეს ფინიკიელები! თუ ჩემი ორეული ადამიანია, იქნებ ეს დროული აღმოჩნდეს, და მე შემეძლება დროთა მსვლელობაში ისეთი სასწაულები ჩავიდინო, რომელთა მსგავსი ეგვიპტეში, ალბათ, არავის სმენია. ფარაონი მემფისში ცხოვრობს და

ერთსა და იმავე დროს გამოჩნდება ხოლმე თებეშიც და ტანისშიც... ფარაონი თავის ჯარით ბაბილონისაკენ იჩქარის, ასირიელები იქ თავიანთ მთავარ ძალებს აგროვებენ და ამ დროს კი ფარაონი მეორე ჯარით ნინევიას იპყრობს... ვფიქრობ, ასირიელები ასეთი სასწაულებით დიდად გაოცდებიან.“

მის გულში კვლავ გაიღვიძა ყრუ სიძულვილმა ძლიერი აზიელების მიმართ.

რამზესი უკვე ხედავდა თავის ტრიუმფალურ ეტლს, რომლითაც იგი ათვალიერებდა ასირიელების გვამებით დაფარულ ბრძოლის ველს და მათი მოკვეთილი მკლავებით სავსე კალათებს. ახლა ომი მისთვის ისეთივე აუცილებლობა შეიქნა, როგორც პური არსებობისათვის, ვინაიდან მისი დახმარებით შეიძლებოდა არა მარტო ეგვიპტის გამდიდრება, ხაზინის ავსება და უკვდავი სახელის მოხვეჭა, არამედ ასირიის განადგურების აქამდე შეუცნობელი, ახლა კი მძლავრად აღძრული სურვილის დაკმაყოფილებაც.

ვიდრე არ დაინახა ეს მეომრები გაწეწილი წვერებით, მათზე არც ფიქრობდა. ახლა კი თვალში ეჩხირებოდნენ და ხელს უშლიდნენ. მათთან ერთად ყოფნით დედამიწაზე თავს ისე შევიწროებულად გრძნობდა, რომ ერთ-ერთი მათგანი უეჭველად უნდა წასულიყო იქიდან.

იმას კი, თუ რა როლი ითამაშეს ხირამმა და კამამ მის ახლანდელ განწყობილებაში, ბატონიშვილი ვერ ითვალისწინებდა. იგი გრძნობდა მხოლოდ, რომ ასირიასთან ომი უნდა დაიწყოს, როგორც გადამფრენი ფრინველი გრძნობს ხოლმე, რომ პახონის თვეში ჩრდილოეთისაკენ უნდა გაფრინდეს.

ომის წყურვილი ბატონიშვილის სულს სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. ის ცოტას ლაპარაკობდა, იშვიათად იღიმებოდა, ნადიმებზე ხშირად ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. წარჩინებულმა ახალგაზრდობამ და თვით ხანში შესულმა ადამიანებმაც, რაკი ხედავდნენ, რა მოწყალედ და ყურადღებით ეპყრობოდა მეფისნაცვალი იმათ, ვინც იარაღს ატარებდა, თვითონაც იწყეს პოლკებში შესვლა. ეს მოვლენა არ გამოპარვია წმიდა მენტესუფსის ყურადღებას და ხერიჰორს ასეთი შინაარსის მოხსენება გაუგზავნა:

„ბუბასტისში ასირიელების მოსვლის შემდეგ ტახტის მემკვიდრე ფრიად აღგზნებულია, ხოლო მისი სასახლის კარი ძლიერ საომარ განწყობილებას ააშკარავებს. ისინი წინანდებურად სვამენ და ყომარს თამაშობენ, მაგრამ ყველამ გადააგდო თხელი ტანსაცმელი და პარიკები და, საშინელი სიცხის მიუხედავად, მეომრის ქუდებსა და ხიფთანებს ატარებენ.

ვშიშობ, ეს საომარი განწყობილება ღირსეულ სარგონს არ ეწყინოს“.

ხერიჰორმა უპასუხა:

„უბედურებად არ უნდა მივიჩნიოთ, თუ ჩვენი განებივრებული ბატონიშვილები ჩვენში ასირიელების ყოფნის დროს სამხედრო საქმისადმი სიყვარულს გამოიჩენენ: ამით ასირიელებს ჩვენს მიმართ უფრო მეტი პატივისცემა აღეძრებათ. ღმერთების მიერ შთაგონებული მაღალღირსი მეფისნაცვალი, ალბათ, მიხვდა, რომ იარაღის ჩხარუნი სასარგებლოა, როდესაც ესოდენ მეომარი ხალხის ელჩები გვესტუმრენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ასეთი მედგარი განწყობილება სარგონს აიძულებს დათმობის გზას დაადგეს“.

ეგვიპტის არსებობის მთელ მანძილზე პირველად ხდებოდა, რომ ახალგაზრდა მემკვიდრემ ქურუმების სიფხიზლე მიაძინა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამაში დიდი როლი ფინიკიელებმა ითამაშეს: მათ გაუმჟღავნეს მემკვიდრეს ასირიელებსა და ქურუმებს შორის ხელშეკრულების საიდუმლოება, რაც ანაგებადაც კი არ იცოდნენ ქურუმებმა.

ამასთანავე მემკვიდრის საუკეთესო ნიღაბი, რომლითაც იგი ქურუმთა კასტის, მეთაურებს თავის მისწრაფებათ უმალავდა, მისი ხასიათის მერყეობა იყო. ყველას ახსოვდა, როგორ ადვილად დაივიწყა შარშან მანევრები პი-ბაილოსში სარას მყუდრო ხუტორში დროს გატარებისათვის და უკანასკნელ დროს როგორ გადადიოდა ქეიფიდან საქმეებზე და ღვთისმოსავი ცხოვრებიდან ლხინზე. ამიტომ, თუტმოსის გამოკლებით, არავინ დაიჯერებდა, რომ ამ დაუდეგარ ჭაბუკს რაღაც გეგმა, რაღაც მიზანი აქვს, რომლის განხორციელებას გადაულახავი შეუპოვრობით ესწრაფვის.

ამჯერად მალე გამოჩნდა მისი დაუდეგრობის დამამტკიცებელი ახალი ამბავი.

სიცხის მიუხედავად, ბუბასტისში მოვიდა სარა მთელი თავისი ამალით და ვაჟით. იგი ოდნავ გამხდარი იყო, ბავშვს კი მცირე უქეიფობა თუ მოგზაურობის გამო დაღლილობა ეტყობოდა. მაგრამ დედაც და შვილიც ძალიან კარგები იყვნენ.

ბატონიშვილი აღტაცებული იყო, სარას მან ცალკე პავილიონი მიუჩინა სასახლის ბაღის უმშვენიერეს ნაწილში და თითქმის მთელ დღეებს ვაჟის აკვანთან ატარებდა.

ნადიმები, მანევრები და მწუხარე ფიქრები დავიწყებას მიეცა. ახალგაზრდა აზნაურებს ახლა მარტო უხდებოდათ სმა და ქეიფი: მათ შემოიხსნეს მახვილები და კვლავ ფრანტებად იქცნენ. ტანსაცმლის გამოცვლა მით უფრო აუცილებელი შეიქნა, რომ მემკვიდრეს ისინი სარას პავილიონში დაჰყავდა, რათა მათთვის ვაჟი – თავისი ვაჟი ეჩვენებინა.

– შეხედე, თუტმოს, – ეუბნებოდა იგი, – რა მშვენიერი ბავშვია. სწორედ ვარდის ფურცელია, და აი ამ პაწაწადან ოდესმე ნამდვილი კაცი დადგება. ეს ვარდისფერი ბარტყი ოდესმე სირბილს დაიწყებს, ენას აიდგამს და ქურუმების სკოლაში სიბრძნის შესწავლასაც შეუდგება. ერთი უცქირე, თუტმოს, – აღტაცებით ეუბნებოდა რამზესი, – ამ პაწაწკინტელა ხელებს! დაიმახსოვრე ეს ნამცეცა ხელები, რათა მომიყვე მათზე, როცა პოლკს გადავცემ და ვუბრძანებ ჩემი ჩუგლუგით ხელში უკან გამომყვეს... და ეს ჩემი ვაჟია, ჩემი ღვიძლი შვილი!

არ იყო გასაკვირი, კარისკაცები თავიანთი ბატონის ასეთ სიტყვებს რომ ისმენდნენ, წუხდნენ, რატომ არ შეგვიძლია ჩვენ ვიყვეთ გადიები და ძიძები ამ ბავშვისა, რომელსაც არავითარი დინასტიური უფლებები არ ჰქონდა, მაგრამ მომავალი ფარაონის პირმშო კი იყო.

მაგრამ ეს იდილია მეტად მალე დასრულდა, რადგან იგი ფინიკიელთა ინტერესებს არ ეთანხმებოდა.

ერთხელ სასახლეში გამოცხადდა ხირამი მრავალი ვაჭრის, მონისა და იმ ეგვიპტელთა თანხლებით, რომლებიც მისი ნასუფრალით იკვებებოდნენ, წარსდგა მემკვიდრის წინაშე და უთხრა:

– ჩვენო მოწყალეო ხელმწიფევ! ამტორეტის საპატივცემულო სანახაობათა მოსაწყობად ხუთი ტალანტი გვაჩუქე, შენი ნება-სურვილი შესრულებულია, სანახაობები მზად არის და ჩვენ გეახელით გთხო-

ვოთ, კეთილ ინებო და დაესწრო მათ.

ამ სიტყვებთან ერთად თმაგათეთრებულმა ტვიროსელმა მთავარმა რამზესის წინ მუხლი მოიყარა და ოქროს ხონჩით ლოჟის ოქროს გასაღები მიართვა.

ბატონიშვილმა მიპატიჟება სიამოვნებით მიიღო, ხოლო წმიდა ქურუმებს ნოფრსა და მენტესუფისს საწინააღმდეგო არა ჰქონდათ რა, რომ მემკვიდრე დასწრებოდა ღმერთქალის აშტორეტის საპატივცემულო დღესასწაულს.

– ჯერ ერთი, – განუცხადა ყოვლადღირსმა ნოფრმა მენტესუფისს, – აშტორეტი იგივეა, რაც ჩვენი იზიდა თუ ქალდეველთა იშტარი, მეორეც – რაკი ჩვენ ნება დავრთეთ აზიელებს ჩვენს მიწაზე ტაძარი აეგოთ, გვმართებს ხანდახან მაინც ყურადღებით მოვეპყრათ მათ ღმერთებს.

– ჩვენ ვალდებულიც ვართ ფინიკიელების მიმართ ზრდილობა გამოვიჩინოთ, მით უმეტეს ასირიელებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, – სიცილით დაუმატა ღირსმა მენტესუფისმა.

ცირკი, სადაც ნაშუადღევის ოთხ საათზე წავიდა რამზესი ნომარქოსებისა და მაღალი სამხედრო პირების თანხლებით, აშტორეტის ტაძრის ბაღში იყო გამართული. იგი მრგვალ მინდორს წარმოადგენდა, რომელსაც ორი ადამიანის სიმაღლის ზღუდე ჰქონდა შემოვლებული. ზღუდის გასწვრივ მრავალი ლოჟა და სკამი იდგა, რომლებიც თანდათან მაღლდებოდნენ და ამფითეატრს ქმნიდნენ. სახურავი არ ჰქონდა, მაგრამ ლოჟებზე პეპელას ფრთების დარად გადაჭიმული იყო ნაირფერი ტილო, რომელსაც მსახურები სურნელოვან წყალს აპკურებდნენ და ჰაერის გასაგრილებლად რიტმულად არხევდნენ.

როდესაც მეფისნაცვალი თავის ლოჟაში გამოჩნდა, ცირკში შეკრებილი აზიელები და ეგვიპტელები ხმამაღალი ყიჟინით მიესალმნენ. სანახაობა დაიწყო მუსიკოსების, მომღერლებისა და მოცეკვავე ქალების გამოსვლით.

ბატონიშვილმა ცირკს თვალი მოავლო. მისგან მარჯვნივ ხირამისა და წარჩინებული ფინიკიელების ლოჟა იყო, მარცხნივ კი ფინიკიელი ქურუმებისა და ქურუმქალების ლოჟა, მათ შორის იჯდა კამა, რომელსაც ერთი პირველ ადგილთაგანი ეკავა და თავისი მორთულო-

ბით და სილამაზით ყველას ყურადღებას იპყრობდა. მას ნაირფერი ნაქარგით მორთული გამჭვირვალე კვართი ეცვა, ხელებსა და ფეხებზე ოქროს დასტანაგები ეკეთა, მის თავსაკრავს ძვირფასი ქვებისაგან საუცხოო ხელოვნებით ნაკეთები ლოტოსის ყვავილი ამკობდა.

კამამ თავის მხლებლებთან ერთად მემკვიდრეს დაბლა დაუკრა თავი, შემდეგ კი მეზობელ ლოჟისაკენ მიტრიალდა და ცხოველი საუბარი გააბა ვიღაც მეტად წარმოსადეგ უცხოელთან, რომელსაც თმა და წვერი მრავალ პატარა კულულად ჰქონდა დახვეული.

რამზესი, რომელიც ცირკში პირდაპირ თავისი ვაჟის აკვნიდან მოვიდა, მხიარულ გუნებაზე იყო. მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ კამა უცხო კაცს ელაპარაკებოდა, მსწრაფლ მოიღუშა.

– ვინ არის ის უცხოელი, – შეეკითხა თუტმოსს, – რომელსაც კამა ეტრფიალება?

– ეგ არის სწორედ ის განთქმული ბაბილონელი ღვთისმოსავი მაღალღირსი სარგონი:

– მოხუცი ყოფილა, – შენიშნა რამზესმა.

– ის ორივე ჩვენზე ერთად ხნიერია, მაგრამ ლამაზი ვაჟკაცია.

– განა ასეთი ბარბაროსი შეიძლება ლამაზი იყოს? – აღშფოთდა მეფისნაცვალი.

ორივე გაჩუმდა: მემკვიდრე აღშფოთების გამო, თუტმოსი კი შიშით, რომ გაბედა იმ ადამიანის შექება, რომელიც მის ბატონს არ მოსწონს.

ამასობაში ცირკის ასპარეზზე გამოდიოდნენ გიმნასტები, გველის მომთვინიერებლები, მოცეკვავე ქალები, ოინბაზები და მასხარები და მაყურებლების მოწონებას იწვევდნენ.

მეფისნაცვალს სახე უფრო და უფრო ეღუშებოდა. მის გულში კვლავ გამოცოცხლდა დროებით მიძინებული ვნებანი: ასირიელებისადმი სიძულვილი და კამასადმი ეჭვიანობა.

„როგორ შეუძლია ამ ქალს, – ფიქრობდა და კამას უყურებდა, – ეტრფოდეს მოხუცს და ისიც ასეთი მოთრიმლული ტყავისფერი სახის, შავ მოუსვენართვალებიანსა და თხაწვერას?

მხოლოდ ერთხელ შეხედა რამზესმა ყურადღებით არენას.

არენაზე რამდენიმე ტანშიშველი ქალდეველი გამოვიდა. მათგან

უფროსმა მიწაში სამი ხელშუბი დაასო ტარით, ხელის ერთნაირი ქნევით უმცროსი ჰიპნოზურ მდგომარეობაში ჩააყენა და დააძინა. დანარჩენებმა იგი აიყვანეს და ხელშუბის წვერებზე ისე დააწვინეს, რომ ერთს მისი თავი ეჭირა, მეორეს – ზურგი და მესამეს – ფეხები.

დაძინებული უძრავად იწვა. მოხუცმა მის თავზე კიდევ რამდენიმე მოძრაობა შეასრულა ხელებით და ამოაძრო მიწიდან ხელშუბი, რომელზეც ეყრდნობოდა მისი ფეხები; ცოტა ხნის შემდეგ მას ზურგიდან გამოაცალა ხელშუბი და, ბოლოს, გადაისროლა ისიც, რომელზეც მისი თავი ესვენა.

და აი, რამდენიმე ათასი მაყურებლის თვალწინ დღისით-მზისით დაძინებული ქალდეველი ყოველგვარი დასაყრდენის გარეშე ჰაერში ჰორიზონტალურად დაეკიდა მიწიდან რამდენიმე წყრთის სიმაღლეზე.

შემდეგ მოხუცმა იგი ბიძგით აიძულა მიწაზე დაშვებულიყო და გააღვიძა.

მაყურებლები გაოცებული იყვნენ; ვერავინ გაბედა ვერც წამოძახება და ვერც ტაშის დაკვრა.

მემკვიდრეც გაოცებული იყო. ის ხირამის ლოჟისკენ გადაიხარა და მოხუც თავადს ყურში ჩასჩურჩულა:

– ამ სასწაულის მოხდენას თუ მოახერხებდით თქვენ აშტორეტის ტაძარში?

– მე არ ვიცი ჩვენი ქურუმების ყველა საიდუმლოება, – ერთგვარი შეშფოთებით უპასუხა მან, – მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქალდეველები მეტად მოხერხებული ხალხია...

– კი, მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ დავინახეთ, რომ ეს ყმაწვილი ჰაერში ეკიდა.

– თუ ჩვენ რითიმე არ მოგვაჯადოეს, – უკმაყოფილოდ უპასუხა ხირამმა და მოიღუშა.

მცირე შესვენების შემდეგ, როდესაც დიდებულთა ლოჟებში ცოცხალ ყვავილებს, ჩაციებულ ღვინოსა და ტკბილ ნამცხვრებს არიგებდნენ, სანახაობის ყველაზე მეტად საყურადღებო ნაწილი – ხარების ბრძოლა დაიწყო.

საყვირების, დაფისა და სალამურების ხმაზე არენაზე გამოუშვეს

უზარმაზარი ხარი, მას თავი და თვალები ტილოს ნაჭრით ჰქონდა დაფარული. მას დაედევნა რამდენიმე შიშველი ადამიანი, რომლებიც შუბებით იყვნენ შეიარაღებული, ერთი მათგანი კი მოკლე სატევრით.

ბატონიშვილმა ნიშანი მისცა და მსახურები აქეთ-იქით გაიქცნენ, ხოლო ერთმა ხელშუბოსანმა ხარს თვალსაფარი ახსნა. პირუტყვი რამდენიმე წუთის განმავლობაში დარეტიანებული იდგა, შემდეგ კი ანაზდად დაედევნა ადამიანებს, რომლებიც შუბის წვერის ჩხვლეტით აღიზიანებდნენ.

ბრძოლა რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ადამიანები აწვალებდნენ ხარს, ის კი, დორბლმორეული, სისხლისგან იცლებოდა, ყალყზე დგებოდა და თავის მტრებს მისდევდა, მაგრამ ამის ვეღარ ეწეოდა.

ბოლოს მაყურებელთა ხარხარში წაიქცა კიდეც.

ბატონიშვილს გული უწვრილდებოდა, მისჩერებოდა არა არენას, არამედ ფინიკიელი ქურუმების ლოჟას. რამზესი ხედავდა, რომ კამა სარგონის ახლოს გადაჯდა და მასთან ცხოველი საუბარი გააბა. ასირიელი მას თვალებით ჭამდა, ქალი კი კდემამოსილი ღიმილით ხან რაღაცას უჩურჩულებდა, თან თავს ისე ახლოს ხრიდა, რომ მისი თმა ბარბაროსის ხუჭუჭა ფაფარს შეერეოდა, ხან კი პირს იბრუნებდა ნაძალადევი წყრომით.

რამზესს გულმა რეჩხი უყო. ეს პირველად ხდებოდა, რომ მისი თანდასწრებით ქალი სხვა მამაკაცს აძლევდა უპირატესობას. ამასთან ხნიერ მამაკაცს, ასირიელს!..

დამსწრეთა შორის ყრუ ხმაური გაისმა. არენაზე მდგარმა სატევრით შეიარაღებულმა კაცმა ბრძანა, მისთვის მარცხენა ხელი მკერდზე მიებათ, სხვებმა თავიანთი შუბები გასინჯეს, და მსახურებმა მეორე ხარი გამოიყვანეს.

ერთმა შუბოსანმა თვალსაფარი ჩამოგლიჯა. ხარი მოტრიალდა და გარშემო მიმოიხედა, თითქოს მოწინააღმდეგეებს ითვლისო. როდესაც მასაც ჩხვლეტა დაუწყეს, ხარმა ზღუდემდე უკან დაიხია და ამით ზურგი გაიმაგრა. შემდეგ თავი ძირს დაღუნა და ქვეშ-ქვეშ თვალყურს ადევნებდა თავდამსხმელთა მოძრაობას.

რომ ეჩხვლიტათ, თავდაპირველად შუბოსნები ხარს ფრთხილად უდგებოდნენ გვერდებიდან; მაგრამ, როდესაც დაინახეს, რომ ხარი

უძრავად დგას, გათამამდნენ და წინ სულ ახლოახლოს უწყეს გადარბენა.

ხარმა კიდევ უფრო დაბლა დაღუნა თავი და გაშეშებული იდგა. მაყურებლებს სიცილი აუვარდათ, მაგრამ მათი მხიარულება მალე საშინელი ყვირილით შეიცვალა. ხარმა წუთი შეარჩია, ჯიქურ გაექანა წინ, რქებზე შეიგდო გაოგნებული ადამიანი და ზევით აისროლა. ძვლებგადამტვრეული ადამიანი მიწაზე დაეცა, ხარი კი მთელი სისწრაფით გაექანა არენის მეორე კიდისკენ და იქ ისევ დაელოდა თავდასხმას.

შუბოსნები კვლავ შემოესიენ და გაღიზიანება დაუწყეს... ამავე დროს მკვნესარე დაჭრილის წასაყვანად არენაზე გამოირბინეს ცირკის მსახურებმა. მიუხედავად იმისა, რომ ხარს საშინლად ჩხვლეტდნენ და აღიზიანებდნენ, იგი უძრავად იდგა, მაგრამ როგორც კი სამმა მსახურმა ხელში აიყვანა ღონემიხდილი დაჭრილი მებრძოლი, ხარი გრიგალის სისწრაფით მივარდა მათ, ყველანი წააქცია და ულმობლად დაუწყო თელვა.

მაყურებლებს შორის ჩოჩქოლი ატყდა: ქალებს ტირილი აუვარდათ, მამაკაცები იგინებოდნენ და ხარს ესროდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ.

არენაზე ცვიოდა ჯოხები, დანები და სკამების ფიცრებიც კი.

ამ დროს მახვილით ხელში მივარდა კაცი გააფთრებულ ცხოველს, მაგრამ სხვები დაიბნენ და მას დროზე ვერ დაეხმარნენ, ხარმა იგი წააქცია და დანარჩენებს დაედევნა.

ცირკში არნახული ამბავი დატრიალდა: არენაზე ხუთი კაცი იწვა, დანარჩენები გააფთრებული ცხოველისაგან თავს უხერხულად იცავდნენ და გაქცევით ლამობდნენ გადარჩენას, შეშინებული და აღშფოთებული მაყურებლები კი ღრიალებდნენ.

უეცრად ყველაფერი დაწყნარდა მაყურებლები წამოცვივდნენ და წინ დაიხარნენ. დიდებულთა ლოჟებიდან ცირკის არენაზე ორი კაცი გამოვარდა: ტახტის მემკვიდრე რამზესი ამოწვდილი მახვილით და სარგონი ტარმოკლე ცულით.

მიწამდე თავდაღუნული და კუდაბზეკილი ხარი არენის გარშემო. დარბოდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა. ის პირდაპირ რამზესი-

საკენ მიექანებოდა. უცებ, თითქოს მეფური შთამომავლის დიდების წინ შეკრთაო, მას გვერდი აუხვია და სარგონს შეუტია, მაგრამ... იქვე წაიქცა. მარდმა, ათლეტური აღნაგობის ასირიელმა თვალ და თვალ შუა დარტყმით ხარი. მიწაზე დაანარცხა.

მაყურებლები აღფრთოვანებით აღრიალდნენ და სარგონსა და მის მსხვერპლს ყვავილებს აყრიდნენ. გაოგნებული რამზესი ამოწვდილი მახვილით იდგა. ის აღშფოთებული იყო იმით, რომ კამა მეზობლებს ხელიდან სტაცებდა ყვავილებს და ასირიელს ესროდა.

სარგონი კი გულგრილად უყურებდა მაყურებლების აღფრთოვანებას. მან ფეხით უბიძგა ხარს, რათა დარწმუნებულიყო, რომ მკვდარია. შემდეგ ბატონიშვილისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, თავის ენაზე რაღაცა უთხრა და წარჩინებული დიდებულის ღირსების დაცვით თავი დაუკრა.

სისხლიანმა ბურანმა გაიქროლა რამზესის თვალწინ. იგი მახვილით სიამოვნებით გაუპობდა მკერდს გამარჯვებულს, მაგრამ თავი შეიკავა, ყელიდან ოქროს ძეწკვი მოიხსნა და სარგონს მიართვა.

ასირიელმა კვლავ დავი დაუკრა, აკოცა ძეწკვს და ყელზე ჩამოიკიდა. რამზესს კი ლოყებზე მუქ წითელმა წინწკლებმა დააყარა, გასასვლელისაკენ გაეშურა და, ღრმა შეურაცხყოფის გრძნობით შეპყრობილი, დამსწრეთა შეუწყვეტელი წამოძახილების ხმაურში ცირკიდან გავიდა.

თავი მეცხრე

დადგა თოტის თვე (ივნისის ბოლო-ივლისის დასაწყისი).

სიცხეების გამო ბუბასტისსა და მის მიდამოებში მომსვლელთა მოზღვავებამ შემცირება იწყო. რამზესის კარზე კი მხიარული დროსტარება წინანდებურად გრძელდებოდა, ბევრს ლაპარაკობდნენ ცირკში მომხდარი ამბის შესახებ.

კარისკაცები ბატონიშვილს სიმამაცეს უქებდნენ, ხოლო მიუხვედრელნი აღტაცებული იყვნენ სარგონის ღონითა და სიმარდით. ქურუმები კი უკმაყოფილო იყვნენ და ერთიმეორეს სერიოზულად ეჩურჩულებოდნენ, რომ ტახტის მემკვიდრეს ხარების ბრძოლაში ჩარევა არ

შეშვენოდა და რომ საამისოდ არიან სხვა ადამიანები, რომლებიც ამისათვის ფულს იღებენ და საზოგადოებრივი პატივისცემით არ სარგებლობენ.

რამზესს ასეთი ლაპარაკი ან არ ესმოდა, ან ყურადღებას არ აქცევდა.

მის მეხსიერებაში მხოლოდ ის აღიბეჭდა, რომ ასირიელმა მას ხელიდან გამოსტაცა გააფთრებულ ხარზე გამარჯვება. ის კამას ეტრფოდა და კამაც მის ტრფიალს ცხადი თანაგრძნობით იღებდა.

ვინაიდან ბატონიშვილს არ შეშვენოდა კვლავ მოეხმო თავის სასახლეში ფინიკიელი ქურუმქალი, ამიტომ წერილით აცნობა, რომ სურს მისი ნახვა, და ჰკითხა როდის მიიღებო. კამამ თავის პასუხში ბატონიშვილს მიღება იმავე დღეს საღამოსათვის დაუნიშნა.

ცაზე ვარსკვლავებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ანთება, რომ ბატონიშვილი ფარულად (მას ყოველ შემთხვევაში ასე ეგონა) სასახლიდან გავიდა და ამტორეტის ტაძრისაკენ გაეშურა.

ტაძრის ბაღი თითქმის დაცარიელებული იყო, კამას პავილიონში სიჩუმე სუფევდა და მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოჩანდა სინათლე.

მემკვიდრემ გაუბედავად დააკაკუნა. კარი თვითონ კამამ გაუღო. ბნელ შესასვლელში ქურუმქალმა ბატონიშვილს ხელების კოცნა დაუწყო და ჩაულაპარაკა, იმ დღეს ცირკში გამძვინვარებულ ცხოველს რომ შენთვის რამე ევნო, იქვე გული გამისკდებოდაო.

– მაგრამ ახლა სრულებით დამშვიდებული ხარ, რაკი მაშინ შენმა მიჯნურმა დამიხსნა, – გაჯავრებით უპასუხა რამზესმა.

როდესაც ისინი განათებულ ოთახში შევიდნენ, რამზესმა შენიშნა, რომ კამას თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა.

– რა დაგემართა? – შეეკითხა ბატონიშვილი.

– ჩემმა ბატონმა ჩემზე გული აიყარა, – უპასუხა კამამ, – და, შესაძლებელია, ეს მართლა დავიმსახურე. ბატონიშვილმა გესლიანად ჩაიცინა.

– როგორ? შენ უკვე მისი საყვარელი ხარ? თუ მხოლოდ საამისოდ ემზადები, წმიდაო ქალწულო?

– საყვარელი? – არასოდეს! მაგრამ ამ საშინელი კაცის ცოლი კი შე-

მიძლია გავხდე.

რამზესი ზეზე წამოვარდა.

– ნუთუ ეს სიზმარია? – წამოიძახა მან, – იქნებ სეთმა დამწყევლა? ქურუმქალი, რომელიც ღმერთქალის აშტორეტის საკურთხევლის წინ ცეცხლს იცავ და სიკვდილის შიშით ქალწული უნდა დარჩე, თხოვდები? ჭეშმარიტად, ფინიკიელების თვალთმაქცობა ყოველივე იმას აღემატება, რასაც მათზე ამბობენ...

– მომისმინე, ბატონო ჩემო, – უთხრა კამამ და ცრემლი მოიწმინდა, – დამსაჯე, თუ ამის ღირსი ვიქნები. სარგონს სურს ცოლად, თავის პირველ ცოლად წამიყვანოს. ჩვენი კანონების თანახმად ქურუმქალს შეუძლია გათხოვდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ მეფური ჩამომავლობის მამაკაცზე, სარგონი კი ტიგლატფილესარ მეფის ნათესავია.

– და შენ გაჰყვები ცოლად?

– თუ ამას ტვიროსის ქურუმთა უმაღლესი საბჭო მიბრძანებს, ურჩობას ვერ გავბედავ, – უპასუხა კამამ და კვლავ ცრემლები გადმოსცვივდა.

– რა საქმე აქვს სარგონთან ამ საბჭოს? – შეეკითხა მემკვიდრე

– ამბობენ, – ამოხვნეშით უპასუხა ქურუმქალმა, ასირიელები ფინიკიის დაპყრობას აპირებენ და სარგონი იქ მეფისნაცვალი იქნებაო.

– ჭკუაზე შეშლილხარ! – მიაძახა ბატონიშვილმა.

– მე ვამბობ იმას, რაც ვიცი. ჩვენს ტაძარში მეორეჯერ იწყება ლოცვები, რათა ფინიკიას ასცდეს. უბედურება, პირველად ისეთ ლოცვებს ჯერ კიდევ შენს ჩვენთან მოსვლამდე ვასრულებდით, ჩემო ბატონო,

– ახლა კი რატომ?

– იმიტომ, რომ ამ დღეებში ეგვიპტეს ქალდეველთა ქურუმი იზდუბარი ესტუმრა და თან ტიგლატფილესარ მეფის წერილები მოიტანა, რომელთა თანახმად სარგონი მის ელჩად ინიშნება და თქვენთან ხელშეკრულება უნდა დადოს ფინიკიის დაპყრობის თაობაზე.

– კი, მაგრამ მე ხომ... – შეაჩერა ბატონიშვილმა.

მას უნდოდა ეთქვა: „მე ხომ ამის შესახებ არაფერი ვიციო“, მაგრამ წაიბორძიკა და სიცილით უთხრა:

– კამა, გეფიცები მამაჩემის თავს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ასირია ფი-

ნიკიას ვერ დაეპატრონება. შენთვის ეს საკმარისია?

– ჰოი, ბატონო! ჩემო ბატონო! – წამოიძახა ქალმა და მის ფეხებთან დაემხო.

– მაშ ახლა იმ ველურს ცოლად აღარ გაჰყვები?

– ოჰ! – გააჟრჟოლა კამას, – ნუთუ ესეც საკითხავია?

– და ჩემი გახდები? – ჩასჩურჩულა რამზესმა.

– მაშასადამე, შენ ჩემი სიკვდილი გსურს? – შეშფოთებით შესძახა ქალმა, – რა გაეწყობა... თუ გსურს, მზადა ვარ,

– მე შენი სიცოცხლე მსურს, – განაგრძობდა აღგზნებული ბატონიშვილი, – მსურს იცოცხლო და მე მეკუთვნოდე.

– ეს შეუძლებელია...

– ტვიროსის ქურუმთა საბჭო?

– მას შეუძლია მხოლოდ გამათხოვოს.

– შენ ხომ ჩემთან იცხოვრებ, ჩემს სასახლეში?

– თუ შენს სახლში შემოვალ, მაგრამ შენი ცოლი კი არ გავხდები, აუცილებელი სიკვდილი მელის; მაგრამ მე მზადა ვარ... თუნდაც იმისათვის, რომ ხვალინდელი მზეც აღარ ვიხილო.

– დამშვიდდი, – უპასუხა ტახტის მემკვიდრემ სერიოზულად. – ვინც ჩემი წყალობა მოიპოვა, მას ვერავინ ავნებს.

ქურუმქალმა მის წინ კვლავ მუხლი მოიყარა.

– კი, მაგრამ ეს როგორ შეიძლება? – გულზე ხელდაკრეფით შეეკითხა იგი რამზესს.

ბატონიშვილი იმდენად იყო აღგზნებული, წუთით ისევ დაავიწყდა თავისი მდგომარეობა და მოვალეობა, რომ მზად იყო ქურუმქალს ცოლად შერთვას შეჰპირებოდა, ამისგან თავი შეიკავებინა არა გონებამ, არამედ რაღაც ბრმა ალღომ.

– ეს როგორ შეიძლება მოხდეს? როგორ? – ჩურჩულებდა კამა, რომელიც მას თვალებით ჭამდა და ფეხებს უკოცნიდა.

მან კამა წამოაყენა, მოშორებით დასვა და სიცილით უთხრა:

– მეკითხები, როგორ შეიძლება ეს მოხდესო?., ახლავე აგიხსნი. ჩემი უკანასკნელი მასწავლებელი ერთი მოხუცი ქურუმი იყო, რომელმაც ზეპირად იცოდა ღმერთების, მეფეების, ქურუმების და თვით დაბალი მოხელეებისა და გლეხების ცხოვრების მრავალი საოცარი ის-

ტორია. იგი განთქმული იყო თავისი ღვთისმოსაობით და სასწაულებით, მაგრამ ერთი ახირებული ზნე სჭირდა: რატომღაც ქალები არ უყვარდა და ეშინოდა კიდეც მათი. მოხუცი მუდამ მოგვითხრობდა ქალების ცბიერებაზე და ერთხელ, ნათლად რომ დაემტკიცებინა ქალების ძალაუფლების მთელი გავლენა ადამიანთა მოდგმის მამაკაცთა ნახევარზე, ასეთი რამ მიამბო:

ერთი ახალგაზრდა ღარიბი მწერალი, რომელსაც ტომარაში სპილენძის არც ერთი დებენი არ გააჩნდა და მხოლოდ ქერის ლავაში ჰქონდა ჩადებული, თებედან ქვემო ეგვიპტეში გაემგზავრა საშოვარზე. მას უთხრეს, სახელმწიფოს ამ ნაწილში უმდიდრესი ბატონები და ვაჭრები ცხოვრობენ და, თუ ბედმა გაგიღიმა, შეიძლება ისეთი თანამდებობა მოიპოვო, რომელიც ქონების შეძენის საშუალებას მოგცემსო.

და აი იგი ნილოსის ნაპირზე მიაბიჯებს (გემით მგზავრობისათვის ფული არ გააჩნდა) და ფიქრობს:

„რარიგ ჭკუათხელნი არიან ადამიანები, რომლებმაც მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ტალანტი, ორი ტალანტი, ან ათი ტალანტი და იმის ნაცვლად, რომ თავიანთი ქონება ვაჭრობისა თუ სარგებლის დაგროვებით გაადიდონ, ეშმაკმა უწყის, ფულს რაზე ფლანგავენო. მე რომ დრახმა მაინც გამაჩნდეს... არა, დრახმა ცოტაა. ტალანტი რომ მქონდეს ან, კიდევ უკეთესი, მიწის რამდენიმე პატარა ნაკვეთი, წლიდან წლამდე ფულს დავაგროვებდი და სიბერის ჟამს უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, როგორც უმდიდრესი ნომარქოსი.

მაგრამ რა უნდა ვქნა, – ხვნეშით ესაუბრებოდა იგი თავის თავს, – ღმერთებიც, ალბათ, მხოლოდ სულელებს მფარველობენ. მე კი პარიკიდან შიშველ ტერფებამდე სიბრძნით ვარ აღსავსე.

თუ მაინც შეიძლება ჩემზე ითქვას სულელიაო, ეს მხოლოდ იმ მხრით, რომ მე საკუთარი ქონების გაფლანგვას ვერ შევძლებდი და არც კი მეცოდინებოდა, როგორ უნდა მოახერხოს კაცმა ასეთი უღმერთო საქმის ჩადენა“.

ასე ბჭობდა თავის თავთან ღატაკი მწერალი, როცა ერთ მიწურს მიუახლოვდა. მიწურის წინ ვიღაც კაცი იჯდა, არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ არც მოხუცი ეთქმოდა. მისი გამოხედვა ადამიანს გულში ჩასწვდებოდა. ყარყატივით ბრძენმა მწერალმა მსწრაფლ მოისაზრა,

რომ მის წინაშე უდავოდ რომელიღაც ღმერთია, მოწიწებით თაყვანი სცა და უთხრა:

– სალამი შენდა, ამ მშვენიერი სახლის პატივცემულო მფლობელო, დიდად ვწუხვარ, რომ არც ღვინო და არც ხორცი არ მომეძევება, რომ გიწილადო ნიშნად ჩემი პატივისცემისა და იმის დასამტკიცებლად, რომ მთელი ჩემი ქონება შენ გეკუთვნის.

ამონს[1] – ის იყო ამონი ადამიანის სახით ფრიად მოეწონა ახალგაზრდა მწერლის ასეთი თავაზიანი მიმართვა, ახედ-დახედა და შეეკითხა:

– რაზე ფიქრობდი, როდესაც აქეთ მოდიოდი? სახეზე გატყობ, რომ ბრძენკაცი ხარ. მე კი იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვინც ბრძნული სიტყვებს ისე აგროვებს, როგორც კაკაბი ხორბალს.

მწერალმა ამოიხვნეშა.

– ჩემს უმწეო მდგომარეობაზე ვფიქრობდი, – უპასუხა მან, და იმ ჭკუათხელ მდიდრებზე ვჩიოდი, რომლებმაც თვითონაც არ იციან თავიანთ ქონებას რაზე ფლანგავენ.

– შენ კი არ გაფლანგავდი? – შეეკითხა ღმერთი, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანის სახეს ინარჩუნებდა.

– შემომხედე, ბატონო, – უთხრა მწერალმა, – ფეხთ დაგლეჯილი ჯღანი მაცვია, სანდლები კი გზაში დავკარგე. მაგრამ პაპირუსსა და სამელნეს, როგორც საკუთარ გულს, მუდამ თან ვატარებ. ყოველ ჟამს, ადგომისა და დაწოლისას, ვიმეორებ: „ღატაკის სიბრძნე სჯობია სულელის სიმდიდრეს-მეთქი“. და რაკი ასეთი ვარ, რაკი მაქვს უნარი ჩემი აზრი წერილობით გამოვთქვა და ურთულესი გამოანგარიშება შევასრულო, ვიცნობ ცის ქვეშ არსებულ ყველა მცენარესა და ცხოველს, განა შემიძლია საკუთარი ქონება გავფლანგო?

ღმერთი დაფიქრდა და უთხრა:

– სიტყვები შენი მოჩქეფს მწყობრად, როგორც ნილოსი მემფისთან. თუ კი მართლაც ასეთი ბრძენი ხარ, დამიწერე სიტყვა „ამონი“ ორი წესით.

მწერალმა ამოიღო სამელნე და ფუნჯი და მიწურის კარზე დაუყოვნებლივ დაწერა სიტყვა „ამონი“ ორი წესით, თანაც ისე მკაფიოდ, რომ

[1] ამონი – გაერთიანებული ეგვიპტის უმაღლესი ღვთაება ახალი სამეფოს ეპოქაში.

უენო არსებანიც კი ჩერდებოდნენ, რომ ღმერთისათვის თაყვანი ეცათ.

ღმერთი კმაყოფილი დარჩა და უთხრა:

– თუ შენ ანგარიშშიც ასევე მარჯვე ხარ, როგორც წერ, მაშინ ასეთი სავაჭრო გარიგება გამომიანგარიშე: თუ ერთ კაკაბში ქათმის ოთხ კვერცხს მაძლევენ, რამდენი უნდა მომცენ შვიდ კაკაბში.

მწერალმა კენჭები მოაგროვა, რამდენიმე წყებად დაალაგა და, მზე ჯერაც არ იყო გასული, რომ უპასუხა: შვიდ კაკაბში ქათმის ოცდარვა კვერცხი გერგებაო.

ყოვლის შემძლე ამონს სახე მთლად გაუბრწყინდა ღიმილით, რაკი დარწმუნდა, რომ მის წინაშე ასეთი გამოჩენილი ბრძენი იდგა, და უთხრა:

– ახლა მჯერა, რომ შენი სიბრძნის შესახებ სიმართლეს ამბობდი. თუ ქველმოქმედებაშიც ასეთივე მტკიცე ხარ, მაშინ მე ისე მოვაწყობ, რომ სიკვდილამდე ბედნიერი იქნე, ხოლო მიცვალების შემდეგ შენი ნეშტი შენმა ვაჟებმა ძვირფას სამარხში მოათავსონ. ახლა კი მითხარი, რა გსურს?

მწერალი მოწყალე ღმერთის ფეხებთან დაემხო და უპასუხა:

– მე რომ მხოლოდ ეს ქოხი და ოთხი ზომა მიწა მქონდეს, უკვე მდიდარი ვიქნებოდი.

– კარგი, – უთხრა ღმერთმა, მაგრამ დაფიქრდი, საკმარისი იქნება კი შენთვის ეს?

ღმერთმა მწერალი მიწურში შეიყვანა და ანიშნა:

– აქ დევს ოთხი ჩაჩი და ოთხი წინსაფარი, ორი საბანი ცუდი ამინდებისათვის და ორი წყვილი სანდალი. აქ კერაა, იქ – სკამლოგინი დასაძინებლად, როდინი ხორბლის დასანაყად და ცომის საფუარი.

– ეს რაღაა? – შეეკითხა მწერალი და ღმერთს მიუთითა ტილოჩამოფარებულ რაღაც ქანდაკებაზე.

– ეს ერთადერთი საგანია, – უპასუხა მან, – რომელსაც შენ არ უნდა შეეხო, თორემ მყისვე დაკარგავ მთელ ქონებას.

– ჰოი! – წამოიძახა მწერალმა,– დაე იგი აქ იდგეს ათასი წელი, მე ფიქრადაც არ მომივა მივუახლოვდე და ხელი შევახო. მხოლოდ ნება მიბოძე, მწყალობელო, შეგეკითხო, იქ შორს რა კარმიდამო მოჩანს?

და მან თავი ფანჯარაში გაყო.

– შენ მიხვდი, – უპასუხა ამონმა, – იქ მართლაც მოჩანს კარმიდამო, სადაც დიდი სახლი და ორმოცდაათი ზომა მიწა მდებარეობს, ათი სული საქონელი და ამდენივე მონა იმყოფება, თუ მოისურვებდი ეს კარმიდამო შენ გეკუთვნოდეს... მწერალი ფეხებში ჩაუვარდა ღმერთს.

– განა შეიძლება არსებობდეს მზის ქვეშ ისეთი ადამიანი, – წარმოთქვა მან, – რომელმაც ქერის ლავაშს პური არ ამჯობინოს?

ამონმა შელოცვა წარმოთქვა და თვალის დახამხამებაში. ორივე დიდ სახლში გაჩნდა.

– აი, აქ არის შენთვის, – უთხრა ამონმა, – ჩუქურთმიანი საწოლი, ხუთი მაგიდა და ათი სკამი. აი აქ მოქარგული ტანსაცმელი ჰკიდია და კოკები და ღვინის ფიალები დგას, აქ კიდევ – ლამპრები ზეითუნის ზეთით და ტახტრევანები...

– ეს რაღაა? – შეეკითხა მწერალი და კუთხეში მდგომ ქანდაკებაზე მიუთითა. ქანდაკებას მსუბუქი მარმაში ჰქონდა გადაფარებული.

– ამას, – უპასუხა ღმერთმა, არ შეეხო, თორემ მთელ ქონებას დაჰკარგავ.

– ათი ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, ხელს არ ვახლებ, ვინაიდან, ჩემი აზრით, სიბრძნის შემდეგ ყველაფერს სიმდიდრე სჯობია. მაგრამ აი იქ, შორს, რაღა მოჩანს? – შეეკითხა იგი ცოტა ხნის შემდეგ ღმერთს და ბაღში მდგარ დიდებულ სასახლეზე მიუთითა.

– ეს თავადის მამულია, უპასუხა ღმერთმა, – სადაც ძვირფასი სასახლეა და ხუთასი ზომა მიწა, ასი მონა და რამდენიმე ასი სული საქონელი, იმყოფება. იგი უზარმაზარი მამულია, მაგრამ თუ იმედი გაქვს, რომ შენი სიბრძნე მის მოვლას შეძლებს...

მწერალი კვლავ ჩაუვარდა ფეხებში ღმერთს და სიხარულის ცრემლებად იღვრებოდა.

—ჰოი, მეუფევ! – წამოიძახა მან, – სად გინახავს ისეთი უგუნური ადამიანი, რომელმაც ტოლჩა ლუდს კასრი ღვინო არ ამჯობინოს.

– ბრძენის საფერ სიტყვას ამბობ, ბრძენის, რომელსაც უნარი შესწევს. ურთულესი გაანგარიშება გააკეთოს, – უთხრა ამონმა.

მან შელოცვა წარმოთქვა და ისინი სასახლეში გაჩნდნენ.

აი აქ, – უთხრა მწერალს მოწყალე ღმერთმა, – ნა დიმების დარბა-

ზი გექნება მოოქრული დივნებით, სავარძლებითა და ფერადი ხის პატარა მაგიდებით, ქვემოთ სამზარეულო და საკუჭნაოა, სადაც ხორცი, თევზი და ნამცხვარი ინახება. დასასრულ, შენს ხელთაა საუცხოო ღვინით სავსე სარდაფი. იქ კიდევ საწოლი ოთახია მოძრავი სახურავით, რომ მონებმა ძილის დროს ჰაერი გინიაონ. შეხედე ლიბანის ნაძვისაგან გაკეთებულ ტახტს, რომელიც ეყრდნობა ოსტატურად ჩამოსხმულ ბრინჯაოს ლომის ოთხ თათს. აქვეა ტანისამოსით სავსე კარადა, ზანდუკებში კი იპოვი ბეჭდებს, ძეწკვებსა და სამაჯურებს...

– ეს რაღა არის? – შეეკითხა მწერალი და ქანდაკებაზე . მიუთითა, რომელიც ოქროსა და მეწამული ფერის ძაფებით მოქარგული მარმაშით იყო დაფარული.

– ეს სწორედ ის არის, რასაც შენ საგანგებოდ უნდა გაუფრთხილდე, – უპასუხა ამონმა. – საკმარისია შეეხო, რომ მთელი შენი ქონება გაქრეს. ეგვიპტეში კი ასეთი მამული ბევრი არ მოიპოვება. ამას გარდა, აქვე კოლოფში ინახება ათი ტალანტი ოქროთი და ძვირფასი ქვებით.

– მეუფეო, – წამოიძახა მწერალმა, ნება მიბოძე ამ სასახლეში ყველაზე უფრო გამოსაჩენ ადგილას აღვმართო შენი წმიდა ქანდაკება, რომ შემეძლოს დღეში სამჯერ ვაკმიო მის წინ სურნელება.

– მაგრამ იმას ერიდე! – ერთხელ კიდევ მიუთითა ღმერმა მარმაშჩამოფარებულ ქანდაკებაზე.

– განა გონებას დავკარგავ და იმ გარეულ ღორს დავემგვანები, რომელიც ღვინოს ნარეცხისაგან ვერ არჩევს, უპასუხა მწერალმა. – დეე ეს ქანდაკება იდგეს აქ ასი ათასი წელი. მე მას არ შევეხები, რაკი ასეთია შენი ნება-სურვილი,

– გახსოვდეს, თორემ ყველაფერს დაკარგავ! – წარმოთქვა ღმერთმა და გაუჩინარდა.

ბედნიერმა მწერალმა მხიარულად იწყო სიარული თავის სასახლეში, იცქირებოდა ფანჯრებიდან, ათვალიერებდა საუნჯეთ, ხელით აწონ-დაწონა ოქრო და ფრიად მძიმე ეჩვენა; ახლოდან გასინჯა ძვირფასი ქვები, არც ერთი არ აღმოჩნდა ყალბი. მსახურთ საჭმლის მოტანა უბრძანა; წამსვე მოირბინეს მონებმა, განბან-გაპარსეს და ტანთ ნაზი სამოსი ჩააცვეს. მადიანად მიირთვა საჭმელ-სასმელი, სურნელო-

ვანი საკმეველი უკმია ამონის ქანდაკებას და ცოცხალი ყვავილებით მორთო, მერე დაჯდა ფანჯარასთან და ეზოს თვალიერება დაიწყო,

ეზოში ჭიხვინებდნენ ჩუქურთმიან ეტლში შებმული ცხენები. ადამიანთა ჯგუფი ხელშუბებითა და ბადეებით აკავებდა ურჩი ძაღლების ხროვას, რომლებიც სანადიროდ მიიწევდნენ. ბეღელთან მწერალი ხორბალს იღებდა გლეხებისაგან, მეორე კი ზედამხედველის ანგარიშს ისმენდა. შორით მოჩანდა ზეთის ხილის ჭალა, მაღალი ბორცვი-ვენახით; პურის ყანები, ყანებში კი – სქლად დარგული ფინიკის პალმები.

„ჭეშმარიტად, – ეუბნებოდა მწერალი თავის თავს, – ახლა მდიდარი ვარ და ასეც უნდა ვიყო. მაგრამ ერთი მიკვირს, როგორ შევძელი ამდენი წელი სიღატაკესა და დამცირებაში მეცხოვრა, უნდა გამოვტყდე, – განაგრძობდა იგი ფიქრს, – რომ თვითონაც არ ვიცი, ღირს თუ არა მოვუმატო ასეთ ვეებერთელა სიმდიდრეს, ვინაიდან მეტი მე არც მჭირდება და დროც არ მეყოფა შეძენას ვდიო“.

მას სასახლის დარბაზებში ყოფნა მოსწყინდა და ბაღში გამოვიდა, შემოიარა ყანები, ესაუბრა მსახურთ, რომლებიც მის წინ პირქვე ემხობოდნენ, თუმცა ისე იყვნენ ჩაცმულნი, რომ ჯერ კიდევ გუშინ ჩვენი მწერალი მათს გვერდით დგომას დიდ პატივად ჩათვლიდა. მალე კვლავ უფრო ძლიერი მოწყენილობა დაეუფლა და სასახლეში დაბრუნდა. აქ საუცხოო მორთულობის დათვალიერებას შეუდგა.

„ყველაფერი ეს ლამაზია, – გაიფიქრა მან, – მაგრამ უფრო ლამაზი იქნებოდა ბაჯაღლო ოქროს ავეჯი და ძვირფასი ქვების დოქები“.

თავისდა უნებურად იმ კუთხისკენ გაიხედა, სადაც მდიდრულად მოქარგული მარმაშით ჩამოფარებული ქანდაკება იდგა.

მან შენიშნა, რომ ქანდაკებამ ამოიხვნეშა.

„იხვნეშე, იხვნეშე“, – გაიფიქრა მან, თან საცეცხლური აიღო, რათა ეკმია ამონის ქანდაკებისათვის.

„ეს კეთილი ღმერთია, – განაგრძობდა ფიქრს, რა მშვენიერი მამული მაჩუქა. მართალია, მეც პატივი ვეცი იმით, რომ იმ მიწურის კარზე მისი სახელი დავწერე, და რა კარგად გამოვუანგარიშე, შვიდ კაკაბში ქათმის რამდენი კვერცხი ერგებოდა. მართალი იყვნენ ჩემი დამრიგებლებიც, როცა ამტკიცებდნენ, სიბრძნე ღმერთებსაც კი აიძულებს

ალაპარაკდნენო“.

მან კვლავ გაიხედა კუთხისაკენ. მარმაშჩამოფარებულმა ქანდაკებამ ისევ ამოიხვნეშა.

„მინდა ვიცოდე, ნეტავ რისთვის ამიკრძალა ჩემმა მეგობარმა ამონმა, – ფიქრობდა იგი, – ამ ქანდაკების შეხება. ცხადია, ასეთი მამულის ჩუქებისათვის უფლება ჰქონდა ჩემთვის თავისი პირობები წამოეყენებინა, თუმცა მე ასე არ მოვექცეოდი. თუკი მთელი სასახლე მე მეკუთვნის და თავისუფლად შემიძლია ვისარგებლო ყველაფრით, რაც მასშია, რატომ არ შემიძლია ამ ქანდაკებას შევეხო?.. მან მითხრა, ხელი არ შეახოო, მაგრამ შეხედვა ხომ შეიძლება?!“

იგი ქანდაკებას მიუახლოვდა, ფრთხილად მოხსნა საბური და შეხედა. მის წინ იდგა ულამაზესი არსება, თითქოს ჭაბუკი, მაგრამ არც ჭაბუკი... გრძელი თმა მუხლებამდე სწვდებოდა, სახის ნაკვთები ნატიფი ჰქონდა და თვალთა იერი მომხიბვლელი.

– ვინა ხარ შენ? – შეეკითხა მწერალი ქანდაკებას.

– მე ქალი ვარ, – უპასუხა მან ისეთი ნაზი ხმით, რომ ფინიკიური სატევარივით მოხვდა მის გულს.

„ქალი“? – გაიფიქრა მწერალმა. – ეს ჩემთვის არ უსწავლებიათ ქურუმთა სკოლაში,.. ქალი!.. – გაიმეორა მან.

– აქ რა გაქვს? შეეკითხა იგი ქანდაკებას.

– თვალები.

– თვალები? მერე რას ხედავ ამ თვალებით, რომლებიც პირველი სხივის შეხებისთანავე დადნება?

– თვალები იმისთვის კი არა მაქვს, რომ იმით რამე დავინახო, არამედ შენ იცქირებოდე მათში, – უპასუხა ქალმა.

„საოცარი თვალებია“, – თავისთვის ჩაილაპარაკა მწერალმა და ოთახში გაიარა.

იგი კვლავ შეჩერდა ქანდაკებასთან და შეეკითხა:

– აქ რა გაქვს?

– ეს ჩემი ბაგეებია.

– ჰოი, ღმერთებო! შენ ხომ შიმშილით მოკვდები. განა ასეთი პატარა პირით შეუძლია ადამიანს ძღომისად ჭამოს!

– იგი ჭამისთვის კი არ არის შექმნილი, – უპასუხა ქანდაკებამ, –

არამედ იმისათვის, რათა შენ ჰკოცნო ჩემი ტუჩები.

– ვკოცნო? გაიმეორა მწერალმა, ქურუმთა სკოლაში ჩემთვის არც ეს უსწავლებიათ. ეს რა გაქვს?

– ეს ჩემი პატარა ხელუკებია.

– ხელუკები! კარგია, რომ შენ „ხელები“ არა სთქვი. ასეთი ხელებით ვერაფერს გააკეთებ, ცხვარსაც კი ვერ მოწველი.

– ჩემი ხელუკები სამუშაოდ არ არის გაჩენილი.

– როგორც შენი, კამა, – დაუმატა ბატონიშვილმა, რომელიც ქურუმქალის ნატიფ ხელს ათამაშებდა.

– მაშ რა დანიშნულება აქვს ასეთ ხელებს? – გაოცებით შეეკითხა მწერალი, თან მის თითებს ეთამაშებოდა.

– რომ შენ კისერზე მოგეხვიონ, – უთხრა ქალმა.

– შენ გინდა სთქვა: „კისერში ჩამავლო“! – წამოიძახა შეშინებულმა მწერალმა, რომელსაც ქურუმები ყოველთვის კისერში სტაცებდნენ ხელს, როცა მისი გაწკეპვლა უნდოდათ.

– არა, – კისერში ჩავლება კი არა, – უთხრა ქალმა, – არამედ ასე...

– და მოხვია ხელები, – განაგრძობდა რამზესი, – კისერზე აი ასე... (და მან ქურუმქალის ხელები თავის კისერზე შემოიხვია). შემდეგ კი მკერდზე მიიკრა, აი ასე... (და მიეკრა კამას).

– რას სჩადიხარ, ბატონო ჩემო! – წაიჩურჩულა კამამ,– ეს ხომ ჩემს სიკვდილს მოასწავებს!

– ნუ გეშინია, – უპასუხა მემკვიდრემ, – მე მხოლოდ იმას გიჩვენებ, რა გაუკეთა ქანდაკებამ მწერალს.

„უცებ მიწა შეირყა, სასახლე გაქრა, გაქრნენ ძაღლები, ცხენები და მონები; ვენახით დაფარული გორაკი შიშველ კლდედ იქცა, ზეთისხილის ხეები ნარეკლად და პურეული – ქვიშად...

როცა საყვარლის გულში ჩაკრული მწერალი გამოერკვა, მიხვდა, რომ იგი ისეთივე ღატაკია, როგორიც გუშინ იყო, როცა გზაზე მოდიოდა, მაგრამ დაკარგულ სიმდიდრეზე გული არ სწყდებოდა, რადგან ჰყავდა ქალი, რომელსაც იგი უყვარდა და ეალერსებოდა...“

– მაშ ყველაფერი გაქრა და მხოლოდ ქალიღა დარჩა? – გულუბრყვილოდ წამოიძახა კამამ.

– მოწყალე ამონმა ნუგეშად დაუტოვა, – უპასუხა რამზესმა.

– ოჰ, ამონი მოწყალე მხოლოდ მწერლისადმია! მაგრამ რა აზრია ამ მოთხრობაში?

– გამოიცან. შენ ხომ მოისმინე, ქალის კოცნისათვის რაზე აიღო ხელი საბრალო მწერალმა...

– მაგრამ ტახტზე ხელს არ აიღებდა!

– ვინ იცის! მისთვის რომ ეს ძალიან ეთხოვათ... – ვნებით წაიჩურჩულა რამზესმა.

– ოჰ, არა! – წამოიძახა კამამ, რომელმაც მისი ხვევნისაგან თავი გაითავისუფლა. – ტახტზე ხელს ნუ აიღებს, თორემ რაღა დარჩება მის მიერ ფინიკიისათვის მიცემულ დაპირებათაგან?

ორივე ერთიმეორეს დიდხანს უცქეროდა თვალებში. უცებ მემკვიდრემ იგრძნო, როგორ ჩაიფერფლა მის გულში სიყვარული კამასადმი. არა ვნება, – ვნება დარჩა, არამედ პატივისცემა და ნდობა ჩაიფერფლა.

„გასაოცარნი არიან ეს ფინიკიელი ქალები, – გაიფიქრა მემკვიდრემ, – მათი შეყვარება შეიძლება, მაგრამ მათზე დანდობა – არა“.

რაღაც დაღლილობა დაეუფლა მათ, და მემკვიდრე კამას გამოეთხოვა. გარშემო მიმოიხედა, თითქოს ამ ოთახთან განშორება უჭირსო, და გაიფიქრა:

„შენ მაინც ჩემი იქნები და ფინიკიელთა ღმერთები არ მოგკლავენ, თუ მათთვის ძვირფასია თავიანთი ტაძრები და ქურუმები“.

ვერც კი მოასწრო ბატონიშვილმა კამას სახლიდან გამოსვლა, რომ მის ოთახში შეირბინა ახალგაზრდა ბერძენმა, რომელიც საოცრად წააგავდა ბატონიშვილს. მას სახეზე საშინელი გაშმაგება ეხატა.

– ლიკონ?.. – წამოიძახა შეშინებულმა კამამ. – აქ რა გინდა?

– ფლიდო, არამზადავ! – წამოიძახა ბერძენმა. – ერთი თვეც არ გასულა მას აქეთ, რაც მეფიცებოდი, მიყვარხარ და შენთან ერთად გამოვიქცევი საბერძნეთში და უკვე სხვას ჩამოეკიდე კისერზე!

– ეჭვიანო! შენ მომკლავ კიდეც...

– რასაკვირველია, მოგკლავ! ამ ხელებით გაგგუდავ! ბატონიშვილი! ყველა ეგვიპტელი ქალიშვილი მას ემსახურება, ახლა კიდევ ქურუმქალი მოუნდა. ქურუმქალი ქურუმებისათვისაა და არა გარეშეთათვის...

მაგრამ კამა უკვე გონს მოვიდა.

– და განა შენ გარეშე არა ხარ? – ქედმაღლურად შეეკითხა კამა.

– გველო! – კვლავ აენთო ბერძენი. – მე გარეშე არა ვარ, იმიტომ რომ თქვენს ღმერთებს ვემსახურები და რამდენჯერ დაგეხმარათ ჩემი მსგავსება ეგვიპტის მემკვიდრესთან, რათა მოგეტყუებინათ და დაგერწმუნებინათ აზიელები, რომ ის თქვენს სარწმუნოებას აღიარებს!

– ჩუმად, ჩუმად! – ჩურჩულებდა ქურუმქალი და პირზე ხელს აფარებდა.

– გამიგონე, კამა, – ამ დღეებში სებენიტის ყურეში შემოვა საბერძნეთის ხომალდი ჩემი ძმის მეთაურობით. შეეცადე, უმაღლესმა ქურუმმა ბუტოში წარგზავნოს. იქიდან ჩვენ ჩრდილოეთისკენ, საბერძნეთში გავიქცევით და ისეთ უდაბურ ადგილას შევაფარებთ თავს, სადაც ფინიკიელს ჯერ ფეხი არ დაუდგამს.

– ისინი იქამდეც მიაღწევენ, თუ მე იქ დავიმალები, – უთხრა კამამ.

– აბა გაბედონ და ოდნავ ხელი შეგახონ, – გაბრაზებით ჩაისისინა ბერძენმა, – ვფიცავ, დაგონი... რომ ყველა აქაური ფინიკიელი ამისათვის წუთისოფელს გამოესალმება ან ქვის სამტეხლოებში მოხდება სული! მაშინ გაიგებენ, რა შეუძლია ბერძენს!

– მე კი გეუბნები, ვიდრე ოც ტალანტს არ შევაგროვებ, არსადაც არ წავალ, – უპასუხა ქურუმქალმა. – ამჟამად კი მხოლოდ რვა ტალანტი მაქვს.

– კი, მაგრამ დანარჩენს საიდან ელი?

– დანარჩენს სარგონი და მეფისნაცვალი მომცემენ.

– სარგონზე თანახმა ვარ, მაგრამ ბატონიშვილისაგან ფულის მიღება კი არა მსურს!

– რა ბრიყვი ხარ. ნუთუ არ გესმის, რისთვის მომწონს ტახტის მემკვიდრე? იგი შენს თავს მაგონებს...

ამ შენიშვნამ ბერძენი სავსებით დაამშვიდა.

– ჰო, ჰო, – ბუზღუნებდა იგი, – კარგად მესმის, რომ როდესაც ქალის წინაშე არჩევანია: ტახტის მემკვიდრე თუ ასეთი მომღერალი, როგორიც მე ვარ, დამშვიდებული უნდა ვიყო, მაგრამ ეჭვიანი და ფიცხი ვარ და გთხოვ მოშორებით იყოლიო შენი ბატონიშვილი.

ჭაბუკმა აკოცა ქალს, გავარდა პავილიონიდან და ბაღის სიბნელეში მიიმალა.

– საცოდავო ტაკიმასხარავ! – ჩაიჩურჩულა კამამ, – შენ შეგიძლია მხოლოდ მონა იყო და სიმღერებით დამატკბო.

თავი მეათე

როცა მეორე დილას რამზესი თავისი ვაჟის სანახავად მივიდა, სარა თვალცრემლიანი შეხვდა. რამზესმა ჰკითხა მწუხარების მიზეზი. ქალი ჯერ უარობდა, მაგრამ მერე მის ფეხებთან დაემხო და შეჰღაღადა:

– ბატონო ჩემო! – უთხრა მან. – ვიცი, რომ უკვე აღარ გიყვარვარ; მაგრამ გემუდარები, შენს თავს მაინც გაუფრთხილდი. სახლში წარჩინებული გვარის სამი ახალი ქალიშვილი გყავს, ხოლო მეოთხე... ცბიერი ფინიკიელი ქალის გულისათვის შენს სიცოცხლეს საფრთხეს უმზადებ.

რამზესი შეკრთა. საიდან გაიგო სარამ კამას ამბავი და რომ ის ცბიერია?..

– ბოროტი ხმა ისევე შეიჭრება მყუდრო ოჯახში, როგორც მტვერი შეაღწევს ხოლმე ზანდუკებში, თქვა რამზესმა. – ვინ გიამბო ფინიკიელი ქალის შესახებ?

– განა მე ვიცი? მკითხავმა და ჩემმა გულმა იციან.

– მაშასადამე, აქაც მარჩიელი ურევია?

– დიახ, მე საშინელი წინასწარმეტყველება მოვისმინე, – ერთმა მოხუცმა ქურუმქალმა დაინახა – ალბათ, ბროლის ბურთში, – რომ ჩვენ ყველანი, ყოველ შემთხვევაში მე და ჩემი ვაჟი, დავიღუპებით ფინიკიელი ქალის გულისათვის, – ქვითინით ეუბნებოდა სარა.

– და შენ ვიღაც დედაბრის ზღაპრებს დაუჯერე, რომელიც შეიძლება ინტრიგანიც იყოს?

– მან ეს დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მემფისში მიმკითხავა და აი ახლა ყველანი ლაპარაკობენ ვიღაც ფინიკიელ ქურუმქალზე. ამბობენ, თითქოს, მის ჯადოს რომ არ ემოქმედა, შენ არენაზე არ გადახტებოდი, ხარს ხომ შეეძლო მოეკალი. როგორც კი მომაგონდება, ახ-

ლაც ელდა მეცემა ხოლმე...

– სარა, ყველაფერი ეს სისულელეა! – მხიარულად შეაწყვეტინა რამზესმა. – ვინც ჩემთან დაახლოებულია, ისე მაღლა დგას, რომ არაფრის არ უნდა ეშინოდეს, მით უმეტეს, რაღაც დედაბრული ზღაპრების.

– მაგრამ უბედურება? არ არსებობს ისეთი მაღალი მთა, სადაც უბედურების ისარი არ მისწვდება.

– დედობრივმა მზრუნველობამ მოგქანცა შენ, – უთხრა ბატონიშვილმა, – და სიცხესაც ვერ იტან. დამშვიდდი და მოუარე ჩემს ვაჟს. ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი ფინიკიელი თუ ბერძენი – შეუძლია მხოლოდ თავის მსგავსთ ავნოს და არა ჩვენ, ამქვეყნიურ ღმერთებს.

– რა შუაშია ბერძენი?.. რომელი ბერძენი? – შეშფოთებით შეეკითხა სარა.

– განა მე ბერძენი ვახსენე?.. არ მახსოვს.. შენ კარგად ვერ გაგიგონია.

რამზესმა აკოცა სარასა და ვაჟს და გამოეთხოვა, მაგრამ მის გულს შეჭირვება არ შორდებოდა.

„ერთხელ და სამუდამოდ უნდა გვახსოვდეს, – ფიქრობდა რამზესი, როდესაც სარასგან ბრუნდებოდა, – რომ ეგვიპტეში არავითარი საიდუმლოება არ დაიფარება. თვალყურს მადევნებენ ქურუმები და ჩემი კარისკაცები, მაშინაც კი, როცა მთვრალები არიან, ან თავს მთვრალებად მოგვაჩვენებენ; ხოლო კამას გველურ თვალებს არ აშორებენ ფინიკიელები, და თუ იგი დღემდე ჩემგან არ გადამალეს, ცხადია, მისი სიქალწულე ნაკლებად აწუხებთ. მათ თვითონ გამაცნეს თავიანთ ტაძრებში მოტყუების სისტემა. კამა ჩემი იქნება. ისინი დიდად არიან ჩემით დაინტერესებული და ჩემი რისხვის გამოწვევას ვერ გაბედავენ“.

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონიშვილს ესტუმრა სამხედრო მინისტრის ხერიჰორის თანაშემწე ქურუმი მენტესუფისი. რამზესი, მის ფერმიხდილ სახესა და დახრილ თვალებს რომ უყურებდა, ფიქრობდა, მან უკვე იცის ფინიკიელი ქალის ამბავი და, ალბათ, როგორც ქურუმი, დარიგების მოცემას აპირებსო. მაგრამ მენტესუფისი არ შეხებია მემკვიდრის გულის საიდუმლოს. იგი უფლისწულს ოფიციალური

კილოთი მიესალმა, დაჯდა მითითებულ ადგილას და განაცხადა:

– მარადისობის მეუფეებმა მემფისის სასახლიდან მაცნობეს, რომ ამ დღეებში ბუბასტისში მოვიდა მისი მოწყალების მეფე ტიგლატფილესარის მრჩეველი და კარის ვარსკვლავთმრიცხველი, დიდი ქალდეველი ქურუმი იზდუბარი.

რამზესმა მენტესუფისს კინაღამ არ უთხრა, ვიცი იზდუბარის მოსვლის მიზანიო. მაგრამ თავი შეიკავა.

– სახელოვანმა ქურუმმა იზდუბარმა, განაგრძო მენტესუფისმა, – თან მოიტანა სიგელი, რომლის თანახმად მისი მოწყალების ტიგლატფილესარ მეფის ნათესავი და ნაცვალი ღირსი, სარგონი ჩვენს ქვეყანაში ამ ძლიერი მბრძანებლის სრულუფლებიან. წარმომადგენლად ინიშნება.

რამზესს კინაღამ გაეცინა. მენტესუფისის ზვიადმა სახემ და კილომ, რომლითაც მან მისთვის დიდი ხნიდან უკვე ცნობილი საიდუმლოება გაუმჟღავნა, მეფისნაცვალი მხიარულ გუნებაზე დააყენა. მან ზიზღით გაიფიქრა:

„ამ ოინბაზს აზრადაც არ მოსდის, რომ მე ყველა მათი ოინი ვიცი“.

– ღირსი სარგონი და პატივცემული იზდუბარი, – განაგრძობდა მენტესუფისი, მემფისში წავლენ, რათა მეფეს ფეხთ ემთხვიონ. ხოლო მანამდე შენ, ხელმწიფევ, როგორც მეფისნაცვალმა, კეთილ ინებე და ორივე დიდებული მათი ამალით ღირსეულად მიიღე.

– დიდი სიამოვნებით, – უპასუხა მემკვიდრემ, – თან დროს ვიხელთებ და შევეკითხები, როდის გადაგვიხდის ასირია ვადაგასულ ხარკს?

– სერიოზულად გაქვს განზრახული ასეთი შეკითხვის მიცემა? – შეეკითხა ქურუმი და თვალებში ჩააშტერდა.

– უეჭველად, ჩვენს ხაზინას ოქრო ესაჭიროება.

მენტესუფისი უცებ წამოდგა და ხმადაბლა, მაგრამ მედიდური კილოთი განუცხადა:

– ჩვენი მბრძანებლისა და სიცოცხლის მომნიჭებლის მოადგილევ! მეფის სახელით გიკრძალავ ელაპარაკო ვისმე ასირიელების ხარკის თაობაზე, განსაკუთრებით კი სარგონს, იზდუბარს ან მათი ამალის რომელიმე წევრს.

ბატონიშვილი გაფითრდა.

– ქურუმო, – მიმართა და ისიც ადგა, – რა უფლება გაქვთ, რომ მიბრძანებთ?

მენტესუფისმა ტანსაცმელი ოდნავ გადაიწია და კისრიდან ძეწკვი მოიხსნა, რომელზეც ფარაონის ბეჭედი ბრწყინავდა.

მეფისნაცვალმა ბეჭედს შეხედა, მოწიწებით ეამბორა, დაუბრუნა ქურუმს და მიუგო:

– ვემორჩილები ჩემი ბატონისა და მამის, მეფის ბრძანებას.

ორივე კვლავ თავ-თავის ადგილას დაჯდა. ბატონიშვილი შეეკითხა:

– მაგრამ ამიხსენი, ასირიამ რატომ არ უნდა გადაგვიხადოს ხარკი, რომელიც ერთბაშად გამოიყვანდა გაჭირვებული მდგომარეობიდან ჩვენს სახელმწიფო ხაზინას.

– იმიტომ, რომ იმდენად ძლიერი არა ვართ, – (ცივად უპასუხა მენტესუფისმა, – რომ ვაიძულოთ ასირია ხარკი გადაგვიხადოს. ჩვენ ას ოცი ათასი მეომარი გვყავს. ასირიას კი სამას ათასამდე. ამას გეუბნები როგორც სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეს, და ეს ჩვენს შორის მეტად საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

– მესმის, მაგრამ სამხედრო სამინისტრომ, რომელშიც შენ მსახურობ, სამოცი ათასი კაცით რატომ შეამცირა ჩვენი სახელოვანი ჯარი?

– იმიტომ, რომ თორმეტი ათასი ტალანტით გაედიდებინა სამეფო კარის შემოსავალი, – მიუგო ქურუმმა.

– ნუთუ? – განაგრძობდა მემკვიდრე. – მაშ რა მიზნით მიდის სარგონი ფარაონის ფეხთა სამთხვევად?

– არ ვიცი.

– არ იცი? მაგრამ მე, ტახტის მემკვიდრემ, რატომ არ უნდა ვიცოდეს?

– იმიტომ, რომ არსებობს ისეთი სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც შეიძლება მხოლოდ რამდენიმე უმაღლესმა მოხელემ იცოდეს.

– და რომლის შესახებ შეიძლება ჩემმა დიდად პატივცემულმა მამამაც არ იცოდეს რა?

– უდავოდ, – უპასუხა მენტესუფისმა, – არის ისეთი რამ, რომელიც

შეიძლება მეფემაც არ იცოდეს, თუ იგი ქურუმის უმაღლეს ხარისხში არ იყო ნაკურთხი.

– საოცარი საქმეა, – მცირე დაფიქრების შემდეგ უთხრა რამზესმა. – ეგვიპტე ფარაონს ეკუთვნის და ამისდა მიუხედავად სახელმწიფოში შეიძლება ისეთი საქმეები ხდებოდეს, რომელთა შესახებ ფარაონმა არ იცოდეს რა... ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– ეგვიპტე უწინარეს ყოვლისა, და ამასთან მარტოოდენ და განუყოფლად, ამონს ეკუთვნის, – უპასუხა ქურუმმა, – ამიტომ აუცილებელია, უმაღლესი საიდუმლოება მხოლოდ იმათ იცოდნენ, ვისაც ამონი თავის ნება-სურვილსა და განზრახვას უმჟღავნებს.

ქურუმის ყოველი სიტყვა ცეცხლად ედებოდა რამზესს.

მენტესუფისმა ადგომა დააპირა, მაგრამ ბატონიშვილმა შეაჩერა.

– ერთი სიტყვა კიდევ, – რბილად უთხრა მან, – თუ ეგვიპტე ისე უძლურია, რომ ასირიელების ხარკის ხსენებაც კი არ შეიძლება, თუ... – რამზესმა მძიმედ ამოისუნთქა.

– ... თუ იგი არარაობაა და უბადრუკი, სად არის იმის გარანტია, რომ ასირიელები თავს არ დაგვესხმიან?

– ამისგან თავის დაზღვევა ჩვენ ხელშეკრულებით შეგვიძლია, – უპასუხა ქურუმმა.

მემკვიდრემ ხელი ჩაიქნია.

– უძლურს ხელშეკრულება ვერას უშველის, უთხრა მან, – ვერავითარი ვერცხლის დაფები მათზე დაწერილი ხელშეკრულებებით ვერ დაიცავენ გაუმაგრებელ საზღვრებს.

– მერე ვინ მოახსენა თქვენს უმაღლესობას, რომ საზღვრებზე მცველები არ გვიდგანან?

– შენ თქვი, ას ოცმა ათასმა მეომარმა. სამასი ათასის წინაშე ქედი უნდა მოიხაროსო. თუ ასირიელები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ, ეგვიპტე უდაბნოდ გადაიქცევა.

მენტესუფისს თვალები აენთო.

– თუ ისინი ჩვენს ქვეყანას შემოესევიან, მთელ აზნაურობას, გლეხობასა და თვით ქვის სამტეხლოებში მომუშავე ბოროტმოქმედთაც კი შევაიარაღებთ... – თქვა მან, – ყველა ტაძრიდან გამოვიღებთ საუნჯეთ... და ასირიის წინააღმდეგ გამოვა ხუთასი ათასი ეგვიპტელი მე-

ომარი...

რამზესი აღტაცებაში მოიყვანა ქურუმის ასეთმა პატრიოტულმა აღტყინებამ, ხელი სტაცა და უთხრა:

– თუ ჩვენ ძალგვიძს ასეთი ჯარი შევქმნათ, მაშ რატომ თვითონ არ უნდა დავესხათ თავს ბაბილონს? განა დიდი სარდალი ნეიტიკერი უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ამას არ გვემუდარება? განა მეფეს არ აშფოთებს ასირიელების საომარი განწყობილება? თუ მათ საშუალებას მივცემთ შემოიკრიბონ ძალები, მაშინ ბრძოლა უფრო ძნელი იქნება, ხოლო თუ ჩვენ თვითონ დავიწყებთ...

– მოგეხსენება, ბატონიშვილო, – შეაჩერა ქურუმმა იგი, – რას წარმოადგენს ომი, რომლისთვისაც უდაბნოზე გავლაა საჭირო? ვინ იქნება თავდები, რომ ვიდრე ევფრატამდე მივალთ, ჩვენი ჯარისა და ტვირთმზიდავების ნახევარი არ დაიღუპება გაუვალი გზის სიძნელეთა გამო?

– ერთი ბრძოლა – და დანაკლისს ავინაზღაურებთ! წამოიძახა რამზესმა.

– ერთი ბრძოლა? – გაიმეორა ქურუმმა, – და შენ იცი, ხელმწიფევ, რას ნიშნავს ეს ერთი ბრძოლა?

– ვფიქრობ, ვიცი, – ამაყად უპასუხა ბატონიშვილმა და ხელი მახვილს დაჰკრა.

მენტესუფისმა მხრები აიჩეჩა.

– მე კი გეუბნები, ხელმწიფევ, რომ არ იცი, რა არის ბრძოლა. შენ მსჯელობ მანევრების მიხედვით, რომლებშიც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიხარ, თუმცა ზოგჯერ დამარცხებული უნდა გამოსულიყავი. ამიტომ შენ ომზე სრულიად დამახინჯებული წარმოდგენა შეგექმნა.

ბატონიშვილმა წარბები შეიკრა. ქურუმმა ხელი უბეში ჩაიდო და შეეკითხა:

– აბა გამოიცან, რა მაქვს ხელში?

– რაო? – გაკვირვებით შეეკითხა რამზესი.

– სთქვი მსწრაფლ და შეუცდომლად, – აჩქარებდა ქურუმი, თუ შესცდები, – ორი ჩვენი პოლკი დაიღუპება.

– ბეჭედი, – სიცილით უპასუხა მემკვიდრემ.

მენტესუფისმა ხელისგული გაშალა და მასში პაპირუსის ნაჭერი აღმოჩნდა.

– აბა ახლა რა მიკავია ხელში? – კვლავ შეეკითხა ქურუმი.

– ბეჭედი.

– არა, ღმერთქალის ხატორის ავგაროზი, – უთხრა ქურუმმა. – ხომ ხედავ, ბატონიშვილო, – განაგრძობდა ის, – ასევეა ბრძოლაშიც: ბრძოლის დროს ბედისწერა ყოველ წუთს გვიშვერს ხელს და გვეკითხება, გამოიცანით, რა მაქვს მასშიო. ზოგჯერ ვცდებით, ზოგჯერ კი სწორად გამოვიცნობთ; და ვაი იმას, ვინც ხშირად ცდება! მაგრამ ასჯერ მეტად სავალალოა ის, ვისაც ბედმა ზურგი შეაქცია და მხოლოდ ცდება.

– სულ ერთია, ასირია მაინც შემუსრილ უნდა იქნას! – წამოიძახა მემკვიდრემ. – მე ასე მსურს და ეს მჯერა!

– დეე შენი პირით თვითონ ღმერთი ამონი ღაღადებდეს! – უთხრა ქურუმმა...

– ასეც იქნება, – დაუმატა მან, – შეიძლება ასირიის დიდება შენივე გულმოდგინებით დაეცეს, ბატონო, მაგრამ არა ახლა... არა ახლა...

მენტესუფისი წავიდა, ბატონიშვილი მარტო დარჩა. მის სულსა და გულში ცეცხლი გიზგიზებდა.

„ხირამი კი ნამდვილად მართალი იყო, როცა მეუბნებოდა, ქურუმები გვატყუებენო, ფიქრობდა რამზესი. ახლა მეც დარწმუნებული ვარ, რომ მათ ქალდეველ ქურუმებთან რაღაც ხელშეკრულება დადეს, რომელიც ჩემმა უწმინდესმა მამამ უნდა დაამტკიცოს. მას აიძულებენ... საშინელებაა. ის ცოცხალთა და მკვდართა მეუფე, იძულებულია ხელი მოაწეროს ინტრიგანების მიერ შეთხზულ ხელშეკრულებას!“

რამზესს სული ეხუთებოდა.

„მეორე მხრივ მენტესუფისს ბევრი რამ წამოსცდა. მაშასადამე, ეგვიპტეს მართლაც შეუძლია, საჭიროების დროს, ნახევარმილიონიანი ჯარი გამოიყვანოს! მე ასეთ ძალაზე ოცნებაც კი არ შემეძლო! ისინი კი ფიქრობენ შემაშინონ არაკებით ბედისწერაზე, რომელიც რაღაც გამოცანებს მომცემს. მე რომ ბერძენთა და ლიბიელთა პოლკების დარად გაწვრთნილი ორასი ათასი მეომარი მაინც მყავდეს, ცისა და მიწის ყველა გამოცანას გამოვიცნობდი“.

ღირსპატივცემული მენტესუფისი კი სენაკში დაბრუნებისას თავის თავს ესაუბრებოდა:

„ფიცხია, ავანტიურისტი, მუსუსი, მაგრამ ძლიერი ხასიათი კი აქვს. ისეთი სუსტი ნების ფარაონის შემდეგ, როგორიც ახლანდელია, ეს თითქოს რამზეს დიდის დროს დაგვიბრუნებს. ათი წლის შემდეგ ვარსკვლავთა ბოროტი გავლენა შეწყდება, ბატონიშვილი მოწიფულობაში გადავა და ასირიას შემუსრავს. ნინევიისაგან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩება, წმიდა ბაბილონი აღიდგენს თავის ძლიერებას, ერთიანი უზენაესი ღმერთი, ეგვიპტელი და ქალდეველი წინასწარმეტყველების ღმერთი, თავის ხელისუფლებას განავრცობს ლიბიის უდაბნოდან საღვთო მდინარე განგამდე...

ოღონდაც ღამღამობით ფინიკიელ ქურუმქალთან სეირნობით სახელი არ გაიტეხოს ჩვენმა ახალგაზრდა ბატონიშვილმა... თუ აშტორეტის ბაღში წააწყდნენ, ხალხი იფიქრებს, ტახტის მემკვიდრე ფინიკიელთა სარწმუნოებისაკენ იხრებაო... ქვემო ეგვიპტეს ბევრი კი არ უნდა, რომ ძველ ღმერთებს ზურგი შეაქციოს! აქ ხალხთა ისეთი ნარევია!..“

რამდენიმე დღის შემდეგ დიდად პატივცემულმა სარგონმა ბატონიშვილს ოფიციალურად აცნობა, რომ იგი მოვლინებულია ელჩად, სურს პირადად მიესალმოს ტახტის მემკვიდრეს, და სთხოვდა დაენიშნა მისთვის ბადრაგა, რომელიც სათანადო პატივით გააცილებდა ფარაონის სასახლეში.

რამზესმა პასუხი ორი დღით დაუგვიანა, მერე მიღება დაუნიშნა, მაგრამ კიდევ ორი დღით გადადო.

ასირიელს კი, რომელიც როგორც მოგზაურობაში, ისე საქმეში აღმოსავლურ აუჩქარებლობას იყო ჩვეული, სრულებით არ სწყენია მემკვიდრის საქციელი და დროს მხიარულად ატარებდა. დილიდან საღამომდე ღვინოს სვამდა, ხირამსა და სხვა აზიელ მთავრებს ყომარს ეთამაშებოდა, ხოლო თავისუფალ დროს რამზესივით ისიც კამასთან იჩქაროდა ფარულად.

როგორც ხანში შესულსა და გამოცდილ კაცს, ქურუმქალთან ძვირფასი საჩუქრები მიჰქონდა, ხოლო თავის გრძნობას მისდამი ასე გამოთქვამდა:

– რას უზიხარ, კამა, ამ ბუბასტისში და რას ილევი? ვიდრე ახალგაზრდა ხარ, მოგწონს აშტორეტის ტაძარში სამსახური, მაგრამ მოხუცდები და ინანებ. შემოგაცლიან ძვირფას ტანსაცმელს, შენს ადგილას ახალგაზრდას აიყვანენ და იძულებული იქნები მარჩიელი ან ბებიაქალი გახდე. – მე კი, – განაგრძობდა სარგონი, – ღმერთებს რომ მშობლების ცოდვისათვის ქალად გავეჩინე, უფრო მშობიარედ ყოფნას ვისურვებდი, ვიდრე ბებიაქალად. ამიტომ, როგორც გამოცდილი ადამიანი, გირჩევ: თავი დაანებე შენს ტაძარს და ნასად გამომყევი. შენთვის გავიღებ ათ ოქროს ტალანტს, ორმოც ძროხასა და ას საწყაო ხორბალ – და კმარა კიდეც. ქურუმები, რასაკვირველია, პირველად ყვირილს ატეხენ, რომ ეს ცოტაა და რომ ღმერთები მათ დასჯიან, მაგრამ მე არც ერთ დრახმას არ მოვუმატებ, შეიძლება მხოლოდ ორიოდე ცხვარი მივუგდო. მაშინ ისინიც სადღესასწაულო პარაკლისს გადაიხდიან და ღვთაებრივი აშტორეტი კარგი ოქროს ძეწკვისა და ორთომელისათვის ყველა აღთქმისაგან გაგანთავისუფლებს.

ამ სიტყვებს რომ ისმენდა, კამა ტუჩებს იკვნეტდა და სიცილს ძლივს იკავებდა.

– ხოლო ჩემთან, ნინევიაში რომ წამოხვალ, – განაგრძობდა ის, – წარჩინებული ქალბატონი შეიქნები. გაჩუქებ სასახლეს, ცხენებს, ტახტრევანებს, მხევლებსა და მონებს. ერთ თვეში უფრო მეტ სურნელებას გადაისხამ თავზე, რამდენსაც ერთი წლის განმავლობაში თქვენს ღმერთქალს სწირავენ. ვინ იცის, ეგებ მეფე ტიგლატფილესარსაც მოეწონო და თავის ჰარამხანაში წაგიყვანოს. მაშინ შენც ბედნიერი გახდები და მეც ავინაზღაურებ შენზე დანახარჯს.

სარგონის სადარბაზოდ წვევის დღეს მემკვიდრის სასახლის წინ ეგვიპტის ჯარი ჩამწკრივდა და სანახაობებს დახარბებულმა მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი.

შუადღის მოახლოებისას საშინელ პაპანაქებაში გამოჩნდნენ ასირიელები. წინ მახვილებითა და კეტებით შეიარაღებული პოლიციელები მოუძღოდნენ, მათ რამდენიმე შიშველი მალემსრბოლი და სამი ცხენოსანი მოსდევდა. ორი მათგანი მებუკე იყო, მესამე კი მაცნე. მებუკეები ყოველ კუთხესთან ჩერდებოდნენ და სიგნალს უკრავდნენ, რის შემდეგ მაცნე ხმამაღლა გაჰყვიროდა:

– აი გვიახლოვდება. ძლევამოსილი ტიგლატფილესა მეფის სრულუფლებიანი ელჩი და ნათესავი სარგონი, დიდი მამულების ბატონი, ბრძოლებში გამარჯვებული, მრავალი პროვინციის მბრძანებელი. ხალხო, მიუზღეთ მას ჯეროვანი პატივი, როგორც ეგვიპტის მეუფის, ფარაონის მეგობარს!

მებუკეების უკან ორი ათეული ასირიელი მხედარი მოდიოდა, რომელთაც თავზე წოწოლა ქუდები ეხურათ, ტანთ მოკლე ქურთუკები და მჭიდროდ შემოტმასნილი შარვლები ეცვათ. მათ ბანჯგვლიან, მაგრამ გამძლე ცხენებს თავ-მკერდი დაცული ჰქონდათ თევზის ქერეჭის მინაგვარი სპილენძის ჯავშნით.

მხედრებს უკან მოაბიჯებდა მუზარადებსა და ერთობ გრძელ ლაბადებში გამოწყობილი ქვეითი ჯარი. ერთი რაზმი მძიმე კომბლებით იყო შეიარაღებული მეორე – მშვილდებით, მესამე – შუბებითა და ფარებით ამას გარდა, ყველას ჰქონდა მახვილები და ეცვა თორი.

მეომრების უკან მოიწევდნენ ცხენები, ეტლები, სარგონის ტახტრევანი და წითელ, თეთრსა და მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი მსახურები. შემდეგ გამოჩნდა ზურგზე კარვებშედგმული ორი სპილო, ერთზე იჯდა სარგონი, მეორეზე – ქალდეველი ქურუმი იზდუბარი.

პროცესიის ბოლოში მოდიოდნენ ქვეითი და ცხენოსანი მეომრები და ასირიული ორკესტრი ყურთასმენის წამღები საყვირებით, დაფებით, სპილენძის წინწილებითა და სალამურებით.

ოთხივე მხარეს ღია დარბაზში ელჩს ელოდა ტახტის მემკვიდრე. მას გარს ერტყნენ ბრწყინვალე მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქურუმები, სამხედრო მეთაურები და წარჩინებული პირები. რამზესი მხიარულ გუნებაზე იყო, რადგან იცოდა, რომ ასირიელებს თან ძვირფასი ძღვენი მოჰქონდათ, რაც ეგვიპტელებს შეეძლოთ ხარკად ჩაეთვალათ. მაგრამ, მაცნეს ომახიანი ხმა რომ გაიგონა, რომელიც სარგონის ძლიერებას აქებდა, ბატონიშვილი მოიღუშა. ხოლო, როდესაც ის სიტყვები მოისმინა, რითაც მეფე ტიგლატფილესარს ეგვიპტის მეგობრად აცხადებდნენ, უცებ აღშფოთდა. გააფთრებული ხარივით გაუფართოვდა ცხვირის ნესტოები და თვალებიდან რისხვის ნაპერწკლები წამოყარა. ეს რომ დაინახეს, სამხედრო პირები და აზნაურები მოიღუშნენ და ხმლის ვადას ჩასჭიდეს ხელი. წმიდა მენტესუ-

ფისმა შენიშნა მათი უგუნებობა და ხმამაღლა განაცხადა:

– ფარაონის სახელით ვუბრძანებ აზნაურებსა და სამხედრო მეთაურთ, ღირს სარგონს ისეთი პატივით შეხვდნენ, როგორც ეს დიდი მეფის ელჩს შეშვენის.

ტახტის მემკვიდრემ წარბები შეიკრა და ნერვული სიარული იწყო ფიცარნაგზე, სადაც მისი სავარძელი იდგა. მაგრამ დისციპლინას მიჩვეული აზნაურები და სამხედრო პირები გაყუჩდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სამხედრო მინისტრის თანაშემწე მენტესუფისთან ხუმრობა ცუდია.

ამასობაში ეზოში ნახევრადშიშველი მარდი ეგვიპტელი მეომრების გასწვრივ სამ რიგად ჩამწკრივდნენ მძიმე ტანსაცმელში გახვეული ტანადი ასირიელი ჯარისკაცები. ორივე მხარე ერთიმეორეს ისე უცქეროდა, როგორც ვეფხვების ხროვა მარტორქების ჯოგს. როგორც ერთთა, ისე მეორეთა გულში მრავალსაუკუნოვანი სიძულვილი ღვიოდა, მაგრამ დისციპლინა ერეოდა სიძულვილს.

ეზოში მძიმედ შემოვიდნენ სპილოები, აღრიალდა ეგვიპტური და ასირიული საყვირები, მეომრებმა იარაღი მაღლა ასწიეს, ხალხი პირქვე დაემხო და ასირიელი დიდებულები სარგონი და იზდუბარი – ტახტრევანებიდან ჩამოვიდნენ.

ბატონიშვილი ჩაჯდა დარბაზში საჩრდილობელის ქვეშ ამაღლებულ ადგილას დადგმულ სავარძელში. შესასვლელთან მაცნე გამოჩნდა.

– ყოვლადუღირსესო ხელმწიფევ! – მიმართა მან მეფისნაცვალს, – დიდი მეფის ტიგლატფილესარის სრულუფლებიან ელჩს უბრწყინვალეს სარგონს და მის თანამგზავრს ღვთისმოსავ წინასწარმეტყველ იზდუბარს სურთ მოგესალმონ და პატივი მოგაგონ შენ, ფარაონის ცოცხლობდეს იგი მარად! – მოადგილესა და მემკვიდრეს.

– სთხოვე წარჩინებულ დიდებულთ შემობრძანდნენ და თვისი მობრძანებით ჩემი გული გაახარონ, – უპასუხა ტახტის მემკვიდრემ.

იარაღისა და აბჯრის ჟღარუნით დარბაზში შემოვიდა სარგონი გრძელ მწვანე მოსასხამით, რომელიც სქლად იყო ოქროთი მოქარგული. მის გვერდით დინჯად მოაბიჯებდა თოვლივით თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ღვთისმოსავი იზდუბარი; მათ უკან წარჩინე-

ბულ ასირიელებს ბატონიშვილისათვის განკუთვნილი საჩუქრები მოჰქონდათ.

სარგონი მიუახლოვდა ამაღლებულ ადგილს, სადაც მეფისნაცვალი იჯდა, და ასირიულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც იქვე გაიმეორა ეგვიპტურად თარჯიმანმა:

– მე, სარგონი, სარდალი, მეფისნაცვალი და ნათესავი ძლევამოსილი ტიგლატფილესარ მეფისა, გამოვცხადდი, რათა მოგესალმო შენ, ძლევამოსილი ფარაონის მოადგილევ, და მუდმივი მეგობრობის ნიშნად მოგართვა ძღვენი...

ტახტის მემკვიდრეს ხელები მუხლებზე დაეწყო და უძრავად იჯდა, როგორც მისი მეფური წინაპრების ქანდაკება.

– ალბათ, ცუდად გადაეცი ბატონიშვილს ჩემი პატივისცემითი მისალმება? – შეეკითხა თარჯიმანს სარგონი.

რამზესის გვერდით მდგომი მენტესუფისი მისკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა:

– ხელმწიფევ, ღირსი სარგონი თქვენს მოწყალე პასუხს ელის...

– მაშ შენ თვითონ უპასუხე, ჩაულაპარაკა რამზესმა და მთლად აენთო, – რომ მე არ მესმის, რა უფლებით მელაპარაკება როგორც თანასწორს.

მენტესუფისი შეკრთა, რამაც ბატონიშვილი კიდევ უფრო გააჯავრა, მას ტუჩები უთრთოდა და თვალები უელავდა. ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა იზდუბარმა, რომელსაც ეგვიპტური ესმოდა, და საჩქაროდ წასჩურჩულა სარგონს:

– პირქვე დავემხოთ!

– რატომ უნდა დავემხო პირქვე? – აღშფოთებით იკითხა მან.

– დაემხე, თუ არ გსურს ჩვენი მეფის წყალობა დაკარგო და თვით საკუთარი თავიც...

ეს რომ უთხრა, იზდუბარი მთელი სიგრძით განერთხო იატაკზე – მას სარგონმაც წაბაძა.

– რატომ უნდა ვხოხავდე მუცლით ამ ძუძუმწოვრის წინაშე? – ბუზღუნებდა აღშფოთებული სარგონი.

– იმიტომ, რომ ის მეფისნაცვალია, – უპასუხა იზდუბარმა.

– მე კი ჩემი მეფის ნაცვალი არა ვარ?

– კი, მაგრამ ის მეფე იქნება, შენ კი არა,

– რაზე დაობენ ძლევამოსილი ტიგლატფილესარ მეფის ელჩები? – ჰკითხა თარჯიმანს ელჩების მორჩილებით კმაყოფილმა ბატონიშვილმა.

– ისინი ბჭობენ, გიჩვენონ თუ არა ფარაონისადმი წარმოგზავნილი ძღვენი, თუ მხოლოდ შენდამი მორთმეული საჩუქრები გამოაჩინონ, – მოსწრებულად უპასუხა გონებამახვილმა თარჯიმანმა.

– მე მსურს მიჩვენოთ ჩემი ღვთაებრივი მამისადმი განკუთვნილი ძღვენი, – უთხრა მემკვიდრემ და დაუმატა: – ნებას ვაძლევ ელჩებს ზეზე წამოდგნენ.

ბრაზისა და გაჭიმვით წოლისაგან მთლად გაწითლებული სარგონი წამოდგა, ფეხებმოკეცით დაჯდა იატაკზე და საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვა:

– არ მეგონა, თუ მე, დიდი ტიგლატფილესარის სრულუფლებიან ელჩსა და ნათესავს, ეგვიპტის მეფისნაცვლის იატაკის მტვრის მოწმენდა მომიხდებოდა!

მენტესუფისმა, რომელმაც ასირიული იცოდა, რამზესის დაუკითხავად ბრძანა მოეტანათ ორი ნოხგადაფარებული სკამი, რომლებზეც დასხდნენ მძიმედ მსუნთქავი სარგონი და დამშვიდებული იზდუბარი.

სარგონმა სული მოითქვა, მერე მხლებლებს უბრძანა მოეტანათ მინის დიდი ფიალა და ფოლადის მახვილი, პარმაღთან მოეყვანათ მოოქრულ აკაზმულობით მორთული ორი ცხენი. როდესაც მისი ბრძანება შესრულებულ იქნა, წამოდგა და თავდაკვრით მიმართა რამზესს:

– ბატონო ჩემო, ტიგლატფილესარ მეფე გიგზავნის შენ, მეფისწულო, ორ კარგ ცხენს და გისურვებს, მათ მხოლოდ გამარჯვების გზაზე გატარონ, გიგზავნის ფიალას, რომლიდანაც შენს გულში დეე მხოლოდ მხიარულება ჩქეფდეს, და მახვილს, რომლის მსგავსი, ჩემი ძლევამოსილი მბრძანებლის საჭურველხანის გარდა, არსად მოიპოვება.

მან ქარქაშიდან იშიშვლა საკმაოდ გრძელი ხმალი, რომელიც ვერცხლისებრ ბრწყინავდა, და იწყო მოღუნვა. ხმალი მშვილდივით მო-

იღუნა და ერთბაშად გაიშალა.

– სწორედ მშვენიერი იარაღია! – წამოიძახა რამზესმა.

– თუ ნებას მომცემ, მეფისნაცვალო, მე კიდევ მის ერთ ღირსებას გიჩვენებ, – უთხრა სარგონმა, რომელსაც გულისწყრომა უკვე დაუცხრა, როდესაც შემთხვევა მიეცა დაეკვეხნა ასირიული იარაღით, რომლის თანაბარი იმ დროს არსად მოიძებნებოდა.

მისი წინადადებით ერთმა ეგვიპტელმა ოფიცერმა ქარქაშიდან იძრო ბრინჯაოს ხმალი და აღმართა, როგორც თავდასხმის დროს. სარგონმა გაუქნია მას ფოლადის მახვილი და სწრაფი დარტყმით შუაზე გადაჭრა მოპირდაპირის ხმალი, დარბაზში გაოცებული ადამიანების ჩოჩქოლი ატყდა. რამზესს სახე აეტკიცა.

„ამ უცხოელმა, – გაიფიქრა ტახტის მემკვიდრემ, – დამასწრო ხარების ბრძოლაზე, ცოლად შერთვას უპირებს კამას და ახლა ჩემს წინაშე ტრაბახობს იმ იარაღით, რომელიც ჩვენს მახვილებს ნაფოტივით ჭრის“.

და მან უფრო ღრმა სიძულვილი იგრძნო ტიგლატფილესარ მეფის, საერთოდ ყველა ასირიელისა და განსაკუთრებით სარგონის მიმართ.

მაგრამ რამზესი შეეცადა თავი შეეკავებინა და სთხოვა ელჩებს ფარაონის სახელზე გამოგზავნილი ძღვენი ეჩვენებინათ.

მაშინვე მოუტანეს სურნელოვანი ხისაგან გაკეთებული უზარმაზარი ყუთები, საიდანაც ასირიელმა უმაღლესმა მოხელეებმა არშიებიანი ქსოვილების, ფიალების, დოქების, ფოლადის იარაღის, ჯიხვის რქების მშვილდების, მოოქრული თორების და ძვირფასი ქვებით შემკული აბჯრებისა და ფარების ამოლაგება იწყეს.

მაგრამ ყველაზე მშვენიერი საჩუქარი ვერცხლისა და ოქროსაგან ჩამოსხმული ტიგლატფილესარ მეფის სასახლის მოდელი იყო. სასახლე წარმოადგენდა ოთხიარუსიან შენობას. იარუსები ერთიმეორეზე მცირე იყო, სვეტებშემოვლებულს სახურავის ნაცვლად ყათარები ჰქონდა. ყველა შესავალს ლომები და ადამიანისთავიანი ფრთოსანი, ხარები იცავდნენ. კიბის ორივე მხარეს იდგა ქანდაკება, რომლებიც დამარცხებულ მბრძანებელთ განასახიერებდნენ ძღვენითურთ, ხოლო ხიდის ორივე მხარეს იდგნენ ცხენების სხვადასხვანაირი გა-

მოსახულებანი. სარგონმა გადასწია მოდელის ერთი კედელი და მდიდრულად მოწყობილი ოთახები გამოჩნდა. განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია მისაღებმა დარბაზმა მაღალ ტახტზე მჯდომი მეფის, კარისკაცების, მეომრებისა და მეფის წინაშე მორჩილად თავდახრილ უცხო მბრძანებელთა პატარა ფიგურებით. მოდელი სიმაღლით ერთი კაცის, ხოლო სიგრძით ორი კაცის ოდენა იყო. ამბობდნენ, რომ ასირიის მეფის მარტო ეს საჩუქარი ას ორმოცდაათი ტალანტი ღირსო.

ყუთები გაიტანეს და ბატონიშვილმა ორივე ელჩი და მათი ამალა საპარადო სადილზე მიიწვია, რომლის დროს სტუმრებმა ძვირფასი საჩუქრები მიიღეს. რამზესმა ისეთი გულუხვი მასპინძლობა გამოიჩინა, რომ როდესაც სარგონს სასახლის ერთი ქალი მოეწონა, მან ის ელჩს აჩუქა – რასაკვირველია, დედამისისა და თვითონ ქალის ნებართვით. მეფისწული თავაზიანი და გულუხვი იყო, მაგრამ მის სახეს ჭმუნვა არ შორდებოდა. თუტმოსის შეკითხვაზე, მოგეწონა თუ არა ტიგლატფილესარ მეფის სასახლე, მან უპასუხა:

– ჩემთვის ის უფრო მშვენიერი იქნებოდა ნანგრევებად მეხილა ნინევიის ნახანძრალზე.

ნადიმზე ასირიელები ფრიად თავდაჭერილები იყვნენ: ღვინის სიუხვის მიუხედავად, ცოტას სვამდნენ. სარგონს ერთხელაც არ გაუღიმია და, ფიქრებში წასული, ნახევრად თვალებდახუჭული იჯდა.

ორივე ქურუმი – ქალდეველი იზდუბარი და ეგვიპტელი მენტესუფისი, – რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ მომავლის შეცნობა და გამგებლობა, მშვიდად იჯდა.

თავი მეთერთმეტე

ტახტის მემკვიდრესთან დარბაზობის შემდეგ სარგონი, მემფისიდან ფარაონის წერილის მოლოდინში, კიდევ კარგა ხანს ცხოვრობდა ბუბასტისში. ოფიცრებსა და აზნაურებში კვლავ უცნაური ხმები ვრცელდებოდა.

ფინიკიელები მეტად საიდუმლოდ ყვებოდნენ, რომ ქურუმებმა, არავინ უწყის რატომ, ასირიას, არათუ აპატიეს გადაუხდელი ხარკი,

არამედ სამუდამოდ გაათავისუფლეს მისგან და ჩრდილოეთ მეზობელთან ომის წარმოების შესამსუბუქებლად მასთან მრავალი წლით სამშვიდობო ხელშეკრულება დადესო.

– ფარაონის ჯანმრთელობა, – ამბობდნენ ფინიკიელები, – კიდევ უფრო გაუარესდა, როცა გაიგო ბარბაროსებისადმი დათმობების ამბავი; დიდად ნაწყენია ამ ამბით ტახტის მემკვიდრეც, მაგრამ მამაც და შვილიც იძულებული არიან დაემორჩილონ ქურუმების კარნახს, რადგან ჯარისა და აზნაურების ერთგულებაში არ არიან დარწმუნებულიო.

ასეთი ხმები ყველაზე მეტად ეგვიპტის არისტოკრატიას აშფოთებდა.

– როგორ, – ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს ვალებში ჩაფლული აზნაურები, – დინასტია უკვე აღარ გვენდობა? ჩანს, ქურუმებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ეგვიპტე შერცხვენასა და განადგურებამდე მიიყვანონ. თუკი ასირია სადღაც შორეულ ჩრდილოეთში ომობს, მას სწორედ ახლა უნდა დავესხათ თავს და მოპოვებული ნადავლის დახმარებით შევავსოთ გაღატაკებული სამეფო ხაზინა და გავაუმჯობესოთ არისტოკრატიის მდგომარეობა.

ზოგიერთმა ახალგაზრდამ გაბედა და მემკვიდრეს ჰკითხა, რას ფიქრობდა ასირიელ ბარბაროსებზე. ბატონიშვილმა უპასუხოდ დატოვა ეს შეკითხვა, მაგრამ მისი თვალების ელვარება და მოკუმული ტუჩები სიტყვაზე უფრო მჭევრმეტყველურად გამოხატავდნენ მის გრძნობას.

– უდავოა, – განაგრძობდნენ ჩურჩულს წარჩინებული ბატონები, – დინასტია ქურუმებს ჰყავს შებოჭილი, ის აზნაურობას არ ენდობა და ეგვიპტეს ახლო მომავალში დიდი უბედურება ემუქრება...

ამ ყრუ აღშფოთებამ მალე ფარული თათბირების, თითქმის შეთქმულების ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მათში ადამიანთა დიდი რაოდენობა მონაწილეობდა, გულდაჯერებული თუ დაბრმავებული ქურუმები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. სარგონი კი, მართალია, ამ სიძულვილს ამჩნევდა, მაგრამ მნიშვნელობას არ აძლევდა.

იგი მიხვდა, რომ რამზესს ის არ უყვარს, ხოლო ამას ცირკში მომ-

ხდარ შემთხვევასა და განსაკუთრებით ეჭვიანობას მიაწერდა. როგორც ელჩი, ის თავის ხელშეუხებლობაში დარწმუნებული იყო, ბევრს სვამდა, დროს ლხინში ატარებდა და ყოველ საღამოს დადიოდა ფინიკიელ ქურუმქალთან, რომელიც მუდამ თანაგრძნობით იღებდა მის ტრფიალსა და საჩუქრებს.

ასეთი იყო მაღალი წრეების განწყობილება, როდესაც ერთ ღამეს რამზესის სასახლეში მენტესუფისი მოვიდა და განაცხადა, აუცილებლად უნდა ვნახო ბატონიშვილიო. კარისკაცებმა უპასუხეს, რომ მეფისწულთან ახლა ერთი მისი ქალთაგანი იმყოფება და ვერ გაბედავენ მის შეწუხებას. მაგრამ რადგან მენტესუფისი დაჟინებით მოითხოვდა, რამზესს გამოუძახეს.

მეფისნაცვალი მაშინვე გამოვიდა, მას არც კი ემჩნეოდა უკმაყოფილება.

– რა მოხდა? – შეეკითხა ქურუმს, – ნუთუ ჩვენში ომი დაიწყო, რომ ასე უდროო დროს გარჯილხარ?

მენტესუფისმა ჩაციებით შეხედა რამზესს. მერე შვებით ამოისუნთქა და შეეკითხა:

– დღეს საღამოს არსად გასულხარ?

– აქედან ფეხი არ მომიცვლია.

– შემიძლია ეს ქურუმის სიტყვით დავადასტურო?

მემკვიდრე გაოცდა.

– მე ვფიქრობ, – ამაყად უპასუხა მან, – რომ შენი სიტყვა ზედმეტია, რაკი მე ჩემსას ვიძლევი. მაგრამ რაშია საქმე?

ისინი ცალკე ოთახში გავიდნენ.

– იცი, ხელმწიფევ, – აღელვებით უთრხა ქურუმმა, რა მოხდა ერთი საათის წინ? ვიღაც ჭაბუკები თავს დაესხნენ სარგონს და ჯოხით სცემეს.

– ვინ? სად?

– ფინიკიელ ქურუმქალ კამას პავილიონთან, – განაგრძობდა მენტესუფისი და ყურადღებით უკვირდებოდა მემკვიდრის სახის გამომეტყველებას.

– დახე, მაგ ყოჩაღებს რა უქნიათ! გაოცდა რამზესი. – ასეთ ძალუმ კაცზე თავდასხმა გაბედეს! ალბათ, მანაც არა ერთი თავდამსხმელი

დაასახიჩრა!

– მაგრამ ელჩის ხელყოფა! ელჩის, რომელსაც ასირიისა და ეგვიპტის დიდება იცავს! – წამოიძახა ქურუმმა.

– ჰა-ჰა-ჰა! – გადაიხარხარა ბატონიშვილმა. მაშ მეფე ტიგლატფილესარი თავის ელჩს ფინიკიელ მოცეკვავე ქალებთანაც აგზავნის!..

მენტესუფისი გაოგნდა, მაგრამ უცებ შუბლზე ხელი შემოიკრა და თვითონაც გადაიხარხარა.

– წარმოიდგინე, მეფისწულო, როგორ მიუხვედრელი ვარ და პოლიტიკაში. რამდენად გამოუცდელი. მე ხომ ვერ მოვისაზრე, რომ სარგონი, რომელიც ღამით საეჭვო ქალის სახლთან წანწალებს, უკვე არა ელჩი, არამედ კერძო პირია! მაგრამ რაც უნდა იყოს, – დაუმატა მან, – ცუდი რამ მოხდა. სარგონი, ალბათ ჩვენზე გაჯავრდება.

– ქურუმო, ქურუმო! – თავის ქნევით წარმოთქვა რამზესმა, – შენ ივიწყებ იმას, რაც გაცილებით უფრო საყურადღებოა. ეგვიპტეს არ შეშვენის არათუ ეშინოდეს, არამედ რაიმე მნიშვნელობა მისცეს სარგონის და თვით ტიგლატფილესარის მეგობრობას თუ მტრობასაც კი.

მენტესუფისი იმდენად შეაშფოთა მეფური ჭაბუკის გონივრულმა შენიშვნებმა, რომ მხოლოდ თავს უკრავდა და ბუტბუტებდა.

– ღმერთებმა შენ, ბატონიშვილო, უმაღლესი ქურუმების სიბრძნით დაგაჯილდოეს, – კურთხეულ იყოს მათი სახელი! – მე უკვე მზად ვიყავი გამეცა ბრძანება, რომ მოეძებნათ და გაესამართლებინათ ის ვაჟბატონები, მაგრამ სჯობს შენს რჩევას დავუჯერო, ვინაიდან შენ ბრძენთაბრძენი ხარ. ახლა კი მითხარი, რა ვუყოთ სარგონს და ამ ჩხუბისთავებს?

– ეს დილამდე გადავდოთ, – უპასუხა რამზესმა. – შენ, როგორც ქურუმმა, უნდა იცოდე, რომ ძილს, რომელსაც ჩვენ ღმერთები გვანიჭებენ, ხშირად კეთილი რჩევა მოაქვს.

– თუ ვერც ხვალამდე მოვიაზრებ? – ეკითხებოდა ქურუმი.

– ყოველ შემთხვევაში, მე ვინახულებ სარგონს და შევეცდები ეს შემთხვევა მისი მეხსიერებიდან გავფანტო, უპასუხა მეფისნაცვალმა.

ქურუმი მოკრძალებით გამოეთხოვა ბატონიშვილს. შინ რომ მიდიოდა, ფიქრობდა:

„თავს მოვიჭრი, თუ ამ საქმეში ბატონიშვილის ხელი ურევია. ის

არც თვითონ ყოფილა და არც სხვები წაუქეზებია. ჩანს, არც იცოდა, ვინც ასე მიუკერძებლად და გონივრულად სჯის ბოროტმოქმედებას, ის მისი თანამონაწილე ვერ იქნება. ამ შემთხვევაში გამოძიება უნდა დავიწყო და, თუ ეს ბანჯგვლიანი ბარბაროსი არ დამშვიდდება, შფოთის თავები სამართალში მივცე. ესეც შენი მეგობრობის ხელშეკრულება დაიწყო იქიდან, რომ ელჩი შეურაცხყვეს!

მეორე დღეს ახოვანი სარგონი შუადღემდე ქეჩაზე იწვა, როგორც ეს ხშირად სჩვეოდა ხოლმე ყოველი ქეიფის შემდეგ. მის გვერდით დაბალ დივანზე იჯდა ღვთისმოსავი იზდუბარი და, ჭერისკენ თვალაპყრობილი, ჩურჩულით ლოცულობდა.

– იზდებარ, – მიმართა მას სარგონმა და ამოიხვნეშა, – შენ დარწმუნებული ხარ, რომ არც ერთმა ჩვენმა კარისკაცმა არ იცის, რაც შემემთხვა?

– ვის შეუძლია იცოდეს, როდესაც არავის დაუნახავს?

– ეგვიპტელებს? – დაიკვნესა სარგონმა,

– ეგვიპტელებიდან ეს ამბავი მხოლოდ მენტესუფისმა და ეგვიპტის ტახტის მემკვიდრემ იციან, აგრეთვე იმ გარეწრებმა, რომელთაც, ცხადია, შენი მუშტები დიდხანს არ დაავიწყდებათ...

– შეიძლება... მაგრამ მე ვფიქრობ, მათ შორის ბატონიშვილიც ერია და მას ცხვირი დამტვრეული აქვს, თუ სულ მოტეხილი არა...

– ბატონიშვილს ცხვირი მთელი აქვს, იგი იქ არ ყოფილა, შეგიძლია მერწმუნო.

– მაგ შემთხვევაში ბატონიშვილი ვალდებულია სარზე ჩამოაცვას მოთავეები, – ამოიხვნეშა სარგონმა. ელჩის პიროვნება ხომ წმიდა და ხელშეუხებია.

– მე კი გირჩევ, – უთხრა იზდუბარმა, დაივიწყო გულისწყრომა და თავი დაანებო ჩივილს, თორემ მთელი ქვეყანა გაიგებს, როცა იმ შმაგების გასამართლებას დაიწყებენ, რომ ტიგლატფილესარ მეფის ელჩს ფინიკიელებთან აქვს კავშირი და, რაც უფრო ცუდია, მათთან სტუმრად ღამით მარტო დადის.

სარგონი ისევ ხვნეშოდა, თუკი ხვნეშა შეიძლება ვუწოდოთ ლომის ბრდღვინვას,

უეცრივ ოთახში ასირიელმა ოფიცერმა შეირბინა, მუხლი მოიყარა,

შუბლით იატაკს შეეხო და სარგონს მოახსენა:

– ჩვენი მეუფის თვალის სინათლევ! პარმაღთან გაჩერდნენ უმაღლესი მოხელეები და დიდებულები და მათთან ფარაონის მემკვიდრე იმყოფება. მას სურს აქ შემოვიდეს, როგორც ჩანს, შენი პატივისცემა სწადია.

სარგონმა განკარგულების გაცემა ვერც კი მოასწრო, რომ კარებში რამზესი გამოჩნდა. მან ხელი ჰკრა გუშაგს და ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა სარგონს, რომელიც ისე დაიბნა, რომ საფენზე წოლას განაგრძობდა და ტიტველმა არ იცი, და, მეორე ოთახში გაქცეულიყო თუ ქეჩის ქვეშ შემძვრალიყო.

ზღურბლთან რამდენიმე ასირიელი ოფიცერი შეჩერდა, ისინი გაოცებული იყვნენ, რომ მემკვიდრემ ყოველგვარი ეტიკეტი დაარღვია და დარბაზში შეიჭრა. მაგრამ იზდუბარმა ანიშნა და ისინი ფარდის უკან მიიმალნენ.

მემკვიდრე მარტო იყო. ამალა ეზოში დარჩა.

– სალამი შენდა, დიდი მეფის ელჩო და ფარაონის სტუმარო! – მიმართა მას ბატონიშვილმა. – მე გადავწყვიტე შენთან მოვსულიყავი და მეკითხა, ხომ არაფერი გჭირდება; ამას გარდა, თუ დრო და სურვილი გაქვს, მსურს წინადადება მოგცე, ჩემთან ერთად მამაჩემის საუკეთესო ცხენით ქალაქში გაგევლო ჩვენი ამალის თანხლებით, როგორც ძლევამოსილ ტიგლატფილესარის – ცოცხლობდეს იგი მარად! – ელჩს შეშვენის.

სარგონი იწვა და ყურს უგდებდა რამზესს, თუმცა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო, მაგრამ როდესაც იზდუბარმა ბატონიშვილს ნათქვამი გადაუთარგმნა, ის იმდენად აღფრთოვანდა, რომ იატაკს თავს ახლიდა და იმეორებდა: „ტიგლატფილესარი და რამზესი! ტიგლატფილესარი და რამზესი!“ როცა დამშვიდდა, პატიება ითხოვა, რომ ეგოდენ წარჩინებულმა სტუმარმა ასეთ სავალალო მდგომარეობაში მოუსწრო.

– ნუ შემრისხავ, ბატონო ჩემო, რომ მე, შენი ტახტის კვარცხლბეკთან მწოლარე საძაგელი მატლი, ასეთი უცნაური სახით გამოვთქვამ სიხარულს შენი მოსვლის გამო. ორმაგად გახარებული ვარ, რომ ჩემს უბადრუკ გონებაში ეჭვი დამებადა. თითქოს შენ, ბატონო, იყავი მიზე-

ზი ჩემი გუშინდელი მარცხისა. მეგონა კიდეც, ჩემს ზურგზე ვგრძნობდი შენს კეტს, რომელიც სხვების კეტებზე მარჯვედ ტრიალებდა.

როდესაც აუშფოთებელმა იზდუბარმა სარგონის ნათქვამი სიტყვასიტყვით გადაუთარგმნა, მემკვიდრემ ნამდვილი მეფური ქედმაღლობით უპასუხა:

– შეცდი, სარგონ, და თვითონ რომ არ შეგეგნო შენი, შეცდომა, ვუბრძანებდი შენთვის აქვე გადაეთვალათ ორმოცდაათი ჯოხი. იცოდე, ჩემისთანა ადამიანები ღამით და ისიც, ბრბოს თანხლებით, ერთ ადამიანს თავს არ ესხმიან.

ვერც კი მოასწრო წმიდა იზდუბარმა ამ სიტყვების გადათარგმნა, რომ სარგონი რამზესთან მიჩოჩდა, ფეხქვეშ გაეგო და წარმოთქვა:

– დიდო ბატონო, დიდო მეფევ! დიდება ეგვიპტეს, რომ შენისთანა მეუფე ჰყავს!

– და აგრეთვე გარწმუნებ, – განაგრძობდა მემკვიდრე, რომ ამ თავდასხმაში არც ერთი ჩემი კარისკაცი არ მონაწილეობდა. ამას მაფიქრებინებს ის, რომ ისეთ ღონიერ კაცს, როგორიც შენა ხარ, არა ერთი თავის ქალა უნდა გაეტეხა და ისინი კი ყველანი უვნებელნი არიან.

„სწორად და ჭკვიანურადაა ნათქვამი“, ჩასჩურჩულა სარგონს იზდუბარმა.

– და თუმცა ამ უღირს საქციელში, – განაგრძობდა რამზესი, – ბრალი არ მიმიძღვის, მე მაინც ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ შევამსუბუქო შენი წყენა ქალაქის მიმართ, რომელმაც ასე ცუდად მიგიღო. აი რატომ მოგინახულე საწოლში და რატომ იქნება ჩემი სახლის კარი შენთვის ღია, როცა კი მოისურვებ. ამას გარდა, გთხოვ მიიღო ეს მცირე საჩუქარი.

ამ სიტყვებთან ერთად რამზესმა სარგონს ლალითა და საფირონით შემკული ძეწკვი გაუწოდა.

სარგონს თვალთ ცრემლიც კი მოადგა, რამაც მემკვიდრეს გული აუჩუყა, მაგრამ იზდუბარის სიმშვიდე კი ვერ შეარყია. ქურუმმა იცოდა, რომ სარგონს, როგორც ბრძენი მეფის ელჩს, ცრემლი, რისხვა და სიხარული სურვილისამებრ უჩნდებოდა.

მემკვიდრე სარგონს მალე გამოეთხოვა, წამოსვლისას გაიფიქრა, რომ ასირიელები თუმცა ბარბაროსები არიან, მაგრამ მაინც ცუდი

ადამიანები არ ყოფილან, რაკი მათთვის დიდბუნებოვანი საქციელი გასაგებიაო. სარგონი კი იმდენად აღგზნებული იყო, რომ ბრძანა ღვინო მოეტანათ და შადღიდან საღამომდე სვამდა.

მზე უკვე ჩასული იყო, როცა ქურუმი იზდუბარი ელჩის საწოლიდან გავიდა და მაშინვე დაბრუნდა ფარული კარით. მას თან ორი კაცი მოსდევდა. როდესაც სახიდან კაპიუშონები მოიხსნეს, სარგონმა ერთ მათგანში უმაღლესი ქურუმი ნოფრი და მეორეში წინასწარმეტყველი მენტესუფისი შეიცნო.

– ღირსო ელჩო, სასიხარულო ცნობა მოგიტანეთ, – მიმართა სარგონს ნოფრმა.

– მოხარული ვიქნები თქვენც ასევე გიპასუხოთ, – უთხრა სარგონმა, – დაბრძანდით წმიდა მამებო, და მელაპარაკეთ ისე, თითქოს სავსებით ფხიზელი ვიყო, იმიტომ რომ მე სიმთვრალეშიც არ ვკარგავ გონებას, შეიძლება ითქვას, პირიქით. ხომ მართალია, იზდუბარ?

– ილაპარაკეთ, – კვერი დაუკრა იზდუბარმა.

– დღეს, – დაიწყო მენტესუფისმა, – დიდად პატივცემული მინისტრის ხერიჰორის წერილი მივიღე, რომელშიც მაცნობებს, რომ უწმიდესი ფარაონი – ცოცხლობდეს იგი მარად! – თქვენს მოციქულობას ელის თავის საუცხოო სასახლეში მემფისთან და თქვენთან ხელშეკრულების დადება ნებავს.

სარგონი ჯერ კიდევ ქანაობდა თავის საწოლში, მაგრამ მისი თვალები თითქოს უფრო ფხიზლად გამოიყურებოდა.

– მე წავალ უწმიდეს ფარაონთან – ცოცხლობდეს იგი მარად! – და ჩემი მეუფის სახელით ბეჭედს დავუსვამ ხელშეკრულებას, მაგრამ ის ლურსმულით უნდა დაიწეროს ქვაზე... იმიტომ, რომ თქვენს დამწერლობაში მე ვერ ვერკვევი. თუნდაც მთელი დღე განრთხმული ვიქნები მისი უდიდებულესობის წინაშე – ცოცხლობდეს იგი მარად! – შეთანხმებას კი ხელს მოვაწერ. მაგრამ როგორ შეძლებთ მის შესრულებას... ჰა-ჰა-ჰა!.. ეს კი . აღარ ვიცი... – დაამთავრა მან უხამსი სიცილით.

– როგორ ბედავ, დიდი ტიგლატფილესარის მსახურო, ეჭვი შეიტანო ჩვენი მეუფის კეთილ ნებასა და პირიანობაში?.. – აღშფოთდა მენტესუფისი,

სარგონი მსწრაფლ გამოერკვა.

– მე ვლაპარაკობ არა უწმინდეს ფარაონზე, არამედ მემკვიდრეზე... – შეესიტყვა ის.

– მემკვიდრე სიბრძნით აღსავსე ჭაბუკია და სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილება მამისა და ქურუმთა უმაღლეს საბჭოს ნებასურვილს, – უთხრა ნოფრმა.

– ჰ-ჰა-ჰა!.. – კვლავ გადაიხარხარა მთვრალმა ბარბაროსმა. – თქვენი ბატონიშვილი... – ფეხი გამიხმეს, თუ ვტყუოდე, მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ჩვენ ასირიაში გვყავდეს ტახტის ასეთი მემკვიდრე... ჩვენი ასირიელი მემკვიდრე სწავლულია, ქურუმი... ის ვიდრე საომრად გაემგზავრება, ჯერ ცაზე ვარსკვლავებს გადათვლის და მერე ქათმის კურტუმქვეშ შეიხედავს... თქვენი კი პირველ რიგში დათვლიდა, რამდენი მეომარი ჰყავს, და გაიგებდა, სად არის მტერი დაბანაკებული, და მერე ისე დაატყდებოდა თავს, როგორც არწივი ბატკანს. სარდალიც ასეთი უნდა და მეფეც...

ის იმათგანი არ არის, ვინც ქურუმების რჩევას ყურს უგდებს, ის თავის მახვილს მოეთათბირება და თქვენ კი მისი ბრძანებების შესრულება მოგიხდებათ... ამიტომ, თუმცა მე თქვენთან შეთანხმებას ხელს მოვაწერ, მაგრამ ჩემს ბატონს მოვახსენებ, რომ დაავადებულ მეფისა და ბრძენი ქურუმების უკან ჭაბუკი ტახტის მემკვიდრე დგას, რომელიც ერთსა და იმავე დროს ლომიცაა და ხარიც. მას პირიდან თაფლი გადმოსდის, ხოლო მის გულში ელვა-ქუხილი მძვინვარებს.

– ეგეც ტყუილია! – შეეკამათა მენტესუფისი. – იმიტომ, რომ ჩვენი მემკვიდრე თუმცა ურჩია და ცოტა არ იყოს მოქეიფე, როგორც ყველა ახალგაზრდა, მაგრამ პატივს სცემს ბრძენთა რჩევას და ქვეყნის უმაღლეს დაწესებულებებს.

სარგონმა დაცინვით გააქნია თავი.

– ეჰ, თქვენ, ბრძენებო, მწიგნობარნო და ვარსკვლავთმრიცხველნო! მე გაუნათლებელი კაცი ვარ, უბრალო გენერალი და უბეჭდოდ ქვაზე ჩემს სახელსაც ვერ ამოვჭრიდი, მაგრამ ჩემს ბატონს ვფიცავ, რომ თქვენ სიბრძნეს არ გაგიცვლიდით... იმიტომ, რომ თქვენ პაპირუსებისა და ცხრილების სამყაროში ცხოვრობთ და ის ნამდვილი სამყარო, რომელშიც ჩვენ ყველანი ვიმყოფებით, თქვენთვის დახშულია. მე უმეცარი ვარ, მაგრამ ძაღლის ყნოსვა მაქვს. როგორც ძაღლი შორი-

დან გრძნობს დათვის მოახლოებას, ისე ჩემი წითელი ცხვირით ვგრძნობ ნამდვილ სარდალს. თქვენ აპირებთ ბატონიშვილს დარიგებანი მისცეთ? მან უკვე მოგაჯადოვათ, როგორც გველი მოაჯადოვებს ხოლმე მტრედს. მე კი ვერ მომატყუებს და, თუმცა ბატონიშვილი ჩემდამი მშობელ მამასავით კეთილია, ჩემი სქელი კანით ვგრძნობ, რომ მეც და ჩემი ასირიელებიც ისე სძულს, როგორც ვეფხვს სპილო. ჰა-ჰა!.. მას ოღონდ არმია მიეცით და სამი თვეც არ გაივლის, რომ ნინევიასთან გაჩნდება, ოღონდ გზაზე მეომრები კი არ დაეღუპოს, არამედ გაუმრავლდეს.

– თუნდაც მართალი იყო, – სიტყვა გააწყვეტინა მენტესუფისმა, – და ბატონიშვილს ნინევიაზე გალაშქრება სურდეს, ამას ვერ ჩაიდენს.

– ვინ დააკავებს, როცა ფარაონი გახდება?

– ჩვენ!

– თქვენ!.. თქვენ!.. ჰა-ჰა-ჰა! – კვლავ გადაიხარხარა სარგონმა. – მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ჭაბუკმა ჩვენს ხელშეკრულებაზე არ იცის რა... მე კი... მე კი... ჰა-ჰა-ჰა... მე თავს მოსაკვეთად მივცემ, თუ უკვე ყველაფერი არ უწყის. როგორ ფიქრობთ, ფინიკიელები ასე დამშვიდებული იქნებოდნენ, დარწმუნებული რომ არ იყვნენ, ეგვიპტელი ლოძის ბოკვერი ასირიელი ხარისაგან დაგვიცავსო?

მენტესუფისმა და ნოფრმა მალვით გადახედეს ერთიმეორეს. ისინი თითქმის შეაშინა ამ ბარბაროსის შორსმჭვრეტელობამ, რომელიც თამამად გამოთქვამდა იმას, რაც მათ მზედველობაში სრულებით არ მიუღიათ. და მართლაც. რა იქნებოდა, თუ მემკვიდრე ქურუმების განზრახვებს გამოიცნობდა და მათ ჩაშლას შეეცდებოდა?

ამ ჩამაფიქრებელი მდგომარეობიდან გამოიყვანა ისინი იზდუბარმა, რომელიც აქამდე გაჩუმებული იყო.

– სარგონ, – უთხრა მან, – შენ სხვის საქმეებში ერევი. შენს მოვალეობას ეგვიპტესთან ხელშეკრულების დადება შეადგენს, თანახმად ჩვენი ხელმწიფის ნება-სურვილია. ხოლო ის, თუ რას იზამს მათი ტახტის მემკვიდრე. შენ არ შეგეხება. რიკი მარად მსუფევი ქურუმთა უმაღლესი საბჭო ამას თავდებობს ხელშეკრულება შესრულებულ იქნება, ხოლო როგორ მიაღწევს ამას საბჭო, ეს ჩვენი საქმე არ არის.

მშრალმა კილომ, რომლითაც იზდუბარმა ეს სიტყვები წარმოთ-

ქვა, სარგონი დაამშვიდა. მან თავი გააქნია და თქვა:

– მებრალება ტახტის მემკვიდრე, ის მამაცი მეომარი და დიდსულოვანი ხელმწიფეა.

თავი მეთორმეტე

სარგონისგან წამოსული წმიდა მამები – ნოფრი და მენტესუფისი, – რომლებიც მაგრად იყვნენ მოსასხამებში გახვეული, ღრმად ჩაფიქრებული ბრუნდებოდნენ. შინ.

– ვინ იცის, – ჩაილაპარაკა მენტესუფისმა, – ეს ლოთი სარგონი იქნებ მართალს ამბობდა ჩვენს მემკვიდრეზე...

– მაშინ იზდუბარი კიდევ უფრო მართალი იქნება, ცივად უპასუხა ნოფრმა.

– მაგრამ ბატონიშვილს მაინც წინასწარაღებული აზრით არ უნდა მივუდგეთ. თავდაპირველად საჭიროა გავიგოთ დანამდვილებით, რას ფიქრობს და როგორ აზროვნებს ბატონიშვილი, – განაგრძობდა მენტესუფისი.

– ასეც მოიქეცი.

მეორე დღეს ორივე ქურუმი მემკვიდრესთან გამოცხადდა და საიდუმლო საუბარი შესთავაზა.

– რა ამბავია? მაღალღირს სარგონს კიდევ ხომ არაფერი შეემთხვა? – ჰკითხა მათ რამზესმა.

– სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენ სარგონი არ გვაინტერესებს, – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა. – ხალხში ხმა დადის, რომ შენ, ბატონიშვილო, ახლო კავშირი გაქვს ურწმუნო ფინიკიელებთან.

ამ სიტყვებმა ერთბაშად გაურკვია ბატონიშვილს წინასწარმეტყველთა მოსვლის მიზანი. მიხვდა, რომ იწყება ბრძოლა მასსა და ქურუმებს შორის, მაგრამ მსწრაფლ შეიკავა თავი და მიამიტი გამომეტყველება მიიღო.

– ფინიკიელები კი საშიში ხალხია, ძველთაგან ჩვენი სახელმწიფოს მტრები არიან, – დაუმატა ნოფრმა.

მემკვიდრემ გაიღიმა.

– თქვენ, წმიდაო მამებო, – უპასუხა მან, – სესხად რომ ფულს მაძ-

ლევდეთ და ტაძრებში ლამაზი ქალები გყავდეთ, არ მოგშორდებოდით. ისე კი, ჩემდა უნებურად, ფინიკიელებთან უნდა ვიმეგობრო.

– ამბობენ, თურმე ღამ-ღამობით იმ ფინიკიელ ქურუმქალთან დადიხარ...

– მანამ, ვიდრე არ მოჭკვიანდება და ჩემთან სასახლეში არ გადმოვა. მაგრამ თქვენ ნურაფერი გაჯავრებთ; მახვილს თან ვატარებ და, თუ ვინმემ გაბედა და გზა გადამიღობა...

– კი, მაგრამ იმ ფინიკიელი ქურუმქალის გამო შენ ასირიის მეფის სრულუფლებიანი ელჩი შეგძულდა...

– სრულებითაც არა იმის გულისათვის, არამედ იმიტომ, რომ ელჩს ცხვრის ქონის სუნი ასდის. კი, მაგრამ რად დაგჭირდათ ჩემთან ასეთი საუბარი? თქვენთვის, წმიდა მამებო, ხომ არ მოუნდვიათ ჩემს ქალებს თვალყური ადევნოთ. მე მგონია, სარგონიც უთქვენოდ მოუვლის თავს. მაშ რა გნებავთ?

ნოფრი იმდენად შეშფოთდა, რომ მოპარსული თავიც კი გაუწითლდა.

– მართალი ხარ, მეფისწულო, – მიუგო მან, რომ შენს სატრფიალო გატაცებებსა და ნაცნობობასთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, მაგრამ არის სხვა გარემოებაც: ხალხი გაოცებულია, რომ ცბიერმა ხირამმა ასი ტალანტი ასე ადვილად გასესხა და ისიც უსაწინდროდ...

ბატონიშვილს ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ თავი შეიკავა.

– ჩემი ბრალი არ არის, – გულმშვიდად მიუგო მან, – თუ ხირამი უფრო მენდობა, ვიდრე ეგვიპტელი მდიდრები. იგი დარწმუნებულია, რომ მე უფრო ადვილად ავიღებ ხელს პაპისაგან მიღებულ იარაღზე, ვიდრე სესხის გადახდაზე ვიტყვი უარს. ვფიქრობ, მას არც სარგებელი აწუხებს, რადგან ამაზე ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს. მე არ მსურს დაგიმალოთ, წმიდაო მამებო, რომ ფინიკიელები უფრო მეტ სიუხვეს და სისწრაფეს იჩენენ, ვიდრე ეგვიპტელები. ჩვენი მდიდარი, ვიდრე სესხად ას ტალანტს მომცემდა, ჯერ წარბებქვეშიდან შემომხედავდა, დიდხანს იკრუსუნებდა და ბოლოს დიდ საწინდარს და სარგებელს მომთხოვდა. ფინიკიელები კი, რომლებიც ხელმწიფეთა გულს უკეთესად იცნობენ, სესხს თვით მოსამართლისა და მოწმეების დაუსწრებლადაც კი გვაძლევენ.

– რას იტყოდი, ბატონიშვილო, რომ ჩვენ ასირიასთან ხელშეკრულება დავდოთ, რომლის თანახმად მას ჩრდილოეთი აზია გადაეცემა ფინიკიასთან ერთად? – მოულოდნელად შეეკითხა რამზესს მენტესუფისი.

ამას რომ ეუბნებოდა, თვალმოუშორებლივ უყურებდა სახეში. მაგრამ ბატონიშვილი არ დაიბნა.

– მე ვიტყოდი, რომ მხოლოდ მოღალატეებს შეუძლიათ ფარაონს მსგავს შეთანხმებაზე ხელის მოწერა ურჩიონ.

ორივე ქურუმი აღელდა. ნოფრმა ხელები მაღლა ასწია, მენტესუფისმა კი მუშტი მოკუმშა.

– რომ ამას გვიკარნახებდეს სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა? – არ ეშვებოდა მენტესუფისი.

– არ მესმის, რა გნებავთ ჩემგან? – გაგულისდა მემკვიდრე. – თქვენ ერევით ჩემს პირად საქმეებში, ქალებთან ჩემს დამოკიდებულებაში, გარს ჯაშუშებს მახვევთ, ჭკუის დარიგებას მიბედავთ და ახლა რაღაც ცბიერ კითხვებსაც კი მისვამთ? მე კი პირდაპირ გეუბნებით: თქვენ რომ ჩემი თუნდაც მოწამვლა განიზრახოთ, ასეთ ხელშეკრულებაზე ხელს არ მოვაწერდი! საბედნიეროდ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, არამედ ფარაონზე, რომლის ნება-სურვილი ყველასათვის სავალდებულოა.

– კი, მაგრამ როგორ მოიქცეოდი, უფლისწულო, ფარაონი რომ ყოფილიყავი?

– როგორც ამას სახელმწიფოს პატივი და ინტერესები მიკარნახებდა.

– ამაში ეჭვი არ შემდის, – განაცხადა მენტესუფისმა,– მაგრამ რა მიგაჩნია სახელმწიფოს ინტერესებად? სად უნდა ვეძიოთ საამისო მითითებები?

– მაშ რიღასთვის არსებობს უმაღლესი საბჭო? – უპასუხა რამზესმა და სახეზე განზრახ განრისხება აისახა. – თქვენ ამბობთ, რომ იგი მხოლოდ ბრძენთაგან შედგება? მათვე იკისრონ ასეთი ხელშეკრულებისათვის პასუხისმგებლობა, რომელიც მე ეგვიპტისათვის სამარცხვინოდ და დამღუპველად მიმაჩნია...

– მაგრამ საიდან იცი, ბატონიშვილო, რომ სწორედ ეგრე არ მოიქცა

შენი ღვთაებრივი მშობელი? – შეეკითხა მენტესუფისი.

– მერე მე რაღას მეკითხებით? ეს რა დაკითხვაა? ვინ მოგცათ უფლება ჩემს გულში ხელი აფათუროთ?

– ისე ლაპარაკობ, ბატონიშვილო, როგორც ნამდვილ ეგვიპტელს შეშვენის, – უპასუხა ქურუმმა. – ჩვენც მძიმე ლოდად დაგვაწვებოდა ასეთი ხელშეკრულება, მაგრამ სახელმწიფოს მდგომარეობა და მისი უშიშროების უზრუნველყოფა გვაიძულებს ზოგჯერ შექმნილ გარემოებას დროებით დავემორჩილოთ.

– მერედა რა გაიძულებთ ამ გზას დაადგეთ? – შეეკითხა რამზესი. – განა რომელიმე დიდი ბრძოლა წააგეთ ანდა ეგვიპტეს მეომრები უკვე აღარ ჰყავს?

– მენიჩბენი იმ ხომალდისა, რომლითაც ეგვიპტე მარადისობის მდინარეში მიცურავს, ღმერთები არიან, – ზვიადად უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა, – ხოლო მესაჭე – ყოველი არსის უზენაესი უფალია. ისინი ხომალდს ზოგჯერ აჩერებენ ან გვერდზე მიაბრუნებენ, რათა შემოუარონ საშიშ მორევს, რომელსაც ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ. ასეთ შემთხვევებში ჩვენი მხრივ მხოლოდ მოთმინება და მორჩილებაა საჭირო, რომლის სანაცვლოდ ადრე თუ გვიან ისეთი უხვი ჯილდო მოგველის, როგორიც კი შეუძლია წარმოიდგინოს მოკვდავის გონებამ.

ამ სიტყვების შემდეგ ქურუმები ბატონიშვილს გამოეთხოვენ დიდად დაიმედებულნი, რომ თუმცა ტახტის მემკვიდრე ხელშეკრულებით ფრიად უკმაყოფილოა, მაგრამ მას არ დაარღვევს და ეგვიპტეს მისთვის აუცილებელ მშვიდობას ხანგრძლივად შეუნარჩუნებს.

ქურუმების წასვლის შემდეგ რამზესმა თუტმოსი იხმო და, როდესაც თავის ფავორიტთან მარტო დარჩა, გულში დაგუბებული ბოღმა და აღშფოთება გადმოანთხია. მემკვიდრე სავარძელზე დაეცა, თავზე მუშტებს ირტყამდა და მწარედ ქვითინებდა.

შეშფოთებული თუტმოსი მოთმინებით ელოდა, როდის გაუვლიდა ბატონიშვილს გაშმაგება. მერე მიაწოდა წყალნარევი ღვინო, შეაპკურა დამამშვიდებელი წამლები, მიუჯდა გვერდით და ფრთხილად დაუწყო სასოწარკვეთილების მიზეზის გამოკითხვა.

– დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენმა ქურუმებმა ასირიასთან მართლაც რაღაც სამარცხვინო ხელშეკრულება დადეს, – ძლივს

მოახერხა რამზესმა თქმა, – და დადეს უომრად, თითქმის ყოველგვარი მოთხოვნების გარეშე, წარმოდგენილი გაქვს, რამდენს ვკარგავთ?

– დაგონმა მითხრა, ასირიას ფინიკიის მიტაცება სურსო, მაგრამ ახლა ფინიკიელები შედარებით დამშვიდებული არიან, რადგან ტიგლატფილესარ მეფე ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებზე ომს აწარმოებს. იქ მრავალრიცხოვანი და ფრიად მეომარი ხალხები ბინადრობენ და, არავინ უწყის, ეს ომი რით დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში ფინიკიელების განკარგულებაში კიდევ რამდენიმე მშვიდობიანი წელი იქნება, რაც მათთვის საკმარისია, რომ თავდაცვისათვის მოემზადონ და მოკავშირეები შეიძინონ.

რამზესმა გაანჩხლებით გააქნია ხელი.

– და აი, ხედავ, – თქვა მან, – ფინიკიაც კი იარაღდება და შესაძლებელია ყველა თავისი მეზობელიც შეაიარაღოს. ჩვენ კი აზიის მიერ გადაუხდელ ხარკს ვკარგავთ, რაც ასი ათას ტალანტზე მეტს შეადგენს. ასი ათასი ტალანტი! – გაიმეორა ბატონიშვილმა. – ჰოი, ღმერთებო! ასეთი თანხა ფარაონის ხაზინას ხომ ერთბაშად აავსებდა. ხოლო ასირიას ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში თავს დავესხმებოდით, მაშინ მარტო ნინევიაში, მარტო ტიგლატფილესარის სასახლეში ნამდვილ საგანძურს ვიპოვიდით... ისიც იფიქრე, რამდენ ტყვეს მოვაგროვებდით. ნახევარ მილიონს... მილიონს... ათლეტური ღონის მილიონ ადამიანს, ისეთ ველურებს, რომელთაც მონობა ეგვიპტეში, არხებზე და ქვის სამტეხლოებში უმძიმესი შრომა სათამაშოდ მოეჩვენებოდათ... რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი მიწის ნაყოფიერება გაიზრდებოდა და ჩვენი გაღატაკებული ხალხი და სახელმწიფო კვლავ წინანდელ ძლიერებასა და სიმდიდრეს აღიდგენდა. ქურუმებს კი სურთ ყველაფერი ეს ვერცხლის იმ რამდენიმე დაფისა და თიხის ფირფიტის დახმარებით დაგვიკარგონ, რომლებიც წაკითხვა თითქმის არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს.

თუტმოსი წამოდგა, გულმოდგინედ დაათვალიერა მეზობელი ოთახები, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო, მერე მიუჯდა რამზესს და ჩურჩულით უთხრა:

– სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, ხელმწიფევ, რამდენადაც ვიცი, მთელმა არისტოკრატიამ, ყველა ნომარქოსმა და ჯარის უმაღლესმა

მეთაურმა უკვე ზოგი რამ მაინც შეიტყო ამ ხელშეკრულების შესახებ და აღშფოთებული არიან. საჭიროა მხოლოდ შენი ერთი სიტყვა და ჩვენ არათუ სარგონს, არამედ თვით ტიგლატფილესარს თავზე დავამსხვრევთ იმ ფირფიტებს, რომელზეც ეს ხელშეკრულებაა დაწერილი.

– კი, მაგრამ ეს ხომ ფარაონის საწინააღმდეგო აჯანყება იქნება, – ჩურჩულითვე უპასუხა რამზესმა.

თუტმოსს სახეზე დაღონება დაეტყო,

– მე არ მინდოდა შენი გულის დაკოდვა, – უთხრა მან ბატონიშვილს, – მაგრამ... შენი ღმერთებისთანაბარი მამა მძიმე ავადმყოფია...

– ეს ტყუილია!

– სამწუხაროდ, ეს ასეა! მაგრამ ნურავის შეამჩნევინებ, რომ ეს იცი. ფარაონი ცხოვრებისაგან მოიქანცა და მოსვენება სწყურია. მაგრამ ქურუმები არ ეშვებიან და შენ კი მემფისში არ გიწვევენ, რომ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხელი მოაწერონ ასირიასთან დადებულ შეთანხმებას.

– მოღალატენი! მოღალატენი! – ჩურჩულებდა განრისხებული მემკვიდრე.

– როდესაც დაიმკვიდრებ მამის ხელისუფლებას ცოცხლობდეს იგი მარად! – ამ ხელშეკრულების გაუქმება შენთვის ძნელი არ იქნება.

რამზესი ჩაფიქრდა.

– ხელის მოწერა უფრო ადვილია, თქვა მან, – ვიდრე გაუქმება.

– არც გაუქმებაა ძნელი, – გაიღიმა თუტმოსმა. განა აზიაში ცოტაა ისეთი დამორჩილებული ტომები, რომლებიც მუდამ მზად არიან შემოიჭრან ჩვენს ქვეყანაში? განა ღვთაებრივი ნეიტიკერი არ დგას ჩვენი საზღვრების სადარაჯოზე, რომ ისინი უკუაქციოს და მათს ქვეყანაში გადაიტანოს ომი? ნუთუ ფიქრობ, რომ ეგვიპტე ომისათვის ხალხსა და სახსრებს ვერ მონახავს? ომში ჩვენ ყველანი წავალთ, იმიტომ რომ თითოეულს შეუძლია რაიმე შეიძინოს და თავისი მომავალი ასე თუ ისე უზრუნველყოს. ტაძრებში აუარებელი საუნჯეა დაცული, ხო-

ლო ლაბირინთი...[1]

– მერე ვინ გამოიტანს მათ იქიდან? – ეჭვის კილოთი შენიშნა ტახტის მემკვიდრემ.

– ყოველი ნომარქოსი, ყოველი ოფიცერი, ყოველი აზნაური შევა იქ, ოღონდ ფარაონის ბრძანება იქნეს, ხოლო უმცროსი ქურუმები გვიჩვენებენ გზას იმ ფარული ადგილებისაკენ, სადაც დაცულია საუნჯენი...

– ამას ისინი ვერ გაბედავენ. ღმერთების სასჯელი...

თუტმოსმა უარყოფის ნიშნად ხელი ჩაიქნია.

– ვინ ვართ ჩვენ, გლეხები თუ მწყემსები, რომ გვეშინოდეს ღმერთებისა, რომელთაც ებრაელებიც, ფინიკიელებიც და ბერძნებიც დასცინიან, ხოლო ყოველი მოქირავნე ჯარისკაცი დაუსჯელად შეურაცხყოფს? ეს ქურუმებმა შექმნეს ზღაპრები ღმერთებზე, რომლებიც თვითონ მათ არ სწამთ. შენ იცი, რომ ტაძრებში მხოლოდ ერთ ღმერთს აღიარებენ და ქურუმები ერთი მხრით სასწაულებს გვიჩვენებენ, ხოლო მეორე მხრით მათ ჩუმად დასცინიან. მხოლოდ გლეხია რომ ძველებურად კვლავ პირქვე ემხობა ღმერთების ქანდაკთა წინაშე. ხოლო მუშებს უკვე ეჭვი ეპარებათ ოზირისის, ჰორისა და სეთის ძლიერებაში; მწერლებიც ღმერთებს ანგარიშში ატყუებენ, ქურუმები კი მათ თავისი სიმდიდრის მცველ ჯაჭვებად და კლიტეებად იყენებენ.

– წავიდა უკვე ის დრო, – განაგრძობდა თუტმოსი, – როცა ეგვიპტეს ყველაფერი სწამდა, რაც ტაძრებიდან გამომდინარეობდა, ახლა ჩვენ ფინიკიელების ღმერთებს ვაგინებთ, ფინიკიელები ჩვენებს და არავითარი ჭექა-ქუხილი თავზე არ გვეცემა!

ტახტის მემკვიდრემ ჩაციებით შეხედა თუტმოსს.

– საიდან მოგდის ასეთი აზრები? – ჰკითხა მან. – არც ისე დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც ქურუმის სახელის ხსენებაზეც კი ფითრდებოდი...

---

[1] ლაბირინთი – უზარმაზარი შენობა, რომელიც XII დინასტიის ეპოქაში აგებულ იქნა ფაიუმის ოაზისში. მთელი ეგვიპტის სარწმუნოებრივი და ადმინისტრაციული ცენტრი საშუალო სამეფოს ეპოქაში. ლაბირინთის აღწერილობა შემოგვინახეს ძველმა ბერძენმა მწერლებმა ჰეროდოტემ და სტრაბონმა.

– მაშინ მარტო ვიყავი. ახლა კი, როცა გავიგე, რომ ჩემსავით ფიქრობს მთელი აზნაურობა, უფრო გავთამამდი...

– ვინ გითხრათ ასირიასთან ხელშეკრულების ამბავი?

– დაგონმა და სხვა ფინიკიელებმა, – უპასუხა თუტმოსმა. – ისინი წინადადებასაც კი გვაძლევენ, როცა დრო დადგება, ჩვენს წინააღმდეგ აზიელი ტომები ააჯანყონ და ამით ჩვენს ჯარებს საზღვრების გადალახვის საბაბი მისცენ. ხოლო, როცა ჩვენ ნინევიისაკენ გზას დავადგებით, ფინიკიელები და მათი მოკავშირეები შემოგვიერთდებიან. და შენ ისეთი ჯარი გეყოლება, რომლის მსგავსი თვით რამზეს დიდსაც არა ჰყოლია.

ფარაონის მოადგილეს არ მოეწონა ფინიკიელების ასეთი მზრუნველობა, მაგრამ თუტმოსს მაინც ჰკითხა:

– რა მოხდება, ქურუმებმა რომ თქვენი ასეთი ლაპარაკი გაიგონონ? ხომ უდავოა, რომ ვერც ერთი თქვენგანი სიკვდილს ვერ გადაურჩება?

– ისინი ვერაფერს გაიგებენ, – უზრუნველად უპასუხა თუტმოსმა, – თავისი ძლიერების დიდი იმედი აქვთ, ძუნწად აძლევენ სასყიდელს თავიანთ ჯაშუშებს და მთელი ეგვიპტე აიმხედრეს. ამიტომ არისტოკრატია, სამხედრო პირები, მწერლები, მუშები და თითქმის უმცროსი ქურუმებიც მხოლოდ ნიშანს ელიან, რომ ტაძრებს თავს დაესხან, ხელთ იგდონ მათი საუნჯენი და ტახტის კვარცხლბეკთან მიიტანონ. ხოლო რაკი ქურუმებს ხელიდან გამოეცლებათ მთელი სიმდიდრე, ძალაუფლებასაც დაკარგავენ და იძულებული გახდებიან თავისი სასწაულმოქმედებაც შეწყვიტონ, ვინაიდან ამისთვისაც ოქროა საჭირო.

მემკვიდრემ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, შემდეგ გაუშვა თუტმოსი და ღრმა ფიქრს მიეცა.

მას აზნაურების მტრული გრძნობები ქურუმებისადმი და მაღალი წრეების საომარი განწყობილება ფრიად გაახარებდა, რომ ყოველივე ეს უეცარი აგზნება არ ყოფილიყო, რომლის უკან ფინიკიელების ხრიკებს გრძნობდა. ეს გარემოება ბატონიშვილს აიძულებდა ფრთხილად ემოქმედა. მას უმჯობესად მიაჩნდა თავისი ქვეყნის საქმეებში ქურუმების პატრიოტიზმს დამყარებოდა, ვიდრე ფინიკიელების მეგობრობას.

მაგრამ აგონდებოდა მამის სიტყვები, ფინიკიელები გულწრფელი და ერთგული არიან, როდესაც საქმე მათს ინტერესებს შეეხებაო. და უეჭვო იყო, რომ ფინიკიელები უაღრესად იყვნენ დაინტერესებული ასირიის ბატონობა თავიდან აეცდინათ და ამდენად მათზე, როგორც მოკავშირეებზე, დამყარება შეიძლებოდა ომის შემთხვევაში, რადგან ეგვიპტის დამარცხება პირველ რიგში თვითონ ფინიკიისათვის იქნებოდა საბედისწერო. მეორე მხრივ, რამზესს ფიქრიც კი დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ქურუმებმა ასირიასთან სამარცხვინო ხელშეკრულების დადებით თითქოს ეგვიპტის წინაშე ღალატი ჩაიდინეს. მისი აზრით, ისინი მოღალატეები კი არ იყვნენ, არამედ განცხრომაში მყოფი გაზანტებული მაღალი მოხელეები. მათთვის ხელსაყრელია მშვიდობისათვის მხარდაჭერა, ვინაიდან მშვიდობიანობის პირობებში იმრავლებენ სიმდიდრეს და ხელისუფლებას იფართოებენ. მათ ომი არ სურთ, იმიტომ რომ ომი გააძლიერებდა ფარაონის ძალაუფლებას, მათ კი აიძულებდა დიდი ხარჯები გაეწიათ.

ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის მიუხედავად, რამზესი მიხვდა, რომ ეგვიპტეში შექმნილი მდგომარეობა მისგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს და აუჩქარებლობას მოითხოვს, რომ მან არც უნდა განსაჯოს ვინმე და არც გადაჭარბებულად ენდოს ვისმე. გადაწყვიტა მომავალში უეჭველად დაეწყო ომი ასირიასთან, მაგრამ არა იმ მოსაზრებით, რომ ასე სურს აზნაურობასა და ფინიკიელებს, არამედ იმიტომ, რომ ეგვიპტეს ასირიის სიმდიდრე და მონები ესაჭიროება.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებით რამზესს სურდა ქურუმთა კასტა თანდათან შეერიგებინა ომის აუცილებლობის აზრთან და მხოლოდ წინააღმდეგობის შემთხვევაში გაესრისა ეს კასტა, სამხედრო პირებისა და აზნაურების დახმარებით.

და სწორედ მაშინ, როდესაც წმიდა ნოფრი და მენტესუფისი სარგონის წინასწარმეტყველებას დასცინოდნენ, რომ მემკვიდრე ქურუმებს არ დაემორჩილება, პირიქით, აიძულებს მათ მის წინ ქედი მოიხარონო, ბატონიშვილს ქურუმების დამორჩილების გეგმა უკვე მზად ჰქონდა და იცოდა კიდეც, ამისათვის რა საშუალებანი გააჩნდა.

„დრო ყველაზე უკეთესი მრჩეველია,“ – გაიფიქრა მან.

იგი კმაყოფილი და თავის თავში დარწმუნებული იყო, როგორც

ადამიანი, რომელიც ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მიხვდა, როგორ ემოქმედა; ხოლო იმისათვის, რომ ამას წინათ განცდილი მღელვარების უკანასკნელი კვალისაგან განთავისუფლებულიყო, სარას ბინისაკენ გასწია.

ვაჟიშვილის ალერსსა და თამაშში თავის მწუხარებას ივიწყებდა და კარგ გუნებაზე დგებოდა. მაგრამ პავილიონში რომ შევიდა, სარა კვლავ თვალცრემლიანი დახვდა.

– სარა! – წამოიძახა რამზესმა, – შენს გულში რომ მთელი ნილოსი იყოს მოთავსებული, მასაც ცრემლად გადმოღვრიდი.

– ამიერიდან აღარ ვიტირებ, – უპასუხა ქალმა, მაგრამ ცრემლი უფრო უხვად გადმოდინდა.

– რა დაგემართა? – შეეკითხა იგი. – ალბათ, ისევ ვიღაც მკითხავმა შეგაშინა ფინიკიელ ქალზე ლაპარაკით?

– მე ფინიკიელი ქალების კი არ მეშინია, არამედ საერთოდ ფინიკიელებისა, – უპასუხა სარამ. – შენ არ იცი, ჩემო ბატონო, ისინი როგორი არამზადები არიან...

– ისინი ბავშვებს წვავენ? – გაიცინა მეფისნაცვალმა.

– გგონია, არა?

– არაკია! მე ხირამისაგან გავიგე, რომ ეგ ზღაპარია.

– ხირამი! – ხირამი ბოროტების განსახიერებაა, – წამოიძახა სარამ. – ჰკითხე, ბატონო, მამაჩემს და ის გიამბობს, როგორ იტყუებდა იგი შორეული ქვეყნებიდან თავის გემზე ქალიშვილებს და აფრის მოულოდნელი აფრიალების შემდეგ გასაყიდად მიჰყავდა. ჩვენ გვყავდა ერთი ქერა მხევალი, რომელიც ხირამის მიერ იყო გამოტაცებული. სამშობლოზე განუწყვეტელი ფიქრით დასევდიანებული ქალი მოსვენებას ვერ პოულობდა და მუდამ ბორგავდა, თუმცა იმის თქმაც არ შეეძლო, სად მდებარეობდა მისი მშობელი ქვეყანა, და მიიცვალა კიდეც. დაგონიც ასეთივე არამზადაა...

– შეიძლება, მაგრამ ჩვენ მათთან რა საქმე გვაქვს? შეეკითხა ბატონიშვილი.

– ფრიად დიდი, – უპასუხა სარამ. – შენ, ბატონო ჩემო, ახლა ფინიკიელების რჩევას უგდებ ყურს და ამავე დროს ებრაელებმა შეიტყვეს, რომ ფინიკიას ასირიასა და ეგვიპტეს შორის ომის გამოწვევა სურს.

იმასაც ამბობენ, თითქოს უმდიდრესმა ფინიკიელმა ვაჭრებმა და მევახშეებმა მტკიცე ფიცი მიიღეს, რომ ამას უეჭველად მიაღწევენ.

– მერე რად სჭირდებათ მათ ომი? – განგებ გულგრილად შეეკითხა რამზესი.

– რად სჭირდებათო? – წამოიძახა სარამ. – ისინი თქვენც და ასირიელებსაც იარაღს, საქონელსა და საიდუმლო ცნობებს მიაწოდებენ და ყოველივე ამისათვის კარგ საფასურსაც აიღებენ. ამას გარდა, ორივე მებრძოლი მხარის დაჭრილებსა და დახოცილებს გაძარცვავენ და თქვენი და ასირიელი ჯარისკაცებისაგან ნადავლსა და ტყვეებს შეისყიდიან. განა ეს ცოტაა? ეგვიპტე და ასირია განადგურდება, სამაგიეროდ ფინიკიელები ახლად აგებულ სარდაფებს ნადავლით აავსებენ.

– ვისგან გაიგე ასეთი ბრძნული ამბები? – გაიღიმა რამზესმა.

– მე თვითონ ჩემი ყურით ვისმენ, რასაც ამაზე მამაჩემი, ჩვენი ნათესავები და ნაცნობები ჩურჩულებენ და შეშინებული აქეთ-იქით იცქირებიან, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო. ესეც რომ არ იყოს, განა ფინიკიელებს არ ვიცნობ? შენს წინაშე, ბატონო ჩემო, ისინი მუცელზე ხოხავენ და მათს პირმოთნე გამოხედვას ვერ ამჩნევ, მე კი არაერთხელ პირდაპირ ჩამიხედია მათს თვალებში, რომლებიც ხან მწვანეა სიხარბის გამო, ხან კიდევ ბრაზით გაყვითლებული. ჰოი, ბატონო, ერიდე ფინიკიელებს, როგორც შხამიან გველებს.

რამზესი მისჩერებოდა სარას და ძალაუნებურად მის წრფელსა და უანგარო სიყვარულს, მის ნაზ გატაცებას ფინიკიელი ქალის ცბიერ გულგრილობას ადარებდა.

„მართალია! – გაიფიქრა მან, – ფინიკიელები შხამიანი გველები არიან, მაგრამ თუ რამზეს დიდი ომში ლომს იყენებდა, მე რატომ არ უნდა გამოვიყენო ეგვიპტის მტრების წინააღმდეგ გველები?“

მაგრამ რაც უფრო ცხადი იყო მისთვის კამას ცბიერება, მით უფრო ძლიერად იზიდავდა იგი. ზოგჯერ გმირის სულს საფრთხე სწყურია. იგი გამოეთხოვა სარას და ანაზდად რატომღაც მოაგონდა, რომ სარგონს მასზე ეჭვი ჰქონდა, თითქოს ღამის თავდასხმაში ისიც მონაწილეობდა.

მემკვიდრეს უცებ გულში გაურბინა:

„ნუთუ ჩემმა ორეულმა მოახდინა ელჩთან ჩხუბი? ვისი ჩაგონებით ჩაიდინა ეს? ეგებ ფინიკიელების? ხოლო თუ მათ განზრახვა ჰქონდათ ამ ბინძურ საქმესთან ჩემი სახელიც დაეკავშირებინათ, მაშინ სარა მართალია, რომ ისინი არამზადები არიან და უნდა მოვერიდო“.

მასში კვლავ აენთო აღშფოთება, საკითხის დაუყოვნებლივ გამორკვევა ეწადა და რადგან უკვე ბინდდებოდა, შინ შეუსვლელად კამასაკენ გაემართა.

რამზესს ნაკლებად აფიქრებდა ის, რომ შეიძლებოდა ეცნოთ, საფრთხის შემთხვევისათვის კი მახვილი თან ჰქონდა.

ქურუმქალის პავილიონი განათებული იყო, ხოლო წინკარში არც ერთი მსახური არ ჩანდა.

„აქამდე, – გაიფიქრა მეფისნაცვალმა, – კამა მსახურებს უშვებდა, როცა მე მელოდებოდა. დღეს ან წინასწარ გრძნობს, რომ მე მივალ, ანდა იქნებ ჩემზე უფრო ბედნიერ საყვარელს ელის“.

იგი მეორე სართულზე ავიდა, ფინიკიელი ქალის საწოლი ოთახის შესასვლელთან შეჩერდა და მსწრაფლ გადასწია ფაოდა. ოთახში კამა და ხირამი ისხდნენ და რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.

– აჰ, მე ცუდ დროს მოვედი! – სიცილით წარმოთქვა უფლისწულმა. – მთავარო, შენც ეარშიყები ქალს, რომელსაც სიკვდილის შიშით აკრძალული აქვს მამაკაცებისადმი კეთილგანწყობილების გამომჟღავნება?

ხირამი და კამა წამოხტნენ.

– ჩანს, – მისალმებით უთხრა ფინიკიელმა, – რომელიღაც კეთილმა სულმა გაგაფრთხილა, ბატონო, რომ შენზე ვსაუბრობთ.

– უთუოდ რაიმე ფათერაკს მიწყობთ, არა? – შეეკითხა რამზესი.

– შეიძლება, – უპასუხა კამამ და მეფისწულს გამომწვევი მზერა ესროლა.

მაგრამ მან ცივად უპასუხა.

– ისე კი არ მოხდეს, რომ ისინი, ვინც მე ფათერაკს მიწყობენ, თვითონ არ გახდნენ ჩუგლუგისა და მარყუჟის მსხვერპლი.

კამას ტუჩებზე ღიმილი გაეყინა. ხირამი გაფითრდა და მოკრძალებით უპასუხა:

– რით დავიმსახურეთ ჩვენი ბატონისა და მფარველის რისხვა?

– მსურს სიმართლე გავიგო, – უთხრა მეფისწულმა, დაჯდა და მრისხანედ ჩააცქერდა ხირამს, – მინდა გავიგო, ვინ მოაწყო ასირიის ელჩზე თავდასხმა და ამ საქმეში იმ ადამიანის ჩარევა, რომელიც მე ისე მგავს, როგორც ჩემი მარჯვენა ხელი მარცხენას?

– აი, ხედავ, კამა, – მიმართა ფინიკიელ ქალს შემკრთალმა ხირამმა, – ხომ გეუბნებოდი, იმ არამზადის შენთან მეტისმეტ დაახლოებას შეუძლია ჩვენ დიდი უბედურება და გვატეხოს-მეთქი. ასეც მოხდა... დიდხანს ცდა არ მოგვიხდა.

კამა ბატონიშვილს ფეხებში ჩაუვარდა.

– ყველაფერს გიამბობ, – წარმოთქვა მან, – მხოლოდ გულიდან განდევნე ფინიკიელებისადმი წყენა. მომკალი, ჩამსვი საპყრობილეში, რაც გინდა მიყავი, ოღონდ მათ ნუ განურისხდები.

– ვინ დაეცა სარგონს?

– ბერძენი ლიკონი, ჩვენს ტაძარში რომ გალობს, – უპასუხა კამამ, რომელიც მის წინ კვლავ მუხლმოყრილი იყო.

– ჰო! ის, ვინც შენს ფანჯარასთან მაშინ მღეროდა? ნუთუ იგი ასე უცნაურად მგავს?

ხირამმა თავი დახარა და გულზე ხელი მიიდო.

– ჩვენ უხვად ვასაჩუქრებდით ამ ადამიანს, – უთხრა რამზესს, – იმისათვის, რომ შენ გგავს, ბატონო... ჩვენ ვფიქრობდით, რომ მისი უბადრუკი პიროვნება გაჭირვების ჟამს გამოგადგებოდა...

– გამომადგა კიდეც, – სიტყვა გააწყვეტინა მემკვიდრემ, – ახლა სად არის? მე მსურს ვნახო ის მშვენიერი მომღერალი. ჩემი ცოცხალი განსახიერება...

ხირამმა ხელები გაშალა.

– გაიქცა ის არამზადა... მაგრამ მოვნახავთ, თუ ბუზად ან მიწის ჭიად არ იქცა, – უთხრა ხირამმა.

– მე მაპატიებ, ჩემო ბატონო? – ჩურჩულით შეეკითხა კამა და ხელები მის მუხლებზე დააწყო.

– ქალს ბევრი რამ ეპატიება, – უპასუხა მემკვიდრემ.

– არც თქვენ იძიებთ ჩემზე შურს? – შეშინებით შეეკითხა კამა ხირამს.

– ფინიკია, – აუჩქარებლივ და ჩაგონებით უპასუხა მოხუცმა, – უდი-

დეს დანაშაულს აპატიებს იმას, ვინც ჩვენი ბატონის რამზესის – ცოცხლობდეს იგი მარად! – მოწყალებას მოიპოვებს. რაც შეეხება ლიკონს, – მიმართა მან მემკვიდრეს, – ის, ცოცხალი თუ მკვდარი, შენს ხელთ იქნება.

ეს რომ თქვა, დაბლა დაუკრა თავი ტახტის მემკვიდრეს და. წავიდა. ოთახში ქურუმქალი და ბატონიშვილი მარტო დარჩნენ.

რამზესს თავში სისხლი აუვარდა. მან ხელები მოხვია მის წინ დაჩოქილ კამას და ჩასჩურჩულა:

– ხომ გაიგონე, რა თქვა ღირსმა ხირამმა? ფინიკია შენ უდიდეს დანაშაულს გაპატიებსო! აი ადამიანი, რომელიც მართლაც ჩემი ერთგულია. რაკი მან ეს თქვა, რაღა მომიზეზება შეიძლება კიდევ გქონდეს?

კამა მას ხელებს უკოცნიდა და ეჩურჩულებოდა:

– შენ დამიმორჩილე მე... მე შენი მხევალი ვარ... მაგრამ დღეს ნუ შემეხები. მოექეც პატივით სახლს, რომელიც ქალღმერთს აშტორეტს ეკუთვნის.

– მაშ ჩემთან სასახლეში გადმოხვალ? – შეეკითხა რამზესი.

– ჰოი, ღმერთებო! ეს რა სთქვი? იმ ჟამიდან, რაც მზე ამოდის და ჩადის, არ მომხდარა, რომ აშტორეტის ქურუმქალს... მაგრამ რას ვიზამ? ფინიკია, ჩემო ბატონო, შენდამი ისეთ ერთგულებას და სიყვარულს იჩენს, როგორიც არც ერთ მის შვილს არ ღირსებია...

თავი მეცამეტე

როცა ხირამისაგან გაიგო, რომ ფინიკიელებმა მას ქურუმქალი აჩუქეს, მოინდომა, რაც შეიძლება ჩქარა გადმოსულიყო მასთან.

მაგრამ კამა გადასვლას არ ჩქარობდა და მემკვიდრეს ემუდარებოდა მოეცადა, ვიდრე ღვთისმოსავთა მოზღვავება არ შემცირდება და, რაც მთავარია, ვიდრე ბუბასტისიდან ყველაზე წარჩინებული პირები არ წავლენო, წინააღმდეგ შემთხვევაში ტაძრის შემოსავალი მოიკლებდა და ქურუმქალს შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა.

– ჩვენი დიდებულნი და ბრძენნი, – განუმარტა მან რამზესს, – ღალატს მაპატიებენ, მაგრამ ბრბო ღმერთებს მიმართავს, რათა მათ თავს რისხვა დამატეხონ. შენ კი მოგეხსენება, ჩემო ბატონო, რომ

ღმერთებს ხელები ყველგან მიუწვდებათ.

– მეშინია მათ ხელები არ დაუმოკლდეთ, თუ ჩემს ჭერქვეშ შემოჭრას შეეცდებიან, – უპასუხა რამზესმა.

მაგრამ დაჟინებით არ მოითხოვდა თავისი სურვილის შესრულებას, ვინაიდან მის ყურადღებას იმჟამად სხვა რამ იპყრობდა.

ასირიის ელჩები სარგონი და იზდუბარი ხელშეკრულების გასაფორმებლად უკვე მემფისში გაემგზავრნენ. ამავე დროს ფარაონმა რამზესს წინადადება მისცა მისთვის თავისი მოგზაურობის ანგარიში წარედგინა.

მეფისნაცვალმა მწერლებს უბრძანა დაწვრილებით აეწერათ ყველაფერი იმ მომენტიდან, როდესაც იგი მემფისიდან წამოვიდა, ესე იგი სახელოსნოებისა და ყანების დათვალიერება, მუშებთან, ნომარქოსებთან და მოხელეებთან საუბარი, მოხსენების წაღება კი თუტმოსს დაავალა.

– შენ ჩემი გული და პირი იქნები ფარაონის წინაშე, უთხრა, რამზესმა. – როდესაც მაღალღირსი ხერიჰორი შეგეკითხება, რას ვფიქრობ ეგვიპტისა და ხაზინის დაკნინების მიზეზებზე, უპასუხე მინისტრს, რომ თავის თანაშემწე პენტუერს. მიმართოს და ჩემს შეხედულებას იგი გააცნობს იმავე საშუალებით, როგორითაც ეს მან ღვთაებრივი ხატორის ტაძარში ჩაატარა. ხოლო თუ ხერიჰორი მოისურვებს ასირიის ხელშეკრულების შესახებ ჩემი აზრი გაიგოს, მოახსენე, რომ ჩემი მოვალეობაა ჩვენი მეუფის ბრძანება შევასრულო.

იმის ნიშნად, რომ ყველაფერი მისთვის ნათელი იყო, თუტმოსი თავს უქნევდა.

– მაშინ კი, როდესაც მამაჩემის – ცოცხლობდეს იგი მარად! – წინაშე წარდგები, – განაგრძობდა მემკვიდრე, – და დარწმუნდები, რომ ყურს სხვა ვინმე არ გიგდებს, მუხლი მოიყარე და მოახსენე: „მეუფეო ჩვენო, ასე ამბობს შვილი და მსახური შენი, უღირსი რამზესი, რომელსაც შენ მიანიჭე სიცოცხლე და ძალაუფლება: ეგვიპტის ჭირთა მიზეზია ნაყოფიერი მიწების შემცირება, რომლებიც უდაბნომ წარიტაცა, და ჩვენი მოსახლეობის, რომელიც აუტანელი შრომისა და სიღატაკისაგან წყდება, რიცხვის დაკლება. ამასთან ერთად იცოდე, ჩვენო ბატონო, რომ ჭირსა და უდაბნოზე არა ნაკლებ ზიანს აყენებენ ხაზინას

შენი ქურუმები. ვინაიდან არა მარტო ტაძრებია სავსე ოქროთი და ძვირფასეულობით, რომლითაც ყველა ჩვენი ვალის გადახდა შეგეძლო, არამედ წმიდა მამებსა და წინასწარმეტყველებს ყველა საუკეთესო მამული, ყველაზე მეტად შრომისმოყვარე გლეხები და მუშები ეკუთვნით და მიწა მათ გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე თვითონ ღმერთ-ფარაონს. ასე გეუბნება შენ შვილი და მსახური შენი რამზესი, რომელსაც მთელი მოგზაურობის დროს თვალები გახელილი ჰქონდა, როგორც თევზს, და ყური მახვილი, ვითარცა ფრთხილ სახედარს.

ბატონიშვილმა სული მოითქვა, თუტმოსმა კი მისი სიტყვები თავის გონებაში გაიმეორა.

– როდესაც ფარაონი შეგეკითხება, – განაგრძო რამზესმა, – ჩემს აზრს ასირიელებზე, პირქვე დაემხე და უპასუხე: „შენი მსახური რამზესი კადნიერდება იფიქროს, რომ ასირიელები ახოვანი და ღონიერი მეომრები არიან და იარაღიც მშვენიერი აქვთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ცუდად გაწვრთნილნი. სარგონს თან ახლავს, ცხადია, ასირიელების საუკეთესო ჯარი: მშვილდოსნები, ჩუგლუგოსნები და შუბოსნები, მაგრამ მათში ვერც ერთ ექვსეულს ვერ ნახავთ, რომელიც ერთ მწკრივში ნაბიჯს სწორად ადგამდეს. ამასთან მახვილები მათ ცუდად ჰკიდიათ, შუბებს ულაზათოდ ატარებენ, ხოლო ჩუგლუგები ხელში ისე უჭირავთ, როგორც დურგლებსა და ყასბებს. მათი ტანსაცმელი მძიმეა, ტლანქი სანდლები ფენებს გადაუხეხავთ, ხოლო ფარები თუმცა მაგარია, მაგრამ ნაკლებად გამოსადეგი, რადგან თვითონ მეომრები მოუქნელნი არიან“.

– მართალს ამბობ, – უთხრა თუტმოსმა, – ეს მეც შევნიშნე და გამიგონია ჩვენი ოფიცრებისგანაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ასირიელების ჯარს, რომელიც მათ ნახეს, უფრო მცირე წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, ვიდრე ლიბიელთა ველურ ურდოებსო.

– უთხარი კიდევ, – ეუბნებოდა რამზესი, ჩვენს ბატონს, რომელიც სიცოცხლეს გვანიჭებს, რომ ეგვიპტის მთელ აზნაურობასა და ყველა სამხედრო პირს უაღრესად აშფოთებს ის აზრი, რომ ასირიელებს შეუძლიათ ფინიკიას დაეუფლონ. ფინიკია კი ეგვიპტის ნავსაყუდია და ფინიკიელები – ჩვენი ფლოტის საუკეთესო მეზღვაურები. გადაეცი კიდევ, რომ ფინიკიელებისაგან შევიტყვე (მეფემ კი, ალბათ, ეს ჩემზე

კარგად იცის), თითქოს ასირია ამჟამად სუსტია, ვინაიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ომს აწარმოებს და მის წინააღმდეგ მთელი დასავლეთი აზიაა ამხედრებული. და თუ ახლა დავესხმებით თავს, მაშინ შეგვიძლია ხელთ ვიგდოთ დიდი სიმდიდრე და მრავალი მონა, რომლებიც ჩვენს გლეხებს მუშაობაში დაეხმარებიან. დასასრულ ეტყვი, რომ მამაჩემი სიბრძნით ყველას აღემატება, და ამიტომაც მე ისე ვიმოქმედებ, როგორც ის მიბრძანებს, ხოლო ფინიკიას ტიგლატფილესა მეფეს ნუ ჩაუგდებს ხელში, თორემ დავიღუპებით. ფინიკია ჩვენი საუნჯეთა ბრინჯაოს კარია და სად ნახულა ისეთი ადამიანი, რომელიც ქურდს თავის კარს უთმობდეს?

თუტმოსი მემფისს პაოფის თვეში (ივლისი-აგვისტო) გაემგზავრა.

ნილოსი შესამჩნევად ადიდდა და აშტორეტის ტაძარში აზიელი ღვთისმოსავების დენა შემცირდა. ადგილობრივი მოსახლეობა მინდვრებში გამოეფინა, რათა ყურძენი და სელი საჩქაროდ აეღო. ბუბასტისში სიწყნარე ჩამოვარდა და ბაღები, რომლებიც აშტორეტის ტაძარს გარს ერტყა, თითქმის დაცარიელდა.

ამ დროს ტახტის მემკვიდრე სახელმწიფო საქმეებისა და გართობებისაგან განთავისუფლდა და კამას მოწყობაზე ზრუნვა დაიწყო,

ხირამის შუამავლობით ბატონიშვილმა აშტორების ტაძარს შესწირა თორმეტი ოქროს ტალანტი, ქალღმერთის ოსტატურად გაკეთებული მალაქიტის ქანდაკება, ორმოცდაათი ძროხა და ას ორმოცდაათი საწყაო ხორბალი.

შეწირულება იმდენად უხვი იყო, რომ ფარაონის მოადგილესთან თვითონ ტაძრის უმაღლესი ქურუმი გამოცხადდა, მის წინაშე პირქვე დაემხო და მადლობა გადაუხადა მოწყალებისათვის, რომელსაც, მისი სიტყვით, აშტორეტის თაყვანისმცემელი ხალხები თავის დღეში არ დაივიწყებენ.

ამის შემდეგ ბატონიშვილმა მოიხმო ბუბასტისის პოლიციის უფროსი, რომელსაც დიდხანს ესაუბრა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მთელი ქალაქი არაჩვეულებრივმა ამბავმა შესძრა.

აშტორეტის ქურუმქალი კამა გაიტაცეს, სადღაც წაიყვანეს და ისე გაქრა, როგორც ქვიშის ნამცეცი უდაბნოში...

ეს უცნაური ამბავი ამგვარად მოხდა.

ტაძრის უმაღლესმა ქურუმმა კამა მსხვერპლშესაწირავებით მეზობელ ქალაქს გაგზავნა – აშტორეტის იქაურ პატარა ტაძარში. ქურუმქალი ნავით გაემგზავრა ღამით, რომ ზაფხულის სიცხისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობისმოყვარეებისათვის თავი აერიდებინა. განთიადისას, როდესაც მისი ნავის მენიჩბეებს დაღლილობის გამო ჩაეძინათ, სანაპირო შამბნარიდან რამდენიმე მცირე ნავი გამოცურდა, რომლებშიც ხეთელები და ბერძნები ისხდნენ. ისინი კამას ნავს გარსშემოერტყნენ და ქალი გაიტაცეს. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ფინიკიელმა მენიჩბეებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრეს. თვითონ ქურუმ ქალს, ჩანს, პირი დაუმუწეს, რადგან მან დაყვირებაც კი ვერ შეძლო.

ეს მკრეხელობა რომ ჩაიდინეს, ხეთელებმა და ბერძნებმა აშტორეტის ტაძრის კუთვნილი ნავი გადააბრუნეს და შამბნარში მიიმალნენ, რათა შემდეგ ზღვაში გასულიყვნენ.

ბუბასტისში მთელი მოსახლეობა მხოლოდ ამ ამბავზე ლაპარაკობდა. ბოროტმოქმედების ჩამდენ დამნაშავეებსაც კი ასახელებდნენ. ერთ ნაწილს ეჭვი სარგონზე ჰქონდა, რომელიც კამას ცოლად შერთვას პირდებოდა, თუ ის აშტორეტის ტაძარს განშორდებოდა და მასთან ერთად ნინევიაში წავიდოდა. სხვები ამ დანაშაულს ბერძენ ლიკონს მიაწერდნენ, რომელიც აშტორეტის ტაძარში მგალობლად მსახურობდა და დიდი ხანია კამასადმი ვნებით იწვოდა. ის საკმაოდ შეძლებული იყო, რომ ბერძენი მოხეტიალეები დაექირავებინა და მხოლოდ ასეთი აშკარა უღმერთო არ შეკრთებოდა გაეტაცა ქურუმქალი.

რასაკვირველია, აშტორეტის ტაძარში მრევლის მდიდარი და კეთილმსახური წევრების საბჭო დაუყოვნებლივ მოიწვიეს. საბჭომ პირველ რიგში კამას ქურუმქალის მოვალეობისაგან განთავისუფლება დაადგინა და მოხსნა შეჩვენება, რომელიც სიქალწულის აღთქმის დამრღვეველ ქურუმქალს მოელოდა.

ეს მართლაც კეთილგონივრული და ბრძნული გადაწყვეტილება იყო: თუ ქურუმქალი ვიღაცამ ძალით გაიტაცა, მაშინ მისი დასჯისათვის საფუძველი აღარ არსებობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ აშტორეტის ტაძარში მორწმუნეებს ბუკე-

ბის ხმაურში გამოუცხადეს, რომ კამა მოკვდა და თუ ვინმე მის მსგავს ქალს სადმე შეხვდება, მასზე არათუ შური არ უნდა იძიოს, არამედ საყვედურიც კი არ უნდა განუცხადოს.

იმავე დღეს ღირსმა ხირამმა რამზესი ინახულა და მას ოქროს კოლოფით ქურუმების მიერ ბეჭედდასმული და წარჩინებული ფინიკიელებისაგან ხელმოწერილი პერგამენტი გადასცა.

ეს იყო აშტორეტის სასულიერო სამსჯავროს განაჩენი, რომელიც კამას აღთქმისაგან ათავისუფლებდა და მას ზეცას კრულვას აშორებდა, თუ იგი ქურუმქალის ღირსებაზე უარს იტყოდა.

მზის ჩასვლის შემდეგ ბატონიშვილი ამ საბუთით თავის ბაღში განმარტოებით მდგომ პავილიონისაკენ გაემართა, გააღო ფარული კარი და მეორე სართულის პატარა ოთახში ავიდა.

ჩუქურთმით შემკულ ლამპრის სინათლეზე, რომელშიც სურნელოვანი ზეთი იწვოდა, მან კამა დაინახა.

– როგორც იქნა! – წამოიძახა მან და კამას ოქროს კოლოფი გადასცა. – აი, ყველაფერი, რაც შენ გსურდა.

ფინიკიელი ქალი აღგზნებული იყო და თვალები უელვარებდა; მან კოლოფს ხელი დასტაცა, გასინჯა და გაბრაზებით იატაკზე დაახეთქა.

– შენ გგონია, ის ოქროსია? – მიმართა ბატონიშვილს. – ორივე მხრით მოვარაყებულია მხოლოდ.

– განა ასე უნდა შემხვდე? – შეეკითხა გაოცებული ბატონიშვილი.

– მე ვიცნობ ჩემს თანამემამულეებს, უპასუხა ქალმა, – ისინი აყალბებენ არა მარტო ოქროს, არამედ ლალს, საფირონს...

– კამა! – შეაჩერა მემკვიდრემ. – ამ კოლოფში ხომ შენი თავისუფლებაა.

– რა ბედენაა ჩემთვის ასეთი თავისუფლება? მე მოწყენილი ვარ და მეშინია. უკვე ოთხი დღეა აქ, როგორც საპყრობილეში, ისე ვზივარ...

– ეგებ გაკლია რამე?

– მე სინათლე... ჰაერი... სიცილი.. სიმღერა... ადამიანები მაკლია... ჰოი, შურისმაძიებელო ქალღმერთო, როგორ სასტიკად მსჯი!

მემკვიდრე გაოგნებული უსმენდა. ამ ბოროტ, გაფნუკიანებულ

ქალში იმ ქურუმქალს ვეღარ ცნობდა, რომელსაც ტაძარში ხედავდა, იმ ქალიშვილს, რომელსაც ბერძნის ვნებიანი სიმღერა გარს ეხვეოდა.

– ხვალ, – უთხრა რამზესმა, შეგიძლია ბაღში გახვიდე. ხოლო როდესაც მემფისში და თებეში წავალთ, იქ გაერთობი, როგორც არასოდეს. შემომხედე, – განა მე შენ არ მიყვარხარ და განა დიდი პატივი არაა ქალისათვის მე მეკუთვნოდეს?

– დიახ, გაანჩხლებით უპასუხა მან, – შენ ჩემამდე ხომ ოთხი გყავდა..

– მართალია, მაგრამ შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ.

– ყველაზე მეტად რომ გიყვარდე, პირველ ადგილს მომაკუთვნებდი, სასახლის იმ ნაწილში მომათავსებდი, სადაც ის... ებრაელი ქალი სარა იმყოფება და საპატიო მცველებს მე და არა იმას მიუჩენდი. იქ, აშტორეტის ქანდაკების წინაშე, მე პირველი ვიყავი... ის, ვინც ქალღმერთს თაყვანსა სცემდა და მის წინ მუხლს იყრიდა, მე მიცქეროდა... აქ კი რას ვხედავ? ჯარისკაცები დაფდაფს სცემენ და სალამურს უკრავენ, მოხელეები ხელებს გულზე დაიკრეფენ და თავს ხრიან ებრაელი ქალის სახლის წინაშე...

– ჩემი პირმშოს წინაშე, – სიტყვა შეაწყვეტინა გაცხარებულმა რამზესმა. – ის კი ებრაელი არ არის! !

– ებრაელია! – წამოიყვირა კამამ.

რამზესი ფეხზე წამოხტა.

– გამაგდე, თუ ვტყუი, – განაგრძობდა კამა, – ხოლო თუ სიმართლე ვთქვი, გააძევე ის ებრაელი ქალი მის ლევთან ერთად და სასახლე გადმომეცი. მე მსურს, მე ღირსი ვარ, რომ შენს სახლში პირველი ადგილი მეკავოს. ის შენ გატყუებს... დაგცინის... მე კი შენი გულისათვის ჩემი ღმერთქალი უარვყავი...

– ცრუობ! – მიაძახა ბატონიშვილმა.

– იმ ქალმა შენს ვაჟს ისააკი უწოდა, წადი და თვითონ ჰკითხე!

თუმცა მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ აღელვებისაგან თავდავიწყებულმა რამზესმა ძლივს გაიგნო გზა პავილიონისაკენ, სადაც სარა ცხოვრობდა. ცივმა ჰაერმა გამოაფხიზლა და თითქმის დამშვიდებული შევიდა სარას სახლში. ქალი თავისი ხელით ურეცხავდა შვილს საფენებს, მაშინ როდესაც მისი მსახურები მხიარულად შეექცეოდნენ

სასმელ-საჭმელს.

როდესაც სარამ მისი გაფითრებული სახე დაინახა, წამოიკივლა, მაგრამ მალე თავი შეიკავა.

– სალამი შენდა, ბატონო ჩემო, – მიესალმა მას, სველი ხელები შეიმშრალა და მის წინ მუხლი მოიდრიკა.

– სარა! – მიმართა რამზესმა, – რა ჰქვია შენს ვაჟს?

– შენ ხომ იცი, ბატონო, რომ მას სეთი ჰქვია, ოდნავ გასაგონად უპასუხა სარამ.

– თვალებში შემომხედე!

– ჰოი, იაღვე!

– აჰა! შენ სტყუი! მაშ მე გეტყვი: ჩემს ვაჟს ეგვიპტის ტახტის მემკვიდრის შვილს, ისააკი ეწოდება და ის ებრაელია,

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! შემიბრალე! – სასოწარკვეთილებით წამოიძახა სარამ და მის ფეხებთან დაემხო.

რამზესმა ხმა არ აიმაღლა, მაგრამ სახე გაუშავდა.

– მე მაფრთხილებდნენ, – თქვა მან, – რომ ჩემს სახლში ებრაელი ქალი არ მომეყვანა... მაგრამ ვცილობდი ჩამეხშო გულში შენი თანამემამულეებისადმი მტრული გრძნობა, რადგან გენდობოდი, სარა, შენ კი მე შვილი მომპარე.

– ქურუმებმა მიბრძანეს, რომ ის ებრაელი ყოფილიყო, – ქვითინით უპასუხა სარამ.

– ქურუმებმა?

– დიახ, მაღალღირსმა ხერიჰორმა და ნოფრმა; ისინი მეუბნებოდნენ, რომ ასეა საჭირო, ვინაიდან შენი ვაჟი ებრაელთა პირველი მეფე უნდა იქნესო.

– ქურუმებმა? ნოფრმა? ებრაელთა მეფედ? – იმეორებდა რამზესი. – ხომ გეუბნებოდი, რომ მას ჩემს მსროლელთა უფროსად ან ჩემს მწერლად გავხდი-მეთქი, – შენ კი, საბრალოვ, გადაგიწყვეტია, რომ იუდეელთა მეფის ტიტული ამ მაღალ თანამდებობებზე უფრო მიმზიდველია. ვმადლობ ღმერთებს, რომ ბოლოს მაინც გავიგე ამ მაღალი მოხელეების ოინები. ახლა ვიცი, რა ბედს უმზადებენ ისინი ჩემს შვილს.

ის ტუჩების კვნეტით ერთ ხანს რაღაცას ფიქრობდა და უცებ ხმა-

მაღლა დაიძახა:

– ეი! მსახურებო! ჯარისკაცებო!

ოთახი მსწრაფლ აივსო ხალხით. შემოვიდნენ სარას მხევლები, მწერალი, მისი სახლის მმართველი, შემდეგ მონები, ბოლოს რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი.

– სიკვდილი! – გულგამგმირავი ხმით წამოიძახა სარამ, აკვანს მივარდა, შვილი ხელში აიყვანა, დადგა ოთახის კუთხეში და დაიყვირა:

– მე მომკალით... მას კი არ დაგანებებთ!

რამზესმა გაიღიმა.

– ასისთავო, – მიმართა ოფიცერს, – წაიყვანე ეს ქალი და ბავშვი და იმ შენობაში მოათავსე, სადაც ჩემი მონები ცხოვრობენ. ეს ებრაელი ქალი თქვენი ქალბატონი ამიერიდან აღარ იქნება. თვითონ ის იქნება მხევალი იმისი, ვინც მის ადგილს დაიკავებს. შენ კი, – მიმართა სახლის მმართველს, არ დაგავიწყდეს წარგზავნო ხვალ დილით, რომ ფეხები დაბანოს თავის ქალბატონს, რომელიც ახლავე გადმოვა აქ. თუ არ დაგემორჩილება, ჯოხით დასაჯე.

ოფიცერი და სახლის მმართველი სარას მიუახლოვდნენ, მაგრამ შეჩერდნენ, ვერ გაბედეს შეხებოდნენ, ეს საჭიროც არ იყო. სარამ ატირებული ბავშვი ხილაბანდში შეახვია და გავიდა ოთახიდან, თან ჩურჩულებდა:

– ღმერთო აბრაამისა, ისააკისა, იაკობისა, შეგვიწყალე ჩვენ...

მან თავი დახარა ბატონიშვილის წინაშე და თვალთაგან ცრემლები წასკდა. ჯერ კიდევ წინკარიდან ესმოდა რამზესს მისი ნაზი ხმა:

– ღმერთო აბრაამისა, ისა...

როდესაც ყველაფერი მიწყნარდა, ფარაონის მოადგილემ ასისთავს და სახლის მმართველს უთხრა:

– ჩირაღდნებით წადით იმ სახლში, რომელიც ლეღვებს შორის დგას...

– მესმის, – მიუგო მმართველმა.

– და დაუყოვნებლივ გადმოიყვანეთ ქალი, რომელიც იქ ცხოვრობს... ამიერიდან იგი თქვენი და სარას ქალბატონი იქნება. სარა ვალდებულია ყოველ დილას ფეხები დაბანოს მას, წყალი გადაავლოს და მის წინ სარკე ეკავოს. ეს არის ჩემი ნება და ბრძანება.

– შესრულებულ იქნება.

– ხვალ დილით კი მომახსენეთ, მორჩილი იქნება თუ არა ახალი მხევალი.

ამის შემდეგ მემკვიდრე სასახლეში დაბრუნდა. მაგრამ მთელი ღამე არ სძინებია. მისი სულის სიღრმეში შურისძიების ხანძარი გიზგიზებდა.

რამზესი გრძნობდა, რომ მან თითქმის ხმის აუმაღლებლად შემუსრა სარა, რომელმაც მისი მოტყუება გაბედა. მან ის დასაჯა როგორც მეფემ, რომელიც ადამიანს წარბების ერთი . "შერხევით მონობის უფსკრულში გადაისვრის. მაგრამ სარა მხოლოდ ქურუმების იარაღი იყო და მემკვიდრეს კი ამ იარაღის დამსხვრევით არ შეეძლო მათთვის ეპატიებინა, ვინც თავისი მიზნისათვის გამოიყენა.

ის გარემოება, რომ ქურუმები რამზესისთვის მიუწვდომელი იყვნენ, კიდევ უფრო აძლიერებდა მის გაშმაგებას. მემკვიდრეს შეეძლო ღამით სარა ბავშვით მსახურთა ბინაში გაეგდო, მაგრამ არ შეეძლო ხერიჰორისათვის მისი ხელისუფლება და ნოფრისათვის უმაღლესი ქურუმის ღირსება ჩამოერთმია. სარა გასრესილ ჭიასავით დაემხო მის ფეხებთან, ხოლო ხერიჰორი და ნოფრი, რომელთაც მას პირმშო მოსტაცეს (ჰოი სირცხვილო!), პირამიდების მსგავსად დაჰყურებდნენ ეგვიპტეს და თვით მასაც, მომავალ ფარაონს. და აი, ვინ იცის რამდენჯერ მოიგონა მან ამ წელს ის შეურაცხყოფა, რომელიც ქურუმებისაგან არაერთხელ განუცდია: სკოლაში ჯოხით ისე სცემდნენ, რომ ზურგს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, ან შიმშილით კლავდნენ. წარსული წლის მანევრებზე ხერიჰორმა მთელი მისი გეგმა ჩაშალა, შემდეგ ეს მასვე დაბრალა და კორპუსის მეთაურობა წაართვა. იმავე ხერიჰორმა გამოიწვია მისდამი ფარაონის გულისწყრომა იმისათვის, რომ მან სარა თავის სახლში გადაიყვანა, და მხოლოდ მაშინ დაუბრუნა საპატიო. მდგომარეობა, როცა მემკვიდრემ მორჩილების ნიშნად რამდენიმე თვე ნებაყოფლობით გაძევებაში გაატარა. თითქოს მას შემდეგ, რაც მან კორპუსი მიიღო და ფარაონის მოადგილე გახდა, ქურუმების მეურვეობისაგან უნდა განთავისუფლებულიყო, მაგრამ სწორედ ახლა მას ორმაგად სდევნიან. ქურუმებმა გახადეს იგი ფარაონის მოადგილე – რისთვის? რომ ფარაონისათვის დაეშორებინათ და ასირიასთან

სამარცხვინო ხელშეკრულება დაედოთ, მაგრამ ესეც არ აკმარეს. როცა მოისურვა სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ ცნობები მიეღო, აიძულეს მომნანიებელი ცოდვილის სახით ხატორის ტაძარში წასულიყო. აქ ცრუ სასწაულებით აშინებდნენ და ატყუებდნენ სავსებით არასწორი ცნობების მიწოდებით. იქიდან დაბრუნების შემდეგ პირად საქმეებში და ქალებთან და ფინიკიელებთან ურთიერთობაში ერევიან და თვალყურს ადევნებდნენ მის ვალებს. და, დასასრულ, რომ ხალხის თვალში სასაცილო გახადონ, მისი პირმშო ებრაელებს გადასცეს...

გრძნობდა შეურაცხყოფის სიმძიმეს რამზესი, თუმცა მიხვდა, რომ არ შეეძლო ახლა შური ეძია, და გადაწყვიტა ეს მომავლისათვის გადაედო. ქურუმების სკოლაში მან თავშეკავება შეითვისა, სამეფო კარზე წყენის ატანა და პირმოთნეობა შეისწავლა, და ეს გამოადგება ფარად და იარაღად ქურუმებთან ბრძოლაში... ჯერჯერობით დე ქურუმები ცდებოდნენ მისი ზრახვების შეცნობაში. დადგება დრო და ისე დაარტყამს, რომ ფეხზე ვეღარ წამოდგნენ.

გარეთ თენდებოდა. ფიქრებისაგან მოქანცულ მემკვიდრეს ღრმად ჩაეძინა.

როცა გამოიღვიძა, პირველი ადამიანი, მის წინ რომ იდგა, სარას სახლის მმართველი იყო.

– სარას თავი როგორ უჭირავს? ჰკითხა ბატონიშვილმა.

– სრული მორჩილების გრძნობით შეხვდა თავის ახალ მდგომარეობას, – უპასუხა მან, – მაგრამ საკმაო სიმარდით ვერ მოემსახურა ახალ ქალბატონს და მან სახეში წიხლი ჰკრა.

თავზარდაცემული ბატონიშვილი შეშფოთდა.

– მერე სარამ რა ქნა? – წამოიყვირა მან.

– მიწაზე დაეცა. ხოლო, როდესაც ახალმა ქალბატონმა უბრძანა ოთახიდან გაეთრიეო, გავიდა და ჩუმად ატირდა.

ბატონიშვილმა ოთახში სიარული. იწყო.

– ღამე როგორ გაატარა?

– ახალმა ქალბატონმა?

– არა, სარამ.

– როგორც გვიბრძანე, სარა ბალღით საჯალაბო სახლში მოთავ-

სდა. იქ მსახურმა ქალებმა სიბრალულის გამო ახალი ქეჩა დაუთმეს, მაგრამ სარა დასაძინებლად არ დაწოლილა და მთელი ღამე მუხლებზე ბავშვით გაათენა.

– ბავშვი როგორღა არის? – შეეკითხა მემკვიდრე.

– ჯანმრთელადაა. დღეს დილით, როდესაც სარა ახალი ქალბატონის მოსამსახურებლად წავიდა, სხვა ქალებმა თბილ წყალში აბანავეს, ხოლო მწყემსის ცოლმა, რომელსაც აგრეთვე ძუძუთა ბალღი ჰყავს, მას ძუძუ აწოვა.

– არ ვარგა, უთხრა რამზესმა, – ძროხა იმის ნაცვლად, რომ თავის ხბოს ძუძუს აწოვებდეს, გუთანს მიათრევდეს ჰოლტის ქვეშ. და თუმცა ამ ებრაელმა ქალმა დიდი დანაშაული ჩაიდინა, მე არ მსურს, მისი უმანკო ბავშვი იტანჯებოდეს. სარა მეტს აღარ დაბანს ფეხს ახალ ქალბატონს და აღარც მისგან სილის გარტყმის ატანა მოუხდება. გამოუძებნე საჯალაბო სახლში ცალკე ოთახი, მიეცი ცოტა ავეჯი უბრძანე ისე კვებონ, როგორც ქალი, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც მოილოგინა. დეე დამშვიდებულად გაზარდოს თავისი ბალღი.

– მარად ცოცხლობდე, ჩვენო მეუფევ! – უპასუხა სახლის მმართველმა და გაეჩქარა მემკვიდრის ბრძანების შესასრულებლად.

სარა ყველა მსახურს უყვარდა, ხოლო გულბილწი და მყვირალა კამა რამდენიმე საათის განმავლობაში უკვე ყველას შესძულდა.

თავი მეთოთხმეტე

ფინიკიელ ქალს დიდი ბედნიერება არ მიუნიჭებია რამზესისათვის. როდესაც იგი პირველად ესტუმრა იმ პავილიონში, სადაც წინათ სარა ცხოვრობდა, მისგან მადლობის გამოცხადებას ელოდა, მაგრამ კამა თითქმის მტრულად შეხვდა.

– ეს რას ნიშნავს, – უთხრა მემკვიდრეს, – ერთი დღეც არ გასულა და იმ ბედითი ებრაელ ქალს უკვე დაუბრუნე შენი წყალობა?

– ის ხომ ისევ საჯალაბო სახლში ცხოვრობს, – უპასუხა რამზესმა.

– კი, მაგრამ ჩემმა მმართველმა მითხრა, რომ აღარ მომემსახურება.

მემკვიდრე ოდნავ შეიჭმუხნა.

– როგორც ვხედავ, ისევ უკმაყოფილო ხარ? – შეეკითხა იგი ქალს.

– მე მანამდე არ დავმშვიდდები, – აენთო ის, – ვიდრე იმ ებრაელ ქალს ჭკუას არ ვასწავლი და ვიდრე იგი, ჩემს ფეხებთან მუხლებზე დაჩოქილი და ჩემი მსახური, არ დაივიწყებს, რომ ოდესღაც ამ სახლში დიასახლისი იყო.

ფინიკიელი ქალი რამზესს თანდათან უფრო ნაკლებად მოსწონდა.

– კამა, – უთხრა მან, – ჩემმა მსახურმა რომ ფეხი ჰკრას ძუკნას, რომელიც თავის ლეკვს ძუძუს აწოვებს, მე მას გავაგდებდი. შენ კი სახეში ფეხი ჰკარი ქალსა და დედას. ეგვიპტეში დედის სახელი წმიდაა და კეთილი ეგვიპტელი ქვეყნად ყველაზე მეტად თაყვანსა სცემს ღმერთებს, ფარაონს და დედას.

– ვაიმე!.. – წამოიძახა კამამ და საწოლზე დაეცა. – აი მისაგებელი იმისათვის, რომ ჩემი ღმერთქალი უარვყავი. ამ ერთი კვირის წინათ ფეხებში ყვავილებს მესვროდნენ და სურნელებას მიკმევდნენ, ახლა კი....

მეფისწული კამას ოთახიდან გავიდა და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა; მაგრამ კამა ისევ გაანჩხლებულ-გაღიზიანებული დახვდა.

– გემუდარები, ბატონო, – მიმართა კამამ, – ჩემდამი ცოტა მეტი მზრუნველობა გამოიჩინო! თორემ მსახურებიც უყურადღებოდ მექცევიან, ჯარისკაცები მიბღვერენ და ვშიშობ სამზარეულოში ვინმემ საჭმელში საწამლავი არ ჩამიყაროს.

– მე სამხედრო მეცადინეობით ვიყავი გართული, – უთხრა რამზესმა, – და ამიტომ შენთან მოსვლა არ შემეძლო,

– სიცრუეა! – გაგულისებით მიაძახა კამამ. – გუშინ ჩემი აივნის ქვეშ იყავი, შემდეგ კი საჯალაბო სახლში წახვედი, სადაც ის ებრაელი ქალი ცხოვრობს.

– კმარა! – შეაჩერა მემკვიდრემ, – არც შენი აივნის ქვეშ და არც საჯალაბო სახლში არ ვყოფილვარ, და თუ მოგეჩვენა, თითქოს დამინახე, ეს იმას ნიშნავს, რომ შენს საყვარელს, იმ არამზადა ბერძენს, ეგვიპტე არათუ არ დაუტოვებია, არამედ კადნიერდება და ჩემს ბაღშიც კი დახეტიალობს.

ფინიკიელი ქალი თავზარდაცემული უსმენდა.

– ჰოი, აშტორეტო! – წამოიძახა მან, – მიხსენ მე... ჰოი, დედამიწავ, დამიფარე მე! თუ ლიკონი დაბრუნდა, დიდი უბედურება მომელის.

ბატონიშვილმა გაიცინა, მაგრამ მოსწყინდა ქალის გოდების მოსმენა,

– ნუ სწუხარ, – უთხრა წასვლისას კამას, – ამ დღეებში შენს ლიკონს ტურასავით გაკოჭილს მოგიყვანენ.

სასახლეში დაბრუნების შემდეგ რამზესმა ხირამი და პოლიციის უფროსი მოიხმო და განუცხადა, – რომ ბერძენი ლიკონი, რომელიც გარეგნობით მას დიდად მიაგავს, სასახლის გარშემო დაეხეტებაო, და უბრძანა აღმოეჩინათ და დაეპატიმრებინათ. ხირამმა შეფიცა, რომ ფინიკიელები პოლიციასთან ერთად იმოქმედებენ და ბერძენი მათ ხელიდან ვერ წაუვათ. პოლიციის უფროსმა კი თავი გააქნია.

– შენ ეჭვობ? – შეეკითხა რამზესი

– დიახ, ბატონიშვილო, – უპასუხა მან. – ბუბასტისში მრავალი ღვთისმორწმუნე აზიელი ცხოვრობს, რომელთა შეხედულებით საკურთხევლის მიმტოვებელი ქურუმქალი სიკვდილის ღირსია და, თუ იმ ბერძენმა. კამას მოკვლა იკისრა, ისინი დაეხმარებიან, თავშესაფარს აღმოუჩენენ, დამალავენ და გაქცევას გაუადვილებენ.

– მაგრამ კამა თქვენ ხომ, – მიმართა რამზესმა ხირამს, – გაათავისუფლეთ აღთქმისაგან!

– ფინიკიელების მხრივ, – უპასუხა ხირამმა, – მე შემიძლია ვითავდებო, რომ ისინი კამას ხელს არ ახლებენ, პირიქით, ბერძნის დაპატიმრებაში დაგვეხმარებიან. მაგრამ რა ვუყოთ ღმერთქალის აშტორეტის სხვა თაყვანისმცემლებს?..

– იმედი მაქვს, – შენიშნა პოლიციის უფროსმა, – რომ ამ ქალს ჯერ-ჯერობით არავითარი საფრთხე არ მოელის. და მას რომ გამბედაობა ეყოფოდეს, ჩვენ შეგვეძლო მისი დახმარებით ბერძენი შემოგვეგუებინა და აქ რომელიმე სასანლეში დაგვეპატიმრებინა.

– კარგი! წადი კამასთან, – უთხრა მემკვიდრემ, – და შენი გეგმა გაიცანი. თუ მოახერხებ და იმ არამზადას გაბაწრავ, ჯილდოდ ორას ტალანტს გაჩუქებ.

მემკვიდრის ბინიდან გამოსვლის შემდეგ ხირამმა პოლიციის უფ-

როსს უთხრა:

– უფროსო, მე ვიცი, რომ დამწერლობის ორივე ხერხი შეგისწავლია და ქურუმთა სიბრძნე შენთვის უცხო არ არის; როცა გსურს, კედლებს შიგნით მიმდინარე ჩურჩულსაც კი გაიგონებ და შენთვის საყურადღებო საგანს სიბნელეშიც გაარჩევ. ამიტომაც შენთვის ნაცნობია აზრები გლეხის, რომელსაც ჭიდან წყალი ამოაქვს, სანდლებით მოვაჭრე ხელოსნისაც, და წარჩინებული მებატონისაც, რომელსაც საკუთარ მსახურთა გარემოცვაში თავი ისე უშიშრად წარმოუდგენია, როგორც ბალღს დედის მუცელში...

– შენ არ სცდები, – უპასუხა მან, – ღმერთებმა მართლაც დამაჯილდოეს უტყუარი წინასწარი განჭვრეტის იშვიათი ნიჭით.

– და ამიტომ, – განაგრძო ხირამმა, – ზებუნებრივი ნიჭის წყალობით შენ, ალბათ, უკვე მიხვდი, რომ აშტორეტის ტაძარი ოც ტალანტს მოგართმევს, თუ იმ არამზადას ხელში ჩაიგდებ. ამას გარდა, კიდევ ათ ტალანტს დაგიმატებს, თუ მემკვიდრესთან გარეწარი ლიკონის უცნაური მსგავსების ხმა ეგვიპტეში არ გავრცელდება, ვინაიდან დაუშვებელია, უბრალო მოკვდავი თავისი გარეგნობით ღვთაებრივი წარმოშობის არსს გვაგონებდეს. ჩვენს შორის დარჩეს, რაც ლიკონზე მოისმინე და აგრეთვე უღმერთოს შესაპყრობად ჩვენ მიერ დასახული ღონისძიებაც.

– გასაგებია, – უპასუხა პოლიციის მოხელემ, – ეგრეც უნდა მოვიქცეთ, თორემ შესაძლებელია ის საზიზღარი უფრო ადრე გამოასალმონ წუთისოფელს, ვიდრე მის სამართალში მიცემას მოვასწრებთ.

– სასიამოვნოა, რომ ადვილად გამიგე, – უთხრა გამოთხოვებისას ხირამმა. – ფინიკიელები მზად იქნებიან ყოველგვარი დახმარება აღმოგიჩინონ, რასაც მოგვთხოვ.

ისინი ერთმანეთს ისე დაშორდნენ, როგორც ორი მეგობარი, რომლებიც დიდ მხეცზე ნადირობენ და რომლებისთვისაც სულ ერთია, ვისი ხელშუბი მოხვდება მას, ოღონდ ნადავლი ხელიდან არ წაუვიდეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ რამზესმა კამა კვლავ ინახულა, მაგრამ იგი თითქმის შეშლილის მდგომარეობაში დახვდა. მშიერი და თმაგაწეწილი ქალი სასახლის ყველაზე ბნელ ოთახში მიმალულიყო და

მსახურთ ერთიმეორის საწინააღმდეგო განკარგულებას აძლევდა: ხან ერთად თავმოყრას უბრძანებდა, ხან კიდევ ყველას თავიდან იშორებდა. ღამით გუშაგებს თავისთან ეძახდა, ხოლო როცა ისინი მოვიდოდნენ, თვითონ სხვენზე გარბოდა და გაჰკიოდა, ჩემი მოკვლა სწადიათო.

ბატონიშვილის გულში ყოველივე ამან კამასადმი სიყვარული ჩაკლა, დარჩა მხოლოდ შეშფოთების გრძნობა. როდესაც კამას სახლის მმართველმა მისი ასეთი ახირება უამბო, ბატონიშვილმა თავში წაივლო ხელი და დაბნეულად ჩაილაპარაკა:

– ცუდად მოვიქეცი, როდესაც ეს ქალი მის ღმერთქალს წავართვი. მხოლოდ ღმერთქალს შეეძლო მისი ჟინიანობის მოთმინებით ატანა.

რამზესი კამასთან მაინც შევიდა, ქალი გაყვითლებული, აკანკალებული და თმაგაწეწილი დაუხვდა.

– ვაი ჩემს თავს! – წამოიძახა ქალმა. – მე მტრებით გარშემორტყმული ვარ. ჩემი მსახური ქალები მოწადინებული არიან მომწამლონ ან ჯადო შემყარონ. ჯარისკაცები მხოლოდ შემთხვევას უცდიან, რომ გულში შუბი თუ მახვილი ჩამცენ, ვშიშობ, რომ სამზარეულოში ჯადოქრულ წამალს მიმზადებენ.

– კამა! – შეაჩერა ბატონიშვილმა.

– ეგრე ნუ მეძახი, – წაიჩურჩულა თავზარდაცემულმა ქალმა, – თორემ დავიღუპები.

– რატომ ფიქრობ ასე?

– რატომ? შენ ფიქრობ, მე დღისით იმ ადამიანებს ვერ ვხედავ, რომლებიც სასახლის კედლებთან გამოჩნდებიან და ისეთი სისწრაფით ქრებიან, რომ მსახურების დაძახებასაც კი ვერ ვასწრებ? ხოლო ღამით, ხომ არ გგონია, არ მესმის, კედელს იქით როგორ ჩურჩულებენ?

– ასე გეჩვენება მხოლოდ.

– წყეულებო! – დაიყვირა ქალმა და ცრემლი გადმოღვარა, – ყველანი მეუბნებით, რომ მეჩვენება, და არ გსურთ სინამდვილე დაინახოთ. ამ სამი დღის წინ ვიღაცის ბოროტმა ხელმა ოთახში პირბადე შემომიგდო, რომელსაც ნახევარი დღე ვატარებდი, ვიდრე არ შევამჩნიე, რომ იგი ჩემი არ არის. ისეთი არასოდეს მიტარებია.

– სად არის ის პირბადე? – შეეკითხა შეშფოთებული მემკვიდრე.

– დავწვი, მაგრამ წინასწარ მსახურ ქალებს ვუჩვენე.

– თუნდაც შენი არ ყოფილიყო, ხომ მაინც არაფერი დაგმართნია?

– ჯერჯერობით არაფერი. მაგრამ ის ჩვარი მე რომ ოთახში კიდევ რამდენიმე დღე შემენახა, უეჭველად მოვიწამლებოდი ანდა განუკურნავი სენი შემეყრებოდა. მე ვიცი, რისი მოქმედიც არიან აზიელები.

ყოველივე ამან რამზესზე ისე იმოქმედა, რომ მოქანცულობა და ნერვული დაძაბვა იგრძნო და საჩქაროდ განშორდა კამას, თუმცა ქალი ემუდარებოდა დარჩიო. ხოლო როცა მსახურთ შეეკითხა, კამას პირფარეშმა ქალმა დაუდასტურა, რომ პირბადე ვიღაცის ხელით იქნა შემოგდებული და, ცხადია, მის ქალბატონს არ ეკუთვნოდა.

მემკვიდრემ განკარგულება გასცა სასახლეში და სასახლის გარშემო გუშაგების რიცხვი ორჯერ გაედიდებინათ და გუნებაწამხდარი დაბრუნდა შინ.

„ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, – ფიქრობდა მემკვიდრე, – რომ ერთ სუსტ ქალს ასეთი აურზაურის გამოწვევა შეეძლო. ამ ფინიკიელ ქალს მოუსვენრობაში ახალდაჭერილი აფთრების ხროვა ვერ შეედრება“.

ოთახში მემფისიდან დაბრუნებული თუტმოსი დახვდა, რომელსაც მგზავრობის შემდეგ ის-ის იყო მოესწრო აბაზანის მიღება და ტანსაცმლის გამოცვლა.

– რას მეტყვი? – მიმართა რამზესმა, რომელმაც თუტმოსის სახეზე უკვე ამოიკითხა, რომ სასიამოვნო ამბები არ მოუტანია. – ნახე მისი უდიდებულესობა?

– ვნახე ეგვიპტის სხივმფენი ღმერთი, – უპასუხა თუტმოსმა გულზე ხელდაკრეფით და თავის დახრით, – და მან შემდეგი მიბრძანა: – „ოცდათოთხმეტი წელი ვატარე ეგვიპტის მძიმე ეტლი და ისე მოვიქანცე, რომ მიცვალებულთა სამყაროში მყოფ ჩემს დიდებულ წინაპრებთან წასვლა მომინდა. მალე დავტოვებ ამ დედამიწას და მაშინ შვილი ჩემი რამზესი დაჯდება ტახტზე და ისე წარმართავს სახელმწიფო გემს, როგორც მისი სიბრძნე უკარნახებს“.

– ასე თქვა ჩემმა უწმინდესმა მამამ?

– სიტყვასიტყვით, – უპასუხა თუტმოსმა. – ხელმწიფემ რამდენ-

ჯერმე მითხრა, რომ მომავლისათვის არავითარ ბრძანებებს არ გიტოვებს, რათა თავისუფლად შეგეძლოს ისე განაგო ეგვიპტე, როგორც მოგესურვება.

– ნუთუ მისი დაავადება ეგრე საშიშია? რატომ არ მაძლევენ ნებას მასთან დავბრუნდე? – წყენით იკითხა რამზესმა.

– აქ უნდა დარჩე. რადგან შეიძლება აქ იქნე საჭირო.

– მერე, ასირიასთან ხელშეკრულება? – შეეკითხა მემკვიდრე.

– ხელშეკრულება იმ აზრით არის დადებული, რომ ასირიას ჩვენი მხრით ხელშეუშლელად შეუძლია აწარმოოს ომი აღმოსავლეთში და ჩრდილოეთში; საკითხი ფინიკიის შესახებ კი ღიად დარჩა, ვიდრე შენ ტახტზე არ ახვალ.

– ჰოი კურთხეულო! ჰოი, წმიდაო მეუფევ! როგორი საშინელი მემკვიდრეობისაგან განმათავისუფლე მე! – მოკრძალებით წარმოთქვა რამზესმა.

– ამგვარად, – განაგრძო თუტმოსმა, – ფინიკიის საკითხი ღიად არის დატოვებული, მაგრამ ასირიელების დასარწმუნებლად, რომ ეგვიპტის სახელმწიფო ჩრდილოეთის ხალხებთან ბრძოლაში მათ ხელს არ შეუშლის, ფარაონმა ბრძანება გასცა ჩვენი ჯარი ოცი ათასი მოქირავნით შეემცირებინათ.

– ეგ რა თქვი?! – გაოცებით შეეკითხა მემკვიდრე.

თუტმოსმა წყენით ჩაიქნია თავი.

– სამწუხაროდ, სიმართლეა, – თქვა მან. – უკვე მოასწრეს ლიბიელთა ოთხი პოლკის დაშლა.

– ეს ხომ ნამდვილი სიგიჟეა! – ხელების მტვრევით წამოიძახა მემკვიდრემ. – საოცარია, რისთვის ვასუსტებთ ჩვენს თავს? ან სად უნდა წავიდეს ეს ხალხი?

– ისინი უკვე წავიდნენ ლიბიის უდაბნოში და ან თავს დაესხმიან ლიბიელებს, რაც მათთან ჩვენს ურთიერთობას გაართულებს, ანდა, პირიქით, მათ შეუერთდებიან და ჩვენს დასავლეთ საზღვრებს დაეცემიან.

– მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი! ეს რა უქნიათ! და მერე როდის? საკვირველია, ჩვენამდე ამის შესახებ არავითარ ხმას არ მოუღწევია!

– იმიტომ, რომ დათხოვნილი მოქირავნეები მემფისიდან პირდაპირ უდაბნოში წავიდნენ, ხოლო ამაზე ყოველგვარი ლაპარაკი აკრძალა ხერიჰორმა.

ვარც ნოფრმა და არც მენტესუფისმა არ იციან ეს ამბავი?

– მათ ყველაფერი ეს იციან.

– მათ და მე კი არა.

ბატონიშვილი გაფითრდა, ახალგაზრდა სახეზე საშინელი სიძულვილი გამოეხატა. იგი სწვდა თავის თანატოლის ხელებს, მაგრად უჭერდა და თან ჩურჩულებდა:

– ყური მიგდე! ვფიცავ მამაჩემისა და დედაჩემის წმიდა თავს... ვფიცავ რამზეს დიდის ხსოვნას... ვფიცავ ყველა ღმერთს, რომ ჩემს მეფობაში ქურუმები ან ჩემი ნების წინაშე ქედს მოიხრიან, ან მე მათ გავსრეს.

თუტმოსი შიშით უსმენდა.

– ან მე, ან ისინი! ეგვიპტეში ორი ბატონი ვერ იარსებებს.

– და ყოველთვის მხოლოდ ერთი იყო ფარაონი, – დაუმატა ბატონიშვილის გულითადმა მეგობარმა.

– შენ ხომ ბოლომდე ჩემი ერთგული იქნები?

– მეც, მთელი აზნაურობა და ჯარი, გეფიცები.

– კმარა, – უთხრა რამზესმა, – დეე დაშალონ მოქირავნე პოლკები, დადონ სამარცხვინო ხელშეკრულებები, ღამურებსავით მემალებოდნენ და მატყუებდნენ. მაგრამ დადგება დრო... ახლა, თუტმოს, ნამგზავრი ხარ და დაისვენე, საღამოს კი ჩემთან შემოდი. ამ ადამიანებმა ისე შემბოჭეს, რომ მხოლოდ დროსტარებაღა დამრჩენია. რა გაეწყობა, ჩვენც გავერთოთ. მაგრამ ოდესმე ვუჩვენებ, ეგვიპტის მბრძანებელი ვინ არის: მე თუ ისინი!

ამ დღიდან კვლავ გაჩაღდა ნადიმები. ბატონიშვილის სასახლე სავსე იყო აზნაურებით, ოინბაზებით და მომღერალი ქალებით, ღამღამობით კი ღლეულთა ორგიები ეწყობოდა, ერთ ასეთ ნადიმზე თუტმოსი რამზესს შეეკითხა:

– მართალია თუ არა, რომ სარამ შენი წყალობა და ყურადღება დაკარგა?

– ნუღარ მომაგონებ მას, – უპასუხა მემკვიდრემ, – შენ, ალბათ, გე-

ცოდინება, რა იყო.

– ვიცი, მაგრამ, ვგონებ, ამაში დამნაშავე არ არის. მემფისში გავიგონე, რომ შენს დიდად პატივცემულ დედას, დედოფალ ნიკოტრისას, და მაღალღირს მინისტრს ხერიჰორს. შენი ვაჟის ისრაელების მეფედ გამოცხადება სდომებიათ.

– ისრაელებს მეფე ხომ არა ჰყავთ! მათ ჰყავთ მღვდლები და მსაჯულები, – შეესიტყვა რამზესი.

– არა ჰყავთ, მაგრამ სურთ ჰყავდეთ. მათაც მოსწყინდათ სამღვდელოების ხელისუფლება.

მემკვიდრემ ზიზღით ჩაიქნია ხელი.

– ფარაონის მეეტლე, – უთხრა თუტმოსს, უფრო მაღალი პირია, ვიდრე რომელიმე ამ მეფუკათაგანი, განსაკუთრებით კი ისრაელებისა, რომელიც ქვეყნად არც არსებობს.

– ყოველ შემთხვევაში, სარას დანაშაული არც ისე დიდია, – შენიშნა თუტმოსმა.

– მაშ გახსოვდეს, რომ ოდესმე ქურუმებსაც გავუსწორდები.

– ამ შემთხვევაში დიდი დამნაშავე არც ისინი არიან. მაღალღირსი ხერიჰორი ასე იმიტომ მოიქცა, რომ შენი დინასტიის განდიდება და ძლიერება სურდა, ამასთან დედოფალ ნიკოტრისასთვის მისი მოქმედება ცნობილი იყო.

– ნოფრი რატომღა ერევა ჩემს ცხოვრებაში? მისი მოვალეობა სალოცავთ დაცვაა და არა ჩემი ჩამომავლობის ბედის გარკვევა.

ნოფრი ღრმად მოხუცია და უკვე გაბავშვებული. მეფის მთელი კარი დასცინის ახლა მის ახირებულობას, რომლის შესახებ მე პირადად არ ვიცი რა, თუმცა ყოველდღე ვხვდებოდი და ვხვდები ამ წმინდა კაცს.

– საინტერესოა, მაინც რას სჩადის იგი?

– ტაძრის ყველაზე მყუდრო ნაწილში დღეში რამდენჯერმე ასრულებს განსაკუთრებულ ღვთისმოსაობას და თავის ხელქვეით ქურუმებს უბრძანებს თვალყური ადევნონ, ლოცვის დროს აიყვანენ თუ არა ღმერთები ჰაერში.

ბატონიშვილმა გადაიხარხარა.

– და ყველაფერი ეს აქ, ბუბასტისში ხდება, ყველას თვალწინ, მე

კი არა ვიცი რა, – თქვა მან, – ცირკში ვნახე ქალდეველი ოინბაზი, რომელიც ჰაერში ადიოდა.

– მეც ვნახე, – შენიშნა თუტმოსმა, – მაგრამ ეს ოინი იყო, ნოფრს კი ნამდვილად სურს თავისი კეთილმსახურების ფრთებით ჰაერში ინავარდოს.

– გაუგონარი მასხარაობაა, – თქვა ბატონიშვილმა. – სხვა ქურუმები რაღას ამბობენ ამის შესახებ?

– ჩვენს საღვთო პაპირუსებში, – ამბობენ ისინი, გვაქვს მითითებები, რომ უძველეს დროს გვყავდნენ წინასწარმეტყველები, რომელთაც ჰაერში ასვლის ნიჭი ჰქონდათ, ამიტომაც თურმე ჩვენს ქურუმებს ნოფრის ცდები არ აკვირვებს. ხოლო რადგან ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, ხელქვეითებს ის სწამთ, რაც უფროსებს სურთ, ამიტომ ზოგიერთი წმიდა პირი ამტკიცებს, რომ ნოფრი ლოცვის დროს მართლაც მიწიდან ოდნავ მაღლა ადის.

– და ასეთი დიდი საიდუმლოებით ერთობა მთელი სასახლე. ჩვენ კი, როგორც გლეხები ან მიწისმთხრელები, ვერც ვხვდებით იმ სასწაულებს, რომლებიც ჩვენს გვერდით ხდება. რამდენად სავალალოა ეგვიპტის მემკვიდრის ხვედრი! – იცინოდა რამზესი.

თუტმოსის განმეორებითი თხოვნის შემდეგ ბატონიშვილმა განკარგულება გასცა სარა ბავშვით იმ პავილიონში გადაეყვანათ, სადაც პირველ დღეებში კამა ცხოვრობდა.

ტახტის მემკვიდრის მსახურნი ამ განკარგულებას – აღტაცებით შეხვდნენ და ყველა მხევალმა, მონამ და მწერალმაც კი მუსიკითა და მხიარული ყიჟინით გააცილა სარა მის ახალ სადგომში.

როდესაც ასეთმა ხმაურმა ფინიკიელი ქალის ყურამდე მიაღწია, მიზეზი იკითხა, ხოლო როცა გაიგო, რომ სარას მემკვიდრის წყალობა დაუბრუნდა და მხევალთა სახლიდან კვლავ სასახლეში გადაიყვანესო, სიბრაზისაგან ბნედა მოუვიდა და საჩქაროდ მიიხმო რამზესი, ბატონიშვილი მივიდა.

– ახლა ჩემთვის ნათელია, – უთხრა ქალმა, – როგორ მექცევი. მაგრამ იქნებ ფიქრობ, რომ აშტორეტი შურს მხოლოდ ქურუმქალებზე იძიებს და ფარაონის ვაჟებს კი შეიწყალებს?

– გადაეცი შენს აშტორეტს, – მშვიდად უპასუხა მემკვიდრემ, – რომ

ბატონიშვილებს ნურასოდეს დაემუქრება, თორემ ისიც საჯალაბო სახლში წაბრძანდება.

– მესმის! – ყვიროდა კამა. – მე საჯალაბოში და შეიძლება საპატიმროშიც გამგზავნო, შენ კი ებრაელ ქალთან დარჩები. აი როგორ მიფასებ იმას, რომ შენი გულისათვის უარვყავი. ღმერთები და მათი კრულვა ვიტვირთე... რისთვის დავღუპე ჩემი ახალგაზრდობა, სიცოცხლე და სულიც კი.

ბატონიშვილი გრძნობდა, რომ კამამ მას ბევრი რამ შესწირა. მასში სინანულმა გაიღვიძა.

– სარასთან არ ვყოფილვარ და არც წავალ, – უპასუნა მან. – ტყუილად შფოთავ. საბრალო დედაკაცი ცოტა უკეთ დააბინავეს, რომ დამშვიდებით შეეძლოს თავისი ბავშვის აღზრდა.

ფინიკიელი ქალი მთლად აკანკალდა. შეკუმშული მუშტები მაღლა ასწია და თვალები სიძულვილის ცეცხლით აენთო.

– აგრე უნდა მიპასუხო? – ებრაელი ქალი უბედურია, იმიტომ რომ სასახლიდან გააგდე და თუმცა ღმერთებმა მე თავის საკურთხევლიდან გამომაგდეს, მაინც კმაყოფილი უნდა ვიყო, არა? ოჰ, – ეს ბავშვი. არ არსებობს ისეთი უბედურება, რომელსაც მე მისთვის არ მოვისურვებდი.

– გაჩუმდი! – დაუყვირა რამზესმა.

კამა შიშით უკან გადახტა.

– ნუთუ იმის ნებაც არა მაქვს ჩემი მწუხარება შემოგჩივლო?.. თუ ასე თავგადადებული იქნებოდი ბავშვზე, მაშ რატომღა მომიტაცე ტაძრიდან, რატომ შემპირდი, რომ შენი პირველი ცოლი ვიქნებოდი?.. ფრთხილად იყავი, – კვლავ წამოიყვირა მან, – რომ ეგვიპტემ, როცა ჩემს ამბავს გაიგებს, შენ მუხთალი არ გიწოდოს!

მემკვიდრე თავს აქნევდა და იღიმებოდა. ბოლოს დაჯდა და თქვა:

– ჭეშმარიტად ჩემი მასწავლებელი მართალი იყო, როცა ქალების გამო მაფრთხილებდა. თქვენ თითქოს მწიფე ატამი ხართ იმ ადამიანის თვალში, ვისაც წყურვილისაგან ენა უშრება, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად... და ვაი იმ ბრიყვს, ვინც ამ ლამაზი ნაყოფის მოკბეჩას გაბედავს: მის შიგნით გამაგრილებელი სიტკბოს ნაცვლად ბზიკების ბუდეს იხილავს და ეს ბზიკები არა მარტო ტუჩებს, არამედ გულღვიძ-

ლსაც დაუკბენენ.

– კვლავ საყვედურები!.. მე კი შენი გულისათვის გავწირე ქურუმქალის ღირსება და სიქალწულე!

ბატონიშვილი ისევ დაცინვით აქნევდა თავს.

– ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, – თქვა მან ბოლოს, – რომ გამართლდებოდა ზღაპარი, რომელსაც დაძინების წინ გლეხები ყვებიან. მაგრამ ახლა კი ვრწმუნდები, რომ მასში სიმართლეა მოცემული. მოისმინე, კამა, შეიძლება, გონს მოხვიდე და არ მოისურვო საბოლოოდ დაკარგო ჩემი შენდამი განწყობილება.

– სწორედ რაღაც ზღაპრების მოსასმენად მცალია. შენი ერთი ზღაპარი მოვისმინე... და აი რა გამოვიდა იქიდან..

– მაგრამ ეს ზღაპარი უდავოდ შენთვის სასარგებლო იქნება, თუ მის გაგებას მოისურვებ.

– ებრაელ ბავშვებზე იქნება მასში ლაპარაკი?

– იქ ქურუმქალებიც არიან მოხსენებული. მხოლოდ გულმოდგინედ დაუგდე ყური!

„ეს ამბავი დიდი ხნის წინათ აქ, ბუბასტისში, მოხდა. ერთხელ ვინმე მთავარმა სატნიმ პტას ტაძრის წინ მოედანზე დაინახა ფრიად ლამაზი ქალი. ასეთი მზეთუნახავი, თანაც ოქროთი ასე უხვად შემკული, არასოდეს ენახა, მთავარს ძალიან მოეწონა და როცა შეიტყო, რომ იგი უმაღლესი ქურუმის ქალია, თავისი აჩუხჩის პირით შეუთვალა: „ათ ოქროს ბეჭედს გაჩუქებ, თუ დათანხმდები ჩემთან ერთი საათი გაატაროო“.

აჩუხჩი წავიდა მშვენიერ ტბუბუისთან და გადასცა მთავრის სატნის სიტყვები. მან მოწყალედ მოისმინა და, როგორც რიგიანად აღზრდილ ქალწულს შეშვენის, უპასუხა:

„მე უმაღლესი ქურუმის ქალიშვილი ვარ, უმანკო ქალწული და არა რომელიღაც როსკიპი. თუ მთავარს ჩემი გაცნობა სურს, მობრძანდეს ჩემთან სახლში, სადაც ყველაფერი იქნება მომზადებული, და ჩვენი გაცნობა მეზობელ ნათლიდედებს ჭორიკანობის საბაბს აღარ მისცემსო“.

მაშინ მთავარი სატნი წავიდა ქალწულ ტბუბუისთან. და მასთან ზედა ოთახში ავიდა. მისი კედლები ლილაქვისა და მქრქალი მწვანე

მინანქარის ფილებით იყო მოპირკეთებული. იქვე იდგა ძვირფასი ტილოგადაფარებული საწოლი და რამდენიმე მრგვალი მაგიდა ოქროს სასმისებით. ერთი მათგანი ღვინით იყო სავსე. ტბუბუიმ სასმისი მთავარს მიაწოდა და უთხრა:

– დალიე, გთხოვ!

მთავარმა კი უპასუხა:

– ხომ იცი, რომ მე აქ ღვინის დასალევად არა ვარ მოსული.

მაგრამ ისინი სანადიმო მაგიდას მიუსხდნენ. ტბუბუის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი გრძელი ტანისამოსი ეცვა, რომელიც ყელამდე შეკრული ჰქონდა. როცა მთავარმა მისი კოცნა მოინდომა, ქალმა მოიცილა და უთხრა:

– ეს სახლი შენი იქნება. მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე სათნო ქალიშვილი ვარ, და თუ გსურს, შენი მორჩილი ვიყო, შემომფიცე, რომ ჩემი ერთგული იქნები, შენი ქონება მიანდერძე.

– მაშინ უბრძანე მწერალი მოიწვიონ! – წამოიძახა მთავარმა, და, როცა მწერალი გამოცხადდა, სატნიმ უბრძანა ქორწინების მოწმობისა და ნაჩუქრობის წერილის შედგენა, რომლის თანახმად მთელი მისი ფული, მოძრავი ქონება და. მამული ტბუბუის ხელში გადადიოდა,

გვიან საღამოს მსახურებმა მთავარს მოახსენეს, ქვევით შენი შვილები გელოდებიანო. ტბუბუი მაშინვე გავიდა და დაბრუნდა გამჭვირვალე გაზის კვართში. სატნიმ კვლავ მოისურვა გადახვეოდა ტბაბუის, მაგრამ ქალმა იგი მოიცილა და უთხრა:

– ეს სახლი შენი იქნება, მაგრამ ვინაიდან მე ვიგინდარა კი არა ვარ, არამედ სათნო ქალწული, და თუ გსურს, რომ გეკუთვნოდე, შენმა შვილებმა წერილობით უარი განაცხადონ შენს ქონებაზე, რომ შემდგომში ჩემს შვილებთან მათ დავა არ ექნეთ.

სატნიმ ზევით მოიხმო თავისი შვილები და უბრძანა ქონებაზე ხელის აღების აქტზე ხელი მოეწერათ. მათ ეს შეასრულეს, მაგრამ როცა მან კვლავ მოინდომა ტბუბუის მიახლოებოდა, ქალწულმა კვლავ არ მიიკარა.

ვეს სახლი შენი იქნება, – უთხრა მან. – მაგრამ მე ვიღაც უნამუსო ქალი კი არა ვარ, არამედ უბიწო ქალიშვილი, და, თუ გიყვარვარ, ბრძანე შენი შვილების მოკვლა, რომ შემდეგ მათ ჩემს შვილებს შენი

ქონება არ წაგლიჯონ...“

– ოჰ, რა გრძელი ამბავია! – მოუთმენლად შეაწყვეტინა სიტყვა კამამ.

– ახლავე გათავდება, – უპასუხა მემკვიდრემ. – და იცი, კამა, რა უპასუხა სატნიმ?

„თუ შენ ამას მოითხოვ, დეე ასრულდეს ბოროტმოქმედებაო. ტბუბუის არ სჭირდებოდა ამის ორჯერ განმეორება. მან ბრძანა მამის თვალწინ აეკუწათ მისი შვილები და ნაკუწებად ქცეული მათი სხეული სარკმლიდან გადაუყარა ძაღლებსა და კატებს. მხოლოდ მაშინ შევიდა სატნი ტბაბუის ოთახში და წამოწვა მის სპილოს ძვლით შემკობილ ეკალმუხის საწოლზე“.

– და კარგადაც მოქცეულა ტბუბუი, რომ არ ნდობია მამაკაცის დაპირებებს, – აღგზნებით წამოიძახა ფინიკიელმა ქალმა.

– მაგრამ სატნი კიდევ უკეთესად მოიქცა: მან გამოიღვიძა და დაინახა, რომ ეს საშინელი ბოროტმოქმედება სიზმარი იყო... და შენ, კამა, გახსოვდეს, რომ უმნიშნელოვანესი საშუალება სიყვარულით თრობისაგან მამაკაცის გამოსაფხიზლებლად არის მისი შვილის წყევლა-კრულვა.

– დამშვიდებული ბრძანდებოდე, ბატონო ჩემო! ამიერიდან არასოდეს კრინტს არ დავძრავ არც ჩემს წყენაზე და არც შენს შვილზე, – მწუხარედ უპასუხა კამამ.

– მეც ალერსიანი ვიქნები შენდამი და შენც ბედნიერი იქნები, – დაამთავრა რამზესმა.

თავი მეთხუთმეტე

ქალაქ ბუბასტისის მოსახლეობაშიც უკვე ვრცელდებოდა შემაშფოთებელი ხმები ლიბიელების შესახებ. ამბობდნენ, სამშობლოში დაბრუნებული მეომრები ჯერ მათხოვრობდნენ, მერე ქურდობას მიჰყვეს ხელი და, ბოლოს, ეგვიპტის სოფლების გადაწვა-გაძარცვა და მცხოვრებლების ამოხოცვა იწყესო. რამდენიმე დღის განმავლობაში მათგან თავდასხმა და აწიოკება განიცადეს ქალაქებმა, რომლებიც მერიდის ტბის სამხრეთით მდებარეობდა. მათივე ხელით დაიღუპ-

ნენ ვაჭრებიც და ღვთისმოსავთა ქარავნები, რომლებიც ოაზის უიტ-მეჰიტიდან ბრუნდებოდნენ. სახელმწიფოს მთელი დასავლეთი საზ-ღვარი განსაცდელში ჩავარდა და ტერენტუისიდანაც კი იწყეს მცხოვ-რებლებმა გაქცევა, რადგან იმ ადგილებშიც ზღვის მხრიდან ლიბი-ელთა ბანდები გამოჩნდნენ, რომლებიც აქეთ, თითქოს მათმა მრის-ხანე ბელადმა მუსავასამ წარმოგზავნა, და თვითონ კი, როგორც ამ-ბობდნენ, მთელ უდაბნოში ეგვიპტის წინააღმდეგ საღვთო ომის გა-მოცხადებას აპირებდა.

ამიტომაც, თუ ზოგჯერ საღამოჟამს ცის დასავლეთი კიდური ფრი-ად დიდხანს მეწამული მოჩანდა, ბუბასტისის მცხოვრებლებს შიში ეუფლებოდა. მოქალაქენი ქუჩებში იკრიბებოდნენ, ერდოებზე ადი-ოდნენ, ხეებზე აცოცდებოდნენ და იქიდან გაჰყვიროდნენ, შორს ხან-ძარი მოჩანსო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, წყვდიადის მიუხედა-ვად, ხედავდნენ თითქოს აბობოქრებულ მცხოვრებლებს თუ ლიბი-ელთა ბანდებს, რომლებიც ვითომც ბუბასტისის მიმართულებით გრძელ შავ მწკრივად მოაბიჯებდნენ.

მოსახლეობაში ასეთი განგაშის მიუხედავად, ნომის მმართველე-ბი არავითარ ზომებს არ იღებდნენ, რადგან ცენტრალური ხელისუფ-ლება მათ არავითარ განკარგულებას არ უგზავნიდა.

ბატონიშვილმა იცოდა ქალაქში მოსახლეობის მღელვარების შე-სახებ და ხედავდა ბუბასტისის მოხელეების სრულ გულგრილობას, ის გაშმაგებული იყო, რომ მემფისიდან არავითარი განკარგულება არ მოსდიოდა, მაგრამ რამდენადაც ნოფრი და მენტესუფისი არაფერს ეუბნებოდნენ სახელმწიფოსათვის ამ საგანგაშო ამბებზე, მეფისნაც-ვალს თვითონაც არ მიუმართავს მათთვის და არც რაიმე სამხედრო მომზადებას შედგომია.

მან ბუბასტისთან დაბანაკებული ჯარების დათვალიერებასაც კი მიანება თავი, სამაგიეროდ სასახლეში შემოიკრიბა მთელი წარჩინე-ბული ახალგაზრდობა, ლხინსა და მხიარულებას ეძლეოდა, რითაც გულში იხშობდა ქურუმების წინააღმდეგ აღშფოთებასა და სახელ-მწიფოს ბედით გამოწვეულ საგანგაშო განწყობილებას.

– მალე დაინახავ, – უთხრა ერთხელ თუტმოსს, – წმიდა წინასწარ-მეტყველები იქამდე მიგვიყვანენ, რომ მუსავასა ქვემო ეგვიპტეს და-

იკავებს და ჩვენ თებეში და შეიძლება სუნეტშიც[1] კი მოგვიხდეს გაქცევა, თუ იქიდანაც თავის მხრივ ეთიოპელებმა არ გამოგვდევნეს.

– მართალს ამბობ, – უპასუხა თუტმოსმა, – ჩვენი მმართველები ისე იქცევიან, როგორც მოღალატეები.

ხატორის (აგვისტო-სექტემბერი) პირველ დღეს მემკვიდრის სასახლეში ბრწყინვალე ნადიმი გაემართათ. იგი ნაშუადღევის ორ საათზე დაიწყო და მზემ ჩასვლა ვერც კი. მოასწრო, რომ ყველა უკვე მთვრალი იყო.

უცებ დარბაზში გამოცხადდა ადიუტანტი, რომელმაც რამდენიმე უგრძნობლად წამოწოლილ ადამიანს გადააბიჯა და მემკვიდრესთან მივიდა.

– მეუფევ, – ჩასჩურჩულა მას, – წმიდა ნოფრსა და მენტესუფისს დაუყოვნებლივ სურთ მოგელაპარაკონ.

მემკვიდრის ტანსაცმელი ღვინით იყო გაჟღენთილი, თავად კი – მთლად გაჟინჟღილებულმა მუხლზე მჯდომი მოცეკვავე ქალი მსწრაფლ მოიშორა და ოდნავ ფეხარეული გავიდა მისაღებ ოთახში.

როდესაც ნოფრმა და მენტესუფისმა მემკვიდრე ასეთ მდგომარეობაში იხილეს, ერთიმეორეს გადახედეს.

– რა გნებავთ წმიდაო მამებო? შეეკითხა მათ ბატონიშვილი და სავარძელში ჩაეშვა.

– არ ვიცით, შესძლებ თუ არა მოგვისმინო, – შეშფოთებით უპასუხა მენტესუფისმა.

– თქვენ ფიქრობთ, მთვრალი ვარ? – უთხრა რამზესმა. – ნუ გეშინიათ! ახლა მთელი ეგვიპტე იმდენად გაგიჟდა თუ გასულელდა, რომ მთვრალებს მეტი გონება შერჩათ, ვიდრე ფხიზლებს.

ქურუმებმა წარბები შეიკრეს. მენტესუფისმა მაინც დაიწყო:

– იცი თუ არა, რომ ფარაონმა და უმაღლესმა საბჭომ ოცი ათასი დაქირავებული მეომარი დაითხოვეს?..

– დავუშვათ, რომ არ ვიცი, – შეაჩერა იგი რამზესმა, თქვენ ხომ არათუ არ მოისურვეთ ამ ბრძნულ ბრძანებულებაზე ჩემი აზრი მოგესმინათ, არამედ ისიც კი არ ინებეთ გეცნობებინათ ჩემთვის, რომ ოთხი

[1] სუნეტი – ძველეგვიპტური სახელია ქალაქისა, რომელიც ახლანდელ ასუანის ადგილას, ნილოსის პირველი ჭორომის მახლობლად მდებარეობდა

ლეგიონი უკვე დაშლილა და ეს დამშეული ხალხი ჩვენს ქალაქებს თავს ესხმის.

– შენ ფარაონის ბრძანებას ხომ არ ჰკიცხავ? – შეეკითხა მენტესუფისი.

– არა ფარაონისას, არამედ იმ მოღალატეებისას, რომლებიც მამაჩემისა და მბრძანებლის ავადმყოფური მდგომარეობით სარგებლობენ და უნდათ ჩვენი სახელმწიფო ასი-. რიელებსა და ლიბიელებს მიჰყიდონ.

ქურუმები გაქვავდნენ. ასეთი სიტყვები მათთვის ჯერ არც ერთ ეგვიპტელს არ უთქვამს.

– ნება გვიბოძე, უფლისწულო, რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც დამშვიდდები, გეახლოთ და განვაგრძოთ საუბარი, – უთხრა ნოფრმა.

– საჭირო არ არის. ვიცი, რაც ხდება ჩვენს დასავლეთ საზღვარზე. უფრო სწორად რომ ვთქვა – მე კი არ ვიცი, არამედ ჩემმა მზარეულებმა და მეჯინიბეებმა. მაგრამ იქნებ ახლა, პატივცემულო მამებო, ინებოთ და თქვენი გეგმები მეც გამაცნოთ?

– ლიბიელები აჯანყდნენ, – უპასუხა მენტესუფისმა მშვიდად, – და ეგვიპტეზე თავდასხმის მიზნით ბანდების შეგროვება დაიწყეს. ამის გამო ფარაონისა და უმაღლესი საბჭოს ბრძანებით წინადადება გეძლევა, ხელმწიფევ, ქვემო ეგვიპტეში მდგომი ჯარები შეაგროვო და მეამბოხენი მოსპო.

– ბრძანება სად არის?

მენტესუფისმა ამოიღო ბეჭდებდასმული პერგამენტი და რამზესს გადასცა.

– მაშასადამე, ახლა მე მთავარსარდალი და ამ პროვინციის უმაღლესი ხელისუფალი ვარ? – შეეკითხა მემკვიდრე.

– დიახ!

– და უფლება მაქვს მოგიწვიოთ თქვენ სამხედრო საბჭოში?

– რასაკვირველია, უპასუხა ნოფრმა, – თუმცა ამ მომენტში...

– დაბრძანდით! – მიმართა ბატონიშვილმა.

ქურუმები დაემორჩილნენ.

– გეკითხებით ეს ჩემი გეგმებისათვის აუცილებელია, – რატომ და-

ითხოვეს ლიბიელთა ლეგიონები?

– სხვებსაც დაითხოვენ, დასძინა მენტესუფისმა, – უმაღლეს საბჭოს სურს განთავისუფლდეს ოცი ათასი მეომრისაგან, რომელთა შენახვა განსაკუთრებით ძვირი გვიჯდება, რომ ამით ფარაონის ხაზინას ყოველწლიურად ოთხი ათასი ტალანტი შეემატოს, ვინაიდან უამისოდ სასახლე მძიმე მდგომარეობაში ვარდება.

– და რაც არავითარ საფრთხეს არ უქმნის ეგვიპტის ისეთ ქურუმებსაც კი, რომლებიც სრულ არარაობას წარმოადგენენ, – შენიშნა მემკვიდრემ.

– შენ გავიწყდება, რომ დაუშვებელია, რომელიმე ქურუმს არარაობა ვუწოდოთ, – უთხრა მენტესუფისმა. – ხოლო ის, რომ არც ერთი ქურუმი ხელმოკლეობას არ განიცდის, მათი თავშეკავებული ცხოვრების შედეგია.

– თუ ასეა, მაშინ, ალბათ, ღმერთები თუ სვამენ ღვინოს, რომელიც მორწმუნეთ ყოველდღე მოაქვთ ტაძრებში, და ქვის ქანდაკები თავიანთ ქალებს ოქროთი და ძვირფასეულობით რთავენ, – დაცინვით ჩაილაპარაკა რამზესმა. – არ ღირს სიტყვა გავაგრძელოთ თქვენ თავშეკავებულობაზე. ქურუმთა საბჭო იმიტომ კი არ მიერეკება ოცი ათას მეომარს და ამით ეგვიპტის კარს ბანდიტებს იმიტომ კი არ უღებს, რომ ფარაონის ხაზინა შეავსოს...

– მაშ რისთვის?...

– იმისათვის, რომ ტიგლატფილესარ მეფეს ასიამოვნოს. და ვინაიდან ფარაონმა უარი თქვა ფინიკია ასირიისათვის გადაეცა, თქვენ ცდილობთ სახელმწიფო სხვა გზით შეასუსტოთ, სახელდობრ, – მოქირავნე მეომრების დათხოვნით და ჩვენს დასავლეთ საზღვარზე ომის გამოწვევით.

– ღმერთებს ვიმოწმებ, რომ შენ გვაოცებ, მეფისწულო! – წამოიძახა მენტესუფისმა.

– ფარაონთა აჩრდილნი უფრო მეტად გაოცდებოდნენ, თუ გაიგონებდნენ, რომ სწორედ იმ ეგვიპტეში, სადაც ფარაონის ძალაუფლება ხელფეხშეკრულია, ვიღაც ქალდეველი გაიძვერა ჩვენს სახელმწიფო საქმეებზე გავლენას ახდენს.

– ყურებს არ ვუჯერებ, ეს რა მესმის! – აღშფოთებით წარმოთქვა

მენტესუფისმა. – უფლისწულო, რომელ ქალდეველზე ლაპარაკობ?

მეფისნაცვალმა მწარედ გაიცინა.

– ბეროესზე ვლაპარაკობ. და თუ შენ, წმიდაო მამაო, მასზე არა გსმენია რა, ყოვლად პატივცემულ ნოფრს შეეკითხე, ხოლო თუ მასაც აღარ ახსოვს, ხერიჰორსა და პენტუერს შეეკითხოს. აი თქვენი ტაძრების უდიდესი საიდუმლოება! საეჭვო უცხოელი, რომელიც ეგვიპტეში ქურდივით შემოიპარა, უმაღლეს საბჭოს წევრებს უაღრესად სამარცხვინო ხელშეკრულებას ახვევს თავს, რაზედაც დათანხმება ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვეძლო, თუ ბრძოლას მთლიანად წავაგებდით და ყველა ლეგიონსა და ორივე სატახტო ქალაქს დავკარგავდით. და ძნელია იფიქრო, რომ ყველაფერი ეს ერთმა კაცმა, ალბათ ტიგლატფილესარის მსტოვარმა, მოახერხა. ჩვენი ბრძენები კი იმდენად მიენდვნენ, რომ როდესაც ფარაონმა ფინიკიის გაცემა აუკრძალა, თავი იმით დაიკმაყოფილეს, რომ საუკეთესო ლეგიონებს ერეკებიან და დასავლეთ საზღვარზე ომს იწვევენ. განა ოდესმე გაგონილა ასეთი ამბავი! – განაგრძობდა რამზესი, რომელიც თავის გრძნობებს უკვე ვეღარ ერეოდა, – რომ სწორედ იმ მომენტში, როცა ჩვენი ჯარი სამას ათას მეომრამდე უნდა გაგვედიდებინა და ნინევიაზე გალაშქრება მოგვეწყო, ეს კეთილმორწმუნე გიჟები, პირიქით, ჯარს ოცი ათასი მებრძოლით გვიმცირებენ და საკუთარ სახლს ცეცხლს უჩენენ.

მთლად გაფითრებული ნოფრი უხმოდ ისმენდა ამ დაცინვას. ბოლოს წარმოთქვა:

– არ ვიცი, ხელმწიფევ, რომელი წყაროდან ამოკრიფე ასეთი ცნობები. მე კი ვისურვებდი, ეს წყარო ისეთივე წმიდა ყოფილიყო, როგორიც უმაღლესი საბჭოს წევრების გულია. მაგრამ დავუშვათ, შენ მართალი ხარ და ვიღაც ქალდეველმა ქურუმმა მართლაც მოახერხა, რომ საბჭო ასირიასთან მძიმე ხელშეკრულების დადებაზე დაეთანხმებინა. ასეც რომ იყოს, საიდან იცი, ეს ქურუმი ღმერთებისაგან არ არის მოვლინებული და მისი პირით ისინი ეგვიპტის ცის ტატნობზე ჩამოწოლილ საშიშროებათა შესახებ არ გვაფრთხილებენ?

– რა დროიდან მოიპოვეს თქვენს თვალში ქალდეველებმა ასეთი ნდობა?

– ქალდეველი ქურუმები ეგვიპტელი ქურუმების უფროსი ძმები

არიან, – შენიშნა მენტესუფისმა.

– ეგებ ასირიის მეფეც ეგვიპტის ფარაონის მბრძანებელია?

– ღვთისმგმობელ სიტყვებს თავი დაანებე, უფლისწულო, – მკაცრად შეაწყვეტინა ნოფრმა. – შენ ბედავ უწმიდეს საიდუმლოებათა შეხებას; ამისათვის კი ისეთი ადამიანებიც მკაცრად ისჯებოდნენ, რომლებიც შენზე მაღლა იდგნენ.

– კარგი, თქვენს საიდუმლოებათ აღარ შევეხები. მაგრამ როგორ უნდა გავარჩიოთ, რომელი ქალდეველია ღმერთებისაგან მოვლინებული და რომელი ტიგლატფილესა მეფის მსტოვარი?

– სასწაულების მიხედვით, – უპასუხა ნოფრმა. – შენი ბრძანებით რომ ეს ოთახი, ბატონიშვილო, სულებით აივსოს და უხილავმა ძალებმა ჰაერში აგიტაცონ, მაშინ ვიტყოდით, რომ უკვდავთა იარაღი ხარ და ყველა შენს რჩევას უსიტყვოდ დავემორჩილებოდით.

რამზესმა მხრები აიჩეჩა.

– სულები მეც ვიხილე, ისინი ახალგაზრდა ქალის ხელით მოქმედებდნენ, ცირკის ოინბაზიც ვნახე, რომელიც ჰაერში იყო გაწოლილი.

– შენ არ შეგიმჩნევია მხოლოდ წვრილი თოკი, რომელლიც მის ოთხ თანაშემწეს კბილებით ეჭირა, – შენიშნა მენტესუფისმა.

ბატონიშვილს კვლავ გაეცინა. მას მოაგონდა თუტმოსის ნაამბობი ნოფრის ლოცვებზე და მენტესუფისს დაცინვით უპასუხა:

– მეფე ხეოპსის დროს ერთმა უმაღლესმა ქურუმმა მოისურვა, რაც არ უნდა ყოფილიყო, ჰაერში ეფრინა. თვითონ იგი ამას ღმერთებს შესთხოვდა, ხოლო თავის ხელქვეითებს უბრძანა ეცქირათ, ასწევდა თუ არა მას მაღლა უხილავი ძალა. და წარმოიდგინეთ, წმიდაო მამებო, დღე არ გავიდოდა, ამ წინასწარმეტყველთ ქურუმი არ დაერწმუნებინათ, რომ ჰაერში ადის, თუმცა არც ისე მაღლა. რა დაგემართათ, წმიდაო მამაო? – შეეკითხა იგი ნოფრს, რომელმაც საკუთარი ამბავი რომ მოისმინა, სავარძელში შეტორტმანდა და, ალბათ, იატაკზე დაეცემოდა, მენტესუფისი დროზე რომ არ მიშველებოდა.

რამზესი თითქმის დაიბნა. მოხუცს წყალი მიაწოდა, ძმრით შუბლი და საფეთქლები დაუზილა და მარაოთი ნიავება დაუწყო,

წმიდა ნოფრი მალე გონს მოვიდა, წამოდგა სავარძლიდან და მენტესუფისს მიმართა:

– ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ.

– მეც ეგრე ვფიქრობ.

– მე რაღა ვქნა? – შეეკითხა მათ ბატონიშვილი, რომელმაც იგრძნო, რომ რაღაც გამოუსწორებელი და საბედისწერო მოხდა.

– მთავარსარდლის მოვალეობა უნდა შეასრულო, – ცივად უპასუხა მენტესუფისმა.

ორივე ქურუმმა ბატონიშვილს დარბაისლურად დაუკრა თავი და წავიდა.

მეფისნაცვალი სავსებით გამოფხიზლდა, მაგრამ გული დაუმძიმდა. მიხვდა, ორი გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა: ქურუმებს გაუმჟღავნა, რომ მათი საიდუმლოება იცის, და ნოფრს ულმობლად დასცინა.

სიცოცხლის ერთ წელს მისცემდა, ოღონდ მათი მეხსიერებიდან ეს საუბარი აღმოეფხვრა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

„რაც მოხდა, იმის გამოსწორება უკვე აღარ შეიძლება," – გაიფიქრა მან, – მე თვითონ გავთქვი ჩემი თავი და დაუძინებელი მტრები შევიძინე. რა გაეწყობა! მართალია, ბრძოლა ჩემთვის არახელსაყრელ პირობებში იწყება, მაგრამ მაინც უნდა განვაგრძო. არა ერთი ფარაონი ებრძოდა ქურუმებს და ამარცხებდა კიდეც, თუმცა ძლიერი მოკავშირეები თითქმის არც კი ყავდათ".

მაგრამ თავისი მდგომარეობის საფრთხეს იმდენად გრძნობდა, რომ მამის საღვთო თავი დაიფიცა, ამიერიდან ამდენ ღვინოს აღარ დავლევო.

მან საჩქაროდ მოიხმო თუტმოსი, რომელიც მის წინაშე სრულებით ფხიზელი გამოცხადდა.

– ჩვენ ომს ვიწყებთ და მე მთავარსარდალი ვარ, – უთხრა რამზესმა.

თუტმოსმა უმდაბლესი თაყვანი სცა.

– ამიერიდან სათრობად აღარასოდეს დავლევ ღვინოს, და იცი რატომ?

– სარდალი ღვინოსა და მათრობელა სურნელებას უნდა მოერიდოს, – უპასუხა თუტმოსმა.

– მე ეს დამავიწყდა და ქურუმებთან რაღაც-რაღაცები წამომცდა...

– რა? – შეშინებით შეეკითხა თუტმოსი.

– რომ ისინი მძულს და მას სასწაულებს დავცინი.

– ეგ დიდი უბედურება არ არის: ვფიქრობ, თვითონაც არ მოელიან ხალხის სიყვარულს.

– და რომ მათი პოლიტიკური საიდუმლოებანი ვიცი, – დაუმატა რამზესმა.

– ეს კი ცუდია! – წამოიძახა თუტმოსმა.

– ამაზე ლაპარაკი ახლა უკვე გვიანაა, – უთხრა რამზესმა, – საჩქაროდ წარგზავნე მალემსრბოლნი, რომ ხვალ დილიდანვე მხედართმთავრები სამხედრო საბჭოზე მოვიდნენ. უბრძანე აგრეთვე საგანგაშო სიგნალები აანთონ, ხვალიდანვე ქვემო ეგვიპტის ჯარი დასავლეთ საზღვრებისკენ უნდა გაემართოს. ნომარქოსებს წინადადება მიეცი საჩქაროდ შეუდგნენ სურსათის, ტანისამოსისა და იარაღის დამზადებას.

– ნილოსის გადალახვა დიდ სიძნელეს შეგვიქმნის, – შენიშნა თუტმოსმა.

– ამიტომ ჯარის გადასაყვანად ყველა გემი და ნავი ნილოსის ტოტებზე შეაჩერონ. გარდა ამისა, საჭიროა ნომარქოსებს მოვთხოვოთ, რომ სათადარიგო პოლკების მომზადება დაიწყონ.

ამასობაში ნოფრი და მენტესუფისი პტას ტაძართან თავიანთ ბინებში ბრუნდებოდნენ. როდესაც მარტოდ დარჩნენ, უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა აღაპყრო ხელები და წარმოთქვა:

– უკვდავი ღმერთების სამებაო, ოზირისო, იზიდავ და ჰორო, იხსენით ეგვიპტე დაღუპვისაგან! მას შემდეგ, რაც ქვეყანა გაჩნდა, არც ერთ ფარაონს ისე არ გაულანძღავს ქურუმები, როგორც დღეს ამ ჭაბუკმა ინება! მაგრამ რას ვამბობ, – ფარაონი კი არა, ეგვიპტის ვერც ერთი მტერი, ვერც ერთი ხეთელი, ფინიკიელი ან ლიბიელი ვერ გაბედავდა ასე თავხედურად დაერღვია ქურუმების ხელშეუხებლობა.

– ღვინო ადამიანს გულახდილს ხდის, – შენიშნა მენტესუფისმა.

– მაგრამ ამ ჭაბუკის გულში გველები ბუდობს. იგი ქურუმების კასტას შეურაცხყოფს, სასწაულთ სასაცილოდ იგდებს და ღმერთებს უარყოფს.

– ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, – ჩაფიქრებით წარმოთქვა მენ-

ტესუფისმა, – საიდან გაიგო ბეროესთან ჩვენი საუბრები? და რომ მან ეს უდავოდ იცის, მზად ვარ დავიფიცო.

– საოცარი გამცემლობაა, – უთხრა ნოფრმა და თავზე ხელი წაივლო.

– საკვირველია... თქვენ ოთხნი იყავით...

– არა! ბეროესის ამბავი იცოდნენ: იზიდას უფროსმა ქურუმქალმა, ორმა ქურუმმა, რომელთაც ბეროესს სეთის ტაძრის გზა უჩვენეს, და აგრეთვე იმ ქურუმმა, რომელიც მას ალაყაფის კართან შეხვდა. მოიცადე! – მოიგონა ნოფრმა, – ეს ქურუმი სულ გვირაბში იჯდა... და ეგებ ყურს გვიგდებდა!..

– ცხადია, საიდუმლოება მან ბალღს კი არ მიჰყიდა, არამედ რომელიღაც დარბაისელს. ეს კი სახიფათოა.

სენაკის კართან პტას ტაძრის უმაღლესმა ქურუმმა, წმიდა სენმა დააკაკუნა.

– მშვიდობა. თქვენდა! – მიმართა მან შემოსვლისას.

– კურთხეულ იყოს გული შენი.

– მოვედი გამეგო, რაიმე უბედურება ხომ არ მომხდარა, რომ ასე ხმამაღლა ლაპარაკობთ. საზიზღარ ლიბიელებთან ომი ხომ არ გაშინებთ! – შეეკითხა სენი.

– რა აზრისა ხარ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილზე? – მიმართა მას მენტესუფისმა.

– ვფიქრობ, გახარებული იქნება ომით და მთავარსარდლის როლით ფრიად კმაყოფილი, – მიუგო სენმა. – იგი დაბადებით მეომარია. როცა მას ვუცქერ, რამზესის ლომი მაგონდება. ეს ჭაბუკი მზად არის მარტომ შეუტიოს ლიბიელ ბანდებს და, ალბათ, გაფანტავს კიდეც.

– ამ ახალგაზრდას შეუძლია ყველა ჩვენი ტაძარი მოსპოს და დედამიწის პირიდან აღგავოს ეგვიპტე, – უპასუხა ნოფრმა.

სენმა საჩქაროდ ამოიღო ოქროს ავგაროზი, რომელსაც გულზე ატარებდა, და წაიჩურჩულა:

– ცუდო სიტყვებო, უდაბნოში გაიქეცით. განველით და ნუ ავნებთ მართალთ. –რატომ ამბობ მაგას? – საყვედურის კილოთი დაუმატა მან.

– ყოვლადღირსმა ნოფრმა სიმართლე თქვა, – ჩაერია საუბარში მენტესუფისი. – შენ თავი აგტკივდებოდა, რომ ადამიანის ბაგეთ გაემეორებინა ის მკრეხელი სიტყვები, რომლებიც დღეს მისგან მოვისმინეთ.

– ნუ ხუმრობ, წინასწარმეტყველო, – აღშფოთდა უმაღლესი ქურუმი სენი. – უფრო მალე დავიჯერებ, რომ წყალი იწვის, ვიდრე იმას, რომ რამზესი თავის თავს მკრეხელობის ნებას აძლევს.

– ის თითლიბაზობდა, თითქოს მთვრალი ლაპარკობსო, – გესლიანად შენიშნა ნოფრმა.

– ეგრე იყოს. არ უარვყოფ, რომ ბატონიშვილი თავქარიანი ახალგაზრდა და მოქეიფეა, მაგრამ – მკრეხელობა?

– ჩვენც ასე ვფიქრობდით, – განაცხადა მენტესუფისმა, – და იმდენად ვიყავით ამაში დარწმუნებული, რომ ხატორის ტაძრიდან მისი დაბრუნების შემდეგ თვალყურსაც აღარ ვადევნებდით.

– შენ გენანებოდა ოქრო, რომ ამისათვის გასამრჯელო გეძლია. – შენიშნა ნოფრმა, – და ხომ ხედავ, რა შედეგი გამოიღო ამ დაუდევრობამ.

– მაინც რა მოხდა? ვეღარ ითმენდა სენი.

– რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, ტახტის მემკვიდრე, უფლისწული ღმერთებს დასცინის.

– ჰოი!

– ფარაონის განკარგულებათ კიცხავს...

– შეუძლებელია!

– უმაღლესი საბჭოს წევრებს მოღალატეებს უწოდებს...

– რას ამბობ?

– და ვიღაცისგან გაუგია ბეროესის მოსვლა და ნოფრთან, ხერიჰორთან და პენტუერთან მისი შეხვედრაც კი სეთის ტაძარში.

უმაღლესმა ქურუმმა სენმა ორივე ხელი თავში იტაცა და სენაკში სირბილი დაიწყო.

– შეუძლებელია! – გაიმეორ მან. – შეუძლებელია! ალბათ, ვიღაცამ მოაჯადოვა ეს ჭაბუკი. იქნებ იმ ფინიკიელმა ქურუმქალმა, რომელიც ტაძრიდან მოიტაცა?

ეს ვარაუდი მენტესუფისს ისე მოსწრებულად მოეჩვენა, რომ

ნოფრს გადახედა, მაგრამ აღშფოთებული ნოფრი მაინც თავისას იცავდა.

– უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გამოძიება ჩავატაროთ და შევიტყოთ, რას აკეთებდა ბატონიშვილი ხატორის ტაძრიდან დაბრუნების შემდეგ, – ამბობდა იგი. – ბატონიშვილი უზომო თავისუფლებით სარგებლობდა და ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ურწმუნოებსა და ეგვიპტის მტრებთან. და შენ, ღირსო სენ, დაგვეხმარები...

უმაღლესმა ქურუმმა სენმა გასცა განკარგულება მეორე დილითვე მოეწვიათ ხალხი პტას ტაძარში საზეიმო ღვთისმსახურებაზე.

ქურუმებმა ყოველ გზაჯვარედინზე, მოედნებსა და თვით ყანებშიაც კი დააყენეს მაცნეები, რომ მათ ბუკებითა და სალამურებით მოეწვიათ ხალხი, როცა საკმაო მსმენელებმა მოიყარეს თავი, მათ გამოუცხადეს, რომ პტას ტაძარში სამი დღის განმავლობაში ეგვიპტის იარაღის ძლევამოსილებისა და ლიბიელების დამარცხების შესათხოვარი პარაკლისები იქნებაო გადახდილი.

ტაძრის კედლებთან დილიდან გვიან ღამემდე მდაბიო ხალხი ირეოდა, არისტოკრატია და მდიდარი მოქალაქეები შესასვლელთან იკრიბებოდნენ, ხოლო ადგილობრივი და მეზობელი ნომების ქურუმები ღმერთ პტას მსხვერპლს სწირავდნენ და მას თვით საკურთხეველში ევედრებოდნენ.

დღეში სამჯერ სრულდებოდა სადღესასწაულო ლიტანია, რომლის დროსაც ტაძრის გარშემო ოქროს ნავით შემოატარებდნენ ღვთაების ფარდაჩამოფარებულ ქანდაკებას. ადამიანები პირქვე ემხობოდნენ და ხმამაღლა გოდებდნენ თავიანთ ცოდვებზე; ხალხში მიმოფანტული წინასწარმეტყველები კი მათ შესაფერ შეკითხვებს აძლევდნენ და მონანიებაში ეხმარებოდნენ. ასევე ხდებოდა ტაძრის წინკარში. მაგრამ ვინაიდან წარჩინებულ და მდიდარ პირებს სხვის გასაგონად მონანიება არ უყვარდათ, ამიტომ წმიდა მამებს ისინი ცალკე გაჰყავდათ და ჩუმად შთააგონებდნენ და რჩევას აძლევდნენ.

შუადღისას პარაკლისს საგანგებოდ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა, ვინაიდან ამ დროს ტაძარში დასავლეთ საზღვრისაკენ წასასვლელად გამზადებული მეომრები მოდიოდნენ, რომ უმაღლესი ქურუმის ლოცვა-კურთხევა მიეღოთ და თავიანთი ავგაროზების ძალა

გაეახლებინათ. ამ ავგაროზებს კი მტრის დარტყმათა შემსუბუქებელი თვისება ჰქონდა.

ხანგამოშვებით ტაძარში ქუხილი ისმოდა, ხოლო ღამით პილონთა გუმბათებს ელვა ანათებდა. ეს იმას მოასწავებდა, რომ ღმერთმა ვისიმე ვედრება შეისმინა – ანდა ქურუმებს ესაუბრებოდა.

როცა დღესასწაულის დამთავრების შემდეგ სამი უმაღლესი ქურუმი – სენი, ნოფრი და მენტესუფისი – საიდუმლო. თათბირს შეუდგნენ, მდგომარეობა უკვე ნათელი იყო. ღვთისმსახურებამ ტაძარს ორმოცამდე ტალანტის შემოსავალი შესძინა, მაგრამ არისტოკრატიისა და უმაღლესი სამხედრო წრეების ზოგიერთი პირის საჩუქრებსა თუ ვალების გადახდაზე სამოცამდე ტალანტი დაიხარჯა. შეგროვებულ იქნა შემდეგი ცნობები:

ჯარისკაცებს შორის ხმა დადიოდა, რომ როგორც კი რამზესი ტახტზე ავა, ასირიასთან ომს დაიწყებს და ეს ომი დიდ სარგებლობას მოუტანს იმათ, ვინც მასში მონაწილეობას მიიღებს. ამ ლაშქრობიდან არც ერთი რიგითი ჯარისკაცი არ დაბრუნდება, რომ იმას ათას ღრახმაზე მეტი თუ არა, ნაკლები ჰქონდეს.

ხალხში ჩურჩულებდნენ, როდესაც ფარაონი ნინევიიდან დაბრუნდება, ყოველ გლეხს მონას აჩუქებს და რამდენიმე წლით ეგვიპტეს გადასახადებისაგან გაათავისუფლებსო.

არისტოკრატია კი იმედოვნებდა, ახალი ფარაონი პირველ რიგში ქურუმებს ჩამოართმევს და აზნაურებს დაუბრუნებს იმ მამულებს, რომლებიც გადაუხდელი ვალების დასაფარავად ტაძრების საკუთრებაში გადავიდაო. ამბობდნენ აგრეთვე, იქნებ მომავალი ფარაონი სახელმწიფოს ქურუმთა უმაღლესი საბჭოს მონაწილეობის გარეშე თვითმპყრობელურად მართავდესო.

საზოგადოების ყველა ფენაში დარწმუნებული იყვნენ, ბატონიშვილმა ფინიკიელების მხრივ დახმარების უზრუნველსაყოფად ღმერთქალის აშტორეტის მფარველობას მიმართა და მისდამი განსაკუთრებულ თაყვანისცემას იჩენსო. დანამდვილებით იცოდნენ, რომ ერთ ღამეს ტახტის მემკვიდრე აშტორეტის ტაძარს ესტუმრა და იქ რაღაც სასწაულები იხილა. დასასრულ, ხმები დადიოდა, რამზესმა ქალღმერთის ტაძარს. უხვი შეწირულება მიართვა, იქიდან გადასცეს ქუ-

რუმქალი და იგი ახალ სარწმუნოებაში უნდა განამტკიცოსო.

ყველა ეს ცნობა სენმა და მისმა ქურუმებმა შეაგროვეს. წმიდა მამებმა – ნოფრმა და მენტესუფისმა კი თავის მხრივ სენს შეატყობინეს, ქალდეველი ნათელმხილველი ბეროესი ქურუმმა ნერხეტმა სეთის ტაძრის მიწისქვეშეთში შეიყვანაო. ამას წინათ, თავის ქალიშვილს რომ ათხოვებდა, განძეულობით დაასაჩუქრა და ახლად დაქორწინებულთ დიდი სახლი უყიდა. რამდენადაც ნერხეტს წინათ ასეთი დიდი შემოსავალი არ ჰქონდა, ეჭვი იბადებოდა, რომ სწორედ მან დაუგდო ყური ბეროესის საუბარს ეგვიპტის მაღალ ქურუმებთან და შემდეგ ხელშეკრულების საიდუმლოება ფინიკიელებს მიჰყიდა და მათგან დიდძალი თანხა მიიღო.

ეს რომ მოისმინა, უმაღლესმა ქურუმმა სენმა თქვა:

– უკეთუ წმიდა ბეროესი მართლაც სასწაულმოქმედია, ჯერ მას შეეკითხეთ, ნერხეტმა თუ გასცა საიდუმლოება?

– სასწაულმოქმედ ბეროესს უკვე შევეკითხეთ, – უპასუხა ნოფრმა, – მაგრამ წმიდა კაცს სურს ამაზე არა თქვას რა, თან დასძინა, რომ თუ ვინმემ მათ საუბარს ჩუმად ყური მიუგდო, ამით არც ეგვიპტე და არც ქალდეა არ დაზარალდება და, მაშასადამე, როცა დამნაშავეს აღმოაჩენთ, ის უნდა შეიწყნაროთო.

– წმიდანია! ჭეშმარიტად წმიდა კაცია... – ჩაიჩურჩულა სენმა.

– რა აზრისა ხარ, – მიმართა ნოფრმა სენს, – ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილსა და მის მიერ გამოწვეულ მღელვარებაზე?.

– ვიტყვი იმასვე, რაც თქვა ბეროესმა: მემკვიდრე ეგვიპტეს ზიანს ვერ მიაყენებს და მისდამი შემწყნარებელი უნდა ვიყოთ...

– კი, მაგრამ ეს ჭაბუკი ხომ ღმერთებს დასცინის, არ სწამს სასწაულები, უცხოელთა ტაძრებში დადის, აჯანყებს ხალხს!.. ეს საქმე სერიოზულია... – გაცხარებით ამბობდა ნოფრი, რომელმაც რამზესს ვერ აპატია ტლანქი ხუმრობა მისი ღვთისმოსაობის შესახებ.

უმაღლეს ქურუმს სენს უყვარდა რამზესი და ნოფრს კეთილი ღიმილით უპასუხა:

– ერთი მიბრძანე, რომელი ეგვიპტელი გლეხი არ მოისურვებდა ჰყოლოდა მონა და თავისი მძიმე შრომა სასიამოვნო უსაქმობად შეეცვალა? და განა არსებობს ქვეყნად ისეთი ადამიანი, ვინც გადასახა-

დებისაგან განთავისუფლებაზე არ ოცნებობდეს? რასაც იგი ხაზინას აძლევს, ამით მის ცოლს, თვითონ მას და მის შვილებს ხომ შეეძლოთ მორთულობა შეეძინათ და ყოველგვარი სიამოვნებით დამტკბარი. ყვნენ?

– უსაქმობა და მფლანგველობა ადამიანს რყვნის, შენიშნა მენტესუფისმა.

– რომელ ჯარისკაცს, – განაგრძობდა სენი, – არ სწადია ომი და ათას დრახმად თუ მეტად ღირებულ ნადავლზე არ ოცნებობს? და კიდევ გეკითხებით თქვენ, მამებო, რომელი ფარაონი, რომელი ნომარქოსი ან აზნაური იხდის ხალისით ვალებს და ტაძრების ქონებაზე მივალი არ უჭირავს?

– მხოლოდ ცოდვილი აქვთ ასეთი ზრახვები, – წაილუღლუღა ნოფრმა.

– დაბოლოს, ქურუმების ხელისუფლების შეზღუდვაზე რომელი. ტახტის მემკვიდრე არ ოცნებობს? რომელი ფარაონი არ ცდილა თავისი მეფობის დასაწყისში უმაღლესი საბჭოს გავლენისაგან თავი გაეთავისუფლებინა?

– სიტყვანი შენნი სიბრძნით არიან მოსილნი, – უპასუხა ნოფრმა, – მაგრამ რა დასკვნამდე მივყავართ მათ?

– იმ დასკვნამდე, რომ თქვენ არ განიზრახოთ მემკვიდრეს რაიმე ბრალი დასდოთ უმაღლესი საბჭოს წინაშე, ვინაიდან არ არსებობს ისეთი სამსჯავრო, რომელმაც მემკვიდრეს ის დააბრალოს, რომ გლეხები მოხარული იქნებოდნენ გადასახადები არ გაეღოთ და რომ მეომრებს ომი სურთ. პირიქით, შეიძლება თქვენვე გისაყვედურონ, რომ მემკვიდრეს ყოველდღიურად თვალყურს არ ადევნებდით, მას ბალღურ საქციელს არ უშლიდით და ახლა კი ამდენ ბრალდებას უყენებთ, თანაც ესოდენ უსაფუძვლოს.

ასეთ შემთხვევაში ცუდია არა ის, რომ ადამიანი ცოდვისადმი მიდრეკილი, ვინაიდან ეს ყოველთვის ხდება, არამედ ის, რომ ჩვენ მისგან არ ვაფრთხილებთ. ჩვენი წმიდა მდინარე ნილოსი შლამით ფრიად მალე დაფარავდა ყველა არხს, რომ ინჟინრები მუდამ ჟამს მას არ მეთვალყურეობდნენ.

– რას იტყვი, წმიდა მამაო, – იმ ზრახვაზე, რომელიც ბატონიშვილ-

მა ჩვენთან საუბარში ინება? ნუთუ სასწაულებზე საზიზღარ დაცინვას აპატიებ? – შეეკითხა ნოფრი. – ამ ჭაბუკმა ხომ ტლანქად შეურაცხყო ჩემი კეთილმსახურება.

– თავის თავს იმცირებს ის, ვინც მთვრალს ელაპარაკება, – უპასუხა სენმა. – თქვენ უფლებაც არ გქონდათ მთვრალ კაცთან სახელმწიფოს მნიშვნელოვან საქმეებზე გესაუბრათ. იმაშიც კი შეცდით, რომ მას მაშინ ჯარის სარდლად დანიშვნა აცნობეთ. მხედართმთავარი მუდამ ფხიზელი უნდა იყოს.

– თქვენი სიბრძნის წინაშე ქედს ვიხრი, – განუცხადა ნოფრმა, – მაგრამ მაინც იმის მომხრე ვარ, რომ უმაღლეს საბჭოში მემკვიდრეზე საჩივარი შევიტანოთ.

– მე კი ამის წინააღმდეგი ვარ, – მტკიცედ უპასუხა სენმა. – საბჭომ მემკვიდრის ყველა მოქმედება უნდა იცოდეს, მაგრამ არა საჩივრის, არამედ უბრალო მოხსენების სახით.

მენტესუფისი სენის აზრს მიემხრო.

რაკი დაინახა, რომ ორივე ქურუმი მისი წინააღმდეგი აღმოჩნდა, ნოფრმა თავის მოთხოვნაზე უარი თქვა. მაგრამ არ დავიწყებია მემკვიდრის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა და მისდამი მტრობა გულში ღრმად ჩაიმარხა.

თავი მეთექვსმეტე

ვარსკვლავთმისნების რჩევით მთავარსარდალი თავისი ამალით ბუბასტისიდან უნდა დაძრულიყო ხატირის თვის მეშვიდე დღეს. ამ „უბედნიერესთაგან უბედნიერეს“ დღეს ღმერთები ზეცაში და ადამიანები დედამიწაზე მტრებზე გამარჯვებას ზეიმობდნენ, ის, ვინც ამ დღეს ქვეყნად გაჩნდა, ღრმა სიბერეში მიიცვლება, საერთო პატივისცემით გარემოსილი. ეს დღე სასიკეთოდ ითვლებოდა აგრეთვე ორსულ დედაკაცთა და ქსოვილებით მოვაჭრეთათვის და არასასიკეთოდ თაგვების, ბაყაყებისა და ყოველგვარი უწმინდური ქმნილებისათვის.

მთავარსარდლად დანიშვნის დღიდან რამზესი დაუსვენებლივ საქმიანობდა. პირადად ეგებებოდა ყოველ მოსულ ლეგიონს, ამოწ-

მებდა მათს შეიარაღებას, ტანსაცმელსა და ახალს. თვითონ ესალმებოდა ახალწვეულებს და უძრავდა მათ სურვილს – გულმოდგინედ შეესწავლათ სამხედრო ხელოვნება მტრების შესამუსრავად და ფარაონის განსადიდებლად. თავმჯდომარეობდა ყველა სამხედრო თათბირს, ესწრებოდა ყოველი ჯაშუშის დაკითხვას და საკუთარი ხელით ნიშნავდა რუკაზე ეგვიპტის ჯარის მოძრაობასა და მტრის ბანაკების ადგილებს. ისეთი სისწრაფით გადადიოდა იგი ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ ყველგან ელოდნენ და მაინც ქორივით მოულოდნელად ჩნდებოდა. დილით რამზესს ბუბასტისის სამხრეთით ხედავდნენ, სადაც სურსათს ამოწმებდა; ერთი საათის შემდეგ ის უკვე ჩრდილოეთ მხარეზე იმყოფებოდა, სადაც აღმოაჩენდა, რომ ამა და ამ პოლკს ორმოცდაათი კაცი აკლდა, ხოლო საღამოს მეწინავე რაზმს რომ დაეწეოდა, ნილოსის ტოტზე ჯარების გადასვლას მეთვალყურეობდა და ორას სამხედრო ეტლს ამოწმებდა.

ხერიჰორის თანაშემწე, წმიდა მენტესუფისი, რომელმაც სამხედრო საქმე კარგად იცოდა, ბატონიშვილის ასეთი მოქმედებით პირდაპირ გაოცებული იყო.

– თქვენ იცით, წმიდა ძმებო, – უთხრა მან სენსა და ნოფრს, – რომ მე მემკვიდრე აღარ მიყვარს მას უკან, რაც ავგულობა და ცბიერება, შევნიშნე, მაგრამ ოზირისს ვიმოწმებ, – ეს ყმაწვილი დაბადებით სარდალია. რაღაც დაუჯერებელ ამბავს გეტყვით: ჩვენ ორი თუ სამი დღით ადრე მივიყვანთ ჩვენს ძალებს საზღვართან, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ლიბიელებმა ომი უკვე წააგეს, თუმცა მათ ჩვენი ისრების სტვენა ჯერ კიდევ არ სმენიათ!

– ჩვენთვის ასეთი ფარაონი მით უფრო საშიშია, – მოხუცის სიჯიუტით შენიშნა ნოფრმა.

ხატირის თვის მეექვსე დღეს, საღამო ჟამს, ბატონიშვილმა თავის შტაბს გამოუცხადა, რომ ხვალ, მზის ამოსვლამდე ორი საათით ადრე, ისინი ქალაქიდან დაიძრებოდნენ.

– ახლა კი მინდა გამოვიძინო, – დაამთავრა მან.

მაგრამ ამის შესრულება ადვილი არ იყო.

მთელ ქალაქში ჯარისკაცები მიდი-მოდიოდნენ, მემკვიდრის სასახლის გვერდით კი ლეგიონი იყო დაბანაკებული, სადაც ისინი სმა-

ჭამითა და სიმღერით იყვნენ გართულნი და დასვენებაზე არც კი ფიქრობდნენ.

მემკვიდრე ყველაზე განაპირა ოთახში მოთავსდა, მაგრამ აქაც წამდაუწუმ აწუხებდნენ: შედიოდნენ ადიუტანტები, მოჰყავდათ ჯაშუშები, თავიანთი რაზმებით ცხადდებოდნენ წარჩინებული ბატონები და მათს მოხალისეებად გამოყენებას ითხოვდნენ. მოდიოდნენ ფინიკიელი ვაჭრები, რომლებსაც არმიისათვის სურსათის მიწოდებაზე ახალი გარიგების მიღება სურდათ.

მომსვლელთ არც მისნები, ვარსკვლავთმრიცხველები და, მაგები აკლდათ; ისინი ისრებისა და ჭურვების საწინააღმდეგო უებარ ავგაროზებს სთავაზობდნენ. ყველა ეს ხალხი მემკვიდრის ოთახში მოუხსენებლად შეიჭრებოდა; თითოეულ მათგანს ეგონა, ომის ბედი ჩემ ხელთაა და ეს მთავარსარდალთან თავისუფლად შესვლის უფლებას მაძლევსო.

ბატონიშვილი მათ მოთმინებით უსმენდა. მაგრამ როდესაც ვარსკვლავთმრიცხველის შემდეგ მემკვიდრესთან ერთი მის ქალთაგანი შევიდა და ცრემლმორეულმა საყვედური განუცხადა, ალბათ, უკვე აღარ გიყვარვარ რადგან გამოსამშვიდობებლად არ მოხვედიო, ხოლო თხუთმეტი წუთის შემდეგ მეორე ქალმაც იგივე გაიმეორა, რამზესმა მოთმინება დაკარგა და თუტმოსი იხმო.

– დარჩი ამ ოთახში და, თუ ხალისი გეყოფა, ჩემი სახლის ქალები ანუგეშე, მე კი სადმე ბაღში დავიმალები და იქ დავისვენებ.

– საჭიროების დროს სად მოგძებნო?

– არსად, – გაიცინა რამზესმა, – გათენებისას მე თვითონ მოვალ.

მემკვიდრემ მოიხურა გრძელი ლაბადა კაპიუშონით და ბაღში გაიქცა.

მაგრამ ბაღშიც ჯარისკაცები და მემკვიდრის მსახურები დაეხეტებოდნენ; სასახლის მთელ ტერიტორიაზე წესრიგი დარღვეული იყო. რამზესმა პარკის ყველაზე მეტად მიყრუებულ კუთხეში შეუხვია, იპოვა აქ ვაზით შემოხვეული ტალავერი და სიამოვნებით ჩამოჯდა სკამზე.

– აქ უკვე ვეღარავინ მომნახავს, – ჩაილაპარაკა და იმავე წუთს მკვდარივით ჩაეძინა.

ფინიკიელი ქალი კამა უკვე რამდენიმე დღე თავს ავად გრძნობდა. ნერვულ გაღიზიანებას რაღაც საოცარი უქეიფობა და სახსრების ტკივილები დაერთო. ამას გარდა, სახეზე ქავილი აუტყდა, განსაკუთრებით შუბლსა და წარბების თავზე.

დაავადების ასეთმა უმნიშვნელო ნიშნებმა კამა ისე შეაკრთო, რომ მოკვლის საფრთხეზე უკვე აღარ ფიქრობდა; მაგრამ სარკეს არ შორდებოდა და დაძაბული ყურადღებით ისინჯავდა რაღაც წინწკლებს, რომელთაც სხვისი თვალი ვერც კი შეამჩნევდა.

– წინწკლებია... კი, წინწკლები, – შიშით ეჩურჩულებოდა თავის თავს, – ორი, სამი... ჰოი, აშტორეტო! შენ ხომ არ მოისურვე ასე დასაჯო შენი ქურუმქალი. ამას სიკვდილი ათასჯერ სჯობია... მაგრამ რას ვსულელობ? როცა შუბლს თითით ვისრისავ, წინწკლება უფრო წითლდება, ალბათ, რომელიღაც მწერმა მიკბინა ან სახეზე გაფუჭებული ზეთი წავისვი; დავიბან პირს და ხვალ ყველაფერი გაივლის...

მაგრამ მეორე დღეს წინწკლები არ გაქრა.

კამამ მსახურ ქალს დაუძახა.

– შემომხედე, – უთხრა მან და უფრო ბნელ კუთხეში გადაჯდა.

– შემომხედე... – მღელვარებით გაიმეორა მან. – ამჩნევ ჩემს სახეზე რაიმე წინწკლებს?.. მაგრამ ახლოს ნუ მოხვალ!..

– ვერაფერს ვერ ვამჩნევ, – უპასუხა მხევალმა.

– არც მარცხენა თვალის.. არც წარბების ზევით?.. – ეკითხებოდა კამა და უფრო მეტად ნერვიულობდა.

– კეთილი ინებე, ქალბატონო, და შენი ღვთაებრივი სახე სინათლისაკენ მოაბრუნე, – შესთხოვა. მსახურმა.

ამ წინადადებამ კამა გაცოფებამდე მიიყვანა.

– გაეთრიე აქედან, გარეწარო, – წამოიყვირა მან, – და თვალით აღარ დამენახო!

როცა მსახური გაიქცა, მისი ქალბატონი ტუალეტისაკენ გაექანა და სახეზე ფუნჯით რაღაც ფერ-უმარილი წაისვა.

საღამო ჟამს კამა სახსრებში ტკივილებს გრძნობდა და მწვავე მოუსვენრობას განიცდიდა. მან მკურნალს დაუძახა. როცა მკურნალის მოსვლა მოახსენეს, კვლავ სარკეში ჩაიხედა, შემდეგ გაგიჟებულივით იატაკზე დაანარცხა და თვალცრემლიანი ყვიროდა, მკურნალი არ

მჭირდებაო.

მთელი დღე კამას არა უჭამია რა და არც ვისმე ნახვა ისურვა.

როცა დაბინდდა და ოთახში მხევალმა ლამპარი შემოიტანა, კამა საწოლზე დაეცა და თავზე საბური შემოიხვია. მხევალს უბრძანა საჩქაროდ წასულიყო, თვითონ ლამპრიდან დაშორებით სავარძელში ჩაჯდა და რამდენიმე საათი ნახევრად მთვლემარე გარინდებაში გაატარა.

„არავითარი წინწკლები არა მაქვს, – ფიქრობდა, – და თუ არის, სხვა რამეა... ეს კეთრი არაა!..“

ჰოი ღმერთებო... - წამოიძახა მან და უეცრივ პირქვე დაემხო, – შეუძლებელია, რომ მე... მიხსენით მე!.. დავბრუნდები წმიდა ტაძარში... მთელი ჩემი სიცოცხლით გამოვისყიდი ჩემს ცოდვას...

მერე კვლავ დამშვიდდა.

„არავითარი წინწკლები... უკვე რამდენიმე დღეა, კანს ვიზილავ, ამიტომაც გამიწითლდა. საიდან შეიძლება ეს იყოს!.. გაგონილა, რომ ქურუმქალი, ტახტის მემკვიდრის ქალი კეთრით დაავადდეს! ჰოი ღმერთებო!.. ქვეყნის გაჩენიდან ეს არასოდეს არ მომხდარა!.. კეთრი შეეყრება მხოლოდ მეთევზეებს, კატორღელებს და ღატაკ ებრაელებს. ჰა, ეს საზიზღარი ებრაელი ქალი! დეე ღმერთებმა დასაჯონ იგი ამ სენით!“

მაგრამ ამ დროს სარკმელთან (მისი ოთახი პირველ სართულზე იყო) რაღაც აჩრდილმა გაირბინა, მერე შრიალი მოისმა და ოთახში ბატონიშვილი რამზესი გადმოხტა...

კამა გაქვავდა, მაგრამ უეცრივ თავზე ხელი იტაცა, და მის თვალებში უსაზღვრო საშინელება გამოისახა.

– ლიკონ! – ჩაილაპარაკა ქალმა, – ლიკონ, აქა ხარ? შენ დაიღუპები! გეძებენ...

– ვიცი, – გულისმომწყვლელი სიცილით უპასუხა ბერძენმა, – ყველა ფინიკიელი და ფარაონის მთელი პოლიცია დამდევს. და მე მაინც შენთან ვარ, ხოლო რამდენიმე წუთის წინათ შენს ბატონთან ვიყავი.

– მემკვიდრესთან?

– დიახ, მის საკუთარ საწოლში ვეახელი და მემკვიდრის გულში ჩემს ხანჯალს ჩავარჭობდი, რომ ბოროტ სულებს იგი სხვაგან არ წა-

ეყვანათ...

– მაინც რა გსურს?.. გირჩევ გაიქცე! – ეჩურჩულებოდა კამა,

– მხოლოდ შენთან ერთად! ქუჩაში ეტლი გვიცდის, იმით ჩვენ ნილოსამდე მივალთ, იქ კი ჩემი ორჩხომელია.

– ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ? მთელი ქალაქი და ყველა გზა ჯარისკაცებით არის გაჭედილი...

– სწორედ ამიტომ მოვახერხე სასახლეში შემოსვლა. და ჩვენც შეუმჩნევლად შეგვიძლია გავიდეთ... ყველა შენი ძვირფასეულობა შეაგროკე. მე ახლავე დავბრუნდები...

– სად მიდიხარ?

– შენს ბატონს მოვძებნი, – უპასუხა ბერძენმა, – აქედან ისე ვერ წავალ, თუ მას რამე არ ვუსახსოვრე.

– ხომ არ გაგიჟდი!

– ხმა გაიკმინდე! – შესძახა ქალს ლიკონმა და სიბრაზისაგან გაფითრდა, – შენ კიდევ ბედავ მის დაცვას?

ფინიკიელი ქალი წაბარბაცდა, მუშტები შეკუმშა და თვალებში ავის მომასწავებელმა ცეცხლმა გაუელვა.

– რომ ვერ იპოვო?.. – შეეკითხა ბერძენს.

– მაშინ მის რამდენიმე მძინარ ჯარისკაცს მოვკლავ, სასახლეს ცეცხლს წავუკიდებ... და... მე თვითონ არ ვიცი, კიდევ რას ვიზამ... მაგრამ ჩემს მოსაგონარ კვალს მაინც დავტოვებ... უამისოდ არ წავალ! -

ფინიკიელი ქალის ფართოდ გახელილი თვალები შიშით შეჰყურებდნენ ლიკონს.

– რა დაგემართა? – შეეკითხა იგი ქალს.

– არაფერი. ყური მიგდე. შენ მემკვიდრეს ისე არასოდეს არ გვანებიხარ, როგორც დღეს. იქნებ გსურს რაიმე კარგი ჩაიდინო....

ქალმა თავი დახარა და ყურში ჩასჩურჩულა.

ბერძენი გაოგნებით უსმენდა.

– ქალო, შენი პირით, – უთხრა მან, – თვითონ სეთი ლაპარაკობს. დაე ეჭვი მასზე მიიტანონ.

– ეს უმჯობესია, ვიდრე ხანჯალი, – სიცილით უპასუხა კამამ. – ხომ მართალია?

– ასეთი აზრი მე არასოდეს მომივიდოდა! ეგებ ორივე ერთად ჯო-

ბია?

– არა, დაე ის ცოცხალი დარჩეს. ეს იქნება ჩემი შურისძიება.

– სწორედ ულმობელი გულის პატრონი ხარ! – უთხრა ლიკონმა. – მაგრამ მომწონხარ. ჩვენ მათ მეფურად გავუსწორდებით.

ბერძენი ფანჯარაზე შეხტა და ძირს გადაეშვა.

კამა სმენად გადაიქცა.

მეოთხედი საათიც არ გასულა, რაც ლიკონი წავიდა, რომ ლეღვების ტევრიდან ქალის საშინელი კივილი მოისმა. იგი რამდენჯერმე განმეორდა და მიწყნარდა. მოსალოდნელი სიხარულის ნაცვლად კამა შიშმა აიტანა. იგი მუხლებზე დაეცა და გიჟური თვალებით იჭვრიტებოდა სიბნელით მოცულ ბაღში.

ქვევით ვიღაცის აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა და ფანჯარაში კვლავ გამოჩნდა მუქ მოსასხამში გამოწყობილი ლიკონი. იგი აჩქარებულად სუნთქავდა და ხელები უკანკალებდა.

– განძეულობა სადაა? – ხმადაბლა შეეკითხა ქალს.

– თავი დამანებე, – უპასუხა კამამ.

ბერძენმა ყელში წაავლო ხელი.

– საბრალოვ, – წაისისინა მან, – ნუთუ არ გესმის, მზე ამოსვლასაც ვერ მოასწრებს, რომ საპყრობილეში ჩაგსვამენ და რამდენიმე დღის შემდეგ გაგგუდავენ?..

– მე ავად ვარ...

– განძეულობა სად არის?

– ტახტს ქვეშ...

ლიკონი ოთახში შეხტა, ხელი სტაცა. ლამპარს, ტახტის ქვეშიდან მძიმე ზარდახშა გამოიღო, კამის წამოსასხამი მოახურა და წაათრია.

– გავიქცეთ! საით არის ის კარი, რომლითაც შენთან... ის შენი ბატონი შემოდის?..

– თავი დამანებე...

ბერძენი მისკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა:

– გგონია, აქ დაგტოვებ? ახლა ისევე მჭირდები, როგორც ძაღლი, რომელსაც ალღო დაუკარგავს... მაგრამ ჩემი თან უნდა წამოხვიდე... დაე შენმა ბატონმა შეიტყოს, რომ არსებობს ვიღაც მასზე უკეთესი. მან ღმერთქალს ქურუმქალი მოსტაცა, მე კი მას სატრფოს მოვტაცებ...

– მაგრამ გეუბნები, ავადა ვარ-მეთქი...

ბერძენმა ქამრიდან ბებუთი იძრო და ქალს ყელზე მიაბჯინა.

კამა აკანკალდა და წაიჩურჩულა:

– მოვდივარ, მოვდივარ...

ფარული კარით ისინი პავილიონიდან გამოვარდნენ. სასახლის მხრიდან კოცონთა გარშემო შემომსხდარი ჯარისკაცების ხმა შემოესმათ. დაუბრკოლებლად გავიდნენ ქუჩაში და უცხოელთა უბნის შესახვევებში მიიმალნენ.

გათენებას ორი საათი აკლდა, როდესაც ქალაქში ბუკებისა და დაფის ხმა გაისმა.

თუტმოსს ჯერ კიდევ ეძინა, როდესაც ბატონიშვილმა წამოსასხამი გადახადა და მხიარული სიცილით შესძახა:

– ადექ, ფხიზელო მხედართმთავარო! პოლკები უკვე დაიძრნენ!

თუტმოსი ლოგინში წამოჯდა და ნამძინარევი თვალების სრესა იწყო.

– ეს შენა ხარ, ხელმწიფევ? როგორ გეძინა? – მთქნარებით შეეკითხა მემკვიდრეს.

– ისე, როგორც არასოდეს!

– მე კი კიდევ დავიძინებდი.

ორივემ აბაზანა მიიღო, ტანთ ხიფთანები და ჯაჭვკურტაკები ჩაიცვეს და ცხენებზე შესხდნენ.

მალე, მემკვიდრე მცირე ამალის თანხლებით ქალაქიდან გავიდა, უკან ტოვებდა ნელი ნაბიჯით მიმავალ კოლონებს და, მხიარულ გუნებაზე მყოფი, მიაჭენებდა თავის ცხენს. მზის ამოსვლისას აღალის უკანასკნელი ფორანი ქალაქიდან უკვე შორს იყო. ბუბასტისის ღირსმა ნომარქოსმა თავის მსახურთ განუცხადა:

– ახლა დასაძინებლად მივდივარ და ვაი იმას, ვინც ვახშმობამდე გამაღვიძებს. ღვთაებრივი მზეც კი ყოველდღე ისვენებს. მე კი ხატორის პირველიდან არ დავწოლილვარ.

მაგრამ განკარგულების გაცემა ვერც კი მოასწრო, რომ მასთან პოლიციის ოფიცერი მივიდა და ფრიად მნიშვნელოვანი საქმის გამო მიღება სთხოვა.

– ყველას მიწამ გიყოთ პირი! – შემოსწყრა ის. მაგრამ უბრძანა

ოფიცერს შესულიყო და უკმაყოფილო ხმით მეკითხა: – ნუთუ მოცდა არ შეიძლებოდა? ნილოსი ხომ ჯერ არ გაქცეულა...

– დიდი უბედურება დატრიალდა, – უთხრა პოლიციელმა. – ტახტის მემკვიდრის ვაჟი მოუკლავთ.

– რაო? ვინ მოუკლავთ? – წამოიძახა ნომარქოსმა.

– ებრაელი ქალის სარას ვაჟი.

– ვინ მოკლა? როდის?

– დღეს ღამით.

– ვის შეეძლო ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენა?

ოფიცერმა ხელები გაშალა.

– ვინ მოკლა-მეთქი? – გაუმეორა კითხვა უფრო შეშინებულმა, ვიდრე აღშფოთებულმა დიდებულმა.

– ბატონო ჩემო! კეთილ ინებე და თვითონ მოახდინე გამოძიება. ბაგენი ჩემნი ვერ გაიმეორებენ იმას, რაც ჩემმა ყურებმა გაიგონეს.

ნომარქოსს თავზარი დაეცა. ბრძანა მოეყვანათ სარას მსახურნი და იმავე დროს უმაღლეს ქურუმს ნოფრს კაცი გაუგზავნა. მენტესუფისი კი, როგორც სამხედრო მინისტრის წარმომადგენელი, ბატონიშვილთან ერთად ბრძოლის ველზე იყო წასული.

გამოძახებით გაკვირვებული ნოფრი მალე მოვიდა ნომარქოსის სახლში. ნომარქოსმა მას ბავშვის მკვლელობის ამბავი გაუმეორა.

– მოწმეები არიან? – შეეკითხა უმაღლესი ქურუმი,

– შენს ბრძანებას ელიან, წმიდაო მამაო.

– შემოიყვანე სარას მეკარე.

– თუ იცი, რომ შენი ბატონის შვილი მოკლეს? – შეეკითხა ნოფრი.

მეკარე მიწაზე დაემხო.

– როდის მოხდა ეს საშინელი საქმე?

– წუხელ ნაშუაღამევს. მაშინვე, ჩვენს ქალბატონთან მემკვიდრის მოსვლის შემდეგ, – უპასუხა მეკარემ.

– როგორ, ბატონიშვილი ღამე თქვენს ქალბატონთან იყო? – შეეკითხა ნოფრი. – საოცარია!

მეორე მოწმე სარას მზარეული ქალი იყო, მესამე – პირფარეში. ორივე ამტკიცებდა, რომ ნაშუაღამევს ბატონიშვილი მეორე სართულზე სარას ოთახში ავიდა, იქ მცირე ხანს დაჰყო და შემდეგ სირბილით

გავიდა ბაღში, სარა საშინელი კივილით უკან მისდევდაო.

– კი, მაგრამ ტახტის მემკვიდრე ხომ მთელი ღამე თავის საწოლიდან არ გამოსულა? - თქვა ნომარქოსმა,

ოფიცერმა თავი გაიქნია და განაცხადა, რომ მისაღებ ოთახში სასახლის რამდენიმე მსახური იცდის.

მათაც დაუძახეს. კითხვა-პასუხიდან გამოირკვა, რომ მემკვიდრეს სასახლეში არ სძინებია; იგი ნაშუაღამევს თავის საწოლი ოთახიდან ბაღში გასულა და მხოლოდ დილას დაბრუნებულა.

როდესაც მოწმეები გაიყვანეს და ორი დიდებული მარტო დარჩა, ნომარქოსი კვნესით მიწაზე დაემხო და ნოფრს განუცხადა, რომ მძიმე ავად არის და მზადაა უმალ სიცოცხლეს გამოესალმოს, ვიდრე გამოძიება აწარმოოს. უმაღლესი ქურუმი უაღრესად გაფითრებული და აღელვებული იყო, მაგრამ ნომარქოსის სიტყვა უკუაგდო და უთხრა, რომ გამოძიება აუცილებელია, მან ნომარქოსს ფარაონის სახელით უბრძანა გაჰყოლოდა სარას ბინაში.

მემკვიდრის ბაღი შორს არ იყო და ორივე დიდებული მალე მივიდა ბოროტმოქმედების ადგილას.

როდესაც ისინი მეორე სართულზე სარას ოთახში ავიდნენ, ქალი მათ აკვნის წინ დაჩოქილი დახვდათ. კედლებსა და იატაკზე სისხლის წვეთები წითლად ბრწყინავდა. ნომარქოსმა ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ იძულებული გახდა ჩამომჯდარიყო. ნოფრი, პირიქით, დამშვიდებული მივიდა სარასთან, შეეხო მის მხარს და უთხრა:

– ქალბატონო, ჩვენ აქ ფარაონის სახელით მოვედით...

სარა მსწრაფლ ფეხზე წამოხტა და გულისდამწყვეტი ხმით დაიყვირა:

– იყავით წყეულნი! თქვენ ებრაელთა მეფე გსურდათ გყოლოდათ? აი ის, თქვენი მეფე! ჰოი, მე საცოდავმა, თქვენი გამცემლური რჩევა როგორ დავიჯერე!

ქალი წაბორძიკდა და კვნესით პირმშოს აკვანს მიეყრდნო.

– ჩემო ბიჭიკო... ჩემი პატარა სეთი... ისეთი ლამაზი, ისეთი ჭკვიანი იყო... უკვე ხელებით მეპოტინებოდა... იაღვე! – წამოიყვირა მან, – დამიბრუნე იგი; შენ ხომ ყველაფერი ძალგიძს!.. ეგვიპტელო ღმერთებო, ოზირისო... ჰორო... იზიდავ... შენ ხომ თვითონ იყავი დედა! არ

შეიძლება, ზეცაში არავინ არ შეისმინოს ჩემი ვედრება... ასეთი პაწაწა... "აფთარიც კი შეიბრალებდა...

უმაღლესი ქურუმი დაეხმარა მას წამომდგარიყო, ოთახი პოლიციელებით და მსახურებით აივსო.

– სარა! – მიმართა უმაღლესმა ქურუმმა. – ეგვიპტის მბრძანებლის, ფარაონის სახელით წინადადებას გაძლევ და გიბრძანებ, მიპასუხო, ვინ მოკლა შენი ვაჟი?

ის გიჟივით იცქირებოდა სივრცეში და შუბლზე ხელს ისვამდა. ნომარქოსმა წყალნარევი ღვინო მიაწოდა.

– ფარაონის სახელით, – გაუმეორა ნოფრმა, გიბრძა– ნებ, სარა, მკვლელი დაგვისახელო.

დამსწრეთ შეშფოთებით დაიხიეს კარისკენ, შეშინებულმა ნომარქოსმა კი ხელებით ყურები დაიცო.

– ვინ მოკლა? – ყრუ ხმით წარმოთქვა სარამ, რომელიც ნოფრს გაშტერებით მისჩერებოდა, – შენ მეკითხები, ვინ მოკლა? გიცნობთ მე თქვენ, ქურუმებს, ვიცი, რა სინდისის პატრონიცა ბრძანდებით!

– ჰო, ვინ? – არ ეშვებოდა ნოფრი.

– მე! – არაადამიანური ხმით დაიყვირა სარამ. – მე მოვკალი ჩემი შვილი, იმისათვის, რომ თქვენ ის ებრაელი გახადეთ.

– ეს სიცრუეა! – წაისისინა უმაღლესმა ქურუმმა.

– მე! მე! – იმეორებდა სარა. – ეი, თქვენ, ხალხო, ვინც ახლა მე მიყურებთ და მისმენთ, – მიმართა დამსწრეთ, - იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ მე მოვკალი იგი! მე! მე! მე! – ყვიროდა საბრალო ქალი და მკერდში მუშტებს იცემდა.

ასეთი ცხადი თვითბრალდების მოსმენის შემდეგ ნომარქოსი გამოერკვა და სიბრალულით უცქეროდა სარას; ქალები ქვითინებდნენ, მეკარე კი ცრემლებს იწმენდდა. მხოლოდ წმიდა ნოფრი სიბრაზით იკვნეტდა გაფითრებულ ტუჩებს. ბოლოს პოლიციელებს ხმამაღლა და გარკვეულად მიმართა:

– ფარაონის მსახურნო! ეს ქალი სასამართლოს შენობაში წაიყვანეთ.

– და ჩემთან ჩემი შვილიც წამოვა! – დაიყვირა სარამ და აკვანს მიეკრა.

– შენთან, შენთან, საბრალო ქალო, – უთხრა ნომარქოსმა და სახეზე ხელი მიიფარა.

ნოფრი და ნომარქოსი ოთახიდან გავიდნენ. პოლიციის ოფიცერმა ტახტრევანი მოატანინა და დიდი მოწიწებით ჩაიყვანა იგი ქვევით. საბრალო ქალმა აკვნიდან გასისხლიანებული ბავშვი ამოიყვანა და მორჩილებით ჩაჯდა ტახტრევანში.

ყველა მსახური გაჰყვა სასამართლოს შენობაში.

როდესაც ნოფრი ნომარქოსთან ერთად შინ ბრუნდებოდა პროვინციის უფროსმა აღელვებით წარმოთქვა:

– მეცოდება ეს ქალი,

– იგი სამართლიან სასჯელს მიიღებს სიცრუისათვის.

– ასე ფიქრობ?

– ღრმად მწამს, რომ ღმერთები აღმოაჩენენ ნამდვილ მკვლელს და დასჯიან.

ბაღის ჭიშკართან მათ კამას სახლის მმართველი დახვდათ, რომელმაც განუცხადა:

– ფინიკიელი ქალი არსად ჩანს – წუხელ სადღაც გაქრა.

– ესეც ახალი უბედრება! – ჩაილაპარაკა ნომარქოსმა.

– ფიქრი ნუ გაქვთ, – უპასუხა ნოფრმა – ბატონიშვილს გაჰყვა.

ღირსი ნომარქოსი მიხვდა, რომ ნოფრს ბატონიშვილი სძულს, და გული ეტკინა. რადგან თუ დამტკიცდება, რომ რამზესმა საკუთარი ვაჟი, მოკლა, მაშინ იგი მამის ტახტს ვეღარ ეღირსება და ეგვიპტეს ქურუმების სასტიკი უღელი კიდევ უფრო მძიმედ დააწვება.

მაგრამ ნომარქოსი კიდევ უფრო დამწუხრდა, როდესაც საღამოს აცნობეს, რომ ხატორის ტაძარში ორმა ექიმმა გასინჯა ბავშვის გვამი და ურყევი დასკვნა გამოიტანეს, რომლის მიხედვით მკვლელობა მხოლოდ მამაკაცს შეეძლო ჩაედინა. „ვიღაცას მარჯვენა ხელი ბავშვისათვის ფეხებში წაუვლია, და იგი თავით კედელზე მიუხეთქებია. ეს კი სარას არ შეეძლო, მით უმეტეს, რომ ბავშვის ფეხებზე მსხვილი თითების კვალია დარჩენილიო“.

ასეთი დასკვნა-განმარტების შემდეგ ნოფრი უმაღლესი ქურუმის სენის თანხლებით საპყრობილეში სარას ეწვია. იგი ქალს ეგვიპტისა და უცხო ქვეყნების ყველა ღმერთს აფიცებდა, ეღიარებინა, რომ ბავ-

შვის მკვლელობაში უდანაშაულოა და ნამდვილი მკვლელის გარეგნობა აეწერა.

– ჩვენ დავიჯერებთ შენს სიტყვებს, – ეუბნებოდა ნოფრი, – და შენ დაუყოვნებლივ იქნები განთავისუფლებული.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ვითომდა კეთილგანწყობილებით წარმოთქმულ სიტყვებს სარაზე გავლენა მოეხდინა, ქალი უფრო აღეგზნო და დაიყვირა:

– ტურებო, თქვენთვის ორი მსხვერპლი ცოტაა და კიდევ ახალი გწყურიათ!

– იცი თუ არა შენ, ჯიუტო ქალო, რა სასჯელი გელის? – შეეკითხა ნოფრი. – გაიძულებენ შენი შვილის გვამი სამი დღე გეკავოს, შემდეგ კი თხუთმეტი წლით საპყრობილეში ჩაგაგდებენ.

– მხოლოდ სამი დღე? – შეეკითხა ის. – მე კი მზადა ვარ მთელი სიცოცხლე არ დავშორდე ჩემს პატარა სეთს... საპყრობილეშიც და სამარეშიც მასთან ვიქნები... ჩემი ბატონი კი გასცემს ბრძანებას, რათა ჩვენ ერთად დაგვმარხონ...

როდესაც ქურუმები ქუჩაში გამოვიდნენ, სენმა თქვა:

– შვილის მკვლელი დედები მინახავს და მათი გასამართლებაც შემხვედრია, მაგრამ არც ერთი მათგანი ამას არ ჰგავდა.

– იმიტომ, რომ ამას შვილი არც მოუკლავს, – გულმოსულად უპასუხა ნოფრმა.

– მაშ ვინ მოკლა?

– იმან, ვინც მსახურებმა ნახეს, როდესაც სარას ოთახში შეირბინა და მერე უკვალოდ გაქრა; იმან, ვინც სალაშქროდ მიმავალმა ფინიკიელი ქურუმი კამა თან წაიყვანა, რომელმაც საკურთხეველი შეურაცხყო; დასასრულ, იმან – ზავთიანად თქვა ნოფრმა და წარბი შეიკრა, – ვინც შეიტყო, რომ მისი შვილი ებრაელია, სარა სახლიდან გააგდო და მხევალი გახადა.

– საშინელებას ამბობ, – ჩაიჩურჩულა შემკრთალმა სენმა.

– უფრო საშინელია დანაშაული და, აქ უჭკუო ქალის ჯიუტობის მიუხედავად, იგი მაინც გამოაშკარავდება.

წმიდა მამას ვერც კი წარმოედგინა, თუ რა მალე ახდებოდა ეს მისი წინასწარმეტყველება.

ბუბასტისიდან სალაშქროდ მიმავალმა ბატონიშვილმა სასახლიდან გამოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ პოლიციის, უფროსს ბავშვის მოკვლის და კამას გაქცევის ამბავი უკვე მოახსენეს; მოახსენეს ისიც, რომ სარას მსახურებმა ბატონიშვილი ნახეს, როდესაც ღამით იგი მის ბინაში შედიოდა. პოლიციის უფროსი საზრიანი კაცი იყო, ის მიხვდა, ვინ ჩაიდინა დანაშაული, და, აცნობა რა მომხდარი ამბის შესახებ ხირამს, თვითონ, იმის ნაცვლად, რომ ადგილობრივ ეწარმოებინა გამოძიება, საჩქაროდ დაედევნა დამნაშავეთ.

ვიდრე ნოფრი სარას გამოტეხას ცდილობდა, ბუბასტისის პოლიციის ყველაზე მეტად დახელოვნებული აგენტები და ყველა ფინიკიელი ხირამის მეთაურობით ბერძენ ლიკონს და ქურუმქალს კამას უკვე კვალდაკვალ მისდევდნენ.

და აი სალაშქროდ ბატონიშვილის გასვლის მესამე ღამეს პოლიციის უფროსი ბუბასტისში დაბრუნდა და თან ტილოგადაფარებული უზარმაზარი გალია მოიტანა, რომელშიც განუწყვეტლივ გაჰკიოდა ვიღაც დედაკაცი.

დაძინებამდე მან მოიხმო. ის ოფიცერი, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა და დიდი ყურადღებით მოისმინა მისი პატაკი.

განთიადზე ორივე უმაღლესი ქურუმი, სენი და ნოფრი, და აგრეთვე ბუბასტისის ნომარქოსი პოლიციის უფროსმა მოწიწებით მიიწვია თავისთან. სამივე დაუგვიანებლივ მოვიდა. პოლიციის უფროსმა თაყვანი სცა მათ და მოწიწებით სთხოვა ეამბნათ მისთვის ყველაფერი, რაც მკვლელობის შესახებ იცოდნენ.

ნომარქოსი ამის გაგონებაზე გაფითრდა და უპასუხა, ამ საქმეზე არაფერი ვიცითო. თითქმის იგივე გაიმეორა უმაღლესმა ქურუმმა სენმა, მხოლოდ დასძინა, რომ სარა უდანაშაულოდ მიაჩნია. როდესაც რიგი წმიდა ნოფრზე მიდგა, მან განაცხადა:

– არ ვიცი. გაიგონე თუ არა, რომ იმ ღამეს, როდესაც ბოროტმოქმედება იქნა ჩადენილი, სასახლიდან გაიქცა მემკვიდრის ერთ-ერთი ქალი, სახელად კამა?

პოლიციის უფროსმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს იგი ამ ამბით ფრიად გაკვირვებულიაო.

– არ ვიცი აგრეთვე, – განაგრძობდა ნოფრი, – გაცნობეს თუ არა,

რომ მემკვიდრეს ღამე სასახლეში არ გაუთევია და რომ იგი სარას ბინაში შევიდა. მეკარემ და ორმა მსახურმა ქალმა იცნეს იგი, ვინაიდან ღამე საკმაოდ ნათელი იყო.

პოლიციის უფროსი თითქოს კიდევ უფრო განცვიფრდა.

– ძლიერ ვწუხვარ, – დაამთავრა თავისი სიტყვა ნოფრმა, – რომ ეს რამდენიმე დღე შენ ბუბასტისში არ იმყოფებოდი...

პოლიციის უფროსმა ნოფრს თაყვანი სცა და ნომარქოსს მიმართა:

– ხომ არ ინებებ მაცნობო, რა ეცვა იმ საღამოს მემკვიდრეს?

– მას თეთრი პერანგი და ოქროს ფოჩშემოვლებული წინსაფარი ეცვა, – უპასუხა ნომარქოსმა. – ეს კარგად მახსოვს, რადგან მე იმათგან უკანასკნელი ვიყავი, ვინც იმ საღამოს ბატონიშვილს ელაპარაკა.

პოლიციის უფროსმა ტაში შემოკრა და კანცელარიაში სარას მეკარე შემოვიდა.

– შენ დაინახე ბატონიშვილი, – შეეკითხა იგი მას, – როდესაც იმ ღამეს შენი ქალბატონის სახლში შედიოდა?

– მე გავუღე ჭიშკარი უფლისწულს – ცოცხლობდეს იგი მარად.

– თუ გახსოვს, რა ეცვა?

– მას თეთრ-ყვითელზოლებიანი კვართი და ლურჯ-წითელზოლებიანი წინსაფარი ეცვა და ასეთივე ჩაჩი ეხურა, – უპასუხა მეკარემ.

ახლა უკვე ორივე ქურუმისა და ნომარქოსის სახეზე გაოცება აღიბეჭდა. როცა რიგრიგობით შემოიყვანეს სარას ორივე მსახური ქალი, რომელთაც მთლიანად დაადასტურეს მეკარის ჩვენება ბატონიშვილის ტანსაცმლის შესახებ, ნომარქოსს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, ნოფრს კი სახეზე შეკრთომა დაეტყო,

– შემიძლია დავიფიცო, – შენიშნა ღირსმა ნომარქოსმა, – რომ ბატონიშვილს თეთრი პერანგი და ოქრომკედით მოქარგული მეწამული წინსაფარი ეცვა.

– ახლა კი, ღრმად პატივცემულნო, – მიმართა მათ პოლიციის უფროსმა, – კეთილ ინებეთ და საპყრობილეში გამომყევით. იქ ჩვენ კიდევ ერთ მოწმეს ვნახავთ.

ოთხივე განიერ მიწისქვეშეთში ჩაეშვნენ, სადაც სარკმელთან ტილოგადაფარებული დიდი გალია იდგა. პოლიციის უფროსმა ჯოხით გადასწია ტილო და მათ გალიის კუთხეში მწოლიარე ქალი დაინახეს.

– ეს ხომ ქალბატონი კამაა! – წამოიძახა ნომარქოსმა.

იგი მართლაც კამა იყო, ავადმყოფი და ფრიად შეცვლილი. როდესაც წარჩინებული პირების დანახვაზე ქალი წამოდგა და სინათლეზე გამოჩნდა, დამსწრეებმა მისი სახე მოწითალო ლაქებით დაფარული იხილეს; ის გიჟის თვალებით იყურებოდა.

– კამა, – მიმართა პოლიციის უფროსმა, – შენ კეთრი ღმერთქალმა აშტორეტმა მოგივლინა?

– არა, ღმერთქალმა აშტორეტმა კი არა, უხამსმა აზიელებმა შემომიგდეს მოწამლული პირბადე. – შეცვლილი ხმით ამოიკვნესა ქალმა. – ვაიმე საბრალოს.

– შენი მწუხარება, – უთხრა პოლიციის უფროსმა, – შეისმინეს ჩვენმა უწარჩინებულესმა უმაღლესმა ქურუმებმა სენმა და ნოფრმა. თუ შენ სიმართლეს გვეტყვი, ისინი ყოვლადშემძლე ოზირისს შენს განკურნებას შესთხოვენ, და შესაძალებელია, ღმერთმა აგაშოროს ეგ საშინელი სენი, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის. ავადმყოფობა მხოლოდ იწყება, და ჩვენს ღმერთებს ძალუძთ შენი დახსნა.

ავადმყოფი ქალი მუხლებზე დაეცა, პირისახით გალიის რიკულს მიეკრა და გაბზარული ხმით იმუდარებოდა:

– შემიბრალეთ! მე ფინიკიელი ღმერთები უარვყავი და სიკვდილამდე ეგვიპტის დიდ ღმერთებს ვემსახურები... მხოლოდ განდევნეთ ჩემგან...

– გვიპასუხე, მაგრამ მხოლოდ სიმართლე გვითხარი, – განაგრძობდა პოლიციის უფროსი დაკითხვას, – და მაშინ ღმერთები თავიანთ წყალობას არ მოგაკლებენ. ვინ მოკლა ებრაელი ქალის – სარას ბავშვი?

– მოღალატე ლიკონმა, ბერძენმა... ის მგალობელი იყო ჩვენს ტაძარში და მეფიცებოდა, რომ თავდავიწყებამდე ვუყვარვარ... ახლა კი იმ არამზადამ მიმატოვა და ჩემი განძეულობა გაიტაცა.

– რატომ მოკლა ლიკონმა ბავშვი?

– მას ბატონიშვილის მოკვლა სურდა, მაგრამ სასახლეში ვერ იპოვა, გაიქცა სარას ბინაში და...

– კი, მაგრამ როგორ მოახერხა გუშაგებით დაცულ სასახლეში შესვლა?

– ბატონო, განა არ იცით, რომ ლიკონი ისე ჰგავს ბატონიშვილს, როგორც ერთი პალმის ორი ფოთოლი?

– რა ეცვა იმ ღამეს ლიკონს? – განაგრძობდა დაკითხვას პოლიციის უფროსი.

– მას ყვითელი და შავზოლიანი კვართი ეცვა.. ასეთივე ჩაჩი ეხურა და წითელ-ლურჯი წინსაფარი... შეწყვიტეთ ჩემი წამება... დამიბრუნეთ ჯანმრთელობა... შემიბრალეთ... თქვენი ღმერთების უერთგულესი მსახური გავხდები... თქვენ უკვე მიდიხართ? ჰოი, ულმობელნო!

– საბრალო ქალო, – მოუბრუნდა უმაღლესი ქურუმი სენი, – მე გამოგიგზავნი ყოვლადშემძლე სასწაულმოქმედს და შესაძლებელია...

– ოჰ, გაკურთხოთ თქვენ აშტორეტმა! არა, აშტორეტმა კი არა, თქვენმა უძლიერესმა და მოწყალე ღმერთებმა! – ჩურჩულებდა ფინიკიელი ქალი.

წარჩინებული პირები კანცელარიაში დაბრუნდნენ. ნომარქოსი, რომელიც ცხადად ამჩნევდა, რომ უმაღლესი ქურუმი ნოფრი თვალებდახრილი დგას, შეეკითხა მას:

– ნუთუ არ გახარებს აღმოჩენა, რომელიც ჩვენმა გულმოდგინე პოლიციის უფროსმა მოახერხა?

– სიხარულისათვის საფუძველი არა მაქვს, – მკვახედ უპასუხა ნოფრმა. – იმის ნაცვლად, რომ საქმე გამარტივებულიყო, უფრო დაიხლართა. სარა სულ იმას იმეორებს, რომ ბავშვი მას მოკლა, ფინიკიელი ქალის ლაპარაკი კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი მას ვიღაცამ ჩააგონა.

– მაშასადამე, წმიდაო მამაო, შენ ეს არ გჯერა? – ჩაერია ლაპარაკში პოლიციის უფროსი.

– მე არ შემხვედრია არასოდეს ორი ადამიანი, რომლებიც ერთიმეორეს ისე გვანებოდნენ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერთი მეორედ მიგვეჩნია. ამას გარდა, მე არ მსმენია, თითქოს ბუბასტისში არსებობდეს ადამიანი, რომელიც ჩვენი ტახტის მემკვიდრის – ცოცხლობდეს იგი მარად! – სრულ მსგავსებას წარმოადგენდეს.

– ის კაცი, – უპასუხა პოლიციის უფროსმა, – ბუბასტისში აშტორეტის ტაძარში მსახურობდა. მას იცნობდა სირიელი მთავარი ხირამი და საკუთარი თვალით ნახა ჩვენი ფარაონის მოადგილემ, რომელმაც

ამას წინათ მიბრძანა მისი შეპყრობა და მაღალი ჯილდო აღმითქვა.

– ოჰო! – წამოიძახა ნოფრმა, – ვხედავ, შენ, პატივცემულო პოლიციის უფროსო, ყველა უდიდეს სახელმწიფოებრივ საიდუმლეობას ხარ განდობილი, მაგრამ ნება მიბოძე ვიღაც ლიკონის არსებობა მანამდე არ ვირწმუნო, ვიდრე თვითონ არ ვიხილავ.

გაგულისებული ნოფრი კანცელარიიდან გავიდა, ხოლო წმიდა სენიმ მხრები აიჩეჩა და უკან გაჰყვა.

როდესაც მათი ფეხის ხმა მიწყდა, ნომარქოსი თვალებში ჩააშტერდა პოლიციის უფროსს და შეეკითხა:

– აბა, რას იტყვი ამის შესახებ?

– ჭეშმარიტად, – უპასუხა მან, – წმიდა წინასწარმეტყველები ამჟამად ისეთ საქმეებში აფათურებენ ხელებს, რომლებიც წინათ მათ არასოდეს არ ექვემდებარებოდა.

– და ყოველივე ეს უნდა მოვითმინოთ... – წაიჩურჩულა ნომარქოსმა.

– ჯერჯერობით, – ამოიოხრა უფროსმა, – იმიტომ რომ რამდენადაც ძალმიძს ადამიანის სულში ჩავიხედო, ჩვენი მოხელეები, სამხედრო პირები და არისტოკრატია ქურუმების თვითნებობით აღშფოთებული არიან. ყველაფერს საზღვარი აქვს.

– ჭეშმარიტს ამბობ, – ხელის ჩამორთმევით უპასუხა ნომარქოსმა. – რაღაც შინაგანი ხმა მეუბნება, რომ შენ ფარაონის პოლიციის უმაღლეს უფროსად გიხილავ.

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა, ამ ხნის განმავლობაში პარასქიტებმა მემკვიდრის ვაჟის სხეული დააბალზამეს. სარა კი ისევ საპყრობილეში იმყოფებოდა გასამართლების მოლოდინში, მას ეჭვი არ ეპარებოდა რომ სასამართლო დამნაშავედ სცნობდა და შესაფერ განაჩენს გამოუტანდა.

საპყრობილეშივე იჯდა კამაც. მისი, როგორც კეთრით შეპყრობილის, ყველას ეშინოდა. მართალია, ინახულა სასწაულმოქმედმა მკურნალმა, რომელმაც მის თავზე ლოცვა წაიკითხა და უებარი წყალი დაალევინა, მაგრამ ფინიკიელ ქალს ციება არ ეშვებოდა და სპილენძისფერი ლაქები წარბების ზემოთ და ლოყებზე უფრო მკაფიოდ ემჩნეოდა.

ნომარქოსმა გასცა განკარგულება იგი აღმოსავლეთ უდაბნოში გადაეყვანათ, სადაც ადამიანთაგან მოშორებით კეთროვანთა კოლონია არსებობდა.

და აი, ერთ საღამოს პტას ტაძარში მივიდა პოლიციის უფროსი და განაცხადა, რომ უმაღლეს ქურუმებთან ლაპარაკი სურს. მას თან ახლდა ორი აგენტი და თავიდან ფეხებამდე ტომარაში გახვეული ვიღაც კაცი.

მას მაშინვე მოახსენეს, რომ უმაღლესი ქურუმები ელიან ეკვდერში ღმერთქალის ქანდაკების წინ.

პოლიციის უფროსმა აგენტები ტაძრის ალაყაფთან დატოვა. ტომარაში გახვეულ კაცს მხარზე მოჰკიდა ხელი და ეკვდერში წაიყვანა. იქ დახვდნენ ნოფრი და სენი უმაღლესი ქურუმის სადღესასწაულო სამოსელში მკერდზე, ვერცხლის ბალთებით.

პოლიციის უფროსი მათ წინ პირქვე დაემხო და მოახსენა:

– თქვენი ბრძანების თანახმად, მოგიყვანეთ, წმიდაო მამებო, ბოროტმოქმედი ლიკონი, ინებებთ თუ არა მის ნახვას?

როდესაც ორივემ თანხმობა განუცხადა, პოლიციის უფროსი წამოდგა და ლიკონს ტომარა მოხსნა.

ორივე უმაღლესმა ქურუმმა გაოცებისაგან წამოიყვირა. ბერძენი მართლაც იმდენად ჰგავდა ტახტის მემკვიდრეს, რომ ძნელი იყო კაცი შეცდომაში არ შეეყვანა.

– მაშ, აშტორეტის წარმართული ტაძრის მგალობელი ლიკონი შენა ხარ? – შეეკითხა შებოჭილ ბერძენს სენი.

ლიკონმა ზიზღით გაიღიმა.

– და შენ მოჰკალ მემკვიდრის ვაჟი? – შეეკითხა თავის მხრივ ნოფრი.

ბერძენი სიბრაზისაგან გალურჯდა და გაიწია, რათა შემბოჭველ ბორკილებისგან თავი გაეთავისუფლებინა.

– დიახ! – წამოიყვირა მან, – მე მოვკალი ლეკვი, რადგან მისი მამამგელი ვერ ვიპოვე... ზეციურმა ცეცხლმა დაწვას იგი!

– რა დაგიშავა ბატონიშვილმა, მკვლელო? – აღშფოთებით შეეკითხა სენი.

– რა დამიშავაო? მან მომტაცა კამა და ისეთი სენი შეჰყარა, რომ-

ლისგანაც განკურნება არ შეიძლება. მე თავისუფალი ვიყავი, საკმაო საშუალება მქონდა აქედან გაქცევით თავის გადარჩენისა, მაგრამ გადავწყვიტე, მასზე შური მეძია, და აი თქვენს წინ ვდგავარ... ბედი მისი, რომ თქვენი ღმერთები ჩემს სიძულვილზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. ახლა შეგიძლიათ მომკლათ... და რაც უფრო ჩქარა, მით უკეთესი...

– ეს კაცი საშინელი ბოროტმოქმედია! – შენიშნა უმაღლესმა ქურუმმა სენმა.

ნოფრი დუმდა და აკვირდებოდა ბერძნის ბოროტად მოელვარე თვალებს. იგი გაოცებული იყო მისი თავგანწირული გამბედაობით და რაღაცას ფიქრობდა. უეცრივ პოლიციის უფროსს მიმართა:

– შეგიძლია წახვიდე, პატივცემულო. ეს ადამიანი მე მეკუთვნის.

– ეს კაცი, – უპასუხა აღშფოთებულმა უფროსმა, – მე მეკუთვნის, მე შევიპყარი იგი და საჩუქარს მივიღებ ბატონიშვილისგან.

ნოფრი წამოდგა, ოქროს მედალი ამოიღო და განაცხადა:

– უმაღლესი საბჭოს სახელით გიბრძანებ გადმოგვცე ჩვენ ეს კაცი. გახსოვდეს, რომ მისი არსებობა უმაღლეს სახელმწიფოებრივ საიდუმლეობას წარმოადგენს და შენთვის ასჯერ უკეთესი იქნება, თუ სრულებით დაივიწყებ, რომ იგი აქ დატოვე.

პოლიციის უფროსი კვლავ პირქვე დაემხო, მერე წამოდგა და განრისხებული გაშორდა წმიდა მამებს.

„ამის სამაგიეროს თქვენ ჩვენი ბატონი, მემკვიდრე მოგიზღავთ, როდესაც ტახტზე ავა, – გაიფიქრა მან. – მე კი თავის მხრივ ჩემს წილს დაგიმატებთ, ნახავთ! “

ალაყაფის კართან მას აგენტები ელოდნენ, მათ შეკითხვაზე, თუ სად არის პატიმარი, პოლიციის უფროსმა უპასუხა:

– პატიმარზე ღმერთების ხელმა განისვენა.

– მერე, ჩვენი გასამრჯელო? – გაუბედავად შეეკითხა უფროსი აგენტი.

– ჩვენს გასამრჯელოზე აგრეთვე ღმერთების ხელმა განისვენა, – უთხრა მათ პოლიციის უფროსმა. – დაარწმუნეთ თქვენი თავი, რომ ეს პატიმარი მხოლოდ დაგვესიზმრა, ასე აჯობებს თქვენი სამსახურისა და, ვგონებ, სიცოცხლისათვისაც.

აგენტებმა მდუმარედ ჩაქინდრეს თავი. გულში კი დაიფიცეს, რომ სამაგიეროს გადაუხდიდნენ ქურუმებს, რომელთაც მათ ასეთი კარგი საშოვარი დაუკარგეს.

პოლიციის უფროსის წამოსვლის შემდეგ ნოფრმა მოიხმო რამდენიმე ქურუმი და სათითაოდ რაღაც წასჩურჩულა. ქურუმები გარს შემოერტყნენ ბერძენს და წმიდა დარბაზიდან გაიყვანეს. ლიკონს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

– მე ვფიქრობ, – თქვა სენმა, – რომ ეს კაცი, როგორც მკვლელი, სასამართლოს უნდა გადაეცეს.

– არავითარ შემთხვევაში, – გადაჭრით უპასუხა ნოფრმა. – ამ კაცს გაცილებით უფრო დიდი დანაშაული ამძიმებს: იგი ტახტის მემკვიდრეს ჰგავს.

– და რას უპირებთ?

– უმაღლესი საბჭოსთვის შევინახავ, უპასუხა ნოფრმა. – იქ, სადაც ტახტის მემკვიდრე წარმართთა ტაძრებში დადის და იქიდან ქალებს იტაცებს, სადაც ჩვენს მხარეს ომი ემუქრება, ხოლო ქურუმთა ხელისუფლებას – ამბოხება, იქ ლიკონი შეიძლება გამოგვადგეს...

მეორე დღეს თორმეტ საათზე უმაღლესი ქურუმი სენი, ნომარქოსი და პოლიციის უფროსი საპყრობილეში სარას თან მივიდნენ. საცოდავ ქალს რამდენიმე დღე არა ეჭამა რა და ისე იყო დასუსტებული, რომ ასეთი წარჩინებული პირების მისვლისას ფეხზე ვერც კი წამოდგა.

– სარა, – მიმართა ნომარქოსმა, რომელიც მას წინათაც იცნობდა, – ჩვენ სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ.

– კეთილი ამბავი? – გულგრილად იკითხა სარამ. – ჩემი შვილი მოკვდა, აი უკანასკნელი ახალი ამბავი?

– სარა, – განაგრძო ნომარქოსმა, – თავისუფალი ხარ, რადგან შენ არ მოგიკლავს შვილი.

სარას მკვდარი სახე გამოცოცხლდა, სკამიდან წამოხტა და დაიყვირა:

– მე მოვკალი! მე! მე! მე ერთმა!

– ყური მიგდე, სარა, შენი ვაჟი ბერძენმა ლიკონმა, ფინიკიელი ქალის კამას საყვარელმა, მოკლა.

– რა-აო? რას ამბობ? – წამოიძახა საბრალო ქალმა და ნომარქოსის

ხელს სწვდა. ჰოი, ეს ფინიკიელი ქალი! ვგრძნობდი, რომ დაგვღუპავდა. მაგრამ ბერძენი... მე ბერძენს არავის ვიცნობ... მერე რა დაუშავა ბერძენს ჩემმა ვაჟმა? .

– ეს მე არ ვიცი, – უთხრა ნომარქოსმა, – ბერძენი უკვე ცოცხალი აღარ არის. მაგრამ ისე ჰგავდა იგი ბატონიშვილს, რომ, როდესაც შენს ოთახში შემოიჭრა, იგი შენ რამზესად შეიცანი და შემდეგ საკუთარი თავის ბრალდება და გამტყუნება ამჯობინე შენი და ჩვენი ბატონის დასახელებას.

– მაშ, იგი რამზესი არ იყო? – დაიყვირა ქალმა და თავზე ხელები წაივლო. – მე კი საბრალომ უცხო კაცს ნება მივეცი აკვნიდან ამოეყვანა ჩემი ვაჟი... ჰა-ჰა-ჰა!..

ის განაგრძობდა სიცილს, მაგრამ სულ უფრო ჩუმად და ჩუმად... უეცრად ფეხები მოეკვეთა, ხელები რამდენჯერმე გაასავსავა და მკვდარი დაეცა მიწაზე. ასეთ სიცილში დალია მან სული. მის სახეზე აღბეჭდილი. გამოუთქმელი მწუხარება სიკვდილმაც ვერ წაშალა.

თავი მეჩვიდმეტე

ეგვიპტის დასავლეთ საზღვართან დაახლოებით ასი მილი ადგილი ხევებით დასერილ რამდენიმე ასი მეტრის სიმაღლე კირნარი გორაკების მწკრივს წარმოადგენს. ის ნილოსის გაყოლებით მიემართება და ალაგ-ალაგ მდინარეს მთელი კილომეტრით შორდება.

ვინმე რომ ერთ-ერთ ამ გორაკზე ასულიყო და ჩრდილოეთისაკენ გაეხედა, თვალწინ ფრიად თავისებური სანახაობა გადაეშლებოდა: მარჯვნივ შორს გადაჭიმული, ნილოსით დასერილი ვიწრო მწვანე კორდი მოჩანს, ხოლო მარცხნივ უსაზღვრო ყვითელი ბარი, რომელიც აქა-იქ თეთრი თუ აგურისფერი წინწკლებითაა აფერადებული.

ხედის ერთფეროვნება, ქვიშის მომაბეზრებელი სიყვითლე, პაპანება და განსაკუთრებით სივრცის თვალუწვდენლობა – აი მთავარი თვისებები ლიბიის უდაბნოსი, რომელიც ეგვიპტის დასავლეთითაა გადაშლილი, ხოლო თუ უფრო ახლოს დავუკვირდებით, უდაბნო არც ისე ერთფეროვანი გვეჩვენება. მისი ქვიშრობი ისეთ მაღალ ტალღებს ააგორებს ხოლმე, რომ სიშმაგით გარინდებული ზღვის ყალყზე

შემდგარ ტალღებს მოგვაგონებს.

ვისაც გამბედაობა ეყოფოდა, რომ ამ ზღვით ერთი-ორი საათი ან მთელი დღე დასავლეთით ევლო, ის ახალ სანახაობას იხილავდა: ტატნობზე გამოჩნდება სავსებით უცნაური ფორმის გორაკები, ზოგჯერ კლდეები და ხრამები. ფეხები ქვიშაში უფრო ნაკლებად ეფლობა და მის ქვეშიდან, თითქოს მატერიკიაო, გამოჩენას იწყებს კირნარი.

ეს მართლაც მთელი მხარეა ქვიშის ზღვის შუაგულში. კიროვანი გორაკების გვერდით მოჩანს ველები, მათ ძირში მდინარეთა და ნაკადულთა კალაპოტები, უფრო შორს ვაკეა და მის შუაში კი ტბა დაკლაკნილი ნაპირებით და ჩაზნექილი ღრმა ფსკერით.

მაგრამ ამ ველებსა და გორაკებზე არავითარი ბალახი არ ხარობს, ტბაში წყლის წვეთიც არ არის, მდინარეთა კალაპოტები მთლად ამომშრალია. ეს მკვდარი მხარეა, სადაც ყოველგვარი მცენარეულობა არათუ დაღუპულა, არამედ ნიადაგის ნაყოფიერი ფენაც კი მტვრად ქცეულა ან მაგარ ქანებს შეუსრუტავს. ბუნება აქ მომკვდარა და მისგან მხოლოდ ჩონჩხი და მტვერიღა დარჩენილა, რომელსაც საბოლოოდ ხრწნის გვალვა და ცხელ ქარს ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს.

ამ მკვდარ და დაუმარხავ ხმელეთს იქით კვლავ ქვიშის ზღვაა გადაშლილი, სადაც აქა-იქ წვერწამახული, კონუსები მოჩანს. მათი სიმაღლე ზოგჯერ ერთსართულიანი სახლის სიმაღლეს ეტოლება. ასეთი გორაკის თითოეული მწვერვალი რუხი გამტვრიანებული ფოთლების კონით მთავრდება. ძნელია ითქვას, ეს ფოთლები ცოცხლებია თუ არა, ერთია მხოლოდ – მათ არ ძალუძთ საბოლოო დაჭკნობა.

უცნაური კონუსი იმის მომასწავებელია, რომ წყალი აქ ჯერ კიდევ არ ამომშრალა, არამედ გვალვისაგან მიწის ქვეშ მიმალულა და აქა-იქ ინახავს ნიადაგის სინესტეს. ამ ადგილს ჩავარდნილა თაფლინდის თესლი და დიდი გაჭირვებით ამოსულა მცენარე.

მაგრამ იგი უდაბნოს მეფეს – ტიფონს – შეუმჩნევია და თანდათანობით მისი ქვიშით დაფარვა დაუწყია. და რაც უფრო მაღლა მიიწევს მცენარე, მით უფრო მაღლდება მისი შემხუთავი ქვიშის კონუსი. ცისკენ ამაოდ ხელაშვერილ წყალში დამხრჩვალივით გამოიყურება უდაბნოში გადაკარგული თაფლინდი.

და კვლავ იშლება უსაზღვრო ყვითელი ზღვა ქვიშის ტალღებითა

და მცენარეულობის უბადრუკი ნაშთებით.

მაგრამ აგერ თქვენს თვალწინ აღიმართება კლდოვანი კედელი ნაპრალებით, რომლებიც ჭიშკრებს მოგაგონებთ... რა არის ეს? თქვენ თვალებს არ უჯერებთ! ზოგი ჭიშკრის იქით მწვანე ველი, პალმები და ტბის ცისფერი წყალი მოჩანს. იქვე მობალახე ცხვრებს, რქოსან საქონელსა და ცხენებსაც ხედავთ; "მორს კლდეთა კალთებზე მთელი პატარა ქალაქია მიკრული, ხოლო მწვერვალებზე თეთრად გამოიყურება ტაძართა კედლები.

ეს ოაზისია, ქვიშის ოკეანეში მდებარე კუნძული.

ფარაონების დროს ასეთი ოაზისი მრავალი იყო, თითქმის რამდენიმე ათეული. ისინი უდაბნოში ეგვიპტის დასავლეთი საზღვრის გასწვრივ პატარა კუნძულების ჯაჭვს ქმნიდნენ. ოაზისები ნილოსიდან ათი, თხუთმეტი, ოცი მილის დაშორებით მდებარეობდნენ და თითოეულს ათი თუ რამდენიმე ათეული კვადრატული კილომეტრის სივრცე ეკავა.

ოაზისები, რომელთაც უმღერდნენ არაბთა პოეტები, სინამდვილეში არასოდეს არ ყოფილა სამოთხის კარიბჭე. მათი ტბები მეტწილად ჭაობებია. მიწისქვეშა წყაროებიდან ამოდის თბილი, ზოგჯერ მყრალი და საზიზღრად მარილიანი წყალი. აქაური მცენარეულობა ვერ შეედრება ეგვიპტის მცენარეულობას. მაგრამ ეს განმარტოებული ადგილები უდაბნოში მოგზაურთ, რომელნიც აქ თვალის გამხარებელ მცირეოდენ მწვანეულობას, ტენს, სიგრილესა და ხურმას ხვდებოდნენ, მაინც სასწაულად ეჩვენებოდათ.

ქვიშის ზღვის ასეთი კუნძულები არათანაბრად იყო დასახლებული: მოსახლეობის რიცხვი ირყეოდა რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასეულ ადამიანამდე. აქ ცხოვრობდნენ ლიბიელები, ეგვიპტელები, ეთიოპელი ავანტიურისტები თუ მათი შთამომავლობა, ვინაიდან უდაბნოში ისეთი ადამიანები გარბოდნენ, რომელთაც დასაკარგავი არ გააჩნდათ რა: კატორღელები ქვის სამტეხლოებიდან, ბოროტმოქმედნი, რომელთაც პოლიცია სდევნიდა, ღალითა და ბეგარით შევიწროებული გლეხები ანდა მუშები, რომელთაც აუტანელ შრომას ყოველგვარი საფრთხე ერჩიათ.

ამ ლტოლვილთა უმეტესი ნაწილი გზაზე იღუპებოდა. მხოლოდ

ზოგიერთები ახერხებდნენ აუწერელი ტანჯვის შემდეგ ოაზისამდე მიღწევას. აქ ისინი უბადრუკ, მაგრამ თავისუფალ ცხოვრებას ატარებდნენ და მუდამ მზად იყვნენ ეგვიპტეს გასაძარცვად შესეოდნენ.

უდაბნოსა და ხმელთაშუა ზღვას შორის მიემართებოდა ნაყოფიერი მიწის გრძელი, თუმცა არა იმდენად ფართო ზოლი, რომელიც სხვადასხვა ტომებით იყო დასახლებული. მათ ეგვიპტელნი ლიბიელებს უწოდებდნენ. ლიბიელთა ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევდა, ნაწილი კი მეთევზეობას და მეზღვაურობას. მაგრამ თითოეულ ტომში იყვნენ თავზეხელაღებულთა მცირე ჯგუფები, რომლებიც მშვიდობიან შრომას ომსა და ყაჩაღობას ამჯობინებდნენ. ეს ყაჩაღთა მოსახლეობა სიღატაკისაგან კლებულობდა ანდა სამხედრო შეტაკებებში იღუპებოდა, მაგრამ მუდმივად ივსებოდა იმ უწყვეტი ნაკადით, რომელსაც შარდანა (სარდინიელები) და შეკელმა (სიცილიელები) იძლეოდნენ. ეს ტომები კი იმ დროს უფრო მეტად ბარბაროსები და ყაჩაღები იყვნენ, ვიდრე მკვიდრი ლიბიელები.

ვინაიდან ლიბია ქვემო ეგვიპტის დასავლეთ საზღვარს ეკვროდა, ბარბაროსები ხშირად არბევდნენ ფარაონის მიწებს და თვითონაც ხშირად სასტიკ სასჯელს იწვნევდნენ. მას შემდეგ კი, რაც ფარაონები, უფრო სწორად, ქურუმები, ღარწმუნდნენ, რომ ომი ლიბიელებთან უნაყოფოა, მათ მიმართ პოლიტიკა შეცვალეს. მკვიდრი ლიბიელთა ოჯახებს ნება მისცეს ქვემო ეგვიპტის ზღვისპირა ჭაობებში დასახლებულიყვენენ, მოხეტიალეთ კი ჯარში იწვევდნენ და მათგან უმეტეს შემთხვევაში საუკეთესო მეომრები გამოყავდათ.

ამ გზით სახელმწიფომ დასავლეთ საზღვარზე მშვიდობა და მყუდროება დაამკვიდრა. ხოლო ცალკეული ლიბიელი ყაჩაღების დასამორჩილებლად საკმარისი იყო პოლიცია, საველე მცველები და ეგვიპტის რამდენიმე რეგულარული ლეგიონი, რომლებიც ნილოსის კანოპის ტოტის გასწვრივ იყვნენ დაყენებული.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ლიბია დაახლოებით ას ოთხმოცი წლის განმავლობაში. უკანასკნელი დიდი ომი ლიბიელებთან ჯერ კიდევ რამზეს III-ეს ჰქონდა. მან ბრძოლის ველზე დაღუპულ მტრებს ხელების მთელი მთა მოჰკვეთა და ეგვიპტეში თორმეტი ათასი მონა წამოიყვანა. ამ დროიდან აღარავის არ ეშინოდა ლიბიის

მხრივ თავდასხმისა და მხოლოდ რამზეს XII-ის მეფობის უკანასკნელ წლებში ქურუმების უცნაურმა პოლიტიკამ ამ ადგილებში ომის ცეცხლი კვლავ გააღვივა.

წარმოიშვა იგი შემდეგი საბაბის გამო.

სამხედრო მინისტრმა და უმაღლესმა ქურუმმა ხერიჰორმა ფარაონის წინააღმდეგობის გამო, ასირიასთან აზიის მიწების გაყოფის შესახებ ხელშეკრულების დადება ვერ განახორციელა, მაგრამ ბეროესის გაფრთხილების თანახმად მას სურდა ასირიასთან ხანგრძლივი მშვიდობიანობა დაეცვა, და სარგონი დაარწმუნა, რომ ეგვიპტე ასირიელებს ხელს არ შეუშლის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აზიის სახელმწიფოებთან ომშიო. მაგრამ, როგორც ჩანდა, მეფე ტიგლატფილესარის სრულუფლებიანი ელჩი აღთქმებსა და ფიცს არ ენდობოდა, ამიტომ ხერიჰორმა გადაწყვიტა მისთვის მშვიდობისმოყვარეობის ხელშესახები დამამტკიცებელი საბუთი მიეცა და ამ მიზნით ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ დაეთხოვათ ოცი ათასი დაქირავებული მეომარი, უმეტესად ლიბიელები.

დაშლილი მეომრებისათვის, რომელთაც არავითარი. ბრალი არ მიუძღოდათ და მუდამ ფარაონის ერთგულნი იყვნენ, ეს გადაწყვეტილება დიდ უბედურებას წარმოადგენდა და თითქმის სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. ეგვიპტის წინაშე ლიბიასთან ომის საფრთხე წარმოიშვა: ლიბიას არასგზით არ შეეძლო თავშესაფარი მიეცა ამდენი ადამიანისათვის, რომლებიც ეგვიპტეში სამხედრო ვარჯიშობასა და თავისუფალ ცხოვრებას მისდევდნენ და შრომასა და გაჭირვებას გადაჩვეული იყვნენ. მაგრამ ხერიჰორსა და ქურუმებს ასეთი წვრილმანები არ აწუხებდათ, როდესაც საქმე დიდ სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეეხებოდა.

ლიბიელ მოქირავნეთა დაშლას კი მართლაც სარგებლობა შეეძლო მოეტანა.

ჯერ ერთი, – სარგონმა და მისმა თანმხლებლებმა ხელი მოაწერეს და ფიცით განამტკიცეს ეგვიპტესთან დადებული ხელშეკრულება ათი წლით, რომლის განმავლობაში, ქალდეველი ქურუმების წინასწარმეტყველების თანახმად, ეგვიპტის წმიდა მიწა-წყალს საბედისწერო ამბები ემუქრებოდა.

მეორე, – ოცი ათასი მეომრის დათხოვნას ფარაონის ხაზინისათვის ოთხი ათასი ტალანტის ეკონომია მოჰქონდა, რაც აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი რამ იყო.

მესამე, – ომს ლიბიასთან დასავლეთ საზღვარზე შეეძლო ხანგრძლივად ჩამოეშორებინა ტახტის მემკვიდრის ყურადღება აზიის საქმეებისა და აღმოსავლეთ საზღვრისაგან. ხერიჰორი და უმაღლესი საბჭო ფრიად საფუძვლიანად გულისხმობდნენ, რომ რამდენიმე წელი გაივლის, ვიდრე პარტიზანული ომით დაქანცული ლიბიელები ზავს მოითხოვენო.

გეგმა კარგად იყო მოფიქრებული, მაგრამ მის ავტორებს მხედველობიდან ერთი რამ გამოეპარათ: მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ რამზესში გენიალური სარდლის სული ცოცხლობდა.

შინ მიმავალ ლიბიელთა დაშლილმა ლეგიონებმა გზა ძარცვა-გლეჯით გაიარეს და მალე თავი სამშობლოში ამოყვეს, რადგან ხერიჰორის ბრძანებით ისინი არსად არ უნდა შეეჩერებინათ. მათგან, ვინც პირველმა მიაღწია ლიბიის მხარეს, თანამემამულეთ დაუჯერებელ ამბებს მოუთხრობდა, ასეთი პირები პირადი გაგულისებისა და უკმაყოფილების ნიადაგზე ამტკიცებდნენ: ეგვიპტე ამჟამად ისევეა დაუძლურებული, როგორც ცხრაასი წლის წინათ, ჰიქსოსების დროშიო. ფარაონის ხაზინა ისეა დაცარიელებული, რომ ღვთის სწორი მბრძანებელი იძულებული შეიქნა დაეშალა ლიბიელთა ლეგიონები, რომლებიც ეგვიპტის ჯარის ქვაკუთხედს თუ არა, მის საუკეთესო ნაწილს მაინც შეადგენდნენ. მათი სიტყვით, საერთოდ ეგვიპტეს ჯარი უკვე აღარ გააჩნდა, თუ სათვალავიდან იმ მცირერიცხოვან ყოვლად გამოუცდელ მეომრებს გამოვრიცხავთ, რომლებიც ეგვიპტის აღმოსავლეთ საზღვრის სადარაჯოზე დგანანო.

ამას გარდა, ამბობდნენ ისინი, ფარაონსა და ქურუმებს შორის ღრმა უთანხმოებაა ჩამოვარდნილი. მუშებს ხელფასს არ აძლევენ, გლეხებს კი გადასახადებით უხუთავენ სულს და ამ ნიადაგზე ხალხის მასები აჯანყებისათვის მზად არიან, თუკი რომელიმე მხარე მათ დახმარებას აღმოუჩენსო. ეს კიდევ ცოტაა, განაგრძობდნენ ისინი, ნომარქოსები, რომლებიც ოდესღაც დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ და დროგამოშვებით თავიანთ წარსულ უფლებებზე ოცნებობ-

დნენ, ახლა, ხედავენ რა მთავრობის უძლურებას, ფარაონისა და ქურუმთა უმაღლესი საბჭოს დასამხობად ემზადებიანო!..

ამგვარმა ცნობებმა ფრინველთა გუნდების დარად გაინავარდა ლიბიის სანაპიროზე და ერთბაშად საერთო ნდობა მოიპოვა. ყაჩაღები და ბარბაროსები ისედაც მუდამ მზად იყვნენ ეგვიპტეზე თავდასხმისათვის და მეტადრე ახლა, როდესაც ფარაონის ყოფილი მეომრები და მათი მეთაურები ირწმუნებოდნენ, რომ ეგვიპტის დარბევა ფრიად ადვილი საქმეაო. ეგვიპტიდან გამოძევებულ ლეგიონებს შეძლებულმა და კეთილგონიერმა ლიბიელებმაც კი დაუჯერეს, რადგან არც მათთვის წარმოადგენდა უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში საიდუმლეობას ის, რომ ეგვიპტელი აზნაურობა ღატაკდებოდა, რომ ფარაონის ხელისუფლება დამცირებული და შეკვეცილია, ხოლო გაჭირვებით იძულებული გლეხები და მუშები ამბოხებისათვის ემზადებიან.

და აი, მთელი ლიბია მღელვარებამ მოიცვა. დაბრუნებულ მეომრებსა და ოფიცრებს ისე ხვდებოდნენ, როგორც კეთილი ამბის მახარობლებს, მაგრამ ვინაიდან მათი მხარე ღარიბი იყო და სტუმრების გამოსაკვებად საკუთარი მარაგი არ გააჩნდა, გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ დაეწყოთ ეგვიპტესთან ომი, რათა ამ გზით, რაც შეიძლება საჩქაროდ მოეშორებინათ თავიდან ახლადმოსულები.

საერთო ფერხულში ლიბიელთა ცბიერი და ჭკვიანი მთავარი მუსავასაც კი იქნა ჩათრეული. იგი ამაში არა მოსულებმა, არამედ ისეთმა უცნობმა დინჯმა და გამოჩენილმა პირებმა დაარწმუნეს, რომლებიც, საფიქრებელია, ეგვიპტის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოგზავნილი აგენტები ყოფილიყვნენ.

ეს დიდებულნი, რომელნიც თითქოს ეგვიპტეში შექმნილი პირობებით იყვნენ უკმაყოფილონი თუ ფარაონსა და ქურუმებზე შემომწყრალნი, ლიბიაში ზღვის მხრიდან მოვიდნენ, ერიდებოდნენ ბრბოს და გამოძევებულ მეომრებთან ლაპარაკს გაურბოდნენ. სამაგიეროდ დიდი საიდუმლეობით და დამარწმუნებელი მტკიცებით უმარტავდნენ ისინი მუსავასას, რომ ეგვიპტეზე თავდასხმა მისთვის სწორედ ახლაა ხელსაყრელი.

– იქ მოიპოვებ, – ეუბნებოდნენ მას, – შენთვის, შენი ხალხისა და

ჩამომავლობისათვის გამოულეველ საუნჯეთ-საცავსა და ბეღლებს.

მუსავასა, მართალია, ცბიერი ბელადი და დიპლომატი იყო, მაგრამ ადვილად გაება ასეთ მახეში. როგორც ენერგიულმა ადამიანმა, მან ეგვიპტის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადა საღვთო ომი. მალე მის გარშემო ათასობით მოიყარეს თავი მამაცმა მეომრებმა და თავისი ვაჟის, ოცი წლის ტეხენას მეთაურობით პირველი კორპუსი მან აღმოსავლეთით წარგზავნა.

მოხუცმა ბარბაროსმა კარგად იცოდა, რა არის ომი; გაეგებოდა, რომ ვისაც გამარჯვება სწადია, მან სწრაფად უნდა იმოქმედოს და პირველმა შეუტიოს მოპირდაპირეს.

საომარი მზადება მცირე ხანს გაგრძელდა. თუმცა ფარაონის ყოფილი მეომრები უიარაღონი დაბრუნდნენ, მაგრამ იცოდნენ თავიანთი საქმე და ამავე დროს მაშინ იარაღის საკითხი რთული არ იყო: რამდენიმე თასმა ან ბაწრის რამდენიმე ნაჭერი შურდულისათვის, შუბი ან წაწვეტებული ჭოგრი, ცული ან მძიმე კეტი, ერთ გვერდზე კენჭების და მეორეზე ხურმის ტომარა – აი ყველაფერი ის, რაც საჭირო იყო,

ამგვარად, მუსავასამ თავის შვილს ტეხენას ფარაონი ყოფილი მოქირავნეების ორი ათასი მეომარი და ოთხ ან სამდე ლიბიელი ღარიბ-ღატაკი ჩააბარა, უბრძანა ეგვიპტეში საჩქაროდ შეჭრა და, რისიც კი შესაძლებელი იყო, გაძარცვა, რომ ამ გზით ნამდვილი ლაშქრისათვის მარაგი შეემზადებინა. თვითონ მუსავასა კი დიდი ძალების შეგროვებას შეუდგა, ამ მიზნით ოაზისებში მდევრები დაგზავნა და მოუწოდა მისი დროშის ქვეშ. დამდგარიყო ყველა, ვისაც დასაკარგავი არა გააჩნდა რა.

დიდი ხანია უდაბნოს ასეთი გამოცოცხლება არ დასტყობია. ყოველი ოაზისიდან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ სასოწარკვეთილი ღატაკები, რომლებსაც თუმცა არაფერი არ ეკვათ, მაგრამ მათთვის მხოლოდ კონკიჟღარუნები შეიძლებოდა გვეწოდებინა. მუსავასას ისეთი პირები ჰყავდა მრჩეველებად, რომლებიც ერთი თვის წინათ ფარაონის ჯარში ოფიცრებად მსახურობდნენ. მათ მოსაზრებებზე დამყარებით მუსავასა საფუძვლიანად გულისხმობდა, რომ მისი ვაჟი რამდენიმე სოფლისა და პატარა ქალაქის დარბევას მოასწრებდა, ვიდრე ეგვიპტელების რამდენადმე მნიშვნელოვან ძალებს შეეყრებოდა.

ამას გარდა, მას აცნობეს, რომ შუშის დიდი ქარხნის მუშები, შეიტყვეს თუ არა ლიბიელების მოძრაობა, დაუყოვნებლივ გაიფანტნენ და დაიხიეს აგრეთვე ჯარებმა, რომლებსაც სოდის ტბების ნაპირზე მდებარე პატარა ციხესიმაგრეები ეკავათ.

ეს ამბავი მუსავასამ მეტად კარგის მომასწავებლად მიიჩნია, რადგან შუშის ქარხანა ფარაონის ხაზინის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

მაგრამ მუსავასამ ისეთივე შეცდომა დაუშვა, როგორიც ქურუმთა უმაღლესმა საბჭომ. მან რამზესში გენიალური სარდალი ვერ გამოიცნო.

და მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ლიბიელთა პირველმა კორპუსმა ვერც კი მოასწრო სოდის ტბების სანახებთან მისვლა, რომ იქ ტახტის მემკვიდრის ორჯერ უფრო დიდი ჯარი აღმოჩნდა..

და ყველაფერი ეს ისე მოხდა, რომ არც კი შეიძლებოდა ლიბიელებისათვის ესაყვედურებინათ საჭირო სიფხიზლე და სიფრთხილე არ გამოიჩინეთო. ტეხენასი და მისი შტაბის მსტოვრები არა ერთხელ ყოფილან ნავკრატისსა და საისში და ცურვით გასულან ნილოსის კანოპისა და ბოლბიტინის ტოტებზე, მაგრამ არსად შეხვედრიათ ჯარები, რომელთა მოძრაობას, ალბათ, აჩერებდა წყალდიდობა, პირიქით, მოწმენი იყვნენ მკვიდრი მოსახლეობის არეულობისა, რომელიც მოსაზღვრე ოლქებიდან გარბოდა.

გასაგებია, რომ მსტოვრები თავიანთ მხედართმთავარს ფრიად დამამშვიდებელ ცნობებს აწვდიდნენ. ამასობაში კი მეფისწულ რამზესის ჯარმა, წყალდიდობის მიუხედავად, მობილიზაციიდან რვა დღის შემდეგ უდაბნოს საზღვრებს მიაღწია და, წყლითა და სურსათით მომარაგებული, სოდის ტბების მთებში მიიმალა.

ტეხენას რომ შეძლებოდა არწივსავით თავის ჯარი ბანაკზე მაღლა აფრენა, იგი შეძრწუნებული დაინახავდა, რომ ამ ადგილას ყველა ხევში ეგვიპტის ლეგიონები იყვნენ დამალული და სულ მალე მისი კორპუსი გარშემორტყმული იქნებოდა.

როგორც კი ქვემო ეგვიპტის ჯარები ბუბასტისიდან გამოვიდნენ, ბატონიშვილის მხლებელი წინასწარმეტყველი მენტესუფისი ყოველდღე იღებდა და აგზავნიდა რამდენიმე სასწრაფო ცნობას.

მემფისში იგი მიწერ-მოწერას აწარმოებდა ხერიჰორთან, მოხსენებას უგზავნიდა ჯარების მოძრაობისა და მემკვიდრის მოქმედების შესახებ, რომლის გამოც ის აღტაცებას ვერ ფარავდა. ხერიჰორი კი მას მითითებებს აძლევდა, რომ ტახტის მემკვიდრისათვის სრული თავისუფლება მიენიჭებინა და განმარტავდა, თუ ვინიცობაა რამზესი პირველ ბრძოლას წააგებდა კიდეც, ამით უმაღლესი საბჭო დიდად ნაწყენი არ დარჩებოდა.

„მცირე სამხედრო მარცხი, – სწერდა მას ხერიჰორი, – ბატონიშვილ რამზესისათვის სიფრთხილისა და თავმდაბლობის გაკვეთილი იქნება, თორემ ახლავე, როდესაც ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია, თავს უაღრესად გამოცდილი სარდლების თანასწორად თვლისო“.

ხოლო, როდესაც მენტესუფისმა უპასუხა, მემკვიდრის დამარცხება ნაკლებ მოსალოდნელიაო, ხერიჰორმა აგრძნობინა, რომ გამარჯვებას მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცესო.

„სახელმწიფო, – სწერდა ის, – არაფერს არ დაჰკარგავს, თუ ომის მოყვარულსა და ფიცხ ტახტის მემკვიდრეს დასავლეთ საზღვარზე რამდენიმე წლით გასართობი ექნება. ის თვითონ სამხედრო საქმეში გამოცდილებას შეიძენს, ხოლო ჩვენს გაზარმაცებულ და გათავხედებულ ჯარისკაცებს მათთვის შესაფერისი საქმე ექნებათო“.

მეორე მხრივ მენტესუფისი ხშირ მიწერ-მოწერას ეწეოდა ქურუმ ნოფრთან და ამას იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნოფრი, რომელიც ოდესღაც ბატონიშვილმა შეურაცხყო, ახლა სარას ბავშვის დაღუპვით სარგებლობდა და მემკვიდრეს პირდაპირ ბრალს სდებდა შვილის მოკვლაში, რაც მან თითქოს კამას ზეგავლენით ჩაიდინა. ხოლო, როდესაც რამზესის სრული უდანაშაულობა გამოირკვა, ამით უფრო მეტად გაღიზიანებული ქურუმი განაგრძობდა მტკიცებას, რომ მეფისწულს ყველაფრის ჩადენა შეუძლია, როგორც თავის სამშობლოს ღმერთების მტერსა და საზიზღარი ფინიკიელების მო-

კავშირესო.

სარას ბავშვის მკვლელობა პირველ დღეებში იმდენად საეჭვოდ იყო მიჩნეული, რომ უმაღლესმა საბჭომაც კი მიმართა მემფისიდან მენტესუფისს – გამოეთქვა თავისი აზრი. მენტესუფისმა უპასუხა, რომ იგი ყოველთვის თვალყურს ადევნებს ბატონიშვილს, მაგრამ ერთ წუთსაც არ შეუძლია დაუშვას, ვითომც იგი მკვლელი იყოს.

ასეთი წერილები, ვით მტაცებელი ფრინველების გუნდი, რამზესის თავს დასტრიალებდა, ვიდრე იგი მტრის მიმართულებით დამზვერავ რაზმებს გზავნიდა, მეთაურებთან თათბირობდა ანდა ჯარისკაცებს ამხნევებდა.

14 ხატირს ტახტის მემკვიდრის მთელი ჯარი ქალაქ ტერეტუტისის სამხრეთით შეგროვდა. ბატონიშვილის სასიხარულოდ ბრძოლის ველზე მოვიდა პატროკლე ბერძენთა ლეგიონებით, მას თან მოჰყვა ქურუმი პენტუერი, რომელიც ხერიჰორის მიერ მეორე მეთვალყურედ იყო წარმოგზავნილი.

ქურუმების სიმრავლე ბანაკში (დასახელებულთა გარდა, იქ კიდევ სხვებიც იყვნენ) ფრიად არ სიამოვნებდა რამზესს, მაგრამ გადაწყვიტა მათთვის ყურადღება არ მიექცია და სამხედრო თათბირებზე სრულებით არ ეკითხებოდა მათ აზრს.

ბოლოს და ბოლოს მათს შორის ურთიერთობა ასე თუ ისე მოწესრიგდა. მენტესუფისი, ხერიჰორის ბრძანების თანახმად, ბატონიშვილს თავის ნება-სურვილს თავზე არ ახვევდა. პენტუერმა კი დაჭრილთათვის საექიმო დახმარების ორგანიზაციას მოჰკიდა ხელი.

დაიწყო სამხედრო თამაში.

რამზესმა, უწინარეს ყოვლისა, თავისი აგენტების საშუალებით მრავალ სანაპირო სოფელში ხმა გაავრცელა, რომ მათკენ ლიბიელების უდიდესი მასები დაიძრნენ და ყველას შეუბრალებლად გაძარცვავენ და ამოხოცავენ. შეშინებულმა მოსახლეობამ აღმოსავლეთისაკენ იწყო გადასვლა და ეგვიპტის ლეგიონებს წააწყდა. მაშინ ბატონიშვილმა მამაკაცები აიძულა ჯარის უკან ტვირთი ეზიდათ, ხოლო ქალები და ბავშვები მხარის შუაგულში გადაიყვანა.

შემდეგ მთავარსარდალმა ეგვიპტის ჯარის შესახვედრად მომავალი ლიბიელების დასაზვერავად მსტოვრები გაგზავნა, რათა შეეტ-

ყოთ მათი რაოდენობა და განლაგება. მსტოვრები მალე დაბრუნდნენ და მტრის განლაგების შესახებ ზუსტი ცნობები მოიტანეს. მაგრამ ცნობა მათ რაოდენობაზე ფრიად გადაჭარბებული იყო. აგრეთვე არასწორი იყო მათი დაჟინებითი მტკიცება, რომ ლიბიელთა ურდოებს წინ უძღვის თვითონ მუსავასა თავისი ვაჟით ტეხენათი.

ახალგაზრდა სარდალი სიხარულისაგან გაწითლდა კიდეც, რომ პირველსავე ომში მას ისეთ გამოცდილ მოწინააღმდეგესთან ექნება საქმე, როგორიც მუსავასაა.

ამიტომ მასთან შეტაკების საფრთხეს აზვიადებდა და სიფრთხილეს აორკეცებდა. ლიბიელების შესახვედრად მან წარგზავნა ნდობით აღჭურვილი პირები, უბრძანა მათ თავი მოღალატეებად მოეჩვენებინათ, მტრის ბანაკში შეპარვა მოეხერხებინათ და მუსავანასაგან ჩამოეშორებინათ მისი მთავარი ძალა – ეგვიპტიდან გაძევებული ლიბიელი მეომრები.

– გადაეცით მათ, – უთხრა რამზესმა თავის აგენტებს, – რომ მე ურჩთათვის ცრემლები მზადა მაქვს და მორჩილთათვის კი შეწყნარება. თუ პირველ ბრძოლაშივე იარაღს დაჰყრიან და მუსავასას მიატოვებენ, უკანვე დავაბრუნებ ფარაონის ჯარში და ვბრძანებ მთლიანად მისცენ ჯამაგირი, ისე თითქოს სამსახურიდან არც კი წასულიყვნენ.

პატროკლემ და სხვა სარდლებმა რამზესის ეს ზომა ფრიად გონივრულად ჩათვალეს, ქურუმები კი დუმდნენ. ხოლო მენტესუფისმა სასწრაფო მოხსენება გაუგზავნა ხერიჰორს პასუხიც ოცდაოთხ საათში მიიღო.

სოდის ტბების შემოგარენი რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძის ველს წარმოადგენდა. იგი შემოზღუდული იყო ორი მთაგრეხილით, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო გაჭიმული. ამ ველის სიგანე არსად ათ კილომეტრს არ აღემატებოდა, მაგრამ ალაგ-ალაგ შესამჩნევად ვიწრო იყო და თითქმის ხეობებს წარმოადგენდა.

მთელ ველზე ერთიმეორის მიყოლებით ათიოდე მეტად დაჭაობებული მარილიანი ტბა მდებარეობდა. აქ მხოლოდ დაგვალული ბუჩქნარი და ბალახი ხარობდა, რომელსაც მუდამ ეყრებოდა ქვიშა და არც ერთი ცხოველი პირს არ აკარებდა. ველის ორსავე მხარეს აყუდე-

ბული იყო დაკბილული კირიანი კლდეები ან მიიმართებოდა ქვიშის უზარმაზარი ნაყარი, რომელშიც ადვილად შეიძლებოდა კაცი დამხრჩვალიყო. მთელი ეს ყვითლად და თეთრად შეღებილი ლანდშაფტი სულის მომწყვლელ სამარისებურ სურათს ქმნიდა, რომლის უსიამოვნო შთაბეჭდილებას პაპანაქება და ირგვლივ გამეფებული დუმილი კიდევ უფრო აძლიერებდა. არც ერთი ფრინველის გალობა არ გაისმოდა და თუ დროგამოშვებით ხმაურს მაინც გაიგონებდით, ის კლდეს მოსხლეტილი ქვის დაგორებით იყო გამოწვეული.

ველის შუა ადგილას აღმართული იყო ერთიმეორეს რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ორი ჯგუფი შენობებისა. ესენი იყვნენ: აღმოსავლეთით პატარა სიმაგრე და დასავლეთით – შუშის ქარხანა. სამხედრო განგაშის გამო იქიდან მოსახლეობა უკვე გახიზნული იყო. ტეხენას კორპუსის ამოცანას შეადგენდა ორივე ამ ადგილის დაპყრობა, გამაგრება და ამით მუსავასას ძირითადი ძალებისათვის ეგვიპტეში გადასვლის გაადვილება.

ლიბიელები ნელა მოიწევდნენ და, ბოლოს 14 ხატირს საღამოთი აღმოჩნდნენ სოდის ტბების ველთან. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ დაუბრკოლებლად გაივლიდნენ ორი გადასავლით. იმავე დღეს მზის ჩასვლისთანავე ეგვიპტის ჯარი უდაბნოს მიმართულებით დაიძრა და თორმეტი საათის განმავლობაში ორმოც კილომეტრზე მეტი ქვიშნარი გაიარა, მეორე დილას სიმაგრესა და შუშის ქარხანას შორის მდებარე სიმაღლეზე ავიდა და ურიცხვ ხეობებში მიეფარა.

იმ ღამეს ლიბიელებისათვის ვინმეს რომ ეთქვა, სოდის ტბების ველზე პალმები და პურეული ამოვიდაო, ეს ნაკლებ გააოცებდა, ვიდრე ის ამბავი, რომ ეგვიპტის ჯარმა გზა გადაუღობა.

მცირე შესვენების შემდეგ, როცა ქურუმებმა სასმელად საკმაოდ გამოსადეგი რამდენიმე ჭა აღმოაჩინეს, ეგვიპტის ჯარმა ველის გასწვრივ ჩრდილოეთით გაწოლილი გორაკების დაკავება დაიწყო.

ბატონიშვილის გეგმა, მარტივი იყო. ლიბიელები მათი სამშობლოდან უნდა მოეწყვიტა და სამხრეთით უდაბნოში შეერეკა, სადაც მათს გაფანტულ რაზმებს პაპანაქება და შიმშილი მოუღებდა ბოლოს.

ამ მიზნით მან თავისი ჯარი ველის ჩრდილოეთ მხარეზე დააწყო

და სამ კორპუსად გაყო. მარჯვენა ფრთას, რომელიც უფრო ლიბიის მხრისკენ იყო წამოწეული, პატროკლე მეთაურობდა; მას ნაბრძანები ჰქონდა თავდამსხმელთათვის ჩრდილოეთისაკენ დასახევი გზის მოჭრა. ეგვიპტისაკენ მახლობელ მარცხენა ფრთას მენტესუმფისი მეთაურობდა, რომელსაც ლიბიელთათვის წინსვლის საშუალება არ უნდა მიეცა. ცენტრალური კორპუსის სარდლობა კი თვითონ მემკვიდრემ იკისრა. ეს კორპუსი შუშის ქარხნის სანახებში იყო ჩასაფრებული. მემკვიდრესთან იმყოფებოდა ქურუმი პენტუერი.

15 ხატირს, დაახლოებით დილის შვიდ საათზე, ლიბიელ მხედართა რამდენიმე ათეულმა ჩქარი ჭენებით გაირბინა ველი, შუშის ქარხანასთან მცირედ შეისვენა, გარშემო მიმოიხედა და რაკი საეჭვო არა შეამჩნია რა, თავისიანებისაკენ გაქუსლა.

დილის ათ საათზე, როდესაც მზე უხვად აფრქვევდა თავის მწველ სხივებს და პაპანაქებაში ადამიანები თითქოს სისხლიან ოფლად იღვრებოდნენ, პენტუერმა მემკვიდრეს განუცხადა:

– ლიბიელები უკვე ველზე შემოვიდნენ და პატროკლეს რაზმს გვერდს უვლიან, ერთ საათში აქ იქნებიან.

– საიდან იცი? – გაოცებით შეეკითხა ბატონიშვილი.

– ქურუმებმა ყველაფერი იციან, – ღიმილით უპასუხა პენტუერმა.

შემდეგ იგი ფრთხილად აცოცდა ერთ კლდეზე, ტომრიდან რაღაც მბრწყინავი საგანი ამოიღო, მიტრიალდა წმიდა მენტესუფისის რაზმისკენ და ხელით რაღაც ნიშნების მიცემა იწყო.

– მენტესუფისიც უკვე გაფრთხილებულია, – კლდიდან ჩამოსვლისას უთხრა რამზესს.

ბატონიშვილი მეტად გაოცდა.

– ჩემი თვალები შენსას სჯობია და სმენაც შენზე ცუდი არა მაქვს, მაგრამ ვერაფერს ვხედავ და არც მესმის რამე, – უთხრა მან. შენ როგორღა არჩევ აქედან მტერს და მენტესუფისს შორიდან ესაუბრები?

პენტუერმა სთხოვა რომელიღაც შორეული გორაკისათვის შეეხედა, რომლის მწვერვალზე კვრინჩხნარის ბუჩქები ატუზულიყო. რამზესი ამ ადგილს მიაცქერდა და უნებლიეთ დახუჭა თვალები: ბუჩქებში რაღაც თვალისმომჭრელად გაბრწყინდა.

– რა თვალისმომჭრელად ბრწყინავს! – წამოიძახა მან. ლამის და-

მაბრმაოს!

– ეს ღირსი პატროკლეს თანმხლებელი ქურუმი გვაძლევს ნიშნებს, – უპასუხა პენტუერმა. – როგორც ხედავ, დიდო ხელმწიფევ, ჩვენც გამოსადეგნი ვართ ომში.

იგი გაჩუმდა.

ველის სიღრმიდან პირველად ოდნავ გასაგონი, შემდეგ კი უფრო მკაფიო ხმაური მოისმა.

ხმაურის გაგონებისთანავე მსწრაფლ წამოცვივდნენ გორაკის ფერდობს ამოფარებული ეგვიპტელი მეომრები და იარაღის სინჯვა და ურთიერთშორის ჩურჩული იწყეს... მაგრამ მეთაურების მოკლე ბრძანებამ ისინი დააშოშმინა და კვლავ სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

ამასობაში შორიდან მომავალი ხმაური გაძლიერდა და გუგუნად იქცა, რომელშიც გაისმოდა ადამიანთა წამოძახილებთან ერთად სიმღერები, სალამურების ხმა, ურმების ჭრიალი, ცხენების ხვიხვინი და მეთაურთა ბრძანება. რამზესს გული აუძგერდა. მან ცნობისმოყვარეობა ვერ დაძლია და კლდის ქიმზე აცოცდა, საიდანაც ველის უმთავრესი ნაწილი მოჩანდა.

ნელა მოაბიჯებდა მოყვითალო მტვრის კორიანტელში გახვეული ლიბიელთა კორპუსი, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმულიყო, თითქოს წითელი, ლურჯი და თეთრი წინწკლებით აჭრელებული გველიაო. წინ მოუძღოდა თხუთმეტიოდე მხედარი; ერთი მათგანი, თვალადი, თეთრ მოსასხამიანი იყო და ცხენზე ისე იჯდა, ვით სკამზე, ორივე ფეხი მარცხენა მხარეს ჰქონდა დაშვებული. მხედრებს უკან მოსდევდნენ რუხპერანგა მეშურდულეები და ტახტრევანით მოჰყავდათ ვიღაც დიდებული, რომელსაც ვეებერთელა ქოლგა მოეჩრდილა. შემდეგ ლურჯსა და წითელ ხალათებში გამოწყობილი შუბოსნების რაზმი მოდიოდა, მერე – კეტებით შეიარაღებული თითქმის შიშველ ადამიანთა დიდი ბრბო. მათს უკან ბაწარაღებით მოდიოდნენ მეშურდულეები და შუბოსნები, ბოლოს ცელებითა და ცულებით შეიარაღებული რაზმიც გამოჩნდა. მეომრები მწკრივში დაახლოებით ოთხ-ოთხად დაწყობილი მოდიოდნენ. მაგრამ, ოფიცერთა შეძახილის მიუხედავად, წესრიგი მუდამ ირღვეოდა და ერთიმეორის მომდევნო ოთხეულები ერთად შექუჩდებოდნენ ხოლმე.

ლიბიელი გველი ხმაურითა და სიმღერით ნელა გამოცოცდა ველის ყველაზე ფართო ნაწილში ქარხნებისა და ტბების პირდაპირ. აქ მწკრივები უფრო მეტად აირია ერთმანეთში. წინანი შეჩერდნენ, რადგან ნათქვამი ჰქონდათ, ამ ადგილას შესვენება იქნებაო. უკანა რიგებმა კი ნაბიჯი ააჩქარეს, რათა მალე მისულიყვნენ დასვენების ადგილას. ზოგიერთი მწკრივიდანაც კი გამორბოდა, მიწაზე აწყობდა იარაღს და ტბამი ხტებოდა ანდა პეშვით იღებდა აშმორებულ წყალს. სხვები ქვიშაზე სხდებოდნენ, ტომრიდან ხურმას იღებდნენ ანდა თიხის მალარით სვამდნენ ძმარნარევ წყალს.

მაღლიდან მათს ბანაკს რამდენიმე ქორი დასტრიალებდა.

ამ სურათის დანახვაზე რამზესი წარმოუდგენელმა მწუხარებამ და შიშმა მოიცვა. თვალწინ შავმა წერტილებმა გაუელვა, თავბრუ დაეხვა – ამ წუთში მზად იყო ტახტზე ხელი აეღო, ოღონდ აქ არ ყოფილიყო და არ დაენახა ყველაფერი ის, რაც მოხდებოდა.

ის ქვევით ჩასრიალდა.

მასთან პენტუერი მივიდა და ძალზე შეანჯღრია.

– გონს მოდი, ხელმწიფევ, – შესძახა მან. – პატროკლე შენს ბრძანებას ელის...

– პატროკლე? – გაიმეორა რამზესმა და მოტრიალდა.

მის წინ იდგა ფერმკრთალი, მაგრამ მშვიდი პენტუერი. ცოტა მოშორებით კი ფერმიხდილ თუტმოსს მთრთოლვარე ხელში ოფიცრის სასტვენი ეკავა. გორაკს ამოფარებული ჯარისკაცების სახეებს ღრმა მღელვარება ეტყობოდა.

– რამზეს, – გაუმეორა პენტუერმა, – ჯარები ბრძანებას ელიან...

ბატონიშვილმა განწირულის სიმტკიცით გადახედა ქურუმს და ყრუ ხმით გასცა ბრძანება დაეწყოთ ბრძოლა.

პენტუერმა ზევით ასწია მბრწყინავი თილისმა და ჰაერში რამდენიმე ნიშანი მოხაზა, თუტმოსმა ფრთხილად დაუსტვინა და მისი სტვენა მარჯვნივ და მარცხნივ შორეულმა ხევებმა გაიმეორეს; ეგვიპტელმა მეშურდულეებმა გორაკებზე აცოცება იწყეს.

შუადღე იყო.

რამზესმა არემარეს დაკვირვებით მიმოავლო თვალი, იგი ხედავდა თავის შტაბს, შუბოსანთა და ჩუგლუგოსანთა რაზმებს, რომელ-

თაც ძველი ოფიცრები მეთაურობდნენ. დაბოლოს მეშურდულეებს, რომლებიც ნელა მიცოცავდნენ კლდეებზე... მას ეჭვი არ შესდიოდა იმაში, რომ ასეთ პაპანაქებაში არც ერთ ამ ადამიანთაგანს არათუ დაღუპვა, ხელის განძრევაც კი არ სურს.

უცებ ერთ-ერთი გორაკის მწვერვალიდან ლომის ღმუილისმაგვარი ძლიერი ხმა გაისმა:

– ფარაონის მეომრებო! მემუსრეთ ეს ლიბიელი ძაღლები! ჩვენთან არიან ღმერთები!

იმ წამსვე პასუხად ეგვიპტის ჯარის ხანგრძლივი საბრძოლო ძახილი და ლიბიელთა გამაყრუებელი ღრიალი გაისმა.

ბატონიშვილი, რომლისათვისაც უკვე საჭირო აღარ იყო მოფარება, გორაკზე ავიდა, საიდანაც ბრძოლის სურათი კარგად მოჩანდა. თითქოს მიწის გულიდან ამოძვრნენო, მოულოდნელად გამოჩნდნენ ეგვიპტელი მეშურდულეები და გრძელ ჯაჭვად გაიჭიმნენ. მათგან რამდენიმე ასი ნაბიჯის დაშორებით ფუთფუთებდნენ მტვრის კორიანტელში გახვეული ლიბიელთა ურდოები. გაისმა ბუკებისა და სასტვენის ხმა, მტრის ოფიცრები ჯარისკაცებს მუქარით მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ. ვინც ისვენებდა, წამოხტა, ვინც წყალს სვამდა, იარაღს სწვდა, და ყველანი თავისიანებისაკენ გაექანენ; ყვირილსა და აურზაურში უწესრიგო ბრბომ მწკრივებად დაწყობა იწყო.

ამასობაში ეგვიპტელი მეშურდულეები აუღელვებლივ, ისე, როგორც ჩვეულებრივ ვარჯიშობის დროს, მტერს წუთში რამდენიმე ქვას ესროდნენ. მეთაურები თავიანთ რაზმებს, მტრის ჯგუფებზე მიუთითებდნენ და ისინიც შურდულით სეტყვასავით აყრიდნენ მათ ტყვიასა და ქვებს. ბატონიშვილი ხედავდა, როგორ იფანტებოდა ყოველი ასეთი ბათქის შემდეგ მტრის ჯგუფი, რომელიც ხშირად ადგილზევე ტოვებდა ორ-სამ დაჭრილ ან მოკლულ მეომარს.

ლიბიელთა რიგებმა მაინც მოახერხეს დაწყობა და თავდასხმის ხაზის იქით დაიხიეს. სამაგიეროდ წინ წამოვიდნენ მათი მეშურდულეები და ასეთივე სისწრაფითა და სიმშვიდით უპასუხეს ეგვიპტელებს. დროგამოშვებით მათს რიგებში სიცილისა და სიხარულის ყიჟინა გაისმოდა. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ მათი დარტყმისაგან ეცემოდა რომელიმე ეგვიპტელი მეშურდულე.

მალე ბატონიშვილისა და მისი თანმხლებლების თავზე ქვებმა გაიზუზუნა. რამზესის ერთ ადიუტანტს მხარი დაუზიასდა, მეორეს თავიდან ჩაჩქანი გადაუვარდა. ერთი ქვა ბატონიშვილის ფეხებთან დაეცა, კლდეს მიემსხვრა და მისი მდუღარესავით მთუთქავი ნამსხვრევები ამ ხეს სახეზე შეეყარა.

ლიბიელები ხმამაღლა ხარხარებდნენ, რაღაცას ყვიროდნენ, იქნებ წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ მტრის მხედართმთავარს.

ყოველგვარი შიში, მერყეობა და სიბრალული რამზესს მსწრაფლ განშორდა. ის უკვე აღარ ხედავდა ადამიანებს, რომლებსაც ტანჯვა და სიკვდილი ემუქრებოდა; იგი მხოლოდ მხეცებს ხედავდა, რომლებიც მას უნდა გაეჟლიტა. მან უნებლიეთ გაიწოდა ხელი ხმლისკენ, რათა იერიშზე გადაეყვანა მისი ბრძანების მომლოდინე შუბოსნები, მაგრამ ზიზღის გრძნობამ შეაჩერა. ამ შიშველი ბანდის სისხლში არ უნდა გაისვაროს ხელი! ამისათვის ჯარისკაცები არსებობენ!

ამასობაში კი ბრძოლა გრძელდებოდა. მამაცი ლიბიელი მეშურდულეები ყიჟინითა და სიმღერით მოიწევდნენ წინ. ორივე მხრიდან ქვები ისე ბზუოდა, როგორც კელა, ზუზუნებდა როგორც ნაყარი ფუტკარი, და ყოველ წუთს ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს რომელიმე დაკოდილი მეომარი კვნესით ტოვებდა ბრძოლის ველს ანდა იქვე უსულოდ ეცემოდა. მაგრამ ეს სხვებს არ აჩერებდა და ისინი ისეთი გაშმაგებით იბრძოდნენ, რომელიც თანდათანობით უსაზღვრო გაცოფებასა და თავდავიწყებაში გადადიოდა.

უცებ შორს მარჯვენა ფრთაზე ბუკის ხმა და ხანგრძლივი ყვირილი გაისმა. შეუპოვარი პატროკლე, რომელიც გათენებიდანვე მთვრალი იყო, მტრის არიერგარდს უტევდა.

– იერიში! – ბრძანა რამზესმა.

ბრძანება მსწრაფლ განმეორებული იქნა: ახმაურდნენ ბუკები... ერთი, მეორე... მეათე, და მყის ყველა ხევიდან გამოსვლა იწყეს ეგვიპტელთა ასეულებმა. გორაკებზე გაფანტულმა მეშურდულეებმა გაორკეცებით გამოიდეს თავი და ველზე აუჩქარებლივ, ხოლო იმავე დროს წესრიგის სრული დაცვით ლიბიელების პირისპირ ჩამწკრივდნენ შუბებითა და ჩუგლუგებით შეიარაღებული ეგვიპტელები, რომლებიც ნელა მოიწევდნენ წინ.

– გააძლიერეთ ცენტრი! – ბრძანა მემკვიდრემ.

ბუკმა ბრძანება გაიმეორა,

პირველი ხაზის ორი კოლონის უკან კიდევ ორი კოლონა ჩადგა,

ამ მანევრის დამთავრება ეგვიპტელებმა ვერც კი მოასწრეს, რომ ლიბიელები მათივე მაგალითით მთავარი კორპუსის პირისპირ რვა მწკრივად დაეწყვნენ.

– დასძარით მოთადარიგენი! – ბრძანა ბატონიშვილმა.. – გაიხედე, – მიმართა მან ერთ თავის ადიუტანტთაგანს, მზად არის თუ არა მარჯვენა ფრთა?

მთელი ველისათვის რომ უკეთ გადაევლო თვალი, ადიუტანტი იქით გაიქცა, სადაც მეშურდულეები იბრძოდნენ, და უცებ წაიქცა, მაგრამ წაქცევისას მოასწრო ხელით ენიშნებინა. მის ნაცვლად მეორე მეთაური გაექანა ბატონიშვილის განკარგულების შესასრულებლად; იგი მალე მობრუნდა და აცნობა, ორივე ფრთა კორპუსისა, რომელსაც რამზესი წინამძღოლობდა, სავსებით მზად არისო.

ხმაური პატროკლეს რაზმის მხრიდან ძლიერდებოდა, და უცებ გორაკების მწვერვალებზე კვამლის სქელი, შავი ბოლქვები ავარდა. ბატონიშვილთან პენტუერისაგან გამოგზავნილმა მეთაურმა მიირბინა და მოახსენა, პატროკლეს ლეგიონებმა ლიბიელების ბანაკს ცეცხლი გაუჩინაო.

– გაარღვიეთ ცენტრი! – ბრძანა მთავარსარდალმა.

რამდენიმე ბუკმა ერთიმეორის მიმდევნოდ დაუკრა ნიშანი „იერიშზე“. ხოლო როცა მათი ხმა მიწყდა, ცენტრალურ კოლონაში გაისმა ბრძანება, დაფების რიტმული რაკრაკი და ქვეითელთა ფეხების მწყობრი ბრაგა-ბრუგი.

ბრძანება განმეორებულ იქნა მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე. კვლავ აბაგუნდნენ დაფები, და კოლონებიც წინ დაიძრნენ.

ლიბიელთა მეშურდულეებმა უკანდახევა იწყეს, თან ქვას ქვაზე აყრიდნენ ეგვიპტელთა ჯარს. თუმცა წამდაუწუმ ეცემოდნენ მეომრები, მაგრამ კოლონები მწყობრი ნაბიჯით წინსვლას განაგრძობდნენ: ერთი... ორი! ერთი... ორი!

მტვრის ყვითელი სვეტები, რომლებიც აღნიშნავდა ეგვიპტელთა ლეგიონების მოძრაობას, სულ უფრო სქელდებოდა. მეშურდულეთ

უკვე აღარ შეეძლოთ ქვების სროლა. ჩამოვადა ერთგვარი სიჩუმე, რომელსაც დაჭრილი მეომრების კვნესა და მოთქმა არღვევდა.

– ისინი ვარჯიშის დროსაც კი ასე კარგად არ მიაბიჯებდნენ, – მიმართა თავის შტაბს ბატონიშვილმა.

– დღეს ჯოხების არ ეშინიათ, – წაიბუტბუტა ძველმა ოფიცერმა.

მანძილი შეტევაზე გადასულ ეგვიპტელ ჯარებსა და ლიბიელებს შორის ყოველ წუთს მოკლდებოდა, მაგრამ ბარბაროსები ადგილიდან არ იძვროდნენ. უცებ მათი ხაზის გადაღმა რაღაც გრძელი ჩრდილი გამოჩნდა. უთუოდ ცენტრს, რომელსაც იერიში ემუქრებოდა, მაშველი რაზმი უახლოვდებოდა.

მემკვიდრემ ჩამოირბინა გორაკიდან და ცხენს მოახტა. ხევებიდან გამოვიდნენ უკანასკნელი ეგვიპტელი მოთადარიგენი, დაეწყვნენ და ბრძანებას ელოდნენ. ქვეით ჯარს უკან მოჰყვა რამდენიმე ასეული აზიელი მხედარი, რომლებიც ტანმორჩილ, მაგრამ მაგარ გამძლე ცხენებზე ისხდნენ.

ბატონიშვილმა მოიერიშე რაზმებისაკენ გააჭენა ცხენი, ასი ნაბიჯი რომ გაიარა, შეხვდა ახალი, არცთუ მაღალი გორაკი, რომლიდანაც მთელი ბრძოლის ველის დანახვა შეიძლებოდა. მას უკან მიჰყვნენ ამალა, აზიელი მხედრები და სათადარიგო რაზმეული.

მემკვიდრემ მოუთმენლად გაიხედა მარცხენა ფრთისკენ, საიდანაც მენტესუფისი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ იგი ჩანდა. ლიბიელები ადგილიდან არ იძვროდნენ. მდგომარეობა ყოველ წუთს უფრო და უფრო სერიოზული ხდებოდა.

რამზესის კორპუსი ყველაზე ძლიერი იყო, მაგრამ მის წინააღმდეგ ლიბიელთა თითქმის მთელი ძალები იდგა. რიცხობრივად ორივე მხარე თანაბარი იყო. მემკვიდრეს გამარჯვებაში ეჭვი არ შესდიოდა, მაგრამ ის აზრი აღელვებდა, რომ ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგეს დიდი ზიანის მიყენება შეეძლო.

მაგრამ ბრძოლას თავისი მოულოდნელი მომენტები აქვს. იმ ძალებზე, რომლებიც იერიშზე გადავიდნენ, მთავარსარდლის გავლენა უკვე აღარ ვრცელდებოდა და ისინი მას აღარ ეკუთვნოდნენ.

მემკვიდრის განკარგულებაში მხოლოდ სათადარიგო ლეგიონი და ცხენოსნების მცირერიცხოვანი რაზმი იმყოფებოდა. ეგვიპტელთა

რომელიმე კოლონა რომ დამარცხდეს ანდა მტერს რომ ახალმა დამხმარე ძალებმა მოუსწრონ...

ბატონიშვილმა შუბლზე ხელი გადაისვა. ამ მომენტში მან იგრძნო მთავარსარდლის მთელი პასუხისმგებლობა. ის იმ მოთამაშეს მიაგავდა, რომელმაც მთელი თავისი თანხა გამოიღო, კამათელი უკვე გააგორა და ელის, როგორ დაჯდება.

ეგვიპტელები ლიბიელებისაგან რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე იმყოფებოდნენ. ბრძანება... ბუკები... დაფები უფრო სწრაფად ახმაურდნენ და მწკრივები სირბილით გაემართნენ წინ. მაგრამ მტრის მხრიდანაც გაისმა ბუკის ხმა, მეომრებმა მოიმარჯვეს შუბები, აბაგუნდა დაფები... სირბილით!.. ავარდა მტვრის ახალი კორიანტელი და ყველაფერი თვალშეუვალ ნისლში გაეხვია. გაისმა ადამიანთა ღრიალი, შუბების ლაწუნი და გულისმომკვლელი კვნესა, რომელიც მსწრაფლ ინთქებოდა საერთო ხმაურში.

ბრძოლის მთელ ხაზზე არ ჩანდა არც ადამიანები, არც მათი იარაღი, მხოლოდ ყვითელი მტვერი გაწოლილიყო ვეება გველივით. ნისლის უფრო სქელი ფარდა იმ ადგილს აღნიშნავდა, სადაც კოლონები ხელჩართულ ბრძოლაზე იყვნენ გადასული, ხოლო უფრო თხელი – სადაც გარღვევა იყო.

ჯოჯოხეთური ხმაურის რამდენიმე წუთის შემდეგ მემკვიდრემ შეამჩნია, რომ მტვრის ღრუბელი მარცხენა ფრთაზე თანდათანობით უკან იხევს.

– გააძლიერეთ მარცხენა ფრთა! – ბრძანა მან.

მოთადარიგეთა ნახევარმა მითითებული მიმართულებით გაჰკურცხლა და ყვითელ ღრუბელში მიიმალა. მაგრამ მარცხენა ფრთა უკვე გასწორდა და ერთდროულად მარჯვენამაც ნელი წინსვლა იწყო, ხოლო ცენტრი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ადგილიდან არ იძვროდა.

– გააძლიერეთ ცენტრი! – ბრძანა ბატონიშვილმა.

მოთადარიგეთა მეორე ნახევარი დაიძრა წინ და მტვრის ღრუბელს მიეფარა, ყვირილი წუთით გაძლიერდა, მაგრამ წინსვლა არ ეტყობოდა.

– ყოჩაღად იბრძვიან არამზადები! – მიმართა მემკვიდრეს მისი

ამალის ერთმა ძველმა ოფიცერმა. – სწორედ დროა მენტესუფისი მოგვეშველოს. ბატონიშვილმა აზიელ მხედართა მეთაური იხმო.

– გაიხედე იქით, მარჯვნივ, – უთხრა მან, – იქ გარღვევა უნდა იყოს. სოლისებურად შეიჭერი ფრთხილად, რომ ჩვენი ჯარისკაცები არ გათელო, და ამ ძაღლების ცენტრალურ კოლონას გვერდიდან დაარტყი.

– ისინი, თითქოს ჯაჭვით არიანო დაბმული, დიდი ხანია ერთ ადგილას დგანან, – სიცილით უპასუხა აზიელმა.

ბატონიშვილთან მან თავისი მხედრებიდან ოცი კაცი დატოვა, ხოლო დანარჩენების თანხლებით ჭენებით გაეშურა მისი ბრძანების შესასრულებლად.

აუტანელი სიცხე იდგა. რამზესი მხედველობასა და სმენას ძალზე ამახვილებდა და ცდილობდა განეჭვრიტა, რა ხდებოდა მტვრის კედელს იქით. უცებ მხიარულად წამოიყვირა: – შუალა ღრუბელი შეირყა და წინ წამოიწია. შემდეგ კვლავ შეჩერდა... კვლავ წამოიწია... და ნელ-ნელა იწყო წინ წამოწევა.

ისეთი გუგუნი ატყდა, რომ შეუძლებელი იყო გაგება, რას მოასწავებდა იგი: გააფთრებას, გამარჯვებას თუ დამარცხებას.

ლიბიელთა მარჯვენა ფრთა უეცრივ რაღაც უცნაურად შეტორტმანდა, გადაიზნიქა და უკანდახევა იწყო, მის უკან მტვრის ახალი ბოლქვები გამოჩნდა. ამ დროს ბატონიშვილთან პენტუერმა ცხენი მიაყენა და დაიყვირა:

– პატროკლე ლიბიელებს ზურგიდან უვლის!

მარჯვენა ფრთაზე არევ-დარევა იზრდებოდა და ცენტრს უახლოვდებოდა. ჩანდა, ლიბიელები უკანდახევას იწყებდნენ და არეულობა მათს მთავარ კოლონებსაც მოედო.

მთავარსარდლის მთელი შტაბი გაფაციცებით უკვირდებოდა ყვითელი ღრუბლის გადანაცვლებას. მალე მარცხენა ფრთასაც დაეტყო აღრევა. იქ ლიბიელებმა უკვე გაქცევა დაიწყეს.

– ხვალინდელი დღე არ გამითენდეს, თუ ეს უკვე გამარჯვება არ იყოს! – წამოიძახა ერთმა ძველმა ოფიცერმა.

ქურუმებისაგან, რომლებიც ყველაზე მაღალი გორაკიდან უცქეროდნენ ბრძოლის მსვლელობას, მდევარმა მოირბინა და აცნობა ბა-

ტონიშვილს, მათს მარცხენა ფრთაზე მენტესუფისის რაზმები გამოჩნდნენ და ლიბიელები სამი მხრით გარემოცული არიანო,

– ყველანი უკვე გაიქცეოდნენ, როგორც დამფრთხალი ფურ-ირმები, – ამბობდა იგი და სულს ძლივს ითქვამდა, – რომ ხელს ქვიშა არ უშლიდეს.

– გამარჯვება! მარად ცოცხლობდე, ჩვენო ბელადო! – შესძახა პენტუერმა.

დღის მხოლოდ სამი საათი იყო.

აზიელმა მხედრებმა სიმღერა წამოიწყეს და ბატონიშვილის საპატივცემოდ ჰაერში ისრებს ტყორცნიდნენ. შტაბის წევრები ჩამოქვეითდნენ, ბატონიშვილის ფეხებს მისცვივდნენ, უნაგირიდან გადმოიყვანეს, მაღლა ასწიეს და შესძახეს:

– ძლიერო სარდალო! შენ გასთელე ეგვიპტის მტრები! ვის შეუძლია წინააღგიდგეს შენ?

ამასობაში ლიბიელები, რომლებიც სულ უკან იხევდნენ, სამხრეთ ქვიშოვან გორაკზე ავიდნენ, – ეგვიპტელები მათ კვალდაკვალ მისდევდნენ. ახლა მტვრის ბოლქვებიდან უკვე ყოველ წუთს ჩნდებოდნენ მხედრები და რამზესთან მოჰქროდნენ.

– მენტესუფისმა მათ ზურგიდან შემოუარა! – ყვიროდა ერთი.

– ორი ასეული დაგვნებდა! – იძახდა მეორე.

– პატროკლე მტერს ზურგიდან უვლის!

– ლიბიელებს სამი დროშა წავართვით: ვერძის, ლომისა და ქორის!

შტაბის გარშემო სულ უფრო და უფრო იყრიდნენ თავს მდევრები. ადამიანები ერთიანად სისხლსა და მტვერში იყვნენ მოსვრილი.

– მარად იცოცხლე! იცოცხლე მარად, ბელადო!..

ბატონიშვილი ხან იცინოდა, ხან კინაღამ ატირდა აღგზნებისაგან.

– ღმერთებმა შემიწყალეს, – თქვა მან. – მეგონა, ბრძოლას წავაგებდით... სამწუხაროა სარდლის ხვედრი, რომელსაც ქარქაშიდან მახვილი არ ამოუღია და ვერაფერს ხედავს, მაგრამ ვალდებულია ყველაფერზე პასუხი აგოს.

– მარად იცოცხლე, ძლევამოსილო ბელადო! – გაისმოდა შეძახილები.

– კარგი გამარჯვებაა, თქვენმა მზემ, – გაიცინა რამზესმა, – როცა ისიც კი არ ვიცი, როგორ მოვიპოვე იგი.

– ბრძოლა მოიგო და თვითონ უკვირს, როგორ მოხდა ეს, – წამოიძახა ვიღაცამ ამალიდან.

– გეუბნებით, მე მაინც ვერ გავიგე, რა არის ბრძოლა.

– დამშვიდდი, ბელადო, შენ ისე ბრძნულად დააწყვე ჯარები, – უპასუხა პენტუერმა, – რომ მოპირდაპირე უნდა დამარცხებულიყო, ხოლო რა სახით? ეს უკვე ლეგიონების საქმე იყო.

– მე არც კი შევხებივარ. მახვილს! არც ერთი ლიბიელი არ მინახავს! – ჩიოდა ბატონიშვილი.

სამხრეთ გორაკებზე ჯერ კიდევ ირეოდა ყველაფერი და დუღდა, მაგრამ ველზე მტვერი უკვე ძირს ეფინებოდა. აქა-იქ, ვით ნისლში, ეგვიპტელ მეომართა ჯგუფების უკვე მაღლა აწეული შუბები მოჩანდა.

მემკვიდრემ იმ მიმართულებით მიაბრუნა ცხენი და მიტოვებული ბრძოლის ველისკენ გაექანა, სადაც რამდენიმე წუთის წინ ცენტრალური კოლონების შეტაკება წარმოებდა. ეს იყო რამდენიმე ას ნაბიჯზე გაშლილი მოედანი, რომელიც მთლად გადათხრილი იყო ღრმა ორმოებით და დაჭრილ-დახოცილთა გვამებით დაფარული. იმ მხარეს, საიდანაც მოვიდა ბატონიშვილი, ყოველ რამდენიმე ნაბიჯზე არეულად ეყარნენ დახოცილი ეგვიპტელები და ლიბიელები, უფრო მოშორებით კი თითქმის მხოლოდ ლიბიელები.

მემკვიდრემ სწრაფად ჩაუარა ამ ადგილს და ცოტა მოშორებით ტყვეების პირველ ჯგუფს შეხვდა, რომლებიც მის წინ პირქვე დაემხნენ და შეწყნარება შესთხოვეს.

– დამარცხებულთ, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, შეწყალება აღუთქვით, – მიმართა რამზესმა თავის ამალას.

რამდენიმე მხედარმა სხვადასხვა მიმართულებით გაჰკურცხლა.

მალე ბუკის ხმა გაისმა, ხოლო მას ხმამაღალი ძახილი მოჰყვა:

– მემკვიდრე-მთავარსარდლის ბრძანება, დაჭრილები და ტყვეები არ დახოცოთ.

ამასობაში სამხრეთ გორაკებზე ბრძოლა შეწყდა და ლიბიელების უფრო მსხვილმა ორმა რაზმმა ბერძენთა ლეგიონების წინაშე იარაღი დაყარა.

სახელოვანი პატროკლე, რომელიც სიცხის გამო, როგორც თვითონ ამბობდა, თუ მაგარი სასმელების ზეგავლენით, როგორც სხვები ფიქრობდნენ, ძლივს იჯდა ცხენზე. მან აცრემლებულ თვალებზე ხელი მოისვა და ტყვეებს მიმართა:

– ქეციანო ძაღლებო, – უყვიროდა იგი, – თქვენ ცოდვილი ხელები აღმართეთ ფარაონის ჯარების წინააღმდეგ! ღვთისმოსავი ეგვიპტელის ქუსლებს ქვეშ მატლივით იქნებით გასრესილი, თუ ახლავე არ იტყვით, სად წავიდა თქვენი წინამძღოლი.

ამ დროს მემკვიდრე მივიდა. გენერალი მას მოკრძალებით მიესალმა, თან დაკითხვას განაგრძობდა.

– მე ვუბრძანებ, თქვენი ტყავი ღვედებად დაჭრან და ყველას სარზე ჩამოვაცვამთ, თუ ახლავე არ მეტყვით, სად არის ის შხამიანი გველი?

– აი სად არის ჩვენი ბელადი! – წამოიძახა ერთმა ლიბიელმა და უდაბნოში ნელი ნაბიჯით მიმავალ მხედართა ჯგუფზე მიუთითა.

– ეს რა ამბავია? – იკითხა ბატონიშვილმა.

– მურტალი მუსავასა გაქცევით აპირებს თავს უშველოს! – უპასუხა პატროკლემ, რომელიც კინაღამ არ გადმოვარდა ცხენიდან. რამზესს თავში სისხლი აუვარდა.

– მაშ ის მუსავასა და გაქცევით ლამობს თავის გადარჩენას? ეი, ვისაც საუკეთესო ცხენები გყავთ, გამომყევით!

მემკვიდრეს პენტუერმა გზა გადაუჭრა.

– თქვენს უმაღლესობას არ მართებს გაქცეულების დევნა.

– როგორ? – აენთო ბატონიშვილი, – მთელი ბრძოლის განმავლობაში მახვილი ქარქაშიდან ერთხელაც არ ამომიღია და ახლა კიდევ ლიბიელების წინამძღოლი ხელიდან გავუშვა?.. რას იფიქრებენ ჩემი მეომრები, რომლებსაც მე სასიკვდილოდ ვგზავნიდი?

– ჯარი უთავოდ არ შეიძლება დარჩეს!

– მაგრამ აქ არიან პატროკლეც. თუტმოსიც და მენტესუფისიც კი. რაღა წინამძღოლი ვარ, თუ აკრძალული მაქვს მტერს დავედევნო! ისინი ხომ ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯზე იმყოფებიან და ცხენები ქანცგაწყვეტილი ჰყავთ.

– ჩვენ მალე დავბრუნდებით და ერთ საათში მათთან ერთად აქ

ვიქნებით, – ამბობდნენ აზიელი მხედრები.

– პატროკლეს თუტმოს! თქვენ გიტოვებთ ჯარს! – წამოიძახა ბატონიშვილმა, დეზები ჰკრა ცხენს და ჭენებით გაექანა. ცხენი ყოველ ნაბიჯზე ქვიშაში ეფლობოდა. ბელადს უკან დაედევნა ოცი მხედარი და თვით პენტუერიც.

– შენ სადღა მოდიხარ, წინასწარმეტყველო? – შეეკითხა რამზესი, – უკეთესია დაისვენო ის დიდი დახმარების შემდეგ, რომელიც დღეს გაგვიწიე.

– იქნებ კიდევ გამოგადგე, – უპასუხა პენტუერმა.

– მაგრამ ახლა დარჩი... მე გიბრძანებ...

– უმაღლესმა საბჭომ დამავალა ერთი ნაბიჯითაც არ დაგშორდე.

ბატონიშვილი შეძრწოლდა.

– კი, მაგრამ ჩვენ რომ ჩაგვისაფრდნენ? – შეეკითხა იგი.

– არც მაშინ მიგატოვებ, ჩემო ხელმწიფევ, – უპასუხა ქურუმმა, რომლის ხმაში ისეთი კეთილმოსურნეობა ისმოდა, რომ გაოცებულმა მემკვიდრემ კამათი აღარ დაუწყო.

თავი მეცხრამეტე

ისინი უდაბნოში შევიდნენ: მათგან ორასი ნაბიჯით უკან იყო არმია, წინ კი რამდენიმე ას ნაბიჯზე გარბოდა მტერი. მაგრამ რამდენსაც არ სცემდნენ მათრახს ცხენებს, ისინი, ვინც გარბოდა, და ისინიც, ვინც მათ მისდევდა, დიდი გაჭირვებით მიდიოდნენ წინ; ზევიდან აუტანელი პაპანება აჭერდა; პირში, ცხვირში და, რაც მთავარია, თვალებში მწვავე მტვერი ეყრებოდათ, ხოლო მათ ცხენებს გახურებული ქვიშა ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ ეცლებოდა, ჰაერში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

– მე ვფიქრობ, გზა გაუმჯობესდება, – თქვა რამზესმა.

– იგი კიდევ უფრო უარესი იქნება, – უპასუხა პენტუერმა, – შეხედე, ბატონიშვილო, გაქცეულთ, მათი ცხენები მუხლებამდე ეფლობიან ქვიშაში.

ბატონიშვილმა გაიცინა. სწორედ ამ დროს მათ უფრო მტკიცე ნიადაგზე შედგეს ფეხი და ცხენებმა ასიოდე ნაბიჯი ჭენებით გაირბი-

ნეს, მაგრამ მალე ისევ გზა გადაუღობა ქვიშის ზღვამ და კვლავ ძლივ-სღა მიჩანჩალებდნენ.

ადამიანებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, ცხენებს კი ტანზე ქაფი მოედო.

– სიცხეა! – წამოიძახა ბატონიშვილმა.

– ყური მიგდე, ხელმწიფევ! – მიმართა პენტუერმა, – ცუდი ამინდია დღეს უდაბნოში დადევნებისათვის. დილიდახვე საღვთო მწერები ერთობ მოუსვენრობდნენ, შემდეგ კი გარინდებამ მოიცვა. ჩემი საქუ-რუმო დანაც თიხის ქარქაშში ვეღარ ჩავაგე, რაც იშვიათი პაპანების მომასწავებელია. ხოლო ორივე ეს მოვლენა – სიცხე და მწერების გა-რინდება შესაძლებელია გრიგალის ნიშანი იყოს. ამიტომ, უმჯობე-სია, უკან დავბრუნდეთ. ბანაკი არათუ აღარ მოჩანს, იქიდან ჩვენამდე ხმაურიც კი არ აღწევს..

რამზესმა ქურუმს თითქმის ზიზღით გადახედა.

– შენ გგონია, წინასწარმეტყველო, – უთხრა მან, – რომ მას შემდეგ, რაც მუსავასას დაჭერა აღვთქვი, შემიძლია ხელცარიელი დავბრუნდე პაპანებისა და ქარიშხლის შიშით?

ისინი გზას განაგრძობდნენ. ერთგან ისევ მაგარი ნიადაგი დახ-ვდათ და მდევრები გაქცეულებს შურდულის ქვის სასროლზე მიუახ-ლოვდნენ.

– ეი, თქვენ, მანდ! – დაუყვირა მემკვიდრემ, – დაგვნებდით!

ლიბიელებს უკან არც კი მოუხედიათ, დიდი გაჭირვებით მიდიოდ-ნენ ქვიშაზე. წუთით შეიძლებოდა გვეფიქრა, მდევარნი ეს-ეს არის დაეწევიან, მაგრამ მალე მემკვიდრის რაზმი ისევ ღრმა ქვიშაში ჩაეფ-ლო, ხოლო ლტოლვილებმა ნაბიჯი ააჩქარეს და ბორცვებს მიეფარ-ნენ.

აზიელები მათ კრულვას უგზავნიდნენ. ბატონიშვილმა კი კბილე-ბი დააღრჭიალა.

ცხენები უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდნენ და შეჩერება იწ-ყეს. მხედრები იძულებული გახდნენ ჩამოქვეითებულიყვნენ და ფე-ხით ევლოთ. უეცრივ ერთი აზიელთაგანი მთლად წამოწითლდა და ქვიშაზე გაიშხლართა. რამზესმა ბრძანა მისთვის ლაბადა დაეხურათ და თქვა:

– უკან დაბრუნებისას წავიღებთ.

დიდი გაჭირვებით მიაღწიეს ქვიშიანი მაღლობის მწვერვალს და დაინახეს ლიბიელები; ორი ცხენი დაუდგათ.

ეგვიპტელების ბანაკი მთლიანად მიეფარა თვალს და, პენტუერსა და აზიელებს რომ მზეზე ორიენტირება არ სცოდნოდათ, რაზმი ბანაკში დაბრუნებას ვეღარ შეძლებდა.

ბატონიშვილის ამალიდან დავარდა კიდევ ერთი მხედარი, მას პირიდან სისხლიანი ქაფი ამოსდიოდა. მხედარი ცხენთან ერთად იქვე დატოვეს.

წინ ქვიშნარში კლდეები გამოჩნდა, რომელთაც ლიბიელები მიეფარნენ.

– ხელმწიფევ, – მიმართა ბატონიშვილს პენტუერმა, – იქ შეიძლება ჩასაფრებული იყვნენ.

– დაე, იქ თვით სიკვდილიც ჩამისაფრდეს! – შეცვლილი ხმით უპასუხა რამზესმა.

ქურუმმა მას გაოცებით შეხედა. ასეთ გაჯიუტებას მისგან არ ელოდა.

გზა წარმოუდგენლად გაუვალი იყო. ძლივს მიაბიჯებდნენ და ამასთან ქვიშნარიდან ცხენების ამოთრევაც უხდებოდათ. ყველანი ქვიშაში მუხლებამდე ეფლობოდნენ და ასე მიჩანჩალებდნენ.

ცაზე კი კვლავ ენთო მზე, უდაბნოს მრისხანე მზე, რომლის თითოეული სხივი არა მარტო წვავდა და აბრმავებდა მგზავრს, არამედ ბუგავდა კიდეც. ყველაზე მეტად ამტანი აზიელებიც კი დაღლილობისაგან ეცემოდნენ; ერთს ენა და ტუჩები დაუსივდა, მეორეს თავი უბრუოდა და თვალწინ შავი წინწკლები უტრიალებდა, მესამეს თვლემა მოერია; ყველანი სახსრებში მტვრევას უჩიოდნენ და სიცხის შეგრძნება დაკარგეს. რომელიმე მათგანს რომ შეჰკითხებოდნენ, გცხელა თუ არაო, იგი პასუხს ვერ გასცემდა.

ნიადაგი კვლავ მყარი გახდა და რამზესის რაზმმა კლდეებს მიაღწია. ბატონიშვილს, რომელიც ყველაზე მხნედ იყო, ცხენების ფთხვინვა შემოესმა, განზე შეუხვია და კლდის ჩრდილში ადამიანთა ჯგუფი დაინახა. ესენი იყვნენ ლიბიელები.

ერთ მათგანს – ოცი წლის ჭაბუკს – ეცვა მეწამული ფერის მოქარ-

გული პერანგი, კისერზე ოქროს ძეწკვი ეკიდა და ძვირფასქარქაშიანი ხმალი ერტყა. იგი უგრძნობლად ეგდო მიწაზე, თვალები ჩავარდნოდა, ტუჩებზე დუჟი გადმოსდიოდა. რამზესმა მასში წინამძღოლი შეიცნო, მივიდა, კისრიდან ძეწკვი ჩამოგლიჯა და ხმალი შემოხსნა.

ამის დანახვაზე, რომელიღაც მოხუცმა ლიბიელმა, რომელიც სხვებზე ნაკლებ ღონემიხდილი ჩანდა, რამზესს უთხრა:

– თუმცა შენ გამარჯვებული ხარ, ეგვიპტელო, მაგრამ მაინც პატივისცემით მოეპყარი მთავრის შვილს, რომელიც ჩვენი სარდალი იყო.

– ეს მუსავასას ვაჟია? – ჰკითხა რამზესმა.

– ტეხენაა, მუსავასას ვაჟი, – უპასუხა ლიბიელმა, ჩვენი წინამძღოლი, რომელიც ღირსია თვით ეგვიპტის მთავარი გახდეს.

– მუსავასა სადღა არის?

– მუსავასა დიდ ჯარს აგროვებს, რომელიც ჩვენი გულისათვის თქვენ სამაგიეროს გადაგიხდით.

დანარჩენი ლიბიელები ხმას არ იღებდნენ და გამარჯვებულთა დანახვაც კი არ სურდათ. ბატონიშვილის ბრძანებით აზიელებმა ისინი ადვილად განაიარაღეს და თვითონაც კლდის ჩრდილში ჩამოსხდნენ. ახლა მათ შორის არ იყვნენ არც მტრები და არც მეგობრები, იყვნენ მხოლოდ უზომოდ დაქანცული ადამიანები; ყველას სიკვდილი ემუქრებოდა, მაგრამ ისინი მხოლოდ დასვენებაზე ოცნებობდნენ.

პენტუერი ხედავდა, რომ ტეხენა გონს ვერ მოდიოდა, დაიჩოქა და მის თავზე ისე დაიხარა, რომ არავის არ შეემჩნია, რას აკეთებდა. მალე ტეხენამ სუნთქვა დაიწყო, აბორგდა და თვალები გაახილა, შემდეგ წამოჯდა და შუბლი მოიფხანა, თითქოს ღრმა ძილიდან ოდნავ გამოფხიზლდაო.

– ტეხენა, – ლიბიელების წინამძღოლო, - მიმართა რამზესმა, – შენ და შენი მეომრები ფარაონის ტყვეები ხართ.

– უმჯობესია აქვე მომკლა, წაილუღლუღა ტეხენამ, – ვიდრე თავისუფლება დავკარგო.

– თუ მამაშენი მუსავასა დამშვიდდება და ეგვიპტესთან ზავს დადებს, შენ კვლავ თავისუფალი და ბედნიერი იქნები.

ყველაფრისადმი გულგრილი ლიბიელი შებრუნდა და დაწვა, რამზესი მის გვერდით ჩამოჯდა და გარინდდა, ალბათ, ჩაეძინა.

იგი თხუთმეტი წუთის შემდეგ გამოფხიზლდა, გადახედა უდაბნოს და აღტაცებისაგან წამოიყვირა. ცის ტატნობზე მოჩანდა მცენარეულობა, წყალი, პალმების ტევრი, ხოლო უფრო მაღლა – სოფლები და ტაძრები.

მის გარშემო ყველას ეძინა – ლიბიელებსაც და აზიელებსაც. მხოლოდ პენტუერი, რომელიც ფრიალო კლდეზე იდგა, ხელისგულს თვალებზე იფარებდა და შორს იცქირებოდა.

– პენტერ პენტუერ! – მიაძახა რამზესმა. – ხედავ იმ ოაზისს?

იგი წამოხტა და მიირბინა ქურუმთან, რომლის სახეს რაღაც შეშფოთება ემჩნეოდა.

– ხედავ ოაზისს?

– ეს ოაზისი არ არის, – უპასუხა პენტუერმა, – არამედ უდაბნოში ცდომილი სული, რომელიღაც მხარისა, რომელიც უკვე აღარ არსებობს, იქ კი... – სამხრეთზე მითითებით დაუმატა მან.

– მთებია? – შეეკითხა ბატონიშვილი.

– კარგად დაუკვირდი!

მეფისწულმა დაკვირვებით იწყო ცქერა და უეცრივ წამოიძახა:

– მე მეჩვენება, რომ ზევით რაღაც ბნელი რამ ადის... ალბათ, თვალები დამექანცა...

– ეს ტიფონია,– უთხრა ქურუმმა,– მხოლოდ ღმერთებს ძალუძთ, თუ მოისურვებენ, ჩვენი გადარჩენა.

მართლაც, რამზესმა სახეზე ქროლვა იგრძნო, რომელიც უდაბნოს პაპანებაშიც კი ცხელად მოეჩვენა. ეს დასაწყისში ძალიან მსუბუქი ქროლვა თანდათან ძლიერდებოდა. უფრო მეტად ცხელი ხდებოდა და იმავე დროს ცისკენ საოცარი სისწრაფით მიიწევდა ბნელი ზოლი.

– რა ვქნათ? – შეეკითხა რამზესი ქურუმს.

– ეს კლდეები, – მიუგო ქურუმმა, – დაგვიცავს ქვიშისაგან, მაგრამ ვერ აგვაშორებს ვერც მტვერსა და ვერც პაპანებას, რომელიც ყოველ წუთში ძლიერდება. ერთი თუ ორი დღის შემდეგ კი...

– განა ასე ხანგრძლივად უბერავს ტიფონი?

– ზოგჯერ სამი-ოთხი დღე. მხოლოდ ხანდახან ამოვარდება იგი რამდენიმე საათით და სწრაფად ჩადგება, ვით ისრით განგმირული ქორი, მაგრამ ეს უფრო იშვიათად ხდება.

ბატონიშვილმა მოიწყინა, მაგრამ შიში არ უგრძვნია. ქურუმმა კი უბიდან მწვანე შუშა ამოიღო და უთხრა:

– ამაში ელექსირია... ეს რამდენიმე დღე უნდა იმყოფინო. როგორც კი ძილი ან შიში მოგერევა, რამდენიმე წვეთი დალიე და გამაგრდები.

– მერე შენ? ან დანარჩენები?

– ჩემი ბედი ღვთის ხელთაა.

– სხვებს რა ეშველებათ?

– ისინი ტახტის მემკვიდრენი არ არიან.

– მე არ მინდა ეს სასმელი, – უპასუხა ბატონიშვილმა და შუშას ხელი ჰკრა.

– უნდა აიღო! – დაჟინებით მოითხოვდა პენტუერი. – გახსოვდეს, რომ შენზე ამყარებს თავის იმედს ეგვიპტელი ხალხი... იცოდე, რომ შენ დაგტრიალებს თავს მისი ლოცვა-კურთხევა.

შავმა ღრუბელმა უკვე დაფარა ცის ნახევარი, და ცხელმა გრიგალმა ისეთი სიძლიერით დაქროლა, რომ მეფისწული და ქურუმი იძულებული შეიქნენ კლდის ძირში დაშვებულიყვნენ.

– ეგვიპტელი ხალხი? ლოცვა-კურთხევა? თავისთვის გაიმეორა ბატონიშვილმა და ანაზდად შეეკითხა:

– ეს შენ მელაპარაკებოდი ღამით ბაღში? ერთი წლის წინათ, მალე, მანევრები რომ დამთავრდა?

– დიახ, იმ დღეს, როდესაც შენ შეიბრალე გლეხი, რომელსაც მწუხარებისაგან თავი ჩამოეხრჩო იმის გამო, რომ მის მიერ გათხრილი არხი ამოუვსეს, – უპასუხა ქურუმმა.

– და ეს შენ გადაარჩინე ჩემი სახლი და ებრაელი ქალი სარა, რომელსაც ბრბო ჩაქოლვით ემუქრებოდა?

– მე, – უპასუხა პენტუერმა, – შენ კი მალე გაათავისუფლე საპყრობილედან უდანაშაულო გლეხები და დაგონს ნება არ მიეცი, ახალი გადასახადებით შეევიწროებინა შენი ხალხი. ამ ხალხისათვის, იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც მის. მიმართ შენ მუდამ იჩენდი, მე ახლაც გლოცავ... შეიძლება მხოლოდ შენ გადარჩე, მაგრამ გახსოვდეს, რომ გიფარავს დაჩაგრული ეგვიპტელი ხალხი, რომელიც ხსნას შენგან მოელის.

უეცრად დაბნელდა, ზევიდან გახურებული ქვიშის წვიმა წამოვიდა

და ისეთი გრიგალი ამოვარდა, რომ თავშესაფარს მოკლებულ ადგილას მდგომი ცხენი წააქცია. აზიელებსა და ლიბიელ ტყვეებს გამოეღვიძათ. მაგრამ ყველანი კლდის ძირს მიეკვრნენ და შიშით შეპყრობილნი დუმდნენ.

დედამიწაზე წყვდიადი დაეშვა, ცაზე საშინელი სისწრაფით მიჰქროდა ქვიშის წითელი და შავი ღრუბლები. გეგონებოდათ, მთელი უდაბნოს ქვიშა გაცოცხლდა, ზევით ავარდა და სადღაც შურდულით გასროლილი ქვის სისწრაფით მიფრინავსო.

სიცხისაგან ადამიანებს ხელებისა და პირისახის კანი უსკდებოდათ, ენა უშრებოდათ და ყოველი ამოსუნთქვის დროს მკერდში ჩხვლეტას გრძნობდნენ. უწვრილესი ქვიშის მარცვლები ნაპერწკალივით მწველი იყო.

პენტუერმა ბატონიშვილს პირთან ძალით მიუტანა შუშა. რამზესმა რამდენიმე წვეთი გადაყლაპა და არაჩვეულებრივი შემსუბუქება იგრძნო: ტკივილი და სიცხე აღარ ტანჯავდა, აზრმა კვლავ თავისუფლება მოიპოვა.

– შეიძლება რამდენიმე დღე ასე გასტანოს? – შეეკითხა იგი ქურუმს.

– ოთხი დღე, – უპასუხა. ქურუმმა.

– და თქვენ, ბრძენებმა, ღმერთების მახლობელმა პირებმა არ იცით, როგორ დაიხსნათ ასეთი ქარიშხლისაგან ადამიანები?

პენტუერი ჩაფიქრდა.

– ქვეყნად მხოლოდ ერთი ბრძენია, – უპასუხა მან, – რომელსაც ძალუძს ებრძოლოს ბოროტ სულებს... მაგრამ იგი აქ არ არის...

თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ტიფონი წარმოუდგენელი სიმძაფრით უბერავდა, ღამესავით დაბნელღა; ხოლო როდესაც ქარი ოდნავ ჩადგა და კვამლის შავი ბურანი ცოტათი გაიფანტა, ცაზე სისხლივით წითელი მზე გამოჩნდა, რომელიც დედამიწას ავისმომასწავებელ ჟანგიან სინათლეს უგზავნიდა. მაგრამ გახურებული, სულშემხუთავი გრიგალი მალე ისევ ახალი ძალით ამოვარდა: მტვრის კორიანტელი კვლავ სქელდებოდა, უღიმღამო სინათლე ქრებოდა და ჰაერში ადამიანის ყურისათვის უჩვეულო შრიალი და ხმაური ისმოდა.

ბატონიშვილმა უცებ შეამჩნია, რომ პენტუერი მის გვერდით აღარ იმყოფებოდა. მან სმენა გაამახვილა და ძახილი შემოესმა:

– ბეროეს! ბეროეს თუ არა შენ, სხვა ვინ გვიშველის? ბეროეს... ყოვლისშემძლე ერთის სახელით, რომელსაც დასაბამი და დასასრული არა აქვს, შემოგღაღადებ!

უდაბნოს ჩრდილოეთ ნაწილში ჭექა-ქუხილი გაისმა. ბატონიშვილი შეკრთა. ეგვიპტელისათვის ქუხილი ისეთივე იშვიათი მოვლენა იყო, როგორც კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა.

– ბეროეს! ბეროეს! – ხმამაღლა გაიმეორა ქურუმმა.

ბატონიშვილი გაფაციცებით იცქირებოდა იმ მხარისაკენ, საიდანაც მოისმოდა ხმა, და ხელაპყრობილი ადამიანის ბნელი ფიგურა შეამჩნია. ამ ფიგურას თავიდან, თითებიდან და ტანსაცმლიდანაც კი მუქ-ცისფერი ნაპერწკლები სცვიოდა...

– ბეროეს! ბეროეს!

ხანგრძლივი ჭექა-ქუხილი უფრო ახლოს მოისმა, ქვიშის ღრუბლებიდან ელვამ გამოანათა და უდაბნო წითლად გააშუქა.

კვლავ ქუხდა და ელავდა.

მემკვიდრემ იგრძნო, რომ გრიგალის ძალა სუსტდებოდა და პაპანება მცირდებოდა, ქვიშის კორიანტელი დაბლა ეშვებოდა, ცა განაცრისფერდა, მერე მიხაკისფერი გახდა და შემდეგ რძისებრ თეთრი შეიქნა. ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა, ხოლო წუთის შემდეგ ერთხელ კიდევ დაიქუხა და ჩრდილოეთის ცივმა ქარმა დაუბერა.

ხვატით მოქანცული აზიელები და ლიბიელები გამოფხიზლდნენ.

– ფარაონის მეომრებო! – მიმართა მათ ანაზდად მოხუცმა ლიბიელმა. – გესმით თუ არა ეს ხმაური უდაბნოში?

– კვლავ ქარიშხალია?

– არა, ეს წვიმაა.

მართლაც ციდან ჯერ რამდენიმე ცივი წვეთი ჩამოვარდა, შემდეგ წვიმა გაძლიერდა, ბოლოს, კოკისპირული წამოვიდა და თან ელვა-ქუხილი მოჰყვა.

რამზესის მეომრები და მათი ტყვეები უდიდესმა სიხარულმა მოიცვა. ისინი ჭექა-ქუხილს ყურადღებას არ აქცევდნენ და წუთის წინ ხვატისა და წყურვილისაგან განაწამი ადამიანები წვიმის ქვეშ ბავშვე-

ბივით ხტოდნენ; სიბნელეში თვითონაც იბანდნენ და ცხენებსაც ბანდნენ. ქუდებსა და ტიკებში წყალს იმარაგებდნენ და სვამდნენ და სვამდნენ...

– განა ეს სასწაული არ არის? – წამოიძახა რამზესმა. – რომ ეს კურთხეული წვიმა არა, ჩვენ უეჭველად დაგვღუპავდა უდაბნოს ცხელი ტიფონი.

– მოხდება ხოლმე, – უთხრა მოხუცმა ლიბიელმა, – რომ სამხრეთის ქარი გამოაჯავრებს ზღვაზე მოსეირნე ქარებს, რომელთანაც კოკისპირული წვიმა მოაქვთ.

ეს სიტყვები მემკვიდრეს არ ეჭაშნიკა: ის წვიმას პენტუერის ლოცვას მიაწერდა. იგი მიუბრუნდა მოხუც ლიბიელს და შეეკითხა:

– განა ისიც ხდება, რომ ადამიანის სხეულიდან ნაპერწკლები ცვიოდეს?

– ეგეც ჩვეულებრივი რამ არის, როდესაც უდაბნოს ქარი ჰქრის, – უპასუხა ლიბიელმა. – აი ახლაც ნაპერწკლები არა მარტო ადამიანებს, არამედ ცხენებსაც კი სცვივა.

ლიბიელი ისეთი დამშვიდებული კილოთი ლაპარაკობდა, რომ მემკვიდრე თავისი მხედრების მეთაურთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

– ლიბიელებს თვალყური ადევნეთ...

ამის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ სიბნელეში რაღაც შეინძრა და წუთის შემდეგ ცხენის ფეხის ხმა გაისმა. როდესაც ელვამ გაანათა უდაბნო, ეგვიპტელებმა შეამჩნიეს ცხენზე მჯდომი კაცი, რომელიც მიიპარებოდა.

– გაბაწრეთ ეს არამზადები, - დაიყვირა რამზესმა,– და სიცოცხლეს გამოასალმეთ. ის, ვინც წინააღმდეგობას გაგიწევთ ვაი შენი ბრალი, ტეხენავ, თუ იმ გარეწარმა ჩვენს წინააღმდეგ შენი მოძმენი მოიყვანა. საშინელ ტანჯვაში დალევთ სულს შენც და შენიანებიც!

წვიმის, ქუხილისა და სიბნელის მიუხედავად, რამზესის მეომრებმა ჩქარა და ადვილად გაბაწრეს ლიბიელები, რომელთაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. შესაძლებელია, ისინი ტეხენას ბრძანებას ელოდნენ, მაგრამ უკანასკნელი იმდენად დამწუხრებული იყო, რომ გაქცევაზე არც კი ფიქრობდა.

გრიგალი თანდათანობით ჩადგა და დღის პაპანება გამჭვალავმა

სიცივემ შეცვალა. ადამიანებმა და ცხენებმა წყურვილი მოიკლეს და მხედრებმა ტიკები წყლით აავსეს. ხურმა და ორცხობილა საკმაო ჰქონდათ. ჭექა-ქუხილი თანდათან მიწყნარდა. ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები გამოჩნდა.

პენტერი რამზესთან მივიდა.

– დავბრუნდეთ ბანაკში, – უთხრა მან, – ჩვენ შეგვიძლია უფრო ადრე მივაღწიოთ იქამდე, ვიდრე გაქცეული ლიბიელი აქ მტერს მოიყვანდეს.

– კი, მაგრამ ამ სიბნელეში გზას როგორ გავიკვლევთ? – შეეკითხა მემკვიდრე.

– თქვენ ჩირაღდნები გაქვთ? – ჰკითხა აზიელებს ქურუმმა.

ჩირაღდნები – საწვავი ნივთიერებით გაჟღენთილი ძენძის ჩალიჩები – ყველა მეომარს აღმოაჩნდა, მაგრამ ცეცხლი არ ჰქონდათ.

– დილამდე მოცდა მოგვიხდება, – გაჯავრებით ჩაილაპარაკა რამზესმა.

პენტუერმა არა უპასუხა რა. თავის ტომიდან პატარა ჭურჭელი ამოიღო, ერთ მეომარს ჩირაღდანი გამოართვა და მოშორებით გავიდა. ერთი წუთის შემდეგ ჩუმი შიშხინი გაისმა და ჩირაღდანი აენთო.

– ეს ქურუმი დიდი ჯადოქარია, – წაიბუტბუტა მოხუცმა ლიბიელმა.

– ჩემს თვალწინ შენ უკვე მეორე სასწაული მოახდინე, – მიმართა პენტუერს მემკვიდრემ. – შეგიძლია თუ არა განმიმარტო, როგორ მოახერხე ცეცხლის გაჩენა?

ქურუმმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

– ყველაფერი მკითხე ჩემო ბატონო, -– უთხრა მან, მეც გიპასუხებ, რამდენადაც ჩემი სიბრძნე ამისათვის მეყოფა, მაგრამ ნურასოდეს ნუ მომთხოვ, რომ ჩვენი ტაძრების საიდუმლოება გამოვამჟღავნო.

– მაშინაც კი, თუ ჩემს მრჩეველად დაგნიშნავ?

– მაშინაც! მე არასოდეს გამცემი არ გავხდები და კიდეც რომ განვიზრახო, სასჯელის შემეშინდება.

– სასჯელის? – დაფიქრდა ბატონიშვილი. – ჰო, დიახ! მე მახსოვს კაცი ხატორის ტაძრის ჯურღმულში, რომელსაც ქურუმები ფისს ასხამდნენ. ნუთუ ამას ისინი ნამდვილად სჩადიოდნენ? და ის კაცი მართლაც წამებაში მოკვდა?

პენტუერი დუმდა, თითქოს კითხვა არც კი გაუგონიაო. მან თავისი უცნაური ტომრიდან ღმერთის ხელებგაშვერილი პატარა ქანდაკება ამოიღო. ქანდაკება თოკზე ეკიდა. ქურუმმა ის ძირს დაუშვა, ლოცვას ჩურჩულებდა და უკვირდებოდა. ქანდაკება ჰაერში რამდენჯერმე შეირხა, თოკზე მოტრიალდა და ბოლოს წყნარად ჩამოეკიდა.

რამზესი ჩირაღდნის სინათლეზე გაკვირვებული უცქეროდა ქურუმის ასეთ საიდუმლო მოქმედებას.

– რას აკეთებ? – შეეკითხა იგი.

– შემიძლია მხოლოდ ის გითხრა, – უპასუხა პენტუერმა, – რომ ეს ღმერთი ცალი ხელით ვარსკვლავ ესხმუნზე[1] მიუთითებს, რომელიც ღამით ფინიკიელთა ხომალდებს გზას უჩვენებს. ამ ღვთაების დახმარებით ყოველ წინასწარმეტყველს გზის გაკვლევა შეუძლია დღისით თუ ღამით, დარში თუ ავდარში, ზღვაზე თუ უდაბნოში.

ბატონიშვილის განკარგულებით, რომელიც ანთებული ჩირაღდნით მიდიოდა პენტუერის გვერდით, ბადრაგა და ტყვეები ჩრდილო-აღმოსავლეთით გაემართნენ. თოკზე ჩამოკიდებული ღვთაება ქანაობდა, მაგრამ გაშვერილი ხელით მაინც უჩვენებდა, სად მდებარეობდა გზააბნეული მგზავრის მფარველი წმიდა ვარსკვლავი.

ისინი ჩქარი ნაბიჯით ქვეითად მიდიოდნენ და ცხენები თან მიჰყავდათ. ისეთი მსუსხავი სიცივე იყო, რომ აზიელები ხელებს სულს უბერავდნენ, ლიბიელები კი კანკალებდნენ.

უეცრივ მათს ფეხებს ქვეშ რაღაცამ გაიტკაცუნა, პენტუერი შეჩერდა და დაიხარა.

– ამ ადგილას, – თქვა მან, – მაგარ ნიადაგში წვიმამ პატარა გუბე შექმნა და შეხედე, რა მოუვიდა წყალს.

ეს რომ უთხრა, აიღო და რამზესს რაღაც შუშის ფირფიტის მსგავსი უჩვენა, რომელიც ხელში უდნებოდა.

– როდესაც ძლიერ ცივა, – განმარტა მან, – წყალი გამჭვირვალე ქვად იქცევა.

აზიელებმა ქურუმი ნათქვამი დაადასტურეს და დაუმატეს, რომ შორს ჩრდილოეთში წყალი ძალიან ხშირად ქვავდება, ხოლო ორთქლი უგემურ თეთრ მარილად იქცევა, რომელიც თითებს მხოლოდ

[1] ესხმუნი – პოლარული ვარსკვლავი.

სუსხავს და კბილებში ტკივილს იწვევს.

მემკვიდრეს უფრო და უფრო მეტად აოცებდა პენტუერის სიბრძნე.

ამასობაში ჩრდილოეთის მხარეს ცა მოიწმინდა, გამოჩნდა დათვის თანავასკვლავედი და მასში ვარსკვლავი ესხმუნი. ქურუმმა კვლავ წარმოთქვა ლოცვა. ტომარაში ჩადო გზის მაჩვენებელი ქანდაკება, უბრძანა ჩაექროთ ჩირაღდნები და ცეცხლის შესანარჩუნებლად დაეტოვებინათ მბჟუტავი ბაწარი, რომელიც ნელა იწვოდა და დროს უჩვენებდა.

ბატონიშვილმა უბრძანა თავის რაზმს სიფრთხილე დაეცვათ და თვითონ კი პენტუერთან ერთად რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა.

– პენტუერ, – მიმართა მან ქურუმს, – გნიშნავ ჩემს მრჩევლად ახლაც და იმ დროისათვისაც. როდესაც ღმერთები მოისურვებენ მე სამეფო გვირგვინი გადმომცენ.

– რით დავიმსახურე ასეთი წყალობა?

– ის, რაც ჩემს თვალწინ მოახდინე, შენს სიბრძნესა და სულებზე ბატონობას მოწმობს. ამას გარდა, მზად იყავი ჩემი სიცოცხლე გადაგერჩინა. ამიტომ, თუმცა გადაწყვიტე ჩემგან ბევრი რამ დაფარო...

– მაპატიე, დიდო ბატონო, – სიტყვა შეაწყვეტინა პენტუერმა, – გამცემლებს, როცა ისინი დაგჭირდებიან, ოქროთი და განძეულით თვით ქურუმთა წრეშიც იპოვი, მე კი არ მსურს მათ რიცხვს ვეკუთვნოდე. აბა დაფიქრდი: თუკი ღმერთებს ვუღალატებ, განა ეჭვებს არ აღგიძრავ, რომ შენს მიმართაც ასევე მოვიქცევი?

რამზესი ჩაფიქრდა.

– ბრძნული სიტყვებია, – უპასუხა მან. – მაგრამ უცნაურია, შენ, ქურუმი, რატომ ხარ ჩემდამი ასე კეთილად განწყობილი? ერთი წლის წინათ დამლოცე, დღეს კი ნება არ მომეცი მარტო წამოვსულიყავი უდაბნოში და დიდ სამსახურს მიწევ.

– ღმერთებმა ჩამაგონეს, რომ შენ, ჩემო დიდო ბატონო, შეგიძლია გაჭირვებისა და დამცირებისაგან გამოიყვანო ბედკრული ეგვიპტელი ხალხი.

– მერე შენ რა საქმე გაქვს ხალხთან?

– მე თვითონ მისი წიაღიდან ვარ გამოსული... ჩემი მამა და ძმები მთელი დღეების განმავლობაში ნილოსიდან წყალს იღებდნენ, გა-

სამრჯელოდ კი სცემდნენ მათ.

– რითი შემიძლია ვუშველო ხალხს?

პენტუერი გამხიარულდა.

– შენი ხალხი, – მღელვარებით უპასუხა მან, – მეტად ბევრს მუშაობს, უზომო გადასახადებს იხდის, მძიმე გაჭირვებასა და შევიწროებას განიცდის... მძიმეა გლეხის ხვედრი: „მისი მოსავლის ნახევარი მატლმა შეჭამა, მარტორქამ - მეორე; ყანები თაგვებითაა სავსე, მას კალია შეესია, საქონელმა გადაჯეგა, ბეღურებმა აკენკეს, ხოლო ის ცოტა, რაც კალოზე დარჩა, ქურდებმა დაიტაცეს. ოჰ, სავალალოა გლეხკაცის ხვედრი! აქ კიდევ ნავით ნაპირს მოადგება მწერალი და ხორბალს მოითხოვს, მის თანაშემწეებს მოაქვთ კეტები, ხოლო ზანგებს – პალმის წკეპლები. ეუბნებიან: „მოგვეციო პური“. „პური არ მაქვსო“. მაშინ მას სცემენ; მიწაზე გააწვენენ, შემდეგ შეკრავენ და თავდაღმა გადაისვრიან არხში, სადაც ის იხრჩობა. მის თვალწინ შებოჭავენ მის ცოლსა და ბავშვებს. მეზობლები კი გარბიან, რომ თავიანთი პური გადაარჩინონ.[1]

– ეს მე თვითონ ვნახე, – ჩაფიქრებით უპასუხა რამზესმა, – და ერთი ასეთი მწერალი გავაგდე კიდეც. მაგრამ განა შემიძლია ყველგან ვიყო, რომ აღვკვეთო უსამართლობა?

– ხელმწიფევ, შენ ძალგიძს ბრძანება გასცე, რომ უსაფუძვლოდ არ აწამონ ადამიანები. შეგიძლია შეამცირო გადასახადები, მისცე გლეხებს დასვენების დღეები, ბოლოს, შეგიძლია ყოველი გლეხის ოჯახს აჩუქო თუნდაც მიწის მცირე ნაკვეთი, რომლის მოსავალი მხოლოდ მისი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხები იძულებული იქნებიან თავი ლოტოსით, პაპირუსითა და აყროლებული თევზით გამოიკვებონ და ბოლოს და ბოლოს დაძაბუნდებიან. მაგრამ თუ ხალხს შეიწყნარებ, იგი კვლავ წელში გაიმართება.

– ასეც მოვიქცევი! – წამოიძახა ბატონიშვილმა, – კარგი პატრონი არ დაუშვებს, რომ მისი საქონელი შიმშილით კვდებოდეს, უზომოდ მუშაობდეს, ანდა მას წარამარა სცემდნენ. ეს უნდა შეიცვალოს.

პენტუერი შეჩერდა.

– ამას აღმითქვამ, დიდო ხელმწიფევ?

---

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშვ.).

– გეფიცები! – უპასუხა ბატონიშვილმა.

– მაშინ მეც გეფიცები, რომ შენ იქნები ყველაზე მეტად განთქმული ფარაონი, რომლის წინაშე რამზეს დიდის სახელიც კი დაიჩრდილება! – წამოიძახა პენტუერმა, რომელიც თავს ვეღარ იკავებდა.

ბატონიშვილი ჩაფიქრდა.

– კი, მაგრამ ჩვენ ორს რა შეგვიძლია გავაკეთოთ ქურუმების წინააღმდეგ, რომელთაც მე ვძულვარ?..

– მათ ეშინიათ შენი, ბატონო, – უპასუხა პენტუერმა, – ეშინიათ, რომ შენ დროზე ადრე არ დაიწყო ომი ასირიასთან.

– მერე მათ რას უშლის ომი, თუ ის ძლევამოსილი იქნება?

ქურუმმა თავი დახარა და გაჩუმდა.

– მაშ მე გეტყვი! – წამოიძახა აღგზნებულმა რამზესმა. – მათ არ სურთ იმი, რადგან შიშობენ, რომ ბრძოლის, ველიდან მე გამარჯვებული, განძეულობით დატვირთული და მრავალრიცხოვანი ტყვეებით დავბრუნდები. მათ ეშინიათ, ამისი, იმიტომ რომ სურთ ყოველი ფარაონი უმწეო იარაღი იყოს მათს ხელში, უსარგებლო ნივთი, რომლის გადაგდება ყოველთვის შეიძლება, როცა მოესურვებათ. ამას კი მე ვერ გამიბედავენ. მე ან იმას შევასრულებ, რაცა მსურს და რისი უფლებაც მაქვს, როგორც ღმერთების შვილსა და მემკვიდრეს, ანდა დავიღუპები.

პენტუერმა უკან დაიხია და ჩუმად შელოცვები წარმოთქვა.

– ეგრე ნუ ლაპარაკობ, ღირსო ბატონო, – უთხრა შეშფოთებულმა მემკვიდრეს, – რათა უდაბნოში მოხეტიალე ბოროტმა სულებმა ეგ შენი სიტყვები არ დაიჭირონ... სიტყვა – გახსოვდეს, მბრძანებელო, – შურდულით გასროლილ ქვას ემსგავსება: თუ კედელს მოხვდა, ასხლტება და შენვე მოგხვდება...

ბატონიშვილმა ზიზღით ჩაიქნია ხელი.

– სულ ერთია, – უპასუხა მან, – რა ფასი აქვს ისეთ ცხოვრებას, როდესაც ყველა ზღუდავს შენს ნებისყოფას: თუ ღმერთები არა, მაშინ უდაბნოს ქარები; თუ ბოროტი სულები არა, – ქურუმები... განა ასეთი უნდა იყოს ფარაონის ხელისუფლება?.. არა, მე იმას გავაკეთებ, რაც მსურს და პასუხს მხოლოდ ჩემს მარად მსუფევ წინაპრების წინაშე ვაგებ და არა იმ ქურუმების წინაშე, რომლებმაც თითქოს ღმერთების ნე-

ბასურვილი იციან, მაგრამ ნამდვილად კი ძალაუფლებას ითვისებენ და ჩემი ქონებით თავის საგანძურებს ივსებენ!

უეცრად მათგან რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე უცნაური ყვირილი მოისმა, რომელიც თითქოს ხვიხვინს თუ ბღავილს მიაგავდა, და უზარმაზარმა აჩრდილმა გაირბინა, იგი ისარივით მიჰქროდა, მაგრამ მისი გრძელი კისრისა და კუზიანი ტანის გარჩევა შეიძლებოდა.

მემკვიდრის ბადრაგში საშინელი დრტვინვა ატყდა.

– ეს გრიფია! მე კარგად დავინახე მისი ფრთები, – თქვა ერთმა მეომართაგანმა.

– უდაბნო სავსეა ურჩხულებით, – დაუმატა მოხუცმა ლიბიელმა.

რამზესი დაიბნა: მანაც შენიშნა, რომ აჩრდილს, რომელმაც მათს თვალწინ გაირბინა, გველის თავი და რაღაც მოკლე ფრთების მსგავსი ჰქონდა.

– ნამდვილად არიან ურჩხულები უდაბნოში? – შეეკითხა იგი პენტუერს.

– უდავოდ, – უპასუხა ქურუმმა, – ასეთ უკაცრიელ ადგილას დაძრწიან უკეთური სულები, რომლებიც ყოვლად არაჩვეულებრივ ქმნილებათა სახეს იღებენ. მაგრამ მე მგონია, ის, რამაც ჩვენ ჩაგვირბინა, უფრო ნადირი უნდა იყოს. ის უნაგირიან ცხენს მიაგავს, მაგრამ უფრო განიერი და სწრაფი ნაბიჯით გარბის. ოაზისის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ამ ცხოველს შეუძლია სრულიად უწყლოდ გაძლოს ანდა, ყოველ შემთხვევაში, მეტად იშვიათად სვამს. თუ ასეა, მაშინ მომავალი თაობები უდაბნოზე გადასასვლელად გამოიყენებენ ამ არსებას, რომელიც ამჟამად მხოლოდ შიშსა გვგვრის.

– მე ვერ გავბედავდი ასეთი ურჩხულის ზურგზე შეჯდომას, – უპასუხა მემკვიდრემ.

– ასევე მსჯელობდნენ ჩვენი წინაპრები ცხენზე, რომელიც ჰიქსოსებს ეგვიპტის დაპყრობაში დაეხმარა. ახლა კი ის აუცილებელი შეიქნა ჩვენი ჯარისათვის. დრო დიდად ცვლის ადამიანთა შეხედულებებს, – თქვა პენტუერმა,

ცაზე უკანასკნელი ღრუბლები გაიფანტა, და ღამე განათდა. უმთვარობის მიუხედავად, მიდამო ისე იყო გაბრწყინებული, რომ თეთრი ქვიშის ფონზე თვით წვრილი ან ფრიად დაშორებული საგნების

მოხაზულობის გარჩევაც კი შეიძლებოდა.

მსუსხავი სიცივე შესუსტდა. ერთ ხანს ბადრაგა ჩუმად მიდიოდა და წვივებამდე ეფლობოდა ქვიშაში. უეცრივ აზიელებს შორის კვლავ ატყდა შეშფოთება და გაისმა წამოძახილი:

– სფინქსი! შეხედეთ, სფინქსი! უდაბნოდან ცოცხლები ვერ გავალთ, რაკი ჩვენს წინ სულ მოჩვენებები ჩნდება.

მართლაც თეთრ კირნარ გორაკზე ერთობ ნათლად გამოისახა სფინქსის სილუეტი. გრძელი ტანი, უზარმაზარ თავზე ეგვიპტური ჩაჩი ეხურა და თითქოს ადამიანის სახე ჰქონდა.

– დამშვიდდით, ბარბაროსებო, – მიმართა მათ მოხუცმა ლიბიელმა, – სფინქსი კი არა, ლომია. ის თქვენ არას გერჩით, იმიტომ რომ თავისი ნადავლით არის გართული.

– მართლაც ლომია, – თქვა რამზესმა და შეჩერდა. მაგრამ როგორ ჰგავს სფინქსს!

– მისი სახე ადამიანის ნაკვთებს მოგვაგონებს, ფაფარი კი პარიკს, – ხმადაბლა შენიშნა ქურუმმა, – ჩვენი სფინქსების მამაც იგია.

– და ჩვენი დიდი სფინქსისაც, რომელიც პირამიდებთან დგას?

– მინაზე მრავალი საუკუნით ადრე, – თქვა პენტუერმა, როცა პირამიდები ჯერ კიდევ არ არსებობდა, მის ადგილას იდგა კლდე; იგი ოდნავ მოგვაგონებდა მწოლიარე ლომს, რომელიც ღმერთებმა თითქოს უდაბნოს შესავლის მცველად დააყენეს. მაშინდელმა წმიდა ქურუმებმა მოქანდაკეთ უბრძანეს უკეთესად დაემუშავებინათ ეს კლდე და რაც აკლდა, ხელოვნური ნაშენით შეევსოთ. მოქანდაკეებმა კი, რომლებიც ადამიანებს უფრო ხშირად ხვდებოდნენ, ვიდრე ლომებს, ქვაზე ადამიანის სახე გამოკვეთეს, და ასე დაიბადა პირველი სფინქსი...

– რომელსაც ჩვენ ღვთაებრივ პატივს მივაგებთ, შენიშნა მემკვიდრემ.

– და სამართლიანადაც, – უპასუხა ქურუმმა, – რადგან ხელოვნების ამ ქმნილებას პირველი ნაკვთები ღმერთებმა მისცეს და მათვე შთააგონეს ადამიანებს მისი დამთავრება. ჩვენი სფინქსი თავისი დიდებითა და იდუმალებით უდაბნოს მოგვაგონებს. ის მიაგავს იმ სულებს, რომლებიც უდაბნოში დაეხეტებიან, და ისევე აშინებს ადამიანებს, როგორც ისინი, ჭეშმარიტად – ის ღმერთების შვილია და შიშის მამა...

– და ამავე დროს ყველაფერს მიწიერი დასაბამი აქვს, – უთხრა რამზესმა. – ნილოსი ციდან კი არ მომდინარეობს, არამედ რომელიღაც მთებიდან, რომლებიც ეთიოპიის იმიერ მდებარეობენ. პირამიდები, რომელთა შესახებ ხერიჰორი მეუბნებოდა, რომ ისინი ჩვენი სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენენო, მთის მწვერვალების მსგავსად არიან აგებული. და ჩვენი ტაძრებიც თავისი პილონებითა და ობელისკებით, თავისი ბინდბუნდით და სიგრილით განა იმ გამოქვაბულებსა და მთებს არ მოგვაგონებს, რომლებიც ნილოსის გაყოლებით გადაჭიმულან? ყოველთვის, როცა ნადირობის დროს აღმოსავლეთ მთებს შორის გზა ამებნეოდა ხოლმე, მხვდებოდა უცნაურად აჩხორილი მთები, რომლებიც ტაძრებს მომაგონებდნენ. ხშირად მათს ხორკლიან კედლებზე მინახავს ქარისა და წვიმისაგან გამოკვეთილი იეროგლიფები.

– ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ტაძრები თვით ღმერთების მიერ მოხაზული გეგმის თანახმად შენდებოდნენ, – მენიშნა ქურუმმა. – და როგორც მიწაში ჩაგდებული კურკისაგან მაღალი პალმა იზრდება, ისე კლდის გამოქვაბულის, ლომისა და თვით ლოტოსის ხატება, რომელიც კეთილმსახურ ფარაონის სულში ჩაინერგება, ქმნის სფინქსების ხეივანს, ბნელ ტაძრებსა და მათს მძლავრ სვეტებს. ყოველივე ეს ღვთაებრივი და ადამიანური ქმნილებაა და ბედნიერია ის მბრძანებელი, რომელიც მიმოიხედავს თავის გარშემო, მიწიერ საგნებში ღმერთების აზრს ამოიკითხავს და მომავალ თაობათათვის თვალსაჩინოდ წარდგენას შეძლებს.

– მაგრამ ასეთი მბრძანებელი ხელისუფლებასა და დიდ სიმდიდრეს უნდა ფლობდეს, – მწუხარედ შენიშნა რამზესმა, – და არ იყოს იმაზე დამოკიდებული, ქურუმებს რა მოეჩვენებათ.

მათს წინ გაჭიმულიყო ქვიშის მეორე მაღლობი, რომელზეც სწორედ ამ მომენტში რამდენიმე მხედარი გამოჩნდა.

– ჩვენები არიან თუ ლიბიელები? – იკითხა ბატონიშვილმა.

მაღლობიდან ბუკის ხმა მოისმა, რამზესის მხლებლებმა პასუხი გასცეს. მხედრები სწრაფად, რამდენადაც ღრმა ქვიშა ამის საშუალებას იძლეოდა, ქვევით ჩაეშვნენ. მიახლოებისას ერთმა მათგანმა და-

იყვირა:

– თქვენთან არის ტახტის მემკვიდრე?

– აქ არის, ჯანმრთელად და უვნებლად! – უპასუხა რამზესმა,

მხედრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და პირქვე დაემხვნენ.

– ჰოი, ხელმწიფევ, – მიმართა ბატონიშვილს რაზმის უფროსმა, – შენი მეომრები ტანზე სამოსს იგლეჯენ და თავზე ნაცარს იყრიან, რადგან ფიქრობენ, რომ დაიღუპე. მხედართა მთელი რაზმი გაიფანტა უდაბნოში შენი კვალის აღმოსაჩენად და მხოლოდ ჩვენ გაგვხადეს ღმერთებმა ღირსი პირველნი მოგესალმოთ.

მემკვიდრემ უფროსი ასისთავად დანიშნა და უბრძანა მეორე დღეს წარმოედგინა დასაჯილდოებლად მისი ხელქვეითნი.

თავი მეოცე

ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდნენ ლეგიონები და მალე ბატონიშვილის რაზმი ბანაკში დაბრუნდა. ყოველი მხრიდან ბუკებმა განგაში ატეხეს, მეომრებმა იარაღს სტაცეს ხელი და ხმამაღალი წამოძახილით იწყეს ჩამწკრივება. ოფიცრები ბატონიშვილს მუხლებზე ეხვეოდნენ, როგორც წინადღით გამარჯვების შემდეგ, იგი ხელში აიტაცეს და მასთან ერთად ლეგიონების შემოვლა იწყეს. ხეობის კედლები ზანზარებდა მათი შეძახილისაგან: „იცოცხლე მარად, ძლევამოსილო! ღმერთები გფარვიდნენ შენ!“.

მოვიდა ჩირაღდნებით გარშემორტყმული ქურუმი მენტესუფისი. მის დანახვაზე მემკვიდრე ხელიდან გაუსხლტა მეთაურებს და ქურუმის შესახვედრად გაეშურა.

– იცი, წმიდაო მამაო, ჩვენ ლიბიელთა წინამძღოლი ტეხენა შევიპყარით!

– უბადრუკი ნადავლია, – მკაცრად უპასუხა ქურუმმა, – მისი გულისათვის მთავარსარდალს ჯარი არ უნდა მიეტოვებინა... განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყოველ წუთს მოსალოდნელია ახალი მტრის გამოჩენა...

მემკვიდრემ იგრძნო ამ საყვედურის სამართლიანობა, მაგრამ სწორედ ამიტომ მის სულში აღშფოთება აენთო.

მან ხელები მომუშტა და თვალები გაუბრწყინდა.

– დედაშენის სახელით გემუდარები, ხელმწიფევ, გაჩუმდი, – წასჩურჩულა მის ზურგს უკან მდგომმა პენტუერმა.

მრჩევლის მოულოდნელი სიტყვა ბატონიშვილს ისე გაუკვირდა, რომ მსწრაფლ დაცხრა, გონს მოვიდა და მიხვდა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა თავისი შეცდომა ეღიარებინა.

– მართალს ამბობ, წმიდაო მამაო. ბელადმა არასოდეს არ უნდა მიატოვოს ჯარი და ჯარმა ბელადი. მაგრამ მე ვგულისხმობდი, რომ შენ შემცვლიდი, როგორც სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი.

დამშვიდებულმა პასუხმა მენტესუფისს გული მოულბო და ქურუმმა ამჯერად აღარ მოაგონა წარსული წლის მანევრები, როცა მეფისნაცვალმა ასევე მიატოვა ჯარი, რის გამო ფარაონის წყრომა დაიმსახურა.

ანაზდად მათთან ყვირილით მოვარდა პატროკლე. ბერძენთა მხედართმთავარი კვლავ მთვრალი იყო და შორიდანვე უყვიროდა მემკვიდრეს:

– ნახე, მემკვიდრევ, რა ქნა წმიდა მენტესუფისმა! იმ ლიბიელებს, რომლებიც მტერს მიატოვებდნენ და ფარაონის ჯარში დაბრუნდებოდნენ, შენ შეწყნარება აღუთქვი. ბევრი ჩემთან გამოიქცა და მათი დახმარებით გავტეხე მტრის მარცხენა ფრთა... მაღალღირსმა მენტესუფისმა კი მათი მთლიანად ამოხოცვა ბრძანა... დაიღუპა ათასამდე ტყვე, ყველა ჩვენი ყოფილი მეომარი, რომლებიც შეწყნარებული უნდა ყოფილიყვნენ!

ბატონიშვილს სისხლი აუვარდა თავში, მაგრამ პენტურმა ისევ წასჩურჩულა;

– გაჩუმდი! გემუდარები! გაჩუმდი!

მაგრამ პატროკლეს მრჩეველი არ ჰყავდა და ის ყვირილს განაგრძობდა:

– ახლა ჩვენ სამუდამოდ დავკარგეთ ნდობა არა მარტო უცხოელების, აგრეთვე ჩვენიანებისაც. საშიშია ჩვენი ჯარი არ გაიფანტოს, როდესაც გაიგებს, რომ მას გამცემლები მეთაურობენ!

– საზიზღარო მოქირავნევ! – მსუსხავი კილოთი უპასუხა მენტესუ-

ფისმა, – როგორ ბედავ ეგრე შეეხო ჯარსა და მეფის ნდობით აღჭურვილ პირებს? ქვეყნის გაჩენიდან ასეთი. ღვთის გმობა არავის სმენია! ფრთხილად იყავ, ღმერთებმა სამაგიერო არ მოგიზღონ მათი შეურაცხყოფისათვის.

პატროკლემ უკმეხად გადიხარხარა.

– ვიდრე ბერძნებს შორის მძინავს, ღამის ღმერთების არ მეშინია, ხოლო როცა ფხიზელი ვარ, შემიძლია დღის ღმერთებისაგანაც დავიცვა თავი.

– წადი, გამოიძინე! წადი შენს ბერძნებთან, ლოთო, – დაუყვირა მენტესუფისმა, – რათა შენი გულისათვის მეხი არ დაგვატყდეს.

პატროკლემ დაინახა, რომ რამზესი მას მხარს არ უჭერდა, ამიტომ უხმოდ დაბრუნდა თავის ბანაკში.

– მართალია თუ არა, წმიდაო მამაო, – შეეკითხა ქურუმს მემკვიდრე, – რომ ბრძანება გაეცი დაეხოცათ ტყვეები, მაშინ როცა მე მათ შეწყალება დავპირდი?

– შენ ბანაკში არ იმყოფებოდი, – უთხრა მენტესუფისმა – და ამაზე პასუხისმგებლობა არ დაგეკისრება, მე კი ვიცავ ჩვენს სამხედრო კანონებს, რომლებიც გამცემ მეომართა ამოხოცვას გვავალებს. მეფის სამსახურში ნამყოფი მეომრები, რომლებიც მტრის მხარეზე გადავიდნენ, დაუყოვნებლივ უნდა მოისპონ. ასეთია კანონი.

– მე რომ აქ ვყოფილიყავი?

– როგორც მთავარსარდალსა და ფარაონის მემკვიდრეს, შეგიძლია ზოგიერთი კანონის მოქმედება შეაჩერო, რომელსაც მე უნდა დავემორჩილო, – მიუგო მენტესუფისმა.

– ნუთუ არ შეგეძლო ჩემს დაბრუნებამდე მოგეცადა?

– კანონი დაუყოვნებლივ დასჯას მოითხოვს. მე კანონის მოთხოვნა შევასრულე.

ბატონიშვილი იმდენად შეძრწუნებული იყო, რომ ლაპარაკი შეწყვიტა და თავის კარავში წავიდა.

აქ ის სავარძელში ჩავარდა და თუტმოსს უთხრა:

– ამრიგად, მე უკვე ქურუმების მონა ვარ. ისინი ხოცავენ ტყვეებს, ჩემს ოფიცრებს ემუქრებიან და ჩემს ვალდებულებათაც კი პატივს არ სცემენ... როგორ მიეცით ნება მენტესუფისს სიკვდილით დაესაჯა ეს

უბედურნი?

– ის სამხედრო დროის კანონებსა და ხერიჰორის ახალ ბრძანებებზე მიგვითითებდა.

– აქ ხომ მე ვარ მთავარსარდალი, თუმცა ნახევარი დღით წასული ვიყავი.

– შენ აკი განაცხადე, რომ სარდლობას მე და პატროკლეს გვაძლევ, – უპასუხა თუტმოსმა. – მაგრამ როცა წმიდა მენტესუფისი მოვიდა, ჩვენ მისთვის უნდა დაგვეთმო ჩვენი უფლებები, როგორც უფროსისათვის...

მემკვიდრემ გაიფიქრა, ტეხენას დაჭერა ძვირად დამიჯდაო, და ამავე დროს მთელი ძალით იგრძნო კანონის მნიშვნელობა, რომელიც სარდალს ჯარის მიტოვებას უკრძალავს. მას უნდა ეღიარებინა, რომ მართალი არ არის; მაგრამ ეს კიდევ უფრო უწყლავდა თავმოყვარეობას და ქურუმებისადმი სიძულვილს ჰგვრიდა.

– ხელმწიფევ, რატომ ბრძოლის შედეგებზე არ მეკითხები? – მიმართა რამზესს თუტმოსმა.

– დიახ, დიახ, ყურს გიგდებ.

– ორ ათასზე მეტი ტყვე ჩაგვივარდა, სამ ათასზე მეტი მოკლულია და სულ მხოლოდ რამდენიმე ასეულმა უშველა თავს გაქცევით.

– ნუთუ ასე დიდი იყო ლიბიელთა არმია? – განცვიფრებით შეეკითხა მემკვიდრე.

– ექვსი-შვიდი ათასი.

– შეუძლებელია! ნუთუ ასეთ შეტაკებაში დაიღუპა მთელი არმია?

– სწორედ ასე მოხდა. ეს დიდი ბრძოლა იყო, – უპასუხა თუტმოსმა. – შენ ყოველ მხრივ ალყა შემოარტყი მტერს. დანარჩენი ჯარისკაცებმა შეასრულეს და... მენტესუფისმა. ეგვიპტის მტრების ასეთი დამარცხების შესახებ არას ამბობს არც ერთი ძეგლი თვით ყველაზე სახელგანთქმული ფარაონებისა.

– კარგი, წადი და მოისვენე, თუტმოს! მეც დავიქანცე, – სიტყვა შეაწყვეტინა რამზესმა, რომელიც გრძნობდა, რომ სიამაყისაგან თავბრუ ესხმოდა.

ის დაეშვა ქურქზე, მაგრამ, საშინელი დაქანცულობის მიუხედავად, დიდხანს ვერ დაიძინა.

„მაშ მე მოვიპოვე ასეთი გამარჯვება!.. შეუძლებელია!“ – ფიქრობდა რამზესი. ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა და ჩაეძინა.

მეორე დღეს გვიან გამოეღვიძა, თვალები სტკიოდა, ძვლები სტეხდა, ხველება აწუხებდა, მაგრამ აზრი ნათელი ჰქონდა და გული მხნეობით სავსე.

კარვის შესავალში თუტმოსი იდგა.

– რა ამბავია? – ჰკითხა რამზესმა.

– მსტოვრები ლიბიის საზღვრებიდან უცნაურ ამბებს გვატყობინებენ, – უპასუხა თუტმოსმა. – ჩვენს ხეობას უამრავი ბრბო უახლოვდება, მაგრამ არა ჯარი, არამედ უიარაღო ქალები და ბავშვები, რომელთაც წინ მუსავასა და წარჩინებული ლიბიელები მოუძღვიან.

– რას უნდა ნიშნავდეს ეს?

– ალბათ, ზავის სათხოვნელად მოდიან.

– პირველივე ბრძოლის შემდეგ? – გაოცდა მემკვიდრე.

– მაგრამ როგორის! ამას გარდა, შიშმა მათს თვალში გაადიდა ჩვენი ჯარის რაოდენობა. ისინი თავს სუსტად გრძნობენ და ჩვენი თავდასხმის ეშინიათ.

– ვნახოთ, ეს ეშმაკობაა თუ არა, – დაფიქრების შემდეგ უთხრა ბატონიშვილმა, – ჩვენები როგორღა არიან?

– ჯანმრთელად, მაძღრად და მხიარულად... მხოლოდ...

– მხოლოდ რა?

– ღამით პატროკლე მიიცვალა, – წაიჩურჩულა თუტმოსმა.

– მოკვდა? რისგან? – წამოიძახა რამზესმა.

– ზოგი ამბობს, თითქოს ბევრი დალია, სხვები კიდევ ამტკიცებენ, ღმერთებმა დასაჯესო. სახე გალურჯებული აქვს და პირზე დუჟი გადმოსდის...

– როგორც მონას ატრიბისში, გახსოვს? ბაკურას რომ ეძახდნენ. მან შემოირბინა დარბაზში და ნომარქოსზე იჩივლა. ბაკურაც ღამით მოკვდა, იმიტომ რომ ზედმეტი დალია. ასე არ იყო?

თუტმოსმა თავი დაიქნია.

– დიდი სიფრთხილე გვმართებს, ბატონო, – ჩურჩულით თქვა მან.

– ვეცადოთ, – მშვიდად უპასუხა მემკვიდრემ. – მე არც კი გავიკვირვებ პატროკლეს სიკვდილს: რა მოხდა ისეთი? მოკვდა ვიღაც ლოთი,

რომელიც არა მარტო ღმერთებს, არამედ... ქურუმებსაც შეურაცხყოფდა...

თუტმოსმა ამ დამცინავ სიტყვებში მუქარა იგრძნო. რამზესს მეტად უყვარდა ძაღლივით ერთგული პატროკლე. შეეძლო დაევიწყებინა მრავალი შეურაცხყოფა, მაგრამ თავისი მხედართმთავრის სიკვდილის პატიება არ შეეძლო.

შუადღეზე ცოტა ადრე მემკვიდრის ბანაკში ეგვიპტიდან ანალი – თებეს ლეგიონი მოვიდა და, ამას გარდა, რამდენიმე ათასამდე კაცმა და რამდენიმე ასეულმა სახედარმა სურსათის დიდი მარაგი და კარვები მოიტანა. ამავე დროს ლიბიის მხრიდან მსტოვრებმა მოირბინეს და განაცხადეს, უიარაღო ხალხის ბრბო, რომელიც ხეობისკენ მოემართება, სულ მატულობსო.

მემკვიდრის ბრძანებით მრავალრიცხოვანმა ცხენოსანმა პატრულმა ყოველი მიმართულებით გამოიკვლია მიდამოები, რომ გაეგოთ, სადმე მტრის ჯარი ხომ არ იყო მიმალული. ქურუმებმა კი თან წაიღეს ამონის მოძრავი პატარა ეკვდერი, ავიდნენ ყველაზე მაღალი ბორცვის მწვერვალზე და, როცა ღმერთებს არემარე თვალწინ გადაეშალა, იქ ღვთისმსახურება შეასრულეს.

ბანაკში დაბრუნებისას მემკვიდრეს მოახსენეს, რომ ბანაკს უიარაღო ლიბიელთა მრავალრიცხოვანი ბრბო უახლოვდება, მაგრამ მათი ჯარი კი არსადა ჩანს, ყოველ შემთხვევაში, გარშემო სამი მილის მანძილზე.

ბატონიშვილს ამ მოხსენებაზე გაეცინა.

– კარგი მხედველობა მაქვს, – თქვა მან, – მაგრამ ასეთ მანძილზე მეომრებს მეც ვერ დავინახავდი.

ქურუმებმა მოითათბირეს და ბატონიშვილს განუცხადეს: – თუ აღთქმას დადებ, რომ საიდუმლოს არ გასცემ, შენც ასევე შორს დაინახავო.

რამზესმა ფიცი მისცა. მაშინ ქურუმებმა ერთ-ერთ გორაკზე აღმართეს ამონის საკურთხეველი და თავიანთი ლოცვა-ვედრება იწყეს. როცა მემკვიდრემ, განბანისა და სანდლების გახდის შემდეგ, ღმერთებს ოქროს ძეწკვი და საგუნდრუკე შესწირა, შეუშვეს ვიწრო, სავსებით ბნელ ყუთში და უბრძანეს კედლისათვის ეცქირა. ამის შემდეგ მათ

ვედრებითი საგალობლების შესრულება იწყეს და ყუთის შინაგან კედელზე ნათელი რკალი გამოჩნდა. მალე ნათელი ფონი აიმღვრა და ბატონიშვილმა დაინახა ქვიშნარი ბარი, კლდეები და მათს შორის აზიელების საგუშაგოები.

ქურუმებმა უფრო მეტი აღტყინებით იწყეს გალობა და სურათი შეიცვალა. გამოჩნდა უდაბნოს მეორე ნაწილი და მასზე კი – ჭიანჭველასავით პატარა ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ ნამცეცანი ჩანდნენ, ადამიანთა მოძრაობა, ტანსაცმელი და პირისახეებიც კი ისე ნათლად მოჩანდა, რომ რამზესს მათი აღწერა შეეძლო.

ბატონიშვილის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი თვალებს ისრესდა და ეხებოდა მოძრავ გამოსახულებათ... ბოლოს სურათი გაქრა და დაბნელდა.

როდესაც რამზესი ეკვდერიდან გამოვიდა, უფროსმა ქურუმმა ჰკითხა:

– რას იტყვი, უფლისწულო, ახლა ხომ გჯერა ეგვიპტის ღმერთების ძლიერება?

– მართლაც, თქვენ ისეთი დიდი ბრძენები ხართ, რომ მთელმა ქვეყანამ პატივი უნდა მოგიზღოთ და შესაწირავი მოგართვათ. თუ მომავლის განჭვრეტაც ასევე ძალგიძთ, მაშინ ვერაფერი დაგიდგებათ წინ.

ამის საპასუხოდ ერთი ქურუმი ეკვდერში შევიდა და ლოცვად დადგა; მალე იქიდან მოისმა:

– რამზეს, აწონილია სახელმწიფოს ბედი, და ვიდრე ახალი მთვარე გამოჩნდება, შენ ეგვიპტის მეუფე გახდები.

– ჰოი, ღმერთებო! – წამოიძახა შეძრწუნებულმა რამზესმა, – ნუთუ მამაჩემი ასე ავად არის? იგი პირქვე დაეცა ქვიშაზე, ღვთისმსახურების შემსრულებელი ქურუმი შეეკითხა, კიდევ რისიმე შეტყობა ხომ არ გნებავსო.

– მამცნე, მამაო ამონო, განხორციელდება თუ არა ჩემი ზრახვები.

ერთი წუთის შემდეგ ხმამ ეკვდერიდან უპასუხა:

– თუ აღმოსავლეთთან ომს არ დაიწყებ, ღმერთებს მსხვერპლს შესწირავ და მათ მსახურთ პატივით მოეპყრობი, მენ ხანგრძლივი სიცოცხლე და დიდებით აღსავსე მეფობა მოგელის.

ასეთი სასწაულების შემდეგ, რომლებიც დღის სინათლეზე ღია მინდორში მოხდა, აღელვებული მემკვიდრე თავის კარავში დაბრუნდა.

„არა, – შიშით გაიფიქრა მან, – ვერაფერი ვერ აღუდგება წინ ქურუმებს“.

კარავში მას პენტერი დახვდა.

– მითხარი, ჩემო მრჩეველო, – მიმართა მემკვიდრემ, – შეგიძლიათ თუ არა თქვენ, ქურუმებს, ამოიკითხოთ ადამიანის გულისნადები და მიხვდეთ მათს ფარულ ზრახვებს?

– კაცი უფრო ადვილად განჭვრეტს, – უპასუხა მან, – იმას, რაც კლდის შიგნით იმალება, ვიდრე გაიგებს, რა მარხია ადამიანის გულში. იგი ღმერთებისათვისაც კი დაფარულია. და მხოლოდ სიკვდილი ააშკარავებს ადამიანის ზრახვებს.

ბატონიშვილმა შვებით ამოისუნთქა, თუმცა გულში მაინც ერთგვარ შეშფოთებას გრძნობდა. საღამოს სამხედრო საბჭოს სხდომაზე მან მენტესუფისიც და პენტუერიც მიიწვია.

პატროკლეს მოულოდნელ სიკვდილს არავინ შეხებია – შესაძლებელია იმიტომ, რომ უფრო სერიოზული საკითხები იყო განსახილველი: გამოცხადდნენ ლიბიელი მოციქულები და მუსავასას სახელით რამზესს ემუდარებოდნენ შეეწყნარებინა მისი ვაჟი ტეხენა, სამაგიეროდ აღუთქვამდნენ, მუსავასა ეგვიპტეს დაემორჩილება და სამარადისოდ უზრუნველჰყოფსო მშვიდობიანობას.

– ბოროტმა ადამიანებმა, – განაცხადა ერთ-ერთმა ელჩმა, – მოატყუეს ჩვენი ხალხი, რომელსაც არწმუნებდნენ, რომ ეგვიპტე დაუძლურებულია, ხოლო მისი ფარაონი მბრძანებლის აჩრდილიღააო. მაგრამ გუშინ დავრწმუნდით, რამდენად მკლავმაგარი ხართ და ყველაზე უფრო გონივრულად მიგვაჩნია დაგემორჩილოთ და ხარკი გაძლიოთ, ვიდრე ჩვენს ადამიანებს თავს უდავო სიკვდილი დავატეხოთ და ქონება კი – გავანიავოთ.

როცა სამხედრო საბჭომ ეს სიტყვა მოისმინა, ლიბიელებს კარვიდან გასვლა უბრძანეს და რამზესმა პირდაპირ მენტესუფისს მიმართა, გამოეთქვა თავისი აზრი, რამაც გენერლები თითქმის გააოცა.

– ჯერ კიდევ გუშინ, – განაცხადა ღირსმა წინასწარმეტყველმა, – მე

გირჩევდით მუსავასას თხოვნის უარყოფას, ომის ლიბიაში გადატანას და ყაჩაღების ბუდის განადგურებას. მაგრამ დღეს მემფისიდან იმდენად მნიშვნელოვანი ცნობა მივიღე, რომ ხმას მივცემ დამარცხებულთა შეწყნარებას.

– ჩემი უწმიდესი მაშა ავად არის? – მღელვარებით შეეკითხა რამზესი.

– ავად არის, მაგრამ ვიდრე ჩვენ ლიბიელების საქმეს არ მოვრჩებით, შენ ამაზე არ უნდა იფიქრო.

მაგრამ, როდესაც მემკვიდრემ მწუხარედ ჩაქინდრა თავი, მენტესუფისმა დაუმატა:

– მე ერთი მოვალეობა კიდევ უნდა შევასრულო... გუშინ, ყოვლადღირსო ბატონიშვილო, გავკადნიერდი და შენიშვნა მოგეცი, რომ ისეთი უმნიშვნელო ნადავლისათვის, როგორიც ტეხენაა, მთავარსარდალს ჯარი არ უნდა მიეტოვებინა-მეთქი. დღეს კი ვხედავ, რომ ვცდებოდი, ხელმწიფევ, ტეხენა რომ არ შეგეპყრო, ჩვენ მუსავასასთან ასე მალე ზავს ვერ დავამყარებდით... შენი სიბრძნე, მთავარსარდალო, სამხედრო კანონზე მაღალი აღმოჩნდა.

ბატონიშვილს მენტესუფისის სინანული გაუკვირდა.

„რატომ ლაპარაკობს ასე, – გაიფიქრა მან. – როგორც ჩანს, არა მარტო ამონმა უწყის, რომ უწმიდესი მამაჩემი ავად არის“.

მის სულში კვლავ. ძველმა გრძნობებმა გაიღვიძა: ზიზღმა ქურუმების მიმართ და მათი სასწაულებისადმი უნდობლობამ.

„მაშასადამე, არა ღმერთებმა მიწინასწარმეტყველეს, რომ მალე ფარაონი გავხდები, არამედ მემფისიდან მოვიდა ცნობა და ქურუმებმა ეკვდერში მე მომატყუეს, და თუ მათ ერთში იცრუეს, ვინ იქნება იმის თავდები, რომ ის სურათებიც უდაბნოში, რომლებიც კედელზე მიჩვენეს, აგრეთვე მოტყუება არ იყო?“

რადგან მემკვიდრე გამუდმებით დუმდა, რასაც ფარაონის ავადმყოფობით გამოწვეულ მწუხარებას მიაწერდნენ, ხოლო გენერლები მენტესუმფისის სიტყვის შემდეგ ლაპარაკს ვერ ბედავდნენ, სამხედრო თათბირი დასრულდა. ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება – ლიბიელებისაგან რაც შეიძლება მეტი ხარკი აიღონ, იქ ეგვიპტელების ჯარი გაგზავნონ და ომი შეწყვიტონ.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ ფარაონი კვდებოდა. ეგვიპტეს კი, იმისათვის რომ თავისი მბრძანებლის ღირსეული დაკრძალვა მოეწყო, სრული მშვიდობიანობა და მოსვენება ესაჭიროებოდა.

სამხედრო საბჭოს კარვიდან გამოსვლისას მემკვიდრე მენტესუფისს შეეკითხა:

– წუხელ მოკვდა მამაცი პატროკლე. – ფიქრობთ თუ არა თქვენ, წმიდაო მამებო, პატივი სცეთ მის ცხედარს?

– იგი ბარბაროსი და უდიდესი ცოდვილი იყო, – უპასუხა ქურუმმა, – მაგრამ ეგვიპტეს იმდენად დიდი სამსახური გაუწია, რომ უნდა ვიზრუნოთ. მის იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. შენი ნებართვით ჩვენ დღესვე გავაგზავნით მის გვამს მემფისმი, რომ მუმიად გააკეთონ და თებეში გადაიტანონ სამეფო სამარხთა შორის სამარადისო განსასვენებლად.

მემკვიდრე სიამოვნებით დათანხმდა, მაგრამ მისი ეჭვები გაძლიერდა:

„გუშინ, – გაიფიქრა მან, – მენტესუფისმა დამტუქსა, როგორც ზარმაცი მოწაფე, და კიდევ მადლობა ღმერთებს, რომ კეტით არ მცემა, დღეს ისე მელაპარაკება, როგორც მორჩილი შვილი მამას და ლამის ჩემს ფერხთით დაემხოს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩემს კარავს ძალაუფლება და სამაგიეროს მიზღვის საათი უახლოვდება?“

ასე რომ, მსჯელობდა, ბატონიშვილი სიამაყით ივსებოდა და მის გულში ქურუმებისადმი გააფთრება იზრდებოდა. გააფთრება მით უფრო საშინელი ჩანდა, რომ ის შემპარავი იყო, როგორც მორიელი, რომელიც, ქვიშაში მიმალული, შხამიანი ნესტარით დააწყლულებს გაუფრთხილებელ ფეხს.

თავი ოცდამეერთე

ღამით გუშაგებმა ცნობა მოიტანეს – შეწყნარების მთხოვნელი ლიბიელების ბრბო უკვე შემოვიდა ხეობაშიო.

მართლაც, უდაბნოში უკვე მოჩანდა მათი კოცონების ალი: მზის ამოსვლისას ახმაურდა საყვირები და ველის ყველაზე უფრო ფართო

ნაწილში ჩამწკრივდა ეგვიპტის შეიარაღებული ჯარი. თანახმად მემკვიდრის ბრძანებისა, რომელსაც სურდა კიდევ უფრო მეტად შეეშინებინა ლიბიელები, მეომართა მწკრივებს შორის მტვირთავები ჩააყენეს, ხოლო ცხენოსნებს შორის სახედრებზე მსხდომი ჩალვადრები იდგნენ. ამგვარად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეგვიპტელები უდაბნოს ქვიშის დარად უთვალავნი იყვნენ, და ლიბიელები კრთოდნენ, როგორც მტრედები, რომელთაც თავს ქორი დასტრიალებს.

დილის ცხრა საათზე მემკვიდრის კარავს მისი მოოქრული ცხენები ისე მძლავრად მიიწევდნენ, რომ თითოეულ მათგანს ორ-ორი მეჯინიბე ძლივს აკავებდა.

რამზესი გამოვიდა კარვიდან, ჩაჯდა ეტლში და თვითონ აიღო ხელში სადავე, მეეტლის ადგილი კი მის გვერდით პენტუერმა დაიკავა. ერთმა გენერალმა ბატონიშვილის თავზე უზარმაზარი მწვანე ქოლგა გაშალა, უკან და ეტლის ორივე მხარეს კი მოოქრულ აბჯარში ჩამსხდარი ბერძენი ოფიცრები მოდიოდნენ. ცოტა დაშორებით მემკვიდრის ამალის უკან გვარდიის მცირე რაზმი მიაბიჯებდა, მის შუაში კი – ლიბიელების ბელადის მუსავასას ვაჟი ტეხენა.''

ეგვიპტელების მახლობლად, ხეობის გამოსასვლელთან იდგა ლიბიელების დაღვრემილი ბრბო და გამარჯვებულთ შეწყნარებას ემუდარებოდა.

როდესაც მემკვიდრე ამალითურთ: იმ მაღლობზე ავიდა, სადაც მტრის ელჩები უნდა მიეღო, მის საპატივცემოდ ჯარმა ისეთი ხმამაღალი ყიჟინა ატეხა, რომ ცბიერი მუსავასა კიდევ უფრო განაწყენდა და ლიბიელთა უხუცესთ ჩასჩურჩულა.

– მე თქვენ გეუბნებით, აგრე მხოლოდ ისეთი მეომრები ყვირიან, რომელნიც თავის ბელადს აღმერთებენ.

ერთმა ყველაზე უფრო მოუსვენარმა ლიბიელმა მთავარმა, რომელიც განთქმული იყო თავისი ავაზაკობით, მუსავასას მიმართა:

– ეგების ჯობდეს ჩვენი ცხენების სიმარდეს მივენდოთ, ვიდრე ფარაონის ძის მოწყალებას? იგი, როგორც ჩანს, მძვინვარე ლომია, რომელიც მაშინაც კი, როდესაც თათს გისვამს, ბრჭყალებით ტყავს გაძრობს, ჩვენ კი დედის ძუძუს მოწყვეტილ კრავებს ვემსგავსებით.

– მოიქეცი, როგორც გენებოს, – უპასუხა მუსავასამ, –- მთელი უდაბნო შენს წინაა. მე კი ხალხმა წარმომგზავნა გამოვისყიდო ჩემი ცოდვები და, რაც მთავარია, მათთან ჩემი ვაჟი ტეხენა იმყოფება, რომელზეც ფარაონის მემკვიდრე ჯავრს ამოიყრის, თუ შეწყნარება არა ვთხოვე.

ლიბიელების ბრბოსთან ჭენებით მიირბინა ორმა აზიელმა მხედარმა და აცნობა, მბრძანებელი თქვენგან მორჩილების აღთქმას ელისო.

მუსავასამ მწარედ ამოიხვნეშა და გაეშურა იმ მაღლობისკენ, სადაც მბრძანებელი იდგა. არასოდეს მას ასეთ მძიმე გზაზე არ უვლია. მომნანიებლის უხეში ხამის ფარაჯა ოდნავ უფარავდა ზურგს, ნაცარწაყრილ თავს მზის პაპანება წვავდა, ტიტველ ფეხებს ღორღი უსერავდა, გულს საკუთარი და დამარცხებული ხალხის მწუხარება უხუთავდა. მან სულ მხოლოდ რამდენიმე ასეული ნაბიჯი გაიარა, მაგრამ რამდენჯერმე იძულებული გახდა შეჩერებულიყო და შეესვენა. ხშირად უკან იხედებოდა, რომ დარწმუნებულიყო, ხომ არ იპარავდნენ შიშველი მონები, რომელთაც საჩუქრები მოჰქონდათ ბატონიშვილისათვის, ოქროს ბეჭდებს და ძვირფას ქვებს.

როგორც ცხოვრების გამოცდილებით გამობრძმედილმა კაცმა, მუსავასამ იცოდა, რომ ადამიანები ხალისით სარგებლობენ სხვისი უბედურებით.

„მადლობა ღმერთებს, – ინუგეშებდა თავს სვეუკუღმართი ცბიერი ბარბაროსი, – რომ მე მხვდა წილად მორჩილება გამოვუცხადო მემკვიდრეს, რომელმაც დღე-დღეზე უნდა დაიდგას თავზე ფარაონის გვირგვინი, ეგვიპტის მბრძანებელნი სულგრძელნი არიან, განსაკუთრებით გამარჯვების ჟამს. და თუ მოვახერხე ჩემი ბატონის გულის მოლბობა, ის განამტკიცებს ჩემს მნიშვნელობას ლიბიაში და დიდი გადასახადის შეგროვების საშუალებას მომცემს. რა ბედნიერებაა, რომ ტეხენა თვითონ ტახტის მემკვიდრემ დაატყვევა: ის მას არათუ რაიმე ვნებას მიაყენებს, არამედ პატივით მოეპყრობა“.

ასე მსჯელობდა იგი და მალიმალ იხედებოდა უკან. მონას, თუნდაც შიშველს, მოპარული ქვა შეუძლია პირში დამალოს ანდა გადაყლაპოს. კიდეც.

ტახტის მემკვიდრის ეტლიდან ოცდაათი ნაბიჯის დაშორებით მუსავასა და მისი თანმხლებელი წარჩინებული ლიბიელები პირქვე დაემხვნენ და ასე იწვნენ ქვიშაზე, ვიდრე ბატონიშვილის ადიუტანტმა მათ ზეზე ადგომა არ უბრძანა. მათ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, კვლავ დაემხვნენ და ასე მოიქცნენ სამჯერ, ამიტომ რამზესსაც რამდენჯერმე დასჭირდა ბრძანების გაცემა, რომ ისინი წამომდგარიყვნენ.

ამასობაში პენტუერი, რომელიც ბატონიშვილის ეტლში იდგა, თავის ბატონს ეჩურჩულებოდა:

– შენს სახეზე ნურც სიმკაცრეს დაანახვებ, ნურც სიხარულს. უმჯობესია იყო დამშვიდებული, ვით ღმერთი ამონი, რომელსაც ეზიზღება თავისი მტრები და არც იოლი გამარჯვებების გამო ეძლევა სიხარულს.

ბოლოს მომნანიებელი ლიბიელები რამზესის წინაშე წარდგნენ. რამზესი მოოქრული ეტლიდან მათ ისე უცქეროდა, როგორც ჰიპოპოტამი იხვებს, რომლებმაც არ იციან, სად დაემალონ მის საშინელ ძალას.

– ეს შენა ხარ, – წარმოთქვა ანაზდად რამზესმა, – მუსავასა, ლიბიელების ბრძენი ბელადი?

– მე ვარ შენი მსახური, – უპასუხა მან და კვლავ პირქვე დაემხო.

როდესაც წამოდგომა უბრძანეს, ბატონიშვილმა განაგრძო:

– როგორ მიეცი შენს თავს ნება, ასეთი მძიმე დანაშაული ჩაგედინა და ღმერთების მიწა-წყლის წინააღმდეგ ხელი აღგემართა? ნუთუ, დაჰკარგე წინანდელი კეთილგონიერება?

– ხელმწიფევ, – უპასუხა ცბიერმა ლიბიელმა, – გაბოროტებამ აუმღვრია გონება ფარაონის გამოძევებულ მეომრებს, ისინი დაღუპვის გზას დაადგნენ და მეც და ჩემიანებიც ჩაგვითრიეს ამ საბედისწერო საქმეში. ღმერთებმა უწყიან, რაოდენ ხანგრძლივი იქნებოდა ეს საზიზღარი ომი, რომ მარადმსუფევი ფარაონის ჯარს შენი სახით სათავეში თვითონ ამონი არ ჩადგომოდა. უდაბნოს ქარივით მოულოდნელად დაჰქროლე იქ, სადაც შენს გამოჩენას არავინ ელოდა. როგორც ხარი ამტვრევს ხოლმე ლერწამს, ისე გაანადგურე დაბრმავებული მტერი. ამის შემდეგ ყველა ჩვენმა ტომმა შეიგნო, რომ ლიბიელთა

თითქმის საშინელი ლეგიონებიც მხოლოდ მაშინ წარმოადგენენ რამეს, როდესაც მათ შენი მტკიცე ხელი განაგებს.

– გონივრულად ლაპარაკობ, მუსავასა, – უთხრა ბატონიშვილმა, – ხოლო კიდევ უფრო კარგად მოიქეცი, როდესაც ღვთაებრივი ფარაონის ჯარს შეეგებე და არ დაელოდე, ვიდრე იგი თქვენთან მოვიდოდა. მე მსურს მხოლოდ ვიცოდე, რამდენად გულწრფელია თქვენი მორჩილება.

– „გააცისკროვნე სახე შენი, ეგვიპტის დიდო მბრძანებელო, – უპასუხა მუსავასამ. – ჩვენ მოვედით შენთან, ვითარცა მოხარკენი, რომ სახელი შენი განდიდებულ იქნას ლიბიაში და. შენ იქმნე ჩვენი მზე, როგორც გახდი ცხრა ხალხისათვის. უბრძანე მხოლოდ შენს ქვეშევრდომებს, რომ სამართლიანად მოეპყრან დაპყრობილსა და შენს საბრძანებელს შემოერთებულ ხალხს. დაე შენგან დანიშნულმა უფროსებმა განგვაგონ ჩვენ პატიოსნად და სამართლიანად და არა თვითნებურად, რომ კანონიერად განსაჯონ დაპყრობილისა და მისი შვილების მიმართ შერისხულობის გამომწვევი ცრუ ცნობები. უბრძანე იმათ, კეთილსვიან ფარაონის მოადგილევ, რომ ჩვენ გვმართავდნენ შენი ნების თანახმად და დაზოგონ ჩვენი თავისუფლება, ქონება, ენა და ჩვენი მამებისა და წინაპრების ზნე-ჩვეულება. დაე კანონები შენი ერთნაირი იქნეს ყველა შენი ქვეშევრდომი ხალხის მიმართ. დაე შენი მოხელეები ნუ იქნებიან ერთისადმი წამქეზებელი და სხვების მიმართ მეტად სასტიკნი. დაე მათი განაჩენი ყველასათვის ერთნაირი იქნეს. დაე მათ შეაგროვონ შენი საჭიროებისათვის და შენს სასარგებლოდ განკუთვნილი ხარკი და ნუ გადაგვახდევინებენ სხვას შენგან დაფარულს, ისეთს, რომელიც შენს საგანძურში არ შევა და გაამდიდრებს მხოლოდ შენს მსახურთ და შენი მსახურების მსახურთ. უბრძანე განგვაგონ ჩვენი და ჩვენი შვილების უზიანოდ, ვინაიდან შენ ხომ ღმერთი და მეუფე ხარ ჩვენი აწ და მარადის. მიბაძე მზეს, რომელიც თავის ძალისა და სიცოცხლის მომნიჭებელ სხივებს ყველას თანაბრად აფრქვევს. შენს მოწყალებას გემუდარებით ჩვენ – ლიბიელი ქვეშევრდომნი, და თაყვანს გცემთ შენ, დიდი და ძლიერი ფარაონის

მემკვიდრევ“[1].

ასე ლაპარაკობდა ლიბიელთა ჭკვიანი და ცბიერი მთავარი მუსავასა, ხოლო როდესაც სიტყვა დაამთავრა, კვლავ პირქვე დაემხო მიწაზე. ტახტის მემკვიდრეს კი ამ ბრძნული სიტყვის მოსმენის დროს თვალები უბრწყინავდა და ცხვირის ნესტოები ებერებოდა, როგორც ნასუქ ულაყს, როცა გამოირბენს მდელოზე, სადაც ჭაკი ცხენები ძოვენ.

– წამოდექ, მუსავასა, – უთხრა რამზესმა, – და ყური მიგდე, რას გეტყვი: შენი ბედი ჩემზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ყოვლადმოწყალე ფარაონზე, რომელიც ჩვენზე ისე მაღლა დგას, ვით ზეცა დედამიწაზე. ამიტომ გირჩევ, შენ და ლიბიელი უხუცესები აქედან მემფისში გაემგზავროთ, იქ პირქვე დაემხე ამ ქვეყნის მეუფისა და ღმერთის წინაშე და გაიმეორე შენი მონანიების სიტყვა, რომელიც აქ მოვისმინე. არ ვიცი, როგორი იქნება წარმატება, მაგრამ ვინაიდან ღმერთები მომნანიებელთა და მთხოვნელთაგან პირს არასოდეს არ იბრუნებენ, ვფიქრობ, თქვენ იქ კარგად მიგიღებენ. ახლა კი მიჩვენეთ ფარაონისადმი განკუთვნილი ძღვენი, რომ შემეძლოს განვსაჯო, მოალბობს თუ არა იგი ყოვლადძლიერი მეუფის გულს.

ამ დროს ბატონიშვილის ეტლში მდგომი პენტური მენტესუფისმა მიიხმო. როდესაც ის ჩამოვიდა და წმიდა კაცთან მივიდა, მენტესუფისმა ჩასჩურჩულა:

– ვშიშობ, ჩვენს ახალგაზრდა ბატონს ასეთმა გამარჯვებამ თავბრუ არ დაასხას. რას იტყვი, იქნებ გონივრული ყოფილიყო ეს ზეიმი როგორმე შეგვეწყვიტა?

– პირიქით, – უპასუხა პენტუერმა, – ზეიმს ნუ შეწყვეტთ, მე კი ვთავდებობ, რომ მემკვიდრის სახე მხიარული არ იქნება.

– სასწაულს მოახდენ?

– აბა საიდან ძალმიძს სასწაულის მოხდენა? მე იმას ვუჩვენებ მხოლოდ, რომ ამქვეყნად უდიდეს სიხარულს თან უდიდესი მწუხარება სდევს.

---

[1] სიტყვები ფარაონ ხორემხების (ძ.წ. 1342-1338) აკლდამის წარწერიდან (ავტ. შენიშვ.).

– თავად უკეთ უწყი, – უპასუხა მენტესუფისმა, – ღმერთებმა შენ მოგანიჭეს უმაღლესი საბჭოს წევრის შესაფერი სიბრძნე.

დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, და დაიწყო ტრიუმფალური სვლა.

წარჩინებულ ლიბიელთა ბადრაგას თანხლებით წინ ძღვენით ხელში მოდიოდნენ მონები. მათ მოჰქონდათ ღმერთების ოქროსა და ვერცხლის ქანდაკებები, ნელსაცხებლით სავსე ზარდახშები, მომინანქრებული ჭურჭელი, ქსოვილები, ძვირფასეულობა, საფირონით და ალმასით მოოჭვილი ოქროს ფიალები. მონებს, რომლებიც ძღვენს ეზიდებოდნენ, თავი მოპარსული ჰქონდათ, პირი კი ახვეული, რათა რომელიმე მათგანს ძვირფასი ქვა არ გადაეყლაპა.

რამზესი ეტლში იდგა და გორაკიდან ისე დასცქეროდა ლიბიელებსა და თავის ჯარს, როგორც ყვითელთავიანი არწივი ჭრელ კაკბებს. ბატონიშვილი სიამაყით იყო აღსავსე და ყველა გრძნობდა, რომ ამ ძლევამოსილზე ძლიერი არავინ არის.

მაგრამ ანაზდად ბატონიშვილის თვალებმა ელვარება დაჰკარგა და სახეზე უსიამოვნო გაოცება აესახა. მას ზურგს უკან მდგომმა პენტუერმა ჩასჩურჩულა:

– ყური მომაპყარ, ბატონო, მას შემდეგ, რაც ქალაქი ბუბასტისი დატოვე, იქ საოცარი ამბები დატრიალდა: შენი ქალი, ფინიკიელი კამა, ბერძენ ლიკონთან ერთად გაიქცა.

– ლიკონთან?

– ნუ გაინძრევი, ბატონო, და ნუ უჩვენებ შენს მონებს, რომ დამწუხრებული ხარ შენი ზეიმის დღეს.

ბატონიშვილის ფეხებთან დამარცხებულმა ლიბიელებმა გაიარეს, რომელთაც კალათებით ხილი და პური მოჰქონდათ, ვეება ჩაფებით კი ღვინო და ზეთი მეომართათვის. ამის დანახვაზე მეომართა რიგებს შორის სიხარულის ჩურჩულმა გადაირბინა, მაგრამ რამზესს, რომელიც პენტუერის ნაამბობით იყო გაოგნებული, ეს არ შეუმჩნევია.

– ღმერთებმა დასაჯეს, – ჩურჩულებდა წინასწარმეტყველი, – მოღალატე ფინიკიელი ქალი...

– შეიპყრეს? – შეეკითხა რამზესი.

– შეიპყრეს, მაგრამ საჭირო შეიქნა მისი აღმოსავლეთ ახალშენში გაგზავნა... მას კეთრი შეეყარა...

– ჰოი, ღმერთებო! – წაიჩურჩულა რამზესმა, – მეც ხომ არ მემუქრება ეს საშინელი სენი?

– დამშვიდდი, ბატონო, შენ რომ გადაგდებოდა, ამდენ ხანს უკვე გამოგაჩნდებოდა.

ბატონიშვილს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

როგორ ეადვილებათ ღმერთებს ადამიანის გადაგდება უმაღლესი მწვერვალიდან მწუხარების უფსკრულში!

– ის არამზადა ლიკონი რა იქნა?

– იგი უდიდესი ბოროტმოქმედია, – უპასუხა პენტუერმა, – ბოროტმოქმედი, რომლის მსგავსი იშვიათად გაჩენილა დედამიწაზე.

– ვიცნობ; იგი ისე მგავს, როგორც ჩემი ანარეკლი, – უთხრა რამზესმა.

ახლა მათ უახლოვდებოდა ჯგუფი ლიბიელებისა, რომელთაც იშვიათი ცხოველები მოჰყავდათ: წინ მოდიოდა ერთკუზიანი, მოთეთრო ბალნიანი აქლემი, ერთი პირველთაგანი, რომელიც უდაბნოში დაიჭირეს. მას უკან მოსდევდა ორი მარტორქა, ცხენების რემა და გალიაში დამწყვდეული მოთვინიერებული ლომი. შემდეგ მოჰქონდათ მრავალი გალია ნაირფერი ფრინველებით, მაიმუნებითა და ფინიებით სეფექალებისათვის. სულ ბოლოს ხარების დიდ ჯოგსა და ცხვრის ფარას მოერეკებოდნენ ჯარისკაცების საზრდოდ.

ბატონიშვილმა თვალი მოავლო ამ სამხეცეს და ქურუმს შეეკითხა:

– ლიკონი დაპატიმრებულია?

– ახლა გადმოგცემ ყველაზე სამწუხარო ამბავს, უბედურო ხელმწიფევ, – ჩურჩულებდა პენტუერი, – მაგრამ გახსოვდეს, ეგვიპტის მტრებმა შენს სახეზე ვაება არ ამოიკითხონ...

ბატონიშვილი შეძრწუნდა.

– შენი მეორე ქალი, ებრაელი სარა...

– რაო, ისიც გაიქცა?

– არა, საპყრობილეში მიიცვალა.

– ჰოი, ღმერთებო! მერე ვინ გაბედა მისი დაპატიმრება?

– მან თვითონ დაიბრალა შენი ვაჟის მოკვლა...

– რა სთქვი?

ბატონიშვილის ფეხებთან ხმამაღალი შეძახილი გაისმა: მოდი-

ოდნენ ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი ლიბიელები და მათ წინ მოუძღოდა მჭმუნვარე ტეხენა.

რამზესის გული ამ წუთში ისეთ ღრმა ტანჯვას განიცდიდა, რომ შეებრალა ტეხენა, მოუხმო მას და უთხრა:

– მიდი მამაშენ მუსავასასთან. დაე იგი შეგეხოს და დარწმუნდეს, რომ ცოცხალი ხარ.

ამ სიტყვებს ყველა ლიბიელი და ეგვიპტის ჯარის ყველა მეომარი აღფრთოვანების მძლავრი ყიჟინით მიესალმა, მაგრამ ბატონიშვილს არ გაუგონია.

– ჩემი ვაჟი მოკვდა? – შეეკითხა ქურუმს. – სარამ შვილის მკვლელობა დაიბრალა? ნუთუ მისი სული სიგიჟემ შეიპყრო?

– ბავშვი საზიზღარმა ლიკონმა მოკლა...

– ჰოი, ღმერთებო, მომანიჭეთ მოთმინების ძალა!.. – ამოიკვნესა რამზესმა.

– გამხნევდი, ბატონო, როგორც ძლევამოსილ ბელადს. შეშვენის.

– განა შეიძლება ასეთი მწუხარების დაძლევა? ჰოი,. ულმობელო ღმერთებო!

– ბავშვი ლიკონმა მოკლა, სარამ კი, შენს დასახსნელად, მისი მოკვლა დაიბრალა... როდესაც ღამით მკვლელი დაინახა, მან იფიქრა, შენა ხარ. :

– მე კი ის სახლიდან გავაძევე! ფინიკიელი ქალის პირფარეში გავხადე... – ჩურჩულებდა მემკვიდრე.

ბოლოს გამოჩნდნენ ეგვიპტელი მეომრები, რომლებიც დახოცილი ლიბიელების მოჭრილი ხელებით სავსე კალათებს მოეზიდებოდნენ.

ამის დანახვაზე ბატონიშვილმა, თვალებზე ხელი მიიფარა და მწარედ ატირდა.

გენერლები მსწრაფლ შემოერტყნენ მის ეტლს და ანუგეშებდნენ თავიანთ სარდალს, ხოლო ქურუმმა მენტესუფისმა წინადადება წამოაყენა, ამიერიდან ეგვიპტელ მეომრებს არასოდეს აღარ მოეკვეთათ ხელები ბრძოლის ველზე დაღუპული მტრისათვის.

ასე მოულოდნელად დამთავრდა ეგვიპტის ტახტის მემკვიდრის პირველი გამარჯვება, მაგრამ მის მიერ დაღვრილმა ცრემლმა უფრო

მეტად დაიმორჩილა ლიბიელები, ვიდრე ძლევამოსილმა ბრძოლამ. და არავის გაკვირვებია, როცა ლიბიელი და ეგვიპტელი მეომრები მშვიდობიანად შემოუსხდნენ კოცონებს და ერთმანეთს პურ-მარილი გაუზიარეს. მტრობა და სიძულვილი, რომელიც წლობით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, მშვიდობიანობის და ურთიერთ ნდობის ღრმა გრძნობამ შეცვალა.

რამზესმა განკარგულება გასცა მუსავასა, ტეხენა და წარჩინებული ლიბიელები დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ მემფისს და მათ ბადრაგა დაუნიშნა, არა იმდენად ზედამხედველობისათვის, რამდენადაც მათი და მათ მიერ მოტანილი ძღვენის დასაცავად. თვითონ კი კარავში წავიდა და რამდენიმე საათი გარეთ არ გამოსულა. მან თუტმოსიც კი არ მიიღო, როგორც ადამიანმა, რომელშიც მწუხარებამ მახლობელი მეგობარი შეცვალა.

საღამო ჟამს მემკვიდრეს კალიპის მეთაურობით ბერძენ ოფიცერთა დელეგაცია ეწვია. ბატონიშვილის შეკითხვაზე, თუ რა სურთ, კალიპმა უპასუხა:

– ჩვენ გეახელით, ბატონო, გთხოვოთ, რათა ცხედარი ჩვენი ბელადისა და შენი მსახურის პატროკლესი ეგვიპტელ ქურუმებს კი არ გადაეცეს, არამედ ბერძნული ჩვეულების თანახმად დაიწვას.

ბატონიშვილი გაოცდა.

– თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, რომ პატროკლეს ცხედრიდან ქურუმებს სურთ საღვთო მუმია გააკეთონ და ფარაონთა აკლდამებს შორის მოათავსონ განა შეიძლება ადამიანს ამქვეყნად წილად ხვდეს მეტი პატივი?

ბერძნები ყოყმანობდნენ. ბოლოს კალიპმა გაბედა და უპასუხა:

– ბატონო ჩვენო, ნება გვიბოძე გული გადაგიშალოთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ადამიანისათვის მუმიად გარდაქმნა უმჯობესია, ვიდრე დაწვა, ვინაიდან, მაშინ როდესაც დამწვარის სული იმ წამსვე გადადის მარადისობაში, დაბალზამებულის სულს შეუძლია ათასი წელი იცოცხლოს ამქვეყნად და დატკბეს მისი მშვენიერებით. მაგრამ ეგვიპტელ ქურუმებს, ჰოი, ბელადო – დაე ნუ შეურაცხყოფს ეს შენს სმენას! – სძულდათ პატროკლე. ვინღა გვითავდებებს, რომ ქურუმები მისი მუმიის შენახვით იმიტომ აჩერებენ პატროკლეს სულს დედამიწაზე,

რომ იგი წამებას მისცენ? და რად ვეღირებოდით ჩვენ, თუ შურისძიების ეჭვი გვაქვს და მისგან ჩვენი თანამემამულისა და წინამძღოლის სულს არ დავიცავთ?

რამზესის გაოცება კიდევ უფრო გაიზარდა.

– მოიქეცით ისე, – უთხრა მან, – როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ.

– ცხედარი რომ არ დაგვანებონ?

– თქვენ მხოლოდ კოცონი დაანთეთ, დანარჩენს მე თვითონ ვკისრულობ.

ბერძნები წავიდნენ. ბატონიშვილმა კი მენტესუფისი დაიბარა.

თავი ოცდამეორე

ქურუმმა ალმაცერად გადახედა მემკვიდრეს და შეამჩნია, რომ მას სახე ფრიად ჩამოხმობოდა და გაფითრებოდა. თვალები ღრმად ჩასცვენოდა და ელვარება დაეკარგა.

ბერძნების სურვილი რომ გაიგო, მაშინვე დათანხმდა მათთვის პატროკლეს ცხედარი გადაეცა.

– ბერძნები მართალი არიან, – განაცხადა ქურუმმა, – ჩვენ შეგვეძლო პატროკლეს აჩრდილისათვის სიკვდილის შემდეგ ტანჯვა მიგვეყენებინა. მაგრამ სისულელეა იმის ფიქრი, თითქოს რომელიმე ეგვიპტელ თუ ქალდეველ ქურუმს შეეძლოს მსგავსი დანაშული ჩაიდინოს. დაე წაიღონ თავიანთი თანამემამულის ცხედარი, თუკი ფიქრობენ, რომ მათი წეს-ჩვეულების შესრულება სიკვდილის შემდეგ პატროკლეს უფრო ბედნიერს გახდის.

ბატონიშვილმა იმ წამსვე წარგზავნა ერთი ოფიცერი სათანადო ბრძანებით, მენტესუფისი კი თავისთან შეაჩერა. ცხადი იყო, მისთვის რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ რატომღაც ყოყმანობდა.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ იგი უცებ შეეკითხა ქურუმს!

– შენ, ალბათ, გეცოდინება, წმიდაო წინასწარმეტყველო, რომ ერთი ჩემი ქალთაგანი, სარა, მოკვდა, ხოლო მისი ვაჟი მოკლულია.

– ეს ამბავი, – უპასუხა მენტესუფისმა, – სწორედ იმ ღამეს მოხდა, როდესაც ჩვენ ბუბასტისიდან წამოვედით.

ბატონიშვილი წამოხტა.

– ჰოი, გულთამხილავო ამონო! – წამოიძახა მან, – ასე დიდი ხანია, რაც ეს ამბავი მომხდარა და თქვენ კი ჩემთვის არა გითქვამთ რა! არც ის გითქვამთ, რომ თურმე ჩემზეც ეჭვი ჰქონდათ საკუთარი შვილის მკვლელობაში.

– ბატონო, – უთხრა ქურუმმა, – მთავარსარდალს ბრძოლის წინ არც მამა, არც შვილი – არავინ არ გააჩნია: მისთვის არსებობს მხოლოდ მისი ჯარი და მტერი. განა შეგვეძლო ეგოდენ მნიშვნელოვან მომენტში ამგვარი ამბებით დაგვერღვია შენი სულიერი სიმშვიდე?

– ეგ მართალია, – ჩაფიქრების შემდეგ უპასუხა რამზესმა. – ახლა რომ მტერი მოულოდნელად თავს დაგვესხას, მე არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა თავდაცვის მართებულად გაძღოლას. და საერთოდ არ ვიცი, შევძლებ თუ არა ოდესმე კვლავ მოვიპოვო სულის სიმშვიდე...

– ისეთი პაწაწა, ასეთი პატარა ბავშვი!.. და ის ქალი, რომელმაც ჩემი გულისათვის თავი გასწირა, თუმცა იგი მე ასე სასტიკად შეურაცხვყავი!.. ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ასეთი უბედურება ხდება და რომ ადამიანის გულს მისი გადატანა შეუძლია.

– დრო ყველაფერს კურნავს... დრო და ლოცვა, – ჩაიჩურჩულა ქურუმმა.

ბატონიშვილმა თავი გაიქნია და კარავში კვლავ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ისმოდა, როგორ ცვიოდა სილა სილის საათში.

– მითხარ, წმიდაო მამაო, – მიმართა ქურუმს მემკვიდრემ, – რა განსხვავებაა მიცვალებულის დაწვასა და მის მუმიად გარდაქმნას შორის? თუმცა ამის შესახებ ცოტა რამ მსმენია სკოლაში, მაგრამ იმ საკითხში, რომელსაც ბერძნები ასეთ დიდ მნიშვნელობას მიაწერენ, მე ვერ ვერკვევი.

– ჩვენ კიდევ მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ... – უპასუხა ქურუმმა. – ამას მოწმობს ჩვენი მიცვალებულთა ქალაქები, რომელთაც დასავლეთ უდაბნოს მთელი მხარე უკავიათ, მოწმობს პირამიდები – ძველი სამეფოს ფარაონების აკლდამები, და კლდეში გამოკვეთილი აკლდამები ჩვენი ეპოქის მეფეებისათვის. მიცვალებულთა დაკრძალვა და მათი საიქაო სასუფევლების მოწყობა ადამიანთათვის უდიდესი საქმეა. რადგანაც, მაშინ როდესაც სხეულის გარსში ორმოცდაათი, ასი წელი ვცოცხლობთ, ჩვენი აჩრდილები სრულ განწმენდამდე

ათეული ათას წელს განაგრძობენ სიცოცხლეს. ასირიელი ბარბაროსები დასცინიან იმას, რომ ჩვენ მეტ ყურადღებას ვაქცევთ მიცვალებულთ, ვიდრე ცოცხლებს, მაგრამ ისინი ინანებდნენ მიცვალებულების მიმართ თავიანთ უყურადღებობას, რომ მათ, როგორც ჩვენ, სიკვდილისა და საფლავის საიდუმლოება იცოდნენ.

ბატონიშვილი შეკრთა.

– შენ მაშინებ, – უთხრა მან. – განა დაგავიწყდა, რომ მე მიცვალებულთა შორის ორი ძვირფასი არსება მყავს, რომლებიც არ დაუკრძალავთ ეგვიპტური წესების თანახმად?

– შენ ცდები. სწორედ ახლა ამზადებენ მათს მუმიებს. და როგორც სარას, ისე შენს შვილს ექნებათ ყველაფერი, რაც გამოადგებათ ხანგრძლივ მოგზაურობაში...

– ნამდვილად? – რამზესს სახე გაუბრწყინდა.

– სიტყვას გაძლევ, რომ ეს ასეა, – უპასუხა ქურუმმა, – და რომ შესრულებული იქნება ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა, ბატონო, იხილო ისინი ბედნიერები, როდესაც შენც მოგწყინდება ამქვეყნიური ცხოვრება.

ქურუმის სიტყვებმა მემკვიდრეს გული ძალზე აუჩუყა.

– მაშ შენ ფიქრობ, წმიდაო მამაო, რომ ოდესმე კვლავ ვიხილავ ჩემს ვაჟს და ვეტყვი იმ ქალს: „სარა, მე ვიცი, რომ შენ ფრიად სასტიკად მოგექეცი!..“

– მე ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ შენ გხედავ...

– ილაპარაკე... მოყევი! – წამოიძახა ბატონიშვილმა. – ადამიანი მანამდე არ ფიქრობს სამარეზე, ვიდრე მასში თავისი თავის ნაწილს არ ჩაუშვებს. მე კი ეს უბედურება დამატყდა თავს და სწორედ იმ მომენტში, როცა ვფიქრობდი, ფარაონის გარდა, ჩემზე ძლიერი სხვა არავინ მოიპოვება-მეთქი.

– შენ მეკითხები, ბატონო, – უთხრა მენტესუფისმა, – რა განსხვავებაა მიცვალებულის დაწვასა და მუმიად გარდაქმნას შორის? ისეთივე, როგორიც ტანსაცმლის მოსპობასა და მის საკუჭნაოში შენახვას შორის. როდესაც ტანსაცმელს ვინახავთ, იგი შეიძლება არა ერთხელ გამოგვადგეს, და მით უმეტეს, თუ ის მხოლოდ ერთი გაქვს, სიგიჟე იქ-

ნებოდა მისი დაწვა.

– არ მესმის, – შენიშნა ბატონიშვილმა. – ამას თქვენ უმაღლეს სკოლაშიც კი არ ასწავლით.

– მაგრამ შეგვიძლია ფარაონის მემკვიდრეს ვუთხრათ. შენ იცი, – განაგრძობდა ქურუმი, – რომ ადამიანის არსება სამი ნაწილისაგან შედგება: სხეულის, ღვთიური ნაპერწკლისა – და აჩრდილის, ანუ კასაგან, რომელიც სხეულს ღვთიურ ნაპერწკალთან აერთებს. როდესაც ადამიანი კვდება, მისი აჩრდილი და ნაპერწკალი სხეულისაგან ცალკევდება. ადამიანი რომ უცოდველად ცხოვრობდეს, მისი ღვთიური ნაპერწკალი აჩრდილთან ერთად მაშინვე წავიდოდა ღმერთებთან სამარადისო სიცოცხლის დასამკვიდრებლად. მაგრამ ყოველი კაცი სცოდავს, ამქვეყნად თავს იბინძურებს და ამიტომაც მისი აჩრდილი – კა – უნდა გაიწმინდოს, ზოგჯერ მრავალი ათასი წლის განმავლობაში. იწმინდება კი იგი იმით, რომ ადამიანთა შორის უხილავად დაეხეტება ჩვენს დედამიწაზე და კეთილ საქმეებს სჩადის. თუმცა ბოროტმოქმედთა აჩრდილები იმქვეყნადაც კი არ იშლიან დანაშაულებრივ ქმედობას და საბოლოოდ ღუპავენ თავიანთ თავსაც და მათში მოთავსებულ ღვთიურ ნაპერწკალსაც. უნდა გვახსოვდეს, – და ეს შენთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს, – რომ ეს აჩრდილი, კა, ზედმიწევნით ჰგავს ადამიანს, მხოლოდ ისე გამოიყურება, თითქოს იგი ფრიად თხელი ნისლისაგან იყოს მოქსოვილი. აჩრდილს აქვს თავი, ხელები და ტანი; მას შეუძლია სიარული, ლაპარაკი, საგნების გადაგდება თუ აღება; შეუძლია ტანთ ჩაიცვას, როგორც ადამიანმა, და განსაკუთრებით სიკვდილის შემდეგ პირველი რამდენიმე ასი წლის განმავლობაში დროდადრო რითიმე უნდა იკვებებოდეს. შემდეგში მისთვის საკმარისია საჭმელების გამოსახულება; მაგრამ მთავარ ძალას აჩრდილი თავის სხეულისაგან იღებს, რომელიც მის შემდეგ დედამიწაზე რჩება. თუ სხეულს მიწაში დავმარხავთ, მალე გაიხრწნება და აჩრდილი იძულებულია მტვრითა და მპალით იკვებოს. თუ სხეულს დავწვავთ, აჩრდილის საკვებად ფერფლიღა რჩება. ხოლო თუ სხეულიდან მუმიას გავაკეთებთ, ესე იგი თუ ათასი წლით დავაბალზამებთ, მაშინ აჩრდილი და მუდამ ჯანმრთელია, ძლიერი და დამშვიდებით, თითქმის ხალისით ატარებს თავის განწმენდის პერიოდს...

– საოცარი რამ არის, – ჩაიჩურჩულა მემკვიდრემ.

– საიქიო ცხოვრების შესახებ თავისი ათასწლოვანი გამოკვლევების წყალობით ქურუმებმა ბევრი მნიშვნელოვანი წვრილმანი შეიტყვეს. ცნობილი შეიქნა, რომ როდესაც მიცვალებულის გვამში შიგნეულს ვტოვებთ, მისი აჩრდილი, კა, დიდ მადას ინარჩუნებს და იმდენსავე საჭმელს მოითხოვს, რამდენსაც ადამიანი. ხოლო როდესაც მას საჭმელი არ ჰყოფნის, იგი ცოცხლებს ეტაკება და სწოვს მათ სისხლს. იმ შემთხვევაში კი, თუ გვამიდან შიგნეულს ამოვიღებთ, როგორც ჩვენ ვიქცევით, აჩრდილი თითქმის უსაჭმლოდ ძლებს: მისი საკუთარი დაბალზამებული და ფრიად სურნელოვანი ბალახებით ავსებული სხეული მილიონ წლებს ყოფნის. ასევე გამოკვლეულია, რომ თუ მიცვალებულის საფლავი მოწყობილი არ არის, მაშინ აჩრდილი წუხს და უმიზნოდ დაეხეტება დედამიწაზე. მაგრამ თუ საფლავში ჩადებულია ტანისამოსი, ავეჯი, ჭურჭელი, იარაღი და ხელსაწყოები, რომლებიც მიცვალებულს უყვარდა, თუ მის კედლებზე დასურათებულია ნადიმები, ნადირობა, ღვთისმსახურებანი, ომები და ის შემთხვევები, რომლებშიც მიცვალებული მონაწილეობდა, თუ ყოველივე ამას მისი ოჯახის წევრების, მსახურების, ცხენების, ძაღლებისა და საქონლის ქანდაკებები აქვს დართული, – აჩრდილი არ გამოჩნდება ქვეყნად, რადგან ყოველივეს თავის „მიცვალებულთა სახლში“ პოულობს. ამას გარდა, დადგენილია, რომ ბევრ აჩრდილს, თითქმის მონანიების გზის განვლის შემდეგაც, არ ძალუძს სამარადისო ბედნიერების მხარეში შევიდეს, რადგან საჭირო ლოცვები და შელოცვები არ იცის, ჩვენ კი ამას იმით ვასწორებთ, რომ მუმიებს პაპირუსებში ვხვევთ, რომლებშიც დაწერილია შესაფერი წარმოთქმები, და კუბოში ვდებთ „მიცვალებულთა წიგნს“[1]. ერთი სიტყვით, ჩვენი რიტუალი დაკრძალვისა აძლევს აჩრდილს ძალას. იცავს მას უხერხულობისა და დედამიწისადმი სევდისაგან, უადვილებს ღმერთებთან ურთიერთობას და დაიხსნის ცოცხლებს იმ ვნებისაგან, რომელიც შეეძლოთ მათთვის აჩრდილებს მიეყენებინათ. სახელდობრ ამ მიზანს ისახავს ჩვენი დი-

[1] „მიცვალებულთა წიგნი“ - ძველეგვიპტური სარწმუნოებრივ-მაგიური კრებული, რომელიც მრავალ შელოცვას, ჰიმნს, ლოცვას და სულის მოსახსენებელ რიტუალისა და საიქიოში მიცვალებულის ბედის. აღწერილობათ შეიცავს.

დი ზრუნვა მიცვალებულებზე: ამიტომ ვუშენებთ მათ სასახლეებს და მათში უმყუდროეს საცხოვრებლებს.

ბატონიშვილი ერთხანს რაღაცაზე დაფიქრდა და ბოლოს თქვა:

– მე მესმის, თქვენ დიდ სამსახურს უწევთ უძლურსა და უმწეო აჩრდილებს იმით, რომ მათ ყოველივე აუცილებელით ამარაგებთ... მაგრამ ვინ დამარწმუნებს, აჩრდილები ნამდვილად არსებობენ? ვიცი, უწყლო უდაბნო არსებობს, იმიტომ რომ ვხედავ მას, ვეფლობოდი მის ქვიშაში და განვიცადე მისი პაპანაქება. ვიცი ისიც, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც წყალი ისეთ მაგარ საგნად იქცევა, როგორც ქვა, ხოლო ორთქლი თეთრი ბუმბულის სახეს იღებს, იმიტომ რომ ნდობის ღირსმა თვითმხილველებმა მიამბეს ეს... მაგრამ საიდან იცით აჩრდილების არსებობა, რომლებიც არავის უხილავს, და მათი იმქვეყნიური ცხოვრება, როდესაც მიცვალებულთა სასუფევლიდან არც ერთი კაცი არ დაბრუნებულა?

– ცდები, მეფისწულო, – უპასუხა ქურუმმა, – აჩრდილები ევლინებიან ზოგჯერ ადამიანებს და ისიც მომხდარა, რომ ისინი მათ თავიანთ საიდუმლოს უმჟღავნებდნენ. შეიძლება ათი წელი იცხოვრო თებეში და წვიმა ვერ იხილო; შეიძლება ასი წელი იცოცხლო და აჩრდილს ვერ შეხვდე. მაგრამ ის, ვინც თებეში ასი წელი ან დედამიწაზე ათასი წელი იცხოვრებდა, არა ერთ წვიმასა და აჩრდილს იხილავდა.

– მერე ვინ იცოცხლა ათასი წელი? – შეეკითხა რამზესი.

– ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებს ქურუმთა წმიდა კასტა, – უპასუხა მენტესუფისმა. – იგი. ოცდაათი ათასი წლის წინათ დაესახლა ნილოსის ნაპირებზე, ამ დროის განმავლობაში ზეცა და დედამიწა გამოიკვლია, შექმნა სიბრძნე და ყველა მინდვრის, დამბის, არხის, პირამიდისა და ტაძრის გეგმა მოხაზა...

– ეს მართალია, – შეაწყვეტინა მემკვიდრემ, – ქურუმთა კასტა ბრძენი და ძლიერია. მაგრამ სად არიან აჩრდილები? ვინ ნახა ისინი? ვინ ესაუბრა მათ?

– გახსოვდეს, ბატონო, აჩრდილი ყველა ცოცხალ ადამიანშია. და იმის მსგავსად, როგორც ამქვეყნად დიდი ძალისა და შორსმჭვრეტი ადამიანები მოიპოვებიან, გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც არაჩვეულებრივი ნიჭით არიან დაჯილდოებული – სიცოცხლეშივე გამო-

ყონ თავიანთი აჩრდილები. ჩვენი საიდუმლოებათა წიგნები სავსეა ამის შესახებ ყოვლადსარწმუნო მოთხრობებით. არა ერთ წინასწარმეტყველს მოუხერხებია სიკვდილისმაგვარ ძილს მისცემოდა. მაშინ მისი აჩრდილი სხეულისაგან განცალკევების შემდეგ მსწრაფლ გადადიოდა ტვიროსში, ნინევიასა და ბაბილონში, ხედავდა იმას, რაც აუცილებელი იყო, უხილავად ესწრებოდა ჩვენთვის საინტერესო თათბირებს და როცა წინასწარმეტყველი გაიღვიძებდა, მას ყველაფერს მოუთხრობდა. არა ერთ ბოროტ გრძნეულს დაძინებისას გაუგზავნია მისთვის საძულველი ადამიანის სახლში თავისი აჩრდილი, რომელიც მთელ ოჯახს შიშსა გვრიდა. მომხდარა, რომ ადამიანს, რომელსაც გრძნეულის აჩრდილი სდევნიდა, მას შუბით ან მახვილით გაგმირავდა. მაშინ. დევნილის სახლში სისხლის კვალი ჩნდებოდა, ხოლო გრძნეულს ტანზე სავსებით ისეთივე ჭრილობა აღმოაჩნდებოდა, როგორიც აჩრდილს ჰქონდა მიყენებული. არა ერთგზის ცოცხალი ადამიანის აჩრდილი მასთან ერთად მოგვვლენია მისგან რამდენიმე ნაბიჯზე...

– ვიცი, რა აჩრდილებზეც ლაპარაკობ, – დაცინვით ჩაილაპარაკა რამზესმა.

– ამას უნდა დავძინო, – განაგრძო მენტესუფისმა, – რომ არა მარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც, მცენარეებს, ქვებს, შენობებსა და ავეჯსაც აქვთ აგრეთვე თავიანთი აჩრდილები. მხოლოდ (საკვირველი საქმეა!) – უსიცოცხლო საგნის აჩრდილი მკვდარი კი არ არის, არამედ ცოცხალი: მოძრაობს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, აზროვნებს კიდეც და თავის აზრს სხვადასხვა ნიშნის, მეტწილად კაკუნის საშუალებით გამოთქვამს. როდესაც კაცი მოკვდება, მისი აჩრდილი განაგრძობს სიცოცხლეს და ზოგჯერ ევლინება ადამიანებს. ჩვენს წიგნებში ასეთი შემთხვევები ათასობით არის ჩაწერილი. ზოგი აჩრდილი საკვებს მოითხოვდა, სხვები სახლში დადიოდნენ, ბაღებში მუშაობდნენ ანდა მთებში ნადირობდნენ თავიანთი ძაღლებისა და კატების აჩრდილებთან ერთად. ზოგიერთი აჩრდილი ადამიანთ აშინებდა, მათს ქონებას ანადგურებდა, მათს სისხლს სვამდა და ცოცხლებს გარყვნილებაშიც კი ითრევდა... მაგრამ იყვნენ კეთილი აჩრდილებიც: შვილებისათვის მზრუნველი დედები, ბრძოლის ველზე

მოკლული მეომრები, რომლებიც მტრის ჩასაფრების შესახებ გვაფრთხილებდნენ, ქურუმები, რომლებიც მნიშვნელოვან საიდუმლოებათ გვიმჟღავნებდნენ... ჯერ კიდევ მეთვრამეტე დინასტიის დროს ფარაონ ხეოპსის (რომელიც ახლაც ინანიებს იმის გამო, რომ მისთვის პირამიდის ამშენებელ ხალხს ჩაგრავდა) აჩრდილი ნუბიის ოქროს საბადოებში გამოჩნდებოდა ხოლმე, რომელმაც შეიბრალა ტანჯვაში მომუშავე პატიმრები და მათ ახალი წყარო უჩვენა.

– საინტერესო ამბებს მომითხრობ, წმიდაო მენტესუფის, – უთხრა მემკვიდრემ, – ნება მიბოძე მეც გიამბო რამე. ერთხელ ღამით ბუბასტისში აჩრდილი მიჩვენეს, იგი ზედმიწევნით მგავდა და თითქმის ჩემსავით ეცვა. მაგრამ მალე გავიგე, რომ ის ჩემი აჩრდილი კი არ იყო, არამედ ცოცხალი ადამიანი ვინმე ლიკონი. ჩემი ვაჟის საზიზღარი მკვლელი... თავისი ბოროტმოქმედება მან იქიდან დაიწყო, რომ აშენებდა ფინიკიელ კამას. მე ჯილდო დავნიშნე მისი შეპყრობისათვის... მაგრამ ჩვენმა პოლიციამ არათუ არ შეიპყრო იგი, არამედ საშუალება მისცა გაეტაცა თვითონ კამა და მოეკლა უდანაშაულო ბავშვი... ახლა კი მესმის, რომ კამა ნახეს, მაგრამ იმ გარეწარის შესახებ კი არა ვიცი რა, ალბათ, ცხოვრობს თავისუფალი, ჯანმრთელი, მხიარული და ნაძარცვი სამკაულებით გამდიდრებული. შეიძლება ახალი ბოროტმოქმედების ჩასადენადაც კი ემზადება.

– ამ მკვლელს იმდენი ხალხი სდევს, რომ ოდესმე შეპყრობილი იქნება, – უპასუხა მენტესუფისმა. – ხოლო როდესაც ადრე თუ გვიან იგი ხელში ჩაგვივარდება, ეგვიპტე გადაუხდის იმ მწუხარებისათვის, რომელიც მან ტახტის მემკვიდრეს მიაყენა. მერწმუნე, ბატონო, შეგიძლია წინასწარ აპატიო ყველა დანაშაული, რადგან მისი სასჯელი შესატყვისი იქნება მის მიერ ჩადენილი ბოროტებისა.

– მერჩია, მე ჩამვარდნოდა ხელში, – უთხრა რამზესმა,– ასეთი „აჩრდილი“ საშიში რამ არის.

წმიდა მენტესუფისი, რომელიც მაინცდამაინც დიდად კმაყოფილი არ იყო საუბრის ასეთი დაბოლოებისა, გამოეთხოვა ბატონიშვილს. მის შემდეგ თუტმოსი შევიდა და აცნობა, ბერძნები უკვე შეუდგნენ კოცონის დანთებას მათი ბელადის გვამის დასაწვავად და რამდენიმე ლიბიელი ქალი დათანხმდა იტირონ დაკრძალვის წესის შეს-

რულების დროსო.

– შენ იცი, რომ ჩემი შვილი მოუკლავთ? ისეთი პაწაწა ბავშვი! როცა ხელზე ვატარებდი, იცინოდა და ხელებს მიწაცუნებდა. საკვირველია, რამდენ სისაძაგლეს იტევს ადამიანის გული. იმ საზიზღარ ლიკონს ჩემი მოკვლა რომ ეცადა, გავუგებდი და ვაპატიებდი კიდეც... მაგრამ – ბავშვის მოკვლა...

– სარას თავგანწირვაზე გიამბეს? – შეეკითხა თუტმოსი.

– დიახ, მე მგონია, ჩემს ცოლებში ის ყველაზე ერთგული იყო – და მე უსინდისოდ მოვექეცი... მაგრამ როგორ შეიძლება, – მაგიდაზე მუშტის დარტყმით წამოიძახა რამზესმა, – რომ დღემდე დაპატიმრებული არ არის გარეწარი ლიკონი? ფინიკიელებმა შემომფიცეს... პოლიციის უფროსს ჯილდო აღვუთქვი... აქ უდავოდ რაღაც იმალება...

თუტმოსი რამზესთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

– ჩემთან იყო ხირამის შიკრიკი, რომელმაც მაცნობა, რომ ხირამი, ქურუმების დევნის შიშით, იმალება და ეგვიპტიდან წასვლას აპირებს... ხირამმა ბუბასტისის პოლიციის უფროსისაგან გაიგო თითქოს, რომ... ლიკონი დაჭერილია... მაგრამ ეს საიდუმლოებაა...

შეშინებული თუტმოსი მეფისწულს მისჩერებოდა.

რამზესი წუთით აენთო, მაგრამ მალე თავი შეიკავა.

– დაჭერილია? – გაიმეორა მან. – რას ნიშნავს ასეთი საიდუმლოება?

– იმას, რომ, თანახმად უმაღლესი საბჭოს ბრძანებისა, პოლიციის უფროსი იძულებული იყო იგი წმიდა ნოფრისათვის გადაეცა.

– ეგრე! ეგრე! – რამდენჯერმე გაიმეორა ბატონიშვილმა, – ალბათ, ყოვლადღირს ნოფრსა და უმაღლეს საბჭოს ესაჭიროება ადამიანი, რომელიც მე ასე მგავს! ეგრე! ჩემს ბავშვსა და სარას ბრწყინვალე დაკრძალვას უმზადებენ. მათს ცხედრებს აბალზამებენ, ხოლო მკვლელს უშიშარ ადგილას მალავენ! ეგრე! წმიდა მენტესუფისი უდიდესი ბრძენია. დღეს მან საიქაო ცხოვრების ყველა საიდუმლო მიამბო, დაკრძალვის მთელი რიტუალი ისე განმიმარტა, თითქოს მე, სულ ცოტა, მესამე ხარისხის ქურუმი მაინც ვიყო. ხოლო ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რომ ლიკონი შეპყრობილია და რომ მკვლელი ნოფრთან არის დამალული! ჩანს, წმიდა მამებს ტახტის მემკვიდრის

წვრილმანი საიდუმლოებანი უფრო აინტერესებთ, ვიდრე საიქიო ცხოვრების უდიდესი საკითხები.

– მე მგონია, ხელმწიფევ, ეს არ უნდა გაგიკვირდეს, – შენიშნა თუტმოსმა. – შენ იცი, რომ ქურუმები უკვე ხვდებიან მათდამი შენს არაკეთილ განწყობას და წინასწარ იღებენ გამაფრთხილებელ ზომებს, მით უმეტეს...

– რა, მით უმეტეს?

– ...რომ ფარაონი ძლიერ ავად არის... ძლიერ...

– ხედავ? მამაჩემი ავად არის და მე კი ამ დროს, ჯარის სათავეში მდგომი, უდაბნოს ქვიშას უნდა ვყარაულობდე, რომ ის არ გაიქცეს! კარგია, მომაგონე! დიახ, ფარაონი ნამდვილად მძიმე ავად უნდა იყოს, თუკი ქურუმები ჩემდამი ასეთ ყურადღებას იჩენენ. ყველაფერს მიჩვენებენ, მიამბობენ ყველაფერს, გარდა იმისა, რომ ნოფრმა ლიკონი დამალა. თუტმოს! – მიმართა ბატონიშვილმა თავის მეგობარს, – შენ ახლაც დარწმუნებული ხარ იმაში, რომ მე შემიძლია ჯარის იმედი მქონდეს?

– ჩვენ სიცოცხლეს შემოგწირავთ, ოღონდ გვიბრძანე!

– აზნაურების მხრივაც თავდებობ?

– როგორც ჯარის მხრივ.

– კეთილი, – უპასუხა ტახტის მემკვიდრემ, – ახლა ჩვენ შეგვიძლია უკანასკნელი ვალი მოვიხადოთ პატროკლეს წინაშე.

თავი ოცდამესამე

სანამ ბატონიშვილი რამზესი ქვემო ეგვიპტეში მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა, მისი უწმიდესი მამის ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ახლოვდებოდა წუთი, როდესაც მარადისობის მეუფეს, გულთა სიხარულის აღმძვრელს, ეგვიპტისა და ყველა ქვეყნის, რომელთაც მზე უნათებს, მბრძანებელს, კატაკომბებში, რომლებიც ნილოსის მარცხენა ნაპირას თებეს პირდაპირ მდებარეობდნენ, თავის განთქმულ წინამოადგილეთა გვერდით ადგილი უნდა დაეკავებინა.

ღვთის თანაბარი მბრძანებელი, ქვეშევრდომთათვის სიცოცხლის

მიმნიჭებელი და თავის გულის წადილთა თანახმად ქმრებისთვის ცოლების წართმევის უფლების მქონე, არც ისე მოხუცი იყო, მაგრამ მეფობის ოცდაათზე მეტმა წელმა. ისე მოქანცა, რომ თვითონ სურდა უკვე დაესვენა და დაებრუნებინა ჭაბუკობა და სილამაზე დაისის მხარეში, სადაც ყოველი ფარაონი უკუნითი უკუნისამდე მეფობს იმდენად ბედნიერ ხალხებზე, რომელთაგან არავინ არასოდეს არ მოისურვა იქიდან დაბრუნება.

ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ უწმიდესი მბრძანებელი ეზიდებოდა მბრძანებლის მოვალეობასთან დაკავშირებულ ყველა ტვირთს და ამით მთელი ხილული სამყაროს უშიშროებასა და კეთილდღეობას უზრუნველჰყოფდა.

– დილაადრიან მამლის პირველ ყივილზე ამომავალი მზის სადიდებელი ჰიმნით აღვიძებდნენ ქურუმები მბრძანებელს, ფარაონი დგებოდა სარეცელიდან და მოოქრულ აბაზანაში ვარდის წყლით განიბანებოდა. შემდეგ ღვთაებრივ სხეულ, სურნელოვანი ზეთით უზელდნენ ბოროტ სულთა განმდევნელ, ლოცვების ჩურჩულით.

განწმენდილი და სურნელებანაფრქვევი ფარაონი ეკვდერში მიდიოდა, მის კარზე თიხის პლომბს ააგლეჯდა და მარტო შევიდოდა საკურთხეველში, სადაც სპილოს ძვლის სარეცელზე ღმერთ ოზირისის საუცხოო გამოსახულება იყო წამოწოლილი. ამ ქანდაკებას საოცარი მადლი ჰქონდა მომადლებული: ყოველ ღამე ტყდებოდა ხელები, ფეხები და თავი, რომლებიც ოდესღაც მოჰკვეთა ბოროტმა ღმერთმა სეთმა, დილით კი, ფარაონის ლოცვის შემდეგ, თავისთავად შეეხორცებოდნენ. როცა მისი უდიდებულესობა დარწმუნდებოდა, რომ ოზირისი კვლავ მთელია, მას სარეცლიდან ჩამოასვენებდა, განბანდა, ძვირფასი ტანსაცმლით შემოსავდა, ტახტზე დასვამდა და ნელსურნელებას უკმევდა. ამ წესის შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ოზირისის ღვთაებრივი სხეული რომელიმე დილას რომ არ შესისხლხორცებულიყო, ეს არა მარტო ეგვიპტისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის უდიდესი უბედურების მომასწავებელი იქნებოდა.

ღმერთ ოზირისის მკვდრეთით აღდგენისა და შემოსვის შემდეგ ფარაონი ეკვდერის კარს ღია ტოვებდა, რომ იქიდან გამომდინარე

მადლი მთელ მხარეს მოფენოდა. ის თვითონ ნიშნავდა ქურუმებს, რომელთაც საკურთხეველი უნდა დაეცვათ არა იმდენად ადამიანთა ბოროტი ნებისაგან, რამდენადაც მათი თავქარიანობისაგან, რადგან არა ერთხელ მომხდარა, რომ ვინმე გაუფრთხილებლად ფრიად ახლოს მისულა წმიდა ადგილთან და მოულოდნელად დამბლა დასცემია, რომლის ზეგავლენით გონება და ზოგჯერ სიცოცხლეც კი დაუკარგავს.

ღვთისმსახურების წესის შესრულების შემდეგ ფარაონი ქურუმების გუნდის თანხლებით. სატრაპეზო დარბაზში მიდიოდა. იქ იდგა მაგიდა და სავარძელი მისთვის და ცხრამეტი სხვა მაგიდა ცხრამეტი ქანდაკების წინ, რომლებიც წინანდელ ცხრამეტ დინასტიას გამოსახავდნენ. როცა ფარაონი მაგიდას მიუჯდებოდა, დარბაზში ქალიშვილები და ვაჟები შემოირბენდნენ, ხელში ეჭირათ ვერცხლის თეფშები ხორცითა და ნამცხვრით და ღვინის დოქები. ქურუმი, რომელიც სამეფო სამზარეულოს მეთვალყურეობდა, სინჯავდა პირველი თეფშის საჭმელსა და პირველი დოქის ღვინოს; შემდეგ დაჩოქილი მსახურები მათ ფარაონს აწოდებდნენ, დანარჩენ თეფშებსა და დოქებს კი წინაპართა ქანდაკებების წინ დგამდნენ. მას შემდეგ, რაც ფარაონი დანაყრდებოდა და სატრაპეზოდან გავიდოდა, წინაპრებისათვის განკუთვნილი კერძები მეფის ბავშვებსა და ქურუმებს მიერთმეოდა.

სატრაპეზოდან ფარაონი აუდიენციების ასეთსავე დიდ დარბაზში მიდიოდა. აქ მას პირქვე დამხობით ესალმებოდნენ მახლობელი სახელმწიფო მოხელეები და ოჯახის უახლოესი წევრები, რის შემდეგ სამხედრო მინისტრი ხერიჰორი, უმაღლესი ხაზინადარი, უმაღლესი მსაჯული და პოლიციის უმაღლესი უფროსი მას სახელმწიფო საქმეებს მოახსენებდნენ. მოხსენებები წყდებოდა სარწმუნოებრივი მუსიკითა და ცეკვით, რომლის დროს მოცეკვავე ქალები ტახტს თაიგულებითა და გვირგვინებით ავსებდნენ.

აუდიენციის შემდეგ ფარაონი გვერდით მდებარე კაბინეტfში შედიოდა და, დივანზე წამოწოლილი რამდენიმე წუთს ისვენებდა. შემდეგ ღმერთების წინ ღვინის პკურების და ნელსურნელების კმევას ასრულებდა და მერე ქურუმებს თავის სიზმრებს უამბობდა. მათი განმარტების მიხედვით ბრძენები უმაღლეს ბრძანებულებათ ადგენ-

დნენ იმ საქმეებზე, რომლებიც ფარაონის გადაწყვეტილებას ელოდ-ნენ.

მაგრამ, ზოგჯერ, როცა სიზმრები არ იყო ან მათი განმარტება მბრძანებელს არასწორად მიაჩნდა, გულმოწყალედ გაიცინებდა და ბრძანებდა ასე და ასე მოიქეცითო. ეს ბრძანება კანონად ითვლებო-და, რომლის შეცვლა არავის შეეძლო.

ნაშუადღევის საათებში ფარაონი, რომელიც ტახტრევანით მიჰ-ყავდათ, ეზოში თავისი ერთგული გვარდიის წინაშე გამოჩნდებოდა, შემდეგ ყათარზე ადიოდა, ოთხივე მხარეს მიმართავდა და თავის ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა. ამ დროს პილონებზე აღიმართებოდა ალმები და საყვირთა ძლიერი ხმები გაისმოდა. ყოველი, ვინც მათ ისმენდა ქალაქში თუ მინდორში, იქნებოდა ის ეგვიპტელი თუ ბარბა-როსი, პირქვე ემხობოდა, რომ მასზედაც გადმოსულიყო უზენაესი მადლი.

ამ დროს არ შეიძლებოდა არც ადამიანის და არც ცხოველის ცემა, და თუ სიკვდილმისჯილ დამნაშავეს შეეძლო დაემტკიცებინა, რომ მას განაჩენი მაშინ წაუკითხეს, როდესაც მიწისა და ცის მბრძანებელი ყაზარზე გამოდიოდა, სასჯელი უმსუბუქდებოდა, რადგან ფარაონის წინ ძლიერება მიაბიჯებს, ხოლო უკან – მოწყალება.

მას შემდეგ, რაც ხალხი გააბედნიერა, მზის ქვეშ ყოველივე არსე-ბულის მბრძანებელი თავის ბაღებში ჩადიოდა და პალმებისა და ლეღვების ტევრში ისვენებდა, თავისი ცოლებისაგან ალერსის ხარკს იღებდა და თავისი სახლის ბავშვების თამაშით ტკბებოდა. თუ ვინმე მათგანი სილამაზით თუ სიჩაუქით მის ყურადღებას მიიპყრობდა, თავისთან მიიხმობდა და ეკითხებოდა:

– ვინა ხარ, პატარავ?

– მე ბატონიშვილი ბენუტერენრისი ვარ, ფარაონის ვაჟი,– უპასუ-ხებდა ბიჭუნა,

– დედაშენს რა ჰქვია?

– დედაჩემი ქალბატონი. იმემტეტია, ფარაონის ცოლი.

– შენ რა გისწავლია?

– მე ვიცი უკვე თვლა ათამდე და შემიძლია დავწერო: მარად ცოც-ხლობდეს მამა და ღმერთი ჩვენი, უწმიდესი ფარაონი რამზესი!

მარადისობის მბრძანებელი კეთილად გაიღიმებდა და თავისი ნაზი, თითქმის გამჭვირვალე ხელით შეეხებოდა მკვირცხლი ბავშვის ხუჭუჭ თავს. ამ მომენტიდან ბავშვი უკვე ნამდვილად ითვლებოდა მეფისწულად, თუმცა ფარაონი განაგრძობდა მაინც იდუმალად გაღიმებას.

მაგრამ ვისაც ერთხელ შეეხებოდა ღვთაებრივი ხელი, მას უკვე აღარ შეეძლო სცოდნოდა ცხოვრების ჭირ-ვარამი და დანარჩენებზე მაღლა უნდა მდგარიყო.

სადილობდა მბრძანებელი მეორე სატრაპეზოში, სადაც ტრაპეზს უნაწილებდა ეგვიპტის ყველა ნომის ღმერთებს, რომელთა ქანდაკებანი კედლის გასწვრივ იდგნენ. რაც ღმერთებს. გადარჩებოდა, ქურუმებსა და მაღალ კარის კაცებს ეძლეოდა.

საღამოს ფარაონთან შედიოდა ქალბატონი ნიკოტრისა – ტახტის მემკვიდრის დედა, და მბრძანებელი ისმენდა კონცერტს და უცქეროდა სარწმუნოებრივ როკვებს. მერე იგი კვლავ მიდიოდა სააბაზანო ოთახში და განწმენდის შემდეგ ოზირისის ეკვდერში შედიოდა, რომ ტანი გაეხადა და დასაძინებლად ჩაესვენებინა საუცხოო ღმერთი. ამის შესრულების შემდეგ იგი კეტავდა და ბეჭდავდა ეკვდერის კარს და ქურუმების თანხლებით გადიოდა თავის საწოლ ოთახში.

ქურუმები მეზობელ ოთახში მზის ამოსვლამდე აღავლენდნენ ვედრებას ფარაონის სულისადმი, რომელიც ძილის დროს ღმერთებს შორის იმყოფებოდა. ისინი თხოვნით მიმართავდნენ, სახელმწიფოს ყველა მიმდინარე საქმე გადაეწყვიტა, ეგვიპტის საზღვრები და ფარაონთა აკლდამები დაეცვა, რომ შიგ შესვლა და სახელოვანი მბრძანებლების სამარადისო მყუდროების დარღვევა ვერც ერთ ქურდს ვერ გაებედა. მაგრამ დაქანცული ქურუმების ვედრებანი ყოველთვის ვერ აღწევდნენ მიზანს: სახელმწიფოს სიძნელენი იზრდებოდა და წმიდა აკლდამებსაც ქურდავდნენ; გამოჰქონდათ. არა მარტო ძვირფასეულობანი, არამედ თვით ფარაონის მუმიებიც კი.

ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ეგვიპტეში იმყოფებოდა მრავალი უცხოელი და წარმართი, რომელთაგანაც ხალხმა ეგვიპტელი ღმერთებისა და სიწმიდეთადმი უდიერი მოპყრობა შეითვისა.

მბრძანებელთა მბრძანებლის ძილი წყდებოდა ერთჯერ, შუაღა-

მისას. ამ დროს ვარსკვლავთმრიცხველნი აღვიძებდნენ ფარაონს და აცნობებდნენ, რომელ მეოთხედში იმყოფება მთვარე, რომელი პლანეტები ანათებენ ტატნობზე, რომელი თანავარსკვლავედი გადის მერიდიანზე და, საერთოდ, ხომ არ მოხდა რაიმე განსაკუთრებული და მოულოდნელი. ზოგჯერ ხდებოდა, რომ გამოჩნდებოდა ღრუბლები, ცას ჩვეულებრივზე უფრო ხშირად სწყდებოდა ვარსკვლავები ან მიწაზე მიჰქროდა ცეცხლოვანი სფეროები.

მეუფე მოისმენდა ასტროლოგების მოხსენებათა და რომელიმე არაჩვეულებრივი მოვლენის შემთხვევაში ამშვიდებდა მათ, რომ ქვეყანას არავითარი განსაცდელი არ ემუქრებაო. ფარაონის ბრძანებით ყველა დაკვირვება ცხრილებში შეჰქონდათ, რომელთაც ყოველთვიურად სფინქსის ტაძრის ქურუმებს – ეგვიპტის უბრძენეს ადამიანებს – უგზავნიდნენ. ამ ჩანაწერების საფუძველზე სწავლულ კაცებს სხვადასხვა დასკვნა გამოჰქონდათ, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს არავის აცნობებდნენ, გარდა თავიანთი თანამოაზრე ქალდეველი ქურუმებისა ბაბილონში:

შუაღამის შემდეგ ფარაონს შეეძლო უკვე სძინებოდა მამლის პირველ ყივილამდე.

ასეთ ღვთისმოსავ და დიდი ჯაფით აღსავსე ცხოვრებას ეწეოდა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ კეთილი ღმერთი, სიცოცხლის, მშვიდობისა და ჯანმრთელობის მომნიჭებელი და დღედაღამე დამცველი მიწისა და ცისა, ხილული და უხილავი სამყაროსი.

მაგრამ უკვე ნახევარი წელია, რაც მის მარადმსუფევ სულს უკვე ამძიმებენ მიწიერი გარსი და მიწიერი საქმეები. იყო დღეები, როდესაც იგი არაფერს არ ჭამდა, და ღამეები, როცა სრულებით არ ეძინა. ზოგჯერ აუდიენციის დროს მის მშვიდ სახეზე ღრმა მწუხარება აღიბეჭდებოდა და უფრო ხშირ-ხშირად მისდიოდა გული.

შეშფოთებული დედოფალი ნიკოტრისა, ყოვლადღირსი მინისტრი ხერიჰორი და ქურუმები არა ერთხელ შეკითხებიან მბრძანებელს, ხომ არა სტკივა რა. მაგრამ იგი მხრებს იჩეჩდა, დუმდა და თავის ტვირთმძიმე მოვალეობათა შესრულებას განაგრძობდა.

მაშინ კარის ექიმებმა შეუმჩნევლად იწყეს მისთვის მომღონიერებელი ძლიერი წამლების მიცემა. ღვინოსა და საჭმელში პირველად

ცხენისა და ხარის, შემდეგ კი ლომის, მარტორქის და სპილოს ფერფლს ურევდნენ. მაგრამ ძლიერი სამკურნალო საშუალებები, როგორც ჩანდა, მის ჯანმრთელობაზე არავითარ გავლენას არ ახდენდა; ფარაონს ისე ხშირად მისდიოდა გული, რომ მინისტრებმა მასთან მოხსენებებით მისვლა შეწყვიტეს.

ერთხელ ყოვლადღირსი ხერიჰორი დედოფალსა და ქურუმებთან ერთად პირქვე დაემხო მბრძანებლის წინაშე და დიდი მუდარით შესთხოვა, თავისი ღვთაებრივი სხეულის გასინჯვის ნება მიეცა. მბრძანებელი დათანხმდა. ექიმებმა გასინჯეს, მაგრამ მეტისმეტი გამხდრობის გარდა სხვა ვერავითარი საშიში ნიშანი ვერ აღმოაჩინეს.

– რას გრძნობ? – შეეკითხა ბოლოს ექიმთაგან ყველაზე ბრძენი ექიმი.

ფარაონმა გაიღიმა.

– ვგრძნობ, რომ დროა დავუბრუნდე ჩემს სხივმფენ მამას, – უპასუხა მან.

– თქვენი უდიდებულესობა ამას ვერ ჩაიდენს ისე, რომ უდიდესი ზიანი არ მიაყენოს თავის ხალხებს, – საჩქაროდ შენიშნა ხერიჰორმა.

– მე გიტოვებთ ჩემს ვაჟს რამზესს, რომლის პიროვნებაში ლომიცაა და არწივიც, – თქვა მბრძანებელმა, და ჭეშმარიტად, თუ თქვენ მას გაუგონებთ, იგი ეგვიპტეს ისეთ ბედს განუმზადებს, რომლის მსგავსი ქვეყნის გაჩენიდან არ გაგონილა.

წმიდა ხერიჰორსა და სხვა ქურუმებს ამ სიტყვების გაგონებაზე ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ტახტის მემკვიდრე თავის პიროვნებაში ლომსა და არწივს აერთიანებს და რომ ისინი უნდა დაემორჩილონ, მაგრამ მათ ერჩიათ, კიდევ მრავალ წელს ჰყოლოდათ ეს მწყალობელი მბრძანებელი, რომლის სათნოებით სავსე გული მათ იმ ჩრდილოეთის ქარს აგონებდა, ყანებისათვის წვიმა და ადამიანთათვის სიგრილე რომ მოჰქონდა.

ამიტომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, კვნესით დაემხვნენ მიწაზე და პირქვე იწვნენ მანამ, ვიდრე ფარაონი მკურნალობაზე არ დათანხმდა.

მაშინ ექიმებმა იგი მთელი დღით ბაღში გაიყვანეს და სურნელოვანი წიწვიანი ხეების ჩეროში მოათავსეს. კვებავდნენ დაკეპილი ხორ-

ცით, ასმევდნენ მაგარ ბულიონს, რძესა და ძველ ღვინოს. ამ მშვენიერმა საშუალებებმა რამდენიმე დღით გაამაგრეს ფარაონის ძალ-ღონე. მაგრამ მალე კვლავ დაეწყო სისუსტის ახალი შეტევა და მასთან ბრძოლის მიზნით მბრძანებელი აიძულეს საღვთო აპისის ჩამომავალი ხბოების ახალი სისხლი ესვა. მაგრამ ვერც სისხლმა უშველა და საჭირო შეიქნა რჩევა-დარიგებისათვის მიემართათ ბოროტი ღმერთი სეთის უმაღლესი ქურუმისათვის.

ამ საერთო შეშფოთების ჟამს პირქუში ქურუმი ფარაონის საწოლ ოთახში შევიდა, შეხედა ავადმყოფს და საშინელი წამალი გამოუწერა:

– საჭიროა, – თქვა მან, – ფარაონს უმანკო ბავშვების სისხლი მიეცეს, ყოველდღე თითო ფიალა.

ასეთი რჩევა რომ მოისმინეს, ოთახში მყოფი ქურუმები და დიდებულები დამუნჯდნენ. შემდეგ კი ურთიერთშორის ჩურჩული გააბეს, რომ ამ მიზნისათვის ყველაზე უკეთესი გლეხების ბავშვები იქნებიან, ვინაიდან ქურუმებისა და მაღალი ბატონების შვილები ბალღობაშივე კარგავენ უმანკოებაო.

– ჩემთვის სულ ერთია, ვისი იქნებიან ეს ბავშვები, – უპასუხა მკაცრმა ქურუმმა, – ოღონდ კი ფარაონი ყოველდღე იღებდეს ახალ სისხლს.

სარეცელზე მწოლიარე თვალებდახუჭულმა მბრძანებელმა მოისმინა ეს მკაცრი რჩევა და კარისკაცთა შემკრთალი ჩურჩული. როდესაც ერთ-ერთი ექიმი გაუბედავად შეეკითხა ხერიჰორს, შეიძლება თუ არა იზრუნონ შესაფერისი ბავშვების მოძებნაზე, ფარაონი გამოერკვა, თვალები მიაშტერა დამსწრეთ და წარმოთქვა:

– ნიანგი არ სანსლავს თავის შვილებს, ტურა და აფთარი სიცოცხლეს სწირავენ თავიანთი ლეკვებისათვის და ნუთუ მე უნდა დავლიო სისხლი ეგვიპტელი ბავშვებისა, რომლებიც ჩემი შვილები არიან? ჭეშმარიტად ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ასეთი არასაკადრისი წამლის გამოწერას გამიბედავდა.

ბოროტი ღმერთის ქურუმი მიწაზე დაემხო და თავს იმართლებდა, რომ ეგვიპტეში ბავშვების სისხლი არავის არასოდეს არ დაულევია, მაგრამ თითქოს ქვესკნელის ძალები ასეთი საშუალებით უბრუნებენ

ადამიანს ჯანმრთელობას. ამ საშუალებას მიმართავენ ასირიასა და ფინიკიაში.

– უნდა შეგრცხვენოდა, – უპასუხა ფარაონმა, – ასეთ საზიზღარ საგანზე ეგვიპტის მბრძანებელთა სასახლეში ლაპარაკისა. განა არ იცი, რომ ფინიკიელები და ასირიელები უგუნური ბარბაროსები არან? ჩვენში ყოვლად გაუნათლებელი გლეხიც კი არ დაიჯერებს, რომ უმანკო სისხლს ვინმესთვის სარგებლობის მოტანა შეეძლოს.

ასე ლაპარაკობდა უკვდავთა სწორი.

კარისკაცებმა ხელით დაიფარეს სირცხვილისაგან შებილწული სახე, სეთის უმაღლესი ქურუმი კი ჩუმად გაძვრა ოთახიდან.

მაშინ ხერიჰორმა, რომ გადაერჩინა მბრძანებლის სიცოცხლე, უკიდურეს საშუალებას მიმართა: ფარაონს განუცხადა, თებეს ერთ ტაძარში ბაბილონის უბრძნესი ქურუმი და შეუდარებელი სასწაულმოქმედი ქალდეველი ბეროესი იმალებაო.

– შენთვის, უწმიდესო ხელმწიფევ, – ეუბნებოდა ხერიჰორი, – ის უცხო ტომის კაცია, რომელსაც უფლება არა აქვს ასეთ სერიოზულ საქმეში რჩევის მიცემისა, მაგრამ მაინც ნება დართე, მეფევ, დაგხედოს, რადგან დარწმუნებული ვარ, გამოძებნის შენი ავადმყოფობის საწინააღმდეგო საშუალებას და არავითარ შემთხვევაში არ შეურაცხყოფს უღვთო სიტყვებით შენს სიწმიდეს.

ფარაონი ამჯერადაც დაემორჩილა თავისი ერთგული მსახურის წინადადებას და ორი დღის შემდეგ რომელიღაც იდუმალი გზით მოწვეული ბეროესი უკვე მემფისში მოვიდა.

ბრძენმა ქალდეველმა, რომელსაც ფარაონი კარგად არც კი გაუსინჯავს, ასეთი რჩევა მისცა:

– ეგვიპტეში უნდა მოინახოს ისეთი კაცი, რომლის ლოცვები უზენაესის ტახტს მიაღწევს, და, როდესაც იგი ფარაონის ჯანმრთელობისათვის მხურვალედ შეევედრება მას, მბრძანებელი ჯანს კვლავ მოიკრეფს და მრავალ წელს იცოცხლებს.

ეს სიტყვები რომ მოისმინა, ფარაონმა გადახედა მის გარშემო მდგომ ქურუმების ჯგუფს და წარმოთქვა:

– აქ ამდენ წმიდა კაცს ვხედავ და უკეთუ ერთი მათგანი მაინც გულწრფელად მოისურვებს იზრუნოს ჩემზე, მე ჯანმრთელი ვიქნები...

თქვა ეს და ოდნავ გაიღიმა. --

– ყველა ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვართ, – შენიშნა სასწაულმოქმედმა ბეროესმა, – და სულს ჩვენსას ყოველთვის არ ძალუძს აღვიდეს მარადისმყოფის კვარცხლბეკთან. მაგრამ მე მივცემ თქვენს უდიდებულესობას იმ კაცის მონახვის უტყუარ საშუალებას, რომელიც გულწრფელად ლოცულობს და რომლის ვედრებაც უზენაესისადმი აღწევს.

– იპოვე იგი, დაე ის გახდეს სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს ჩემი მეგობარი.

მბრძანებლის თანხმობის მიღების შემდეგ ქალდეველმა მოითხოვა მიეჩინათ მისთვის განმარტოებული ოთახი, რომელსაც მხოლოდ ერთი კარი უნდა ჰქონოდა. იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე, უბრძანა მან, ფარაონი იქ გადაეყვანათ.

დანიშნულ საათს ოთხმა უფროსმა ქურუმმა ფარაონი სელის ახალი ტანსაცმელით შემოსა, სასწაულმოქმედი ლოცვა წაუკითხა, რომელიც ბოროტ სულებს. განდევნიდა, ჩასვა იგი ლიბანის ნაძვის უბრალო ტახტრევანში და გადაიყვანა იმ ცარიელ ოთახში, სადაც მხოლოდ ერთი პატარა მაგიდა იდგა. ბეროესი უკვე იქ იყო და აღმოსავლეთისკენ პირმიბრუნებული ლოცულობდა.

როდესაც ქურუმები გავიდნენ, ქალდეველმა ჩაკეტა ოთახის მძიმე კარი ბეჭებზე მეწამული შარფი მოიხურა და ფარაონის წინ მაგიდაზე შავი მბრწყინავი სფერო დადგა. მარცხენა ხელში მან ბაბილონური ფოლადის მახვილი სატევარი დაიკავა, მარჯვენაში კი – საიდუმლო ნიშნებით დაფარული. კვერთხი და ამ კვერთხით თავისი და ფარაონის გარშემო ჰაერში წრე შემოხაზა. შემდეგ რიგრიგობით მიმართა ქვეყნის ოთხსავე მხარეს და თან ჩურჩულებდა:

– ამორულ, ტანეხა, ლატისტენ, რაბურ, ადონაი... შემიბრალე, განმწმინდე მე, მოწყალეო და სათნო ზეციერო მამაო... გარდმოუვლინე უღირს მსახურს შენი წმიდა კურთხევა და დამიცავ ჯიუტ და მეამბოხე სულებისაგან, რომ დამშვიდებით შემეძლოს შენი წმიდა ქმნილებათა შესწავლა.

ქურუმი შეჩერდა და მიმართა ფარაონს:

– მერი-ამონ-რამზეს, ხედავ თუ არა ამ შავ სფეროში. ნაპერწკალს?,

– ვხედავ თეთრ ნაპერწკალს, რომელიც, თითქოს ისე ტრიალებს, როგორც ფუტკარი ყვავილის თავზე.

– მერი-ამონ-რამზეს, უცქირე იმ ნაპერწკალს, თვალს ნუ მოაშორებ, ნურც მარჯვნივ და ნურც მარცხნივ ნუ გაიხედავ, რაც არ უნდა გამოჩნოეს...

და კვლავ დაიწყო ჩურჩული:

– ბარალანეზის, ბულდახინზის, – ყოვლად ძლიერი მთავრების, ქვესკნელის სამეფოს მმართველების გენიას და ლახიდაეს სახელით გიწვევთ თქვენ და მოგიწოდებთ ჩემდამი მონიჭებული უზენაესი ძალაუფლების ძალით, შეგილოცავთ თქვენ და გიბრძანებთ.

ამ სიტყვებზე ფარაონს ზიზღით გააქრჟოლა.

– მერი-ამონ-რამზეს, რას ხედავ? – შეეკითხა ქალდეველი.

– სფეროს უკნიდან რაღაც საშინელი თავი მოჩანს... წითური თმა ყალყზე უდგას... სახე მისი მომწვანო ფერისაა. თვალის გუგები ქვევითკენ აქვს დაშვებული ისე, რომ მხოლოდ თეთრი გარსი მოჩანს. პირი ფართოდ გაუღია, თითქოს ყვირილს აპირებსო.

– ეს შიშია, – უთხრა ბეროესმა და სფეროსკენ ზევიდან ხანჯლის მახვილი პირი მიმართა.

უეცრივ ფარაონი მთლად მოიკრუნჩხა.

– კმარა! – წამოიძახა მან, – რისთვის მტანჯავ? შრომით მოქანცულ ჩემს სხეულს მოსვენება სურს, სულს კი – სამარადისო სინათლის მხარეში გადაფრენა, ხოლო თქვენ არათუ სიკვდილის საშუალებას არ მაძლევთ, არამედ ახალ წამებათ იგონებთ... ჰოი... აღარ მსურს!

– რას ხედავ?

– ჭერიდან ყოველ წუთს ეშვება თითქოს ობობას საშინელი ორი ფეხი, რომელიც პალმასავით მსხვილია, ბანჯგვლიანი, წვერებმოკაუჭებული... ვგრძნობ, რომ ჩემს თავზე საოცარი ობობა ჰკიდია და მე გემის ბაგირთა ბადეში მახვევს...

ბეროესმა ხანჯალი ზევითკენ მიაბრუნა.

– მერი-ამონ-რამზეს! – კვლავ წარმოთქვა მან, – უცქირე ნაპერწკალს და აქეთ-იქით ნუ გაიხედავ... აი ნიშანი, რომელსაც თქვენი თანდასწრებით მაღლა ვწევ, – ჩაიჩურჩულა მან. – მე, ღვთის შეწევნით შეიარაღებული, უშიშარი ცხადმხილველი, გიწვევთ თქვენ შე-

ლოცვებით... აიე, სარაიე... აიე, სარაიე... ყოვლადძლიერი, მარადმსუფევი ღვთის სახელით..,

ფარაონის სახეზე მშვიდი ღიმილი აღიბეჭდა.

– მეჩვენება, – თქვა მან, – რომ ეგვიპტეს ვხედავ... მთელ ეგვიპტეს... დიახ, ეს ნილოსია... უდაბნო... აი აქ მემფისია, იქ თებე...

ის ნამდვილად ხედავდა ეგვიპტეს, მთელ ეგვიპტეს, ხოლო ოდენობით იმ ხეივნის არა უმეტესს, რომელიც მისი სასახლის ბაღს ჭრიდა. უცნაურ სურათს ის თვისება ჰქონდა, რომ როდესაც ფარაონი რომელიმე წერტილს უფრო მიშტერებით დააკვირდებოდა, ეს წერტილი თითქმის ბუნებრივი სიდიდის ადგილად იქცეოდა.

მზე უკვე ჩადიოდა და მიწას ოქროსფერ მეწამულ სინათლეს აფრქვევდა; დღის ფრინველები დასაძინებლად ეშურებოდნენ, დამის ფრინველები თავიანთ თავშესაფარში იღვიძებდნენ, უდაბნოში აფთრები და ტურები ამთქნარებდნენ, ხოლო მთვლემარე ლომი იზმორებოდა და სანადიროდ ემზადებოდა.

ნილოსის მეთევზეს წყლიდან აჩქარებით გამოჰქონდა ბადეები, მდინარის ნაპირებს დიდი სავაჭრო ხომალდები ადგებოდა.

დაღლილი მიწის მუშა ოწინარიდან ხსნიდა კასრს, რომლითაც მთელი დღე წყალს იღებდა, მეორე – ნელი ნაბიჯით ბრუნდებოდა გუთნით თავის მიწურში. ქალაქებში სინათლე აანთეს, ტაძრებში საღამოს ღვთისმსახურების შესასრულებლად ქურუმები იკრიბებოდნენ. გზებზე. მტვერი ეშვებოდა და ურმების ბორბალთა ჭრიალი აღარ არღვევდა სიჩუმეს. პილონების მწვერვალებიდან ერთფეროვანი ხმები გაისმა, რომლებიც ხალხს სალოცავად მოუხმობდა. მცირე ხნის შემდეგ გაოცებულმა ფარაონმა ვერცხლისფრთებიანი ფრინველების გუნდის მსგავსი რამ დაინახა, რომელიც ჰაერში ლივლივებდა: ისინი მოფრინავდნენ ტაძრებიდან, სახელოსნოებიდან, ნილოსის ხომალდებიდან, სოფლის ქოხებიდან და თვით მაღაროებიდანაც. თითოეული მათგანი ისარივით მაღლა მიჰქროდა, მაგრამ ვერცხლისფრთებიან მეორე ფრინველს ხვდებოდა, რომელიც მას გზას უჭრიდა, მთელი ძალ-ღონით სცემდა ფრთებით და ორივე მკვდარი ეცემოდა მიწაზე.

ეს ადამიანთა დაპირისპირებულ ლოცვებს განასახიერებდა, რომ-

ლებიც ერთიმეორეს ხელს უშლიდნენ, რომ მარადისმყოფის ტახტამდე მიეღწიათ.

ფარაონმა ყური დაუგდო.

მის ყურამდე ჯერ მხოლოდ ფრთების შრიალი აღწევდა, მაგრამ მალე სიტყვების გარჩევაც შეძლო.

ის ისმენდა ავადმყოფის ლოცვას, რომელიც ღმერთს ჯანმრთელობის აღდგენას ევედრებოდა, და ერთდროულად ექიმის მუდარას, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო მისი პაციენტის ავადმყოფობა; პატრონი ამონს ევედრებოდა, დაეცვა მისი ბეღელი და პური, ქურდი კი ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა, რომ მისთვის ღმერთებს ხელი არ შეეშალათ სხვისი ძროხა მოეპარა და სხვისი ხორბლით ტომრები აევსო.

მათი ლოცვები ერთიმეორეს ისე ეჯახებოდა, როგორც შურდულით გასროლილი ქვები.

მგზავრი უდაბნოში ქვიშაზე პირქვე ემხობოდა და ღმერთს ჩრდილოეთის ქარს შესთხოვდა, რომელიც წყლის ცვარს მოუტანდა. მეზღვაური კი, პირიქით, შუბლს გემის ბაქანს ურახუნებდა, რომ ერთი კვირა ქარს აღმოსავლეთიდან ექროლა. მიწისმუშას სურდა, ჭაობები მალე ამომშრალიყო; ღატაკი მეთევზე კი განგებას შესთხოვდა ჭაობები არასოდეს არ დამშრალიყო.

მათი ლოცვებიც ერთიმეორეზე იმსხვრეოდა და ამონის ღვთაებრივ ყურამდე ვერ აღწევდა.

განსაკუთრებით დიდი ხმაური ქვის სამტეხლოებიდან მოისმოდა, სადაც ბორკილგაყრილი კატორღელები წყალში დასველებული სოლების დახმარებით უზარმაზარ კლდეებს აპობდნენ. იქ დღიური მუშების ჯგუფი ღმერთს ევედრებოდა, ადრე დაღამებულიყო და მალე დაძინება შეძლებოდათ, ხოლო ღამის ცვლის მუშები, რომელთაც ზედამხედველები აღვიძებდნენ, გულში ხელების ცემით ითხოვდნენ, მზე არასოდეს არ ჩასულიყო. ვაჭრები, რომლებიც გათლილ ქვებს ყიდულობდნენ, ლოცულობდნენ, ქვის სამტეხლოებში რაც შეიძლება მეტი კატორღელი ყოფილიყო, მაშინ როდესაც პირქვედამხობილი სურსათის მიმწოდებელნი იმაზე ოხრავდნენ, ჭირს გაეწყვიტა მუშები, რადგან ეს საწყობის გამგეთ დიდ სარგებლობას მოუტანდა.

მაღაროელთა ლოცვებიც ზეცამდე ვერ აღწევდა...

დასავლეთ საზღვარზე ფარაონმა ორი ჯარი დაინახა, რომლებიც ომისათვის ემზადებოდნენ. ორივე ქვიშაზე იწვა და ამონს შეჰღაღადებდა, მოწინააღმდეგე მოესპო, ლიბიელებს ეგვიპტელების სირცხვილი და სიკვდილი ეწადათ, ეგვიპტელები კი ლიბიელებს კრულვას უგზავნიდნენ ორივეს ლოცვები, როგორც ქორების ორი გუნდი, ჰაერში ერთიმეორეს შეეჯახა და უდაბნოში დაეცა. ამონმა ისინი ვერც კი შეამჩნია და საითკენაც მიაპყრობდა ფარაონი თავის დაღლილ თვალებს, ყველგან ერთსა და იმავეს ხედავდა: გლეხები დასვენებასა და გადასახადების შემცირებას შესთხოვდნენ ზეცას, მწერლები კი გადასახადების გადიდებასა და მუდმივ მუშაობას. ქურუმები ღმერთს რამზეს XII-ის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და ფინიკიელების ამოჟლეტას ევედრებოდნენ, რომლებიც მათ ფულად ოპერაციებში უშლიდა ხელს. ნომარქოსები კი, პირიქით, ღმერთს მოუწოდებდნენ დაეცვა ფინიკიელები და მალე ეკურთხებინა სამეფო ტახტზე რამზეს XIII, რომლის იმედი ჰქონდათ, რომ ის ქურუმების თვითნებობა შეზღუდავდა. ლომებს, ტურებსა და აფთრებს ახალი სისხლი სწყუროდათ. ირმები, ჯიხვები და კურდღლები შიშით ტოვებდნენ თავშესაფარს და იმაზე ფიქრობდნენ, ერთი დღით მაინც შეენარჩუნებინათ უბადრუკი სიცოცხლე. მაგრამ გამოცდილება უკარნახებდა, რომ ამაღამ მათგან რამდენიმე ათეული უნდა დაღუპულიყო, რათა მტაცებელი მხეცები გამძღარიყვნენ.

ამრიგად, მთელ სამყაროში მტრობა სუფევდა. თითოეულს ის ეწადა, რაც სხვებს შიშს გვრიდა. ყველა თავისთვის სიკეთეს შესთხოვდა ღმერთს და იმაზე არ ფიქრობდა, ავნებდა თუ არა ეს მის მოყვასს.

ამიტომაც, თუმცა მათი ლოცვები ზეცისაკენ აფრენილ ვერცხლისფრთებიან ფრინველებს ემსგავსებოდა, თავის მიზანს მაინც ვერ აღწევდა. და ღვთაებრივ ამონს, რომელსაც დედამიწიდან არც ერთი ლოცვა არ სწვდებოდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და უფრო და უფრო ღრმად იძირებოდა საკუთარი ღვთაებრიობის ჭვრეტაში. ქვეყნად კი ბრმა ძალმომრეობა და ფათერაკი მეფობდა.

უეცრივ ფარაონს ქალის ხმა მოესმა:

– შემოდი, ცელქო, სახლში, უკვე ლოცვის დროა.

– ახლავე! ახლავე! – უპასუხებდა ბავშვი და თან ხტუნვას განაგრძობდა.

მბრძანებელმა იქით მიიხედა, საიდანაც ხმა ისმოდა და საქონლის ბაკებთან მწერლის ღარიბი ქოხი შეამჩნია. მისი პატრონი ჩამავალ მზის სინათლეზე ამთავრებდა დღიურ ჩაწერებს, მეუღლე პურის გამოსაცხობად ქვით ნაყავდა ხორბლის მარცვლებს, ხოლო სახლის წინ თიკანივით დარბოდა დახტოდა ექვსი წლის ბალღი და რაღაცაზე ეცინებოდა.

როგორც ჩანდა, მას საღამოს სურნელებით სავსე ჰაერი ათრობდა.

– შვილიკო! მოდი ჩქარა, ვილოცოთ. – იმეორებდა ქალი.

– ახლავე! ახლავე! – მიუგებდა ბალღი და კვლავ გარბოდა და ნავარდობდა.

ბოლოს დედამ, რაკი დაინახა, რომ მზე უკვე უდაბნოს ქვიშაში ეშვებოდა, გადადო თავისი ქვა, გამოვიდა გარეთ და დაიჭირა კვიცივით ცელქი ბავშვი. ის ჯერ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ბოლოს დაემორჩილა. დედამ იგი ქოხში შეათრია, იმწამსვე იატაკზე დასვა და ხელი ჩაჰკიდა, რომ კვლავ არ გაქცეოდა.

– ნუ ცქმუტავ, – უთხრა დედამ. – ფეხები შეიკეცე და სწორად იჯექი. ხელები კი დაიკრიფე და ზევით აღაპყარი. აი შე ცუდო ბალღო.

ბავშვმა იცოდა, რომ ლოცვას ვერ გაექცეოდა, ეზოში რომ ისევ ჩქარა გაერბინა, ცისკენ მოკრძალებით აღაპყრო თვალები და ხელები და წვრილი წრიპინა ხმით ნაჩქარევად წარმოთქვა:

– გმადლობ შენ, კეთილო ღმერთო ამონ, იმისათვის, რომ დღეს მამაჩემი ჭირთაგან დაიცავი, დედას კი ლავაშისთვის ხორბალი მიეცი... და კიდევ რისთვის? იმისათვის, რომ გააჩინე ცა და მიწა და მოუვლინე მას ნილოსი, რომელიც პურს გვაძლევს ჩვენ... და კიდევ რისთვის? ჰო, ვიცი! და კიდევ გმადლობ შენ იმისათვის, რომ ასეთი კარგია გარემო, რომ ხარობენ ყვავილები, გალობენ ფრინველები და რომ პალმებს ტკბილი ინდისხურმა ასხია. და ყველა ასეთი კარგი რამისათვის, რითაც შენ დაგვაჯილდოვე. დაე ყველას ისე უყვარდე, როგორც მე, და უკეთესად ადიდებდნენ შენს სახელს, ვიდრე მე, იმიტომ რომ, მე ჯერ კიდევ პატარა ვარ და სიბრძნე არ მისწავლია. მორჩა და გათავდა...

– საძაგელო ბალღო! – წაიბუტბუტა მწერალმა, რომელიც დღიურ ჩაწერებზე თავდახრილი მუშაობდა. – საძაგელო ბალღო! განა ეგრე დაუდევრად ადიდებენ ამონს!

მაგრამ ფარაონმა ჯადოსნურ სფეროში სრულებით სხვა რაღაც დაინახა. ანცი ბავშვის ლოცვა ტოროლასავით გაფრინდა ზეცისკენ და ფრთების ქნევით სულ მაღლა მიიწევდა, თვით ზენაარის ტახტამდე, სადაც დაუსაბამო ამონი, რომელსაც ხელები მუხლებზე დაეწყო, თავისი ყოვლადძლიერების ჭვრეტაში იყო გართული.

შემდეგ იგი კიდევ უფრო მაღლა ავიდა, თვით ღმერთის თავამდე, და მას წვრილი ბავშვური ხმით უგალობდა:

„და ყველა იმ სიკეთისათვის, რაც შენ მოგვანიჭე, დაე ყველას ისე უყვარდე, როგორც მე“.

ამ სიტყვებზე თვითჭვრეტაში ჩაღრმავებულმა ღმერთმა თვალები გაახილა და მისგან დედამიწას ბედნიერების სხივი დაეცა. ზეციდან დედამიწამდე უსაზღვრო დუმილი გამეფდა. შეწყდა ყოველგვარი ტანჯვა, ყოველგვარი შიში, ყოველნაირი შეურაცხყოფა. მსტვინავი ისარი დაეკიდა ჰაერში, ლომი, შველისკენ გადამხტარი, გაქვავდა, მონის ზურგზე მოღერებული კეტი ჰაერში გაჩერდა.

ავადმყოფს დაავიწყდა თავისი ტანჯვა, უდაბნოში გზააბნეულს – შიმშილი, პატიმარს – ბორკილები. ჩადგა ქარიშხალი და შეჩერდა ტალღა, რომელიც ხომალდს შთანთქმით ემუქრებოდა. და მთელ დედამიწაზე ისეთი მშვიდობიანობა დამყარდა, რომ მზემ, რომელიც უკვე მიეფარა ტატნობს, კვლავ გამოაჩინა თვისი სხივმფენი სახე.

ფარაონი გამოერკვა, თავის წინ პატარა მაგიდა დაინახა, მასზე კი შავი სფერო, ხოლო გვერდით ქალდეველი ბეროესი.

– მერი-ამონ-რამზეს! – მიმართა ქურუმმა. – შენ იპოვე ადამიანი, რომლის ლოცვა მარადმსუფევის ტახტს აღწევს.

– დიახ, – უპასუხა ფარაონმა.

– ვინ არის იგი? მთავარი, მეომარი თუ წინასწარმეტყველი? ან, იქნებ, უბრალო განდეგილია?

– ის პატარა ექვსი წლის ბალღია, რომელიც ამონს არაფერს სთხოვდა, ხოლო ყველაფრისათვის მადლობას უძღვნიდა.

– იცი კი, სად ცხოვრობს იგი? – შეეკითხა ქალდეველი.

– ვიცი, მაგრამ არ მსურს მისი ვედრების ძალა მივისაკუთრო. ქვეყანა, ბეროეს, უზარმაზარი მორევია, რომელშიც ადამიანები ქვიშასავით ტრიალებენ, და მათ უბედურება ატრიალებს. ბავშვი თავისი ლოცვით ადამიანებს იმას ანიჭებს, რის მიცემასაც მე ვერ შევძლებ: წუთიერ თავდავიწყებასა და მოსვენებას...

– გესმის, ქალდეველო?

ბეროესი დუმდა.

თავი ოცდამეოთხე

21 ხატირს, მზის ამოსვლისას, სოდის ტბების ნაპირას ბანაკში მემფისიდან ბრძანება მოვიდა, რომლის ძალით სამი ლეგიონი ლიბიაში უნდა გამგზავრებულიყო და ქალაქებში გარნიზონებად ჩამდგარიყო. ეგვიპტის დანარჩენი ჯარი კი ბატონიშვილთან ერთად შინ უნდა დაბრუნებულიყო. ჯარი ამ ბრძანებას სიხარულის ყიჟინით შეხვდა. მეომრებს უკვე მოსწყინდათ უდაბნოში ყოფნა. ეგვიპტიდან და დაპყრობილი ლიბიიდან მოზიდვის მიუხედავად, სურსათი არ ყოფნიდათ. სახელდახელოდ ამოთხრილ ჭებში წყალი ამოშრა, პაპანაქება წვავდა სხეულს, ჟღალი ქვიშა კი ფილტვებსა და თვალებს აავადებდა. ჯარისკაცების ნაწილი მუცელათი და ქუთუთოების ავთვისებიანი ანთებით დაავადდა.

რამზესმა გასცა ბრძანება ბანაკი აეშალათ. მკვიდრი ეგვიპტელების სამი ლეგიონი მან ლიბიაში წარგზავნა და ჯარისკაცებს დაავალა ლმობიერად მოპყრობოდნენ მცხოვრებლებს და ცალ-ცალკე არსად ეხეტიალათ. ჯარის მთავარი ნაწილი კი მემფისში გაგზავნა და ადგილობრივ პატარა ციხესა და შუშის ქარხანაში მცირე გარნიზონები დატოვა.

დილის ცხრა საათზე, პაპანაქების მიუხედავად, ორივე ჯარი უკვე გზაში იყო: ერთი ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, მეორე სამხრეთისკენ.

ამ დროს ტახტის მემკვიდრეს მიუახლოვდა წმიდა მენტესუფისი და განუცხადა:

– კარგი იქნება, თუ რაც შეიძლება საჩქაროდ მიხვალ მემფისში. შუა გზაზე ახალ ცხენებს შემოგაგებებენ...

– მაშ, მამაჩემი ასე მძიმედ არის ავად? – შეეკითხა რამზესი..

ქურუმმა თავი ჩაღუნა.

ბატონიშვილმა ჯარის მეთაურობა მენტესუფისს ჩააბარა და, სთხოვა, არ შეეცვალა უკვე გაცემული განკარგულებანი, თუ წინასწარ არ შეუთანხმდებოდა სამხედრო მეთაურებს. თვითონ თან წაიყვანა პენტუერი, ოცი საუკეთესო ცხენოსანი და თუტმოსთან ერთად ჩქარი ჭენებით გასწია მემფისისაკენ.

ნახევარი გზა ხუთ საათში გაიარეს და, როგორც მენტესუფისმა უთხრა მემკვიდრეს, აქ ახალი ცხენები და ბადრაგა დახვდათ. ბატონიშვილმა მცირე ხანს შეისვენა, აზიელები იქვე დატოვა და ორი თანამგზავრითა და ახალი მხედრებით განაგრძო გზა.

– ეს რა უბედურებაა! – ჩიოდა განებივრებული თუტმოსი, – თითქოს საკმარისი არ იყოს, რომ ხუთი დღეა აბაზანები არ მიმიღია და დამავიწყდა კიდეც, რა არის ვარდის ზეთი, – გინდა თუ არა, ერთ დღეში კიდევ ორი ფორსირებული მარში უნდა გააკეთო. დარწმუნებული ვარ, როდესაც მემფისში მივალთ, არც ერთი მოცეკვავე ქალი არ მოისურვებ! ჩემს შემოხვევას.

– ჩვენზე უკეთესი რითი ხარ? – შეეკითხა რამზესი.

– მე თქვენზე უფრო სუსტი ვარ, – ამოიხვნეშა თუტმოსმა. – შენ, ბატონიშვილო, ჰიქსოსივით მიჩვეული ხარ ცხენზე ჯდომას. პენტუერი მზად არის იმოგზაუროს თუნდაც გახურებულ მახვილზე მჯდარმა, მე კი ასეთი ნაზი ვარ...

მზის ჩასვლისას მგზავრები მაღალ გორაკზე ავიდნენ, საიდანაც მათ წინაშე არაჩვეულებრივი სურათი გადაიშალა: შორს ეგვიპტის ამწვანებული ველი მოჩანდა, ხოლო მის ფონზე, ვით მეწამული კოცონების წყება, პირამიდების სამკუთხედები ელვარებდა. პირამიდებიდან ოდნავ მარჯვნივ, თითქოს აგრეთვე ცეცხლში, მემფისის პილონების გუმბათები ბრწყინავდა.

– ჩქარა! ჩქარა! – აშურებდა მგზავრებს რამზესი. მცირე ხნის შემდეგ მათ ისევ მიხაკისფერი უდაბნო შემოერტყა და კვლავ აელვარდა პირამიდების წყება, ვიდრე ყველაფერი მკრთალ ბინდში არ ჩაიძირა.

დაღამების ჟამს მგზავრებმა მიცვალებულთა ვრცელ მხარეს მიაღწიეს, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირის გაყოლებით გორა-

კებზე რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე იყო გადაჭიმული.

იქ ძველი სამეფოს ეპოქაში სამარადისოდ მარხავდნენ ეგვიპტელებს: მეფეებს – უზარმაზარ პირამიდებში, მთავრებსა და დიდებულებს – აკლდამებში, ხოლო უბრალო ხალხს – ფაცხებში. აქ განისვენებდა არა მარტო ადამიანების, არამედ ცხოველების: ძაღლების, კატების, ფრინველებისა და საერთოდ ადამიანისათვის სიცოცხლეში ძვირფასი ყველა ქმნილები – მილიონი მუმია.

რამზეს დიდის დროს მეფეებისა და დიდებულთა სასაფლაო თებეში იქნა გადატანილი, პირამიდების მეზობლად კი მათი მახლობელი მიდამოების გლეხებსა და მუშებს მარხავდნენ.

გარშემო გაფანტულ სამარხთა შორის ბატონიშვილი და მისი მხლებლები აჩრდილივით მორიალე ადამიანთა ჯგუფს შეეფეთნენ.

– ვინა ხართ თქვენ? – შეეკითხა ბადრაგის უფროსი.

– ჩვენ ფარაონის ღარიბი მსახურები ვართ, მიცვალებულებისაგან ვბრუნდებით; მათ ცოტაოდენი ვარდი, ლუდი და ლავაში მივუტანეთ.

– ვინ იცის, ეგებ სხვის სამარხებს ათვალიერებდით?

– ჰოი, ღმერთებო! განა შეგვიძლია ასეთი მკრეხელობის ჩადენა? მხოლოდ გარყვნილი თებელები – გაუხმეთ მათ ხელები – არ ასვენებენ მიცვალებულებს, რომ მათი ქონება სამიკიტნოებში გაფლანგონ.

– რატომ ანთია ეს კოცონები იქ, ჩრდილოეთით? –იკითხა რამზესმა.

– ალბათ შორიდან მოდიხარ, ბატონო, ან იქნებ არ იცი, რომ ხვალ ბრუნდება ჩვენი მემკვიდრე ძლევამოსილი ჯარით.. უდიდესი მეომარი. მან ერთი შებრძოლებით დაიმორჩილა საზიზღარი ლიბიელები. ახლა მემფისის მოსახლეობა მას საზეიმო შეხვედრას უწყობს... ოცდაათი ათასი ადამიანი... რა დიდი ამბავი იქნება...

– მესმის, – წასჩურჩულა რამზესმა პენტუერს, – წმიდა მენტესუფისმა წინ იმ მიზნით გამომისტუმრა, რომ ჩემთვის ტრიუმფალური შეხვედრა მოესპო... კარგი! დაე ჯერჯერობით ასე იყოს.

ცხენები მოიქანცნენ. საჭირო იყო შესვენება. ბატონიშვილმა რამდენიმე მხედარი გაგზავნა, რომ მდინარეზე გადასასვლელად ნავები მოემზადებინათ, ხოლო თვითონ ბადრაგის დანარჩენი ნაწილით პირამიდებს შორის პალმების ფანჩატურის ქვეშ შეჩერდა.

ეს ჯგუფი ურიცხვი სამარხების ჩრდილოეთ განაპირა ნაწილს შეადგენს. მოედანზე, რომლის ზედაპირი დაახლოებით კვადრატულ კილომეტრს უდრის, მოთავსებულია მრავალი აკლდამა და სამარხი, რომელთა გვერდით აღმართულია ხეოპსის, ხაფრისა და მენკაურას[1] სამი უდიდესი პირამიდა და სფინქსი.

ეს უზარმაზარი ნაგებობანი ერთიმეორეს სულ რამდენიმე ასი ნაბიჯით არიან დაშორებული. სამი პირამიდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ერთ წყებად დგას, ხოლო მისგან აღმოსავლეთით, ნილოსის მახლობლად, დგას სფინქსი, რომლის ფეხებთან მოთავსებულია ჰორის მიწისქვეშა ტაძარი.

პირამიდები, განსაკუთრებით ხეოპსის პირამიდა, როგორც ადამიანის შრომის ქმნილება, გვაოცებს თავისი უზარმაზარი სიდიდით. ის კუწუბიან ქვის გორაკს წარმოადგენს, რომლის სიმაღლე კვადრატულ ფუძეზე დამყარებულ ოცდათხუთმეტ სართულს (ას ოცდაშვიდ მეტრს) უდრის; საძირკველის თითოეული მხარე სიგრძით დაახლოებით სამას ორმოცდაათ ნაბიჯს (ორას ოცდაშვიდ მეტრს) შეიცავს, პირამიდას ხუთ ჰექტარამდე ფართობი უჭირავს, ხოლო მის ოთხ სამკუთხოვან კიდეს შეუძლია ცხრა ჰექტარამდე ფართობი დაფაროს. მის აგებას ქვის იმდენად დიდი რაოდენობა დასჭირდა, რომ მისგან შეიძლებოდა ადამიანზე მაღალი კედლის აღმართვა, რომელსაც სისქე ნახევარი მეტრი, ხოლო სიგრძე ორი ათას ხუთასი კილომეტრი ექნებოდა.

როდესაც ბატონიშვილი და მისი ბადრაგა გამხმარი ხეივნის ქვეშ მოთავსდნენ, რამდენიმე ჯარისკაცი წყლის ძებნას: შეუდგა, დანარჩენებმა ორცხობილა ამოიღეს, თუტმოსი კი მიწაზე გაიშხლართა და დაიძინა. მოსეირნე ბატონიშვილი და პენტუერი კი საუბრობდნენ. ღამე საკმაოდ ნათელი იყო, ასე რომ ერთი მხრივ პირამიდების უზარმაზარი სილუეტების და ნახვა შეიძლებოდა, ხოლო მეორე მხრივ – სფინქსის ფიგურისა, რომელიც მათთან შედარებით პატარა მოჩანდა.

– აქ უკვე მეოთხეჯერ ვარ, – თქვა მემკვიდრემ, – და ჩემი გული ყო-

[1] ხეოპსის, ხაფრის და მენკაურას პირამიდები - IV დინასტიის ფარაონების გიგანტური აკლდამები.

ველთვის გაოცებითა და მწუხარებით ივსება. როდესაც ჯერ კიდევ უმაღლესი სკოლის მოწაფე ვიყავი, ვფიქრობდი, ტახტზე ასვლის შემდეგ უფრო დიდებულ რამეს ავაგებ, ვიდრე ხეოპსის პირამიდაა-მეთქი. ახლა კი ჩემს ასეთ თავხედ ოცნებაზე თვითონვე მეცინება, როდესაც წარმოვიდგენ, რომ დიდებულმა ფარაონმა თავისი აკლდამის ასაშენებლად მარტო მუშებისათვის საჭირო ბოსტნეულზე ათას ექვსასი ტალანტი დახარჯა. მე სად ვიშოვი ამდენ ფულსა და ხალხს?

– ბატონო, ხეოპსის ნუ შეგშურდება! – უპასუხა ქურუმმა. – სხვა. ფარაონებმა თავის სახსოვრად უკეთესი ქმნილებები დაგვიტოვეს: ტბები, არხები, გზები, ტაძრები და სკოლები.

– განა შეიძლება მათი შედარება პირამიდებთან?

– რასაკვირველია, არა, – მხურვალედ უპასუხა პენტუერმა, – ჩემი და მთელი ხალხის თვალში თითოეული პირამიდა უდიდესი დანაშაულია და მით უმეტეს – ხეოპსის პირამიდა.

– შენ შორს მიდიხარ! – ჩაერია ბატონიშვილი.

– სრულებითაც არა! თავის უზარმაზარ აკლდამას ფარაონი აშენებდა ოცდაათ წელს და ამ ხნის განმავლობაში მასზე. სამ-სამი თვე ყოველწლიურად ასი ათასი კაცი მუშაობდა. მერე რა სარგებლობა მოიტანა ამ შრომამ? ვინ დააპურა, ვის ჩააცვა, ვინ განკურნა? პირიქით, ამ სამუშაოზე ყოველ წელს ათიდან ოც ათასამდე კაცი იღუპებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხეოპსის აკლდამას დაახლოებით ნახევარი მილიონი გვამი დასჭირდა. ხოლო ცრემლსა და წამებას ვინ მოსთვლის? ამიტომ ნუ გაგიკვირდება, ბატონო, თუ ეგვიპტელი გლეხი დღემდე თავზარდაცემული იცქირება დასავლეთისაკენ, სადაც ტატნობზე წითლად თუ შავად მოჩანს პირამიდების სამკუთხოვანი კონტურები. ისინი ხომ მისი ტანჯვისა და უაზრო შრომის უტყუარი მოწმეები არიან! და უნდა ვიფიქროთ, რომ მუდამ ასე იქნება, ვიდრე მტვრად არ იქცევა ადამიანის მედიდურობის ეს ძეგლები. მაგრამ როდის იქნება ეს? სამი ათასი წლის განმავლობაში ისინი შიშსა გგვრიან თავისი შესახედაობით, ხოლო მათი კედლები ისეა დაცული, რომ ზედ კიდევ შეიძლება ამოვიკითხოთ უზარმაზარი წარწერები.

– იმ ღამეს უდაბნოში შენ სხვაგვარად მსჯელობდი, – შენიშნა რამზესმა.

– მაშინ მათ ჩემს წინ არ ვხედავდი. ხოლო ახლა, როდესაც კვლავ ვუყურებ, გარს მერტყმიან წამებული გლეხების მოქვითინე სულები და ჩამჩურჩულებენ: – „შემოგვხედე, რა გვიყვეს. მერედა, ჩვენი ძვლებიც ხომ გრძნობდა ტკივილებს და გულს ჩვენსას მოსვენება სწყუროდა“.

რამზესს არაფრად ესიამოვნა ქურუმის სიტყვები.

– ჩემმა უწმიდესმა მამამ, – მცირე დუმილის შემდეგ უთხრა მას, – სხვაგვარად განმიმარტა ეს. როდესაც ხუთი წლის წინათ ერთად ვიყავით აქ, ღვთაებრივმა მეუფემ შემდეგი ისტორია მიამბო:

„ფარაონი თუტმოს პირველის[1] დროს მასთან ეთიოპელი ელჩები მოვიდნენ მათი ხარკის რაოდენობის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ეთიოპელები თავხედი ხალხი იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ერთი წაგებული ომი არაფერს არ ნიშნავს, რადგან შემდეგ ომში ბედისწერა შეიძლება მათდამი უფრო მწყალობელი იქნეს, და რამდენიმე თვე განაგრძობდნენ ხარკის თანხის გარშემო ვაჭრობას. ბრძენ მეფეს სურდა საქმე მშვიდობიანად დაემთავრებინა და მოციქულებისათვის მათი იმედის უსაფუძვლობა ჩაეგონებინა. ამ მიზნით უჩვენებდა მათ ჩვენს გზებსა და არხებს, მაგრამ ისინი უპასუხებდნენ, რომ მათ მხარეში წყალი სამყოფია და არც არაფერი ღირს. ამაოდ უჩვენებდნენ ეგვიპტის ტაძრების საგანძურთ, ისინი ამბობდნენ, რომ მათს მიწაში გაცილებით მეტი ოქრო და ძვირფასი ქვებია დაფარული, ვიდრე მთელ ეგვიპტეში, ამაოდ აწყობდა მეფე ეთიოპელთა წინ თავისი ჯარების პარადს; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეთიოპელები შეუდარებლად უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე ფარაონის მეომრები. მაშინ ფარაონმა ამ ადგილას მოიყვანა, სადაც ახლა ვიმყოფებით, და ეს, პირამიდები უჩვენა. ეთიოპელთა ელჩებმა პირამიდებს, გარს შემოუარეს, წაიკითხეს წარწერები და მეორე დღესვე ისეთი ხელშეკრულება დადეს, როგორსაც მათგან მოითხოვდნენ“

– მე ვერ გავიგე ამ ისტორიის აზრი, – განაგრძო რამზესმა, – მაშინ ჩემმა წმიდა მამამ იგი ასე განმიმარტა: „შვილთ ჩემო, – მითხრა მან, – ეს პირამიდები ეგვიპტის: ზეკაცური ძლიერების სამარადისო მოწმეებია. რომელიმე კაცს რომ პირამიდის აგება განეზრახა, იგი ცოტა

[1] თუტმოს I ეგვიპტის XVIII დინასტიის ფარაონი, რომელიც ძვ.წ. XVI ს-ში მეფობდა.

ქვას მოაგროვებდა, რამდენიმე საათის შემდეგ ხელს აიღებდა მუშაობაზე და თავის თავს შეეკითხებოდა: „რად მინდა ეს?“ ათი, ასი, ათასი კაცი უფრო მეტ ქვას მოაგროვებდა და უწესრიგოდ დაყრიდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ასეთ სამუშაოს აგრეთვე თავს დაანებებდნენ. რად სჭირდებათ ეს მათ? მაგრამ როდესაც ეგვიპტის ფარაონი ან ეგვიპტის სახელმწიფო განიზრახავს ამ მიზნით ქვების მოგროვებას, ის ადამიანებს ასი ათასობით უყრის თავს და იწყებს შენებას, რომელიც შეიძლება რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდეს, და მას დასრულებამდე არ შეწყვეტენ. საქმე ის კი არ არის, საჭიროა თუ არა პირამიდები, არამედ უმთავრესად ის, რომ ფარაონის ნება-სურვილი შესრულდეს“. დიახ, პენტუერ, პირამიდი ხეოპსის განსასვენებელი ადგილი კი არ არის, არამედ მისი ნებისყოფა, რომელსაც იმდენი შემსრულებელი მოეპოვება, რამდენიც დედამიწაზე არც ერთ მეფეს არ გააჩნია, და რომელიც ისეთი წესრიგითა და შეუდრეკელობით ხორციელდება, როგორიც მხოლოდ ღმერთებს შორის შეიძლება არსებობდეს. ჯერ კიდევ სკოლაში მასწავლიდნენ, რომ ადამიანის ნებისყოფა უდიდესი ძალაა. – ფრიად დიდი ძალა ამქვეყნად. მაგრამ ადამიანის ნებისყოფას შეუძლია მხოლოდ ერთი ქვა ასწიოს. მაშ რამდენად დიდი უნდა იყოს იმ ფარაონის ნებისყოფა, რომელმაც ქვების მთელი მთა აღმართა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ასე მოესურვა. რომ მან ასე ინება. თუმცა ყოველგვარი მიზნის გარეშე.

– შენც მოისურვებდი, ბატონო, შენი ძლიერება ასეთივე გზით დაგემტკიცებინა? – შეეკითხა პენტუერი.

– არა! – უყოყმანოდ უპასუხა ბატონიშვილმა, – რაკი ფარაონებმა ერთხელ გამოიჩინეს თვისი ძალა, მათ შეუძლიათ უკვე გულკეთილნი იყვნენ, რასაკვირველია. თუ ვინმე არ შეეცდება წინ აღუდგეს მათს ბრძანებებს.

„ეს ყმაწვილი ჯერ ხომ ოცდასამი წლისაა!“ – ერთგვარი შიშით გაიფიქრა ქურუმმა.

მათ მდინარისკენ მიუხვიეს და ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ.

– მოისვენე, ბატონო, – უთხრა რამზესს ქურუმმა. – დაიძინე! დღეს ჩვენ დიდი მგზავრობა მოგვიხდა.

– როგორ შემიძლია ახლა დავიძინო? – უპასუხა მან. – ხან გარს

მეხვევა ის ასი ათასი გლეხი, რომლებიც შენი ნაამბობის მიხედვით პირამიდების მშენებლობაზე დაიღუპნენ (თითქოს უპირამიდოდ მუდამ იცოცხლებდნენ), ხან კიდევ ჩემს უწმიდეს მამაზე ვფიქრობ, რომელიც, შეიძლება, ამ წუთში კვდება... გლეხები იტანჯებიან! გლეხები ღვრიან სისხლს... ხოლო ვინ დამიმტკიცებს, რომ ჩემი ღვთაებრივი მამა ნაკლებ იტანჯება თავის ძვირფას სარეცელზე, ვიდრე შენი გლეხები, როდესაც ისინი გვალვით გახურებულ ქვებს ეზიდებოდნენ? გლეხები! სულ ეს გლეხები! შენთვის, წმიდაო მამაო, თანაგრძნობის ღირსი მხოლოდ ის არის, ვისაც მკბენარი აწუხებს. ფარაონების მთელი წყება ჩავიდა სამარეში, ზოგი მათგანი: ტანჯვაში ლევდა სულს, ზოგიც მოკლულ იქნა, მაგრამ ისინი შენ არ გახსოვს. სამაგიეროდ მხოლოდ გლეხები გახსოვს, რომელთა დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ სხვა გლეხებს წარმოშობენ და ნილოსის ტალახს ხაპავენ... მამაჩემი? მე? განა მე არ მომიკლეს ვაჟი? განა მოწყალე იყო ჩემს მიმართ ტიფონი უდაბნოში? მე არ მტკივა ძვლები ხანგრძლივი მოგზაურობისაგან? ლიბიელი მეშურდულეების ქვები ჩემს თავზე არ გადადიოდა? განა ავადმყოფობასა თუ სიკვდილთან ხელშეკრულება მაქვს დადებული, რომ ისინი ჩემდამი უფრო ლმობიერი იქნენ, ვიდრე შენი გლეხების მიმართ? შეხედე აი იქ... აზიელებს გულმშვიდად სძინავთ. მე კი, მათ მბრძანებელს, გული მტკივა გუშინდელ დღეზე და შეშფოთებით ველი ხვალინდელს. შეეკითხე ასი წლის გლეხს, განიცადა თუ არა მან მთელ თავის სიცოცხლეში იმდენი შეწუხება, რამდენიც მე განვიცადე ფარაონის მოადგილისა და მთავარსარდლის ხელისუფლების მიღებიდან ამ რამდენიმე თვეში?

მათ წინ სიბნელეში თანდათანობით, ისახებოდა უცნაური აჩრდილი. ეს იყო ორმოცდაათი ნაბიჯი სიგრძისა და სამი სართულის სიმაღლის შენობა, რომლის გვერდით უცნაური ფორმის ხუთსართულიანი კოშკის მსგავსი რაღაც იყო აღმართული.

– აი სფინქსიც! – წარმოთქვა წინანდელი საუბრით აღელვებულმა რამზესმა. – ეს მხოლოდ ქურუმების ქმნილებაა! რამდენჯერაც არ მინახავს, – დღისით თუ ღამით – მუდამ ერთი კითხვა მაწვალებდა: რა არის იგი და რისთვისაა საჭირო? პირამიდის აგებით მძლავრ ფარაონს სურდა თავისი ნებისყოფა გამოესახა ანდა, რაც, იქნებ უფრო გო-

ნივრულია, უნდოდა საიქიოს თავისთვის სამარადისო ცხოვრება უზრუნველეყო, რომელსაც ვერც ერთი მტერი თუ ქურდი ვერ შეაწუხებდა. მაგრამ ეს სფინქსი? რასაკვირველია, ის ჩვენი ქურუმების საღვთო კასტის ემბლემაა, რომელსაც დიდი ბრძნული თავი და ლომის ბრჭყალები აქვს... საზიზღარი კერპი, ორაზროვანი ქმნილება, რომელიც თითქოს იმით ამაყობს, რომ ჩვენ მის გვერდით ისე გამოვიყურებით, როგორც კალია. არც ადამიანია, არც ცხოველი, არც ქვა... მაშინ რას წარმოადგენს, ან რა დანიშნულება აქვს? ან რას ნიშნავს მისი ღიმილი?.. გაოცებული მისჩერებიხარ პირამიდების ურყეობას – ის იღიმება, მიდიხარ კუბოსთან სასაუბროდ – ის მაინც იღიმება. ამწვანდება ეგვიპტის მინდვრები თუ ტიფონი დააგელვებს თავის ცეცხლოვან მერნებს, მონა ეძიებს უდაბნოში თავისუფლებას. თუ რამზეს დიდი დამარცხებულ ხალხებს მისდევს – მას ყველასათვის ერთი და იგივე უსიცოცხლო ღიმილი უკრთის. ცხრამეტმა დინასტიამ აჩრდილივით ჩაიარა მის წინ, ის კი იღიმებოდა... და მაშინაც კი გაიღიმებდა, ნილოსი რომ დაშრეს და ეგვიპტე ქვიშამ დაფაროს. განა ეს საშინელება არაა? მით უფრო საოცარია, რომ მას ადამიანის მშვიდი სახე აქვს. თვითონ სამარადისოს, არასოდეს არ დანანებია ხრწნადი ქვეყანა, რომელიც მწუხარებით არის აღსავსე.

– მოიგონე, ბატონო, ღმერთების სახეები, – უთხრა პენტუერმა, – ან მუმიები. ყველა უკვდავი ასეთივე სიმშვიდით უცქერის წარმავალ საგნებს, თვით ადამიანიც კი, როდესაც იგი უკვე მარადისობაში გადავიდა.

– ღმერთები ზოგჯერ მაინც ისმენენ ჩვენს ვედრებას, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა რამზესმა, – მას კი არაფერი არ ეკარება. მასში არ მოიპოვება თანაგრძნობა, არის მხოლოდ შიში და დაცინვა. მე რომ ვიცოდე კიდეც, რომ მისი ბაგენი ფარავენ ჩემი მომავლის წინასწარმეტყველებას თუ რჩევას, როგორ აღვადგინო სახელმწიფოს ძლიერება, მაშინაც ვერ გავბედავდი მისთვის პირადად მეკითხა ეს. მე მგონია, პასუხად მოვისმენდი ულმობელი სიმშვიდით წარმოთქმულ საშინელ რამეს. ასეთია სფინქსი – ქურუმების ქმნილება და გამოსახულება!

ამ დროს მათ სევდის მომგვრელი ყრუ ღაღადი შემოესმათ, რომ-

ლის წყაროს გარკვევა არ შეიძლებოდა.

– სფინქსი ხომ არ მღერის? – ჰკითხა ქურუმს გაკვირვებით.

– არა, მის მიწისქვეშა ტაძარში გალობენ, – უპასუხა მან, – მაგრამ მაკვირვებს, ასე გვიან რატომ ლოცულობენ იქ.

პენტუერი იმ მხარეს წავიდა, საიდანაც გალობა მოისმოდა. ბატონიშვილი კი ქვაზე ჩამოჯდა, თავი უკან გადასწია და სფინქსის უზარმაზარ სახეს მიაშტერდა.

სიბნელის მიუხედავად, უცნაური ნაკვთები ნათლად მოჩანდა; ბინდი სახავდა მათში სულსა და სიცოცხლეს. და რაც უფრო ხანგრძლივად უკვირდებოდა ბატონიშვილი ამ სახეს, მით უფრო ძლიერ გრძნობდა, რომ იგი ცალმხრივი იყო სფინქსის მიმართ გამოთქმულ მსჯავრში და რომ მისდამი მტრობა უსამართლობაა.

სფინქსის სახე არა სიმტკიცეს, არამედ უფრო ბედისწერისადმი მორჩილებას ააშკარავებდა. მის ღიმილში არა დაცინვა, არამედ უფრო სევდა გამოისახებოდა. ის ადამიანის სისაწყლესა და წარმავლობას კი არ დასცინოდა, არამედ თითქოს ვერ ამჩნევდა მათ. მისი გამომეტყველი თვალები სადღაც შორს, ნილოსის იქით ტატნობს მოფარებულ ქვეყნებისკენ იცქირებოდა, უკვირდებოდა იგი ასირიის მონარქიის შემაშფოთებელ ზრდას თუ ფინიკიელების მომაბეზრებელ ფუსფუსს, წინასწარ ხედავდა საბერძნეთის წარმოშობას თუ იმ ამბებს, რომლებიც იორდანის ნაპირებზე იწყებოდა? ვინ გამოიცნობს?

ერთი რამის თქმა დარწმუნებით შეიძლებოდა, – რომ იგი ზებუნებრივი არსების შესაფერი მშვიდი ღიმილით იცქირება, ფიქრობს და რაღაცას ელის. და როდესაც ეს რაღაც ტატნობზე გამოჩნდება, სფინქსი ადგება და მის შესახვედრად წავა.

ამასობაში პენტუერმა იპოვა მიწისქვეშეთის სარკმელი, საიდანაც ქურუმების სევდიანი გალობა გამოდიოდა:

გუნდი პირველი: „აღსდექ, სხივმფენო, ვით იზიდა, როგორც დგება ცის თაღზე სოტისი[1] დილით ყოველი წლის დამდეგს“.

[1] სოტისი – ვარსკვლავი სირიუსი. დილით პირველი ამოსვლა სირიუსისა ახალი წლის დღეს ემთხვეოდა.

გუნდი მეორე: „ღმერთი ამონ-რა[1] მედგა მარჯვენა და მარცხენა მხარეს. მან ჩამაბარა ძალაუფლება მთელ ქვეყანაზე და შემეწია მტრები დამემორჩილებინა“.

გუნდი პირველი: „შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყავი და ნაწნავს ატარებდი[2], მაგრამ ეგვიპტეში შენი ბრძანების გარეშე არაფერი სრულდებოდა, უშენოდ არც ერთი ქვა არ დადებულა ასაშენებელ ნაგებობაზე“.

გუნდი მეორე: „გამოვცხადდი შენთან, ღმერთების მეუფევ, დიდებულო ღმერთო, მზის ბატონო. ტუმი აღმითქვამს, რომ გამოჩნდება მზე და რომ მე მას დავემსგავსები, ხოლო ნილოსი მპირდება, რომ მე ოზირისის ტახტს დავიმკვიდრებ და სამარადისოდ დავეუფლები“.

გუნდი პირველი: „შენ ქვეყნად დაბრუნდი, ღმერთების მიერ პატივცემული, ორივე ქვეყნის მბრძანებელი, რა-მერი-ამონ-რამზეს. აღგითქვამ შენ სამარადისო მეფობას. მეფეები მოვლენ შენთან და თაყვანსა გცემენ“.

გუნდი მეორე: „ჰოი, შენ ოზირის-რამზეს! შენ ღმერშიქალის მუტის მიერ ნაშობი ზეცის მარადმსუფევი შვილი ხარ, დაე დედაშენმა შეგფუთოს ზეცის საიდუმლოებით და ნება დაგრთოს, რომ ღმერთი გახდე, ჰოი, შენ, ოზირის-რამზეს![3]

„მაშასადამე, უწმიდესი მეფე უკვე გარდაცვლილა!“ წარმოთქვა თავისთვის პენტუერმა. ის განშორდა სარკმელს და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ოცნებაში ჩაძირული მემკვიდრე იჯდა. ქურუმმა მის წინ მუხლი მოიყარა, პირქვე დაემხო და წარმოთქვა:

– სალამი შენდა, ფარაონო, ქვეყნის მბრძანებელო!

– რას ამბობ? – წამოიძახა ბატონიშვილმა და წამოხტა.

– ერთმა და ყოვლისშემძლე ღმერთმა გარდმოგივლინოს შენ სიბრძნე და ძალა და ბედნიერება შენს ხალხს!

– წამოდექ, პენტუერ! მაშ... მე...

---

[1] ახალი სამეფოს ეპოქაში სახელმწიფო კულტის სახით დაწესებულ იქნა უმაღლესი ღმერთის ამონის კულტი, რომელსაც ხშირად ძველ ღმერთ რასთან აიგივებდნენ.

[2] ძველ ეგვიპტეში ბავშვებს თავზე თმას პარსავდნენ, გვერდზე კი ერთ ბღუჯას უტოვებდნენ, რომელსაც ხშირად ნაწნავად უწნავდნენ.

[3] აკლდამის წარწერებიდან (ავტ. შენიშ.)

ბატონიშვილმა მოულოდნელად პენტუერს მხარში ხელი ჩაჰკიდა და სფინქსისკენ მიაბრუნა.

– შეხედე! – უთხრა მან.

კოლოსის არც სახე და არც მთელი ფიგურა არავითარ ცვლილებას არ გამოხატავდა. ერთმა ფარაონმა გადააბიჯა მარადისობის ზღურბლს, მეორე, ვით მზე, ამოდიოდა, ხოლო ღმერთის თუ ურჩხულის ქვის სახე ისეთივე დარჩა, როგორიც იყო: ბაგეებზე მიწიერი ხელისუფლებისა და დიდებისადმი მშვიდი ღიმილი უკრთოდა, გამოხედვაში კი – რაღაცის მოლოდინი, რომელიც უნდა მოვიდეს, მაგრამ უცნობია, როდის მოვა.

მალე მდინარის გადასასვლელიდან ორივე წარგზავნილი მეომარი დაბრუნდა და აცნობეს რამზესს, ნავები ჩქარა მზად იქნებაო.

პენტუერი პალმებისკენ გაემართა და მცველების გაღვიძება იწყო. ფხიზელი აზიელები მსწრაფლ წამოხტნენ და ცხენების შეკაზმვას შეუდგნენ. მთქნარებით წამოდგა თუტმოსიც.

– ბრრ! – ბუზღუნებდა იგი, – როგორ ცივა და არაფერია, რომ გავთბე. უდაბნოში ქურდივით მოხეტიალეს ღვინის გემო უკვე დამავიწყდა.

ცხენები უკვე მზად იყვნენ. რამზესი თავის მერანზე შეჯდა. მაშინ პენტუერი მივიდა, მბრძანებლის ცხენის აღვირი ხელში დაიკავა და ქვეითად წინ წაუძღვა.

– ეს რა ამბავია? – განცვიფრებით იკითხა თუტმოსმა. მაგრამ მალე მიხვდა, მიირბინა და რამზესის ცხენის აღვირს მეორე მხრით მოჰკიდა ხელი. ყველა დუმილით მიდიოდა და გრძნობდა, რომ რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

უდაბნო მალე გალიეს და მგზავრების წინ ყანებს შორის მიმავალი გზა გადაიშალა.

– ცხენებზე! – გასცა განკარგულება რამზესმა. – უნდა ვიჩქაროთ.

– მისმა უდიდებულესობამ ბრძანა ცხენებზე შესხდეთ! – დაუყვირა ბადრაგებს პენტუერმა.

ყველა გაშეშდა. თუტმოსმა კი მახვილზე დაიდო ხელი და წამოიძახა:

– მარად ცოცხლობდეს ყოვლადძლიერი და მწყალობელი ჩვენი

მეფე, ფარაონი რამზესი!

– ცოცხლობდეს მარად! – იარაღის ქნევით დაიღრიალეს აზიელებმა.

– გმადლობთ, ჩემო ერთგულო ჯარისკაცებო! – უპასუხა მბრძანებელმა.

და მისალმების ყიჟინში წინ, მდინარისაკენ გაეშურა.

წიგნი მესამე

თავი პირველი

დაინახეს თუ არა სფინქსის მიწისქვეშა ტაძარში მლოცველმა წინასწარმეტყველებმა ეგვიპტის ახალი მბრძანებელი, პირამიდების ქვეშ რომ შეისვენა, აცნობეს თუ არა ამის შესახებ სასახლეში და როგორ მოახერხეს ეს – არავინ იცის, მაგრამ, როდესაც მბრძანებელი უახლოვდებოდა გადასასვლელს, უმაღლესმა ქურუმმა ხერიჰორმა ბრძანა, გაეღვიძებინათ კარისკაცნი, ხოლო როცა ის ნილოსზე გადადიოდა, სამეფო რეზიდენციის დარბაზში უკვე ელოდნენ გენერლები და მაღალი სამოქალაქო მოხელეები.

მზის ამოსვლისას რამზეს XIII მცირე ამალის თანხლებით სასახლეს მიადგა. მსახურები მის წინაშე პირქვე დაემხვნენ, გვარდიელებმა კი ბუკისა და ნაღარის ხმაზე იარაღი მაღლა ამართეს.

ფარაონი, ჯარისკაცებს რომ მიესალმა, სასახლეში გაეშურა. აქ სურნელოვანი აბაზანა მიიღო და პარიკმახერის მოწვევა ბრძანა. უკანასკნელის შეკითხვაზე, ინებებს თუ არა თმისა და ულვაშის მოპარსვას, ახალგაზრდა ფარაონმა უპასუხა:

– არა, საჭირო არ არის. მე ქურუმი კი არა, ჯარისკაცი ვარ!

იმავე წუთს ეს სიტყვები აუდიენც-დარბაზში გადავიდა, ერთ საათში მთელი სასახლე შემოირბინა, შუადღემდე კი მთელ მემფისში გავრცელდა, ხოლო საღამოსთვის სახელმწიფოს ყველა ტაძარში (ტამინ-ჰორიდან და საბნე-ხეტამიდან ჩრდილოეთით – სუანამდე და პილაკამდე სამხრეთით) ცნობილი შეიქნა.

ამ სიტყვებმა ნომარქოსები, აზნაურები, ჯარი, ხალხი და უცხოელები აღაფრთოვანა, ქურუმების წმიდა კასტა კი უფრო გულმოდგინედ განაგრძობდა მიცვალებული ფარაონის გლოვას.

აბაზანის ოთახიდან რომ გამოვიდა, ფარაონმა ჯარისკაცის შავ და ყვითელ ზოლებიანი მოკლე პერანგი ჩაიცვა, მასზე ოქროს სამკერდე, ფეხებზე – თასმით შემოკრული სანდლები, თავზე კი ბრტყელი მუზარადი დაიხურა, მერე წელზე შემოირტყა ფოლადის ასირიული მახვი-

ლი, სოდის ტბებთან ბრძოლის დროს რომ ჰქონდა, და, გენერლებით გარშემორტყმული, იარაღის ჟღარუნითა და ღვედების ტკაცუნით დარბაზში გავიდა.

აქ მას მიეგებნენ უმაღლესი ქურუმი ხერიჰორი და მის მხარდამხარ მიმავალი წმიდა უმაღლესი ქურუმები – სენი, ნოფრი და სხვები, ხოლო მათ უკან მიჰყვებოდნენ მემფისისა და თებეს უმაღლესი მსაჯულები, უახლოესი ნომების რამდენიმე ნომარქოსი, უმაღლესი ხაზინადარი, ბეღლების, ბაკების, გარდერობთა, მონათა სახლის, ოქროვერცხლის საცავთა ზედამხედველები და მრავალი სხვა წარჩინებული პირი.

ხერიჰორმა ფარაონს თაყვანი სცა და მღელვარე ხმით წარმოთქვა:

– ხელმწიფევ! მარადმსუფევმა მამაშენმა ღმერთებთან წასვლა ინება, სადაც იგი მარადი ბედნიერებით ტკბება. შენ დაგეკისრა მოვალეობა იზრუნო დაობლებულ სახელმწიფოზე. მაშ სალამი. შენდა, ბატონო და ქვეყნის მბრძანებელო, და მარად ცოცხლობდეს ფარაონი რამზესი!

დამსწრეებმა აღტაცებით გაიმეორეს ეს შეძახილი. ყველა ელოდა, რომ ახალ მბრძანებელს განსაკუთრებული მღელვარება ან შეკრთომა დაეტყობოდა, მაგრამ მათდა განსაცვიფრებლად მან მხოლოდ წარბები შეიკრა და ხერიჰორს უპასუხა:

– უწმიდესი მამის ნებისა და ეგვიპტის კანონების თანახმად მე ვიღებ მმართველობის სადავეებს და წარვმართავ მათ სახელმწიფოს განსადიდებლად და ხალხის საკეთილდღეოდ...

ანაზდად იგი ხერიჰორს მიუბრუნდა, თვალებში ჩააშტერდა და უთხრა:

– შენს მიტრაზე ოქროს გველს ვხედავ, რატომ დაიდგი , თავზე სამეფო ხელისუფლების სიმბოლო?

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეგვიპტეში ყველაზე თავხედი ადამიანიც კი ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, რომ ახალგაზრდა ფარაონი თავის მეფობას სახელმწიფოში ყოვლადძლიერი, თითქმის განსვენებულ ფარაონზე მეტად გავლენიანი პირისადმი ასეთი შენიშვნის მიცემით დაიწყებდა.

მაგრამ ახალგაზრდა მბრძანებლის ზურგს უკან თორმეტი გენერალი იდგა, ეზოში გვარდიის ლეგიონები ისე ბრწყინავდნენ, თითქოს ბრინჯაოსაგან არიანო ჩამოსხმული, ხოლო ნილოსზე უკვე გადმოდიოდა სოდის ტბებთან ნაომარი რამზესის ჯარი, რომელიც გამარჯვებით იყო. აღტყინებული და თავის ბელადს აღმერთებდა.

ძლევამოსილი ხერიჰორი სანთელივით გაყვითლდა და კრინტი ვერ დაძრა.

– ვეკითხები შენს უწმიდესობას, – მშვიდად გაიმეორა ფარაონმა, რა უფლებით ამკობს შენს მიტრას სამეფო ურეუსი?

– ეს მიტრა პაპაშენის, წმიდა ამენხოტეპისაა, – ჩუმად უპასუხა ხერიჰორმა, – უმაღლესმა საბჭომ მიბრძანა თავს დამედგა იგი მნიშვნელოვან შემთხვევებში...

– უწმიდესი პაპაჩემი, – უთხრა ფარაონმა, – დედოფლის მამა იყო და მოწყალების სახით მიიღო უფლება თვისი მიტრა ურეუსით შეემკო. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მისი საზეიმო სამკაული ამონის ტაძრის რელიქვიათა შორის უნდა ინახებოდეს.

ხერიჰორმა როგორც იყო დასძლია მღელვარება.

– კეთილ ინებეთ მოიგონეთ, თქვენო უდიდებულესობავ, – განუმარტა მან, – რომ ეგვიპტეს მთელი დღე-ღამე კანონიერი მბრძანებელი არ ჰყავდა. ამ ხნის განმავლობაში კი ვინმეს უნდა გაეღვიძებინა და დასაძინებლად განემზადებინა ოზირისი, კურთხევით დაეცვა ხალხი და მეფის წინაპრებისათვის მსხვერპლი შეეწირა. ამ მძიმე მომენტში უმაღლესმა საბჭომ მიბრძანა თავს დამედგა ეს წმიდა რელიქვია, რათა სახელმწიფოს მმართველობა და ღვთისმოსაობა არ შეწყვეტილიყო. მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ უკვე გვყავს კანონიერი და ძლიერი მბრძანებელი, მე ვიხდი ამ საუცხოო რელიქვიას.

ეს რომ თქვა, მოიხადა ურეუსით შემკული მიტრა და უმაღლეს ქურუმ ნოფრს გადასცა.

ფარაონის განრისხებულმა სახემ გამოიდარა და მბრძანებელი ტახტისაკენ გაემართა.

ანაზდად იგი წმიდა ნოფრმა შეაჩერა, თავი მიწამდე დახარა და განუცხადა:

– კეთილ ინებე, უწმიდესო ხელმწიფევ, მოისმინე უმორჩილესი

თხოვნა.

მაგრამ არც მის ხმაში და არც თვალებში მორჩილება არ ჩანდა, როდესაც იგი გასწორდა და სიტყვა განაგრძო:

– მსურს გადმოგცე უმაღლესი საბჭოს, ყველა უმაღლესი ქურუმის აზრი...

– სთქვი, – უთხრა ფარაონმა.

– მოეხსენება თუ არა თქვენს უდიდებულესობას, რომ ფარაონს, რომელიც უმაღლეს ქურუმად არ კურთხეულა, არ შეუძლია შეასრულოს საგანგებო სადღესასწაულო მსხვერპლის შეწირვა და აგრეთვე გახადოს და ჩააცვას ღვთაებრივ ოზირისს.

– მესმის, – სიტყვა შეაწყვეტინა რამზესმა. – მე ვარ ფარაონი, რომელსაც უმაღლესი ქურუმის ხარისხი არა მაქვს...

– ამიტომ, – განაგრძო ნოფრმა, – უმაღლესი საბჭო უმორჩილესად სთხოვს თქვენს უდიდებულესობას მოადგილედ დანიშნოთ რომელიმე უმაღლესი ქურუმი, რომელიც სარწმუნოებრივი ცერემონიების შესრულების დროს ფარაონის მაგივრობას გასწევს.

ეს სიტყვები ისეთი მტკიცე და შეუვალი კილოთი იყო წარმოთქმული, რომ მისი მოსმენისას უმაღლეს ქურუმებსა და მაღალ სამოქალაქო მოხელეებს თავიანთი თავი ვულკანზე მდგომი ეგონათ, გენერლებმა კი, თითქოს უნებლიეთ, უცებ ხმლებზე იტაცეს ხელი. წმიდა ნოფრმა მათ უდიერად გადახედა და თავისი ცივი მზერა კვლავ მიაშტერა ფარაონის სახეს.

ქვეყნის მბრძანებელი არც ახლა შემკრთალა.

– კარგია, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვალეობა მომაგონე, – უპასუხა მან, – სამხედრო და სახელმწიფო საქმეები ნებას არ მომცემს ჩვენი წმიდა სარწმუნოების წესები შევასრულო. და მე მოადგილე უნდა დავნიშნო...

ეს რომ თქვა, დამსწრეებს თვალი მიმოავლო.

ხერიჰორის მარცხნივ იდგა უმაღლესი ქურუმი სენი. ფარაონი დაუკვირდა მის მშვიდსა და პატიოსან სახეს და მოულოდნელად შეეკითხა:

– რა გქვია, წმიდაო მამაო? და რა მოვალეობას ასრულებ?

– მე სენს მეძახიან და პტას ტაძრის უმაღლესი ქურუმი ვარ ბუბას-

ტისში.

– ეს იქნება ჩემი მოადგილე სარწმუნეობრივი წესების შესრულებაში, – თქვა ფარაონმა და სენზე მიათითა.

დამსწრეთა შორის აღფრთოვანებული განცვიფრების ჩურჩულმა გაირბინა. ძნელი იყო ხანგრძლივი დაფიქრებისა და თათბირის შემდეგაც კი ასეთ მაღალ თანამდებობაზე უფრო ღირსეული ქურუმის არჩევა.

მხოლოდ ხერიჰორი გაფითრდა უფრო, ნოფრმა კი ფერწასული ტუჩები მოკუმა და თვალები დახარა.

ამის შემდეგ ახალი ფარაონი ტახტზე დაბრძანდა, რომლის ჩუქურთმიანი ფეხები ეგვიპტის ცხრა დაქვემდებარებული ხალხის მთავრებისა და მეფეების ფიგურებს გამოსახავდა.

ხერიჰორმა მას ოქროს ხონჩით მიართვა ოქროს გველით შემკული თეთრი და წითელი გვირგვინი[1]. მბრძანებელმა უხმოდ დაიდგა იგი თავზე, ხოლო დამსწრენი მის წინ პირქვე დაემხვნენ.

ეს ჯერ მხოლოდ ხელისუფლების მიღება იყო და არა გვირგვინის საზეიმო კურთხევა.

როდესაც ქურუმებმა ფარაონს გუნდრუკი უკმიეს და ოზირისს ვედრების ჰიმნი უგალობეს, რათა მას, ახალ მბრძანებელს ყოველგვარი მადლი გარდმოევლინა, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებს ნება მიეცათ მთხვეოდნენ ტახტის უკანასკნელ საფეხურს. შემდეგ ხელმწიფემ ოქროს კოვზი აიღო და, იმეორებდა რა ლოცვას, რომელსაც წმიდა სენი ხმამაღლა წარმოთქვამდა, მისი სამეფო ტახტის ორსავე მხარეზე ჩამწკრივებული ღმერთების ქანდაკებებს გუნდრუკი უკმია.

– ახლა რა უნდა ვქნა? – იკითხა მბრძანებელმა.

– ხალხს უნდა ეჩვენო, – უპასუხა ხერიჰორმა.

ფარაონმა ფართოდ გაღებული მოოქრული კარები გაიარა და მარმარილოს საფეხურებით ყათარზე გავიდა, სადაც ხელები აღაპყრო და სახე რიგრიგობით მიაბრუნა ქვეყნის ოთხსავე მხარეს. გაისმა ბუკების ხმა და პილონების თავზე დროშები აფრიალდა. ვინც ამ

[1] ეგვიპტის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების დროიდან ეგვიპტის ფარაონები ორმაგ გვირგვინს ატარებდნენ. თეთრი – ზემო ეგვიპტის, ხოლო წითელი – ქვემო ეგვიპტის გვირგვინად ითვლებოდა.

დროს მინდვრად, ეზოში თუ ქუჩაში იმყოფებოდა, ყველა პირქვე ემხობოდა. საქონლისა თუ მონის ზურგზე დასარტყმელად აღმართული კეტი, ზიანის მიუყენებლად, ძირს ეშვებოდა და სახელმწიფოში ამ დღეს მსჯავრდებულ ყველა ბოროტმოქმედს შეწყნარება ენიჭებოდა. ყათარიდან რომ ჩამოდიოდა, მბრძანებელმა იკითხა:

– კიდევ რა უნდა ვქნა?

– ახლა თქვენს უდიდებულესობას ტრაპეზი ელის, შემდეგ კი სახელმწიფო საქმეები, – უპასუხა ხერიჰორმა.

– მაშასადამე, ჯერჯერობით შემიძლია. დავისვენო, – უთხრა ფარაონმა. – სად განისვენებს ჩემი უწმიდესი მამის ცხედარი?

– მას აბალზამებენ... – ჩუმად უთხრა ხერიჰორმა.

თვალებზე ცრემლი მოადგა ფარაონს და ტუჩები აუთრთოლდა. მაგრამ მწუხარება გულში ჩაიკლა და თავი დახარა. უხერხული იყო, რომ მსახურთ ასეთი ძლიერი მბრძანებლის სახეზე მღელვარება შეემჩნიათ.

ხელმწიფის ყურადღება რომ სხვა მხრივ მიემართა, ხერიჰორმა შენიშნა:

– კეთილმსახურო ხელმწიფევ, დედოფალ-დედის პატივისცემის გამომხატველი ნიშნების მიღებას ხომ არ ინებებთ?

– მე?.. მე უნდა მივიღო დედაჩემისაგან პატივისცემის გამოხატულება?.. – მღელვარებით წამოიძახა ფარაონმა და, თავი რომ დაემშვიდებინა, ნაძალადევი ღიმილით დაუმატა:

– შენ დაგავიწყდა, რას ამბობს ბრძენი ანი?.. იქნებ წმიდა სენმა მოგვაგონოს დედის შესახებ თქმული ეს მშვენიერი სიტყვები?

– „გახსოვდეს, – დაიწყო სენმა, – რომ მან გშობა შენ და გამოგზარდა...“

– დიახ, დიახ! განაგრძე!.. – აღფრთოვანებით შეესიტყვა ფარაონი, რომელიც კვლავ ცდილობდა მორეოდა მღელვარებას.

– „უკეთუ შენ ამას დაივიწყებ, იგი აღაპყრობს ღმერთისადმი თავის ხელებს და უფალი შეისმენს მის ჩივილს. იგი დიდხანს გატარებდა, ვით მძიმე ტვირთს თავის გულის ქვეშ, და ჟამი რომ დადგა, გშობა. მერე ზურგით დაყავდი სამი წელი და თავის რძით გკვებავდა. ასე გაგზარდა მან, რომელიც შენს სიბინძურესაც კი არ თაკილობდა. ხო-

ლო, როდესაც სკოლაში წახვედი და წერა-კითხვის შესწავლას შეუდექი, მას ყოველდღიურად მოჰქონდა თავის სახლიდან მასწავლებლისათვის პური და ლუდი“[1]

ფარაონმა ღრმად ამოიხვნეშა და უკვე დამშვიდებით წარმოთქვა:

– როგორც ხედავთ, უხერხულია, რომ ჩემს შესახვედრად დედა გამოვიდეს. უმჯობესია მე თვითონ წავალ მასთან.

ფარაონმა გაიარა მარმარილოთი, ალებასტრითა და ძვირფასი ხით მოფენილი, კაშკაშა საღებავითა და ვარაყით მოკაზმული და ბარელიეფებით შემკული ოთახების ანფილადა. მას უკან მისდევდა მრავალრიცხოვანი ამალა. დედოფლის ოთახის შესასვლელთან ანიშნა – მარტო დაეტოვებინათ.

გაიარა წინკარი, წუთით შეჩერდა ზღურბლთან, შემდეგ დააკაკუნა და ჩუმად შევიდა.

შიშველკედლებიან ოთახში, სადაც, გლოვის ნიშნად, ავეჯის მაგიერ მხოლოდ დაბალი ტახტი იდგა, მის გვერდით კი გაბზარული დოქი წყლით, ქვაზე იჯდა ფარაონის დედა, დედოფალი ნიკოტრისა. მას ჯვალო ეცვა და ფეხშიშველი იყო, მუბლი ნილოსის ტალახით ჰქონდა შემურული და გაწეწილ თმაში ნაცარი ეყარა.

როდესაც პატივცემულმა დედოფალმა რამზესი დაინახა, დაიხარა, რათა მის წინ დამხობილიყო, მაგრამ შვილმა ხელი სტაცა, გულში ჩაიკრა და ცრემლმორეულმა უთხრა:

– თუ შენ, დედავ, ჩემს წინ მიწამდე დაიხრები, მაშინ მე შენს წინ მიწაში უნდა ჩავეშვა...

დედოფალმა მისი თავი მკერდზე მიიკრა, თავისი სამოსის სახელოთი მოსწმინდა ცრემლები და ხელებაპყრობილმა ჩაიჩურჩულა:

– დაე ყველა ღმერთმა... დაე მამაშენისა და პაპაშენის სულებმა მოგანიჭონ თვისი მფარველობა და კურთხევა... ჰოი, იზიდავ! მე არასოდეს არ დამიშურებია შენთვის მსხვერპლის შეწირვა, დღეს კი ყველაზე დიდს გწირავ... გადმოგცემ ჩემს ძვირფას ვაჟს... დაე ეს ჩემი მეფური ვაჟი გახდეს განუყოფლად შენი შვილი და დაე მისმა დიდებამ და ძლიერებამ გაამრავლოს შენი ღვთაებრივი ავლადიდება.

ფარაონი რამდენჯერმე მოეხვია და აკოცა დედოფალ-დედას, ბო-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

ლოს ტახტზე ჩამოსვა, თვითონ კი ქვაზე ჩამოჯდა.

– დამიტოვა თუ არა მამაჩემმა რაიმე განკარგულება? – შეეკითხა იგი.

– გთხოვა მხოლოდ, რომ გახსოვდეს იგი, უმაღლეს საბჭოს კი შემდეგი უთხრა: „გიტოვებთ მემკვიდრეს, რომელიც ერთ პიროვნებაში ლომიცაა და არწივიც. გაუგონეთ მას და ის ეგვიპტეს არნახულ ძლიერებამდე აიყვანსო“.

– შენ გგონია, ქურუმები გამიგონებენ?

– გახსოვდეს, – უპასუხა დედამ, – ფარაონის ემბლემა გველია, გველი კი კეთილგონიერებაა, რომელიც დიდხანს დუმს, მაგრამ მუდამ სასიკვდილოდ კბენს. თუ დროს მოკავშირედ გაიხდი, გაიმარჯვებ.

– ხერიჰორი ძალზე თავხედია! დღეს გაბედა წმიდა ამენხოტეპის მიტრა თავზე დაედგა. რასაკვირველია, ვუბრძანე მოეხადა და მმართველობიდან მას და უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრს გადავაყენებ კიდეც.

დედოფალმა თავი გააქნია.

– ეგვიპტე შენია, – უთხრა შვილს, – და ღმერთებმა შენ უდიდესი სიბრძნით დაგაჯილდოვეს; ეს რომ არა, ხერიჰორთან მენი უსიამოვნება ფრიად შემაშინებდა... მართალია, შენმა ზომაზე მეტად თვინიერმა მამამ ქურუმები თავხედობას მიაჩვია, მაგრამ სიმკაცრით არ უნდა გავააფთროთ ისინი. დაფიქრდი, ვინ დაგეხმარება რჩევით?.. მათ იციან ყველაფერი, რაც იყო, არის და იქნება როგორც ქვეყნად, ისე ზეცად. ისინი სწვდებიან ადამიანის უაღრესად დაფარულ აზრებს და ყველა გული მათ ისე ემორჩილება, ვით ქარს ფოთლები. მათს გარეშე შენ არ გეცოდინება არა მარტო ის, თუ რა ხდება ტვიროსსა და ნინევიაში, არამედ თვით მემფისში და თებეში.

– მათ არ უგულვებელვყოფ, მაგრამ მოვითხოვ, მე მემსახურებოდნენ, – უპასუხა ფარაონმა, – ვიცი, რომ სიბრძნე მათი დიდია, მაგრამ თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ ქურუმები არ გვატყუებდნენ, და უნდა ვუხელმძღვანელოთ, რომ სახელმწიფოს არ ანგრევდნენ... თავად განსაჯე, დედავ, რა უყვეს ოცდაათი წლის განმავლობაში ეგვიპტეს?.. ხალხი შევიწროებას განიცდის ან ჯანყდება, ჯარი მცირეა, ხაზინა – ცარიელი და ამავე დროს ასირია, რომელიც რამდენიმე თვის სავალ-

ზეა ჩვენგან, იზრდება, ვით ცომი საფუარზე, და უკვე ახლა თავს გვახვევს ხელშეკრულებებს!..

– მოიქეცი, როგორც გსურს, მაგრამ გახსოვდეს, რომ ფარაონის ემბლემა გველია. გველი კი დუმილი და კეთილგონიერებაა.

– მართალი ხარ, დედავ. მაგრამ მერწმუნე, გარკვეულ შემთხვევებში გამბედაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა უკვე ვიცი, რომ ქურუმებს განზრახვა ჰქონდათ ლიბიასთან ომი წლობით გაეგრძელებინათ. მე კი იგი სამ კვირაში დავამთავრე და მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველდღე სახიფათო, მაგრამ გაბედულ ნაბიჯს ვდგამდი. ლიბიელებს რომ არ დავდევნებოდი უდაბნოში, რაც დიდი უგუნურება იყო, ისინი ახლა მემფისს მოადგებოდნენ...

– ვიცი, ტეხენას დაედევნე და ტიფონმა მოგისწროთ, – უთხრა დედოფალმა. – ჰოი, განუსჯელო, შვილო ჩემო... შენ ჩემზე არ გიფიქრია!..

ფარაონმა გაიღიმა.

– დამშვიდებული იყავ, – უპასუხა მან, – როდესაც ფარაონი ომობს, მაშინ მის მარცხნივ და მარჯვნივ ამონი დგას. მას კი ვინ შეედრება?..

მან ერთხელ კიდევ ჩაიხუტა დედოფალი და გავიდა.

თავი მეორე

ფარაონის მრავალრიცხოვანი ამალა ისევ დარბაზში იმყოფებოდა, მაგრამ ის თითქოს ორად გაიყო: ერთ მხარეს იყვნენ ხერიჰორი, ნოფრი და რამდენიმე უხუცესი უმაღლესი ქურუმი, მეორეს კი – ჯარის ყველა გენერალი, დიდებული მოხელე და უმცროსი ქურუმების უმეტესი ნაწილი. ფარაონის არწივისებურმა თვალებმა ასეთი გათიშვა მსწრაფლ შენიშნა, და ახალგაზრდა მბრძანებლის სულში სიხარულმა და სიამაყემ იფეთქა.

„მაშ ასე, ხმალი არც კი ამომიღია და უკვე გამარჯვება მოვიპოვე“, – გაიფიქრა მან.

ამასობაში გენერლები და მაღალი მოხელეები სულ უფრო მეტად და აშკარად ცალკევდებოდნენ ხერიჰორისა და ნოფრისაგან. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ორივე უმაღლესი ქურუმი, რომლებიც ამ

დრომდე სახელმწიფოში ყველაზე გავლენიან პირებს წარმოადგენ-დნენ, ახალი ფარაონის ყურადღებასა და წყალობას მოკლებული იყ-ვნენ.

ფარაონი სატრაპეზოში გავიდა, სადაც მისი ყურადღება მომსახუ-რე ქურუმებისა და კერძების რაოდენობამ მიიპყრო.

– ნუთუ ყველაფერი ეს მე უნდა შევჭამო? – გაოცების დაუფარავად იკითხა მან.

სამზარეულოს მეთვალყურე ქურუმმა განმარტა, რომ კერძები, რომლებსაც ფარაონი არ მიირთმევს, საკურთხად დაედგმება დინას-ტიის მიცვალებულ წევრებს.

ეს რომ თქვა, ქურუმმა სატრაპეზოს გასწვრივ განლაგებულ ქანდა-კებებზე მიუთითა. მეუფემ გადახედა ამ ქანდაკთ, რომელთაც ეტყო-ბოდათ, არა ეჭამათ რა, შემდეგ სახეღაჟღარა გასუქებულ ქურუმებს შეხედა და თავისთვის ლუდი, ჯარისკაცის პური და ნიორი მოითხოვა.

უფროსი ქურუმი გაქვავდა, მაგრამ ბრძანება მაინც მისცა თავის ხელქვეითთ.

უმცროსი ქურუმი შეყოყმანდა, მაგრამ მიღებული დავალება განუ-მეორა ჭაბუკებს და ქალიშვილებს. ჭაბუკნი თითქოს ყურს არ უჯერებ-დნენ, მაგრამ მსწრაფლ გაიფანტნენ მთელ სასახლეში.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ისინი ელდანაცემი დაბრუნდნენ და ქუ-რუმებს წასჩურჩულეს, რომ ვერსად ვერ იშოვეს ჯარისკაცის პური და ნიორი.

ფარაონმა გაიღიმა და გასცა განკარგულება, ამიერიდან სამზა-რეულოში მუდამ შეემზადებინათ უბრალო კერძები. შემდეგ შეჭამა მტრედი, თევზის ნაჭერი, თეთრი პური და ღვინო დააყოლა.

მან გუნებაში აღიარა, რომ კერძები კარგად იყო შეკაზმული და ღვინოც მშვენიერი, მაგრამ ის აზრიც არ შორდებოდა, რომ სასახლის სამზარეულო, ალბათ, უდიდეს თანხებს ნთქავდა.

მას შემდეგ, რაც ფარაონმა წინაპრების პატივსაცემად საკმეველი აკმია, მოხსენებების მოსასმენად სამეფო კაბინეტში გავიდა.

პირველად ხერიჰორმა დაიწყო მოხსენება. მან ფარაონს გაცილე-ბით უფრო დაბლა სცა თაყვანი, ვიდრე მაშინ, როდესაც მიესალმა დარბაზში, და მეტად აღელვებულმა მიულოცა ლიბიელებზე გამარ-

ჯვება.

– შენ, მბრძანებელო, ისე ეკვეთე ლიბიელებს, როგორც უდაბნოში ტიფონი მოხეტიალეთა უბადრუკ კარვებს, – უთხრა მან. – შენ უმცირესი დანაკლისით დიდი გამარჯვება მოიპოვე და ღვთივკურთხეული ხმლის ერთი დარტყმით დაამთავრე ომი, რომლის დასასრულს ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ვერც კი ვითვალისწინებდით.

ფარაონმა იგრძნო, რომ მისი მტრული განწყობილება ხერიჰორისადმი ნელდება.

– ამიტომ, – განაგრძობდა ხერიჰორი, – უმაღლესი საბჭო უმორჩილესად სთხოვს თქვენს უდიდებულესობას დაუნიშნო სახელოვან ლეგიონებს ჯილდოდ ათი ტალანტი, შენ თვითონ კი, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფევ, ნება გვიბოძე შენს სახელს „უძლეველი“ მივუწეროთ!

აქაოდა ფარაონი ახალგაზრდაა, ხერიჰორმა ძალზე შეტოპა, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა – მისმა გადაჭარბებულმა პირმოთნეობამ რამზესი გამოაფხიზლა.

– კი, მაგრამ მაშინ რაღას მიწოდებთ, როდესაც ასირიის ჯარს შევმუსრავ და ტაძრებს ნინევიისა და ბაბილონის სიმდიდრით. ავავსებ? – შეეკითხა იგი.

„ამაზე ოცნებას თავს არ ანებებს!“. – გაიფიქრა უმაღლესმა ქურუმმა.

ფარაონმა კი, თითქოს მისი ფიქრის დასადასტურებლად ჰკითხა:

– ჯარი რამდენი გვყავს?

– აქ, მემფისთან?

– არა, მთელ ეგვიპტეში.

– თქვენს უდიდებულესობას ათი ლეგიონი ჰყავდა, – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა, – მაღალღირს ნეიტიკერს აღმოსავლეთის საზღვარზე – თხუთმეტი, ათი ლეგიონი სამხრეთით დგას, რადგან ნუბიაში მღელვარება იწყება... ხუთი, კიდევ გარნიზონებად დგანან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილას.

– მაშასადამე, სულ ორმოცი? – დაითვალა ფარაონმა. რამდენი ჯარისკაცია მათში?

– დაახლოებით სამოცი ათასი.

ფარაონი სავარძლიდან წამოვარდა.

– სამოცი ას ოცის ნაცვლად? – დაიყვირა მან. – რას ნიშნავს ეს? რა უყავით ჩემი ჯარი?

– მეტის შესანახი სახსრები არ გაგვაჩნია...

– ჰოი, ღმერთებო, – წამოიძახა ფარაონმა და ხელები თავში იტაცა, – ერთი თვის შემდეგ ხომ ასირიელები დაგვესხმიან. ჩვენ კი განიარაღებული ვართ!..

– ასირიასთან წინასწარი ხელშეკრულება დავდეთ, – შენიშნა ხერიჰორმა.

– ასეთი პასუხი ქალს შეჰფერის და არა სამხედრო მინისტრს. რა მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას, რომლის უკან ჯარი არ დგას? ახლა მეფე ტიგლატფილესარისთვის ხომ საკმარისია მისი ჯარის ნახევარიც კი, რომ შეგვმუსროს.

– ნუ სწუხარ, უწმიდესო ხელმწიფევ, ასირიელების მხრივ ასეთი ვერაგული ნაბიჯის პირველ ცნობისთანავე ჩვენ ნახევარი მილიონი მეომარი გვეყოლება...

ფარაონმა გულიანად გადაიხარხარა.

– საიდან? ჭკუაზე ხარ? შენ პაპირუსებში იქექები, მე კი შვიდი წელი ჯარში გავატარე და დღე არ გამიშვია, რომ ჯარისკაცების ვარჯიშობისა თუ მანევრებისათვის არ მეხელმძღვანელოს. როგორ შეიძლება რამდენიმე თვეში ნახევარ მილიონიანი ჯარი შეკრიბოთ?

– მთელი აზნაურობა ფეხზე დადგება...

აზნაურები ჯარისკაცები არ არიან. ნახევარ მილიონიანი ჯარისთვის ასორმოცდაათი ლეგიონი მაინცაა საჭირო, ჩვენ კი; როგორც თვითონ ამბობ, მხოლოდ ორმოცი გვყოლია... სადღა შეისწავლიან ის ადამიანები სამხედრო საქმეს, რომლებიც ახლა საქონელს მწყემსავენ, მიწას ხნავენ, ქოთნებს აკეთებენ ანდა ლოთობენ და თავის მამულებში უსაქმოდ ატარებენ ცხოვრებას? ეგვიპტელები ცუდი ჯარისკაცები არიან. ეს მე კარგად ვიცი, იმიტომ რომ მათ ყოველდღე ვხედავ. ლიბიელი, ბერძენი და ხეთელი, უკვე ბავშვობიდან ეჩვევა მშვილდირითა და შურდულით სროლას და საუცხოოდ ხმარობს კომბლებს. ერთი წლის განმავლობაში ისინი მშვენივრად დადიან მარშით. ეგვიპტელი კი სამი წლის ვარჯიშის შემდეგაც ძლივს ითვისებს მას. თუმცა

ხმლისა და შუბის ხმარება ორ წელში ეუფლება, მაგრამ მიზანში რომ მოახვედროს, მისთვის ოთხი წელიც ცოტაა. მაშასადამე, რამდენიმე თვის შემდეგ თქვენ შეძლებთ შეაგროვოთ არა ჯარი, არამედ ნახევარმილიონიანი ბრბო, რომელსაც ერთ წამში გაანადგურებს ასირიელების ურდო, იმიტომ რომ, თუმცა ასირიელების ლეგიონები არაფრად ვარგანან და ცუდად არიან გაწვრთნილი, მაგრამ ასირიელმა მეომარმა იცის ისრისა და ქვის სროლა, მუსვრა და ჩეხვა და, რაც მთავარია, მოპირდაპირეს იგი ისე ეკვეთება, ვით გარეული მხეცი, რაც მშვიდ ეგვიპტელს სრულებით არ ახასიათებს. ჩვენ ვძლევთ მტრებს იმით, რომ ჩვენი დისციპლინირებული და გაწვრთნილი ლეგიონები ისე ეჯახებიან მოწინააღმდეგეს, როგორც ტარანი. მეომრების ნახევარი უნდა იქნეს ამოხოცილი, რომ ჩვენი კოლონა დაირღვეს. ხოლო თუ კოლონები არ არსებობს, მაშინ არც ეგვიპტის ჯარი არსებულა.

– მართალს ამბობ, ხელმწიფევ, – უპასუხა ხერიჰორმა აღელვებულ ფარაონს. – მხოლოდ ღმერთებს შეუძლიათ ჰქონდეთ საქმის ასეთი ცოდნა. მეც ვხედავ, რომ ეგვიპტის სამხედრო ძალები სუსტია და რომ მათ განსამტკიცებლად მრავალი წლის მუშაობაა საჭირო. ამიტომაც მინდა ასირიასთან ხელშეკრულება დავდოთ.

– თქვენ ხომ უკვე დადეთ...

– დროებითი სარგონმა მეფის ავადმყოფობა რომ შეიტყო, შენი მხრივ წინააღმდეგობის შიშით ხელშეკრულებაზე საბოლოო ხელმოწერა გადადო, ვიდრე შენ ტახტზე ახვალ.

ფარაონი კვლავ გაბრაზდა.

– რაო? – დაიყვირა მან. – მაშ ისინი მართლაც ფიქრობენ ფინიკიის დაპყრობას? და იმედოვნებენ, რომ მე ჩემი მეფობის სამარცხვინო განაჩენს ხელს მოვაწერ? ბოროტ სულებს შეუპყრიხართ ყველანი!..

აუდიენცია დასრულდა. ამჯერად ხერიჰორი პირქვე დაემხო. ფარაონისგან რომ ბრუნდებოდა, თავის თავთან გაიბა საუბარი:

„ფარაონმა ჩემი მოხსენება მოისმინა, მაშასადამე, იგი ჩემს სამსახურს არ უგულვებელჰყოფს. მე ვუთხარი, რომ ხელი უნდა მოაწეროს ასირიასთან ხელშეკრულებას, მაშასადამე, ყველაზე უფრო მძიმე საქმე გაკეთებულია... შეიძლება, ვიდრე სარგონი კვლავ გვეწვევა... მაგრამ ეს ყმაწვილი ლომია... ლომი კი არა... არამედ გააფთრებული სპი-

ლო... ფარაონი კი გახადეს მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესი ქურუმის შვილიშვილია, მას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ იგივე ხელები, რომლებმაც ის ასე მაღლა ასწიეს...“

ვესტიბიულში მაღალღირსი ხერიჰორი შეჩერდა, რაღაცაზე დაფიქრდა და იმის ნაცვლად, რომ შინ წასულიყო, დედოფალ ნიკოტრისაკენ გაეშურა.

ბაღში არავინ იყო, მხოლოდ სხვადასხვა ადგილას გაბნეული პავილიონებიდან ისმოდა მოთქმა: ეს განსვენებული ფარაონის ქალები ტიროდნენ იმას, ვინც დასავლეთისკენ წავიდა.

მათი წუხილი, ჩანდა, გულწრფელი იყო.

ამასობაში ახალი მბრძანებლის კაბინეტში უმაღლესი მსაჯული შევიდა.

– რას მეტყვით? – შეეკითხა რამზესი.

– რამდენიმე დღის წინ თებეს მახლობლად არაჩვეულებრივი შემთხვევა მოხდა, – უპასუხა მსაჯულმა. – რომელიღაც გლეხმა ცოლი და სამი შვილი მოკლა და თვითონაც საღვთო გუბურაში დაიხრჩო თავი.

– ჭკუაზე შეიშალა?

– ალბათ, შიმშილმა აიძულა...

ფარაონი ჩაფიქრდა,

– უცნაური შემთხვევაა, – თქვა მან. – მე კი სხვა რამ მინდა გკითხო. როგორ დანაშაულს აქვს ადგილი განსაკუთრებით ხშირად უკანასკნელ დროს?

უმაღლეს მსაჯულს თქმა ვერ გაებედა.

– თქვი თამამად, – უთხრა ფარაონმა, რომელსაც, ეტყობოდა, მოთმინება არ ყოფნიდა, – ნურაფერს ნუ დამიმალავ. ვიცი, რომ ეგვიპტე ჭაობში ჩაეფლო. მსურს იგი იქიდან ამოვიყვანო... და ამიტომ ბოროტების ყველა წყარო უნდა ვიცოდე...

– ყველაზე უფრო ხშირი... ყველაზე ჩვეულებრივი დანაშაულებრივი ქმედობა აჯანყებაა, მაგრამ ჯანყდება მხოლოდ ბრბო... – აჩქარებით დაუმატა მსაჯულმა.

– გისმენ... - უთხრა ფარაონმა.

– კოსმში, – განაგრძობდა მსაჯული, – აჯანყდა კალატოზებისა და ქვის მთლელების ლეგიონი, რომელთაც თავის დროზე არ მიეცათ

პირველი საჭიროების საგნები. მეხუმში გლეხებმა მწერალი მოკლეს, რომელიც გადასახადებს აგროვებდა. მელკატისსა და პიხებიტში აგრეთვე გლეხებმა გაანადგურეს ფინიკიელი მოიჯარეების სახლები. კასასთან მათ უარი განა– ცხადეს არხის შეკეთებაზე და ამტკიცებდნენ, ამ სამუშაოს შესრულებისათვის ხაზინიდან გასამრჯელო გვეკუთვნისო, დასასრულ, მარმარილოს ქვის სამტეხლოებში კატორღელებმა ზედამხედველებს სცემეს და უნდოდათ ზღვისკენ გაქცეულიყვნენ.

– თქვენი ცნობები ჩემთვის ახალი ამბავი არ არის, – უპასუხა ფარაონმა. – რას ფიქრობ ყოველივე ამაზე?

– უწინარეს ყოვლისა, დამნაშავენი უნდა დაისაჯონ...

– მე კი ვფიქრობ რომ, უწინარეს ყოვლისა, მომუშავეს უნდა მიეცეს ის, რაც ერგება, – უთხრა ფარაონმა. – მშიერი ხარი მიწაზე წვება, მშიერი ცხენი ფეხზე ვერ დგება და ეცემა. მაშ განა შეიძლება მოვითხოვოთ, მშიერმა ადამიანმა იმუშაოს და არ ჩიოდეს თავის გაჭირვებას?..

– მაშასადამე, თქვენო უდიდებულესობავ...

– პენტერი შექმნის კომისიას ამ საქმეთა გამოსაკვლევად, – შეაწყვეტინა ფარაონმა. – მანამდე კი მე არ მსურს დამნაშავენი დაისაჯონ.

– მაშინ ხომ საერთო აჯანყება იფეთქებს... – შეშფოთებით წამოიძახა მსაჯულმა.

ფარაონი, რომელსაც თავი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი, რაღაცაზე ფიქრობდა.

– კარგი, – წარმოთქვა მან ბოლოს. – დაე მსაჯულებმა თავიანთი საქმე აკეთონ, მხოლოდ... არა სასტიკად. პენტურმა კი დღესვე მოიწვიოს კომისია... მართლაც, უფრო ადვილია განკარგულების გაცემა ბრძოლის ველზე, ვიდრე იმ ქაოსში, რომელიც მთელ ეგვიპტეს მოედო... – დაუმატა ფარაონმა მცირე ხნის შემდეგ.

უმაღლესი მსაჯულის წასვლის შემდეგ ფარაონმა თუტმოსი მოიხმო და უბრძანა მისი სახელით მისალმებოდა სოდიანი ტბებიდან დაბრუნებულ ჯარს და მეთაურებისა და მეომრებისათვის დაერიგებინა ოცი ტალანტი. მერე ფარაონმა პენტუერის მოხმობა ბრძანა, ხოლო მის მოსვლამდე მთავარი ხაზინადარი მიიღო.

– მინდა ვიცოდე, – უთხრა ფარაონმა, – რა მდგომარეობაშია ჩვენი

ხაზინა?

– ამჟამად, – უპასუხა მან, – ბეღლებსა, საქონლის ბაკებსა და ზანდუკებში გვაქვს დაახლოებით ოცი ათასი ტალანტის ფასეულობა. გარდა ამისა, ყოველდღე შემოდის გადასახადები.

– და ყოველდღე ხდება აჯანყებებიც, – დაუმატა ფარაონმა. – როგორია ჩვენი საერთო შემოსავალი და ხარჯები?

– წელიწადში ჯარზე ოც ათას ტალანტს ვხარჯავთ, ხოლო ფარაონის სასახლეზე თვეში ორიდან სამ ათასამდე.

– ნუთუ?.. საზოგადოებრივი სამუშაოები?..

– ამჟამად ისინი უსასყიდლოდ სრულდება, – უპასუხა მთავარმა ხაზინადარმა და თვალები დახარა.

– შემოსავალი?..

– რამდენსაც ვხარჯავთ, იმდენივე შემოგვიდის... – ლულლუღებდა ხაზინადარი.

– მაშასადამე, წელიწადში ჩვენ ორმოც-ორმოცდაათ ათას ტალანტს ვღებულობთ, – შეაჯამა ფარაონმა. – დანარჩენი სადღაა?

– დაწინდრებული აქვთ ფინიკიელებს, ზოგიერთ მევახშეს, ვაჭრებსა და ბოლოს, წმიდა ქურუმებს...

– კარგი, – უთხრა ფარაონმა, – მაგრამ ხომ არსებობს ფარაონების ხელუხლებელი ფონდი ოქროთი, პლატინით, ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით. რამდენს შეადგენს იგი? ...

– მას ათი წლის წინ დაუწყეს ხარჯვა და უკვე დახარჯულია...,

– რაზე?.. ვისთვის?..

– სასახლის საჭიროებაზე, – მიუგო ხაზინადარმა, – ნომარქოსებისა და ტაძრების საჩუქრებზე...

– სასახლე ხომ სახსრებს მიმდინარე გადასახადებიდან იღებდა და ნუთუ საჩუქრებს შეეძლო მამაჩემის საგანძურის მთლიანად ამოწურვა?

– ოზირის-რამზესი, მამათქვენი, ქველი ხელმწიფე იყო და დიდ შესაწირავებს არიგებდა...

– მაგალითად, როგორს?.. მე მსურს ვიცოდე ეს ბოლოსდაბოლოს... – უკვე გაცხარებით ჩაჰკითხა ფარაონმა.

– ზუსტი ანგარიშები არქივში ინახება. მე მხოლოდ საერთო ციფ-

რი მახსოვს.

– დამისახელე!

– მაგალითად, – გაუბედავად დაიწყო ხაზინადარმა, – ოზირისრამზესმა თავის ბედნიერ მეფობაში გააჩუქა ასამდე ქალაქი, ას ოცი ხომალდი, ორი მილიონი სული საქონელი და ორი მილიონი ტომარა ხორბალი, ას ოცი ათასი ცხენი, ოთხმოცი ათასი მონა, ორას ათასამდე კასრი ღვინო და ლუდი, სამი მილიონი გომიჯი, ოცდაათი ათასი ძვირფასი სამოსი, სამასი ათასი ლიტრა თაფლი, ზეითუნის ზეთი და ნელსაცხებელი. ამას გარდა, ათასი ტალანტი ოქრო, სამი ათასი ვერცხლი, ათი ათასი ბრინჯაოს ფურცელი, ხუთასი ათასი შავი ბრინჯაო, ექვსი მილიონი ვარდების თაიგული, ღმერთების ათას ორასი, ქანდაკება და სამას ათასამდე ძვირფასი ქვა. სხვა ციფრები მე აღარ მახსოვს, მაგრამ ყველაფერი ჩაწერილია...

ფარაონმა ჩაიცინა, მაგრამ უეცრივ აენთო და მაგიდაზე მუშტის დარტყმით წამოიძახა:

– პირდაპირ გაუგონარი ამბავია, რომ ქურუმების მცირე ჯგუფს ამდენი ლუდი, თაფლი, თაიგული და ტანსაცმელი დასჭირებოდეს, და ისიც მაშინ, როდესაც საკუთარი შემოსავალიც აქვთ, რომელიც ათასჯერ აღემატება ამ წმიდა გვამების მოთხოვნილებას...

– თქვენმა უდიდებულესობამ ინება დაევიწყებინა, რომ ქურუმები ათეულ ათას ღატაკს ეხმარებიან, მკურნალობენ დაავადებულთ და ტაძრის ხარჯზე ოცამდე ლეგიონს ინახავენ.

– ლეგიონები რად უნდათ?.. ფარაონები ხომ მხოლოდ ომის დროს სარგებლობენ ლეგიონებით. რაც შეეხება ავადმყოფებს, თითოეული მათგანი ხომ იხდის სასყიდელს, ანდა სამაგიეროდ მუშაობს მასზე გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად. ღარიბები კი ტაძრებს ემსახურებიან, ღმერთებს წყალს უზიდავენ, სადღესასწაულო ლიტანიებში მონაწილეობენ. და, რაც მთავარია, ქურუმებს სასწაულების მოხდენაში ეხმარებიან. მათ სწორედ ტაძრების ალაყაფთან უბრუნდებათ დაკარგული გონება, თვალთახედვა და სმენა. ურჩებათ ხელ-ფეხი, ხალხი კი, ამ სასწაულებრივ განკურნებას რომ უყურებს, უფრო გულმოდგინედ ლოცულობს და მეტ მსხვერპლს სწირავს ღმერთებს. ღატაკები თითქოს ტაძრების ხარები და ცხვრები არიან. ისინი მათ წმინდა მო-

გებას აძლევენ.

– ქურუმები მთლიანად ხომ არ ხარჯავენ ყველა შესაწირავს, – შებედა ხაზინადარმა, – არამედ აგროვებენ და მარაგს ადიდებენ.

– რისთვის?

– სახელმწიფოს რომელიმე მოულოდნელი საჭიროებისათვის.

– მერე, უნახავს კი ვისმე ეს მარაგი?

– მე თვითონ, – მიუგო მოხელემ. – ლაბირინთში დაცული განძი კი არ მცირდება, არამედ ყოველწლიურად მატულობს, რათა...

– რათა, – შეაჩერა იგი ფარაონმა, – ასირიელებმა დაიტაცონ, როდესაც ისინი ეგვიპტეს დაიპყრობენ, ქურუმები ასე საუცხოოდ რომ განაგებენ! გმადლობ, ხაზინადარო, – დაუმატა მან. – ვიცოდი, რომ ეგვიპტის მდგომარეობა ფრიად სავალალოა, მაგრამ იმას კი ვერ ვიფიქრებდი, თუ სახელმწიფო ასე საშინლად განადგურებულია, ჩვენი ქვეყანა აჯანყებითაა მოცული, ჯარი არა გვყავს, ფარაონს სახსრები არ გააჩნია... ხოლო ლაბირინთის საუნჯეთსაცავი წლითიწლობით მდიდრდება!.. ყოველ დინასტიას, მხოლოდ დინასტიას, იმდენი რომ შეეწირა ტაძრებისათვის, რამდენიც მათ მამაჩემმა აჩუქა, ლაბირინთში იქნებოდა უკვე ცხრამეტი ათასი ტალანტი ოქრო, სამოც ათასამდე ტალანტი ვერცხლი, ხოლო რამდენი ხორბალი, პირუტყვი, მიწა, მონა და ქალაქი, რამდენი ტანსაცმელი და ძვირფასი ქვა – ამას თვით საუკეთესო მოანგარიშეც ვერ დათვლიდა.

მთავარი ხაზინადარი ჩაფიქრებული წავიდა ფარაონისაგან, მაგრამ არც ფარაონი იყო თავისი თავით კმაყოფილი. ერთხანს დაფიქრდა და მერე დაასკვნა, რომ მეტად გულახდილად ელაპარაკებოდა თავის მოხელეებს.

თავი მესამე

მისაღები დარბაზის მორიგე მცველმა ფარაონს პენტუერის მოსვლა მოახსენა. ქურუმი პირქვე დაემხო ფარაონის წინ და შეეკითხა რას მიბრძანებო.

– გიბრძანებ კი არა, მინდა გთხოვო, – უთხრა ფარაონმა. – იცი, რომ ეგვიპტეში აჯანყებებია!.. ჯანყდებიან გლეხები, მუშები და

თვით კატორღელებიც კი... ზღვიდან მაღაროებამდე აჯანყებაა! ისღა გვაკლია, ჩემი ჯარისკაცები აჯანყდნენ და ფარაონად... თუნდაც ხერიჰორი გამოაცხადონ...

– ცოცხლობდე მარად!.. – მიუგო ქურუმმა. – ეგვიპტეში არ მოიპოვება კაცი, ვინც შენი გულისათვის თავს არ გაწირავს და შენს სახელს არ ლოცულობს.

– ეჰ, რომ იცოდნენ, – აღშფოთებით წარმოთქვა მბრძანებელმა, – ფარაონი რამდენად ღატაკი და უძლურია, თითოეული ნომარქოსი თავს თავის ნორმის პატრონად გამოაცხადებდა!.. მეგონა, რაკი პშენტს[1] დავიმკვიდრებდი, რაიმე მნიშვნელობა მექნებოდა... მაგრამ პირველსავე დღეს ვრწმუნდები, რომ მე, ეგვიპტის სხვა მბრძანებლების მხოლოდ აჩრდილი ვარ! ან კი რა შეიძლება იყოს ფარაონი უჯაროდ, უფულოდ და, რაც მთავარია, ერთგულ მსახურთ მოკლებული?.. მე ღმერთების ქანდაკთ ვემსგავსები, რომელთაც გუნდრუკს უკმევენ და მსხვერპლს სწირავენ. მაგრამ ქანდაკებები უნიათონი არიან და მსხვერპლშეწირვებისაგან მხოლოდ ქურუმები სუქდებიან... თუმცა რას ვამბობ? შენ ხომ იმათ მხარეზე ხარ!..

– დიდად ვწუხვარ, – მიუგო პენტუერმა, – რომ შენ, ხელმწიფევ, მეფობის პირველ დღესვე ასე მსჯელობ. ეგვიპტეში რომ ამის შესახებ ხმა გავრცელდეს...

– მაშ ვიღას ვუთხრა ის, რაც მტანჯავს? – შეაჩერა იგი ფარაონმა. – შენ ჩემი მრჩეველი ხარ, შენვე გადამარჩინე, ყოველ შემთხვევაში, გსურდა გადაგერჩინე სიკვდილს და, ვფიქრობ, ეს იმისათვის არ ჩაგიდენია, რომ გაახმაურო ფარაონის გულისნადები, რომელიც შენს წინაშე გადავშალე. მაგრამ მართალი ხარ...

ფარაონმა ოთახში სიარული დაიწყო და მცირე სიჩუმის შემდეგ საგრძნობლად დამშვიდებული კილოთი წარმოთქვა:

– შენ დაგნიშნე იმ კომისიის ხელმძღვანელად, რომელმაც ჩემს სახელმწიფოში გამუდმებულ ამბოხებათა მიზეზები უნდა გამოიკვლიოს. ჩემი სურვილია მხოლოდ დამნაშავენი დაისაჯონ და უბედურთ კი სამართლიანად მოეპყრან.

– ღმერთი იყოს შენი შემწე, – ჩაიჩურჩულა ქურუმმა.– შევასრულებ,

[1] პშენტი – ფარაონების ორმაგი გვირგვინი.

ხელმწიფევ, რასაც მიბრძანებ. მაგრამ აჯანყებათა მიზეზები მე გამოუკვლევადაც ვიცი.

– მაშ განმიმარტე!

– არა ერთხელ მითქვამს ამაზე. მშრომელი ხალხი მშიერია, ამასთან იძულებულია მეტად ბევრი იმუშაოს და ფრიად დიდი გადასახადები გამოიღოს. ვინც წინათ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მუშაობდა, ახლა მუშაობას მზის ამოსვლამდე ერთი საათით ადრე უნდა შეუდგეს და მის ჩასვლის შემდეგ ერთი საათით გვიან დაამთავროს. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც უბრალო ადამიანს ყოველ ათ დღეში შეეძლო მშობელთა საფლავებთან მისვლა, მათს აჩრდილებთან საუბარი და საკურთხის მიტანა, ამჟამად კი იქ აღარავინ დადის იმიტომ, რომ თავისუფალი დრო არავის აქვს. უწინ გლეხი დღეში სამ პურს ჭამდა, ახლა კი ქერის ერთ ლავაშსაც ვერ შოულობს. წინათ გლეხებს არხებზე, დამბებსა და გზებზე მუშაობა გადასახადის ანგარიშში ეთვლებოდათ. ამჟამად კი ისინი გადასახადებს თავისთავად იხდიან, ხოლო საზოგადოებრივ სამუშაოებს უსასყიდლოდ ასრულებენ. აი აჯანყებათა მიზეზები.

– მე ყველაზე ღატაკი აზნაური ვარ სახელმწიფოში! – წამოიძახა ფარაონმა. – ყოველი გლეხი თავის საქონელს სათანადოდ კვებავს და ასვენებს, ჩემი საქონელი კი მუდამ მშიერი და გაძვალტყავებულია! მითხარი, რა ვქნა?

– მე მიბრძანებ, ბატონო, რომ გითხრა?

– გთხოვ... გიბრძანებ... როგორც გენებოს... ოღონდ მითხარი.

– კურთხეულ იყოს შენი მმართველობა, ოზირისის ჭეშმარიტო შვილო! – მიუგო ქურუმმა. – შენ კი ასე უნდა მოიქცე: უპირველეს ყოვლისა, ბრძანე, გლეხებს საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის სასყიდელი მიეცეს...

– რასაკვირველია...

– შემდეგ განკარგულება გაეცი, მიწის სამუშაოები მხოლოდ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე გრძელდებოდეს, რათა ხალხი ყოველ მეშვიდე დღეს ისვენებდეს, ყოველ მეშვიდეს და არა მეათე დღეს. ბრძანე აგრეთვე, მებატონეებს უფლება აღარ ექნეთ დაწინდონ გლეხები, ხოლო მწერლებს – თვითნებურად სცემონ და აწამონ ისინი...

და, დასასრულ, მიეცი... საკუთრებად გლეხებს მიწის მეათედი, თუნდაც მეოცედი ნაწილი, რომლის წართმევისა და დაწინდვის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს.

გლეხს თავისი ოჯახით თუნდაც იმდენი მიწა რომ ექნეს, რამდენიც ამ ოთახის იატაკს უჭირავს, აღარ იშიმშილებს. უბოძე, ბატონო, გლეხებს საკუთრებად თუგინდ უდაბნოს ქვიშები და იქ რამდენიმე წლის განმავლობაში ბაღები გაშენდება.

– შენ კარგად მსჯელობ, – შენიშნა ფარაონმა, – მაგრამ ამბობ იმას, რასაც გული გიკარნახებს და არა ცხოვრება. ადამიანის თუნდაც ყველაზე უკეთესი ზრახვები ყოველთვის არ ემთხვევა ვითარების ბუნებრივ მსვლელობას.

– მე უკვე ვნახე ასეთი ცვლილებები და მათი შედეგები, – უპასუხა პენტუერმა. – ზოგიერთ ტაძართან სხვადასხვა ცდებს აწარმოებენ: ავადმყოფებს მკურნალობენ, ბავშვებს ასწავლიან, საუკეთესო ჯიშის საქონელი და მცენარეები გამოყავთ და, ბოლოს, ადამიანთა ზნეჩვეულებებსაც აუმჯობესებენ. და აი რა ხდებოდა: როდესაც ზარმაცსა და გამხდარ გლეხს კარგ კვებას და ყოველ შვიდ დღეში დასვენებას აძლევდნენ, იგი თანდათან სუქდებოდა, შრომისმოყვარე ხდებოდა და მეტ მიწას ხნავდა, ვიდრე წინათ. დაქირავებული მუშა უფრო ხალისით და უკეთ მუშაობს, ვიდრე რკინის ჯოხით ნაცემი მონა. მაძღარ ადამიანებს მეტი შვილები უჩნდებათ, ვიდრე მშიერთ და შრომით წელში გაწყვეტილთ; თავისუფალ ადამიანთა შთამომავლობა ჯანმრთელი და ძლიერია, ხოლო მონების შთამომავლობა უძლური, პირქუში და ქურდობისა და სიცრუისადმი მიდრეკილი.

აღიარებულია, ბოლოს, რომ მიწა, რომელსაც თვითონ მფლობელი ამუშავებს, ხორბალსა და ბოსტნეულს ორჯერ მეტს იძლევა, ვიდრე ის, რომელსაც მონა ხნავს. და აი კიდევ საყურადღებო მოვლენა: როცა ადამიანები ყანაში მუსიკითა და სიმღერით მუშაობენ, არა მარტო ისინი, არამედ პირუტყვიც, რომლითაც ისინი ხნავენ, უფრო ნაკლებად იღლებიან, ყველაფერი ეს დადასტურდა ჩვენი ტაძრების მამულებში.

ფარაონმა გაიღიმა.

– მეც უნდა შემოვიღო მუსიკა ჩემს ხუტორებსა და მაღაროებში, –

თქვა მან. – მაგრამ თუკი ქურუმები დარწმუნდნენ ასეთ სასწაულებში, როგორც შენ მიამბობ, მაშინ რატომ ასე არ ექცევიან გლეხებს თავიანთ მამულებში?

პენტუერმა თავი ჩაქინდრა.

– იმიტომ რომ, – ამოოხვრით უპასუხა მან, – არა ყოველი ქურუმი არის ბრძენი და გულით სპეტაკი.

– საქმეც ეგ არის! – წამოიძახა ფარაონმა, – ახლა კი მითხარი, პენტუერ, გლეხის შვილო, რომელმაც იცი, ქურუმთა შორის არიან ბრიყვნი და გარეწარნი, რატომ არ გინდა მემსახურო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში?.. შენ ხომ გესმის, მე გლეხების ცხოვრებას ვერ გავუმჯობესებ, თუ წინასწარ ქურუმებს არ ვაიძულებ ჩემს ნებას დაემორჩილონ?

პენტუერმა ხელი ხელს მოუჭირა.

– ხელმწიფევ! – უპასუხა მან, – ცოდვაა და სახიფათო ქურუმებთან ბრძოლა!.. არა ერთ ფარაონს დაუწყია ასეთი მძიმე ბრძოლა... მაგრამ ბოლომდე ვერ მიუყვანია.

– იმიტომ რომ მათ მხარს არ უჭერდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც შენ ხარ... – წამოიძახა ფარაონმა, – და მართლაც, ჩემთვის მუდამ გაუგებარი დარჩება, რატომ ითმენენ თავის გვერდით ჭკვიანი და პატიოსანი ქურუმები უსაქმურთა ბანდას, რომელიც მათი წოდების უმრავლესობას წარმოადგენს?..

პენტუერმა თავი გააქნია.

– ოცდაათი ათასი წელი, – დაიწყო მან ბოლოს, – ქურუმთა წმიდა კასტა ეგვიპტის კეთილდღეობაზე ზრუნავს და ისეთ სახელმწიფოდ გადააქცია, როგორიც დღეს არის – სახელმწიფოდ, რომელიც მთელ მსოფლიოს აოცებს. მაშ რით აიხსნება ის, რომ, ამ კასტის მანკიერებათა მიუხედავად, მან მოახერხა ამის მიღწევა?.. იმით, რომ ქურუმი ლამპარია, რომელშიც სიბრძნის შუქი ანთია. ლამპარი შეიძლება გასვრილი და თითქმის მყრალი იყოს, მაგრამ ის თავის თავში ღვთაებრივ ცეცხლს იცავს, ურომლისოდაც ადამიანთა შორის წყვდიადი და უმეცრება გამეფდებოდა.

შენ ეხები, ხელმწიფევ, ქურუმებთან ბრძოლას, – განავრძობდა პენტუერი. – რითი შეიძლება იგი ჩემთვის დამთავრდეს? თუ შენ

ბრძოლას წააგებ, მე უბედური ვიქნები, რადგან გლეხების ცხოვრებას ვერ გააუმჯობესებ. ხოლო თუ მოიგებ? ო, ნურც გამითენდეს მე ის დღე!.. ვინაიდან, თუ შენ ლამპარს დაამსხვრევ, ვინ იცის, ამასთან ერთად სიბრძნის იმ ცეცხლსაც არ ჩააქრობ, რომელიც ათასი წლები ანათებს ეგვიპტესა და მთელ ქვეყანას. აი, ბატონო ჩემო, რატომ არა მსურს ჩავერიო შენს ბრძოლაში ქურუმთა წმიდა კასტის წინააღმდეგ. ვგრძნობ, ეს ბრძოლა ახლოვდება და ვიტანჯები, რომ კნინი ჭია ვარ და არ ძალმიძს მისი აცილება, ხოლო მასში მე ვერ მივიღებ მონაწილეობას, რადგან მაშინ ან შენ, ან სიბრძნის შემოქმედ ღმერთს უნდა ვუღალატო...

ფარაონი ოთახში მიმოდიოდა და პენტუერს ყურს უგდებდა.

– ჰმ! მოიქეცი, როგორც გსურს, – უთხრა მან ქურუმს მშვიდად. – შენ ჯარისკაცი არა ხარ და მე არ შემიძლია გისაყვედურო – რატომ გამბედავი არ ხარ-მეთქი... ჩემი მრჩეველი ვერ იქნები... მაინც გთხოვ გლეხთა აჯანყებების გამოკვლევას მოკიდო ხელი და, როცა დაგიბარებ, მითხრა ის, რასაც სიბრძნე გიკარნახებს.

ფარაონს რომ ემშვიდობებოდა, პენტურმა მუხლი მოიყარა.

– ყოველ შემთხვევაში, – დაუმატა ფარაონმა, – გახსოვდეს, რომ მე ღვათებრივი ლამპარის ჩაქრობა არა მსურს. დაე ქურუმები თავიანთ ტაძრებში ელოლიავებოდნენ სიბრძნეს, მაგრამ მე ნუ დამირღვევენ ჯარს, ნუ დებენ სამარცხვინო ხელშეკრულებებს და... ნუ ძარცვავენ მეფის საგანძურს, – განაგრძობდა გაცხარებით ფარაონი. – იქნებ ისინი ფიქრობენ, რომ მე, ვით მათხოვარი, მივადგები მათს ალაყაფის კარს და მოწყალებას ვთხოვ იმ სახელმწიფოს დასახსნელად, რომელიც მათვე გააღატაკეს ბრიყვული და უვარგისი მმართველობით? ფუჭი ოცნებაა! მე ღმერთებსაც კი არ შევთხოვ იმას, რაც ჩემს უფლებას და ჩემს ძალას შეადგენს... შეგიძლია წახვიდე...

პენტერი თავის დაკვრით ნელ-ნელა იხევდა კარებისკენ, ხოლო კარში კვლავ პირქვე დაემხო.

ფარაონი მარტო დარჩა.

„ადამიანები, – ფიქრობდა იგი, – ბავშვებს ემსგავსებიან. ხერიჰორი ხომ ჭკვიანია. მან იცის, რომ ეგვიპტეს ომის შემთხვევაში ნახევარი მილიონი ჯარისკაცი დასჭირდება, იცის, რომ ეს ჯარისკაცები უნდა

გაიწვრთნან, და, მიუხედავად ამისა, ლეგიონების რიცხვი და შემადგენლობა მაინც შეამცირა. არც მთავარი ხაზინადარია ბრიყვი, მაგრამ სრულებით ბუნებრივად მიაჩნია, რომ ფარაონის ყველა განძი ლაბირინთში იქნეს გადატანილი! ბოლოს – პენტუერი. რა უცნაური კაცია!.. მას სურს გლეხები კარგად იკვებებოდნენ, მიწას ფლობდნენ და საკმაოდ ისვენებდნენ... კარგი... მაგრამ ყოველივე ეს ხომ ამცირებს ჩემს ისედაც მცირე შემოსავალს. ხოლო თუ მე ვეტყვი: „დამეხმარე ქურუმებს ჩამოვართვა სამეფო საგანძური-მეთქი“, უღმერთოს და ეგვიპტეში სინათლის ჩამქრობელს მიწოდებს! უცნაური ადამიანია!.. მზად არის მთელი ქვეყანა ყირამალა გადაატრიალოს, როდესაც გლეხების კეთილღდეობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ვერასგზით ვერ გაბედავს უმაღლეს ქურუმებს საყელოში ხელი ჩაავლოს და ციხეში ჩასვას. ის სრული სიმშვიდით მოითხოვს ხელი ავიღო ჩემი შემოსავლის მთელ ნახევარზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ თვითონ ლაბირინთიდან სპილენძის დებენის გამოტანასაც ვერ გაბედავდა“.

რამზესი იღიმებოდა და განაგრძობდა მსჯელობს.

„ყველას უნდა ბედნიერი იყოს, მაგრამ შეეცდები თუ არა საერთოდ ბედნიერებისათვის რაიმე გააკეთო, უმალ ხელზე ჩამოგეკიდებიან, როგორც ადამიანს, რომელიც კბილს აძრობს. ამიტომ მბრძანებელი ურყევი უნდა იყოს. კარგად არ იქცეოდა ჩემი ღვთაებრივი მამა, როდესაც ყურს არ უგდებდა გლეხობას და უსაზღვროდ ენდობოდა ქურუმებს... მან ერთობ ცუდი მემკვიდრეობა დამიტოვა... მაგრამ მაინც შევძლებ გამოსწორებას. სოდიან ტბებთან მდგომარეობა იოლი არ იყო. უფრო მძიმე იყო, ვიდრე აქ. აქ სულ მხოლოდ მოლაყბეები და ლაჩრები არიან, იქ კი იყვნენ შეიარაღებული ადამიანები, რომელთაც სიკვდილის არ ეშინოდათ... ერთი ბრძოლა გვიჩვენებს იმას, რასაც მშვიდობიანი მმართველობის ათი წლის მანძილზე ვერ შევიტყობთ. ვინც თავის თავს ეტყვის: „დაბრკოლებას დავძლევო“, – უსათუოდ დაძლევს კიდეც ,მაგრამ ვინც გაუბედავად იყოყმანებს, მას უკანდახევა მოუხდება“.

ბინდდებოდა. სასახლეში გუშაგები შეცვალეს და შორეულ დარბაზებში ჩირაღდნები აანთეს.

მაგრამ ფარაონის ოთახში შესვლა დაუკითხავად არავის შეეძლო.

უძილობით, მოგზაურობით და საქმეებით მოქანცული ფარაონი სავარძელში ჩაჯდა. მას ეჩვენებოდა, რომ უკვე ასეული წლები იმეფა, და არ სჯეროდა, თუ იმ საათიდან, როდესაც იგი პირამიდების მახლობლად ისვენებდა, ჯერ კიდევ სრული დღე-ღამე არ გასულიყო.

„დღე-ღამე!.. შეუძლებელია!..“

შემდეგ მოაგონდა, რომ მემკვიდრის გულში წინანდელი ფარაონების სულები ბინადრობდნენ, ალბათ, ასე უნდა იყოს, თორემ საიდან გაჩნდა მასში რაღაც ნაცნობის, ყოფილის გრნობა და რატომ არის, რომ დღეს სახელმწიფოს მმართველობა ასე მარტივად ეჩვენება, მაშინ როცა ჯერ კიდევ ერთ-იორი თვის წინათ შიშობდა, თავს ვერ გავართმევო.

„მხოლოდ ერთი დღე გავიდა. მე კი მეგონა, აქ უკვე ათასი წელი ვარ!“

უეცრად ყრუ ხმა შემოესმა:

– შვილო ჩემო!.. შვილო ჩემო!..

ფარაონი სავარძლიდან წამოხტა.

– ვინაა მანდ? – წამოიძახა მან.

– მე ვარ, მე... ნუთუ დაგავიწყდი?..

ფარაონი ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოდიოდა ხმა – ზევიდან, ქვევიდან თუ კუთხეში მდგარი ოზირისის დიდი ქანდაკებიდან.

– შვილო ჩემო! – კვლავ გაისმა ხმა. – პატივი ეც ღმერთების ნებას, უკეთუ მათი კურთხევის მიღება გსურს... ოჰ, პატივი ეც ღმერთებს, რადგან მათს დაუხმარებლად უმაღლესი ძლიერება ქვეყნად ფერფლი და აჩრდილია... პატივი ეც ღმერთებს, თუ გსურს, შენი შეცდომების სიმწარემ არ მოშხამოს ჩემი ყოფნა დაისის ნეტარ მხარეში!..

ხმა მიწყნარდა. ფარაონმა სინათლის შემოტანა ბრძანა. ოთახის ერთი კარი დაკეტილი იყო, მეორესთან გუშაგი იდგა. არც ერთ გარეშე პირს აქ შემოსვლა არ შეეძლო.

რისხვა და შეშფოთება ტანჯავდა ფარაონის გულს. ნუთუ ნამდვილად მამამისის აჩრდილი ელაპარაკებოდა? თუ ეს ხმა ქურუმების ახალი ცბიერება იყო? ხოლო თუ სქელი კედლების მიუხედავად, ქურუმებს მასთან შორიდან შეუძლიათ ლაპარაკი, მაშინ ყურისდაგდებაც შეუძლიათ და, მაშასადამე, ქვეყნის მბრძანებელი იმ გარეულ

მხეცს ემსგავსება, რომელიც ყოველი მხრივ მონადირეებითაა გარე-მოცული.

მეფის სასახლეში ფარულად ყურის დაგდება ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ფარაონი იმედოვნებდა, რომ გარეშე პირებისაგან თავის კაბინეტში მაინც იქნებოდა თავისუფალი.

მაგრამ თუ ის ნამდვილად სული იყო?..

ფარაონმა აღარ ივახშმა და დასაძინებლად წავიდა. ფიქრობდა, მაგრამ მოქანცულობამ სძლია აღგზნებას.

რამდენიმე საათის შემდეგ იგი ეჟვნების ხმამ და სინათლემ გამოაღვიძა. უკვე შუაღამე იყო, და ქურუმი-ასტროლოგი მოვიდა მასთან ცის მნათობთა განლაგების შესახებ მონსენებით. ფარაონმა მოისმინა.

– შეიძლება თუ არა, პატივცემულო წინასწარმეტყველო, ხვალინდელი დღიდან ჩემი მოხსენებები ღირს სენს წარუდგინო? ის ხომ ჩემი მოადგილეა სარწმუნოებრივ საქმეებში.

ქურუმი-ასტროლოგი ციური მოვლენებისადმი ფარაონის ასეთმა გულგრილობამ ფრიად გააოცა.

– თქვენი უდიდებულესობა ნებულობს უარი თქვას იმ მითითებებზე, რომლებსაც მბრძანებელთ ვარსკვლავები აძლევს?..

– მითითებები? – გაიმეორა ფარაონმა, – მერე რას მიქადიან ვარსკვლავები?

ასტროლოგი, ჩანდა, სწორედ ამ კითხვას ელოდა, რადგან დაუფიქრებლად უპასუხა:

– ცის ტატნობი დროებით დაბნელებულია. ქვეყნის მბრძანებელი ჯერ კიდევ არ დამდგარა ჭეშმარიტების გზაზე, რომელსაც ღმერთების ნების შეცნობისაკენ მივყავართ; მაგრამ ადრე თუ გვიან იგი იპოვის მას, ხოლო მასთან ერთად ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლესა და დიდებით სავსე მეფობას დაიმკვიდრებს...

– მართლა!.. გმადლობ, წმიდაო მამაო. ახლა უკვე ვიცი, რა უნდა ვეძიო, და ვეცდები მივსდიო მითითებებს. ერთხელ კიდევ გთხოვ ამიერიდან მიმართ მაღალღირს სენს, ის ჩემი მოადგილეა, და, თუ შენ ვარსკვლავებში საყურადღებო რამეს ამოიკითხავ, დილით ამას ის მიამბობს.

ქურუმი თავის ქნევით გავიდა ფარაონის საწოლი ოთახიდან.

– დიდად პატივცემულმა დედოფალმა ნიკოტრისამ, – მოულოდნელად მოახსენა ადიუტანტმა, – ერთი საათის წინ მიბრძანა, რომ შენთან მოსვლა ნებავს.

– ახლა? ამ შუაღამისას? – გაოცდა ფარაონი.

– მან თქვა, რომ შენ სწორედ შუაღამისას გამოგეღვიძება.

ფარაონი დაფიქრდა და უთხრა ადიუტანტს, დედოფალს ოქროს დარბაზში დაველოდებიო. ეგონა, იქ მათს საუბარს ყურს არავინ დაუგდებდა.

მან წამოიხურა ლაბადა, ჩაიცვა სანდლები, ბრძანა დარბაზი სინათლით გაეჩირაღდნებინათ. მსახურთ უბრძანა, თან არ გაჰყოლოდნენ და გავიდა.

დედა დარბაზში დაუხვდა. დედოფალს ჯვალოს სამგლოვიარო ტანისამოსი ეცვა. ფარაონის დანახვაზე მუხლის მოყრა დააპირა, მაგრამ შვილმა წამოაყენა და ჩაეხუტა.

– დედილო, განა რა მოხდა ისეთი არაჩვეულებრივი, რომ შენ ამ დროს შეწუხებულხარ? – შეეკითხა დედას.

– არ მეძინა... ვლოცულობდი, – უპასუხა მან. – ოჰ, შვილო ჩემო! შენმა სიბრძნემ გიკარნახა, რომ საქმე მნიშვნელოვანია. მე გავიგონე მამაშენის ღვთაებრივი ხმა...

– მართლა?.. – ჩაილაპარაკა ფარაონმა, რომელიც გრძნობდა, რომ ბრაზი ერეოდა.

– ღვთაებრივი მამაშენი ღრმა მწუხარებით მეუბნებოდა, რომ შენ არასწორ გზას ადგები. ზიზღით უარს ამბობ უმაღლეს ქურუმად კურთხევაზე და ცუდად ეპყრობი ღვთისმსახურთ!.. „ვიღა დარჩება რამზესთან, – ამბობდა შენი ღვთაებრივი მამა, – თუ თავის წინააღმდეგ აამხედრებს ღმერთებს და თუ ქურუმები მიატოვებენ? უთხარი... უთხარი, რომ იგი ეგვიპტეს, თავის თავს და დინასტიას დაღუპავს...“

– ოჰო! აი რით მემუქრებიან ისინი! – წამოიძახა ფარაონმა, – ჩემი მეფობის პირველსავე დღეს... ძაღლი უფრო ხმამაღლა მაშინ ყეფს, როდესაც ეშინია. დედილო! ეს მუქარა ცუდი წინამოსწავებაა, მაგრამ არა ჩემთვის, არამედ ქურუმებისათვის!..

– კი, მაგრამ ამას ხომ მამაშენი გვეუბნება, – წყენით უთხრა დედამ.

– უკვდავი მამაჩემი და წმიდა პაპა ამენხოტეპი იცნობენ ჩემს გულს და ხედავენ ეგვიპტის სავალალო მდგომარეობას. ხოლო ვინაიდან ჩემს გულს ჩვენი სახელმწიფოს ამაღლება და უკანონობის მოსპობა სწადია, ამიტომ ისინი არ ინდომებენ ჩემი განზრახვის შესრულებაში ხელი შემიშალონ...

– მაშ არა გწამს, რომ მამაშენის სული გაძლევს დარიგებებს? – შეეკითხა დედა, რომელიც შვილს შიშით შესცქეროდა.

– არ ვიცი, მაგრამ საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ სულების ხმები, რომლებიც ჩვენი სასახლის სხვადასხვა კუთხეში გაისმის, ქურუმების რაღაც ოინს წარმოადგენს. მხოლოდ ქურუმებს შეუძლიათ ჩემი ეშინოდეთ და არავითარ შემთხვევაში ღმერთებსა და სულებს... ასე რომ, სულები კი არ გვაშინებენ ჩვენ, დედილო.

დედოფალი ჩაფიქრდა, შვილის სიტყვები მასზე გავლენას ახდენდა. მას ცხოვრებაში მრავალი სასწაული ენახა და ზოგიერთი მათგანი თვითონაც საეჭვოდ მიაჩნდა.

– ყოველ შემთხვევაში, შვილო ჩემო, – უთხრა დედამ, – შენ ფრთხილად არ იქცევი. დღეს ნაშუადღევს ჩემთან იყო ხერიჰორი, ფრიად უკმაყოფილოა შენთან საუბრით. მითხრა, ქურუმების გაძევება სურს სამეფო კარიდანო.

– მერედა რაში მჭირია ისინი? იქნებ იმისათვის, რომ ჩემს სამზარეულოსა და სარდაფს მეტი გასავალი ექნეს? ან იქნებ იმისათვის, რომ ფარულად ყურს მიგდებდნენ, რას ვლაპარაკობ, და მითვალთვალებდნენ, რას ვაკეთებ?

– მთელი სახელმწიფო აჯანყდება, თუ ქურუმები გამოაცხადებენ, რომ შენ უღმერთო ხარ, – შენიშნა დედოფალმა-დედამ. – ჩვენი ქვეყანა უკვე ღელავს...

– ამაში ბრალი მხოლოდ ქურუმებს მიუძღვით, – უპასუხა ფარაონმა. – ეგვიპტელი ხალხის ღვთისმოსაობაზედაც სხვა აზრი დამებადა. რომ იცოდე, დედავ, რამდენი სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ქვემო ეგვიპტეში ღმერთების შეურაცხყოფის, ხოლო ზემო ეგვიპტეში მიცვალებულთა გაძარცვის გარშემო, დარწმუნდებოდი, რომ ჩვენი ხალხისათვის ქურუმთა საქმიანობა უკვე წმიდა რამე არ წარმოადგენს.

– უცხოელების გავლენაა, ეგვიპტეში რომ გამრავლდნენ! – წამოიძახა დედოფალმა. – განსაკუთრებით კი ფინიკიელებისა...

– სულ ერთია ვისი გავლენაა. საკმარისია, რომ ეგვიპტე უკვე არც კერპებსა და არც ქურუმებს ზეციერ არსებებად აღარ თვლის... და შენ, დედილო, ყური რომ დაგეგდო, რას ამბობენ აზნაურები, ჯარისკაცები და ოფიცრები, მიხვდებოდი, რომ დადგა დრო, როდესაც ფარაონის ხელისუფლება ქურუმების ხელისუფლებაზე მაღლა უნდა დავაყენოთ, რათა ჩვენს ქვეყანაში არავითარი წესრიგი არ დაირღვეს.

– ეგვიპტის მეუფე შენა ხარ, – ამოიოხრა დედოფალმა, – სიბრძნე შენი უდიდესია და მოიქეცი ისე, როგორც გულმა გიკარნახოს... მაგრამ იმოქმედე ფრთხილად.. ოჰ, ფრთხილად! მოკლულ მორიელსაც კი. შეუძლია უკბინოს წინდაუხედავ გამარჯვებულს....

დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ფარაონი თავის საწოლში დაბრუნდა. მაგრამ დაძინება აღარ შეეძლო. ის ნათლად ხედავდა, რომ მასსა და ქურუმებს შორის ბრძოლა უკვე დაიწყო. უფრო სწორად რომ ვთქვათ, არა ბრძოლა, არამედ რაღაც საზიზღარი, რომელიც ღირსიც არ იყო ბრძოლის სახელწოდებისა და რომლისთვის მან, მხედართმთავარმა, ჯერაც არ იცოდა, როგორ გაერთმია თავი.

სად არის აქ მტერი? ვის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს მისმა ერთგულმა ჯარმა? ქურუმების წინააღმდეგ, რომლებიც მის წინ პირქვე ემხობიან? ან ვარსკვლავების წინააღმდეგ, რომლებიც ამბობენ, ფარაონი ჭეშმარიტების გზას ჯერ კიდევ არ დადგომიაო? ვის და რას უნდა ებრძოლოს?

ეგებ იმ სულთა ხმებს, რომლებიც ბინდში მოისმიან? ან მშობელ დედას, რომელიც შიშით ემუდარება, ქურუმები არ განდევნოო?

ფარაონი სრულ უძლურებას გრძნობდა და სარეცელზე ბორგავდა.

ანაზდად აზრმა გაუელვა:

„რა საქმე მაქვს მტერთან, რომელიც ტალახივით თითებს შორის გასხლტება?.. დაე მემუქრებოდნენ, დაე წყრებოდნენ ჩემს უღმერთოებაზე... მე გავცემ ბრძანებებს, ვინც გაბედავს იგი არ შეასრულოს, ის იქნება ჩემი მტერი, და მის წინააღმდეგ მივმართავ სასამართლოს და ჯარს.

ამგვარად, ფარაონი მერი-ამონ-რამზეს XII, ორივე ქვეყნის მბრძანებელი, მეუფე მარადისობისა, სიცოცხლისა და ყოველგვარი შვების მომნიჭებელი, მიიცვალა ხატირის თვეში, ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში სვიანად მეფობის შემდეგ.

მიიცვალა, რადგან გრძნობდა, რომ სხეული მისი სუსტდებოდა და სასიცოცხლო უნარს ჰკარგავდა. მიიცვალა იმიტომ, რომ თვითონ მოენატრა მარადიული სამშობლო და მოისურვა ამქვეყნიური ძალაუფლება უფრო ახალგაზრდა ხელში გადაეცა. მიიცვალა იმიტომ, რომ თავად ასე ინება. მისი ღვთაებრივი სული გაფრინდა, ვით ქორი, რომელიც ერთხანს ჰაერში ნავარდის შემდეგ ლაჟვარდ სივრცეში ქრება.

თავისი მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეს ფარაონს მზის ამოსვლისას გამოეღვიძა და, ორი წინასწარმეტყველის მიერ ხელჩაკიდებული და ქურუმთა გუნდით გარემოცული, ოზირისის ეკვდერში გავიდა. აქ, როგორც ყოველთვის, წამოაყენა ღვთაება, განბანა და შემოსა იგი, შეასრულა მსხვერპლშეწირვა და ხელები სალოცავად აღაპყრო.

ამ დროს ქურუმები გალობდნენ:

გუნდი პირველი: „დიდება შენდა, რომელიც აღმოხვალ ტატნობზე და მიმოირბენ ცას...“

გუნდი მეორე: „შენი სასწაულებრივი გზა იმათი კეთილდღეობის საწინდარია, ვის სახეს შენი სხივები მოეფინება...“

გუნდი პირველი: „ჰოი მზეო, ნეტავი შემაძლებინა, ვიარო შეუჩერებლივ, როგორც შენ...“

გუნდი მეორე: „დიდო მგზავრო, რომელსაც ბატონი არა გყავს და რომლისთვისაც ასეული მილიონი წლები ერთი წამია...“

გუნდი პირველი: „შენ ჩადიხარ, მაგრამ არსებობას განაგრძობ, ჰქმნი საათებს, დღეებსა და ღამეებს, თვითონ კი მარადიული ხარ, და თვითვე ჰქმნი შენთვის კანონებს...“

გუნდი მეორე: „შენ აცისკროვნებ დედამიწას და საკუთარი ხელებით გადმოგვცემ ჩვენ თავის თავს, როდესაც რას სახით ამოდიხარ ცის ტატნობზე...“

გუნდი პირველი: „ჰოი, ცის ტატნობზე ამომავალო სხივმფენო დიადო მნათობო, რომელიც თვითონ ჰქმნი საკუთარ ფორმებს...“

გუნდი მეორე: „და არავისაგან არშობილი, შენ თვითონ შობ საკუთარ თავს ტატნობზე...“

ფარაონმა წარმოთქვა:

– ჰოი, ცათაშინა სხივმფენო! ნება მიბოძე შევიდე მარადისობაში და შევუერთდე უმაღლესი სამყაროს დიდებულსა და სრულყოფილ აჩრდილებს, მათთან ერთად ვჭვრეტდე შენს სინათლეს დილა-საღამოს, როდესაც შენ დედაშენს ნუტს უერთდები, ხოლო ოდეს სახეს შენსას დასავლეთით მიაპყრობ, დაე ხელები ჩემი აღიპყრას ლოცვად, რათა მთებს იქით დასაძინებლად გამზადებული სიცოცხლე ადიდოს...[1]

ასე ლოცულობდა ხელაპყრობილი საკმევლის კვამლში გახვეული ფარაონი. უცებ დადუმდა და უკან გადიხარა; მის უკან მდგომმა ქურუმებმა ხელი სტაცეს.

იგი უკვე მკვდარი იყო.

ფარაონის გარდაცვალების ამბავმა ელვისებრ შემოირბინა სასახლე. მსახურებმა თავი გაანებეს მუშაობას, ზედამხედველებმა შეწყვიტეს მონების მეთვალყურეობა, გამოიწვიეს გვარდია და ყოველ შესასვლელთან გუშაგები დააყენეს. მთავარ ეზოში თავს იყრიდნენ მზარეულები, საკუჭნაოთა გამგეები, მეჯინიბეები, სეფექალები და ბავშვები. ერთნი კითხულობდნენ: ნუთუ მართალია ეს? სხვებს უკვირდათ, რომ მზე ცაზე კიდევ ანათებდა, და ყველა ხმამაღლა გაჰკიოდა!

– ჰოი, ბატონო! ჰოი, ჩვენო მამაო!... ჰოი, საყვარელო!.. ნუთუ შენ ჩვენგან უკვე მიდიხარ!.. ჰოი, ის მართლაც აბიდოსში[2] მიდის... დასავლეთისაკენ!.. დასავლეთისაკენ. მართალთა მხარეში. ადგილი, რომელიც შენ შეიყვარე, კვნესის და გოდებს შენზე!..[3]

საშინელი მოთქმა გაისმოდა ყველა ეზოში, მთელ პარკში, მისი

---

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

[2] აბიდოსი – ზემო ეგვიპტის მერვე ნომში მდებარე ქალაქი. აქ იყო ეგვიპტეში განსაკუთრებით პატივცემული „აკლდამა ოზირისისა“. და დიდი ნეკროპოლი. სარწმუნოებრივ პოეზიაში ქალაქის სახელი „აბიდოსი“ იხმარებოდა როგორც სინონიმი სიტყვისა „დასავლეთი“, „იმქვეყნიური სამყარო“, „მკვდართა სავანე“ და სხვა.

[3] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

ექო მოწყდებოდა აღმოსავლეთის მთებს, ქარის ფრთებზე გადაივლიდა ნილოსს და ქალაქ მემფისს სიმშვიდეს ურღვევდა.

ამასობაში ქურუმებმა ლოცვებით ჩასვეს მიცვალებულის გვამი მდიდარ დახურულ ტახტრევანში. რვა კაცმა ხელი ჩაჰკიდა ლატანებს. ოთხს სირაქლემას ფრთების მარაო ეკავა, დანარჩენთ – საცეცხლურები.

ამ დროს მოირბინა დედოფალმა ნიკოტრისამ და, მიცვალებული რომ უკვე ტახტრევანში დაინახა, მის ფეხებთან დაემხო.

– ჰოი, მეუღლევ ჩემო!.. ჰოი, ძმაო ჩემო!.. ჰოი, ჩემო შეყვარებულო!.. – ცრემლთა ფრქვევით მოთქვამდა იგი. – ჰოი, საყვარელო, დარჩი ჩვენთან, დარჩი შენს სახლში!.. ნუ მიატოვებ ადგილს დედამიწაზე სადაც იმყოფები!..

– მშვიდობით, მშვიდობით, დასავლეთისკენ!.. – გალობდნენ ქურუმები. – ჰოი, - დიდებულო მეუფეო! მშვიდობით წარვედ დასავლეთისკენ!..

– ვაიმე! – განაგრძობდა ქვითინს დედოფალი. – შენ იჩქარი გადასასვლელისკენ, რომ მეორე ნაპირას გადახვიდე! ჰოი, ქურუმნო, ჰოი, წინასწარმეტყველნო, ნუ ჩქარობთ, დატოვეთ იგი!.. თქვენ ხომ შინ დაბრუნდებით, ის კი მარადისობის მხარეში წავა...

– მშვიდობით, მშვიდობით, დასავლეთისკენ! – გალობდა ქურუმთა გუნდი. – თუ ღმერთს ენებება, ჩვენ კვლავ გიხილავთ შენ, მბრძანებელო, ოდეს მარადისობის დღე დადგება! ვინაიდან შენ მიდიხარ მხარეში, რომელიც ყველა ადამიანს აერთიანებს...[1]

როგორც კი ღირსმა ხერიჰორმა ანიშნა, სეფექალებმა დედოფალი ფარაონის ფეხებს მოაცილეს და ძალით შეიყვანეს შინ.

ქურუმები, რომლებიც ტახტრევანს მიეზიდებოდნენ, ადგილიდან დაიძრნენ. ტახტრევანში მჯდომი მბრძანებელი კი ჩაცმული იყო ისე, როგორც სიცოცხლეში. მის მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან მიდიოდნენ: გენერლები, ხაზინადრები, მსაჯულები და უმაღლესი მწერლები, საჭურველთმტვირთველი ჩუგლუგითა და მშვილდით და, ბოლოს, ყველა ხარისხის ქურუმები.

ეზოში მსახურები მოთქმა-ქვითინით პირქვე დაემხვნენ, შეიარა-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

ღებული ჯარისკაცები კი ყარაულში დადგნენ; ახმაურდა ბუკები, თითქოს ცოცხალ მეფეს ესალმებიანო.

და მართლაც, ცოცხალივით იჯდა მეფე ტახტრევანში, რომელიც მდინარის გადასასვლელისაკენ მიჰქონდათ. როდესაც ნილოსის ნაპირს მიაღწიეს, როგორც მეფის სიცოცხლეში ხდებოდა ხოლმე, ქურუმებმა ტახტრევანი მოოქრულ ორჩხომელზე დადგეს მეწამული გავალაკის ქვეშ.

შემდეგ ტახტრევანი ვარდებით აავსეს, მის პირდაპირ. ანუბისის[1] ქანდაკება დადგეს და სამეფო გემი ნილოსის მეორე ნაპირისკენ გაემართა. გემს კი თან სდევდა მსახურთა და სეფექალთა მოთქმა-გოდება.

სასახლიდან ორი საათის სავალზე ნილოსის, არხის, ნაყოფიერი მინდვრებისა და პალმების ჭალებს იქით, მემფისსა და „მუმიათა ზეგანს“ შუა, თავისებური ქალაქი მდებარეობდა. ყველა მისი შენობა მიცვალებულთადმი იყო მიძღვნილი და დასახლებული მხოლოდ ხოაქიტებითა[2] და პარასქიტებით, რომლებიც ცხედართ აბალზამებდნენ.

ეს ქალაქი თითქოს წინკარი იყო ნამდვილი სასაფლაოსი, ხიდი, რომელიც ცოცხალთა საზოგადოებას სამარადისო განსვენების ადგილთან აერთებდა. აქ მოასვენებდნენ ცხედრებს და მათგან მუმიებს ამზადებდნენ. აქ მიცვალებულთა ოჯახები ურიგდებოდნენ ქურუმებს დაკრძალვის საფასურში. აქვე ამზადებდნენ მიცვალებულთათვის საღვთო გრაგნილებს და ქამრებს, კუბოებს, ავეჯს, ჭურჭელსა და ქანდაკებებს.

ამ გალავანშემოვლებულ ქალაქს, რომელიც მემფისიდან საკმაოდ დაშორებული იყო, მრავალ ადგილას ალაყაფდატანებული ზღუდე ჰქონდა. ფარაონის ცხედრის გამყოლი პროცესია ერთ ალაყაფთან შეჩერდა, რომელიც თავისი სიდიადით განცვიფრებას იწვევდა. ერ-

---

[1] ანუბისი – იმქვეყნიური სამყაროს ღმერთი, მიცვალებულთა და დაბალზამების წესთა მფარველი, რომელსაც ჩვეულებრივად ადამიანის სახითა და ტურის თავით გამოხატავდნენ.

[2] ხოაქიტი – ბერძნული სახელი ძველეგვიპტელი ქურუმებისა, რომლებიც ხულის მოსახსენიებელ კულტს ასრულებდნენ.

თმა ქურუმმა დააკაკუნა.

– ვინა ხარ? – იკითხეს შიგნიდან.

– ოზირის-მერი-ამონ-რამზესი, ორივე ქვეყნის მბრძანებელი, მოდის თქვენთან და მოითხოვს, რათა მოამზადოთ სამარადისო მოგზაურობისათვის, – უპასუხა ქურუმმა.

– ნუთუ ჩაესვენა ეგვიპტის მზე?.. ნუთუ მიიცვალა ის, ვინც თვითონ იყო სუნთქვა და სიცოცხლე?..

– ასეთი იყონ ნება მისი, – უპასუხა ქურუმმა. – მაშ მიიღეთ მბრძანებელი სათანადო პატივით, გაუწიეთ მას ყოველგვარი სამსახური, როგორც შეშვენის, რათა თავს არ დაგატყდეთ სასჯელი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაში.

– ყველაფერს თქვენი სიტყვის თანახმად შევასრულებთ, – წარმოთქვა ხმამ შიგნიდან.

მაშინ ქურუმებმა ტახტრევანი ალაყაფთან დატოვეს და საჩქაროდ გამოტრიალდნენ, რათა ამ ადგილას შეგროვებული გვამების უწმინდური სუნი არ სცემოდათ. დარჩნენ მხოლოდ დიდი მოხელეები უმაღლესი მსაჯულისა და ხაზინადარის მეთაურობით.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ კარი გაიღო და ქურუმების ტანსაცმელში გამოწყობილი, კაპიუშონებით თავდახურული თხუთმეტიოდე კაცი გამოვიდა.

მათს დანახვაზე მსაჯულმა განაცხადა:

– გადმოგცემთ ჩვენი და თქვენი ბატონის ცხედარს, შეუსრულეთ მას ყველაფერი, რასაც სარწმუნოება ბრძანებს, და არაფერი დააკლოთ, რათა ამ დიდებულმა მიცვალებულმა თქვენი მიზეზით იმქვეყნად დაბრკოლებები არ განიცადოს.

ხაზინადარმა კი დაუმატა:

– ნუ დაზოგავთ ჩვენი მეუფისათვის ოქროს, იასპს, ალმასს, ფირუზსა და უიშვიათეს ნელსაცხებელთ, რათა არაფერი აკლდეს და ყველაფერი საუკეთესო ხარისხისა ჰქონდეს. ამას გეუბნებით თქვენ მე, ხაზინადარი. ხოლო თუ აღმოჩნდება გარეწარი, რომელიც მოისურვებს კეთილშობილი ლითონების უბადრუკი ნაყალბით და ძვირფასი ქვების ფინიკიური შუშით შეცვლას, მას ახსოვდეს, რომ ასეთი საქციელისათვის ხელებს მოსჭრიან და თვალებს დასთხრიან.

– თქვენი მოთხოვნა შესრულებული იქნება, – უპასუხა ერთმა სახეახვეულმა ქურუმმა.

დანარჩენებმა ტახტრევანი ასწიეს და გალობით შევიდნენ „მიცვალებულთა ქალაქის“ შიგნით. ისინი გალობდნენ,

– შენ მშვიდობით მიდიხარ აბიდოსში. დაე მშვიდობით მიგეღწიოს დასავლეთს... დასავლეთისკენ!.. დასავლეთისკენ... მართალთა მხარეში!..

ალაყაფი დახურეს. უმაღლესი მსაჯული, ხაზინადარი და მათი მხლებლები მდინარის გადასასვლელისაკენ გაბრუნდნენ, რომ სასახლეში წასულიყვნენ.

კაპიუშონიანმა ქურუმებმა ტახტრევანი მაღლა შენობაში შეიტანეს, სადაც მეფეთა და იმ დიდებულთა ცხედრებს აბალზამებდნენ, რომელთადმი ფარაონი განსაკუთრებით მოწყალებას იჩენდა... ისინი წინკარში შეჩერდნენ, სადაც ბორბლებზე ოქროს ნავი იდგა, და მიცვალებული ტახტრევანიდან გადმოასვენეს.

– შეხედეთ! – წამოიძახა ერთმა ქურუმმა. – ნამდვილი ყაჩაღები არ არიან?.. ფარაონი ხომ ოზირისის ეკვდერში მიიცვალა და, მაშასადამე, საპარადო ტანისამოსი უნდა ეცვას, აქ კი, შეხედეთ! სამაჯურები, ოქროს ნაცვლად – სპილენძისაა, ძეწკვიც სპილენძისა, ხოლო ბეჭდებზე ყალბი ქვები...

– მართალია, – დაადასტურა მეორემ. – საინტერესოა, ვინ მორთო იგი ასე: ქურუმებმა თუ მოხელეებმა?

– ალბათ, ქურუმებმა... გაუხმეთ ხელები, გარეწრები! თავად ყველანი ქურდები არიან და კიდევ ბედავენ გვასწავლონ, მიცვალებულს ყველაფერი საუკეთესო ხარისხისა მიეცითო.

– ამას ისინი კი არა, ხაზინადარი მოითხოვდა...

– ნუ გეშინია, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან... ასე უზიარებდნენ შენიშვნებს ერთმანეთს დამბალზამებლები. მათ მიცვალებულს სამეფო ტანსაცმელი გახადეს, ჩააცვეს ოქროქსოვილი თხელი ხალათი და ცხედარი ნავში გადაიტანეს.

– მადლობა ღმერთს, რომ ახალი ფარაონი გვეყოლება, – თქვა ერთმა, რომელსაც კაპიუშონი ეხურა. – ის წესრიგს დაამყარებს ქურუმთა შორის...

– ოჰო!.. ამბობენ, სასტიკი მეუფე იქნებაო! – დაუმატა მეორემ. – ფინიკიელებს მეგობრობს, აგრეთვე პენტუერს, თუმცა ის ხომ დიდ-გვარიანი ქურუმი არ არის, არამედ ისეთივე ღატაკების წრიდანაა გამოსული, როგორც ჩვენ ვართ... ჯარისკაცები კი, როგორც ამბობენ, მზად არიან მისი გულისათვის ცეცხლსა და წყალში გადაცვივდნენ...

– სწორედ ამ დღეებში მან ლიბიელები სასტიკად დაამარცხა!

– ახლა სად არის ის ახალი ფარაონი? – იკითხა ვიღაცამ. – უდაბნოში? რამე ხიფათი არ შეემთხვეს, ვიდრე მემფისში დაბრუნდება.

– ვინ რას გაუბედავს, როცა ჯარი მის მხარეზეა! პატიოსნად დაკრძალვა არ მეღირსოს, თუ ჩვენი ახალგაზრდა ხელმწიფე ისე არ გადაჯეგავს ქურუმებს, როგორც კამეჩი პურის ყანას.

– ნამდვილად ბრიყვი ხარ! – მიახალა აქამდე მდუმარე პარასქიტმა. – განა ფარაონი ქურუმებს მოერევა?

– რატომაც არა?

– ოდესმე თუ გაგიგონია, რომ ლომს პირამიდა გაენგრიოს?

– შენც ამბობ რაღა!

– ან კამეჩს რქებით აეწიოს?

– რასაკვირველია, არა!

– ან გრიგალს თუ გაუცამტვერებია?

– რას ჩამაცივდი მაგ შეკითხვებით!

– და აი, გეუბნები, უფრო მალე ლომი, კამეჩი თუ გრიგალი პირამიდას წააქცევს, ვიდრე ფარაონი ქურუმებს მოერევა.. თუნდაც ის ერთ პიროვნებაში ლომიც იყოს, კამეჩიც და გრიგალიც!..

ზევიდან ვიღაცამ დაიყვირა:

– ეი თქვენ მანდ, მიცვალებული მზად არის?

– მზად არის, მზად, მხოლოდ ყბა ჩამოუვარდა, – უპასუხეს წინ კარიდან.

– არაუშავს რა! მოიტანეთ აქ! იზიდას არა სცალია, ერთ საათში ქალაქს უნდა წავიდეს.

ოქროს ნავი მიცვალებულთან ერთად ბაგირით დაუყოვნებლივ აიტანეს ზევით შიგნითა ქანდარაზე.

წინკარიდან შესასვლელი დიდ დარბაზში გადიოდა, რომლის ცისფრად შეღებილი კედლები ყვითელი ვარსკვლავებით იყო მოფენი-

ლი. დარბაზის მთელ სიგრძეზე ერთ-ერთი კედლის გაყოლებით გაჭიმული იყო რკალისებრ მოხრილი გალერეა; მისი კიდურები პირველი სართულის დონეს ეთანაბრებოდა, ხოლო ცენტრი ნახევარი სართულით უფრო მაღალი იყო. დარბაზს ცის თაღი უნდა განესახიერებინა, გალერეას – მზის გზა ცაზე, მიცვალებული ფარაონი ხომ ოზირისს, ანუ მზეს წარმოადგენდა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობს. ქვევით ქურუმებისა და ქურუმქალების ჯგუფი იდგა და ზეიმის მოლოდინში თავის საქმეებზე საუბრობდა.

– მზად არის... – დაიძახეს ქანდარიდან.

საუბარი შეწყდა.

ზევით სპილენძის დაფმა სამჯერ დარეკა და ქანდარაზე მზის მოოქრული ნავი გამოჩნდა, რომლითაც მიცვალებული მიცურავდა.

ქვევით მზის პატივსაცემად ჰიმნი აჟღერდა.

– აი ის ღრუბლებში გამოჩნდა, რათა ცა დედამიწისაგან განაცალკეოს და მერე კვლავ შეაერთოს...

ნავი ნელა იძვროდა რკალის შუაგულისაკენ და, ბოლოს, სულ მაღლა შეჩერდა.

ამ დროს რკალის ქვედა კიდეზე თავისი შვილის ჰორის თანხლებით გამოჩნდა ღმერთქალ იზიდად გამოწყობილი ქურუმი ქალი და ისიც ნელა გაემართა ზევით. ეს იყო მზის უკან მოძრავი მთვარის ხატება. ოზირის-ფარაონის ნავმა რკალის მწვერვალიდან დასავლეთისკენ იწყო დაშვება.

ქვევით კი კვლავ გაისმა გუნდის ხმა:

– ყველა საგანში ღმერთია განსახიერებული, ყველა ღმერთში სული შუ ცხოვრობს. იგი არის ცოცხალი ადამიანის სხეული. ნაყოფიერი ხის შემოქმედი, იგია მიზეზი მიწის გამანაყოფიერებელი წყალდიდობისა, უმისოდ არაფერი არ ცოცხლობს მიწაზე.[1]

ნავი ქანდარის დასავლეთ კიდეზე დაეშვა. იზიდა ჰორითურთ თაღის მწვერვალზე შეჩერდა. ამ დროს ნავთან ქურუმების ჯგუფმა მიირბინა; მათ ფარაონის სხეული გადმოასვენეს და მარმარილოს მაგიდაზე დაასვენეს, ვითარცა ოზირისი დასასვენებლად დღიური შრომის შემდეგ.

---

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

მიცვალებულთან ღმერთ ტიფონად გამოწყობილი პარასქიტი მივიდა. თავზე უცნაური ნიღაბი და წითური ბანჯგვლიანი პარიკი ეხურა, ზურგზე – გარეული ტახის ტყავი, ხელში კი ქვის ეთიოპური დანა ეკავა.

ამ დანით მან მიცვალებულის ფეხისგულის სწრაფად ჩამოთლა იწყო.

– რას უშვრები, ძმაო ტიფონ, მძინარეს? – შეეკითხა ქანდარიდან იზიდა.

– ჩემი ძმის ოზირისის ფეხებს ვწმენდ, რათა მიწიერი მტვერით ზეცა არ წაბილწოს, – უპასუხა ტიფონად გამოწყობილმა პარასქიტმა.

ფეხისგული რომ მოჭრა, პარასქიტმა მოღუნული მავთული აიღო, ჩაუშვა იგი მიცვალებულს ცხვირში და ტვინის გამოღებას შეუდგა. შემდეგ მუცელი გაუჭრა და სწრაფად ამოაცალა შიგნეული, გული და ფილტვები.

ამასობაში ტიფონის თანაშემწეებმა ოთხი დიდი ურნა მოიტანეს, რომლებიც შემკული იყო ღმერთების – ხაპის, იმსეტის, დამუტეთისა და კებხენეუფის – თავებით, და თითოეულ ურნაში მიცვალებულის რომელიმე შინაგანი ორგანო ჩადეს.

– მანდ რაღას შვრები, ძმაო ტიფონ? – მეორედ შეეკითხა იზიდა.

– ჩემს ძმას ოზირისს ყოველგვარი მიწიერისაგან ვწმენდ, რათა უმაღლესი სილამაზე მივანიჭო, – უპასუხა პარასქიტმა.

მარმარილოს მაგიდის გვერდით მდებარეობდა აუზი წყლით, რომელიც სოდით იყო განზავებული. ცხედრის გაწმენდის შემდეგ პარასქიტებმა იგი აუზში ჩაუშვეს, სადაც სამოცდაათი დღე უნდა დარჩენილიყო. ამასობაში იზიდამ გაიარა მთელი ქანდარა და ჩავიდა დარბაზში, სადაც პარასქიტმა ის-ის იყო გაკვეთა და გაწმინდა ფარაონის სხეული. აქ მან მარმარილოს მაგიდას გადახედა და, დაინახა რა, რომ იგი ცარიელია, შიშით იკითხა:

– სად არის ჩემი ძმა? სად არის ჩემი ღვთაებრივი მეუღლე?..

ამ დროს დაიქუხა, ახმაურდა ბუკი და ბრინჯაოს დაფები. ტიფონად გამოწყობილმა პარასქიტმა გადაიხარხარა და წამოიძახა:

– მშვენიერო იზიდავ, შენ, რომელიც ვარსკვლავებთან ერთად ღამეებს მხიარულს ჰქმნი! ამიერიდან აღარ არსებობს შენი მეუღლე!..

მოოქრულ ნავში ამიერიდან არასოდეს აღარ ჩაჯდება შუქმფინარე ოზირისი, ცის თაღზე ამიერიდან არასოდეს მზე აღარ გამოჩნდება. მე ვქმენ ეს, – მე, სეთმა, და ისე ღრმად დავმალე იგი, რომ ვერც ერთი ღმერთი და ვერც ყველა ერთად ვერ იპოვის!..

ამ სიტყვებზე ქალღმერთმა ტანსაცმელი შემოიხია და კვნესასა და თმის გლეჯას მოჰყვა. კვლავ ახმაურდა ბუკი, ქუხილი და ბრინჯაოს დაფები, ქურუმებსა და ქურუმქალებში ჩოჩქოლი ატყდა, და ანაზდად ყველანი ტიფონს მიესივნენ შეძახილით:

– ბნელეთის წყეულო სულო, რომელიც უდაბნოში გრიგალის კორიანტელს აყენებ, ზღვას აღელვებ და დღის სინათლეს ჩრდილავ!.. ჰოი, შთანგთქას უფსკრულმა, საიდანაც თვით ღმერთების მამაც ვერ შეძლებს შენს ამოყვანას! წყეულო! წყეულო სეთო!.. დაე შენი სახელი შეეზიზღოს ადამიანებს!..

ყველანი ტიფონს მისცვივდნენ მუშტებით და კეტებით, ხოლო წითურთმიანი ღმერთი გარბოდა და ბოლოს გავარდა დარბაზიდან.

კიდევ სამჯერ შემოკრეს ბრინჯაოს დაფს, და ცერემონია დამთავრდა.

– კმარა! – დაუყვირა უფროსმა ქურუმმა პარასქიტებს, რომლებიც მართლა დაერივნენ ერთმანეთს. – შენ, იზიდავ, შეგიძლია წახვიდე ქალაქში, დანარჩენებმა კი მიხედეთ სხვა მიცვალებულთ, რომლებიც დიდი ხანია გელოდებიან... ტყუილად უგულვებელყოფთ უბრალო მოკვდავთ, რადგან ჯერ კიდევ არ იცით, რას მოგცემენ ამაში...

– რასაკვირველია, ცოტას! – გამოეხმაურა მბალზამირებელი. – ამბობენ, ხაზინა ცარიელია, ფინიკიელები კი იმუქრებიან, სრულებით შევწყვეტთ სესხის მიცემას, თუ ახალ პრივილეგიებს არ მოგვანიჭებენო.

– წყალსაც წაუღია თქვენი ფინიკიელები! ისე ვყავართ ხელში ჩაჭერილი, ალბათ, მალე ქერი ლავაშისათვისაც დაგვჭირდება მათგან სესხის აღება.

– მაგრამ, თუ მათ ფარაონის დასაკრძალავად სესხი არ გაიღეს, მაშინ ჩვენც ვერაფერს მივიღებთ.

თანდათან საუბარი მიწყდა და ყველა გავიდა ცისფერი დარბაზიდან. მხოლოდ აუზთან, სადაც ფარაონის ნეშტი ლბებოდა, იდგნენ

მცველები.

ამ ზეიმის ფონზე, რომელიც ტიფონის (ღამისა და ბოროტმოქმედების ღმერთის) მიერ ოზირისის (მზის ღმერთის) მოკვლის ლეგენდას განასახიერებდა, სრულდებოდა გაკვეთისა და ფარაონის სხეულის გაწმენდის რიტუალი და ბალზამირებისათვის შემზადება.

სამოცდაათი დღე იწვა მიცვალებული სოდით განზავებულ წყალში, ალბათ, იმის მოსაგონრად, რომ ბოროტმა ტიფონმა თავსი ძმა სოდიან ტბაში დაახრჩო. მთელი ეს დღეები, დილით და საღამოთი, იზიდად გამოწყობილი ქურუმქალი მიდიოდა მტრედისფერ დარბაზში, იქ კვნესოდა, თმას იგლეჯდა და დამსწრეთ ეკითხებოდა, ხომ არავის უნახავს მისი ღვთაებრივი მეუღლე და ძმა.

გლოვის ამ ვადის გასვლის შემდეგ დარბაზში ოზირისის შვილი და მემკვიდრე ჰორი გამოცხადდა თავისი ამალით.

– აქ ხომ არ განისვენებს მამაჩემისა და ძმის ცხედარი? – იკითხა მან.

ქურუმების ხმამაღალ, მხიარულ შეძახილებსა და მუსიკის ხმაზე ფარაონის ცხედარი გამმაგრებელი აბაზანიდან ამოიღეს.

იგი ქვის მილში ჩადეს, რომლის შიგნით რამდენიმე დღე ცხელ ჰაერს უშვებდნენ, და გაშრობის შემდეგ მბალზამირებლებს გადაეცა.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ცერემონიები დაიწყო, რომლებსაც „მიცვალებულთა ქალაქის“ მთავარი ქურუმები მიცვალებულზე ასრულებდნენ.

თავით სამხრეთისკენ მიმართულ ფარაონის ცხედარს გარედან ნაკურთხი წყლით ბანდნენ, შიგნით კი – პალმის ღვინით. ნაცარდაყრილ იატაკზე ისხდნენ მოზარე ქალები და მიცვალებულს დასტიროდნენ. სიკვდილის სარეცლის გარშემო ღმერთების ტანსაცმელში გამოწყობილი ქურუმები შეიკრიბნენ, შიშველი იზიდა ფარაონების გვირგვინით, ჭაბუკი ჰორი, ტურისთავიანი ანუბისი, ჩიტისთავიანი თოტი დაფებით ხელში და მრავალი სხვა.

ამ მაღალი კრების მეთვალყურეობით დამბალზამებლებმა იწყეს სხეულის შინაგანი ღრუების ფრიად სურნელოვანი ბალახებით და ნახერხით ამოვსება. და აგრეთვე სურნელოვანი ფისის ჩასხმა. ყოველივე ეს ლოცვების წარმოთქმით სრულდებოდა. მერე საკუთარის მაგი-

ერ ბრინჯაოშემოვლებული შუშის თვალები ჩაუსვეს. და სხეულს სოდის ფხვნილი წააყარეს.

როდესაც მიცვალებულის ცხედრის ყოველი ნაწილი სალოცავ ლენტებში შეახვიეს და ავგაროზებით მოამარაგეს, დრო იყო ეფიქრათ იმ დოკუმენტზე, რომელიც მიცვალებულს ღმერთების ბჭეს გაუღებდა.

სამარესა და ზეცას შორის მიცვალებულს ორმოცდაორი საშინელი მსაჯული ელის, რომლებიც ოზირისის თავმჯდომარეობით მის მიწიერ ცხოვრებას განიხილავენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების სასწორზე აწონილი მისი გული ჭეშმარიტების ქალღმერთის თანასწორი აღმოჩნდება და როდესაც ღმერთი თოტი, რომელიც მიცვალებულის საქმეებს წერს ფირფიტებზე, სცნობს მათ კეთილ ქმედობად, მხოლოდ მაშინ ჰკიდებს ხელს ჰორი აჩრდილს და იგი ოზირისის ტახტთან მიჰყავს.

და აი იმისათვის, რომ მიცვალებულმა თავი გაიმართლოს სამსჯავროს წინაშე, საჭიროა მისი მუმია იმ პაპირუსში შეახვიონ, რომელზეც აღსარებაა დაწერილი.

ფარაონის ცხედარი ძვირფასი ტანსაცმლით შემოსეს, პირისახეზე ოქროს ნიღაბი დაადეს, გულზე დაკრეფილ ხელებზე ბეჭდები და სამაჯურები ჩამოაცვეს. თავქვეშ სპილოს ძვლის სასთუმალი დაუდეს, რომელზეც ეგვიპტელებს ჩვეულებრივ ეძინათ. ბოლოს ცხედარი სამმაგ კუბოში ჩაასვენეს: პაპირუსისაში, რომელიც წარწერებით იყო დაფარული, კედრის ხის მოოქრულში და მარმარილოს კუბოში. პირველი ორის ფორმა ზუსტად შეესატყვისებოდა მიცვალებულის ცხედრის ფორმას. თითქმის ხეზე ამოჭრილი პირისახეც კი. მსგავსი იყო, მაგრამ იღიმებოდა.

სამი თვე „მიცვალებულთა ქალაქში“ ყოფნის შემდეგ ფარაონის მუმია უკვე მზად იყო საზეიმო დაკრძალვისათვის, მაშინ იგი უკან მეფის სასახლეში გადაასვენეს.

სამოცდაათი დღე ლბებოდა სოდით განზავებულ წყალში წმიდა სხეული და ეგვიპტე გლოვით იყო მოცული. ტაძრები დახურული იყო და ლიტანიებს აღარ ასრულებდნენ. შეწყდა ყოველგვარი მუსიკა და აღარც ნადიმები იმართებოდა. მოცეკვავე ქალები მოზარე ქალებად გადაიქცნენ და ცეკვის ნაცვლად თმას იწეწდნენ, რაც მათ აგრეთვე შემოსავალს აძლევდა. არავინ სვამდა ღვინოს და არ ჭამდა ხორცს. ბობოლა მოხელეებს უხეში ტანსაცმელი ეცვათ და ფეხშიშველი დადიოდნენ, თმასა და წვერ-ულვაშს, ქურუმების გარდა, არავინ იპარსავდა, ყველაზე უფრო გულმოდგინენი კი პირსაც არ იბანდნენ, სახეზე ტალახს ისვამდნენ და თავზე ნაცარს იყრიდნენ.

ხმელთაშუა ზღვიდან ნილოსის პირველ ჩანჩქერამდე, ლიბიის უდაბნოდან სინას ნახევარკუნძულამდე დუმილი და მწუხარება სუფევდა. ჩაესვენა ეგვიპტის მზე, დასავლეთისკენ წავიდა იგი და მიატოვა თავისი მსახურები ბატონმა, რომელიც მათ შვებასა და სიცოცხლეს ანიჭებდა.

სიხარულის პირველმა თრთოლვამ გაირბინა ეგვიპტეში მაშინ, როდესაც „მიცვალებულთა ქალაქიდან“ მოვიდა ცნობა, რომ მბრძანებლის ცხედარი ამოღებულია ხსნარიდან, ბალზამირებულია და ქურუმები უკვე ღვთისმსახურების წესებს უსრულებენო.

ამ დღეს ეგვიპტელებმა პირველად მოიპარსეს თმები და პირისახიდან ჩამოიბანეს ტალახი. და მართლაც, არავითარი საფუძველი არ არსებობდა მწუხარების განგრძობისათვის: ჰორმა იპოვა ოზირისის სხეული, ეგვიპტის მბრძანებელმა კი დამბალზამებლების ოსტატობით კვლავ მოიპოვა სიცოცხლე, ხოლო ქურუმების ლოცვების წყალობით ღმერთების თანაბარი გახდა.

ამიერიდან მიცვალებულ ფარაონს მერი-ამონ-რამზეს უკვე ოფიციალურად ოზირისად იხსენიებდნენ, არაოფიციალურად კი ეს სახელი მას მიცვალებისთანავე უწოდეს.

ეგვიპტელი ხალხის თანდაყოლილმა სიცოცხლის ხალისმა სძლია მწუხარებას, განსაკუთრებით ჯარში, ხელოსნებისა და გლეხების წრეში. არავინ იცოდა, საიდან ვრცელდებოდა ხმები, რომ ეგვიპ-

ტის ახალ ფარაონს, რომელიც ხალხმა უკვე წინასწარ შეიყვარა, განზრახული აქვს გლეხების, მუშებისა და თვით მონების ცხოვრებაც კი გააუმჯობესოსო.

ამიტომაც უფრო ხშირად ხდებოდა ეგვიპტეში გაუგონარი ამბები, კალატოზები, დურგლები და მეთუნეები იმის ნაცვლად, რომ მშვიდად ესვათ და თავიანთ ხელობასა და ოჯახურ საქმეებზე ესაუბრათ, იმდენად გათამამდნენ, რომ არა მარტო გადასახადების სიმძიმეს უჩიოდნენ, არამედ თვით ქურუმთა ხელისუფლების გამოც ბუზღუნებდნენ. გლეხები კი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს არ ლოცულობდნენ და წინაპრებს არ იხსენიებდნენ, იკრიბებოდნენ და იმაზე ლაპარაკობდნენ, რა კარგი იქნებოდა, თუ თითოეულს მიწის საკუთარი რამდენიმე ნაკვეთი ექნება და ყოველ მეშვიდე დღეს დასვენება შეეძლებაო!..

ჯარისკაცებზე, განსაკუთრებით უცხოელთა ლეგიონების ჯარისკაცებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მათ წარმოედგინათ რომ ეგვიპტეში ისინი რჩეულ კასტას შეადგენენ, ან ასეთი იქნებიან მალე რომელიღაც ძლევამოსილი ომის შემდეგ, რომელიც ახლო მომავალში ატყდებაო.

სამაგიეროდ ნომარქოსები და აზნაურები, რომლებიც ქალაქგარეთ მამულებში ცხოვრობდნენ, და განსაკუთრებით სხვადასხვა ტაძრის უმაღლესი ქურუმები დიდი ზეიმით ასრულებდნენ გარდაცვლილი ფარაონის სულის მოსახსენებელ წესებს და გლოვობდნენ იმის მიუხედავად, რომ ფარაონი ოზირისი გახდა და შეიძლებოდა უკვე გამხიარულებულიყვნენ.

სიმართლე ითქვას, ახალ ფარაონს დღემდე არსებითად ცუდი არავისთვის არა გაუკეთებია რა. და წარჩინებულ პირთა დამწუხრების მიზეზი მხოლოდ ის ხმები იყო, რომლებიც ასე ახარებდა უბრალო ხალხს. ნომარქოსებსა და აზნაურებს ჟრუანტელს ჰგვრიდა ის აზრი, რომ მათი გლეხები წელიწადში ორმოცდაათ დღეს არაფერს გააკეთებდნენ და, რაც უფრო ცუდია, მიწის ნაკვეთს მიიღებდნენ – თუნდაც ისეთს, რომელზეც ადამიანის მხოლოდ დამარხვა შეიძლება. ქურუმები, რომლებიც რამზეს XIII-ის ბატონ-პატრონობას უცქეროდნენ, ფითრდებოდნენ, კბილებს აკრაჭუნებდნენ და მისი მათდამი მოპყრობით

აღშფოთებული იყვნენ.

მართლაც, ფარაონის სასახლეში დიდი ცვლილებები მოხდა.

ფარაონი სასახლის ერთ-ერთ ფლიგელში დაბინავდა, რომლის ყველა სადგომი გენერლებმა დაიკავეს. სარდაფებში მან ბერძენი ჯარისკაცები მოათავსა. პირველ სართულში გვარდია, გალავნის გაყოლებით მდებარე სადგომში კი – ეთიოპიელი მეომრები. ფლიგელის გარშემო გუშაგებად აზიელები იდგნენ, ხოლო საკუთრივ ფარაონის ოთახებთან ის ესკადრონი დაბინავდა, რომლის მეომრები უდაბნოში რამზესთან ერთად ტეხენას მისდევდნენ.

ამას გარდა, უმაღლეს ქურუმებს აღელვებდა ის, რომ ფარაონმა იმ ლიბიელებს, რომლებმაც ამას წინათ ეგვიპტის საწინააღმდეგო ამბოხებაში მიიღეს მონაწილეობა, თავისი წყალობა დაუბრუნა და ბრძანა, არც ერთი მათგანი არ დაესაჯათ.

მართალია, ქურუმები, რომლებიც დიდ სასახლეში ცხოვრობდნენ, თავის ადგილას დარჩნენ და ყოვლადღირსი სენის მეთაურობით სარწმუნოებრივ წესებს ასრულებდნენ, მაგრამ რაკი ქურუმები ფარაონის საუზმე, სადილსა და ვახშამში უკვე აღარ მონაწილეობდნენ, მათი კვება შესამჩნევად გაუარესდა.

ამაოდ გოდებდნენ წმიდა მამები, რომ მათ ევალებათ მრავალი ღმერთის და ცხრამეტი დინასტიის წარმომადგენლების დაპურება. ხაზინადარმა, რომელმაც გამოიცნო ფარაონის ნება-სურვილი, ქურუმებს უპასუხა ღმერთებსა და წინაპრებს ყვავილები და სურნელებაც ეყოფათ, თვითონ წინასწარმეტყველნი კი, როგორც ამას მაღალი სათნოება ბრძანებს, ქერის ლავაშით უნდა დაკმაყოფილდნენ და წყალი ან ლუდი დააყოლონო. ხაზინადარი უმაღლესი ქურუმის სენის მაგალითზე მიუთითებდა, რომ იგი ცოდვათა მომნანიებლის ცხოვრებას ეწევა და ფარაონის მაგალითზე, რომელიც, ისე როგორც მისი გენერლები, ჯარისკაცის ქვაბიდან იკვებებაო.

ყოველივე ამის გამო სასახლის კარის ქურუმებმა ფარულად იწყეს ფიქრი, ხომ არ სჯობს არასტუმართმოყვარე სასახლეს გავშორდეთ და საკუთარი მყუდრო თავშესაფარი მოვიპოვოთ ტაძრების მიდამოებში, სადაც ჩვენი მოვალეობა უფრო იოლი იქნება და არც ვიშიმშილებთო. ალბათ, ასეც მოიქცეოდნენ, რომ უმაღლეს ქურუმთ ხერი-

ჰორსა და ნოფრს მათთვის თავიანთ პოსტებზე დარჩენა არ ებრძანებინათ.

მაგრამ არც თვითონ ხერიჰორის მდგომარეობა იყო სახარბიელო ახალი მბრძანებლის კარზე. წინათ ყოვლადგავლენიანი მინისტრი, რომელიც თითქოს არასოდეს ტოვებდა სამეფო დარბაზებს, ამჟამად განმარტოებით ცხოვრობდა ქალაქგარეთ მდებარე სახლში და იყო შემთხვევები, როდესაც ახალ მბრძანებელს მთელი დეკადების განმავლობაში ვერ ხედავდა, იგი ჯერ კიდევ ითვლებოდა სამხედრო მინისტრად, მაგრამ ბრძანებებს უკვე აღარ სცემდა, რადგან ყოველ სამხედრო საქმეს პირადად თვითონ ფარაონი იხილავდა. თვითონ კითხულობდა გენერლების მოხსენებებს და თვითონვე წყვეტდა საეჭვო საკითხებს, რისთვისაც საჭირო საბუთები სამხედრო სამინისტროდან მის ადიუტანტებს მიჰქონდათ. ხოლო თუ ფარაონი ხერიჰორს ზოგჯერ მაინც მოიხმობდა, მხოლოდ საყვედურისთვის.

ყველა დიდი მოხელე იძულებული იყო ეღიარებინა, ახალი ფარაონი ბევრს მუშაობსო.

რამზეს XIII მზის ამოსვლამდე დგებოდა, საბანაოდ მიდიოდა ან აბაზანას იღებდა და შემდეგ ოზირისის ქანდაკების წინ სურნელებას წვავდა. მერე უმაღლესი მსაჯულის, მთელი ეგვიპტის ბეღელთა და საქონლის ფარეხთა მთავარი მწერლის, უფროსი ხაზინადარის და, ბოლოს, კარის მინიტრის მოხსენებას ისმენდა. უკანასკნელს ყველაზე მეტი უსიამოვნება ხვდებოდა, რადგან ისე დღე არ გავიდოდა, ფარაონს მისთვის საყვედური არ ეთქვა: სასახლის შენახვა მეტად ძვირი ჯდება და ჩემს კმაყოფაზე მეტად ბევრი ხალხი იმყოფებაო.

მართლაც, სასახლეში ცხოვრობდა გარდაცვლილი ფარაონის რამდენიმე ასი ქალი მათი ბავშვებითა და მსახურებით. მუდმივ შეხსენებათა ზეგავლენით კარის მინისტრი ყოველდღე ასახლებდა რამდენიმე მობინადრეს, დანარჩენთ კი ხარჯებს. უმცირებდა. ამის გამო ერთი თვის შემდეგ სამეფო კარის ყველა სეფექალი წუწუნითა და ცრემლთა დენით გაიქცა დედოფალ ნიკოტრისასთან და გამოქომაგება შესთხოვა.

ღრმად პატივცემული დედა-დედოფალი მაშინვე მბრძანებელთან წავიდა, მის წინ პირქვე დაემხო და მამამისის ქალების შებრალე-

ბა სთხოვა, რათა ისინი უსახსრობით არ დახოცილიყვნენ.

ფარაონმა შუბლშეჭმუხვნით მოუსმინა და უბრძანა კარის მინისტრს შემდგომი ეკონომია შეეწყვიტა, ხოლო დედოფალ-დედას განუცხადა, რომ მამის დაკრძალვის შემდეგ ეს ქალები სასახლიდან გასახლებული და სოფლებში დანაწილებული იქნებიანო.

– ჩვენი კარის შენახვა, – განუმარტა მან დედას, – წელიწადში ოცდაათ ათას ტალანტზე მეტი ჯდება, ესე იგი უფრო ძვირი, ვიდრე მთელი ჯარის შენახვა. მე არ შემიძლია ასეთი თანხის ხარჯვა, რომ სახელმწიფო სრულ განადგურებამდე არ მივიყვანო.

– მოიქეცი, როგორც გონება გიკარნახებს, – უპასუხა დედოფალმა, – ეგვიპტე შენია. მაგრამ მე ის მაშინებს, რომ სასახლიდან განდევნილები შენი მტრები გახდებიან.

ამის საპასუხოდ ფარაონმა უხმოდ მოკიდა ხელი დედას, მიიყვანა სარკმელთან და შუბების ტყეზე მიუთითა. ეს მისი ქვეითი ჯარი ვარჯიშობდა.

ფარაონის საქციელმა მოულოდნელი ზემოქმედება იქონია.

წუთის წინ ცრემლებით სავსე თვალები დედოფლისა სიამაყით გაბრწყინდა, იგი დაიხარა, ხელზე აკოცა ფარაონს და აღელვებულმა უთხრა:

– ჭეშმარიტად შენ იზიდას და ოზირისის შვილი ხარ! და მე სწორად მოვიქეცი, როდესაც შენი თავი ქალღმერთს ჩავაბარე. ეგვიპტეს ბოლოს და ბოლოს ნამდვილი მბრძანებელი მოევლინა!..

ამ დროიდან დიდად პატივცემულ ქალბატონს არასოდეს მიუმართავს შვილისათვის ვისიმეს გამოქომაგების თხოვნით, ხოლო, როდესაც მფარველობას სთხოვდნენ, ის უპასუხებდა:

– მე მისი უდიდებულესობის მსახური ვარ და თქვენც გირჩევთ, სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულოთ მისი ბრძანებები, იმიტომ რომ ყველა მისი მოქმედება ღმერთებისაგან არის შთაგონებული და ვინ გაბედავს, ღმერთებს ეწინააღმდეგ გოს!

საუზმის შემდეგ ფარაონი სამხედრო სამინისტროს ხაზინის საქმეებს იხილავდა, ხოლო ნაშუადღევის სამ საათზე დიდი ამალის თანხლებით მემფისის მიდამოებში დაბანაკებულ ლეგიონებთან მიდიოდა და თვალყურს ადევნებდა მათი ვარჯიშის მსვლელობას.

სახელმწიფოს სამხედრო საქმეში უდიდესი ცვლილებები მოხდა.

ორიოდე თვის განმავლობაში ფარაონმა ხუთი ახალი ლეგიონი შექმნა, უფრო სწორად – აღადგინა ის ლეგიონები, რომლებიც წინანდელი მეფის დროს დაშლილი იყო.

მან სამსახურიდან დაითხოვა ის ოფიცრები, რომლებიც ლოთობდნენ და ყომარს თამაშობდნენ, ანდა ჯარისკაცებს ცუდად ეპყრობოდნენ.

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში, სადაც მხოლოდ ქურუმები მუშაობდნენ, მან თავისი ყველაზე უფრო ნიჭიერი ადიუტანტები დანიშნა, რომელთაც სულ მალე შეისწავლეს იმ დოკუმენტების გარჩევა, ჯარსა და სამხედრო საქმეს რომ შეეხებოდა. ფარაონმა ბრძანა შეედგინათ იმ მამაკაცთა სიები, რომლებიც სამხედრო წოდებას ეკუთვნოდნენ, მაგრამ უკვე დიდი ხანია არავითარ სამხედრო მოვალეობას არ ასრულებდნენ და თავის მეურნეობას მისდევდნენ. თორმეტი წლის ასაკიდან ყმაწვილთათვის მან ოფიცერთა ორი სკოლა გახსნა და აღადგინა მივიწყებული ჩვეულება, რომლის მიხედვით - მწკრივებად და კოლონებად დაწყობილი სამხედრო ახალგაზრდობა საუზმეს მხოლოდ სამი საათის ვარჯიშობის შემდეგ მიიღებდა.

ბოლოს, ყველა სამხედრო ნაწილს აეკრძალა სოფლებში დგომა, ისინი მხოლოდ ყაზარმებსა და ბანაკებში უნდა მოთავსებულიყვნენ. ყოველ ლეგიონს მიუჩინეს სავარჯიშო მოედანი, სადაც მთელი დღის განმავლობაში ჯარისკაცები ან ქვებს ისროდნენ, ანდა ისრებს სტყორცნიდნენ მიზანში.

გამოიცა აგრეთვე სამხედრო პირების ოჯახებისადმი მიმართული განკარგულება, რომ ყველა მამაკაცს ევარჯიშა მუხტების ტყორცნაში რეგულარული ჯარის ოფიცრების ხელმძღვანელობით. რამზეს XII-ის გარდაცვალებიდან უკვე ორი თვის შემდეგ მთელი ეგვიპტე სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. სოფლისა და ქალაქის მოზარდმა თაობამაც, რომელიც წინათ ქურუმობიასა და მწერლობიას თამაშობდა, ახლა, უფროსების წაბაძვით, ჯარისკაცობიას თამაში იწყო. ყველა მოედანსა და ბაღში დილიდან. საღამომდე გაისმოდა ქვებისა და ისრების ზუზუნი და სასამართლოები გადატვირთული იყო სხეულის დასახიჩრების თაობაზე შექმნილი საჩივრებით.

ეგვიპტე სულ შეიცვალა. მთელი მხარე, გლოვის მიუხედავად, ახლი მბრძანებელის წყალობით უდიდეს გამოცოცხლებას განიცდიდა.

თვითონ ფარაონი კი ამაყობდა იმით, რომ მთელი სახელმწიფო მიჰყვება მის მეფურ ნებას.

მაგრამ მალე დადგა გამოფხიზლების ჟამი.

სწორედ იმ დღეს, როდესაც დამბალზამებლებმა სოდიანი ხსნარიდან ამოიღეს რამზეს XII-ის ცხედარი, მთავარმა ხაზინადარმა, ჩვეულებრივ მოხსენებას რომ აკეთებდა, ფარაონს განუცხადა:

– არ ვიცი, რა ვქნა... ხაზინაში ჩვენ სულ ორი ათასი ტალანტიღა გვაქვს, განსვენებული ხელმწიფის დაკრძალვას კი დასჭირდება არა ნაკლებ ათასისა...

– როგორ თუ ორი ათასი? – გაიკვირვა ფარაონმა. – როდესაც მე ქვეყნის მმართველობას შევუდექი, შენ მითხარი, რომ ოცი ათასი გვაქვსო.

– თვრამეტი ათასი დავხარჯეთ.

– ორ თვეში?

– ჩვენ დიდი ხარჯები გავწიეთ.

– მართალია, მაგრამ ახალი გადასახადები ხომ ყოველი დღიურად შემოგვდის?

– გადასახადები, – განაგრძობდა ხაზინადარი, – არა ისეთი რაოდენობით შემოდის, როგორსაც ვვარაუდობდი... ვკადნიერდები, მოვაგონო თქვენს უდიდებულესობას, რომ ჩვენ ხუთი ახალი ლეგიონი გვყავს, მაშასადამე, დაახლოებით რვა ათასმა კაცმა თავი დაანება თავის მუდმივ საქმიანობას და სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს.

ფარაონი ჩაფიქრდა.

– საჭიროა, – უპასუხა მან, – ახალი სესხის აღება. მოელაპარაკე ხერიჰორსა და ნოფრს, რომ ტაძრებმა გვასესხონ ფული.

– ამის შესახებ მე უკვე ველაპარაკე მათ... მაგრამ ტაძრები არაფერს მოგვცემენ...

– გაგვებუტენ წინასწარმეტყველები... – ჩაიცინა ფარაონმა. – ამ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით წარმართებს მივმართოთ. გამომიგზავნე დაგონი.

საღამოს ფარაონთან გამოცხადდა ფინიკიელი მევახშე, დაიჩოქა

მის წინ და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ფიალა მიართვა.

– ახლა შემიძლია დამშვიდებული მოვკვდე, – წარმოთქვა მან, – ჩემი ყოვლად მწყალობელი მბრძანებელი ტახტზე აბრძანდა!

– მაგრამ ვიდრე მოკვდებოდე, – უთხრა ფარაონმა, – მიშოვე რამდენიმე ათასი ტალანტი.

ფინიკიელი გაოგნდა, ან იქნებ განზრახ მიიღო შეშინებული გამომეტყველება.

– მირჩევნია მიბრძანოთ, თქვენო უდიდებულესობავ, ნილოსში მოვძებნო მარგალიტი, – უპასუხა მან. – მაშინ ერთბაშად დავიღუპები და ჩემს ბატონს ეჭვი აღარ შეეპარება, თითქოს არ მსურდეს მისი თხოვნის შესრულება. მაგრამ სად ვიშოვო ამდენი თანხა... ისიც ახლანდელ დროში!..

– როგორ? – გაიოცა რამზესმა. – მაშ ფინიკიელებს ჩემთვის ფული არა აქვთ?..

– ჩვენს სისხლსა და სიცოცხლეს, ჩვენს ბავშვებს მივართმევთ თქვენს უდიდებულესობას, მაგრამ ფული... სად ვიშოვოთ ფული? წინათ ტაძრები გვაძლევდნენ სესხს წლიური თხუთმეტი თუ ოცი პროცენტით, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც თქვენი უდიდებულესობა, ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე, იქ, ბუბასტისთან ხატორის ტაძარში ბრძანდებოდა, ქურუმებმა კრედიტზე სრულიად უარი გვითხრეს, რომ შეეძლოთ, ისინი დღესვე გაგვდევნიდნენ ეგვიპტიდან, ხოლო უფრო მეტი ხალისით სრულებით ამოგვჟლეტდნენ. ვინ იცის, რას არ ვიტანთ მათგან... გლეხები მუშაობენ, როგორც მოეპრიანებათ და როცა მოეპრიანებათ... თუ რომელიმეს დაარტყამ – ჯანყს ასტეხენ, ხოლო თუ საწყალი ფინიკიელი დახმარებისათვის სასამართლოს მიმართავს, ან საქმეს წააგებს, ანდა დიდძალი ფული უნდა გადაიხადოს... ჩანს, აქედან მალე უნდა ავიბარგოთ... – მოთქვამდა დაგონი.

ფარაონი მოიღუშა.

– მე თვითონ მოვკიდებ ხელს ამ საქმეებს, – უპასუხა მან. – სამსჯავროები თქვენ სამართლიანად მოგეპყრობიან. ამჟამად კი ხუთ ათასამდე ტალანტი მჭირდება.

– სად შეგვიძლია, ხელმწიფევ, ამდენი თანხის შეგროვება? – ხვნეშოდა დაგონი. – მიგვითითეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მყიდვე-

ლებზე და მთელ ჩვენს უძრავ-მოძრავ ქონებას მივყიდით, ოღონდ კი შენი ბრძანება შევასრულოთ... მაგრამ სად არიან ეს მყიდველები? განა ქურუმები მოგვცემენ, რომლებიც ჩვენს ქონებას ჩალის ფასად იძენენ და თან ნაღდ ფულსაც არ გვიხდიან.

– კაცი გაგზავნეთ ტვიროსში, სიდონში, – უკარნახა ფარაონმა, – თითოეულ ამ ქალაქს ხომ შეუძლია სესხად არა. ხუთი ათასი, არამედ ასი ათასი ტალანტი მოგცეთ.

– ტვიროსი, სიდონი... – წარმოთქვა დაგონმა. – ახლა მთელი ფინიკია აგროვებს ოქროსა და ძვირფასეულობას, რომ ასირიელებს გადაუხადოს დაკისრებული თანხა. ჩვენს მხარეში უკვე დაძრწიან მეფე ტიგლატფილესარის შათირები და გვეუბნებიან, თუ ყოველწლიურად შევიტანთ უხვ გამოსასყიდს, მეფე და მისი მოხელეები არამცთუ არ შეგვავიწროვებენ, არამედ იმაზე გაცილებით მეტ შემოსავალს უზრუნველგვიყოფენ, ვიდრე დღეს ეგვიპტეში თქვენი უდიდებულესობის წყალობით გვაქვს...

ფარაონი დაფიქრდა და კბილი კბილს დააჭირა.

ფინიკიელმა იგრძნო, რომ ზედმეტს ლაპარაკობდა, და საჩქაროდ დაუმატა:

– თუმცა რატომ ვართმევ თქვენს უდიდებულესობას დროს ჩემი სულელური ლაპარაკით? აქ, მემფისში, იმყოფება თავადი ხირამი... იქნებ მან ყოველივე უკეთ განგიმარტოს, რადგან იგი ბრძენია და ჩვენი ქალაქების უმაღლესი საბჭოს წევრი.

რამზესი გახალისდა.

– ჰოი!.. საჩქაროდ მომიყვანე აქ ხირამი, თორემ შენ მელაპარაკები არა ისე, როგორც მევახშე, არამედ როგორც დაკრძალვაზე მოზარე ქალი.

ფინიკიელმა კვლავ თაყვანი სცა ფარაონს და შეეკითხა:

– შეიძლება თუ არა ახლავე მოვიდეს აქ ყოვლადღირსი ხირამი? მართალია, უკვე გვიან არის, მაგრამ მას იმდენად ეშინია ქურუმებისა, რომ ამჯობინებს თავისი ღრმა პატივისცემა შენ ღამით გაგიმჟღავნოს.

ფარაონმა ტუჩი ჩაიკვნიტა, მაგრამ ამ წინადადებას დაეთანხმა. დაგონს თუტმოსიც კი თან გააყოლა, რათა ხირამი სასახლეში ფარუ-

ლი შემოსასვლელით შეეყვანა.

თავი მეექვსე

დაახლოებით საღამოს ათ საათზე ფარაონს მემფისის ვაჭრის თალხ ტანსაცმელში გამოწყობილი ხირამი ეახლა.

– ეგრე ვის ერიდები? – უსიამოვნოდ შეეკითხა ფარაოწი. – ნუთუ ჩემი სასახლე საპყრობილეა ან კეთროვანთა სახლი?

– ჰოი, მეუფეო!.. – ამოიხვნეშა მოხუცმა ფინიკიელმა.. – იმ დროიდან, რაც შენ ეგვიპტის მბრძანებელი გახდი, ვინც გაბედავს შენთან საუბარს და საამისო ანგარიშს არ წარუდგენს ვისაც ჯერარს, ის ბოროტმოქმედად ითვლება,..

– მერე, ვის უნდა გადასცეთ ეს ჩემი სიტყვები?, – შეეკითხა .ფარაონი.

ხირამმა ხელები და თვალი ზეაღაპყრო.

– შენთვის, ხელმწიფევ, ცნობილია შენი მტრები!.. – უპასუხა მან.

– არ ღირს მათზე ლაპარაკი, – უთხრა ფარაონმა. – შენ უწყი, რისთვის გიხმე? მე მინდა სესხად მივიღო რამდენიმე ათასი ტალანტი.

ხირამმა დაიკვნესა და მუხლები მოეკვეთა. ფარაონმა დაჯდომის ნება დართო, რაც უმაღლეს პატივად ითვლებოდა:

ხირამი მოხერხებულად ჩაჯდა სავარძელში, სული მოითქვა და დაიწყო:

– რა საჭიროა სესხის აღება, როცა სხვა გზით შეიძლება უდიდესი სიმდიდრის მოპოვება?

– როცა ნინევიას დავიპყრობ? – შეაწყვეტინა ფარაონმა. – მაგრამ ეს შორეული ამბავია, ფული კი ახლავე მჭირდება.

– ომზე არ მოგახსენებ, – უპასუხა ხირამმა, – მე ვლაპარაკობ ისეთ რამეზე, რაც დაუყოვნებლივ მისცემს ხაზინას დიდ თანხებსა და მუდმივ წლიურ შემოსავალს.

– როგორ და რა გზით?

– ნება დაგვრთე და დაგვეხმარე გავთხაროთ არხი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას მეწამულ ზღვასთან შეაერთებს... ფარაონი სავარძლიდან წამოიჭრა

– შენ ხუმრობ, მოხუცო! – წამოიძახა მან. – ვინ მოკიდებს ხელს ასეთ სამუშაოს და ვის სწადია ეგვიპტე განსაცდელში ჩააგდოს? ზღვა ხომ წაგვლეკავს...

– რომელი ზღვა?.. ყოველ შემთხვევაში, არა მეწამული და არც ხმელთაშუა ზღვა, – მშვიდად უპასუხა ხირამმა, – მე ვიცი, რომ ეგვიპტელი ქურუმ-ინჟინრები იკვლევდნენ ამ საკითხს და გამოიანგარიშეს, რომ ეს ფრიად ხელსაყრელი საქმეა. უფრო სასარგებლო რამის მოფიქრებაც კი ძნელია... მაგრამ... მათ სურთ ეს თვითონ განახორციელონ, უფრო სწორად – არ სურთ, ამას ფარაონმა მოკიდოს ხელი.

– გაქვს თუ არა ამის დამამტკიცებელი საბუთები? – შეეკითხა რამზესი.

– საბუთები არა მაქვს, მაგრამ მე გამოგიგზავნი ქურუმს, რომელიც ყველაფერს განგიმარტავს ნახაზებითა და გამოანგარიშებით.

– ვინ არის ეგ ქურუმი?

ხირამი შეკრთა და მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა:

– შემიძლია თუ არა ვიმედოვნო, რომ მისი ვინაობა ჩვენს შორის დარჩება? ხელმწიფევ, ის უფრო დიდ სამსახურს გაგიწევს, ვიდრე მე თვითონ, მან იცის მრავალი საიდუმლო და ქურუმების უსაზღვრო... ფლიდობა..

– აღგითქვამ, – უპასუხა ფარაონმა.

– ეს გახლავთ ქურუმი სამონტუ. სეთის ტაძარში მსახურობს მემფისთან. დიდი ბრძენია, მაგრამ ფული სჭირდება. და, ამას გარდა, მეტად პატივმოყვარეა... ხოლო რადგანაც ქურუმები აღზევების საშუალებას არ აძლევენ, მითხრა, თუ თქვენი უდიდებულესობა ინებებს, დაამხობს ქურუმთა კასტას. მათი მრავალი საიდუმლო იცის... ოჰ, ფრიად მრავალი!..

რამზესი მიხვდა, რომ ეს ქურუმი უდიდესი მოღალატეა. მაგრამ ამავე დოს მან იცოდა, რა ძვირფასი სამსახური შეეძლო გაეწია სამონტუს.

– კეთილი, – უთხრა ფარაონმა, – მე ვიფიქრებ ამ სამონტუზე. ახლა კი ერთი წუთით ვიგულისხმოთ, რომ ასეთი არხის გათხრა შესაძლებელია. ამით მე რა სარგებლობა მექნება?

ხირამმა თითებზე თვლა დაიწყო.

– ჯერ ერთი, – თქვა მან, – ფინიკია მისცემს ეგვიპტეს გადაუხდელი ხარკის სახით ხუთ ათას ტალანტს; მეორე, ფინიკია გაიღებს ფულს მუშაობის წარმოების უფლებისათვის; მესამე, როდესაც მუშაობა დაიწყება, ჩვენ ეგვიპტეს წლიურად გადავუხდით გადასახადს ათასი ტალანტის რაოდენობით და, ამას გარდა, იმდენსავე ტალანტს, რამდენ ათეულ მუშასაც მოგვცემს; მეოთხე, ყოველ ეგვიპტელ ინჟინერზე თქვენს უდიდებულესობას მივცემთ წლიურად თითო ტალანტს; მეხუთე, როდესაც მუშაობა დამთავრდება, თქვენი უდიდებულესობა იჯარით გადმოგვცემს არხს ასი წლით და ჩვენ ამისათვის წლიურად ათას-ათას ტალანტს გადავიხდით. განა ეს მცირე მოგებაა? – შეეკითხა ხირამი.

– ახლა, დღეს, – უთხრა ფარაონმა, თქვენ მოგცემთ ხარკის სახით ამ ხუთ ათასს?..

– როგორც კი ხელშეკრულება იქნება დადებული, ჩვენ მოგართმევთ ათ ათასს და კიდევ მივუმატებთ სამ ათასს გადასახადების ანგარიშში სამი წლისათვის წინასწარ.

რამზეს XIII ჩაფიქრდა. ფინიკიელებს არა ერთხელ მიუმართავთ ეგვიპტელი ფარაონებისათვის ამ არხის გაყვანის თაობაზე წინადადებით, მაგრამ ყოველთვის ურყევი წინააღმდეგობა შეხვედრიათ ქურუმების მხრივ. ეგვიპტელი ქურუმები არწმუნებდნენ ფარაონს, ეგვიპტე შეიძლება წალეკოს მეწამულმა და ხმელთაშუა ზღვამო. ხირამი კი უმტკიცებდა, არაფერი მსგავსი არ მოხდება და ქურუმებმა ეს იციანო.

– თქვენ მპირდებით, – ხანგრძლივი დაფიქრების შემდეგ უთხრა ფარაონმა, – რომ ასი წლის განმავლობაში წლიურად გადაიხდით ათას-ათას ტალანტს. თქვენ ამბობთ, რომ ეს ქვიშნარში გათხრილი არხი იმდენად სარფიანია, რომ წარმოდგენაც კი შეუძლებელია... ჩემთვის ეს გაუგებარია და, გულახდილად გითხრა, ხირამ, ამაში ეჭვი მეპარება.

ფინიკიელს თვალები გაუბრწყინდა.

– ხელმწიფევ, – უთხრა მან, – ყველაფერს გეტყვი. მაგრამ გაფიცებ გვირგვინს, მამაშენის აჩრდილს, არავის გაუზიარო ეს საიდუმლო. ეს ქალდეველი და ეგვიპტელი ქურუმებისა და თითქმის მთელი ფინი-

კიის უდიდესი საიდუმლოებაა. მასზეა დამოკიდებული მსოფლიოს მომავალი!..

– კარგი, კარგი, ხირამ... – გაიღიმა ფარაონმა.

– შენ, ხელმწიფევ, – განაგრძობდა ფინიკიელი, – ღმერთებმა მოგანიჭეს სიბრძნე, ენერგია და კეთილშობილება, ამიტომაც შენ ჩვენი ხარ. ერთადერთი ხარ მიწიერ მბრძანებელთა შორის, რომელსაც შემიძლია გავუზიარო ეს საიდუმლო, რადგან შენ ერთს შეგიძლია შეასრულო უკვდავი საქმეები. და ისეთ ძლიერებას მიაღწევ, რომელსაც ჯერ არც ერთი ადამიანი არ ღირსებია...

ფარაონმა გულში საამური სიამაყე იგრძნო, მაგრამ თავი შეიკავა.

– ნუ მაქებ, – შეაჩერა ხირამი, – იმისათვის, რაც ჯერ კიდევ არ გამიკეთებია, სჯობს მითხრა, რა სარგებლობას მიიღებს არხის გათხრით ფინიკია და ჩემი სახელმწიფო?

ხირამი უფრო მოხერხებულად ჩაჯდა სავარძელში და ჩურჩულით დაიწყო:

– იცოდე, ჩვენო მბრძანებელო, რომ ასირიისა და ბაბილონის აღმოსავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით არ მოიპოვება ურჩხულებით დასახლებული არც უდაბნოები და არც ჭაობები, არამედ მდებარეობს ვრცელი მხარეები და სახელმწიფოები. ისინი იმდენად ვრცელია, რომ თქვენი უდიდებულესობის ქვეით ჯარს, რომელიც თავისი სწრაფი გადასვლებით არის განთქმული, ორი წელი მოუნდებოდა ევლო სულ აღმოსავლეთისკენ, ვიდრე მათს საზღვრებს მიაღწევდა.

რამზესმა ირონიულად აზიდა წარბები, როგორც კაცმა, რომელიც ნებას აძლევს მეორეს იცრუოს, თუმცა ესმის, რომ ეს სიცრუეა.

ხირამი განაგრძობდა:

– ბაბილონის აღმოსავლეთითა და სამხრეთით, დიდ ზღვასთან ას მილიონამდე კაცი ცხოვრობს, რომლებსაც ძლიერი მეფეები, ეგვიპტელ ქურუმებზე უფრო ბრძენი ქურუმები და გამოცდილი ოსტატები ჰყავთ და ძველი წიგნები აქვთ... ეს ხალხები არა მარტო გემოვნებით ამზადებენ ქსოვილებს, ავეჯსა და ჭურჭელს, ვიდრე ეგვიპტელები, არამედ უხსოვარი დროიდან მიწის ქვეშ და მიწის ზედაპირზე აშენებენ უფრო დიდებულს, ლამაზსა და მდიდარ ტაძრებს, ვიდრე ეგ-

ვიპტური ტაძრებია...

– განაგრძე... განაგრძე!.. – წაახალისა იგი ფარაონმა. მაგრამ ძნელი იყო მის სახეზე იმის ამოკითხვა, ნამდვილად დაინტერესებულია ამ მოთხრობით. თუ აღშფოთებული მოსმენილი სიცრუით.

– ამ ქვეყნებში მოიპოვება მარგალიტი, ძვირფასი ქვები, ოქრო, სპილენძი... იქ მოყავთ ფრიად საკვირველი ჯიშის, პურეული, ვარდები და ხილი... დასასრულ, იქ გვხვდება ტყეები, სადაც შეიძლება კაცმა თვეების განმავლობაში იხეტიალოს ისეთ ვეება ხეებს შორის, რომლებიც უფრო მსხვილია, ვიდრე თქვენი ტაძრების სვეტები, და უფრო მაღალი, ვიდრე პალმები... ამ მხარეების მოსახლეობა კი გულუბრყვილოა და მშვიდი... და რომ იქ ხომალდებით შენი ორი ლეგიონი გაგზავნო, შეგიძლია დაიპყრო გაცილებით მეტი სივრცე, ვიდრე მთელი ეგვიპტეა, და უფრო მდიდარი, ვიდრე ლაბირინთის საუნჯეთსაცავებია... თუ ნებას დამრთავ, ხვალ გამოგიგზავნი იქაური ქსოვილების, ხისა და ბრინჯაოს ნაკეთობათა ნიმუშებს, მოგართმევ აგრეთვე იქაური საუცხოო ბალზამის ორ მარცვალს, რომელსაც ისეთი თვისება აქვს, რომ როგორც კი ადამიანი გადაყლაპავს, მის წინ გაიღება მარადისობის ბჭენი და ისეთ შვებას იგრძნობს, რომელიც მხოლოდ ღმერთებისათვისაა მისაწვდომი...

– გამომიგზავნე ქსოვილებისა და ნახელავთა ნიმუშები, შენიშნა ფარაონმა, – ხოლო რაც შეეხება ბალზამს... ვფიქრობ, არ ღირს!.. სიკვდილის შემდეგაც მოვასწრებთ დავტკბეთ მარადისობითა და ღმერთებით...

– კიდევ უფრო შორს, ასირიის აღმოსავლეთით, – განაგრძობდა ხირამი, – მდებარეობს უფრო ვრცელი მხარეები ორასმილიონიანი მოსახლეობით.

– რა ადვილად ეპყრობი მილიონებს! – გაიღიმა ფარაონმა.

ხირამმა ხელი გულზე დაიდო.

– გეფიცები, – უთხრა მან, – ჩემი წინაპრების სულებსა და ჩემს პატივს, რომ მართალს გეუბნები!

ფარაონი შეინძრა, იგი გააოცა ხირამის ასეთმა ზეიმურმა ფიცმა.

– განაგრძე! – უბრძანა ხირამს.

– ეს ქვეყნები, კვლავ დაიწყო ფინიკიელმა, – ფრიად საკვირველი

არიან. იქ ბინადრობენ ხალხები, რომელთაც სახე ყვითელი ფერისა აქვთ და თვალები – ელამი, მათ ჰყავთ მეფე, რომელსაც ზეცის შვილი ეწოდება და, რომელიც სახელმწიფოს ისეთ ბრძენთა დახმარებით განაგებს, რომლებიც ქურუმები არ არიან, და ისეთი ძალაუფლებით არ სარგებლობენ, როგორითაც ეგვიპტელი ქურუმები. ამავე დროს კი ეს ხალხები ზნე-ჩვეულებით ეგვიპტელებს ჰგვანან. თაყვანსა სცემენ მიცვალებულ წინაპრებს და დიდად ზრუნავენ მათს გვამებზე, ხმაროობენ ისეთ დამწერლობას, რომელიც თქვენი ქურუმების დამწერლობას მოგვაგონებს. ხოლო მათ ისეთი ქსოვილების გრძელი ტანისამოსი აცვიათ, რომელიც ჩვენში სრულებით უცნობია. ფეხზე პატარა სკამის მინაგვარ სანდლებს ატარებენ, თავზე კი წოწოლა კოლოფები ახურავთ... მათი სახლების სახურავები აგრეთვე წვეტიანია და კიდეებზე ზევით გადაკეცილი... ამ არაჩვეულებრივ ხალხებს უფრო მოსავლიანი მარცვლეული მოჰყავთ, ვიდრე ეგვიპტის ხორბალია, მისგან ღვინოზე უფრო მაგარ სასმელს აყენებენ. მოეპოვებათ ისეთი მცენარეც, რომლის ფოთლები ადამიანს ძალას, სიცოცხლის ხალისს მატებს და თითქმის ძილთან ბრძოლაში ეხმარება. ისინი ამზადებენ ქაღალდს, რომელსაც ნაირფერი სურათებით აფერადებენ, ხოლო მათ მიერ გამომწვარი თიხა ისეთი გამჭვირვალეა, როგორც შუშა, და ისევე წკრიალებს, როგორც ლითონი. თუ თქვენი უდიდებულესობა ინებებს, მე ხვალ მოგართმევთ ამ ხალხების ნახელავთა ნიმუშებსაც.

– ხირამ, შენ საკვირველ ამბებს მიყვები! – უნდობლად შეესიტყვა ფარაონი. – მაგრამ მე კავშირს ვერ ვხედავ ამ საკვირველებათა და იმ არხს შორის, რომლის გათხრაც თქვენ გსურთ...

– ახლავე აგიხსნი, – უპასუხა ფინიკიელმა. – როდესაც არხი მზად იქნება, ფინიკიელთა და ეგვიპტელთა მთელი ფლოტი გაცურავს მეწამულ ზღვას და რამდენიმე თვის შემდეგ მიადგება ამ მდიდარ მხარეებს, სადამდე მიღწევა ხმელეთით თითქმის შეუძლებელია. და განა თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, – განაგრძობდა ხირამი, რომელსაც თვალები აენთო, – ვერ ხედავთ თქვენს წინ იმ საუნჯეთ, რომელთა მოპოვება იქ შეიძლება: ოქროს, ძვირფას ქვებს, მარცვლეულსა და ხე-ტყეს? გეფიცები, ხელმწიფევ, მაშინ ოქრო სპილენძზე, მეტი გექნება და ხე-ტყეც ჩალის ფასი დაგიჯდება, ხოლო მონები ძროხაზე

უფრო იაფი. ნება დაგვრთე მხოლოდ, ხელმწიფევ, არხი გავიყვანოთ და სასყიდლით გადმოგვეცი ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი.

რამზესი აენთო.

– ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი, – გაიმეორა მან. – მერე ამისათვის თქვენ რას მომცემთ?..

– მე უკვე მოგახსენე: ათას ტალანტს წელიწადში მუშაობის წარმოების უფლებისათვის და ხუთი ათასს მუშებისათვის, რომლებსაც ჩვენ თვითონ დავაკმაყოფილებთ კვებითა და გასამრჯელოთი.

– და სულს ამოხდით მუშაობით?..

– ღმერთებმა დაგვიფარონ! – წამოიძახა ხირამმა. – რა სარგებლობაა, თუ მუშები დაიხოცებიან? თქვენი უდიდებულესობის ჯარისკაცები არხზე მეტს არ იმუშავებენ, ვიდრე ახლა სიმაგრეებსა თუ გზებზე, ხოლო რა დიდად სასახელო იქნება ეს, ხელმწიფევ, თქვენთვის... რა შემოსავალი მიემატება ხაზინას!.. ან რა დიდი სარგებლობა ექნება ეგვიპტეს... ყველაზე ღატაკ გლეხსაც კი ექნება ხის ქოხი და ეყოლება რამდენიმე სული საქონელი, თუ გნებავთ, მონაც კი... არც ერთ ფარაონს არ აუყვანია ასეთ სიმაღლეზე სახელმწიფო და არ გაუკეთებია ასეთი დიდებული საქმე!.. რას წარმოადგენს მკვდარი და უსარგებლო პირამიდები არხთან შედარებით, რომელიც გააადვილებს მთელი ქვეყნის დოვლათის გადაზიდვას?..

– მთავარი კი ისაა, – დაუმატა ფარაონმა, – რომ ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი მეყოლება აღმოსავლეთ საზღვარზე!..

– რასაკვირველია!.. წამოიძახა ხირამმა. – ისეთი ძალის არსებობის პირობებში, რომლის შენახვა თქვენს უდიდებულესობას არაფერი დაუჯდება, ასირიაც ვერ გაბედავს ხელი შეახოს ფინიკიას.

გეგმა იმდენად ბრწყინვალე იყო და ისეთ სარგებლობას უქადდა, რომ რამზეს XIII მთვრალივით იყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

– ხირამ, – მიმართა ფარაონმა, – შენ მომხიბლავ პერსპექტივებს მიხატავ... იმდენად მომხიბლავს, რომ ვშიშობ, ვაითუ მათ უკან რაიმე უფრო ნაკლებად სასიამოვნო შედეგები იმალებოდეს. ამიტომ მე თვითონაც ღრმად უნდა მოვიფიქრო და ქურუმებთანაც მოვითათბირო...

– ქურუმები კარგი გულით ამაზე არასოდეს დათანხმდებიან! – წა-

მოიძახა ფინიკიელმა, – თუმცა შემინდონ ღმერთებმა მკრეხელობა! მე დარწმუნებული ვარ, მათს ხელში დღესვე რომ გადავიდეს სახელმწიფოს უმაღლესი ძალაუფლება, ორი-სამი თვის შემდეგ წინადადებას მოგვცემდნენ ამ მშენებლობას შევდგომოდით.

რამზესმა ცივი ზიზღით გადახედა.

– ნება მიბოძე, – უთხრა მან, – მე თვითონ ვიზრუნო ქურუმებზე, შენ კი უმჯობესია დამიმტკიცო, რომ ყველაფერი, რაც თქვი, სიმართლეა. ფრიად ცუდი მეფე ვიქნებოდი, თუ ვერ შევძლებდი იმის მოცილებას, ვინც ჩემს ნებასა და სახელმწიფოს ინტერესებს არღვევს.

– ჭეშმარიტად დიდებული გვირგვინოსანი ბრძანდები, ჩვენო ხელმწიფევ, – ჩაიჩურჩულა ხირამმა და მიწამდე დახარა თავი.

უკვე დიდი ხნის დაღამებული იყო. ფინიკიელი გამოეთხოვა ფარაონს და თუტმოსთან ერთად გავიდა სასახლიდან. მეორე დღეს დაგონის ხელით ფარაონს გაუგზავნა ყუთი უცნობი მხარეების სიმდიდრეთა ნიმუშებით. ფარაონმა ყუთში იხილა ღმერთების პატარა ქანდაკებები, ინდური ქსოვილები და ბეჭდები, ოპიუმის მარცვლები, ხოლო მის მეორე განყოფილებაში ნახა ერთი მუჭა ბრინჯი, ჩაის ფოთლები, მხატვრობით შემკული რამდენიმე ფაიფურის ფინჯანი და ქაღალდზე საღებავითა და ტუშით დახატული სურათები.

ყველაფერი ეს ფარაონმა უდიდესი ყურადღებით დაათვალიერა და იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მსგავსი რამ არასოდეს ენახა – არც ბრინჯი, არც ქაღალდი და არც ადამიანის გამოსახულებანი წოწოლა ქუდებითა და ბუდეშური თვალებით.

მას ეჭვი უკვე აღარ ეპარებოდა რომელიღაც ახალი ქვეყნის არსებობაში, სადაც ყველაფერი სხვანაირი იყო, ვიდრე ეგვიპტეში: მთები, ხეები, სახლები, ხიდები, ხომალდები...

„და ასეთი ქვეყანა, – ფიქრობდა ის, – ალბათ, უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობს. ჩვენმა ქურუმებმა იციან მის შესახებ, იციან მისი სიმდიდრე, მაგრამ დუმან... სურთ ფარაონების ხელისუფლება შეზღუდონ და ღატაკებად აქციონ, რომ შემდეგ ტახტიდან გადმოაგდონ. მაგრამ... ჰოი, ჩემო წინაპრებო და მემკვიდრეებო! – ამბობდა გულში, – თქვენ გიხმობთ მოწმეებად, რომ ამას ბოლოს მოვუღებ. მე ავამაღლებ სიბრძნეს, მაგრამ მოვსპობ ცბიერებას და ეგვიპტეს

მრავალი წლით დასვენებას მივანიჭებ“.

ასეთ ფიქრში გართულმა ფარაონმა თვალი ასწია და დაგონი დაინახა, რომელიც მის განკარგულებას ელოდა.

– შენი ყუთი ფრიად საინტერესოა, – უთხრა მევახშეს, – მაგრამ... ეს კი არ მინდოდა თქვენგან...

ფინიკიელი ფეხაკრეფით მიუახლოვდა, მის წინ მუხლი მოიდრიკა და წაიჩურჩულა:

– როდესაც ინებებ და ღირს ხირამთან ხელშეკრულებას ხელს მოაწერ, ტვიროსი და სიდონი შენს ფერხთა წინაშე დადებენ მთელ თავიანთ სიმდიდრეს.

რამზესმა წარბები შეიკრა. არ მოეწონა ასეთი თავხედობა ფინიკიელებისა, რომლებიც თავის პირობებს უყენებდნენ, ამიტომ მევახშეს ცივად უპასუხა:

– მე ვიფიქრებ და პასუხს ხირამს გავცემ. დაგონ, შეგიძლია წაბრძანდე.

ფინიკიელის წასვლის შემდეგ რამზესი კვლავ ჩაფიქრდა, მის სულში უკმაყოფილების გრძნობა იზრდებოდა.

„ეს ჩარჩები, – ფიქრობდა იგი, – მე თავისიანად მთვლიან. ჰმ!.. ოქროთი სავსე ტომრის ჩვენებით უნდათ მომხიბლონ, რათა ხელშეკრულებას ხელი მოვაწერო... ასეთ თავხედობას ვერც ერთი ფარაონი ვერ მოითმენდა. კმარა! ადამიანებს, რომლებიც ტიგლატფილესარის ელჩების წინაშე პირქვე ემხობიან, არ შეუძლიათ მითხრან: „ხელი მოაწერე და სესხს მაშინ მიიღებო... ბრიყვი ფინიკიელი ვირთხები, რომლებიც მეფის სასახლეში შეძვრნენ და მას თავის სოროდ თვლიან!..“

რაც უფრო ხანგრძლივად უფიქრდებოდა იგი ამას, რაც უფრო დაწვრილებით იგონებდა ხირამისა და დაგონის საქციელს, მით უფრო ძლიერდებოდა მისი აღშფოთება...

„როგორ მიბედავენ!.. როგორ მიბედავენ პირობების წამოყენებას!“

– ეი... თუტმოს!.. – დაუძახა ფარაონმა.

ფავორიტი დაუყოვნებლივ მის წინ გაჩნდა.

– გაგზავნე დაგონთან რომელიმე უმცროსი ოფიცერი და აცნობე, რომ მე მისი ფულები აღარ მჭირდება. იგი მეტად ბრიყვია, რომ მე-

ფის მევახშე იყოს.

– მაშ ვის გსურს მიანიჭო ასეთი პატივი?

– ჯერ არ ვიცი. უნდა მოვნახოთ ვინმე ეგვიპტელ ან ბერძენ ვაჭართა შორის... უკიდურეს შემთხვევაში ქურუმებს მივმართავ.

ამ ამბავმა მსწრაფლ შემოიარა მეფის ყველა სასახლე და ერთი საათიც კი არ გასულა, მემფისს მიაღწია. მთელ ქალაქში ლაპარაკობდნენ, ფარაონი ფინიკიელებზე გაჯავრებულაო, და ბრბომ იმ საღამოსვე დაიწყო საძაგელი უცხოელების სავაჭროების დარბევა. ქურუმებმა შვებით ამოისუნთქეს. ხერიჰორი კი წმიდა ნოფრს ესტუმრა და უთხრა:

– ჩემი გული წინასწარ გრძნობდა, რომ ჩვენი ბატონი ზურგს შეაქცევდა იმ წარმართთ, რომლებიც ჩვენს ხალხს სისხლს სწოვენ. მე ვფიქრობ, რაიმე ფორმით მადლობა უნდა გამოვუცხადოთ.

– იქნებ ჩვენი საუნჯეთსაცავების კარიც გავუღოთ? – გესლიანად შეეკითხა წმიდა ნოფრი. – ნუ ჩქარობ, თქვენო უწმიდესობავ... მე კბილი კარგად გავუსინჯე ამ ახალგაზრდას და, ვაი ჩვენ, თუ ერთხელ მაინც მივცემთ ნებას გაიმარჯვოს.

– თუ ურთიერთობას გაწყვეტს ფინიკიელებთან?

– ამით მხოლოდ მოიგებს, იმიტომ, რომ ვალს არ გადაუხდის, – უპასუხა ნოფრმა.

– ჩემი აზრით, – ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ დაიწყო ხერიჰორმა, – დადგა ჟამი, როდესაც შეგვიძლია დავიბრუნოთ ახალგაზრდა ფარაონის წყალობა. განრისხების ჟამს ის ფიცხია, მაგრამ მადლიერებაც სჩვევია. მე ეს ჩემს თავზე გამოვცადე...

– რამდენიც სიტყვაა, იმდენივე შეცდომა! – შეაჩერა იგი გაკერპებულმა ნოფრმა, – ჯერ ერთი, ეს ბატონიშვილი ფარაონი არ არის, რადგან გვირგვინი არ უკურთხებია ტაძარში: მეორეც, იგი არასოდეს ნამდვილი ფარაონი არ იქნება, ვინაიდან ზიზღით უყურებს უმაღლესი ქურუმის ხარისხში კურთხევას. და, დასასრულ, ჩვენ კი არ გვესაჭიროება მისი წყალობა, არამედ მას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფს ღმერთებს!..“

ნოფრმა, რომელიც სიბრაზისაგან იგუდებოდა, მძიმედ ამოიოხრა, და განაგრძო:

– მან ერთი თვე დაჰყო ხატორის ტაძარში, იქ სწავლობდა უმაღლეს სიბრძნეს და ამის შემდეგ უცებ, ერთბაშად დაუკავშირდა ფინიკიელებს. ეს კიდევ ცოტაა, დადიოდა აშტეორეტის ტაძარში და იქიდან ქურუმქალი წამოიყვანა, რაც ყველა სარწმუნოების კანონებს ეწინააღმდეგება... ამას გარდა, ყველას გასაგონად დასცინოდა ჩემს ღვთისმოსაობას... მისებრ შფოთისთავებთან ერთად ფარულ ოინებს აწყობდა და ფინიკიელების შემწეობით იგებდა სახელმწიფო საიდუმლოებათ... ის-ის იყო ტახტზე ავიდა... უფრო სწორად, ტახტის პირველ საფეხურზე, რომ ქურუმების გაწბილება დაიწყო, ელოლიავება გლეხებსა და ჯარისკაცებს და კვლავ მჭიდრო კავშირს ამყარებს თავის მეგობარ ფინიკიელებთან... ყოვლადღირსო ხერიჰორ, შენ დაგავიწყდა ყვალაფერი ეს?.. ხოლო თუ გახსოვს, ნუთუ არ გესმის ის საფრთხე, რომელიც ჩვენ ამ ძუძუმწოვარისაგან მოგველის?.. მას ხომ ხელთ უპყრია საჭე სახელმწიფო ხომალდის, რომელიც მორევში მიცურავს. ვინაა თავდები, რომ ეს უგუნური, რომელმაც გუშინ თავისთან იხმო ფინიკიელები, დღეს კი შემოსწყრა მათ, ხვალ ისეთ რასმე არ ჩაიდენს, რაც სახელმწიფოს დაღუპვას განუმზადებს.

– რა გნებავს მაგით თქვა? – შეეკითხა ხერიჰორი, რომელიც თვალებში მისჩერებოდა უმაღლეს ქურუმს.

– ის, რომ საფუძველი არა გვაქვს მას მადლობა გამოვუცხადოთ, რადგან ეს ჩვენი სისუსტის მომასწავებელი იქნებოდა. მას სურს რადაც არ უნდა დაუჯდეს მიიღოს ფული, ჩვენ კი არ მივცემთ!

– მერე... მერე რა? – კვლავ შეეკითხა ხერიჰორი.

– მერე მართოს სახელმწიფო და გაადიდოს ჯარი უფულოდ, – გაანჩხლებით უპასუხა ნოფრმა.

– კარგი... მაგრამ მისმა მშიერმა ჯარმა რომ ტაძრების ძარცვა დაიწყოს? – ჩააცივდა ხერიჰორი.

– ჰა-ჰა-ჰა?!.. – გადაიხარხარა ნოფრმა, მაგრამ უცებ სერიოზული სახე მიიღო, დაბლა დაუკრა თავი ხერიჰორს და დაცინვით თქვა: „ეს უკვე თქვენი უწმინდესობის საქმეა. ადამიანი, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში განაგებდა სახელმწიფოს, ამგვარი საფრთხის მიმართ მზად უნდა იყოს.

– ვთქვათ, – ფრთხილად დაიწყო ხერიჰორმა, – რომ მე მოვნახე სა-

შუალება საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც სახელმწიფოს ემუქრება: მაგრამ შენ თვითონ, უწმიდესო მამაო, მზად ხარ როგორც უხუცესი უმაღლესი ქურუმი გაუმკლავდე იმას, ვინც შეურაცხყოფს ქურუმების ქასტასა და სიწმიდეთ? წუთით ერთიმეორეს თვალებში მიაჩერდნენ.

– მეკითხები, მზად ვარ თუ არაო? – გაიმეორა ნოფრმა. – ამისათვის მომზადება არ მჭირია. ღმერთებმა ხელთ მომცეს ზეციური ცეცხლი, რომელიც ყოველ მკრეხელს მოსპობს.

– სსუ... – ჩაიჩურჩულა ხერიჰორმა. – დაე აგრე იყოს.

– სულ ერთია, იქნება თუ არა ქურუმთა უმაღლესი საბჭო თანახმა, – დაუმატა ნოფრმა. – როცა ხომალდი იძირება, უაზროა მენიჩბეებს განმარტება ვაძლიოთ.

ორივენი დაღვრემილნი გაშორდნენ ერთმანეთს.

იმავე საღამოს ნოფრი და ხერიჰორი ფარაონმა იხმო.

დანიშნულ საათს ისინი სასახლეში ცალ-ცალკე გამოცხადდნენ, ფარაონს მდაბლად თაყვანი სცეს და კუთხეებში გაჩერდნენ ისე, რომ ერთიმეორეს არ უცქეროდნენ.

„ნუთუ უსიამოვნება მოუვიდათ? – გაიფიქრა რამზესმა. – ეს ცუდი არ იქნებოდა!“

მცირე ხნის შემდეგ დარბაზში შემოვიდნენ წმიდა სენი და წინასწარმეტყველი პენტუერი:

რამზესი ტახტზე დაჯდა, ქურუმებს კი დაბალ სკამებზე მიუთითა და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– წმიდაო მამებო!.. საბჭოზე დღემდე არ მოგიწვიეთ, რადგან ყველა ჩემი განკარგულება მხოლოდ სამხედრო საქმეებს ეხებოდა. ამ მოკლე დროის განმავლობაში, რაც კი შემეძლო გავაკეთე, რათა სახელმწიფო გამემაგრებინა. გავხსენი ორი ახალი საოფიცრო სკოლა და აღვადგინე ხუთი დაშლილი ლეგიონი.

– ეს თქვენი ნებაა, ხელმწიფევ, – ჩაილაპარაკა ნოფრმა.

– დანარჩენ სამხედრო რეფორმებზე აღარ ვლაპარაკობ, რადგან თქვენ, წმიდაო მამებო, ეს საქმეები არ გაინტერესებთ...

– მართალი ბრძანდები, ხელმწიფევ! – ერთხმად დაუდასტურეს ნოფრმა და ხერიჰორმა.

– მაგრამ რიგში დგას სხვა საქმე, – განუცხადა ფარაონმა, რომე-

ლიც კმაყოფილი იყო ორი მაღალი მოხელის ისეთი მორჩილებისა, რომელთა მხრივ შემოდავებას მოელოდა. – ახლოვდება დღე ჩემი ღვთაებრივი მამის დაკრძალვისა, ხაზინას კი საკმაო სახსრები არ გააჩნია...

ნოფრი წამოდგა.

– ოზირის-მერი-ამონ-რამზესი, – თქვა მან, – სამართლიანი მეფე იყო. თავის ხალხს უზრუნველყო ხანგრძლივი მშვიდობიანობა, ღმერთებს კი დიდება. ნება გვიბოძე, თქვენო უდიდებულესობავ, ეს ღვთისმოსავი ფარაონი ტაძრების ხარჯზე დავკრძალოთ.

რამზეს XIII გააკვირვა და ააღელვა მამამისისადმი გამოთქმულმა ასეთმა პატივმა. წუთით გაჩუმდა, თითქოს პასუხი ვერ მოუნახავსო, ბოლოს თქვა:

– უღრმეს მადლობას გწირავთ, ღირსო მამებო, პატივისათვის, რომელსაც თქვენ ჩემი ღვთის სწორი მამისადმი იჩენთ. ნებას გაძლევთ ეგრე მოიქცეთ და ერთხელ კიდევ მადლობას გიცხადებთ...

ის შეჩერდა, ხელებზე დაყრდნო თავი და რამდენიმე წუთით ჩაფიქრებული იჯდა, თითქოს თავის გულში რაღაც აზრს ებრძვისო. უცებ თავი ასწია, სახე გაუცხოველდა და თვალები გაუბრწყინდა.

– აღელვებული ვარ, – უთხრა მან, – თქვენს მიერ ჩემდამი გამოჩენილი კეთილგანწყობილებით. თუ თქვენთვის აგრე ძვირფასია მამაჩემის ხსოვნა, მაშინ, ვფიქრობ, არც ჩემდამი იქნებით ცუდად განწყობილი...

– ნუთუ ამაში ეჭვი შეგდის? – შენიშნა უმაღლესმა ქურუმმა სენმა.

– მართალი ხარ, – უპასუხა რამზესმა, – მე უსამართლოდ ვეჭვიანობდი, რომ თქვენ ჩემი წინააღმდეგი იყავით. მაგრამ მსურს გამოვასწორო ეს და თქვენთან გულახდილი, გულწრფელი ვიქნები. პირდაპირ გეტყვით: ღვთაებრივ მამაჩემს, თვისი ხნიერობისა და სნეულების გამო არ შეეძლო იმდენი ძალა და დრო შეეწირა სახელმწიფო საქმეებისათვის, რამდენიც მე შემიძლია. მე ახალგაზრდა ვარ, ჯანმრთელი და თავისუფალი. ამიტომ მსურს თვითონ განვაგებდე სახელმწიფოს და ასეც მოვიქცევი. როგორც ბელადი ჯარს თვისი პასუხისმგებლობისა და გეგმის მიხედვით უნდა უძღოდეს და მის მოძრაობას წარმართავდეს, ისე მე განვაგებ სახელმწიფოს. ასეთია ჩემი

დაუფარავი ნება და არც დავიხევ უკან. მაგრამ მესმის, რომ, თუნდაც ღრმა გამოცდილებით ვიყო აღჭურვილი, ვერ შევძლებ ვი მოქმედო, თუ ერთგული მსახურები და გამობრძმედილი მრჩევლები არ მეყოლება. ამიტომ, ზოგჯერ, თქვენ შეგეკითხებით სხვადასხვა საკითხებზე...

– სწორედ ამ მიზნით წარმოვადგენთ ტახტთან უმაღლეს საბჭოს, – განაცხადა ხერიჰორმა.

– კარგი, – ისევ ხალისით განაგრძობდა ფარაონი, – მე მივმართავ თქვენს დახმარებას თუ გნებავთ ახლავე, ამ მომენტიდან...

– გვიბრძანე, ხელმწიფევ!.. – უთხრა ხერიჰორმა.

– მინდა გავაუმჯობესო ეგვიპტელი ხალხის ცხოვრება, მაგრამ ვინაიდან ასეთ საქმეში მეტისმეტ აჩქარებულ მოქმედებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, ამიტომ ამჯერად მას მცირე რამეს ვანიჭებ: ექვსი დღე მუშაობის შემდეგ – მეშვიდე დღე – დასვენება... -

– ეს ასე იყო თვრამეტი დინასტიის მეფობაში. ეს კანონი ისევე ძველია, როგორც ეგვიპტე, – შენიშნა პენტუერმა.

– ყოველ მეშვიდე დღეს დასვენება წელიწადში ყოველ მუშაკზე ორმოცდაათ დღეს მოგვცემს, ესე იგი მის ბატონს დააკლდება ორმოცდაათი დრახმა. ხოლო მილიონ მუშაზე წელიწადში სახელმწიფო ათი ათას ტალანტამდე დაკარგავს, ეს ჩვენ ტაძრებში უკვე გამოვიანგარიშეთ, – განაცხადა ნოფრმა.

– დიახ,– დაუდასტურა პენტუერმა, – დანაკლისი იქნება, მაგრამ მხოლოდ პირველ წელს, რადგან, როდესაც ხალხი დასვენებით ღონეს მოიკრეფს, შემდეგ წლებში ყველაფერს ზედმეტად გამოიმუშავებს.

– მართალს ამბობ, – უთხრა ნოფრმა, – მაგრამ ყოველ შემთხვევაში აუცილებელია გვქონდეს პირველი წლისათვის ეს ათი ათასი ტალანტი. მე კი ვფიქრობ, რომ ოცი ათასიც არ იკმარებდა...

– მართალი ხარ, ღირსო ნოფრი! – ჩაერია საუბარში ფარაონი. – იმ რეფორმების გასატარებლად, რომელთა განხორციელება მე მსურს, არათუ ოცი, იქნებ ოცდაათი ათასი ტალანტიც არ იყოს საკმარისი. ამიტომ, – იქვე დაუმატა მან, – მე დამჭირდება თქვენი დახმარება, წმიდაო მამებო!..

– ჩვენ მზად ვართ შენს ყოველგვარ სურვილს დავეხმაროთ ლოცვებითა და ლიტანიებით, – განაცხადა ნოფრმა.

– კეთილი! ილოცეთ და ხალხიც წააქეზეთ ილოცოს. მაგრამ, ამას გარდა, მიეცით სახელმწიფოს ოცდაათი ათასი ტალანტი, – უპასუხა ფარაონმა.

უმაღლესი ქურუმები დუმდნენ.

ფარაონი ერთ ხანს დაელოდა პასუხს, მერე კი ხერიჰორს მიმართა:

– შენ სდუმხარ?..

– შენ თვითონ გვითხარი, ხელმწიფევ, ჩვენს ხაზინას ოზირის-მერი-ამონ-რამზესის დაკრძალვის სახსრებიც კი არ გააჩნიაო. საიდან ვიშოვოთ ოცდაათი ათასი ტალანტი?..

– ლაბირინთის საუნჯე?

– ეს საუნჯე ღმერთების საკუთრებაა, რომელსაც შეიძლება ხელი ვახლოთ მხოლოდ სახელმწიფოს უდიდესი გასაჭირის ჟამს, – უპასუხა ნოფრმა.

რამზეს XIII აენთო.

– თუ გლეხებს არა, – დაიყვირა მან და ტახტის სახელურს ხელი დაარტყა, – მე მესაჭიროება ეს თანხა!..

– შენ შეგიძლია, – უპასუხა ნოფრმა, – ერთ წელიწადში მიიღო უფრო მეტი, ვიდრე ოცდაათი ათასი ტალანტი, ეგვიპტემ კი – ორჯერ მეტი...

– რანაირად?

– სრულებით მარტივი გზით. უბრძანე, ხელმწიფევ, განდევნილ იქნან ჩვენი სახელმწიფოდან ფინიკიელები, – უთხრა ნოფრმა.

ამ სიტყვებმა ფარაონი ისე ააღელვა, გეგონებოდათ, ეს არის დაეტაკება თავხედ ქურუმს. იგი გაფითრდა, ტუჩები აუთრთოლდა, თვალები ბუდიდან ამოვარდნას ლამობდნენ, მაგრამ მსწრაფლ შეიკავა თავი და გასაოცარი დამშვიდებული კილოთი წარმოთქვა:

– კმარა, თუ უკეთესი რჩევის მოცემა არ შეგიძლიათ, უამისოდაც მოვუვლი საქმეს... ფინიკიელებს ხომ ჩვენი ხელწერილები აქვთ, რომ ჩვენ კეთილსინდისიერად გადავიხდით მათს ვალს! ნოფრ, შენ ამაზე არ გიფიქრია?

– მაპატიე, ხელმწიფევ, ამ წუთას მე სხვა რამეზე ვფიქრობდი, შენ-

მა წინაპრებმა არა პაპირუსებზე, არამედ ბრინჯაოსა და ქვებზე აღ-ბეჭდეს, რომ მათ მიერ ღმერთებისა და ტაძრებისათვის მორთმეული შეწირულებანი მათი სამარადისო კუთვნილება იქნება.

– და თქვენი... – დაცინვით შენიშნა ფარაონმა.

– იმდენადვე ჩვენი, რამდენადაც სახელმწიფო შენ გეკუთვნის, მბრძანებელო, – უპასუხა გათავხედებულმა უმაღლესმა ქურუმმა. – ჩვენ ვიცავთ ამ საუნჯეთ და ვადიდებთ მათ, მაგრამ მათი გაფლან-გვის უფლება არა გვაქვს.

სიბრაზისაგან სუნთქვაშეკრულმა ფარაონმა დატოვა კრება და თავის კაბინეტში გავიდა. გასაოცარი სიცხადით წარმოუდგა თავისი მდგომარეობა.

ქურუმების მისდამი სიძულვილში ეჭვი აღარ ეპარებოდა. ესენი იყ-ვნენ ამპარტავნობით დაბრმავებული იგივე ბობოლები, რომლებმაც წარსულ წელს მას არ მისცეს მენფატის კორპუსი და მეფისნაცვალი გახადეს მხოლოდ იმისათვის, რომ მისი წასვლა სასახლიდან მორჩი-ლების აქტად ჩათვალეს. იგივე ქურუმები თვალყურს ადევნებდნენ ყოველ მის ნაბიჯს და მასზე ბეზღის ქაღალდებს წერდნენ, ხოლო თა-ვად ტახტის მემკვიდრეს ერთი სიტყვაც არ უთხრეს ასირიასთან ხელ-შეკრულების დადებაზე. სწორედ ისინი ატყუებდნენ ხატორის ტაძარ-ში და მათზე ამოხოცეს ტყვეები, რომელთაც მან შეწყალება აღუთქვა.

ფარაონმა მოიგონა ხერიჰორის მისდამი მოწიწება, ნოფრის გამო-ხედვა და ორივეს ლაპარაკის კილო. გარეგნულ მოკრძალებაში წამ-დაუწუმ გამოსჭვიოდა მედიდურობა და მისდამი უდიერება. მას ფული ესაჭიროება, ისინი კი ლოცვებს აღუთქვამენ. კიდევ მეტი, კადნიერდე-ბიან ანიშნონ, რომ ის ეგვიპტის ერთადერთი მბრძანებელი არ არის...

ახალგაზრდა ფარაონმა უნებლიეთ გაიღიმა, მან წარმოიდგინა დაქირავებული მწყემსები, რომლებიც ჯოგის პატრონს ეუბნებიან, უფლება არა გაქვს ისე მოექცე შენს ჯოგს, როგორც გსურსო. მაგრამ სასაცილოსთან ერთად აქ სახიფათო მომენტიც იყო. ხაზინაში სულ რაღაც ათასიოდე ტალანტიღა მოიპოვებოდა, რაც შვიდ, სულ დიდი ათ დღეს თუ იკმარებდა. მერე რაღა ქნას?.. რას იტყვიან მოხელეები, მსახურები და განსაკუთრებით ჯარისკაცები, როდესაც მათ არათუ ჯამაგირი არ მიეცემათ, არამედ თავს შიმშილი დაატყდებათ?..

ცხადია, უმაღლესმა ქურუმებმა ფარაონის ასეთი მდგომარეობა იციან და, თუ არ იჩქარიან დაეხმარონ, ჩანს, მისი დაღუპვა სურთ... თანაც დაღუპვა უახლოეს დღეებში. ჯერ კიდევ მამის დაკრძალვამდე...

რამზესს თავის ბავშვობაში მომხდარი ამბავი მოაგონდა:

ის ჯერ კიდევ ქურუმთა სკოლაში სწავლობდა, როდესაც ღმერთქალის მუტის დღესასწაულზე სხვა გასართობთა შორის მთელ ეგვიპტეში განთქმული მასხარა გამოიყვანეს. იგი ხელმოცარულ გმირს განასახიერებდა. ბრძანებდა, მაგრამ არავინ ემორჩილებოდა. მის განრისხებას სიცილით უპასუხებდნენ. ხოლო როდესაც დამცინავების დასასჯელად მან ნაჯახს სტაცა ხელი, ნაჯახი გატყდა. ბოლოს ლომი მიუსიეს. უმწეო გმირმა გაპარვა დააპირა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ლომი კი არა, ლომის ტყავში გახვეული ღორი მისდევდა. მოწაფეები და მასწავლებლები, ამ გმირის უბადრუკობას რომ ხედავდნენ, სიცილით იჭაჭებოდნენ, პატარა ბატონიშვილი კი დაღვრემილი იჯდა: მას ეცოდებოდა ადამიანი, რომელიც დიდი საქმეებისაკენ ისწრაფვის, მაგრამ დაცინვით გარემოცული იღუპება.

ეს სცენა და მაშინ განცდილი გრძნობები ახლა კვლავ გაცხოველდა ფარაონის მეხსიერებაში.

„მეც ასეთ სამასხრო გმირად უნდა გამხადონ“, – თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მიხვდა, რომ როგორც კი უკანასკნელი ტალანტი დაიხარჯებოდა, დადგებოდა მისი ხელისუფლებისა და მასთან ერთად მისი სიცოცხლის დასასრული.

მაგრამ ფარაონის ფიქრებმა მალე სხვა მიმართულება მიიღო; იგი ოთახის შუაგულში შეჩერდა.

„რა მომელის?.. სიკვდილი... მე ჩემს სახელოვან წინაპრებთან, რამზეს დიდთან წავალ... მაგრამ იმათ ვერ ვეტყვი, რომ მე ლაჩრულად დავიღუპე... თორემ მიწიერი ცხოვრების ჭირთა შემდეგ თავს სამარადისო სირცხვილი დამატყდება...“

როგორ?. ის, ლიბიელთა დამმარცხებელი, იძულებული იქნება უკან დაიხიოს მლიქვნელთა და ცბიერთა მცირე ჯგუფის წინაშე, რომელსაც აზიელთა ერთი ლეგიონიც კი ადვილად გასრესს?.. მაშასა-

დამე, იმიტომ, რომ ნოფრსა და ხერიჰორს სურთ განაგონ ეგვიპტე და დაიმორჩილონ ფარაონი, მისი ჯარები უნდა შიმშილობდნენ და მილიონმა გლეხმა არ უნდა დაისვენოს?.. განა მისმა წინაპრებმა არ აააგეს ეს ტაძრები?.. განა მათ არ აავსეს ისინი სამხედრო ნადავლით?.. ვინ იმარჯვებდა ბრძოლებში – ქურუმები თუ ჯარისკაცები?.. ვის აქვს უფლება საუნჯეებზე, ქურუმებს თუ ფარაონსა და მის ჯარს?

ახალგაზრდა ფარაონმა მხრები აიჩეჩა და თუტმოსი იხმო.

თუმცა გვიან იყო, მაგრამ მეფის ფავორიტი დაუყოვნებლივ წარდგა მის წინაშე.

– იცი, – უთხრა ფარაონმა, – ქურუმებმა სესხის მოცემაზე უარი მითხრეს, ხაზინა კი ცარიელია...

თუტმოსი წელში გაიმართა.

– ხომ არ მიბრძანებ, საპყრობილეში წავიყვანო?.. – ჯარისკაცურად ჰკითხა მან.

– გაბედავდი კი ამის ჩადენას?

– ეგვიპტეში ისეთი ოფიცერი არ მეგულება, რომელიც ჩვენი მბრძანებლისა და ბელადის ბრძანებას არ შეასრულებდა.

– მაგ შემთხვევაში... – ნელა წარმოთქვა ფარაონმა, მაგ შემთხვევაში... საპყრობილეში არავის წაყვანა არაა საჭირო... მე ჩემი თავისადმი საკმაო რწმენა და მათდამი ზიზღი მამოძრავებს. ლეშს, რომელსაც ადამიანი გზაზე წააწყდება, შეჭედილ სკივრში კი არ შეინახავს, არამედ უბრალოდ გვერდს აუვლის.

– მაგრამ აფთარს გალიაში ამწყვდევენ, – ჩაილაპარაკა თუტმოსმა.

– ჯერ კიდევ ადრეა, – უპასუხა რამზესმა. – მე იძულებული ვარ მოთმინებით აღვიჭურვო ამ ადამიანების მიმართ, ყოველ შემთხვევაში მამაჩემის დაკრძალვამდე, თორემ მათ არ შერცხვებათ შეურაცხყონ მისი წმიდა მუმია და დაარღვიონ მისი სულის სიმშვიდე... ახლა კი აი რა, წადი ხვალ ხირამთან და უთხარი გამომიგზავნოს ის ქურუმი, რომლის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა.

– დაუყოვნებლივ შევასრულებ შენს ბრძანებას, მაგრამ უნდა მოგახსენო, ხელმწიფევ, რომ დღეს მემფისელ ფინიკიელების სახლებს ხალხი არბევდა.

– ნუთუ? ეს კი ვერ არის კარგი საქმე!

– და მე მგონია კიდევ, – განაგრძობდა თუტმოსი, – რომ იმ დროიდან, რაც შენ პენტუერს გლეხებისა და მუშების მდგომარეობის შესწავლა უბრძანე, ქურუმები ნომარქოსებსა და აზნაურებს აქეზებენ... ისინი არწმუნებენ, თითქოს შენ აზნაურების განადგურება გსურდეს გლეხების სასარგებლოდ...

– და აზნაურობას ეს სჯერა?

– არიან ისეთები, რომ სჯერათ, მაგრამ მოიპოვებიან ისეთნიც, რომელნიც პირდაპირ აცხადებენ, ეს რამზეს XIII წინააღმდეგ მიმართული ქურუმების ინტრიგააო.

– მე რომ მართლაც განვიზრახო გლეხების ცხოვრების გაუმჯობესება?.. – შეეკითხა ფარაონი.

– ხელმწიფევ, უეჭველია, რასაც საჭიროდ დაინახავ, ყველაფერს გააკეთებ, – უპასუხა თუტმოსმა.

– მშვენიერი პასუხია!.. – მხიარულად წარმოთქვა რამზეს XIII. – დამშვიდებული იყავი და გადაეცი აზნაურებს, რომ ისინი ჩემი ბრძანებების შესრულებით არაფერს დაკარგავენ, პირიქით, მათი ცხოვრება გაუმჯობესდება და მათი მნიშვნელობა გაიზრდება. დროა ეგვიპტის სიმდიდრე გამოვტაცოთ უღირსებს და ერთგულ მსახურთ გადავცეთ.

ფარაონი გამოეთხოვა თავის ფავორიტს და კმაყოფილი გაემართა დასასვენებლად. წუთიერი სასოწარკვეთა ახლა სასაცილოდ მოეჩვენა.

მეორე დღეს ნაშუადღევს ფარაონს მოახსენეს, რომ გამოცხადდა ფინიკიელი ვაჭრების დეპუტაცია.

– ალბათ, ჩივილს აპირებენ. მათი სახლების განადგურებისათვის? – იკითხა ფარაონმა.

– არა, – უპასუხა ადიუტანტმა, – ძღვენის მორთმევა სწადიათ.

მართლაც, საჩუქრებით გამოცხადდა თორმეტი ფინიკიელი რაბსუნის მეთაურობით. როდესაც ფარაონი გავიდა, ისინი პირქვე დაემხვნენ, რის შემდეგ რაბსუნმა განაცხადა, რომ ძველი ადათის თანახმად კადნიერდებიან დადონ მცირე ძღვენი ფერხთა წინაშე მბრძანებლისა, რომელიც მათ სიცოცხლესა და ქონებას საფრთხისაგან იცავს.

და იწყეს მაგიდებზე ძვირფასი ქვებით ავსებული ოქროს თასების, ძეწკვებისა და სასმისების გადმოლაგება. რაბსუნმა კი ტახტის საფეხურზე დადო ხონჩა პაპირუსით, რომელშიც ფინიკიელები წერილობით თავს ვალდებულად აცხადებდნენ მიეცათ ჯარისათვის ორი ათას ტალანტად ღირებული ყოველგვარი აღჭურვილობა.

ეს მსხვილი ძღვენი იყო, რომელიც საერთო ჯამში დაახლოებით სამი ათას ტალანტს შეადგენდა.

ფარაონმა ვაჭრებს მოწყალედ მადლობა გადაუხადა და თავისი მფარველობა აღუთქვა. ფინიკიელები დიდად გახარებული წავიდნენ.

რამზეს XIII-ემ შვებით ამოისუნთქა. ხაზინის გაკოტრება და მასთან ერთად ქურუმების წინააღმდეგ ძალმომრეობითი საშუალებების გამოყენების აუცილებლობა ათი დღით გადაიდო. საღამოს ისევ თუტმოსის თანხლებით მისი უდიდებულესობის კაბინეტში ღირსი ხირამი გამოცხადდა. ამჯერად ის დაღლილობას არ უჩიოდა, პირქვე დაემხო და შესაბრალისი ხმით წყევლიდა სულელ დაგონს.

– ინებე მხოლოდ, ხელმწიფევ, გვიბრძანო, და, რაც კი ფინიკიას სიმდიდრე გააჩნია, ყველაფერს შენს ფერხთით დადებს, ყოველგვარი ხელწერილისა და ხელშეკრულების გარეშე. განა ჩვენ ასირიელები ან... ქურუმები ვართ, – დაუმატა მან ჩურჩულით, – რომ ჩვენთვის საკმარისი არ იყოს ეგოდენ ძლიერი მეფის სიტყვა?

– კი, მაგრამ, ხირამ, მე რომ ნამდვილად დიდი თანხა მოვითხოვო? – შეეკითხა ფარაონი.

– რამდენი?

– მაგალითად, ოცდაათი ათასი ტალანტი?

– ახლავე? ერთბაშად?

– არა, წლის განმავლობაში.

– მიიღებ, – დაუფიქრებლად უპასუხა ხირამმა. ფარაონი მისმა გულუხვობამ გააოცა.

– მაგრამ მე ვალდებული ვარ საწინდრად რამე გადმოგცეთ...

– მხოლოდ ფორმისათვის, – უპასუხა ფინიკიელმა. – თქვენი უდიდებულესობა გადმოგვცემს საწინდრად მაღაროებს, რომ ქურუმებს ეჭვი არ აღეძრათ. ეს გარემოება რომ არა, ფინიკია მთლიანად შენს

განკარგულებაში იქნებოდა უსაწინდროდ და უხელწერილოდ.

– არხი?.. მე ახლავე უნდა მოვაწერო ხელი შეთანხმებას? – შეეკითხა ფარაონი.

– სრულებითაც არა. როდესაც მოისურვებ, მაშინ დადებ ხელშეკრულებას.

რამზესს ეს სიტყვები ფრიად ესიამოვნა.

მხოლოდ ახლა იგრძნო მან სამეფო ხელისუფლების სიდიადე და ისიც ფინიკიელების მეოხებით.

– ხირამ, – უთხრა მან, – დღესვე თქვენ, ფინიკიელებს, ნებას გაძლევთ გათხაროთ არხი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას მეწამულთან შეაერთებს...

მოხუცი ფარაონს ფეხებზე მოეხვია.

– შენ უდიდესი მეფე ხარ, როგორიც ოდესმე არსებულა დედამიწაზე! – წარმოთქვა მან.

– ჯერ ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა, რადგან ჩემი დიდების მტრებს არა სძინავთ. ხოლო შენ რომ დაგარწმუნო, გაძლევ აი ამ ჩემს სამეფო ბეჭედს... – მან წაიძრო თითიდან ჯადოსნური ქვით შემკული ბეჭედი, რომელზეც ამოჭრილი იყო ჰორის სახელი და ფინიკიელს თითზე ჩამოაცვა.

– მთელი ფინიკიის სიმდიდრე შენს განკარგულებაშია!.. – გაიმეორა ღრმად აღელვებულმა ხირამმა. – შენ გააკეთებ ისეთ საშვილიშვილო საქმეს, რომელიც სამარადისოდ უკვდავყოფს შენს სახელს.

ფარაონი მოეხვია მის ჭაღარა თავს და უბრძანა დამჯდარიყო.

– ამგვარად, მაშასადამე, ჩვენ მოკავშირეები ვართ. – წუთიერი დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა ფარაონმა, – და მე იმედი მაქვს, რომ ასეთი კავშირი საკეთილდღეო იქნება ეგვიპტისა და ფინიკიისათვის...

– მთელი ქვეყნისათვის!.. – წამოიძახა ხირამმა.

– მაგრამ მითხარი, თავადო, საიდან გაქვს ჩემდამი ეგოდენ დიდი რწმენა?

– მე ვიცნობ შენს კეთილშობილ ხასიათს... შენ რომ ფარაონი არ იყო, მბრძანებელო, რამდენიმე წლის შემდეგ უმდიდრესი ფინიკიელი ვაჭარი და ჩვენი საბჭოს მეთაური გახდებოდი...

– ეგრე ვთქვათ, – უპასუხა რამზესმა, – მაგრამ თქვენდამი მოცემუ-

ლი დაპირება რომ შევასრულო, უწინარეს ქურუმები უნდა ავლაგმო. ეს ბრძოლაა, ხოლო ბრძოლის შედეგი საეჭვოა..

ხირამმა გაიღიმა.

– ხელმწიფევ, – თქვა მან, – თუ ჩვენ ისეთი უსინდისოები ვიქნებით, რომ მიგატოვებთ ახლა, როდესაც შენი ხაზინა ცარიელია, მტერმა კი თავი წამოყო, შენ ბრძოლას წააგებ! უსახსრო ადამიანი ადვილად ჰკარგავს ვაჟკაცობას, ღატაკ მეფეს კი ზურგს შეაქცევენ ჯარიც, ქვეშევრდომნიც და დიდებულნიც... რამდენადაც, ხელმწიფევ, ხელთ გექნება ჩვენი ოქრო, გეყოლება ჩვენი აგენტები და შენი ჯარი და გენერლები, ქურუმების მიმართ ისეთივე მცირე გარჯა დაგჭირდება, რამდენიც სპილოს მორიელთან. ფეხს რომ დააჭერ, ისინი გაისრისებიან... თუმცა ეს ჩემი საქმე არ არის. ბაღში თქვენ გიცდით უმაღლესი ქურუმი სამონტუ, რომლის ხლება თქვენმა უდიდებულესობამ ბრძანა. მე მივდივარ. ახლა მისი ჯერია...

ხირამი სამონტუს გამოგზავნას დაპირდა ფარაონს, მის წინ პირქვე დაემხო და წავიდა.

უმაღლესი ქურუმი საჩქაროდ გამოცხადდა. როგორც სეთის მსახურს შეჰფეროდა, ის არ იპარსავდა წვერსა და გაწეწილ თმას. სახის გამომეტყველება მკაცრი ჰქონდა და თვალთაგან ღრმა ჭკუა გამოკრთოდა. გადაუჭარბებელი სიმდაბლით სცა მან თაყვანი ფარაონს და თვალი თვალში გაუყარა.

– დაბრძანდი, – უთხრა ფარაონმა.

ქურუმი იატაკზე დაჯდა.

– მომწონხარ, – მიმართა რამზესმა, – წარმოსადეგობა და სახე ჰიქსოსისა გაქვს, ჰიქსოსები კი ჩემს ჯარში ფრიად გულადი მეომრები არიან.

და ანაზდად შეეკითხა:

– შენ აცნობე ხირამს ასირიელებთან ჩვენი ქურუმების შეთანხმების ამბავი?

– მე! – წარბშეუხრელად უპასუხა სამონტუმ,

– პირადად მონაწილეობდი ამ ბილწ საქმეში?

– არა! მე მხოლოდ ფარულად მივუგდე ყური ამ ხელშეკრულებას... ტაძრებში, როგორც თქვენი უდიდებულესობის სასახლეებში, კედლე-

ბი შიგნიდან დასერილია არხებით, რომელთა საშუალებით პილონე-ბის სიმაღლიდანაც კი შეიძლება გაგონება, რას ლაპარაკობენ მიწის-ქვეშეთში.

– მიწისქვეშეთიდან კი შეიძლება ზედა ოთახებში მცხოვრებ ადა-მიანებს ესაუბრო... – შენიშნა ფარაონმა.

– და ეს ღმერთების ხმად გაასაღო, – სერიოზულად დაუმატა ქუ-რუმმა,

ფარაონს გაეღიმა. მაშასადამე, სწორი იყო მისი მოსაზრება რომ მას და დედამისს მიცვალებული მამის სული არ ესაუბრებოდა.

– რატომ გაანდე ფინიკიელებს ეგოდენ მნიშვნელოვანი სახელ-მწიფო საიდუმლოება? – შეეკითხა რამზესი.

– იმიტომ, რომ მსურდა თავიდან აგვეცილებინა სამარცხვინო ხელშეკრულება, რომელიც საზიანოა ჩვენთვისაც და ფინიკიელები-სათვისაც.

– შენ შეგეძლო გაგეფრთხილებინა რომელიმე წარჩინებული ეგ-ვიპტელი.

– რომელი? – შეეკითხა ქურუმი. – ისინი, ვინც უძლურია ხერიჰორის წინააღმდეგ, თუ ისინი, ვინც მევე დამაბეზღებდნენ მასთან და მოწა-მებრივ სიკვდილს გამიმზადებდნენ? ხირამს ვუთხარი იმიტომ, რომ ნაცნობობა აქვს ჩვენს დიდებულებთან, რომელთაც არასოდეს შევ-ხვედრივარ.

– რატომ დადეს ასეთი ხელშეკრულება ხერიჰორმა და ნოფრმა?

– ჩემი აზრით, ეს ხალხი დიდი ჭკუის არ არის. ისინი შეაშინა დიდ-მა ქალდეველმა ქურუმმა ბეროესმა. მან უთხრა, ათი წლის განმავლო-ბაში ეგვიპტეს ბოროტი ბედისწერა არ მოეშვებაო და თუ ეგვიპტელე-ბი ამ დროის განმავლობაში ასირიასთან ომს დაიწყებენ, დამარ-ცხდებიანო.

– და მათ ეს დაიჯერეს?

– შესაძლებელია, ბეროესმა მათ სასწაულები. უჩვენა. ჰაერშიც კი აფრინდებოდა ხოლმე... ეს, რასაკვირველია, საოცარი საქმეა, მაგრამ მე არ მესმის, რატომ უნდა დავკარგოთ ჩვენ ფინიკია იმისათვის, რომ ბეროესს ფრენა ემარჯვება.

– მაშ სასწაულები შენცა გწამს?..

– არა ყოველი, – მიუგო სამონტუმ. – ბეროუსი, მგონი, მართლაც, რაღაც არაჩვეულებრივ რამეს სჩადის. ჩვენი ქურუმები კი ხალხსაც ატყუებენ და მბრძანებელსაც.

– გძულს ქურუმთა კასტა?

სამონტუმ ხელები გაშალა.

– მეც ვერ მიტანენ ისინი. განსაკუთრებით ცუდი ის არის, რომ დამცინიან კიდეც, აქაოდა სეთს ემსახურებაო. მაგრამ ერთი მიბრძანეთ, აბა ეს რა ღმერთებია, რომელთა თავებსა და ხელებს თოკით ატრიალებენ! ანდა ეგ რა ქურუმებია, ხალხს თავს ღვთისმოსავებად და დამთმენებად რომ უჩვენებენ, ნამდვილად კი რამდენიმე ქალი ჰყავთ, წელიწადში ათს და ზოგჯერ ოც ტალანტს ხარჯავენ. საკურთხეველზე დალაგებულ შესაწირავთ იპარავენ და უმაღლესი სკოლის მოწაფეებზე არცთუ დიდად ჭკვიანი არიან?

– შენ ხომ იღებ ფინიკიელებისაგან შესაწირავებს?

– მაშ ვისგან უნდა მივიღო?.. ნამდვილად მხოლოდ ფინიკიელები სცემენ თაყვანს სეთს, რადგან ეშინიათ, არ ჩაძიროს მათი ხომალდები. ჩვენში კი სეთს მარტო ღატაკები სცემენ თაყვანს, რომ მხოლოდ მათი შესაწირავით ვკმაყოფილდებოდე, მეც და ჩემი შვილებიც შიმშილით დავიხოცებოდით.

ფარაონმა გაიფიქრა, ეს ქურუმი თუმცა ტაძრების საიდუმლოების გამჟღავნებას არ ერიდება, მაგრამ მაინც ცუდი ადამიანი არა ჩანსო. ამასთანავე ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და სიმართლეს გვერდს არ უხვევსო.

– თუ გაგიგონია რამე, – კვლავ შეეკითხა ფარაონი, – იმ არხზე, რომელმაც ხმელთაშუა ზღვა მეწამულთან უნდა შეაერთოს,

– მე ამ საქმეს ვიცნობ. ეს პროექტი უკვე რამდენიმე ასი წლის წინათ შეიმუშავეს ჩვენმა ინჟინრებმა.

– მერე, რატომ აქამდე არ განახორციელეს?

– ქურუმებს ეგვიპტეში უცხოელთა მოზღვავებისა ეშინიათ, რომელთაც შეუძლიათ ჩვენი სარწმუნოება შეარყიონ და მასთან ერთად მათი შემოსავალიც.

– მართალია, რასაც ხირამი მიამბობდა შორეულ აღმოსავლეთში მობინადრე ხალხებზე?

– ყველაფერი სრული სიმართლეა. ჩვენ დიდი ხანია გვაქვს ცნობები მათს შესახებ, და ათი წელი ისე არ გავა, რომ იმ ქვეყნებიდან რაიმე ძვირფასი ქვა, სურათი ან ოსტატური ნახელავი არ მივიღოთ.

ფარაონი კვლავ ჩაფიქრდა და უცებ შეეკითხა:

– ჩემს მრჩევლად რომ დაგნიშნო, ერთგულად მემსახურები?

– თავგანწირულად და უერთგულესად გემსახურები... მაგრამ... მე რომ ტახტის მრჩეველი გავხდე, ჩემი მოძულე ქურუმები აღშფოთდებიან.

– ხომ არ ფიქრობ, რომ შეიძლება მათი ალაგმვა?

– ძალიან ადვილადაც! – უპასუხა სამონტუმ.

– როგორი გეგმა გაქვს იმ შემთხვევისათვის, მე რომ მათი თავიდან მოშორება გადავწყვიტო?

– საჭირო იქნება ლაბირინთის საუნჯეთსაცავების ხელში ჩაგდება, – განაცხადა ქურუმმა.

– შენ მოახერხებდი იქ შესვლას?

– უკვე მაქვს ზოგიერთი მითითება, დანარჩენს თვითონ ვიპოვი, რადგან ვიცი, სად უნდა მოვძებნო.

– მერე? – შეეკითხა ფარაონი.

– ხერიჰორი და ნოფრი პასუხისგებაში უნდა მივცეთ ასირიელებთან ფარული ურთიერთობის ნიადაგზე სახელმწიფო ღალატისათვის...

– დამამტკიცებელი საბუთები?..

– მათ ფინიკიელების დახმარებით ვიშოვით, – მიუგო ქურუმმა.

– ამის გამო რაიმე საფრთხე ხომ არ დაატყდება ეგვიპტეს?

– არავითარი. ოთხასი წლის წინათ ფარაონმა ამენხოტეპ IV-მ ქურუმების ხელისუფლება დაამხო და ერთი ღმერთის რა-ჰორახტეს[1] სარწმუნოება დააწესა. რასაკვირველია, ამასთან ერთად მან სხვა ღმერთების ტაძრებს საუნჯეები ჩამოართვა. და აი მაშინაც კი არც ხალხი, არც ჯარი და არც აზნაურობა ქურუმებს არ გამოქომაგებია... რაღა უნდა ითქვას ჩვენს დროზე, როდესაც ძველი რწმენა დიდი ხანია შეირყა.

---

[1] რა-ჰორახტე - მზის ღმერთის ერთ-ერთი სახელწოდება, რომელიც ზუსტი თარგმანით ნიშნავს: „ორი ტატნობის მზის ღმერთი შევარდენი“.

– ვინ ეხმარებოდა ამენხოტეპს?

– უბრალო ქურუმი ეიე.

– სწორედ ის, ამენხოტეპ IV-ს სიკვდილის შემდეგ მის ტახტზე რომ დაჯდა, – უთხრა რამზესმა, რომელიც ქურუმს თვალს არ აშორებდა.

მაგრამ სამონტუმ მშვიდად უპასუხა:

– ეს შემთხვევა ამტკიცებს, რომ ამენხოტეპი უვარგისი მმართველი იყო, რომელიც უფრო მეტად რას დიდებაზე ზრუნავდა, ვიდრე სახელმწიფოზე.

– შენ მართლაც ნამდვილი ბრძენი ხარ! – წამოიძახა რამზესმა.

– მზად ვარ ვემსახურო თქვენს უდიდებულესობას!

– გნიშნავ ჩემს მრჩევლად, – უთხრა ფარაონმა, – მაგრამ ჩემთან ფარულად კი არ უნდა იარო, არამედ აქ უნდა დაბინავდე, სასახლეში...

– შემინდე, ხელმწიფევ, მაგრამ სანამ უმაღლესი საბჭოს წევრები სახელმწიფოს მტრებთან ურთიერთობის გამო საპყრობილეში არ ჩასხდებიან, ჩემი ყოფნა სასახლეში უფრო მეტ ზიანს მოგვიტანს, ვიდრე სიკეთეს: მე ვემსახურები თქვენს უდიდებულესობას და მივცემ რჩევებს, მაგრამ ფარულად.

– და მონახავ ლაბირინთის საუნჯეთსაცავის გზას?

– იმედი მაქვს, ვიდრე შენ, ხელმწიფევ, თებედან დაბრუნდები, მე მოვახერხებ ამის გაკეთებას. ხოლო როდესაც ჩვენ ამ საუნჯეთ სასახლეში გადმოვიტანთ, როდესაც სასამართლო განსჯის ხერიჰორსა და ნოფრს, რომელთა შემდეგში შეწყნარება თქვენს უდიდებულესობას შეუძლია, მაშინ თქვენი ნებართვით აშკარად გადმოვალ სასახლეში და თავს დავანებებ სეთის ქურუმობას, რის გამოც ხალხი მიფრთხის ხოლმე.

– და ფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის?

– სიცოცხლეს ვდებ თავდებად, – უპასუხა ქურუმმა. – ხალხს შენ უყვარხარ და ძნელი არ იქნება მისი ამხედრება გამცემი დიდებულების წინააღმდეგ... ჯარისკაცები გემორჩილებიან ისე, როგორც არც ერთ ფარაონს რამზეს დიდის დროიდან... ვის შეუძლია გაუმკლავდეს ასეთ ძალას?.. ამას გარდა, თქვენს უდიდებულესობას დაეხმარებიან ფინიკიელები და ფული. ეს უდიდესი ძალაა ამქვეყნად.

როდესაც სამონტუმ წასვლა დააპირა, ფარაონმა ნება დართო მას ფეხზე მოხვეოდა და აჩუქა ოქროს მძიმე ძეწკვი და საფირონით შემკული სამაჯური.

ყოველ დიდებულს როდი ღირსებია თავისი ხანგრძლივი სამსახურისათვის ასეთი დიდი წყალობა.

სამონტუსთან საუბარმა და მისმა დაპირებებმა ფარაონს გული ახალი იმედებით აუვსო.

ლაბირინთის საუნჯეთა მოპოვება რომ მოხერხდებოდეს!..

მათი უმცირესი ნაწილიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ აზნაურობა ფინიკიელების ვალებისაგან გაეთავისუფლებინა, გლეხების ცხოვრება გაეუმჯობესებინა და ფარაონის დაგირავებული მამულები გამოესყიდა.

და როგორი ნაგებობებით გამდიდრდებოდა სახელმწიფო!.. დიახ, ლაბირინთის სიმდიდრეთ შეეძლო ფარაონისათვის ყველა ზრუნვა აეშორებინა. რადგან რა ხეირია იმაში, რომ ფინიკიელები რამზესს დიდი სესხის მიცემას პირდებოდნენ. სესხი ოდესმე პროცენტებით უნდა დაიფაროს, ანდა ადრე თუ გვიან გირაოდ დანარჩენი სამეფო მამულები გადაეცეს. ეს მხოლოდ გაკოტრების ვადის გადადება იქნებოდა, და არა მისი თავიდან აცილება.

თავი მეშვიდე

ფამენოტის (იანვარი) თვის შუა რიცხვებში უკვე გაზაფხული დაიწყო. მთელი ეგვიპტე ამწვანდა პურის ჯეჯილებით, ხოლო ახლად დახნულ მიწაზე ფუსფუსებდნენ გლეხები, რომლებიც თესდნენ ლუპინს, ცერცვს, ლობიოს და ქერს. ჰაერი თურინჯის ყვავილების სურნელებით იყო გაჟღენთილი. ნილოსში წყალმა თითქმის სულ იკლო და ყოველდღე მიწის ახალი ნაკვეთები ჩნდებოდა.

ოზირის-მერი-ამონ-რას დაკრძალვის სამზადისი დამთავრდა. ფარაონის ნაკურთხი მუმია უკვე ხის თეთრ ტალიკში ესვენა, რომლის ზემო ნაწილი საუცხოოდ გამოხატავდა მიცვალებულის სახის ნაკვთებს. ფარაონი თითქოს თავისი მინანქრის თვალებით იცქირებოდა, ხოლო მისი ღვთაებრივი სახე უდრტვინველ სევდას გამოხატავ-

და არა მიტოვებული ქვეყნის, არამედ ადამიანებისადმი, რომლებსაც ჯერ კიდევ უნდა განეცადათ ქვეყნიური ცხოვრების მწუხარება. ფარაონს თავზე ეხურა თეთრ-ლურჯ ზოლებიანი ეგვიპტური ჩაჩი. ყელზე ძვირფასი ქვების მძივები ეკიდა, ხოლო გულზე – ხელებგაშლილი დაჩოქილი ადამიანის გამოსახულება. ფეხებზე ამოტვიფრული იყვნენ ღმერთები, საღვთო ფრინველები და თვალები, რომლებიც არავითარ არსებას არ ეკუთვნოდნენ და თითქოს სივრციდან გამოიცქირებოდნენ.

ასეთი სახით მეფის ნეშტი კედრის მომცრო ყუთში ძვირფას სარეცელზე განისვენებდა; ყუთის კედლები აჭრელებული იყო მიცვალებულის ცხოვრებისა და საგმირო საქმეთა ხოტბისშემსხმელი წარწერებით. ცხედრის ზემოთ ადამიანისთავიანი ფრთაგაშლილი საუცხოო შევარდენი იყო გამოსახული, ხოლო სარეცელთან დღე და ღამე მორიგეობდა ქურუმი, რომელიც დაკრძალვის ღმერთის ტურისთავიანი ანუბისის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი.

ამას გარდა, დამზადებული იყო კიდევ ფიქალის მძიმე სარკოფაგი, რომელიც მუმიის გარეგან კუბოს წარმოადგენდა. ეს სარკოფაგიც განსვენებული ფარაონის ფორმებითა და ნაკვთებით განირჩეოდა და აჭრელებული იყო წარწერებით და მლოცველი ადამიანების, საღვთო ფრინველებისა და ხოჭოების გამოსახულებით.

ჩვიდმეტ ფამენოტს მუმია ყუთსა და სარკოფაგთან ერთად „მიცვალებულთა ქალაქიდან“ მეფის სასახლეში გადაასვენეს და ყველაზე უფრო დიდ დარბაზში მოათავსეს. დარბაზი დაუყოვნებლივ აივსო ქურუმებით, რომლებიც სამგლოვიარო ჰიმნებს გალობდნენ, აზნაურებითა და განსვენებული მეფის მსახურებით; განსაკუთრებით ბევრი იყო მიცვალებული ფარაონის ქალები, რომლებიც ისე ხმამაღლა მოთქვამდნენ, რომ მათი კივილი ნილოსის მეორე ნაპირას ისმოდა.

– ჰოი, ბატონო! ჰოი, ჩვენო ბატონო! – მოთქვამდნენ ისინი, – რატომ გვშორდები? შენ ისეთი მშვენიერი, ისეთი კეთილი და ჩვენთან ისე ტკბილად მოსაუბრე... ახლა რატომ დადუმებულხარ!.. შენ ხომ გიყვარდით, ახლა კი ასე შორსა ხარ ჩვენგანს!

ამავე დროს ქურუმები გალობდნენ:

გუნდი პირველი: „მე ვარ ტუმი[1], რომელიც ერთია...“

გუნდი მეორე: „მე ვარ რა, პირველი მის სხივებში...“

გუნდი პირველი: „მე ვარ ღმერთი, თავისი თავის შემოქმედი...“

გუნდი მეორე: „რომელიც თვითონ აძლევს სახელს თავის თავს და ვერვინ შეაჩერებს მას ღმერთებს შორის...“

გუნდი პირველი: „მე ვიცი დიდებული ღმერთის სახელი, რომელიც იქ...“

გუნდი მეორე: „ვინაიდან მე ვარ დიდებული ფრინველი ბენუ[2] და მე ვხედავ ყოველივეს, რაც არის“.[3]

ორი დღის მოთქმისა და ლოცვების შემდეგ სასახლესთან მოვიდა ნავის მსგავსი უზარმაზარი ეტლი. მას ვერძის თავები და სირაქლემას ფრთების მარაო. ამკობდა, ხოლო ძვირფას გავალაკის თავზე ფრთაგაშლილი არწივი იყო გამოსახული და ოქროსფრად ბრწყინავდა გველი ურეუსი – ფარაონის ხელისუფლების სიმბოლო.

ამ ეტლზე დაასვენეს ღვთაებრივი მუმია, სასახლის ქალების დაჟინებითი წინააღმდეგობის მიუხედავად. ზოგი მათგანი კუბოს ებღაუჭებოდა, სხვები ქურუმებს ემუდარებოდნენ, არ წაერთმიათ მათთვის. კეთილი ბატონი, მესამენი სახეს იკაწრავდნენ, თმას იგლეჯდნენ და სცემდნენ კიდეც იმათ, ვისაც სარკოფაგი მიჰქონდა. საშინელი გნიასი ატყდა.

ბოლოს ეტლი, რომელშიც ღვთაებრივი ნეშტი მოთავსდა ადგილიდან დაიძრა, უზარმაზარი სივრცე სასახლიდან ნილოსამდე ხალხით იყო გაჭედილი. აქაც იყვნენ ტალახით შემურული, სახედაკაწრული, სამგლოვიარო არშიებშემოვლებული და გულშემზარავი ხმით მოზარე ადამიანები. სამგლოვიარო რიტუალის თანახმად მთელ გზაზე გამწკრივებული იყო გუნდები.

ხალხის ბრბო; „მშვიდობით წარვედ აბიდოსში... მშვიდობით წარვედ აბიდოსში... დაე მშვიდობით მიაღწიო დასავლეთს!“

---

[1] ტუმი, ანუ ატუმი - მზის ღმერთი, რომელსაც განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ჰელიოპოლში და ჩვეულებრივ ადამიანის სახით გამოხატავდნენ.

[2] ფრინველი ბენუ – ძველეგვიპტელი მითოლოგიური სახე, საღვთო ფრინველისა, რომელიც ამომავალ მზეს განასახიერებდა.

[3] „მიცვალებულთა წიგნიდან“ (ავტ: შენიშ.).

მოზარე ქალთა გუნდი: „ჰოი, ბატონო ჩვენო.. ჰოი, ბატონო ჩვენო, როდესაც შენ მიემართები დასავლეთით, თვით ღმერთები ქვითინებენ!..“

ქურუმების გუნდი: „იგი ბედნიერია, ადამიანთა შორის ყველაზე მეტად პატივცემული. მისი ბედი ნებას აძლევს განისვენოს მის მიერვე მომზადებულ კუბოში“.

მეეტლეთა გუნდი: „დასავლეთისკენ, ხარებო, რომლებიც სამგლოვიარო ეტლს ეწევით!.. დასავლეთისკენ!.. თქვენი ბატონი თქვენ მოგყვებათ...“

ხალხის ბრბო: „მშვიდობით წარვედ აბიდოსში!.. მშვიდობით წარვედ აბიდოსში... დასავლეთ ზღვისკენ...“[1]

ყოველ ორას-სამას ნაბიჯზე ჯარისკაცების რაზმები იდგნენ, რომლებიც მბრძანებელს დაფების ყრუ ბაგუნით ესალმებოდნენ და ბუკების გამგმირავი ზუზუნით აცილებდნენ. ეს დაკრძალვა კი არ იყო, არამედ ღმერთების სამყაროში ტრიუმფალური სვლა.

ეტლს შორიახლო მისდევდა მრავალრიცხოვანი გენერლების ამალით გარშემორტყმული რამზეს XIII, ხოლო მის უკან მიდიოდა დედოფალი ნიკოტრისა, რომლისთვისაც ხელი ჩაეკიდა ორ სეფექალს. არც შვილი ტიროდა, არც დედა, რადგან მათ იცოდნენ (რაც მდაბიო ხალხისთვის უცნობი იყო), რომ მიცვალებული მეფე უკვე ოზირისის გვერდით იმყოფება და იმდენად კმაყოფილია ნეტარების მხარეში ყოფნით, რომ ქვეყნად დაბრუნებას აღარ ისურვებდა.

პროცესიის შემდეგ, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა და რომელსაც თან შეუწყვეტელი კივილი სდევდა, ეტლი ნილოსის ნაპირას შეჩერდა.

აქ ცხედარი გადმოასვენეს ეტლიდან, რომელსაც ნავის ფორმა ჰქონდა, და გადაასვენეს ნამდვილ, მოოქრულ, ჩუქურთმებითა და ნახატებით შემკულ, თეთრ და ძოწისფერ იალქნებიან ორჩხომელზე.

სასახლის ქალებმა ერთხელ კიდევ სცადეს წაერთმიათ ქურუმებისათვის მუმია, ერთხელ კიდევ იგალობა გუნდებმა და დაუკრა სამხედრო ორკესტრმა. შემდეგ ორჩხომელზე, რომელსაც მეფის მუმია უნდა წაესვენებინა, ავიდნენ დედოფალი ნიკოტრისა და რამდენიმე ქურუ-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

მი; ხალხი კი გვირგვინებსა და ვარდებს ყრიდა. წყალზე ნიჩბები აამუშავეს...

რამზეს XII-მ უკანასკნელად დატოვა თავისი სასახლე და ნილოსით გაემგზავრა თებეს, თავის აკლდამაში. გზაზე მას, როგორც მზრუნველ მბრძანებელს, ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს უნდა შეეხვია და გამოთხოვებოდა.

მგზავრობა ფრიად დიდხანს გაგრძელდა. თებემდე დაახლოებით ასი მილი იყო; ორჩხომელს ნილოსის აყოლებით უხდებოდა ცურვა და მუმიას ათზე მეტ ტაძარში უნდა შეევლო და სადღესასწაულო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მიეღო.

სამარადისო განსასვენებლისაკენ რამზეს XII-ის გამგზავრების რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გზით, რომლითაც წაასვენეს იგი, გაემგზავრა რამზეს XIII, რათა თავისი გამოჩენით გაემხნევებინა მწუხარებით გულმოკლული ქვეშევრდომები, მიეღო მათგან პატივისცემა და ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირა. მიცვალებულ მეფის მუმიას საკუთარი ხომალდებით აცილებდა ყველა უმაღლესი ქურუმი, მრავალი უფროსი ქურუმი, მსხვილი მამულების მფლობელნი და ნომარქოსების უმეტესი ნაწილი.

ახალი ფარაონი წუხდა, რომ მისი ამალა მცირერიცხოვანი იქნებოდა. მაგრამ მოხდა სხვანაირად. რამზეს XIII-ს გარშემო შეჯგუფდა ყველა გენერალი, ფრიად ბევრი მოხელე, მრავალი აზნაური და მთელი დაბალი სამღვდელოება, რამაც ფარაონი უფრო გააკვირვა, ვიდრე გაახარა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, რადგან როდესაც ახალგაზრდა ფარაონის ხომალდი ნილოსზე დაიძრა, მის შესახვედრად იმდენი დიდი და მცირე, მდიდართა და ღატაკთა ნავი გამოცურდა, რომ მათ თითქმის მთლიანად დაფარეს მდინარე. მათში ისხდნენ შიშველი გლეხები და მუშები თავიანთი ოჯახებით, მდიდრულად გამოწყობილი ვაჭრები, ფინიკიელები ბრწყინვალე ტანსაცმელში, მარდი ბერძენი მეზღვაურები და თვით ასირიელები და ხეთებიც კი.

ეს ბრბო უკვე აღარ ყვიროდა, არამედ ღმუოდა, კი არ მხიარულობდა, არამედ მძვინვარებდა. ყოველ წუთს მეფის ხომალდზე ადიოდა რომელიმე დეპუტაცია, რათა მთხვეოდნენ ხომალდის ბაქანს, რომელსაც მბრძანებლის ფეხები შეეხო, და მიერთმიათ ძღვენი: ერთი

მუჭა ხორბალი, ქსოვილის ნაჭერი, თიხის უბრალო დოქი და რამდენიმე ჩიტი, მეტწილად კი – ყვავილების თაიგული. და ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ფარაონი მემფისიდან წავიდოდა, საჭირო შეიქნა ოჩხომელის, სადაც ძღვენს აწყობდნენ, რამდენჯერმე განტვირთვა, რომ იგი არ ჩაძირულიყო. უმცროსი ქურუმები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, რომ ხალხი ასეთი აღტაცებით, რამზეს დიდის გარდა, არც ერთ ფარაონს არ მისალმებიაო.

ასევე მიმდინარეობდა მოგზაურობა მემფისიდან თებემდე: ხალხის სიშმაგე არათუ არ ცხრებოდა, არამედ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. გლეხები ტოვებდნენ ყანებს, ხელოსნები – სახელოსნოებს, რომ ახალი მბრძანებლის ხილვით გაეხარათ. ახალგაზრდა ფარაონის ხომალდების გარშემო უკვე მთელი ლეგენდები შეითხზა.

უდიდეს ცვლილებებს მოელოდნენ, თუმცა არავინ იცოდა, რა სახის იქნებოდა ეს ცვლილებები. ერთი რამ კი ყველასათვის ცხადი იყო: მოხელეების სისასტიკე შერბილდა, ფინიკიელები უფრო ნაკლები სიმკაცრით აგროვებდნენ გადასახადებს და ჩვეულებრივად მორჩილი ეგვიპტელი ხალხი ქურუმების წინაშე თავს ისე დაბლა აღარ ხრიდა.

– ოღონდ კი ფარაონმა ნება დაგვრთოს, – ამბობდნენ სამიკიტნოებში, ყანებსა და ბაზრებში, – და ჩვენ ერთბაშად დავამყარებთ წესრიგს და გავუსწორდებით წმიდა მამებს. სულ მათი ბრალია, რომ დიდ გადასახადებს ვიხდით და რომ ჩვენს ზურგზე იარები არასოდეს არ შუშდება.

მემფისიდან სამხრეთისაკენ შვიდი მილის დაშორებით, ლიბიის მთების კალთებს შორის, მდებარეობდა ფაიუმის მხარე, რომელიც იმით იყო შესანიშნავი, რომ იგი ადამიანის ხელმა შექმნა.

ოდესღაც ამ ადგილას ტიტველი მთების ამფითეატრით გარშემორტყმული გაუდაბნოებული ტაფობი მდებარეობდა. ქრისტეს დაბადებამდე 1800 წლის წინათ ფარაონ ამენემხეტს კადნიერი განზრახვა აღეძრა – ეს მხარე აყვავებულ ადგილად გადაექცია.

ამ მიზნით მან გამოყო ტაფობის აღმოსავლეთი ნაწილი და ამ უბანს ძლიერი კაშხალი შემოარტყა. ის ორსართულიანი სახლის სიმაღლე იყო, სისქე საფუძველთან დაახლოებით ასი ნაბიჯი ჰქონდა

და სიგრძე ორმოც კილომეტრს აღემატებოდა.

ამგვარად წარმოიქმნა წყალსაცავი, რომელიც იტევდა სამ მილიარდამდე კუბურ მეტრ (სამი კუბური კილომეტრი) წყალს, რომლის ზედაპირს დაახლოებით სამასი კვადრატული კილომეტრი ეკავა. ეს წყალსაცავი ორას ათას ჰექტარ მიწას რწყავდა, ამას გარდა, ნილოსის ადიდების დროს ზედმეტ წყალს იღებდა და ეგვიპტის მნიშვნელოვან ნაწილს მოულოდნელი წყალდიდობისაგან იცავდა.

წყლის ეს უზარმაზარი საცავი მერიდის ტბის სახელით იყო ცნობილი და ქვეყნის ერთ-ერთ სასწაულად ითვლებოდა. მისი მეოხებით უდაბური ადგილი ნაყოფიერ მხარედ იქცა, სადაც ბედნიერად ცხოვრობდა ორას ათასამდე მცხოვრები. ამ მხარეში პალმებსა და პურეულთან ერთად იზრდებოდა უმშვენიერესი ვარდები, რომელთა ზეთი მთელ ეგვიპტეში და მის საზღვრებს იქითაც განთქმული იყო,

მერიდის ტბის არსებობა ეგვიპტელი ინჟინრების ხელოვნების მეორე სასწაულთან – ბაჰრ-იუსუპის არხთან – იყო დაკავშირებული. ეს არხი, რომლის სიგანე ორას ნაბიჯს უდრიდა, ნილოსის დასავლეთ მხარეს რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძეზე იყო გადაჭიმული. იგი მდინარიდან ორი მილით იყო დაშორებული, რწყავდა ლიბიის მთების მოსაზღვრე მიწებს და წყალი მერიდის ტბაში გადაჰქონდა.

ფაიუმის მხარის ირგვლივ რამდენიმე უძველესი პირამიდა და მრავალი მცირე სამარხი მდებარეობდა, ხოლო მის აღმოსავლეთ საზღვარზე, ნილოსის მახლობლად, ყბადაღებული ლაბირინთი იდგა. ეს უკანასკნელიც ამენემჰეტეს მიერ იყო აგებული და ფორმით უზარმაზარ ნალს წააგავდა, რომელსაც სიგრძით ათასი და სიგანით ექვსასი ნაბიჯი მიწის ნაკვეთი ეკავა. ეს ნაგებობა ეგვიპტის საუნჯეთა უდიდესი საცავი იყო. მასში მრავალი სახელოვანი ფარაონის, ცნობილი ქურუმების, სარდლებისა და მშენებელთა მუმიები განისვენებდნენ. აქ იყო დაცული წმიდათ მიჩნეული ცხოველების – განსაკუთრებით ნიანგების ფიტულები. აქვე ინახებოდა ეგვიპტის სამეფოს საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი სიმდიდრე, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი ჩვენს დროში ძნელია ვიქონიოთ.

ლაბირინთი გარედან ადვილად მისადგომი იყო და არცთუ მაინ-

ცდამაინც ფხიზლად იცავდნენ მას: მცველები მხოლოდ ქურუმთა ჯარისკაცების მცირე სადარაჯო რაზმისა და პატიოსნად მიჩნეული რამდენიმე ქურუმისაგან შედგებოდა. საუნჯეთსაცავის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა არსებითად იმას ემყარებოდა, რომ, რამდენიმე პირის გამოკლებით, არავინ იცოდა სად მდებარეობდა ის ლაბირინთი, რომელიც მიწისქვეშა და მიწისზედა ორი იარუსისაგან შედგებოდა და თითოეული მათგანი ათას ხუთას ოთახს შეიცავდა.

ყოველი ფარაონი, ყოველი უმაღლესი ქურუმი, დაბოლოს, ყოველი მთავარი ხაზინადარი და უმაღლესი მსაჯული თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ვალდებული იყო საკუთარი თვალით დაუყოვნებლივ შეემოწმებინა ეს სახელმწიფო ქონება. ამის მიუხედავად ვერც ერთი დიდებული არათუ ვერ იპოვიდა საუნჯეთსაცავის გზას, არამედ არც კი შეეძლო მოესაზრა, სად მდებარეობდა ის: მთავარ კორპუსში, თუ რომელიმე ფლიგელში, მიწის ზემოთ, თუ მის ქვეშ.

ზოგიერთს ეგონა, საუნჯეთსაცავი ნამდვილად თვით ლაბირინთიდან საკმაოდ დაშორებით მიწის ქვეშ მდებარეობსო, სხვები კი გულისხმობდნენ, თითქოს საუნჯეთსაცავი ტბის ფსკერის ქვეშ მდებარეობდა, რათა საჭირო შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო მისი წყლით დაფარვა. საერთოდ არც ერთი დიდებული არ ჩაწვდომია ამ საკითხს, რადგან იცოდა, ღმერთების სამკვიდრებელის ხელშეხების მცდელს საშინელი სასჯელი მოელოდა.

იქნებ რომელიმე საიდუმლოების არმცოდნეს მოეხერხებინა კიდეც მოენახა მისკენ მიმავალი გზა, მაგრამ შიში იმთავითვე ახშობდა ყოველგვარ ასეთ მცდელობას. ამქვეყნიური და სამარადისო სიკვდილი ემუქრებოდა იმას, ვინც თავისი უღმერთო გონებით ამ საიდუმლო ადგილის აღმოჩენას შეეცდებოდა.

აქ მისვლისას რამზეს XIII-მ უწინარეს ყოვლისა ფაიუმის მხარე ინახულა. ის ღრმა თასს მოგვაგონებდა, რომლის ძირს ტბა, ხოლო ნაპირებს ბორცვები წარმოადგენდა. რამზესი ყველგან ხედავდა მწვანე ნოყიერ ბალახს, რომელიც ყვავილებით იყო აჭრელებული, პალმების კენწეროებს, ლეღვის ხისა და თაფლინდის ჭალებს, სადაც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ფრინველების გალობა და ადამიანთა მხიარული ხმები გაისმოდა. შეიძლება ითქვას, ეს ადგილი ეგვიპტის

ყოვლად ბედნიერი კუთხე იყო.

ფარაონს ხალხი აღტაცებით შეხვდა. მას და მის ამალას უხვად შეაყარეს ვარდები. ფარაონს მიართვეს უძვირფასესი სუნამოთი სავსე რამდენიმე პატარა სურა, ათიოდე ოქროს ტალანტი და თვალნი პატიოსანნი.

ამ უმშვენიერეს კუთხეში, სადაც სიხარული თითქოს ხეებზე იფურჩქნებოდა, ჰაერში ტრიალებდა და ტბის წყალშიც კი გამოკრთოდა, ფარაონმა ორი დღე დაჰყო, მაგრამ მას მოაგონეს, რომ ვალდებულია ლაბირინთი ინახულოს.

გულდაწყვეტილმა დატოვა ფაიუმი და, მიმავალი მუდამ უკან იხედებოდა. მაგრამ მალე მისი ყურადღება გორაკზე აღმართულმა რუხი ფერის დიდებულმა შენობამ მიიპყრო.

საუკუნეებგამოვლილი ლაბირინთის ალაყაფის კართან ფარაონს მიეგება ასკეტური გამომეტყველების ქურუმთა მცირე ჯგუფი დ თმაწვერმოპარსული ჯარისკაცების რაზმი,

– ეს ჯარისკაცები უფრო ქურუმებს ჰგვანან! – წამოიძახა რამზესმა.

– იმიტომ, რომ ყველანი ქურუმების დაბალ ხარისხშია ნაკურთხი, ხოლო ასისთავები – მაღალ ხარისხში, – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა.

როდესაც ფარაონი უფრო ახლოს დაუკვირდა ამ უცნაური მეომრების სახეებს, რომლებიც ხორცს არ ჭამდნენ და არ ქორწინდებოდნენ, მათში დაინახა გამჭრიახი გონება და მშვიდი ენერგია. დარწმუნდა იმაშიც, რომ მისი ღვთაებრივი პიროვნება აქ არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს.

„საინტერესოა, როგორ აპირებს სამონტუ აქ შემოსვლას?“ – გაუელვა თავში ფარაონს.

ის მიხვდა, რომ ამ ადამიანების შეშინება და მოსყიდვა არ შეიძლებოდა. მათ ისეთი თავდაჯერებული იერი ჰქონდათ, თითქოს თითოეული მათგანის განკარგულებაში უძლეველი სულების ურდო ყოფილიყოს.

„ვნახოთ, – გაიფიქრა რამზესმა, – შეეშინდებათ თუ არა ამ ღვთისმოსავი მამების ჩემს ბერძნებსა და აზიელებს? საბედნიეროდ ისინი იმდენად ველურები არიან, რომ ვერც კი შეამჩნევენ ამათი სახის გა-

მომეტყველების განსაკუთრებულ ზვიადობას...“

ქურუმების თხოვნით რამზეს XIII-ის ამალა ალაყაფის კართან დარჩა, ვითომდა თავმოპარსული ჯარისკაცების მეთვალყურეობის ქვეშ.

– მახვილიც უნდა დავტოვო? - იკითხა ფარაონმა.

– მახვილი ხელს არ შეგვიშლის, – უპასუხა უფროსმა ზედამხედველმა.

ასეთი პასუხისათვის ახალგაზრდა ფარაონი მზად იყო ეს მახვილი ამ კეთილმორწმუნე მამისათვის ეთხლიშა, მაგრამ თავი შეიკავა.

ფარაონმა და ქურუმებმა გაიარეს ორწყება სფინქსებს შუა უზრმაზარი ეზო და მთავარ კორპუსში შევიდნენ. აქ ფართო, მაგრამ ნაწილობრივ დაბნელებულ დერეფანში რვა კარი იყო. ზედამხედველი ფარაონს შეეკითხა:

– რომელი კარით სურს თქვენს უდიდებულესობას საუნჯეთსაცავში შესვლა?

– იმ კარით, რომელიც უფრო ჩქარა მიგვიყვანს.

ხუთმა ქურუმმა ორ-ორი კონა ჩირაღდანი აიღო, მაგრამ სინათლე მხოლოდ ერთმა აანთო, მათს გვერდით დადგა უფროსი ზედამხედველი, რომელსაც ხელში გრძელი კრიალოსანი ეჭირა. კრიალოსანზე რაღაც ნიშნები იყო დაწერილი, ზედამხედველს უკან მისდევდა რამზესი სამი დანარჩენი ქურუმის თანხლებით.

უფროსმა ქურუმმა მარჯვნივ მიუხვია: ისინი დიდ დარბაზში შევიდნენ, რომლის კედლები და სვეტები წარწერებითა და სურათებით იყო აჭრელებული. აქედან ვიწრო ტალანით ზევით ავიდნენ და თავი მეორე დარბაზში ამოყვეს, რომელსაც მრავალი კარი ჰქონდა. აქ მათს წინ გვერდზე გადაიწია იატაკის ერთმა ფიქალმა და გამოჩნდა ხვრელი, რომლითაც ისინი ქვევით ჩავიდნენ და კვლავ ვიწრო ტალანით იმ ოთახისაკენ გაემართნენ რომელსაც სრულიად არ ჰქონდა კარი. მაგრამ გამყოლი შეეხო ერთ-ერთ იეროგლიფს და მათ წინ კედელი გაიხსნა.

რამზესს სურდა დაეხსომებინა მიმართულება, რომლითაც ისინი მიდიოდნენ, მაგრამ ერთბაშად ყველაფერი აერია. იგი ხედავდა მხოლოდ, რომ ჩქარა გადიოდნენ დიდ დარბაზებს, პატარა ოთახებსა და

ვიწრო ტალანებს, და ხან ზევით მიცოცავდნენ, ხან კიდევ ქვევით ეშვებოდნენ, და რომ ზოგიერთ დარბაზს ბევრი კარი ჰქონდა, სხვებს კი – არც ერთი. იმავე დროს მან შეამჩნია, რომ გამყოლი, ვიდრე შევიდოდა, წინასწარ კრიალოსნის ერთ მძივს ჩააგდებდა, ზოგჯერ კი კრიალოსნის ნიშნებს ჩირაღდნის სინათლეზე კედლების ნიშნებს ადარებდა.

– სად ვართ ახლა? – იკითხა ანაზდად ფარაონმა, – მიწისქვეშა იარუსში თუ ზემოთ?..

– ღმერთების განკარგულებაში, – უპასუხა ერთ-ერთმა გამყოლმა.

რამდენიმე მოსახვევისა და გასასვლელის შემდეგ ფარაონმა კვლავ დაარღვია სიჩუმე.

– აქ ჩვენ ხომ თითქმის ორჯერ მაინც ვიყავით.

ქურუმები დუმდნენ, ხოლო ერთმა მათგანმა, რომელსაც ჩირაღდანი ეკავა, რიგრიგობით გაანათა კედლები, და რომ დააკვირდა, რამზესი იძულებული გახდა თავის გულში ეღიარებინა, რომ აქ ისინი, ჩანს, ჯერ კიდევ არ ყოფილან.

მომცრო უკარო ოთახში ქურუმმა ჩირაღდანი ძირს დასწია, და ფარაონმა იატაკზე გალეული შავი გვამი დაინახა, რომელიც ნახევრად დამპალ ტანსაცმელში იყო გახვეული.

– ეს გვამი, – განაცხადა ზედამხედველმა, – ფინიკიელისაა, რომელმაც მეთექვსმეტე დინასტიის დროს სცადა ლაბირინთში შემოსვლა და ამ ადგილამდე მოაღწია.

– მოკლეს? – შეეკითხა ფარაონი.

– შიმშილით მოკვდა.

ისინი უკვე ნახევარი საათი მიდიოდნენ, რომ უცებ ჩირაღდნოსანმა გაანათა ტალანის ნიში, სადაც აგრეთვე გალეული გვამი იდო.

– ეს, – განაცხადა ზედამხედველმა, – გვამია. იმ ნუბიელი ქურუმისა, რომელიც თქვენი უდიდებულესობის პაპის მეფობაში შეეცადა აქ შემოსვლას.

ფარაონმა აღარ ჰკითხა, რა შეემთხვა მას. რამზესს ეჩვენებოდა, რომ სადღაც ღრმა ქვესკნელში იმყოფება და შენობა მთელი სიმძიმით აწვება. ის უკვე აღარ ფიქრობდა იმაზე, როგორმე გეზი აეღო ასეულ ტალანში, დარბაზსა და ოთახში, აღარც იმის გარკვევას ცდილობ-

და, რა სასწაულით იხსნება მის თვალწინ ქვის კედლები ან ვარდება იატაკები.

„სამონტუ ვერაფერს გახდება, – ფიქრობდა იგი, – ანდა ისევე დაიღუპება, როგორც ეს ორი ადამიანი, რომელთა შესახებ უნდა ვუამბო“.

ასეთი ნაღვლიანი განწყობილება, თავისი არარაობისა და უძლურების ასეთი შეგნება მას ჯერ კიდევ არასოდეს განუცდია, ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ქურუმები მას უცებ მიატოვებდნენ ერთ რომელიმე ვიწრო უკარო ოთახში. ფარაონს სასოწარკვეთილება ეუფლებოდა, ხელი მახვილისკენ გაურბოდა და მზად იყო ისინი აეკუწა, მაგრამ უმალ წარმოიდგენდა, რომ ქურუმების დაუხმარებლად აქედან ვერ გავიდოდა და თავს ჩაქინდრავდა.

„ოჰ, წუთით მაინც დამანახვა დღის სინათლე... რამდენად საშინელი უნდა იყოს სიკვდილი ამ წყვდიადით მოცულ სამიათას ოთახში!“

გმირის სული ზოგჯერ ისეთ ღრმა სასოწარკვეთილებას განიცდის, რომლის წარმოდგენა ჩვეულებრივ ადამიანს არც კი შეუძლია.

თითქმის უკვე საათი გავიდა, რაც მიდიოდნენ, რომ, ბოლოს, რვაკუთხა სვეტებიან გრძელ დარბაზს მიაღწიეს. სამი ქურუმი, ფარაონის გვერდით რომ მიდიოდა, აქეთ-იქით წავიდა. ამავე დროს რამზესმა შეამჩნია, რომ ერთი მათგანი სვეტს მიეყრდნო და თითქოს შიგ შევიდა. წუთის შემდეგ ერთ-ერთ კედელში ვიწრო გასასვლელი გაიხსნა, ქურუმები თავიანთ ადგილას დაბრუნდნენ, ხოლო გამყოლმა ოთხი ჩირაღდნის ანთება ბრძანა. ყველა ამ გასასვლელისკენ გაეშურა და ფრთხილად გაძვრა მასში.

– აი საწყობები... – თქვა შენობის ზედამხედველმა. ქურუმებმა საჩქაროდ აანთეს კედლებსა და სვეტებზე მიმაგრებული ჩირაღდნები და რამზესმა დაინახა რიგი გრძელი ოთახებისა, რომლებიც სავსე იყო ფასდაუდებელი ყოველნაირი ნახელავით. ამ კოლექციას ყოველი დინასტია უმატებდა იმას, რაც ყველაზე მეტად მშვენიერი და ძვირფასი გააჩნდა.

აქ იყო ეტლები, ნავები, საწოლები, მაგიდები, ზანდუკები და ტახტები, რომლებიც ან ოქროსი იყო ანდა ოქროს ფურცლებით შემოკრული და სპილოს ძვლით, სადაფით და ნაირფერი ფიცრით ისე კაზმუ-

ლად შემკობილი, რომ თითოეულ მათგანზე ხელოსნებსა და მხატვრებს ათეული წლები უნდა ემუშავათ; აქვე იყო საჭურველი, ფარები, კაპარჭები, რომლებზეც ძვირფასი ქვები ელვარებდა, სურები, ბაჯაღლო ოქროს სასმისები და კოვზები, ძვირფასი ტანსაცმელი და გავალაკები.

ყოველივე ეს ჰაერის სიმშრალისა და სიწმინდის შედეგად საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად და უზიანოდ ინახებოდა. განსაკუთრებით ღირსშესანიშნაობათა შორის ფარაონმა ასირიული სასახლის ვერცხლის მოდელი შენიშნა, რომელიც სარგონმა აჩუქა რამზეს XII-ეს. უმაღლესი ქურუმი, რომელიც ფარაონს უხსნიდა, რომელი შეწირულება ვისგან იყო მორთმეული, ყურადღებით უკვირდებოდა მის სახეს, მაგრამ აღფრთოვანების ნაცვლად მხოლოდ უკმაყოფილებას ამჩნევდა.

– მითხარით, – მოულოდნელად შეეკითხა ფარაონი, რა სარგებლობა მოაქვს ბნელ გვირაბში ჩაკეტილ ამ საუნჯეთ?

– ისინი უდიდეს ძალას წარმოადგენენ იმ შემთხვევისათვის, ეგვიპტე რომ საფრთხეში ჩავარდეს. ამ რამდენიმე ჩაჩქანით, ეტლით თუ მახვილით ჩვენ შეგვიძლია ასირიის მეფის ყველა მოადგილის კეთილგანწყობილება ვიყიდოთ, შეიძლება ვერც ტიგლატფილესარ მეფემ შეიკავოს თავი, მას რომ სატახტო დარბაზისა თუ თოფხანისთვის მოწყობილობა მივართვათ.

– მე ვფიქრობ, რომ ისინი ამჯობინებენ მახვილით წაგვართვან ყველაფერი, ვიდრე თავისი კეთილგანწყობილების სანაცვლოდ ჩვენგან რაიმე მიიღონ, – შენიშნა ფარაონმა.

– ერთი სცადონ! – უპასუხა ქურუმმა.

– მესმის. თქვენ, ალბათ, საუნჯეთა მოსპობის საშუალება მოგეპოვებათ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამ საუნჯეებით უკვე ვეღარავინ ისარგებლებს.

– ეს ჩემი ჭკუის საქმე არ არის. ჩვენ ვიცავთ. იმას, რაც მონდობილი გვაქვს, და ვიქცევით ისე, როგორც გვიბრძანებენ..

– განა უმჯობესი არ იქნებოდა ამ სიმდიდრის ნაწილი სახელმწიფო ხაზინის გასამაგრებლად მოგვეხმარა, რათა ეგვიპტე, იმ.. სავალალო მდგომარეობიდან გამოგვეყვანა, რომელშიც იგი ამჟამად იმ-

ყოფება? – შეეკითხა ფარაონი.

– ეს უკვე ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

რამზესმა წარბები შეიჭმუხნა. მცირე ხანს იგი საგნებს, ათვალიერებდა, – თუმცა არცთუ დიდი აღტაცებით, – ბოლოს კვლავ იკითხა:

– ეს ოსტატური ნაკეთობანი, შეიძლება გამოგვადგეს. ასირიელი დიდებულების კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, მაგრამ ასირიასთან ომი რომ იფეთქოს, რა სახსრებით შევიძენთ, პურს;, ადამიანებსა და იარაღს იმ ხალხებს შორის, რომლებიც: ასეთ მხატვრულ საკვირველებაში ნაკლებად ერკვევიან?

– გააღეთ საუნჯეთსაცავი!.. – გასცა განკარგულება, უმაღლესმა ქურუმმა.

ქურუმები დაუყოვნებლივ დაემორჩილნენ: ორი გაუჩინარდა, თითქოს სვეტებში შევიდნენო, ხოლო ერთი კიბით ავიდა კედელზე და ჩუქურთმიანი სამკაულის მახლობლად. - რაღაც: დაატრიალა.

კვლავ გაიწია ფარულმა კარმა და რამზესი ნამდვილ საცავში შევიდა:

ეს იყო ფასდაუდებელი განძეულებით სავსე ფართო ოთახი. იქ იდგა ოქროს ქვიშით სავსე თიხის კასრები, აგურებივით და ლაგებული ოქროს ზოდები და კონებად შეკრული ოქროს ღეროები. რამდენიმე წყრთის სიგანეზე დალაგებული ვერცხლის. ზოდები, ჭერამდე რომ აღწევდა, თითქოს კედელს ქმნიდა. წალოებში, ქვის მაგიდებზე ცისარტყელას ყველა ფერის შემცველი ძვირფასი ქვები ელაგა: ლალები, ბეჟმენდები, იაგუნდები; ზურმუხტები, ალმასები, ბოლოს კაკლისა და თვით ფრინველის კვერცხისოდენა მარგალიტები. მათ შორის ისეთი განძეულობა მოიპოვებოდა, რომ ერთი მათგანით, მთელი ქალაქის ყიდვა შეიძლებოდა.

– აი, უბედური შემთხვევისათვის ჩვენი სიმდიდრე, – თქვა ქურუმმა ზედამხედველმა.

– კიდევ რომელ უბედურებას უნდა მოელოდეთ? – შეეკითხა ფარაონი. – ხალხი გაღატაკებულია, აზნაურობა და სამეფო კარი ვალებშია ჩავარდნილი, ჯარი განახევრებულია, ფარაონს კი ფული არ გააჩნია, – განა ოდესმე ყოფილა ეგვიპტე უფრო ცუდ მდგომარეობაში?

– უფრო ცუდ დღეში იყო, როდესაც ჰიქსოსებმა დაიპყრეს.

– გაივლის კიდევ ორიოდე ათეული წელი, – უპასუხა რამზესმა, – და ჩვენ ებრაელებიც კი დაგვიპყრობენ, თუ ლიბიელებმა და ეთიოპიელებმა არ დაასწრეს. მაშინ ეს საუცხოო ქვები, პატარ-პატარა ნატეხებად ქცეულნი, ებრაელთა და ზანგების სანდლების შემკობას მოხმარდება...

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, საჭიროების დროს არა მარტო საუნჯეთსაცავები, არამედ მთელი ლაბირინთი თავისი მცველებით უკვალოდ გაქრება.

რამზესი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინაშე ფანატიქოსები დგანან, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ არავის მისცენ ამ სიმდიდრის დაუფლების საშუალება...

ფარაონი ოქროს ზოდების გროვაზე ჩამოჯდა და თქვა:

– მაშ თქვენ ამ სიმდიდრეს სახალხო უბედურების შემთხვევისათვის ინახავთ?

– დიახ, უწმიდესო ხელმწიფევ.

– კარგი, მაგრამ თქვენ, მცველებს, ვინ გაცნობებთ, რომ ნამდვილად ასეთი გაჭირვება დადგა, თუ ის მართლაც დადგება?

– ამისათვის მოწვეულ უნდა იქნას საგანგებო კრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფარაონი, უმაღლესი რანგის ცამეტი ქურუმი, ცამეტი ნომარქოსი, ცამეტი აზნაური, ცამეტი ოფიცერი და ცამეტ-ცამეტი ვაჭარი, ხელოსანი და გლეხი, აუცილებლად მკვიდრი ეგვიპტელები.

– მაშ ასეთ კრებას გადასცემთ თქვენ საუნჯეთ? – შეეკითხა ფარაონი.

– მივცემთ საჭირო თანხას, თუ მთელი კრება ერთსულოვნად გადაწყვეტს, რომ ეგვიპტე განსაცდელშია, და...

– კიდევ რა?..

და თუ გადაწყვეტილებას ამონის ქანდაკება თებეში დაადასტურებს.

რამზესმა თავი დახარა, რათა თავისი სიხარული დაეფარა. მას გეგმა უკვე შემუშავებული ჰქონდა.

„მოვიწვევ ასეთ კრებას და მას ერთსულოვნებაზე დავიყოლიებ, – გაიფიქრა თავისთვის. – ვგონებ, ამონის ღვთაებრივი ქანდაკებაც და-

ადასტურებს მის გადაწყვეტილებას, თუ ქურუმებს გარს შემოვარტყამ ჩემს აზიელებს.

– გმადლობთ, კეთილმსახურო მამებო, – უთხრა მან ხმამაღლა, – რომ მიჩვენეთ ძვირფასი განძეულობა, რომლის საზღაპრო ღირებულება ხელს არ მიშლის ვიყო უღატაკესი მთელი ქვეყნის გვირგვინოსანთა შორის. ახლა კი. გთხოვთ აქედან ყველაზე მოკლე და მოსახერხებელი გზით გამიყვანოთ.

– ვუსურვებთ თქვენს უწმიდესობას, – უპასუხა ზედამხედველმა, – რათა ლაბირინთისათვის იმდენივე სიმდიდრე შეგემატებინოთ, რამდენიც აქ იხილეთ. რაც შეეხება აქედან გასვლას, გზა მხოლოდ ერთი არსებობს და ჩვენც უკან დაბრუნება იმ გზით მოგვიხდება.

ერთ-ერთმა ქურუმმა რამზესს რამდენიმე ხურმა მიაწოდა, მეორემ – მათარით ღვინო, რომელშიც გამაგრებული ნივთიერება იყო. ფარაონი დანაყრდა და მხნედ მიაბიჯებდა.

– რას არ მივცემდი, – სიცილით თქვა მან, – რომ ამ უცნაური გზის კლაკნილში გავრკვეულიყავი.

ქურუმი-გამყოლი შეჩერდა.

– გარწმუნებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ თავად არ ვიცით და არც გვახსოვს ეს გზა, თუმცა თითოეულ ჩვენგანს ათჯერ მაინც გაუვლია ზედ.

– მაშ როგორღა შემოდიხართ აქ?

– ჩვენს განკარგულებაშია ზოგიერთი მითითება, მაგრამ თუნდაც, მაგალითად, ახლა რომელიმე მათგანი დაგვეკარგოს, აქ შიმშილით დავიხოცებოდით.

ბოლოს ისინი წინკარში და იქიდან ეზოში გამოვიდნენ.

ფარაონმა ირგვლივ მიმოიხედა და რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა.

– ლაბირინთის მთელი სიმდიდრე რომ მოეცათ, მაინც არ მოვისურვებდი მის მცველობას!.. შიშით გული მიკანკალებს, როდესაც წარმოვიდგენ, რომ ამ ქვის საპყრობილეში შეიძლება შიმშილით მოვკვდე.

– მაგრამ შეიძლება ის შეიყვარო კიდეც, – ღიმილით უპასუხა უფროსმა ქურუმმა.

ფარაონმა სათითაოდ მადლობა გამოუცხადა გამცილებლებს და დასასრულ უთხრა:

– მსურს რაიმე გიწყალობოთ. მთხოვეთ...

მაგრამ ქურუმები გულგრილად დუმდნენ, ხოლო მათმა უფროსმა ფარაონს უთხრა:

– მაპატიე, ხელმწიფევ, ეს კადნიერება, მაგრამ რა შეგვეძლო მოგვესურვებინა? ჩვენი ლეღვი და ხურმა ისევე ტკბილია, როგორც შენი ბაღის ხილი და კენკრა, წყალი ისევე კარგია, როგორც შენი ჭის წყალი, ხოლო სიმდიდრე რომ გვიზიდავდეს, განა ჩვენ მეტი არა გვაქვს, ვიდრე ყველა მეფეს?

„არა, ამათ ვერაფრით დავიყოლიებ, – გაიფიქრა ფარაონმა, – მაგრამ... მივცემ ამონის დამტკიცებულ საგანგებო კრების გადაწყვეტილებას“.

თავი მერვე

ფაიუმიდან წამოსვლის შემდეგ ფარაონი თავისი ამალით ორი კვირა მიცურავდა სამხრეთისაკენ ნილოსის აყოლებით; გარს ერტყათ უამრავი ნავი, მათ მხიარული შეძახილებით ესალმებოდნენ და ყვავილებს აბნევდნენ.

მდინარის ორსავე ნაპირას, ამწვანებული მინდვრების ფონზე გამწკრივებული იყო გლეხთა ალიზის ქოხები, ლეღვის ჭალები და პალმების კორომები. ხან იქ, ხან აქ ჩნდებოდა რომელიმე დაბა თუ დიდი ქალაქი ნაირფერი შენობებით და ტაძართა დიდებული პილონებით.

დასავლეთით მკრთალად მოჩანდა ლიბიის მთაგრეხილი, ხოლო აღმოსავლეთით, არაბეთის მთების ჯაჭვი თანდათან უახლოვდებოდა მდინარეს და უფრო ნათლად ჩნდებოდა მისი გადათხრილი, თითქმის შავი, ყვითელი ან ვარდისფერი კლდეები, რომლებიც თავისი სანახაობით დევების ხელით ნაგებ ციხეების თუ ტაძრების ნანგრევებს მოგვაგონებდა.

ნილოსის შუა წელში აქა-იქ პატარა კუნძულები მდებარეობდა, რომლებიც თითქოს მხოლოდ გუშინ ამოტივტივდნენ ზედაპირზე და დღეს კი უხვად იყვნენ დაფარული მცენარეულობითა და ფრინველ-

თა ურიცხვი გუნდებით. როდესაც მათ ფარაონის მოგნიასე კორტეჟი უახლოვდებოდა, ფრინველები შიშით მაღლა აფრინდებოდნენ, ერთ ხანს გემებს თავს. დასტრიალებდნენ, თავის ჟრიამულს ხალხის მძლავრ შეძახილებს უერთებდნენ. ხოლო ყოველივე ამას ზევიდან მოწმენდილი ცა დაჰყურებდა და მზე აფრქვევდა თავის ცხოველმყოფელ სინათლეს, რომლის ღვარში შავ მიწასაც კი რაღაც ელვარე ფერი ედებოდა, ხოლო ქვები ცისარტყელას ფერებით იღებებოდა.

დრო ჩქარა და მხიარულად გადიოდა. პირველად ფარაონს ცოტა არ იყოს აღიზიანებდა განუწყვეტელი ყვირილი, მაგრამ მერე იმდენად შეეჩვია, რომ ყურადღებას უკვე აღარ აქცევდა და შეეძლო დოკუმენტები წაეკითხა, ეთათბირა და დაეძინა კიდეც.

ფაიუმიდან ოცდაათი-ორმოცი მილის დაშორებით მდებარეობს დიდი ქალაქი სიუტი, სადაც რამზესმა რამდენიმე დღე დაისვენა. აქ შეჩერება მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ განსვენებული მეფის მუმია ჯერ კიდევ აბიდოსში იმყოფებოდა, სადაც ოზირისის აკლდამასთან ქურუმები სადღესასწაულო ლოცვებს ასრულებდნენ.

სიუტი ზემო ეგვიპტის ერთ-ერთი ფრიად მდიდარი ქალაქი იყო. აქ ამზადებდნენ თეთრი და შავი თიხის განთქმულ ჭურჭელს და ქსოვდნენ ტილოებს. აქვე იყო მთავარი ბაზარი, სადაც უდაბნოში გაბნეული ოაზისებიდან სურსათ-სანოვაგეს მიეზიდებოდნენ. სიუტში იდგა აგრეთვე ტურისთავიანი ღმერთის ანუბისის განთქმული ტაძარი.

აქ ყოფნის მეორე დღეს ფარაონთან გამოცხადდა ხალხის მდგომარეობის გამომრკვევი კომისიის თავმჯდომარე ქურუმი პენტუერი.

– არის რამე ახალი ამბავი? – შეეკითხა ფარაონი.

– არის. მთელი ეგვიპტე ლოცავს თქვენს უდიდებულესობას. ყველას, ვისაც კი ვესაუბრე, იმედი აქვს, თქვენი „მეფობა ეგვიპტეს ააღორძინებს.

– მე მსურს, – უთხრა ფარაონმა, – ჩემი ქვეშევრდომები ბედნიერი იყვნენ და ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქოს. გულით მინდა ეგვიპტეს, როგორც ოდესღაც, რვამილიონიანი მოსახლეობა ჰყავდეს და უკან დაიბრუნოს უდაბნოს მიერ მოტაცებული მიწა. მსურს, ყველა მიწათმოქმედს მიწის საკუთარი ნაკვეთი გააჩნდეს.

პენტუერი პირქვე დაემხო მოწყალე ფარაონის წინაშე.

– ადექი, – უთხრა რამზესმა. – მაგრამ უნდა გაგიტყდე, რომ ზოგჯერ სასოწარკვეთილებაში ვვარდები. მე ვხედავ ჩემი ხალხის დუხჭირ მდგომარეობას, მინდა დავეხმარო მას და ამ დროს მომახსენებენ, ხაზინა ცარიელიაო. შენ ხომ კარგად იცი, თუ ხელთ რამდენიმე ათეული ათასი ტალანტი არ მექნა, არ შემიძლია რაიმე რეფორმა გავატარო, მაგრამ დღეს დამშვიდებული ვარ, რადგან ლაბირინთიდან საჭირო სახსრების მიღების საშუალება აღმოვაჩინე:

პენტუერმა ფარაონს გაკვირვებით შეხედა.

– საუნჯეთა მცველმა ამიხსნა, რა უნდა გავაკეთო. უნდა მოვიწვიო საერთო კრება ყველა წოდებისა, თითოეულიდან ცამეტ-ცამეტი წარმომადგენელი და, თუ ისინი განაცხადებენ, რომ ეგვიპტე გასაჭირშია, ლაბირინთი მისცემს. მათ განძეულობას... ჰოი, ღმერთებო! – დაუმატა მან. – მარტოოდენ ერთ-ერთი საუნჯით, იქ რომ ინახება, ხალხს წელიწადში ორმოცდაათი დასვენების დღე. შეიძლება მიეცეს!.. ძნელია ამ სიმდიდრის უფრო მეტი სარგებლობით გამოყენების წარმოდგენა.

პენტუერმა თავი გაიქნია:

– მბრძანებელო, ექვსი მილიონი ეგვიპტელი, – უთხრა მან, – და პირველ რიგში მე ჩემი მეგობრებით დავთანხმდებით, რათა გამოიყენო ეს საუნჯენი, მაგრამ... თავს ნუ მოიტყუებ, რადგან სახელმწიფოს ასი უმაღლესი მოხელე ამის წინააღმდეგი იქნება და შენ ვერაფერს მიიღებ.

– მაშ მათ სურთ, მათხოვარივით რომელიმე. ტაძრის კარიბჭესთან სამოწყალოდ ხელი გავიშვირო?.. – აღმოხდა ფარაონს.

– არა, – უპასუხა ქურუმმა, – მათ შეეშინდებათ, რაკი, ერთხელაც არის შეეხებიან საუნჯეთსაცავს, მთლად არ დაცარიელდეს. ეჭვს მიიტანენ შენს უერთგულეს მსახურებზე, რომ ისინი მოისურვებენ ეს თავისი მოგების წყაროდ გახადონ. და მაშინ სიხარბე ჩაუჩურჩულებს: „რატომ ჩვენც არ უნდა ვისარგებლოთო?..“ ერთიმეორისადმი უნდობლობა და სიხარბე მათ შორის წინააღმდეგობას გამოიწვევს.

პენტუერს რომ მოუსმინა, ფარაონი დამშვიდდა და გაიღიმა კიდეც.

– თუ ეგ ასეა, როგორც შენ ამბობ, ძვირფასო პენტუერ, მაშინ ნუ გე-

ეჭვება, – უთხრა მან. – ახლა მივხვდი, რისთვის დაადგინა ამონმა ფარაონის ხელისუფლება და რისთვის მიანიჭა მას ზეკაცური ძლიერება. იმისათვის, ჩემო კარგო, რომ ასმა, თუნდაც ფრიად წარჩინებულმა არამზადამ სახელმწიფოს დაღუპვა ვერ შეძლოს.

რამზესი სავარძლიდან წამოდგა და დაუმატა:

– გადაეცი ჩემს ხალხს, მოთმინებით იმუშაოს... უთხარი ჩემს ერთგულ ქურუმებს, ემსახურონ ღმერთებს და შეიცნონ გზები, რომლებსაც სიბრძნისკენ, სამყაროს ამ მზისკენ მივყავართ. ხოლო ურჩსა და საეჭვო დიდებულებს მე თვითონ მოვუვლი. ვაი იმათ, თუ განმარისხეს!

– მბრძანებელო! – მოახსენა ქურუმმა. – მარად შენი ერთგული და მართალი მსახური ვიქნები.

მაგრამ, როდესაც იგი ფარაონს განშორდა, სახეზე დაღვრემილობა ეტყობოდა.

სიუტიდან თხუთმეტი მილის დაშორებით, მდინარის აყოლებით, არაბეთის ყრუ კლდეები თითქოს ნილოსს ებჯინებიან, ლიბიის მთები კი, პირიქით, იმდენად შორდებიან მას, რომ აქ მდებარე ველი ეგვიპტეში ყველა დანარჩენზე თითქმის უფრო განიერია.

ამ ადგილას ერთიმეორის გვერდით მდებარეობდა ორი ფრიად პატივდებული ქალაქი: ტინი და აბიდოსი. იქ დაიბადა მინა, ეგვიპტის პირველი ფარაონი; იქ ასი ათასი წლის წინათ სამარეში ჩაასვენეს ძმის ტიფონ-სეთის მიერ ვერაგულად მოკლული ღმერთის ოზირისის წმიდა სხეული. ბოლოს, იქვე, ამ უდიდესი ამბების მოსაგონრად, მარად დაუვიწყარმა ფარაონმა სეთმა ააგო ტაძარი, რომელიც მლოცველებს ეგვიპტის ყოველი კუთხიდან იზიდავდა. თითოეული ღვთისმოსავი ეგვიპტელი თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა შეხებოდა შუბლით ამ კურთხეულ მიწას. ჭეშმარიტად ბედნიერი იყო ის, ვის მუმიასაც შეეძლო აბიდოსში გამგზავრება და ტაძრის გალავნიდან თუნდაც ცოტა დაშორებით შეჩერება.

რამზეს XII-ის მუმიამ აქ რამდენიმე დღე დაჰყო, ვინაიდან იგი თავისი ღვთისმოსაობით განთქმული მეფე იყო, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ რამზეს XIII-მაც თვისი მეფობა ოზირისის აკლდამის თაყვანისცემით დაიწყო.

სეთის ტაძარი არ ეკუთვნოდა ეგვიპტის არც ყველაზე ძველსა და არც ყველაზე დიდებული ტაძრების რიცხვს, მაგრამ სხვებისგან იგი ეგვიპტური სტილის სიწმინდით განირჩეოდა. რამზეს XIII-ემ ინახულა იგი და უმაღლესი ქურუმის სენის თანხლებით მსხვერპლშეწირვა შეასრულა.

ტაძრის კუთვნილ მიწას სამოცდათხუთმეტი ჰექტარის სივრცე ეკავა: აქ იყო თევზით მდიდარი გუბურები, ყვავილნარი, ხილის ბაღები, ბოსტნები და, ბოლოს ქურუმთა სახლები, უფრო სწორად, სასახლეები. ყველგან ხარობდა პალმები, ლეღვის, ფორთოხლისა და ალვის ხეები და აკაციები, რომლებიც ქმნიდნენ ქვეყნის ოთხი მხარის მიმართულებით გაჭიმულ ხეივანს თუ ნორჩ ჭალებს, სადაც თითქმის ერთნაირი სიმაღლის ხეები იყო გამწკრივებული.

ქურუმების ფხიზელი თვალის მეოხებით აქ მცენარეულობაც კი არაბუნებრივად იზრდებოდა და გეომეტრიული ფიგურების ხელოვნურ ფორმას იღებდა.

პალმები, თაფლინდები, კვიპაროსები და ტვიები, მეომრების მსგავსად, მწკრივებად ან კოლონებად იყო განლაგებული, ყვავილებით აფერადებული ბალახის ხალიჩა უბრალო ხალხს ამ მოლზე ღმერთებისა თუ საღვთო ცხოველების გამოსახულებას წარმოუდგენდა, ხოლო ბრძენს შეეძლო მასში ჰიეროგლიფური ნიშნებით დაწერილი გამოთქმები ამოეკითხა.

ბაღების ცენტრალური ნაწილი წარმოადგენდა სწორკუთხედს, რომელსაც სიგრძე ცხრაასი მეტრი ჰქონდა, სიგანე კი სამასი. ამ სწორკუთხედს საშუალო სიმაღლის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც ერთი ყველასათვის დასანახი დიდი ჭიშკარი და ათზე მეტი საიდუმლო კარი ჰქონდა დატანებული. ჭიშკრით მლოცველები შედიოდნენ ეზოში, რომელიც ქვით იყო მოკირწყლული. ამ ეზოს შუა ადგილას იდგა ტაძარი; ეს იყო სწორკუთხოვანი შენობა, სიგრძე ორმოცდაათი ნაბიჯი ჰქონდა, სიგანე კი ას ორმოცდაათი ნაბიჯი,

ჭიშკრიდან ტაძრამდე ჩამწკრივებული იყო სფინქსები, რომელთაც ლომის ტანი და ადამიანის თავი ჰქონდათ. ისინი ორ მწკრივად იდგნენ, თითოეულ მწკრივში ათ-ათი, და ერთიმეორეს თვალებში მისჩერებოდნენ. მათ შორის გავლა მხოლოდ მაღალი თანამდებო-

ბის პირებს შეეძლოთ.

სფინქსების ხეივნის ბოლოში, ჭიშკრის პირდაპირ აღმართული იყო ორი ობელისკი, რომლებზეც ფარაონ სეთის მთელი ისტორია ეწერა.

ობელისკების იქით მოჩანდა ტაძრის მძიმე ალაყაფის კარი, რომლის ორსავე მხარეს აღმართული იყო მოკვეთილი პირამიდის მინაგვარი, პილონებად წოდებული ორი უზარმაზარი ნაგებობა. ისინი თითქოს ორ ვეება განიერ კოშკს წარმოადგენდნენ, მათი კედლები აჭრელებული იყო სეთის გამარჯვებათა და მსხვერპლშეწირვათა გამომსახველი სურათებით. ამ ალაყაფში გასვლა გლეხებს ეკრძალებოდათ, მხოლოდ მდიდარ მოქალაქეებსა და პრივილეგიური კლასების წარმომადგენლებს ჰქონდათ ამის უფლება. ალაყაფს პერისტილში, ესე იგი მრავალ სვეტზე დაყრდნობილ და ქანდარებით გარემოცულ ეზოში გავყავდით; პერისტილი ათი ათასამდე მლოცველს იტევდა.

აგრეთვე აზნაურთა წოდების პირებს უფლება ჰქონდათ ეზოდან შესულიყვნენ პირველ დარბაზში – ჰიპოსტილში, რომლის ჭერი ორ წყება მაღალ სვეტებს ეყრდნობოდა. ჰიპოსტილში დაახლოებით ორი ათასი მლოცველი დაეტეოდა. იგი უკანასკნელი მიჯნა იყო, რომელსაც ერისკაცები ვერ გასცილდებოდნენ. თვით ფრიად მაღალი თანამდებობის მოხელეებს, რომლებიც ქურუმებად არ იყვნენ ნაკურთხი, შეეძლოთ მხოლოდ აქ ელოცათ და აქედან ეცქირათ ღმერთის ფარდაჩამოფარებული ქანდაკებისთვის, რომელიც „ღვთაებრივი გამოცხადების“ დარბაზში იყო აღმართული.

„გამოცხადების“ დარბაზის იქით „სამსხვერპლო მაგიდების“ დარბაზი იყო, სადაც ქურუმები მორწმუნეთა მიერ ღმერთისადმი მიძღვნილ შესაწირავთ აგროვებდნენ. ამის გვერდით მდებარეობდა „განსვენების ოთახი“, სადაც საზეიმო მსვლელობის დაწყების წინ და იქიდან დაბრუნების შემდეგ ღმერთი ისვენებდა; სულ ბოლოს იყო ეკვდერი თუ საკურთხეველი, სადაც ღმერთი მუდმივ იმყოფებოდა.

საკურთხეველშ რომელიც ჩვეულებრივ ქვის ლოდისაგან იყო გამოკვეთილი, სიბნელე და სივიწროვე იყო. მას ყოველი მხრიდან ასეთივე პატარა მინაშენები ეკვროდა, რომლებშიც ღმერთის ტანსაცმე-

ლი, ჭურჭლეულობა და განძეულობა ინახებოდა, ვინაიდან ღმერთს აქ, თავის მიუვალ თავშესაფარში ეძინა, პირს იბანდა, ნელსაცხებელთ იცხებდა, სვამდა ჭამდა და, იქნებ იღებდა კიდეც ახალგაზრდა ლამაზ ქალებს.

საკურთხეველში მხოლოდ უმაღლესი ქურუმი შედიოდა, გვირგვინოსანი ფარაონი კი იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაკურთხი იყო ქურუმის ხარისხში. თუ იქ ჩვეულებრივი მოკვდავნი ფეხს შედგამდნენ, შეიძლებოდა სიცოცხლეს გამოსალმებოდნენ.

თითოეული დარბაზის კედლები და სვეტები წარწერებითა და განმმარტებელი მხატვრობით იყო დაფარული. პერისტილის გარშემო მდებარე ქანდარაზე აღბეჭდილი იყო სახელი. და პორტრეტი ყველა ფარაონისა, ეგვიპტის პირველი მბრძანებელი მინადან დაწყებული, რამზეს XII-მდე. ჰიპოსტილში, სადაც შესვლა მხოლოდ აზნაურთა წოდების პირთ შეეძლოთ, წარმოდგენილი იყო ეგვიპტისა და დაპყრობილი ხალხების გეოგრაფია და სტატისტიკა; „გამოცხადების დარბაზში“ ყურადღებას იპყრობდა კალენდარი და ასტრონომიული რუკები; „განსვენებისა“ და „სამსხვერპლო მაგიდების“ დარბაზებში – სარწმუნოებისა და წეს-ჩვეულებათა ამსახველი სურათები, ხოლო საკურთხეველში – დარიგებანი, თუ როგორ შეიძლება საიქაო აჩრდილთა გამოწვევა და ბუნების ძალთა მართვა.

ეს უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი ცნობები ისეთი რთული გამოთქმებით იყო გადმოცემული, რომ ისინი რამზეს XII-ის ეპოქის ქურუმებსაც კი არ გაეგებოდათ, მხოლოდ ქალდეველმა ბეროესმა შეძლო აღედგინა ეს მომაკვდავი სიბრძნე.

აბიდოსის სამეფო სასახლეში რამზეს XIII-მ ორი დღე დაისვენა და მერე ტაძარში წავიდა. ფარაონს ტანთ ეცვა თეთრი პერანგი, ოქროს ჯაჭვკურტაკი, ნარინჯისა და ლურჯზოლებიანი წინსაფარი, ეკიდა ფოლადის მახვილი და თავს ეხურა. ოქროს მუზარადი. იგი ჩაჯდა ეტლში, რომელშიც სირაქლემას ფრთებით მორთული ცხენები იყო შებმული; ცხენები აღვირში ხელჩაკიდებით მიჰყავდათ ნომარქოსებს, და, ამგვარად, ამალით გარემოცული რამზესი ნელი ნაბიჯით გაემართა ოზირისის სახლისაკენ.

საითაც კი გაიხედავდა ფარაონი, ყველგან. მინდვრებში, მდინა-

რეზე, სახლების სახურავებზე, თვით ლეღვების ტოტები ზეც კი ხალხს მრავლად მოეყარა თავი და განუწყვეტლივ გაისმოდა ხმაური, რომელიც გრიგალის ღმუილს მოგვაგონებდა.

ტაძარს რომ მიუახლოვდა, ფარაონმა ეტლი გააჩერა და გარეთა ჭიშკართან ჩამოვიდა, რაც მეტად მოეწონა ხალხს და ქურუმებიც გაახარა; მან ფეხით გაიარა სფინქსების ხეივანი და წმიდა მამების მისალმების მოსმენის შემდეგ საკმეველი უკმია სეთის მჯდომარე ქანდაკებებს, რომლებიც ჩამწკრივებული იყვნენ განიერი ალაყაფის ორსავე მხარეს.

პერისტილში უმაღლესმა ქურუმმა რამზესის ყურადღება ფარაონების ოსტატურად შესრულებულ სურათებს მიაპყრო და მისი გამოსახულებისათვის განკუთვნილი ადგილიც უჩვენა. ჰიპოსტილში მან ახალგაზრდა ფარაონს გეოგრაფიული რუკებისა და სტატისტიკური ცხრილების მნიშვნელობა განუმარტა. „ღვთაებრივი გამოცხადების“ დარბაზში რამზესმა ოზირისის უზარმაზარ კერპს საკმეველი უკმია; იქვე უმაღლესმა ქურუმმა ცალკეული პლანეტების – მერკურის, ვენერას, მთვარის, მარსის, იუპიტერისა და სატურნისადმი შეწირული სვეტები უჩვენა. ეს შვიდი სვეტი სხივმოსილი ღვთაების კერპის გარშემო იდგა.

– შენ ამბობ, – შეეკითხა რამზესი, – რომ ექვსი პლანეტა არსებობს, მე კი აქ შვიდ სვეტსა ვხედავ?

– ეს მეშვიდე მიწას წარმოადგენს, რომელიც აგრეთვე პლანეტაა, – ხმადაბლა უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა.

გაოცებულმა ფარაონმა განმარტება მოითხოვა, მაგრამ ბრძენი დუმდა და მიმიკით ანიშნა, უფრო ვრცელი განმარტებისათვის ბაგე დახშული მაქვსო.

„სამსხვერპლო მაგიდების“ დარბაზში გაისმა წყნარი, სასიამოვნო მუსიკა, რომელსაც ქურუმებისა და ქურუმქალთა გუნდმა საზეიმო ცეკვა ააყოლა. ფარაონმა მოიხადა თავისი ოქროს მუზარადი და ძვირფასი ჯაჭვკურტაკი და ერთიც და მეორეც ოზირისს შესწირა, თან მოითხოვა, რომ ეს ნივთები ლაბირინთში კი არ გადაეტანათ, არამედ აქვე ღმერთის საუნჯეთსაცავში შეენახათ.

ასეთი გულუხვი შესაწირავის სამაგიეროდ ქურუმმა მბრძანებელს

გუნდის ყველაზე ტურფა თხუთმეტი წლის მოცეკვავე ქალიშვილი აჩუქა, რომელიც, ჩანდა, ფრიად კმაყოფილი დარჩა თავისი ბედით.

როდესაც ფარაონი „განსვენების დარბაზში“ შევიდა, ტახტზე დაჯდა, ხოლო უმაღლესი ქურუმი სენი საკრავთა ხმებზე, საკმეველის კვამლით გარემოცული, საკურთხეველში შევიდა, რათა იქიდან ღმერთი გამოესვენებინა.

მალე ზარების გამაყრუებელი რეკა გაისმა და ნახევრად დაბნელებულ დარბაზში ოქროს ნავი გამოჩნდა; ის დახურული იყო კრეტსაბმელით, რომელიც ისე ირხეოდა, თითქოს იქ ცოცხალი არსება მჯდარიყოს.

ქურუმები პირქვე დაემხვნენ, რამზესი კი გულდასმით უკვირდებოდა გამჭვირვალე ფარდებს. ერთი მათგანი ოდნავ აიხადა და ფარაონმა არაჩვეულებრივი სილამაზის ბავშვი დაინახა, რომელმაც ისეთი ჭკვიანი თვალებით შეხედა, რომ ეგვიპტის მბრძანებელს შეეშინდა კიდეც.

– აი ჰორი, – ჩურჩულებდნენ ქურუმები, – ჰორი – ამომავალი მზე, იგი შვილია და მამა ოზირისისა და ქმარი თავისი დედისა, ეს უკანასკნელი კი მისი დაა!

დაიწყო პროცესია, მაგრამ მხოლოდ ტაძრის შიგნითა ნაწილში, წინ მოდიოდნენ ქნარზე დამკვრელი და მოცეკვავე ქალები, შემდეგ თეთრი ხარი, რომელსაც რქებს შორის ოქროს ფარი უბრწყინავდა, მის უკან ქურუმთა ორი გუნდი, მერე უმაღლესი ქურუმები ღმერთებს მიასვენებდნენ, შემდეგ – კვლავ გუნდები და ბოლოს ფარაონი ტახტრევანით, რომელსაც რვა ქურუმი მიეზიდებოდა.

როდესაც პროცესიამ ტაძრის ყველა დარბაზი და ქანდარა შემოიარა, ღმერთი და რამზესი განსვენების დარბაზში დაბრუნდნენ. კრეტსაბმელი, რომელიც წმიდა ნავს ფარავდა, ისევ ოდნავ აიხადა, და მშვენიერმა ბავშვმა ფარაონს გაუღიმა. შემდეგ ნავი და ღმერთი სენმა საკურთხეველში შეასვენა.

„ხომ არ გავხდე მეც უმაღლეს ქურუმი?“ – გაიფიქრა რამზესმა, რომელსაც ისე მოეწონა ბავშვი, რომ მისი ხშირად ნახვის სურვილი აღეძრა.

მაგრამ, როდესაც ტაძრიდან გამოვიდა და კვლავ იხილა მზე და

მხიარული ხალხის ურიცხვი ბრბო, გულში აღიარა, რომ არაფერი არ გაეგება. საიდან გაჩნდა ეს ბავშვი, რომელიც ეგვიპტელ ყრმებს არ ჰგავს, საიდანაა მის თვალებში ეს ზეკაცური ჭკუა და რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

უცებ მოაგონდა თავისი ვერაგულად მოკლული ვაჟი, რომელიც შეიძლება ასეთივე ლამაზი ყოფილიყო, და ეგვიპტის მბრძანებელი ასი ათასი ქვეშევრდომის თვალწინ ატირდა.

– ირწმუნა... ირწმუნა ფარაონმა... – დაიწყეს ჩურჩული ქურუმებმა. – როგორც კი ოზირისის სავანეში შევიდა, მისი გული მოლბა...

იმავე დღეს ერთი ბრმა და ორი დამბლადაცემული, რომლებიც ტაძრის ზღუდესთან ლოცულობდნენ, განიკურნენ. ქურუმთა საბჭომ გადაწყვიტა, ეს დღე სასწაულთა დღეების რიცხვში შეეტანათ და ტაძრის გარეგან კედელზე, აცრემლებული ფარაონისა და განკურნებულ ხეიბართა სურათები დაეხატათ.

შუადღე უკვე გადასული იყო, როდესაც რამზესი სასახლეში დაბრუნდა. აქ მოხსენებები მოისმინა. როდესაც ყველა დიდებული წავიდა, ფარაონს თუტმოსი ეახლა და მოახსენა:

– ქურუმ სამონტუს სურს გამოგიცხადოს თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობა.

– კარგი, შემოიყვანე.

– იგი უმორჩილესად გთხოვს, ხელმწიფევ, მიიღო სამხედრო ბანაკის კარავში, რადგან მარწმუნებს, სასახლის კედლებს ყური აქვსო...

– მაინტერესებს, რა სურს? – თქვა ფარაონმა და აცნობა კარისკაცებს, ღამეს ბანაკში გავატარებო.

მზის ჩასვლის წინ ფარაონი თუტმოსის თანხლებით თავის ერთგულ ლეგიონებთან წავიდა და იქ ბანაკში სამეფო კარავი მონახა, რომელსაც, თუტმოსის ბრძანებით აზიელები გუშაგობდნენ. გვიან საღამოს ფარაონთან მლოცველის ლაბადაში გახვეული სამონტუ გამოცხადდა და მოკრძალებითი მისალმების შემდეგ ჩაიჩურჩულა:

– ვგონებ, მთელ გზაზე ჩემს უკან ვიღაც კაცი მოდიოდა, რომელიც შენი ღვთაებრივი კარავის მახლობლად შეჩერდა, იქნებ ქურუმების მოგზავნილია?..

რამზესის ბრძანებით, თუტმოსი გამოიჭრა და მართლაც ვიღაც უც-

ხო ოფიცერი შეამჩნია.

– ვინა ხარ? – შეეკითხა იგი.

– მე ვარ ენანა, იზიდას ლეგიონის ასისთავი... უბედური ენანა. არ გახსოვარ? ერთი წლის წინ მანევრებზე მე შევამჩნიე საღვთო სკარაბეები...

– ოჰ, ეს შენა ხარ!.. – გაოცდა თუტმოსი. – კი, მაგრამ შენი ლეგიონი ხომ აბიდოსში არა დგას?

– ბაგენი შენნი ჭეშმარიტების წყაროა. ჩვენ უბადრუკ მიყრუებულ ადგილას ვდგავართ, სადაც ქურუმებმა არხის შეკეთება დაგვაკისრეს, თითქოს ვიღაც გაგრია გლეხები ან ებრაელები ვიყოთ.

– აქ როგორღა გაჩნდი?

– უფროსებს რამდენიმე დღის შვებულება გამოვთხოვე, – უპასუხა ენანამ, – და მოვირბინე, როგორც მოწყურებულმა ირემმა წყაროსთან.

– რა გინდა?

– მინდა ხელმწიფეს შევთხოვო, დამიცვას ქურუმებისაგან, რომლებიც დაწინაურებაზე უარს მეუბნებიან, რადგან ჯარისკაცების ტანჯვას თანავუგრძნობ.

თუტმოსი ჩაფიქრებული დაბრუნდა კარავში და ენანასთან თავისი საუბარი ფარაონს გაუმეორა.

– ენანა?.. – გაიმეორა ფარაონმა. – როგორ არა, მასოვს... მან ბევრი საზრუნავი შეგვიქმნა თავისი სკარაბეებით, თუმცა ხერხჰორის წყალობით ორმოცდაათი ჯოხი კი იგემა. შენ ამბობ, ქურუმებს უჩივისო? აბა, დამიძახე.

ფარაონმა სამონტუს უბრძანა კარვის მეორე განყოფილებაში გასულიყო, ხოლო თავისი ფავორიტი ენანას მოსაყვანად გაგზავნა.

ასისთავი პირქვე დაემხო, მერე კი მუხლებზე დადგა და ოხვრით თქვა:

– ყოველდღე – ამოსვლისა და ჩასვლის ჟამს ვევედრები. რაჰორახტეს, ამონსაც, რასაც, პტასაც და სხვა ღმერთებსა და ქალღმერთებს, რათა შენ, ეგვიპტის მბრძანებელო, ჯანმრთელად გამყოფონ! რათა ცოცხლობდე! რათა ყოველ საქმეში წარმატება გიძღვოდეს, ხოლო მე კი შემეძლოს თუნდაც შენი ფერხთა ნატერფალი მაინც ვიხილო[1].

---

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

– რა უნდა? – შეეკითხა თუტმოსს ფარაონი, რომელიც პირველად იცავდა ეტიკეტს.

– ხელმწიფე გეკითხება, რა გინდაო? – მიმართა თუტმოსმა.

გაიძვერა ენანა, რომელიც ისევ მუხლზე იდგა, თუტმოსისაკენ მიტრიალდა:

– შენ თვალი და ყური ხარ მბრძანებელისა, – დაიწყო მან, – რომელიც ჩვენ სიცოცხლესა და შვებას გვანიჭებს, და მე ისე გიპასუხებ, ვით ოზირისის სამსჯავროს წინაშე მდგომი. ათი წელია ვმსახურობ ღვთაებრივი იზიდას ქურუმთა ლეგიონში. ექვსი წელი ვომობდი აღმოსავლეთ საზღვრებზე. ჩემი თანატოლები უკვე პოლკოვნიკები გახდნენ, მე კი ჯერ ისევ ასეულის მეთაური ვარ, და ღვთისმოსავ ქურუმთა ბრძანებით მუდამ მცემენ. საკითხავია, რისთვის მჩაგრავენ ასე? დღისით მხოლოდ წიგნებზე ვფიქრობ, ხოლო ღამით ვკითხულობ, რადგან უგუნური, რომელიც ისეთივე სისწრაფით თავს ანებებს წიგნებს, როგორითაც შველი გარბის, ჰგავს ვირს, რომელსაც სცემენ, ჰგავს ყრუს, რომელსაც ყურთ არ ესმის და მიმიკით ელაპარაკებიან. ცოდნისადმი ასეთი სიყვარულის მიუხედავად, თავს არ ვიქებ ჩემი სწავლულობით და ყველას რჩევას ვეკითხები, რადგან თითოეულისაგან შეიძლება რამე ვისწავლო, დიდად პატივცემულ ბრძენთ კი – მოკრძალებით ვეპყრობი!..

ფარაონი მოუთმენლად იჭმუხნებოდა, მაგრამ მაინც უსმენდა, რადგან იცოდა, რომ ეგვიპტელი გრძელ სიტყვას თავის მოვალეობად და უფროსებისადმი მოკრძალების უმაღლეს გამოხატულებად თვლიდა.

– მე აბეზარი არა ვარ და დაუპატიჟებლად არ შევდივარ სხვის სახლში. რასაც ჩემი თვალები დაინახავს, მასზე ვდუმვარ, რადგან ვიცი, რომ ადამიანები ყურს არ ათხოვებენ იმათ, ვინც ბევრს ლაქლაქებს. სიბრძნე გვასწავლის, რომ ადამიანი ნაირ-ნაირი პასუხით სავსე საკუჭნაოს მიაგავს. ამიტომ მე ყოველთვის კარგად შერჩეულ პასუხს ვიძლევი, ხოლო ცუდი – ჩაკეტილში მაქვს. სხვის ცილისწამებას არ ვიმეორებ, ხოლო რაც შეეხება დავალებებს, მათ რაც შეიძლება უკეთესად ვასრულებ[1].

---

[1] ცხოვრების სიბრძნის ძველეგვიპტური წესები (ავტ. შენიშ.).

– მაგრამ რას მაძლევენ ყოველივე ამისათვის? .. – ხმამაღლა დაამთავრა ენანამ. – ვშიმშილობ, ძონძებში დავდივარ და, უზომოდ ნაცემი, ზურგზე ვერ ვწვები. წიგნებში ვკითხულობ, რომ ქურუმთა კასტა მამაცობასა და კეთილგონიერებას აჯილდოებსო. ალბათ, ასეც იყო ოდესღაც, მაგრამ, უთუოდ, ერთობ დიდი ხნის წინათ, რადგან ამჟამად ქურუმებმა კეთილგონიერებას ზურგი შეაქციეს, ხოლო მამაცობასა და ღონეს ისინი ოფიცრებისაგან ჯოხებით გამობერტყავენ...

– ამას თუ ვუსმინე, დამეძინება, – ჩაულაპარაკა ფარაონმა თუტმოსს.

– ენანა! – მიმართა მთხოვნელს თუტმოსმა, – შენ დაარწმუნე ფარაონი, რომ კარგი ნაკითხი ხარ. ახლა კი მოკლედ თქვი, რა გინდა?

– ისარი ისე ჩქარა ვერ მიფრინდება მიზანთან, როგორც ჩემი თხოვნა მიაღწევს ხელმწიფის ღვთაებრივ ფეხებამდე, უპასუხა ენანამ. – შე იმდენად მომბეზრდა გაპარსულთავიანებთან სამსახური, ისეთი ღველით ამივსეს გული ქურუმებმა, რომ მზად ვარ ვიყო თუნდაც ათმეთაური, უბრალო ჯარისკაცი, ვიდრე ქურუმთა ლეგიონში ასეულის მეთაური. ღორს ან ძაღლს შეუძლია ემსახუროს მათ, მაგრამ არა ღვთისმოსავ ეგვიპტელს!..

უკანასკნელი სიტყვები ენანამ ისეთი გაშმაგებული სიცხარით წარმოთქვა, რომ ფარაონმა თუტმოსს ბერძნულად უთხრა:

– მიიღე გვარდიაში, მეთაური, რომელსაც ქურუმები არ უყვარს, შეიძლება გამოგვადგეს.

ორივე ქვეყნის მეუფემ მიბრძანა, შენ მის გვარდიაში ჩაგრიცხო, – გაიმეორა თუტმოსმა.

– ჩემი ჯან-ღონე და სიცოცხლე ჩვენს მბრძანებელ რამზესს ეკუთვნის – მარად ცოცხლობდეს იგი! – წამოიძახა ენანამ და ფარაონის ფეხებთან გაშლილ ნოხს ეამბორა.

ვიდრე გაბედნიერებული ენანა უკუსვლით გადიოდა კარვიდან, წამდაუწუმ პირქვე ემხობოდა და მბრძანებელს ლოცავდა, ფარაონმა თუტმოსს უთხრა:

– მისი ლაყბობისაგან ყელში ქავილი ამიტყდა. უეჭველად უნდა ვასწავლო ეგვიპტელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი მოკლედ და არა როგორც სწავლულმა მწერლებმა.

– მას რომ მხოლოდ ეს ერთი ნაკლი ჰქონდეს. – რაიჩურჩულა თუტმოსმა, რომელზეც ენანამ არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

ფარაონმა უბრძანა სამონტუ იხმეო.

– დამშვიდებული ბრძანდებოდე, – უთხრა რამზესმა ქურუმს, – მეთაური, რომელიც უკან მოგდევდა, შენ არ გითვალთვალებდა. ის მეტად ბრიყვია იმისთვის, რათა ამგვარი დავალება შეასრულოს. მაგრამ მაგარი მკლავი აქვს და გაჭირვების ჟამს გამოდგება. ახლა კი მიპასუხე, – დაუმატა ფარაონმა, – რატომ ხარ აგრე ფრთხილი?

– მე თითქმის უკვე ვიცი ლაბირინთის საუნჯეთსაცავის გზა, – უპასუხა სამონტუმ.

ფარაონმა თავი გაიქნია.

– ეს ძნელი საქმეა, – ჩუმად თქვა მან. – მთელ საათს ვტრიალებდი ტალანებსა და დარბაზებში, როგორც თაგვი, რომელსაც კატა მისდევს, და უნდა გაგიტყდე, არათუ ვერ დავიმახსოვრე ის გზა, არამედ ვერასოდეს ვერ გავბედავ მასზე მარტომ გავიარო.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა ვიპოვოთ და ხელში ჩავიგდოთ ის გზა, – განაცხადა სამონტუმ.

– მცველებმა რომ თვითონ გადმოგვცენ საუნჯეთა საჭირო ნაწილი? – ჰკითხა ფარაონმა.

– ისინი ამას არ იზამენ, ვიდრე ცოცხლები არიან ხერიჰორი, ნოფრი და მათი დამქაშები. მერწმუნე, ხელმწიფევ, ამ დიდებულთ მხოლოდ ერთი რამ სურთ – არტახებით შეგკრან, როგორც ბალღი...

ბრაზმორეული ფარაონი გაფითრდა.

– მე თვითონ ჯაჭვით არ შევკოჭო ისინი!.. რანაირად გინდა შენ ეს გზა აღმოაჩინო?..

– აქ, აბიდოსში, ოზირისის სამარხში ვიპოვე საუნჯეთსაცავის გზის სრული გეგმა, – უთხრა ქურუმმა.

– საიდან იცოდი, რომ ის აქ ინახებოდა?

– ეს სეთის ტაძრის წარწერებმა მამცნეს.

– როდის აღმოაჩინე გეგმა?

– როდესაც მამაშენის მარადმსუფევი მუმია ოზირისის ტაძარში ესვენა, – მიუგო სამონტუმ. – მე მივყვებოდი მეფის ცხედარს და, „განსვენების დარბაზში“ ღამით რომ ვმორიგეობდი, საკურთხეველში შე-

ვედი.

– შენ უმაღლესი ქურუმი კი არა, გენერალი უნდა იყო!.. – სიცილით წამოიძახა რამზესმა. მაშ შენთვის უკვე ცნობილია ლაბირინთის გზა?

– ჩემთვის იგი დიდი ხანია ცნობილი იყო, ახლა კი აუცილებელი მითითებებიც შევაგროვე.

– შეგიძლია მეც განმიმარტო?

– სიამოვნებით, საჭირო შემთხვევაში შემიძლია თვით გეგმაც გიჩვენო. იგი იწყება სულ მაღალ სართულში და დაბლა, მიწისქვეშეთში მთავრდება, ამას გარდა, იგი სხვადასხვა ადგილას მრავალ მარყუჟს ქმნის. ამიტომ არის იგი ასე გრძელი.

– როგორ გადახვალ ერთი მრავალკარიანი დარბაზიდან მეორეში?..

– თითოეულ კარზე, რომელსაც მიზნისკენ მივყავართ, აწერია წარმონათქვამის ნაწყვეტი: „ვაი გამცემს, რომელიც შეეცდება უმაღლესი სახელმწიფოებრივი საიდუმლოების შეცნობას და მკრეხელურ ხელს გაიწვდის ღმერთების საკუთრებისაკენ. გვამი მისი ლეშად იქცევა, ხოლო სულს მისას მოსვენება აღარ ეღირსება და უკუნეთში იბორიალებს თვისი ცოდვებით განაწამები...“

– და ეს წარწერა არ გაშინებს?

– შენ თუ გაშინებს, ხელმწიფევ, ლიბიური შუბის დანახვა? მუქარა ბრბოსთან გაჭრის, მაგრამ ჩემთან ვერა, რადგან მე თვითონ უფრო მრისხანე კრულვის დაწერა შემიძლია.

ფარაონი ჩაფიქრდა.

– მართალი ხარ, – უთხრა მან, – ვისაც აცილება ემარჯვება, მას შუბი ვერ შეაშინებს და ვერც ყალბი გზა შეაცდენს ბრძენს, თუ მან ჭეშმარიტების ენა იცის... მაგრამ, როგორ უნდა აიძულო კედლებში დატანებული ქვები გაიწიოს, ან სვეტები კარივით გაიღოს, რათა წინ გაგიშვას.

სამონტუმ უსიამოვნოდ აიჩეჩა მხრები.

– ჩემს ტაძარშიც, – უპასუხა ქურუმმა, – ბევრია საიდუმლო შესასვლელი, რომლებიც უფრო ძნელი გასახსნელია, ვიდრე ლაბირინთში. ვინც საიდუმლო ენა იცის, ის ყველგან გაძვრება, ამაში მართალი ბრძანდები..

ფარაონმა თავი ხელებზე ჩამოდო და დიდხანს იჯდა რაღაცაზე დაფიქრებული.

– გული დამწყდება, – უთხრა მან, – რომ შენ ამ გზაზე რაიმე ხიფათს გადაეყარო.

– უკიდურეს შემთხვევაში, იქ სიკვდილს შევეყრები. მაგრამ განა სიკვდილი ფარაონებსაც არ ემუქრება?.. შენ ხომ თავად გაბედულად მიდიოდი სოდიანი ტბებისკენ, თუმცა დარწმუნებული არ იყავი, რომ უკან დაბრუნდებოდი. ნუ იფიქრებ, ხელმწიფევ, – განაგრძობდა ქურუმი, – რომ მთელი იმ გზის გავლა მომიხდება, რომელსაც ლაბირინთის მნახველები გაივლიან. მე მოვნახავ უმოკლეს გზას და ლაბირინთში უფრო ადრე შევალ, ვიდრე შენ ოზირისისადმი ლოცვას აღავლენ.

– განა იქ სხვა გამოსასვლელებიც არსებობს?

– უეჭველად უნდა მოვნახო ისინი; მე ხომ შენსავით დღისით ან მთავარი შესავალით არ შევალ იქ.

– აბა როგორ?

– გარეგან კედელში მრავალი ფარული შესასვლელია, რომლებიც მე ვიცი და რომელთაც ბრძენი დარაჯები არასოდეს არ იცავენ... ეზოში ღამით დარაჯები ცოტაა და ღმერთების მფარველობისა და ბრბოს მხრივ შიშის იმდენად დიდი იმედი აქვთ, რომ მეტწილად სძინავთ... ამას გარდა, მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე ქურუმები ტაძარში სამჯერ მიდიან სალოცავად, ჯარისკაცები კი ღია ცისქვეშ ასრულებენ სარწმუნოებრივ წესებს. ისინი ლოცვის დამთავრებას ვერც კი მოასწრებენ, რომ მე უკვე შენობაში ვიქნები.

– გზა რომ აგერიოს?

– ხელთ გეგმა მექნება.

– გეგმა რომ ყალბი აღმოჩნდეს? – აშკარა შეშფოთებით შეეკითხა ფარაონი.

– მაგრამ შენ რომ ლაბირინთის საუნჯენი ვერ მიიღო?.. ფინიკიელებმა რომ გადაიფიქრონ და დაპირებული სესხი არ მოგცენ?.. შენი მეომრები დაიმშნენ და ხალხს რომ იმედები გაუცრუვდეს?.. მერწმუნე, ხელმწიფევ. მე უფრო უშიშროებაში ვიქნები ლაბირინთის ქანდარაზე, ვიდრე შენ შენს სახელმწიფოში.

– კი, მაგრამ სიბნელე... სიბნელე!.. და კედლები, რომელთა განგრევა შეუძლებელია! სიღრმეც, და ეს ასობით გზა, სადაც განა შეიძლება არ დაიბნე? მენდე, სამონტუ, ადამიანებთან ბრძოლა თამაშია, ეს სიბნელესა და საიდუმლოებასთან ბრძოლა როდია!

სამონტუმ გაიღიმა.

– შენ, ხელმწიფევ, – უთხრა მან, – არ იცნობ ჩემს ცხოვრებას... ოცდახუთი წლისა ვიყავი, როდესაც უკვე ოზირისის ქურუმი გახლდი...

– შენ? – გაოცებით შეეკითხა რამზესი.

– დიახ, მე. ნება მიბოძე გიამბო. შემდეგ რატომ გადავედი სეთის სამსახურში. მე გამაგზავნეს სინას ნახევარკუნძულზე, რათა იქ სამთამადნო მუშებისათვის პატარა ტაძარი ამეგო. მშენებლობა ექვსი წელი გაგრძელდა, რადგან თავისუფალი დრო ბევრი მქონდა, დავეხეტებოდი მთებზე და იქაურ გამოქვაბულებს ვათვალიერებდი. რა არ ვნახე იქ!.. გრძელზე გრძელი ტალანები, რომლებსაც რამდენიმე საათშიც კი ვერ გაივლი; ვიწრო გასასვლელები, რომლებშიც მუცელზე ხოხვით ძვრებოდნენ; ისეთი უზარმაზარი გამოქვაბულები, რომ თითოეულ მათგანში მთელი ტაძარი დაეტეოდა. ვნახე მიწისქვეშა მდინარეები და ტბები, ბროლის სასახლეები, ღამესავით ბნელი მღვიმეები, რომლებშიც თვალთან თითს ვერ მიიტან, ანდა, პირიქით, ისეთი ნათელი, თითქოს მათში მეორე მზე ანათებსო.. ამგვარი ხეტიალის დროს რამდენჯერ დამკარგვია გზა, რამდენჯერ ჩამქრობია ჩირაღდანი, რამდენჯერ ჩავგორებულვარ ჩემს წინ გაპობილ უფსკრულში!.. მომხდარა, რომ მიწის ქვეშ რამდენიმე დღე გამიტარებია, მიჭამია მოხალული ქერი და ენით ამილოკავს სველი კედლების სინესტე, ხშირად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ უკან დავბრუნდებოდი და კვლავ ვიხილავდი დღის სინათლეს, სამაგიეროდ დიდი გამოცდილება შევიძინე და შევიყვარე კიდეც ეს საშინელი ხეობები. ახლა, როდესაც დავფიქრდები ლაბირინთის სათამაშოს მინაგვარ ფარულ ადგილებზე, ძალაუნებურად მეცინება. ადამიანთა ხელით ნაგები შენობები თხუნელას სოროებია იმ უზარმაზარ ნაგებობებთან შედარებით, რომლებიც მიწის ჩუმი და უხილავი ძალების მიერ არის აღმართული. ერთხელ ისეთი საშინელი რამ ვიხილე, რამაც სხვა ღმერთისადმი სამსახური მაიძულა. სინას მაღაროების დასავლეთით მდებარეობს

მთის კვანძი, სადაც ხეობებში ხშირად გაისმის მიწისქვეშა ჭექა-ქუხილი, მიწა ზანზარებს და ზოგჯერ ალი ამოვარდება. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და იქითკენ გავემართე, რათა შორს წავსულიყავი. ერთი ოდნავ შესამჩნევი ნაპრალის შემწეობით უზარმაზარი გამოქვაბულების მთელი ქსელი აღმოვაჩინე, რომელთა თაღებქვეშ უდიდესი პირამიდა დაეტეოდა. როდესაც ყოველივე ამას ვათვალიერებდი, ხრწნის ისეთი მძაფრი სუნი მეცა, რომ გაქცევა დავაპირე; მაგრამ როგორც იყო გავუმაგრდი, შევედი იმ გამოქვაბულში, საიდანაც ეს სუნი სცემდა, და დავინახე... წარმოიდგინე, ხელმწიფევ, ადამიანი, რომელსაც ხელები და ფეხები ნახევრად უფრო მოკლე აქვს, ვიდრე ჩვენ, მაგრამ საშინლად მსხვილი, უშნო და ბრჭყალებიანი, ამას მიუმატე განიერი, გვერდებზე შეჭეჭყილი და ზემოდან მამლის ბიბილოსავით დაკბილული კუდი, საშინელი გრძელი კისერი და მასზე ძაღლის თავი. ბოლოს შემომხვდა ურჩხული აბჯრით, რომელსაც ზურგი კაუჭა ეკლებით აქვს დაფარული... ახლა კი წარმოიდგინე, რომ იგი ობელისკის სიმაღლისაა და ფეხზე დგას, ხელებით და მკერდით კლდეზე დაყრდნობილი.

რამზეს XIII-ემ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი.

– სამონტუ, – უთხრა მან, – მე მგონია, შენ სიზმარში დასეირნობდი მაგ გამოქვაბულებში...

– შვილების სიცოცხლეს გეფიცები, ხელმწიფევ, სიმართლეს ვამბობ!.. დიახ, ის ურჩხული უნასის გარსში, ქაცვებიანი აბჯრით, მიწაზე რომ წოლილიყო, კუდთან ერთად ორმოცდაათი ნაბიჯის სიგრძე ექნებოდა... შიშისა და ზიზღის მიუხედავად, რამდენჯერმე დავბრუნდი გამოქვაბულში და ერთობ გულდასმით დავათვალიერე.

– როგორ, ცოცხალი იყო?

– არა, უკვე ლეში იყო, დიდი ხნის წინათ მკვდარი ურჩხულის ლეში, რომელიც ისევე შენახულა, როგორც ჩვენი მუმიები. იგი შეენახა ჰაერის იშვიათ სიმშრალეს თუ მიწაში არსებულ ჩვენთვის უცნობ მარილებს. ეს ჩემი უკანასკნელი აღმოჩენა იყო, – განაგრძობდა სამონტუ, – მერე გამოქვაბულში არასოდეს აღარ შევმძვრალვარ. მაგრამ ამაზე რომ ვფიქრობდი, ჩემს თავს ვეუბნებოდი: ოზირისი აჩენს მსხვილფეხა სულდგმულთ – ლომებს, სპილოებს, ცხენებს... სეთი კი – გველს,

ღამურას, ნიანგს. ურჩხული, რომელიც მე ვნახე, უდავოდ სეთის შექმნილია. მაგრამ რადგანაც იგი ყველაზე უზარმაზარი და საშინელია, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ცის ქვეშ ვხედავთ, მაშასადამე, სეთი ოზირისზე უფრო ძლიერია. ასე ვირწმუნე მე სეთი და, ეგვიპტეში რომ დავბრუნდი, მის ტაძარში დავბინავდი. როდესაც ჩემი აღმოჩენის შესახებ ქურუმებს ვუამბე, მათ განმიცხადეს, ასეთი ურჩხული მრავალი სხვაც გვეგულებაო.

სამონტუმ სული მოითქვა და განაგრძო:

– თუ ოდესმე თქვენი უდიდებულესობა ჩემს ტაძარში მოსვლას ინებებს, მე გიჩვენებთ აკლდამაში მოთავსებულ საოცარსა და საშინელ არსებათ: ღამურასფრთებიანს, ხვლიკისთავა ბატებს, გედების მინაგვარ ხვლიკებს, რომლებიც სიდიდით სირაქლემას აღემატებიან, სამჯერ უფრო გრძელ ნიანგებს, ვიდრე ნილოსის ნიანგია, ძაღლის ტოლა ბაყაყს... ზოგი მათგანი მუმიაა, ზოგიც გამოქვაბულში ნაპოვნი და ჩვენს აკლდამებში შენახული ჩონჩხი. ხალხი ფიქრობს, ჩვენ ამ ურჩხულებს თაყვანსა ვცემთ, ნამდვილად კი მათს აგებულებას ვიკვლევთ და გახრწნისაგან ვიცავთ.

– შენს ნათქვამს, – უპასუხა ფარაონმა, – მხოლოდ მაშინ ვირწმუნებ, როდესაც საკუთარი თვალით ვნახავ, ახლა კი მითხარი, საიდან უნდა გაჩენილიყო გამოქვაბულში მსგავსი ქმნილებები?

– ჩემო ხელმწიფევ, – უპასუხა ქურუმმა, – სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უდიდეს ცვლილებებს განიცდის. თვით ეგვიპტეში ჩვენ ვხვდებით მიწაში ღრმად დაფარული ქალაქების და ტაძრების ნანგრევებს. იყო დრო, როდესაც ქვემო ეგვიპტის ადგილი ზღვის უბეს ეკავა, ხოლო ნილოსი ჩვენი ველის მთელ სიგანეზე მიედინებოდა. კიდევ უფრო ადრე იმ ადგილას, სადაც ჩვენი სახელმწიფო მდებარეობს, ზღვა იყო, ხოლო ჩვენი წინაპრები ამჟამად დასავლეთ უდაბნოს მიერ მიტაცებულ მხარეში ბინადრობდნენ. ამასთან ათეული ათასი წლის წინათ დედამიწაზე ისეთი ადამიანები კი არ ცხოვრობდნენ, როგორიც ჩვენა ვართ, არამედ მაიმუნის მსგავსი არსებანი, რომელთაც იცოდნენ კარვების აგება, ცეცხლის შენახვა და კეტებითა და ქვებით ჩხუბი, იმ დროს არც ცხენები, არც ხარები არ არსებობდნენ, ხოლო სპილოები, მარტორქები და ლომები სიდიდით სამჯერ თუ ოთ-

ხჯერ აღემატებოდნენ ახლანდელს. მაგრამ არც უდიდესი სპილოებია ამ საოცარ ცხოველთა შორის უძველესი. მათზე ადრე არსებობდნენ უზარმაზარი გველეშაპები, რომლებიც ფრინავდნენ, ცურავდნენ და ხმელეთზეც დაცოცავდნენ. გველეშაპებამდე კი დედამიწაზე იყვნენ ლოკოკინები და თევზები, მათზე წინ – მხოლოდ ისეთი მცენარეები, რომლებიც ახლა უკვე აღარ მოიპოვებიან...

– კიდევ უფრო ადრე? - შეეკითხა რამზესი.

– უფრო ადრე კიდევ დედამიწა ცარიელი და უკაცრიელი იყო და ღვთის სული ვიდოდა წყალზე[1].

– მსგავსი რამ მეც მსმენია, მაგრამ ვერ დავიჯერებ, ვიდრე იმ ურჩხულების მუმიებს არ მიჩვენებ, რომლებიც, როგორც შენ თქვი, თქვენს ტაძარშია დაცული.

– თუ ნებას მიბოძებ, დავამთავრებ ჩემს მოთხრობას, – უთხრა სამონტუმ. – ამრიგად, როდესაც სინას გამოქვაბულში ამ ურჩხულის ლეში ვნახე, შიშმა ამიტანა და რამდენიმე წლის განმავლობაში ვერც ერთ გამოქვაბულში შესვლას ვეღარ ვბედავდი. მაგრამ მას შემდეგ, რაც სეთის ქურუმებმა ამიხსნეს საიდან გაჩნდნენ ეს ამ ცნობისმოყვარეობა აღმეძრა. და ახლა ჩემთვის იმაზე უფრო სასიამოვნო გასართობი არ არსებობს, ვიდრე გვირაბებში ხეტიალი და სიბნელეში გზის გაკვლევა, ამიტომ ლაბირინთში მოგზაურობა იმაზე მეტ ჯაფას არ მომგვრის, ვიდრე სამეფო ბაღში გასეირნება,

– სამონტუ, – მიმართა ფარაონმა, – დიდად ვაფასებ შენს ზეკაცურ სიმამაცესა და სიბრძნეს. შენ იმდენი საყურადღებო რამ მიამბე, რომ, სიმართლე გითხრა, თავად აღმეძრა სურვილი – ვინახულო ეს გამოქვაბულები და, შესაძლებელია, ოდესმე შენთან ერთად გავემგზავრო სინაზე. მაგრამ მაინც მეშინია, რომ ვერ მოახერხებ ლაბირინთში შესვლას, ამიტომ ყოველ შემთხვევაში მოვიწვევ ეგვიპტელთა საბჭოს, რომელიც ლაბირინთის საუნჯეთა გამოყენების უფლება მომანიჭებს.

– ეს ხელს არ შეგვიშლის, – უპასუხა ქურუმმა, – მაგრამ ჩემი ღონის-

[1] ეგვიპტის ცოდნა პალეონტოლოგიისა და გეოლოგიის დარგში, აგრეთვე ანთროპოლოგიასა და არქეოლოგიაში ავტორის მიერ დიდად გაზვიადებულია. ფრაზა „დედამიწა ცარიელი და უკაცრიელი იყო“ ბიბლიიდან არის ნასესხები.

ძიებები ზედმეტი არ იქნება, რადგან საეჭვოა, რომ ხერიჰორი და ნოფრი საუნჯეთა გადმოცემაზე დათანხმდნენ.

– მაგრამ შენ დარწმუნებული ხარ, რომ გაიმარჯვებ?.. – დაჟინებით ჩააცივდა ფარაონი.

– იმ დროიდან, რაც ეგვიპტე არსებობს, – არწმუნებდა მას სამონტუ, – არ ყოფილა ადამიანი, რომელსაც ამ ბრძოლაში, რომელიც მე ბრძოლად კი არა – გასართობად მიმაჩნია, გამარჯვების იმდენი საშუალება ჰქონოდეს, რამდენიც მე. ზოგიერთს სიბნელე აშინებს, მე კი იგი მიყვარს და მხედველობის უნარსაც არ ვკარგავ; სხვებს დარბაზებისა და ქანდარების ანფილადაში ორიენტირება არ ეხერხება, ჩემთვის კი ეს ადვილი საქმეა; ზოგიერთმა ფარული შესასვლელების საიდუმლოება არ იცის, მე კი მასში კარგად ვერკვევი. რომც არ ვიცოდე ამაზე მეტი, რაც ჩამოვთვალე, მაშინაც კი ერთი-ორი თვის განმავლობაში მოვნახავდი ლაბირინთის გზას. მაგრამ ამასთანავე ხელთა მაქვს ლაბირინთის შესასვლელების დაწვრილებითი გეგმა და ვიცი სიტყვები, რომლებიც დარბაზიდან დარბაზში გამიყვანენ. მაშ რაღა შემიშლის ხელს?

– მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში ხომ ეჭვობ? ხომ შეგეშინდა იმ მეთაურის, რომელიც, გეგონა, უკან მომდევსო?

ქურუმმა მხრები აიჩეჩა.

– მე არაფრისა და არავისი არ მეშინია, – მშვიდად უპასუხა მან. – ფრთხილი ვარ მხოლოდ, ყველაფერს წინასწარ ვითვალისწინებ და ვინძლო დამიჭირონ, იმ შემთხვევისთვისაც კი მზად ვარ.

– მაშინ საშინელი წამება მოგელის!..

– სრულებითაც არა! მაშინ ლაბირინთის მიწისქვეშეთიდან მარადიული სინათლის ქვეყნისაკენ გამავალ კარს გავაღებ და თავს ვუშველი.

– და არ ინანებ შენს საქციელს?

– არა. მე ხომ თავი მაქვს გადადებული უდიდესი მიზნისათვის: ჩვენს სახელმწიფოში ხერიჰორის ადგილი მინდა დავიკავო...

– გეფიცები, შენი სურვილი შესრულდება.

– თუ არ დავიღუპე. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთის მწვერვალზე ასვლისას უფსკრულთა კიდეებზე მავალს შეიძლება ფე-

ხი დამიცდეს და უფსკრულში გადავიჩეხო?.. შენ, ხელმწიფევ, ჩემს შვილებზე უნდა იზრუნო.

– თუ აგრეა, შეუდექი საქმეს, – უთხრა ფარაონმა. შენ ღირსი ხარ ჩემი პირველი თანაშემწე იყო.

თავი მეცხრე

აბიდოსიდან რამზეს XIII კვლავ ნილოსის აყოლებით გაემგზავრა და ესტუმრა ქალაქებს ტენტირასა და კენეს, რომლებიც თითქმის ერთიმეორის პირდაპირ მდებარეობდნენ, – ერთი ნილოსის აღმოსავლეთ, მეორე კი დასავლეთ ნაპირას. ტენტირაში ორი ღირსშესანიშნავი ადგილი იყო: გუბურა, სადაც საღვთო ნიანგები ყავდათ, და ხატორის ტაძარი, რომელთანაც ქურუმთა უმაღლესი სკოლა არსებობდა. მასში მედიცინას, ასტრონომიას, ღვთისმოსაობის წესებსა და საგალობლებს ასწავლიდნენ.

ფარაონმა ორივე ადგილი ინახულა. იგი აღშფოთდა, როდესაც აიძულეს გუნდრუკი ეკმია საღვთო ნიანგებისათვის, რომლებიც მყრალ და ბრიყვ ქვემძრომებად მიაჩნდა. როდესაც მსხვერპლშეწირვის დროს ერთმა ნიანგმა წყლიდან თავი ამოყო და ტანისამოსზე კბილები ჩაავლო, რამზესმა ისე სთხლიშა თავში ბრინჯაოს საგუნდრუკე, რომ ქვემძრომმა წუთით თვალები დახუჭა და თათები გაჭიმა, მერე უკან დაიხია და წყალში მიიმალა.

– იქნებ მკრეხელობა ჩავიდინე? – შეეკითხა ფარაონი უმაღლეს ქურუმს.

წმიდა მამამ განზე გაიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებაო, და უპასუხა:

– ხელმწიფევ, რომ მცოდნოდა, ასეთ მსხვერპლს შესწირავდი, არა საგუნდრუკეს, არამედ კეტს მოგცემდი ხელში. ეს ნიანგი ყოვლად აუტანელი ქმნილებაა. მთელ ტაძარში - ერთხელ ბავშვი მოიტაცა...

– და შეჭამა?..

– მშობლები კმაყოფილი იყვნენ... – მიუგო ქურუმმა.

– ერთი მითხარი, – შეეკითხა ფარაონი, – როგორ შეგიძლიათ თქვენ, ჭკვიან ადამიანებს, თაყვანი სცეთ ცხოველებს, რომლებსაც,

როცა ამას არავინ ხედავს, მზად არიან თავში კეტი ურტყან?..

როცა უმაღლესი ქურუმი კვლავ დარწმუნდა, რომ მახლობლად არავინ იყო, უპასუხა:

– ვიმედოვნებ, მბრძანებელო, ეჭვი არ შეგეპარება, რომ ადამიანებს, რომლებიც ერთ ღმერთს აღიარებენ, ცხოველების სიწმინდე სწამთ... ის, რაც კეთდება, კეთდება ბრბოსთვის... ხარი აპისი, რომელსაც ქურუმები თითქოს თაყვანსა სცემენ, მთელ ეგვიპტეში ულამაზესი ხარია და ჩვენებური საქონლის ჯიშის შემნახველი, ძენძერუკები და ყარყატები ჩვენს მინდვრებს ლეშთაგან წმენდენ. კატები თაგვებს სპობენ და ამგვარად პურის მარაგს გვინახავენ, ხოლო ნიანგებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ნილოსში წყალი კარგია, მაშინ როდესაც უმათოდ ის მოგვწამლავდა. ჭკუამოკლე უბირ ხალხს კი ამ ცხოველების სარგებლიანობა არ ესმის და ერთი წლის განმავლობაში მოსპობდნენ, მათ არსებობას სარწმუნოებრივი წესებით რომ არ ვიცავდეთ. ამაშია საიდუმლოება ჩვენი თაყვანისცემისა ცხოველთა და მათთვის განკუთვნილი ტაძრებისადმი. ჩვენ გუნდრუკს ვუკმევთ იმათ, ვისაც ხალხი პატივს უნდა სცემდეს უბრალოდ იმიტომ, რომ მათ სარგებლობა მოაქვთ.

ხატორის ტაძარში ფარაონმა სწრაფად შემოიარა საექიმო სკოლის ეზოები და არცთუ მაინცდამაინც აღფრთოვანებული დარჩა ვარსკვლავთმრიცხველთა წინასწარმეტყველების მოსმენით, ხოლო, როდესაც უმაღლესმა ქურუმ-ასტრონომმა მას ოქროს დაფა უჩვენა, რომელზეც ცის რუკა იყო ამოკვეთილი, ჰკითხა:

– თუ მართლდება თქვენი წინასწარმეტყველებანი, ვარსკვლავებზე რომ კითხულობთ?

– ზოგჯერ მართლდება.

– თქვენ რომ ხეებზე, ქვებზე ან წყლის მოძრაობაზე წინასწარმეტყველებდეთ, ისინიც ახდებოდნენ?

უმაღლესი ქურუმი შეკრთა.

– მატყუარებად ნუ ჩაგვთვლი, ჩვენ ადამიანებს მომავალს ვუწინასწარმეტყველებთ, იმიტომ რომ ეს მათ აინტერესებთ, და სიმართლე გითხრა, ასტრონომიაში მათ მხოლოდ ეს იზიდავს.

– თქვენ რაღა გიზიდავთ ასტრონომიაში?

– ჩვენ ვსწავლობთ ვარსკვლავთა მდებარეობასა და მოძრაობას.

– მერე, ამას რა სარგებლობა მოაქვს?

– ჩვენ ეგვიპტეს ცოტა სამსახური როდი გავუწიეთ. ჩვენ მივუთითებთ მიმართულებას, რომლითაც უნდა აგოს შენობები და გაითხაროს არხები. ჩვენი მეცნიერების დაუხმარებლად საზღვაო ხომალდები ნაპირებს ვერ გასცილდებოდა. ბოლოს, ჩვენ ვადგენთ კალენდარს და განვსაზღვრავთ მომავალ ცისიერ მოვლენებს. მაგალითად, ამ მოკლე ხანში მზის დაბნელებაა მოსალოდნელი...

მაგრამ რამზესი მას აღარ უსმენდა, მიტრიალდა და წავიდა.

„როგორ შეიძლება, – ფიქრობდა იგი, – ასეთი საბავშვო გასართობებისათვის ტაძართა აგება და ოქროს დაფებზე რაღაც ნახაზების გაკეთება? წმიდა მამებმა უსაქმურობის გამო არ იციან, რა მოიგონონ...“

ცოტა ხანს ტენტირაში დარჩა ფარაონი და მერე ნილოსის მეორე ნაპირას ქალაქ კენეში გადავიდა. აქ არ იყო გუნდრუკნაკმევი ნიანგები, განთქმული ტაძრები და ოქროს დაფები ვარსკვლავებით, მაგრამ სამაგიეროდ ეს ქალაქი მეთუნეობითა და ვაჭრობით იყო ცნობილი. აქედან მეწამული ზღვის ნავსადგურების კოსეირისა[1] და ბერენიკესაკენ[2] ორი გზატკეცილი მიემართებოდა; აქედანვე მიდიოდა გზა მეწამული მთებისკენ, საიდანაც ქანდაკებისა და საშენი ქვის ლოდებს მიეზიდებოდნენ.

კენეში ერთობ ბევრი ფინიკიელი ცხოვრობდა, რომლებიც ფარაონს დიდი აღტაცებით შეხვდნენ და ათ ტალანტად ღირებული სხვადასხვა განძეულობა მიართვეს. ასეთი შეხვედრის, მიუხედავად ფარაონმა აქ მხოლოდ ერთი დღე დაჰყო, რადგან თებედან აცნობეს, რამზეს XII-ის ღვთაებრივი მუმია უკვე ლუქსორის სასახლეშია და დაკრძალვას ელისო.

ამ დროს თებე უდიდესი ქალაქი იყო და დაახლოებით თორმეტი კვადრატული კილომეტრი ფართობი ეკავა. აქ იყო ეგვიპტეში უდიდე-

---

[1] კოსეირი - ნავსადგური მეწამულ ზღვაზე, მისკენ ორი საქარავნო გზა მიდიოდა კანედან და კოპტიდან.

[2] ბერენიკე – სავაჭრო ქალაქი მეწამულ ზღვასთან, ძვ.წ. 275 წელს დაარსებული. ავტორი უშვებს ანაქრონიზმს, ვინაიდან ძვ.წ. XII ს-ში ეს ქალაქი ჯერ კიდევ არსებობდა.

სი ტაძარი მემნონისა და მრავალი საზოგადოებრივი და კერძო შენობა. მისი განიერი და სწორი მთავარი ქუჩები ქვით იყო მოკირწყლული, ნილოსის ნაპირები – დამბებით გამაგრებული. ყველგან ოთხ-ხუთსართულიანი სახლები იდგა.

რადგან აქ ყოველ ტაძარსა და სასახლეს უზარმაზარი პილონებიანი ჭიშკრები ჰქონდა, ამიტომ თებეს ასჭიშკროვანს უწოდებდნენ. ეს ქალაქი, რომელშიც ფრიად გაცხოველებული იყო ვაჭრობა და მრეწველობა, თითქოს მარადისობის ზღურბლს წარმოადგენდა. რადგან ნილოსის მოპირდაპირე დასავლეთ ნაპირას ხეობაში ქურუმების, დიდებულებისა და მეფეების ურიცხვი აკლდამები მდებარეობდა.

თავის დიდებას თებემ ორი ფარაონის წყალობით მიაღწია: ამენხოტეპ III-ის, ანუ მემნონის, რომელსაც „ალიზის ქალაქი დახვდა. ხოლო ქვისა დატოვა“, და რამზეს II-ის, რომელმაც დაამთავრა და გააფართოვა ამენხოტეპის მიერ დაწყებული მშენებლობა.

ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა მთელი უბანი დიდებული სამეფო სასახლეებისა და ტაძრებისა, რომელთა ნანგრევებზე ახლა პატარა ქალაქი ლუქსორი დგას. ამ უბანში ფარაონის ცხედარი უკანასკნელ ცერემონიებს ელოდა.

როდესაც რამზეს XIII თებეში მივიდა, მთელი მოსახლეობა წინ შეეგება; სახლებში მხოლოდ მოხუცნი და დავრდომილნი დარჩნენ, შესახვევებში კი ქურდები.

აქ ხალხმა პირველად გამოხსნა ფარაონის ეტლიდან (ცხენები და თვითონ შეება მასში. აქვე ფარაონმა პირველად გაიგონა ყიჟინა და გინება ქურუმების მისამართით, რამაც იგი ფრიად გაახარა, აგრეთვე გაიგონა ხმამაღალი მოთხოვნა, რომ ყოველი მეშვიდე დღე უქმე ყოფილიყო, ამან კი რამზესი ჩააფიქრა. მას ეწადა ეს საჩუქარი მიეძღვნა მშრომელი ეგვიპტისათვის, მაგრამ არ ეგონა, თუ მისი განზრახვები უკვე გახმაურდა და ხალხი მათ დაუყოვნებლივ შესრულებას ელოდა.

ერთ მილამდე მანძილის გავლას რამდენიმე საათი მოუნდნენ. მეფის ეტლი ერთობ ხშირად ჩერდებოდა ხალხში და გზის განგრძობას მხოლოდ მაშინ ახერხებდა, როდესაც მისი უდიდებულესობის გვარ-

დია მიწაზე პირქვე დამხობილი ადამიანების წამოყენებას შეძლებდა. ბოლოს ფარაონმა სამეფო ბაღებს მიაღწია და პატარა სასახლეში დაბინავდა. იგი იმდენად იყო მოქანცული, რომ იმ დღეს სახელმწიფო საქმეები არ განუხილავს. მეორე დღეს კი, მას შემდეგ, რაც გუნდრუკი უმია, მამის მუმიას, რომელიც მეფის მთავარ სასახლეში ესვენა, რამზესმა უთხრა ხერიჰორს, ცხედრის აკლდამაში გადასვენება შეიძლებაო. მაგრამ ეს მაშინვე როდი შესრულდა.

სასახლიდან მიცვალებული რამზესის ტაძარში გადაასვენეს, სადაც მან ერთი დღე-ღამე დაისვენა. შემდეგ სამგლოვიარო პროცესია ზეიმით გაემართა ამონ-რას ტაძრისაკენ.

ნილოსის მარჯვენა ნაპირას, ქალაქის, სამხრეთ უბანში განლაგებულ სამეფო სასახლეებს მის მარცხენა ნაწილში მდებარე ამონ-რას ტაძართან ერთადერთი თავისებური გზა აერთებდა; იგი წარმოადგენდა უზარმაზარი ხეებით შემორგულ ორი კილომეტრის სიგრძის ფრიად განიერ ხეივანს, რომლის გაყოლებით სფინქსების ორი წყება იდგა. ზოგ მათგანს ლომის ტანზე ადამიანის თავი ედგა, სხვებს კი ვერძისა. მათი რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევდა.

ხეივნის ორივე მხარეს თებედან და მისი მიდამოებიდან მოსული აურაცხელი ხალხი ირეოდა; შუაგზაზე დამკრძალავი პროცესია მოემართებოდა. მოდიოდნენ სხვადასხვა ლეგიონების ორკესტრები, მოზარე ქალები, მგალობელთა გუნდები, ხელოსნებისა და ვაჭრების ყველა ამქარი, რამდენიმე ათეული ნომის დეპუტაციები თავიანთი ღმერთებითა და დროშებით, ეგვიპტესთან ურთიერთობაში მყოფი ათეული ხალხის წარმომადგენლები, მათ უკან კვლავ მუსიკა, მოზარე ქალები და ბერძენთა გუნდები.

მეფის მუმიას ისევ ოქროს, მაგრამ უფრო ბრწყინვალე ნავით მოასვენებდნენ, ვიდრე მემფისში. დაახლოებით ორი სართულის სიმაღლე ეტლში რვა წყვილი თეთრი ხარი ება; იგი თითქმის მთლიანად დაფარული იყო გვირგვინებითა და თაიგულებით და შემკული სირაქლემას ფრთებითა და ძვირფასი ქსოვილებით. ის გახვეული იყო საგუნდრუკეთა კვამლში, რაც იმგვარ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს რამზეს XII თავის ხალხს, ვითარცა ღმერთი, ღრუბლებიდან ევლინებაო. თებეს ყველა ტაძრის პილონებიდან მოისმოდა ქუხილის

მინაგვარი გრიალი და ბრინჯაოს დაფების სევდის მომგვრელი რეკვა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც რამზეს XII-ის მუმია ტაძარში შეასვენეს, რამზეს XIII გამოვიდა სასახლიდან და ოქროს ეტლში ჩაჯდა, რომელშიც ორი ფიცხი ცხენი იყო შებმული. ხალხმა, რომელიც ხეივნის გასწვრივ იდგა და პროცესიის დროს სრულ სიმშვიდეს იცავდა, თავისი მბრძანებლის დანახვაზე ისეთი ყიჟინით შეარხია ჰაერი, რომ ჩანთქა ყველა ტაძრიდან მომავალი გრიალი და ლითონის დაფების რეკვა.

აღფრთოვანებული ხალხი მზად იყო ხეივნის შუაგულში შეჭრილიყო და ფარაონს გარსშემოხვეოდა. მაგრამ რამზესმა ხელის ერთი აქნევით შეაჩერა ადამიანთა ნიაღვარი და ამით დროზე აღკვეთა მოსალოდნელი საფრთხე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ფარაონი ეგვიპტეში უდიდესი ტაძრის უზარმაზარი პილონების წინ შეჩერდა.

მსგავსად ლუქსორისა, რომელიც ქალაქის სამხრეთ ნაწილში სამეფო სასახლეების უბანს წარმოადგენდა, მის ჩრდილოეთ ნაწილში ღმერთების უბანი კარნაკი იყო. კარნაკის მთავარ ცენტრს კი ამონ-რას ტაძარი წარმოადგენდა.

თვით შენობას ორი ჰექტარი ეკავა, ხოლო მის გარშემო მდებარე ბაღებსა და გუბურებს დაახლოებით ოცი ჰექტარი. ტაძრის წინ ათი სართულის სიმაღლე ორი პილონი იდგა. ეზო, რომელსაც სვეტებზე დამყარებული ქანდარა ჰქონდა შემოვლებული, დაახლოებით ერთ ჰექტარს შეიცავდა, ხოლო სვეტებიანი დარბაზი, სადაც პრივილეგიური წოდება იკრიბებოდა – ნახევარ ჰექტარს. ეს იყო უკვე არა ცალკე შენობა, არამედ მთელი უბანი.

ამ დარბაზს, ანუ ჰიპოსტილს, ას ორმოცდაათ ნაბიჯზე მეტი სიგრძე და სამოცდათხუთმეტი ნაბიჯის სიგანე ჰქონდა. მისი ჭერი ას ოცდათოთხმეტ სვეტს ეყრდნობოდა, რომელთაგან თორმეტ ცენტრალურ სვეტს თხუთმეტ-თხუთმეტი ნაბიჯი სიმსხო ჰქონდა და ექვსი სართულის სიმაღლე.

შესაბამისი ზომისა იყო პილონების გვერდით და საღვთო გუბურის, თავზე განლაგებული ქანდაკებები.

უზარმაზარ ჭიშკართან ფარაონს ღირსი ხერიჰორი, ამ ტაძრის

უმაღლესი ქურუმი ელოდა. ქურუმთა მთელი შტაბით გარშემორტყმული ხერიჰორი თითქმის მედიდურად მიეგება ფარაონს და არც კი უცქეროდა მას, როდესაც წინ სურნელებას უკმევდა. შემდეგ მან ფარაონი ჰიპოსტილში შეიყვანა და ბრძანა ტაძრის გალავანში შემოეშვათ დეპუტაციები.

ჰიპოსტილის შუა ადგილას იდგა ნავი მიცვალებული მბრძანებლის მუმიით, ხოლო მის ორსავე მხარეს, ერთიმეორის პირდაპირ, ერთნაირი სიმაღლის ორი ტახტი. ერთ მათგანზე დაჯდა რამზეს XIII, გენერლებითა და ნომარქოსებით გარშემორტყმული, მეორეზე კი ქურუმებით გარემოცული ხერიჰორი. ნოფრმა ხერიჰორს ამენხოტეპის მიტრა მიაწოდა, და ახალგაზრდა ფარაონმა მეორეჯერ დაინახა ხერიჰორის თავზე სამეფო ხელისუფლების სიმბოლო – ოქროს გველი.

აღშფოთებისაგან გაფითრებულმა რამზესმა გაიფიქრა: „ვინძლო ეგ ურეუსი თავიანად არ დამირჩეს მოსახსნელიო“. მაგრამ ისევ გაჩუმება ამჯობინა, რადგან გაახსენდა, რომ ეგვიპტის ამ უდიდეს ტაძარში ხერიჰორი ღმერთების სწორ ბატონ-პატრონსა და თითქოს ფარაონზე უფრო მაღალ მბრძანებელს წარმოადგენდა.

ამასობაში ეზო ხალხით გაივსო; მეწამული კრეტსაბმელს იქით, რომელიც მოკვდავთაგან ტაძრის დანარჩენ ნაწილს ყოფდა, აჟღერდნენ ქნარები და მოისმა წყნარი გალობა. თავიდან ბოლომდე მხატვრობით შემკობილი ვეება სვეტების მთელმა ტყემ, იდუმალმა განათებამ და თითქოს ცაზე დაკიდებულმა ჭერმა რამზესს გული დაუმძიმა.

„რას ნიშნავს, – ფიქრობდა ის, – ბრძოლის მოგება?.. აი, ასეთი შენობის აგება მართლაც საგმირო საქმეა! და ამათ ხომ ააგეს იგი...“

ამ წუთში მან იგრძნო ქურუმთა კასტის ძლიერება. განა მას, მის ჯარსა და თვით მთელ ხალხს კი შეუძლია ამ ტაძრის დანგრევა?.. მაგრამ თუ ასეთი შენობის განადგურება ძნელია, განა კაცი მის მშენებლებს უფრო ადვილად გაუსწორდება?..

ამ არასასიამოვნო ფიქრებიდან რამზესი უმაღლესი ქურუმის ნოფრის ხმამ გამოიყვანა.

– ხელმწიფევ, – ლაპარაკობდა მოხუცი, – და შენ, ღმერთების ყოვლადღირსო მახლობელ პირო (აქ მან ხერიჰორს თაყვანი სცა), თქვენ

– ნომარქოსებო, მწერლებო და მდაბიო ხალხო! ამ ტაძრის ყოვლადღირსმა უმაღლესმა ქურუმმა გვიხმო ჩვენ, რათა, ძველი ჩვეულების თანახმად, განვსაჯოთ მიცვალებული ფარაონის ამქვეყნიური საქმეები და ავყაროთ ან მივანიჭოთ მას დაკრძალვის უფლება....

ფარაონი განრისხდა. ნუთუ არ კმარა, რომ მას აქ აბუჩად იგდებენ, მამის საქმეთა განსჯას და მისი დაკრძალვის საკითხის გადაწყვეტასაც კი რომ ბედავენ.

მაგრამ იგი დამშვიდდა: ეს ხომ მხოლოდ ფორმალობა იყო, თანაც ისეთივე ძველი ფორმალობა, როგორიც ეგვიპტის დინასტიებია. ეს ნამდვილი სამსჯავრო როდი იყო, ამაში მხოლოდ განსვენებულისადმი ხოტბის შესხმა იგულისხმებოდა.

ხერიჰორის მიერ ნიშნისმიცემისთანავე უმაღლესი ქურუმები ტაბურეტებზე ჩამოსხდნენ. რამზესის ტახტის გარშემო მყოფი წომარქოსები და გენერლები კი ფეხზე დარჩნენ – მათთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

ფარაონმა ეს შეურაცხყოფაც დაიხსომა, მაგრამ იმდენად თავდაჭერილი იყო, რომ სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩა, იგრძნო თუ არა მან მასთან დაახლოებული პირებისადმი უყურადღებობა.

ამასობაში წმიდა ნოფრი მიცვალებული მბრძანებლის ცხოვრებას იხილავდა.

– რამზეს XII-ეს, – ამბობდა იგი, – არ ჩაუდენია არც ერთი ორმოცდაორ ცოდვათაგანი და ამიტომაც ღმერთების სამსჯავრო მას შემწყალებელ განაჩენს გამოუტანს, ხოლო რადგანაც ქურუმების განსაკუთრებული მზრუნველობით მიცვალებულის მუმია მომარაგებულია ყოველგვარი ავგაროზებით, ლოცვებით, დარიგებებითა და შელოცვებით, ამიტომ უეჭველია, რომ მიცვალებული ფარაონი უკვე ღმერთების სასუფეველში იმყოფება ოზირისის გვერდით და თავადაც ოზირისია. რამზეს XII-ის ღვთაებრივი ბუნება უკვე მის ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოვლინდა. მან ოცდაათ წელზე მეტი იმეფა, მიანიჭა ხალხს ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა, ააგო ან დაამთავრა მრავალი ტაძრის მშენებლობა. გარდა ამისა, იგი თვითონ იყო უმაღლესი ქურუმი და თვისი ღვთისმოსაობით უკეთილმსახურესთ აღემატებოდა; მის მეფობაში პირველი ადგილი ღმერთების დიდებასა და ქურუმთა საღ-

ვთო კასტის ამაღლებაზე ზრუნვას ეკავა. ამისათვის სწყალობდნენ ძალნი ზეციერნი, ხოლო თებეს ერთ-ერთმა ღმერთმა, ხონსუმ, შეიწყნარა რა ფარაონის თხოვნა, ბუხტენის მხარეც კი ინახულა და იქ მეფის ასულისაგან ბოროტი სული განდევნა.

ნოფრმა შეისვენა და განაგრძო:

– რამდენადაც მე თქვენ, ღრმადპატივცემულნო, დაგიმტკიცეთ, რომ რამზეს XII ღმერთი იყო, შეიძლება შემეკითხოთ, მაშ რა მიზნით ჩამოვიდა ეს ზეციერი არსება ეგვიპტის მიწაზე და რად დაჰყო აქ რამდენიმე ათეული წელი?

– მან ეს იმისათვის გააკეთა, რომ აღედგინა კეთილი ზნე, რომელიც შერყეულია სარწმუნოების დაქვეითების გამო. ვინ ფიქრობს დღეს ღვთისმოსაობაზე? ვინ ზრუნავს ღმერთების ნების შესრულებაზე? შორეულ ჩრდილოეთში ჩვენ ვხედავთ ძლიერ ასირიელ ხალხს, რომელსაც მხოლოდ მახვილის ძალა სწამს და იმის ნაცვლად, რომ სიბრძნის შესწავლასა და ღვთისმოსაობას მისდევდეს, ხალხთა დაპყრობას ცდილობს. ჩვენს მახლობლად ბინადრობენ ფინიკიელები, რომელთათვისაც ოქრო ღმერთია და ღვთისმოსაობა კი – მოტყუება და მევახშეობა. სხვა ხალხები – ხეთები აღმოსავლეთით, ლიბიელები დასავლე“ თით, ეთიოპელები სამხრეთით და ბერძნები ხმელთაშუა ზღვაზე – ბარბაროსები და მძარცველები არიან. მუშაობის ნაცვლად ისინი ძარცვას მისდევენ და სიბრძნეში გაწაფვის მაგივრად ლოთობენ, ყომარს თამაშობენ ან დაღლილი პირუტყვივით მხართეძოზე წვანან. დედამიწაზე მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტად ღვთისმოსავი და ბრძენი ხალხი ეგვიპტელებია. მაგრამ აბა შეხედეთ, ჩვენშიც რა ხდება? ურწმუნო უცხოელების მოზღვავების შედეგად ჩვენი სარწმუნოება შეირყა. აზნაურები და დიდებულები ღვინის სმის დროს ღმერთებსა და მარადიულ სასუფეველზე ოხუნჯობენ, ხალხი კი წმიდა კერპებს ტალახს ესვრის და ტაძრებში მსხვერპლშეწირვებს აღარ ასრულებს. ღვთისმოსაობის ადგილი ფუფუნებამ დაიკავა, სიბრძნის ადგილი – გარყვნილებამ. ყველას სურს ატაროს უზარმაზარი პარიკი, ტანი იშვიათი ნელსაცხებლით დაიზილოს, ოქროქსოვილი პერანგი და წინსაფრები ჩაიცვას და ოქროს ფარღულებითა და ძვირფასი ქვებით შემკული სამაჯურებით მოირთოს. ისინი პურის ლავაშს

აღარ სჯერდებიან და სურთ ნამცხვარი მიირთვან რძითა და თაფლით. ლუდით ფეხებს იბანენ, წყურვილს კი საზღვარგარეთული ღვინით იკლავენ. ამიტომ მთელი აზნაურობა ვალებშია ჩავარდნილი, ხალხი კი მუშაობითაა გადატვირთული და ცემა-ტყეპას იტანს. ამ ნიადაგზე ხან აქ, ხან იქ იფეთქებს აჯანყების ცეცხლი. მაგრამ რას ვამბობ – „ხან აქ და ხან იქ-მეთქი“ – ეს ერთი ხანია უცნობი წამქეზებლების წყალობით მთელ ეგვიპტეში გაისმის მოთხოვნა: „მოგვეცით დასვენება ყოველი ექვსი დღის შემდეგ! ნუ გვცემთ გაუსამართლებლად! თითოეულ ჩვენგანს საკუთრებად გამოგვიყავით მიწის პატარა ნაჭერი!..“ ეს ყველაფერი ჩვენს სახელმწიფოს განადგურებით ემუქრება და აუცილებელია მისი ამ ბოროტებისაგან გადარჩენა. ხსნა კი მხოლოდ სარწმუნოებაშია, რომელიც გვასწავლის, რომ ხალხი უნდა შრომობდეს, ღმერთების ნების მცოდნე წმიდა მამები მას გზას უნდა უჩვენებდნენ, ფარაონი და მისი დიდებულები კი თვალყურს ადევნებდნენ, რომ სამუშაო კეთილსინდისიერად სრულდებოდეს. ამას გვასწავლის რელიგია. ამ სულისკვეთებით მართავდა ღვთის სწორი ოზირის-რამზეს XII. ჩვენ კი, უმაღლესი ქურუმები, ვაღიარებთ რა განსვენებულის ღვთისმოსაობას, მის საფლავსა და ტაძრებში შემდეგ წარწერას ამოვკვეთთ:

„ხარი ჰორი, ძლიერი აპისი, რომელმაც შეაერთა ორი სამეფოს გვირგვინები, ოქროს ქორცქვიტა, მახვილით მმართველი, ცხრა ხალხის დამმარცხებელი, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე, ორი ქვეყნის მბრძანებელი, მზის შვილი მერი-ამონ-რამზესი, ამონ-რას შეყვარებული, თებეიდას ბატონი და მბრძანებელი, ამონ-რას შვილი, ჰორის ნაშვილები, ჰორახტეს შობილი, ეგვიპტის მეფე, ფინიკიის მბრძანებელი, ცხრა ხალხის ბატონი“[1].

როდესაც დამსწრეებმა მოწონების შეძახილით მიიღეს ეს წინადადება, კრეტსაბმლის იქიდან გამოსრიალდნენ მოცეკვავე ქალები და სარკოფაგის წინ საღვთო ცეკვა შეასრულეს, ხოლო ქურუმებმა საკმეველი აკმიეს. შემდეგ მუმია ნავიდან გადმოასვენეს და ამონის საკურთხეველში შეასვენეს, სადაც შესვლის უფლება რამზეს XIII უკვე აღარ ჰქონდა. .

[1] ნამდვილი წარწერა ძეგლზე (ავტ. შენიშ.).

მალე ღვთისმოსაობა დამთავრდა და დამსწრენი ტაძრიდან გავიდნენ.

როდესაც ახალგაზრდა ხელმწიფე ლუქსორის სასახლეში ბრუნდებოდა, იმდენად იყო გართული ფიქრებში, რომ ვერც კი ამჩნევდა აურაცხელ ხალხს და არ ესმოდა მათი მისალმების შეძახილები.

„თავს რატომ ვიტყუებ? – ფიქრობდა რამზესი. – უმაღლესი ქურუმები ერთობ უდიერად მეპყრობიან: ეს არც ერთი ფარაონის დროს არ ხდებოდა. ისინი მიმითითებენ კიდეც, რა გზით შემიძლია კვლავ მოვიპოვო მათი მოწყალება. უნდათ თვითონ განაგონ სახელმწიფო, მე კი მხოლოდ იმაზე ვიზრუნო, რათა მათი ბრძანებები სრულდებოდეს... არა, ასე არ იქნება, მე ვბრძანებ და თქვენ უნდა შეასრულოთ. ან მე დავიღუპები, ან ჩემს მეფურ ფეხს დავადგამ თქვენს მოუდრეკელ კისერს“.

ორი დღე რამზეს XII-ის მუმია ამონ-რას ტაძარში წმიდა ადგილას ესვენა, სადაც შესვლის უფლება, ხერიჰორისა და ნოფრის გარდა, უმაღლეს ქურუმებსაც კი არ ჰქონდა. მიცვალებულის წინ მხოლოდ ერთი ლამპარი ენთო, რომელიც რაღაც უცნაური მანქანებით არასოდეს ქრებოდა. მიცვალებულის ზემოთ ჰაერში ფრთები გაეშალა სულის სიმბოლოს – ადამიანისთავიან ფრინველს. ძნელი სათქმელია, რას წარმოადგენდა იგი – მოხერხებულად გაკეთებულ მექანიზმს თუ ნამდვილ ცოცხალ არსებას. ცხადი იყო მხოლოდ ის, რომ ქურუმები, რომლებიც კრეტსაბმლის იქით შეჭვრეტას ბედავდნენ, ხედავდნენ, რომ ეს არსება ჰაერში დასაყრდენოდ ჰკიდია და პირსა და თვალებს ამოძრავებს.

დამკრძალავი პროცესია გრძელდებოდა. ოქროს ნავმა ფარაონის მუმია ნილოსის მეორე ნაპირას გადაასვენა. პროცესიამ ქალაქ თებეს მთავარ ქუჩაზე გაიარა; მიცვალებულს მიჰყვებოდნენ ქურუმები, ჯარისკაცები, მოზარე ქალები და მგალობელთა გუნდები. შეიძლება ითქვას, რომ ეს მთავარი ქუჩა ეგვიპტის მთელ სამეფოში ყველაზე მეტად ლამაზს, განიერს, სწორს და ხეებით შემორგულ ქუჩას წარმოადგენდა. ოთხი, ზოგან კი ხუთსართულიანი სახლები მთლიანად დაფარული იყო მდიდრული ბარელიეფებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შენობებზე ნაირფერი ნოხები იყო გამოფენილი

ან სურათები, რომლებიც ვაჭრების, ხელოსნებისა, მეზღვაურების, შორეული ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებას გამოსახავდნენ. ერთი სიტყვით, ეს ქუჩა კი არა, სურათებით ბარბაროსული, ხოლო საღებავებით არაჩვეულებრივი მხატვრობის დაუსრულებელი გალერეა იყო.

დამკრძალავმა პროცესიამ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ორ კილომეტრამდე გაიარა. დაახლოებით ქალაქის ცენტრში შეჩერდა და მერე ნილოსისაკენ გადაუხვია.

აქ მდინარის შუა ადგილას დიდი კუნძული მდებარეობდა, რომელსაც ნაპირთან ტივტივა ხიდი აერთებდა. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად პროცესიის ხელმძღვანელმა გენერლებმა ერთხელ კიდევ ჩაამწკრივეს ხალხი, ოთხ-ოთხად დააწყვეს და ბრძანება გასცეს, რაც შეიძლება ნელა ევლოთ და თავი არ აერიდებინათ რიტმული სიარულისათვის. ამ მიზნით ყოველი ჯგუფის თავში მიმავალი ორკესტრიდან თითოეული სხვადასხვა ტაქტზე უკრავდა.

რამდენიმე საათის შემდეგ პროცესიამ გაიარა პირველი ხიდი, მერე კუნძული, შემდეგ მეორე ხიდი და ამგვარად ნილოსის მარცხენა, დასავლეთ ნაპირზე გადავიდა.

თუ თებეს აღმოსავლეთ ნახევრისთვის შეიძლებოდა ღმერთებისა და მეფეების ქალაქი გვეწოდებინა, მაშინ მისი დასავლეთი ნაწილი მონუმენტური ტაძრებისა და აკლდამების ქალაქს წარმოადგენდა.

პროცესია ნილოსიდან ცენტრალური გზით მთების ქენ გაემართა. ამ გზის სამხრეთით იდგა ტაძარი, რომელიც აგებული იყო რამზეს III-ის გამარჯვებათა უკვდავსაყოფად. მისი კედლები დაპყრობილი ხალხების – ხეთების, ამორეელების, ფილისტიმელების, ეთიოპელების, არაბებისა და ლიბიელების – გამოსახულებით იყო დასურათებული. ცოტა ქვემოთ აღმართული იყო ორი კოლოსალური ქანდაკება, ისინი მჯდომარე ამენხოტეპ III-ს[1] განასახიერებდნენ და ხუთი სართულის სიმაღლე ჰქონდათ. ერთ-ერთ ქანდაკებას უცნაური თვისება მოსდგამდა: როდესაც ამომავალი მზის სხივები ეცემოდა, იგი ისეთი. ქნარის ხმას გამოსცემდა, რომელსაც ეს-ესაა სიმებს აწყვესტენ.

---

[1] ამენხოტეპ III-ის კოლოსები. ეგრეთწოდებული „მემნონის კოლოსები“ – უზარმაზარი ქანდაკებები, რომლებიც ამენხოტეპ III-ემ დადგა მის მიერ ზღვასთან, რამზესეუმის მახლობლად, თებეს რაიონში აგებულ ტაძართან.

გზასთან უფრო ახლოს, ისიც მისგან მარცხენა მხარეს იდგა რამზესეუმი, რამზეს II-ის არცთუ მაინცდამაინც დიდი, მაგრამ ლამაზი ტაძარი. მის შესასვლელს იცავდა ქანდაკებები, რომელთაც ხელში სამეფო ღირსების ემბლემები ეჭირათ. ეზოში კი იდგა რამზეს II-ის ქანდაკება, რომელსაც ოთხი სართულის სიმაღლე ჰქონდა.

გზა თანდათან მთაზე ადიოდა და სულ უფრო გარკვევით მოჩანდა ღრუბელსავით ნაჩვრეტებით დაჩითული ციცაბო გორაკები. ეს ეგვიპტელი დიდებულების აკლდამები იყო. მათ წინ, ფრიალო კლდეებს შორის, დედოფალ ხატშეპსუტის უცნაური ტაძარი იდგა. შენობა სიგრძით ოთხას ორმოცდაათი ნაბიჯი იყო. გალავანშემოვლებულ ეზოდან კიბით უნდა შესულიყავით სვეტებით გარშემორტყმულ შიდა ეზოში, რომლის ქვეშ მიწაში იდგა ტაძარი, ხოლო სვეტებიან ეზოდან კიბე მიემართებოდა ტაძრისკენ, რომელიც უკვე კლდეში იყო გამოკვეთილი; ამ ტაძრის ქვეშ იყო აგრეთვე მიწისქვეშა სადგომები.

ამრიგად, ტაძარი ორი – ზედა და ქვედა – იარუსისაგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ აგრეთვე ქვედა და ზედა ნაწილებად იყოფოდა. უზარმაზარი კიბეები ჰქონდა, რომელსაც მოაჯირის მაგივრობას სფინქსების ორი წყება უწევდა. თითოეული კიბის შესავალს ორ-ორი მჯდომარე ქანდაკება დარაჯობდა.

ხატშეპსუტის ტაძართან იწყებოდა ბნელი ხეობა, რომელიც დიდებულთა აკლდამებიდან მეფეთა აკლდამებისაკენ მიემართებოდა. ამ ორი უბნის საზღვარზე კი უმაღლესი ქურუმის რეტემენოფის კლდეში გამოკვეთილი აკლდამა მდებარეობდა. მის დარბაზებსა და ტალანებს დაახლოებით ერთი ჰექტარი ადგილი ეკავა.

გზა მთისკენ ხეობის ერთ-ერთ კედელზე გადიოდა ირიბად გამოკვეთილი ლავგარდანის გასწვრივ და ისე ციცაბო იყო, რომ გამცილებელნი ეტლში შებმულ ხარებს ეხმარებოდნენ და სამგლოვიარო ნავს უკნიდან აწვებოდნენ. ბოლოს პროცესია განიერ მოედანზე შეჩერდა, რომელიც ხეობის ძირთან აფი სართულის სიმაღლეზე მდებარეობდა. აქ იყო შესავალი მიწისქვეშა აკლდამაში, რომელსაც ფარაონი ოცდაათი წლის განმავლობაში იშენებდა. ეს აკლდამა მთელ სასახლეს წარმოადგენდა მეფის, მისი ოჯახისა და მსახურების სადგომებით, სასადილოთი, საწოლი და საბაზანო ოთახებით, სხვადასხვა ღმერ-

თებისადმი მიძღვნილი მინაშენებით და, ბოლოს, ჭით, რომლის ძირში მდებარეობდა მცირე კამერა, სადაც საუკუნოდ უნდა განესვენა ფარაონის მუმიას.

ჩირაღდნების სინათლეზე მოჩანდა განსასვენებელთა კედლები, რომლებიც ლოცვის წარწერებითა და განსვენებული საქმეთა და გასართობთა გამომსახველი სურათებით იყო აჭრელებული: მეფის ნადირობანი, ტაძრებისა და არხების მშენებლობა, ტრიუმფალური პროცესიები, ღმერთების სადიდებელი ზეიმები და მტერთან ბრძოლები. ეს კიდევ ცოტაა. ამას გარდა, განსასვენებლები გაწყობილი იყო არა მარტო ავეჯით, ჭურჭლით, ეტლებით, ყვავილებით, საჭმლით, ყოველნაირი ნამცხვრითა და ღვინით, არამედ მრავალი ქანდაკებითაც. ეს იყო რამზეს XII-ის, მისი ქურუმების, მინისტრების, ქალების, ჯარისკაცებისა და მონების გამოსახულებანი, რადგან მეფეს იმქვეყნადაც სჭირდებოდა ძვირფასი მოწყობილობა, რჩეული საჭმელები და ერთგული მსახურნი.

როდესაც სამგლოვიარო პროცესია აკლდამის შესასვლელთან გაჩერდა, ქურუმებმა მეფის მუმია სარკოფაგიდან ამოიღეს და კლდისკენ ზურგშექცევით დადგეს მიწაზე. რამზეს XIII-ემ მამის სხეულს სურნელება უკმია, ხოლო დედოფალმა ნიკოტრისამ მუმიას ხელი მოხვია და ქვითინით მოთქვამდა:

– მე და ვარ შენი და ცოლი შენი ნიკოტრისა, ნუ მიმატოვებ, ჰოი, დიდებულო! ნუთუ შენ, ჩემო კეთილო მამავ, მართლა გსურს, რომ მე აქედან წავიდე? რომ წავიდე, მარტო დარჩები და განა ვინმე იქნება შენთან?..[1]

ამ დროს უმაღლესმა ქურუმმა ხერიჰორმა მუმიის წინ სურნელება აანთო, ხოლო ნოფრმა ღვინო აპკურა და წარმოთქვა:

„შენს ორეულს ვწირავთ ამას მსხვერპლად, ოზირის-მერი-ამონრამზეს, ზემო და ქვემო ეგვიპტის მბრძანებელო, რომლის ხმა დიდებული ღვთის წინაშე ნეტარია!..“

მერე მოზარე ქალებმა და ქურუმთა გუნდებმა წარმოთქვეს:

გუნდი პირველი: „გოდებდეთ, გოდებდეთ, სტიროდეთ, ქვითინებდეთ, დაუღალავად სტიროდეთ, ისე ხმამაღლა, რამდენიც ძალა

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

შეგწევდეთ“.

მოზარე ქალები: „ჰოი, ყოვლადღირსეულო მგზავრო, რომელიც თავის ნაბიჯებს მარადისობის ქვეყნისაკენ მიმართავ, რა მალე გვართმევენ შენს თავს!“

გუნდი მეორე: „რა მშვენიერი, რა საუცხოო რამ მოუვიდა მას! რადგან მან შეიყვარა თებელი ღმერთი ხონსუ, ამიტომ ღმერთმა ნება დართო მას მსახურების თანხლებით მიაღწიოს დასავლეთს!“

მოზარე ქალები: „ჰოი, შენ, რომელსაც გარს გერტყა ამდენი მსახური, ამიერიდან, მარტოობისათვის განწირული, იქნები მიწაში. შენ, რომელიც მსუბუქ ტანისამოსს ატარებდი და ახალი თეთრეული გიყვარდა, ახლა გუშინდელ სამოსში წევხარ!..“

გუნდი პირველი: „მშვიდობით, მშვიდობით, – დასავლეთისაკენ, ბატონო ჩვენო! წარვედ მშვიდობით... ჩვენ კვლავ გიხილავთ შენ, როდესაც მარადისობის ჟამი დაიგება, რადგან შენ მიდიხარ ქვეყანაში, რომელიც ყველა ადამიანს ურთიერთთან აერთებს“.[1]

დაიწყო უკანასკნელი ცერემონიები.

მოიყვანეს ხარი და ანთილოპი, რომლებიც რამზეს XIII-ეს უნდა დაეკლა, მაგრამ ისინი ღმერთების წინაშე მისმა მოადგილემ უმაღლესმა ქურუმმა სენმა დაკლა. დაბალმა ქურუმებმა სწრაფად აქნეს ცხოველები, რის შემდეგ ხერიჰორმა და ნოფრმა აიღეს ბარკლები და მუმიას პირზე მიადეს. მაგრამ მუმიას არ სურდა ჭამა, რადგან ჯერ კიდევ არ იყო გაცოცხლებული და პირი დამუწული ჰქონდა.

ამიტომ ნოფრმა იგი ნაკურთხი წყლით განბანა, ნელსაცხებლით და შაბით შებოლა და წარმოთქვა:

– აი დგას მამაჩემი, აი დგას ოზირის-მერი-ამონ-რამზესი. მე შვილი ვარ შენი, მე ჰორი ვარ, მოვდივარ შენთან, რათა განგწმინდო და დაგიბრუნო სიცოცხლე... მე კვლავ ვაწყობ შენს ნაწილებს და ვამაგრებ, რაც დაჩეხილი იყო, ვინაიდან მე ჰორი ვარ, მამაჩემისთვის შურისმაძიებელი. შენ ზიხარ რას ტახტზე, რომელიც წარმოიშვება ნუტისაგან, ყოველ დილას რომ რას შობს, ყოველდღე მერი-ამონ-რამზესს რომ შობს ისე, როგორც რას.[2]

---

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

[2] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს უმაღლესი ქურუმი ავგაროზებით ეხებოდა მუმიის ტუჩებს, მკერდსა და ფეხებს.

გუნდებმა კვლავ გალობა მორთეს.

გუნდი პირველი: „ოზირის-მერი-ამონ-რამზესი ამიერიდან შეჭამს და შესვამს ყველაფერს, რასაც ჭამენ და სვამენ ღმერთები. ის ახლა მათთან ერთად ზის, იგი ჯანმრთელია და ძლიერი, როგორც ისინი...“

გუნდი მეორე: „ახლა იგი ხმარობს ყველა თავის ასოს; ძნელია მისთვის, როდესაც შია და არ შეუძლია ჭამოს, სწყურია არ შეუძლია დალიოს...“

გუნდი პირველი: „ჰოი, ღმერთებო! მიაწოდეთ ოზირის-მერი-ამონ-რამზესს ათას-ათასი დოქი ღვინო, ათასი ხელი ტანსაცმელი, პური, ხარები...“

გუნდი მეორე: „ჰოი, თქვენ, რომლებიც მიწაზე ცხოვრობთ, ვინც აქ გაივლით, თუ თქვენთვის სიცოცხლე სანუკვარია, ხოლო სიკვდილი მოძულებული, თუ თქვენ გსურთ, თქვენი მაღალი წოდება თქვენს ჩამომავლობას გადაეცეს, წაიკითხეთ ეს ლოცვა აქ დაკრძალულ მიცვალებულზე“.

ნოფრი: „ჰოი, თქვენ დიდებულნო, თქვენ, წინასწარმეტყველნო, თქვენ უფლისწულნო და მთავრებო, ფარაონო და მწერლებო, თქვენ, ადამიანებო, სხვებო, ვინც ჩემს შემდეგ მილიონი წლების მერე მოხვალთ, უკეთუ ვინმე თქვენგანი ჩემს სახელს თავისით შეცვლის, მას ღმერთი დასჯის და აღგვის პირისაგან მიწისა“[1].

ამ შელოცვის შემდეგ ქურუმებმა ჩირაღდნები აანთეს, მეფის მუმია კვლავ ყუთში ჩადეს და ყუთთან ერთად სარკოფაგში, რომელიც ადამიანის სხეულის ფორმისა იყო. მერე, მოზარე ქალების კივილის, მოთქმისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს მძიმე ტვირთი აკლდამაში ჩაასვენეს. ჩირაღდნების სინათლეზე გაიარეს რამდენიმე ტალანი და ოთახი და იმ ოთახში შეჩერდნენ, სადაც ჭა მდებარეობდა. სარკოფაგი ჭაში ჩაუშვეს და თვითონაც მიწისქვეშეთში ჩაეშვნენ. აქ სარკოფაგი პატარა ოთახში მოათავსეს და სარქველი ისე ამოქოლეს, რომ სამარის აღმოჩენა მეტად გამოცდილ თვალსაც არ შეეძლო. მერე ზევით ამოვიდნენ ქურუმები და ისევე ყრუდ ამოქოლეს ჭა-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

ში ჩასასვლელი. ქურუმებმა ყოველივე ეს მარტო, მოწმეების დაუსწრებლად გააკეთეს, თანაც ისეთი გულმოდგინებით, რომ რამზეს XII-ის მუმია იმ დროიდან თავის სავანეში განისვენებს როგორც ქურდების, ისე თანამედროვე მკვლევართაგან ხელშეუხებლად. ოცდაცხრა საუკუნის განმავლობაში მეფეთა მრავალი საფლავი იქნა გაძარცული, მაგრამ იგი ხელშეუხებელი დარჩა.

ვიდრე ქურუმების ერთი ჯგუფი ფარაონის მუმიას შეინახავდა, მეორემ გაანათა მიწისქვეშა ოთახები და ცოცხლები ზადიკზე მიიწვია.

რამზეს XIII, დედოფალი ნიკოტრისა, სენი და ორი ათეული სამოქალაქო და სამხედრო მეთაური სატრაპეზოში შევიდა. ოთახის შუა ადგილას საჭმელებით, ღვინითა და ყვავილებით გაწყობილი სუფრები გაეშალათ, ხოლო კედელთან მბრძანებლის ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკება იჯდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი დამსწრეთ უცქეროდა და ნაღვლიანად მოღიმარი მათ პურ-მარილზე ეპატიჟებოდა.

ზადიკი დაიწყო საღვთო ცეკვით, რომელიც ერთ-ერთი ქურუმქალის სიმღერას ააყოლეს.

„ისარგებლეთ ბედნიერების დღეებით, რადგან ცხოვრება ერთობ ხანმოკლეა, ისარგებლეთ ბედნიერებით, რადგან როდესაც სამარეში ჩახვალთ, თქვენ იქ განისვენებთ საუკუნოდ და დღეთა თქვენთა დასასრული არ ექნება...[1]

ქურუმქალის შემდეგ გამოვიდა წინასწარმეტყველი და ქნარს ააყოლა:

„სიცოცხლე მარადიული გარდაქმნა და მარადიული განახლებაა. ეს ბედისწერის ბრძნული კანონია და ოზირისის გასაოცარი წინასწარმეტყველება, რომ რამდენადაც ერთნი სხეულნი ირღვევიან და ქრებიან, მათს ნაცვლად სხვები მოდიან.

ფარაონები, ჩვენამდე რომ ღმერთები იყვნენ, თავიანთ პირამიდებში განისვენებენ; იქვეა მათი მუმიები და ორეულები. სასახლეები, რომლებიც მათ ააგეს, უკვე წინანდელ ადგილას აღარ დგანან, თითქოს ისინი არც კი ყოფილანო...

„მაშ ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას, არამედ მისდიე შენს სურვი-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ა ვ ტ. შენიშ.)

ლებსა და სიხარულს და ფუჭად ნუ გაცვეთ შენს გულს, ვიდრე არ დაგიდგება მოთქმის დღე, ხოლო ოზირისი, რომლის გული უკვე აღარ სცემს, არ მოისურვებს შეისმინოს ჩივილი და ვედრებანი...

მთელი ქვეყნის მწუხარება ვერ დაუბრუნებს ბედნიერებას ადამიანებს, რომელიც სამარეში განისვენებს. მაშ ისარგებლე ბედნიერების დღეებით და განცხრომას ნუ დაიზარებ. ჭეშმარიტად არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია საიქიოს წაიღოს თავისი საუნჯენი და ჭეშმარიტად არ მომხდარა, რომ იქ წასული ადამიანი უკან დაბრუნებულიყო..."[1]

ტრაპეზი დამთავრდა და პატივცემული შეკრებილობა მას შემდეგ, რაც ერთხელ კიდევ სურნელება უკმიეს მიცვალებულის ქანდაკებას, თებეში დასაბრუნებლად მოემზადა. აკლდამის ეკვდერში მხოლოდ ქურუმები დარჩნენ, რომ მიცვალებული ფარაონისათვის ყოველდღიური მსხვერპლშეწირვა შეესრულებინათ, დარჩნენ აგრეთვე დარაჯები, რათა აკლდამა ქურდების მკრეხელური ხელყოფისაგან დაეცვათ.

ამიერიდან რამზეს XII მარტო დარჩა თავის ფარულ სავანეში.

ქვაში დაფარული პაწია სარკმელიდან აღწევდა მასთან მკრთალი სინათლე. სირაქლემას ფრთების ნაცვლად ყოფილი მეუფის თავზე ვეება ღამურების ფრთები შრიალებდნენ. მუსიკის ნაცვლად ღამღამობით გაისმოდა აფთრის გაბმული ყმუილი და დროდადრო ძლიერი ღმუილი ლომისა, რომელიც უდაბნოდან ესალმებოდა საფლავში ჩასულ ფარაონს.

თავი მეათე

ფარაონის დაკრძალვის შემდეგ ეგვიპტე თავის ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდა, ხოლო რამზეს XIII – სახელმწიფოებრივ საქმეებს.

ეპიფის თვეში (აპრილი-მაისი) ახალმა მბრძანებელმა თებეს იქით ნილოსის გაყოლებით მდებარე ქალაქები ინახულა. იყო სენ-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

ტში, ამ გაცხოველებულ ვაჭრობისა და მრეწველობის ქალაქში; ინახულა ედფუ, სადაც იდგა ტაძარი ათსართულიანი პილონებითა და პაპირუსების უდიდესი ბიბლიოთეკით; მის კედლებზე დახაზული და დახატული იყო იმდროინდელი გეოგრაფიის, ასტრონომიისა და ღვთისმეტყველების თავისებური ენციკლოპედია. დაათვალიერა ხენუს ქვის სამტეხლოები; კომომბოში სინათლის ღმერთს ჰორს და წყლის მეუფეს სებეკს მსხვერპლი შესწირა; იყო შავ კლდეთა ფონზე გაშლილ ზურმუხტივით მწვანე კუნძულ აბუზე, სადაც მოდიოდა საუკეთესო ხურმა და ქალაქს „სპილოების სატახტო ქალაქს“ უწოდებდნენ, რადგან აქ უმთავრესად სპილოს ძვლით ვაჭრობდნენ. ფარაონმა ქალაქ სუნეტშიაც შეიარა, რომელიც ნილოსის პირველ ჭორომთან მდებარეობდა, და ინახულა გრანიტისა და სიენიტის უდიდესი ქვის სამტეხლოები, რომლებშიც წყლით დასველებული სოლების დახმარებით ცხრა სართულის სიმაღლე ობელისკებს მოტეხდნენ ხოლმე.

ეგვიპტის ახალ მბრძანებლებს ქვეშევრდომები ყველგან უდიდესი აღტაცებით ხვდებოდნენ. ქვის სამტეხლოებში მომუშავე კატორღელებიც კი, რომელთა ტანი მოუშუშებელი ჭრილობებით იყო დაფარული, თითქმის გაბედნიერდნენ, რადგან ფარაონმა ბრძანა ისინი სამუშაოდან სამი დღით გაეთავისუფლებინათ.

რამზეს XIII-ეს შეეძლო კმაყოფილება და სიამაყე ეგრძნო: არც ერთ ფარაონს, თვით ტრიუმფალური მსვლელობის დროსაც კი, არ შეხვედრიან ისე, როგორც ამ მშვიდობიანი მოგზაურობის ჟამს. ნომარქოსები, მწერლები და ქურუმები, რომლებიც ახალი ფარაონისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს ხედავდნენ, ქედს იხრიდნენ მისი ხელისუფლების წინაშე.

– ბრბო ხარების ჯოგია, – ჩურჩულებდნენ ისინი ერთმა– ნეთში, – ჩვენ კი კეთილგონიერი და საქმიანი ჭიანჭველები ვართ. მაშ პატივი ვცეთ ახალ მბრძანებელს, რათა ვტკბებოდეთ ჯანმრთელობით და ჩვენი სახლები ხელშეუხებლად და უვნებლად შევინარჩუნოთ.

ამგვარად, დიდებულთა წინააღმდეგობა, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინათ ფრიად ძლიერი იყო, ახლა მორჩილებით შეიცვალა. მთელი არისტოკრატია, ქურუმთა მთელი წოდება რამზეს XIII-ის წინაშე პირქვე დაემხო. მხოლოდ ხერიჰორი და ნოფრი დარჩნენ მო-

უდრეკელნი.

და როდესაც ფარაონი სუნეტიდან თებეში დაბრუნდა, მთავარმა ხაზინადარმა პირველ დღესვე არასასიამოვნო ამბავი მოახსენა.

– ყველა ტაძარმა,– განუცხადა მან, – უარი გვითხრა კრედიტზე და უმორჩილესად სთხოვენ თქვენს უდიდებულესობას გასცეთ განკარგულება, რათა ორი წლის განმავლობაში მათგან სესხად მიღებული თანხები დაიბრუნონ...

– მესმის, – უთხრა ფარაონმა, – ეს წმიდა ნოფრის ხრიკებია. რამდენი გვმართებს მათი?

– დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ტალანტი.

– მაშასადამე, ჩვენ მათ ორი წლის განმავლობაში ორმოცდაათი ათასი ტალანტი უნდა გადავუხადოთ?.. კიდევ რა?..

– გადასახადები ფრიად მცირე შემოდის, – განაგრძობდა ხაზინადარი. – უკვე სამი თვე გავიდა, რომ იმის მეოთხედს ვღებულობთ, რაც გვერგება.

– რა მოხდა?

ხაზინადარი შემკრთალი იდგა.

– ასე გავიგონე, – უთხრა მან, – თითქოს ვიღაცები გლეხებს აგონებენ, რომ შენს მეფობაში მათ შეუძლიათ გადასახადები არ გაიღონ...

– ოჰო! – წამოიძახა სიცილით რამზესმა. – ჩემი ფიქრით ეს ვიღაცები ფრიად ჰგვანან ყოვლადღირს ხერიჰორს. ხომ არ სურს, მას შიმშილით მომკლას? საჭიროებას როგორღა აუდიხართ?

– ხირამის განკარგულებით ფინიკიელები სესხს გვაძლევენ. უკვე რვა ათასი ტალანტი მივიღეთ...

– ხელწერილებს აძლევთ?

– ხელწერილებსაც და საწინდარსაც... – ხაზინადარმა ამოიხვნეშა. – თუმცა ისინი გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი ეს უბრალო ფორმალობაა, მაგრამ შენს მამულებში მაინც ესახლებიან და გლეხებს ართმევენ ყველაფერს, რისი წართმევაც შეუძლიათ.

ხალხის მისალმებითა და დიდებულთა მორჩილებით დამთვრალ ფარაონს გულიც აღარ მოსდიოდა ხერიჰორსა და ნოფრზე. აღშფოთების პერიოდმა განვლო, მოქმედების დრო დადგა და რამზესმა იმავე დღეს შეადგინა მოქმედების გეგმა.

დილით მან მიიხმო სანდო პირები: უმაღლესი ქურუმი სენი, წინასწარმეტყველი პენტუერი, თავისი ფავორიტი თუტმოსი და ფინიკიელი ხირამი. როცა ისინი შეიკრიბნენ, განუცხადა:

– თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, რომ ტაძრებმა მომთხოვეს დავუბრუნო მათ ის თანხები, რომლებიც მარადმსუფევმა მამაჩემმა მათგან სესხად მიიღო. ყველა ვალი წმიდაა, ღმერთების ვალი კი მსურდა პირველ რიგში გადამეხადა... მაგრამ ჩემი ხაზინა ცარიელია და გადასახადებიც თავის დროზე არ შემოდის. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფო განსაცდელშია და იძულებული ვარ საჭირო სახსრებისათვის ლაბირინთში დაცულ საუნჯეთ მივმართო,..

ორივე ქურუმს მოუსვენრობა დაეტყო.

– ვიცი, – განაგრძობდა ფარაონი, – რომ ჩვენი საღვთო კანონების თანახმად ჩემი ბრძანება საკმარისი არ არის, რომ ლაბირინთის სარდაფები გაიხსნას. მაგრამ იქაურმა ქურუმებმა ამიხსნეს, რა უნდა გავაკეთო: მე უნდა მოვიწვიო ეგვიპტის ყველა წოდების წარმომადგენლების კრება, თითოეული წოდებიდან ცამეტი კაცი, იმისათვის, რომ მათ დაადასტურონ ჩემი ნება-სურვილი.

ფარაონმა ჩაიცინა და თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

– მოგმართავთ იმისათვის, რათა დამეხმაროთ ყველა წოდების წარმომადგენელთა კრების მოწვევაში, და გიბრძანებთ შემდეგს: შენ, მაღალღირსო სენ, ამოარჩევ ცამეტ ქურუმსა და ცამეტ ნომარქოსს. – შენ, კეთილმსახურო პენტუერ, სხვადასხვა ნომში შეარჩევ ცამეტ მიწათმოქმედსა და ცამეტ ხელოსანს. თუტმოსი მოიყვანს ცამეტ ოფიცერსა და ცამეტ აზნაურს, ხოლო მთავარი ხირამი ცამეტ ვაჭარს მოიწვევს. ჩემი სურვილია ეს კრება დაჩქარებით შედგეს მემფისის სასახლეში, და უნაყოფო ლაყბობაზე დროის დაუკარგავად დაადგინოს, რომ ლაბირინთმა სახსრები. მისცეს ჩემს ხაზინას...

– ვკადნიერდები და მოგაგონებ, ხელმწიფევ, – შენიშნა უმაღლესმა ქურუმმა სენმა, – რომ ამ კრებას უნდა დაესწრნენ ყოვლადღირსი ხერიჰორი და ყოვლადღირსი ნოფრი; მათ უფლება აქვთ, და ვალდებულნიც არიან, წინააღუდგნენ ლაბირინთიდან საუნჯის გატანას.

– აგრე იყოს. სავსებით თანახმა ვარ, – ცხარედ უპასუხა ფარაონმა. – ისინი თავიანთ მოსაზრებებს წამოაყენებენ, მე კიდევ ჩემსას ვიტ-

ყვი, კრება კი გადაწყვეტს, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს უფულოდ არსებობა და გონივრულია თუ არა სარდაფებში ინახებოდეს განძეულობა, როდესაც მთავრობას, გაღატაკება ემუქრება.

– რამდენიმე საფირონით, ლაბირინთში რომ ინახება, შეიძლებოდა ფინიკიელების ყველა ვალის გასტუმრება! – განაცხადა ხირამმა. – მე მივდივარ ვაჭრებთან და დაუყოვნებლივ მოვიყვან არა ცამეტს, არამედ ცამეტ ათასს, რომლებიც ხმას მისცემენ, როგორც შენ გნებავს.

ეს რომ თქვა, პირქვე დაემხო და დაემშვიდობა ფარაონს. ხირამის წასვლის შემდეგ უმაღლესმა ქურუმმა სენმა თქვა:

– არ ვიცი, რამდენად დასაშვებია, რომ ჩვენს თათბირს უცხოელი დაესწრო.

– ის უნდა დასწრებოდა, – უპასუხა რამზესმა, – იმიტომ რომ დიდი გავლენა აქვს ჩვენს ვაჭრებზე და, რაც მთავარია, დღეს იგი გვაწვდის ფულს... მე მინდოდა იგი დამერწმუნებინა, რომ მახსოვს და ვფიქრობ ჩემი ვალების გადახდაზე და რომ საშუალებაც მომეპოვება მათს გასასტუმრებლად.

სიჩუმე ჩამოვარდა. პენტუერმა ამით ისარგებლა და თქვა:

– ნება მიბოძე, ხელმწიფევ, მეც ახლავე წავიდე, რათა შევაგროვო მიწათმოქმედთა და ხელოსანთა საჭირო რაოდენობა, ყველანი ხმას მისცემენ ჩვენი მბრძანებლის წინადადებას, მაგრამ მრავალთაგან ყველაზე გონიერნი უნდა შეირჩეს.

პენტუერი დაემშვიდობა ფარაონს და წავიდა.

– შენ რაღას იტყვი, თუტმოს? – შეეკითხა რამზესი.

– ბატონო ჩემო, – უპასუხა მან, – მე იმდენად დარწმუნებული ვარ შენი აზნაურებისა და ჯარის ერთგულებაში, რომ მათზე ლაპარაკის ნაცვლად ვკადნიერდები პირადი თხოვნით მოგმართო.

– რაო, ფული გესაჭიროება?

– სრულებითაც არა. მე მინდა დავქორწინდე.

– შენ? – წამოიძახა ფარაონმა. – რომელმა ქალმა დაიმსახურა ღმერთების წინაშე ასეთი ბედნიერება?

– მშვენიერმა კეპერეტმა, თებეს მაღალღირსი ნომარქოის ინტეფის ასულმა, – სიცილით უპასუხა თუტმოსმა. – თუ კეთილ ინებებ წა-

რუდგინო ჩემი თავი ამ პატივცემულ ოჯახს, მე მინდოდა მეთქვა, რომ ჩემი სიყვარული შენდამი გაიზრდება-მეთქი, მაგრამ ამას აღარ ვიტ-ყვი, რადგან ეს სიცრუე იქნებოდა...

ფარაონმა მას მხარზე ხელი დაჰკრა.

– კარგი... კარგი... მხოლოდ ნუ მარწმუნებ იმაში, რაშიაც უიმისოდაც დარწმუნებული ვარ. ხვალვე წავალ ინტეფთან, და ღმერთებს გეფიცები, რომ რამდენიმე დღეში ქორწილიც მოეწყობა. ახლა კი შეგიძლია წახვიდე შენს კეპერეტთან.

სენთან მარტო რომ დარჩა, ფარაონი შეეკითხა:

– ვხედავ, დაღვრემილი ხარ. გეეჭვება მოინახოს ცამეტი ქურუმი, რომლებიც მზად იქნებიან შეასრულონ ჩემი ბრძანება?..

– დარწმუნებული ვარ, – უპასუხა სენმა, – რომ თითქმის ყველა ქურუმი და ნომარქოსი გააკეთებს იმას, რაც ეგვიპტის კეთილდღეობისა და თქვენი უდიდებულესობისათვის აუცილებელი იქნება... მაგარმ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაბირინთის საუნჯეთა გამოყენების საკითხში უკანასკნელი სიტყვა ამონს ეკუთვნის...

– ამონის ქანდაკებას თებეში?

– დიახ!

ფარაონმა აგდებით ჩაიქნია ხელი.

– ამონი,– თქვა მან,– ხერიჰორი და ნოფრია... აქედან ვიცი, რომ ისინი არ დაგვეთანხმებიან. მაგრამ მე არ ვფიქრობ სახელმწიფო შევწირო ორი ადამიანის ჯიუტობას.

– შენ ცდები, – სერიოზული კილოთი მიუგო სენმა, მართალია, ღმერთების ქანდაკებები ხშირად იმას სჩადიან, რაც მათს უმაღლეს ქურუმთ სურთ, მაგრამ... არა ყოველთვის.. ჩვენს ტაძრებში, ხელმწიფევ, ზოგჯერ არაჩვეულებრივი და იდუმალი რამ ხდება. ღმერთების ქანდაკებები ზოგჯერ თვითონ მოქმედებენ და იმას ლაპარაკობენ, რაც თვითონ სურთ...

– ამ შემთხვევაში მე დამშვიდებული ვარ, – სიტყვა გააწყვეტინა ფარაონმა. – ღმერთებმა სახელმწიფოს მდგომარეობა იციან და ჩემს გულში კითხულობენ... მე კი მწადია, რომ ეგვიპტე ბედნიერი იყოს და, რადგან მე მხოლოდ ამას ვცდილობ, არც ერთი კეთილი ღმერთი არ მოისურვებს ხელი შემიშალოს.

– დაე აღსრულდეს შენი სიტყვები, – ჩაიჩურჩულა უმაღლესმა ქურუმმა.

– კიდევ გსურს რაიმე მითხრა? – ჰკითხა ფარაონმა, რომელიც ხედავდა, რომ სენი წასვლას არ ჩქარობდა.

– დიახ, ხელმწიფევ, მე მევალება, მოგაგონო, რომ თითოეულმა ფარაონმა ტახტზე ასვლისა და თავისი წინამოადგილის დაკრძალვის შემდეგ თავისთვის აკლდამისა და ღმერთებისათვის ტაძრის აგებაზე უნდა იფიქროს.

– სავსებით სწორია! თვითონაც არა ერთხელ მიფიქრია ამაზე, მაგრამ უსახსრობის გამო არ ვჩქარობ გავცე განკარგულება, რადგან, – დაუმატა მან, – თუ რამეს ავაშენებ, ის იმდენად გრანდიოზული და ღირსშესანიშნავი უნდა იქნეს, რომ ეგვიპტემ ვერასოდეს ვერ დამივიწყოს.

– პირამიდა გინდა აღმართო?

– არა, იმაზე დიდ პირამიდას ვერავინ ააგებს, ვიდრე ხეოპსის პირამიდაა, და უფრო დიდ ტაძარს, ვიდრე ამონის ტაძარია თებეში. ჩემი სამეფო ერთობ სუსტია იმისათვის, რომ გრანდიოზული საქმეების კეთება შეეძლოს... ამიტომ მე რაიმე სრულიად ახალი უნდა გავაკეთო, მით უმეტეს, როცა ჩვენი შენობები უკვე მომბეზრდა. ყველა ისე წააგავს ერთიმეორეს, როგორც ადამიანი ადამიანს, და განსხვავდებიან მხოლოდ სიდიდით, როგორც მოზრდილი ადამიანი ბალღისაგან.

– მაშ რას ფიქრობ?.. – გაოცებით შეეკითხა ქურუმი.

– ვესაუბრე ბერძენ დიონს, ჩვენს ცნობილ ხუროთმოძღვარს. მან მოიწონა ჩემი გეგმა, – განაგრძობდა ფარაონი. – მე მინდა ჩემს აკლდამას გარედან კიბეებიანი ბაბილონური მრგვალი კოშკის სახე ჰქონდეს... ამას გარდა, ავაგებ ტაძარს და მას მივუძღვნი არა ოზირისსა და იზიდას, არამედ ერთადერთ ღმერთს, რომელსაც აღიარებს ყველა ეგვიპტელი, ქალდეველი, ფინიკიელი, ებრაელი. მე მინდა ეს ტაძარი მიაგავდეს ტიგლატფილესარ მეფის სასახლეს, რომლის მოდელი სარგონმა მამაჩემს მიართვა...

უმაღლესმა ქურუმმა თავი გაიქნია.

– მეტად გრანდიოზული გეგმებია, ჩემო ხელმწიფევ, მიუგო მან, –

მაგრამ განუხორციელებელი. ბაბილონის კოშკები მეტად არამყარია და ადვილად ირღვევა. ჩვენი შენობები კიუკუნეთა განმავლობაში მტკიცე და ურყევად დგას. ერთადერთი ღმერთის სადიდებელი ტაძრის აგება არ შეიძლება, რადგან მას არც ტანსაცმელი სჭირდება და არც ჭამა-სმა – მთელი სამყარო მისი სამყოფელია. სად გაგონილა ისეთი ტაძარი, რომელიც დაიტევდა მას? სად არის ქურუმი, რომელიც გაკადნიერდებოდა მისთვის მსვერპლშეწირვა შეესრულებინა?

– ჰმ! რაკი ასეა, მაშ ამონ-რას სახელზე ავაგოთ ტაძარი, – შესთავაზა ფარაონმა.

– კარგი. მხოლოდ ისეთი ნუ იქნება, როგორიც ტიგლატფილესარის სასახლეა. რადგან ეს შენობა ასირიულია, ჩვენ, ეგვიპტელებს, არ შეგვშვენის ბარბაროსებს მივბაძოთ...

– არ მესმის, ამით რა გინდა მითხრა... – შეაწყვეტინა რამზესმა.

– მომისმინე, ჩემო ბატონო, – უთხრა სენმა. – შეხედე ლოკოკინებს – თითოეულ მათგანს განსხვავებული ნიჟარა აქვს: ერთის ნიჟარა სპირალივით დახვეულია, მაგრამ ბრტყელი; მეორისაც დახვეულია, მაგრამ წაგრძელებული; მესამის კი კოლოფს წააგავს. ასევე ყოველი ხალხი შენობებს თავის ტემპერამენტისა და ხასიათის მიხედვით აგებს. ეგვიპტური შენობები იმდენადვე განსხვავდება ასირიული შენობებისაგან, რამდენადაც ეგვიპტელები ასირიელებისაგან. ჩვენი შენობების ძირითად ფორმას კეთილი პირამიდა წარმოადგენს, რომელიც ყველა სხვა ფორმაზე უფრო მყარია, როგორც თვითონ ეგვიპტე ყველა სახელმწიფოზე უფრო მტკიცე. ასირიელების ძირითადი ფორმა კი კუბია, რომელიც ადვილად ირღვევა. დიდგულა და თავქარა ასირიელი თავის კუბებს ერთიმეორეზე ახუხულავებს და მრავალსართულიან შენობებს აგებს, რომელთა სიმძიმის ქვეშ ნიადაგი ჩაშვავდება. წყნარი და კეთილგონიერი ეგვიპტელი კი თავის კვეთილ პირამიდებს ერთიმეორის მიყოლებით დგამს. ამგვარად, ჩვენში არაფერი არ არის ჰაერში ჩამოკიდებული და მთელი შენობა მიწას ეყრდნობა. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ჩვენი შენობები სიგრძეზეა გაშლილი და შეუძლია საუკუნეებს გაუძლოს, ხოლო ასირიული შენობები სიმაღლეზეა ახუხულავებული და ისეთივე მყიფეა, როგორიც მათი სახელმწიფო, რომელიც ახლა ჩქარი ტემპით იზრდება, მაგრამ რომ-

ლისგანაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩება. ასირიელი მჩხავანა ტრაბახა და თავის შენობებში ყველაფერს წინ წამოჩხერს – სვეტებს, მხატვრობას, ქანდაკებას, ხოლო თავდაჭერილი ეგვიპტელი ულამაზეს ქანდაკებასა და სვეტებს ტაძრის შიგნით მალავს, როგორც ბრძენი, რომელიც მაღალ აზრებს, განცდებითა და მისწრაფებებით გულმკერდს კი არ იმშვენებს, არამედ გულის სიღრმეში იმარხავს. ჩვენში ყოველივე მშვენიერი კდემით დაფარულია, მათი ნაკეთობა კი ყოველთვის თვალში გეჩხირებათ. ასირიელს რომ შეეძლოს, თავის კუჭს გაკვეთდა, რათა ქვეყნისათვის ეჩვენებინა, რა იშვიათ საჭმელს მიირთმევს...

– განაგრძე! განაგრძე!.. – უთხრა რამზესმა.

– სათქმელი ცოტაღა დამრჩა, – განაგრძობდა სენი. ხელმწიფევ, მინდა შენი ყურადღება ჩვენი და ასირიელების შენობათა განსხვავებაზე შევაჩერო მხოლოდ, როდესაც მრავალი წლის წინათ, ნინევიაში ყოფნის დროს, კადნიერად აღმართულ ასირიულ კოშკებს ვუყურებდი, გააფთრებული ყალყზე შემდგარი ცხენები მეგონა, რომლებიც საცაა ძირს დაეცემიან და შეიძლება ფეხებიც მოიმტვრიონ-მეთქი. აბა სცადეთ, თქვენო უდიდებულესობავ, რომელიმე მაღალი წერტილიდან გადმოხედოთ ეგვიპტურ ტაძარს. რას მოგვაგონებს იგი? მიწაზე დამხობილ მლოცველ ადამიანს; ცად აპყრობილი ორი პილონი მისი ორი ხელია: ეზოს ორი გალავანი – მხრებია, სვეტებიანი ანუ „ზეციური“ დარბაზი – თავი, „ღვთაებრივი გამოცხადებისა“ და „სამსხვერპლო მაგიდების“ დარბაზები მკერდი, ხოლო ღვთაების იდუმალი სავანე – „საკურთხეველი“ – კეთილმსახური ეგვიპტის გული. ჩვენებური ტაძარი გვასწავლის, როგორი უნდა ვიყვნეთ. „დაე, შენ ამ პილონებივით მძლავრი ხელები გქონოდეს, გვეუბნება იგი, – ხოლო მხრები ისეთივე მაგარი როგორიც ეს კედლები; დაე შენ თავში ისეთივე ფართო და მდიდარი გონება გქონოდეს, როგორიც ტაძრის წინკარია; სული ისეთივე ფაქიზი, როგორც, „გამოცხადებისა“ და „მსხვერპლშეწირვათა“ დარბაზებია; გულში კი, ეგვიპტელო, ღმერთი გყოლოდეს!“ ასირიული შენობები კი თავის ხალხს ეუბნება: „ეცადე, ასირიელო, ყველაზე მეტად ამაღლდე და სხვებზე მაღლა გეჭიროს თავი. თუ ცხოვრებაში დიადს ვერაფერს შექმნი, ყოველ შემთხვევაში,

მრავალ ნანგრევს მაინც დატოვებ...“ ნუთუ შენ, ხელმწიფევ, გეყოფა გამბედაობა ჩვენში ასირიული კოშკები ააგო და მიბაძო იმ ხალხს, რომელსაც ეგვიპტე ზიზღითა და ათვალწუნებით ეპყრობა!..

რამზესი ჩაფიქრდა. სენის მოსაზრებათა მიუხედავად, იგი მაინც ფიქრობდა, რომ ასირიული სასახლეები ეგვიპტურზე უფრო ლამაზი იყო. მაგრამ იმდენად სძულდა ასირიელები, რომ თავის გადაწყვეტილებაზე ეჭვი შეეპარა.

– რაკი ასეა, – უპასუხა მან, – ჩემი აკლდამისა და ტაძრის აგებას გადავდებ. თქვენ კი, ბრძენებო, რომელთაც ჩემთვის კეთილი გსურთ, მოიფიქრეთ ისეთი შენობების გეგმა, რომლებიც ჩემს სახელს შორეულ თაობებს გადასცემს.

„არაადამიანური სიამაყით არის შეპყრობილი ეს ჭაბუკი!“ – თქვა გულში ქურუმმა და დამწუხრებული დაემშვიდობა ფარაონს.

თავი მეთერთმეტე

ამასობაში პენტუერი უკან ქვემო ეგვიპტეში წამოსასვლელად ემზადებოდა, რათა ფარაონისათვის მიწათმოქმედთა და ხელოსანთა წრიდან ცამეტ-ცამეტი წარმომადგენელი შეერჩია და ეგვიპტის მშრომელი ხალხი წაექეზებინა მოეთხოვათ ახალი მბრძანებლის მიერ შეპირებული რეფორმების განხორციელება. მისი რწმენით ეგვიპტისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი იმ შეურაცხყოფისა და ძალმომრეობის მოსპობა იყო, რომელსაც მშრომელი კლასები განიცდიდნენ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, პენტუერი მაინც ქურუმი გახლდათ და არათუ არ სურდა თავისი კასტის დამხობა, არამედ იმ ძაფის გაწყვეტაც კი არ უნდოდა, რომელიც ამ კასტასთან აკავშირებდა.

ამიტომ, თავისი ერთგულება რომ დაემტკიცებინა, გამგზავრების წინ ხერიჰორს ეახლა.

ოდესღაც გავლენიანმა დიდებულმა იგი ღიმილით მიიღო.

– იშვიათო სტუმარო! იშვიათო სტუმარო! – წამოიძახა ხერიჰორმა, – მას შემდეგ, რაც ხელმწიფის მრჩეველი გახდი, აღარ მნახულობ ხოლმე... მართალია, არა მარტო შენ... მაგრამ, რაც არ უნდა მოგველოდეს, მე მაინც არ დავივიწყებ შენს სამსახურს, თუნდაც კიდევ უფ-

რო მეტად მოერიდო ჩემი თან შეხვედრას.

– მე ჩვენი ბატონის მრჩეველი არა ვარ და არც ვერიდები თქვენს უწმინდესობასთან შეხვედრას, რომლის წყალობითაც მივაღწიე დღევანდელ ჩემს მდგომარეობას, – უპასუხა. პენტუერმა.

– ვიცი, ვიცი! – მიუგო ხერიჰორმა. – შენ უარი თქვი მაღალ წოდებაზე, რათა ტაძრების დაღუპვისათვის ხელი არ შეგეწყო. ვიცი... ვიცი... თუმცა, შეიძლება, სამწუხაროა, რომ მრჩეველი არ გახდი ლაგამაწყვეტილი ძუძუმწოვრისა, რომელიც თითქოს ჩვენ განგვაგებს... შენ უდავოდ ნებას არ მისცემდი გარშემო გამცემლები შემოეკრიბა, რომლებიც მას დაღუპავენ კიდეც...

პენტუერმა უხერხულად ჩათვალა ასეთ საჩოთირო თემაზე საუბარი და ხერიჰორს უამბო ქვემო ეგვიპტეში თავისი გამგზავრების მიზანი.

– კეთილი, რამზეს XIII იწვევს ყველა წოდების წარმომადგენელთა კრებას. მას ამის უფლება აქვს. მაგრამ, – თქვა ხერიჰორმა, – ვწუხვარ, რომ შენ ერევი ამ საქმეში. შენში დიდი ცვლილება მოხდა. გახსოვს, რას ეუბნებოდი მანევრების დროს ჩემს ადიუტანტს? მე მოგაგონებ. შენ ამბობდი, რომ საჭიროა საზღვარი დაედოს ფარაონების გარყვნილებასა და აღვირახსნილობასო, ახლა კი თვითონ ხელს უწყობ ბალღურ ჟინიანობას ისეთი გარყვნილი ფარაონისა, როგორიც ეგვიპტეს იშვიათად ჰყოლია...

– რამზეს XIII-ეს სურს, – შეესიტყვა პენტუერი, – ხალხის მდგომარეობა გააუმჯობესოს. მე, გლეხის შვილი, ბრიყვი და გარეწარი ვიქნებოდი, თუ მას ამ საქმეში არ დავეხმარებოდი.

– მაგრამ არ უფიქრდები იმას, გვავნებს თუ არა ეს ჩვენ, ქურუმებს?

– თვითონ ხომ შეღავათებს აძლევთ იმ გლეხებს, რომლებიც ტაძრებს ეკუთვნიან! – წამოიძახა მან, – ამას გარდა, მე თქვენი ნებართვა მაქვს.

– რა? რომელი? – აღშფოთდა ხერიჰორი.

– მოიგონე: იმ ღამეს, როდესაც ჩვენ სეთის ტაძარში უწმიდეს ბეროესს მივესალმეთ, ნოფრი ამბობდა, ეგვიპტე დაქვეითებას ქურუმთა კასტის ძველი გავლენის დაკარგვის გამო განიცდისო, მე კი ვამტკიცებდი, ჩვენი ქვეყნის ჭირთა მიზეზი ხალხის სიღატაკეა-მეთქი.

რამდენადაც მახსოვს, შენ ამაზე ასე მიპასუხე: „ქურუმების მდგომარეობის გაუმჯობესებას ნოფრი შეუდგეს, გლეხებისას – პენტეერი, მე კი ვეცდები თავიდან ავიცდინოთ ეგვიპტესა და ასირიას შორის მოსალოდნელი დამღუპველი ომიო“.

– ეს სწორედ იმას ნიშნავს, - სიტყვა ჩამოართვა ხერიჰორმა, – რომ შენ არა რამზესთან, არამედ ჩვენთან უნდა იყო.

– განა მას სურს ასირიასთან ომი? – შეეკითხა პენტუერი, – ან ხელს უშლის ქურუმებს გაამდიდრონ თავიანთი სიბრძნე? მას სურს ხალხს დასასვენებლად მისცეს ყოველი მეშვიდე დღე და თითოეული გლეხის ოჯახს გამოუყოს მიწის მცირე ნაკვეთი. ნუ მეტყვი, რომ ფარაონს რაიმე ცუდი სურდეს. სატაძრო მამულების მაგალითიდან ხომ ვიცით, რომ თავისუფალი გლეხი, რომელსაც მიწის საკუთარი ნაკვეთი გააჩნია, შეუდარებლად უკეთ მუშაობს, ვიდრე მონა.

– მე ხომ მდაბიო ხალხის მდგომარეობის შემსუბუქების საწინააღმდეგო. არა მაქვს რა! – წამოიძახა ხერიჰორმა. - მაგრამ დარწმუნებული ვარ, რამზესი ხალხისთვის ვერაფერს გააკეთებს.

– რასაკვირველია, ვერაფერს, თუ თქვენ ფულზე უარს ეტყვით.

– მას ოქროსა და ვერცხლის პირამიდა რომ მივცეთ და პატიოსანი ქვების პირამიდაც ზედ დავუმატოთ, მაინც ვერაფერს გააკეთებს, იმიტომ რომ განებივრებული ბალღია.

– ფარაონი დიდად ნიჭიერია...

– მაგრამ მან არაფერი იცის... არაფერი უსწავლია! – მიუგო ხერიჰორმა. – ოდნავ უყნოსა უმაღლეს სკოლას და სწრაფად გამოიქცა. ახლა მმართველობის საქმეში კი ისევე ბრმაა, როგორც ბავშვი, რომელიც გაბედულად გადასვამს ხოლმე შაშებს, მაგრამ თვითონ თამაშზე წარმოდგენაც არა აქვს.

– მაგრამ ის მართავს...

– მერე რა მმართველობაა ეს, პენტუერ? – ღიმილით უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა. – მართალია, ახალი სამხედრო სკოლები დააარსა, გაადიდა ლეგიონების რიცხვი, აიარაღებს ხალხს, მდაბიო ხალხს უქმეებს პირდება... მაგრამ რა გამოვა აქედან? შენ მისგან შორს დგახარ და ამიტომაც არ იცი საქმის, ვითარება, მე კი გარწმუნებ, რომ იგი ბრძანებების გაცემის დროს სრულებით არ უფიქრდება: ვინ რას აკე-

თებს, მოიპოვება თუ არა საჭირო სახსრები და რა შედეგები მოყვება.. შენ გგონია, ის მართავს, ნამდვილად მე ვმართავ. მე განვაგრძობ მართვას. მე, რომელიც მან განმაძევა. ჩემი მეოხებითაა, რომ ხაზინაში ახლა გადასახადები მცირე რაოდენობით შემოდის. მაგრამ მევე წინასწარ ვიღებ ზომებს გლეხთა აჯანყებების წინააღმდეგ, რომელნიც უამისოდ უკვე დიდი ხანია იფეთქებდნენ. მევე ვახერხებ იმას, რომ გლეხები არხებსა, დამბებსა და გზებზე მუშაობას თავს არ ანებებენ. დასასრულ, მე ორჯერ შევაკავებინე თავი ასირიას ომის გამოცხადებისაგან, რომელიც ამ უგუნურს თავისი განკარგულებებით შეუძლია გამოიწვიოს. ჰმ! რამზესი მართავს! ის მხოლოდ არევდარევას იწვევს... შენ გაიცანი ზემო ეგვიპტეში მისი თადარიგიანობის ნიმუში: იგი ლოთობდა, ქეიფობდა, სულ ახალ-ახალი გოგოები მოჰყავდა და თითქოს ნომების მართვისადმი ინტერესს იჩენს და, როცა არსებითად მასში სრულებით ვერ ერკვეოდა. ხოლო რაც ყველაზე უარესია – დაუახლოვდა ფინიკიელებს, გაღატაკებულ აზნაურობას და ყველა ჯურის გამცემლებს, რომლებსაც იგი დაღუპვისაკენ მიჰყავთ.

– მაგრამ სოდიან ტბებთან გამარჯვება? – ჩაურთო პენტუერმა.

– არ უარვყოფ მის ენერგიასა და სამხედრო საქმის ცოდნას, მაგრამ მხოლოდ ესაა და ეს, სხვა ღირსება არ გააჩნია. ახლა თავად განსაჯე: განა მოიგებდა იგი სოდიან ტბებთან ბრძოლას შენი და სხვა ქურუმების დაუხმარებლად? მე ხომ ვიცი, რომ თქვენ მას ლიბიელთა ურდოების ყოველ მოძრაობას ატყობინებდით... ახლა კი იფიქრე, შეუძლია თუ არა რამზესს, თუნდაც თქვენი დახმარებით, მოიგოს ბრძოლა, ვთქვათ, ნეიტიკერის წინააღმდეგ? ნეიტიკერი ოსტატია, რამზესი კი დამწყები შეგირდი...

– სადამდე მიგიყვანს შენი სიძულვილი? შეეკითხა პენტუერი.

– სიძულვილი? – გაიმეორა ხერიჰორმა. – ნუთუ შემიძლია მძულდეს ეს ქარიფანტია, რომელიც მონადირეების მიერ ხეობაში შეგდებულ ირემს მოგვაგონებს? მაგრამ არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ მისი მმართველობა იმდენად დამღუპველია ეგვიპტისათვის, რამზეს რომ ძმა ჰყავდეს ან ნეიტიკერი უფრო ახალგაზრდა იყოს, ჩვენ ახლანდელ ფარაონს ტახტიდან გადავაყენებდით.

– და მის ადგილას შენ დაბრძანდებოდი? – წამოსცდა პენტუერს.

ხერიჰორს ეს სრულებითაც არ სწყენია,

– ძალზე გამოჩერჩეტდი, პენტუერ, – უთხრა მან და მხრები აიჩეჩა, – მას შემდეგ, რაც პოლიტიკას მოკიდე ხელი, ცხადია, ეგვიპტე რომ უფარაონოდ დარჩეს, მე, როგორც თებელი ამონის უმაღლესი ქურუმი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მოვალე ვიქნები მივიღო უმაღლესი ხელისუფლება. მაგრამ ეს რაში მჭირდება? ხომ ათ წელზე მეტია, რომ. ისედაც უფრო დიდი ძალაუფლებით ვსარგებლობ, ვიდრე ფარაონი? ან განა მე, გადაყენებული სამხედრო მინისტრი, სახელმწიფოში ახლაც იმას არ ვაკეთებ, რაც საჭიროდ მიმაჩნია? სწორედ ის უმაღლესი ქურუმები, ხაზინადრები, მსაჯულები, ნომარქოსები და თვით გენერლები, რომლებიც ახლა გვერდს მივლიან, სულ ერთია ვალდებული არიან შეასრულონ ჩემს მიერ ბეჭედდასმული უმაღლესი საბჭოს ყოველი საიდუმლო ბრძანება. და განა აღმოჩნდება ეგვიპტეში ისეთი ადამიანი, ვინც ასეთ ბრძანებას არ შეასრულებს? თვითონ შენ კი გაბედავდი წინააღმდეგობას?

პენტუერმა თავი ჩაქინდრა. რაკი რამზეს XII-ის გარდაცვალების მიუხედავად, ქურუმთა უმაღლესი საბჭო მაინც განაგრძობს, არსებობას, რამზეს XIII ან უნდა დაემორჩილოს მას, ანდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს.

ფარაონს მთელი ხალხი, მთელი ჯარი, მრავალი ქურუმი და სამოქალაქო მოხელეების უმრავლესობა ემხრობა, საბჭოს კი სულ რამდენიმე ათასი მომხრის, თავისი სიმდიდრისა და საუკეთესო ორგანიზაციის იმედი შეიძლება ჰქონდეს. ძალები სრულიად არათანაბარია, მაგრამ ბრძოლის შედეგები მაინც საეჭვოა.

– მაშ თქვენ ფარაონის დაღუპვა გადაწყვიტეთ? – ჩურჩულით შეეკითხა პენტუერი.

– სრულებითაც არა! ჩვენ მხოლოდ სახელმწიფო გვინდა გადავარჩინოთ.

– მერე რამზეს XIII-ემ რა უნდა ქნას?

– არ ვიცი, რას იზამს, – მიუგო ხერიჰორმა. – მაგრამ ის კი ვიცი, როგორ მოიქცა მამამისი. მანაც თავისი მეფობა უმეცრებითა და თვითნებობით დაიწყო. ხოლო როდესაც ფული შემოელია და ყველაზე თავგამოდებულმა მომხრეებმაც კი ალმაცერად დაუწყეს ცქერა,

ღმერთებისაკენ იბრუნა პირი. გარშემო ქურუმები შემოიკრიბა, სწავლობდა მათგან სიბრძნეს, ცოლად უმაღლესი ქურუმის ამენხოტეპის ასული შეირთო და ათი-თორმეტი წლის შემდეგ იქამდე მივიდა, რომ თვითონაც არა მარტო ღვთისმოსავი, არამედ ფრიად განსწავლული უმაღლესი ქურუმი გახდა.

– მაგრამ თუ ამ რჩევას ფარაონი არ შეისმენს?

– მაშინ ჩვენ უმაგისოდაც მოვუვლით სახელმწიფოს, – უპასუხა ხერიჰორმა.

და მერე დაუმატა:

– გამიგონე, პენტუერ, მე ვიცი არა მარტო ის, რას აკეთებს, არამედ რასაც ფიქრობს შენი ფარაონი, რომელსაც ჯერაც ვერ მოუსწრია გვირგვინის საზეიმო კურთხევა, რომ უკვე არარაობად იქცა ჩვენს თვალში. კარგად ვუწყი, რომ მას. სურს ქურუმები თავის მსახურებად გაიხადოს და თვითონ კი ეგვიპტის ერთადერთი მბრძანებელი გახდეს. მაგრამ ეს არა მარტო უგუნურებაა, არამედ ღალატიც, მან კარგად იცის, რომ არა ფარაონებმა, არამედ ღმერთებმა და ქურუმებმა შექმნეს ეგვიპტე. ფარაონები კი არ არკვევენ ნილოსში წყლის ადიდების დღესა და სიმაღლეს და აწესრიგებენ მის ნაპირებზე გადმოსვლას. ფარაონებმა კი არ ასწავლეს ხალხს ხვნა-თესვა, მოსავლის აღება და საქონლის მოშენება, ფარაონები კი არ მკურნალობენ დაავადებულთ და თვალყურს ადევნებენ სახელმწიფოს მტრებისაგან უშიშროების უზრუნველყოფას. აბა თავად განსაჯე, რა დაემართებოდა ეგვიპტეს, რომ ჩვენს კასტას იგი ფარაონის თვითნებობის ასპარეზად ექცია? მათ შორის უბრძენესსაც კი რაღაც ორი-სამი ათეული წლების გამოცდილება აქვს. ქურუმთა კასტა კი ათეული ათასი წლების განმავლობაში იკვლევდა და სწავლობდა. თვით უძლიერეს მბრძანებელსაც კი მხოლოდ ერთი წყვილი თვალი და ხელი მოეპოვება. ხოლო ჩვენ თითოეულ ნომში და თვით უცხო სახელმწიფოებშიაც ათასი თვალი და ხელი... განა შეიძლება ფარაონის საქმიანობა ჩვენს მოღვაწეობას შეედაროს? უთანხმოების შემთხვევაში ვინ უნდა დაუთმოს. ჩვენ თუ მან?

– რა უნდა ვქნა ახლა? – ჰკითხა პენტუერმა.

– აკეთე ის, რაც იმ ყმაწვილმა გიბრძანა. მაგრამ წმიდა საიდუმ-

ლოებას ნუ გათქვამ, დანარჩენი კი დროს მიანდე. გულწრფელად მსურს, რომ რამზეს XIII-ედ წოდებული ჭაბუკი გონს მოეგოს, და ვფიქრობ, ასეც მოხდებოდა, რომ... რომ იმ საზიზღარ გამცემლებთან არ იყოს დაკავშირებული, რომელთა თავზე უკვე აღმართულია ღმერთების ხელი.

სევდიანი წინათგრძნობით შეპყრობილი პენტუერი გამოეთხოვა უმაღლეს ქურუმს. მაგრამ იგი სულით არ დაცემულა, რადგან იცოდა, რომ ის, რასაც იგი უახლოეს დროში ხალხის საკეთილდღეოდ მიაღწევდა, ქურუმებს რომ გაემარჯვათ, მაინც დარჩებოდა.

„მეტად ცუდ პირობებშიც კი, – ფიქრობდა იგი. – უნდა გაკეთდეს, რაც ძალგვიძს და რაც მოგვეთხოვება. ოდესმე ყოველივე ეს მოწესრიგდება და ახლანდელი ნათესი ნაყოფს გამოიღებს“.

ყოველ შემთხვევაში, მან გადაწყვიტა ხალხი არ აღელვებინა, პირიქით, მზად იყო დაემშვიდებინა შეშფოთებულნი, რათა ფარაონისთვის ახალი სიძნელეები არ შექმნილიყო.

რამდენიმე კვირის შემდეგ პენტუერი უკვე ქვემო ეგვიპტეში შედიოდა; გზაზე უკვირდებოდა გლეხებსა და მუშებს. რომელთაგან შეიძლებოდა ფარაონის მიერ მოწვეული კრების დელეგატთა შერჩევა.

ყველგან ჩანდა უდიდესი მღელვარების ნიშნები: გლეხები და მუშები მოითხოვდნენ მეშვიდე დღე დასასვენებლად მიეცათ და ყველა საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისათვის, გასამრჯელო მიეღოთ, როგორც წინათ ხდებოდა. მხოლოდ ტაძრების ქურუმთა ქადაგების წყალობით არ იფეთქა აჯანყებამ და მუშაობა არ შეწყვეტილა.

ამას გარდა, პენტუერი კიდევ რამდენიმე ახალმა მოვლენამ გააოცა, რომლებიც ერთი თვის წინ არ შეუმჩნევია.

ხალხი ორ პარტიად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი ფარაონს ემხრობოდა და ქურუმებს მტრობდა, მეორე კი ფინიკიელების წინააღმდეგ გამოდიოდა. ერთნი ამტკიცებდნენ, ქურუმები მოვალე არიან გადასცენ ფარაონს ლაბირინთის საუნჯენიო, მეორენი ჩურჩულებდნენ, ფარაონი უცხოელებს ზედმეტად მფარველობსო. მაგრამ განსაკუთრებით გააოცა პენტუერი ვიღაცის მიერ გავრცელებულმა ხმამ, თითქოს რამზეს XIII-ეს ისეთივე სიგიჟის ნიშნები გამოსჩენოდეს, როგორიც მის უფროს გერ ძმას, რომელიც ამის გამო ტახტს ჩამოაშორეს. ეს

ხმა ვრცელდებოდა ქურუმებს, მოხელეებსა და თვით გლეხებს შორისაც. და

– ვინ გეუბნებათ ასეთ სისულელეს? – შეეკითხა პენტუერი სასახლის ერთ ინჟინერს.

– ეს სისულელე არ არის, – უპასუხა ინჟინერმა, – არამედ სამწუხარო სიმართლე. – თებეს სასახლეში ნახეს ფარაონი, ბაღში შიშველი რომ დარბოდა, ერთხელ კი ღამით დედოფლის ნიკოტრისას ფანჯრებთან ხეზე ამძვრალიყო და დედას ელაპარაკებოდა.

პენტუერი არწმუნებდა ინჟინერს, სულ ნახევარი თვის წინ პირადად ვნახე სავსებით ჯანმრთელი ფარაონიო, მაგრამ მან არ დაუჯერა.

„ეს უკვე ხერიჰორის ხრიკებია, – გაიფიქრა ქურუმმა. – მხოლოდ ქურუმებს შეეძლოთ თებედან ასეთი ცნობის მიღება“.

ერთხანს დელეგატების შერჩევაზე გული აუცრუვდა, მაგრამ მალე მოიკრიბა ძალ-ღონე და წინანდებურად უმეორებდა თავის თავს: რასაც დღეს ხალხი მოიპოვებს, ხვალ ვერ დაჰკარგავს, თუ რაღაც არაჩვეულებრივი შემთხვევა არ მოხდა.

მემფისის იქით, პირამიდებისა და სფინქსის ჩრდილოეთით, ზედ ქვიშრობის საზღვარზე ღმერთქალის ნუტის[1] პატარა ტაძარი იდგა. იქ ცხოვრობდა ეგვიპტეში სახელგანთქმული ვარსკვლავთმრიცხველი და სწავლული მექანიკოსი ღრმად მოხუცი ქურუმი მინა.

როდესაც ეგვიპტეში რომელიმე დიდი შენობის თუ ახალი არხის აგებას შეუდგებოდნენ, მინა იქ გაჩნდებოდა და თავის მითითებებს იძლეოდა, საერთოდ კი მეტად წყნარ, განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა თავის ტაძარში, ღამით ვარსკვლავების მოძრაობას უკვირდებოდა, დღისით კიდევ რაღაც ხელსაწყოებზე მუშაობდა.

პენტუერი რამდენიმე წელი აღარ ყოფილა ამ ადგილებში და გაკვირვა ტაძრის სიღატაკემ და მოუვლელობამ: აგურის კედელი ჩამონგრეულიყო, ბაღში ხეები გამხმარიყო, ეზოში მჭლე თხა და ორიოდე ქათამი დაბორიალებდა.

ტაძრის გალავანთან არავინ ჩანდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პენ-

[1] ნუტი – ცის თაღისა და საიქიოს ღმერთქალი, ხშირად გამოხატავდნენ გაშიშვლებული ქალის სახით, რომელსაც სხეული ვარსკვლავებით ჰქონდა დაფარული.

ტუერმა ხმამაღლა იწყო ძახილი, პილონიდან გამოვიდა მოხუცი; იგი ფეხშიშველი იყო, თავზე ჭუჭყიანი ჩაჩი ეხურა და მხარზე ჯიქის გაქუცული ტყავი ჰქონდა გადაკიდებული. და მაინც მისი წარმოსადეგობა ღირსებას ამჟღავნებდა და სახეზე ჭკვიანი ადამიანის იერი დაჰკრავდა. მოხუცმა ყურადღებით შეხედა სტუმარს და ჩაილაპარაკა:

– მეჩვენება თუ მართლაც შენა ხარ, პენტუერ?

– დიახ, მე ვარ, – უპასუხა მოსულმა და მხურვალედ გადაეხვია მოხუცს.

– ოჰო! – წამოიძახა მინამ, – გატყობ, შეუცვლიხარ მაღალ დარბაზებს! ნაზი კანი, თეთრი ხელები და ოქროს ძეწკვი ყელზე! ასეთი სამკაულისათვის დიდხანს დასჭირდებოდა ლოდინი ზეციური ოკეანის ქალღმერთს, დედა ნუტს!

პენტუერს უნდოდა მოეხსნა ძეწკვი, მაგრამ მინამ სიცილით შეაჩერა.

– საჭირო არ არის! – უთხრა მან. – რომ იცოდე, რა განძეულობა მოგვეპოვება ჩვენ ზეცაში, არ დაიწყებდი ოქროს შეწირვას... ჩვენთან საცხოვრებლად მოხვედი, ჰა?

პენტუერმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

– არა, – უპასუხა მან, – მე მოვედი მხოლოდ იმისათვის, რომ თაყვანი გცე შენ, ღვთაებრივო მასწავლებელო!

– შემდეგ კი ისევ სასახლეში? – იცინოდა მოხუცი. – ეჰ, რომ იცოდე, რას ჰკარგავთ, როდესაც სიბრძნეს სასახლეებზე სცვლით, დარდი მოგკლავდათ.

– მარტო ხარ აქ?

– ვითარცა პალმა უდაბნოში, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩემი ყრუ-მუნჯი კალათით მემფისს გაემგზავრა, რათა რას დედისა და მისი ქურუმისათვის კეთილ ხალხში რაიმე მოინაგროს.

– და ნუთუ არ გწყინდება?

– მე? – წამოიძახა მინამ. – იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს, ღმერთებს რამდენიმე საიდუმლოება მოვტაცე, რასაც ეგვიპტის ორივე გვირგვინზეც კი არ გავცვლი.

– საიდუმლოა? – შეეკითხა პენტუერი.

– სრულებითაც არა! ერთი წლის წინათ დავამთავრე გაზომვები

და გამოანგარიშებანი, რომლებიც დედამიწის სიდიდეს შეეხებიან...

– ეს როგორ გავიგოთ?

მინამ გარშემო მიმოიხედა და ხმას დაუწია.

– ხომ იცი, – დაიწყო მან. – რომ დედამიწა მაგიდასავით ბრტყელი კი არ არის, არამედ უზარმაზარ სფეროს წარმოადგენს, რომლის ზედაპირზე ზღვები, ტაძრები და ქალაქები მდებარეობენ...

– ეს ცნობილია, – უთხრა პენტუერმა.

– არა ყველასათვის, – უპასუხა მინამ, – ხოლო არავინ იცოდა, რამდენად დიდი შეიძლება იყოს ეს სფერო.

– შენ კი იცი? – შეეკითხა, პენტუერი და კინაღამ შეეშინდა.

– ვიცი. ჩვენი ქვეითი ჯარი დღეში დაახლოებით ცამეტ ეგვიპტურ მილს[1] გადის. ხოლო დედამიწის სფერო იმდენად დიდია, რომ მის გარშემოვლას ჩვენი ჯარი ხუთი წელი მოუნდებოდა.

– ჰოი, ღმერთებო! – წამოიძახა პენტუერმა. – და ასეთ რამეებზე ფიქრის არ გეშინია?

მინამ მხრები აიჩეჩა.

– რა არის საშიში გამოანგარიშებებში? – უპასუხა მან... პირამიდის თუ მიწის ზომის გამოანგარიშება განა ერთი და იგივე არ არის? მე უფრო საძნელო საქმეებსაც ვაკეთებდი: ნილოსის გადაუსვლელად გავზომე მანძილი ჩვენი ტაძრიდან ფარაონის სასახლემდე.

– საოცარია! – აღმოხდა პენტუერს.

– რა არის საოცარი? მე აღმოვაჩინე ისეთი რაღაც, რაც მართლაც ყველას გააოცებს, მხოლოდ ამას ნურავის ეტყვი, პაოფის თვეში ჩვენი მზის დაბნელება მოხდება. შეიძლება დღე ისე ბნელოდეს, როგორც ღამით, და დაე შიმშილმა მომკლას, თუ ჩემს ანგარიშში თუნდაც ერთი მეოცედით შევცდე.

პენტუერი შეეხო ავგაროზს, რომელიც გულზე ეკიდა და ლოცვის წარმოთქმის შემდეგ უთხრა:

– საღვთო წიგნებში წამიკითხავს, რომ უკვე არა ერთხელ, ადამიანთა სამწუხაროდ, დღისით ღამესავით ბნელდებოდა, მაგრამ არ ვიცი, რისგან ხდება ეს.

– აი იქით პირამიდებს თუ ხედავ? – შეეკითხა მინა და უდაბნოსკენ

[1] სამი გეოგრაფიული მილი (ავტ. შენიშ.).

მიათითა.

– ვხედავ.

– ახლა ხელი აიფარე თვალებზე.

– ვეღარ ვხედავ.

– ჰოდა, მზის დაბნელებაც დაახლოებით ასეთივეა: ჩვენსა და მზეს შორის მოექცევა მთვარე, რომელიც დაფარავს სინათლის მასას, და წყვდიადი დადგება.

– და ეს ჩვენში მოხდება? - შეეკითხა პენტუერი.

– პაოფის თვეში. მე ვწერდი ამის შესახებ ფარაონს იმ იმედით, რომ იგი რასმე აჩუქებდა ყველას მიერ მივიწყებულ ჩვენს ტაძარს. მაგრამ, ჩემი წერილი რომ წაიკითხა, სასაცილოდ ამიგდო და ჩემს მოციქულს უბრძანეს ცნობა ხერიჰორისათვის მიეტანა.

– ხერიჰორმა როგორღა მიიღო?

– ოცდაათი საწყაო ქერი მიბოძა. ეგვიპტეში ის ერთადერთი კაცია, რომელიც სიბრძნეს პატივისცემით ეპყრობა. ახალგაზრდა ფარაონი კი ქარაფშუტაა.

– ნუ იქნები სასტიკი მის მიმართ, მამაო, – უთხრა პენტუერმა, –- რამზეს XIII-ეს გლეხებისა და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება სურს; ის მათ დასვენებას მისცემს ყოველ მეშვიდე დღეს, აკრძალავს მათ ცემას გაუსამართლებლად და, შესაძლებელია, მიწის ნაკვეთებიც დაურიგოს.

– მე კი გეუბნები, ქარაფშუტაა-მეთქი, – გაანჩხლებით უპასუხა მინამ. – ორი თვის წინ გლეხთა შრომის შემსუბუქების თაობაზე ვრცელი მოხსენებითი ბარათი გავუგზავნე და... ისევ სასაცილოდ ამიგდო! ის გათავხედებული უმეცარია.

– შენ, მამაო, წინასწარ ცუდად ხარ მისდამი განწყობილი, აბა მიამბე იმ შენს პროექტზე. იქნებ დაგეხმარო მის განხორციელებაში.

– პროექტზე? – გაიმეორა მოხუცმა. – პროექტი კი არა, უკვე ყოველმხრივ გამზადებულია.

ის სკამიდან წამოდგა და პენტუერთან ერთად გუბურასკენ გაემართა, რომლის ნაპირას ხვიარა მცენარეებით დაბურული ფარდული იდგა. ფარდულში ჰორიზონტალურ ღერძზე ჩამოეცვათ დიდი ბორბალი და ზედ მრავალი. სათლი დაეკიდათ. მინა შიგნით შევიდა და

იწყო გადალაჯება; ბორბალი ტრიალებდა, სათლი გუბურიდან წყალს ხაპავდა და მაღლა დადგმულ ვარცლში ასხამდა.

– საინტერესო ნაგებობაა, – თქვა პენტუერმა.

– თუ ხვდები, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ეგვიპტელი ხალხისათვის?

– არა.

– მაშ წარმოიდგინე ასეთივე ბორბალი, მაგრამ ხუთჯერ ან ათჯერ უფრო დიდი და გაითვალისწინე, რომ ის მოძრაობაში არა ადამიანს, არამედ რამდენიმე უღელ ხარს მოჰყავს.

– დიახ, დიახ, წარმოდგენილი მაქვს. – ჩაილაპარაკა პენტუერმა, – მაგრამ არ მესმის...

– ეს ხომ ფრიად მარტივი რამ არის, – უპასუხა მინამ. – ამ ბორბლის დახმარებით ხარებს ან ცხენებს შეეძლებათ ნილოსიდან წყლის ამოხაპვა და არხებში გადასხმა. მაშინ ნახევარი მილიონი კაცი, რომლებიც ახლა ოწინარებთან დგანან, დაისვენებენ. ახლა შენ ხედავ, რომ სიბრძნე ადამიანთა ბედნიერებისათვის მეტს აკეთებს, ვიდრე ფარაონები.

პენტუერმა თავი გააქნია.

– კი, მაგრამ რამდენი ხე-ტყე დასჭირდება ამას? – შეეკითხა იგი. – რამდენი ხარი, რამდენი საძოვარი? მე მგონია, შენი ბორბალი მოსახლეობას მეშვიდე დღეს ვერ შეუცვლის...

– ვხედავ, – უპასუხა მინამ და მხრები აიჩეჩა, – ჩინებს შენთვის სარგებლობა არ მოუტანია. თუმცა დაგიკარგავს საზრიანობა, რომელიც შენში მაკვირვებდა, მე მაინც გიჩვენებ კიდევ რაღაცას. შეიძლება ოდესმე დაუბრუნდე სიბრძნეს და, როდესაც მოვკვდები, იქნებ მოისურვო ჩემი გამოგონებათა გაუმჯობესება და მათს ფართოდ გავრცელებაზე იმუშაო.

ისინი პილონთან დაბრუნდნენ. მინამ სპილენძის კარდალას ცოტა შეშა შეუკეთა, შეუბერა ცეცხლს და წყალიც მალე ადუღდა.

კარდლიდან გამოდიოდა ჰორიზონტალური მილი, რომლის ნახვრეტი მძიმე ქვით იყო დახურული. როდესაც კარდალა ადუღდა, მინამ პენტუერს უთხრა:

– იმ კუთხეში დადექი და უცქირე...

მან მოატრიალა მილზე მიმაგრებული სახელური და თვალის დახამხამებაში ქვა ჰაერში ავარდა, ხოლო შენობა ცხელი ორთქლით აივსო.

– პირდაპირ სასწაულია! – წამოიძახა პენტუერმა, მაგრამ უმალ დამშვიდდა და მინას შეეკითხა: – კი, მაგრამ ეს ქვა რით გააუმჯობესებს ხალხის მდგომარეობას?

– ქვა – არაფრით, – ერთგვარი გაგულისებით უპასუხა ბრძენმა. – მაგრამ გწამდეს და გახსოვდეს, რომ დადგება დრო, როდესაც ცხენი და ხარი შეცვლიან ადამიანის შრომას, ხოლო მდუღარე წყალი – ცხენსა და ხარს...

– მაგრამ გლეხებს ამით რა სარგებლობა ექნებათ? – ჩააცივდა პენტუერი.

– ოჰ, სწორედ ერთი უბედურებაა შენთან ლაპარაკი! – წამოიძახა მინამ და თავში ხელი იტაცა. – არ მესმის, დაბერდი თუ გამოჩერჩეტდი, ვხედავ კი, რომ გლეხებს შენთვის გონება დაუბნელებიათ. ბრძენთაც რომ მუდამ გლეხებზე ეფიქრათ, თავი უნდა მიენებებინათ წიგნებისა და ანგარიშისათვის და მწყემსებად გადაქცეულიყვნენ...

– ყოველ საქმეს რაიმე სარგებლობა უნდა მოჰქონდეს, – გაუბედავად შენიშნა პენტუერმა.

– თქვენ, კარისკაცებს, – საყვედურის კილოთი უპასუხა მინამ, – ხშირად თანმიმდევრობა გაკლიათ: როდესაც ფინიკიელს თქვენთან ლალი ან საფირონი მოაქვს, არ ეკითხებით, რა სარგებლობა მოაქვსო, არამედ იყიდით ძვირფას ქვას და ზანდუკში ინახავთ, ხოლო როდესაც ბრძენი მოდის თავისი გამოგონებით, რომელსაც შეუძლია სამყაროს სახე შეცვალოს, პირველ რიგში იმას ეკითხებით, ამისგან რა სარგებლობა გამოვაო. ჩანს გაშფოთებთ ის, რომ გამომგონებელი ერთ მუჭა ქერს მოგთხოვთ თავის გამოგონებაში, რომელსაც თქვენი გონება ვერ სწვდება.

– გული მოგივიდა, მამაო? მე კი სულაც არ მსურდა უსიამოვნება მომეყენებინა.

– არა, გული არ მომსვლია, ვწუხვარ მხოლოდ, ოცი წლის წინათ ამ ტაძარში ხუთი კაცი ვიყავით. ახალ საიდუმლოებათა აღმოჩენაზე ვმუშაობდით. ამჟამად კი მარტო მე დავრჩი და – ჰოი ღმერთებო! –

ვერასგზით ვერ მოვახერხე მომენახა არათუ ჩემი შემცვლელი, არამედ ისეთი კაციც კი, ვინც გამიგებდა.

– უთუოდ აქ სიკვდილამდე დავრჩებოდი, მამაო, რათა განმეგრძო შენი ღვთაებრივი საქმე, – შეესიტყვა პენტუერი, – მაგრამ, აბა, მითხარი, განა შემიძლია ტაძარში დავრჩე და ჩავიკეტო ახლა, როდესაც სახელმწიფოსა და უბრალო ხალხის ბედი წყდება და როცა ჩემს მონაწილეობას...

– შეუძლია სახელმწიფოსა და რამდენიმე მილიონი ხალხის ბედზე გავლენა იქონიოს... – დაცინვით გააწყვეტინა მინამ. – ეჰ თქვენ, გადაბერებულო ბალღებო! რაკი ნილოსიდან წყლის ამოღება შეგიძლიათ, გგონიათ, მდინარის ადიდებისა და დაკლების შეჩერებაც ძალგიძთ. ფარის უკან მიმავალ ცხვარსაც სწორედ ეგრე ჰგონია, რაკი უკან მივდევ, მე მივერეკებიო ფარას.

– მაგრამ ახალგაზრდა ფარაონის გული კეთილშობილებითაა სავსე. სურს მისცეს ხალხს მეშვიდე დღე დასასვენებლად, სამართლიანი მართლმასხულება და თვით მიწაც კი.

მინამ თავი გააქნია.

– ყოველივე ეს, – თქვა მან, – წარმავალია. ახალგაზრდა ფარაონები ბერდებიან, ხალხი კი... ხალხს არაერთხელ ჰქონია მეშვიდე დღე დასასვენებლად და მიწაც, ხოლო შემდეგ... შემდეგ ყველაფერი ეს დაუკარგავს. ოჰ, მხოლოდ ეს რომ იცვლებოდეს! რამდენი დინასტია და ქურუმი შეიცვალა ეგვიპტეში სამი ათასი წლის მანძილზე, რამდენი ქალაქი და ტაძარი იქცა ნანგრევებად, რომლებიც მიწის ახალმა ფენებმა დაფარა! ყველაფერი შეიცვალა, იმის გარდა, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ სამკუთხედი სწორკუთხედის ნახევარია, რომ მთვარეს მზის დაფარვა შეუძლია და მდუღარე წყალს – ჰაერში ქვის ასროლა. წარმავალ სამყაროში უცვლელი მხოლოდ სიბრძნეა, და ვაი იმას, ვინც ღრუბელსავით ცვალებადი საგნებისათვის მარადისობას ივიწყებს! მისი გული ვერასოდეს ვერ მოისვენებს, ხოლო გონება შეიძლება ისევე ირყეოდეს, როგორც პატარა ნავი ქარიშხლის ჟამს.

– შენი პირით ღმერთები ღაღადებენ, მასწავლებელო, – უპასუხა ჩაფიქრებულმა პენტუერმა, – მაგრამ მილიონთაგან ხომ მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია მათი სიბრძნის ჭურჭელი გახდეს. და ეს კარგიცაა,

თორემ რა იქნებოდა, რომ გლეხებს მთელი ღამეები ვარსკვლავებისათვის ეცქირათ, ჯარისკაცებს გამოანგარიშებისათვის მოეკიდათ ხელი, ხოლო მაღალი თანამდებობის მოხელეებსა და ფარაონს სახელმწიფოს მართვის მაგივრად მდუღარე წყლის დახმარებით ჰაერში ქვების სროლა დაეწყოთ? ერთხელაც კი ვერ მოასწრებდა მთვარე დედამიწის შემოვლას, რომ ჩვენ ყველანი შიმშილით დავიხოცებოდით... და ვერავითარი ბორბალი, ვერავითარი ქვები ვერ დაიცავდა ჩვენს ქვეყანას ბარბაროსების შემოსევისაგან. ვერ მიანიჭებდა დაჩაგრულთ მართლმსაჯულებას. ამიტომაც, – დაამთავრა პენტუერმა, – თუმცა სიბრძნე მზესავით აუცილებელია, იგი ჩვენი სისხლი და სუნთქვაა, მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს ყველანი ბრძენნი ვიყვნეთ.

ამაზე მინამ არა უპასუხა რა.

პენტუერმა რამდენიმე დღე გაატარა ღვთაებრივი ნუტის ტაძარში და ტკბებოდა ხან ქვიშის ზღვის სურათის, ხან კიდევ ნილოსის ნაყოფიერი ველის ცქერით. მინასთან ერთად იგი უკვირდებოდა ვარსკვლავებს, ათვალიერებდა წყლის გადამსხმელ ბორბალს, ზოგჯერ პირამიდებთან მიდიოდა, აოცებდა თავისი მასწავლებლის ნივთიერი სიღატაკე და გონებრივი გენია, მაგრამ გულში მაინც ასე მსჯელობდა:

„მინა უდავოდ ღმერთია, ადამიანის არსებაში განსხეულებული, და ამიტომაც მიწიერ ცხოვრებაზე არ ფიქრობს. მისი წყლის გადამსხმელი ბორბალი კი ეგვიპტეში ვერ იქნება გამოყენებული, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ხე-ტყე გვაკლია, ხოლო მეორე, ასეთი ბორბალი რომ აამოძრაო, ასი ათასი ხარია საჭირო. სადა გვაქვს ხარის ამდენი საძოვარი, თუნდაც ზემო ეგვიპტეში?“

თავი მეთორმეტე

ვიდრე პენტუერი დელეგატების შესარჩევად მოგზაურობდა, რამზეს XIII თებეში ცხოვრობდა და თვისი ფავორიტის თუტმოსის დაქორწინებას აწყობდა.

უწინარეს ყოვლისა, ორივე ქვეყნის მბრძანებელმა ბრწყინვალე ამალა იახლა და მოოქრული ეტლით ესტუმრა თებეს მაღალღირს

ნომარქოსს ინტეფს. წარჩინებული დიდებული ჭიშკართან მიეგება, ძვირფასი სანდლები გაიძრო და, მუხლებზე დაჩოქილმა რამზესს ეტლიდან ჩამოსვლა უშველა.

ასეთი პატივისცემის საპასუხოდ ფარაონმა საკოცნელად გაუწოდა ხელი და განუცხადა, რომ ამიერიდან ინტეფი მისი მეგობარია და უფლება ენიჭება სატახტო დარბაზშიც კი ფეხსაცმლით შევიდეს.

როდესაც ისინი ნომარქოსის სასახლის უზარმაზარ დარბაზში შევიდნენ, ფარაონმა მთელი ამალის თანდასწრებით წარმოთქვა:

– ვიცი, ღირსო ინტეფ, თუ შენი ღრმადპატივცემული წინაპრები ულამაზეს აკლდამებში სუფევენ, შენ, მათს შთამომავალს, ეგვიპტის ნომარქოსთა შორის ტოლი არა გყავს. ალბათ, მოგეხსენება, რომ ჩემს კარზე და ჯარში, აგრეთვე ჩემს მეფურ გულში პირველი ადგილი ჩემს თანშეზრდილს, ჩემი გვარდიის მეთაურს თუტმოსს ეკუთვნის. ბრძენთა აზრით, ცუდად იქცევა ის მდიდარი, რომელიც ყველაზე ძვირფასი ქვით ყველაზე მშვენიერ ბეჭედს არ ამკობს; ხოლო რადგან შენი გვარი, ინტეფ, ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასია, და თუტმოსი კი ყველაზე მეტად საყვარელი, ამიტომ გადავწყვიტე ერთმანეთთან თქვენი დამოყვრება. ეგ ადვილად მოეწყობა თუ შენი ასული, მშვენიერი და ჭკვიანი კეპრერეტი. მეუღლედ თუტმოსს აირჩევს.

ამაზე ღირსმა ინტეფმა უპასუხა:

– ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროს მბრძანებელო! როგორც მთელი ეგვიპტე და ყოველივე, რაც მასშია, შენ. გეკუთვნის, ისე ეს სახლი და ყველა მასში მცხოვრები შენს საკუთრებას წარმოადგენს. თუ გსურს, რომ ჩემი ასული კეპრერეტი შენი გამორჩეულის თუტმოსის ცოლი გახდეს, იყოს ნება შენი.

ფარაონმა ინტეფს უამბო, რომ თუტმოსი ხაზინიდან წლიურად ოცტალანტს ღებულობს და სხვადასხვა ნომში დიდი მამულები აქვს. ღირსმა ინტეფმა კი განაცხადა, რომ მისი პირმშო კეპრერეტი წლიურად ორმოცდაათ ტალანტს მიიღებს და შეეძლება ისარგებლოს მამის მამულით იმ ნომში, სადაც სამეფო კარი შეჩერდება. ამას გარდა, რამდენადაც ინტეფს ძე არ გააჩნია, მთელი მისი დიდძალი ქონება, რომელიც ვალებისგან თავისუფალია, ნომარქოსის თანამდებობასთან ერთად ოდესმე თუტმოსს გადაეცემა, თუ ეს ფარაონის სურვილი

იქნება.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ შემოვიდა თუტმოსი და ინტეფს მადლობა მოახსენა იმისათვის, რომ იგი მას, ღატაკს, თავის ასულს მეუღლედ აძლევს და იმ მშვენიერი აღზრდისათვის, რომელიც მან კეპრერეტს მისცა. გადაწყდა, რომ ქორწილი უახლოეს დღეში დაენიშნათ, რადგან თუტმოსს, როგორც გვარდიის მეთაურს, დრო არა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ხანგრძლივ ზეიმში.

– გისურვებ, შვილო ჩემო, – ღიმილით მიმართა ინტეფმა, – ბედნიერებასა და დიდ მოთმინებას, რადგან ჩემი საყვარელი ასული კეპრერეტი უკვე ოცი წლისაა, მოდის პირველ მიმდევრად ითვლება თებეში და ერთობ თავკერძა გახლავს... ვფიცავ ღმერთებს, ჩემი ხელისუფლება თებეზე ჩემი ასულის ბაღის ჭიშკართან თავდება, და ვშიშობ, შენი გენერლის წოდებაც მასზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს.

გულუხვმა ინტეფმა სტუმრები ძვირფას სუფრაზე მიიპატიჟა. ამ დროს დარბაზში გამოვიდა მრავალი ამხანაგ-ქალიშვილის თანხლებით კეპრერეტი.

სატრაპეზო დარბაზში ბევრი მცირე სუფრა იყო გაშლილი, თითოეული ორი და ოთხი კაცისათვის, ხოლო ამაღლებულ ადგილას ერთი დიდი სუფრა – ფარაონისათვის. მისმა უდიდებულესობამ ინტეფისა და თუტმოსის საპატივცემოდ კეპრერეტი თავის სუფრასთან მიიწვია. და ქალწული კეპრერეტი მართლაც უმშვენიერესი არსება იყო და სიყვარულის საქმეში დახელოვნებული ბანოვანი ჩანდა, რაც იშვიათობას არ წარმოადგენდა ეგვიპტეში. რამზესმა მალე შეამჩნია, რომ სარძლო თავის მომავალ მეუღლეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, სამაგიეროდ მრავალმეტყველი გადახედვით მალიმალ აჯილდოებდა ახალგაზრდა ფარაონს.

ეგვიპტეში არც ეს ითვლებოდა უცნაურობად.

როდესაც სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ, საკრავები ახმიანდა და მოცეკვავე ქალებმა სტუმრებს ღვინო და ყვავილები მიართვეს, რამზესმა ქალწულს უთხრა:

– რაც უფრო დიდხანს გიყურებ, კეპრერეტ, მით უფრო გაოცებას მოვდივარ. აქ რომ ვინმე უცხო პირი შემოვიდეს, შენ ღმერთქალად ან

ქურუმქალად ჩაგთვლიდა და არა ბედნიერ სარძლოდ.

– სცდები, ბატონო, – უპასუხა მან, – ამჟამად მე ბედნიერი ვარ, მაგრამ არა იმის გამო, რომ სარძლო ვარ...

– მაშ რის გამო? – შეეკითხა ფარაონი.

– მე არ მიზიდავს გათხოვება და ვამჯობინებდი იზიდას ქურუმქალი ვყოფილიყავ, ვიდრე ვისიმე მეუღლე.

– აბა რისთვის თხოვდები?

– მამის გულისათვის, რადგან მას სურს უეჭველად ჰყავდეს თვისი მაღალი ღირსების მემკვიდრე, ხოლო უმთავრესად კი იმიტომ, რომ შენ ასე გსურს, ხელმწიფევ...

– ნუთუ არ მოგწონს თუტმოსი?

– ამას როდი ვამბობ. თუტმოსი ლამაზი ვაჟია, მთელ ეგვიპტეში განთქმული დარდიმანდია, კარგად მღერის და დღეობებზე ჯილდოსაც იღებს, გარდა ამისა, მას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმის გამო, რომ თქვენი უდიდებულესობის გვარდიის მეთაურია. მაგრამ მე მისი ცოლი მაინც არ გავხდებოდი, რომ მამის თხოვნა და შენი ბრძანება არა... თუმცა მე მისი ცოლი სულ ერთია მაინც არ ვიქნები... თუტმოსი და კმაყოფილდება ჩემი სიმდიდრით და მამაჩემის შემდეგ მისი ტიტულებით, დანარჩენს კი მოცეკვავე ქალებში იპოვის.

– და ყოველივე ეს იცის თუტმოსმა?

კეპერეტმა გაიღიმა.

– კარგად იცის. მე ინტეფის კი არა, ვიღაც პარასქიტის ასულიც რომ ვიყო, მაინც არ დავნებდებოდი მამაკაცს, რომელიც არ მიყვარს. ხოლო მე შემიძლია მიყვარდეს ის, ვინც: ჩემზე მაღლა დგას...

– მართლა? - გაიკვირვა ფარაონმა.

– მე ოცი წლისა ვარ და, მაშასადამე, უკვე ექვსი წელია, რაც გარს მეხვევიან მოტრფიალენი. მაგრამ მალე შევიგნე მათი ფასი... და ახლა მოარშიყე ახალგაზრდების სიმღერებსა და სიყვარულის ახსნას სწავლულ ქურუმებთან საუბარს ვამჯობინებ.

– თუ ასეა, მაშინ შენს გვერდით მეც არ უნდა ვიჯდე. კეპრერეტ, რადგან მე არც დარდიმანდ ახალგაზრდობას ვეკუთვნი და, მით უმეტეს, არც ქურუმთა სიბრძნით ვარ აღჭურვილი.

– ჰოი, ხელმწიფევ, შენ მათზე მაღლა დგახარ, – უპასუხა მთლად წამოწითლებულმა კეპრერეტმა. – შენ ბელადი ხარ, გამარჯვებით მოსილი. შენ ლომივით შემმართებელი ხარ და ძერასავით თვალგამჭრიახი; მილიონი ადამიანი პირქვე ემხობა და სახელმწიფოები ძრწიან შენს წინაშე... განა ჩვენ არ ვიცით, როგორ შიშს იწვევს შენი სახელი ტვიროსსა და ნინევიაში? ღმერთებს შეშურდებოდათ შენი ძლევამოსილება.

რამზესი შეკრთა.

– ჰოი, კეპერეტ, კეპერეტ! რომ იცოდე, როგორ შეაშფოთე ჩემი გული.

– ამიტომაც, – განაგრძო კეპერეტმა, – ვთანხმდები თუტმოსთან შეუღლებაზე. შენთან ახლოს ვიქნები და ზოგჯერ მაინც შემეძლება გიხილო, ხელმწიფევ.

ეს რომ თქვა, კეპრერეტი ადგა და დარბაზიდან გავიდა.

მისი საქციელი შეამჩნია ინტეფმა და შეშფოთებული მივიდა რამზესთან.

– ხელმწიფევ! – წამოიძახა მან. – ჩემს ქალიშვილს თქვენს წინაშე რაიმე უზრდელობა ხომ არ გამოუჩენია? ის ხომ ძუ ლომივით დაუცხრომელია.

– დამშვიდდი, – უპასუხა ფარაონმა. – შენი ასული ჭკუისა და ზრდილობის განსახიერებაა. მაღალღირსო, რაკი. შეამჩნია, რომ ერთობ ძლიერ მოქმედებს სტუმრებზე შენი ღვინო, იგი წავიდა.

მართლაც სატრაპეზოში უკვე საშინელი ხმაური სუფევდა და ყველაზე მძლავრად თუტმოსის ხმა გაისმოდა.

– საიდუმლოდ გეტყვი, – წასჩურჩულა ინტეფმა, – საბრალო თუტმოსს დიდი სიფრთხილე დასჭირდება კეპრერეტთან.

ეს პირველი ნადიმი დილამდე გაგრძელდა. მართალია, ფარაონი მაშინვე წავიდა, მაგრამ სხვები დარჩნენ იმ დრომდე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს უგრძნობლად არ დათვრნენ და ინტეფს მათი თავიანთ სახლებში დაგზავნა არ მოუხდა.

რამდენიმე დღის შემდეგ საქორწინო ზეიმი გაიმართა.

ინტეფის სასახლეში მოვიდნენ უმაღლესი ქურუმები ხერიჰორი და ნოფრი, მეზობელი ნომების ნომარქოსები, ქალაქ თებეს უმაღლესი

მოხელეები. შემდეგ მოვიდა გვარდიის ოფიცრებით გარშემორტყმული თუტმოსი, დაბოლოს, მისი უდიდებულესობა რამზეს XIII.

ფარაონს თან ახლდნენ უმაღლესი მწერალი, მშვილდოსანთა და ცხენოსანთა მეთაურები, უმაღლესი მსაჯული, მთავარი ხაზინადარი. უმაღლესი ქურუმი სენი და გენერალ-ადიუტანტები.

როდესაც ასეთმა ბრწყინვალე საზოგადოებამ თავი მოიყარა კეთილშობილი ინტეფის წინაპართა დარბაზში, ქალიშვილებისა და მხევალთა ამალის თანხლებით გამოვიდა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი სარძლო კეპრერეტი. მამამისმა გუნდრუკი უკმია ამონს, თავისი მამის ქანდაკებას, ამაღლებულ ადგილას მჯდომ რამზეს XIII და განაცხადა, რომ ათავისუფლებს თავის ასულს კეპრერეტს თვისი მეურვეობიდან და აძლევს მას მზითევს. ეს რომ თქვა, ასულს გადასცა ოქროს პატარა კოლოფით სათანადო აქტი, რომელიც პაპირუსზე იყო დაწერილი და სასამართლოს მიერ შემოწმებული.

მცირე პურ-მარილის შემდეგ სარძლო ჩაჯდა ძვირფას ტახტრევანში, რომელსაც ნომის რვა მოხელე მიეზიდებოდა. წინ მიდიოდნენ მუსიკოსები და მომღერლები, ტახტრევანის გარშემო – მსხვილი მოხელეები, ხოლო მათ უკან – დიდძალი ხალხი. პროცესია თებეს ულამაზესი ქუჩებით ამონის ტაძრისაკენ გაემართა. იგი არანაკლებ ხალხმრავალი იყო, ვიდრე რამზეს XII-ის დამკრძალავი პროცესია.

ხალხი ტაძრის გალავანთან შეჩერდა, ხოლო სარძლო, საქმრო, ფარაონი და დიდებულები სვეტებიან დარბაზში შევიდნენ. ხერიჰორმა გუნდრუკი უკმია ამონის ფარდაჩამოფარებულ ქანდაკებას, ქურუმქალებმა საღვთო ცეკვა შეასრულეს და თუტმოსმა პაპირუსზე დაწერილი აქტი წაიკითხა:

„მე, თუტმოსს, მისი უდიდებულესობის რამზეს XIII-ის გვარდიის მეთაურს, ცოლად მიმყავხარ შენ, კეპრერეტი, თებეს ნომარქოსის ინტეფის ასული. ამთავითვე გაძლევ ათ ტალანტს ჩემს ცოლობაზე დათანხმებისათვის. მორთულობისათვის გინიშნავ წლიურად სამ ტალანტს და საოჯახო ხარჯებისათვის თვიურად ერთ ტალანტს. შვილებიდან, რომლებიც ჩვენ გვეყოლება, უფროსი ვაჟი იქნება იმ ქონების მემკვიდრე, რომელიც ამჟამად მე გამაჩნია და რომელსაც მომავალში შევიძენ. უკეთუ გაგეყრები და სხვა ცოლს შევირთავ, ვალდებუ-

ლი ვიქნები გადაგიხადო ორმოცი ტალანტი და ამ თანხის საწინდარი ჩემი ქონება იქნება. როდესაც ჩვენი ვაჟი მოიპოვებს მემკვიდრის უფლებას, ის მოვალე იქნება გაძლიოს წლიურად თხუთმეტი ტალანტი. სხვა ცოლის ნაშობ შვილებს უფლება არ ექნებათ დაიჩემონ რამე ჩვენი პირმშო ვაჟის ქონებიდან...[1]

შემდეგ გამოვიდა უმაღლესი მსაჯული და კეპრერეტის სახელით აქტი წაიკითხა, რომელშიც ახალგაზრდა დიასახლისი. მეუღლეს აღუთქვამდა კარგ კვებასა და ჩაცმას, ზრუნვას მის სახლსა, ოჯახსა, მოსამსახურეებსა, მეურნეობასა და მონებზე, ამასთანავე მას ანდობდა თავისი ქონების გამგებლობას, რომელსაც ფლობდა და დროთა განმავლობაში მამისაგან გადმოეცემოდა.

აქტების წაკითხვის შემდეგ ხერიჰორმა თუტმოსს ჭიქით ღვინო მიაწოდა, საქმრომ ნახევრად დაცალა, მშვენიერმა კეპრერეტმა კი მხოლოდ ოდნავ დააკარა ბაგე, რის შემდეგ ორივემ გუნდრუკი აკმიეს მეწამული კრეტსაბმლის წინ.

დაუტევეს რა თებეს ამონის ტაძარი, ნეფე-დედოფალი და მათი ამალა სფინქსების ხეივნით ფარაონის სასახლისკენ გაემართნენ. მათ აუარებელი ხალხი და ჯარისკაცი ესალმებოდა და ფეხქვეშ ყვავილებს უფენდა.

წინათ თუტმოსი ფარაონის ოთახებში ცხოვრობდა, მაგრამ დაქორწინების დღეს რამზესმა პარკის სიღრმეში პატარა სასახლე აჩუქა, რომელიც ლეღვების, ღვიისა და ბაობაბების ჭალებით ისე იყო დაფარული, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს აქ, ადამიანის თვალთაგან მოშორებით, თითქოს ქვეყნისაგან მოწყვეტილნი არიანო, შეეძლოთ ბედნიერი დღეები გაეტარებინათ. ამ წყნარ კუთხეში ადამიანები ისე იშვიათად გამოჩნდებოდნენ, რომ მათი ფრინველებსაც კი არ ერიდებოდათ.

როდესაც ახლად დაქორწინებულნი და მათი სტუმრები ამ ახალ ბინაში შევიდნენ, შესრულებულ იქნა უკანასკნელი ცერემონია.

თუტმოსმა კეპრერეტს ხელი მოკიდა და მიიყვანა ცეცხლთან, რომელიც იზიდას ქანდაკების წინ ენთო. ნოფრმა სარძლოს კოვზით ნაკურთხი წყალი ასხურა თავზე. კეპრერეტი ხელით შეეხო ცეცხლს,

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

თუტმოსმა კი მას პურის ნატეხი უწილადა და თითზე ბეჭედი ჩამოაცვა იმის ნიშნად, რომ იგი ამიერიდან მისი ქონების, მსახურთა, ჯოგთა და მონათა დიასახლისი გახდა.

მთელი ამ ცერემონიის განმავლობაში ქურუმებმა საქორწინო ჰიმნების გალობით შემოატარეს ღვთაებრივი იზიდა ქანდაკება, ქურუმქალები კი საღვთო ცეკვებს ასრულებდნენ.

ზეიმი წარმოდგენით და დიდი ნადიმით დამთავრდა, რომლის დროს ყველამ შეამჩნია, რომ ფარაონი მშვენიერ კეპრერეტს არ მოშორებია, თუტმოსი კი მოშორებით იჯდა და მხოლოდ სტუმრებს უმასპინძლდებოდა.

როდესაც ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდნენ, წმიდა ხერიჰორმა ნადიმი დატოვა. მალე მას ერთიმეორის მიყოლებით უკან გაჰყვა რამდენიმე მაღალი მოხელე. შუაღამე მოახლოებული იყო, როდესაც ამონის ტაძრის მიწისქვეშეთში თავი მოიყარეს დიდებულებმა: უმაღლესმა ქურუმებმა ხერიჰორმა, ნოფრმა და მენტესუფისმა, თებეს უმაღლესმა მსაჯულმა და რამდენიმე ნომარქოსმა.

მენტესუფისმა შეათვალიერა მსხვილი სვეტები, ჩაკეტა კარი და სინათლე ჩააქრო. დაბალ დარბაზში ბჟუტავდა მხოლოდ ერთი ლამპარი, რომელიც ჰორის პატარა ქანდაკების წინ ენთო. დიდებულები სამ ქვის სკამზე ჩამოსხდნენ, და აბუს ნომარქოსმა დაიწყო:

– რომ მომთხოვონ განვსაზღვრო მისი უდიდებულესობის რამზეს XIII-ის ხასიათი, მართალი გითხრათ, ფრიად გამიჭირდებოდა.

– გიჟია! – თავი ვეღარ შეიკავა ნოფრმა.

– გიჟია თუ არა, არ ვიცი, – მიუგო ხერიჰორმა, – მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ფრიად საშიში კაცია. ასირიამ უკვე ორჯერ მოგვაგონა საბოლოო ხელშეკრულების დადება, ხოლო ამჟამად, როგორც გავიგე, შეშფოთებულია ეგვიპტის საომარი მზადების გამო.

– ეს კიდევ ცოტაა, – დაუმატა ნოფრმა, – უფრო ცუდია ის, რომ ეს ღვთისმგმობელი ნამდვილად ფიქრობს ლაბირითის განძთა ხელყოფას.

– მე კი მიმაჩნია, – ჩაერია მუნის ნომარქოსი, – რომ ყველაზე უფრო საშიშია ის შეპირება, რომელიც მან გლეხებს მისცა. სახელმწიფოს და ჩვენი პირადი შემოსავალი უდაოდ შეირყევა, თუ მდაბიო ხალხი ყო-

ველ მეშვიდე დღეს იუქმებს, ხოლო გლეხებს ფარაონი მიწასაც მისცემს...

– იგი აპირებს ამის განხორციელებას, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულად მჯდომმა მსაჯულმა.

– ნამდვილად აპირებს? – იკითხა უტსეტ-ჰორის ნომარქოსმა. – მე კი მეგონა, მხოლოდ ფულის მიღება ეწადა. იქნებ ლაბირინთის განძთაგან მართლაც რაიმე მიეცეს...

– არავითარ შემთხვევაში! – შეაწყვეტინა ხერიჰორმა. – სახელმწიფოს არავითარი საფრთხე არ მოელის, განსაცდელშია მხოლოდ ფარაონი, ეს კი ერთი და იგივე არ არის. გახსოვდეთ, როგორც კაშხალი მაგარია მანამდე, ვიდრე მასში წყლის მცირე წვეთიც ვერ გაჟონავს, ისე ლაბირინთიც სავსე იქნება, ვიდრე ჩვენ მასში ოქროს პირველ ზოდს არ შევეხებით. პირველ ზოდს ყველა დანარჩენი მიჰყვება... ესეც რომ არ იყოს, ვის უნდა მივეხმაროთ ჩვენ ღმერთებისა და სახელმწიფოს განძეულობით? ჭაბუკს, რომელსაც სარწმუნოება ეზიზღება, ქურუმებს ამცირებს და ხალხს ამხედრებს. განა მას ტიგლატ-ფილესარი არა ჯობია? მართალია, იგი ბარბაროსია, მაგრამ ზიანს მაინც არ გვაყენებს.

– უხამსობაა, ქორწინების პირველ დღესვე ფარაონი თავისი ახლობელის ცოლს ასე საქვეყნოდ რომ ეარშიყება, – შენიშნა მსაჯულმა.

– კეპრერეტი თვითონ ცდილობს მის მოხიბვლას, – თქვა უტსეტ-ჰორის ნომარქოსმა.

– ყოველი ქალი ცდილობს მოხიბლოს მამაკაცი, – უპასუხა შმუნის ნომარქოსმა, – მაგრამ მამაკაცს გონება იმისათვის აქვს, რომ ცოდვა არ ჩაიდინოს.

– განა ეგვიპტეში ფარაონი ყველა ქალის ქმარი არ არის? – შეესიტყვა აბუს. ნომარქოსი, – ამასთან ცოდვები ღმერთების სამსჯავროს ექვემდებარება, ჩვენ კი მხოლოდ სახელმწიფოებრივი საკითხები გვეხება.

– საშიში კაცია! საშიში! – გაიმეორა მუნის ნომარქოსმა და ხელები გაასავსავა. – არავითარი ეჭვი არ არის, რომ მდაბიო ხალხმა უფროსებისადმი ყოველგვარი მორიდება დაჰკარგა და დღე-დღეზე აჯანყე-

ბას უნდა ველოდეთ. ხოლო მაშინ ვერც ერთი უმაღლესი ქურუმი და ნომარქოსი ვერ იქონიებს იმედს, რომ არათუ მისი ხელისუფლება და ქონება – თვით სიცოცხლეც კი შენარჩუნებული იქნება.

– მე მაქვს აჯანყების საწინააღმდეგო საშუალება, – შენიშნა ნოფრმა.

– რანაირი?

– უწინარეს ყოვლისა, – განაცხადა ნოფრმა, – ჯანყი შეიძლება ავიცდინოთ იმით, რომ ხალხის უფრო გონიერ ნაწილს ჩავაგონოთ, ის, ვინც მას ეგზომ დიდ შეღავათებს პირდება, თავის ჭკუაზე არ არის.

– იგი ყველაზე ჯანმრთელი კაცია, როგორიც კი შეიძლება ქვეყნად არსებობდეს, – ჩაილაპარაკა უტსეტ-ჰორის ნომარქოსმა. – საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რა სურს...

– ის გიჟია! გიჟი! – იმეორებდა ნოფრი, – მისი უფროსი გერი ძმა უკვე მაიმუნს ბაძავს და პარასქიტებთან ლოთობს, ამისგანაც იგივეს უნდა ველოდეთ.

– საძაგელი და ყოვლად გამოუსადეგარი ხერხია გიჟად გამოვაცხადოთ ადამიანი, რომელიც სრულ ჭკუაზეა, – სიტყვა აიღო უტსეტ-ჰორის ნომარქოსმა. – იმიტომ რომ საკმარისია ხალხმა სიცრუე იგრძნოს, სრულებით აღარ გვენდობა და მაშინ ჯანყს თავიდან ვეღარ ავიცდენთ.

– რაკი ვამბობ, რამზესი გიჟია-მეთქი, – მე ამის დამადასტურებელი საბუთებიც მომეპოვება, – განაცხადა ნოფრმა. – ყური მიგდეთ.

სკამებზე მსხდომი დიდებულნი შეინძრნენ.

– ერთი მიბრძანეთ, – განაგრძობდა ნოფრი, – რომელი ჭკუათმყოფი, ისიც ტახტის მემკვიდრე, შეებრძოლებოდა გაცოფებულ ხარს რამდენიმე ათასი აზიელის თვალწინ? რომელი საღი გონების ეგვიპტელი და ისიც მეფისწული დაიწყებს ღამით ფინიკიის ტაძრის გარშემო ხეტიალს? განა ჭკუათმყოფი, ყოველგვარი საბაბის გარეშე, მხევალივით საჯალაბოში გადააგდებს თავის პირველ მეუღლეს, რაც ქალის და მისი ბავშვის დაღუპვის მიზეზიც კი გახდა?

დამსწრეთა შორის შეძრწუნების ჩოჩქოლი გაისმა.

– ყველაფერი ეს კი ბუბასტისში ჩვენს თვალწინ მოხდა, – განაგრძობდა უმაღლესი ქურუმი. – მე და მენტესუფისი მოწმე ვიყავით იმი-

სა, თუ ნახევრადგაგიჟებული მემკვიდრე აღვირახსნილი ორგიების დროს როგორ გმობდა ღმერთებს და შეურაცხყოფდა ქურუმებს.

– მართლაც ასე იყო, – დაუდასტურა მენტესუფისმა.

– და როგორ ფიქრობთ, – ცხარობდა ნოფრი, – განა ჭკუათმყოფი მთავარსარდალი ჯარს მიატოვებდა და რამდენიმე ლიბიელ ბანდიტს დაედევნებოდა? არას ვამბობ მრავალ მცირე ფაქტზე, თუნდაც ისეთზე, როგორიცაა, მაგალითად, გლეხებისათვის დასასვენებელი დღისა და მიწის ნაკვეთების შეპირება. მაგრამ, გეკითხებით, შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ადამიანი, რომელმაც ყოველგვარი საბაბის გარეშე ამდენი დანაშაულება ჩაიდინა.

დამსწრენი დუმდნენ. უტსეტ-ჰორის ნომარქოსს აღელვება ეტყობოდა.

– ყველაფერი ეს კარგად უნდა მოვიფიქროთ, – შენიშნა უმაღლესმა მსაჯულმა, რათა ადამიანს უსაფუძვლო შეურაცხყოფა არ მივაყენოთ.

სიტყვა ხერიჰორმა აიღო.

– წმიდა ნოფრი ლმობიერად ექცევა რამზესს, როდესაც გიჟად თვლის, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოღალატედ უნდა მიგვეჩნია.

დამსწრენი კვლავ მღელვარებით შეინძრნენ.

– დიახ, რამზეს XIII-ედ წოდებული ადამიანი მოღალატეა, იმიტომ რომ არამარტო აგროვებს ჯაშუშებს და ქურდებს, რათა ხელთ იგდოს ლაბირინთის საუნჯეთსაცავის ფარული გზა, არა მარტო უარს ამბობს ასირიასთან ეგვიპტისთვის აუცილებლად საჭირო ხელშეკრულების დადებაზე...

– მძიმე ბრალდებაა, – ჩაილაპარაკა მსაჯულმა.

– მაგრამ ამას როდი ჯერდება – თქვენ გესმით – უთანხმდება ბილწ ფინიკიელებს მეწამულსა და ხმელთაშუა ზღვებს შორის არხის გათხრის თაობაზე. ეს არხი კი ეგვიპტისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მთელი ჩვენი მხარე შეიძლება ანაზდად წყლით დაიფაროს! აქ საკითხი უკვე არა ლაბირინთსა და მის განძთ, არამედ ჩვენს ტაძრებს, სახლებს, ყანებსა და ექვს მილიონ, თუმცა გაგრია, მაგრამ ყოვლად უდანაშაულო ადამიანს შეეხება, დაბოლოს

ჩვენ და ჩვენი შვილების სიცოცხლეს ემუქრება.

– თუ ასეა... – ამოოხვრით ჩაიჩურჩულა უტსეტ-ჰორის ნომარქოსმა.

– მე და პატივცემული ნოფრი ვართ თავდები, რომ ასეა და რომ ეს კაცი ეგვიპტეს გამოუსწორებელ უბედურებას დაატეხს თავს. ამიტომ მოგიწვიეთ, ღრმად პატივცემულო პირებო, რათა მოვისაზროთ ხსნის ღონისძიებანი. მაგრამ სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ამ კაცის გეგმები უდაბნოს გრიგალივით მიჰქრის. ისე არ მოხდეს, რომ ამ გეგმებმა გაგვიტანოს!

ჩაბნელებულ დარბაზში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა არის აქ სალაპარაკო? – განაცხადა ბოლოს შმუნის ნომარქოსმა. – ჩვენ ჩვენს ნომებში ვსხედვართ, სასახლიდან. შორს ვიმყოფებით, და ბუნებრივია, რომ არათუ არა ვიცოდით, რა ამ გიჟის გეგმებზე, არამედ აზრადაც არ მოგვივიდოდა ასეთი რამ. ამიტომ მე ვფიქრობ, უმჯობესია ეს საქმე თქვენ მოგანდოთ, წმიდა მამებო. თქვენ გამოააშკარავეთ სნეულება – თქვენვე მონახეთ წამალი და გამოიყენეთ, ხოლო თუ პასუხისმგებლობა გაფიქრებთ, დამხმარედ უმაღლესი მსაჯული აიყვანეთ.

– დიახ! დიახ! სწორად ამბობს! – მხარი დაუჭირეს აღელვებულმა დიდებულებმა.

მენტესუფისმა აანთო ლამპარი და ღმერთის ქანდაკების წინ მაგიდაზე დადო პაპირუსი, რომელზეც შემდეგი ეწერა:

„იმ საფრთხის გამო, რომელიც სახელმწიფოს ემუქრება, საიდუმლო საბჭოს ძალაუფლება ხერიჰორის ხელში გადადის და დამხმარედ ნოფრი და უმაღლესი მსაჯული ენიშნება“.

თათბირის მონაწილეებმა ამ აქტს ხელი მოაწერეს, კოლოფში ჩადეს და საკურთხევლის ქვეშ ფარულ ადგილას შეინახეს. ამას გარდა, თითოეულმა ფიცი დადო, რომ ხერიჰორის ყველა ბრძანებას შეასრულებს და შეთქმულებაში ათ მაღალ მოხელეს ჩაითრევს. ხერიჰორმა კი თავის მხრივ აღუთქვა, რომ მათ წარუდგენს იმის დამადასტურებელ საბუთებს, რომ ასირია დაჟინებით მოითხოვს ხელშეკრულების დადებას, მაგრამ ფარაონს არ სურს მას ხელი მოაწეროს, რომ იგი ამის ნაცვლად ფინიკიელებს უკავშირდება და უთანხმდება არხის გათხრის თაობაზე და მოღალატური გზით სურს გზა გაიკვლიოს ლა-

ბირინთში შესასვლელად.

– ჩემი სიცოცხლე და პატივი თქვენს ხელთაა, – დაამთავრა თავისი სიტყვა ხერიჰორმა, – და თუ ჩემი ნათქვამი სიმართლე არ იქნება, თქვენ მომისაჯეთ სიკვდილი, ხოლო ჩემი სხეული დასაწვავად გადაეცით...

ახლა უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ უმაღლესი ქურუმი სრულ სიმართლეს ამბობდა, რადგან ვერც ერთი ეგვიპტელი ვერ უსურვებდა თავის თავს ასეთ საშინელებას – სხეულის დასაწვავად განწირვას, ესე იგი სულის წარწყმედას.

დაქორწინების შემდეგ თუტმოსმა ფარაონის ნაბოძებ სასახლეში კეპრერეტთან რამდენიმე დღე დაჰყო, მაგრამ ყოველ საღამოს იგი გვარდიელების ყაზარმაში ცხადდებოდა, სადაც ოფიცრებისა და მოცეკვავე ქალების საზოგადოებაში ღამეს მხიარულად ატარებდა.

მისმა ასეთმა ყოფაქცევამ ამხანაგები მიახვედრა, რომ თუტმოსმა კეპრერეტი მხოლოდ მზითვისათვის შეირთო, რაც არავის გაკვირვებია.

ხუთი დღის შემდეგ თუტმოსი ფარაონს ეახლა და მოახსენა, მზად ვარ მოვალეობის შესრულებას შევუდგეო. ამგვარად, თვისი მეუღლის ნახვა მას მხოლოდ დღისით შეეძლო, ღამით, კი ფარაონის სასახლეში მორიგეობდა:

ერთ საღამოს ფარაონმა უთხრა:

– ამ სასახლეს იმდენი სამზირი აქვს, რომ ყოველ ჩემს ნაბიჯს უკვირდებიან. პატივცემულ დედაჩემსაც კი კვლავ ტანჯავენ რაღაც იდუმალი ხმები, რომლებიც მემფისში თითქოს დადუმდნენ, როდესაც ქურუმები გავრეკე. არავის მიღება აქ არ შემიძლია და უნდა წავიდე სასახლიდან, რათა უშიშარ ადგილას ვეთათბირო ჩემს მსახურთ.

– გაგაცილოთ, თქვენო უდიდებულესობავ? – შეეკითხა თუტმოსი, როდესაც დაინახა, რომ ფარაონი თავის ლაბადას ეძებდა.

– არა, შენ აქ დარჩი და თვალი გეჭიროს, ჩემს ოთახში არავინ შევიდეს. არავინ შეუშვა, თუნდაც დედაჩემი, ან მარადმსუფევი მამაჩემის აჩრდილი იყოს. განუცხადე, რომ მე მძინავს და არავის ნახვა არა მსურს.

– შენი ბრძანება შესრულებული იქნება, – უპასუხა თუტმოსმა და

დაეხმარა ფარაონს კაპიუშონიანი ლაბადის მოხურვაში. მერე საწოლ ოთახში სინათლე ჩააქრო. ფარაონი გვერდითი. გალერეით გავიდა.

ბაღში რამზესი შეჩერდა და დაკვირვებით მიმოიხედა გარშემო. შემდეგ, ალბათ, მოისაზრა, სად უნდა წასულიყო, და ჩქარი ნაბიჯით გაემართა იმ პავილიონისაკენ, რომელიც მან თუტმოსს უბოძა. დაჩრდილულ ხეივანში ვიღაცის შეკითხვამ შეაჩერა:

– ვინ მოდის?

– ნუბია, – უპასუხა ფარაონმა.

– ლიბია, – თავის მხრივ უპასუხა შემკითხველმა და საჩქაროდ უკან დაიხია, თითქოს რაღაცის შეეშინდაო. ეს იყო გვარდიის ოფიცერი. ფარაონი ჩაუკვირდა მის სახეს და წამოიძახა:

– შენა ხარ, ენანა? აქ რას აკეთებ?

– ბაღებს ვუვლი. ყოველ ღამე რამდენჯერმე შემოვუვლი, რადგან ქურდები შემოძვრებიან ხოლმე.

– კარგად იქცევი, – უპასუხა რამზესმა – მაგრამ გახსოვდეს, გვარდიელის პირველი მოვალეობა მდუმარებაა. ქურდები განდევნე, მაგრამ თუ რომელიმე წარჩინებული პირი შეგხვდეს, ნუ შეაჩერებ და კრინტი არ დასძრა, მუდამ ჩუმად იყავი! თუნდაც ეს პირი თვით უმაღლესი ქურუმი. ხერიჰორი იყოს...

– ჩემო ხელმწიფევ! – წამოიძახა ენანამ. – ნუ მიბრძანებ მხოლოდ, რომ ღამით ხერიჰორს ან ნოფრს სალამი მივცე. დარწმუნებული არა ვარ, რომ მათ დანახვაზე. ჩემი მახვილი თავისთავად არ ამოვარდება ქარქაშიდან...

რამზესს გაეღიმა.

– შენი მახვილი ჩემია, – უპასუხა მან, – და მას ქარქაშიდან მხოლოდ მაშინ იშიშვლებ, როდესაც მე გიბრძანებ.

ენანას თავი დაუქნია და განშორდა.

მალე ფარაონი დაბურულ ტაფობში ჭიშკარს მიადგა. მას მოეჩვენა, თითქოს რაღაცამ გაიშრიალა. საჩქაროდ შეეკითხა:

– კეპრერეტი ხარ?

ფარაონის შესახვედრად გამოირბინა ვიღაც მუქ ლაბადაში გახვეულმა, მიეყრდნო მას და ჩასჩურჩულა:

– შენა ხარ, ხელმწიფევ? ეს შენა ხარ? რა ხანია გელი!

ფარაონმა იგი ხელში აიტაცა და ტალავერში მიიყვანა. გზაზე ლაბადა გადაუვარდა, დააპირა მისი აღება, მაგრამ გადაიფიქრა...

მეორე დღეს დიდად პატივცემულმა დედოფალმა ნიკოტრისამ თუტმოსი იხმო. მას რომ შეხედა, ფარაონის ფავორიტი შეშინდა. იგი საშინლად გაფითრებული იყო, ჩაცვენილ თვალებს შეშლილივით აცეცებდა.

– დაჯექ, – მიმართა დედოფალმა თუტმოსს და მის გვერდით სკამზე მიუთითა.

თუტმოსმა დაჯდომა ვერ გაბედა.

– დაჯექი! და... შემომფიცე, რომ არავის უამბობ იმას, რასაც ახლა გეტყვი.

– ვფიცავ მამაჩემის აჩრდილს! – შეჰფიცა თუტმოსმა.

– ყური მიგდე! – ხმადაბლა უთხრა დედოფალმა. – მე შენთვის თითქმის დედა ვიყავ... და თუ ამ საიდუმლოებას გაამჟღავნებ, ღმერთები დაგსჯიან. დიდი უბედურება დაატყდა ჩემს ოჯახს.

თუტმოსი გაშტერებით უსმენდა.

„ჭკუაზე შეშლილა!“ – შიშით გაიფიქრა მან.

– შეხედე ამ ფანჯრიდან... იმ ხეს. იცი, ვინ დავინახე წუხელ იმ ხეზე?

– ხეზე? წუხელ?

– დიახ, ლამპრის სინათლეზე გარკვევით ჩანდა მისი ტანი და პირისახე. ეცვა თეთრ-ცისფერ ზოლებიანი კვართი. ოჰ, შვილო ჩემო! ჩემო რამზეს! ის გიჟივით იცინოდა, როგორც საცოდავი მისი ძმა, და მეუბნებოდა: „შემომხედე, დედავ, მე უკეთ დავფრინავ, ვიდრე სეთი, რამზეს დიდი და ხეოპსი დაფრინავდნენ. მან ჩემსკენ გამოიშვირა ხელი და მე, შიშით გაოგნებულმა, ფანჯრიდან შევეხე, მაშინ კი ჩამოხტა ხიდან და გაიქცა...

თუტმოსი შეშფოთებით უსმენდა დედოფალს. უცებ რაღაცამ გაუელვა თავში.

– იგი რამზესი არ ყოფილა, – მტკიცედ უპასუხა მან, – ის იქნებოდა ბილწი ბერძენი ლიკონი, რომელიც ფარაონს ძალიან წააგავს, მან მოკლა მისი ვაჟი და ახლა კი ქურუმების განკარგულებაში იმყოფება. არა, ის რამზესი არ ყოფილა! ყველაფერი ეს იმ გარეწრების, ხერიჰო-

რისა და ნოფრის, ოინებია!

დედოფლის სახეზე იმედი აღიბეჭდა, მაგრამ მხოლოდ წუთიერად.

– ნუთუ ჩემი ვაჟი ვერ ვიცანი?

– ამბობენ, ლიკონი გასაოცრად ჰგავსო რამზესს. ეს ქურუმების ოინებია, – დაჟინებით ამბობდა თუტმოსი. – საზიზღრები! მათთვის სიკვდილი ცოტაა!

– ფარაონს წუხელ სახლში ეძინა? – ანაზდად შეეკითხა დედოფალი.

თუტმოსი შეკრთა და თვალები დახარა.

– მაშ, არ სძინებია?

– ეძინა, – გაუბედავად უპასუხა თუტმოსმა.

– ტყუი! ის მაინც მითხარი, ეცვა თუ არა თეთრ-ცისფერ ზოლებიანი კვართი?

– არ მახსოვს... – წაიჩურჩულა თუტმოსმა.

– კვლავ ტყუი! ეს ლაბადა განა ჩემი ვაჟის არ არის? იმავე ხეზე იპოვა იგი ჩემმა მონამ.

დედოფალი წამოდგა და ზანდუკიდან ამოიღო მიხაკისფერი ლაბადა კაპიუშონით.

თუტმოსს უმალ მოაგონდა, რომ ფარაონი მართლაც ულაბადოდ დაბრუნდა ნაშუაღამევს და ისიც, რომ მის წინაშე თავს იმართლებდა, ლაბადა დავკარგეო. თუტმოსი ერთხანს ყოყმანობდა და ჩაფიქრებული იყო, მაგრამ მერე გადაჭრით უპასუხა:

– არა, დედოფალო, ის ფარაონი არ ყოფილა, უთუოდ ლიკონი იქნებოდა, ყველაფერი ეს ქურუმების ბოროტგანზრახული ოინებია და ამაზე დაუყოვნებლივ უნდა მოვახსენო მის უდიდებულესობას.

– მაგრამ თუ რამზესი იყო? – ერთხელ კიდევ შეეკითხა დედოფალი, თუმცა მის თვალებში უკვე იმედის ნაპერწკლები ელვარებდა.

თუტმოსი ყოყმანობდა. მისი მოსაზრება ლიკონის შესახებ უდავოდ გონივრული იყო, და იქნებ სიმართლეს შეესაბამებოდა. მაგრამ მაინც ეჭვს ბადებდა ზოგი რამ, სახელდობრ ის, რომ დედოფალმა ნამდვილად ნახა რამზესი. ფარაონი შინ ნაშუაღამევს დაბრუნდა. ტანთ ეცვა თეთრ-ცისფერ ზოლებიანი კვართი, ლაბადა დაკარგა...

მისი ძმაც ხომ უკვე ჭკუაზე შერყეული იყო... დაბოლოს, განა შეიძლება დედის გული ცდებოდეს?..

თუტმოსის გონებაში ეჭვებმა გაიღვიძეს, მაგრამ, ვიდრე იგი ყოყმანობდა, დედის გულში უკვე იმედი ისახებოდა.

– კარგია, რომ ლიკონი მომაგონე. მისი მიზეზით ნოფრმა რამზესს შვილის მკვლელობა დასწამა... ახლა კი, ვინ იცის, ეგებ იგივე ნოფრი მოქმედებს ამ ბილწი ადამიანის დახმარებით, რათა ფარაონს სახელი გაუტეხოს, ყოველ შემთხვევაში, რაც გაგანდე, არავისთან წამოგცდეს. თუკი რამზესს... მართლაც დაატყდა ასეთი უბედურება, იქნებ ეს დროებითი გამოდგეს... ასეთი ხმების დაყრა არ შეიძლება. რამზესსაც არაფერი უთხრა. თუ ეს ქურუმების ბოროტგანზრახული ოინებია, მაშინ, მით უმეტეს, ფრთხილად უნდა ვიყოთ, თუმცა... ადამიანები, რომლებიც ასეთ სიყალბეს მიმართავენ, არ შეიძლება ძლიერნი იყვნენ...

– ვეცდები ყოველივე გამოვარკვიო, – უპასუხა თუტმოსმა. – მაგრამ თუ გავიგე...

– გაფიცებ მამა-პაპათა აჩრდილებს, რამზესს არაფერი უთხრა, – ხელაპყრობით შესთხოვა დედოფალმა. – ფარაონი ქურუმებს ამას არ აპატიებს, სამართალში მისცემს და მაშინ უბედურება დატრიალდება: ან სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეები სიკვდილით დაისჯებიან, ანდა სასამართლო მათ გაამართლებს და მაშინ... ლიკონს კი თვალყური ადევნე და შეუბრალებლად მოუსპე სიცოცხლე, როგორც მტაცებელ მხეცს, როგორც შხამიან გველს...

თუტმოსი დაემშვიდობა დედოფალს, რომელიც საგრძნობლად დამშვიდებული იყო, თუმცა მის სულში შინაგანი მღელვარება უფრო ძლიერდებოდა.

„თუ ის ბილწი ბერძენი, რომელიც ქურუმებს საპყრობილეში ჰყავდათ, კვლავ ცოცხალია, – ფიქრობდა იგი, – მაშინ ხეზე აცოცებას და დედოფლის წინაშე გამოჩენას მიმალვას ამჯობინებდა. ამაში მე თვითონ დავეხმარებოდი და უხვად დავასაჩუქრებდი, თუ სიმართლეს გამოამჟღავნებდა და ამ გარეწრებისაგან დაცვას შემთხოვდა. მაგრამ კვართი, ლაბადა? როგორ შეიძლებოდა დედა საკუთარი შვილის ცნობაში მოვტყუებულიყავი?“

ამის შემდეგ თუტმოსი ფარაონს ერიდებოდა და თვალს ვერ უსწორებდა, ხოლო რამდენადაც რამზესიც ერიდებოდა თუტმოსს, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ მათი მხურვალე მეგობრობა განელდაო.

მაგრამ ერთხელ საღამოს ფარაონმა კვლავ მოუხმო თავის ფავორიტს.

– მინდა ხირამს მოველაპარაკო მნიშვნელოვან საქმეზე, – უთხრა მან. – მე მივდივარ. იმორიგე აქ ჩემს საწოლ ოთახთან და, თუ ვინმემ ჩემი ნახვა მოინდომოს, არ შეუშვა.

როდესაც ფარაონი სასახლის იდუმალ ქანდარაში მიიმალა, თუტმოსი მოუსვენრობამ შეიპყრო.

„შეიძლება, ფიქრობდა იგი, – ქურუმებმა ფარაონი რითიმე მოწამლეს; იქნებ გრძნობს ავადმყოფობის შეტევების მოახლოებას და შინიდან გარბის? ჰმ! ვნახოთ! “

შუაღამე გადასული იყო, როდესაც რამზესი დაბრუნდა. მას ეცვა არა საკუთარი, არამედ ჯარისკაცის ლაბადა.

თუტმოსს გათენებამდე არ დაუძინია, რადგან ელოდა. დედოფალი მალე ისევ მიიხმობდა. დილას გვარდიის დათვალიერების დროს ოფიცერმა ენანამ თავის უფროსს რამდენიმე სიტყვის ნებართვა სთხოვა. როდესაც ისინი განცალკევებულ ოთახში მარტო დარჩნენ, ენანა თუტმოსის ფეხებთან დაემხო და მუდარით შესთხოვა, არ გაემჟღავნებინა, რასაც ახლა მოისმენდა.

– რა მოხდა? – გულისძგერით შეეკითხა თუტმოსი.

– უფროსო, – მიმართა ენანამ, – გუშინ ბაღში შიშველი კაცი დავინახე, რომელიც გიჟივით დარბოდა და არაადამიანური ხმით გაჰკიოდა. იგი მოიყვანეს ჩემთან და... უფროსო... მომქალი...

ენანა კვლავ დაემხო თუტმოსის ფეხებთან.

– ეს შიშველი კაცი... ეს იყო... არა, ამის თქმა არ შემიძლია...

– ვინ იყო? – შეეკითხა შეშფოთებული თუტმოსი.

– მეტის თქმა არ ძალმიძს, – ამოიკვნესა ენანამ. – მე გავიხადე ჩემი ლაბადა და მით დავფარე ღვთაებრივი სიტიტელე... მინდოდა მისი სასახლეში წამოყვანა, მაგრამ... მაგრამ ხელმწიფემ არ ინება და დუმილი მიბრძანა...

– მერე, სად წავიდა?

– რა მოგახსენო. მე არ შემიხედავს და არც მეომრებს მივეცი ნება ეცქირათ. იგი სადღაც პარკის ტაფობში გაუჩინარდა. სიკვდილით დასჯით შევაშინე იქ დამსწრენი და ვუბრძანე დაევიწყებინათ მომხდარი ამბავი, – დაამთავრა ენანამ თვისი მოთხრობა.

ამასობაში თუტმოსი მოერია მასში აღძრულ მღელვარებას.

– არ ვიცი, – უთხრა ცივად, – შენი ნაამბობიდან ვერაფერი გავიგე. ეგ კი იცოდე, რომ ერთხელ მე თვითონ ტიტლიკანა დავრბოდი, როდესაც უზომოდ დავთვერი და უხვად დავაჯილდოე ისინი, ვინც იმ დროს არ შემამჩნია. გლეხები, ენანა, გლეხები და მუშები მუდამ ტიტველი დადიან, ხოლო დიდებულები მხოლოდ მაშინ, როდესაც მოესურვებათ. მე, ან რომელიმე წარჩინებულ პირს რომ ყირამალა დადგომა აზრად მოგვივიდეს, გონიერსა და კეთილმსახურ ოფიცერს ეს არ უნდა გაუკვირდეს.

– მესმის, – უპასუხა ენანამ, რომელიც ჩაციებით შესცქეროდა თავის უფროსს. – მე არათუ გავუმეორებ ამას ჩემს მეომრებს, არამედ ამაღამვე გავშიშვლდები და დავიწყებ ბაღში სირბილს, რათა იცოდნენ, რომ უფროსს ნება აქვს ჩაიდინოს ის, რაც მოეპრიანება.

მაგრამ იმ პირთა მცირერიცხოვანობის მიუხედავად, რომელთაც ფარაონი თუ მისი ორეული გაგიჟებული ნახეს, ეს არაჩვეულებრივი ამბავი ერთობ ჩქარა გავრცელდა. რამდენიმე დღის შემდეგ თებეს ყველა მცხოვრები, პარასქიტებიდან და წყლის მზიდავებიდან მოხელეებამდე და ვაჭრებამდე ერთიმეორეს ყურში ჩასჩურჩულებდნენ, რამზეს XIII-ს ისეთივე სენი გამოაჩნდა, რამაც მისი უფროსი ძმები ტახტს განაშორაო.

შიში და კრძალვა ფარაონისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს, განსაკუთრებით უცხო პირთა წრეში, გაურბოდნენ, თუმცა ეს ამბავი, რამზესის გამოკლებით, ყველამ იცოდა.

მით უფრო საკვირველი იყო, რომ ამ მითქმა-მოთქმამ მთელი ეგვიპტე ფრიად სწრაფად შემოირბინა. ცხადია, ხმები ტაძრების საშუალებით ვრცელდებოდა, რადგან მხოლოდ ქურუმები ფლობდნენ ეგვიპტის ერთი კუთხიდან მეორეში ცნობების სასწრაფოდ გადაცემის საიდუმლოებას.

თუტმოსს პირდაპირ ვერვინ უბედავდა ამ საზიზღარ ხმებზე ლაპა-

რაკს, მაგრამ ფარაონის გვარდიის უფროსი ყოველ ნაბიჯზე კარგად გრძნობდა მათს მოქმედებას. ადამიანთა ქცევის მიხედვით იგი ხვდებოდა, რომ მსახურნი, მონები და სასახლის მომმარაგებელნი მეფის სიგიჟეზე საუბრობდნენ და მხოლოდ მაშინ ჩუმდებოდნენ, როდესაც მათი საუბრის გაგონება რომელიმე კარისკაცს შეეძლო.

გაჯავრებულმა და შეშფოთებულმა თუტმოსმა ბოლოს გადაწყვიტა თებეს ნომარქოსს მოლაპარაკებოდა.

როცა თუტმოსი სასახლეში მივიდა, ინტეფი დარბაზში დივანზე იყო წამოწოლილი, დარბაზის ნახევარი თითქოს იშვიათი მცენარეების ყვავილნარს წარმოადგენდა. შუა ადგილას ვარდის წყლის შადრევანი ჩქეფდა. კუთხეებში ღმერთების ქანდაკებები იდგა, კედლები მოხატული იყო სურათებით, რომლებიც წარჩინებული ნომარქოსის საგმირო საქმეებს ასახავდნენ. სასთუმალთან მდგომი შავი მონა სირაქლემის ფრთის მარაოთი ბატონს ჰაერს უნიავებდა. იატაკზე ნომის მწერალი იჯდა და მოხსენებას აკეთებდა.

თუტმოსის სახე ისეთ შეშფოთებას გამოხატავდა, რომ ნომარქოსმა მაშინვე დაითხოვა მწერალი და მონა. წამოდგა დივანიდან და დარბაზის ყოველი კუთხე დაათვალიერა, რომ დარწმუნებულიყო ყურს არავინ გვიგდებსო.

– ჩემი ფრიად პატივცემული მეუღლის – ქალბატონი კეპრერეტის მაღალღირსო მამავ, - დაიწყო თუტმოსმა, – შენი ქცევის მიხედვით ვგრძნობ, რომ მიმიხვდი, რა მინდა მოგახსენო.

– თებეს ნომარქოსი მუდამ წინდახედული უნდა იყოს, – უპასუხა ინტეფმა. – მეც ვფიქრობ, მისი უდიდებულესობის გვარდიის უფროსი უბრალო საქმეზე ვიზიტით პატივს არ დამდებდა.

წუთით ორივენი ერთიმეორეს თვალებში მიაჩერდნენ.

მერე თუტმოსი სიმამრს გვერდით მიუჯდა და ჩურჩულით უთხრა:

– შენც თუ გაიგონე საზიზღარი ხმები, რომლებსაც სახელმწიფოს მტრები ჩვენი მბრძანებლის შესახებ ავრცელებენ?

– თუ ეს ჩემს ასულს კეპრერეტს შეეხება, – სწრაფად უპასუხა ინფეტმა, – მაშინ გიცხადებ, რომ ახლა მისი ბატონი შენ ხარ და ჩემთან არ შეგიძლია გქონდეს რაიმე პრეტესზია.

თუტმოსმა დაუდევრად ჩაიქნია ხელი..

– ვიღაც უღირსი პირები, – განაგრძო მან, – ხმებს ავრცელებენ, თითქოს ფარაონი ჭკუაზე შეცდა. შენც თუ გაიგონე ეს, მამავ?

ინტეფმა იმდენად. გაურკვევლად გააქნია თავი, რომ შეიძლებოდა ეს როგორც დადასტურებად, ისე უარყოფადაც მიგვეჩნია. ბოლოს მან თქვა:

– ადამიანთა სისულელე ზღვასავით უნაპიროა, ის ყველაფერს იტევს...

– ეს სისულელე კი არა, ქურუმების დანაშაულებრივი ინტრიგებია. მათს განკარგულებაში იმყოფება ადამიანი, რომელიც მის უდიდებულესობას ჰგავს, და ისინი სარგებლობენ თავიანთი ბინძური ხრიკების განსახორციელებლად.

მან უამბო ნომარქოსს ბერძენ ლიკონის ამბავი და მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების შესახებ ბუბასტისში.

– ამ ლიკონზე, რომელმაც მემკვიდრის ვაჟი მოკლა, მეც მსმენია, – უთხრა ინტეფმა, – მაგრამ გაქვს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ნოფრმა ლიკონი ბუბასტისში დაატყვევა, თებეში გადმოიყვანა და სამეფო ბაღებში უშვებს, რათა იქ გიჟი ფარაონი განასახიეროს?

– სწორედ ამიტომ გეახელი, მირჩიო, რა ვქნა? მე ხომ გვარდიის უფროსი ვარ და ვალად მდევს დავიცვა ჩვენი ხელმწიფის სახელი და სიცოცხლე!

– რა ვქნათ? რა ვქნათ? – ჩაილაპარაკა ინტეფმა. – უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, ამ უღმერთო ხმებმა ფარაონის ყურამდე არ მიაღწიოს...

– რატომ?

– იმიტომ, რომ დიდი უბედურება დატრიალდება. როდესაც ჩვენი ბატონი გაიგებს, რომ ლიკონი სიგიჟეს იგონებს და თავის თავს ფარაონად ასაღებს, გამძვინვარდება... ცხადია, თავის განრისხებას ხერიჰორისა და ნოფრის წინააღმდეგ მმართავს... შესაძლებელია, ისინი მხოლოდ სიტყვიერად შერისხოს... შეიძლება საპყრობილეში ჩასვას... შეიძლება მოკლას კიდეც... მაგრამ რაც არ უნდა ჩაიდინოს, მას ხელთ საკმარისი მამხილებელი საბუთი არ ექნება. მაშინ რა შეიძლება მოხდეს? თანამედროვე ეგვიპტეს დიდად აღარ ეპიტნავება ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვა, მაგრამ დაუსაბუთებლად შეურაცხყო-

ფილ ქურუმებს ჯერ კიდევ გამოექომაგება... ეს კი დინასტიას ბოლოს მოუღებს...

– მაშ რა ვქნათ?

– უნდა მოვნახოთ ლიკონი და დავამტკიცოთ, რომ ნოფრმა და ხერიჰორმა დამალეს იგი და გაგიჟებული ფარაონის განსახიერებას აიძულებდნენ. ეს შენ უნდა გააკეთო, თუ გსურს ბატონის წყალობა შეინარჩუნო. მამხილებელი ფაქტები! რაც შეიძლება მეტი მამხილებელი ფაქტები! ეგვიპტე ასირია არ არის. ჩვენში სასამართლოს გარეშე უმაღლესი ქურუმების დასჯა არ შეიძლება. ხოლო არც ერთი სასამართლო არ განსჯის მათ, თუ საკმაო მამხილებელი საბუთები არ იქნა. ესეც არ იყოს, რითი ხარ დარწმუნებული, რომ ფარაონს საჭმელში რაიმე გამარეტიანებელი სამსალა არ შეურიეს? ეს ხომ უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე ღამით სამეფო ბაღში ისეთი პირის შეგზავნა, რომელმაც პაროლი არ იცის და არც ოდესმე ყოფილა სასახლესა და პარკში... ვიმეორებ, ლიკონზე მეც, მსმენია, ვგონებ, ხირამმა მიამბო. მაგრამ ვერ გამიგია, როდგორ შეეძლო თებეში ასეთი სასწაულების ჩადენა.

– ამ გახსენებაზე, – სიტყვა შეაწყვეტინა თუტმოსმა, – სად არის ხირამი?

– თქვენი დაქორწინებისთანავე მემფისს წავიდა, ამ დღეებში კი ქიტეიში იყო.

თუტმოსის სახეზე კვლავ შეშფოთება აღიბეჭდა.

„იმ ღამეს, – გაიფიქრა მან, – როდესაც ენანასთან ტიტველი ადამიანი მიიყვანეს, ფარაონმა თქვა, ხირამის სანახავად მივდივარო. რაკი ხირამი იმჟამად თებეში არ ყოფილა, ჩანს, მისმა უდიდებულესობამ უკვე მაშინ არ იცოდა, რას ამბობდა“.

თუტმოსი გაოგნებული დაბრუნდა შინ. მას არათუ ვერ გაეთვალისწინებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ გაუგონარ მდგომარეობაში, არამედ ისიც კი არ იცოდა, რა ეფიქრა. თუ დედოფალ ნიკოტრისასთან საუბრის დროს თითქმის დარწმუნებული იყო, რომ პარკში ქურუმების დავალებით ლიკონი ოინბაზობდა, ახლა ეს რწმენაც შეერყა. ხოლო თუ ასე დაბნეული იყო თუტმოსი, რომელიც რამზესს ყოველდღე ხედავდა, რაღა უნდა ეფიქრათ გარეშე პირებს? ამგვარ პირობებ-

ში, როდესაც ყოველი მხრიდან მოისმოდა ჩურჩული, ფარაონი ჭკუაზე შეირყაო, შეიძლებოდა ხელმწიფისა და მისი გეგმების უერთგულეს მომხრეთაც კი ყოყმანი დაეწყოთ.

ეს იყო პირველი იერიში, რომელიც ქურუმებმა რამზეს XIII-ზე მიიტანეს. თავისთავად იგი უმნიშვნელო რამ იყო, მაგრამ შეიძლებოდა მრავალი საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა.

თუტმოსი არა მარტო მერყეობდა, არამედ იტანჯებოდა კიდეც. მის ფუქსავატ გარეგნობაში ნამდვილად კეთილშობილი და მტკიცე ხასიათი იმალებოდა. და ახლა, როცა მისი ბატონის სახელსა და ძლიერებას ემუქრებოდნენ, თუტმოსს უმოქმედობა სტანჯავდა. ეჩვენებოდა, თითქოს იგი ციხის კომენდანტია, რომელსაც მტერი ძირის გამოთხრას უქადის, თავად კი უმწეოდ შესცქერის ამას. ეს აზრი იმდენად აწუხებდა თუტმოსს, რომ მისი ზეგავლენით გაბედული იდეა დაებადა. ერთხელ უმაღლეს ქურუმს სენს შეხვდა და უთხრა:

– შენ თუ გაიგონე, რა ხმებს ავრცელებენ ჩვენს მბრძანებელზე?

– ფარაონი ახალგაზრდაა და მასზე შეიძლება მრავალნაირი ხმები დადიოდეს, – უპასუხა სენმა და თუტმოსს რაღაც უცნაურად გადახედა. – მაგრამ ამგვარი საქმეები მე არ მეხება: მე მისი უდიდებულესობის ნაცვალი ვარ ღვთისმსახურებაში, ვასრულებ ჩემს მოვალეობას შეძლებისამებრ კარგად, დანარჩენი არ მეხება.

– ვიცი, რომ ფარაონის ერთგული მსახური ხარ. – უთხრა თუტმოსმა, – და ფიქრადაც არა მაქვს ქურუმების საიდუმლოებას შევეხო. მაგრამ იძულებული ვარ შენი ყურადღება ერთ წვრილმანზე შევაჩერო. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, რომ წმიდა ნოფრს დამალული ჰყავს ვინმე ბერძენი ლიკონი, რომელსაც ორი დანაშაული მიუძღვის: პირველი – იგი ფარაონის ვაჟის მკვლელია და მეორე – უაღრესად ჰგავს მის უდიდებულესობას. ღირს ნოფრს ურჩევნია ქურუმთა ყოვლად პატივცემული კასტა არ შეარცხვინოს და ის ბოროტმოქმედი დაუყოვნებლივ გადასცეს სასამართლოს, თორემ თუ ჩვენ აღმოვაჩინეთ ლიკონი, გეფიცებით, ნოფრი დაჰკარგავს არა მარტო ღირსებას, არამედ საკუთარ თავსაც. ჩვენს სახელმწიფოში დაუშვებელია ავაზაკების დაუსჯელი მფარველობა და ისეთი ადამიანის დამალვა, რომელიც უმაღლეს მბრძანებელს მიაგავს!

სენი, რომლის თანდასწრებით ნოფრმა პოლიციის უფროსს ხელიდან გამოსტაცა ლიკონი, ცოტა არ იყოს შეკრთა, იქნებ იმის გამო, ვაითუ თანამონაწილეობის ეჭვი ჩემზე აიღონო, მაგრამ თუტმოსს მაინც მშვიდად უპასუხა:

– ვეცდები გავაფრთხილო წმიდა ნოფრი აქ გამაწბილებელი ეჭვების შესახებ, მაგრამ იცით თუ არა თქვენ, ყოვლადპატივცემულო, რა სასჯელი ელის იმას, ვინც ყალბ ბრალდებას უყენებს ვინმეს?

– ვიცი და ჩემს თავზე ვღებულობ კიდეც პასუხისმგებლობას, იმდენად ვარ დარწმუნებული იმაში, რაც გითხარით, რომ სრულებით არ მაწუხებს ჩემი ეჭვების შედეგები. მღელვარებასა და შფოთვას პატივცემულ ნოფრს ვუთმობ და ვუსურვებ არ დამჭირდეს გაფრთხილებიდან მოქმედებაზე გადასვლა.

ამ საუბარმა შედეგი გამოიღო. მას შემდეგ ფარაონის ორეული აღარავის უნახავს.

მაგრამ მითქმა-მოთქმა მაინც არ შეწყდა. რამეს XIII–მ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან თუტმოსაც კი, რომელიც შიშობდა, რომ მბრძანებელს შეეძლო ქურუმების მიმართ მოუფიქრებელი ნაბიჯები გადაედგა, არა აცნობა რა.

თავი მეცამეტე

პაოფის თვის (ივლისი-აგვისტო) დამდეგს ფარაონი, დედოფალი ნიკოტრისა და კარისკაცნი თებედან მემფისის მახლობლად მდებარე სასახლეში დაბრუნდნენ.

მოგზაურობის დასასრულს, რომელიც ახლაც ნილოსით უხდებოდათ, რამზეს XIII ხშირად ჩაფიქრდებოდა ხოლმე და ერთხელ თუტმოსს უთხრა:

– საკვირველი საქმეა, ხალხი ისევ მრავლად იყრის თავს მდინარის ორსავე ნაპირას, თითქმის უფრო მრავლად, ვიდრე მაშინ, როდესაც გაღმა მხარეს მივემართებოდით, მაგრამ მისალმების შეძახილები გაცილებით ნაკლებად. გაისმის, უფრო ცოტა ნავი გვაცილებს, და თაიგულებსაც უფრო ძუნწად გვიძღვნიან...

– შენი პირით, ხელმწიფევ, ღვთაებრივი სიმართლე ღაღადებს, –

უპასუხა თუტმოსმა, – ხალხს მართლაც რაღაც მოქანცულობა ემჩნევა, მაგრამ ეს, ალბათ, საშინელი პაპანაქების ბრალია.

– დიახ, სწორად ამბობ, – დაეთანხმა ფარაონი და სახე გაუბრწყინდა.

მაგრამ თუტმოსი თვითონაც არ უჯერებდა თავის თვალებს. გრძნობდა, და არა მარტო ის, არამედ ფარაონის მთელი ამალაც, რომ ხალხი უკვე რამდენადმე გულგრილი შეიქნა მბრძანებლის მიმართ.

თუტმოსმა არ იცოდა, ეს რამზესის ავბედითი დაავადების შესახებ გავრცელებული ხმების შედეგი იყო, თუ სხვა რაიმე ფარული ოინებისა, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული იყო, რომ ხალხის გაგულგრილებას ქურუმებმა შეუწყვეს ხელი.

„აი სულელი ბრბო! – ფიქრობდა იგი ზიზღით. – ამას წინათ წყალში ცვივდებოდნენ, ოღონდ ფარაონის სახე დაესახათ, ახლა კი ხმის ამოღებაც ეზარებათ. ნუთუ მეშვიდე დასასვენებელი დღეც დაივიწყეს და დანაპირები მიწაც!“

სასახლეში დაბრუნების შემდეგ ფარაონმა დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება მოეწვიათ დელეგატები, რომელთაც მისთვის ლაბირინთის ხელშეუხებლობის დარღვევის უფლება უნდა მიეცათ. ერთდროულად მან დაავალა ერთგულ მოხელეებს და პოლიციას დაეწყოთ აგიტაცია მეშვიდე დასასვენებელი დღისათვის.

მალე ქვემო ეგვიპტე სკასავით აზუზუნდა. გლეხები არა მარტო უქმეებს მოითხოვდნენ, საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის ნაღდ გასამრჯელოსაც. მუშები სამიკიტნოებსა და ქუჩებში აგინებდნენ ქურუმებს, რომელთაც ფარაონის ღვთაებრივი ხელისუფლების შეზღუდვა სურდათ. დანაშაულებადა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ კანონიერების დამრღვევნი უარს ამბობდნენ სასამართლოში გამოცხადებაზე. მწერლები მიჩუმდნენ და ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა ეცემა მდაბიო ადამიანი, რადგან იცოდა, ეს არ შერჩებოდა. ტაძრებში შესაწირავი იშვიათად მიჰქონდათ; ნომების საზღვართა მცველ, ღმერთებს უფრო ხშირად ესროდნენ ქვებსა და ტალახს და ზოგჯერ ამხობდნენ კიდეც.

შიშმა შეიპყრო ქურუმები, ნომარქოსები და მათი დამქაშები. ბაზრებსა და გზებზე მსაჯულები ამაოდ აგონებდნენ კანონს, რომლის

თანახმად მიწათმოქმედს, მუშებს და თვით ვაჭრებს ეკრძალებოდათ ჭორების აყოლა, რადგან ეს სამუშაოსგან მოცდენას იწვევდა. მაცნეებს ბრბო სიცილ-ყიჟინით აყრიდა დამპალ ბოსტნეულსა და ხურმის კურკებს.

არისტოკრატებმა სასახლეს მიაშურეს, ფეხებში უვარდებოდნენ ფარაონს და ხსნას შესთხოვდნენ.

– ჩვენს ფერხთ ქვეშ, – ღაღადებდნენ ისინი, – თითქოს მიწა შეირყა, თითქოს უკანასკნელი დღე დაგვიდგა. სტიქია მძვინვარებს და ადამიანთა გონება დუღს. თუ არ დაგვიფარავ, ხელმწიფევ, ჩვენი სიცოცხლის დღეები დათვლილია...

– ჩემი ხაზინა დაცარიელებულია, ჯარი ჩემი – მცირერიცხოვანია, ხოლო პოლიცია დიდი ხანია ჯამაგირს ვერ იღებს, – უპასუხებდა რამზესი, – თუ გსურთ მშვიდობიანობა და უშიშროება, უნდა მომცეთ საჭირო სახსრები. ყველაფერს ვიღონებ, რაც შესაძლებელია, და ვიმედოვნებ, მოვახერხებ წესრიგის აღდგენას.

მართლაც ფარაონმა განკარგულება გასცა ჯარისათვის თავი მოეყარათ და მნიშვნელოვან პუნქტებში ჩაეყენებინათ. ერთდროულად მან ნეიტიკერს ბრძანება გაუგზავნა აღმოსავლეთის საზღვარი თავისი თანაშემწისათვის ჩაებარებინა, თვითონ კი ხუთი საუკეთესო ლეგიონით მემფისისაკენ წამოსულიყო.

ფარაონი ასე მოქმედებდა არა იმდენად არისტოკრატიის დასაცავად ბრბოსაგან, რამდენადაც იმისათვის, რომ ხელთ ჰყოლოდა დიდი ძალები იმ შემთხვევისათვის, თუ უმაღლესი ქურუმები მის წინააღმდეგ ზემო ეგვიპტის მოსახლეობასა და ტაძრების განკარგულებაში მყოფ ლეგიონებს აამხედრებდნენ.

პაოფის ათს სასახლესა და მის მიდამოებში დიდი გამოცოცხლება სუფევდა; შეიკრიბნენ დელეგატები, რომელთაც ფარაონისათვის ლაბირინთის საუნჯეთა მოხმარების უფლების მინიჭების საკითხი უნდა გადაეწყვიტათ. აქვე თავი მოიყარა მრავალმა გარეშე პირმა, რომელთაც სურდათ შეეხედათ მაინც იმ ადგილისათვის, სადაც ეგვიპტეში ასეთი ჯერ არნახული ზეიმი ეწყობოდა.

დელეგატების მსვლელობა დილიდანვე დაიწყო. წინ მიდიოდნენ თეთრ ჩაჩებსა და საგვერდულებში გამოწყობილი შიშველი გლეხები;

თითოეულ მათგანს ხელში ტილოს დაბებკილი კონკი ეკავა, რათა ფარაონთა შეხვედრისას დაეფარა შიშველი ზურგი. მათ მოსდევდნენ ასევე ჩაჩიანი და საგვერდულებიანი გამოწყობილი მუშები და ხელოსნები, მაგრამ მათი მოსასხამები უფრო თხელი ქსოვილისა იყო, ხოლო ვიწრო წინსაფრები – ნაირნაირი სახეებით ამოქარგული.

მათ უკან მოდიოდნენ ვაჭრები გრძელ პერანგებსა და მოსასხამებში; ზოგ მათგანს პარიკი ეხურა, ზოგი კიდევ ძვირფასი სამაჯურებითა და ბეჭდებით კოხტაობდა.

შემდეგ მოაბიჯებდნენ ჩაჩებსა და შავ-ყვითელ, ცისფერთეთრ და ცისფერ-წითელ ზოლებიან ხიფთანებში გამოწყობილი ოფიცრები... ორ მათგანს ხიფთანის ნაცვლად თითბრის ნახევარ-ჯაჭვკურტაკი ეცვა.

კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა ცამეტი აზნაური უზარმაზარ პარიკებსა და მიწამდე დაშვებულ თეთრ ტანსაცმელში. მათ მოსდევდნენ ნომარქოსები, რომელთაც მეწამულ ზოლებშემოკერილი ტანსაცმელი ეცვათ. მსვლელობა თავპირგაპარსული ქურუმებით მთავრდებოდა, რომელთაც მხარზე ჯიქის ტყავი ჰქონდათ გადაკიდებული.

დელეგატები შევიდნენ ფარაონის დიდ დარბაზში, სადაც ერთიმეორის მიყოლებით იდგა შვიდი გრძელი სკამი: ყველაზე დაბალი – გლეხებისათვის და ყველაზე მაღალი – ქურუმთა კასტისათვის.

მალე დარბაზში ტახტრევანით შემოიყვანეს რამზეს XIII. დელეგატები პირქვე დაემხვნენ. ორივე ქვეყნის მბრძანებელი მაღალ ტახტზე დაჯდა და ქვეშევრდომებს ნება დართო წამომდგარიყვნენ და სკამებზე ადგილები დაეკავებინათ. შემდეგ დარბაზში შემოვიდნენ და უფრო დაბალ ტახტებზე დასხდნენ უმაღლესი ქურუმები – ხერიჰორი, ნოფრი და ლაბირინთის მცველი, რომელსაც ხელში კოლოფი ეჭირა. ფარაონს გარს ბრწყინვალე ამალა ერტყა, მის ზურგს უკან კი ორი მაღალი მოხელე დადგა, რომელთაც ფარშავანგის ფრთის მარაო ეჭირათ. იცის.

– მართლმორწმუნე ეგვიპტელნო! – დაიწყო ორივე ქვეყნის მბრძანებელმა, – იცით თუ არა თქვენ, რომ ჩემი სამეფო კარი, ჯარი და მოხელეები ისეთ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიან, რომლის შევსება გაღატაკებულ ხაზინას აღარ ძალუძს. არას ვამბობ ჩემი ღვთაებ-

რივი პიროვნების ხარჯებზე, რადგან მე ვჭამ და ვიცვამ როგორც ჯარისკაცი; ყოველ გენერალს თუ დიდ მწერალს გაცილებით მეტი მოსამსახურეები და ქალები ჰყავს, ვიდრე მე.

დელეგატთა შორის თანხმობის ჩურჩულმა გადაირბინა.

– დღემდე არსებული ჩვეულების მიხედვით, – განაგრძო ფარაონმა, – როდესაც ხაზინას სახსრები ესაჭიროებოდა, მშრომელ მოსახლეობას გადასახადებს უმატებდნენ. მე კი ვიცნობ ჩემს ხალხს და მის გაჭირვებულ მდგომარეობას და არათუ არ მსურს ახალი ტვირთი დავაკისრო, არამედ მწადია მას ერთგვარი შეღავათი მივანიჭო...

– იცოცხლე მარად, ჩვენო ხელმწიფევ! გაისმა ხმები ქვედა სკამებიდან.

– ეგვიპტის საბედნიეროდ, ჩვენი სახელმწიფო ისეთ საუნჯეთ ფლობს, რომელთა გამოყენებით შეგვიძლია განვამტკიცოთ ჩვენი ჯარი, მოხელეები ჯამაგირით დავაკმაყოფილოთ, ხალხს შემწეობა აღმოვუჩინოთ და თვით ტაძრებისა და ფინიკიელთა ვალებიც გავისტუმროთ. ჩემი სახელოვანი წინაპრების მიერ შეგროვილი ეს საუნჯენი ლაბირინთის სარდაფებში ინახება. მაგრამ მათი ხელშეხება მხოლოდ იმ შემხვევაში შეიძლება, თუ თქვენ, მართლმორწმუნენო, ვით ერთი კაცი, აღიარებთ, რომ ეგვიპტე გასაჭირშია და მე, მეფეს, უფლება მაქვს ჩემი წინაპრების საუნჯეთა გამოყენებისა.

– ვაღიარებთ! გთხოვთ, ხელმწიფევ, მოიხმარო იმდენი, რამდენიც საჭიროა! – გაისმა ხმები ყველა სკამიდან.

– მაღალღირსო ხერიჰორ! – მიმართა უმაღლეს ქურუმს რამზესმა, – რაიმე საწინააღმდეგო ხომ არა აქვს ქურუმთა საღვთო წოდებას?

– ფრიად მცირე რამ, – უპასუხა ქურუმმა და წამოდგა. – უძველესი კანონების თანახმად ლაბირინთის საუნჯეთა გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სახელმწიფოს სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნია. ამჟამად კი ასეთი მდგომარეობა არა გვაქვს. თუ მთავრობა ფინიკიელებს მათი ჩართული პროცენტით გაზრდილი ვალების გადახდაზე უარს ეტყვის, მაშინ არა მარტო სამეფო ხაზინა შეივსება, არამედ უბრალო ხალხსაც, რომელიც დღეს ფინიკიელებისთვის მუშაობს, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მიეცემა.

დელეგატთა სკამებზე კვლავ მოწონების ჩურჩული გაისმა,

– შენი რჩევა, წმიდა მამა, ერთობ ბრძნულია, – მშვიდად მიუგო ფარაონმა, – მაგრამ სახიფათოა, რადგან თუ ჩემი ხაზინადარი, პატივცემული ნომარქოსები და აზნაურობა ერთხელაც არის დაეჩვევა ვალების გადაუხდელობას, მაშინ ჩვენ დღეს ფინიკიელებს ვეტყვით უარს ვალების გასტუმრებაზე, ხვალ კიდევ იმასაც დავივიწყებთ, რაც ფარაონისა და ტაძრების გვმართებს და ვინაა თავდები, რომ მაღალი წრის მაგალითით გათამამებული მდაბიო ხალხიც არ იფიქრებს, რომ მასაც უფლება აქვს უგულვებელჰყოს თვისი ვალდებულებანი ჩვენს მიმართ?

იმდენად მოხდენილი და ძლიერი იყო ეს პასუხი, რომ ყოვლადღირსი ხერიჰორი სავარძელში მოიკრუნჩხა და დადუმდა:

– შენ, ლაბირინთის უმაღლესო მცველო, გაქვს რაიმე დასამატებელი? – შეეკითხა ფარაონი.

– მე თანა მაქვს თეთრი და შავი კენჭებით სავსე კოლოფი – უპასუხა ქურუმმა. – თითოეული დელეგატი ორივე ფერის თითო კენჭს მიიღებს და ერთ მათგანს დოქში ჩააგდებს. ვისაც სურს, რომ შენ ლაბირინთის ხელშეუხებლობა დაარღვიო, ის შავ კენჭს ჩააგდებს, ხოლო ვინც იმის მომხრეა, რომ ღმერთების სამკვიდრებელი ხელშეუხებელი დარჩეს, ის – თეთრს.

– ამაზე არ დაეთანხმო, ხელმწიფევ, – ჩასჩურჩულა ფარაონს ხაზინადარმა, – უმჯობესია თითოეულმა დელეგატმა აშკარად გამოთქვას თავისი გულისნადები.

– შესაფერი პატივით უნდა მოვეპყრათ ძველ ჩვეულებას, – ჩაერია ნოფრი.

– ეგრე იყოს, – დაეთანხმა ფარაონი. – ჩემი გული წმინდაა, განზრახვები კი ურყევი.

ნოფრმა და ხერიჰორმა ერთიმეორეს გადახედეს.

ლაბირინთის მცველი ორი გენერლის თანხლებით სკამების შემოვლასა და კენჭების ჩამორიგებას შეუდგა: თითოეულ დელეგატს ორ-ორ კენჭს – თეთრსა და შავს ურიგებდა. მდაბიო ხალხის წარმომადგენლები ძალზე შეკრთნენ, როდესაც ასეთი მაღალი მოხელეები ასე ახლოს იხილეს. ზოგი გლეხი მათ წინ პირქვე ემხობოდა, ვერ ბედავდა კენჭების აღებას, და უჭირდათ იმის გაგება, რომ დოქში მხო-

ლოდ ერთი კენჭის – თეთრის ან შავის –- ჩაგდება შეუძლიათ.

– მსურს ვაამო ღმერთებსაც და ფარაონსაც, – ბუტბუტებდა მოხუცი მწყემსი.

დაიწყო კენჭისყრა. თითოეული დელეგატი მიდიოდა დოქთან და ისე აგდებდა კენჭს, რომ სხვებს არ დაენახათ, რა ფერის კენჭი ჩაუშვა დოქში.

ამასობაში ტახტის უკან მუხლებზე დაჩოქილი მთავარი ხაზინადარი ფარაონს უჩურჩულებდა:

– ყველაფერი დაიღუპა! კენჭისყრა რომ ღია ყოფილიყო, ჩვენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას მივიღებდით. ახლა კი, ხელი გამიხმეს, თუ დოქში ორი ათეული თეთრი კენჭი არ აღმოჩნდება.

– დამშვიდდი, ჩემო ერთგულო მსახურო, – ღიმილით უთხრა რამზესმა – ჩემს განკარგულებაში უფრო მეტი ლეგიონია, ვიდრე ჩვენს წინააღმდეგ ხმისმიმცემი ადამიანი.

კენჭისყრა დამთავდა. ლაბირინთის მცველმა ასწია დოქი. და მისი შიგთავსი ოქროს ხონჩაზე გადმოყარა: ოთხმოცდათერთმეტ ხმის მიმცემზე ოთხმოცდასამი შავი და რვა თეთრი, აღმოჩნდა.

უმაღლესმა ქურუმებმა დამსწრეთ მედიდურად გადახედეს, მაგრამ რამზესის სახეს ღიმილი არ მოშორებია. ვერავინ ბედავდა ხმამაღლა ეთქვა, რომ ფარაონის წინადადება უარყოფილ იქნა. პირველმა ისევ ფარაონმა დაიწყო ლაპარაკი : თვისი ჩვეულებრივი კილოთი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს:

– მართლმორწმუნე ეგვიპტელნო, ჩემო კეთილო მსახურნო! თქვენ შეასრულეთ ჩემი ბრძანება, და ჩემი წყალობა... თქვენთანაა. ორი დღე თქვენ სტუმრები იქნებით ჩემს სახლში. საჩუქრებს რომ მიიღებთ, დაუბრუნდებით თქვენს ოჯახებს და მშვიდობიან საქმიანობას. მშვიდობა თქვენდა და ჩემი ლოცვა-კურთხევა!

ეს რომ თქვა, ფარაონი თვისი ამალით დარბაზიდან გავიდა.

უმაღლესმა ქურუმმა ხერიჰორმა და ნოფრმა კვლავ ერთიმეორეს გადახედეს, მაგრამ ახლა უკვე აშკარა შეშფოთებით.

– სრულებით არა სწყენია, – ჩურჩულით უთხრა ხერიჰორმა.

– აკი გეუბნებოდი, ცოფიანი მხეცია-მეთქი, – უპასუხა ნოფრმა, – ის არც ძალადობის წინაშე დაიხევს, თუ ჩვენ არ დავასწარით...

– ღმერთები დაგვიცავენ ჩვენ და ჩვენს თავშესაფართ...

იმავე საღამოს რამზეს XIII-ეს თათბირი ჰქონდა თავის უერთგულეს მსახურებთან. თათბირში მონაწილეობდნენ მთავარი ხაზინადარი, უმაღლესი მწერალი, თუტმოსი და ბერძენთა კორპუსის სარდალი კალიპე.

– ეჰ, მბრძანებელო, – ამოიკვნესა ხაზინადარმა – რატომ არ მოიქეცი ისე, როგორც შენი მარადმსუფევი წინაპრები? დელეგატებს რომ ხმა ღია კენჭისყრით მიეცათ, ჩვენ უკვე ხელთ გვექნებოდა ლაბირინთის საუნჯეთა მოხმარების უფლება.

– მართალს ამბობს ღრმადპატივცემული, – მხარი დაუჭირა ხაზინადარს უმაღლესმა მწერალმა.

ფარაონმა თავი გაიქნია.

– თქვენ ცდებით. მთელმა ეგვიპტემაც რომ ერთხმად განაცხადოს: „ლაბირინთის სიმდიდრე ხაზინას გადაეცითო“! – უმაღლესი ქურუმები არც მაშინ გასცემენ...

– მაშ რატომღა შევკრიბეთ დელეგატები? ამან ააფორიაქა და იმედი გაუღვივა ხალხს, რომელიც ამჟამად ადიდებულ მდინარეს მოგვაგონებს.

– მე წყალდიდობის არ მეშინია, – უპასუხა ფარაონმა, – ჩემი ლეგიონები მისი კაშხალები. გახდებიან... ხოლო ამ კრების, სარგებლობა ჩვენთვის აშკარაა, მან გამოავლინა ჩემი მოწინააღმდეგეთა სრული სისუსტე; ჩვენს მხარეზეა ოთხმოცდასამი ხმა, მათს მხარეს კი რვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მათ ერთი კორპუსის იმედი შეუძლიათ ჰქონდეთ, მე – ათისა. ნუ შეცდებით, – ჩემსა და უმაღლეს ქურუმებს შორის ბრძოლა უკვე დაიწყო. ისინი სიმაგრეს წარმოადგენენ, რომელსაც ჩვენს წინადადება მივეცით დაგვნებებოდა. მათ უარი განგვიცხადეს, მაშასადამე, იერიში უნდა ავიღოთ.

– იცოცხლე მარად! - შესძახეს ფარაონს უტმოსა და კალიპმა.

– გვიბრძანე, ხელმწიფევ! – მხარი დაუჭირა უმაღლესმა მწერალმა.

– ყური დამიგდეთ! – მიმართა რამზესმა. – შენ, ხაზინადარო, პოლიციას, მუშათა რაზმების ოფიცრებსა და ნომებში სოფლის მამასახლისებს დაურიგებ ას ტალანს, დაურიგებ აგრეთვე სამიკიტოებისა და

ფუნდუკების პატრონთ ქერს, პურეულსა და ღვინოს, რათა მდაბიო ხალხმა უსასყიდლოდ მიიღოს სასმელ-საჭმელი. ეს დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს რომ ოც პაოფამდე სურსათის მარაგი თავის ადგილას იყოს.

ხაზინადარმა მბრძანებელს თაყვანი სცა.

– შენ, მწერალო, დაწერე და უბრძანე ხვალვე გამოაცხადონ ქუჩებში, რომ ბარბაროსები დასავლეთ უდაბნოდან ეპირებიან დიდი ძალებით დაესხან ფაიუმის საღვთო მხარეს... შენ, კალიპ, ბერძენთა ოთხ ლეგიონის სამხრეთში წარგზავნი. ორი ლაბირინთთან დადგეს, ორმაც განამდე წაიწიოს. თუ ქურუმების ლაშქარი თებეს მხრივ მოვა, თქვენ მას უკუაგდებთ და ფაიუმამდე არ მიუშვებთ. ხოლო, როდესაც ქურუმების მიერ ამხედრებული ხალხი ლაბირინთს დაემუქრება; შენმა ბერძნებმა დაიკავონ იგი.

– ლაბირინთის მცველებმა წინააღმდეგობა რომ გაგვიწიონ? – შეეკითხა კალიპი.

– ეს აჯანყება იქნება, – უპასუხა ფარაონმა, – შენ კი, თუტმოს, მემფისს წარგზავნე სამი ლეგიონი და პტას, იზიდას და ჰორის ტაძრების მახლობლად ჩააყენე. როდესაც აზვავებული ხალხი მათზე იერიშით მისვლას განიზრახავს, ლეგიონთა მეთაურებმა დაიკავონ ალაყაფის კარი, წმიდა ადგილებისაკენ არ გაუშვან ბრბო და უმაღლესი ქურუმები დაიცვან შეურაცხყოფისაგან. ლაბირინთშიც და მემფისის ტაძრებში აღმოჩნდებიან ქურუმები, რომლებიც მწვანე ტოტებით გამოვლენ ლეგიონთა შესახვედრად. ლეგიონთა მეთაურები პაროლს შეეკითხებიან და რჩევისათვის მიმართავენ.

– ვინმემ რომ წინააღმდეგობა გაგვიბედოს? – შეეკითხა თუტმოსი.

– ფარაონის ბრძანებას მხოლოდ მეამბოხენი არ ემორჩილებიან, – უპასუხა რამზესმა. – ტაძრები და ლაბირინთი ჯარებმა ოცდასამ პაოფს უნდა დაიკავონ, – მიმართა მან უმაღლეს მწერალს, – ამიტომ, როგორც მემფისში, ისე ფაიუმში ხალხს შეუძლია თავისმოყრა იწყოს უკვე თვრამეტს, პირველად მცირე ჯგუფებად, შემდეგ კი უფრო გადიდებულად, ხოლო, თუ ოცს უმნიშვნელო არეულობა დაიწყება, ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ. თვით ტაძრებზე იერიშის მიტანა კი მხოლოდ ოცდაორს ან ოცდასამს შეუძლიათ. და როცა ამ პუნქტებს ჯარე-

ბი დაიკავებენ, ყველაფერი უნდა დაწყნარდეს.

– იქნებ სჯობია დაუყოვნებლივ დავაპატიმროთ ხერიჰორი და ნოფრი? – იკითხა თუტმოსმა.

– რისთვის? საქმე მათ იმდენად არ შეეხება, რამდენადაც. ტაძრებსა და ლაბირინთს, ხოლო მათს დასაკავებლად ჯარები ჯერ კიდევ მზად არ არიან. ამას გარდა, ხირამი, რომელმაც ხელთ იგდო ხერიჰორის წერილები ასირიელებისადმი, ოცზე ადრე ვერ დაბრუნდება, ამგვარად, მხოლოდ ოცდაერთ პაოფს იქნება ჩვენს განკარგულებაში მამხილებელი საბუთები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ უმაღლესი ქურუმები გამცემლები არიან, და ჩვენ შეგვეძლება ეს ხალხს გამოვუცხადოთ.

– მე ჩემს ჯარს თან უნდა გავყვე ფაიუმში? – შეეკითხა ფარაონს კალიპი.

– არა! შენ და თუტმოსი რჩეული ლეგიონებით ჩემთან დარჩებით. საჭიროა გვყავდეს სათადარიგო ნაწილები იმ შემთხვევისათვის, თუ ქურუმებმა თავის მხარეზე ხალხის ნაწილი გადაიბირა.

– შენ, ხელმწიფევ, ღალატის არ გეშინია? – შეეკითხა თუტმოსი.

ფარაონმა უზრუნველად ჩაიქნია ხელი.

– ღალატი გარდუვალია, ის ყოველთვის გამოჟონავს, როგორც წყალი დამსკდარი კასრიდან. თქმა არ უნდა, უმაღლესი ქურუმები ნაწილობრივ ხვდებიან ჩემს გეგმებს და მეც ვიცი მათი განზრახვები. მაგრამ ვინაიდან მათზე ადრე შევაგროვე ძალები, ამიტომ ისინი უფრო სუსტნი აღმოჩნდებიან. რამდენიმე დღეში ლეგიონებს ვერ ჩამოაყალიბებ...

– მაგრამ თილისმები? – შეეკითხა თუტმოსი.

– არ არსებობს ისეთი თილისმა, რომელსაც ჩუგლუგი ვერ გაჰკვეთს! – სიცილით უპასუხა ფარაონმა.

თუტმოსმა დააპირა ეამბნა ფარაონისათვის ქურუმების ოინები ლიკონთან დაკავშირებით, მაგრამ ახლაც იმ მოსაზრებამ შეაჩერა, რომ თუ რამზესი დიდად განრისხდებოდა, დაკარგავდა სულის სიმშვიდეს, რაც ახლა სიმტკიცეს ანიჭებდა.

„ბელადი ბრძოლის წინ, გარდა ბრძოლისა, სხვა არაფერზე უნდა ფიქრობდეს. ლიკონის საქმის გამორკვევას კი ფარაონი მოასწრებს,

როდესაც ქურუმები უკვე საპყრობილეში იქნებიან“, – ფიქრობდა თუტმოსი.

ფარაონის ბრძანებით თუტმოსი მასთან დარჩა, დანარჩენმა სამმა დიდებულმა კი მდაბლა დაუკრა თავი და წავიდნენ.

– მადლობა უფალს, ვეღირსეთ! – მიმართა უმაღლესმა მწერალმა ხაზინადარს და შვებით ამოისუნთქა. – ახლა კი ბოლო მოეღება შუბლმოპარსულთა ბატონობას!

– დიდი ხანია დროა! – დაუდასტურა ხაზინადარმა. – უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ყველაზე დაჩაჩანაკებული წინასწარმეტყველი მეტი გავლენით სარგებლობდა, ვიდრე თებეს ან მემფისის ნომარქოსი.

– მე ვფიქრობ, ხერიჰორი ფარულად იმზადებს ნავს, რომ ოცდასამ პაოფამდე გაიპაროს, – შენიშნა კალიპმა.

– კი, მაგრამ მას რომ არაფერი მოელის? – უთხრა მწერალმა. – ხელმწიფე შეიწყნარებს, როდესაც იგი ქედს მოიხრის.

– თვით დედოფალ ნიკოტრისას ქომაგობით ქურუმებს მათს სიმდიდრესაც დაუტოვებს, – დაუმატა ხაზინადარმა, – და სახელმწიფო ხაზინისათვის მხოლოდ აუცილებლად საჭიროს მიიღებს.

– მე მგონია, ფარაონი ერთობ დიდ სამზადისშია, – შენიშნა მწერალმა.

– რაკი საქმე ბრძოლას შეეხება, ყოველგვარი ძალის შემოკრებაა საჭირო, რადგან მუდამ შეიძლება მოხდეს მოულოდნელი ამბები, – თქვა კალიპმა.

– ქურუმები ყოველგვარ საშუალებას მოიხმარენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ძალა აღარ ეყოფათ, – მთქნარებით ჩაილაპარაკა მთავარმა ხაზინადარმა. – ვმადლობ ღმერთებს, რომ ფარაონის ბანაკში მიმითითეს ადგილი.

დიდებულების წასვლის შემდეგ თუტმოსმა გააღო კედლის ფარული კარი და ფარაონის დარბაზში სამონტუ შეუშვა. ფარაონი სეთის უმაღლეს ქურუმს აშკარა სიხარულით შეხვდა, ჯერ ხელი გაუწოდა საამბოროდ, მერე კი გადაეხვია.

– მშვიდობა შენდა, კეთილო მსახურო! – მიესალმა რამზესი. – რა ახალი ამბავი მოგვიტანე?

– ლაბირინთში უკვე ორჯერ შევედი, – უპასუხა ქურუმმა.

– და უკვე გაიკვლიე გზა?

– გზა მე ადრეც ვიცოდი, მაგრამ ახლა ახალი რამ აღმოვაჩინე: მთელი საუნჯეთსაცავი შეიძლება ჩამოინგრეს, ქვეშ დაიტანოს ადამიანები და მოსპოს ფასდაუდებელი განძეულობა.

ხელმწიფე მოიღუშა.

– ამიტომ, – განაგრძო სამონტუმ, – უბრძანე დამხმარედ ათიოდ ერთგული კაცი მომცენ. იერიშის წინაღამეს მე მათთან ერთად შევალ ლაბირინთში და დავიკავებ საუნჯეთსაცავის მეზობლად მდებარე ოთახებს... განსაკუთრებით ზედას...

– ამ ათ კაცს შენთან ერთად გაატარებ?

– დიახ, მე ერთხელ კიდევ შევალ ლაბირინთში და საბოლოოდ შევამოწმებ, ხომ არ შეიძლება სხვის დაუხმარებლად ნგრევის თავიდან აცილება. უერთგულესი ადამიანებიც კი ასეთ საქმეში საიმედონი არ არიან.

– იქნებ უკვე კვალდაკვალ გდევენ? – შეეკითხა ფარაონი,

– მერწმუნე, ხელმწიფევ, – გულზე ხელის დადებით უპასუხა ქურუმმა, – სასწაული უნდა მოხდეს, რომ მათ ჩემი კვალი მიაგნონ. ისინი ბავშვივით ბრმანი არიან. უკვე გრძნობენ, რომ ვიღაც აპირებს ლაბირინთში შესვლას, ხოლო მცველების რიცხვს იმ შესასვლელთან აორკეცებენ, რომლებიც ყველასათვის ცნობილია. მე კი თვითონ აღმოვაჩინე სამი ფარული შესავალი, რომლებიც ან აღარ ახსოვთ ანდა მათთვის უცნობია. მხოლოდ რომელიმე სულს შეეძლო მათთვის ჩაეგონებინა, რომ მე ლაბირინთში დავეხეტები, და განსაკუთრებით იმ ოთახზე მიეთითებინა, სადაც ვიმყოფები. სამი ათას ოთახსა და ტალანში ეს სავსებით წარმოუდგენელია...

– ღირსი სამონტუ მართალს ამბობს, – შენიშნა თუტმოსმა. – ვგონებ, ჩვენ გადაჭარბებულ სიფრთხილეს ვიჩენთ ამ ქვეწარმავლების მიმართ.

– მაგას ნუ ბრძანებ, უფროსო, – უთხრა ქურუმმა. – მათი ძალა ხელმწიფის ძალას ისევე შეედრება, როგორც ერთი მუჭა ქვიშა ტაძარს. მაგრამ ხერიჰორი და ნოფრი ფრიად ჭკვიანი ხალხია და, უნდა ვიგულვოთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ისეთ იარაღს და ხერხებს გამოიყე-

ნებენ, რომელთა წინაშე ჩვენ, უბრალოდ, დავიბნევით... ჩვენი ტაძრები სავსეა საიდუმლოებით, რომლებიც ბრძენთა გაოცებასაც კი იწვევენ. უბრალო ხალხს რომ თავი დავანებოთ.

– მიამბე რაც მათ შესახებ იცი! – მიმართა ფარაონმა.

– შენი ჯარისკაცები ტაძრებში არა ერთ სასწაულს წააწყდებიან. ხან მათს წინ სინათლე ჩაქრება, ხან გარს ალის ენები და საზიზღარი ურჩხულები შემოერტყმით, ერთგან ედელი გადაუღობავს გზას, მეორეგან მათს ფეხებს ქვეშ უფსკრული გაიხსნება; ზოგიერთ ქანდარაში მათ წყალი გადაუვლის, სხვებში – უხილავი ხელები ქვებს ესვრიან და როგორი ელჭექა, როგორი ხმაური ატყდება მაოს გარშემო!

– ყველა ტაძარში არიან ჩემი თანამგრნობი უმცროსი ქურუმები, ლაბირინთში კი შენ მეყოლები, – უთხრა ფარაონმა.

– და ჩვენი ჩუგლუგები, – დაუმატა თუტმოსმა, – ცუდია ის ჯარისკაცი, რომელიც ცეცხლისა თუ საშინელებათა წინაშე შედრკება და უკან დაიხევს, ან იმაზე დაკარგავს დროს, რომ იდუმალ ხმებს მიუგდო ყური.

– მართალს ამბობ, უფროსო, – წამოიძახა სამონტუმ, – თუ თქვენ გაბედულად იმოქმედებთ, ყოველგვარი შიში თავისთავად გაიფანტება და ცეცხლი დაკარგავს თავის ძალას. ახლა კი ჩემი უკანასკნელი სიტყვა, – მიმართა ქურუმმა რამზესს, - თუ ვინიცობაა დავიღუპე...

– ნუ ამბობ მაგას, – შეაჩერა იგი ფარაონმა.

–... თუ მე დავიღუპე, – მწუხარე ღიმილით განაგრძო სამონტუმ, – სეთის ახალგაზრდა ქურუმი ჩემს ბეჭედს მოგიტანთ. დაე ჯარისკაცებმა დაიკავონ ლაბირინთი, გააძეონ მცველები და დარჩნენ შენობაში. ის ახალგაზრდა ერთ თვეში, შეიძლება უფრო ადრეც, ჩემ მიერ დატოვებული ნიშნების მიხედვით მონახავს საუნჯეთსაცავის გზას. მაგრამ, ხელმწიფევ, – დაუმატა მან და მუხლებზე დაეშვა, – ერთ რამეს გემუდარები: როდესაც გაიმარჯვებ, მათ სამაგიერო მიუზღე ჩემი გულისათვის და, რაც მთავარია, არ შეიწყალო ხერიჰორი და ნოფრი, სრული წარმოდგენა არა გაქვს იმაზე, როგორი დაუძინებელი მტრები არიან შენი! თუ იმათ გაიმარჯვეს, დაიღუპები არა მარტო შენ, არამედ მთელი შენი დინასტიაც...

– განა გამარჯვებულს სულგრძელობა არ შეშვენის?

– არავითარი სულგრძელობა, არავითარი შეწყალება! – წამოიძახა სამონტუმ, – ვიდრე ისინი ცოცხლობენ, შენც და მეც, მბრძანებელო, სიკვდილი, გაწბილება და თვით გვამების შეურაცხყოფაც კი გვემუქრება. შეიძლება ლომის მოთვინიერება, ფინიკიელის მოსყიდვა, ლიბიელისა და ეთიოპელის სიყვარულის მოპოვება... შეიძლება ქალდეველი ქურუმის გულის მოლბობა, იმიტომ რომ იგი არწივისებრ ნავარდობს ჰაერში და მისთვის არავითარი დარტყმა საშიში არ არის. მაგრამ ევგიპტელ წინასწარმეტყველს, რომელმაც უკვე იგემა ფუფუნება და ბატონობა, ვერასგზით ვერ მოისყიდი. მხოლოდ შენს ან მათს სიკვდილს შეუძლია დაამთავროს დაწყებული ბრძოლა.

– სიმართლეს ამბობ, სამონტუ. – ფარაონის მაგიერ უპასუხა თუტმოსმა. – ბრძოლას ქურუმებსა და ფარაონს შორის ჩვენ, ჯარისკაცები გადავწყვეტთ.

თავი მეთოთხმეტე

თორმეტ პაოფს ეგვიპტის სხვადასხვა ტაძრებიდან შემაძრწუნებელი ამბები გავრცელდა.

უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ჰორის ტაძარში საკურთხეველი დაემხო. იზიდას ტაძარში ღმერთქალის ქანდაკება ცრემლებს ღვრიდა, ხოლო თებეს ამონის ტაძრიდან და დენდრას ოზირისის აკლდამიდან ფრიად ცუდის მომასწავებელ ცნობებს იტყობინებოდნენ.

უტყუარი ნიშნების მიხედვით ქურუმებმა დაასკვნეს, ეგვიპტეს ჯერ კიდევ თვის ბოლომდე რაღაც უდიდესი უბედურება მოელისო.

უმაღლესმა ქურუმებმა ხერიჰორმა და ნოფრმა განკარგულება გასცეს ტაძრის გარშემო საერთო ლიტანიები და სახლებში მსხვერპლშეწირვანი მოეწყოთ.

მეორე დღეს, ცამეტ პაოფს, მემფისში დიდი პროცესია, გაიმართა: ღმერთი პტა და ღმერთქალი იზიდა თავიანთ საკურთხევლებიდან გამოვიდნენ და მცირერიცხოვანი მლოცველებით, უმეტესად ქალებით გარშემორტყმული ქალაქის შუაგულისაკენ გაემართნენ. მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, რადგან ქალაქის

მცხოვრებლები მათ დასცინოდნენ, ხოლო სხვა სარწმუნოების მიმდევრები იმდენად გათამამდნენ, რომ ღმერთების წმიდა ნავებს ქვებს ესროდნენ.

პოლიცია ღვთისმგმობელთ არ აჩერებდა, ზოგიერთი, პირიქით, თვითონ იღებდა მონაწილეობას ასეთ უხამს ოხუნჯობაში. ნაშუადღევიდან ვიღაც უცნობი პირები ხმებს ავრცელებდნენ, ქურუმთა კოლეგია მოსახლობისათვის რაიმე შეღავათს არ დაუშვებს და თვით ფარაონის საწინააღმდეგო აჯანყებას აწყობსო. საღამო ჟამს ტაძრებთან მუშების ჯგუფები იყრიდნენ თავს და წყევას უგზავნიდნენ ქურუმებს. ისინი ტაძრების ალაყაფის კარებს ქვებს ესროდნენ, ხოლო რომელიღაც მკრეხელმა ყველას თვალწინ ცხვირი მოსტეხა ჰორს, რომელიც თავის ტაძარს იცავდა.

მალე მზის ჩასვლის შემდეგ ქურუმები და მათი უერთგულესი მომხრეები პტას ტაძარში შეიკრიბნენ. აქ იყვნენ ღირსი ხერიჰორი, ნოფრი და მენტესუფისი, სამი ნომარქოსი და თებეს უმაღლესი მსაჯული.

– საშინელი დრო დაგვიდგა! – ჩიოდა უმაღლესი მსაჯული. – დანამდვილებით ვიცი, რომ ფარაონს სურს ტაძრებზე თავდასხმა გამოიწვიოს და საამისოდ აქეზებს ბრბოს.

– მე მითხრეს, - თქვა სეპის ნომარქოსმა, – ვითომც ნეიტიკერს გაუგზავნეს ბრძანება, რომ საჩქაროდ მოვიდეს აქ ახალი ლეგიონებით, თითქოს საკმარისი არ იყვნენ ის ლეგიონები, რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან!

– გუშინდელი დღიდან ურთიერთობა ზემო და ქვემო ეგვიპტეს შორის შეწყვეტილია, – დაუმატა დურუს ნომარქოსმა. – გზებზე მეომრები დგანან, ხოლო მისი უდიდებულესობის გალერები ნილოსზე გემებს ჩხრეკენ...

– რამზეს მეცამეტე „უდიდებულესობა“ არ არის, – მკვახედ ჩაილაპარაკა ნოფრმა, – მას ჯერ კიდევ არ მიუღია ღმერთების ხელიდან სამეფო გვირგვინი.

– ყველაფერი ეგ წვრილმანია, – ისევ ჩიოდა უმაღლესი მსაჯული. – ყველაზე ცუდია ღალატი. მე საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მრავალი უმცროსი ქურუმი ფარაონს თანაუგრძნობს და საჭირო ცნობებს აწვდის.

– არიან მათ შორის ისეთებიც, – დაუმატა ხერიჰორმა, – რომლებიც მას აღუთქვამენ, რომ სამხედრო ნაწილებს ტაძრების დაკავებაში დაეხმარებიან.

– ჯარისკაცები ტაძრებში შევლენ? – შეძრწუნებით იკითხა სეპის ნომარქოსმა.

– ყოველ შემთხვევაში, მათ ასეთი ბრძანება აქვთ მიცემული ამ თვის ოცდასამისათვის, – უპასუხა ხერიჰორმა.

– და თქვენი უწმიდესობა ამაზე ასე დამშვიდებით ლაპარაკობს? – შეეკითხა იმუ-ხენტის ნომარქოსი.

ხერიჰორმა მხრები აიჩეჩა. ნომარქოსებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ეს კი აღარ მესმის, – თითქმის აღშფოთებით წარმოთქვა დუაუს ნომარქოსმა, – ქურუმებს სულ რამდენიმე ასეული ჯარისკაცი ჰყავს, ფარაონმა თებეს გზა გადაგვიჭრა და ხალხს აქეზებს, ხოლო ყოვლადღირსი ხერიჰორი ამაზე ისე ლაპარაკობს, თითქოს ნადიმზე გვიწვევდეს. ან თავდაცვას ვეცადოთ, თუ შესაძლებელია, ანდა...

– ანდა მის „უდიდებულესობას“ დავემორჩილოთ? – ირონიულად შეეკითხა ნოფრი. – ამას ყოველთვის მოასწრებთ.

– კი, მაგრამ ჩვენ გვსურს ვიცოდეთ რამე თავდაცვის საშუალებებზე, – მოითხოვა სეპის ნომარქოსმა.

– ღმერთები დაიხსნიან მორწმუნეთ, – უპასუხა ხერიჰორმა.

დუაუს ნომარქოსმა ხელები გაშალა.

– გულწრფელად გითხრათ, – განუცხადა უმაღლესმა მსაჯულმა, – მაკვირვებს თქვენი გულგრილობა. თითქმის მთელი მდაბიო ხალხი ჩვენს წინააღმდეგაა,..

– მდაბიო ხალხი ქერის ჯეჯილივით იქით ირხევა, საითაც ქარი ჰქრის, – უთხრა ხერიჰორმა,

– ჯარი?

– რომელი ჯარი არ დაემხობა პირქვე ოზირისის წინაშე?

– ვიცი! – სიტყვა გააწყვეტინა ხერიჰორს გაგულისებულმა დურუს ნომარქოსმა. – მაგრამ მე ვერ ვხედავ ვერც ოზირისს და ვერც იმ ქარს, რომელიც მდაბიო ხალხს ჩვენკენ მოაბრუნებს... ამავე დროს ფარაონი მას უკვე ამთავითვე თავისკენ იზიდავს სხვადასხვა დაპირებით,

ხვალ კიდევ უფრო მეტად მიიზიდავს საჩუქრებით...

– შიში დაპირებებსა და საჩუქრებზე უფრო ძლიერია, - უპასუხა ხერიჰორმა,

– რისი უნდა შეეშინდეთ მათ? იქ სამასი ჯარისკაცის, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია?

– მათ ოზირისის შეეშინდებათ!

– მერე სად არის იგი? – შეეკითხა დუაუს ნომარქოსი, რომელიც უკვე მოთმინებას კარგავდა.

– თქვენ ყველანი იხილავთ, და ნეტარება იმას, ვინც არ დღისთვის დაბრმავდება...

ეს სიტყვები ხერიჰორმა ისეთი შეურყეველი სიმშვიდით წარმოთქვა, რომ ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა.

– ჩვენ რაღა უნდა ვქნათ? – შეეკითხა მცირე პაუზის შემდეგ უმაღლესი მსაჯული.

– ფარაონს განზრახული აქვს, – უთხრა ხერიჰორმა, – ხალხი ტაძრებს ოცდასამ პაოფს შეესიოს; ჩვენ უნდა მოეახერხოთ, რომ თავდასხმა ოცს დილით მოხდეს.

– მარადმსუფევო ღმერთებო! – კვლავ წამოიძახა დაუს ნომარქოსმა და ხელები გაასავსავა, – ჩვენ თვითონ რატომ უნდა დავიტეხოთ თავს უბედურება და ისიც ორი დღით ადრე.

– გაუგონეთ ხერიჰორს, – გადაჭრით განაცხადა ნოფრმა, და – ყოველგვარი საშუალებით ეცადეთ, ეს ამბავი სწორედ ოც პაოფს დილით მოხდეს.

– რომ დაგვამარცხონ? – დაბნეულად შეეკითხა მსაჯული.

– თუ ხერიჰორის შელოცვებმა ვერ გვიშველა, დასახმარებლად ღმერთებს მოვუხმობ, – უპასუხა ნოფრმა და მის თვალებში ბოროტი ზრახვის ნაპერწკალმა გაიელვა.

– ცხადია, უმაღლეს ქურუმებს გაქვთ საიდუმლოებანი, რომლებიც ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა არ უნდა ვიცოდეთ,– თქვა უმაღლესმა მსაჯულმა. – რა გაეწყობა, მოვიქცევით ისე, როგორც გვიბრძანებთ. ტაძრებს ხალხს ოცისთვის შევუსევთ, მაგრამ გახსოვდეთ, ჩვენი და ჩვენი შვილების სისხლი თქვენს კისერზე იქნება.

– დაე ჩვენს კისერზე იყოს! ამინ! – ერთდროულად უპასუხა ორივე

ქურუმმა.

ხერიჰორმა კი დაუმატა:

– ათი წელია, რაც სახელმწიფოს განვაგებთ და ამ დროის განმავლობაში არც ერთ თქვენგანს არავითარი შევიწროება არ განუცდია. ყოველ დაპირებას პირნათლად ვასრულებდით. მოითმინეთ კიდევ რამდენიმე დღე და გწამდეთ, იხილავთ ღმერთების ძლიერებას და სანაცვლო ჯილდოსაც მიიღებთ.

ნომარქოსები დაემშვიდობნენ ქურუმებს და წავიდნენ, მათ აშკარად ეტყობოდათ სასოწარკვეთილება და მოუსვენრობა. დარჩნენ მხოლოდ ხერიჰორი და ნოფრი.

მცირე დუმილის შემდეგ ხერიჰორმა თქვა:

– ლიკონი მართლაც კარგი იყო, ვიდრე შეშლილი - ფარაონის როლს თამაშობდა. უფრო კარგი იქნებოდა, რომ მისი რამზესად გასაღება შეგვეძლოს!

– თუ მშობელმა დედამ შვილი ვერ იცნო, – უპასუხა ნოფრმა, – ჩანს, მეტად წააგავს რამზესს. ტახტზე ჯდომას და ხალხისადმი რამდენიმე სიტყვის თქმას, ვფიქრობ, ისიც მოახერხებს და ჩვენც ხომ მასთან ვიქნებით...

– უჭკუო კომედიანტია! – ამოიხვნეშა ხერიჰორმა და შუბლზე ხელი გადაისვა.

– მილიონ სხვაზე უფრო ჭკვიანია. ის ნათელმხილველია და შეუძლია სახელმწიფოს დიდი სამსახური გაუწიოს...

– მაღალღირსო, სულ მის ნათელმხილველობაზე მელაპარაკები, – მწუხარებით უთხრა ხერიჰორმა. – ბოლოს და ბოლოს მომეცი საშუალება მეც დავრწმუნდე ამაში.

– თუ მართლაც გსურს, ერთად წავიდეთ! ოღონდ, ხერიჰორ, გაფიცებ ღმერთებს, საკუთარ გულშიც კი ნუ შეინახავ იმას, რასაც იხილავ.

ისინი ჩავიდნენ პტას ტაძრის მიწისქვეშეთში და შევიდნენ ჭრაქით განათებულ ვრცელ სარდაფში. მკრთალ სინათლეზე ხერიჰორმა შეამჩნია ადამიანი, რომელიც სუფრასთან იჯდა და ჭამდა. მას ფარაონის გვარდიის ხიფთანი ეცვა.

– ლიკონ, – მიმართა ნოფრმა. – სახელმწიფოს უმაღლეს დიდებულს სურს დარწმუნდეს იმ ნიჭში, რომლითაც შენ ღმერთებმა დაგა-

ჯილდოეს...

ბერძენმა ჯამს ხელი აჰკრა და გულიდან კრულვა აღმოხდა:

– წყეულიმც იყოს ის დღე, როდესაც თქვენს მიწაზე ფეხი დავდგი. მერჩია ქვის მტეხელი ვყოფილიყავი და კეტით ვეცემეთ...

– ეს ყოველთვის მოესწრება, – უბრალოდ შენიშნა ხერიჰორმა.

ბერძენი დადუმდა და მალე კანკალი დაიწყო, როდესაც ნოფრის ხელში მუქი ბროლის ბურთულა დაინახა, გაფითრდა, თვალები აემღვრა და სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა. თვალები ერთ წერტილს ისე მიაშტერა, თითქოს ბროლის ბურთულაზე, ყოფილიყვნენ მიკრული.

– უკვე სძინავს, – ჩაილაპარაკა ნოფრმა. – განა ეს საკვირველი არაა?

– საკვირველია, თუ არ იგონებს.

– უჩქმიტე... უჩხვლიტე... თუგინდ დაწვი რითიმე, – უთხრა ნოფრმა.

ხერიჰორმა თეთრი ტანსაცმლის ქვეშიდან ამოიღო ხანჯალი და ლიკონს თავზე დააღირა, მაგრამ ბერძენი არც კი განძრეულა და წამწამებიც არ შეურხევია.

– აბა, შეხედე, – უთხრა ნოფრმა, რომელმაც ლიკონის სახესთან კრისტალი მიიტანა. – ხედავ იმას, ვინც კამა გაიტაცა?

ბერძენი მუშტმოღერებული და დორბლმორეული წამოხტა.

– გამიშვით! – დაიღრიალა მან. – გამიშვით! მე მისი სისხლი მწყურია...

– სად იმყოფება იგი ახლა? - შეეკითხა ნოფრი.

– პარკის კუთხეში განმარტოებით მდგომ სახლში, მდინარის პირას. მასთან არის ლამაზი ქალი, – ჩაიჩურჩულა ლიკონმა.

– მას კეპრერეტი ჰქვია – თუტმოსის ცოლი, – უკარნახა ხერიჰორმა. – გამოტყდი, ნოფრ, ნათელმხილველობა არაა საჭირო იმისათვის, რომ ყველაფერი ეს იცოდე.

ნოფრმა თავისი სიფრიფანა ტუჩები ჩაიკვნიტა.

– თუ ეს საკმარისი არაა შენთვის, სხვა უფრო უკეთეს რასმე გიჩვენებ, – უპასუხა მან.

– ლიკონ, – მიმართა ბერძენს ნოფრმა, – ახლა გვიჩვენე ის გამცემი, რომელიც ლაბირინთის გზას ეძებს.

დაძინებული ბერძენი მიაშტერდა კრისტალს და მცირე სიჩუმის შემდეგ უპასუხა:

– მე ვხედავ მას... მას მათხოვრის ძონძები აცვია...

– სად არის ახლა?

– ლაბირინთის მახლობლად ფუნდუკში წევს. ხვალ დილას იქ იქნება...

– როგორი გარეგნობის კაცია?

– ქერა თმა-წვერი აქვს, – უპასუხა ლიკონმა.

– რას იტყვი? – შეეკითხა ნოფრი ხერიჰორს.

– კარგი პოლიცია გყოლია, – უპასუხა მან.

– სამაგიეროდ დარაჯები ცუდად იცავენ ლაბირინთს! – აღშფოთებით წარმოთქვა ნოფრმა. – ამაღამვე წავალ იქ ლიკონთან ერთად, რათა ადგილობრივი ქურუმები გავაფრთხილო. მაგრამ თუ ღმერთების სამკვიდრებლის გადარჩენა მოვახერხე, ნება მიბოძე მისი მცველი გავხდე...

– თუ გსურს, – გულგრილად უპასუხა ხერიჰორმა. გულში კი გაიფიქრა:

„ღვთისმოსავი ნოფრი. უკვე თავის სანუკვარ გულისნადებს ამჟღავნებს: თვითონ „მხოლოდ“ ლაბირინთის მცველობა სურს, ხოლო თავისი გაწვრთნილი ლიკონის „მხოლოდ“ ფარაონად გადაქცევა. მართლაც, ჩემი თანაშემწეების მსუნაგობა რომ იქნას დაკმაყოფილებული, ღმერთებს ათი ეგვიპტე უნდა გაეჩინათ“.

როდესაც ორივე წარჩინებული პირი მიწისქვეშეთიდან ამოვიდა, ხერიჰორი ფეხით დაბრუნდა იზიდას ტაძარში, სადაც იგი ბინადრობდა, ნოფრმა კი ბრძანა მოემზადებინათ საცხენო ტახტრევანები: ერთში დაძინებული ლიკონი ჩააწვინქსდა თავზე ტომარა ჩამოაცვეს, მეორეში კი თვითონ უმაღლესი. ქურუმი ჩაჯდა და რამდენიმე მხედრის თანხლებით ჩქარი თოხარიკით გასწია ფაიუმისაკენ.

15 პაოფის წინაღამით ქურუმი სამონტუ, ფარაონისადმი მიცემული დაპირების თანახმად, მხოლოდ მისთვის ცნობილი. ქანდარით ლაბირინთში შევიდა. ხელში ჩირაღდნების კონა ეკავა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ანთებული, ზურგზე კი ეკიდა პატარა კალათა, რომელშიც ხელსაწყოები ელაგა.

სამონტუ დარბაზიდან დარბაზში, ტალანიდან ტალანში ერთობ ადვილად პოულობდა გზას და ხელის ერთი შეხებით გადასწევდა ქვის ფიქალებს სვეტებსა და კედლებში, სადაც ფარული გასასვლელები მიიმართებოდა. ზოგჯერ იგი ყოყმანით ჩერდებოდა, მაგრამ ახერხებდა კედლებზე იდუმალი ნიშნების ამოკითხვას, ადარებდა მათ კისერზე ჩამოკიდებული კრიალოსნის ნიშნებს და ისევ წინ მიდიოდა.

ნახევარი საათის მოგზაურობის შემდეგ მან თავი საუნჯეთსაცავში ამოყო, გასწია იატაკის ერთი ფიქალი და ჩავიდა ქვემოთ მდებარე დარბაზში, რომელიც დაბალი, მაგრამ ვრცელი იყო და მისი თაღი მრავალ დაბალ სვეტს ემყარებოდა.

სამონტუმ კალათა ძირს დადგა, კიდევ ორი ჩირაღდანი აანთო და მათ სინათლეზე შეუდგა კედლის წარწერების ამოკითხვას.

„ჩემი. ართვალი გარეგნობის მიუხედავად, – მოუთხრობდა ერთი წარწერა, – მე ღმერთების ჭეშმარიტი შვილი ვარ. რისხვა ჩემი საშინელია“.

„ღია ცის ქვეშ ცეცხლის სვეტად ვიქცევი და წარმოვქმნი ელვას; დახშული კი – ქუხილი და ნგრევა ვარ. და არ მოიპოვება ისეთი შენობა, რომელიც ჩემს ამაფეთქებელ ძალას გაუძლებს. ჩემი დაწყნარება მხოლოდ ნაკურთხ წყალს შეუძლია, რომელიც ძალას მართმევს. მაგრამ რისხვა ჩემი წარმოიქმნება მარტო ცეცხლისაგან, არამედ უმცირესი ნაპერწკლისგანაც“.

„ჩემს წინაშე ყველაფერი იღუპება და ემხობა. მე ვგავარ ტიფონს, რომელიც ყველაზე მაღალ ხეებს აქცევს და ქვებს ჰაერში ისვრის“.

„თითოეულ ტაძარს თავისი საიდუმლოება აქვს, რომელსაც სხვები არ იცნობენ. – გაიფიქრა სამონტუმ.

მან გახსნა ერთი სვეტი და იქიდან დიდი ქოთანი გამოიღო. ქოთანს ეფარა სანთლით მიმაგრებული ხუფი და ჰქონდა ნახვრეტი, საიდანაც სვეტის შიგნით გადიოდა გრძელი წვრილი ზონარი, მაგრამ გაუგებარი იყო, სად თავდებოდა იგი. სამონტუმ ზონარს მოსჭრა მცირე ნაჭერი, მიუახლოვა ანთებულ ჩირაღდანს და შეამჩნია, რომ იგი ფრიად ჩქარა იწვის, თანაც შუშხუნებს.

შემდეგ დანით ფრთხილად ახადა ქოთანს ხუფი და შიგნით ქვი-

შისა და კენჭების მსგავსი რუხი ფერის რაღაც აღმოაჩინა. სამონტუმ ამოიღო რამდენიმე კენჭი, განზე გადგა და მათ ჩირაღდანი მიადო. იმწამსვე ძლიერი ალი ავარდა, კენჭები გაქრა და მის ნაცვლად სქელი ბოლი და უსიამოვნო სუნი დატრიალდა.

სამონტუმ ქოთნიდან კიდევ ამოიღო ცოტა რუხი ქვიშა, დაყარა იატაკზე, ზედ დაადო ზონარის ნაჭერი, რომელიც ქოთანთან იპოვა და ყოველივე ამას მძიმე ქვა დააფარა. მერე ახლოს მიიტანა ჩირაღდანი. ზონარი გახურდა და ერთი წამის შემდეგ ალმოდებული ქვა ჰაერში ავარდა.

– ის უკვე ჩემს ხელთ არის, ეს ღმერთების შვილი! – გაღიმებით ჩაილაპარაკა სამონტუმ. – ახლა საუნჯეთსაცავი აღარ ჩამოინგრევა.

– ჰოდა, – განაგრძობდა ქურუმი, – ხელმწიფეს შეუძლია მაჩუქოს ამ საუნჯეთა ნახევარი ან, ყოველ შემთხვევაში, ჩემი შვილი ნომარქოსი გახადოს! ამას იგი მართლაც გააკეთებს. დიდსულოვანი მეფეა... მე კი თებეს ამონის ტაძარი მაინც მერგება.

რაკი ქვედა დარბაზი უვნებელჰყო, სამონტუ დაბრუნდა საუნჯეთსაცავში, საიდანაც ზედა დარბაზში ამოყო თავი. იქაც კედლები წარწერებით იყო აჭრელებული და მასაც მრავალი სვეტი ამკობდა; მათში კი ფარულად ინახებოდა აგრეთვე ზონარგაყრილი და კენჭებით სავსე ქოთნები, რომლებიც ცეცხლის შეხებისას ფეთქდებოდნენ.

სამონტუმ გადაჭრა ზონრები, სვეტებიდან ქოთნები გამოიღო და რუხი ქვიშის ერთი მწიკვი ჩვარში შეახვია. მერე დაღლილობა იგრძნო და ჩამოჯდა. მან უკვე ექვსი ჩირაღდანი დაწვა. ჩანდა, ღამე უკვე დასასრულს უახლოვდებოდა.

„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, – ფიქრობდა სამონტუ, თუ აქაურ ქურუმებს ასეთი უცნაური ნივთიერება მოეპოვებოდათ. მათი გამოყენებით ხომ შეიძლებოდა ასირიელთა ციხეების დანგრევა! მაგრამ ჩვენც ხომ ყველაფერს არ ვუმჟღავნებთ ჩვენს მოწაფეებს...“

შრომით მოქანცული, იგი ოცნებას მიეცა. ახლა დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფოში უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდა, ვიდრე ხერიჰორი.

რას იზამს მაშინ ფრიად ბევრ რამეს! თავის შთამომავლობას უანდერძებს სიბრძნესა და სიმდიდრეს, შეეცდება შეიცნოს ყველა ტაძ-

რის საიდუმლოება, რათა უსაზღვროდ აამაღლოს თავისი ძალაუფლება და ეგვიპტეს ასირიაზე უპირატესობა მიანიჭოს.

ახალგაზრდა ფარაონი დასცინის ღმერთებს. ეს დაეხმარება მას დააწესოს ერთი ღმერთის, მაგალითად ოზირისის, თაყვანისცემა და ეგვიპტის ერთიან სახელმწიფოში შეაკავშიროს ებრაელები, ფინიკიელები, ბერძნები და ლიბიელები.

იმავე დროს იგი შეუდგება მუშაობას არხზე, რომელმაც ხმელთაშუა ზღვა მეწამულთან უნდა შეაერთოს. როდესაც არხის გასწვრივ აგებულ იქნება სიმაგრეები და მათში მრავალრიცხოვან მეციხოვნეთ ჩააყენებენ, მთელი ვაჭრობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის უცნობ ხალხებთან ეგვიპტის ხელში გადმოვა. საჭიროა აგრეთვე საკუთარი ფლოტი ეგვიპტელი მეზღვაურებით... მთავარია კი ის, რომ გასრესილ იქნას ასირია, რომელიც ყოველწლიურად ძლიერდება და უფრო მეტად საშიში ხდება. საზღვარი უნდა დაედოს ქურუმთა განცხრომასა და ღორმუცელობას. დაე დარჩნენ ბრძენნი, მდიდრები, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პირადი სარგებლობისათვის ბოროტად გამოიყენონ, როგორც ახლა, თვისი მდგომარეობა, სახელმწიფოს და მის ინტერესებს უნდა ემსახურონ.

„უკვე ხატირის თვეში, – ოცნებობდა სამონტუ, – მე ყოვლად გავლენიანი პირი ვიქნები. ჩვენს ახალგაზრდა მეფეს უფრო მეტად უყვარს ქალები და ჯარი, ვიდრე სახელმწიფოს მართვა. ხოლო თუ ამასთან ერთად მას ძე არ ეყოლა, მაშინ ჩემი ვაჟი... ჩემი ვაჟი...“

იგი გამოფხიზლდა. კიდევ ერთი ჩირაღდანი დაიწვა. სამონტუ წამოდგა, აიღო კალათა და საუნჯეთსაცავის ზედა დარბაზიდან გამოვიდა.

„მე თანაშემწენი არ მჭირდება, ღიმილით გაიფიქრა მან, თავად მოვაწესრიგე ყველაფერი... მე თვითონ... სეთის საზიზღარმა ქურუმმა“.

მან კიდევ რამდენიმე ათეული ოთახი და ტალანი გაიარა და ანაზდად შეჩერდა. მოეჩვენა, რომ იმ დარბაზის იატაკზე, სადაც იგი იმყოფებოდა, სინათლის წვრილი ზოლი გამოჩნდა.

სამონტუ შიშმა მოიცვა. ჩირაღდანი ჩააქრო, მაგრამ იატაკზე გართხმული ნათელი ზოლიც გაქრა.

სამონტუმ სმენა გაამახვილა, მაგრამ გრძნობდა მხოლოდ იმას, თუ როგორ ფეთქდა საფეთქელში სისხლი.

– მომელანდა! – ინუგეშა თავი.

აკანკალებული ხელით ამოიღო კალათიდან პატარა ჭურჭელი, რომელშიც ნელა ღვიოდა აბედი, და კვლავ მოუკიდა ჩირაღდანს. მერე გარშემო მიმოიხედა, მივიდა ფარულკარიან სვეტთან, დააჭირა ლურსმანს, კარი არ გაიღო, მეორედ.. მესამედ სცადა, მაგრამ ამაოდ...

– ეს რას ნიშნავს? – გაოგნებით ჩაილაპარაკა მან. რამდენი ფარული კარი გაუღია თავის ცხოვრებაში, რამდენი გააღო ამ ლაბირინთში და ახლა მისთვის გაუგებარი იყო. ეს მოულოდნელი დაბრკოლება.

იგი ერთი კედლიდან მეორესთან მირბოდა და სხვა გასასვლელს ეძებდა. დაბოლოს ერთი ფარული კარი მაინც გაიღო და შვებით ამოისუნთქა, როდესაც თავი ამოყო მრავალსვეტებიან უზარმაზარ დარბაზში, მისი ჩირაღდანი სივრცის მხოლოდ ერთ კუთხეს ანათებდა, უმეტესი ნაწილი კი სრულ სიბნელეში იყო ჩაძირული.

სამონტუს გულში მიამიტი იმედის ნაპერწკალმა გაიელვა. ეჩვენებოდა, თუ მისთვის ეს ადგილი უცნობია, მაშინ არც სხვებმა იციან იგი და, მაშასადამე, არც არავინ მოვა აქ.

იგი ოდნავ დამშვიდდა, ჩამოჯდა, მაგრამ კვლავ წამოხტა და გარშემო ცქერა იწყო, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, მართლა მოელოდა თუ არა საფრთხე და საიდან... რომელი ბნელი კუთხიდან გამოჩნდებოდა.

მას ცხოვრებაში არა ერთხელ განუცდია შიში, მაგრამ ახლანდელი მისი მდგომარეობა სრულიად ახალი და იმდენად საშიში იყო, რომ ვერ გაებედა მისთვის ნამდვილი სახელი ეწოდებინა.

ბოლოს შეძლო მღელვარების დაძლევა და აზრის მოკრება.

– თუ მართლაც დავინახე სინათლე, თუ მართლაც ვიღაცამ ჩამიკეტა კარი, მაშინ გაცემული ვარ, – ჩაიჩურჩულა მან, – რა მომელის?

„სიკვდილი!“ – უკარნახა იდუმალმა ხმამ.

– სიკვდილი?

სახეზე ოფლმა დაასხა. სუნთქვა შეეკრა. მერე დარბაზში სირბილს მოჰყვა. კედელს მუშტებს ურტყამდა და გასასვლელს ეძებდა. უკვე დაავიწყდა, რომელი კარით შემოვიდა ამ დარბაზში. დაკარგა მიმარ-

თულება და თვით კრიალოსნის დახმარებით ორიენტირების უნარიც.

იმავე დროს თავი გაორებულ ადამიანად იგრძნო: ერთი, თითქოს, უკვე გაგიჟდა, ხოლო მეორე დამშვიდებული და საღად მოაზროვნე დარჩა; ეს უკანასკნელი მას არწმუნებდა, რომ ყველაფერი შეიძლება მხოლოდ მოლანდება იყო, რომ იგი არავის არ დაუნახავს, არავინ არ ეძებს და მოახერხებს გასვლას, თუ გონს მოვა და დამშვიდდება. მაგრამ პირველი, გაგიჟებული, ყოველ წუთს სძლევდა გონიერების ხმას.

„ოჰ, რომელიმე ამ სვეტში დამალვა. რომ შეიძლებოდეს! მერე, რამდენიც ენებოთ, მეძებონ! მაგრამ იქნებ არც არავინ მეძებს“.

„ან კი რა საფრთხე მემუქრება აქ? – არწმუნებდა იგი თავის თავს. – საჭიროა მხოლოდ დამშვიდება. დაე მეძებონ მთელ ლაბირინთში! ყველა გზა რომ გადამიჭრან, ამისათვის აუცილებელია რამდენიმე ათასი კაცი, ხოლო იმის გამოსარკვევად, თუ რომელ დარბაზში ვიმყოფები, სასწაულია საჭირო!“

„მაგრამ, ვთქვათ, მომნახეს. მერე რა? ამ პატარა შუშას მივიდებ პირზე და ერთ წამში ისე შორს ვიქნები, რომ ვეღარავინ, თვით ღმერთებიც კი ვეღარ მომწვდებიან...“

მაგრამ ამგვარი მსჯელობის მიუხედავად, ისეთმა უსაზღვრო შიშმა მოიცვა, რომ კვლავ ჩააქრო ჩირაღდანი, კანკალმა ტანა და უმწეოდ ეკვროდა სვეტებს.

„რისთვის, რისთვის შემოვედი აქ? – ეკითხებოდა თავის თავს. – განა სასმელ-საჭმელი მაკლდა? ან თავშესაფარი არ გამაჩნდა? მე გაცემული ვარ. ლაბირინთში ხომ მრავლად არიან ძაღლივით ფხიზელი დარაჯები და მხოლოდ სულელს ან ბალღს შეეძლო ჰქონოდა მათი მოტყუების იმედი! სიმდიდრე! ძალაუფლება! სად არის ისეთი საუნჯე, რომლისთვისაც ღირდეს სიცოცხლის თუნდ ერთი დღის დათმობა? “

ანაზდად ძლიერი რახუნი შემოესმა. იგი წამოხტა და დარბაზის სიღრმეში სინათლე დაინახა.

დიახ! სწორედ სინათლე, – ეს უკვე მხედველობის ცდუნება აღარ იყო... სადღაც დარბაზის შორეულ კედელში მოჩანდა გაღებული კარი, საიდანაც რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რომელთაც ჩირაღდნები ეჭირათ, ფრთხილად შემოდიოდნენ.

მათს დანახვაზე სამონტუს თავ-ფეხსა და გულში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. მას უკვე ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ მოსდევდნენ, რომ იგი ალყაში იმყოფება...

ვის შეეძლო მისი გაცემა? რასაკვირველია, მხოლოდ ერთ კაცს – სეთის ახალგაზრდა ქურუმს, რომელსაც მან დაწვრილებით გაუმჟღავნა თავისი გეგმები.

ამ წუთს სამონტუ ისეთ გრძნობას განიცდიდა, რომელიც მხოლოდ იმ ადამიანისათვისაა ნაცნობი, რომელიც სიკვდილის პირას დგას. შიშმა გაუარა, რადგან მისი მოჩვენებითი შიში გაიფანტა ნამდვილი ფაქტების წინაშე. მან არათუ მაგრად დაიჭირა თავი, არამედ თავის თავი ყველა ცოცხალ არსებაზე უსაზღვროდ მაღლა მდგომადაც კი წარმოიდგინა. წამის შემდეგ უკვე არავითარი... არავითარი საფრთხე აღარ დაემუქრება!

თავში ელვის სისწრაფითა და სიცხადით გაირბინა სხვადასხვა აზრმა. მოაგონდა მთელი თავისი ცხოვრება: შრომა, საფრთხე, იმედები და წადილი... ყველაფერი ეს სრულ არარაობად ეჩვენებოდა... რას უშველიდა ამჟამად, თუნდაც ფარაონი ანდა მთელი სამეფო საუნჯის მფლობელი ყოფილიყო? ყველაფერი არარაობაა, მტვერია მხოლოდ... და რაც ყველაზე უარესია, – იგი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. მხოლოდ ერთია უდიდესი ჭეშმარიტება – სიკვდილი...

ამასობაში შემოსულები. ჩირაღდნებით ზედმიწევნით ათვალიერებდნენ ყოველ კუთხეს და უკვე უზარმაზარი დარბაზის შუაგულამდე მიაღწიეს. ქურუმი ხედავდა მათი შუბების მოელვარე მახვილ წვერებს და მიხვდა, რომ ისინი ყოყმანობდნენ და გაუბედავად და შიშით მოიწევდნენ წინ. მათგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით გამოჩნდა მეორე ჯგუფი, რომელსაც გზას მხოლოდ ერთი ჩირაღდანი უნათებდა.

– აქ არავინ ჩანს და არც შეიძლება იყოს! – თქვა ერთმა შეიარაღებულთაგანმა.

მეწინავე ჯგუფი შეჩერდა. სამონტუმ სიყვარული იგრძნო იმ ადამიანთადმი, რომელთაც წინ წასვლა არ სურდათ. გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა. ნელა მოიწევდა მეორე ჯგუფი. ორი კაცი დაობდა:

– ფიქრადაც როგორ მოგივიდათ, ყოვლადღირსო, რომ აქ ვინმეს შეეძლო შემოსვლა? – ამბობდა მღელვარებისაგან აკანკალებული

ხმა. – ყველა შემოსასვლელი დაცულია, განსაკუთრებით ახლა, და თუ ვინმე მართლაც შემოიპარა, ალბათ, იმისათვის, რომ შიმშილით მოკვდეს...

– მაგრამ დაუკვირდი ლიკონის ქცევას, – უპასუხა მეორე ხმამ, – მას სძინავს, მაგრამ თითქოს ყოველ წუთს გრძნობს მტრის სიახლოვეს...

„ლიკონი? – გაიფიქრა სამონტუმ. – ჰო, ეს ის ბერძენია, რომელიც ფარაონს ჰგავს... მაგრამ ამას რას ვხედავ? ნოფრს იგი აქ მოუყვანია...“

ამ დროს დაძინებული ბერძენი წინ. გამოიქცა და იმ სვეტთან შეჩერდა, რომელსაც სამონტუ იყო ამოფარებული. შეიარაღებულები თან მიჰყვნენ და მათმა ჩირაღდანმა გაანათა ქურუმების შავი ფიგურა.

– ვინ არის აქ? – ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა მცველების უფროსმა.

სამონტუ სინათლეზე გამოვიდა. მისი გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყველამ უკან დაიხია. სამონტუს შეეძლო თავისუფლად გაევლო ამ გაქვავებულ ადამიანთა შორის, და მას ხელს ვერავინ ახლებდა, მაგრამ გაქცევაზე უკვე აღარ ფიქრობდა.

– მაშ განა შეცდა ჩემი ნათელმხილველი? – წამოიძახა ნოფრმა და ხელები გაშალა. – ესეც გამცემი!

სამონტუ ღიმილით მიუახლოვდა მას და უთხრა:

– ნოფრ, ამ წამოძახილით გიცანი! როდესაც არ ტყუი, მაშინ მხოლოდ სულელი ხარ.

დამსწრენი გაშეშდნენ. სამონტუ კი მშვიდი ირონიით განაგრძობდა:

– თუმცა ამჟამად შენ მატყუარაცა ხარ და სულელიც. მატყუარა, იმიტომ რომ ცდილობ დაარწმუნო ლაბირინთის მცველები, თითქოს ამ ბილწ არსებას ნათელმხილველის ნიჭი გააჩნდეს, სულელი კი იმიტომ, რომ ფიქრობ ამას დაგიჯერებენ. სჯობს პირდაპირ აღიარო, რომ პტას ტაძარშიაც მოიპოვება ლაბირინთის ზუსტი გეგმა...

– ეს სიცრუეა! – წამოიძახა ნოფრმა. – შეეკითხე ამ ხალხს, ვისი უფრო სჯერათ – ჩემი თუ შენი?

– მე აქ ვიმყოფები იმიტომ, რომ სეთის ტაძარში ვიპოვე გეგმები,

შენ კი აქ უკვდავი პტას მეოხებით შემობრძანდი, სიცილით დაამთავრა სამონტუმ.

– გაბაწრეთ ეს გამცემი და ცრუპენტელა! – წამოიძახა ნოფრმა.

სამონტუმ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ტანსაცმლის ნაოჭიდან მსწრაფლ ამოიღო ბუშტულა, მიიტანა იგი ტუჩებთან და თქვა:

– შენ, ნოფრ, სიკვდილამდე სულელი დარჩები... ჭკუა მხოლოდ მაშინ გყოფნის, როდესაც საქმე ფულზეა მიმდგარი.

მან მიიყუდა პირზე ბუშტულა და უსულოდ დაეცა იატაკზე.

– დარჩეს აქ, როგორც სხვები... – ჩაილაპარაკა ლაბირინთის მცველმა.

ფარული კარის გულმოდგინედ დაკეტვის შემდეგ ყველამ სწრაფად დატოვა დარბაზი და ლაბირინთის მიწისქვეშეთიდან გამოვიდა.

ღირსმა ნოფრმა უბრძანა მხლებლებს მოემზადებინათ საცხენო ტახტრევანები და ლიკონთან ერთად დაუყოვნებლივ წავიდა მემფისს.

არაჩვეულებრივი შემთხვევით გაოგნებული ლაბირინთის მცველები ხან ერთიმეორეს უცქეროდნენ, ხან კიდევ ნოფრის ამალას მისჩერებოდნენ, რომელსაც უკვე მტვრის ყვითელი ბოლქვები ფარავდა.

– ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენს დროში გამოჩნდა ისეთი კაცი, რომელმაც გვირაბში შესვლა მოახერხა, – თქვა უმაღლესმა ქურუმმცველმა.

– თქვენ გავიწყდებათ, მაღალღირსო, რომ დღეს ვნახეთ სამი ასეთი კაცი, – მოაგონა ერთმა უმცროსმა ქურუმმა და ალმაცერად გადახედა.

– აჰ, სწორედ! მართალია! – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა. – ნუთუ ღმერთებმა გონება დამიბნელეს? – დაუმატა მან, შუბლზე ხელი გადაისვა და გულზე ჩამოკიდებულ ავგაროზს შეეხო.

– და ორი მათგანი გაიქცა, – ოინბაზი ლიკონი და წმიდა ნოფრი, – კვლავ მოაგონა უმცროსმა ქურუმმა.

– რატომ იქვე მიწისქვეშეთში არ მომაგონე ეს? – გაჯავრებით უთხრა უფროსმა.

– არა უშავს, – დაამშვიდა მეორე ქურუმმა. – ამის შესახებ ჩვენი კა-

ნონი გარკვევით ლაპარაკობს. წარგზავნე მემფისს ოთხი თუ ექვსი ჩვენთაგანი, თან გაატანე განაჩენი. დანარჩენი მათი საქმეა. ადამიანები, რომლებიც მიწისქვეშეთში არა მარტო იყვნენ, არამედ მასში, როგორც თავის სახლში, თავისუფლად მიმოდიოდნენ, არ შეიძლება ცოცხლები დარჩნენ.

– ცხადია! – დაეთანხმენ სხვა ქურუმ-მცველებიც.

– ვინ იცის, ნოფრი ყოვლადღირს ხერიჰორთან შეთანხმებით ხომ არ მოქმედებდა? – ჩაუჩურჩულა ვიღაცამ.

– კმარა! თუ ლაბირინთში ხერიჰორს აღმოვაჩენთ, მასაც კანონის თანახმად მოვექცევით, – უპასუხა უმაღლესმა ქურუმმა. – მაგრამ მარტო ეჭვების საფუძველზე არ შეიძლება ვისიმე გაწბილება. მწერლებმა დაამზადონ განაჩენი ნოფრისა და ლიკონის შესახებ, საამისოდ დანიშნული ადამიანები კვალდაკვალ მიჰყვნენ მათ, ხოლო მცველებმა გუშაგების რიცხვი გააორკეცონ. უნდა დავათვალიეროთ შენობის ყველა შესასვლელი. თუმცა დარწმუნებული ვარ, სამონტუს მალე არ აღმოუჩნდებიან მიმბაძველები, მაგრამ მაინც უნდა გამოვარკვიოთ, რომელი გზით შევიდა იგი ლაბირინთში.

რამდენიმე საათის შემდეგ ექვსი კაცი მემფისის გზას დაადგა.

თავი მეთხუთმეტე

უკვე 18 პაოფს ეგვიპტეში ქაოსი გამეფდა. ქვემო და ზემო ეგვიპტეს შორის ურთიერთობა შეწყდა, ვაჭრობა შეჩერდა, ნილოსზე მხოლოდ საგუშაგო გემები დაცურავდნენ, ხმელეთის გზები ჯარებმა დაიკავეს, რომლებიც იმ ქალაქებისაკენ მიეშურებოდნენ, სადაც ცოტად თუ ბევრად ცნობილი ტაძრები მდებარეობდა. ყანებში მხოლოდ ქურუმების გლეხები მუშაობდნენ, ხოლო აზნაურების, ნომარქოსებისა და განსაკუთრებით ფარაონის მამულებში სელი აუღებელი, იონჯა მოუთიბავი და ყურძენი მოუკრეფავი იყო. გლეხები სეირნობდნენ, მღეროდნენ, სვამდნენ, ჭამდნენ და ხან ქურუმებსა და ხან ფინიკიელებს ემუქრებოდნენ.

ქალაქებში დუქნები დაკეტილი იყო, ხოლო უსაქმოდ დარჩენილი ხელოსნები და მუშები მთელი დღე სახელმწიფოს გარდაქმნის სა-

კითხებზე ბჭობდნენ. ასეთი მოვლენა ეგვიპტისათვის უჩვეულო არ იყო. მაგრამ ამჟამად იგი იმდენად საშიშ ხასიათს იღებდა, რომ იასაულებმა და მოსამართლეებმა დამალვა იწყეს, პოლიცია კი ყველაფერ ამას შორიდან უყურებდა.

სამაგიეროდ უხვად იყო საჭმელი და ღვინო. მემფისისა და აგრეთვე პროვინციის სამიკიტნოებში, განსაკუთრებით იმათში, რომლებიც ფინიკიელებს ეკუთვნოდათ, ფრიად მცირე საფასურით ან სავსებით უფასოდ შეეძლო ესვა და ეჭამა ყველას, ვისაც სურდა და რამდენიც სურდა.

ხმები დადიოდა, ფარაონი ხალხს დიდ ნადიმს უმზადებს, რომელიც მთელი თვე გაგრძელდებაო, გაძნელებული, ზოგან კი თითქმის სავსებით შეწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის გამო ქალაქებმა ერთმანეთის მდგომარეობა არ იცოდნენ. მხოლოდ ფარაონმა და მასზე უფრო კარგად კი ქურუმებმა უწყოდნენ თავიანთი ქვეყნის საერთო მდგომარეობა.

ეს მდგომარეობა კი პირველ რიგში ზემო, ანუ თებეს, და ქვემო, ანუ მემფისის, ეგვიპტეს შორის განხეთქილებით ხასიათდებოდა. თებეში უპირატესობა ქურუმთა პარტიას ეკუთვნოდა, მემფისში კი ფარაონის პარტიას. თებეში ხმებს ავრცელებდნენ: რამზეს XIII ჭკუაზე შეიშალა და აპირებს ეგვიპტე ფინიკიელებს მიჰყიდოსო; მემფისში კი პირიქით მოუთხოგდნენ: ქურუმებს ფარაონის მოწამვლა და ეგვიპტის ასირიელებით ავსება სწადიათო.

მდაბიო ხალხი როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით რამზესისადმი ინსტინქტურად კეთილგანწყობილი იყო. მაგრამ ხალხი თავისთავად პასიურსა და მერყევ ძალას წარმოადგენდა. როდესაც მთავრობის აგიტატორები ლაპარაკობდნენ, გლეხები მზად იყვნენ შესეოდნენ ტაძრებს და ქურუმებისათვისაც კი ეცემათ, ხოლო როდესაც სარწმუნოებრივ პროცესიებს დაინახავდნენ, მსწრაფლ პირქვე ემხობოდნენ და კანკალებდნენ იმ წინასწარმეტყველების მოსმენისას, რომელთა მიხედვით პაოფის თვეშივე ეგვიპტეს უდიდესი უბედურება მოელოდა.

შეშინებული აზნაურობა და ნომარქოსები თითქმის მთლიანად მემფისში შეგროვდნენ და ფარაონს ამბოხებული გლეხებისაგან

დაცვას შესთხოვდნენ. მაგრამ რამზესი მათ მოთმინებას ურჩევდა და მდაბიო ხალხს არ აწყნარებდა. ამიტომ მდიდართა გავლენიანმა პირებმა ქურუმთა პარტიასთან გამართეს მოლაპარაკება.

მართალია, ხერიჰორი დუმდა, ან ისიც მოთმინებას ურჩევდა, მაგრამ სხვა ქურუმები დიდებულებს არწმუნებდნენ, რამზესი ჭკუაზე შერყეულაო და ნართაულად აგრძნობინებდნენ მისი ტახტიდან გადაყენების აუცილებლობას.

მემფისში ერთიმეორის გვერდით ორი პარტია მოქმედებდა: უღმერთოები, რომლებიც თვრებოდნენ, ხმაურობდნენ და ტაძრების კედლებსა და თვით ღმერთების ქანდაკებებს ტალახს ესროდნენ, ხოლო ღვთისმოსავნი, მეტწილად მოხუცები და ქალები, ქუჩებში ლოცულობდნენ და ყველას გასაგონად ყოველგვარ უბედურებას წინასწარმეტყველებდნენ. უღმერთოები ყოველდღე რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას სჩადიოდნენ, ღვთისმოსავთ შორის კი ყოველდღე რომელიმე სნეული ან დავრდომილი იკურნებოდა. მაგრამ საოცარი იყო ის, რომ გაცხარებული მღელვარების მიუხედავად ორივე პარტია ერთიმეორეს შეურაცხყოფას არ აყენებდა და ძალდატანებითს ზომებს არ მიმართავდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ თითოეული მათგანი მაღალ სფეროებში მოსაზრებული გეგმითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდა.

ფარაონი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეეგროვებინა ყველა სამხედრო ნაწილი და ქურუმების მამხილებელი საბუთები, ტაძრებზე თავდასხმის ნიშანს არ იძლეოდა. ქურუმები კი თითქოს რაღაცის მოლოდინში იყვნენ. მაგრამ ჩანდა, რომ ამჟამად ისინი თავის თავს ისე სუსტად აღარ თვლიდნენ, ვიდრე კენჭისყრის შემდეგ. რამზეს XIII უფიქრდებოდა იმ გარემოებას, რომ, როგორც ყოველი მხრიდან აცნობებდნენ, ქურუმთა გლეხები არეულობაში არ ებმებოდნენ და გულდამშვიდებით განაგრძობდნენ შრომას.

„რას ნიშნავს ეს? – ეკითხებოდა ფარაონი თავის თავს. – ნუთუ ფიქრობენ, რომ მე ვერ გავბედავ შევეხო ტაძრებს, თუ მათ თავდაცვის ჩემთვის უცნობი საშუალებები მოეპოვებათ?“

19 პაოფს პოლიციამ მოახსენა ფარაონს, წარსულ ღამეს ხალხმა ჰორის ტაძრის გალავნის ნგრევა დაიწყოო.

– თქვენ უკარნახეთ ეს ხალხს? – შეეკითხა ფარაონი პოლიციის უფროსს.

– არა, ხალხმა თვითონ...

– შეაკავეთ ისინი... – უთხრა რამზესმა. – მაგრამ მკაცრ ზომებს ნუ მიიღებთ. რამდენიმე დღის შემდეგ შეუძლიათ ქნან ის, რაც მოესურვებათ, მანამდე კი ძალადობას ნუ მიმართავენ.

რამზეს XIII-ემ, როგორც სარდალმა, იცოდა, რომ რაკი ბრბო შეტევაზე გადავა, მას უკვე ვეღარაფერი შეაკავებს, ან უნდა გაანადგუროს მოწინააღმდეგე, ანდა თვითონ განადგურდეს. კარგია, თუ ტაძრები წინააღმდეგობას არ გაუწევენ, მაგრამ თუ თავდაცვას მოისურვებენ?..

ამ შემთხვევაში ხალხი გაიფანტება და მის ნაცვლად უკვე საჭირო იქნება ჯარების გაგზავნა, რომლებიც ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობით არიან თავმოყრილი. ამას გარდა, არც ხირამი დაბრუნებულა ჯერ ბუბასტისიდან და არ მოუტანია ხერიჰორისა და ნოფრის მამხილებელი საბუთები. ხოლო, რაც მთავარია, ფარაონის თანამგრძნობმა ქურუმებმა მას დახმარება მხოლოდ 23 პაოფისათვის აღუთქვეს და როგორ შეიძლებელია მათი გაფრთხილება, როდესაც ისინი სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დაშორებულ ტაძრებში იყვნენ გაფანტული. ელემენტარული სიფრთხილე მოითხოვდა მათთან ფრიად თავდაჭერილ ურთიერთობას, რომ ისინი უდროოდ არ გამომჟღავნებულიყვნენ. ყველა ამ მოსაზრების გამო რამზეს XIII-ს არ სურდა, ხალხი ტაძრებს ვადაზე ადრე შესეოდა.

მაგრამ, ფარაონის სურვილის წინააღმდეგ, ხალხის მღელვარება იზრდებოდა. იზიდას ტაძართან მოკლულ იქნა მისი რამდენიმე მცველი, რომლებიც ეგვიპტეს საშინელ უბედურებას უწინასწარმეტყველებდნენ. პტას ტაძართან ბრბომ შეუტია პროცესიას, სცემა ქურუმებს და დაამსხვრია საღვთო ნავი, რომელშიც ღმერთის ქანდაკება ესვენა. თითქმის ამავე დროს სექემიდან და ონიდან მალემსრბოლნი მოვიდნენ, რომელთაც აცნობეს, მეამბოხეებმა ტაძრებში შეჭრა სცადეს, შეიჭრნენ კიდეც და საკურთხეველი წაბილწესო.

საღამოს, თითქმის ფარულად, ფარაონს ქურუმების დეპუტაცია ესტუმრა. პატივცემული წინასწარმეტყველნი გოდებით დაემხვნენ მბრძანებლის ფეხებთან და ცრემლებით შესთხოვდნენ დაეცვა

ღმერთები და ტაძრები.

ასეთმა მოულოდნელმა გარემოებამ სიხარულით და სიამაყით აღავსო რამზესის გული. მან დელეგატებს წამოდგომა უბრძანა და მოწყალებით უპასუხა, რომ მისი ლეგიონები მზად არიან შეასრულონ მათი თხოვნა, უკეთუ მათ ტაძრებში შეუშვებენ.

– მე არ ვეჭვობ, რომ თვითონ თავდამსხმელები უკან დაიხევენ, – განუცხადა მან, – როდესაც დაინახავენ, რომ ღმერთების თავშესაფრები ჯარს აქვს დაკავებული.

დელეგატები ყოყმანობდნენ.

– მოგეხსენება, – უპასუხა დელეგატთა შორის უხუცესმა, – რომ ჯარებს უფლება არა აქვთ გასცილდნენ ტაძრების გალავანს. ამიტომ ამ საკითხზე უმაღლეს ქურუმებს უნდა შევეკითხოთ.

– კარგი, შეეკითხეთ, – უთხრა ფარაონმა, – მე სასწაულთმოქმედი არა ვარ და ჩემი სასახლიდან შორეული საკურთხევლების დაცვა არ ძალმიძს.

დელეგატები ნაწყენი წავიდნენ. რამზესმა კი საიდუმლო საბჭო მოიწვია. ის დარწმუნებული იყო, რომ ქურუმები დაემორჩილებიან, და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ დელეგაციის გამოგზავნა მხოლოდ ხერიჰორის ოინი იყო, რათა იგი შეცდომაში შეეყვანა.

როდესაც ფარაონის დარბაზში მოწვეული პირები შეიკრიბნენ, რამზესმა განუცხადა:

– მე ვფიქრობდი, მემფისის ტაძრები მხოლოდ 23 პაოფს დაგვეკავებინა, ახლა კი უმჯობესად მიმაჩნია, ეს ხვალვე გავაკეთოთ.

– ჯარები ჯერ კიდევ არ მოგროვილან, – მოახსენა თუტმოსმა.

– არც ხერიჰორის გამაწბილებელი წერილები გვაქვს ხელთ, – დაუმატა უმაღლესმა მწერალმა.

– ეგ არაფერი, – უპასუხა ფარაონმა, – დაე ხალხმა ხვალ გაიგოს, რომ ხერიჰორი და ნოფრი მოღალატეები არიან. ხოლო ნომარქოსებსა და ქურუმებს რამდენიმე დღის შემდეგ გავაცნობთ მათს მამხილებელ საბუთებს, როდესაც ხირამი ბუბასტისიდან დაბრუნდება.

– შენი ახალი ბრძანება მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენს პირვანდელ გეგმას. ხვალ ლაბირინთს ვერ დავიკავებთ. ხოლო თუ მემფისის ტაძრებმა წინააღმდეგობის გაწევა გაბედეს, ტარანებიც კი არა გვაქვს,

რომ მათი ალაყაფის კარი შევანგრიოთ...

– თუტმოს, – მიუგო ფარაონმა, – შემეძლო არაფერი მეთქვა ჩემი ბრძანების გასამართლებლად, მაგრამ მსურს ყველანი დაგარწმუნოთ, რომ კარგად ვითვალისწინებ მოვლენათა მსვლელობას... თუ ხალხი დღესვე შეესევა ტაძრებს, მაშინ ხვალ იგი შიგ შეჭრას მოისურვებს, თუ ჩვენ არ დავეხმარებით, მის იერიშებს მოიგერიებენ და ყოველ შემთხვევაში სამი დღის შემგედ მისი მოქმედება შენელდება. ხოლო თუ ქურუმები დღესვე დელეგაციას გვიგზავნიან, ეს იმის მომასწავებელია, რომ ისინი სუსტნი არიან. ამავე დროს შეიძლება მათი მომხრეების რიცხვი თანდათან გაიზარდოს. ენთუზიაზმი და შიში კოკაში ჩასხმულ ღვინოს ჰგავს: რამდენსაც ჩამოასხამენ, იმდენად კლებულობს და მხოლოდ იმას შეუძლია შესვას, ვინც დროზე მიუშვერს თავის ფიალას. რამდენადაც დღეს ხალხი ქედმოხრისათვის არის გამზადებული, მტერი კი დაშინებული, ამდენად ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამით, რადგან, აკი გეუბნებით, ბედნიერებამ შეიძლება ზურგი შეგვაქციოს, ანდა. ჩვენს წინააღმდეგაც კი მობრუნდეს.

– და სურსათიც გვითავდება, – შენიშნა ხაზინადარმა, – სამი დღის შემდეგ ხალხი მუშაობას უნდა დაუბრუნდეს, რადგან მათი უსასყიდლოდ გამოკვების საშუალება უკვე აღარ გვექნება.

– ხომ გესმის, – მიმართა ფარაონმა თუტმოსს. – მე თვითონ ვუბრძანებ პოლიციის უფროსს, შეაკავოს ხალხი. მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ხალხის აღფრთოვანება. გამოცდილი მეზღვაური მდინარებას ან ქარს კი არ შეებრძოლება, არამედ ამჯობინებს მათს ნებას დაჰყვეს და ისე იცუროს.

ამ დროს შიკრიკი შემოვიდა და ფარაონს მოახსენა, ხალხი უცხოელებს – ბერძნებს, სირიელებს და, განსაკუთრებით, ფინიკიელებს თავს ესხმისო. განადგურებულია მრავალი დუქანი და მოკლულია რამდენიმე კაცი.

– აი იმის დამამტკიცებელი საბუთი! – წამოიძახა აღშფოთებულმა ფარაონმა, – რომ ბრბო ერთხელ დასახულ მიზანს არ უნდა ჩამოვაშოროთ! ხვალ ჯარები ტაძრების მახლობლად უნდა იყვნენ და დაუყოვნებლივ დაიკავონ ისინი, თუ ხალხი მათში ძალით შეჭრას დაიწყებს ანდა ქურუმების მოწოლის გამო უკან დაიხევს. მართალია, ყურ-

ძენი პაოფის თვეში უნდა მოიკრიფოს, მაგრამ რომელი მევენახე დატოვებს მტევნებს ვაზზე, თუ ის ერთი თვით ადრე დამწიფდა? ვიმეორებ, მე მინდოდა ხალხის მოძრაობის შეჩერება ჩვენი მომზადების დამთავრებამდე, მაგრამ თუ ეს ხალხს გულს გაუგრილებს, ვისარგებლოთ შემხვედრი ქარით და ავუშვათ იალქნები! ხვალ უნდა დააპატიმროთ და სასახლეში მოიყვანოთ ხერიჰორი და ნოფრი, ხოლო რამდენიმე დღეში ლაბირინთის საქმესაც მოვრჩებით.

საბჭოს წევრებმა ფარაონის გადაწყვეტილება მიზანშეწონილად სცნეს და, მისი გამბედაობითა და სიბრძნით გაკვირვებულნი, დაიშალნენ. თვით გენერლებმაც განაცხადეს, რომ უმჯობესია გარემოებათა ხელსაყრელი დამთხვევით ვისარგებლოთ, ვიდრე ძალთა დაგროვებით იმ დროისათვის, როცა ხელსაყრელი შემთხვევა გაივლისო.

უკვე დაღამდა. მემფისიდან მეორე შიკრიკმა მოირბინა მოხ– სენებით, რომ პოლიციამ მოახერხა უცხოელების დაცვა, მაგრამ ხალხი გაცოფებულია და არავინ იცის, ხვალ კიდევ რას მოიმოქმედებსო.

ახლა შიკრიკი შიკრიკს მოსდევდა. ზოგ მათგანს მოჰქონდა ცნობა, რომ კეტებითა და ნაჯახებით შეიარაღებული გლეხების ხალხმრავალი ბრბოები ყოველი მხრიდან მემფისისაკენ მიემართებიანო. სხვები იტყობინებოდნენ, პემეს, სეჰემისა და ონის მიდამოებში ხალხი ველად გარბის და გაჰკივის, ხვალ ქვეყნის აღსასრული დადგებაო, მესამე შიკრიკმა ცნობა მოიტანა ხირამისგან, რომ იგი მალე დაბრუნდება მემფისში; მეოთხის ცნობით, ქურუმთა ლეგიონები ფარულად მიიწევენ მემფისისაკენ, ხოლო ზემო ეგვიპტიდან მოემართებიან დიდი ბრბოები და ჯარისკაცები, რომლებიც ფინიკიელების და თვით ფარაონისადმი მტრულად არიან განწყობილიო.

„ვიდრე ისინი მოვლენ, – გაიფიქრა ფარაონმა, – უმაღლესი ქურუმები უკვე ჩემს ხელთ იქნებიან და ნეიტიკერის ლეგიონებიც მოგვისწრებენ. წმიდა მამებმა რამდენიმე დღით დაიგვიანეს...“

ამას გარდა, იტყობინებოდნენ, რომ ჯარისკაცებმა გადაც მული ქურუმები დააკავეს, რომლებიც, ალბათ, ბოროტი განზრახვით ცდილობდნენ ფარაონის სასახლეში შეღწევას.

– მომიყვანეთ, – სიცილით უთხრა რამზესმა. – მე მსურს ვიხილო ისინი, ვინც ჩემს წინააღმდეგ ბოროტი განიზრახა!

შუაღმე იწყებოდა, როდესაც დიდად პატივცემულმა დედოფალმა ნიკოტრისამ მის უდიდებულესობას აუდიენცია თხოვა. იგი გაფითრებული იყო და მთლად კანკალებდა. ოფიცრებს უბრძანა ფარაონის ოთახდან გასულიყვნენ, ცრემლმორეული მარტო დარჩა შვილთან და უთხრა:

– შვილო ჩემო, მე ფრიად ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

– მე ვამჯობინებდი ჩემი მტრების ძალისა და გეგმების უტყუარი ცნობები მომესმინა.

– დღეს საღამოს ჩემს სამლოცველოში ღვთაებრივი იზიდას ქანდაკება პირით კედლისკენ მიბრუნდა, ხოლო წყალი საღვთო ჭურჭელში სისხლივით გაწითლდა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ სასახლეში გამცემლები გვყავს, მაგრამ ისინი არც ისე საშიში არიან, თუკი მხოლოდ წყლის ამღვრევა და ქანდაკების მიბრუნება ემარჯვებათ.

– ყველა ჩვენი მსახური, მთელი ხალხი დარწმუნებულია, თუ შენი ჯარი ტაძრებში შევა, ეგვიპტეს უდიდესი უბედურება დაატყდება თავს.

– ეგვიპტისათვის უდიდესი უბედურება ქურუმთა თავხედობაა, – უპასუხა ფარაონმა. – რაკი მარადმსუფევმა მამაჩემმა ისინი სასახლეში შემოუშვა, მათ წარმოიდგინეს, რომ მისი ბატონ-პატრონი თვითონ გახდნენ... მაგრამ, ღმერთებო, მე რაღა ვიქნები? ნუთუ უარი უნდა ვთქვა ჩემს მეფურ უფლებებზე?

– ყოველ შემთხვევაში, სულგრძელი იყავი, – უთხრა დედოფალმა. – რა თქმა უნდა, შენი უფლებები უნდა დაიცვა, მაგრამ ნებას ნუ მისცემ შენს ჯარისკაცებს ძალმომრეობა ჩაიდინონ ღმერთების თავშესაფართა მიმართ და ქურუმები შეურაცხყონ. გახსოვდეს, რომ მოწყალე ღმერთები ეგვიპტეს შვებას გარდმოუვლენენ, ქურუმები კი, მათი შეცდომების მიუხედავად, – და ვის არ მოსდის შეცდომა? – ჩვენს ქვეყანას ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ... ჩაუფიქრდი იმას, რომ თუ თავიდან მოიშორებ და სიღატაკეში ჩააგდებ, ამით მოსპობ სიბრძნეს, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო ყველა სხვა სახელმწიფოზე მაღლა დააყენა.

ფარაონმა დედას ორივე ხელი მოკიდა, აკოცა და სიცილით უთხრა:

– ქალები ყოველთვის აჭარბებთ. დედილო, ისე მელაპარაკები, თითქოს ველური ჰიქსოსების წინამძღოლი ვიყო და არა ფარაონი. განა მე ქურუმების მტერი ვარ? განა მე მათი სიბრძნე მძულს? თუნდაც ისეთი უნაყოფო რამ, როგორიც ცის მნათობთა მოძრაობის დაკვირვებაა. ვარსკვლავები ხომ უჩვენოდაც მოძრაობენ ცაზე და ჩვენ მათგან დებენის საღირალი სარგებლობაც არა გვაქვს. არც მათი ჭკუა და არც მათი ღვთისმოსაობა მე არ მაღიზიანებს, მხოლოდ ეგვიპტის სიღატაკე მაწუხებს, იგი შიმშილმა დააჩაჩანაკა და ასირიელების ოდნავი მუქარისა ეშინია, ქურუმებს კი, მიუხედავად მათი სიბრძნისა, არათუ არ სურთ დამეხმარონ ჩემი გეგმების განხორციელებაში, არამედ გაუგონარ წინააღმდეგობას მიწევენ. და ნება მომეცი დავარწმუნო ისინი, რომ ჩემი სამკვიდროს ბატონ-პატრონი მე ვარ და არა ისინი. მე არ ძალმიძს შური ვიძიო დამარცხებულზე, მაგრამ საკუთარი ფეხით გავსრეს ქედმაღალთ. იმათ ეს იციან, მაგრამ ჯერ კიდევ არა სჯერათ და, რაკი ნამდვილი ძალები არ გააჩნიათ, ჩემი შეშინება სწადიათ რაღაც უბედურების წინასწარმეტყველებით. ეს არის მათი უკანასკნელი იარაღი და თავშესაფარი. როდესაც შეიგნებენ, რომ ჩემთვის შიში არ არსებობს, დამემორჩილებიან და მაშინ არც ერთი ქვა არ მოაკლდება მათი ტაძრების კედლებს და არც ერთი ბეჭედი არ იქნება გატანილი მათი საუნჯეთსაცავიდან.

დედა-დედოფალი ფეხებზე შემოეხვია ფარაონს და დამშვიდებული წავიდა, თუმცა დამშვიდობებისას კვლავ შესთხოვა მოკრძალებით მოექეცი ღმერთებს და სულგრძელობა გამოიჩინე მათი მსახურების მიმართო.

დედის წასვლის შემდეგ ფარაონმა თუტმოსი იხმო.

– ამრიგად, ხვალ ჩემი ჯარები ტაძრებს დაიკავებენ, – უთხრა მან, – მაგრამ გამოუცხადე მხედართმთავრებს, დაე იცოდნენ, რომ ჩემი სურვილია ხელშეუხებელი დარჩეს წმიდა თავშესაფრები და რომ ქურუმებზე ხელი არავინ აღმართოს.

– არც ხერიჰორსა და ნოფრზე? – შეეკითხა. თუტმოსი.

– არც იმათზე. ისინი საკმაოდ დაისჯებიან, როდესაც, თავიანთი

პოსტებიდან გადაყენებულნი, ბრძენებთან ერთად დასახლდებიან ტაძრებში, რომ შეუფერხებლად ილოცონ და სიბრძნე შეისწავლონ.

– იქნება ისე, როგორც ბრძანებ, თუმცა...

რამზესმა თითი მაღლა ასწია იმის ნიშნად, რომ არავითარი შეპასუხების მოსმენა არ სურდა. შემდეგ საუბრის თემის შეცვლის მიზნით ღიმილით წარმოთქვა:

– გახსოვს, თუტმოს, მანევრები? უკვე ორი წელი გავიდა. მაშინ მე აღშფოთებული ვიყავი ქურუმების თავხედობითა და ვერაგობით. შეგეძლო გეფიქრა, თუ ასე მალე გავუსწორდებოდი? ჰოი, საცოდავო სარა! ჰოი, შვილო ჩემო!

ფარაონს სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.

– მე რომ სათნო და დიდბუნებოვანი ღმერთების შვილი არ ვიყო, – თქვა მან, – ხვალ ჩემს მტრებს შავი დღე დაადგებოდათ... რამდენი შეურაცხყოფა მომაყენეს! მათი წყალობით რამდენგზის ამვსებია თვალები ცრემლით!

თავი მეთექვსმეტე

ოც პაოფს მემფისს საზეიმო, სადღესასწაულო სახე ჰქონდა ყოველი საქმე შეჩერდა. მებარგულეებიც კი აღარ ეზიდებოდნენ ტვირთს, ქალაქის მთელი მოსახლეობა ქუჩებსა და მოედნებზე გამოეფინა ან ტაძრების, უმთავრესად პტას, ყველაზე მეტად გამაგრებულ საკერპეს გარშემო ჯგუფდებოდა. აქვე თავი მოიყარეს სასულიერო და საერო დიდებულებმა ხერიჰორისა და ნოფრის მეთაურობით. ტაძრების შორიახლო თავისუფლად იდგა ჯარი, რომ ჯარისკაცებს ხალხთან გადალაპარაკება შეძლებოდა.

მათსა და მდაბიო ხალხს შორის მრავალი დამტარებელი დადიოდა პურის კალათებით, ჩაფებითა და ღვინის ტიკებით. ყველას უსასყიდლოდ უმასპინძლდებოდნენ. თუ ვინმე იკითხავდა, რატომ საფასურს არ იღებთო, ზოგი უპასუხებდა! ფარაონი თავის ქვეშევდრომთ უმასპინძლდებაო. სხვები კი ამბობდნენ:

– ჭამეთ და სვით, მართლმორწმუნე ეგვიპტელნო! ვინ იცის, ხვალინდელი დილა გაგვითენდება თუ არა.

ესენი ქურუმების მიერ დაქირავებული დამტარებლები იყვნენ.

ხალხში ქურუმებისაგან მოგზავნილი მრავალი ვინმე ტრიალებდა. ერთნი მსმენელებს არწმუნებდნენ, ქურუმები ფარაონს განუდგნენ და მისი მოწამვლაც კი სწადიათ იმისათვის, რომ იგი ხალხს დასასვენებელ მეშვიდე დღეს შეპირდაო. სხვები კი უჩურჩულებდნენ, ფარაონი ჭკუაზე შერყეულია და უცხოელებს შეუთანხმდა, ეგვიპტე და ტაძრები დაღუპოსო. პირველნი ხალხს აქეზებდნენ ტაძრებს შეესიენითო, სადაც, მათი სიტყვით, ქურუმები და ნომარქოსები იმაზე თათბირობდნენ, როგორ უფრო მეტად შეევიწროებინათ გლეხები და მუშები. მეორენი ხალხს აფრთხილებდნენ, თუ ტაძრებზე თავდასხმა მოხდება, ეგვიპტეს უდიდესი განსაცდელი დაატყდებ. თავსო...

არავინ იცის, საიდან გაჩნდა პტას ტაძრის კედლებთან რამდენიმე მსხვილი მორი და ქვის გროვა.

მემფისის დარბაისელ მოქალაქეთ, რომლებიც ხალხში დადიოდნენ, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ხალხის მღელვარება ხელოვნურადაა გამოწვეული. წვრილი მწერლები, პოლიციელები, მუშათა პოლკების ოფიცრები და გადაცმული სამხედრო ათისთავები არც კი მალავდნენ თავის ოფიციალურ მდგომარეობას და არც იმას, რომ სურთ ხალხს ტაძრებში შესევა ჩააგონონ. მეორე მხრივ პარასქიტები, მათხოვრები, ტაძრის მსახურნი და უმცროსი ქურუმები თუმცა ცდილობდნენ თავიანთი ვინაობა დაეფარათ, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ ისინიც ხალხს ძალმომრეობისაკენ აქეზებდნენ.

ქალაქელები გაკვირვებული იყვნენ ქურუმთა პარტიის ასეთი საქციელით და გუშინდელ ენთუზიაზმს უკვე შენელება ემჩნეოდა. წარჩინებულ ეგვიპტელებს ვერ გაეგოთ საქმის ნამდვილი ვითარება და ის, თუ ვინ იწვევდა ნამდვილად არეულობას. ქაოსი ძლიერდებოდა ღვთის გლახა მუზმუზელების წყალობით, რომლებიც ქუჩებში შიშვლები დარბოდნენ, სისხლის დენამდე იგლეჯდნენ სხეულს და ხმამაღლა გოდებდნენ.

– ვაი ეგვიპტეს! უღმერთოებამ ყოველგვარ ზომას გადააჭარბა და განკითხვის ჟამი გვიახლოვდება! ღმერთები დასჯიან უკანონობის ქედმაღლობას!

ჯარისკაცებს მშვიდად ეჭირათ თავი და იმის მოლოდინში. იყვნენ,

როდის დაიწყებდა ხალხი ტაძრებში შეჭრას. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ასეთი ბრძანება მოუვიდათ მეფის სასახლიდან, მეორეც, ოფიცრებს ტაძრებში მოსალოდნელი ჩასაფრება აფიქრებდა და უმჯობესად მიაჩნდათ მდაბიო ხალხი დაღუპულიყო და არა ჯარისკაცები. ჯარისკაცებს ჯერ კიდევ ბევრი საქმე უნდა გაეკეთებინა.

მაგრამ ბრბო, აგიტატორების მოწოდებისა და უსასყიდლოდ ღვინის დარიგების მიუხედავად, ყოყმანობდა; ყველა რაღაცას ელოდა.

უცებ ნაშუადღევის პირველ საათზე შესახვევებიდან პტს ტაძრისაკენ ცულებითა და კეტებით შეირაღებული ბრბო დაიძრა. ესენი იყვნენ: მეთევზეები, ბერძენი მეზღვაურები, მწყემსები, ლიბიელი მოხეტიალენი და თვით ტურის მაღაროთა კატორღელები. მათ წინ უძღოდა დევის სიმაღლე კაცი, რომელსაც ხელში ჩირაღდანი ეჭირა. იგი ტაძრის ალაყაფთან შეჩერდა და ომახიანი ხმით მიმართა ხალხს:

– იცით თუ არა თქვენ, მართლმორწმუნენო, რაზე თათბირობენ აქ უმაღლესი ქურუმები და ნომარქოსები? მათ. სწადიათ აიძულონ ფარაონი რამზესი, რათა მან მუშებს დღეში ქერის კიდევ ერთი ლავაში წაართვას, ხოლო გლეხებს ახალი გადასახადი დააკისროს – სულზე თითო დრახმა... დამიჯერეთ, გეუბნებით, რომ სულელურად და ლაჩრულად იქცევით, როდესაც აქ გულზე ხელებდაკრეფილები დგახართ. დროა ახლა მაინც გამოვიჭიროთ ტაძართა ვირთხები და გადავცეთ ჩვენი ბატონის, ფარაონის ხელში, რომლის წინააღმდეგ ერთმანეთს უთანხმდებიან უღმერთოები. თუ ჩვენი მბრძანებელი იძულებული გახდება ქურუმების საბჭოს წინაშე ქედი მოიხაროს, ვინღა გამოექომაგება პატიოსან ხალხს?

– მართალს ამბობს! – გაისმა ხმები.

– ფარაონი ბრძანებს, რომ ჩვენ მოგვცეს მეშვიდე დღე დასასვენებლად!

– და მოგვცეს მიწა!

– ის მუდამ თანაუგრძნობდა მდაბიო ხალხს! გახსოვთ, ორი წლის წინათ მან გაათავისუფლა ებრაელი ქალის კარმიდამოზე თავდასხმისათვის სამართალში მიცემული გლეხები?

– მე თვითონ მოწმე ვარ იმისი, რომ მან ორი წლის წინათ სცემა მწერალს, რომელიც გლეხებს უკანონო გამოსაღებით ავიწროებდა.

– მარად ცოცხლობდეს ჩვენი მბრძანებელი რამზეს XIII, ჩაგრულთა მფარველი!

– შეხედეთ! – მოისმა ხმა შორიდან, – საძოვრებიდან საქონელი თვითონ ბრუნდება, თითქოს უკვე საღამო ახლოვდებოდეს.

– რა საქმე გვაქვს საქონელთან! დასცხეთ ქურუმებს!

– ეი, თქვენ! – გადასძახა ალაყაფთან მდგომმა დევმა. - გირჩევთ ნებით გაგვიღოთ ჭიშკარი. ჩვენ გვსურს გავიგოთ, რაზე ბჭობენ ქურუმები და ნომარქოსები.

– ეი, თქვენ, გააღეთ, თორემ ჩვენ თვითონ შემოვამტვრევთ კარს!

– საოცარი საქმეა, – ლაპარაკობდნენ ცოტა მოშორებით, – ახლა მხოლოდ შუადღეა და ფრინველები ხეებზე სხდებიან, თითქოს დასაძინებლად ემზადებიანო.

– რაღაც ცუდი რამ ხდება ჰაერში...

– ღმერთებო! უკვე ღამდება და მე კი ჯერ სადილის მწვანილიც არ მომიტანია, – გაკვირვებული ჩიოდა რომელიღაც ქალიშვილი.

მაგრამ ყველა ეს შენიშვნა დაფარა მთვრალთა ჯგუფის ყვირილმა და ტაძრის ბრინჯაოს ჭიშკარზე მორების დარტყმის რახუნმა. ბრბოს რომ მრჩეველთათვის უფრო ნაკლები ყურადღება მიექცია, შეამჩნევდა, რომ ბუნებაში რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა: მზე ანათებდა, ცაზე არავითარი ღრუბელი არ ჩანდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ნათელი დღე დაბნელებას იწყებდა და ცივმა სიომ დაუბერა.

– მოგვაწოდეთ კიდევ მორი! – გაჰყვიროდნენ ტაძრის გარემომცველები. – ჭიშკარი უკვე ირყევა!

– დაარტყით უფრო მაგრად! ერთხელ კიდევ!

გარშემო მდგომი ბრბო გრიგალივით ღრიალებდა. მას აქა-იქ პატარ-პატარა ჯგუფები გამოეყოფოდნენ და თავდამსხმელთ უერთდებოდნენ, ვიდრე ბოლოს მთლიანად ტაძრისკენ არ გაიწია.

მიუხედავად იმისა, რომ შუადღე იყო, სიბნელე ძლიერდებოდა. ბაღებში მამლებმა ყივილი იწყეს. მაგრამ ხალხის გამძვინვარება იმდენად ძლიერი იყო, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, ამას ვერ ამჩნევდნენ.

– შეხედეთ, დრტვინავდა ერთი მათხოვარი. – განკითხვის ჟამი გვიახლოვდება. ღმერთებო.. – მას სიტყვის გაგრძელება აღარ დააცა-

ლეს; ვიღაცამ კეტი დაარტყა თავში და იქვე წააქცია.

ტაძრის კედლებზე აცოცება იწყეს შიშველმა, მაგრამ შეიარაღებულმა ადამიანებმა. ოფიცრებმა იერიშისათვის მომზადების ბრძანება გასცეს, დარწმუნებულებმა, რომ მალე მოუხდებოდათ ბრბოს იერიშის მხარდაჭერა.

– რას ნიშნავს ეს? – ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ ჯარისკაცები, რომლებიც ცას შესცქეროდნენ. – ღრუბელი სრულებით არა ჩანს და გარშემო კი თითქოს ჭექა-ქუხილია?

– დაარტყი დაამტვრიე! – ყვიროდნენ ტაძრის ჭიშკართან.

ჭიშკარზე მორების დარტყმა უფრო გახშირდა.

ამ დროს ჭიშკარზე აღმართულ ტერასაზე გამოჩნდა ხერიჰორი, რომელსაც გარს ერტყა ქურუმებისა და საერო დიდებულების ამალა. უმაღლეს ქურუმს ოქროს შესამოსი ეცვა, თავზე კი სამეფო ურეუსით შემკული ამენხოტეპის მიტრა უბრწყინავდა. მან გადახედა ხალხის თვალუწვდენელ ბრბოს, რომელიც ტაძარს გარს ერტყა, და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

ვინც არ უნდა იყვეთ თქვენ, მართლმორწმუნენი თუ წარმართნი, ღმერთების სახელით. მოგიწოდებთ, განშორდეთ ტაძარს...

ბრბოს ხმაური უცებ მიწყნარდა და მხოლოდ ბრინჯაოს დარაბაზე მორების დარტყმის ხმა გაისმოდა, მაგრამ მალე ისიც შეწყდა.

– გააღეთ ჭიშკარი! – შესძახა ქვემოდან დევკაცმა, – ჩვენ გვსურს, შევამოწმოთ, რაიმე ვერაგობას ხომ არ უმზადებთ ჩვენს ხელმწიფეს.

– შვილო ჩემო! – უპასუხა ხერიჰორმა. – პირქვე დაემხვე და შესთხოვე ღმერთებს, გაპატიონ მკრეხელობა.

– შენ თვითონ შეევედრე ღმერთებს, რათა დაგიცვან! – შეჰყვირა ბრბოს მეთაურმა, რომელმაც დასტაცა ხელი ქვას და მაღლა ქურუმს დამიზნებით ესროლა.

პილონის სარკმელიდან დევკაცს სახეში რაღაც სითხის წვრილი შხეფები შეესხა. იგი წაბარბაცდა, ხელები გაასავსავა და წაიქცა.

მის ახლოს მდგომ პირებს საშინელი ყვირილი აღმოხდათ. უკანა რიგებმა ვერ გაიგეს, რა მოხდა და ამაზე სიცილითა და კრულვით უპასუხეს.

– გაამტვრიეთ ჭიშკარი! – ყვიროდნენ უკნიდან და ქვების სეტყვა

მიაყარეს ხერიჰორსა და მის ამალას.

ხერიჰორმა აღაპყრო ორივე ხელი და, როდესაც ხალხი კვლავ დაწყნარდა, ხმამაღლა წარმოთქვა:

– ღმერთებო! თქვენს მფარველობას გადავცემ წმიდა ტაძრებს, რომელთა წაბილწვას ცდილობენ მოღალატენი და ღვთის მგმობნი.

უეცრად. სადღაც ტაძრის ზემოთ გაისმა ხმა, რომელიც თითქოს არ შეიძლებოდა ადამიანისა ყოფილიყო:

– პირს ვიბრუნებ წყეული ხალხისაგან, დაე სიბნელე გარდამოევლინოს დედამიწას!

და რაღაც საშინელი რამ დატრიალდა. ამ არამიწიერი ხმის ყოველ ბგერასთან ერთად მზე თავის სხივოსნობას ჰკარგავდა... უკანასკნელი სიტყვის დროს კი ღამესავით დაბნელდა, ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ, ხოლო მზის ნაცვლად ცეცხლოვან რგოლში შავი წრე მოჩანდა.

მრავალათასი გულიდან გაშმაგებული კივილი აღმოხდა. მოიერიშეებმა მორები გადააგდეს, გლეხები მიწაზე დაემხვნენ.

– განკითხვისა და სიკვდილის დღე დაგვიდგა! – გაისმა ქუჩის ბოლოში მკვნესარე ხმა.

– ღმერთებო! შეგვიბრალეთ! წმიდაო მამაო, აგვაშორე უბედურება! – აღაღადდა ბრბო...

– ვაი ჯარისკაცებს, რომლებიც უღმერთო უფროსების ბრძანებას ასრულებენ, – მოისმა მაღალი ხმა ტაძრიდან.

ამის პასუხად მთელი ხალხი პირქვე დაემხო, ხოლო ტაძრის წინ მდგომ ორ ლეგიონში ჩოჩქოლი ატყდა. რიგები აირიენ, მეომრებმა იარაღი გადაყარეს და გაოგნებული გარბოდნენ მდინარისაკენ. ზოგნი სიბნელეში სახლების კედლებს ეჯახებოდნენ და თავებს იმტვრევდნენ, სხვები ქვაფენილზე ეცემოდნენ და ბრბოს, რომელიც მათ უკან მისდევდა, ფეხქვეშ უვარდებოდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ შემჭიდროებული კოლონების ნაცვლად მოედანზე უწესრიგოდ გადაყრილი შუბები და ჩუგლუგები დარჩა, ხოლო შუკების შესასვლელებში დაჭრილთა და მკვდართა გროვა ეყარა, ჯერ არც ერთი წაგებული ბრძოლა არ დამთავრებულა ასეთი კატასტროფით.

– ღმერთებო, ღმერთებო! – კვნესოდა და გოდებდა ხალხი. – შეგ-

ვიწყალეთ ჩვენ, უდანაშაულონი.

– ოზირისო, – წარმოთქვა ტერასიდან ხერიჰორმა. – კვლავ უჩვენე სახე შენი უბედურ ხალხს!

– უკანასკნელად შევისმენ ჩემი ქურუმების ვედრებას, ვინაიდან მე მოწყალე ვარ, – უპასუხა არამიწიერმა ხმამ ტაძრიდან.

იმწამსვე სიბნელე გაიფანტა და მზეს კვლავ წინანდელი სხივოსნობა დაუბრუნდა.

ახალი შეძახილი, ახალი კვნესა და ახალი ლოცვები. სიხარულით დამთვრალი ადამიანები მკვდრეთით აღმდგარ მზეს ესალმებოდნენ; უცნობნი ერთიმეორეს გულში იხუტებდნენ და ყველა მუხლებით მიცოცავდა ტაძრისკენ, რათა მთხვეოდნენ მის კურთხეულ კედლებს.

ჭიშკრის თავზე იდგა ღირსი ხერიჰორი, რომელსაც თვალები ზეცისკენ აღეპყრო. ორ ქურუმს ეჭირა მისი წმიდა ხელები, რომლითაც მან ბნელი გაფანტა და ხალხი დაღუპვისაგან იხსნა.

ასეთივე სცენებს ჰქონდა ადგილი მთელ ქვემო ეგვიპტეში. ყველა ქალაქში 20 პაოფს ხალხი დილიდანვე იკრიბებოდა ტაძრებთან. ყველა ქალაქში დაახლოებით შუადღისას ბრბო იერიშით მიდიოდა ტაძრებზე; ნაშუადღევის პირველ საათზე ჭიშკრების თავებზე ყველგან ჩნდებოდა ტაძრის უმაღლესი ქურუმი თავისი თანამსახურებით, სწყევლიდა უღმერთოებს და ქვეყნად სიბნელეს ამყარებდა. ხოლო, როდესაც შეშფოთებული ხალხი გარბოდა ან პირქვე ემხობოდა, უმაღლესი ქურუმები ოზირისს ევედრებოდნენ, გამოეჩინა თავისი სახე, და სინათლე კვლავ ბრუნდებოდა დედამიწაზე.

ამრიგად, მზის დაბნელების წყალობით ქურუმთა გამობრძმედილმა პარტიამ უკვე ქვემო ეგვიპტეშიც შეარყია რამზეს XIII-ის ავტორიტეტი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ფარაონის მთავრობა უფსკრულის წინაშე დადგა, თუმცა მან ეს არც კი იცოდა. მისი დახსნა მხოლოდ უდიდეს გონებასა და მდგომარეობის ზუსტ შეცნობას შეეძლო. მაგრამ მეფის სასახლეს სწორედ ეს აკლდა, სადაც უაღრესად მძიმე მომენტში შემთხვევითობა იყო გაბატონებული.

ოც პაოფს ფარაონი მზის ამოსვლისას ადგა და, საომარი მოქმედების ასპარეზთან რომ უფრო ახლოს ყოფილიყო, მთავარი სასახლიდან იმ პატარა კარმიდამოში გადავიდა, რომელიც მემფისიდან

შორიახლოს მდებარეობდა. კარმიდამოს ერთ მხარეზე აზიელი მეომრების ყაზარმები მდებარეობდა, მეორე მხარეს კი თუტმოსისა და მისი მეუღლის ტურფა კეპრერეტის პავილიონი. ფარაონს თან ახლდნენ მისი ერთგული დიდებულები და გვარდიის პირველი ლეგიონი, რომლისადმი რამზესს უსაზღვრო ნდობა ჰქონდა.

რამზესი მშვენიერ გუნებაზე იყო; მან მიიღო აბაზანა; მადიანად ისაუზმა და ისმენდა შიკრიკების მოხსენებას, რომლებიც ყოველ თხუთმეტ წუთში მორბოდნენ მემფისიდან. მათი ცნობები მოსაწყენად ერთფეროვანი იყო: უმაღლესი ქურუმები და რამდენიმე ნომარქოსი ხერიჰორისა და ნოფრის მეთაურობით პტას ტაძარში ჩაიკეტნენ. ჯარი სიმხნევით არის აღსავსე, ხალხი კი მღელვარებს. ყველა ლოცავს ფარაონს და უცდის თავდასხმაზე გადასვლის ბრძანებას.

როდესაც ცხრა საათზე მეოთხე შიკრიკმა იგივე სიტყვები გაიმეორა, ფარაონი მოიღუშა.

– რაღას უცდიან? შეეკითხა შიკრიკს. დაუყოვნებლივ დაიწყონ იერიში!

მდევარმა უპასუხა, ჯერ კიდევ არ შეგროვილა ყველაზე მეტად აქტიური ნაწილი, რომელსაც ძალუძს ტაძრის ბრინჯაოს ჭიშკრის შენგრევაო.

ეს განმარტება ფარაონს არ მოეწონა. წარგზავნა მემფისში ოფიცერი ბრძანებით, რომ იერიში დაეჩქარებინათ.

– რატომ იგვიანებენ? – თქვა მან, – მეგონა ჯარისკაცები ტაძრების აღების ცნობით გამაღვიძებდნენ... მსგავს შემთხვევაში მოქმედების სისწრაფე წარმატების აუცილებელი პირობაა.

ოფიცერი წავიდა, მაგრამ პტას ტაძართან არაფერი შეცვლილა.

ხალხი რიღაცის მოლოდინში იყო, ხოლო მეთაურები ადგილზე კიდევ არ ჩანდნენ.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვიღაცის უცხო ნება აფერხებდა ბრძანების შესრულებას.

დილის ათ საათზე ფარაონთან ტახტრევანით დედოფალი ნიკოტრისა მივიდა. დიდადპატივცემული დედა-დედოფალი თითქმის ძალით შეიჭრა შვილის ოთახში და ცრემლების ღვრით დაემხო ფარაონის ფეხებთან.

– რა მოხდა, დედილო? – შეეკითხა რამზესი, რომელიც ძლივს ფარავდა თავის გაჯავრებას. – შენ დაგავიწყდა, რომ აქ, ბანაკში, ქალების ადგილი არ არის?

– დღეს აქედან არ წავალ და ერთი წამითაც მარტო ვერ დაგტოვებ! – წარმოთქვა დედამ. – მართალია, შენ იზიდას შვილი ხარ და მისი მფარველობით სარგებლობ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მოუსვენრობისაგან გული გამისკდება.

– მერე და რა განსაცდელი უნდა მელოდეს? – შეეკითხა ფარაონი და მხრები აიჩეჩა.

– ქურუმმა, რომელიც ვარსკვლავებს უკვირდებოდა, ცრემლმორევით უპასუხა დედოფალმა, – ერთ მსახურ ქალს უთხრა, რომ თუ დღეს... თუ დღევანდელი დღე შენთვის კეთილად დასრულდა, მაშინ შენ იცოცხლებ და იმეფებ ას წელს.

– ნუთუ? სად არის ის ადამიანი, რომელსაც ასე კარგად მოეხსნება ჩემი ბედისწერა?

– მემფისში გაიქცა.

ფარაონმა გაიღიმა.

– როგორც სოდიან ტბებთან ლიბიელების ისრებისა და ქვების არ გვეშინოდა, ისე დღეს ქურუმების მუქარა ჩვენთვის საშიში არ არის... დამშვიდებული იყავი, დედილო. ცარიელი ლაყბობა ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე ქვები და ისრები.

მემფისიდან ახალმა შიკრიკმა მოირბინა მოხსენებით, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ... ბრბო ჯერ კიდევ არ გამოსულაო,

ფარაონის ლამაზ სახეზე განრისხების ნიშნები გამოჩნდა.

თუტმოსმა დაამშვიდა მბრძანებელი:

– ხალხი ჯარი არ არის, მას არ ეხერხება დანიშნულ საათზე შეიკრიბოს და ბრძანებას ყურს არ უგდებს. ლეგიონებისათვის რომ ტაძრების დაკავება მიგვენდო, ისინი უკვე აქ იქნებოდნენ.

– შენ გავიწყდება, – შენიშნა რამზესმა, – რომ ჩემი ბრძანების თანახმად ჯარი ტაძრებს კი არ უნდა დასხმოდა, არამედ ტაძრები ბრბოსაგან უნდა დაეცვა.

– და სწორედ ამიტომ გვიანდება მოქმედება, – ერთგვარი უკმაყოფილებით უპასუხა თუტმოსმა.

– აი ვინ ბრძანდებიან მეფის მრჩევლები! აღმოხდა დედოფალს, – ფარაონი ბრძნულად იქცევა, როდესაც ღმერთების მფარველობას კისრულობს. თქვენ კი ძალმომრეობისკენ აქეზებთ.

თუტმოსს თავში სისხლი აუვარდა. საბედნიეროდ, ადიუტანტმა იგი ოთახიდან გაიხმო და ხირამის მოსვლა აცნობა.

ფინიკიელ თავადს ჯარისკაცის გამტვერიანებული ლაბადა ეცვა, ჩანდა, მოქანცული იყო და გაღიზიანებული.

თუტმოსმა ბრძანა მისი მიღება და, როდესაც მარტონი დარჩნენ, უთხრა:

– ვფიქრობ, ღრმად პატივცემულო, ვიდრე აბაზანას მიიღებ და ტანსაცმელს გამოიცვლი, ფარაონს შენთვის აუდიენცია გამოვთხოვო.

ხირამმა გათეთრებული წარბები შეიჭმუხნა და კიდევ უფრო მეტად აევსო სისხლით თვალები.

– მას შემდეგ, რაც მე ვნახე, – მკაცრად უპასუხა მან, – შემიძლია უაუდიენციოდ გადავიარო.

– შენ ხომ თან გაქვს უმაღლესი ქურუმების წერილები ასირიელებისადმი?

– რად გინდათ ეს წერილები, როცა თქვენ ქურუმებს შეურიგდით?

– რას ბრძანებ, დიდად პატივცემულო? – გაიკვირვა თუტმოსმა.

– მე ვიცი, რასაც ვამბობ! – მიუგო ხირამმა. – თქვენ ფინიკიელებს გამოგვართვით ათეული ათასი ტალანტი თითქოს იმისათვის, რომ ეგვიპტე ქურუმების ბატონობისაგან გაგეთავისუფლებინათ, ახლა კი ჩვენვე გვძარცვავთ და გვკლავთ. შეხედე, რა ხდება ზღვიდან პირველ ჭორომებამდე. ყველგან თქვენი ბრბო ძაღლებსავით დევნის ფინიკიელებს და ეს ქურუმების ბრძანება...

– ჭკუაზე შეშლილხარ, მთავარო! სწორედ ამ წუთში ჩვენმა ხალხმა მემფისთან ტაძარს ალყა შემოარტყა.

ხირამმა ხელი ჩაიქნია.

– ვერ აიღებს! – უპასუხა მან. – თქვენ ან ჩვენ გვატყუებთ, ანდა თვითონ ხართ მოტყუებული. თქვენ ფიქრობდით, რომ ლაბირინთს და მის საუნჯეთსაცავთ 23 პაოფს დაიკავებდით. ამასობაში ძალებს გაფლანგავთ პტას ტაძართან და ლაბირინთის საქმე კი დაიღუპა... რა

ხდება აქ? სად არის გონიერება? – მღელვარებით განაგრძობდა ფინიკიელი, – რა საჭიროა ცარიელ შენობაზე იერიშის მიტანა? ამას შეუძლია ლაბირინთის დაცვის გაძლიერება გამოიწვიოს.

– ლაბირინთსაც ავიღებთ, – შეაჩერა იგი თუტმოსმა.

– ვერაფერსაც ვერ აიღებთ, ვერაფერს! ლაბირინთი შეეძლო მხოლოდ ერთ კაცს აეღო, ამას კი ხელს შეუშლის დღევანდელი თქვენი მარცხი მემფისში.

თუტმოსი ხეივნის შუა ადგილას შეჩერდა.

– მითხარი, რაშია საქმე? – მოკლედ შეეკითხა იგი ხირამს.

– არეულობაში, რომელიც აქ, თქვენთან მეფობს. იმაში, რომ თქვენ უკვე მთავრობა კი არა ხართ, არამედ ოფიცრების და დიდებულების მცირე ჯგუფი, რომლებსაც ქურუმები მიერეკებიან, საითაც სურთ... უკვე სამი დღეა მთელ ქვემო ეგვიპტეში ისეთი მღელვარება მძვინვარებს, რომ ბრბო ჩვენ, ფინიკიელებს, თქვენს ერთადერთ მეგობრებს, გვანადგურებს. მერე რატომ? იმიტომ რომ მმართველობის სადავეები ხელიდან გაუშვით და ქურუმებმა აიტაცეს.

– ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ მდგომარეობას არ იცნობ, – უთხრა თუტმოსმა. – ქურუმები ჩვენ სხვადასხვა ხრიკს გვიწყობენ და ფინიკიელების დარბევასაც ისინი იწვევენ, მაგრამ ძალაუფლება ფარაონის ხელშია და ამბების საერთო მსვლელობა მისი ბრძანების თანახმად მიმდინარეობს.

– პტას ტაძრის დღევანდელი იერიშიც?

– დიახ, მე თვითონ დავესწარი იმ საიდუმლო თათბირს, რომელზეც ფარაონმა გვიბრძანა ოცდასამის ნაცვლად დღესვე დავეუფლოთ ტაძრებს.

– მაშინ გიცხადებთ, გვარდიის უფროსო, რომ თქვენ დაიღუპეთ, მე სარწმუნო ცნობები მაქვს, რომ დღევანდელი იერიში პტას ტაძარში უმაღლესი ქურუმებისა და ნომარქოსების სხდომაზე გადაწყდა ცამეტ პაოფს.

– მერე რად დასჭირდათ შეთანხმებულიყვნენ თავის თავზევე თავდასხმაში? – დაცინვით შეეკითხა თუტმოსი...

– ალბათ, ეს იმათ ესაჭიროებოდათ. და რომ უკეთესად მიჰყავთ მათ თავიანთი საქმეები, ვიდრე თქვენ, ამაში დავრწმუნდი.

შემდეგი ლაპარაკი მათ შორის ადიუტანტმა შეწყვიტა, რომელმაც თუტმოსი ფარაონთან მიიხმო.

– მართლა, კინაღამ დამავიწყდა. თქვენმა ჯარისკაცებმა გზაზე დააკავეს ქურუმი პენტუერი, რომელსაც სურს ფარაონს რაღაც მნიშვნელოვანი რამ აცნობოს.

თუტმოსმა დაუყოვნებლივ წარგზავნა ადიუტანტი პენტუერის მოსაძებნად, თვითონ კი ფარაონთან შევიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და ფინიკიელს წინადადება მისცა უკან გაჰყოლოდა.

რამზესთან ხირამს დედოფალი ნიკოტრისა, მთავარი ხაზინადარი, უმაღლესი მწერალი და რამდენიმე გენერალი დახვდა. განერვიულებული რამზეს XIII ჩქარი ნაბიჯით დადიოდა ოთახში.

– აი ეს არის ეგვიპტისა და ფარაონის უბედურება! – ფინიკიელზე მითითებით წამოიძახა დედოფალმა.

– ღრმადპატივცემულო ხელმწიფევ, შეუკრთომლად თავის დახრით უპასუხა ხირამმა, – დრო გვიჩვენებს, ვინ იყო ფარაონის ერთგული მსახური და ვინ ორგული.

რამზეს XIII უცებ ხირამის წინ შეჩერდა და შეეკითხა:

– შენ თანა გაქვს ხერიჰორის წერილები ასირიისადმი?

ფინიკიელმა ტანსაცმლის ქვეშიდან ამოიღო პაკეტი და უხმოდ გადასცა ფარაონს.

– სწორედ ეს მჭირდებოდა! – სიხარულით წარმოთქვა ფარაონმა. – ხალხს დაუყოვნებლივ უნდა გამოვუცხადოთ, რომ უმაღლესმა ქურუმებმა გასცეს ეგვიპტე.

– შვილო ჩემო! – მუდარით მიმართა რამზესს დედოფალმა. – გაფიცებ მამაშენის აჩრდილს, ჩვენს ღმერთებს, რომ რამდენიმე დღით თავი შეიკავო და ხალხს ეგ არ გამოუცხადო. ფინიკელების ძღვენს ჩვენ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ...

– ხელმწიფევ, – განუცხადა ფარაონს ხირამმა. – თქვენ. შეგიძლიათ დაწვათ კიდევაც ეგ წერილები, ჩემთვის ისინი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

რამზესი წამით დაფიქრდა და პაკეტი უბეში დამალა.

– რა გაიგე ქვემო ეგვიპტეში? – შეეკითხა იგი ხირამს.

– ყველგან ფინიკიელებს ანადგურებენ, – უპასუხა მან. – ჩვენს სახ-

ლებს ანგრევენ, ქონებას იტაცებენ და უკვე მრავალი ადამიანია მოკლული.

– მეც გავიგონე! ეგ ქურუმების საქმეა.

– უკეთესია თქვა, შვილო ჩემო, რომ ეს ფინიკიელებისადმი სამაგიეროს მიზღვაა მათი უღმერთოებისა და მსუნაგობისათვის, – ჩაერია საუბარში დედოფალი.

ხირამს დედოფლისათვის არც კი შეუხედავს და განგრძო:

– სამი დღეა მემფისში იმყოფება ბუბასტისის პოლიციის უფროსი ორი თანაშემწით; მათ უკვე მიაგნეს გარეწარი მკვლელის ლიკონის კვალს...

– რომელიც ფინიკიელთა ტაძრებმა გაზარდეს, – გესლიანად შენიშნა დედოფალმა.

– ლიკონის, რომელიც უმაღლესმა ქურუმმა ნოფრმა, – განაგრძობდა ხირამი, – პოლიციასა და სასამართლოს ხელიდან გამოსტაცა... ლიკონის, რომელიც თებეში ვითომდა თქვენი უდიდებულესობის როლს ასრულებდა და შიშველი დარბოდა ბაღში, როგორც გაგიჟებული...

– რას ამბობ? – დაიყვირა ფარაონმა.

– შეეკითხეთ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს ღრმადპატივცემულ დედას, რომელმაც იგი ამ როლში იხილა.

რამზესმა დაბნეულად გადახედა დედას.

– დიახ, – უთხრა დედამ, – მე ვნახე ეს ბილწი, მაგრამ არაფერს არ გეუბნებოდი, რათა შენთვის მწუხარება არ მომეყენებინა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არავის არ მოეპოვება იმის დამადასტურებელი საბუთები, თითქოს ლიკონი უმაღლესი ქურუმების მიერ იყო მოგზავნილი. ეს შეეძლო უფრო ფინიკიელებს ჩაედინათ...

ხირამმა ირონიულად გაიღიმა.

– დედავ! ჩემო დედავ! – საყვედურით წამოიძახა რამზესმა. – ნუთუ შენს გულთან ქურუმები უფრო ახლოს დგანან, ვიდრე მე?

– შენ ჩემი შვილი და ბატონი ხარ, რომელზე ძვირფასი ქვეყნად არავინ გამაჩნია! – აღგზნებით წამოიძახა დედოფალმა. – მაგრამ მე არ შემიძლია დავუშვა, რომ უცხო ადამიანი, წარმართი, ცილსა სწამებდეს ქურუმების საღვთო კასტას, რომლის ჩამომავლობა ჩვენ ორი-

ვე ვართ. ჰოი, რამზეს! მუხლმოყრით შეევედრა ნიკოტრისა. – განდევნე შენგან მავნე მრჩეველები, რომლებიც ტაძრების შებილწვასა და პაპაშენის ამენხოტეპის მოადგილის შეურაცხყოფას გიკარნახებენ! ჯერ კიდევ არის დრო შერიგებისათვის... რომ ეგვიპტე გადავარჩინოთ.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა პენტუერი, რომელსაც დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვა.

– შენ რაღას გვეტყვი? – უჩვეულო სიმშვიდით შეეკითხა ფარაონი.

– დღეს, შეიძლება, ამ საათშივე, – მღელვარებით უპასუხა ქურუმმა, – მზის დაბნელება მოხდება.

რამზესი მოულოდნელობისაგან კინაღამ წამოხტა.

– მერე რა საქმე მაქვს მე მზის დაბნელებასთან? მეტადრე ასეთ დროს?

– ბატონო, – მოახსენა პენტუერმა, – მეც ეგრე ვფიქრობდი, ვიდრე ძველ მატიანეში მზის დაბნელების აღწერილობა არ ამოვიკითხე. ეს ისეთი მრისხანე და შემაძრწუნებელი მოვლენაა, რომ აუცილებლად საჭიროა მის შესახებ მთელი ხალხი წინასწარ გავაფრთხილოთ.

– უეჭველად! – დაუდასტურა ხირამმა.

– რატომ უფრო ადრე არ გვაცნობე ეს ამბავი? – შეეკითხა პენტუერს თუტმოსი.

– ორი დღე ჯარისკაცებს საპყრობილეში ვყავდი... ხალხის გაფრთხილებას ახლა ჩვენ მაინც ვერ მოვასწრებთ. სასახლის მცველები გააფრთხილეთ, რათა ისინი მაინც არ დაფრთხნენ.

ფარაონმა ხელი ხელს შემოჰკრა.

„როგორი მარცხია!“, – წაიჩურჩულა მან და შემდეგ ხმამაღლა წარმოთქვა:

– როგორ და როდის მოხდება ეს?

– დღე ღამედ იქცევა... – უპასუხა ქურუმმა. – ეს იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენიც საჭიროა, რომ კაცმა ხუთასი ნაბიჯი გაიაროს. დაიწყება ის შუადღეზე. ასე მითხრა მინამ.

– მინა? – გაიმეორა ფარაონმა. – ეს სახელი გამიგონია.

– მან ამის შესახებ უკვე მოგწერა, ხელმწიფევ! მაშ ნუ აყოვნებთ, გააფრთხილეთ ჯარი!..

დაუყოვნებლივ გაისმა საყვირთა ხმა. სასახლის წინ სრული შეირაღებით სამეფო გვარდია და აზიელები ჩამწკრივდნენ და შტაბით გარემოცულმა ფარაონმა ჯარისკაცებს გამოუცხადა მზის დაბნელების ამბავი, თან დაუმატა, რომ ნუ შეშინდებიან, რადგან სიბნელე მალე გაქრება და მეც თქვენთან ვიქნებიო.

– მარად იცოცხლე! – შესძახეს ჯარიკაცებმა. ამავე დროს მემფისში რამდენიმე მხედარი წარგზავნეს. გენერლები კოლონებს ჩაუდგნენ სათავეში. ფარაონი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა ეზოში, ხოლო საერო დიდებულები ხმადაბლა ესაუბრებოდნენ ხირამს. მარტოდ დარჩენილი დედოფალი ნიკოტრისა კი პირქვე დაემხო ოზირისის ქანდაკების წინ.

ორი საათი იყო, როდესაც მზის სინათლემ გვიმსება იწყო.

– მართლაც ღამე დადგება? – შეეკითხა ფარაონი პენტუერს.

– დიახ, მხოლოდ არა ხანგრძლივად.

– მზეს რაღა დაემართება?

– მთვარეს ამოეფარება..

„წყალობა უნდა დავუბრუნო ქურუმებს, რომლებიც ვარსკვლავების მოძრაობას უკვირდებიან“, – გაიფიქრა ფარაონმა.

სწრაფად ბნელდებოდა. აზიელების ცხენებს მოუსვენრობა დაეტყო. ფრინველთა გუნდები ქვევით ეშვებოდნენ და ჟრიამულით ეხვეოდნენ ბაღის ყველა ხეს.

– ეი, მომღერლებო! – შესძახა კალიპმა ბერძნებს.

აგრიალდა დოლები, არაკრაკდნენ სალამურები და მათს აკომპანემენტზე ბერძენთა ლეგიონმა მხიარული სიმღერა შემოსძახა იმ ქურუმების ასულზე, რომელსაც ისე ეშინოდა ყველაფრის, რომ მხოლოდ ყაზარმაში შეეძლო დაძინება.

ანაზდად ლიბიის ყვითელ გორაკებს ავის მომასწავებელი ჩრდილი მოეფინა და ელვის სისწრაფით გადაეფარა მემფისს, ნილოსსა და სასახლის ბაღებს. დედამიწა წყვდიადმა მოიცვა, ცაზე კი ნახშირივით შავი დისკო გამოჩნდა, რომელსაც გარს ცეცხლოვანი გვირგვინი ერტყა. ბერძენთა ლეგიონის სიმღერები გასაოცარმა ყვირილმა დაფარა: აზიელ მეომრებს სამხედრო ძახილი აღმოხდათ და ცას უამრავი ისარი სტყორცნეს, რომ დაეფრთხოთ ის ბოროტი სული, რომელ-

მაც მზის გადაყლაპვა მოინდომა.

– შენ ამბობ, რომ ეს შავი წრე მთვარეა? – შეეკითხა ფარაონი პენ-ტუერს.

– ასე ამტკიცებს მინა.

– უდიდესი ბრძენი ყოფილა! და სიბნელე ახლავე შეწყდება?

– უეჭველად.

– მთვარე რომ ცას მოსწყდეს და მიწას დაეცეს?

– ეს არ შეიძლება მოხდეს, აი მზეც! – სიხარულით წამოიძახა პენ-ტუერმა.

ლეგიონებში რამზეს XIII-ის საპატივცემო ძახილი გაისმა.

ფარაონი პენტუერს მოეხვია.

– ჭეშმარიტად, – უთხრა ფარაონმა, – ჩვენ საოცარი მოვლენა ვიხი-ლეთ, მაგრამ აღარ ვისურვებდი იგი კვლავ მეხილა. ვგრძნობ, მეომა-რი რომ არ ვყოფილიყავი, შიში დაეუფლებოდა ჩემს გულს.

ხირამი თუტმოსთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

– ახლავე წარგზავნე მემფისს მდივნები. ვშიშობ, უმაღლესმა ქუ-რუმმა ბოროტი რამ არ განიზრახოს.

– აგრე გგონია?

ხირამმა თავი დაუქნია.

– ისინი ასე ხანგრძლივად ქვეყანას ვერ განაგებდნენ, – უთხრა მან, – თვრამეტ დინასტიას ვერ ამოიჭამდნენ, რომ ისეთი შემთხვევის გამოყენება არ ეხერხებოდეთ, როგორიც დღევანდელი ამბავია.

ფარაონმა ჯარს მადლობა გამოუცხადა იმ თავდაჭერილობისათ-ვის, რომელიც მან გამოიჩინა, და თავის ბინაში დაბრუნდა. მეტად დაფიქრებული იყო, ლაპარაკობდა მშვიდად, თითქმის ლმობიერად, მაგრამ მის ლამაზ სახეს რაღაც ყოყმანი ეტყობოდა. მის სულში მწვა-ვე ბრძოლა წარმოებდა. უკვე ხვდებოდა, რომ ქურუმების განკარგუ-ლებაში ისეთი ძალებია, რომელთაც ის ანგარიშში არათუ არ იღებდა, არამედ უარყოფდა და მათს შესახებ რისამე გაგონებაც კი არ სურდა.

ქურუმები რომლებიც ვარსკვლავთა მოძრაობას უკვირდებოდნენ, მის თვალში დიდად ამაღლდნენ. და მან იფიქრა, რომ აუცილებლად საჭიროა ამ უცნაური სიბრძნის კანონების შეცნობა, რომლებიც ასე სა-შინლად აწეწავენ ადამიანთა გეგმებს.

სამეფო სასახლიდან მემფისს შიკრიკი იგზავნებოდა, რომ გაეგოთ, რა მოხდა იქ მზის დაბნელებისას, მაგრამ ისინი უკან აღარ ბრუნდებოდნენ და ფარაონის ამალას უამბობის შავი ფრთები გადაეფარა. პტას ტაძართან რომ რაღაც არასასიკეთო მოხდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ვერავინ ბედავდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება, რა შეიძლებოდა იქ მომხდარიყო. თითქოს ფარაონი და მისი ერთგული პირები მოხარული იყვნენ ყოველი წუთისა, რომელიც უამბობაში გადიოდა.

ამასობაში დედოფალი ნიკოტრისა მიუჯდა ფარაონს და ეჩურჩულებოდა:

– მომეცი ნება, რამზეს, ვიმოქმედო. ქალებმა ჩვენს სახელმწიფოს არა ერთი სამსახური გაუწიეს. მოიგონე თუნდაც მეექვსე დინასტიის დედოფალი. ნიკოტრისა, ანუ მაატკარა, რომელმაც მეწამულ ზღვაზე ფლოტი შექმნა. თუ პტას ტაძარი დაკავებული არაა და ქურუმებისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, მე შეგარიგებ ხერიჰორთან. შენ ცოლად შეირთავ მის ასულს და მეფობა შენი დიდებით აღსავსე იქნება... მოიგონე, რომ პაპაშენი წმიდა ამენხოტეპი, აგრეთვე უმაღლესი ქურუმი და ფარაონის მოადგილე იყო. და შენც, ვინ იცის, დაიმკვიდრებდი თუ არა ტახტს, რომ ქურუმთა წმიდა კასტას არ მოესურვებინა თავისი შთამომავალი ეხილა ფარაონად. შენ კი ასე უხდი მადლობას ხელისუფლებისათვის?

ფარაონი უსმენდა დედას და თან ფიქრობდა, რომ ქურუმების სიბრძნე მაინც უდიდესი ძალა და მათთან ბრძოლა ძნელია.

მხოლოდ მეოთხე საათის დასაწყისში მოვიდა მემფისიდან პირველი მაცნე – იმ ლეგიონის ადიუტანტი, რომელიც ტაძართან იდგა. მან მოახსენა ფარაონს, რომ ტაძარი აღებული არაა ღმერთების რისხვის გამო; ხალხი გაიფანტა, ქურუმები ზეიმობენ და საშინელი, მაგრამ ხანმოკლე ღამის განმავლობაში ჯარიკაცებშიც კი დაიწყო ჩოჩქოლი.

მერე მან გვერდზე გაიხმო თუტმოსი და მოურიდებლად უამბო, რომ ჯარი სულით დაცემულია, რომ უწესრიგო გაქცევის გამო ლეგიონებს იმდენი დაჭრილი და მოკლული ჰყავთ, რამდენიც მხოლოდ ბრძოლის შემდეგ შეიძლება იყოს.

– ახლა რა მდგომარეობაში არიან ლეგიონები? – შიშით შეეკითხა

თუტმოსი.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ადიუტანტმა, – ჩვენ მოვახერხეთ გაფანტული მეომრების შეგროვება და დაწყობა; მაგრამ იმაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რომ ტაძრების წინააღმდეგ დავძრათ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ქურუმებმა დაჭრილთათვის დახმარების აღმოჩენას მოჰკიდეს ხელი. ჯარისკაცები მოპარსული თავისა და ჯიქის ტყავის დანახვაზე მზად არიან პირქვე დაემხონ, და დიდი დრო გაივლის, ვიდრე რომელიმე მათგანი გაბედავს ტაძრის გალავანში ფეხის შედგმას.

– ქურუმები რას აკეთებენ?

ლოცვა-კურთხევით მიმართავენ ჯარისკაცებს, კვებავენ, ასმევენ და ანიშნებენ, რომ ტაძარზე თავდასხმაში დამნაშავე თქვენ არა ხართ, ყოველივე ეს ფინიკიელების ხრიკებიაო.

– და თქვენ დაუშვით ჯარში ასეთი აბნეულობა? – წამოიძახა თუტმოსმა.

– მისმა უდიდებულესობამ გვიბრძანა ქურუმები ბრბოსაგან დაგვეცვა – უპასუხა ადიუტანტმა, ჩვენ რომ ტაძრებში შესვლის ნებართვა გვქონოდა, იქ უკვე დილის ათ საათზე ვიქნებოდით და ქურუმები ახლა სარდაფებში გვეყოლებოდნენ.

ამ დროს მორიგე ოფიცერმა თუტმოსს მოახსენა, რომ მემფისიდან მოსულ უცნობ ქურუმს მის უდიდებულესობას,თან საუბარი სურსო. თუტმოსმა მოსული აათვალ-ჩაათვალიერა. მის წინ იდგა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სახე თითქოს ხისაგან ჰქონდა გამოთლილი. მან თუტმოსს განუცხადა, რომ ეახლა ფარაონს სამონტუს დავალებით.

რამზესმა დაუყოვნებლივ მიიღო ქურუმი, რომელიც მის წინაშე პირქვე დაემხო და მბრძანებელს გადასცა ბეჭედი, რომლის დანახვაზე ფარაონი გაფითრდა.

– ეს რას ნიშნავს? – შეეკითხა ფარაონი.

– სამონტუ უკვე აღარ იმყოფება ცოცხალთა შორის, – უპასუხა ქურუმმა.

ფარაონმა რამდენიმე წუთს ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს ქურუმს შეეკითხა:

– როგორ მოხდა ეს?

– ვგონებ, სამონტუ ერთ-ერთ დარბაზში აღმოაჩინეს და, წამება რომ თავიდან აეცდინა, თვითონ მოიწამლა თავი... თითქოს იგი ნოფრმა აღმოაჩინა ვიღაც ბერძნის დახმარებით, რომელიც თურმე მეტისმეტად ჰგავს თქვენს უდიდებულესობას.

– ისევ ნოფრი და ლიკონი! – აღშფოთებით წამოიძახა თუტმოსმა. – ხელმწიფევ, ნუთუ არასოდეს არ გათავისუფლდები ამ გამცემლებისაგან?

ფარაონმა კვლავ მოიწვია საიდუმლო თათბირი, რომელზეც ხირამი და სამონტუს ბეჭდის მომტანი ქურუმიც მიიხმო. პენტუერმა არ მოისურვა დასწრება, დედოფალი ნიკოტრისა კი მიუწვევლად შევიდა თათბირზე.

– ვშიშობ, – ჩასჩურჩულა ხირამმა თუტმოსს, – ქურუმების შემდეგ ჩვენში დიაცებმა არ დაიწყონ გამგებლობა.

როცა დიდებულები შეიკრიბნენ, ფარაონმა სიტყვა სამონტუს შიკრიკს მისცა. ახალგაზრდა ქურუმს არ სურდა რაიმე ეთქვა ლაბირინთზე, სამაგიეროდ ილაპარაკა იმაზე, რომ პტას ტაძარს სრულებით არავინ იცავს და რომ რამდენიმე ათეული მეომარია საკმარისი, რათა დაკავებულ იქნას ყველა, ვინც მასში მიიმალნენ.

– ეს კაცი გამცემია! – წამოიძახა დედოფალმა. – თვითონ ქურუმია და ჩვენ კი ქურუმების მიმართ ძალადობისაკენ მოგვიწოდებს.

ახალგაზრდა ქურუმის სახის არც ერთი ნაკვთი არ შერხეულა.

– ყოვლადპატივცემულო დედოფალო, – უპასუხა მან, – ნოფრმა დაღუპა ჩემი მასწავლებელი და მფარველი სამონტუ და მე ქოფაკი უნდა ვიყო, რომ შურისძიებას არ ვეძებდე. სიკვდილი სიკვდილის წილ!

– მე მომწონს ეს ახალგაზრდა! – ჩუმად ჩაილაპარაკა ხირამმა.

მართლაც, დამსწრეთა შორის თითქოს ცივმა სიომ დაიქროლა, გენერლები წელში გაიმართნენ, სამოქალაქო მოხელეები ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მას, თვით ფარაონის სახეც გამოცოცხლდა.

– არ დაუჯერო მაგას, შვილო ჩემო! – ევედრებოდა რამზესს დედოფალი.

– როგორ ფიქრობ, რას იზამდა ახლა წმიდა სამონტუ, – მოულოდნელად შეეკითხა ქურუმს ფარაონი, – ცოცხალი რომ იყოს?

– დარწმუნებული ვარ, – მტკიცედ უპასუხა მან, – სამონტუ შეიჭრებოდა პტას ტაძარში, გუნდრუკს უკმევდა ღმერთებს, მაგრამ დასჯიდა მოღალატეებს და მკვლელებს.

– მე კი, ვიმეორებ, შენ უბოროტესი მოღალატე ხარ! – არ ცხრებოდა დედოფალი.

– მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ! – მშვიდად მოახსენა ქურუმმა.

– ეს კაცი ჭეშმარიტად სამონტუს მოწაფეა, – ჩაერია ხირამი. – მხოლოდ ეს ერთი ხედავს ნათლად, რა უნდა ვქნათ.

სამხედრო და სამოქალაქო დიდებულები დაეთანხმნენ ხირამს, ხოლო უმაღლესმა მწერალმა დაუმატა:

– რაკი ბრძოლა დავიწყეთ ქურუმების წინააღმდეგ, იგი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, მეტადრე დღეს, როდესაც ხელთა გვაქვს სახელმწიფოს მოღალატეობაში ხერიჰორის მამხილებელი საბუთები.

– ხერიჰორი რამზეს XII-ის პოლიტიკას განაგრძობს, შენიშნა დედოფალმა.

– კი, მაგრამ მე რამზეს XIII ვარ, – გაგულისებით უპასუხა ფარაონმა.

თუტმოსი წამოდგა.

– ხელმწიფევ, – დაიწყო მან. – ნება მიბოძე ვიმოქმედო. სახიფათოა მთავრობის წევრთა შორის ასეთი გაურკვეველი მდგომარეობის გაჭიანურება. დანაშაულობა და უგუნურება იქნებოდა არ გამოგვეყენებინა შემთხვევა. რამდენადაც ეს ქურუმი ამბობს, პტას ტაძარს არავინ იცავსო, ნება დამრთე წავიდე იქ და თან გავიყოლო ჩემ მიერვე არჩეული მცირერიცხოვანი რაზმი.

– მეც შენთანა ვარ, – გამოეხმაურა კალიპი, – გამოცდილებით ვიცი, რომ გალაღებული მტერი – სუსტი მტერია. და თუ ჩვენ ახლავე შევიჭრებით პტას ტაძარში...

– თქვენ მასში შეჭრა არ დაგჭირდებათ. შეგიძლიათ შეხვიდეთ იქ როგორც ამსრულებელი ფარაონის ბრძანებისა, რომ ლითაც თქვენ მოღალატეთა დაპატიმრება დაგევალათ, – განაცხადა უმაღლესმა მწერალმა. – ამისათვის ძალა არც კია საჭირო... აქაც ისე, როგორც ჩვე-

ულებრივ პოლიციელი ეკვეთება ხოლმე ქურდების მთელ ბრბოს და დაბოჭავს მათ, რამდენიც სურს.

– შვილი ჩემი, – თქვა დედოფალმა, – გითმობთ და ემორჩილება თქვენს რჩევას. მაგრამ მას ძალადობა არ სურს და თქვენც გიკრძალავთ.

– თუ ასეა, – განაცხადა სეთის ახალგაზრდა ქურუმმა, – მაშინ მე მის უდიდებულესობას ერთ რასმე კიდევ მოვახსენებ. მან რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა და ხმადაბლა თქვა:

– მემფისის ქუჩებში ქურუმთა პარტია აცხადებს, რომ...

– რას? რას? – თამამად თქვი! – წააქეზა იგი ფარაონმა.

– რომ შენ, ხელმწიფევ, გაგიჟდი, რომ შენ არ ბრძანდები უმაღლესი ქურუმის ხარისხში აყვანილი და არც გვირგვინი გაქვს სამეფო ტახტზე ასასვლელად ნაკურთხი და რომ შეიძლება შენი... ტახტიდან ჩამოგდება...

– მეც სწორედ ამის მეშინოდა, – ჩაილაპარაკა დედოფალმა.

ფარაონი წამოხტა.

– თუტმოს! – უბრძანა თავის ფავორიტს ისეთი მტკიცე ხმით, რომელშიც მკაფიოდ იგრძნობოდა კვლავ დაჭიმული ენერგია და ნებისყოფა. – წაიყვანე რამდენიც გინდა მეომარი, წადი პტას ტაძარში და დააპატიმრე და სასახლეში მოიყვანე სახელმწიფო ღალატში ბრალდებულნი ხერიჰორი და ნოფრი. თუ თავს გამიართლებენ, დავუბრუნებ ჩემს წყალობას, წინააღმდეგ შემთხვევაში...

– შენ გესმის, რას ლაპარაკობ? – შეაჩერა იგი დედოფალმა.

აღშფოთებულმა ფარაონმა ამჯერად მას არა უპასუხა რა. თათბირის წევრებმა კი ერთხმად წამოიძახეს:

– სიკვდილი გამცემლებს! სად გაგონილა, რომ ფარაონმა თავისი ერთგული მსახურები გასწიროს იმისათვის, რომ ამ გარეწარებს მოწყალება გამოსთხოვოს?

რამზეს XIII-ემ თუტმოსს გადასცა პაკეტი ხერიჰორის მიერ ასირიისადმი გაგზავნილი წერილებით და საზეიმოდ განუცხადა ყველას:

– ქურუმების აჯანყების დამშვიდებამდე ჩემს ხელისუფლებას გვარდიის უფროსს თუტმოსს ვაძლევ. ახლა მას დაემორჩილეთ, შენ კი, დიდად პატივცემულო დედილო, შენი შენიშვნებით მასვე მიმარ-

თე.

– ბრძნულად და სწორად იქცევი, ხელმწიფევ! – მოახსენა უმაღლესმა მწერალმა. – ფარაონს არ შეშვენის ებრძოლოს აჯანყებას, ხოლო თუ ჩვენ ამ მდგომარეობაში ენერგიული ხელისუფლება არ გვეყოლება, დავიღუპებით.

თათბირის ყველა წევრმა ქედი მოიხარა თუტმოსის წინაშე. დედოფალი კი კვნესით დაემხო შვილის ფეხებთან.

თუტმოსი გენერლების თანხლებით ეზოში გავიდა, პირველ ლეგიონს დაწყობა უბრძანა და ჯარისკაცებს მიმართა:

– მე მჭირდება რამდენიმე ათეული კაცი, რომლებიც მზად იქნებიან თავი გასწირონ ჩვენი ხელმწიფის სადიდებლად:

მსურველები, ენანას მეთაურობით, მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე საჭირო იყო.

– თქვენ მზად ხართ სასიკვდილოდ? - შეეკითხა თუტმოსი.

– შენთან ერთად დავიხოცებით, ბატონო! – წამოიძახა ენანამ.

– თქვენ კი არ დაიხოცებით, არამედ გაიმარჯვებთ ბილწ დამნაშავეებზე, – უპასუხა თუტმოსმა. – მეომრებს, რომლებიც ამ ექსპედიციაში მიიღებენ მონაწილეობას, მიენიჭებათ. ოფიცრობა, ხოლო ოფიცრებს – ორი ჩინით აღმატება. ასე გიცხადებთ თქვენ მე, თუტმოსი, ფარაონის ნებით მთავარსარდალი.

– იცოცხლე მარად!

თუტმოსმა ბრძანა შეეკაზმათ მძიმე კავალერიის ოცდახუთი ორცხენიანი ეტლი და მათზე მოხალისენი მოეთავსებინათ. თვითონ თუტმოსი და კალიპი კი ცხენებზე შესხდნენ და მალე მთელი რაზმი მემფისის მიმართულებით მტვრის კორიანტელში მიიმალა.

ხირამი მეფის ოთახის ფანჯრიდან უცქეროდა ამ სურათს, დაიხარა ფარაონისაკენ და წყნარად უთხრა:

– მხოლოდ ახლა მჯერა, რომ შენ, ხელმწიფევ, უმაღლეს ქურუმებთან შეთქმულებაში არ ყოფილხარ.

– ხომ არ შეიშალე! – გაფიცხდა ფარაონი.

– მაპატიე, ხელმწიფევ, მაგრამ დღევანდელი თავდასხმა ტაძრებზე ქურუმების მიერ იყო მოწყობილი, ხოლო როგორ ჩააბეს მათ თავიანთ გეგმაში თქვენი უდიდებულესობა, ჩემთვის გაუგებარია.

უკვე ნაშუადღევის ექვსი საათი იწყებოდა.

თავი მეჩვიდმეტე

სწორედ ამ დროს მემფისში პტას ტაძრის პილონებზე მორიგედ მდგარმა ქურუმმა დარბაზში შეკრებილ თათბირის წევრებს აცნობა, რომ ფარაონის სასახლე რაღაც ნიშნებს იძლევაო.

– ვგონებ, ხელმწიფე ზავს გვთხოვს, – სიცილით წარმოთქვა ერთმა ნომარქოსმა,

– ვეჭვობ, – უპასუხა ნოფრმა.

ხერიჰორი პილონზე ავიდა.

მას აძლევდნენ ნიშანს. მალე დაბრუნდა და შეკრებილთ მიმართა:

– ჩვენმა შიკრიკმა დავალება ფრიად პირნათლად შეასრულა... ახლა ჩვენს დასაპატიმრებლად თუ მოსაკლავად რამდენიმე ათეული მოხალისით მოდის თუტმოსი.

– და შენ კიდევ ნებულობ რამზესის გამოქომაგებას? – დაიყვირა ნოფრმა.

– მე ვალდებული ვარ გამოვექომაგო და კვლავაც გამოვექომაგები, რადგან საზეიმო ფიცი მივეცი დედოფალს... წმიდა ამენხოტეპის ეს უაღრესად პატივცემული ასული რომ არა, ჩვენი მდგომარეობა ისეთი არ იქნებოდა, როგორიც ახლა არის.

– მე კი ფიცი არ მიმიცია! – განაცხადა ნოფრმა და დარბაზიდან გავიდა.

– რა სურს ჩაიდინოს? – იკითხა ერთმა ნომარქოსმა.

– მოხუცი საბოლოოდ გაბავშვდა, – უპასუხა ხერიჰორმა და მხრები აიჩეჩა.

საღამოს ექვს საათზე გვარდიელთა რაზმი ყოველგვარი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გარეშე პტას ტაძართან მივიდა და მისმა უფროსმა ჭიშკარზე დააბრახუნა. კარი დაუყოვნებლივ გაუღეს. ეს იყო თუტმოსი მისი მოხალისეებით.

როდესაც მთავარსარდალი ტაძრის ეზოში შევიდა, გაოცდა: მის შესახვედრად მოდიოდა მხოლოდ ქურუმებით გარემოცული ხერიჰო-

რი, რომელსაც თავზე ამენხოტეპის მიტრა ეხურა.

– რა გნებავს შვილო ჩემო! – შეეკითხა იგი ასეთი ვითარებით ცოტა არ იყოს შემკრთალ თუტმოსს. მაგრამ თუტმოსი ჩქარა მოეგო გონს და უმაღლეს ქურუმს უპასუხა:

– ხერიჰორ! თებეს ამონის ტაძრის უმაღლესო ქურუმო! იმ წერილების საფუძველზე, რომლებსაც შენ ასირიის მეფის მოადგილეს სარგონს სწერდი და რომლებიც ახლა მე თანა მაქვს, ბრალი გედება სახელმწიფო ღალატში და ვალდებული ხარ პასუხი აგო ფარაონის წინაშე.

– თუ ახალგაზრდა მეფეს, – დამშვიდებით უპასუხა ხერიჰორმა, – სურს იცოდეს მიზნები, რომლებითაც მარადმსუფევი რამზეს XII თავის პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა, გამოცხადდეს ჩვენს მაღალ საბჭოში და იქ მიიღებს განმარტებებს.

– წინადადებას გაძლევ დაუყოვნებლივ გამომყვე, თუ არ გსურს, ეს გაიძულონ! – ხმას აუმაღლა თუტმოსმა.

– შვილო ჩემო, ვვედრი ღმერთებს, დაგვიფაროს ძალა– დობის ჩადენისა და იმ სასჯელისაგან, რომლის ღირსი შენა ხარ,

– მოდიხარ თუ არა? – ჩააცივდა თუტმოსი.

– მე აქ ვუცდი რამზესს.

– მაშინ დარჩი და უცადე, მატყუარავ! – ამ სიტყვებთან ერთად თუტმოსმა იძრო მახვილი და ხერიჰორზე მიიწია. იმავე წუთს მის ზურგს უკან მდგომმა ენანამ მოიმარჯვა ჩუგლუგი და მთელი ძალით დაარტყა თუტმოსს კისერსა და მარჯვენა ლავიწს შორის ისე, რომ სისხლმა ყოველი მხრიდან იფეთქა. ფარაონის რჩეული თითქმის ორად გაპობილი დაეცა მიწაზე.

რამდენიმე ჯარისკაცი შუბებით მივარდა ენანას, მაგრამ მათსავე ამხანაგებთან ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყველანი დაიხოცნენ. მოხალისეთაგან სამი მეოთხედი ქურუმების მოსყიდული იყო.

– გაუმარჯოს უწმინდეს ხერიჰორს, ჩვენს მბრძანებელს! – გასისხლიანებული ჩუგლუგის ქნევით წამოიძახა ენანამ.

– მარად ცოცხლობდეს იგი! – ბანი მისცეს ენანას ჯარისკაცებმა და ქურუმებმა, და ყველანი პირქვე დაემხვნენ.

ყოვლადღირსმა ხერიჰორმა კი აღაპყრო ხელები და დალოცა ისი-

ნი.

ტაძრის ეზოდან გასული ნოფრი მიწისქვეშეთში ჩავიდა, სადაც ლიკონი ჰყავდა დამწყვდეული. უმაღლესმა ქურუმმა შესვლისთანავე უბიდან ერთბაშად ბროლის ბურთული ამოიღო, რომლის დანახვაზე ბერძენი გამძვინვარდა.

– მიწამ შთანგთქათ თქვენ! თქვენს გვამებს მოსვენება არ ეღირსოს! – ჯუჯღუნებდა ლიკონი. ბოლოს დაწყნარდა და ჩაეძინა.

– აიღე ეს იარაღი, – უთხრა ნოფრმა და ბერძენს წვერმახვილი სატევარი გადასცა, – აიღე ეს სატევარი და წადი სასახლის ბაღში... იქ ლეღვების ტევრში დადექი და უთვალთვალე იმას, ვინც შენ კამა მოგტაცა და შეგიცდინა...

ლიკონმა უძლური გაბოროტებით კბილები დააკრაჭუნა.

– როდესაც მას დაინახავ, გამოფხიზლდი, – დაამთავრა ნოფრმა.

მან ბერძენს სწრაფად ოფიცრის კაპიუშონიანი ლაბადა მოახურა, ყურში პაროლი ჩასჩურჩულა და მიწისქვეშეთიდან ტაძრის ფარული ჭიშკრით მიყრუებულ ქუჩაში გაიყვანა.

მერე ნოფრმა ახალგაზრდული სიმარდით აირბინა პილონის ზეთავზე. ხელში აიღო რამდენიმე ნაირფერი ბაირაღი და ფარაონის სასახლის მიმართულებით სიგნალების მიცემა იწყო. ჩანდა, შეამჩნიეს და მიხვდნენ, რადგან პერგამენტის სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მან შეახვია ბაირაღები და ნელ-ნელა ჩამოუშვა ძირს. როცა უკვე მეორე სართულზე იყო, უცებ გარსშემოერტყა მიხაკისფერ ლაბადებში გამოწყობილი, რამდენიმე კაცი; ისინი ლაბადებით შავ და თეთრ ზოლებიან ხიფთანებს იფარავდნენ.

– აი ყოვლადღირსი ნოფრი! – თქვა ერთმა მათგანმა. სამივემ მსწრაფლ მუხლი მოიყარა უმაღლესი ქურუმის წინ. მან ძალაუნებურად ასწია ხელი დასალოცად, მაგრამ უმალ გონს მოვიდა და შეეკითხა:

– ვინა ხართ თქვენ?

– ლაბირინთის მცველები.

– რატომ გადამიღობეთ გზა? თქვა მან და ხელები და თხელი ტუჩები აუთრთოლდა.

– საჭირო არაა მოგაგონოთ, – უთხრა მუხლებზე დაჩოქილმა ერ-

თმა მცველთაგანმა, – წმიდაო მამაო, რომ რამდენიმე დღის წინ შენ ლაბირინთში იყავი და იცი მისი გზა ისევე კარგად, როგორც ჩვენ. თუმცა განდობილი არა ხარ... მაგრამ მეტად ბრძენი ხარ, რომ ჩვენს კანონებს არ იცნობდე.

– რას ნიშნავს ეს? – ხმამაღლა წამოიძახა ნოფრმა. – თქვენ ყაჩაღები ხართ, რომლებიც გამოგგზავნათ ხერიჰო...

მან სიტყვა ვერ დაამთავრა. ერთმა ხელი სტაცა, მეორე თავზე ცხვირსახოცი დააფარა, მესამემ კი სახეზე გამჭვირვალე სითხე შეასხა.

ნოფრი წაბარბაცდა და დაეცა. მას კიდევ შეასხეს სითხე და, როდესაც სული განუტევა, ლაბირინთის მცველებმა ეკვდერში გადაასვენეს, მკვდარ ხელში რაღაც პაპირუსი ჩაუდეს და პილონის ტალანებში მიიმალნენ.

ამგვარადვე ჩაცმული სამი სხვა მცველი ლიკონს დაედევნა სწორედ იმ წუთიდან, როდესაც ნოფრმა იგი მიყრუებულ ქუჩაზე გაიყვანა. ეს პირები იმ ჭიშკართან იყვნენ მიმალული, რომლითაც ბერძენი ქუჩაში გავიდა, მათ ის ჯერ წინ გაუშვეს. მაგრამ ერთმა ხელში რაღაც საეჭვო შეამჩნია, და ყველანი მას დაედევნენ.

უცნაური იყო, ჰიპნოზირებული ლითონი თითქოს გრძნობდა, რომ ვიღაცები მისდევდნენ. უეცრივ შეუხვია ხალხმრავალი ქუჩისაკენ, მერე მოედნისკენ, სადაც აუარებელი ხალხი დადიოდა, დაბოლოს შესახვევებით, სადაც მეთევზეები ცხოვრობდნენ, ნილოსისკენ გაიქცა. აქ სადღაც საგუბარში იპოვა მომცრო ნავი, ჩახტა შიგ და უჩვეულო სისწრაფით გააცურა მდინარის მეორე ნაპირისაკენ. ნაპირს სულ რამდენიმე ასეული ნაბიჯით იყო დაშორებული, როდესაც მეორე ნავი დაედევნა, შიგ, მენავეს გარდა, სამი მგზავრი იჯდა. ამათ კიდევ ჯერ მდინარის შუაგულამდე არ მიეცურათ, რომ მესამე ნავი გამოჩნდა ორი მენავითა და სამი მგზავრით. ორივე ნავი შეუპოვრად მისდევდა ლიკონს.

ნავში ერთი მენიჩბით ლაბირინთის მცველები ისხდნენ, ისინი თვალს არ აშორებდნენ მოქიშპეთ, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევდა ბინდი, რომელიც მზის ჩასვლის შემდეგ სწრაფად ეფინებოდა დედამიწას.

– ვინ არიან ის სამნი? – ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ ლაბირინთის მცველები, – სამი დღეა, ტაძრის გარშემო დაეხეტებიან ახლა კი ლიკონს მისდევენ...

– იქნებ ქურუმებს სურთ ჩვენგან დაიცვან ლიკონი? ლიკონის პატარა ნავი გაღმა ნაპირს მიადგა. ჰიპნოზირებული ბერძენი ნავიდან გადმოხტა და სწრაფად გაეშურა სასახლის ბაღებისაკენ. ზოგჯერ ბარბაცებდა, ჩერდებოდა, თავზე ხელს იტაცებდა, მაგრამ შემდეგ ისევ წინ მიდიოდა, თითქოს რაღაც უხილავ ძალას მიჰყავდა. ლაბირინთის დარაჯები აგრეთვე გადავიდნენ მეორე ნაპირას, მაგრამ მათ მოქიშპეებმა დაასწრეს. დაიწყო თავისებური შეჯიბრება. ლიკონი სამეფო სასახლისკენ უდიდესი სისწრაფით გარბოდა, მას სამი უცნობი კვალდაკვალ მისდევდა, ხოლო უკან ლაბირინთის სამი მცველი მიჰყვებოდა.

ბაღიდან რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე მდევართა ორივე ჯგუფი ერთიმეორეს გაუსწორდა. თუმცა უკვე დაღამდა, სინათლე მაინც იყო.

– ვინა ხართ? – შეეკითხა უცნობთ ლაბირინთის ერთერთი მცველი.

– მე ბუბასტისის პოლიციის უფროსი ვარ და ორი ჩემი ასისთავის თანხლებით მეტად საშიშ ბოროტმოქმედს მივდევ

– ჩვენ კი ლაბირინთის მცველები ვართ, ჩვენც იმ კაცს მივდევთ.

ორივე ჯგუფი ერთიმეორეს ათვალიერებდა და თითოეულ მათგანს ხელი მახვილის ან დანის ტარზე ჰქონდა დადებული.

– რა ვუყოთ? – შეეკითხა ბოლოს პოლიციის უფროსი.

– ჩვენ განაჩენი გვაქვს მისი...

– გვამს გადააგდებთ?

– გვამსაც და ყველაფერს, რაც ზედ აღმოაჩნდება, – უპასუხა უფროსმა მცველმა,

პილიციელებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს.

– თუ თქვენ სიმართლეს გვეუბნებით, – განუცხადა პოლიციის უფროსმა, – მაშ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, თუ ხელში ჩაგვივარდა, დროებით თქვენ გადმოგცემთ.

– შემოგვფიცავთ?

– გეფიცებით.

– მაშინ შეგვიძლია ერთად წავიდეთ.

ორივე ჯგუფი შეერთდა, მაგრამ ამასობაში, ლიკონი მათს თვალთაგან მიეფარა.

– წყეული! – წამოიძახა პოლიციის უფროსმა. – კვლავ მიიმალა.

– ვერსად წაგვივა! – უპასუხა ერთმა მცველთაგანმა. – უთუოდ იმავე გზით დაბრუნდება უკან.

– კი, მაგრამ რა უნდა მეფის ბაღში? – იკითხა პოლიციის უფროსმა.

– უმაღლესი ქურუმები თავისი საქმეებისათვის სადღაც აგზავნიან, მაგრამ უკან დაბრუნდება, – უპასუხა მცველმა.

ყველამ გადაწყვიტა მოეცადა და ერთად ემოქმედათ.

– მესამე ღამეა ვწვალობთ, – მთქნარებით ჩაილაპარაკა ერთმა პოლიციელმა. ისინი მოსასხამში გაეხვიენ და ბალახზე წამოწვნენ.

თუტმოსის წასვლისთანავე დედოფალი ნიკოტრისა უხმოდ წამოდგა და გასასვლელისაკენ გაეშურა. როცა რამზესი მის დამშვიდებას შეეცადა, მან მკაცრად შეაწყვეტინა სიტყვა:

– მშვიდობით, ფარაონო!.. ვევედრი ღმერთებს, რომ ღირსმყონ ხვალ შენ კვლავ, როგორც ფარაონს, მოგესალმო.

– დედა, ნუთუ ამაში ეჭვი გეპარება?

– როგორ არ უნდა ვეჭვობდე, როდესაც კაცი გიჟებისა და გამცემლების რჩევას უგონებს.

დედა-შვილი უკმაყოფილოდ გაშორდა ერთმანეთს.

მალე მის უდიდებულესობას კარგი სულიერი განწყობილება დაუბრუნდა და მხიარულად განაგრძობდა დიდებულებთან საუბარს. მაგრამ უკვე ექვს საათზე მოუსვენრობამ შეიპყრო.

– წუთი წუთზე მოსალოდნელია თუტმოსისაგან შიკრიკის მოსვლა, – უთხრა თავის მახლობელთ. – დარწმუნებული ვარ, საქმე ასე თუ ისე უკვე გათავებულია.

– ძნელი სათქმელია, – უპასუხა მთავარმა ხაზინადარმა. – იქნებ გადასასვლელთან ნავი ვერ იპოვეს... იქნებ ტაძარშიც წინააღმდეგობას წააწყდნენ..

– სად არის ის ახლგაზრდა ქურუმი? – ანაზდად იკითხა ხირამმა.

– ქურუმი? მკვდარ სამონტუს შიკრიკი? – დაბნეულად გაიმეორეს დიდებულებმა. – მართლაც, სად გაქრა?

წარგზავნეს ჯარისკაცები ბაღის გასაჩხრეკად. ყველა ბილიკი შემოირბინეს, მაგრამ ქურუმი არსად აღმოჩნდა.

ამან საბჭოს წევრები ცუდ გუნებაზე დააყენა, ყველა მდუმარედ იჯდა და მღელვარე ფიქრებში იყო გართული.

მზის ჩასვლისას ოთახში შემოვიდა ფარაონის ერთი მსახური და ჩურჩულით უთხრა: ქალბატონი კეპრერეტი მძიმედ ავად გახდა და გემუდარება, მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინებოს და მნახოსო.

კარისკაცებმა იცოდნენ ფარაონის ურთიერთობა ტურფა კეპრერეტთან და ერთიმეორეს გადახედეს, ხოლო როდესაც რამზესმა თქვა, ბაღში მივდივარო, არც ერთ მათგანს თავს არ უდვია იგი გაეცილებინა. მჭიდროდ დაყენებული მცველების წყალობით ბაღი ისევე უშიშარი ადგილი იყო, როგორც სასახლე. ამიტომ ყველას უხერხულად მიაჩნდა, თუნდაც შორიდან, თვალყური ედევნებინა ფარაონისათვის, მით უმეტეს, როცა რამზესს ეს არ უყვარდა.

როცა ფარაონი ტალანში მიეფარა, უმაღლესმა მწერალმა მიმართა ხაზინადარს:

– დრო ისე ნელა მიდის, როგორც ეტლი უდაბნოში, იქნებ კეპრერეტს აქვს ცნობები თუტმოსის შესახებ?

– გულწრფელად გითხრა, – უპასუხა ხაზინადარმა, – მისი ექსპედიცია რამდენიმე ათეული მეომრით პტას ტაძრის წინააღმდეგ ახლა საშიშ სიგიჟედ მიმაჩნია.

– განა გონივრულად არ მოიქცა ფარაონი სოდიან ტბებთან. როდესაც მთელი ღამე ტეხენას მისდევდა? – ჩაერთა ხირამი. – ყველაფერს გამბედაობა წყვეტს.

– რა იქნა ახალგაზრდა ქურუმი? – იკითხა ხაზინადარმა. – დაუკითხავად მოვიდა და ჩუმად მიიმალა... აქ ყველა შეთქმულივით იქცევა.

ხაზინადარმა ნაღვლიანად გაიქნია თავი.

რამზესმა მალე მიირბინა თუტმოსის პავილიონამდე, როცა სახლში შევიდა, აცრემლებული კეპრერეტი ყელზე მოეხვია და უთხრა:

– შიშით ვკვდები!

– თუტმოსის ამბავი გაწუხებს?

– აბა, მაგაზე დამიდგა დარდები! – ზიზღით უპასუხა ქალმა. – მე მხოლოდ შენზე ვწუხვარ და ვფიქრობ, შენთვის კანკალებს ჩემი გუ-

ლი...

– კურთხეულ იყოს შენი შიში. მან წუთიერად მაინც გაფანტა ჩემი მოწყენილობა, სიცილით უთხრა ფარაონმა. ღმერთებო, ეს რა საშინელი დღეა!.. – შენ რომ ჩვენს თათბირს დასწრებოდი... რომ დაგენახა ჩვენი მრჩევლების გამომეტყველება. ამას გარდა, დიდად პატივცემულმა დედაჩემმა მოისურვა თავისი დასწრებით ჩვენი კრებისათვის პატივი დაედო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ფარაონის მაღალი წოდება ასე მომბეზრდებოდა!

– ნუ ამბობ მაგას ეგრე ხმამაღლა, – შეაჩერა კეპრერეტმა. – რას - იზამ, თუ თუტმოსმა ტაძრის დაუფლება ვერ მოახერხა?

– ჩამოვართმევ უფროსობას, ზანდუკში ჩავდებ ჩემს გვირგვინს, თავს ოფიცრის მუზარადს დავიხურავ და დარწმუნებული ვარ, თუ მე თვითონ ჩავუდგები ჯარს სათავეში, აჯანყებას ერთბაშად ჩავაქრობ.

– რომელ აჯანყებას?

– ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენ ორნაირი აჯანყება გვაქვს: ხალხი ქურუმების წინააღმდეგ, ქურუმები ჩემს წინააღმდეგ...

ის ეხვეოდა კეპრერეტს და ჩასჩურჩულებდა:

– რა ლამაზი ხარ დღეს!.. ყოველთვის, როცა გხედავ, სხვად და სულ უფრო ლამაზად მეჩვენები!

– შენს მინისტრებთან და გენერლებთან შედარებით! თავი დამანებე!

– ვისურვებდი ბროწეულის ხე ვყოფილიყავი! ვისურვებდი იმდენი ხელი მქონოდა, რამდენიც მას ტოტი აქვს, რომ შენ შემოგხვეოდი! იმდენი პირი, რამდენიც მას ფოთოლი აქვს, რომ ერთბაშად ვკოცნიდე შენს თვალებს, თმას, ტუჩებს!..

– ხელმწიფეს ტახტის დაკარგვა გემუქრება, და ასე გასაოცრად ფუქსავატი კი ხარ.

– სიყვარულის სარეცელზე ტახტი როდი მოგაგონდება, – უპასუხა რამზესმა. – ვიდრე მახვილი ჩემთანაა, მე ხელისუფლებას შევინარჩუნებ.

– მაგრამ შენი ჯარი ხომ გაფანტულია, – ეუბნებოდა კეპრერეტი, რომელიც ცდილობდა მისი მოხვევისაგან თავის დაღწევას.

– ხვალ ახალი ლეგიონები მოვლენ, ხოლო ზეგ შეიკრიბებიან ისი-

ნიც, ვინც მიმოიფანტა. გეუბნები, ცუდუბრალოდ ნუ ფიქრობ... სიყვარულის წამი ხელისუფლების მთელ წელიწადზე უფრო ტკბილია.

მზე ერთი საათის ჩასული იყო, როდესაც ფარაონი კეპრერეტს განშორდა და ფიქრებში გართული, დაღლილი, ნელი ნაბიჯით წინ წავიდა.

რა სისულელეა, ფიქრობდა იგი, რომ ქურუმები ასე უშლიან ხელს მის გეგმებს. იმ დროიდან, რაც ეგვიპტე არსებობს, არ ყოფილა ისეთი მბრძანებელი, როგორიც ის იქნებოდა...

ლეღვების ტევრიდან ანაზდად გამოვიდა მუქლაბადიანი კაცი და ფარაონს გადაეღობა.

რამზესი უფრო ახლოს მივიდა მასთან, რათა უკეთ გაერჩია და მსწრაფლ წამოიძახა:

– ეს შენა ხარ, ბილწო? როგორც იქნა გიპოვე!

იგი ლიკონი იყო. რამზესმა მას ყელში ჩაავლო ხელი. ბერძენმა შესჭყივლა და ჩაიკეცა. იმავე წუთს ფარაონმა მუცლის მარცხენა არეში მწვავე ტკივილი იგრძნო. მაშინ მან ორივე ხელი მოუჭირა კისერში ბერძენს და მალე ხერხემლის მალების მსხვრევის ხმა გაისმა. ფარაონმა იგი ზიზღით გადაისროლა. სასიკვდილოდ მოკრუნჩხული ლიკონი მიწაზე დაეცა. ფარაონმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მტკივნეულ ადგილას ხელი წაივლო და სატევრის ტარი მოსინჯა.

– მე დაჭრილი ვარ!

მან ჭრილობიდან ამოაძრო წვრილი ორლესული და, იგრძნო რა, რომ გონს კარგავდა, ნაბიჯს მოუჩქარა. თითქმის სასახლის კართან იყო მისული, რომ მის შესახვედრად ყვირილით მოირბინა ერთმა ოფიცერმა:

– თუტმოსი მოკლულია! იგი მოღალატე ენანამ მოჰკლა!

– ენანამ? – გაიმეორა ფარაონმა. – დანარჩენები როგორღა არიან?

– თითქმის ყველა მოხალისე, რომლებიც გაჰყვნენ თუტმოსს, ქურუმების მოსყიდულნი აღმოჩნდნენ.

– კმარა! დროა ამას ბოლო მოეღოს! – წამოიძახა ფარაონმა. – აზიელთა ლეგიონებს გამოუძახეთ!

ახმაურდა ბუკი, აზიელები ყაზარმებიდან გამოცვივდნენ, თან თავიანთი ცხენები მოჰყავდათ.

– მეც მომგვარეთ ცხენი! – ბრძანა ფარაონმა, მაგრამ ძლიერი თავბრუხვევა იგრძნო და დაუმატა: – არა, ტახტრევანი მომიტანეთ!.. მე არ მინდა დავიქანცო... – მაგრამ უეცრივ წაბარბაცდა და ოფიცრის ხელებზე დაეცა.

– აჰ, კინაღამ დამავიწყდა... – მისუსტებული ხმით თქვა მან, – მომიტანეთ მუზარადი და მახვილი... ფოლადის მახვილი..., ის, ლიბიის ლაშქრობაში რომ მქონდა... წავიდეთ მემფისზე.

სასახლიდან გამოცვივდნენ დიდებულები და მსახურები ჩირაღდნებით. ფარაონს სახე ნაცრისფერი გაუხდა და თვალებზე ნისლი გადაეფარა. რამზესმა ხელი გაიწოდა, თითქოს იარაღს ეძებსო, ტუჩები შეანძრია და საერთო დუმილში განუტევა სული ორივე ქვეყნის, – წარმავლისა და მარადიულის მბრძანებელმა.

თავი მეთვრამეტე

რამზეს XIII-ის სიკვდილის დღიდან მის დაკრძალვამდე სახელმწიფოს მართავდა თებეს ამონის ტაძრის უმაღლესი ქურუმი და მიცვალებული ფარაონის მოადგილე – მაღალღირსი ამონ-ხერიჰორი.

მოადგილის ხანმოკლე მმართველობას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის მდგომარეობისათვის. ხერიჰორმა მეამბოხენი დაამშვიდა და ბრძანა მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის დაეწესებინათ დასვენება ყოველ მეშვიდე დღეს, როგორც ეს იყო ძველ დროს. ამას გარდა, მან შემოიღო ქურუმებისათვის სასტიკი წესდება, მფარველობდა უცხოელებს, განსაკუთრებით ფინიკიელებს, და ხელშეკრულება დადო ასირიასთან, მაგრამ მისთვის ფინიკია არ დაუთმია, რომელიც ეგვიპტისათვის ხარკის გადახდას განაგრძობდა.

ამ ხანმოკლე მმართველობის განმავლობაში მსაჯულები საქმეებს დაუნანებლად წყვეტდნენ და ერიდებოდნენ მკაცრ სასჯელებს. არავის არ ჰქონდა გლეხის ცემის უფლება, მას შეეძლო ყოველგვარი შეურაცხყოფისათვის სასამართლოში ეჩივლა, თუ დრო ჰქონდა და საკმაო მოწმეები მოეპოვებოდა.

ხერიჰორი შეუდგა აგრეთვე იმ ვალების დაფარვას, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვა ფარაონისა და სახელმწიფოს ქონების. მან ფი-

ნიკიელები დაითანხმა ნაწილობრივ უარი ეთქვათ იმ თანხებზე, რომლებიც მართებდა ეგვიპტის ხაზინას, ხოლო დარჩენილი ვალის დასაფარავად ლაბირინთს მოსთხოვა უდიდესი თანხის – ოცდაათი ათასი ტალანტის გაღება.

ამგვარი ზომების წყალობით სახელმწიფო უკვე სამი თვე კეთილდღეობაში იყო, და ხალხი ამბობდა:

– კურთხეულ იყოს მოადგილის სი-ამონ-ხერიჰორის მმართველობა! ჭეშმარიტად მას ღმერთებმა წინასწარ განუკუთვნეს მბრძანებლად ყოფნა, რათა დაეხსნა ეგვიპტე იმ გატიალებისაგან, რომელშიც იგი ცუღლუტმა და მუსუსმა რამზეს XIII-მ ჩააგდო!..

ამრიგად, გავიდა სულ რამდენიმე თვე და ხალხს უკვე დაავიწყდა, რომ ხერიჰორის საქმენი მხოლოდ ახალგაზრდა ფარაონის კეთილშობილ განზრახვათა შესრულებას წარმოადგენდა.

ტიბის თვეში (ოქტომბერ-ნოემბერი), როდესაც რამზეს XIII-ის მუმია უკვე სამეფო გამოქვაბულში ჩაუშვეს, თებეს ამონის ტაძარში უწარჩინებულეს პირთა დიდი თათბირი შედგა. აქ იყვნენ თითქმის ყველა უმაღლესი ქურუმი, ნომარქოსები, ჯარების სარდლები და მათ რიცხვში აღმოსავლეთის ჯარის სახელგანთქმული უხუცესი მხედართმთავარი ნეიტიკერი.

იმავე უზარმაზარ დარბაზში, სადაც ქურუმები წელიწადნახევრის წინ რამზეს XII-ის ქვეყნიურ საქმეებს განსჯიდნენ და რამზეს XIII-სადმი მტრობას გამოთქვამდნენ, – სწორედ ამ ადგილას ახლა თავი მოეყარათ დიდებულებს, რათა ხერიჰორის თავმჯდომარეობით ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი გადაეჭრათ.

და აი 25 ტიბს, სრულ შუადღეზე, ამენხოტეპის მიტრით თავდამშვენებული ხერიჰორი ტახტზე დაჯდა, ხოლო დანარჩენები სავარძლებზე ჩამოსხდნენ და თათბირი შედგა.

ის ერთობ მალე დამთავდა, თითქოს მისი შედეგები წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

– უმაღლესო ქურუმებო, ნომარქოსებო და ბელადებო! – დაიწყო ხერიჰორმა. – ჩვენ აქ ფრიად სამწუხარო და მნიშვნელოვანი საბაბის გამო შევიკრიბეთ. მარადმსუფევი რამზეს XIII-ის მიცვალებასთან ერთად, რომლის ხანმოკლე, მაგრამ მშფოთვარე მეფობა ასე ბედუკუღ-

მართად დამთავრდა...

აქ ხერიჰორმა ამოიოხრა.

– ...რამზეს XIII-ის მიცვალებასთან ერთად ჩაქრა არა მარტო ფარაონი, არამედ სახელოვანი მეოცე დინასტიაც.

დამსწრეთა შორის დრტვინვა გაისმა.

– დინასტია არ ჩამქრალა, – საკმაოდ მკაცრად შენიშნა მემფისის ნომარქოსმა. – ხომ ცოცხალი ბრძანდება ღირსპატივცემული დედოფალი ნიკოტრისა. მაშასადამე, ტახტი მას ეკუთვნის.

წუთიერი დუმილის შემდეგ ხერიჰორმა უპასუხა:

– ღირსპატივცემული ჩემი მეუღლე, დედოფალი ნიკოტრისა...

ახლა კრებაზე უკვე არა დრტვინვა, არამედ ყვირილი ატყდა, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. როდესაც იგი მიწყნარდა, ხერიჰორმა მშვიდად და გარკვევით განაცხადა:

– ჩემმა ღირსპატივცემულმა მეუღლემ ნიკოტრისამ, რომელიც შვილის სიკვდილის გამო უნუგეშო მწუხარებაში იმყოფება, ტახტზე უარი თქვა,

– მოითმინეთ! – წამოიყვირა მემფისის ნომარქოსმა, – ფარაონის მაღალღირსი მოადგილე დედოფალს თავის მეუღლედ ასახელებს. ეს ცნობა სრულებით ახალია და უწინარეს ყოვლისა, მისი შემოწმებაა საჭირო...

ხერიჰორმა ანიშნა და თებეს უმაღლესმა მსაჯულმა ამოიღო ამონის მაღალღირს ქურუმის სი-ამონ-ხერიჰორსა და რამზეს XII-ის ქვრივს – რამზეს XIII-ის დედა – ნიკოტრისას შორის ორი დღის წინ მომხდარი ქორწინების აქტი.

ამ განმარტების შემდეგ დარბაზში სამარისებრი სიჩუმე ჩამოვარდა.

ხერიჰორმა კი განაგრძო:

– მაშასადამე, რაკი ტახტის ერთადერთმა მემკვიდრემ, ჩემმა მეუღლემ თავის უფლებებზე უარი თქვა და ამგვარად მეოცე დინასტიის მეფობა დასრულდა, ჩვენ ახალი მბრძანებლის არჩევა გვმართებს. ასეთ მბრძანებლად უნდა იქნეს გამობრძმედილი, ენერგიული და მმართველობის საქმეებში გამოცდილი ადამიანი. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, პატივცემულნო დიდებულნო, ამ უმაღლეს პოსტზე აირ-

ჩიოთ...

– ხერიჰორი! – წამოიყვირა ვიღაცამ.

– ...აირჩიოთ ამ მაღალ პოსტზე აღმოსავლეთის ჯარის მთავარსარდალი სახელგანთქმული ნეიტიკერი.

ნეიტიკერი დიდხანს იჯდა თვალებმოჭუტული და გაღიმებული. ბოლოს წამოდგა და განაცხადა:

– მე ვფიქრობ, რომ არასოდეს არ გამოილევა ისეთი ადამიანები, რომლებსაც ფარაონის ტიტულის ტარება არ მოესურვოთ. შეიძლება მსურველები უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე საჭიროა. საბედნიეროდ, თვითონ ღმერთებმა აგვაშორეს საშიში მოქიშპეები და მიგვითითეს უმაღლესი ხელისუფლების ყველაზე უფრო ღირსეულ ადამიანზე. და მე მგონია, კეთილგონივრულად მოვიქცევი, თუ იმის ნაცვლად, რომ მივიღო თავაზიანად შემოძლეული გვირგვინი, ჩემის მხრივ ვიტყვი: „დე მარად იცოცხლოს მისმა უდიდებულესობამ სი-ამონ-ხერიჰორმა!“

უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, თათბირის მონაწილეებმა გაიმეორეს ეს მისალმება და უმაღლესმა მსაჯულმა ოქროს ხონჩით ორი გვირგვინი შემოიტანა: თეთრი – ზემო და წითელი – ქვემო ეგვიპტისა. ერთი მათგანი ხელში აიღო ოზირისის უმაღლესმა ქურუმმა, მეორე – ჰორის უმაღლესმა ქურუმმა და გადასცეს ხერიჰორს, რომელიც ემთხვია ოქროს გველს და გვირგვინები თავზე დაიდგა.

ამის შემდეგ დამსწრეთა მხრივ ახალი მბრძანებლის მიმართ დაწესებული პატივდების ცერემონია დაიწყო, რომელიც რამდენიმე საათი გაგრძელდა. შემდეგ შედგენილ იქნა შესაფერისი აქტი, რომელსაც არჩევის მონაწილეებმა თავისი ბეჭდები დაუსვეს, და ამ მომენტიდან სი-ამონ-ხერიჰორი ნამდვილად გახდა ფარაონი, ორივე მხარის და აგრეთვე თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელი.

საღამო ჟამს მისი უდიდებულესობა დაღლილი დაბრუნდა თავის ბინაში, სადაც მას პენტუერი დახვდა. ქურუმი გამხდარიყო და მის გატანჯულ სახეს მოქანცულობა და დარდი აჩნდა.

როდესაც პენტუერი ახალი მბრძანებლის წინაშე პირქვე დაემხო, ხერიჰორმა იგი წამოაყენა, და ღიმილით უთხრა:

– ჩემი არჩევის აქტზე შენ ხელი არ მოგიწერია, ჩემდამი ჯეროვანი პატივდება არ შეგისრულებია და ვშიშობ. ხომ არ დამჭირდება ოდესმე პტას ტაძარში ალყა შემოგარტყა. რა ქენი, გადაწყვიტე ჩემთან დარჩენა? თუ მინასთან ყოფნას ამჯობინებ?

– შემინდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ სამეფო კარზე ცხოვრებამ იმდენად მომქანცა, რომ ერთადერთ ჩემს სურვილს სიბრძნის შესწავლა წარმოადგენს.

– არ ძალგიძს რამზესის დავიწყება? შენ მას ხომ ფრიად მცირე ხანს იცნობდი, ჩემთან კი რამდენიმე წელი მუშაობდი.

– ნუ შემრისხავთ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ... რამზეს XIII პირველი ფარაონი იყო, რომელმაც ეგვიპტელი ხალხის ტანჯვა გაიზიარა.

ხერიჰორმა გაიღიმა.

ეპილოგი

მეხირის თვეში (ნოემბერი-დეკემბერი) პენტუერი მოვიდა მემფისის ტაძარში, სადაც მინა განაგრძობდა თავის შეუპოვარ შრომას დედამიწისა და ცის შესასწავლად. მოხუცი ბრძენი ისე იყო გართული თავის ფიქრებში, რომ პენტუერი კვლავ ვერ იცნო. მაგრამ როცა გამოერკვა, მოეხვია და ჰკითხა:

– როგორ, შენ კვლავ მიემგზავრები გლეხების ასაღელვებლად, რათა ფარაონმა დიდება მოიპოვოს?

– მე მოვედი, რომ დავრჩე შენთან და გემსახურო, – უპასუხა პენტუერმა.

– ოჰო-ჰო... – წამოიძახა მინამ და დაკვირვებით შეხედა.

– ოჰო-ჰო... მაშ უკვე მოგბეზრდა სამეფო კარის ცხოვრება და პატივი? თუ ასეა, კურთხეულ იყოს ეს დღე! როდესაც ჩემი პილონის ზეთავიდან მსოფლიოს გადახედავ, თვითონ დაინახავ, რა პატარა და უგვანია იგი.

პენტუერმა არა უპასუხა რა და მინა მიუბრუნდა შეწყვეტილ მეცადინეობას. რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა, თავისი მოწაფე იმავე ადგილას დახვდა. თვალები შორს, მემფისის მხარისკენ მიეპყრო, სადაც ფარაონის სასახლე მოჩანდა.

მინამ პენტუერს წინ ერთი კოჭობი რძე დაუდგა, ქერის ლავაში დაუდო და მეტად აღარ შეუწუხებია.

გავიდა რამდენიმე დღე. პენტუერი ცოტას ჭამდა, კიდევ უფრო ცოტას ლაპარაკობდა, ღამით ბორგავდა, დღისით კი გაუნძრევლად იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა.

მინას აწუხებდა პენტუერის ასეთი სულიერი მდგომარეობა.

ერთხელ მის გვერდით ქვაზე ჩამოჯდა და შეეკითხა:

– მითხარი, სულ დაკარგე გონება, თუ ბნელეთის სულები მხოლოდ დროებით დაეუფლენ შენს გულს?

პენტუერმა თავისი დაბინდული თვალები მიაპყრო.

– მიმოიხედე გარშემო, – განაგრძობდა მოხუცი, – ახლა ხომ წელიწადის უმშვენიერესი დროა. ღამეები დიდია და ვარსკვლავიანი, დღეები კი – გრილი, მიწა დაფარულია ბალახითა და ყვავილებით, წყალი მდინარეში ბროლივით გამჭვირვალეა, უდაბნო დუმს, სამაგიეროდ

ჰაერში რეკვა, ღრიანცელი და ზუზუნი გაისმის...

თუ გაზაფხულმა ასეთი სასწაული მოახდინა მკვდარ მიწაზე, მაშ სული როგორ გაგიქვავდა ისე, რომ ეს არ გაღელვებ!!! გეუბნები, გამოფხიზლდი-მეთქი! შენ ისე ჩანხარ ამ ცოცხალ ბუნებაში, თითქოს მკვდარი იყო. შენ მზის ქვეშ გამხდარ ნეხვის გუნდას მიაგავხარ, რომელიც თავისი სიმყრალით ნაგიზებისა და იების სურნელებას ახშობს.

– გული მტკივა.

– რა მოგივიდა?

– რაც მეტად ვფიქრობ, მით უფრო ნათლად ვხედავ, რომ არ მიმეტოვებინა რამზესი და განმეგრძო მასთან სამსახური, ფარაონთა შორის ეს უკეთილშობილესი არ დაიღუპებოდა. რამზესს გარს მოღალატეები ერტყა და არც ერთმა მეგობარმა მას ხსნის გზა არ მიუთითა.

– და გგონია შეძლებდი მის გადარჩენას? ჰოი, სწავლანაკლები ბრძენის ცუდმედიდობავ მთელი მსოფლიოს გონებას არ ძალუძს გადაარჩინოს ყორნების გუნდში შეფრენილი შევარდენი, და შენ, დაჩიავებული ღმერთის მსგავსად, წარმოგიდგენია, ადამიანის ბედის შეცვლა შემეძლოო!

– მაშ, რამზესი უნდა დაღუპულიყო?

– უეჭველად. თუნდაც იმისათვის, რომ მებრძოლი ფარაონი იყო, დღევანდელ ეგვიპტეში კი მეომრები პატივით არ სარგებლობენ. ეგვიპტელები მახვილს, თუნდაც ის ფოლადისა იყოს, ოქროს სამაჯურებს ამჯობინებენ, უშიშარ ჯარისკაცებს – მომღერალთ თუ მოცეკვავეთ, ომს – კეთილგონივრებას.

ზეთისხილი რომ მეხირის თვეში დამწიფებულიყო და თოტის თვეში იას ეყვავილა, ისინი დაიღუპებოდნენ ისევე, როგორც იღუპება ყველაფერი, რაც ჩნდება ქვეყანაზე ძალიან ადრე ან ძალიან გვიან. და შენ გინდა, რომ ამენხოტეპებისა და ხერიჰორების საუკუნეში ტახტზე გამაგრდეს ჰიქსოსების დროებისათვის დაბადებული ფარაონი. ყოველივე არსებულის ყვავილობისა და სიკვდილის ხანა განსაზღვრულია. რამ, ზეს XIII დაიბადა მისთვის არახელსაყრელ დროს – და მას სხვისთვის უნდა დაეთმო ადგილი,

– და მისი ხსნა არაფერს შეეძლო?

– მე არ მეგულება ასეთი ძალა. გარდა იმისა, რომ რამზესი არც თავის დროს შეჰფეროდა და არც თავის როლს, იგი ტახტზე მაშინ ავიდა, როდესაც სახელმწიფო დაცემის ხანას განიცდიდა.. რამზესი ლპობადაწყებული ხის ნორჩი ყლორტი იყო.

– და შენ ასე დამშვიდებული ლაპარაკობ სახელმწიფოს დაცემაზე! – წამოიძახა პენტუერმა.

– ამ დაცემას უკვე რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ვადევნებ თვალყურს, ჩემამდე კი ამ ტაძარში ჩემი წინამოადგილეები ხედავდნენ. უკვე მივეჩვიე...

– მაშ თქვენ ნათელმხილველის ნიჭით ყოფილხართ დაჯილდოებული.

– სრულიადაც არა, – უპასუხა მინამ, – მაგრამ ჩვენ ხელთ არის დიდი ხნის შემოწმებული ნიშნები. ალმების მოძრაობის მიხედვით ჩვენ ქარის მიმართულებას ვხვდებით, ნილოსის ჭაში წყლის დონე მდინარეში წყლის ადიდებას თუ დაკლებას გვიჩვენებს, სახელმწიფოს უძლურებაზე კი უხსოვარ რი დროიდან გვიამბობს აი ეს სფინქსი.

და მან ხელი გაიშვირა პირმიდების მიმართულებით.

– მე არასდროს არ მსმენია ამის შესახებ, – ჩაიჩურჩულა პენტუერმა.

– წაიკითხე ჩვენი ტაძრების ძველი მატიანეები და დარწმუნდები, რომ ყოველთვის, როდესაც ეგვიპტე თავის აყვავების ხანას განიცდიდა, მისი სფინქსი შეურყევლად გადმოჰყურებდა უდაბნოს. როდესაც სახელმწიფო დაცემისაკენ მიექანებოდა, სფინქსი ნაპრალებით იფარებოდა, ჩამოიშლებოდა და უდაბნოს ქვიშა მის კვარცხლბეკამდე აღწევდა. უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში კი სფინქსი თანდათანობით ირღვევა. და რაც უფრო მეტად ფარავს მას ქვიშა, რაც უფრო ღრმად გამოღრღნის მას ნაპრალები, მით უფრო მეტად ღატაკდება ქვეყანა.

– და დაიღუპება?

– არავითარ შემთხვევაში – შეესიტყვა მინა. – როგორც დღეს ღამე ცვლის და წყლის დაკლებას მისი ადიდება, ისე დაცემის შემდეგ კვლავ იწყება აყვავება. ასე ბრუნავს სიცოცხლის მარადიული ჩარხი!.. ზოგიერთ ხეს ფოთლები მეხირის თვეში სცვივა მხოლოდ იმისათვის,

რომ პახომის თვეში კვლავ აღორძინდეს.

ეგვიპტე – ეს ათასწლოვანი ხეა, ხოლო დინასტიები მისი ტოტები. ჩვენს თვალწინ ახლა ოცდამეერთე ტოტის ყლორტი გამოჩნდა, – მაშ რაზე უნდა ვწუხდეთ? იმაზე ხომ არა, რომ ხე, რომელიც ტოტებს ჰკარგავს, სიცოცხლეს ინარჩუნებს მაინც.

პენტუერი ჩაფიქრდა, მაგრამ მისი თვალები თითქოს გამოცოცხლდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და მინამ უთხრა პენტუერს:

– სურსათის მარაგი გვითავდება. საჭიროა ნილოსის მხრისაკენ წასვლა და სურსათის მოპოვება.

მეორე დღეს დილით ადრე ქურუმებმა მხარზე გადაიკიდეს დიდი კალათები და სანაპირო სოფლებისაკენ გასწიეს. აქ ისინი გლეხების სადგომებთან ჩერდებოდნენ და ღვთისმოსავ ჰიმნებს გალობდნენ, რის შემდეგ მინა კარზე აკაკუნებდა და მოწყალებას ითხოვდა.

– მწყალობელო ხალხო, მართლმორწმუნე ეგვიპტელნო, მოიღეთ მოწყალება სიბრძნის ღმერთქალის მსახურთათვის.

გლეხებს (უფრო ხშირად ქალებს) გამოჰქონდათ ერთი მუჭა ხორბალი თუ ქერი, ლავაში თუ ცოტა გამხმარი თევზი. ხშირად მათ დაესეოდნენ. ავი ძაღლები ან წარმართთა ბავშვები ქვებსა და ტალახს ესროდნენ.

უცნაურ სანახაობას წარმოადგენდნენ ეს თავმდაბალი მოკალმასენი, რომელთაგან ერთი რამდენიმე წლის განმავლობაში გავლენას ახდენდა სახელმწიფოს ბედიღბალზე, მეორემ კი, ბუნების უღრმეს საიდუმლოებათ რომ ჩაწვდა, ზეგავლენა იქონია ისტორიის მსვლელობაზე.

უფრო მდიდარ სოფლებში კარგად უმასპინძლდებოდნენ. ერთხელ სახლში, სადაც ქორწილი იყო გამართული, ქურუმები დააპურეს, ლუდი ასვეს და ნება დართეს ღამე ფარდულში გაეთიათ.

მოპარსული თავ-პირისა და ჯიქის გაქუცული ტყავის მიუხედავად, მინა და პენტუერი ადგილობრივ მოსახლეობას პატივისცემას არ აღუძრავდნენ. ქვემო ეგვიპტელნი, რომლებიც სხვა სჯულის მოსახლეობას შორის ცხოვრობდნენ და საერთოდ ღვთისმოსაობით არ გამოირჩეოდნენ, სიბრძნის ღმერთქალის ქურუმებს, რომელთა დახმა-

რებაზე სახელმწიფოც კი უარს ამბობდა, უპატიოდ ეპყრობოდნენ.

ახლადმოჭრილ ლერწმის საფენზე იწვნენ მინა და პენტუერი ბოსელში და ყურს უგდებდნენ საქორწილო მუსიკას, ლოთების წამოძახილებს და მოქეიფე სტუმრების კინკლაობას.

– ეჰ, რა საშინელებაა! – აღმოხდა პენტუერს, – სულ რამდენიმე თვეა, რაც ხელმწიფე გარდაიცვალა – ამ გლეხების კეთილმყოფელი, – და აი, უკვე დაივიწყეს. ჭეშმარიტად დღემოკლეა ადამიანთა მადლიერება!

– შენ გინდოდა, ადამიანებს სიცოცხლის დასასრულამდე ნაცარი ეყარა თავზე? – შეესიტყვა მინა. – ხომ არ ფიქრობ, როდესაც ნიანგი ქალს ან ბავშვს იტაცებს, ნილოსის ტალღები აჩერებენ თავის სრბოლას? არა, ისინი მიგორავენ და არ ამჩნევენ არც ადამიანთა გვამებს და არც თვით წყლის ადიდებასა და დაკლებას. ასევე ხდება ხალხის ცხოვრებაში. იცვლებიან დინასტიები და სახელმწიფო განიცდის შეწუხებას ომისა და აჯანყებებისაგან, თუ პირიქით, ქვეყანა სტკბება მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებით, ამისგან დამოუკიდებლად ადამიანები განაგრძობენ ჭამას, სმას, ძილს, ქორწინებასა და შრომას. ასევე იზრდება ხე, მიუხედვად წვიმისა და სიცხისა. დაე იცეკვონ და იხტუნონ იმათ, ვისაც ჯანმრთელი ფეხები აქვთ, დაე იმღეროს და იტიროს მან, ვისაც გული გრძნობებით აქვს აღსავსე.

– მაგრამ, გამოტყდი, რომ უცნაურია იმათი მხიარულების ცქერა, თუ მოვიგონებთ, რასაც შენ სახელმწიფოს დაცემაზე ამბობდი, – შეაწყვეტინა პენტუერმა,

– სრულიადაც არა. ეს ხალხი ხომ სწორედ სახელმწიფოა და მათი ცხოვრება – სახელმწიფოს ცხოვრებაა. ყოველთვის

– და ყველგან ადამიანების ნაწილი მხიარულობს, მეორე ნაწილი კი მწუხარებას ეძლევა. არ არის წამი, რომ არ იღვრებოდეს ცრემლები და არ ჟღერდეს სიცილი.

ამით განისაზღვრება ისტორიის მსვლელობა და, როდესაც ადამიანთა შორის სიხარული ჭარბობს, მაშინ ჩვენ ვამბობთ, სახელმწიფო აყვავებას განიცდისო, ხოლო როდესაც ხშირად ცრემლი იღვრება, ამას ჩვენ სახელმწიფოს დაცემას ვუწოდებთ. სიტყვებს არ უნდა ჩავაცივდეთ, საჭიროა ხალხის ცხოვრებას ჩავწვდეთ. ამ ქოხში სიხარული

სუფევს, მაშასადამე აქ ხალხის ცხოვრება ჰყვავის და აქ დაცემაზე ამოოხვრის უფლება არა გვაქვს.

შენი ამოცანაა იქითკენ მიისწრაფოდე, რომ ბედნიერი ქოხები სულ უფრო და უფრო მეტი იყოს.

როდესაც ბრძენებმა მოწყალება მოაგროვეს და ტაძარში დაბრუნდნენ, მინამ აიყვნა პენტუერი პილონის თავზე. უჩვენა მარმარილოს ვეებერთელა სფერო, რომელზეც ოქროს რგოლებით აღნიშნული იყო ასობით ვარსკვლავების განლაგება, და მიანდო შუაღამემდე დაჰკვირვებოდა მთვარის მოძრაობას.

პენტუერი სიამოვნებით დათანხმდა. ამ ღამეს ის თვალნათლივ დარწმუნდა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ცის თაღმა თითქოს დასავლეთით გადაიწია, მაშინ, როდესაც ვარსკვლავებს შორის მავალი მთვარე აღმოსავლეთისკენ მიიწევდა. ამ დრომდე ესოდენ მარტივი მოვლენები პენტუერმა მხოლოდ სხვების ნათქვამიდან იცოდა, და აი ახლა, როდესაც პირველად დაინახა ცის მოძრაობა და მთვარის ნელი სრბოლა, ისეთმა აღფრთოვანებამ აიტაცა, რომ პირქვე დაემხო და ატირდა.

პუნტუერის გონების წინ ახალი სამყარო გადაიშალა, მას შეეძლო ის სილამაზე დაეფასებინა, რადგან სიბრძნეს ფლობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთმა მდიდარმა მოიჯარემ წინადადებით მიმართა ქურუმებს, ადგილი შუერჩიათ და გაეთხარათ არხი. სამაგიეროდ შეპირდა მათი გამოკვებას მუშაობის დროს და შრომის საზღაურად თიკნიანი თხის მიცემას. ვინაიდან ტაძრის ბინადართ რძე ესაჭიროებოდათ, მინა დათანხმდა და პენტუერთან ერთად სამუშაოზე წავიდა. ქურუმებმა ნიადაგი მოასწორეს, მინიშნეს მიმართულება და თხრა დაიწყეს.

მძიმე ფიზიკურმა შრომამ გამაცოცხლებელი გავლენა იქონია პენტუერზე და, როდესაც მარტო რჩებოდა მინასთან, თითქმის სიამოვნებით ესაუბრებოდა. ხოლო სხვა ადამიანებთან ურთიერთობა პენტუერს ნაღვლიან გუნებაზე აყენებდა, მათი სიცილი და სიმღერა, თითქოს ტანჯვას უძლიერებდა.

მინა ღამით სოფელში არ მიდიოდა და პენტუერთან ერთად მინდორში ათევდა. ისინი შეხაროდნენ აყვავებულ მდელოებს და ადამი-

ანთა სიხარულის გამოძახილს იჭერდნენ, თუმცა მასში მონაწილეობას არ ღებულობდნენ.

ერთხელ საღამოს მინდვრის სამუშაოები ჩვეულებრივზე უფრო ადრე შეწყდა და სოფელში გლეხების თხოვნით მოხეტიალე ქურუმი მოვიდა პატარა ბიჭის თანხლებით. მოწყალების შესაგროვებლად ისინი კარიკარ დადიოდნენ. პატარა ბიჭი სალამურზე ნაღვლიან ჰანგს უკრავდა და, როცა ჰანგი დადუმდებოდა, ქურუმი თავისი მძლავრი ხმით ნახევრად სარწმუნოებრივს და ნახევრად საერო ხასიათის სიმღერას მღეროდა.

მინა და პენტუერი ბორცვზე ისხდნენ და იქიდან უცქეროდნენ მეწამულ ცას, რომლის ოქროვან ფონზე მოჩანდა პირამიდების შავი სამკუთხედები და პალმების მიხაკისფერი ღეროები მუქმწვანე გვირგვინებით. ქურუმი კი კარიკარ დაეხეტებოდა, მღეროდა თავის სიმღერას და ყოველი ხანის შემდეგ უფრო დიდხანს ისვენებდა.

„როგორი დამშვიდებულია ეს სამართლიანი ხელმწიფე![1] დაბოლოს აღსრულდა საოცარი წინასწარმეტყველება. რას დროიდან ყოველივე ძველი ქრება და მის ნაცვლად მოდის ის, რაც ახალგაზრდაა. ყოველ დილით მზე ამოდის, საღამოთი კი დასავლეთით იმალება. მამაკაცი ანაყოფიერებს, ქალი მუცლად იღებს, გრილი სიოთი სუნთქავს ყოველი მკერდი, მაგრამ ყველა შობილი, გამოუკლებლივ ყველა, მიდის იმ ადგილისაკენ, რომელიც მათთვის არის განკუთვნილი“.

– მაგრამ რატომ ხდება ასე?.. – გაისმა უცბად პენტუერის ხმა. – და ყოველ შემთხვევაში, მართალი მაინც რომ იყოს ის, რომ სიცოცხლე ღმერთებისა და კეთილმოქმედთა სადიდებლად არისო შექმნილი! მაგრამ ეს ხომ სიცრუეა! ვერაგი ბოროტმოქმედი, დედა, რომელიც თავისი შვილის მკვლელის მეუღლე ხდება, სატრფო, რომელიც ალერსის წუთებში გამცემლობას გაივლებს გულში, – აი, ვინ წარიმატებს და ბატონობს. ბრძენი კი თავის სიცოცხლეს უმოქმედობაში გაატარებს და კეთილშობილი, ძალ-ღონით სავსე ადამიანი ისე იღუპება, რომ თავის შესახებ ხსოვნასაც კი ვერ ტოვებს.

„მხიარულებით აღსავსე ეს დღე, ჰოი ხელმწიფევ, – მღეროდა ქუ-

[1] ნასესხებია ნამდვილი წყაროებიდან (ავტ. შენიშ.).

რუმი, – ვინაიდან ის ცოტა გვეძლევა. გარშემოივლე სუნნელება, იკმიე გუნდრუკი, ლოტოსის გვირგვინებით შეამკე ტანი მეგობარი ქალისა, შენს გულს რომ ფლობს და გვერდით რომ გიზის. დაე უკრავდნენ და მღეროდნენ თქვენ საპატივცემოდ! უკუაგდე ზრუნვა და მიეცით თავი მხირულებას, რადგან უეცრად გაიელვებს ის დღე, როცა თქვენ დუმილის ქვეყანაში წახვალთ“.

– სურნელოვანი ზეთი ცხვირისათვის... ლოტოსის გვირგვინები წელისათვის... შემდეგ კი დუმილი!.. – აღმოხდა პენტუერს. – ჭეშმარიტად, მასხარა, რაინდის როლს რომ თამაშობს, უფრო გონიერია, ვიდრე ეს სამყარო, რომელშიც ყველა ჩვენ ვიღაცას გამოვსახავთ ჩვენთვის ყოველი სარგებლობის გარეშე და ნუთუ ეს მიწიერი გათოშვა შეიძლება უსასრულო დღესასწაულად წარმოვიდგინოთ?.. ვისაც კუჭი არ ეწვის შიმშილით, მას გული მოწამლული აქვს კაეშნით და ვნებიანი სურვილით. ხოლო, როდესაც დგება მოსვენების წუთი, მას თან მოაქვს ფიქრი მარადიული დუმილის სამეფოს შესახებ და ის სტანჯავს ადამიანის სულს.

„მაშ იდღესასწაულე მხიარულების დღე, ჰოი, ნეფარჰოტეპო, წმიდა ადამიანო! ჩემთვის ცნობილია შენი წინაპრების ბედი. მათი სიმაგრეები ინგრეოდა, ქალაქები ქრებოდა, და თვითონ ისინი თითქოს არც არსებულანო. იმ ქვეყნიდან, სადაც ისინი წავიდნენ, არვინ დაბრუნებულა, ვერვინ გვიამბობს, როგორ ცხოვრობენ, ვერავინ დაგვამშვიდებს. და ასე იქნება მანამდე, სანამ არ წახვალთ იქ, სადაც ისინი წავიდნენ“.

– დამშვიდებული ზღვა თუ გინახავს, – შეეკითხა ბენტუერს მინა. – ხომ მართალია, რომ დიდად მოსაწყენია, თითქოს ძილია უსიზმროდ. და მხოლოდ მაშინ, როდესაც გრიგალი მის ზედაპირზე კვალს გაავლებს, როდესაც ერთი ტალღა უფსკრულში გადაიჩეხება, მეორე კი ყალყზე დგება, როცა ზედაპირზე ელვა გაინავარდებს და სიღრმიდან ხან მრისხანე, ხან მთრთოლვარე ხმები აბგერდება, მაშინ ზღვა მშვენიერი ხდება. ამასვე ვამჩნევთ ჩვენ მდინარეზეც. ის მკვდრად გეჩვენება, ვიდრე ერთი მიმართულებით მიმდინარეობს, კლაკნილები და მრსახვევები კი მომხიბვლელობას ანიჭებენ. ასევეა მთებში. მთლიანი მაღლობი მოსაწყენია, მაგრამ მწვერვალთა უცნაური ქონგურები

და ღრმა ხეობები მშვენიერი.

„აპკურე მირონი თავსა შენსა, შემოსე სხეული შენი ნატიფი ტანსაცმელით და შეიმკე თავი ღმერთების ნაბოძებით, – მღეროდა ქურუმი, – მოირთე თავი სამკაულით და ნუ მისცემ ნებას სასოწარკვეთილება დაგეუფლოს, ვიდრე მიწაზე ხარ, იცოცხლე განცხრომისათვის, ნუ გაამწარებ შენს გულს, ვიდრე არ დამდგარა შენთვის მწუხარების დღე“.

– ასეთივეა ადამიანის ცხოვრებაც, – განაგრძო მინამ, – განცხრომა ეს ტალღებია და მთების ქონგურები, ტანჯვა კი – უფსკრული და ხეობები. სიცოცხლე მშვენიერია, როდესაც მასში ერთიც და მეორეც შეხამებულია და როცა ის იმ აღმოსავლეთის მთების ქონგუროვან გრეხილს ემსგავსება, რომელთა ხილვით ჩვენ ვტკბებით.

„ის, ვისი გული არ ფეთქს, – მღეროდა ქურუმი, – ხომ ვერ გაიგონებს გულწამტან სიმღერას, მას ვერ დაამწუხრებს სხვისი მწუხარება. ამიტომ გახსნილი შუბლით იდღესასწაულე მხიარულების დღეები და გაამრავლე მათი რიცხვი“.

– გესმის? – უთხრა პენტუერმა და მიუთითა სოფლისკენ. – ის, ვის გულმაც შეწყვიტა ძგერა, არათუ ნაღვლობს სხვის მწუხარებას, არამედ თავის საკუთარ ცხოვრებასაც არ შეჰხარის, როგორი წარმტაციც არ უნდა იყოს ის. რა ბედენაა სიცოცხლის სილამაზე, თუ მისთვის ანგარიშის გასწორება წამებითა და სისხლიანი ცრემლებით გვიხდება?

ღამდებოდა, მინა თავის ლაბადაში გაეხვია და თქვა:

– ყოველთვის, როდესაც შეგიპყრობს ასეთი აზრები, შედი ერთერთ ჩვენს ტაძარში და დაუკვირდი მის კედლებს, რომლებზეც ერთმანეთზე გადახლართულია ადამიანების, ცხოველების, მცენარეების, მდინარეებისა და მნათობთა გამოხატულება ისევე, როგორც ამქვეყნად, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

უმეცარისთვის ეს სურათები ღირებულებას მოკლებულია და, ალბათ, არაერთ მათგანს დაუსვამს კითხვა: „რისთვისაა ყოველივე ეს? რისთვის იღვწოდა ასე გულმოდგინედ მათზე საჭრისი და ფუნჯი?“

მაგრამ ბრძენი მოწიწებით უახლოვდება მათ, იგი მათი მიხედვით სწავლობს განვლილ საუკუნეთა ისტორიას და წვდება სიბრძნის საიდუმლოებას.